მედეა ბურდული
ნათია ჯალაბაძე
ალექსანდრე დაუშვილი
ლალი მღებრიშვილი

ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები

ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა
და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი

მედეა ბურდული, ალექსანდრე დაუშვილი
ნათია ჯალაბაძე, ლალი მდებრიშვილი

ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები

(კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოლოგიური
გამოკვლევა)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2018

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

წიგნი გამოცემულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტით: „ტრადიციული სამეურნეო კულტურა და ქართული სოფლის განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“, გრანტი (№FR/406/2)

რედაქტორი: **მედეა ბურდული**
ისტორიის დოქტორი

რეცენზენტები: **ლია მელიქიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

უჩა ბლუაშვილი
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე**

დიზაინი: **ირაკლი უშვერიძე**

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2018
© მედიკო ბურდული, ალექსანდრე დაუშვილი, ლალი ღებრიშვილი, ნათია ჯალაბაძე, 2018

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-229-6

შესავალი

ეთნოგრაფმა არ უნდა უღალატოს საველე მუშაობას, ეს უკვე დარგის ღალატია. აღრიცხული უნდა იქნეს ეთნოსში მიმდინარე ყველა პროცესი. არაუშავს თუ დღესდღეობით მძიმეა სამუშაო პირობები. ჩვენ უფრო მძიმე პირობებში ვმუშაობდით. სამაგიეროდ ეს სჭირდება ჩვენს ხალხს, ჩვენს კულტურას, მომავალს. მხოლოდ ამით მოვიხდით ვალს ჩვენი წინაპრებისა და მომავალი თაობის წინაშე“

გ. ჩიტაია

ეს წიგნი - „ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები (კახეთის რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა)“, რომელიც რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ არის დაფინანსებული, ამავე სახელწოდების საგრანტო პროექტის განხორციელების შედეგად დაიწერა. თანამედროვე ქართულ სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები პროექტის თემად შემთხვევით არ აგვირჩევია: საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობა ოდითგანვე მისი ეკონომიკის მთავარი საფუძველი იყო. ისტორიულად სოფლის ეკონომიკური სიძლიერე ყოველთვის იყო და არის ქვეყნის წინსვლის გარანტი. საქართველოს მრავალფეროვანმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყო სხვადასხვა სამეურნეო დარგისა და მრავალფეროვანი სამეურნეო ტრადიციების ჩამოყალიბება-განვითარებას, რაც ქვეყნის ბარის, მთისწინა მთის სამეურნეო ზონების თავისებურებებს შეესაბამებოდა. საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა ქართველი მეურნის გეოგრაფიულ პირობებთან ზედმიწევნით მისადაგებული ყოფა – დასახლება, საცხოვრებელი კარმიდამო, სამეურნეო საქმიანობა და სხვ.

ტრადიცია და საკუთარი გამოცდილება ქართველ გლეხს აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტულ რეგიონში მისთვის მომგებიანი სამეურნეო საქმიანობა ეწარმოებინა: ბარში – სიმბიოზური (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) მიწათმოქმედების დაწინაურებული ფორმით; მთაში – მესაქონლეობა, ოჯახის გამოსაკვებად სამყოფი მიწათმოქმედებით და მთის წინა ზოლი – მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თითქმის თანაბარი განვითარების ტენდენციით. სოფლის მეურნეობის მძლავრი ტრადიცია იყო ის იარაღი, რამაც მრავალი კატაკლიზმების მიუხედავად ქართულ სოფელს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა.

საბჭოთა სისტემის დამკვიდრებამ რადიკალურად შეცვალა ქართული აგრარული პოლიტიკა და სახე უცვალა ქართულ სოფელს. საბჭოთა ტოტალური აგრარული პოლიტიკა ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო სექტორის სრულ მორჩილებას და სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებთან ჰარმონიას. ეს გამორიცხავდა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, კაპიტალისტურ აღწარმოებას. საქართველოშიც ეს პროცესი ლოგიკურად დასრულდა სოფლის სრული ინტეგრაციით ტოტალიტარული სახელმწიფოს ეკონომიკურ სივრცეში, თუმცა გარკვეული თავისებურებებიც ჰქონდა.

საბჭოთა პერიოდში, თუ არ ჩავთვლით მთიანი რეგიონების მიზანმიმართული დეპოპულიზაციის პოლიტიკას, ქართული სოფელი მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა ტრადიციულ სახეს. თუმცა ამავე დროს მეურნეობის ტრადიციული დარგები, მონოკულტურულმა სოფლის მეურნეობამ შეცვალა (დასავლეთ საქართველოში ჩაი და ციტრუსები, აღმოსავლეთ საქართველოში მევენახეობა-მეხილეობა), რაც ქართული სოფლისათვის დამღუპველი აღმოჩნდა და საქართველო სხვა ქვეყნებზე ზედმეტად დამოკიდებული გახადა (მაგალითად, მარცვლეული კულტურების ნათესების მკვეთრად შემცირების გამო).

საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები საქართველოში მთლიანად მოისპო, მათ შორის ბევრი ეკონომიკურად მომგებიანი და დიდი ტრადიციების მქონე შრომითი ორგანიზაცია იყო. სოფლად დაბრუნდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, რომელმაც ახალ ვითარებაში ალღო ვერ აუღო აგრარულ ურთიერთობებს და, სახელმწიფოს მხრიდან პასიურობის გამო, სერიოზული ვარდნა განიცადა სოფლის მეურნეობის ყველა ტრადიციულ დარგში.

უკანასკნელ პერიოდში ქართულმა სოფელმა ეკონომიკური დეგრადაცია განიცადა, მოიშალა ზოგადად სოფლის ინფრასრუქტურა, ფართო მასშტაბი მიიღო მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, გადინებამ. სახეზეა უმუშევრობა, სიღარიბე და სხვ. ინსტიტუციური რეფორმების 20-წლიანმა პერიოდმა ვერ შექმნა სოფლის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, წარუმატებელი აღმოჩნდა გარდაქმნები.

ქართველი ეთნოგრაფები და ისტორიკოსები ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული ქართული სოფლის ისტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის, მისი სამეურნეო და საცხოვრებელი პირობების შესწავლით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში 1980-90-იან წლებში არსებობდა საქართველოს სოფლის ისტორიის შესწავლის სპეციალური განყოფილება. აღნიშნული მიმართულებით რამდენიმე მონოგრაფიაცაა დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა საგრძნობლად შეაფერხა ამ მიმართულებით სამეცნიერო აზრის განვითარება, ეს ტრადიცია ფაქტობრივად მოისპო.

დღეს საქართველოს სამთავრობო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს სოფლის აღორძინება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის დახმარებით შეიმუშავა სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განვითარების პროგრამა, რომელიც 2014-2020 წლებზეა გათვლილი. სტრატეგიის ნაწილი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში კონკურენტული გარემოს შექმნას პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდისთვის და სიღარიბის აღმოსაფხვრელად.

სტრატეგია 7 ძირითად საკითხს მოიცავს, ესაა: კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დამატებითი ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის განვითარება, ინფრასტრუქტურული განვითარება, სასურსათო უსაფრთხოებისა და უვნებლობის უზრუნველყოფა და ასევე გარემოს დაცვა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. უკვე განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

მაგრამ, რამდენად ეფექტიანი იქნება ეს პროგრამა იმ ტრადიციული მექანიზმების გარეშე, რამაც ქართული სოფელი საუკუნეების მანძილზე გადაარჩინა და რაც მტრისაგან განადგურებული ქართული სოფლის კვლავ და კვლავ აღორძინებას განაპირობებდა? რა იყო ამ მოვლენის კულტურული მატრიცა? სწორედ ამ პრობლემებმა განაპირობა აღნიშნული პროექტის შექმნა, რომლის მიზანიც იყო, საქართველოს სამეურნეო ტრადიციებით უაღრესად მდიდარი ერთ-ერთი კუთხის – კახეთის ზემოხსენებული თვალსაზრისით კვლევა და, რეგიონალური თავისებურებების გათვალისწინებით, ქართული აგრიკულტურის ხასიათისა და სოფლის განვითარების ტრადიციული მექანიზმების გამოვლენა.

წინამდებარე გამოკვლევა კონკრეტული რეგიონის მაგალითზე ქართული აგრარული ტრადიციების და სოფლის განვითარების პერსპექტივების ისტორიული და ეთნოლოგიური თვალსაზრისით შესწავლის პირველი მცდელობაა. ქართველი ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ კახეთში არსებული სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები კარგადაა შესწავლილი XX საუკუნის 90-იან წლებამდე (ეთნოგრაფები: ი. ნანობაშვილი, ლ. ბოჭორიშვილი, ჯ. რუხაძე, ი. ჭყონია, ლ. ჭყონია, ა. ლეკიაშვილი, გ. ჯალაბაძე, მ. ქანთარია, გ. ჯავახიშვილი და სხვ; ისტორიკოსები: ი. კაჭარავა, თ. ჟღენტი, ფ. ლომაშვილი, რ. კოჭლამაზაშვილი, ა. კიკვიძე, ი. მირცხულავა და სხვ.). ჩვენი ძირითადი მიზანი იყო გვეჩვენებინა XX საუკუნის 90-იანი წლების (აგრარული რეფორმის ჩატარების) შემდეგ შექმნილი მდგომარეობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს ახმეტის, გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ყვარელის, ლაგოდეხის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიას და ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ კუთხეს – თუშეთს (ახმეტის მუნიციპალიტეტი). აღნიშნული ტერიტორიული ერთეულები ლოკალიზებულია, როგორც მთის, ისე ბარის და მთისწინა ზონაში. ამდენად კახეთის აგრარული ყოფის შესწავლა განსხვავებული კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებით, სხვადასხვა ზონის სამეურნეო კულ-

ტურის სპეციფიკის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს. ამას კი ქართული სოფლის განვითარების პროგრამაში მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება. საკვლევად არჩეული იქნა სოფლები თითოეული რაიონის სამივე ზონიდან და კვლევა განხორციელდა ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიების და ანალიზის საფუძველზე. აქცენტი გაკეთდა ტრადიციული სამეურნეო კულტურის სხვადასხვა ასპექტზე, რაც ქართული სოფლის აღორძინების სამომავლო პროგრამაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს: იქნება ეს ტრადიციული სამეურნეო დარგების აღორძინება, მათი განვითარების ტრადიციული მეთოდებისა და შრომითი ურთიერთდახმარების ფორმების აღდგენა და სხვ.

პროექტის იტორიული ნაწილი დაწერა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. დაუშვილმა; ეთნოგრაფიულ ნაწილს ჰყავდა სამი შემსრულებელი: ისტორიის დოქტორი, პროექტის ხელმძღვანელი პროფ. მ. ბურდული, ისტორიის დოქტორი ლ. მღებრიშვილი, ისტორიის დოქტორი ნ. ჯალაბაძე.

გამოკვლევა დაეფუძნა როგორც კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას, სამეცნიერო ლიტერატურასა და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებში მიკვლეული მონაცემების ანალიზს, ასევე მდიდარ საარქივო დოკუმენტაციას.

საველე ეთნოგრაფიული მასალის მოძიება მოხდა უშუალო დაკვირვებისა და ინტერვიუირების მეთოდის, ჩაღრმავებული ინტერვიუს და პირისპირი გამოკითხვის საშუალებით. შემუშავდა სპეციალური კითხვარები. ველზე დაფიქსირდა ფოტო და აუდიომასალაც.

პროექტის ისტორიული ნაწილის კვლევისას ძირითადად გამოყენებულ იქნა ისტორიული ფაქტებისადმი მიდგომის ობიექტივისტური მეთოდი ფაქტებისა და მოვლენებისადმი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და ლიგიკური თანმიმდევრობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის განსაზღვრისას სიღრმისეული და ზედაპირული მოვლენებისადმი მიდგომის კრიტიკულ-ანალიტიკური მეთოდი.

ქართული სოფლის წარსულისა და დღევანდელობის ერთობლიობაში კვლევამ ნათლად წარმოაჩინა რეგიონის სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები: კახეთის სოფლის ეკონომიკური დეგრადაცია, მოშლილი აგრარული ინფრასტრუქტურა, უმუშევრობის მაღალი დონე და სხვ. პარალელურად წარმოდგენილია კახელი მეურნის სურვილები და ინტერესები საქართველოში მიმდინარე აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ნაშრომს აქვს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ღირებულება. ის თეორეტიკოსებს და პრაქტიკოსებს მიაწვდის საჭირო სამეცნიერო ინფორმაციას და სახელმწიფო ორგანიზაციებს შეუქმნის გარკვეულ თეორიულ საფუძველს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად. ნაშრომი წვლილს შეიტანს ქართული სოფლის ეკონომიკური აღორძინების სამთავრობო პროგრამის განხორციელებაში.

და ბოლოს, პროექტის შესრულებაში გაწეული დახმარებისათვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ ყველა ჩვენს ყველა ინფორმატორს, ვინც გამონახა დრო და მოგვაწოდა ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია;

მადლობას ვუხდით ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისათვის, განსაკუთრებით კი მუნიციპალიტეტების სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო განყოფილებების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს უაღრესად საქმიანი და საჭირო მასალების მოწოდებისათვის;

უდიდეს მადლობას ვუხდით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საარქივო დეპარტამენტის საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივის ხელმძღვანელობას; თელავის რეგიონალური არქივის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე არქივის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს საკვლევ თემაზე მუშაობის დროს ჩვენთვის გაწეული უდიდესი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

მადლობას ვუხდით აგრეთვე რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, პროექტის დაფინანსებისათვის, რამაც საშუალება მოგვცა „დაგვეფიქსირებინა ეთნოსში მიმდინარე პროცესები“.

წიგნი გათვალისწინებულია სპეციალისტებისა და მკვითხველთა ფართო საზოგადოებისათვის. ყველა არგუმენტირებულ შენიშვნას დიდი მადლიერებით მივიღებთ.

ავტორები

თავი I.

გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და ბუნებრივ-სამეურნეო ზონები კახეთში

ᲙᲐᲮᲔᲗᲘ, თუშეთთან ერთად, გამორჩეულად დიდი რეგიონია საქართველოში, რომელიც გეო-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით ხასიათდება, – აქ გვერდიგვერდაა წარმოდგენილი კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები (3300-4500მ), ვაკეები და ველ-მინდვრები, მარადმწვანე ტყეები, სუბალპური ზონა და ნახევრადუდაბნოც კი. ალაზნის ველზე ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა, საშუალო წლიური ტემპერატურა ზამთარში +1,4^0, ხოლო ზაფხულში +23^0 – +25^0. ალაზნის ველზე ნალექების წლიური რაოდენობა 600-დან 1000 მმ-დე მერყეობს. გარე კახეთში (ივრის ზეგანი, გომბორისა და იალნოს ქედების წინამთიანეთი) მშრალი სუბტროპიკული ჰავაა, მდებარეობს ზღვის დონიდან 500-900 მეტრ სიმაღლეზე, ზამთრის საშუალო ტემპერატურა – 0,1^0-2,3^0, ზაფხულის +23^0+25^0, ნალექების რაოდენობა ივრის ზეგანზე დაახლოებით 400-600 მმ-ია. შედარებით ცივი ჰავაა გომბორის ქედზე, რომელიც ზღვის დონიდან 1800-2000 მ-ზე მდებარეობს. ყველაზე დაბალი ადგილი ელდარის ვაკეა – 90-150 მ. ზღვის დონიდან, ხოლო უმაღლესი – თებულოს მთა 4493 მ.

აღსანიშნავია, რომ ადრე შუასაუკუნეებიდანვე, გეოგრაფიული სიახლოვის გამო, თუშეთი შედიოდა კახეთის სამთავროში, ხოლო შემდეგ კახეთის სამეფოს შემადგენლობაში. ქართველი მეფეები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ მთისა და ბარის ურთიერთობის მოგვარებას, რაც კარგად ჩანს ვახუშტის შემდეგი სიტყვებიდანაც: „არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არდარა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი; და ამან ლევან (1520-1574) დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კახეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა და მიერითგან მოსცემდნენ ლაშკარსა და ბეგარასა“ (ვახუშტი, 1973, 573).

ძველი დროიდანვე „...საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია მთისა და ბარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზონებად იყო დანაწევრებული...“ (მუსხელიშვილი, 2012, 79).

„...ერთის მხრივ მიწის სიმცირე და სიმწირე, ხოლო მეორეს მხრივ, საქონლისათვის, კერძოდ მეცხვარეობის განვითარებისათვის საჭირო ზამთრის საძოვრების უქონლობა იყო ის ძირითადი ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ბარისაგან მთის დამოკიდებულებას და საბოლოო

ჯამში იწვევდა როგორც მოსახლეობის, ისე ქვეყნის ამ ორი არეალის ორგანულად შერწყმის ტენდენციას“ (მუსხელიშვილი, 2012, 80).

კახეთში მრავალი მიკრო კლიმატურ-გეოგრაფიული ზონა გამოირჩევა, რაც განაპირობებს სამეურნეო დარგების მრავალფეროვნებას და მათ განვითარებას ბუნებრივი ზონების მიხედვით. აკად. გ. ჩიტაია წერდა: „საქართველო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მქონე მთიანი ქვეყანაა. მისი ბუნებრივ-სამეურნეო რაიონების ძირითადი ინდიკატორია ვერტიკალური ზონალობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დასახლებული პუნქტების სიმაღლის ამპლიტუდა მერყეობს 10 მეტრიდან 2250 მეტრამდე ზღვის დონიდან“ (ჩიტაია, 2001, 88).

ცნობილია, რომ ქვეყნის კულტურულ-სამეურნეო განვითარების მიმართულება უშუალო კავშირშია გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებთან. საქართველოში „ფიზიკურ-გეოგრაფიული სპეციფიკა განსაზღვრავდა მოსახლეობის განსახლებისა და მეურნეობრივი საქმიანობის თავისებურებებსაც. მოსახლეობა ნაწილდებოდა მთიელებად და ბარელებად, შესაბამისად, მათი საქმიანობაც დიფერენცირებული იყო ბარულ და მთურ მეურნეობად. ეს იწვევდა, ასე ვთქვათ, ეკოლოგიური წონასწორობის აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში, მთისა და ბარის მოსახლეობისა და მათი განსახლების ტერიტორიათა შერწყმის ტენდენციით გამოიხატებოდა“ (მუსხელიშვილი, 2012, 79).

ვერტიკალური ზონები საქართველოში რამდენადმე ავსებს ერთმანეთს, როგორც მთელი ტერიტორიის, ასევე ცალკეული მიკრორაიონის შიგნით. თითოეულ ზოლს თავისი მთა და ბარი გააჩნია, ამიტომ ზონალობის პრინციპი მიკრორაიონის ფარგლებშიც იჩენს თავს (ბერიაშვილი, 1989, 20).

კახეთის მდებარეობა, მისი ზედაპირის სირთულე, შემადგენელი ქანების მრავალფეროვნება, მისი მასივების ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობა, ფერდობების სხვადასხვა დაქანება, მათი ექსპოზიცია, თვით ალაზნისა და მისი შენაკადების ეროზიული მოქმედება წინასწარ პირობას ქმნის, როგორც რელიეფის მრავალფეროვანი სახესხვაობისათვის, ასევე ნიადაგების ძლიერი სიჭრელისათვის. ამგვარად, ცალკეული მასივის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ზონალობის შესაბამისად იცვლება როგორც ჰავის, ასევე ნიადაგების თვისებები – მათი ტიპი, მექანიკური შემადგენლობა, ქიმიური შემადგენლობა და სხვ. (ბერიაშვილი, 1989, 120-121).

კახეთში, მისი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მრავალი დარგია განვითარებული. წამყვანი დარგია მევენახეობა და მარცვლოვანი კულტურები, ასევე მთიან ზოლში მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა. განვითარებულია საბაღე და მებაღჩეობა-მებოსტნეობის კულტურები. ქიზიყში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მზესუმზირის კულტურას, კახეთის მთელ რეგიონში მისდევენ სიმინდის კულტივირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, საქართველოს აღწერისას, ვახუშტი ბატონიშვილი ითვალისწინებს ლანდშაფტების ვერტიკალურ ზონალობას და საქართველოს შემდეგ ბოტანიკურ-აგრარულ რაიო-

ნებად ყოფს: თურინჯ-ნარინჯის, ბრინჯისა და ბამბის, მევენახეობა-მეხილეობის, ბალახეულ-ყვავილოვან და ზამთრის საძოვრებად. თითოეულ ხეობას იგი ორ, ქვედა და ზედა, ნაწილად ყოფს. ცნობილია, რომ ვახუშტისთვის ბარი არის ის, სადაც ვაზი ხარობს, ხოლო მთაა – სადაც იგი არ ხარობს. ვახუშტისავე თქმით, თითოეულ ხეობას აქვს თავისი დაბლობი და თავისი მთა.

ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და სამეურნეო ზონების სიმრავლით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ერთერთი გამორჩეული კუთხეა კახეთი. აკად. გ. ჩიტაია აღნიშნავდა, რომ „როდესაც ვსაუბრობთ ბუნებრივ ზონალობაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მაჩვენებელი არ არის პირვანდელი წარმოშობის და ამ მაჩვენებლებს შორის არის მეორადი წარმოშობის ელემენტები, რომლებიც წარმოქმნილია ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გზით. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები ადამიანის შეგუება ბუნებრივ პირობებთან, მისი „გარდაქმნის“ მიზნით, საკუთარი სამეურნეო ინტერესების შესაბამისად“ (ჩიტაია, 2001, 89).

ბუნებათსარგებლობის საინტერესო ხალხური წესი აქვს დაფიქსირებული კახეთში ეთნოლოგ მ. ქანთარიას, – „საგარეჯოს რაიონის სოფლები გამოქარვის ზონად ითვლება – ნიადაგის ქარისმიერი ეროზიის ზონად. ოფიციალური მონაცემებით დღეისათვის 19 ათასი ჰექტარი ეროზირებული ნიადაგებია აღრიცხული. ძირითადად ეს არის ივრის ზეგანზე საძოვრები და სახნავი მიწებიც არ არის დაცული ამ უბედურებისაგან. ადგილობრივები ყვებიან, რომ ყოფილა შემთხვევები ქარს მთელი ნათესი მოუტაცია და საჭირო გამხდარა ყანების მეორედ გადათესვა. პატარძეულის მკვიდრის, 80 წელს გადაცილებული ვანო დიღმელაშვილის განმარტება: „ყველამ კარგად იცის, სარეველა მცენარე ყანის მტერია. ეს სარეველები ბოლოკა, ნარი, შელგა და სხვაც ყანაში რომ ამოდის, უნდა გაიმარგლოს, ნათესმა რომ მეტი მოსავალი მოგვცეს. მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ როდის და სად გავმარგლოთ ეს ბალახები. ჩვენში ძალიან დიდი ქარები იცის. ეს სარეველები ამაგრებენ მიწას. ეგენი რომ დავგლიჯოთ, როცა ჯეჯილის ფესვი ღრმად და განზე არ არის წასული, ამოვარდება ქარი და ამ ჩვენს მიწას ტარიბანაზე ჩაიტანს ან იორს გაატანს ქვეითკენო. სარეველა ბალახი მავნეა მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში ისიც ეხმარება გლეხკაცს. ამიტომ უნდა იცოდე როდის არ შეიძლება მისი ხელის ხლება“ (ქანთარია, 200, 54)

საქართველო ადრეული საუკუნეებიდანვე მაღალგანვითარებულ მიწათმოქმედების ქვეყნად მიიჩნეოდა, რასაც განაპირობებდა მიწის ყაირათიანად გამოყენებისა და ტრადიციული მეურნეობის გაძღოლის უნარი, ასევე საჭირო პროდუქტების მოყვანის ისეთი ხერხების ცოდნა, რაც მთლიანად უზრუნველყოფდა ყველა სახის სურსათით მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილებას. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ როგორ იყენებდა (და იყენებს) კახეთის გეო-კლიმატურ პირობებს მოსახლეობა თავიანთი სამეურნეო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ვახუშტი ბაგრატიონი კახეთის მდებარეობის შესახებ ამბობს: „და მდებარებს ქვეყანა ესე სიგრძით ჩრდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქვეყნისა ამის საშუალს არს მთა, რომელი გამოჴდების ფშავ-ღლიღვსა-შორისის კავკასიდამ და გამოვლის მახჯილის ჴევსა და ფშავს შორის, კუალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა მდებარებს და უძევს აღმოსავლით შიგნით კახეთი, სამჴრით ქისიყი, დასავლით გარე-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას. ... მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი“ (ვახუშტი, 1973, 524-525), ხოლო არს ქუეყანასა ამას შინა უდუდესი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი (ვახუშტი, 1973, 526).

კახეთის სამეურნეო საქმიანობის შესახებ კი აღნიშნავს: „ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი მარცვლითა ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, თევზითა, არამედ უფრო ჰერეთი და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვწერეთ, აბრეშუმით, ბრინჯით და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანაცა აქ უჯობესი არს. გარნა არა სთევენ ღომს, არცა არს კირჩხიბი აქა, ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან, ქართლისასაცა და თაფლი იმერეთისაზე უმჯობე და უმრავლეს აქაურთა“ (ვახუშტი, 1973, 525-526).

თანამედროვე საზღვრებში კახეთი მოიცავს მდინარე ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს, იგი ორ ზონად – შიდა და გარე კახეთად იყოფა. ჩრდილოეთიდან (რუსეთისგან) გამოყოფილია კავკასიონის მაღალი ქედით, რეგიონის შუაგულში, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მდებარეობს შედარებით დაბალი ცივ-გომბორის ქედი. ამ ქედებს შორის მოთავსებულია ალაზნის ველი, სადაც მიედინება მდინარე ალაზანი, გომბორის ქედის სამხრეთით მიედინება მდინარე იორი (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ).

კახეთი ადმინისტრაციულად რვა რაიონად [ახმეტის (რომლის შემადგენლობაშიც შედის თუშეთი), თელავის, ყვარლის, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს] იყოფა, საკმაოდ განსხვავებული ლანდშაფტითა და კლიმატური პირობებით, ამიტომ თვითოეულ ამ რაიონში ტრადიციული მეურნეობის ესა თუ ის დარგია უპირატესად წამყვანი.

შიდა კახეთს ვახუშტი ასე ახასიათებს: ხოლო პანკისის ჴეობის სამჴრით, ვიდრე ქისიყის საზღვრამდე, უწოდებენ შიგნით-კახეთს, რომელი იმზღვრების: აღმოსავლეთით ალაზნის მდინარით; სამჴრით ქისიყის ხაზის საზღვრით; დასავლით ჰერეთისა და კახეთის მთით; ჩრდილოთ პანკისის საზღვრით. და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, გარნა ტყე უმეტეს ხილიანი. მცირე წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი ღჯინო კეთილი და კარგი (ვახუშტი, 1973, 551). როგორც ჩანს, იგი „შიგნით“ კახეთში

მოიაზრებს მდინარე ალაზნის მარჯვენა მხარეს, რადგან იქვე აგრძელებს, „ხოლო ამის აღმოსავლით არს გაღმა-მჭარი, რომელსა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენანცა გზანი მათ შინა გაღმა მჭრიდამ; სამჭრით ელისენის საზღვარი; დასავლით ალაზნის მდინარე; ჩრდილოთ მთა კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვარი პანკისისა. „და არს ქუეყანა ესე შემკული ყოვლითა და უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა წყაროთი, მდინარითა, ტყითა ველითა, სიმაგრითა, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენახითა, ხილითა, რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არიან; ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი და უმეტეს კალმახი მთის კერძოდ ... და ჰერეთის ქუეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფრო გაღმა-მჭარსა შინა და უმეტეს ელისენში; ეგრეთვე ბამბასა და ბრინჯსა სთესენ, გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბამბასა“ (ვახუშტი, 1973, 551).

შიგნი-კახეთი ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია მისი ტერიტორიის რთული რელიეფით და იმით, რომ ის მდებარეობს განსხვავებული ბუნებრივ-ისტორიულ ოლქებს შორის, რომელთა ნაწილი შიგნი-კახეთის შემადგენლობაში შედის. „შიგნი კახეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მოქცეულია კავკასიონის მთათა ზოლის ფარგლებში. ამრიგად, იგი ნაწილობრივ მთიანი ქვეყანაა, სადაც ბუნებრივი ლანდშაფტი მკვეთრად იცვლება სიმაღლის მიხედვით და თუ ქვემოთ, მთათაწინებზე მშვენიერი ბაღ-ვენახები და სახნავ-სათესი ფართობებია გაშლილი, ზემოთ მაღალ მთებში დაბურული ფართოფოთლოვანი ტყეები და კიდევ უფრო ზემოთ ალპური მდელოები ბატონობს. მაგრამ ამასთანავე, დიდი ფართობი უჭირავს ვაკე ტერიტორიასაც – მთათა შორის მოქცეულ ალაზნის მადლიან ველს“ (უკლება, 1966, 4-5).

ალაზნის ვაკის უმეტესი ნაწილი ხორბლისა და სიმინდის კულტურებს უჭირავს. სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია მესაქონლეობაც. ალაზნის ველი საქართველოს მთელი ტერიტორიის 7%-ია, აქ თავმოყრილია მარცვლეულის ნათესების 10% და ვენახების 30%. ხოლო კახეთში ალაზნის ველი ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული ნაწილია, აქ არის მთელი კახეთის ნათესების დაახლოებით 40%, ბაღების 50%, და ვენახების 80% მეტი.

ალაზნის ველი შორიდან სავსებით ბრტყელი ვაკის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ ეს შთაბეჭდილება არაზუსტია. ვაკის ზედაპირი, რომლის აბსოლუტური სიმაღლე ცვალებადობს 175 მ-დან (ზემო ქედის ტრავერსზე) 550 მ-დე (პანკისის ხეობის გამოსასვლელში სოფ. ბახტრიონთან), თვალისათვის შეუმჩნევლად დახრილია ალაზნის დინების მიმართულებით (სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ) და გართულებულია მარჯვენა და მარცხენა შემდინარეთა მძლავრი გამონაზიდი კონუსებით. ასეთ უდიდეს კონუსებს ათეულ კილომეტრობით ფართობი აქვთ, ხოლო სიმაღლეთა სხვაობა მათ

ფუძესა და წვეროს შორის ათეული და ასეული მეტრობით განიზომება (მარუაშვილი, 1970, 249).

მარუაშვილის თვალსაზრისით, ალაზნის ვაკის ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის თავისებურება მდგომარეობს მის რელიეფში. მთებით თითქმის ყოველმხრივ შემოზღუდული ამ უზარმაზარი გრძელი ტაფობის ჰავაც არსებითად განსხვავდება მის ირგვლივ მდებარე სივრცეების არიდული ჰავისაგან, სწორედ განესტიანების მეტი პროცენტით. აღმოსავლეთ საქართველოში და მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში არსად სხვაგან ესოდენ ნაზი, რბილი ჰავა არ გვხვდება. აქედან გამომდინარეობს ბარის მცენარეულობის ისეთი სიმდიდრე, რომელიც უცხოა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა ნაწილებისათვის (გარდა ლენქორანისა), ტყის არსებობა მდინარეებისაგან დაშორებით, ზღვის დონიდან სულ 300-500 მ. სიმაღლეზე. ეს ბუნებრივი თავისებურება კახეთის სახალხო მეურნეობის დოვლათიანობის მტკიცე საფუძველია (მარუაშვილი, 1970, 248).

ალაზნის ვაკის მარცხენა ქვერაიონი (გაღმამხარი), რომელიც ვახუშტის დახასიათებით ნაყოფიერებით კახეთის ყველა სხვა მხარეს აღემატება, კავკასიონის (რომელსაც კახეთის კავკასიონსაც უწოდებენ) ძირზეა მიბჯენილი და ივერიის მთელი ლანდშაფტური ოლქის მასშტაბით ნალექიანობის მაქსიმუმს ამჟღავნებს. მარჯვენა მხარისაგან იგი განსხვავდება ჰიდროგრაფიული ქსელის სიმჭიდროვითა და მთლიანად ტყიანი ხასიათით. კავკასიონის ქედის ძირიდან (ვაკის ჩრდილო კიდიდან) თხემამდე პირდაპირი ხაზით 15-20 კმ-ია. ამასთან იგი ამ სიგრძეზე 3000 მ-იდან 500 მეტრამდე ეშვება და მეტად ციცაბოა. ... ალაზნის ვაკეზე ფერდობი მთავრდება მთისწინებით, დაახლოებით 450-500 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. კახეთის კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ბუნებრივ პირობებში ცალკეული ნაწილების მიხედვით შეინიშნება შინაგანი განსხვავებულობა, ამიტომ ის ნაწილდება უფრო წვრილ ბუნებრივ-ტერიტორიულ ერთეულებად ... (უკლება, 1970, 106-107).

ალაზნის ვაკე-დაბლობზე ბუნებრივი პირობების მიხედვით ორი ძირითადი რაიონი გამოირჩევა: ალაზნის მარჯვენა და მარცხენა მხარე. მათ შორის საზღვარი მდ. ალაზანია. ეს რაიონები არა მარტო ბუნებრივი პირობებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ სამეურნეო განვითარებით და სპეციალიზაციითაც. მაგრამ ალაზნის ველი მეტად დიდზეა (160 კმ-ზე) გადაჭიმული ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და ამიტომ ბუნებრივი პირობების განსხვავებულობა და მასთან დაკავშირებით სამეურნეო სპეციალიზაციის შესაფერისი სიჭრელე შეინიშნება თვითოეულ რაიონშიც. ნიადაგური მცენარეული საბურველი ალაზნის ველის მარცხენა და მარჯვენა ნაწილებში საკმაოდ მკვეთრად განსხვავებულია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარცხენა მხარის მეტი განესტიანებით აიხსნება.

ალაზნის ვაკის მარცხენამხარეთი კლიმატური პირობებითაც განსხვავდება მარჯვენამხარეთისაგან; მარცხენა მხარეში უფრო მეტი ნალექი მოდის

(938-993), ვიდრე მარჯვენა მხარეში (700-800). მარცხენა მხარეში ყველაზე მეტი ნალექი მოდის ლაგოდეხის ქვერაიონში, მერე კი დასავლეთით კლებულობს. იცვლება ამ მიმართულებით წლიური აორთქლებულობა და დანესტიანების კოეფიციენტი. ამრიგად, რელიეფის, კლიმატის, ნიადაგ-მცენარეული საფარისა და მთლიანად ბუნებრივი კომპლექსების ხასიათის მიხედვით მარცხენამხარეთი სამ უფრო წვრილ ერთეულად – ლაგოდეხის, ყვარლისა და გრემი-ალვანის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ქვერაიონად იყოფა (უკლება, 1966, 9-10).

აღნიშნული ქვერაიონების ნიადაგის საფარი განსხვავებულია, რაც სხვადასხვა კულტურების გასაშენებლად უაღრესად ხელსაყრელია, მაგალითად, ლაგოდეხის ქვერაიონის კლიმატი უაღრესად ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო ძვირფასი კულტურების გავრცელებისათვის, უპირველესად კი თამბაქოსათვის, რაც XX ს-ის 90-იან წლებამდე რაიონის ერთერთი ძირითადი კულტურა იყო. ლაგოდეხის ვაკე ნაწილში ყველაზე დიდი ფართობი უჭირავს ალუვიურ მდელო-ტყის უკარბონატო თიხნარ ნიადაგებს, ეს ნიადაგები გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით და ამიტომ იგი წარმატებით გამოიყენება ვაზის, თამბაქოს კულტურისა და ხორბლისათვის.

მთისპირებში ტყის ყომრალი და ყავისფერი ნიადაგებია. „ამ მიწებზე მინდვრის კულტურების მოსავალი დაბალია, სამაგიეროდ, შესაფერისი ჰავის პირობებში ვაზი ყურძნის მაღალ მოსავალს იძლევა. ნატყეურ ადგილებში ახლა გაშენებულია თამბაქო და მზესუმზირა, დიდი ფართობი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს“ (უკლება, 1966, 30). ლაგოდეხში მებაღეობასაც მისდევენ.

ყვარლის ქვერაიონი, ლაგოდეხთან შედარებით, ნაკლებ ნესტიანია, ნალექების საშუალო წლიური ჯამი 795 მმ-დან 938 მმ-დე მერყეობს, ტემპერატურული რეჟიმის მხრივ ლაგოდეხის მსგავსია. ყვარლის რაიონის ბუნებრივი პირობები ხელისშემწყობია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამ ქვერაიონის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მევენახეობა. გაღმა მხარეში მევენახეობა-მეღვინეობის რამდენიმე უბანია (ქინძმარაული, ნაფარეული). მაგრამ აქაურ კლიმატს უარყოფითი მხარეც აქვს, ხშირად იცის სეტყვა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას (უკლება, 1970, 33).

როგორც ყვარლის ბუნებრივი პირობების დახასიათებიდან ჩანს, იგი უაღრესად ხელისშემწყობია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. სპეციალისტები ალაზნის მარცხენა მხარის ვაკეს ყოველმხრივ შემკულ ქვერაიონად მიიჩნევენ.

გრემი-ალვანის გეოგრაფიული ქვერაიონიც ზომიერად თბილი და ზომიერად ნოტიონ კლიმატით ხასიათდება, ყველაზე ცივი თვის (იანვრის) საშუალო ტემპერატურა აქ ნულზე მეტია, ხოლო ყველაზე თბილი თვის (ივლისის) ტემპერატურა 23,7 გრადუსს უდრის. ქვერაიონის ნიადაგები გამოირჩევა ნაყოფიერებით და მაქსიმალურადაა გამოყენებული სოფლის მეურნე-

ობის კულტურებისათვის. საკმაოდ ფართოდ არის აქ განვითარებული მევენახეობა (უკლება, 1970, 48-49).

გეოგრაფები ალაზნის მარჯვენა მხარეს ცალკე ბუნებრივ-გეოგრაფიულ მხარედ გამოყოფენ. მარჯვენამხარეთის რელიეფი ვაკეა, რომელიც მარცხენა მხარესთან შედარებით უფრო დახრილია ალაზნისაკენ. ატმოსფერული ნალექებიც მარჯვენამხარეთში უფრო ნაკლებია. მარჯვენამხარეთი ბუნებრივი პროცესებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობთან. მარჯვენამხარეთის რაიონის ნიადაგები კარბონატულია. მარჯვენა ქვერაიონი (წინამხარი) მნიშვნელოვნად უფრო მშრალია. სიმშრალე განსაკუთრებით ძლიერდება სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ვაკეს სამხრეთ-დასავლეთიდან მხოლოდ ივრის ზეგნის დაბალი კიდე და გომბორის ქედის დადაბლებული ბოლო საზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ „ალაზნის მარჯვენამხარეთის ვაკე განკერძოებული, ერთი მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონია, მისი ცალკეული ნაწილები მაინც რამდენადმე განსხვავდება ერთმანეთისაგან და იყოფა ორ ქვერაიონად: დასავლეთ, ანუ ახმეტა-თელავისა და აღმოსავლეთ, ანუ „წინამხრის“ ქვერაიონად. ისინი არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ მეურნეობითაც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან“ (უკლება, 1970, 53).

ახმეტა-თელავის ქვერაიონი წინამხრის ქვერაიონისაგან განსხვავებული ჰავით გამოირჩევა, რაც კარგად არის ასახული ბუნებრივი ლანდშაფტების ხასიათზე. წინამხარე ხასიათდება სტეპური, ხოლო ახმეტა-თელავის ქვერაიონი კი – ტყე-სტეპისა და ტყის ლანდშაფტებით. შიგნი-კახეთის ბარი ზოგადად და მათ შორის ახმეტა-თელავის ქვერაიონის ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან კავკასიონის ქედითაა დაცული, მას ,ამასთანავე, ცივ-გომბორის ქედიც იცავს დასავლეთის ცივი ქარების გავლენისაგან. ამიტომაც ახმეტა-თელავის ქვერაიონი მაღალი თერმული რეჟიმით ხასიათდება. აღნიშნულ რაიონში ნალექების განაწილება არათანაბარია, შეინიშნება მისი მატება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ქვერაიონისათვის ნიშანდობლივია სეტყვიანობა, რომელიც ყოველწლიურად მეორდება და დიდ ზიანსაც აყენებს მოსახლეობას. საერთოდ კი ახმეტა-თელავის ქვერაიონის კლიმატური პირობები უაღრესად ხელშემწყობია სოფლის მეურნეობის მრავალი კულტურის გავრცელებისათვის, ხელსაყრელ კლიმატურ პირობებთან ერთად ქვერაიონში გავრცელებული ტყის ყავისფერი, სხვადასხვა სახის ალუვიური, კარბონატული, თიხნარი ნიადაგები დიდი ნაყოფიერებით გამოირჩევა და ინტენსიურად არის ათვისებული.

თუშეთი, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ალაზნის ველისაგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ რადგან იგი ადმინისტრაციულად ახმეტის მუნიციპალიტეტში შედის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი აქ განხილვა. თუშეთი ორი მდინარით – ორი ალაზნით და მათ შორის წყალგამყოფი ქედებით პირიქითის, გომეწრის და ჭანჭახოვანის ხეობებადაა გაყოფილი. ამ ხეობებში და მის მაღლა გაშენებულ 50-მდე სოფელში ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ოთხ – ჩაღმის, გომეწრის, პირიქითის და წოვათის თემად ცხოვ-

რობდნენ თუშები, რომელთა უძველესი ტრადიციული მეურნეობრივი წყობა წარმოდგენილია მეცხვარეობით, მსხვილფეხა მესაქონლეობითა და მიწათმოქმედებით.

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთის კალთაზე, ზღვის დონიდან 2800-4500 მ. სიმაღლეზე. შიგ თუშეთი ხევებითაა დაღარული. მათ შორის არის პირიქითა ქედი, რომელიც ამუგოსა და ორივე ალაზნის სათავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიემართება და თუშეთს ორად ჰყოფს: ჩრდილოეთის მხარეზე პირიქითა ხეობა და სამხრეთით გომეწრის ხეობა (მაკალათია, 1983, 9-10).

თუშეთში ჰავა ცივია, ჩამოყალიბებულია მაღალმთის ზომიერად ნოტიო კლიმატი. აქ მთელი წლის მანძილზე ცივი ამინდებია (წლის საშუალო ტემპერატურა 5 გრადუსია). ზამთარი სუსხიანია და თოვლიან-ყინულიანი. იანვრის ტემპერატურა -12^0-დან –18^0-დე აღწევს და მდინარე ალაზანიც იყინება. ზაფხული გვიან დგება, შემოდგომა ადრე, ხშირად სექტემბერში თოვლი მოდის. ზაფხული გრილია (ივლისის ტემპერატურე 10-იდან 14-გრადუსამდეა), მოკლე და ნესტიანი. ნალექების წლიური რაოდენობა აღწევს 1000 მმ და უმთავრესად თოვლის სახით მოდის (მაკალათია, 1983, 11-12).

ტყის ზემო სარტყელი შემოსილია სუბალპის მაღალი ბალახით, იგი მდიდარია სათიბით და იძლევა კარგი ხარისხის თივას. სუბ-ალპის ზოლის ზემოთ გადაჭიმულია ალპური მდელო, რომელიც წარმოადგენს ფართო და ნოყიერ იალაღებს, სადაც ზაფხულის პერიოდში ცხვრის ფარები იკვებება.

სერგი მაკალათიას 1931 წლის მასალების მიხედვით ჩაღმის ხეობის სოფლების (ომალო, შენაქო, დიკლო და ჩიღო) მოსახლეობა ჯერ კიდევ ზამთარ-ზაფხულ თუშეთში ცხოვრობდა: გომეწრის თემის დიდი უმრავლესობა საზამთროდ ქვემო ალვანში ჩადის და იქ ბინადრობს. პირიქით ხეობის თუშები კი ზამთრობით ზემო ალვანში ცხოვრობენ. იქვე წოვა თუშები მოსახლეობენ (მაკალათია, 1983, 13-14).

ვახუშტი თუშეთის გეოგრაფიულ მდებარეობას ასე აგვიწერს: „ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა, და არს ორ ჭევად და მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამხრეთს შორის და უდის შორის მდინარე თჳისი, მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს ... ხოლო კავკასს არს წოვა, წოვას ქვეით გომეწარი და მას ქვეით ჩაღმა. და ... მზღვრის ოსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამჭრით-კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით მთა კავკასი, ამასა და კახეთს შორისი; ჩრდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღვ-ქისტს შორის“ (ვახუშტი, 1973, 554).

კუთხის ეკონომიკური განვითარების წინაპირობად კი კახეთის საზამთრო საძოვრები მიაჩნია: „არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღვწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და ჭელოვნებით. არამედ კახეთის თუშნი ინახავენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუსთ

ზაფხულს თჳისთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა“ (ვახუშტი, 1973, 554).

საქართველოში მომთაბარე მეცხოველეობას (მეცხვარეობას) განსაკუთრებით ფართო მასშტაბით მისდევდნენ თუშები. ამიტომ მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ზამთრის საძოვრებს და ცხვრის გადასარეკ ე. წ. „სათუშო გზას“//„ცხვრის გზას“. „კახეთის (ძვ. ჰერეთი) საზამთრო საძოვრები, კერძოდ შირაქის ველი სამი ძირითადი მაგისტრალით იყო დაკავშირებული კავკასიონის საზაფხულო საძოვრებთან: უკანამხრის, წინამხრისა და ჭიაურის გზებით“ (მუსხელიშვილი, 1980, 95). როგორც ჩანს, ალვანის მინდვრამდე თუშების ცხვარი მოძრაობდა როგორც წინამხრის (ალაზნის მარჯვენა სანაპირო ველზე სოფ. კარდენახამდე, აქედან სიღნაღ-თელავის შარაგზით სოფ. ალვანამდე), ისე უკანამხრის (სიღნაღის მაზრის სოფლების გავლით ადიოდნენ გომბორზე, ცივის მთამდე, იქიდან მდ. თეთრი წყლის, და სოფ. ხოდაშნის გავლით აღწევდნენ ალვანის მინდორს) გზით (მუსხელიშვილი, 1980, 95).

მარჯვენამხარეთში მევენახეობა-მეღვინეობის 12 მიკრორაიონია, რომლებიც ვაზის ჯიშის, მოსავლიანობისა და ღვინის ხარისხის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. საერთოდ კი კახეთში გამოყოფილია 25-ზე მეტი მიკროზონა, სადაც ტრადიციულად იწარმოება წარმოშობის ადგილის დასახელების ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორიცაა: წინანდალი, ნაფარეული, თელიანი, ახაშენი, მუკუზანი, ქინძმარაული, გურჯაანი, კარდენახული, ტიბაანი, მანავის მწვანე, ხაშმის საფერავი და სხვ. ეს, ცხადია ამ მიკრორაიონების განსხვავებული ბუნებრივი პირობებით არის გამოწვეული. ყურძენს, რომელიც თვითოეულ მიკრორაიონში მოჰყავთ, თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს, მისგან დამზადებული ღვინო მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი გემოთი გამოირჩევა.

წინამხარეს ალაზნის ველის მხოლოდ იმ ნაწილს უწოდებენ, რომელიც სიღნაღის რაიონის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებშია მოქცეული. წინამხარის ბუნებრივი ლანდშაფტები განსხვავებულია ახმეტა-თელავის ქვერაიონის ლანდშაფტისაგან. ეს განსხვავებულობა კლიმატური პირობებით არის გამოწვეული. წინამხარე ალაზნის მარჯვენამხარეთში გამოირჩევა სიმშრალით, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით თანდათანობით მატულობს. აღნიშნულ კუთხეში ხშირია გვალვიანი წლები, რაც დიდად აზარალებს სოფლის მეურნეობას. 1872 წლის „სასოფლო გაზეთი“ თითქმის ყველა ნომერში წერდა, რომ ზაფხული ძალიან გვალვიანი იყო, რამაც გავლენა ტრადიციული სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულებაზე იქონია, – „ძალიან დაუმოსავლდა ქიზიყი, ... პური ამათ არ მოუვიდათ. საქონელიც ხომ ძლიერ დაუზარალდათ; ქიზიყში უბალახობა იყო და აწცა არის, და მომეტებულმა ხალხმა გარეკა საქონელი, ხარი თუ კამეჩი, ცხენი თუ ფური, სულ ალაზანს გაღმა და მთებზედა, და ზოგმა შემორეკა თელავის უეზდში, სულ საძოვარზედა“ („სასოფლო გაზეთი“, 1872, 8). ალაზნის მარცხენა მხარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტი ნალე-

ქიანობით გამოირჩევა და მოტანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ გაჭირვებულ, გვალვიან წლებში ალაზნის მარჯვენა მხარის მცხოვრებლები აღნიშნულ სიკეთეს მეცხოველეობის დარგის გადასარჩენად იყენებდნენ.

ცნობილია, რომ საქართველოს მთიან ზოლში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს და მოსახლეობის კეთილდღეობის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა. მთის ძირისა და ბარის რაიონებში კი მას დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. „გამონაკლისს შეადგენდა ქიზიყი, სადაც კარგი საზამთრო საძოვრების წყალობით, მეცხოველეობა თავისი მნიშვნელობით მემინდვრეობისა და მევენახეობა-მეღვინეობის დონეზე იდგა“ (ბენდიანიშვილი, 1965, 71).

მრავალფეროვანია წინამხრის ქვერაიონის ნიადაგსაფარი, იგი საკმაოდ ნაყოფიერია და ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის, განსაკუთრებით სამხრეთით ამაღლებული ნაწილი, სადაც ფართოდ არის გაშენებული ვენახები. წინამხარეში მევენახეობა-მეღვინეობით განთქმულია სოფლები: ახაშენი, გურჯაანი, ბაკურციხე, კარდანახი, ანაგა, ტიბაანი და სხვ. აქვე იყო ხირსის მევენახეობის ცნობილი მეურნეობა. წინამხარის სხვა ადგილებში მრავლად მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, მზესუმზირა და რიგი სხვა კულტურები.

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის რაიონი ორ – წინასა და უკანა მხარს აერთიანებს. ამ მხარეებს მკვეთრად გამიჯნული სტრატეგიული და გეოგრაფიულ-მეურნეობრივი ორიენტაცია აქვთ. წინა მხარის ალაზნისკენ მიმართული სოფლებია: ვაჩნაძიანი, შაშიანი, ვაზისუბანი, უფლისციხე, მუკუზანი, ჩუმლაყი, ჭანდარი, ვეჯინი, კოლაგი, ბაკურციხე და კარდანახი. უკანამხარი მდინარე ივრისკენაა მოქცეული და გომბორის მთების ფერდობებზე, ხეობებსა და „დამალულ მაღლობებზე“ განლაგებული სოფლებითაა წარმოდგენილი. ზონალურად მათ უფრო მაღალი მდებარეობა აქვთ. იორისაკენ მოქცეული ფერდობების კალთებზე შეფენილი სოფლები მაღალი ტემპერატურით ხასიათდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს აქაური მევენახეობისათვის. ეს უკანამხრის „დაბლობი“ ზოლია (ქანთარია, 2004, 112).

გეოგრაფების დახასიათებით, კახეთის ერთ-ერთი რეგიონი, პანკისის ხეობა ბუნების დიდი კონტრასტებით გამოირჩევა, ყველაზე დაბალ ნაწილში სოფლის მეურნეობის ძვირფასი კულტურები ხარობს, მაგრამ მაღალ ნაწილში ისეთი სიცივეებია, რომ ბალახმცენარეულობასაც კი ვერ მოუკიდებია ფეხი (უკლება, 1966, 133).

ვახუშტი ასე ახასიათებს პანკისის ხეობას, – აღწერისას „ხოლო ჭეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი – კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვი მრავალ, გარნა ღორნი უმრავლეს“ (ვახუშტი, 1973, 551).

მრავალფეროვნებით გამოირჩევა გარე კახეთიც, სადაც ივრის ზეგანს მტკვარ-ალაზნის შუამდინარეთში უჭირავს ვრცელი ფართობი; მისი სიგ-

რძე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ 168 კმ-ს უდრის, ხოლო მაქსიმალური სიგანე 55-60 კმ. „ივრის ზეგნის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ინდივიდუალობას განსაზღვრავს მისი ერთობლივი შემაღლებურ-ვაკისებური, ტალღისებური, სუსტად დანაწევრებული რელიეფი და კონტინენტური მშრალი ჰავა მათგან გამომდინარე ჰიდროლოგიური, ნიადაგურ-გეოგრაფიული და ბოტანიკური შედეგებით. საქართველოში ეს რეგიონი, ელდარის ვაკესთან ერთად, ყველაზე უფრო აზიური რაიონია, რომელიც რესპუბლიკის სხვა ნაწილებისაგან განირჩევა უწყლობით, მწირი მცენარეულობით და ნიადაგურ საბურველს მოკლებული ბედლენდების ფართო გავრცელებით“ (მარუაშვილი, 1970: 237).

მდინარე იორი თავის შუა წელში აჩენს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართულს გარე-კახეთის ვაკეს. ... იორის ვაკე მდებარეობს, დაახლოებით, 500-700 მეტრის სიმაღლეზე, ... ხოლო იორის ქვემო წელის მანძილზე, გამყოლი მაღლობები შესამჩნევად დაბლდებიან და აღწევენ მხოლოდ 600-360 მეტრის სიმაღლეს, თვით იორის ხეობაც აქ იძირება 400-140 მეტრის სიმაღლემდე. ამრიგად, კახეთის ბარი სამხრეთით განისაზღვრება გარეჯის მაღლობის გვერდებით, რომლებიც თავიანთი სიმაღლით 900-360 მეტრთა შორის ირყევიან და იორის ხეობის ძირისაკენ ჩამოდიან 700-140 მეტრის სიმაღლემდის (ჯავახიშვილი, 1926, 279).

იორის ვაკე, ანუ გარე კახეთის ვაკე, გაჭიმულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სამგორის სერის და ცივის ქედის შორის; ჩრდილოეთით იგი ვრცელდება ცივ-გომბორის ქედის სამხრეთი კალთების ძირამდის.

იორის მარჯვენა მხარის ვაკე გარეჯის მაღლობის კალთების ძირიდან მოკლედ ეშვება ჩრდილოეთისაკენ იორამდის. ამ ვაკის ჩრდილო მხარე საკმარისად ირწყვება იორის მარცხენა შემდინარეებით, რომლებიც ცივ-გომბორის ქედის ტყიან ფერდობზე ჩამომდინარეობენ და ვაკეზე მრავალ რუებად იყოფიან. ცივ-გომბორის ქედის კალთებისკენ ვაკის შემაღლებული მხარე, უფრო ტყიანი, გრილი და საცხოვრებლად საღი, მოფენილია გარე კახეთის სოფლებით. ვაკის დაბალი ძირი, იორის გაყოლებით, გარეჯის მაღლობის და გარე-კახეთის ზეგანის გვერდით, შეიცავს უმთავრესად საძოვრებს; ამ ნაწილის მცირე მოსახლეობაც ზაფხულის პაპანაქება სიცხეებში იხიზნება მთაში (მარუაშვილი, 1970, 290).

გარე კახეთის სამეურნეო საქმიანობას ვახუშტი ასე ახასიათებს: „არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავს ქუეით ქისიყამდე, ცივგომბორის მთის კალთათა არიან შენობა-დაბნები ვენახ-ხილიანი. უძეს იორისკენ საჭვნელნი, ველნი და უკან მთა ტყიანი, უწყლო. მოსახლენი არიან თავადნი, აზნაურნი, გლეხნი. ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათჳს შემჭირნობს, თჳინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინაჲთგან არა აქუს მთას მდინარე, ვერარაჲთ რწყვენ ველთა. არამედ არს აქა პირუტყუთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენნი, ძროხა, კამეჩი, ვირი“ (ვახუშტი, 1973, 529).

ცნობილია, რომ გარე კახეთი სამიწათმოქმედო კულტურების ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული ცენტრია. მეურნეობის მთავარი დარგი მიწათმოქმედებაა. აგრეთვე მეცხვარეობა და საერთოდ მესაქონლეობა აქ საკმაოდ დაწინაურებული დარგია, რასაც ისევ გეოგრაფიული პირობები – საძოვრებისა და სათიბების არსებობა უწყობდა ხელს, ამიტომ რეგიონი სიმბიოზური მეურნეობით ხასიათდება, სადაც წამყვანი მაინც მიწათმოქმედებაა (ქანთარია, 2002, 52).

ივრის ზეგანის ჰავა. ... მიეკუთვნება კონტინენტური კლიმატების ჯგუფს, ხასიათდება ტემპერატურის მკვეთრი რხევით და ნალექიანობის სიმცირით. „მისი თერმული რეჟიმი აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით სუბტროპიკულიდან ზომიერამდე ცვალებადობს. საშუალო წლიური ტემპერატურა ირხევა 13-14^0-დან (ალაზნის და ივრის ხეობებში) 9-10^0-დე (ზეგნის უმაღლეს ნაწილებში). ... ტემპერატურის რხევის წლიური ამპლიტუდა 22-27^0; წლიური ნალექიანობა ზეგნის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბალ ნაწილში განისაზღვრება 200-300 მმ-ით; ჩრდილო-დასავლეთისაკენ იგი მატულობს 400-500 მმ-დე, ხოლო უკიდურეს ჩრდილო ნაწილში 600-700 მმ–დე აღწევს“ (მარუაშვილი, 197, 238).

ივრის ზეგნის ლანდშაფტი ცვალებადობს ნახევრად უდაბნოდან სტეპებამდე და ტყესტეპებამდე. ნიადაგური საბურველი მნიშვნელოვან მრავალფეროვნებას იჩენს, – წარმოდგენილია წაბლა და შავმიწა სტეპური ნიადაგები, გარდამავალი ტყესტეპური და ტყის შემდგომი ტიპის ნიადაგები (ყავისფერი და სხვ.), აგრეთვე მლაშობებიც.

ივრის ზეგანი რამდენიმე გეოგრაფიულ-კლიმატურ ქვერაიონად იყოფა: სამგორ-კაჭრეთის ქვერაიონი; გარეჯა-ივრის ქვერაიონი; იორ-შირაქის ქვერაიონი და იორ-ალაზნის ჭალები.

გარეჯის მაღლობი, – ეს ერთობ მაღალი მხარე, მდინარ წყლებს მოკლებული, მოტიტვლებული ზედაპირით, ზოგან ამოქვაბული, ზოგან მოვაკებული, საერთოდ კი უსწორმასწორო და ხრიოკი, უდობნოსებური ხასიათისა არის, რაც აღბეჭდილია ამ უმწეო მხარის ზოგიერთ ადგილმდებარეობათა სახელწოდებებშიც (ჯავახიშვილი, 1926, 272).

გარეჯის მაღლობის აღმოსავლეთით და იორის ხეობის მარცხენა მხარეზე კახეთის ბარი ზეგანისებურად არის განვითარებული. გარე კახეთის ზეგანი თავისი სამხრეთ-დასავლეთი ფერდით იორის ხეობის ძირისკენ სწყდება ნაბამბრების, ლამბელის, ქვაბების, კალაციკის, ბურდას და კოწახურის მთების კალთების სახით. იორი ალაზანთან შეერთების წინ თავის მარცხენა მხარეზე აჩენს, დაახლოებით, 35 კმ-ი სიგრძის და 5-8 კმ-ი სიგანის ველს, რომლის გაყოლებით ზეგანი ვიწროვდება (ჯავახიშვილი, 1926, 293).

გარეჯა-ივრის ქვერაიონის შესახებ ვახუშტი წერს: „არა სდის მდინარე და იშჯიათ წყარო-ტბანი, არამედ თუ სადამე არს, მლაშენი და მწარენი. გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმიერ და ამიერ. გარნა არს ზაფხული ცხელი

და გაუძლები (ვახუშტი, 1973, 527), ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაჲთგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი..“ (ვახუშტი, 1973, 528).

გარე-კახეთის ზეგანის ზედაპირი მოკლე და ვიწრო მთის ტოტებით და სერებით არის მოფენილი. ამ მთის ტოტებსა და სერებს შორის არის ვაკიანი სივრცეები და ამოქვაბულები. გარე კახეთის ვაკიან სივრცეთა შორის ყველაზე დიდი შირაქის ველია; იგი ვრცელდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 30 კმ-ის მანძილზე; სიგანე 10-15 კმ-ს აღწევს; იგი მდებარეობს საშუალოდ 690 მეტრის სიმაღლეზე. ეს ველი თავის განაპირა მხარეებისაკენ ოდნავ მაღლდება, მხოლოდ ჩრდილოეთით, ქიზიყისკენ, იგი ოდნავ ეშვება. ... ეს უშველებელი სივრცე, უწყლობის გამო, უდაბნოსებურ ხასიათს ღებულობს ზაფხულობით: სიცხისაგან გაყვითლებული და მომწვარი ბალახი, აქა-იქ გაფანტული ეკლიანი ბუჩქები, დამშრალი წყაროები ახასიათებენ ამ დროს შირაქის ველს; გაზაფხულის და შემოდგომის სიგრილით და წვიმებით იგი იწყებს გამოცოცხლებას: იმოსება მშვენიერი ბალახით და ივსება ცხვრის ფარებითა და ჯოგებით; ზამთრის ცოტაოდენი თოვლიც ხელს არ უშლის ამ ველის საძოვრად გამოყენებას. ხოლოდ დასავლეთ მხარეზე, სადაც წყაროები საკმარისად არის, მოსახლეობა იკიდებს ფეხს და შესაძლებელი ხდება ამ ველის ნაყოფიერ ნიადაგზე ხვნა-თესვის წარმოება (ჯავახიშვილი, 1926, 294).

პატარა შირაქის ველს უფრო მაღალი მდებარეობა უჭირავს და აღწევს დაახლოებით 750 მ-ს. ამ ველის ჩრდილო ნაწილი იმოსება ბალახით და იხვნის, სამხრეთი ნაწილი კი უდაბნოსებურია (ჯავახიშვილი, 1926, 295).

„იორ-შირაქის ქვერაიონს ნაირგვარი ნიადაგური საბურველი აქვს, რომელიც მკაფიო ვერტიკალურ ზონალობას იჩენს. ქვედა ზონა, რომელიც მხოლოდ ელდარის ველის მიდამოებშია წარმოდგენილი, ხასიათდება რუხი-მურა ნახევრადუდაბნოსებრი ნიადაგებით; უფრო მაღლა, ზღვის დონიდან 250-500 მ სიმაღლეზე მდებარეობს მშრალი სტეპების დამახასიათებელი წაბლა ნიადაგების ზონა და ბოლოს, მნიშვნელოვან სიმაღლეზე მდებარე შირაქ-ნაომარ-ვაკის ველებზე განვითარებულია შავმიწები. ეს ნიადაგური ზონების სისტემა შეგვიძლია ვნახოთ სულ 10-12 კმ მანძილის გავლით ელდარისა და შირაქის ვაკეებს შორის“ (მარუაშვილი, 1970, 244).

მნიშვნელოვან როლს ასრულებს კახეთის ჰავის ჩამოყალიბებაში გომბორის ქედი, რომლის „სიგრძე 90 კმ და მაქსიმალური სიგანე 20-22 კმ. აქვს. იგი შემოსაზღვრულია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ალაზნის ვაკით, სამხრეთ-დასავლეთიდან კი ივრის ხეობითა და ივრის ზეგნით. მისი ჩრდილო-დასავლური ბოლო მდ. შახვეტილას მიდამოებში (თიანეთ-ახმეტის შარაგზის უღელტეხილთან) კავკასიონის ტოტს – კახეთის ქედს ებმის. გომბორის ქედის სამხრეთ–აღმოსავლური დაბოლოება ქ. სიღნაღის მიდამოებშია, სადაც იგი მკვეთრად დაბლდება, ბორცვნალ სერად იქცევა და თანდათანობით უერთდება ივრის ზეგანს“ (მარუაშვილი, 1970, 255).

გომბორის ქედის ჰავა შემდეგი მონაცემებით ხასიათდება: საშუალო წლიური ტემპერატურები ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე უდრის 11-12 გრადუსს, ხოლო 1160 მეტრ სიმაღლეზე სოფ. გომბორთან 8 გრადუსს, ... ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა სოფ. გომბორში 21 გრადუსია, ე.ი. ნაკლებია ვიდრე დაბალ პუნქტებში (თელავში, წინანდალში საგარეჯოში). ნალექიანობა გომბორში 722 მმ-ია, სიღნაღში კი 673 მმ. ქედის თხემურ ზონაში იგი 1000 მმ-ს აღწევს (მარუაშვილი, 1970, 258).

ცივ-გომბორის ქედი დასაწყისში, საიმტერიოს, ცივას, მანავის მთებზე 1680-1980 მეტრის სიმაღლეს აღწევს, მხოლოდ შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, იგი თან-და-თან დაბლდება და ხშირი ტყით იმოსება; აღნიშნული მაღალ მთების უტყეო და გადაბრტყელებული მაღლობები კი მობურული ცივი ღრუბლებით და ნისლით, მშვენიერ საძოვრებს წარმოადგენენ საზაფხულოდ (ჯავახიშვილი, 1926, 285).

იორ-ალაზნის გამყოფი ქედი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უფრო-და-უფრო დაბლდება და დედოფლის წყაროსთან გორაკ-ბორცვებით უერთდება გარე კახეთის ზეგანს. ამ გრძელი ქედის აღმოსავლეთი კალთების ძირი მოფენილია შიგნით-კახეთის მრავალი სოფლებით, დასავლეთი კალთა კი თავისი ბოლოებით გარე-კახეთის ზეგანს უერთდება, რომლის გორაკ-ბორცვიანი ხრიოკი მინდვრები ნაკლებად უწყობენ ხელს მოსახლეობის სიხშირეს (ჯავახიშვილი, 1926, 285-286).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გომბორის ქედის თხემი სეტყვიანობის კერაა, რომელიც კახეთის ვენახებს ყოველწლიურად დიდ საფრთხეს უქმნის.

საქართველოს საზღვრებში ელდარის ვაკეს უჭირავს ივრის მარცხენა სანაპიროს ზოლი, რომლის მაქსიმალური სიგანე 6-7 კმ–ია, ხოლო სიგრძე ივრის გასწვრივ 20-22 კმ. იგი ჰორიზონტალურ სიბრტყეს წარმოადგენს, რომლის აბსოლუტური სიმაღლეც 100-260 მეტრის ფარგლებში ცვალებადობს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ნახევრად უდაბნოსებურ ლანდშაფტურ ოლქთან. ელდარი ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო გვალვიანი და უდაბური კუთხეა. წლიური ნალექიანობა აქ 250-300 მმ-ის ფარგლებშია. (მარუაშვილი, 1970, 260).

ნიადაგის მრავალფეროვნება, ნიადაგის ათვისებისა და ნიადაგდასაცავი ხალხური საშუალებები კახეთში, განსაკუთრებით კი ქიზიყსა და ნაწილობრივ გარე კახეთის უბნებზე საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ეთნოგრაფ ლ. ბერიაშვილს, ნაჩვენები აქვს თუ რამხელა ცოდნა გამოცდილებას ფლობდა კახელი გლეხი ამ სფეროში, და აღნიშნავს, რომ „სამარცვლედ და სავენახედ ქიზიყელებს ყველაზე უკეთესად შავი და ქვიშიანი ნიადაგი მიაჩნდათ. სავარგულებში ყველაზე მეტი ფართობი სწორედ ამ ნიადაგებს ეკავათ“ (ბერიაშვილი, 1989, 128).

ეთნოგრაფიული კვლევით დადგენილია, რომ საქართველოს ბუნების ვერტიკალური ზონალობის, ბუნებრივ სამეურნეო გარემოს ხასიათის შესაბამისად დიფერენცირებულია მიწათმოქმედების დარგების განლაგებაც. „მა-

თი ზონალური შესატყვისობა კარგად მჟღავნდება წლიური სამიწათმოქმედო ციკლის მთელ სისტემაში, სამეურნეო წესების დინამიკურობაში, შრომის იარაღების მრავალფეროვნებაში და სხვ.“ (ბერიაშვილი, 2016, 211).

ამრიგად, როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, კახეთის გეო-კლიმატური ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის ყველა ტრადიციული დარგის განვითარებისათვის. ალაზნის ველი, „რომელიც შორიდან ერთგვაროვანი ვაკის“ შთაბეჭდილებას სტოვებს, მრავალი, ერთიმეორისაგან რელიეფითა და მიკროკლიმატით განსხვავებული მიკროზონებისაგან შედგება, რაც კახეთის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მკვეთრადაა გამოხატული.

თუშეთის ეკონომიკის მთავარი ბაზა მეცხვარეობაა, იგი საქართველოში მეცხვარეობის საუკეთესო რაიონად ითვლებოდა და შეიძლება ითქვას, რომ იმავე მასშტაბით არა, მაგრამ დღესაც ასეა.

ჩვენ წარმოვაჩინეთ კახეთის რეგიონის ფიზიკური გეოგრაფიის ძირითადი თავისებურება, რომელიც გაზიარებული და მიღებულია როგორც გეოგრაფოსების, ისე ისტორიკოსების მიერ. ქვემოთ დავინახავთ თუ ამ მრავალფეროვან გეოგრაფიულ არეალში როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა საქართველოს ამ გამორჩეული კუთხის სასოფლო-სამეურნეო პროფილი ისტორიულ პერსპექტივაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჩიტაია გ., ზოგადი ცნობები საქართველოს გეოგრაფიული და ბუნებრივ-სამეურნეო ზონების შესახებ, „შრომები“, ტ. IV. 2001.
2. უკლება დ., ალაზნის ველი, შიგნი-კახეთი, თბ., 1966.
3. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1970.
4. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“ IV. 1973
5. ჯავახიშვილი ალ., საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, ტფ., 1926.
6. მაკალათია ს., თუშეთი, თბ., 1983.
7. ქანთარია მ., ბუნებათსარგებლობის ზოგი ხალხური წესი, „ანალები“ 2002, №1.
8. ქანთარია მ. „გურჯაანის რაიონის მოსახლეობის ყოფის ზოგი თავისებურება, მსე, ტ.XXVI, თბ., 2004.
9. „სასოფლო გაზეთი“, 1872 წ. №11.
10. ბენდიანიშვილი ა., აგრარული ურთიერთობები საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965.

11. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980.

12. მუსხელიშვილი დ, გეოგრაფიული ფაქტორი და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა, „კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი მიძღვნილი ზაზა ალექსიძის დაბადების 75 წლისთავისადმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2012.

13. ბერიაშვილი ლ., ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, თბ., 1989.

14. ბერიაშვილი ლ., საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო გარემოს თავისებურებანი და სამიწათმოქმედო კულტურათა ზონალური განლაგების ტრადიცია, „ქართველები“, თბ., 2016.

თავი II.

სასოფლო-სამეურნეო ყოფის ფორმირება საქართველოში (კახეთი)

§ 1. ქართული სოფლის გენეზისი და მისი ევოლუცია

საქართველო განეკუთვნება მსოფლიოს იმ იშვიათ ქვეყნების რიცხვს, სადაც ადამიანის ევოლუციური პროცესი მიმდინარეობდა – აქ აღმოჩენილი უძველესი ადამიანის კვალი 1,7 მილიონის წლით თარიღდება. არქეოლოგიური გათხრები მიუთითებენ, რომ ადამიანი ინტენსიურად ითვისებს კავკასიის სხვადასხვა რეგიონს, მათ შორის იმ რეგიონსაც, დღეს რომ კახეთს ვუწოდებთ. უძველესი არტეფაქტები ამტკიცებენ, რომ ძველმა ადამიანმა მყარად აითვისა იორ-ალაზნის ორმდინარეთი, სადაც ფიქსირდება პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება როგორც ღია სადგომებში, ისე გამოქვაბულებში. ამ დროის ადამიანის ძირითადი საქმიანაობა ნადირობა და შემგროვებლობა იყო (მუსხელიშვილი, 2012, 14).

დროთა განმავლობაში ადამიანი ხვეწდა და ავითარებდა თავის შრომით შესაძლებლობებს, შემგროვებლობიდან გადავიდა წარმოებაზე: დაიწყო ერა მიწათმოქმედებისა, რომლის კვალი აშკარად იკვეთება დღევანდელი საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე. როგორც ქართველი, ისე უცხოელი ბიოლოგები კავკასიას მიიჩნევენ ხორბლის გვარის სახეობათა წარმოქმნის ცენტრალურ არეალად, მათი ევოლუციის ეპიცენტრად. ხოლო საქართველო ის რეგიონია, სადაც „თითქმის ბოლო დრომდე შემოინახა ხორბლის ევოლუციის ერთიანი ჯაჭვის ყველა რგოლი, დაწყებული ველურით, ნახევრადველურით ანუ პირველადი, ინიციალური – ველურიდან კულტურულისაკენ გარდამავალი – კილიანი სახეობებითა და დამთავრებული ბუნებრივი თუ ხალხური სელექციის შედეგად შექმნილ-გაუმჯობესებული მეორადი, მაღალკულტურული, შიშველმარცვლიანი ფორმებით“ (ბრეგაძე, 2004, 10-11).

საუკუნეთა მანძილზე ბუნებასთან ჭიდილმა, ბრძოლამ არსებობისათვის ადგილობრივი მეურნე აიძულა გამოეყვანა მისი სამეურნეო საჭიროებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი ხორბლის ჯიში – რბილი ხორბალი. სამართლიანად მიუთითებენ, რომ „რბილი ხორბალი პირმშოა ქართველი მიწათმოქმედისა, რომელმაც მრავალათასწლოვანი ისტრიის მანძილზე შერჩევის გზით შექმნა ნამდვილი კლასიკური ჯიში, უფრო ზუსტად, ხორბლის გავრცელების ყველა არეალთან მისადაგებული ჯიშების ჯგუფი“ (ბრეგაძე, 2004, 10-11)..

არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებენ, რომ უძველეს ხანაში ხორბლის ეს სახეობა გავრცელებული იყო როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. მაგრამ გამორჩეულად ის ხარობდა კახეთის რეგიონის თითქმის ყველა კლიმატურ ზოლში. საერთოდ, უხსოვარი დროიდან დღემდე კახეთი გამოირჩევა საქართველოში იმით, რომ ის ხორბლის, საერთოდ მარცვლეულის ძირითადი მწარმოებელი მხარეა და სწორედ აქ ჩამოყალიბდა ამ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის უძველესი ტრადიციებიც.

ნადირობის აუცილებლობამ საქართველოში თანდათან მესაქონლობის განვითარებას დაუდო საფუძველი. აქაც, ამ საქმეშიც, ათასწლეულების განმავლობაში ადგილი ჰქონდა როგორც ბუნებრივ და ადამიანის მიზანმიმართულ მოღვაწეობას, შინაური ცხოველების სელექციას. ადგილობრივი საქონელი გამოირჩეოდა ფიზიკური თვისებებით, ამტანობით, იყო მაღალპროდუქტიული, მისი რძე კი – მაღალი კალორიული თვისებებით.

IV ათასწლეულში ჩვენს წ. აღ. მ-დე კავკასიაში გავრცელდა „მტკვარ-არაქსის კულტურა“, რომელიც უზარმაზარ სივრცეს მოიცავდა. სახელდობრ, ჩრდილო-აღმოსავლეთ იმიერკავკასიას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიას, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, აღმოსავლეთ მცირე აზიას და ა.შ. როგორც აღნიშნავენ, არცერთი სხვა კავკასიური არქეოლოგიური კულტურა არ გავრცელებულა ასეთ ფართო ტერიტორიაზე (მუსხელიშვილი, 2016, 8).

ამ კულტურისათვის დამახასიათებელი იყო ცხოვრების სასოფლო ორგანიზაცია, მიწათმოქმედების განვითარების მაღალი დონე, მდიდარი და საინტერესო კერამიკული ჭურჭელი, ინტენსიური მესაქონლეობის განვითარების კვალი. უკვე ამ ეტაპზე იძებნება მთისა და ბარის მოსახლეობის ცხოველი ურთიერთობის ამსახველი ფაქტებიც.

ცხოვრების სასოფლო ორგანიზაცია საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. მასზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენდნენ კონკრეტული, ლოკალური რეგიონისათვის დამახასიათებელი აგრო-ეკოლოგიური პირობები და თავისებურებები. უკვე იმ პერიოდში შესამჩნევი იყო გეოგრაფიული გარემოსა და კლიმატური პირობების მიზეზით მეურნეობრიობის ტიპოლოგიური განსხვავებები: ბარისა და მთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის თავისებურებები, ინდივიდუალური შრომის წესებისა და ჩვევების უშუალო დამოკიდებულება კონკრეტულ რეგიონში დამახასიათებელი გეოგრაფიული ინფრასტრუქტურასთან. მთაში უფრო განვითარდა მესაქონლეობა და მასთან დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობა. თანდათან ჩამოყალიბადა მთისა და ბარის ის მჭიდრო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე განმსჭვალავდა ამ ტერიტორიებზე მოსახლე ქართველების ყოველდღიურ ცხოვრებას და მის გარეშე, მისი ხელოვნურად გათიშვის მცდელობის დროს, კახეთის ეკონომიკა კნინდებოდა, ქვეყანა სუსტდებოდა.

თანდათან ჩამოყალიბდა მეურნეობის წარმოების რეგიონალური თავისებურებები, რაც საუკუნეების მანძილზე მამიდან შვილს გადაეცემოდა. ბარში უფრო მიწათმოქმედებას ანიჭებდნენ უპირატესობას, მევენახეობისათვის კარგი კლიმატური პირობები განსაზღვრავდნენ თანამედროვე კახეთის რეგიონში უკვე უძველეს ხანაში ამ კულტურის ინტენსიურ გავრცელებას. რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბება გავრცელების შემდეგ წარმართული პანთეონი ღრმად დაუკავშირდა ადამიანის შრომით საქმიანობას და ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდა – მან დასაბამი მისცა აგრარულ ციკლთან დაკავშირებულ უამრავ რწმენა-წარმოდგენას და რიტუალს.

იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პარალელურად, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესები დაჩქარებული ტემპით წავიდა წინ. ეს გამოიხატა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მაჩვენებლებზე. ჯერ იზრდება სოფლების საერთო რაოდენობა, შემდეგ გამრავლებული მოსახლეობა უკვე ახალ ტერიტორიებს ითვისებდა. უკვე ამ ეტაპზე აშკარად შესამჩნევია შრომის გენდერული დანაწილება, სოფლებში მკაცრად გამოიკვეთა მამაკაცისა და ქალის შრომის განსხვავება, ყალიბდება გენდერული შრომითი ურთიერთობები და ფორმები.

დასტურდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში უკვე უძველესი პერიოდიდან არსებობს კერძო და საერთო (ანუ სათემო) საკუთრება. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრების ასეთი დუალიზმი ქართულ სოფელში შუა საუკუნეების პერიოდშიც კი რელიეფურად შეიმჩნევა.

მომდევნო პერიოდში სამეურნეო ცხოვრება საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონებში კიდევ უფრო განვითარებული და რაფინირებული ჩანს. განსაკუთრებით შეიმჩნევა მევენახეობა-მეღვინეობის პროგრესი. არქეოლოგიური მასალა ალაზნის ველიდან (სოფ. არხილოსკალო და სხვ.) გამოკვეთილად მიუთითებენ მეურნეობის ამ დარგის უპირატეს განვითარებას: აღმოჩენილია უძველესი ქვევრების ნაშთები, ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ინვენტარი (მელიქიშვილი, 1970, 571).

აღმავლობას განიცდის მეცხოველეობაც, ამ რეგიონში უკვე შეიმჩნევა მეცხვარეობის განვითარების ტემპის დაჩქარება. მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ამ ეტაპზეც ის სეზონური ხასიათისაა, აქტიურად იყენებენ მაღალმთიან ალპიურ ველებსა და დაბლობის საძოვრებს. ეს ეკონომიკური ურთიერთობა განსაკუთრებით ამტკიცებდა კავშირს აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის) ბარისა და მთის მოსახლეობას შორის, რაც დროთა განმავლობაში ტრადიციული გახდა და მომავალში ქართველი ერის ფორმირების ერთ-ერთ საფუძვლადაც ჩამოყალიბდა.

ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, განსაკუთრებით ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების პარალელურად მიმდინარეობდა და ის წარმატებული იყო. ხშირი ომები ხელს უწყობდა

პროფესიონალი სამხედრო ფენის გაჩენას, რაც მეფე-მონარქების მიერ მიზანმიმართულად ხალისდებოდა საჩუქრებითა და ბენეფიციუმებით. ეს კი პირველ რიგში სოფლებისა და მასში დასახლებული გლეხური მოსახლეობის ფეოდალებისათვის სამემკვიდრეოდ გადაცემას გულისხმობდა.

ფეოდალიზაციის პროცესების განვითარებისა და განმტკიცების მიუხედავად, ქართველი მეცნიერები კახეთში (აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ) ადასტურებენ როგორც დიდი საოჯახო კომუნების არსებობას, ისე მათ გვერდით მცირე და საშუალო ინდივიდუალურ ოჯახებსაც აფიქსირებენ. მათი აზრით ასეთ ოჯახებს ინდივიდუალურ-მფლობელობა-საკუთრებაში უნდა ჰქონოდათ კარ-მიდამო, საბაღბოსტნე მიწები და ვენახები, ხოლო სახნავ-სათესი მიწების უმეტეს ნაწილზე, ასევე საძოვრებზე და ტყეზე ქართული დაბა-სოფლების მწარმოებელ მოსახლეობას უნდა ჰქონოდა სათემო-საერთო მფლობელობა (გოგოლაძე, 1997, 90-91).

ამტკიცებენ იმასაც, რომ დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით XVIII საუკუნემდე „სათემო მიწათმფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში...მეტად დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა ქართულ საადგილმამულო წყობაში“ (გოგოლაძე, 1997, 90-91). მიანიშნებენ იმასაც, რომ „მეორადი (კლასობრივი) სამიწათმოქმედო ერთობა, შეიძლება ითქვას, კლასიკური სახით გვაქვს მოცემული სწორედ კახეთში. მთელი ივრისა და ალაზნის აუზის სახნავ-სათესი მიწები, საბატონო ხოდაბუნების გარდა, კახეთის სოფლებს საერთო მფლობელობაში ჰქონდათ. სამიწათმოქმედო ერთობის ეს აგრარული ფორმა კახეთში არქაული დროიდან მოდიოდა. მან გამოიარა უკლასო და კლასობრივი საზოგადოებების ფორმაციები, იცვლებოდა საზოგადოებები და სახელმწიფოებები, პატრონები და ბატონები, საადგილმამულო (სამიწათმოქმედო) ერთობა კი კახეთში, საერთო მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობითა და მიწების პერიოდული გადანაწილებით, ასევე, სასოფლო ერობის იურიდიული სტატუსი საადგილმამულო სფეროში, დიდ გამძლეობას ინარჩუნებდა და არსებობას განაგრძობდა“.

ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ კახეთის მოსახლეობაში გვიანობამდე შემორჩებოდა არა მარტო სათემო წყობილებისათვის დამახასიათებელი სამეურნეო კულტურული ტრადიციები, არამედ შრომისადმი კოლექტივისტური დამოკიდებულების გარკვეული გამოცდილებაც, რაც, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ გაქრა და თავისი რეამინაცია XX საუკუნეში მეტად თავისებურად გამოხატა კიდეც.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული თვალსაზრისით კახეთის ეკონომიკურ დაწინაურებაში, მის ეკონომიკურ მიღწევებში, რითიც კახეთი მუდამ გამოირჩეოდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის, მიწისმფლობელობის ეს რელიქტური ფორმა, კოლექტივისტური შრომისათვის დამახასიათებელი უპირატესობები, უზრუნველყოფდნენ, ეკო-გეოგრაფიულ გარემოებებთან ერთად, კახეთის რეგიონის გამორჩეულ ეკონომიკურ შესაძლებლობებს მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ, გარკვეული ეკონომიკური ავტონომია, ნივთიერი დოვლათი პოლიტიკურ სეპარაციას უწყობდა ხელს. VII-VIII საუკუნეებში, არაბების ინტენსიური ლაშქრობის გამო ერთიანობადააკარგულ ქართლს კახეთიც ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ სწორედ კახეთში, მთაში აღმოჩნდა, რომლის ძალა, რომელმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა დამპყრობელს. ესენი იყვნენ წანარები – კახეთის მთაში მცხოვრები მეომარი ტომი. ისინი გარკვეულ ეტაპზე სასტიკად ამარცხებენ არაბთა მხედრობას, აშკარაა – წანარებს უნარი ჰქონდათ მრავალათასიანი მებრძოლებისაგან დაკომპლექტებული შეიარაღებული რაზმები გამოეყვანათ და გამარჯვებებიც მოეპოვებინათ.

წანარები ძირითადად მესაქონელეობას მისდევდნენ და მათთვის კახეთში საძოვრების გამოყენების შესაძლებლობას საციცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს კახეთის რეგიონში მთისა და ბარის ორგანული კავშირისა და ეკონომიკური ურთიერქმედების კიდევ ერთი დადასტურებაა.

წანარების სამხედრო წარმატება, კახელი გლეხების მუხლჩაუხრელი შრომა, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ახლადჩამოყალიბებული სამთავროს ზეაღმავალ განვითარებას უზრუნველყოფდნენ. ამ პერიოდში კახეთის ტერიტორია მოიცავდა კახეთ-კუხეთ-გარდაბანს. დასავლეთიდან კახეთის სამთავროს თბილისის საამირო და მდინარე არაგვი ესაზღვრებოდა. აკად. მ. ლორთქიფანიძეც კახეთის სამთავროს გაძლიერებას წანარების ტომის აქტივობას უკავშირებს, ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ კახეთის ბარში შექმნილმა პრობლემებმა განსაკუთრებით გააქტიურეს მთა და როგორც მკვლევარი აღნიშნავს: „მთა, რომელმაც უკეთ შეინახა თავი, იწყებს ბრძოლას არაბთა უღლის გადაგდებისა და სამთავროს ორგანიზაციისათვის“ (ლორთქიფანიძე, 1973, 383).

დამოუკიდებელი კახეთის სამთავროს ძირითადი მოსახლეობა კვლავ გლეხობაა, მისი საქმიანობა კი ტრადიციულია – მთაში მესაქონლეობა, ბარში მემინდვრეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, აბრუშუმის პლანტაციების მოვლაა და ა.შ. ინტენსიური ეკონომიკური კავშირები კახეთის ამ ორ გეოგრაფიულ სარტყელს შორის ტრადიციული და მზარდია. მთა გენოფონდით მუდამ ამარაგებს ბარს, ხოლო ბარი, ტრაგიკული ისტორიული მოვლენების დროს, თავის გადარჩენას ეძებს სწორედ მთაში. ეს კი საუკუნეების მანძილზე აპრობირებული და უკვე ეროვნულ თავისებურებებში გადაზრდილი ურთიერთობები იყო.

საუკუნეების მანძილზე არსებობისთვის ბრძოლა კახელი გლეხი-მეურნესაგან მოითხოვდა სამეურნეო ყოფის სრულყოფას, ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად გამოყენების პირობებში შრომისნაყოფიერების გადიდების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხოლოდ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი შრომითი წესების, საკმაოდ რაციონალური და ყოვლისმომცველი ციკლის ჩამოყალიბებას. ცხოვრების კონკრეტული წესი – განსხვავება მთაში თუ ბარში ცხოვრებისაგან, საუკუნოვანი დაკვირვება ეკო-სისტემაზე, ბუნებაზე, გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენა – მეურნეობის კონკრე-

ტული ფორმის განვითარება-სრულყოფაზეც ახდენდნენ ზეგავლენას. ქართულმა ყოფამ ამ კონკრეტული თავისებურებების მეტად მრავალფეროვანი პლასტი შემოინახა.

საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა კახეთის სამთავროს დამოუკიდებელი განვითარება, სანამ დავით აღმაშენებელმა ერთიან საქართველოს არ შემოუერთა ის 1104 წელს. კახეთი ერთიანი საქართველოს ეკონომიკურად ძლიერ დაწინაურებელი მხარე იყო და ამ იმიჯს ის დიდხანს ინარჩუნებდა – მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

კახეთი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში საკმაოდ დიდხანს დარჩა და უდიდესი წვლილიც შეიტანა იმ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებში, რომლებიც ბაგრატიონმა მეფეებმა მოიპოვეს დავით აღმაშენებლის ბრძოლებით დაწყებული და დიდი თამარის ძლევამოსილი მეფობით დამთავრებული.

თამარ მეფე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კახეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ დაწინაურებას, სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამაზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ სწორედ მისი მმართველობის პერიოდში გაიყვანეს ეკონომიკურად უაღრესად საჭირო, კახეთის სოფლებისათვის განსაკუთრბით მნიშვნელოვანი ალაზნის სარწყავი სისტემა (XII ს.) ჰიდროლოგიური ნაგებობა, რომელმაც მრავალი საუკუნე გაუწია მომსახურება ადგილობრივ გლეხს, რომლის დახმარებით ირწყვებოდა ათიათასი ჰექტარი ურწყვი მიწა. ეს იყო შედეგი ბაგრატიონი მეფეების წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის.

მაგრამ იგივე ბაგრატიონის სამეფო გვარის წარმომადგენლების ამბიციებმა და სეპარატისტულმა ტენდენციებმა ერთიანი, ძლიერი საქართველოსაგან მხოლოდ შორეული მოგონება დატოვა. გიორგი VIII ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო. მის შემდეგ საქართველო ჯერ ორ, ხოლო მოგვიანებით სამ სამეფოდ გაიყო თავისი ლეგიტიმური ხელისუფლებით, რომელთა მეთაურები – ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები იყვნენ. თანდათან ჩამოყალიბდა საზღვრებიც, რომელიც ერთ დროს ერთიანსა და ძლიერ სახელმწიფოს შლიდა და ერთმანეთისაგან მიჯნავდა. ივანე ჯავახიშვილის ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით ასე შემოფარგლავს ყოფილი ერთიანი საქართველოს აწ უკვე დაშლილ-დაქუცმაცებულ ტერიტორიებს: „კახთა ბატონთა მას ჟამსა ეპყრა – გადმოღმართი ლეკის მთისა ეპყრა თუშეთი, – ხოლო დიდონი არა ემორჩილებოდენ ნებისაებრ მისისა, – ზემოთ ფშავი და თიანეთი, სადა შეერთვის ფშავის წყალი არაგვსა, მიერითგან ვიდრე არაგუსა გაღმართი ხეუძმორამდის. ხეუძმორიდან გაყოლილი ლილოს სერამდის რადენის სერსა წყალი გასდის და გაერთუის მარტყოთის წყალსა გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯისუმდე, აჯისუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე. მას ქუემოთი მტკუარს გაღმართი ვიდრე შაქის სამძღვრამდე“ (ჯავახიშვილი, 1982, 373).

ამრიგად, კახეთის სამეფო უკვე დამოუკიდებელი, სუვერენული და განკერძოებული სახელმწიფოა, რომლის მესვეურებმა ძალიან მალე დაივიწყეს საქართველოს ერთიანობაც, საქართველოს ისტორიული მისიაც და ქართველი ერის ინტერესებიც. ყველაფერი ეს დინასტიურ ინტერესებზე გაიცვალა. ამან კი უკიდურესად დაასუსტა საქართველო.

ამას დაემატა უცხოტომელების გაუთავებელი თავდასხმები – დაწყებული მონღოლებიდან, თემურ ლენგმა რვაჯერ ილაშქრა და მოაოხრა საქართველო, შაჰ-აბასისა და მისი მემკვიდრეების განუწყვეტელი გენოციდი მუსრს ავლებდა ქვეყანას, განსაკუთრებით კახეთს. სამართლიანად მიუთითებს ივანე ჯავახიშვილი, რომ საქართველოზე განუწყვეტელი თავდასხმები პირველ რიგში მწარმოებელ მოსახლეობას ანადგურებდა, მთლიანად მოისრა სამხრეთ საქართველო, კახეთ-ჰერეთი. ამას ემატებოდა დამპყრობლების საშინელი ესპლოატაცია – მუდამ მზარდი გადასახადები, რაც მეურნეობას, წარმოებას აზრს უკარგავდა: „მოსახლეობაცა და უძრავ-მოძრავი ქონებაც იმდენად იყო მრავალნაირი გადასახადებითა და ბეგარით დატვირთული, რომ არც მიწის დამმუშავებელისა და არც მემამულისათვის უძრავი ქონების პატრონობა თითქმის უკვე ხელსაყრელი აღარ იყო: გადასახადებს ძლივს-ღა ისტუმრებდა იგი, ამის გამო მიწას ფასი დაეკარგა“ (ჯავახიშვილი, 1982, 78).

აგრესორი მეზობლების პერმანენტული თარეში იწვევდა უზარმაზრი ქონების ქვეყნიდან გადინებას, რაც ადგილობრივ მწარმოებელს უკარგავდა მაღალნაყოფიერი შრომის სურვილს: დოვლათის დაგროვებამ – ანუ ჯანსაღმა ეკონომიკურმა სტიმულებმა საქართველოში შინაარსი დაკარგა, რადგან ფაქტობრივად ერი ცხოვრობდა არა ეკონომიკური აღმავლობისათვის, არამედ ფიზიკური გადარჩენისათვის. აშკარად შეიქმნა ისეთი ვითარება, რომლის დროს რასაც საქართველოში მოიპოვებდნენ, ქმნიდნენ, აგროვებდნენ – ყველაფერი უცხო ტომელებს მიჰქნდათ სისტემატურად, მუქთად. განსაკუთრებით ეტანებოდნენ და დიდი ფასი ჰქონდათ ქართველ ხელოსნებს, რომლებიც ასობით ტყვედ მიჰყავდათ, საკუთარ ქალაქებში ასახლებდნენ.

ამ სოციალურმა მდგომარეობამ სერიოზულად დასცა ქალაქებში ვაჭრობა და მრეწველობა. თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობამ და ევროპისკენ გასასვლელის გადაკეტვამ ევროპა მოსწყვიტა საქართველოს. ევროპელი ვაჭრები ახალ სავაჭრო გეზებს ეძებდნენ, რომ თავიდან აეცილებინათ თურქეთის იმპერიაზე მდებარე საქარავნო გზებზე მოძრაობა. ამან გამოიწვია ახალი გეოგრაფიული აღმოჩენები. იდოეთისკენ მიმავალი ახალი გზების ძიება, ნაოსნობის განვითარება ევროპაში და თვალსაჩინო ეკონომიკური აღმავლობა. „დიდი არეშუამის გზა“, რომლის ერთი მონაკვეთი საქართველოზე, მათ შორის კახეთზეც გადიოდა, ფუნქციას სისტემატურად კარგავდა – საქართველო მსოფლიო სავაჭრო გზებს მოცილებული აღმოჩნდა. ამან არა მარტო შეამცირა სავაჭრო ბრუნვა, არამედ საქართველო მოწყვიტა ეკონომიკის განვითარების ევროპულ მოდელს და ქვეყანაში საშინელი ეკონომიკური სტაგნაცია გააბატონა.

ეს პერიოდი სხვა მხრივაც იყო საინტერესო. ივანე ჯავახიშვილის ხაზგასმით მიუთითებს, რომ XV სუკუნის საქართველოში, მათ შორის კახეთშიც, მოხდა საკმაოდ სერიოზული ცვლილებები სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში, რამაც მომდევნო ხანის საქართველოს ისტორიას ღრმა კვალიც დაატყო. მკვლევარი ამ მოვლენას ასე ახასიათებს: „პატრონყმობის გვერდით ბატონყმობის გაჩენა და გაბატონება“. აი, რას წერდა მეცნიერი: „პატრონყმობის ურთიერთობას უკვე XIV საუკუნეში ისეთი ცვლილება დაეტყო, რომ მის აღსანიშნავად ხალხის მეტყველებას ახალი სახელის აუცილებლობა აგრძნობინა: წინანდელისაგან განსხვავებული მოვლენის გამოსახატავად სახელის განსხვავება მაინც იყო საჭირო, რომ ძველი და ახალის ერთმანეთისაგან განრჩევა შესაძლებელი გამხდარიყო. XIV საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ძეგლებში **პატრონის** მაგიერ და მის გვერდით **ბატონი** ჩნდება... რამდენადაც ტერმინ **ბატონის** ძველ ქართულ საბუთებში საბოლოოდ დამკვიდრება და მეტყველებაშიც ჩვეულებრივ სიტყვად ქცევა XVI ს. მოვლენას წარმოადგენს, ბატონყმობის გვერდით ბატონყმობის ტერმინის გაჩენით გამჟღავნებული ახალი სოციალური ურთიერთობის რაობის განსაზღვრა XVI ს. ისტორიას ეხება“ (ჯავახიშვილი, 1982, 461).

ამრიგად, საქართველოში საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ შექმნა სოციალური ვითარება პატრონყმობის ბატონყმობად გადაქცევისა და ამ მოვლენის ეპიცენტრში დადგა ახალი სოციალური კატეგორია – თავადი. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „სამეფო ხელისუფლება ამ პერიოდში საქართველოში ერთობ შესუსტებულია. მას აღარ ძალუძს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება – ყმა-გლეხობის მორჩილებაში მოყვანა და ქვეყნის შინით ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის ურთიერთოის მოწესრიგება. წვრილი აზნაურობაც, რომელიც აქამდე მეფის ხელისუფლების დასაყრდენი იყო საშინაო და საგარეო მოწინაღმდეგეებთან ბრძოლაში, თანდათან მსხვილი ფეოდალთა ყმობაში ექცევა და მეფის დასაყრდენიდან მის საწინააღმდეგო ძალად იქცევა. მეფე კარგავს კონტროლს ყოფილი სახელმწიფო და სამეფო-სახასო მიწების დიდ ნაწილზე, რომელიც დიდებულ აზნაურებს ჰქონდათ გადაცემული საგამგებლოდ ან დროებით სამფლობელოდ. ამ მიწებზე მეფეს ფაქტობრივად ხელი აღარ მიუწვდება. ამავე დროს მსხვილი ფეოდალები თავიანთ მამულებში თანდათან თითქმის სრულ შეუვალობას (იმუნიტეტს) აღწევეენ. მეფეს აღარ ძალუძს ამ მამულებში აღარც სამართლის წარმოება და არც სხვა რამ მიზნით მის საშინაო საქმეებში ჩარევა. აღნიშნული პროცესები საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობის ცვლილებების იწვევს. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს დიდ ნაწილში აღმოცენდნენ სათავადოები (სამსონაძე, 2012, 117).

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი სათავადოები ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში: ძლიერი სათავადო შექმნეს კახეთში ადრონიკაშვილებმა – ტრაპიზონის კეისრის ანდრონიკ კომნენის საქართველოში გადმოხვეწილმა შთამომავლებმა, ჭავჭავაძეებმა, ჩოლოყაშვილებმა, მაყაშვილებმა და სხვებმა.

XVII-XVIII საუკუნეებში სათავადოების სისტემამ გარკვეულწილად დაასუსტა კახეთიც, რომელსაც ამ პერიოდში სერიოზული პრობლემები შეუქმნა კავკასიის მთამ, განსაკუთრებით საშამხლომ. გამაჰმადიანებული კავკასია, ჩაკეტილი მთებში, მატერიალური რესურსების არმქონე, კახეთის ნაყოფიერ ველებზე თარეშით უზრუნველყოფდა თავის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ პროცესებმა განსაკუთრებულად დრამატული ხასიათი კახეთისათვის მიიღო XVII-XVIII საუკუნეებში, როცა „ლეკიანობა“ სერიოზულ პრობლემად გადაიქცა, როცა ნადგურდებოდა ძირითადი მწარმოებელი – კახელი გლეხი.

რთულმა საგარეო ვითარებამ კახეთის მეფეები რუსეთის მზარ სახელმწიფოს დაუკავშირა, რამაც განარისხა ერანის შაჰი. რუსეთის შესაძლო გადმოსვლა კავკასიაში რომ შეეჩერებინათ, ერანის შაჰებს ქრისტიანობის ბოლო ციტადელის – მათი ვასალის, ქართლისა და კახეთის, სრული დამორჩილება, ტოტალური გამაჰმადიანება ან მისი მასობრივი ფიზიკური განადგურება სჭირდებოდა – ეს მათი ისტორიული გამოწვევა იყო.

სწორედ ამ მიზნით ერანის შაჰები ჯერ პირწმინდად ანადგურებდნენ სამხრეთ საქართველოსა და კახეთის უზარმაზარ ტერიტორიებს, შემდეგ სისტემატურად და მეთოდურად ასახლებდნენ საქართველოში, მათ მიერ გავერანებულ სამხრეთ რეგიონებში, მაჰმადიან ტომებს: ბორჩალუს, ელის და სხვა ეთნოსებს, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად მრავლდებონენ და ერანის ინტერესების გულმხურვალე გამტარებლები იყვნენ. ეს მომთაბარე ტომები მესაქონლეობას მისდევდნენ, საქონლის უზარმაზარი ფარები ჰყავდათ და კახეთის ნაყოფიერი მიწები მათთვის მხოლოდ საძოვრები იყო. ისინი კონკურენციას უწევდნენ ადგილობრივ ქართველ მესაქონლეებს. ამან გააძლიერა დაპირისპირება მოსულ და დამხვდურ მოსახლეობას შორის, განსაკუთრებით ბობოქრობდა მთა – თუშ-ფშავ-ხევსურები კახეთის ტრამალებზე საუკუნეთა მანძილზე საკუთარ ფარებს აძოვებდნენ და ეს ახალი კონკურენცია მათ სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უქმნიდა.

სწორედ ამიტომაც ყიზილბაშების წინააღმდეგ კახეთში სერიოზული უკმაყოფილება მომწიფდა. ეს ის პერიოდია, როდესაც კახეთს ქართველი მეფე აღარ ყავდა – შაჰმა კახეთი სელიმ-ხანს უწყალობა და თანაც დაავალა გაეძლიერებინა კახეთში ციხეების მშენებლობა და თურქმენი ტომების ჩამოსახლების პროცესი. უკვე იმ დროისათვის კახეთში 80 ათასი თურქმენი იყო ჩასახლებული, თუ ქართველები მათ დაფუძნებასა და საფუძვლების განმტკიცებას დროულად არ შეაჩერებდნენ, ეს კახეთის გადაჯიშების დასაწყისი იქნებოდა. ეს ჭეშმარიტება ერთნაირად გაითავისა როგორც თავადმა, ისე ყმა-გლეხმა, როგორც მთამ, ისე კახეთის ბარის მოსახლეობამ.

აჯანყება დაიწყო 1659 წელს. მას ზაალ არაგვის ერისთავი ხელმძღვანელობდა, ხოლო უშუალო ორგანიზატორები იყვნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალავერდელი ეპისკოპოსი და სხვები. ხალხურმა ფოლკლორმა შემოინახა აჯანყების მონაწილე ბევრი რიგითი მონაწილის სახელი – ზეზვა გაფრინდაული, ნადირა ხოშარაული,

ფშაველი გოგოლაური და მრავალი სხვა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „აჯანყებულთა რაზმებმა ერთდროულად შეუტიეს ბახტრიონს და ალავერდს. ბახტრიონში გამაგრებულმა მტერმა ქართველთა შეტევას რომ ვერ გაუძლო, ალავერდისაკენ გაეშურა, მაგრამ ალავერდშიც იგივე მდგომარეობა დახვდა. ალავერდის დამარცხებულმა გარნიზონმა ბახტრიონში თავშესაფრის ძიებით დააპირა გადარჩენა. ორივე ციხიდან გამოქცეული ელები და ყიზილბაშები ერთმანეთს ალვანის მინდორზე შეეფეთნენ. სწორედ აქ მოუსწრეს მათ ქართველმა აჯანყებულებმა და მუსრი გაავლეს. ამის შემდეგ დაიწყო სხვა ადგილების გაწმენდა თურქმანებისაგან. ეს იყო უმაგალითო, დაუნდობელი ბრძოლა“ (სამსონაძე, 2012, 306). როგორც თითმხილველები აღნიშნავენ, ქართველებმა დედა-წულიანად გაანადგურეს ჩასახლებული თურქმენები და საკუთარი სამშობლო გადაშენებისაგან იხსნეს.

ამ ამბების შემდეგ ძალიან მალე განრისხებულმა შაჰმა მოითხოვა კახეთის გმირების ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების ისპაჰანში ჩასვლა, სადაც მათ მოწამეობრივი აღსასრული ჰპოვეს. სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას თავი შესწირა და ქრისტიანობა არ დათმო კახეთის ლეგენდარულმა დედოფალმა ქეთევან წამებულმა, რომლის გმირობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უცემს გული!“

საქართველოს ჭეშმარიტ და ერთგულ შვილთა თავდადება, სამწუხაროდ მთავარ პრობლემას ვერ წყვეტდა – საქართველოს ერთიანობა ვერ ხერხდებოდა. მხოლოდ კახელმა ბაგრატიონებმა ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და ქართლი და კახეთი გააერთიანეს. ერანის ხელმწიფემ შაჰ-ნადირმა ეს გადაწყვეტილება „დე-იურედ“ ცნო. ეს მოხდა 1744 წელს.

კახეთის ბოლო ბაგრატიონების მმართველობის პერიოდში კახეთმა ცოტა ამოისუნთქა, განსაკუთრებით ერეკლე II მმართველობის პირველ წლებში – შედარებით შეწყდა უცხოტომელების თარეში, „ლეკიანობა“. მწარმოებელმა გლეხმაც მეურნეობის განვითარების გარკვეული შესაძლებლობაც მოიპოვა. კახეთში ადგილი ჰქონდა სოფლის მოსახლეობის შიდა მიგრაციას გამონთავისუფლებულ მიწებზე. მოსახლეობა ტრადიციული ადგილებიდან იყრებოდა არა მარტო საგარეო ფაქტორების ზეგავლენით, არამედ ბუნებრივი სტიქიური პროცესების მიზეზითაც – წყალდიდობები, ღვარცოფი, მთის ჩამოწოლა და ა.შ.,

კახეთში გლეხები ამ პერიოდში მთლიანად დაყმევებულია. როგორც ისტორიკოსები მიუთითებენ: „მას (გლეხს – ა. დ.) დიდი ხანია დაკარგული აქვს ეკონომიკური და პირადი დამოუკიდებლობა, სამუდამოდ მიმაგრებულია მებატონის მიწაზე, საიდანაც ბატონის ნებართვის გარეშე წასვლა არ შეუძლია“ (ჯამბურია, 1973, 188). კახელი გლეხი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არა მარტო მესაკუთრის წარმომავლობით (მეფე, დედოფალი, თავადი თუ ეკლესია), ისე პირადი შესაძლებლობებითაც. ქონებრივი დიფერენციაცია მკვეთრი არ არის, მაგრამ თვალსაჩინოა. გლეხი, როგორც ჩანს, ცხოვრობდა „საკომლო მამულში“. ამტკიცებენ, რომ „საკომლო მამული“

აღმოსავლეთ საქართველოში 60 დღიურამდე აღწევდა. საკომლოში იგულისხმებოდა სავენახე, ბაღ-ბოსტანი, სათიბი და სასარე და სხვ. (ჯამბურია, 1973, 188).

გლეხებს განასხვავებდნენ შეძლების მიხედვით: მიწიან გლეხს „მკვიდრი გლეხი“ ერქვა, უმიწოს – „ბოგანო“. ყველა გლეხი ასრულებდა სოციალურ მოვალეობას – იხდიდა ბეგარას. ბეგარა იყო ნატურით ან ფულით. ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა გლეხის ყიდვა-გაყიდვასაც. არსებობდა ცნება – „ნასყიდი გლეხი“. მისი ფასი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. რა თქმა უნდა, გლეხი უმამულოდ იყიდებოდა, ბევრია კახელი გლეხების სპარსელებზე გაყიდვის შემთხვევაც. ამის აუცილებლობას იწვევდა დამძიმებული სოციალური მდგომარეობა სრულიად საქართველოში, რამაც თავადებს ეს ბარბაროსული წესი გაახსენა.

ერეკლე II სასტიკად ებრძოდა გლეხების მონებად გაყიდვას, ცდილობდა ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებას, რომ ფეოდალებს აღარ გაებედათ თანატომელების უცხოტომელებზე გაყიდვით თავიანთი შელახული მატერიალური მდგომარეობა გამოსწორება. „მორიგე ჯარის“ შექმნა, სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად, ქართველი ვაჟკაცების ტყვეობიდან გადარჩენასაც ითვალისწინებდა. ეს ჩინებულად გაიგეს კახელმა გლეხებმა და ისინი ერთგულად ემსახურებოედნენ ერეკლეს. ცნობილია „მორიგე ლაშქარში“ მომსახურე კახელი გლეხების გვარები: აბრამიშვილი მიქელ, ოხრანაშვილის ძმისწული დავითო, მამნიაშვილი გიო...აბრამ ღვდლისშვილი ანანია, ოხანაშვილი დათო, იაკაშვილი ოსებ ძმა ომან, დისკალის ყმა გიორგის შვილი ძუბალა და ა.შ. (გიგიტელაშვილი, ნანობაშვილი, 2010, 15).

მცდელობის მიუხედავად ერეკლე II ბოლომდე ვერ მიიტანა თავისი ჩანაფიქრი, ვერ შეაჩერა „ლეკიანობა“, ხოლო რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარების მცდელობისათვის (1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) ერანის შაჰმა აღა-მაჰმად ხანმა საქართველო დაარბია, თბილისი გადაწვა-გადაბუგა, სადაც კი მიწვდა – ხალხს მუსარი გაავლო. რუსეთმა ხელიც არ გაანძრია საქართველოს გადასარჩენად, სამაგიეროდ 1801 წელს საერთოშორისო კანონმდებლობისა და ქრისტიანული სამეფო ლეგიტიმაციის პრინციპების დარღვევით ქართლ-კახეთში ბაგრატიონთა მეფობა გააუქმა და ქვეყანა თავის უკიდეგანო იმპერიას შეუერთა.

§ 2. კაპიტალისტური წეს-წყობილება ქართულ სოფელში

შედარებითმა მშვიდობამ, მოსახლეობის დემოგრაფიულმა მატებამ, გამოიწვია საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლება და მისი ზეაღმავალი განვითარება. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ძირითადად გაბატონებული იყო ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობა, წარმოების ფეოდალური წესი, მიწაზე ფეოდალური საკუთრება. ერთ დროს მდიდარი საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, პერმა-

ნენტული შემოსევა-გავერანების გამო, მინიმუმამდე იყო შემცირებული და რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას.

მეფის რუსეთს საქართველოში დამკვიდრების შემდეგ თითქმის არ შეუცვლია არც წარმოების წესი და არც საკუთრების ფორმები – თვითონ რუსეთიც იმჟამად ტიპიური ფეოდალური ქვეყანა იყო ძლიერი სამხედრო-ბიუროკრატიული მექანიზმებით გაჯერებული და ამასთან, მას საოცრად აშინებდა სოციალური ურთიერთობების ზედმეტი რადიკალიზაცია, ახალი, პროგრესული ეკონომიკური ფორმების დანერგვა და მთელ იმედებს ფეოდალური სტრუქტურების გამძლეობაზე და რეჟიმისადმი რუსი თავადაზნაურობის ბრმა ერთგულებაზე, რუსი გლეხის მონურ მორჩილებაზე ამყარებდა.

მაგრამ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთს დასჭირდა გარკვეული ზომების მიღება, რამაც გამოაცოცხლა საქართველოში მანუფაქტურული წარმოება, შინამრეწველობა, ხელოსნობა და მეურნეობრიობის სხვა დარგები. მათთან ერთად გამოცოცხლდა საქართველოს სოფელიც.

ეკონომიკური გამოცოცხლება გამოიწვია იმანაც, რომ საქართველოს განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობა მას, რუსეთის იმპერიის სხვა კოლონიებს შორის, გამოარჩევდა სატრანზიტო შესაძლებლობებით და ქვეყნის ეს გამორჩეული თავისებურება შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის ეკონომიკურ ელიტას.

საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი სისტემატურად იზრდებოდა: რუსეთის სამხედრო ექსპანსიამ სამხრეთ კავკასიაში დაბადა სატრანსპორტო კომუნიკაციების მოწესრიგების, მაგისტრალური გზების გაყვანის, სატრანზიტო კორიდორების მოწყობის, შავი ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში ნავსადგურებისა და გადასატვირთი პუნქტების აშენების აუცილებლობა.

ეკონომიკური პროცესები კიდევ უფრო დაჩქარდა, როცა მეფის ხელისუფლებამ 1861 წელს გლეხი პიროვნულად გაათავისუფლა, ბატონყმობა ფორმალურად გააუქმა და ამით კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთის იმპერიის ყველა რეგიონში მძლავრი სტიმული მისცა.

საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ახალი ფორმები გავრცელდა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე. გაბატონდა კაპიტალისტური სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, რომელმაც ნელ-ნელა, მაგრამ საკმაოდ ენერგიულად, სადაც კი შეაღწია, მნიშვნელოვნად შეარყია ფეოდალური ეკონომიკის საფუძვლები.

კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოს სოფელში წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა – ტრადიციული ფეოდალური ურთიერთობიდან ახალ, კაპიტალისტურ მეურნეობრიობაზე გადასვლა ყველა მიწის მესაკუთრემ ვერ შეძლო. ქართველი თავადაზნაურობის დიდი უმრავლესობა თაკილობდა თავის მამულში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საწარმოო ურთიერთობების დანერგვას, არ ავლენდა დაინტერესებას წარმოების პროცესების ოპტიმიზაციის საქმეში. ამიტომაც ბევრმა მათგანმა საკუთარ მამუ-

ლებში თანამედროვე და პროგრესული აგროწესების დანერგვის ნაცვლად ამჯობინა მიწის გაყიდვა, ამონაგები ბანკებში დააბანდა და „კუპონების კრეჭით“ დაიწყო ცხოვრება.

ამ პროცესმა საქართველოში მიწის ბაზარი აამოძრავა. ბევრი მიწა გადავიდა არაქართველი მეპატრონის ხელში (გრაფი შერემეტიევის მამული კარდენახში, სამეფო გვარის – რომანოვების მამულების მთელი კასკადი აღმოსავლეთ საქართველოში და ა.შ.).

რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია არ კმაყოფილდებოდა საქართველოს სოფლებში მარტო რუსი არისტოკრატიის დამკვიდრებით. ადგილობრივი რუსი მოხელეები თანამემამულე კოლონისტებისათვის საგანგებოდ ეძებდნენ თავისუფალ მიწებს – ასეთები კახეთის რეგიონშიც აღმოჩნდა – სიღნაღის მაზრაში შეირჩა ერთი დიდი ნაკვეთი – 3597,4. დესეტინა, იყო კიდევ საკმაოდ მოზრდილი ნუკრიანისა და ჭოტორის მამულები, რომლებზეც რუსი მოახალშენები ჩაასახლეს. რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა დაახლოებით 100 ათასი კოლონისტის ჩამოსახლებას. გადმოსახლებულთა დიდი რაოდენობით მიწა ეძლეოდათ როგორც საკუთრებაში, ისე იჯარით. ჩამოსახლებიდან ორი წლის განმავლობაში ისინი თავისუფლდებოდნენ როგორც საიჯარო, ასევე სხვა ყოველგვარი გადასახადისაგან, შემდგომი სამი წელი გადასახადების ნახევარს იხდიდნენ. ჩამოსახლებული მამაკაცები 2 წელი ჯარიდან თავისუფლდებოდნენ, სარგებლობდნენ შეღავათებით ვაჭრობასა და მრეწველობაში, მიწის დასამუშავებელი იარაღების შეძენაში, მგზავრობაში – მიუთითებენ ექსპერტები (ჭუმბურიძე, 2008, 195)

ასეთი არათანასწორი ურთიერთობების დანერგვით ამ პროცესების ინიციატორები დემოგრაფიულ დივერსიებთან ერთად, რა თქმა უნდა, ეთნოკონფლიქტების ინსპირირებასაც გეგმავდნენ, რათა მუდამ არბიტრის ფუნქცია და გამშველებლის როლი შეესრულებინათ.

სოფლად კაპიტალისტური წესწყობილების შეღწევა გრძელდებოდა, რასაც თავისებურად გადმოსახლებულთა აქტივობაც უწყობდა ხელს. ამან აამოძრავა ქართული სოფელი, რამაც ის უფრო მობილური გახადა. იყვნენ ქართველი თავადები, რომლებმაც ალღო აუღეს ეკონომიკის კაპიტალისტურ წესს და აგრო-ბიზნესის პროგრესული მეთოდების დანერგვით საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. ასეთი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო თავადი დ. ჭავჭავაძე, რომელიც წინანდალში, მუკუზანში, ნაფარეულში, ურიათუბანში და კახეთის სხვა სოფლებში 15 ათას დესეტინა მიწას ფლობდა. ის თავისი მიწების დიდ ნაწილს იჯარით გასცემდა, თვითონ ჰქონდა 300 ჰექტარი ჩინებულად მოვლილი ვენახი, რომელსაც ამუშავებდა უკვე დაქირავებული მუშებისა და ჯერ კიდევ ფეოდალურ ვალდებულებაში მყოფი გლეხების საშუალებით. მის მეურნეობაში ითვლებოდა 11 მარანი 15 საწნახელითა და 371 ქვევრით. წლიურად ამზადებდნენ 20-30 ათას ვედრო ღვინოს (ხოშტარია, 1970, 363).

რეფორმის შემდგომ ხანაში პროგრესი აშკარად შეიმჩნევა საქართველოსთვის ტრადიციული დარგის – მეღვინეობის განვითარების საქმეში. ეს დარგი მთელი XIX საუკუნის მანძილზე აღმავლობას განიცდის, იზრდება ღვინის წარმოების რაოდენობრივი მაჩვენებელი და მისი ხარისხიც.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ 1888 წელს საქართველოში იმპერატორ ალექსანდრე III სტუმრობის დროს ის იყო კახეთში გრაფ შერემეტიევის კარდენახის მამულში, შეხვდა გლეხებსაც, ღამეც გაათენა და ისე მოიხიბლა კახური ღვინის გასტრონომიული თვისებებით, რომ გადაწყვიტა სასახლის კარზე ფრანგული ღვინო კახური ღვინით ჩაენაცვლებინა.

ქართულ ღვინოებზე მოთხოვნილების მკვეთრმა ზრდამ მისი წარმოების მასშტაბების გადიდება გამოიწვია. თუ 1875 წელს საქართველოში დამზადდა 6 406 000 ვედრო ღვინო, 1896 წელს – უკვე 9 546 000 ვედრო. ფაქტობრივად, სულ რაღაც ოც წელიწადში წარმოება თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა (მარგიანი, 1976, 277). ქართულ ღვინოს, საქართველოს გარდა, ყიდდნენ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ოდესასა და კიევში, იმპერიის სხვა მსხვილ ქალაქებში.

ქართული სოფელი მრავალდარგოვანი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სერიოზული წინსვლაა მარცვლეული კულტურების, მევენახეობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეაბრეშუმეობის დარგში.

მარცვლეული კულტურები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოჰავდათ. კახეთშიც მისი წარმოება სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენდა. XIX საუკუნეში ყანების ფართობი თანდათან გაიზარდა ტყეებისა და სათიბ-საძოვრების შემცირების ხარჯზე. აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის კახეთში წამყვანი იყო ხორბალი და ქერი. მეტნაკლები რაოდენობით თესავდნენ შვრიას, ჭვავს, ლობიოს. მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი პროდუქტიულობაც. ერთ-ერი ექსპერტი XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოს მარცვლეულის ბაზარზე დაკვირვების შედეგად აცხადებდა: „1802 წელს საქართველომ ვერ შეძლო საკმარისი სურსათი მიეწოდებინა რუსეთის ჯარის 3 ათასიანი კაცისათვის. ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა ორნახევარჯერ გაიზარდა, იგი იკვებება საკუთარი პურით და მარტო თბილისში გასაყიდად გააქვს 150 ათასი კოდი პური, სამხედრო ნაწილებსა კი ყოველწლიურად აწვდის 40 ათას კოდ ქერს“ (ბენდიანიშვილი, 2008, 229).

აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის კახეთში, პურის მოსავლიანობა ისე გაიზარდა, რომ ერთ ხანობას დასავლეთ ევროპაში 1.2 მილიონი ფუთი პური გაიტანეს კიდეც. თუმცა მოგვიანებით, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, დასავლეთ ევროპის ბაზარი ქართველმა მეხორბლეებმა დაკარგეს და მოხდა ისე, რომ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საკუთარი წარმოების პური უკვე აღარ ყოფნიდა.

საქართველოსთვის მაინც მთავარი და მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო დარგი **მევენახეობა** იყო, რომელიც განსაკუთრებით კახეთის რეგიონ-

ში აღწევდა გამორჩეულ ეკონომიკურ შედეგებს. XIX საუკუნის 30-იან წლებში ამ კუთხეში დაყენებული ღვინის ნახევარი ბაზარზე გადიოდა. აღმოსავლეთ საქართველო წლიურად აყენებდა საშუალოდ 2,5 მილიონ ვედრო ღვინოს (ბენდიანიშვილი, 2008, 229).

მაგრამ მეღვინეობა საერთოდ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც ძალიან დააზარალა ვენახის მავნებლების გავრცელებამ – საქართველოში გავრცელდა იოდიუმი, მილდიუ და ფილოქსერა. მდგომარეობა კატასტროფული შეიქმნა. კოლონიალურმა ხელისუფლებამ სპეციალური კომიტეტი ჩამოაყალიბა, რათა ფილოქსერასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები მასობრივად დაენერგათ საქართველოში. უკვე 1891 წელს სოფ. საქარაში გაიხსნა ამერიკული მწარე ვაზის სანერგე, რომელიც გლეხებს შორის ამერიკული ვაზის ლერწმების გავრცელებას უზრუნველყოფდა. მოხერხდა ამ საშიში დაავადების დაძლევა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ყურძნის მოსავლიანობა კახეთის სოფლებში. ვარაუდობენ, რომ XX საუკუნის 10-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში (რა თქმა უნდა, კახეთთან ერთად) დაახლოებით 4 მილიონი ფუთი ყურძენი მოკრიფეს და დაამზადეს 3,2 მილიონი ვედრო ღვინო. ქართული ღვინო თანდათან, მაგრამ ენერგიულად იპყრობდა რუსეთის იმპერიის ბაზარს თავისი მაღალი ხარისხით და მრავალფეროვნებით.

კახეთის მთაში მეურნეობის ძირითადი დარგი კვლავ **მესაქონლეობა** დარჩა, ის ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა. ზაფხულობით კახელი მესაქონლეების ფარები კავკასიის ფერდობებს იყვნენ შეფენილი, ზამთრობით კი თუში და ფშაველი მწყემსები შირაქის ნაყოფიერ ველებზე დიდი ხნით იდებდნენ ბინას. საქონელის საერთო რაოდენობა საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა. იმდროინდელი ექსპერტები აცხადებდნენ, რომ ამიერკავკასიაში ას სულ მოსახლეზე საქონლის რაოდენობა (45 სული) მნიშვნელოვნად ჭარბობდა ინგლისში (28 სული), საფრანგეთში (29 სული), პრუსიაში (33 სული) არსებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს, მაგრამ პროდუქტიულობით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა მათ – ინგლისში ერთი ძროხის წლიური შემოსავალი უდრიდა 77 მანეთს, საფრანგეთში – 60 მანეთს, კავკასიაში – მხოლოდ 3,5 მანეთს (ბენდიანიშვილი, 2008, 234).

ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ამ კატეგორიულ შეფასებას არ ეთანხმება, თუმცა ისიც აშკარაა, რომ საქართველოში, მათ შორის კახეთშიც მესაქონლეობა კვლავ ძველი, მამა-პაპეული წესით იმართებოდა, ყველ-კარაქმაწონს ძირითადად ტრადიციული წესებით ამზადებდნენ. თუმცა ფიქსირდება ევროპიდან და რუსეთიდან რძის გადამამუშევებელი ტექნიკის, მათ შორის სეპარატორების პირველი პარტიების შემოტანის ფაქტები.

რა თქმა უნდა, იმჟამად კახეთის სოფელში ოცნებაც არ შეიძლებოდა ვეტერინარულ მომსახურებაზე, ცხოველთა მასობრივ ვაქცინაციაზე, მოწესრიგებულ ფარეხებზე და ა.შ. ცხოველთა დაცვა ავადმყოფობისა და პარაზიტებისაგან ხდებოდა ტრადიციული გამოცდილებითა და მამა-პაპის ცოდ-

ნის საფუძველზე. რა თქმა უნდა, იყო საქონლის ჭირის და სხვა სპეციფიკური დაავადებების გავრცელების შემთხვევებიც.

მიუხედავად ამისა, საქონლის რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთშიც) სისტემატურად იზრდება. სტატისტიკური მონაცემებით XX საუკუნის დასასრულს თბილისის გუბერნიაში (რომელშიც შედიოდა კახეთის რეგიონი) საკუთრებაში ჰყავდათ: ხარი და ძროხა – 357 614, კამეჩი – 81 000, ცხენი – 52 807, ცხვარი – 1 278 000, თხა – 132 000, ღორი – 47 000 (ბენდიანიშვილი, 2008, 235).

კახეთის რეგიონში კვლავ აგრძელებდნენ ტრადიციულად აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას და **აბრეშუმის წარმოებას**. ისტორიკოსები მიანიშნებენ, რომ ქართულ აბრეშუმს გარკვეული საცვლელი ღირებულებაც კი ჰქონდა, მასზე ცვლიდნენ რუსულ და ევროპულ საქარხნო პროდუქციას. კახეთში არსებული თუთის პლანტაციები ხელს უწყობდა ამ დარგის განვითარებას, თუმცა XIX საუკუნეში ამ დარგს უფრო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები მისდევდნენ.

XX საუკუნის დასაწყისში უკვე შეიმჩნევა ერთეული მცდელობა, რაც მოგვიანებით კახეთის რეგიონისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო დარგად გადაიქცა – ეს იყო **თამბაქოს კულტურის** მოვლა-მოყვანის დაწყება კახეთში, განსაკუთრებით ლაგოდეხის რეგიონში.

ზემოთქმული მიანიშნებს, რომ ეკონომიკური განვითარების ობიექტური კანონები, კოლონიალური მარწუხების მიუხედავად, კაპიტალიზმის სისტემისათვის დამახასიათებელ ურთიერთობაში აბამდა სრულიად საქართველოს. ეს ეკონომიკური ურთიერთობა, რა თქმა უნდა, არ იყო ისეთი თავისუფალი და ზეაღმავალი, როგორსაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. რუსული კოლონიალიზმის დისკრიმინაციული ეკონომიკური პოლიტიკა, თვითმპყრობელობის ეკონომიკური ღვედები, იმპერიული რუსეთის ცხოვრების რუტინული წესი თავისი შეზღუდული პირობებით, ბოლომდე სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობას არ აძლევდა არც კოლონიას და არც მეტროპოლიას. რუსული კაპიტალიზმი – კუდშეკვეცილი, სამხედრო-ბიუროკრატიული კაპიტალიზმი იყო, რომელიც ვერ ახერხებდა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი სოციალური სტრუქტურის შექმნას, მათ შორის სოფელში, რომელიც მთლიანად რუსეთში, მათ შორის საქართველოშიც ძირითადად ტრადიციული წეს-განრიგით ცხოვრობდა. მიუხედავად ამისა, კაპიტალიზმის მკაცრი და ულმობელი ეკონომიკური კანონები სრულიად საქართველოს სულ უფრო და უფრო ღრმად ითრევდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ერთიან, ყოვლისმომცველ სისტემაში.

ქართული სოფლის განვითარებას XIX საუკუნის მეორე ნახევარში გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძე და ჩინებულად გრძნობდ რა ტენდენციებსა და განვითარების რა თავისებურებებს ჰქონდა ადგილი ქართულ სოფელში. მეტად მნიშვნელოვნად გვესახება დიდი მამულიშვილის

შემდეგი შეფასება: „ჩვენს ეკონომიკურ წყობაში ორ-გვარი მდინარეობა იყო, როგორც ყველგან სხვაგან: ერთი სამსოფლო და მეორე საკომლო. პირველი მიიზიდებოდა, რომ სოფლის წრეში ყოფილიყო მამულები, მიწა, მინდორი, ტყე – საზოგადო, სამსოფლო ხმარებაში ყოფილიყო: მეორე ისე, რომ ყოველივე ეგენი განსაკუთრებულიყო. თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე, უს-წორო-მასწორობას მიწის-მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა – მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შე-ეკვრებოდა“ (ჭავჭავაძე, 1987, 152).

ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ ჩვენს მიერ წინა პარაგრაფში განსაკუთრე-ბით გამორჩეულად აქცენტირებული თემური წეს-წყობილების გადმონაშ-თები კახეთის (აღმოსავლეთ საქართველოს) სინამდვილეში დადასტურებუ-ლი ფაქტია, რომელიც ილიამაც დაინახა და შეაფასა. უდიდეს მნიშვნელო-ბად გვესახება ისიც, რომ ილია ხაზს უსვამს კაპიტალიზმის შეჭრის პრო-ცესის შემდეგ ქართული სოფლის რადიკალურ სოციალურ ცვლილებებს, სოციალური უთანასწორობის გაღრმავებას, ადამიანთა დიდი მასების გა-ჩანაგებას („უსწორ-მასწორობა მიწის-მფლობელობაში“).

კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გვეჩვენება დიდი ილიას შემდეგ დაკვირვე-ბაც: „ბოლოს და ბოლოს ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობი-სას (იგულისხმება – „სამსოფლო ხმარება“ – ანუ თემური ორგანიზაცია – ა. დ.) ყური არ ათხოვეს; გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში (ანუ დიფერენცია-ცია სოციალურ ურთიერთობაში – ა. დ.), არამცთუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც. არიან ეხლა იმისთანა კომლეულნი გლეხთა შორის, რომელთაც დაუპყრიათ სოფლის მამულები ასის, ორასის დღისა, და რომელთაც თავის ხიზნები ჰყავთ, ყმებზედ უარესად შეწუხებულნი. არიან იმისთანა სოფლებიცა, ოთხი-ხუთი კომლია, და ხუთას-ექვსასი დღის სამსოფლო მამულები აქვთ, მაშინ როდესაც მათ გვერდით სხვა სო-ფელია, საცა მიწა ენატრებათ და არ იციან ვიწროობისა გამო, რა ქნან და საით წავიდნენ“ (ჭავჭავაძე, 1987, 152).

„რა ქნან, საით წავიდნენ“ ამბობს ილია და თვითონვე სთავაზობს ქარ-თულ სოფელს თავის პროგრამას, კონკრეტულ გეგმას ცხოვრებაში განსა-ხორციელებლად: „...სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეხილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვა-რი საზეთო, სამღებრო, სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მიწისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულისათვის, როგორც, მაგალითად, პურია, ჩვენი ფიქრით დიდი შეცდომაა... ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყ-ნის ბუნება ნებას გვაძლევს უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმა-ვე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით“ (საქართველოს სსრ სახალ-ხო მეურნეობა..., 1967, 55).

ილიას ეს პროგრამა საქართველოში განხორციელდება დაგვიანებით, მაგრამ ბოლომდე...

§ 3. გულგულას კომუნა

სოციალური დიფერენციაციის ის მწვავე შედეგები, რაც კაპიტალიზმა შემოიტანა საქართველოში და ილია ჭავჭავაძეს შევუმჩნეველი არ დარჩენია („ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში“), სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა უკვე XX საუკუნის დასაწყისში. ეს საყოველთაო მოვლენა იყო, უკვე დამახასიათებელი რუსეთის უკიდეგანო იმპერიისათვის, რამაც მომავალში საკმაოდ რადიკალური აგრარული მოძრაობა გამოიწვია. შეიძლება ყველგან ერთნაირი მასშტაბით არა, მაგრამ ქართულ სოფელში სოციალური განსხვავებები მკვეთრად შესამჩნევი აღმოჩნდა – ეს ეხებოდა როგორც მიწის კერძო საკუთრებას, ოჯახში გამწვევი თუ მარჩენალი საქონლის სულადობას, ან მის ქონა-არქონებას, აგროტექნიკური საშუალებების ფლობას, ოჯახურ შრომით ტრადიციებს და სხვა მრავალ წვრილმანს. სწორედ ამან შეამზადა ობიექტური პირობები რუსეთის I რევოლუციისათვის.

ობიექტური პროცესების პარალელურად გამოჩნდა სუბიექტური ფაქტორებიც, რომლებიც სოფლად აგრარული რეფორმის განხორიცლების სხვადასხვა პროექტის რეალიზებას ითვალისწინებდა. პირველ რიგში ეს იყვნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სპეციალურ აგრარულ პროგრამებს ამუშავებდნენ, მაგრამ იყვნენ ფილანტროპი, გარკვეული იდეით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ ამ იდეების სოფლად ცხოვრებაში დასანერგად. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო კახელი მემამულე, გულგულელი ფილანტროპი, კომუნალური იდეით შეპყრობილი ვანო კოლელიშვილი.

ჩვენთვის უცნობია – იცნობდა თუ არა ივანე კოლელიშვილი ილია ჭავჭავაძის მოსაზრებას ქართულ სოფელზე, რის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ჩვენ ისიც არ ვიცი – შემჩნეული ჰქონდა თუ არა ვანო კოლელიშვილს კახეთის სოფლისათვის დამახათიათებელი ის თავისებურება, რაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა კახეთის სოფლის სოციალურ შინაარს – საზოგადოებრივი საკუთრების მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლეთ საქართველოში.

მაგრამ საზღვარგარეთ ყოფნის დროს ის გაეცნო აგრარული კომუნალური მოძრაობის თეორიულ საფუძვლებს და გულმხურვალე „კომუნისტი“ გახდა. მან გადაწყვიტა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ეს ფორმა, რომელზეც დასავლეთ ევროპის სოციალისტები და სოციალ-დემოკრატები დიდ იმედებს ამყარებდნენ, ქართულ სოფელში დაენერგა. მისი აზრით ეს იყო ქართული სოფლის მომავალი ზეაღმავალი განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება. მისი პატრიოტული საქმიანობა უყუ-

რადღებოდ არ დარჩენია ილია ჭავჭავაძის „ივერიას“, რომელიც ამ კეთილ კაცზე წერდა შემდეგს: „ბატონი ვ. კოლელიშვილი ერთადერთი ინტელიგენტია გულგულაში, რომელსაც მრავალჯერ უწინამძღვრია სოფლისათვის, მრავალჯერ მძიმე ტვირთი შეუმსუბუქებია საზოგადოებისათვის, ამიტომაც სოფლის საზოგადოება დიდადაც ენდობა“ (გიგიტელაშვილი, ნანობაშვილი, 2010, 55).

იმ წლებში გულგულა ტიპიური კახური სოფელი იყო. შემოსავლის ძირითად წყაროს მეღვინეობა წარმოადგენდა. ქალაქელი ჩარჩ-ვაჭრების ხელში სოფლის გლეხობა დიდ სიდუხჭირეს განიცდიდა – ვაჭრები ატყუებდნენ გლეხებს, ცდილობდნენ ღირებულებაზე იაფად შეეძინათ მათი ჭირნახული, ამასთან, ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყველა პირობა, რომ გლეხისაგან რაც შეიძლება მუქთად შეესყიდათ ჩინებური კახური ღვინო.

კახელ გლეხს რუსეთის იმპერიული სახელმწიფოც შეუბრალებლად ჩაგრავდა – ყოველწლიური სავალდებულო გადასახადები, ხშირ შემთხვევაში, საშუალო გლეხის ოჯახსაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

როგორც აღნიშნავენ, თანასოფლელების მძიმე მატერიალური მდგომარეობა სერიოზულად აღელვებდა ვანო კოლელიშვილს. სოფელ გულგულაში, ისევე რგორც საქართველოს სხვა სოფლებში, აშკარად გამოკვეთილი სოციალური სტრუქტურა უკვე სახეზე იყო – უამრავ ღარიბ და ბოგანო გლეხში აშკარად შეიმჩნეოდა საშულო გლეხთა კატეგორია, რომელიც იყო გარკვეული საფუძველიც და, ამასთან, მნიშვნელოვანი წყაროც მდიდართა კატეგორიაში გადასასვლელად.

სწორედ ღარიბი და ბოგანო გლეხობის მდგომარეობის გამოსწორება სცადა ივანემ ჯერ იმით, რომ შეეცადა კოლექტიური ღვინის სარდაფი შეექმნა, სადაც კოლექტივის თვითოეული წევრი თავისი ჭარბი მოსავლიდან გარკვეულ ნაწილს შეინახავდა, ღვინოს დაწურავდა, დააძველებდა, გაყიდიდა და შემოსავალს ერთმანეთში გაინაწილებდნენ წილობრივი პრინციპით. ეს პროექტი ვერ განახორციელეს მეფის რეჟიმის პირობებში, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის დაწყების შემდეგ, როცა საქართველოს რევოლუციური გამოსვლების ტალღამ გადაუარა. კახეთში, გულგულაშიც შეიქმა ახალი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის დაფუძნების ობიექტური თუ სუბიექტური პირობები.

1906 წლის 8 იანვარს (არის მეორე ციფრიც – 5 იანვარი) ვანო კოლელიშვილმა თავის სახლში მოიწვია სოფლის ღარიბი და ბოგანო გლეხები და ამ სიტყვით მიმართა: „ძმებო და ამხანაგებო! გაჭირვება თქვენი დიდია, მდგომარეობა თქვენი აუტანელი. თქვენთვის არ არსებობს არც თბილი სადგომი, არც კარგი სასმელ-საჭმელი და ტანისამოსი, არც მოსვენება, არც ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. მუდამ დღე მუშაობთ, სისხლის ოფლს ღვრით და თქვენი თავისთვის ვერ მოგიცხიათ რა... აბა შეხედეთ თქვენს შვილებს, შიმშილ-სიცივისაგან გამოყვითლებულან, დაავადმყოფებულან, დაღვრემილ-დაქრუშულან. სად არის მაგათი საამოდ ბალღურად

მომდიმარი სახე, სიცოცხლით სავსე თვალები? სად არის მათი ბალღური სიცელქე?...ცალკ-ცალკე რომ ვიყვნეთ, ჩვენ გაჭირვებას, ჩვენ დაბეჩავებას ვერ მოვუვლით, რადგან ჩვენი გაჭირვება დიდია, და ერთმანეთისაგან განცალკევებულებს ძალა არ შეგვწევს... ძმებო, ჩვენ, ვისაც ქონება გვაქვს, ჩვენი ქონება ჩამოვიდეთ სასოფლოდ, ამხანაგურად დავამუშავოთ უქონლებთან ერთად და ამხანაგურად გავიყოთ ჩვენი ნაწვავ-ნადაგი...“ (ხვადაგიანი, 2015, 26).

ჩვენ მიერ წარმოდგენილია საკმაოდ შემოკლებული ვარიანტი ი. კოლელიშვილის საპროგრამო გამოსვლიდან, რაც აშკარად კომუნისტური სულისკვეთებისაა და კარგად მიანიშნებს ივანე კოლელიშვილის რადიკალურ პოლიტიკურ შეხედულებებზე. ვანოს აზრით, მომავალი კომუნის მთავარი პრინციპი უნდა გამხდარიყო მუყაითი, პატიოსანი, უღალატო შრომა, საერთო დოვლათის შექმნა და მისი დაცვა, ყველაფერში წესრიგის დამყარება, ურთიერსიყვარულისა და პატივისცემის დამკვიდრება, სოფელზე ზრუნვა, გლეხების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ა.შ.

როგორც კრებაზე დამსწრე კომუნარები მოგვიანებით იგონებდნენ: „ვანო კოლელიშვილმა მომავალი კომუნის სიკეთე ისე ნათლად დახატა, რომ წელში მოხრილი გლეხები მხარში გაიშალნენ, გამოცოცხლდნენ“ (გიგიტელაშვილი, ნანობაშვილი, 2010, 23).

კომუნაში თავდაპირველად 50 კაცი ჩაეწერა. აირჩიეს კომუნის კომისია, რომელსაც უნდა აღერიცხა კომუნის შემოსავალ-გასავალი. ვ. კოლელიშვილი დაპირდა ხალხს, რომ სანამ საერთო მატერიალური სიკეთეები გაჩნდებოდა, მანამდე ის, მატერიალურად დაეხმარებოდა კომუნასა და კომუნარებს.

კომუნარი აბრია ოხანაშვილი იგონებს: „მამა გარდამეცვალა და დედამ მოჯამაგირედ დამაყენა ზანანაშვილებთან. 11-12 წლის ვიყავი, ვანომ რომ კომუნა შეადგინა. ის ერთ საღამოს მოვიდა და მითხრა: შენი დედა, ბებია ჩვენთან ძმობაში არიან. მათ შვილს მოჯამაგირედ რა უნდა? შენც იქ უნდა წამოხვიდეო. მე გამიხარდა, მაგრამ საკითხი ჩემით ვერ გადავწყვიტე. ვუთხარი – ხაზეინი არ გამომიშვებს მეთქი. ვანომ დაუძახა ხაზეინს და უთხრა – ახლა ახალი დრო არის. შენ უფლება არა გაქვს მოჯამაგირე გყავდეს, ახლავე უნდა გაანთავისუფლოო. ხაზეინმა უარი არ უთხრა, მაშინვე წამიყვანა სახლში, ჩამაცვა შარვალ-ხალათი და ასე ჩაცმული გამოვცხადდი კომუნაში. ეს კოლელიშვილის გავლენით მოხდა“.

კომუნა და კომუნარები თავისი ისტორიის პირველ ნაბიჯებს დგამდნენ. თვითმხილველთა გამოცემებით აღდგენილია კომუნის მოღვაწეობი მეტნაკლებად სრული სურათი: „პირველ კომუნარებს მოთხოვნილება დიდი არა ჰქონდათ. ერთმანეთს ერიდებოდნენ. კარგად იცოდნენ, რომ საერთო დოვლათი ჯერ არ ჰქონდათ შექმნილი და საჭირო იყო ეკონომია. პირველ ხანებში კომუნა ვ. კოლელიშვილის სახსრებით არსებობდა. შრომის ორგანიზაციას კომუნის თავმჯდომარე აწესრიგებდა. შრომა რეგლამენტირებუ-

ლი იყო – მძიმე ფიზიკურ სამუშაოს კაცები აკეთებდნენ, ქალები მსუბუქ სამუშაოს ასრულებდნენ. კომუნაში მოზრდილებიც საკმაოდ იყვნენ. კომუნაში უსაქმურს ვერ ნახავდით. პირველ კომუნარებში გავრცელებული იყო საყურადღებო ანდაზები: „ძილმა მითხრა გულახდილად – ნებას მოგცემ, დაიძინე, სიღარიბის ყავარჯენსა ხელში მოგცემ – დაიბჯინე“, ან კიდევ – „ვინც ბევრი იძინა, იმან ცოტა იცოცხლაო“ და ა. შ. კომუნაში შრომის დღეების დარიცხვა არ ხდებოდა. კომუნარები სინდისიერად მუშაობდნენ. ეს უკმაყოფილებას და გაუგებრობას არ იწვევდა. ვისაც სად ჰქონდა მიწა, იქ ამუშავებდა. სიფრთხილეს იჩენდნენ, რომ კერძო გლეხები არ გაეღიზიანებინათ. პროდუქტების განაწილებას საანგარიშო განყოფილება ახდენდა. აღირიცხებოდა მთელი შემოსავალი და **იყოფოდა სულადობაზე** (ხაზგასმა ჩვენია – ა. დ.). კომუნის წევრს მთელი წლის სარჩოს ერთბაშად აძლევდნენ, განაწილების შემდეგ დარჩენილი პროდუქტი განუყოფელ ფონდში გადაირიცხებოდა და მას იყენებდნენ საერთო საჭიროებისათვის.“ (გიგიტელაშვილი, ნანობაშვილი, 2010, 25).

როგორც აღნიშნავენ, კომუნამ თავისი საქმიანობით გულგულას გლეხების ყურადღება დაიმსახურა, რის გამოც კომუნარების რიცხვი თითქმის გაორმაგდა. მათი შრომა ნაყოფიერი აღმოჩნდა, გადაწყდა ნაფარეულის საუფლისწულო მამულის იჯარით აღება, გეგმები კომუნას სხვა მიმართულებითაც ჰქონდა. მაგრამ როგორც ბევრ ალტრუისტულ წამოწყებას, ამ საქმესაც სერიოზული ოპონენტები გამოუჩნდენენ. როგორც აღნიშნავენ – „წარმატებამ დიდხანს არ გასტანა, თუმცა პრობლემა არა კომუნის შიგნით, არამედ გარემო პირობების ცვლილებამ შექმნა: კომუნის ზრდა განვითარება უსიამოვნოდ და სახიფათოდ ჩანდა სოფლის ბინადართა ნაწილისათვის, რომელთაც საკუთარი, განვითარებული მეურნეობები ჰქონდათ და დაქირავებულ შრომას – მოჯამაგირეების სამსახურს იყენებდა. მოჯამაგირეთა უმრავლესობამ კომუნაში შესვლა, უკეთესი შრომისა და გამომუშავების პირობები არჩია, რამაც ყოფილი დამქირავებელი გლეხების უკმაყოფილება და კომუნის მიმართ მტრობა გამოიწვია“ (ხვადაგიანი, 2015, 29)

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ შემთხვევასთან – კლასობრივი დაპირისპირება და შეურიგებლობა მდიდარ გლეხობასა და სოფლის უღარიბეს წევრებს – მოჯამაგირეებს შორის. საერთოდ, პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ ეტაპზე ძველი და ახალი საზოგადოებათმცოდნეები აშკარად უარყოფდნენ საქართველოში „კულაკების“ (მდიდარი გლეხების არსებობას). ის რომ ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ირ. ხვადაგიანი კახეთის სოფელში აფიქსირებს კლასობრივი ბრძოლის გამოვლენას, ეს ობიექტური და სამართლიანი შეფასებაა. ეს ილია ჭავჭავაძის ზემოთმოტანილი თეზისის („ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში“) კონკრეტული დასაბუთებაა ერთი სოფლის მაგალითზე.

სოფლის ბობოლებმა ივანეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს, დასაშინებლად მის სახლს იარაღიდან ესროლეს, ყველაფერი გააკეთეს, რომ მეფის ხელისუფლებას ივანე კოლელიშვილი დაეპატიმრებინა, ხოლო მისი

წამოწყება, კომუნა – დაეშალა. მეფის სასამართლომ ამ საქმეში დამნაშავე „კულაკები“ გაამართლა, ხოლო ივანე კოლელიშვილი პოლიტიკურად რასაიმედო პირად გამოაცხადა.

ივანე საზღვრგარეთ გაემგზავრა... მისი ცოდნა და გამოცდილება იმჯერად მის ქვეყანას არ ჭირდებოდა... მისი დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი...

§ 4. ქართული სოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომის აუცილებლობა მოამწიფა კაცობრიობის ისტორიულმა განვითარებამ. მისი შედეგები საქართველოშიც მწვავედ იგრძნობოდა. საქართველომ, ძირითადად კი ქართულმა სოფელმა, ფრონტებზე 200 ათას კაცზე მეტი გააგზავნა. გაჭიანურებულმა ომმა, რუსეთის მოუმზადებლობამ, უზარმაზარმა მატერიალურმა და ადამიანურმა დანაკარგებმა სერიოზული პრობლემები შექმნა როგორც მთლიანად იმპერიაში, ისე საქართველოშიც.

სოფლად არსებული პრობლემები გამოწვეული იყო ჯერ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, პირველი მსოფლიო ომის უმძიმესი შედეგებით. ომში ასეულათასობით ქართველი გლეხის გაწვევამ სოფლად დასცა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის წარმოების მოცულობა, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა შიმშილობა, ფრონტიდან დაბრუნებულ ათასობით ქართველ გლეხს, მიწის სიმწირის გამო, არ ჰქონდა და არ ჰყოფნიდა მიღებული სურსათ-სანოვაგე. კრიზისი იყო საყოველთაო.

ამას ისიც დაემატა, რომ ომის ვითარებაში მეფის რუსეთმა „მშრალი კანონი“ გამოაცხადა, რაც სპირტიანი სასმელების გასაღებას კრძალავდა. 1914 წლის აგვისტოდან თბილისში ღვინითა და მაგარი სასმელებით ვაჭრობა აიკრძალა, 1915 წლიდან ღვინით ვაჭრობა იმათაც აუკრძალეს, ვისაც ნება ჯერ კიდევ შერმორჩენილი ჰქონდათ. ალკოჰოლიანი საწარმოები ერთიმეორეს მიყოლებით იხურებოდა მუშა-ხელის ნაკლებლობის გამო. 1915 წელს არსებობა შეწყვიტეს ისეთმა მსხვილმა ფირმებმა, როგორიც იყო „არგო“, „რექტიფიკატი“, „სარაჯიშვილის მემკვიდრენი“ (მარგიანი, 1976, 294).

ამ ვითარებამ დიდად შეამცირა მოთხოვნილება ქართულ ღვინოზე, სარაჯიშვილის ფირმის კონიაკზე, დარგში შეიქმნა კრიზისი, კახურ ღვინოზე მოთხოვნილება ტოტალურად შემცირდა. ამან სერიოზულად დააზარალა კახეთის მეღვინე მოსახლეობა – მათი პროდუქცია ბაზრის გარეშე დარჩა.

ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ მეფის რუსეთი ყველაზე ცუდად მოემზადა ომისათვის და ომის ფრონტებზე სერიოზულმა მარცხმა მძიმე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია ქვეყანაში, რაც ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომით და რუსეთში მონარქიის ლიკვიდაციით დასრულდა. დროებითმა მთავრობამ ხელში აიღო ძალაუფლება, მაგრამ ვერცერთი საჭირბოროტო საკითხის გა-

დაწყვეტა ვერ შეძლო. სამაგიეროდ გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები – საქართველოში განსაკუთრებით მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები. მათ პარტიულ-ორგანიზატორული, იდეურ-პროპაგანდისტული და საპარლამენტო მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ. თანაც ქართველი სოციალ-დემოკრატების აღიარებული ლიდერები: კ. ჩხეიძე (რუსეთის სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრანქციის თავმჯდომარე), ი. წერეთელი (რუსეთის დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი), ა. ჩხენკელი (რსდმ პარტიის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი) და სხვები პეტროგრადში დიდი გავლენით სარგებლობდნენ.

იმ პერიოდში ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ და რუსეთიდან გამოყოფას არ ფიქრობდნენ. ისინი კვლავ ვარაუდობდნენ, რომ ძლევამოსილი რუსეთის დემოკრატიული რევოლუცია უზრუნველყოფდა რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის (განურჩევლად ენისა, აღმსარებლობისა და ნაციონალური კუთვნიელებისა), უკვე ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, ზეაღმავალ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. მათი პროგრამები რუსეთის რევოლუციას არ შეუცვლია – პირიქით, ამ პროგრამის პირველი ნაწილი – „მინიმუმი“ შესრულდა. მაგრამ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები (ე.წ. „მენშევიკები“), „ბოლშევიკებისაგან“ განსხვავებით, არ ვარაუდობდნენ პროგრამის მეორე ნაწილზე – „მაქსიმუმზე“ გადასვლას, რადგან მიაჩნდათ, რომ რუსეთის მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური (ანუ ობიექტური) გარემოებები ამის აუცილებლობას არ აყენებდა. მათ კვლავ სჯეროდათ, ორთოდოქსალური მარქსიზმიდან გამომდინარე, კაპიტალისტურ ურთიერთობებს უნდა ამოწურათ თავისი შესაძლებლობები და შეემზადებინა მტკიცე ნიადაგი სოციალიზაციისათვის.

აქედან გამომდინარე აგრარულ სფეროში ისინი (ე.ი. „მენშევიაკები“) ერთგულნი იყვნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამის, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ჯერ კიდევ 1906 წლის გამაერთიანებელ ყრილობაზე მოიწონა, რაც გულისხმოაბდა მიწების გადაცემას მუნიციპალიტეტებისათვის, რომლებიც გაანაწილებდნენ გლეხებს შორის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული ნორმების მიხედვით.

მაგრამ როგორც სამართლიანად მიუთითებენ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ „რეფორმისათვის ელემენტარული პირობების არარსებობა, დასახული მიზნის სრულად რეალიზაციის შესაძლებლობას არ იძლეოდა“ (ვადაჭკორია, 2001, 292).

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია გამორიცხავდა მიწების „რევოლუციურად“ გადანაწილების ანუ ექსპროპრიაციის გზას, რაც რუსეთში უკვე დაწყებული იყო და კიდევ უფრო ენერგიულად გაიშალა ბოლშევიკების მიერ ამ მიმართულებით პროპაგანდის გაძლიერების შემდეგ. ევოლუციური გზის აღიარებამ ქართველი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები აშკარად მოაქცია მათზე უფრო მემარცხენე პარტიების – ბოლშევიკების, სო-

ციალისტ-ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების კრიტიკის ქვეშ.

რაც შეეხება „მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას“ – ეს მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებისათვის ერთობ რთული გადასაწყვეტი ამოცანა აღმოჩნდა, რადგან სოციალიზმი (განსაკუთრებით მარქსისტული სოციალიზმი) კერძო საკუთრების დაშვებით უკვე აშკარად სოციალიზმს შორდება და ეს ბევრ პრობლემას უჩენდა პარტიას, რომელსაც სურდა რევოლუციური, მარქსისტული, სოციალისტურიც ყოფილიყო და კაპიტალიტური წყობილების ელემენტებიც განევითარებინა.

დამოუკიდებელი საქართველო 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა და თავიდანვე უამრავი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მათ შორის იყო აგრარული ისაკითხიც. ღატაკი ქართველი გლეხი (მათ შორის კახელიც) ვეღარ ითმენდა, ის იარაღით ხელში ცდილობდა სანუკვარი მიზნის მიღწევას – მიწის ხელში ჩაგდებას. სოფლად არსებული დაძაბულობის აღსაკვეთად აუცილებელი იყო აგრარული საკითხის უმოკლეს ვადაში გადაწყვეტა და პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერება სოფლად, რათა აეხსნათ გლეხებისათვის დემოკრატიული საქართველოს მთავრობის გეგმები სოფელთან დამოკიდებულებაში.

როგორც ჩანს, ბოლშევიკური პროპაგანდისტული მანქანა, ამ მხრივ, მენშევიკურთან შედარებით, იმჟამად უფრო ორგანიზებული და გამართული იყო და ისინი ჩინებულად ახერხებდნენ გლეხობის პროვოცირებას დემოკრატიული ხელისუფლების წინააღმდეგ, განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ პირველ თვეებში.

აგრარულ სფეროში ჯერ კიდევ არსებულ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს კარგად ხედავდნენ თვითონ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების პარტიაშიც. გაზეთ „ერთობის“ კორესპონდენტები ცდილობდნენ ობიექტურად აეხსნათ გლეხთა გამოსვლების მიზეზები. ისინი აღნიშნავდნენ: „გლეხობას ჩვენ ვერ მივეცით მიწა და ეს გარემოებაა, რომ სოფელი ჩვენ მთავრობას არ ემორჩილება...“ („ერთობა“, 1918, 28, 06), „ჩვენსა და გლეხობას შორის ხიდია ჩატეხილი... მდგომარეობა ცუდი იყო და არის დღესაც...“ („ერთობა“, 1918, 10, 09); „საერთოდ სოფელი უყურადღებოდ არის მიტოვებული, ჩვენი ვალია მეტის ენერგიით ვიმუშაოდ სოფლად, საჩქაროდ ჩავატაროთ მიწის რეფორმა“ („ერთობა“, 1918, 1, 02) და ა.შ

ზემოთ მოტანილი კომენტარებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში, მით უფრო მმართველ პარტიაში, იმჟამად სათანადოდ აცნობიერებდნენ გლეხთა მღელვარების მიზეზებს, მათ მიმართ დაშვებულ შეცდომებს და კონფლიქტის მოსაგვარებლად მთავრობას კონკრეტული ღონისძიებების გატარებისაკენ მოუწოდებდნენ. აქედან გამომდინარე, აგრარული რეფორმა უმოკლეს ვადაში მომზადდა, თუმცა იმჟამინდელი ურთულესი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური ვითარების გამო, მისი მთლიანად და უნაკლოდ განხორციელება ვერ მოხერხდა. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ რე-

ფორმის გატარებამ იხსნა საქართველო აგრარულ ნიადაგზე მოსალოდნელი სამოქალაქო ომისაგან.

მაგრამ საქართველოში რეფორმის ეს პროექტი ყველასათვის მისაღები არ იყო. სოციალ-დემოკრატების „მუნიციპალიზაციის“ პროგრამას მიუღებლად აცხადებდნენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები. სოციალისტ-ფედერალისტები მიწის სოციალიზაციას (განსაზოგადოებას) მოითხოვდნენ.

რაღაც ეტაპზე თვითონ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიაც ნაწილობრივ გაემიჯნა მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას და გადაწყვდა მიწის კერძო მფლობელობის გარკვეული ფორმით საქართველოში დანერგვა. ამ იდეის პროპაგანდისტი და გამტარებელი მიწათმოქმედების მინისტრ ნ. ხომერიკი იყო და ის მეთოდურად ახორციელებდა თავის გეგმებს ქართულ სოფელში. იმჟამად აშკარად გამოიკვეთა, რომ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები გადაიხარნენ სოფლად კაპიტალისტური აგრარული ურთიერთობების განვითარებისაკენ, რასაც უდავოდ გამოიწვევდა მიწის კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებით მიწის ყიდვა-გაყიდვის გარკვეული მასშტაბით კულტივირება. პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ამ ნაბიჯს დადებითად თვლიან (ვადაჭკორია, 2001, 299). კომუნისტი ისტორიკოსები კი „მენშევიკების“ აგრარულ პროგრამას სოციალიზმის გზიდან გადახვევად ნათლავდნენ (ჩარკვიანი, 1970, 123)

მიგვაჩნია, რომ ქართულ სოფელში აგრარული პოლიტიკის კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანა, შესაძლებელია, უზრუნველყოფდა სოფლის ზეაღმავალ განვითარებას, მაგრამ ის, ასევე, უზრუნველყოფდა მიწის ფონდის ამოძრავებას, ყიდვა-გაყიდვის დაშვება გამოიწვევდა კლასობრივი დიფერენციაციის გაძლიერებას სოფლად, ზოგს ზედმეტად გაამდიდრებდა, ზოგსაც სასტიკად გააღარიბებდა. ხოლო სოციალურ დიფერენციაციას, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას შეიძლება სოფლად კვლავ უმართავი პროცესები გამოეწვია, რასაც ხელისუფლება უკვე ვეღარ გააკონტროლებდა.

მაგრამ სარგებლობდნენ რა დამფუძნებელ კრებაში უპირატესი წარმომადგენლობით, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებმა სოფლად განახორციელეს თავისი ყველა მიზანდასახულობა. საუფლისწულო, მემამულეების, ეკლესია-მონასტრების მიწების დიდი უმეტესობა ჩამოართვეს მფლობელებს. დაწესდა მიწის ზღვრული ნორმები – 7, 15, 40 დესეტინა მიწა, რომელიც უნდა ჰქონოდა თითოეულ კომლს, იმისდა მიხედვით თუ სად ბინადრობდა ეს კომლი: „კულტურული მცენარელობის მეურნეობაში, ხორბლეულის მეურნეობაში თუ მესაქონლეობის მეურნეობაში“ (ვადაჭკორია, 2001, 316-317).

არ შეიძლება არ შევამჩნიოთ აშკარად დადებითი მნიშვნელობა გატარებული აგრარული რეფორმის – როგორც სამართლიანად მიანიშნებს კ. ჩარკვიანი – „ამ აგრარული რეფორმის შედეგად მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციამ იურიდიული დადასტურება მიიღო“ (ჩარკვიანი, 1970, 82).

ამასთან, პროფ. ა. ბენდიანიშვილის აღიარებით – 1918-1920 წლებში თავისუფლად ვითარდებოდა წვრილი და საშუალო მოცულობის გლეხური მეურნეობა“ (ბენდიანიშვილი, 2012, 220). ეს ცოტა, ნამდვილად, არ იყო – საქართველო ტრადიციულად და ძირითადად ფეოდალური აგრარული ურთიერთობების წიაღში ტრიალებდა, ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთები იმჟამად აშკარად შეიმჩნეოდა როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ადამიანთა ფსიქოლოგიაში. კაპიტალისტური ურთიერთობის დამკვიდრებას შეეძლო ეს გამოესწორებინა, მაგრამ ამას დრო ჭირდებოდა და მიზანმიმართული მუშაობა. ამისთვის კი სწორედ ეს დრო არ ეყოთ. სამხრეთ კავკასიაში კომუნისტური რუსეთის ინტერესები აშკარად წინა პლანზე იწევდნენ და თავის ორბიტაში თანდათან აქცევდნენ კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებს. 1921 წლის თებერვალში რუსეთმა საქართველოში ძალით დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV. 1973.
2. ბენდიანიშვილი ა., რუსეთის კოლონიალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია. იხ.: ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.
3. ბენდიანიშვილი ა., საქართველოს პარლამენტისა და დროებითი მთავრობის საქმიანობა (1918 წლის მაისი -1919 წლის თებერვალი), იხ.: საქართველოს ისტორია, ტ. IV, 2012.
4. ბრეგაძე ნ., საქართველო – მიწათმოქმედების დამოუკიდებელი კერა, თბ.,2004.
5. გიგიტელაშვილი ზ., ნანობაშვილი ბ., სოფელი გულგულა, თბ., 2010.
6. გოგოლაძე დ., ქართული სოფელი ფეოდალიზმის ხანაში (VI-XVIII სს.), თბ.,1997.
7. ვადაჭკორია შ., ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001.
8. მარგიანი გ., საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917. თბ., 1976.
9. მუსხელიშვილი დ., ნეოლითური რევოლუცია, იხ.: დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016.

10. მუსხელიშვილი დ., ქართველ ტომთა პირველსაცხოვრისი, იხ.: დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი, ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე, თბ., 2016.

11. მელიქიშვილი გ., სასოფლო თემი. მეთემენი. იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

12. ლორთქიფანიძე მ., კახეთი, იხ,: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973.

13. სამსონაძე მ., სათავადოთა სისტემის აღმოცენება, იხ,: დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 2012.

14. სამსონაძე მ., ბახტრიონის აჯანყება, იხ,: დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 2012.

15. ჯამბურია გ., გლეხთა კლასი, იხ,: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

16. ჭუმბურიძე დ., რუსული დასახელებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, იხ,: ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.

17. ხოშტარია ე., კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.

18. ჩარკვიანი კ., ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ, თბ., 1970.

19. ჭავჭავაძე ი., თხზ. ტ. 4, თბ., 1987.

20. ხვადაგიანი ი., გულგულას კომუნა, კრ.: „ინიციატივა ცვლილებისათვის“, თბ., 2015.

21. ჯავახიშვილი ივ., თხზ. ტ. III, თბ., 1982.

22. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 10 სექტემბერი.

23. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 1 თებერვალი.

თავი III.

საბჭოთა ხელისუფლების აგრარული კანონმდებლობა

§ 1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები აგრარულ სექტორში და მისი შედეგები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც საქართველოს უზენაეს ხელისუფლებად გამოცხადდა, ერთ-ერთი პირველი მნიშვნელობის ამოცანად ქვეყანაში აგრარული უფრთიერთობების კომუნისტურ პრინციპებზე გატარება დაისახა – ეს ნიშნავდა, რომ საქართველოს სოფელში უნდა დანგრეულიყო ტრადიციული აგროურთიერთობები და ჩამოყალიბებულიყო რადიკალურად განსხვავებული, ახალი – კომუნისტური.
მაგრამ მოხდა ისე, რომ საქართველოში საჭოთა ხელისუფლების დამყარება დაემთხვა რუსეთში კომუნისტური პარტიის X ყრილობისათვის მზადებას, როცა დაიწყო რუსეთის სოფელში კომუნისტური გადატრიალების შემდგომდროინდელი რეალიზებული პოლიტიკიდან რადიკალური შემობრუნება – უკუსვლა.
სასოფლო პოლიტიკის ასეთი მკვეთრი შეცვლის აუცილებლობა გამოიწვია აგრარულ სფეროში გატარებული კომუნისტური ნოვაციების უშედეგობამ, იმ ეკონომიკურმა კოლაფსმა, რაშიც ქვეყანა აღმოჩნდა სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განხორციელებულმა „სამხედრო კომუნიზმის“ პოლიტიკამ, რომლის დროს გლეხს უტოვებდნენ მხოლოდ სურათ-სანოვაგის მცირე რაოდენობას, რაც მას და მის ოჯახს საკვებად ძლივს ყოფნიდა, ხოლო დანარჩენი ნაწილის რეკვიზიციას ახდენდნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რუსეთის სოფელში ისეთი კოლაფსი და სტაგნაცია გამოიწვია, რომ რუსეთში შიმშილობამ კოლოსალური მასშტაბები შეიძინა.

1921 წლის დასაწყისში ყველაზე უფრო ორთოდოქსი კომუნისტიც კი დარწმუნდა, რომ პარტია აუცილებლად უნდა წასულიყო კომპრომისზე გლეხობასთან, რათა ქვეყანა საბოლოოდ არ განადგურებულიყო და ეკონომიკური სტაგნაცია შეჩერებულიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რევკომის (საქართველოში უმაღლესი კომუნისტური საკანონმდებლო ორგანო) პირველი აგრარული ნაბიჯიც მიანიშნებს, რომ ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელები აშკარად ელოდებოდნენ მოსკოვში პარტიული ფორუმის დასრულებას, ამიტომაც მათი პირველი განკარგულება („დეკრეტი“) ეხება არა მიწების ნაციონალიზაცია-განაწილებას, მემამულეთა ქონების ექსპროპრიაციას (რაც ლენინური მიმართულების სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის აგრარული

პოლიტიკის მთავარი საფუძველი იყო), არამედ სოფლად არსებულ სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობაში „სტატუს-კვოს“ შენარჩუნებას, არსებული ქონებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დაცვა-მოფრთხილებას.

მოსკოვში კი დებატები სოფელში განსახორციელებელ რეფორმებზე კვლავ გრძელდებოდა. ვ. ლენინმა თვითონ შეიმუშავა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა („ნეპი“), რომელიც ითვალისწინებდა „გაწერის შეცვლას ნატურალური გადასახადით“. კომუნისტური პარტიის X ყრილობამ (1921 წ.) ამ მიზნით მიიღო სპეციალური დადგენილებაც.

კომუნისტური პარტიის X ყრილობის რეზოლუციები აგრარულ საკითხზე აშკარად მიანიშნებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება კოლაფსიდან გამოყვანის იმედს ამყარებს უკვე გლეხობის კლასზე – განუყოფლად მთლიანზე, სოციალური ფენებისა თუ შეძლებულობის კრიტერიუმებისა და სოციალური სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე. უკვე ჩაითვალა, რომ სწორედ მას – გლეხობას ხელეწიფებოდა სტაგნაციის დაძლევა და ეკონომიკური კოლაფსის დასრულება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ყრილობის გადაწყვეტილება უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს გლეხს, ვიდრე „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში ჰქონდა. უკვე აღარ ზღუდავენ მის კომერციულ აქტივობას. გარკვეული ღოზით ქვეყანაში დაუშვეს საბაზრო ეკონომიკის ელემენტები – ყიდვა-გაყიდვა, კერძო სექტორის აქტივიზაცია.

ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ჩამოთვლილია ის ამოცანები და შეთავაზებები, რასაც საბჭოთა ხელისუფლება იმეტებდა იმჟამად სოფლისათვის: „... გლეხური მიწათსარგებლობის განმტკიცება; გლეხური მოსახლეობისათვის მიწათსარგებლობის ფორმების არჩევის თავისუფლების მინიჭება; გლეხური მეურნეობის წესიერი არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი ყველა პირობის შექმნა... „უნდა დაეხმაროს (იგულისხმება საბჭოთა სახელმწიფო – ა. დ.) გლეხობას სწორად გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული და სახელმწიფოს მიერ გაცემული მატერიალური რესურსები...“ (სკკპ ... რეზოლუციებში, 1954, 759) და ა.შ და ა.შ.

აქვე ისიც აუცილებელად უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეთავაზება, ეს შეღავათები გლეხობისადმი იყო საკმაოდ ხანგძლივ პერიოდზე გაწერილი: „პარტია თვლის, რომ ეს პოლიტიკა დადგენილია დროის ხანგძლივი, მთელი რიგით წლებისათვის ნავარაუდევი, პერიოდისათვის, და მოითხოვს ყველასაგან მის უეჭველად გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გატარებას“ (სკკპ... რეზოლუციებში, 1954, 739).

უკვე ამის შემდეგ, „ნეპის“ პრინციპების გათვალისწინებით არის შემუშავებული საბჭოთა საქართველოს რევკომის ყველა სასოფლო-სამეურნეო გადაწყვეტილება, რაც 1921 წელს და მოგვიანებითაც, შესთავაზეს საქართველოს გლეხობას. უკვე 1921 წლის 6 აპრილს გამოქვეყნა საქართველოს რევკომის დეკრეტი „მიწის ნაციონალიზაციის შესახებ“. საბჭოთა ისტორიოგრაფია მას ცალსახად დადებითად აფასებდა (კაჭარავა, 1958, 154-155; შელია, 1957, 45; ჟღენტი, 1967, 45). თუმცა საბჭოთა სიტემის დამხობის შემდგ

პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიგრაფიის ზოგი წარმომადგენელი უკე თვლიდა, რომ სწორედ ამ დეკრეტით დაიწყო ქართული სოფლის ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობების დეგრადაცია, „ქართული სოფლის გაღატაკება“.

დღევანდელი თვალსაზრისით დეკრატის კრიტიკული ანალიზი მიანიშნებს დოკუმენტის ღრმა და ყოველმხრივ იდეოლოგიურ კავშირს რუსეთი კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის კარდინალურ საკითხებთან. უპირველეს ყოვლისა ესაა მიწის ტოტალური ნაციონალიზაცია, მიწის ამოღება ყიდვა-გაყიდვის პროცესიდან, არენდით გაცემის მკაცრად აკრძალვა. ასევე თვალსაჩინოა, რომ ის რაც კერძო საკუთრებაში გადარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების აგრარული რეფორმისაგან – ყველაფერი (მემამულეების, ეკლესია-მონასტრების მიწები და ა.შ.), თავისი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, ამჯერად როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც გადაეცა სახელმწიფო მიწის ფონდს – ივარაუდებოდა ამ მიწების ღარიბ და უღარიბეს გლეხობაზე დარიგება.

საქართველოში ასევე წარმატებით განახორციელეს რუსეთში აპრობირებული ფორმა – სოფლის ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობისაგან დაიწყეს გლეხკომების შექმნა, რომელიც გამოცხადდა სოფელში უზენაეს კანონმდებლად. ასეთი გლეხკომები შეიქმნა კახეთის სოფლებშიც.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ დეკრეტი ნებაყოფლობის პრინციპის საფუძველზე, სოფლის მოსახლეობას სთავაზობს მეურნეობის განვითარების სოციალისტური ფორმების კულტივირებას: იგეგმებოდა კომუნების, არტელების შექმნა. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების აზრით, სწორედ ისინი რადიკალურად გარდაქმნიდნენ ქართულ სოფელს და შექმნიდნენ ხვავსა და ბარაქას, განამტკიცებდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძვლებს. სოციალისტური წარმოების ფორმების სოფელში დანერგვის წასახალისებლად საბჭოთა სახელმწიფო გლეხობას პირდებოდა მატერიალურ და აგრონომიულ დახმარებას (Революционные комитеты Грузии, 1963, 278).

მნშვნელოვანი იყო სპეციალური სანიმუშო წესების გამოქვეყნებაც, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელებლიყო მიწების კონფისკაცია და გადანაწილება. ეს გადაწყვეტილება 1921 წლის 23 აპრილს გამოქვეყნდა და მიზნად ისახავდა გლეხთა კომიტეტებისათვის მიმდინარე სამოქმედო პროგრამის დაზუსტებას. წესები გლეხებს უმარტავდნენ გლეხკომების მიზნებსა და ვალდებულებებს, საზღვრავდნენ მიწის დასამუშავებელ ნორმების რაოდენობას, ასწავლიდნენ მიწის აღრიცხვისა და საკადასტრო სიებში განთავსების წესებს, მიწის შესაძლო კონფისკაციის პირობებს, მიწების გადანაწილების პრინციპებს, სოციალისტური ორგანიზაციული ფორმების: კომუნების, არტელების ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებს და ა.შ. (Революционные комитеты Грузии, 1963, 292-293)

ეს წესები, უდავოდ, ეხმარებოდა ადგილობრივ ორგანიზაციებს თავის მუშაობაში, თუმცა ერთი იყო – თეორიული კანონშემოქმედება, და მეორე – მისი ცხოვრებაში რეალიზაცია, როცა სოფლის მსახლეობის ღარიბი და უღარიბესი ნაწილი მიზანმიმართულად ახორციელებდა იმ წესებს, რაც სოფლის მქონებელი ნაწილის წინააღმდეგ იყო მიმართული. დასტურდება, რომ კომუნისტური კანონმდებლობა ქართულ სოფელში უკვე რეალიზაციის პირველივე თვეებიდან საკმაოდ პრობლემურად ხორციელდებოდა. რაში იყო საქმე?

იმჟამად საქართველოში სულ 2 401,5 ათასი კაცი ცხოვრობდა, აქედან სოფლად ბინადრობდა 1 926,4 ათასი კაცი, რომელიც 326,4 ათას გლეხურ მეურნეობას ქმნიდა. 1925 წლისათვის საქართველოს სოფელში უკვე 413, 9 ათასი გლეხური მეურნეობა იყო (ჟღენტი, 1967, 78). ეს ზრდა გამოიწვია იმან, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ კონფისკაციის პოლიტიკამ და მიწების გადანაწილებამ, სფლის მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის პრივილეგიური მდგომარეობის შექმნამ, ხელი შეუწყო ოჯახების დაყოფას, ახალი ოჯახების შექმნას.

ის, რომ საქართველოს სოფელში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გარკვეული სოციალური ძვრები მოხდა, შემჩნეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში: „საბჭოთა წყობილების პირობებში, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, გლეხობის კლასობრივი დიფერენიცია მკვერად განსხვავდებოდა რევოლუციამდელი დიფერენიაციისაგან. ამ პერიოდში მიმდინარეობდა საშუალო ფენის სწრაფი ზრდა ღარიბი ფენის შემცირების ხარჯზე. სახელმწიფო დახმარებით... საშუალო გლეხობა სოფლის ცენტრალური ფიგურა ხდებოდა“ (კოჭლავაშვილი, 1977, 57).

როგორი იყო ვითარება საქართველოს სოფელში 1921 წელს. აკად. ი. კაჭარავას აზრით, საქართველოი 1-2 დესეტინა მიწას ფლობდა გლეხური მეურნეობის 20, 3%, 2-დან 4 დესეტინამდე მიწა ჰქონდა – გლეხური მეურნეობათა 22 პროცენტს (კაჭარავა, 1958, 166).

პირველ რიგში მიზნად დაისახეს უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება. აღმოსავლეთ საქართველოში მიწის ნორმად განისაზღვრა 4, დასავლეთ საქართველოში – 2,5 დესეტინა („მოამბე“, 1924, 6-9). ქართულ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით „მიწის ნორმის მიღებულმა განსაზღვრამ, მიწის ფონდის საერთო სიმცირის გამო, ღარიბი და უღარიბესი უმიწაწყლო გლეხობა შეძლებულ გლეხებთან შედარებით, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა. შეძლებულმა გლეხებმა და მემამულე-თავადაზნაურობამ შეინარჩუნა ნორმით დადგენილი მამული, ღარიბმა გლეხობამ კი ეს ვერ მიიღო. ამასთან, მიწით უზრუნველყოფილი ზემოთ აღნიშნული კატეგორიები, ნორმის სახით, იტოვებდნენ ყველაზე უკეთეს მიწებს, მრავალწლიან ნარგავებს, სახელმწიფოს ხელში კი გადადიოდა მდარე ხარისხის, დაქუცმაცებული, მთელ რიგ შემთხვევაში სოფლიდან ძალზე დაშორებული ნაკვეთები“ (ნათმელაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 252).

ამრიგად, საქართველოს სოფელში გასაბჭოების შემდგომ ხანებში სერიოზული პრობლემები იყო. ამას ართულებდა დაპირისპირებებიც საქართველოს კომპარტიის ზედაფენაში, მათ შორის აგრარული საკითხების სხვადასხვა ინტერპრეტაცია. 1921-1922 წლებში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ისტორიოგრაფიაში დღესაც „ნაციონალ-უკლონიტებად“ მოიხსენიებენ.

საქრთველოს პარტიულ ხელმძღვანელობაში „ნაციონალ-უკლონისტური“ დაჯგუფების არსებობაზე ალაპარაკდნენ მას შემდეგ, რაც მოსკოვის კრემლის ინიციატივით დაიწყო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება, ხოლო პარალელურად ერთიანი, მრავალეროვანი სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა. საქართველოს იმჟამინდელი პარტიული ხელმძღვანელობა მკვეთრად დაუპირისპირდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებებს ერთიანი, მრავალეროვანი სახელმწიფოს შექნის შესახებ ავტონომიის საფუძველზე და მიიღო შემდეგი დადგენილება: „...შემოთავაზებული გაერთიანება დამოუკიდებელი რესპუბლიკებისა ავტონომიური ფორმით ნაადრევად ჩაითვალოს. სამეურნეო ღონისძიებებისა და ზოგადი პოლიტიკის გაერთიანება საჭიროდ მიგვაჩნია, ოღონდ დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტის შენარჩუნებით“ (შსს არქივი, ს.189, 15).

საქართველოში საერთო პოლიტიკური ვითარება ისე დაიძაბა, რომ თავისი პოზიციის დაფიქსირება მოუწია ვ.ი.ლენინსაც, რომელიც ერთ მომენტში ქართველი „ნაციონალ-უკლონისტების“ მცდელობებით გაღიზიანებული, ასეთ შეფასებას აძლევდა მათ საქმიანობას: „მაკვირვებს არაწესიერი ტონი ცინცაძისა და სხვათა მიერ ხელმოწერილი ბარათისა... მე გადაჭრით ვგმობ ორჯონიკიძის ლანძღვას და აუცილებლად მიმაჩნია თქვენი კონფლიქტის წესიერი და ლოიალური ტონით გადაცემა რკპ ცკ-ის სამდივნოს გადასაწყვეტად“ (ლენინი, ტ.45, 722).

ლენინის მკაცრი ტონით დაწერილი დეპეშის მიღების შემდეგ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა სრულად გადადგა, პარტიაში მოვიდა ახალი ხალხი – ქართველი კომუნისტები მეორე თაობა, რომელიც სტალინისა და ორჯონიკიძის მიმართ განსაკუთრებული კეთილგანწყობით გამოირჩეოდა (მ. კახიანი, ბ. ლომინაძე, ლ. ღოღობერიძე და სხვ.) და ამან „ნაციონალ-უკლონისტების“ მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ უფრო გააძლიერა.

საქართველოს კომპარტიის ძველ ხელმძღვანელობას („ნაციონალ-უკლონისტებს“) დააბრალეს ყველა შეცდომა და ნაკლი, რაც საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში მოხდა. ბრალდებებს შორის იყო სერიოზული შენიშვნები აგრარული პოლიტიკის განხორციელების ტემპების, მისი გატარების ხარისხის, სოციალური შედეგების მიმართაც. აი, როგორც გადმოგვცემს ამ ბრალდებებს აკად. ი. კაჭარავა: „ნაციონალ-უკლონისტებმა, როგორც ცნობილია, 1922 წლის შემდეგაც არ აიღეს ხელი ევოლუციურ მეთოდზე, რაც დიდად აჭიანურებდა გლეხობისათვის ესოდენ საარსებო

საკითხის მოგვარებას საქართველოში. ეს იწვევდა გლეხობაში სამართლიან უკმაყოფილებას“. (კაჭარავა, 1976, 126)

როგორც კრემლის კულუარებში, ისე საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც „აგრარული პოლიტიკის ევოლუციური მეთოდის“ შემუშავება „ნაციონალ-უკლონისტების“ აგრარული პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზად გამოცხადდა და სასტიკად დაიგმო. გააკრიტიკეს ისიც, რომ ძველი ხელმძღვანელობა ხელს უშლიდა სოფლად „რევოლუციური მეთოდების“ გამოყენებას ანუ თავადაზნაურთა და მემამულეების მიწების „დატაცების გზით“ მითვისებას, რაც გლეხობის (იგულისხმება, რა თქმა უნდა, უმიწაწყლო გლეხობა) უკმაყოფილებას იწვევდა.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა დაძაბულობამ საქართველოს კომპარტიის ძველსა და ახალ ხელმძღვანელობას შორის აპოგეას მიაღწია, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა სპეციალური კომისია ფ. ძერჟინსკის ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა შეესწავლა საქართველოს კომპარტიაში არსებული ვითარება და შეერიგებინა დაპირიპირებული მხარეები. კომისიამ საკმაოდ სკრუპულოზურად შეისწავლა ძველი პარტიული ხელმძღვანელობის მუშაობა, მისი შედეგები და სხვა საკითხებთან ერთად, ნაკლი მას აგრალურ პოლიტიკაშიც აღმოუჩინა.

კომისიის წევრები თავის დასკვნით საანგარიშო მოხსენებაში აფიქსირებდნენ: „კომისიის მიერ შეგროვებული მასალები კი სხვას ამბობენ – რომ მიწის რეფორმა საქართველოში დამაკმაყოფილებლად არ ჩატარდა, რომ ამ საკითხებზე იყო საუბარი დელეგატების მხრიდან საქართველოს კოოპერატორთა ყრილობაზე“. კომისიის აღნიშნულ დოკუმენტში მოტანილია, ასევე, გორის სამაზრო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „მიწის დეკრეტი № 7 ჩინებული იყო, მაგრამ ბოლო დროინდელმა ცირკულარებმა ხელი შეგვიშალეს ნაციონალიზაციის გატარებაში. ძველი თავადები, აზნაურები, ოფიცრები კვლავ ბრუნდებიან სოფელში. თუ რევოლუციურად არ გავატარებთ რეფორმას – უთქვამს აღმასკომის თავმჯდომარეს კომისიის წევრებისათვის, – ჩვენ გლეხობას დავკარგავთ“ (ГАСПИ РФ, д. 32, 20).

მოსკოვიდან მითითებების საფუძველზე საქართველოში დაიწყეს არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწათმოწყობის დებულების შემუშავებას. მისი მომზადება ადრე გაჭიანურდა, ის მხოლოდ 1923 წლის მაისში, ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით დამტკიცდა და გამოქვეყნდა. ამ დებლების თანახმად უნდა მომხდარიყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხობისათვის ნორმით გათვალისწინეულ მიწით დაკმაყოფილება, უკვე ხელი ეწყობოდა მიწის კოლექტიურად დამმუშავებული გაერთიანებების (კომუნების, არტელების, მიწის ერთობლივად დამმუშავებელი ამხანაგობების და ა.შ.) შექმნას. იგეგმებოდა მჭიდროდ დასახლებული სოფლების განტვირთვა, მოსახლეობის გადაყვანა სხვა რეგიონში (ცნობილია, რომ რსფსრ საქართველოს გლეხობისათვის გარკვეულ კვოტებს აწესებდა შესაძლო მიგრაციის აუცილებლო-

ბის გამო და ასევე იგეგმებოდა რუსეთის ტერიტორიაზე ქართველების სასოფლო დასახლებების მშენებლობაც კი) და ა.შ.

საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო აგრარული რეფორმის დაჩქარებული გატარება. აი, რა ხდებოდა საქართველოს სოფელში იმ წლებში: „ამის შემდეგ საქართველოს სოფლებს მოედო ნამდვილად აგრარული რევოლუცია. გლეხები მასობრივად ერეკებოდნენ მემამულე-თავადაზნაურებს საკუთარი მამულებიდან. მათი მიწები, სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი გამწევი ძალა და სხვა ნაწილდებოდა გლეხობაში. მემამულეთა სახლები და სხვა შენობები ცხადდებოდა საზოგადოებრივ საკუთრებად, რომელთაც იყენებდენენ საავადმყოფოებად, სკოლებად, ბიბლიოთეკებად და ადმინისტრაციულ სახლებად. მთელ საქართველოში 1923 წლის გაზაფხულისათვის გლეხობამ მიიღო მემამულე-თავადაზნაურთაგან ჩამორთმეული სულ 140 000 დესეტინამდე მიწა“ (კაჭარავა, 1976, 129).

ფაქტობრივად მოხდა „კლასობრივი ბრძოლის“ გამწვავება სოფლად, რადიკალური აგრარული რეფორმა ხორციელდებოდა ღარიბი და უღარიბესი გლეხების დახმარებით და სწორედ მათთვის, ამით კომუნისტური ხელისუფლება ცდილობდა თავისი სოციალური დასაყრდენის განმტკიცებას სოფლად. სწორედ სოფლის ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობა პირველ რიგში იღებდა რეპრესირებულთა მიწებსა და ქონებას. მაგრამ კომუნისტების „აგრარული რეფორმები“ გარკვეულად შეაფერხა 1924 წლის სახალხო აჯანყებამ, რომლის გამომწვევ მიზეზებში მოსკოვში კომუნისტური პარტიის ლიდერები „აგრარულ კვალს“ აშკარად ხედავდნენ.

§ 2. 1924 წლის აჯანყება და აგრარული საკითხი

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს კომუნისტური ხელისუფლბისათვის „მოულოდნელი გარემოება“ აღმოჩნდა გლეხობის საკმაოდ დიდი ნაწილის აქტიური მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე ანტისაბჭოთა გამოსვლებში. ამ მოულოდნელ გარემოებას პირველ რიგში ყურადღება მიაქცია იოსებ სტალინმა, რომელმაც ეს საკითხი თავიდანვე წამოწია და თავისი დასკვნებიც შესთავაზა სწორედ სასოფლო პარტიული უჯრედების მდივნების თათბირს 1924 წლის 22 ოქტომბერს. მოგვიანებით, 27 ოქტომბერს ი.ბ. სტალინი საქართველოში განვითარებულ მოვლენებს შეეხო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზეც, სადაც მან საკმაოდ დიდი სიტყვა წარმოთქვა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით. რკპ (ბ) ცეტრალურმა კომიტეტმა შექმნა სპეციალური კომისიაც კი, რომელსაც უნდა შეესწავლა საქართველოში მომხდარი ანტისაბჭოთა გამოსვლების პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები და თავისი რეკომენდაციები უნდა შეეთავაზებინა კომუნისტური პარტიისათვის.

საქართველოს სოფელში მიმდინარე მოვლენების ანალიზის საფუძველზე სტალინმა შემედეგი აღიარება გააკეთა: „საქართველოს ამბები საგულისხმო ამბებად უნდა მივიჩნიოთ. ის რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება მთელ რუსეთში განმეორდეს, თუ ძირფესვიანად არ შევცვლით თვით მიდგომას გლეხობისადმი, თუ არ შევქმნით პარტიასა და უპარტიოთა შორის სრული ნდობის ატმოსფეროს...“ (სტალინი, ტ.6, 352).

ჩვენი აზრით, კრემლის ლიდერების შეშფოთება გამოიწვია არა საქართველოს რიგ რეგიონში განხორციელებულმა ანტისაბჭოთა აჯანყებამ, რასაც ისინი ელოდნენ, არამედ ამ აჯანყებაში გლეხობის, მათი აზრით, დაუშვებლად ფართო მონაწილეობამ. აგვისტოს მოვლენებში კომუნისტური ხელისუფლება ვარაუდობდა მათი დაუძინებელი ოპონენტების: მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, ეროვნულ-პატრიოტული ძალების, თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მონაწილეობას, რაც კომუნისტურ რეჟიმს მათი ტოტალური განადგურების საფუძველს მისცემდა და ამის შედეგად შეიქმნებოდა ქვეყანაში „შიშის მარაგი“, რომელიც ათეული წლების მანძილზე უზრუნველყოფდა კომუნისტების უაპელაციო ბატონობას. გლეხთა მასობრივ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლება არ ელოდებოდა და მათ ეს თავისი აგრარული პოლიტიკის შეცდომად აღიქვეს. სწორედ ამიტომაც იყო ასეთი გამორჩეული ყურადღება 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვნად გვეჩვენება ოქტომბრის პლენუმის დადგენილება აღნიშნულ საკითხზე, რომლის ანალიზი და შეფასება საერთოდ „დაავიწყდა“ საბჭოთა ისტორიოგრაფიას და პირველად მხოლოდ 2008 წელს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომშია მოცემული (ნათმელაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 162-165).

დადგენილებში აშკარად ჩანს, რომ 1924 წლის აჯანყების შედეგებმა გაამართლეს კომუნისტური ხელისუფლების მოლოდინები. ჩვენთვის საინტერესოა დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ახალ გეგმებს სახავს სოფლად პარტიის აგრარული პოლიტიკის განსახორციელებლად: „დაევალოთ გლეხთა კომიტეტებს (სათემო შეკრებებს) მიიღონ თავადაზნაურთა გასახლების დადგენილება. ყურადღება მიაქციონ, რომ თავადაზნაურთა კონფისკაციის დროს ქონების გარკვეული ნაწილი გადაეცეს უქონელ გლეხობას“ (ГАСПИ РФ, д. 461, 32).

დადგენილების ეს ნაწილი იმით არის საინტერესო, რომ მან „მწვანე შუქი“ აუნთო კლასობრივი ბრძოლის ახალ ეტაპს საქართველოში, ქონების მოსახვეჭად დარაზმა სოფლის ღარიბი და უღარიბესი ნაწილი და უჩვენა მსხვერპლიც – ქართველი თავადაზნაურობა.

მართლაც, 1924 წლის მიწურულში ქართულ სოფელს გადაუარა საშინელმა ტალღამ რეპრესიებისა, რომლებიც კომუნისტებისა და კომკავშირლების მიერ შეგულიანებული სოფლის პროლეტარიატი ატარებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის კახეთშიც, და მიზნად ისახავდა საკუ-

თარი საცხოვრებელი სახლებიდან „კლასობრივი მტრების“ – თავადებისა და აზნაურების განდევნას, სოფლიდან გასახლებას და მათი ქონების 25% მითვისებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1924 წლის ნოემბერ-დეკემბერში კახეთის მთელ რიგ სოფელში ადგილი ჰქონდა რესკრიპციებს, თავადების ოჯახებში ფიზიკურ შეჭრას და ტრაგიკულ ექსცესებს და ა.შ. „ანტითავადურმა“ რევოლუციამ ხელმეორედ გადაუარა კახეთის რეგიონს: 10 სექტემბერს გაზეთი „კომუნისტი“ იუწყებოდა სიღნაღიდან: „გუშინდელი დღიდან გლეხობა სტიქიურად გამოვიდა მათ (იგულისხმება თავადები – ა.დ.) წინააღმდეგ. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო. თვითონ გლეხები კეტებითა და ქვებით სდევნიან თავიანთი სახლებიდან თავადებსა და აზნაურებს და მათ სახლებში ასახლებენ ღარიბ გლეხობას. სასოფლო ყრილობაზე გლეხებს გამოაქვთ დადგენილება, რომ არცერთი თავადი და აზნაური არ იქნება დატოვებული სოფლად“.

არის თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან სხვა ინფორმაციაც: „როგორც კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოუშვა თავადები, რომლებიც სახლში დაბრუნდნენ – გლეხები იმუქრებოდნენ, რომ ისინი თვითონ გაუსწორდებოდნენ თავის მტრებს... გლეხები ქალებთან და ბავშვებთან ერთად კეტებით შეიარაღებულნი, სიმღერითი, წითელი დროშებით მიემართებოდნენ აზნაურთა სახლებისაკენ და ერეკებოდნენ იქიდან ყველას. ამის შემდეგ... ასახლებდნენ ღარიბ გლეხობას“.

„8 სექტემბერს იყალთოში, 7.30 საათზე, ყველა გელეხი გამოვიდა რევოლუციური სიმღერებით, კეტებით შეიარაღებული. „სიკვდილი თავადებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“ ხელისუფლებას არ უსმენდნენ, თავადები გამორეკეს თავიანთი სახლებიდან. მათი ქონების ნაწილს ცეცხლი გაუჩინეს. ქვის სახლებში ჩაასახლეს უღარიბესი გლეხობა. თავადები შეიპყრო პანიკამ, გარბიან თავისი მამულებიდან: ვაჩნაძიანი, საბუე, ახმეტა.“ („კომუნისტი“, 1924, 9 სექტემბერი).

კახეთში ვითარება ისე დაიძაბა, რომ რომ შეშინებულმა თავადებმა უკიდურეს ზომას მიმართეს – სოფელ კოლაგის მკვიდრმა თავადმა ილია ივანეს ძე ვაჩნაძემ საჯაროდ, გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით განაცხადა შემდეგი: „სახალხოდ ვაცხადებ, რომ დღეიდან არ მსურს ვატარო ჩემი გვარი, რომელიც ხელს მიშლის ვიშრომო და ვიყო კეთილი მშვიდობიანი მუშა-მეურნე. მინდა ვატარო მუშურ-გლეხური გვარი „ილია ივანეს ძე ელისაბედაშვილი“ („კომუნისტი“, 1924, 30 ოქტომბერი).

ზემოთ მოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ კვლავ საქმე გვაქვს ქონების გადანაწილების კომუნისტურ პრაქტიკასთან, რომ ქვეყანაში ატეხილი აჟიოტაჟის საბოლოო მიზანი იყო – ქართველ თავადაზნაურთა ხელში ჯერ კიდევ არსებული სარჩო-საბადელის მისაკუთრება და სწორედ ამის საფუძველზე მოხდებოდა მათი კლასობრივი ლიკვიდაციაც სოფლის

ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობის ხელით. კომუნისტებმა ეს ამოცანა, როგორც ჩანს, წარმატებით დაასრულეს.

§ 3. სიახლეები ქართულ სოფელში

წინააღმდეგობების, სერიოზული პრობლემების დაძლევის გზით საქართველოს სოფელში მაინც ხორციელდებოდა „აგრარული რევოლუცია“. როგორც აღინიშნა, საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ განისაზღვრა მიწის აუცილებელი ნორმა – აღმოსავლეთ საქართველოსათვის ის შეადგენდა საშუალოდ 4 დესეტინას (დესეტინა დაახლოებით 1,09 ჰექტარია), ხოლო დასავლეთ საქართველოში მან შეადგინა – 2,5 დესეტინა. ადგილებზე შექმნილი გლეხთა კომიტეტები თვალყურს ადევნებდნენ, რომ ეს ნორმები დაცული ყოფილიყო, თუმცა ყველგან ამ კრიტერიუმების მკაცრად დაცვა ვერ ხერხდებოდა.

საქართველოს სოფელში 1923 წელს უკვე ცხოვრობდა 388 480 კომლი. ყველა კომლს რომ კანონით განსაზღვრული მიწის ზემოთაღნიშნული ფართობი ჰქონოდა, სულ საჭირო იყო 1 219 540 დესეტინა მიწა. იმჟამად რეალურად საქართველოში ვარგისად იყო ცნობილი მხოლოდ 875 606 დესეტინა, გლეხური მეურნეობების დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო კიდევ 344 444 დესეტინა მიწა (კაჭარავა, 1976, 130).

დამატებით პრობლემებს ქართულ სოფელში ისიც ქმნიდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოხდა გლეხური მეურნეობების სწრაფი ზრდა: მათი რაოდენობა 326 360-დან გაიზარდა 413 948-მდე. როგორც ვარაუდობენ, ეს ზრდა გამოწვეული არ იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატებით, თუმცა არც ამ ფაქტორს გამორიცხავენ. ამ მოვლენას ძირითადად ხსნიან „მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაქუცმაცებით, რაც გამოწვეული იყო ორი გარემოებით: ჯერ ერთი, მიწის შესახებ საბჭოთა დეკრეტის განხორციელება იწვევდა მსხვილი მემამულური მეურნეობათა დაშლას, კონფისკებული მიწის ფონდი გადადიოდა გლეხობის ხელში, უსახლკარო, ბოგანო, მოჯამაგირე გლეხები ქმნიდნენ საკუთარ მეურნეობებს. მეორე, მიწათმოწყობის შესახებ 1922 წლის 26 მაისის დებულება ქმნიდა პირობებს მსხვილი გლეხური მეურნეოებათა დაქუცმაცებისათვის. მიწის დამატებითი ნორმის მიღების მიზნით ხდებოდა მსხვილ გლეხურ მეურნეობათა დაყოფა“.

საერთოდ მიჩნეულია, რომ საბჭოთა ხელისუფლები პირველ წლებში სწორედ საბჭოთა აგრარული კანონმდებლობის საფუძველზე მოხდა გარკვეული ძვრები სოფლის სოციალურ სტრუქტურაში. საგრძნობლად შემცირდა უმიწო და უღარიბესი გლეხების რაოდენობა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიუთითებენ, რომ „ამ პერიოდში მიმდინარეობდა საშუალო ფენის სწრაფი ზრდა ღარიბი ფენის შემცირების საფუძველზე. სახელმწიფოს დახმარებით

მიმდინარეობდა სოფლის გასაშუალება, საშუალო გლეხი სოფლის ცენტრალური ფიგურა ხდებოდა“.

„ნეპის“ პოლიტიკის რეალიზაციამ საქართველოში, რა თქმა უნდა, გარკვეული სტიმულები დაბადა სოფლის აღორძინებისა და განვითარებისათვის, გამოცოცხლდა აეღებ-მიცემობა, ინტენსიური სავაჭრო ოპერაციები ქალაქსა და სოფელს შორის, შეეტყო ზრდა სოფლის ბურჟუაზიას, გაჩნდნენ ე.წ. „ნეპმანები“ – ადამიანები, რომლებმაც ალღო აუღეს ახალ ცხოვრებას, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს და შეძლეს ეკონომიკური პროცესების ზეაღმავალი განვითარება. მაგრამ „ნეპის“ პოლიტიკის რეალიზაციას არ შეეძლო მთლიანად შეეჩერებინა სოციალიზმის ეკონომიკური გეგმებით დასახული ამოცანების შესრულება, განსაკუთრებით კი სოფელში.

მთავარი და საყურადღებო იყო ის სიახლეები, რასაც კომუნისტური რეჟიმი ქართულ სოფელში მიზანმიმართულად ნერგავდა, ახალისებდა, განსაკუთრებით ხელს უწყობდა. ეს იყო შრომის ორგანიზაციის კომუნისტური ფორმების კულტივირება და მათი გადაქცევა საწარმოო ურთიერთობების ძირითად ფორმად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ფორმები იყო კომუნები, არტელები, მიწის ერთობლივად დამმამუშავებელი ამხანაგობები.

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით ახალისებდა კომუნალურ რევოლუციას სოფლად. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კახეთში საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო კომუნა 1906 წელს ფილანტროპმა ვანო კოლელიშვილმა შექმნა. მაშინ სოციალ-დემოკრატები კომუნას არ განიხილავდნენ როგორც სოფლად მეურნეობის განვითარების ძირითად ფორმას. მაგრამ ახალ ისტორიულ ვითარებაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამ ეტაპზე, საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომლებიც კომუნალური პრინციპების საფუძველზე იყო მოწყობილი. სამაგალითო იყო, მაგალითად, ზემო ქედის კომუნა – კახეთში. შემდგომ წლებში კომუნები დაარსდა კიკეთში, ბორშაში, გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ქართულ ისტორიოგრაფიაში შემჩნეულია, რომ კომუნების შექმნისას უფრო მეტი იყო რიგითი ადამიანების ენთუზიაზმი, ვიდრე შემდეგ საქმიანობის რეალური შედეგები. ამ ვითარებას ექსპერტები ასე ხსნიან: „სასოფლო-სამეურნეო კოლექტიური მეურნეობის შექმნასა თუ შედგენისას ვერ საზღვრავდნენ შრომის ორგანიზაციისა და შრომის ანაზღაურების საკითხებს. ამ საკითხის გაურკვევლობის გამო იწყებოდა უთანხმოება, რაც იწვევდა სტიქიურად შექმნილი კომუნებისა და კოლმეურნეობების დაშლას“ (ჟღენტი, 1967, 75).

ამ ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო კი იყო დაინტერესებული ასეთი კოლექტივისტური სულისკვეთების მქონე სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების შექნით, მაგრამ ზედმეტად არ ერეოდა მათ შინაგანაწესში, ისინი შედარე-

ბით დამოუკიდებელნი იყვნენ და თვითონ განსაზღვრავდნენ განვითარების მაგისტრალურ ხაზს.

კომუნებს შორის ყველზე ავტორიტეტული მაინც ზემო ქედის სტალინის სახ. აგრო-ორგანიზაცია იყო. ის არასოდეს დაშლილა, მოგვიანებით კოლმეურნეობად გარდაიქმნა და საბჭოთა სისტემის ბოლომდე საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი აგრო-სამეურნეო ორგანიზაციად ითვლებოდა. კომუნის შექმნის ინიციატორი იყო ლეგენდარული გლეხი კობა ჩოხელი, რომელიც თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ჯერ კომუნას და შემდეგ წარმატებულ კოლმეურნეობას. ზემო ქედის კომუნა ძირითადად ღარიბი გლეხობის ბაზაზე შეიქმნა. მათ ერთობლივად შეიმუშავეს წესდება, რომელიც უაღრესად მკაცრი შინაგანწესით გამოირჩეოდა და მიმართული იყო კომუნის საერთო ინტერესების დასაცავად, რის შედეგადაც მკვეთრად იზღუდებოდა კომუნის წევრთა პირადი ინტერესები. კომუნაში საერთო იყო ყველაფერი – სავარგულებიც, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, საქონელი. ისინი ცხოვრობდნენ კომუნალური პრინიცპებით, საერთო საცხოვრებლებში, ბავშვებს ერთობლივად ზრდიდნენ, არაფერს არ მალავდნენ, უვლიდნენ მოხუცებსა და ავადმყოფებს. კომუნის წესდებაში ხაზგასმით მითებული იყო, რომ დისციპლინისა და წესდების დამრღვევი „დასჯილი იქნეს და დახვრეტილი 24 საათში“ (ქვათაძე, საბახტარაშვილი, 1981, 21).

ამ კომუნის ისტორიიდან ცნობილია, რომ როცა მათთან საქართველოს კომუნისტების ლიდერი ფილიპე მახარაძე სტუმრობდა, ორი დღის შემდეგ მას მოსთხოვეს კომუნის შრომით პროცესში ჩართვა, თუ არა და, წესდების მიხედვით, მას ან სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა კომუნის ტერიტორია, ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დააპატიმრებდნენ – კომუნაში უშრომელად გაჩერება დასჯადი მოქმედება იყო.

შედარებით ადვილად იქმნებოდა მიწის ერობლივად დამამუშავებელი ამხანაგობები, რომლებიც არ საჭიროებდა ყველაფრის განსაზოგადოებას. ამ შემთხვევაში ძირითადად ერთიანდებოდა შრომა, ხოლო მიღებულ შრომის შედეგს ინაწილებდნენ. ასეთი სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები უფრო დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონებში იქმნებოდა და უზრუნველყოფდა ქალაქების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგებას. ასეთი გაერთიანებები კახეთის რეგიონშიც საკმაოდ ბევრი შეიქმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ძალიან ბევრი იყო ექსპერიმენტი, ცდილობდნენ შრომითი ორგანიზაციის ახალი ფორმების დანერგვას, რაც რადიკალურად გააუმჯობესებდა ვითარებას სოფლად, რომელიც 1925 წლისთვისაც, მაინცდამაინც, არ იყო სახარბიელო და სოფლად გაჭირვება, უშუქობა, წყლის ნაკლებობა, მიწის სავარგულების უქონლობა და სხვა პრობლემები სერიოზულად აფერხებდნენ სოფლად ეკონომიკური ცხოვრების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ხალისდებოდა ახალშენების მოწყობა, ახალი საცხოვრებელი ტერიტორიების ათვისება. საქართველოს ბევრ ადგი-

ლეზე დადგა საკითხი, ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ძველი სოფლის ახალ ადგილზე გადატანის შესახებ. მათ შორის კახეთშიც.

მეტად საყურადღებოა, რომ საქართველოში კომუნალური მოძრაობის პიონერი ვანო კოლელიშვილიც (სწორედ მან დანერგა საქართველოს სინამდვილეში სოფლის მეურნეობის წარმოების პირველი კომუნალური ფორმა), აქტიურად ჩაება საქართველოს სოფელში ახალი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარების პროცესში. თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური შეხედულებებით ის აშკარად ენათესავებოდა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას, ამიტომაც ის გულწრფელად იღებდა მონაწილეობას სოფლის გარდაქმნის იმ პროცესში, რაც გასაბჭოებისთანავე დაიწყო. როგორც აღნიშნავენ: „ვანო კარგად ხედავდა, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იყო სოფელი (იგულისხმება სოფ. გულგულა – ა.დ.) ეკონომიკურად და ცდილობდა ამ მძიმე მდგომარეობის დაძლევას. სოფელს არ ჰქონდა წყალი, გზა, ჯანსაღი ჰაერი, სოფელში მძვინვარებდა ციება, მოსახლეობა მატების ნაცვლად კლებულობდა.“ (გიგიტელაშვილი, ნანობაშვილი, 2010, 58)

1924 წლის 6 მარტს ვანო კოლელიშვილმა გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც დაუფარავად აღწერდა სოფლის მძიმე მდგომარეობას და სოფლის მცხოვრებთა სახელით თხოულობდა 70 დესეტინა მიწას ახალშენისათვის. ვანოს სურდა აეშენებინა ახალი სოფელი სრულიად ახალი გეგმით – „სოფელი ბაღში, რომელიც იქნებოდა ყოველმხრივ კეთილმოწყლობილი და სამაგალითო სხვა სოფლებისათვის“.

ვანო საბჭოთა სახელმწიფოს წინადადებას აძლევდა დაეწყო ახალი ქართული სოფლების მშენებლობის შეუწყვეტელი პროცესი, რომელიც თავისი ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლებით უფრო შედეგიანი და მიზნობრივი იქნებოდა, გაითვალისწინებდა როგორც ეკოლოგიურ პირობებს, ისე სოფლის პროგრესულად განვითარების შესაძლებლობებს. ვანო კოლელიშვილი წერდა: „დღეს, როცა ჩვენი მთავრობა ესწრაფვის ყოველივე მოაწყოს ახლად, გონივრულად, ახლავე რომ იყოს შემდგარი მცირე პირებისაგან კომისია ახალი დასახელებული ადგილის ასანიშნად, უკეთესი იქნება. ეს რაც მალე იქნება გაკეთებული, მით უფრო ნაკლები შრომა დაეკარგება ჩვენს ხალხს უბრალოდ, რადგან აწინდელი ჩვენი სოფლები სრულად მინგრეულ-მონგრეულია და ამასთან ქვიტკირის სახლებიც ძლიერ ცოტაა და ადვილად, შედარებით, მოხერხდება სოფლის ახალ ადგილზე გადანაცვლება, სადაც, რასაკვირველია, ყველაფერი უკეთესად შემუშავებული გეგმით დალაგდება და მომავლისათვის გაითვალისწინება“.

ყოფილი მემამულის, ფილანტროპის, კომუნისტური იდეალებისათვის მეფის ხელისუფლბის მიერ ნატანჯი კაცის ასეთი აქტიური ჩართულობა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის პროცესში, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩინებული ფაქტორი იყო – ეს მიანიშნებს, რომ ქართულ საზოგადოებაში განახლების იდეა – „სოფელი ბაღის“ შექმნის იდეა ცხოველმყოფელი გახდა და გარკვეული ნაწილი საზოგადოებისა (და, რა

თქმა უნდა, არა ყველა) კომუნისტებთან თანამშრომლობით იმედოვნებდა მის რეალიზაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ვანო კოლელიშვილის ეს შეხედულებები იმჟამად ვერ განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გამოყო სოფლისათვის ახალი ტერიტორიაც, გარკვეული ფინანსური რესურსიც – პროექტი ჩაიშალა სოფლის მდიდარი მოსახლეობის ფრონდირების გამო, ხოლო სოფლის ღარიბებმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს.

სიახლეების გარდა, რა თქმა უნდა, საქართველოს სოფელში ამ პერიოდში ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობების ტრადიციული სახე იყო გაბატონებული – ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა. ამ ფორმით სოფლის მეურნეობას „ეწეოდა“ სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ასეთ მეურნეობებში ძირითადად ოჯახის წევრები იყვნენ დასაქმებულნი და ადგილი არა ჰქონდა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას. მიწათმფლობელობის მოცულობის მიხედვით ასეთი მეურნეობები იყოფოდნენ ასე: 2 დესეტინა და მეტი მიწა ჰქონდა სოფლის მოსახლეობის 40,2%; 2 დან 10 დესეტინა მიწის ფართობი ჰქონდა 59%. 10-დან 50 დესეტინამდე მიწას ფლობდა სოფლის მოსახელეობიმს მხოლოდ 0,8. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ საქართველოში სასოფლო სავარგულების 82,9 % იყო საშუალო და ღარიბი გლეხების ხელში.

§ 4. „ნეპის“ ეკონომიკური შედეგები სოფლად

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია მაღალ შეფასებას აძლევდა იმ აგრარულ კანონმდებლობასა და სოფლად რეალურად გატარებულ აგრარულ ღონისძიებებს, რომლებიც „ნეპის“ პერიოდის განმავლობაში განხორციელდა და გარკვეული დადებითი ძვრები გამოიწვია. აკად. ი. კაჭარავა, საქართველოს XX საუკუნის 20-იანი წლების საუკეთესო მცოდნე, ხაზგასმით აღნიშნავდა: „კომუნისუტრი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი, სოფლის მეურნეობის სფეროში 1921-1925 წლების მანძილზე, მიმართული იყო სათესი ფართობისა და საერთო მოსავლიანობის გადიდებისაკენ, თანამედროვე, გაუმჯობესეული მანქანა-იარაღების დანერგვისა და მეურნეობის ინტენსიფიკაციისაკენ, გლეხური მეურნეობის რენტაბელობის გადიდებისა და ინდუსტრიისათვის ნედლეულის ბაზის შექმნის მიზნით ტექნიკური კულტურების განვითარებისაკენ. ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის აღდენისა და აღმავლობისაკენ, სოფლის მეურნეობის სოციალისტური ფორმების დანერგვისა და განვითარებისათვის“.

რა საფუძველზე აკეთებდა აკად. ი. კაჭარავა ასეთ ოპტიმისტურ დასკვნას? მისი თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა:

1. სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, რაც სწორედ იმ წლებში დაიწყო და შეუქცევადი ხასიათი მიიღო. 1922 წელს გერმანიიდან შემოიტანეს მან-

ქანა-დანადგარების დიდი პარტია, რაც მაზრებზე გადაანაწილეს; მომევნო წლებში, ასევე, მოსახლეობაზე გადაანაწილეს 150 ათასი ოქროს მანეთის ღირებულების მანქანა-იარაღები; 1927 წელს ქართულ სოფელში უკვე დამატებით 450 ათასი მანეთის მანქანა-იარაღი შემოიტანეს. ამის საფუძველზე უკვე 1924-1925 წლებში შექმნეს მანქანა-იარაღების „გამქირავებელი პუნქტები", თავდაპირველად 60 ერთეული, უკვე 1927 წელს მათი რაოდენობა იყო 130.

2. სოფლისათვის აგრონომიული დახმარების გაძლიერება მიაჩნიათ სოფლის მეურნეობის აღორძინების მნიშვნელოვან საშუალებად, რადგან რევოლუციამდე ის საკმაოდ მაღალ ნიშნულზე იყო – ერთ დესეტინა კულტურულ მიწაზე იხარჯებოდა წლიურად 39,9 კაპიკი. მსოფლიო ომმა, რევოლუციამ საგრნობლად დასწია ეს მაჩვენებელი – საქართველოში: ის ერთ დესეტინაზე უკვე 7,5 კაპ. უდრიდა. უკვე 1926 წლისათვის თვასაჩინოა ზრდა – ერთ დესეტინაზე აგრონომიული მომსახურების დანახარჯები 48 კაპ. გაუტოლდა. თუმცა ეს არ იყო საუკეთესო მაჩვენებელი, რადგან იმჟამად საქართველოში მხოლოდ 48 აგრონომი და 19 აგრო-ინსტრუქტორი იყო, რაც ვერაინაირად ვერ დააკმაყოფილებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მზარდ საჭიროებას;

3. მელიორაციას აკად. ი. კაჭარავა გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი მიხედვით საბჭოთა ხელისუფლებამდე საქართველოში სულ ირწყვებოდა დაახლოეით 95 ათასი დესეტინა კულტურული მიწა. ეს დაბალი მაჩვენებელი იყო. 1921-1925 წლებში საქართველოში გაიყვანეს ექვსი სარწყავი არხი, 114 ვერსის საერთო სიგრძით. ამ არხების საშუალებით უკვე ირწყვებოდა დამატებით კიდევ 43 500 დესეტინა მიწა. შენდებოდა კიდევ 4 სარწყავი არხი.

ამ სამი, მართლაც, უნიშვნელოვანესი მიმართულების შედეგების შეფასების შემდეგ ავტორი აკეთებს შემდეგ დასკვნას: „საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენა სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ 1923-1924 წლიდან. აღდგენითი პერიოდის დასასრულისათვის (საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს პერიოდი განისაზღვრებოდა 1925 წლით – ა.დ.) საქართველოს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგები ძირითადად ომამდელ დონეს გაუტოლდა (კაჭარავა, 1976, 142-143).

საბჭოთა პარტიული ნომენკლატურისათვის საერთოდ, და საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის მიჩნეული იყო ეკონომიკის სასტარტო ათვლის წერტილად 1913 წელი – ცარიზმის დროს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების განსაკუთრებული მაღალი დონე, რომელიც შემდეგ კატატროფულად დაეცა მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის პერიოდში. ამიტომაც ძალიან დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს მუდამ ადარებედნენ მეფის რუსეთის 1913 წლის მონაცემებს, რათა მიეღოთ საბჭოთა ეკონომიკის ზრდა-განვითარების რეალური სურათი.

ჩვენ შევეცდებით სტატისტიკური მასალების კრიტიკული გააზრების საფუძველზე წარმოვაჩინოთ საქართველოს სოფელში მიმდინარე პროცესები. XX საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა სტატისტიკური სამსახური უფ-

რო მეტ ნდობას იმსახურებს, ვიდრე მოგვიანებით – 70-80-იან წლებში, როცა პარტიის ლიდერების მითითებების საფუძველზე მასობრივად ყალბდებოდა ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკა. ამიტომაც ქვემოთ ჩვენ შევეცდებით სწორედ 20-იანი წლების სტატისტიკური კრებულების საფუძველზე წარმოვაჩინოთ ის სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც მოხდა ქართულ სოფელში XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში.

დავიწყოთ სათესი ფართობების შედარებითი ანალიზით: მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურების ფართობი 1913 წელს საქართველოში უდრიდა 697 900 ჰექტარს, მოგვიანებით, I მსოფლიო ომის მიზეზების გამო, ამ ნათესების ფართობი მკვეთრად შემცირდა უკვე 1917 წლისათვის – ის უდრიდა 475 761 ჰექტარს. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარების პერიოდში, ნათესი ფართობი უკვე უდრიდა 523 700 ჰექტარს. 1913 წლის დონეს ნათესი ფართობის ზრდის მაჩვენებელმა საქართველოში გადააჭარბა მხოლოდ 1925 წელს, როცა ხორბლეულსა და ცერცვოვანი კულტურები დაითესა 735 072 ჰექტარზე (საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, 53). ასეთი ზრდა, რა თქმა უნდა, „ნეპის“ პოლიტიკის შედგი იყო, როცა ინდივიდუალურ გლეხს მეტი ეკონომიკური თავისუფლება მიანიჭეს, და, ამასთან, დაიწყო დამუშავება იმ ნაციონალიზებული მიწის ფართობებისა, რომლებსაც გლეხკომები ადგილებზე ნორმით გათვალისწინებული ოდენობით არიგებდნენ. საქართველოს გლეხებმა დაიწყეს ამ მიწების დამუშავება.

იმ წლებში გამოქვეყნებული სტატისტიკური მასალა აშკარად მიუთითებს, რომ უკვე 1926 წლიდან საქართველოში სისტემატურად იზრდება ხორბლის, ქერის, სიმინდის, ღომის, შვრიის, წიწიბურას და სხვა კულტურების სათესი ფართობები. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფართობების რაოდენობრივი ზრდა ეს ექსტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებელია და ჯერ კიდევ შორს დგას სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდის ინტენსიური ფორმებისაგან.

თვალსაჩინოდ მზარდია ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობები. 1913 წელს საქრთველოში ბამბა დაითესა მხოლოდ 8 194 ჰექტარზე, თამბაქო – 10 444 ჰექტარზე. ამ წელს საქართველოში სხვა ტექნიკური კულტურები საერთოდ არ ითესებოდა. 1917 წელს, უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების გამო, ტექნიკური კულტურები საქართველოში არავის აღარ დაუთესავს. ტექნიკური კულტურების მიმართ ინტერესი განსაკურებით გაძლიერდა 1925 წლის შემდეგ, როცა აღდგა ტენიკური კულტურების ტრადიციული სახეობების მოვლა-მოყვანა. მათ ასევე დაემატა ახალი სახეობები: კანაფი, მზესუმზირა, სოიო, არაქისი, რამი, შაქრის ჭარხალი და სხვ., რომელთა ფართობები ყოველწლიურად იზრდებოდა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თამბაქო, რომელიც 1925 წელს უკვე აჭარბებდა 1913 წლის დონეს, მაგრამ შემდგომ წლებში ფართობების მკვეთრი შემცირება მოხდა – 14 389 ჰექტარიდან 13 039 ჰექტარამდე დავიდა 1928 წელს.

ამ ზრდის საერთო კანონზომიერებიდან ამოვარდნილია მევენახეობა, რომელმაც მთელი 20-იანი წლების მანძილზე ვერ შეძლო ომამდელი მაჩვენებლებთან მიახლოება: თუ 1913 წელს საქართველოს ვენახი გაშენებული იყო 49 430 ჰექტარზე, 1925 წელს ვენახის ფართობები უდრიდა მხოლოდ 37 557 ჰექტარს, 1929 წელს – 35 100 ჰექტარს. ეს მკვეთრი დაცემა გამოწვეული იყო საქართველოში, განსაკუთრებით კახეთის რეგიონში ფილოქსერის გავრცელების მავნე შედეგებით, რაც საბოლოოდ ვერ აღმოიფხვრა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

მზარდი ტემპები შეიმჩნევა მესაქონლეობის დარგშიც – კახეთისათვის ეს დარგი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. 1913 წელს მსხვილფეხა რქიანი საქონელი საქართველოში იყო 1 301,7 ათასი, რაც საგრძნობლად შემცირდა 1917 წელს – გახდა 1 157,1 ათასი, რაც I მსოფლიო ომის შედეგებით უნდა იყოს გამოწვეული. ამ საერთო მონაცემს მესაქონლეობამ გადააჭარბა უკვე 1925 წელს – საქართველოში ყავდათ 1 442,9 ათასი მსხვილფეხა პირუტყვი. ამ კატეგორიაში მოიაზრებოდა ხარი, ძროხა, ბუღა, მოზარდი, ხბო – ერთ წლამდე, ფურ-კამეჩი, ზაქი და სხვ. განსაკუთრებულ მაღალ მაჩვენებელს მესაქონლეობამ საქართველოში მიაღწია მასობრივი კოლექტივიზაციის წინ – 1929 წელს, როცა დაფიქსირდა 1 640,1 ათასი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (საბჭოთა საქართველოს 10 წელი, 1931, 221).

უფრო რთულად იყო საქმე მეცხენეობაში – შეიძლება ითქვას, რომ ამ დარგში 1913 წლის მაჩვენებელი ვერ გადაილახა მთელი 20-იანი წლების მანძილზე. 1913 წელს საქართველოში 120,5 ათასი ცხენი იყო. მკვეთრი ვარდნაა 1917 წელს – დაფიქსირდა 87,7 ათასი, რაც, უდავოდ, I მსოფლიო ომის შედეგებმა გამოიწვია. მაგრამ მომდევნო წლებში მისი რაოდენობა ვერ გაუტოლდა საწყის მაჩვენებელს – 1929 წელს საქართველოში იყო მხოლოდ 105,7 ათასი ცხენი. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ 20-იანი წლების შუა ხანებიდან იწყება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ინტენსიური შემოტანა და მისი გავრცელება მთლიანად საქართველოში, რამაც ცხენის დანიშნულება სოფლის-მეურნეობაში გარკვეული აზრით შეამცირა.

შედარებით უეკეთესი მდგომარეობაა მეცხვარეობაში – ეს ხომ ძირითადი შემოსავალი იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის და გარკვეულწილად შეიმჩნევა მისი სისტემატური ზრდა. 1913 წელს საქართველოში აღირიცხა 1 635 ათასი ცხვარი, 1925 წელს უკვე იყო – 1 910,7 ათასი ცხვარი (თითქმის 2 მილიონი), ხოლო საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ – 1928 წელს – 2 185 ათასი სული.

ასევე მზარდია ღორის სულადობრივი ზრდის მაჩვენებელიც – 1913 წელს დაფიქსირდა სულ 284,3 ათასი სული, ხოლო 1925 წელს საქართველოს სოფელში უკვე ყავდათ 606,2 ათასი ღორი და ეს მაჩვენებელი პროგრესულად იზრდებოდა 1928 წლამდე.

საინტერესოა იმის გათვალისწინებაც, თუ როგორი იყო სტრუქტურა სოფლად წარმოებული პროდუქციისა, კონკრეტულად ვინ აწარმოებდა მათ, რა

კატეგორიის მეურნეობებში მზადდებოდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და როგორი იყო თანაფართობა ინდივიდუალური გლეხური და საზოგადოებრივი-კოლექტიური მეურნეობებს შორის. ეს სტატისტიკა კი აშკარად მიანიშნებს საყურადღებო ტენდენციებს, რაც ყოველთვის საბჭოთა ხელისუფლების სურვილებსა და მისწრაფებებს არ შეესაბამებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Революционные комитеты Грузии, сб. док. Сухуми, 1963.
2. Государственный архив социально-политической истории (ГАСПИ) РФ ф. 5, оп.2, д.32.
3. ГАСПИ РФ ф. 17, оп. 3, д. 461.
4. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954.
5. კაჭარავა ი., საბჭოთა საქართველო აღდგენით პერიოდში, თბ., 1958.
6. შელია კ., ვ. ი. ლენინი და საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები საქართველოში, თბ., 1980.
7. ჟღენტი თ., საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967.
8. ქვათაძე ე., საბახტარიშვილი ვ., ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის ისტორია, თბ., 1981.
9. კოჭლავაშვილი ა., საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის, თბ., 1977.
10. ჟურნალი „მოამბე“, 1924, №5.
11. ნათმელაძე მ., დაუშვილი ა., ჯაფარიძე მ., წენგუაშვილი კ, ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976.
13. ლენინი ვ. ი., თხზ. ტ. 45.
14. სტალინი ი. ბ., თხზ., ტ. 6.
15. გიგიტელაშვილი ზ., ნანობაშვილი ბ., სოფელი გულგულა, თბ., 2010.
16. საბჭოთა საქართველოს 10 წელი (1921-1930) სტატისტიკური კრებული, ტფ. 1931.
17. გაზ. „კომუნისტი“, 1924 წ. 30 ოქტომბერი.
18. საქართველოს შინგაგან საქმეთა სამინისტროს (სშსს) არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 189.

თავი IV.

საქართველოს სოფლის სოციალური სტრუქტურა საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ (კახეთის რეგიონის მაგალითზე)

§ 1. თავადაზნაურობა

მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის დოგმატიკის კანონებით აღჭურვილი თეორეტიკოსები, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული ტენდენციების გააზრების საფუძველზე, აკეთებდნენ დასკვნას, რომ კაპიტალიზმის ზეაღმავალი განვითარება, ისტორიის ობიექტური ლოგიკის ძალით, ფეოდალიზმის ეპოქაში გაბატონებულ კლასს – თავადაზნაურობას თანდათან ჩაანაცვლებს ბურჟუაზიით – როგორც პოლიტიკაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში, კულტურაში. თავადაზნაურობა საერთოდ შეიცვლის სოციალურ სტატუსს და გაქრება ისტორიის არენიდან, ის მთლიანად შეერწყმება ბურჟუაზიას.

პოსტსაბჭოთა საისტორიო ურაში სამართლიანად არის მითითებული, რომ მარქსისტული პოლიტიკის ორგანული ნაწილი – რუსული ბოლშევიზმი პრინციპულად გამორიცხავდა თავადაზნაურობასთან, როგორც კლასთან, რამენაირ თანამშრომლობას. მიაჩნდა ის მსოფლიოში ყველაზე არქირეაქციული რეჟიმის – რუსეთის ცარიზმის ერთგულ და ბუნებრივ დასაყრდენად და ვარაუდობდა მის მიმართ განეხორციელებინა ის, რაც ისტორიის ლოგიკის რეალიზაციის დაგვიანების გამო რუსეთში ვერ განხორციელდა – მოესპო თავადაზნაურობა როგორც კლასი. ეს პოლიტიკური ამოცანა, როგორც ცნობილია, რუსმა ბოლშევიებმა საოცარი მიზანსწრაფულობით განახორციელეს სამოქალაქო ომისა და „წითელი ტერიტორის“ დროს რუსეთში.

როგორი ვითარება იყო საქართველოში?

ფეოდალური არისტოკრატია – ქართველი თავადაზნაურობა თავისი რაოდენობით და სოციალური მახასიათებლებით, რუსეთის არისტოკრატიის მაჩვენებელთან შედარებით პროცენტულად მეტიც იყო და უფრო მკვეთრად დიფერენცირებულიც. ამ წრიდან გამოვიდნენ როგორც ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის, ერის კონსოლიდაციის საქმისადმი გულანთებული მამულიშვილები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ.), ისე ანტიეროვნული სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების გულმხურვალე რაინდებიც (ალ. წულუკიძე, ნ. ჟორდანია, ს. ორჯონიკიძე, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი და სხვ.)

საქართველოში თავადაზნაურობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო: 1897 წლის აღწერით თბილისის გუბერნიაში, რომელშიც შედიოდა კახეთის რეგიონი, შთამომავლობითი აზნაური იყო 29 347 კაცი (2,8%), პირადი აზნაური – 15 042 კაცი (1,4%) (Первая..., 1915, 2).

აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ძირითადად ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოს წარმოადგენდა, თავადაზნაურობა უმეტესწილად ქართველი იყო. ქართველი თავადაზნაურობა სამართლებრივი უფლებებით მთლიანად იყო გათანაბრებული რუს არისტოკრატიასთან, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოს ცენტრალურ ადმინისტრაციულ თუ სამხედრო სტრუქტურებში.

საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ, რა თქმა უნდა, აქ ჩამოსახლდნენ რუსი, გერმანელი, ფრანგი არისტოკრატებიც (მაგალითად, კახეთში თავად აფხაზისაგან კარდენახის მამული შეიძინა გრაფმა შერემეტიევმა, თავად ჭავჭავაძისაგან წინანდლის მამული – რომანოვების სამეფო ოჯახმა და ა.შ.).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოს არისტოკრატიას სერიოზული პრობლემები თავიდანვე შეექმნა – მათი რეპრესიები რუსეთის XI არმიის შემოსვლისთანავე დაიწყო. როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, თავადაზნაურთა წინააღმდეგ მტაცებლებივით იქცეოდნენ ადგილობრივი რევკომების (წაიკითხე – უღარიბესი გლეხები) წევრები: კლასობრივი სიძულვილით აღვსილნი, უკვე რეალური ხელისუფლების მატარებლები, ისინი თავადაზნაურობას უკანონოდ ართმევდნენ სახლ-კარს, ქონებას, სურსათ-სანოვაგეს.

მაგრამ თავადაზნაურობამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა თვითონ საბჭოთა ხელისუფლებასაც – მას როგორმე უნდა მოეწესრიგებინა და გადაეჭრა თავადაზნაურობასთან ურთიერთობები. რას საქმიანობდნენ და რით ირჩენდნენ თავს ქართველი თავადიშვილები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში?

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ყველაზე ფართო ასპარეზი მათ გაეხსნათ სამხედრო უწყებაში: საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე ისინი აქტიურად ჩააბა წითელი არმიის მშენებლობის პროცესში. დოკუმენტები მიუთითებენ, რომ 1921-1922 წლებში წითელი არმიის სამმართველო სტრუქტურებში, საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე, მსახურობდნენ მეფის არმიის ყოფილი ოფიცრები, ბრწყინვალე ქართველი თავადები და აზნაურები, მათგან ბევრი – კახეთის რეგიონიდან: ჭავჭავაძეები, ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილები, ჩოლოყაშვილები, ბაგრატიონ-დავითაშვილები და სხვ. დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 1923 წელს, წმენდისა და რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს წითელი არმიის შემადგენლობაში 11 % თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო. ამ დროს საბჭოთა ქართულ ჯარში მსახურობდა მეფის არმიის 4 გენერალი, 13 პოლკოვნიკი და 15 ვიცე-პოლკოვნიკი. (სუიცსა, ფ.284, ს.1, 69)

დადასტურებულია, რომ მომავალში ცნობილი ქართველი, ანტისაბჭოთა მოძრაობის გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი უკვე 1921 წლის დასაწყისში საბჭოთა ჯარებში სამუშაოდ მიიწვიეს რუსეთის ცხენოსანი დესანტის სარდლის დ. ულობას ინიციატივით, რომელიც ქართველ ოფიცერს იცნობდა მეფის არმიაში ერთობლივი სამსახურით.(დაუშვილი, 2009, 230)

თავადიშვილებს ვხდებით საბჭოთა მილიციის შემადგენლობაშიც. მაგალითად, სართიჭალის საბჭოთა მილიციის უფროსი იყო ყოფილი თავადი, ახლა უკვე „ამხანაგი“ ჩოლოყაშვილი, რომელიც 1923 წელს თავისი მოგვარის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაპატიმრებას ცდილობდა.

თავადაზნაურობის წარმომადგენლები იყვნენ როგორც საბჭოთა უშიშროების სამსახურში, ისე სხვა სახალხო კომისარიატებში. 1927 წლის სტატისტიკით საქართველოს თითქმის ყველა სახალხო კომისარიატის აპარატში თავადაზნაურობა საკმაოდ არის წარმოდგენილი. მნიშვნელოვანია, რომ დიდი პროცენტი თავადაზნაურეობის დასაქმებული იყო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში – 34%. კიდევ უფრო მეტია თავადაზნაურობა – საქართველოს საგეგმო კომიტეტის შემადგენლობაში – 62%. მუშურ-გლეხურ ინსპექციაში თავადაზნაურობის შემადგენლობა იყო 36%, იუსტიციის სახალხო კომისარიატში – 27%, შინსახკომში – 20% და ა.შ. (შსს არქივი II განყოფილება ს. 5, 60)

ქართულ სოფელში თავადაზნაურთა მიმართ გარკვეული წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება იყო – „ჩატეხილი ხიდის“ ილიასეული გააზრება, გარკვეულწილად, აპირობებდა ამ ტრადიციულ ურთიერთობას. საუკუნეების მანძილზე გლეხის მიერ დაგროვილი ტკივილი, უსამართლობის მკაცრი განცდა, თავადების მიმართ სოციალური ზიზღი, შურის გრძნობა მათი ბრწყინვალე წარმომავლობის, დიდებული გარეგნობის, განათლების, ტრადიციული ოჯახიშვილობის მიმართ რიგით ქართველ გლეხში, როგორც ჩანს, მაინც ფესვგადგმული იყო.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ ულმობლად გაუსწორდნენ კახელი გლეხები, 1924 წლის აჯანყების შემდეგ, თავადაზნაურებს, როგორც გამოდევნეს ისინი სახლებიდან და თვითონ ჩაასახლდნენ.

კახეთში თავადაზნაურის ოჯახის აწიოკების ტიპიური სურათი შემოგვინახა ქ. ჩოლოყაშვილის ნათესავმა ქალმა ნინო ავალიშვილმა: „შეცვივდნენ სახლში, გადააბრუნეს იქაურობა, ლოგინი და მუთაქები სულ დაჭრეს. თაროებიდან გადმოყარეს წიგნები, წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. ჩხრეკის დროს სხვენში იპოვნეს პაპაჩემის დროინდელდი დაჟანგული ხმალი და გატეხილი სანადირო თოფი... ძულიაშვილმა (დამსჯელი რაზმის ხელმძღვანელი – ა.დ.) დაიწყო ამ ხმლით მამაჩემის ცემა. მერე მამა და დათო (ნ. ავალიშვილის ძმა – ა.დ.) მიაბეს ცაცხვზე და დაუწყეს ცემა. დათოს წინა დღეს ფუტკარმა უკბინა და გასიებული ჰქონდა ყბა. მიდგა ძულიაშვილის კაცი და სულ ამ გასიებულ ლოყაში ურტყამდა... ძულიაშვილი გა-

ნაგრძობდა მამაჩემის ცემას. სხვები დარბოდნენ და ყველაფერს ეზოში ყრიდნენ“. (დაუშვილი, წენგუაშვილი, 2005, 21).

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს სოფელში (მათ შორის კახეთშიც) მოახერხა ღარიბი და უღარიბესი გლეხობის მატერიალური გაჭირვების გამო პროვოცირება და მათი აგრესიის მიზანმიართული წარმართვა თავადების ქონებისაკენ. ეს საბჭოთა პოლიტიკა ოთხ მიზანს ემსახურებოდა: 1. ხდებოდა უღარიბესი გლეხობის ყოფითი პრობლემების გადაწყვეტა ექსპროპრირებული თავადაზნაურთა ქონების ხარჯზე; 2. განხორციელდა თავადაზნაურთა რეპრესია სტიქიური ბრბოს – ღარიბი გლეხის საშუალებით, ინერგებოდა „შიშის სინდრომი“, რამაც თავადაზნაურულ ნაშთებში ხანგძლივი დროის მანძილზე უზრუნველყო საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალური დამოკიდებულება; 3. „ჩატეხილი ხიდი“ გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის მაქსიმალურად გააღრმავდა; 4. „კლასობრივი ბრძოლის“ ცეცხლი არ ჩაქრა სოფლად, რაც ახალი ძალით ააღორძინეს XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, საკოლმეურნეო მოძრაობის მასობრივ ეტაპზე.

როგორც დავინახეთ, საქართველოში თავადაზნაურები ძალით გაასახლეს თავისი კუთვნილი, ტრადიციული სამოსახლოებიდან. ისინიც სოფილიდან აიყარნენ და ქალაქებს შეაფარეს თავი.

§ 2. სოფლის სასულიერო წოდება

ქართული სოფლის ორგანული განუყოფელი ნაწილი მუდამ იყო სასულიერო წოდება. საუკუნეების მანძილზე სოფლის მოძღვარი – ეს იყო აღმზრდელი, დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი და ოჯახის მეგობარი. მან საუკუნეების მანძილზე, თავის მრევლთან ერთად, გადაიტანა საქართველოს თავზე დატეხილი ყოფითი პრობლემები თუ აგრესიული მეზობლებისაგან მომდინარე ურთულესი კოლიზიები. სწორედ ამ წოდებამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, შეინარჩუნა ქვეყანაში ქართველობა და ქრისტიანობა.

ასე იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრებამდე, როცა საქართველო პოლიტიკურად და რელიგიურადაც ერთიანი იყო. შემდეგ მოხდა როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური დაქუცმაცება – საქართველო პოლიკონფესიური გახდა. პოლიკონფესიური გახდა კახეთიც. ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიიღო სამხურ-გრიგორიანული სარწმუნოება. კახეთის მთის რეგიონებში თანდათან გაჩნდნა ჩეჩნური (ქისტური), დაღესტნური (ლეკების) დასახლებები – გავრცელდა ისლამი. თუმცა კახეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ბოლომდე მართლმადიდებელი ქრისტიანი დარჩა.

საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის წყალობით კახეთში სერიოზულად ფეხი მოიკიდა უღმერთობამ, როგორც ქრისტიან, ისე მაჰმადიან მოსახლეობაში. ღარიბი და უღარიბესი გლეხები, კომკავშირლები და პარტიული აქტივისტები სისტემატურად მონაწილეობდნენ რელიგიური კონფესიების წინააღ-

მდეგ მიმართულ ექსცესებში, შეურაცხყოფას აყენებდნენ სასულიერო წოდებას, ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს.

საბჭოთა სახელმწიფოს დეკრეტით რელიგიური საზოგადოებების მთელი ქონება გამოცხადდა სახალხო (სახელმწიფო) საკუთრებად. დეკრეტის მთავარი მიზანი ეკლესიის სეკულარიზაცია იყო.

უკვე საბჭოთა ოკუპაციის პირველ დღეებში ეკლესიამ განიცადა მძიმე ეკონომიკური ზემოქმედება – მას ჩამოართვეს ისიც, რაც „მენშევიკების" მმართველობის ათეისტურ პოლიტიკას გადაურჩა. სოფლის იმჟამინდელი ხელისუფლება – გლეხკომები ერთხმად იღებდნენ გადაწყვეტილებებს ეკლესია-მონასტრებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნის შესახებ. როგორც ოფიციოზი გაზეთი „კომუნისტი" აცხადებდა: „... ბევრ სოფელში გლეხები ეკლესიებიდან ყრიდნენ ხატებს, ჯვრებს და იქვე დადგენილება გამოჰქონდათ მთელი ამ ნაგვის დაწვისა და ეკლესიის შენობის კულტურის ტაძრად გადაქცევის შესახებ" („კომუნისტი", 1923, 1 აპრილი). მსგავსი მაგალითი ბევრი მოხდა კახეთის რეგიონშიც.

დევნა ეკლესიის მსახურებზე კიდევ უფრო გაძლიერდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი სოფლის მღვდელი თავიდანვე დადგა აჯანყებლთა მხარეზე – ზოგმა დალოცა აჯანყებულები, ზოგმა კიდევ თავშესაფარი მისცა მათ. მაგალითად ცნობილია, რომ მღვდელმა კობახიძემ „დამოუკიდებლობის კომიტეტსა" და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეომრებს ჩინებული ვახშამი გაუმართა და დალოცა მათი საქმიანობა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ სწორედ სასულიერო წოდებამ განიცადა ყველაზე მკაცრი რეპრესია – დახურეს ეკლესია-მონასტრები, სასტიკად დაარბიეს ბოდბის დედათა სავანე, საქართველოს საპატრიარქოს ჩამოართვეს საეკლესიო ქონება, რელიგიური სიწმინდეები. დაიწყო რეპრესიების ახალი ტალღა.

საბჭოთა ხელისუფლების მცდელობამ შედეგი გამოიღო – საქართველოში მინიმუმამდე შემცირდა ეკლესიების რიცხვი, მათ შორის კახეთშიც. მონასტები საერთოდ დაიხურა, ათეისტრი პროპაგანდის წყალობით მრევლის უდიდესი ნაწილი გაემიჯნა ეკლესიას, რელიგიურ ცნობიერებას. სასულო წოდებას საქართველოს სოფელში 30-იანი წლების დასაწყისში რეალური ზეგავლენა უკვე აღარ ჰქონდა.

§ 3. სოფლის ბურჟუაზია ანუ „კულაკობის" საკითხისათვის

ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილზე, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, კახეთშიც ისევე, როგორც ზოგადად საქართველოს სოფელში XIX ს. მეორე ნახევარში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები ვრცელდებოდა და შეიქმნა სოფლის ბურჟუაზია, რომე-

ლიც სულ უფრო და უფრო აქტიურ როლს ასრულებდა სოფლის ყოველ-დღიურ ცხოვრებაში.

ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ აფასებდა ამ ახალ ტენდენციებს დიდი ილია ჭავჭავაძე, რა მოსწონდა და არ მოსწონდა მას ქართული სოფლის ევოლუციურ პროცესებში.

მაგრამ საქმე ის არის, რომ XIX-XX საუკუნეების რუსულ სოციოლოგია-ში, დამკვიდრდა ტერმინი – „კულაკი". ეს ტერმინი მთლიანად რუსული წარმომავლობისაა და დაკავშირებული იყო საგლეხო რეფორმების შემდეგ რუსულ სოფელში მიმდინარე სოციალურ დიფერენციაციასთან, ე.წ. „ბო-ბოლების" ფენის გაჩენასთან, რომლებსაც „ხელში ყავდათ" დაჭერილი მთელი სოფელი და თავისი მატერიალური შესაძლებლობებით მნიშვნე-ლოვნად განსაზღვრავდნენ სოფლის ყოველდღიურ ყოფას, ზეგავლენას ახ-დენდნენ, ატერორებდნენ ყოფილ თანამეთემეებს. რამდენადაც ეს ტერმინი, მოგვიანებით საქართველოსთვისაც დიდ მნიშვნელობას შეიძენს (ამის შე-სახებ დეტალურად იხ.: ა. დაუშვილი, 2016), ჩვენ ქვემოთ მხოლოდ ძლიერ მოკლედ შევეხებით ამ სოციალური კატეგორიის გენეზისს.

იყო კი საქართველოში „კულაკი"?

მიუხედავად იმისა, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმა საქართველოში კი-დევ უფრო კუდშეკვეცილად განხორციელდა ვიდრე რუსეთში, მაინც ქარ-თულ სოფელში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონო-მიკური ცხოვრება ნელა, მაგრამ შესამჩნევად შეიცვალა. ეკონომიკის გან-ვითარების სტიქიური პროცესები, რა თქმა უნდა, გულისხმობდა გარკვეუ-ლი სოციალური ფენების აქტივობას, ინიციატივას, ანუ სრულიად რეალუ-რია, რომ საქართველოს სოფლის ბურჟუაზიას შორის, რომელიც ჩამოყა-ლიბების სტადიაში იყო, ყოფილიყვნენ რუსული სოციალური ტერმინის „კულაკის" შინაარსის მატარებელი ადამიანებიც. თუმცა, საქართველოს სოფელში ძირითადად იყვნენ სოფლის ბურჟუაზიის ღირსეული წარმომად-გენლებიც, რომლებიც აპირობებდნენ სწორედ კაპიტალისტური ფორმაცი-ის დამკვიდრებას საქართველოს სოფელში და მათგან მომავალში ცივი-ლიზებული ფერმერები ჩამოყალიბდებოდნენ.

სოფლის ბურჟუაზიასთან ერთად, საზოგადოებრივი განვითარების კანონე-ბის საფუძველზე, საქართველოში ჩამოყალიბდა სოფლის პროლეტარია-ტიც, რომელიც უკვე აღარ ფლობდა მიწას, არც გამწევ საქონელს და მთლიანად სოფლის ბურჟუაზიის სამსახურით ირჩენდა თავს. საქართვე-ლოს სოფელში გაჩნდნენ მოჯამაგირეები, სწორედ ისინი წარმოადგენდნენ სოფლის პროლეტარიატს.

კომუნისტური ექსპერიმენტი, კერძო საკუთრების ტოტალური განადგურება, ცალსახად მიუღებელი იყო როგორც მთლიანად სოფლის ბურჟუაზიისათ-ვის, ისე საშუალო გლეხობისათვისაც, რომლებიც საკმაოდ რეალურ ნივ-თიერ ქონებას ფლობდნენ და კერძო საკუთრების მოსპობა, რაც ბოლშევი-

კებმა მიზნად დაისახეს ხელისუფლების ხელში აღებისთანავე, მათთვის აშკარად მიუღებელი იყო.

ბოლშევიკებმა ჩათვალეს, რომ რუსულ სოფელში იყო ძალა, რომელიც მათ დაეხმარებოდა ბოლომდე მიიყვანათ რევოლუციური პროცესები აგრარულ ურთიერთობებშიც – ეს იყო სოფლის პროლეტარიატი და ნახევრად-პროლეტარული მასა, ანუ ბოგანო გლეხი, უმიწაწყლო მოჯამაგირე, რომელიც, მართალია, სოფელში ცხოვრობდა, მაგრამ ქალაქელი პროლეტარიატის მსგავსად, არაფერი არ გააჩნდა.

მიუხედავად რეპრესიებისა და ეკონომიკური წნეხისა, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელობას საიდუმლო სამსახურები იტყობინებოდნენ, სოფლის ბურჟუაზიის ხელში სულ უფრო და უფრო მზარდი ქონება იყრიდა თავს. ეს პროცესი კი საბჭოთა სისტემისათვის დამღუპველად ჩათვალეს კომუნისტური პარტიის ლიდერებმა ტროცკიმ, კამენევმა, ზინოვიევმა და სხვებმა. მათ კვლავ წამოატივტივეს „კულაკის“ პრობლემა, რომლის უარყოფითი შინაარსი მთელ სოფლის ბურჟუაზიაზე განავრცეს და რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში რუსეთის რევოლუციის მთავარ საფრთხედ გამოაცხადეს.

ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, სტალინის ხელმძღვანელობით, ტრადიციულად იცავდა და აგრძელებდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს ყველგან, მათ შორის სოფელშიც და ამ დაჯგუფების მთავარი ინტერესი სოფლის ეკონომიკური აღორძინება იყო გლეხობისათვის უპირატესი ხელშეწყობის პირობების უზრუნველყოფის ვითარებაში. ასეთმა პოლიტიკამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეულად ააღორძინა რუსეთის სოფლის მეურნეობა, იმატა ხვავმა და ბარაქამ, შედარებით გაიზარდა სოფლის მშრომელების შესაძლებლობებიც, განსაკუთრებით იმათი, ვისაც სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მეტი ეკონომიკური საშუალებები ჰქონდა, გაიზარდა და გაძლიერდა სოფლის ბურჟუაზიაც.

რა ვითარება იყო საქართველოში? მაინც რამდენი იყო რაოდენობით და რა რეალურ გავლენას ფლობდა მატერიალურად საქართველოს სოფელში ადგილობრივი ბურჟუაზია, მათ შორის „კულაკი“?

საქართველოს სოფლის ჩინებული მცოდნე ისტორიკოსი რ. კოჭლამაზაშვილი საქართველოს სოფელში „სოფლის ბურჟუაზიულ ზედა ფენის“ არსებობას 1,4 პროცენტიდან 2,4 პროცენტამდე ვარაუდობს, რომელსაც ის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული ტერმინით „კულაკებად“ იხსენიებს. (კოჭლამაზაშვილი, 1980, 54-55) მეცნიერის მიერ ჩატარებული გამოთვლებით მათ ყოველწლიურად ჰქონდათ 20 მილიონი მანეთის საერთო შემოსავალი. ხოლო ცალკეულ კულაკურ მეურნეობაზე – დაახლოებით 1587 მანეთის შემოსავალს ვარაუდობს. მისივე თვალსაზრისით საქართველოში ასეთი იყო სულ 10 083 მეურნეობა.

აკად. ი. კაჭარავა ქართულ სოფელში კულაკების რაოდენობას 4 % განსაზღვრავს (კაჭარავა, 1958, 171), ფ. ლომაშვილი – 4,5 პროცენტით, ა. კიკვიძე – 5 % ვარაუდობს (Киквидзе, 1961, 11).

პარტიული ლიდერი მიხ. კახიანი თავის მოხსენებაში საქართველოში შეძლებულ მეურნეობათა რიცხვს კომლების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 5% მიაკუთვნებს და მას ტერმინით „კულაკი“ იხსენიებს. ამასთან, ის ამტკიცებდა, რომ სწორედ იმათ ხელში იყო თავმოყრილი სოფლის სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის 21,6 პროცენტი („კომუნისტი“, 1929, 6 ივლისი).

ფაქტობრივად, როგორც ვხედავთ, ეს ავტორები საქართველოში კულაკური მეურნეობის რიცხვს რ. კოჭლამაზაშვილის მონაცემებთან შედარებით აორმაგებენ და ეს დაახლოებით 20 ათას მეურნეობას გულისხმობს, დაახლოებით 80-100 ათასი მცხოვრებით, რაც პატარა საქართველოსთვის საკმაოდ დიდი რაოდენობაა.

გვინდა კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო ფაქტზე გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. როცა ანტისტალინურმა ოპოზიციამ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში დაიწყო მმართველი ფრაქციის (ი. სტალინის პოლიტიკური დაჯგუფება) კრიტიკა „კულაკებთან“ ურთიერთობის, კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებისა გამო, საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ სპეციალურად შეისწავლა საქართველოში როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების განვითარების მდგომარეობა, მისი შედეგები და მიიღო კომუნისტური ხელისუფლებისათვის არცთუ სასიამოვნო მონაცემები: 1924 -1925 წლებში 5 მილიონი ვედრო ღვინიდან, რაც საქართველოში დაიწურა, მხოლოდ 700 ათასი იყო სახელმწიფო კოოპერაციული ორგანიზაციებისა, დანარჩენი კერძო პირებს ეკუთვნოდათ. 800 ათასი ვედრო ღვინო კერძო პირებმა გაყიდეს ადგილობრივ ბაზარზე. მათვე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანეს 1 მილიონი ვედრო ღვინო. ასევე წამყვანი იყო კერძო ბიზნესის წვლილი მეხილეობის დარგში – მათ მსხვილ პარტიებად გაყიდეს დაახლოებით ნახევარი მილიონი ფუთი ხილი. ასევე ლიდერობდა სოფლის კერძო ბიზნესი ხორცის, თხილის, რძის პროდუქციის წარმოებაში (მ. ნათმელაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 274).

ბოლო წლების გამოკვლევები ადასტურებენ, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების მიუხედავად, კერძო ბიზნესი, მათ შორის სოფელშიც, ახერხებდა ეკონომიკურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას და, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური მარწუხების მიუხედავად, წინ მიდიოდა – ვითარდებოდა. ასე იყო კახეთის რეგიონშიც, რადგან კახეთი სწორედ მეღვინეობის მთავარი ცენტრი იყო საქართველოში.

სოფლის ბურჟუაზიის მიერ ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდა, რა თქმა უნდა, იწვევდა სოფლის ადგილობრივ მოსახლეობაზე მათი ზეგავლენის გაძლიერებასაც, საშუალო და ღარიბი გლეხების გარკვეულ მასაზე ფინანსური თუ მორალურ-ფსიქოლოგიური გავლენების შენარჩუნებას.

რამდენადაც საქართველოში „კულაკის“ ცნების განსაზღვრისას არ იყო ერთსულოვნება, მოსკოვიდან თბილისში მოვიდა სპეციალური ცირკულარი, სა-

დაც ზუსტად იყო განსაზღვრული სოფლის სოციალური სტრუქტურა ფენების მიხედვით, დახასიათებული იყო თვითოეული მათგანი. ცირკულარში „კულაკი“ ასე განისაზღვრა: „ამ ცნებაში მოიაზრება კაპიტალისტური მეწარმე და მიწათმოქმედი, რომელსაც ყავს რამდენიმე დაქირავებული პირი (როგორც წლიურად, ისე გარკვეული პერიოდი), რომელიც გლეხთან არის დაკავშირებული მხოლოდ საკუთარი ფიზიკური ძალით და აწესრიგებს მეურნეობას. მისი კლასობრივი არსი ვლინდება იმაში, რომ ის ეწევა ყველა მიმართულებით ვაჭრობას, არენდით იღებს მიწებს, საკმაოდ დიდ ოდენობით, სისტემატურად იყენებს სხვის დაქირავებულ ძალას. მისი პრინციპებია: წარმოების საკუთარი საშუალებები და უცხო დაქირავებული სამუშაო ძალა თავის მეურნეობაში“ (სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 221, 81).

ეს ცირკულარი გავრცელდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში, რომ არ მომხდარიყო ცნებებში აღრევა და კარგად გამოეკვეთათ „კულაკი“ – როგორც ძირითადი საფრთხე საბჭოთა სოფელში. მაგრამ ადგილებზე „კულაკის“ განსაზღვრა ნაკლებად იყო დაკავშირებული ცირკულარის პარაგრაფებსა და პრინციპებზე. მას მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების სოფელში მთავარი დასაყრდენი – უღარიბესი და ღარიბი გლეხი განსაზღვრავდა. სწორედ გლეხობის ეს კატეგორია იყო წარმოდგენილი სათემო და სასოფლო საბჭოებში, სადაც „კულაკის“ საკითხით ზედმეტად დაინტერესება უკვე 1928 წლიდან აშკარად იკვეთება. მაგალითად, სოფ. წინანდლის სასოფლო საბჭომ ეს „დაინტერესება“ უკვე 1928 წელს გამოავლინა. საბჭოში შეადგინეს სია იმ მდიდარი („კულაკი“) გლეხებისა, რომლებზეც ექსპროპრიაცია უნდა განხორციელებულიყო (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12. აღ.1, ს.6, 51-52).

ზემო-ქედის სოფლსაბჭომ ადგილობრივი ბურჟუაზიის ექსპროპრაცია დაიწყო ცოტა მოგვიანებით – 1929 წლის 20 ივლისიდან. არბოშიკის სოფლსაბჭომ ეს საკითხი პირველად კიდევ უფრო გვიან – 1930 წელს განიხილა (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21. აღ. 1, ს. 2, 20).

როგორც კვლევები ადასტურებს, საქართველოს სასოფლო საბჭოებში ანტიკულაკური საქმიანობა მასობრივად 1929-1930 წლებში დაიწყო და თითქმის 1935 წლამდე გაგრძელდა.

§ 4. ღარიბი და უღარიბესი გლეხობა ანუ „სოფლის პროლეტარიატი“

ლენინური მიმართულების სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით, რასაც უდიდეს პროპაგანდას უწევდნენ კიდეც, სოციალისტური რევოლუციის რეალიზაციისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის მხარდამჭერი და თანამებრძოლი სოციალური ძალა შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ღარიბი და უღარიბესი გლეხობა, რომელსაც თვითონ ცხოვრების ობიექტური კანონები, ეკონომიკური კანონზომერებები, უბიძგებდნენ გამხდარიყვნენ კო-

მუნისტების მხარდამჭერნი ძველი სოციალური გადმონაშთების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისა თუ კომუნისტური ექსპერიმენტის რეალიზაციის საქმეში.

სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ დიდი მუშაობა გასწია სოფლად მარქსისტული იდეების გასავრცელებლად, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც უპირატესად გლეხური ქვეყანა იყო და გლეხობის პოლიტიკური ორგანიზება ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ძალით გასაბჭოების წინ, 1921 წელს ქართველი კომუნისტების მეტად მოკრძალებულ რაოდენობაში (9190 კაცი) გლეხობა შეადგენდა 57 პროცენტს (Коммунистическая партия Грузи.., 1971, 7). რა თქმა უნდა, პარტიის ეს წევრები ძირითადად ღარიბი და უღარიბესი გლეხობის სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც არაფერს ფლობდნენ და მხოლოდ ახალი ხელისუფლებისაგან მოელოდნენ სოციალური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას.

ვინ იყვნენ სოფლის ღარიბი და უღარიბესი გლეხები, ანუ სოფლის პროლეტარები?

ესენი იყვნენ, ძირითადად, სოფლის დეკლასირებული ელემენტები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო დაკარგეს საკუთრება – მიწა, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მუშა საქონელი, ბევრმა, ამასთან, დაკარგა საცხოვრებელი ბინაც კი. მიზეზები, რამაც მათი ასეთი მდგომარეობა გამოიწვია, შეიძლება ყოფილიყო როგორც ობიექტური (კაპიტალიზმის განვითარების კანონები და კანონზომიერებები, რასაც მათ ალღო ვერ აუღეს) და სუბიექტურიც (სიზარმაცე, არაორგანიზებულობა, ცხოვრების ადრეულ წლებში მარჩენალის დაკარგვა, სავალო კაბალა, ობლობა და ა.შ. და ა.შ.). ყველაფერი ეს ასეთ ადამიანებს აიძულებდა გამხდარიყო „პროლეტარი“ – დაქირავებული სოფლის მუშა ანუ ქართულ სინამდვილეში გავრცელებული ტერმინით თუ ვიტყვით – ბოგანო გლეხი, რომელიც ძირითადად თავს მოჯამაგირეობით ირჩენდა.

მოჯამაგირე ქართულ სოციალური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი იყო თითქმის XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლომდე. ეს სოციალური კატეგორია გულისხობდა მდიდარი თანასოფლელების მამულში სისტემატურ და ინტენსიურ მუშაობას (თუ მოჯამაგირე ზრდასრული იყო), ან მდიდარი თანასოფლელის ოჯახში ხელზე მოსამსახურედ ყოფნას (თუ მოჯამაგირე ზრდასრული არ იყო). მოჯამაგირეები იყვნენ როგორც კაცები, ისე ქალებიც. სოფელში შრომა არარეგლამენტირებული იყო და ამასთან სეზონური – ზრდასრული მოჯამაგირე მემამულეს სჭირდებოდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომის შესრულების პერიოდში. ზამთრის ცივი ამინდების დროს მემამულე მხოლოდ ოჯახში შინამომსახურე მოჯამაგირეს თუ აჩერებდა, ისიც მოზარდს. ამიტომაც მოჯამაგირის სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო.

საქართველოს პირობებში, როცა სამრეწველო ქალაქებთან კავშირი, ტერიტორიული სიახლოვის გამო, პრობლემას არ წარმოადგენდა, სოფლის პროლეტარების გარკვეული ჯგუფები მიდიოდნენ ქალაქში სხვადასხვა სამუშაოს შესასრულებლად და შემოსავალს აგზავნიდნენ სოფლად – ოჯახის გამოსაკვებად. არსებული დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სოფლის პროლეტარიატის შიდა სოციალური კატეგორიებიც. საბჭოთა სინამდვილის ჩინებული მცოდნე პროფ. ალ. კოჭლავაშვილი ასე განსაზღვრავდა სოფლის პროლეტარიატის სოციალურ სტრუქტურას: „...სოფლის პროლეტარიატი აერთიანებდა დიდი რაოდენობით მოჯამაგირეებს, რომლებიც თავიანი მუშაობისა და ცხოვრების პირობების გამო პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სოფლის პროლეტარიატის დანარჩენ ჯგუფებს... გლეხობის ის ნაწილი, რომელიც გარე სამუშაოზე გადიოდა, განსაკუთრებით სამრეწველო ქალაქებში, სწორედ ამ კატეგორიის „ნადელიანი მუშები“ ავსებდნენ ქალაქისა და სოფლის პროლოლეტარიატის რიგებს“ (კოჭლავაშვილი, 1977, 40).

ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში ავტორის მხრიდან სოფლის პროლეტარიატის ორ ნაწილად გაყოფასთან გვაქვს საქმე, თუმცა ჩვენ ვვარაუდობთ, რომ მოჯამაგირეთა შორისაც შეიძლება გარკვეული შიდა გამიჯვნაც მოხდეს – „სრულიად უსახლკარონი“, რომლებიც მთლიანად დამქირავებლის ხარჯზე არსებობდნენ, მათ ოჯახებში ცხოვრობდნენ, მათთან იკვებებოდნენ, წასასვლელი არსად ჰქონდათ (მაგალითად, მექი ვაშაკიძის პერსონაჟი კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარში“) და მოჯამაგირეთა ის დიდი ნაწილი, რომელსაც შესაძლებელია საკარმიდამო მიწა პატარა სახლით კი ჰქონდა, მაგრამ მისი შემოსავალი ოჯახს არ ყოფნიდა იძულებული ხდებოდა მოჯამაგირედ დამდგარიყო. ამ ორი ჯგუფიდან პირველნი – ე.წ. „სრულიად უსახლკარონი“ განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ, სხვადასხვა სუბიექტური გამოცდილება, პიროვნული შეურაცხყოფა, მეპატრონეებთან რთული ურთიერთობების დანაშევრები მათ სოფლად კომუნისტური პოლიტიკის გატარების ხელშემწყობ ძალიან მნიშვნელოვან ძალად ხდიდა.

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებშიც კი ქართულ სოფელში ვერ ხერხდებოდა ღარიბი გლეხობის ზუსტი სოციალური გრადაცია, მათ შორის „სოფლის პროლეტარიატის“, „ღარიბი გლეხის“ თუ „მოჯამაგირის“ ზუსტი აღრიცხვა და ამის გამო ხშირი იყო როგორც გაუგებრობა, ისე უსიამოვნებაც კი, რადგან საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პრევილეგიები, შეღავათები, წახალისება თუ ფინანსური სუბსიდირება მკვეთრად იყო გამიჯნული სოფლის სოციალური ჯგუფების მიხედვით.

სოფლის ღარიბი გლეხობის ორგანიზაციული შეკავშირება გასაბჭოებისთანავე დაიწყო, მაგრამ მათი მუშაობის შედეგები ყოველთვის არ პასუხობდა დასახულ მიზნებს. ამის მიზეზი იყო სოფლის უღარიბესი მოსახლეობის გაუნათლებლობა, მართვის პროცესებში გაურკვევლობა, აშკარა

სუბიექტივიზმი, „გააზნაურებული მდაბიოს“ სინდრომი, სოციალური ზიზღის მოჭარბებული გრძნობა და ა.შ. და ა.შ.

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წელს საქართველოში ხელისუფლების ორგანოები ცენტრსა და ადგილებზე რევოლუციური კომიტეტების ფორმით იყო წარმოდგენილი. სოფლის რევკომებში, რგორც წესი, ღარიბი და უღარიბესი გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში პრაქტიკაში ძალიან აქტიურად იყენებდნენ „ნაფრონტალ ჯარისკაც“ გლეხებსაც, მით უფრო, თუ მათ მემარცხენე – პროკომუნისტური შეხედულებები დაუმტკიცდებოდათ. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ბევრი პრობლემა წარმოშვა და ბევრიც უკანონობა გამოიწვია, რისი ალაგმვაც საბჭოთა ხელისუფლებას დიდი მსხვერპლის ფასადაც უჯდებოდა.

1922 წლიდან სოფლად ღარიბი და უღარიბესი გლეხობის დარაზმვის მთავარი საშუალება გახდა სასოფლო (სათემო) საბჭოები. მიუხედავად ხელშეწყობისა, ასეთი საბჭოების არჩევნები და მათი ნორმალური ფუნქციონირება გარკვეულ პრობლემას წარმოადგენდა, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. საქართველოში ხმის უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ თავადაზნაურობას, სასულიერო წოდებას, მემამულეებს, ვაჭრებს – რომლებიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. აქედან გამომდინარე სოფლის ინტელიგენცია, ფაქტობრივად, მოკლებული იყო ხმის უფლებას, არ მონაწილეობდა არჩევნებში და ამ ადამიანებს არც საბჭოებში ირჩევდნენ. ამიტომაც განათლებული, გამოცდილი ხალხი სოფლის საბჭოებში ნაკლებად ჩანს. XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განათლების დონე სოფლად ძალიან დაბალი იყო, ეს შენიშვნა განსაკუთრებით ეხება მთის რეგიონისა და არაქართული ენთოსებით დასახლებულ ტერიტორიებს.სიძნელეების დაძლევის გზით სოფლსაბჭო – როგორც ღარიბი და უღარიბესი გლეხების დამრაზმავი პოლიტიკური მნიშვნელოვანი ორგანო სოფლად, საბოლოოდ მაინც ჩამოყალიბდა, მისი მუშაობის სტრუქტურაც თადათან დაიხევწა. ღარიბი გლეხობის წარმომადგენლებიც მიეჩვივნენ ძალაუფლებას, შეიძინეს საზოგადოების მმართვის გამოცდილება.

ფაქტობრივად სასოფლო (სათემო) საბჭოები, კოლმეურნეობის შექმნამდე, ქართულ სოფელში ერთადერთი ძალმოსილი პოლიტიკური, იურიდიული და სამეურნეო ხელმძღვანელი ორგანო იყო. მასში ძირითადად მუდამ ირჩევდნენ ღარიბ და უღარიბეს გლეხებს, იყო საშუალო გლეხების არჩევის შემთხვევებიც. სასტიკად ისჯებოდა სოფლის საბჭოებში მდიდარი გლეხობის წარმომადგენლების აშკარა თუ ფარული საქმიანობა. მაგალითად, სიღნაღის მაზრის სოფელ ზემო ქედის სასოფლო საბჭოში მდიდარი გლეხობის წარმომადგენლობა სოფლსაბჭოს შემადგენლობაში 1929 წელსაც კი დაფისქირდა (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, ს.1, 3).

სასოფლო-საბჭოები, რომლებიც ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ორგანიზაციის მთავარ საშუალებას წარმოადგენდნენ და თანაც გარკვეულ ძალაუფლებასაც ფლობდნენ, განკარგავდნენ ფინანსებს, ადგილობრივი მი-

წის ფართობს ანაწილებდნენ თანასოფლელებს შორის და ასრულებდნენ სხვა ფუნქციებსაც.

საბჭოებში გლეხობის წარმომადგენლობა, როგორც პრაქტიკა მიუთითებს, სხვადასხვა იყო და არ არსებობდა რაღაც ერთი შაბლონი. იყო სასოფლო საბჭოები მცირერიცხოვანი შემადგენლობით – 5-8 კაციანი (მაგალითაად, 8 კაციანი იყო ზემო ქედის სასოფლო საბჭო) და შედარებით მრავალრიცხოვანიც (მაგალითად, სოფ. ხოდაშნის სოფლის საბჭო, რომელიც 28 წევრსა და 7 კანდიდატს აერთიანებდა). იყვნენ გამორჩეულად დიდი სასოფლო საბჭოებიც. მაგალითად, სოფელ კარდენახის თემსაბჭო XX ს. 20-იანი წლების შუა ხანებში 58 წევრსა და 17 კანდიდატს აერთიანებდა (სშსს არქივი, ფ.14. აღ. 4, ს. 444, 151). ამ საბჭოსთან არსებობდა შემდეგი სექციები: საგზაო, კულტურულ-საგანმანათლებლო, კოოპერაციის და სხვ. სასოფლო საბჭო განსაკუთრებით იღვწოდა სოფლის მშრომელთა დასარაზმად სასოფლო გზების მოწესრიგების საქმეზე. სწორედ ამ პერიოდში სოფლსაბჭოს ინიციატივით გაკეთდა გზა კარდენახიდან ანაგისა და ბაკურციხის გაყოლებით. სოფელში სერიოზული პრობლემა იყო სასმელი წყალი – ესეც დადებითად გადაწყდა ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. სასოფლო საბჭოს დახმარებით შეკეთდა სოფლის სკოლების შენობა, სასკოლო კაბინეტებისათვის შეიძინეს სპეციალური ინვენტარი და ა.შ.

ღარიბი გლეხობის კლასობრივი ორგანიზაციის კიდევ უფრო მასობრივი ფორმა იყო ღარიბი გლეხობის კომიტეტები. ესენი უფრო საზოგადოებრივი ორგანიზაციები იყვნენ, რეალურ რესურსებს (განსაკუთრებით ფინანსურს) არ ფლობდნენ, ამიტომაც სოფელში უფრო ნაკლები ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. ამაზე მიუთითებს სტატისტიკაც, რომელიც ამტკიცებს, რომ ღარიბი გლეხები ამ კომიტეტებში ნაკლებად ერთიანდებოდნენ. მაგალითად, ზემო მაჩხაანში ღარიბკომის შემადგენლოაში გაერთიანებული იყო მხოლოდ 120 ღარიბი გლეხი, ხოლო სოფლის 250 კაცი მის გარეშე იყო დარჩენილი. ამტკიცებდნენ, რომ გურჯაანის მაზრის ღარიბკომები საერთოდ არ შეკრებილან 8 თვის მანძილზე, აშკარად ფიქსირდებოდა ამ კომიტეტების მუშაობაში ღარიბი გლეხების პასიურობა. (სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4. ს. 241, 37).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ცდილობდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობის აქტიურ ჩართვას პარტიულ და სხვა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (კომკავშირში, საბჭოთა პროფკავშირებში), მაგრამ, როგორც დასტურდება, წახალისების მიუხედავად ეს პროცესი საკმაოდ დუნედ მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის რიგებში მუდამ აქტიურად იყო წარმოდგენილი გლეხობა (რა თქმა უნდა ღარიბი და უღარიბესი გელეხობა) – 1923 წელს ისინი პარტიის თითქმის 60 % შეადგენდნენ, ხოლო 1925 წელს მათი ხვედრითი წილი 35 პროცენტამდე დავიდა. (Коммунистическая партия Грузии..., 1971, 26).

კომუნისტების ნაკლებობა კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო ადგილებზე, რადგან საქართველოში იყო სოფლები, სადაც XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებშიც კი არცერთი კომუნისტი არ იყო – ფაქტობრივად კომუნისტურ პარტიას დასაყრდენი ამ სოფლებში არა ჰქონდა. მაგალითად, ზემო ქედის სასოფლო საბჭოს 8 კაციან შემადგენლობაში 1 იყო კომუნისტი, 2 პარტიის წევრობის კანდიდატი (თელავის არქივი ფ. 69, ს.1:5).

ასეთი ვითარების მიუხედავად, პარტიის საერთო პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოში ღარიბ და უღარიბეს გლეხობას, შეძლებისამებრ, პირობებს უქმნიდნენ: მათ საქართველოს მთავრობა 1926-1927 წწ. – 243 ათასი მანეთით დაეხმარა, 1927-1928 წელს – 524 ათასი მანეთით (სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 241, 37).

როგორც ფაქტები ადასტურებენ, მიუხედავად ხელშეწყობისა, ფინანსური დახმარებისა, სოციალური თუ ეკონომიკური პრივილეგიებისა, მაინც, რაოდენობრივი შემცირების მიუხედავად, უღარიბესი გლეხობის კატეგორია 1928-1929 წლებშიც სახეზეა – არსებობას განაგრძობს, რაც მიანიშნებს, რომ სიღარიბის აღმოსაფრხველად დასახული ამოცანები სოფელში სათანადოდ ვერ ხორციელდებოდა. როგორი იყო სიღარიბის მაჩვენებელი XX საუკუნის შუა ხანებში?

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის დავალებით სპეციალურად შეისწავლეს საქართველოს სოფელში ქონებრივ ცენზთან დაკავშირებული მდგომარეობა 5 ტიპის: მემინდვრეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მესაქონლეობისა და მეთამბაქოობის მიმართულების მქონე რეგიონების მიხედვით. კომისიამ დაადასტურა, რომ ამ სოფლებში ღარიბი და უღარიბესი გლეხობის კატეგორია საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: მემინდვრეობის რეგიონებში ასეთი იყო – 30,9%, მევენახეობის რაიონებში – 25,6%, მეხილეობის რეგიონებში – 6,9%, მეთამბაქოობაში – 12%, მესაქონლეობის რაიონებში – 54,2% (სშსს არქივი, ფ. 14, აღ.4, ს. 231, 243).

ქართულ სოფელში კლასობრივი პრობლემების შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღარიბი და უღარიბესი გლეხური მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობის საკითხს და მისი განვითარების პერსპექტივებს. ანგარიშგასაწევია, რომ ასეთი მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა ასევე ერთობ მოკრძალებული ჩანს: მემინდვრეობის რეგიონებში ის უდრის მხოლოდ 15%, მევენახეობის რეგიონებში – 8,1%, მეხილეობის რეგიონებში – 1,5%, მეთამბაქეობის რაიონებში – 1,8%, მესაქონლეობის რაიონებში – 17, 4%.

ეს გამოკვლევა ჩატარებულია 1928 წელს და ადასტურებს ჩვენი მოსაზრების ობიექტურობას: მიუხედავად ხელისშეწყობისა, საქართველოში ღარიბი და უღარიბესი მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდ რაოდენობას წარმოადგენდნენ (მესაქონლეობის დარგში სოფლის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტს). მიზეზები ასეთი ვითარებისა, გარდა გეოგრაფიული პი-

რობებისა, უნდა იყოს საბჭოთა ფორუმებზე საკმაოდ მოკრძალებულად გაჟღერებული ადამიანის ფსიქოლოგიური თავისებურებაც – სიზარმაცე („ღარიბი ზარმაცია!“) (სშსს არქივი, ფ. 14, აღ.4 ს. 273: 80).

რამდენადაც გარკვეული პრობლემები იყო ღარიბ გლეხობასთან მუშაობაში, აქცენტი თავიდანვე გაკეთდა სოფლის ღარიბების გამორჩეულ წრეზე – მოჯამაგირეებზე. თავისი სოციალური მდგომარეობით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოჯამაგირეები, მართლაც, „სოფლის პროლეტარიატს“ წარმოადგენდნენ – იყვნენ უქონელი, ბოგანო მოსახლეობა, თუმცა არა ყველა.მაგრამ საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ მთელი 20-იანი წლების მანძილზე ვერ მოახერხა „მუშათა კლასის ყველაზე ერთგული თანაშემწის“ – სოფლის მოჯამაგირის რაოდენობის დადგენა. „მათი სპეციალური აღწერა საქართველოში არ მომხდარა“ – აცხადებდა ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი ლიდერი მ. კახიანი. ვარაუდობდნენ, რომ საქართველოში იყო დაახლოებით 40 ათასი მოჯამაგირე (სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 273, 79).

საბჭოთა პარტიული ფუნქციონერების ერთ ჯგუფი საერთოდ უარყოფდა საქართველოში მოჯამაგირეების არსებობას – „საქართველოში მოჯამაგირე არ არის“.

როგორც ამტკიცებენ, XX საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში 50 000 სოფლის ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა იყენებდა დაქირავებულ შრომას. ოფიციალურად იმასაც ამტკიცებდნენ, რომ მოჯამაგირეების 89% ცხოვრობდა დამქირავებელთან. ოფიციალური დოკუმენტებიდან ისიც აშკარავდება, რომ საქართველოს მოჯამაგირეების ერთი ნაწილი გამორჩეოდა პასიურობით, როცა საკითხი დგებოდა მათი უფლებების დაცვის, პროფკავშირულ გაერთიანებაში გაწევრიანების, სოციალური დაზღვევისა და სხვა მათთვის აუცილებელი საკითხების გადაწყვეტის დროს. საქართველოში მოჯამაგირეების მხოლოდ 30% იყო გაერთიანებული პროფკაშირულ ორგანიზაციაში. დამქირავებელთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა მხოლოდ 23,1 პროცენტს. სოციალური დაზღვევა აღებული ჰქონდა 7550 მოჯამაგირეს.

როგორც დასტურდება, საქართველოს სოფელში სიღარიბე XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსაც საკმაოდ რეალურ სოციალურ მდგომარეობას წარმოადგენდა და, აქედან გამომდინარე, სოფლის შეძლებულ ფენას (მათ შორის „კულაკსაც“) ჰქონდა ღარიბ თანასოფლელებზე ზემოქმედების სერიოზული ფინანსური თუ მორალური ბერკეტები.

როგორი იყო შემოსავლები ქართულ სოფელში საკოლმეურნეო მოძრაობის წინ? განსაკუთრებით ეს კითხვა აქტუალურია სოფლის ღარიბი მოსახლეობასთან დაკავშირებით.

ოფიციალური სტატისტიკით, საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ (1927-1928 წწ.) საქართველოს სოფელი შემოსავლების მიხედვით რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. ყველაზე მცირე შემოსავლიანი იყო მეურნეობა,

რომელსაც მთელი წლის განმავლობაში 100 მანეთამდე შემოსავალი ჰქონდა (ასეთი საქართველოში სულ მეურნეობების 31,9% იყო), 100 -150- მანეთის შემოსავალი დაფიქსირდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 25,4 პროცენტში; 200-250 მანეთი ჰქონდა შემოსავალი სასოფლო კომლების 12,7 პროცენტს. საქართველოში იყვნენ სასოფლო ოჯახები, რომელთაც წლიურად ჰქონდათ 700, 800, 900 მანეთი შემოსავალი (ასეთი ოჯახების რაოდენობა მერყეობს 0,4-0,1 პროცენტს შორის). 1000 მანეთი შემოსავალი ჰქონდა საქართველოში 952 მეურნეობას (0,2%) (სშსს არქივი, ფ. 14, აღ.4, ს. 224, 19).

რომ მკითხველმა გაიგოს თუ როგორი იყო საკვლევ ქართულ სოფელში შემოსავლის ჭეშმარიტი ოდენობა, მოვიტანთ ხარის საბაზრო ღირებულებას, რაც 1928 წელს 100 მანეთს უდრიდა. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ ზემოთ მოტანილი კატეგორიებიდან I და II ჯგუფი ღარიბ გლეხობაში უნდა გავაერთიანოთ, რადგან მათი შრომის წლიური შედეგი ერთი ხარის შეძენას თუ მოხმარდებოდა და ეს თანხა, უდავოდ, არ ეყოფოდა გლეხის ოჯახის გამოკვებას მთელი წლის მანძილზე.

ასეთი იყო ღარიბი და უღარიბესი გლეხობის მდგომარეობა საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ.

§ 5. „საშუალო გლეხის“ საკითხისათვის

საქართველოს სოფელში საბჭოთა სისტემის დანერგვისა და განმტკიცების პერიოდში ყველაზე პრობლემური საკითხი – ეს იყო „საშუალო გლეხის“ სოციალური კატეგორიის განსაზღვრა, მის მიმართ სწორი, სამართლიანი პოლიტიკის შემუშავება და „საშუალო გლეხის“ აქტიური ჩართვა საბჭოთა აღმშენებლობის პროცესში. როგორც დასტურდება, ეს არცთუ თუ ადვილად შესასრულებული ამოცანა აღმოჩნდა როგორც ცენტრში მომუშავე პარტიული ლიდერებისათვის, ისე რეგიონებში – ადგილებზე, უშუალოდ სოფლებში. დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოში ძალიან დიდანს ვერ განისაზღვრა თუ ვინ იყო ეს იდუმალებიც მოცული – „საშუალო გლეხი“.

ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში (1921 წ.), როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსკოვში დაამტკიცეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ე.წ. „ნეპი“), რომელიც სოფლის აღორძინებასაც ითვალისწინებდა და ამ საქმეში მთლიანად გლეხობის, როგორც ერთიანი სოციალური კლასის, იმედი ჰქონდათ. ამიტომაც პირველ წლებში საქართველოში გლეხობის სოციალური დიფერენციაციის საკითხებზე განსაკუთრებულ ყურადღებას აღარ ამახვილებდნენ, განსხვავებით რუსეთისაგან.ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულმა აგრარულმა პოლიტიკამ, მიწე-

ბის რევოლუციურმა გადანაწილებამ, გარკვეულად შეცვალა ქართული სოფლის სახე. შემცირდა ღარიბი გელეხობის საერთო რაოდენობა და გაიზარდა „საშუალო გლეხი“. ცნობილია, რომ თუ 1921 წელს საქართველოს სოფელში უმიწაწყლო ან მცირემიწიანი გლეხობის (ანუ ღარიბი გლეხის) რაოდენობა 13,8 პროცენტი იყო, საბჭოთა რეფორმის შემდეგ ასეთი გლეხების რაოდენობა შემცირდა 4,4 პროცენტამდე (მ. ნათმელაძე, დაუშვილი, ჯაფარიძე, წენგუაშვილი, 2008, 255). ეს იმას მიუთითებს, რომ ღარიბი გლეხების ნაწილი „საშუალო გლეხების“ კატეგორიაში გადავიდა.

გარკვეულ პერიოდში სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩართულ სოფელში განვითარდა ისეთი პროცესები, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება არ მოელოდა. პირველ რიგში საქმე ეხებოდა სოფელში კაპიტალისტური ელემენტების, კაპიტალისტური ფსიქოლოგიის აღორძინება-განვითარებას, რაც 1925 წლისათვის უკვე აშკარად შესამჩნევი გახდა. მეორეც – მნიშვნელოვნად გაიზარდა საშუალო გლეხის – ანუ წვრილი მწარმოებლის შესაძლებლობებიც და მნიშვნელობაც სოფლის საერთო ეკონომიკურ სტრუქტურაში. როგორც ამტკიცებენ, უკვე „ნეპის“ პირველ წლებში ასეთი კატეგორიის გლეხობის რაოდენობა საქართველოში (მათ 2 დან 4 დესეტინამდე მიწა ჰქონდათ) გაიზარდა 22 პროცენტიდან 38,4 პროცენტამდე. ზრდა აშკარაა.

რა თქმა უნდა, საქართველოს ყველა რეგიონში საშუალო გლეხის ზრდის მაჩვენებელი ერთნაირი არ იყო, უდაოდ, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე „საშუალო გლეხი“ ქართლში, რადიკალურად განსხვავდებოდა „საშუალო გლეხისაგან“ მთა-თუშეთში, კახეთში.

როგორც დასტურდება, საქართველოში „საშუალო გლეხის“ მიმართ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში, თვით საყოველთაო საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებამდეც კი, სრული გაუგებრობა არსებობდა როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში. აშკარად დასტურდება, რომ ვერ ხერხდებოდა „საშულო გლეხის“ სოციალური კატეგორიის ზუსტი დეფინიცია: „სოფლის გლეხური მასები დაყოფილია სოციალურ ჯგუფებად, განსაზღვრულია მათი ქონება. საქმე კი იმაშია, რომ მათ (იგულისხმება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები – ა.დ.) ამ დარგში აქვთ დიდი არევ-დარევა, არ იციან ვინ უნდა ჩაითვალოს საშუალო გლეხად, ვინ ღარიბად“ (სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 227, 15).

ადგილებზე პარტიული ფუნქციონერების, საბჭოთა მუშაკების ასეთი გაურკვევლობა ბევრ პრობლემას ბადებდა – პირველ რიგში ეს იყო უსამართლობა, რაც ვლინდებოდა მიწების გადანაწილების დროს, საბჭოების არჩევნებზე, საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოყოფილი შეღავათებისა და ფულადი სუბსიდიების განაწილებისას და ა.შ. როგორც საქართველოს ერთ-ერთი პარტიული ლიდერი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე აცხადებდა: „კულაკებმა შეძლეს საშუალო გლეხების დიდი ნაწილი აემხედრებინა მიწის მოწყობის საკითხის წინააღმდეგ... ამას ხელი შეუწყო ჩვენმა არამიზანშეწონილმა მიდგომამ საკითხი-

სადმი. სოფელში შეადგინეს სიები. დასწერეს – ეს ღარიბია, ეს – საშუალოა, ეს კულაკიაო. ღარიბებს ახლოს და კარგი მიწები უნდა მივცეთო, საშუალოს – უფრო შორს და უფრო ნაკლები. კულაკებს – უფრო ცუდიო. როდესაც ასეთი მტკიცე ხაზი გაატარეს საშუალო და ღარიბ გლეხობას შორის – ეს იყო არასწორი მიდგომა“.(სშსს არქივი ფ. 14, აღ. 4. ს. 227, 11)

ქართულ ისტორიოგრაფიაში არის სხადასხვა მოსაზრება სოფლის დიფერენციაციის შესახებ. ყველაზე უფრო გაზიარებულია ა. კიკვიძის ვარაუდი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო გლეხის მეურნეობა 1927-1928 წლებში შეადგენდა გლეხური მეურნეობის 61,3%. დასავლეთ საქართველოში – 64,2 %. (Киквидзе, 1961, 7).

უნდა აღინიშნოს, რომ „საშუალო გლეხის“ კატეგორიის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტერიუმის განსაზღვრას – რის საფუძველზე ხდება შეფასება – მიწის რაოდენობით თუ შემოსავლების ოდენობით. იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ შემოსავალს ჩავთვლით „საშუალო გლეხის“ კრიტერიუმად. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში ერთი ხარის საბაზრო ღირებულება იყო 100 მანეთი. ამასთანავე ჩვენ გვაქვს საქართველოს სამეურნეო ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მასალა საქართველოს სოფლის შემოსავლების შესახებ, რაზედაც ჩვენ ზემოთ ყურადღება უკვე გავამახვილეთ. აღნიშნული გრადაცია სოფლის საკომლო მეურნეოებებისა იწყება 100 მანეთიდან და მთავრდება 1000 მანეთით. მამულები, რომლებსაც შეეძლოთ შეეძინა 7-8 – 9 ხარი – საქართველოში იყო 0,4-0,1%. ამრიგად, ეს კატეგორია „მდიდარი „გლეხების“ ჯგუფში უნდა გავითვალისწინოთ. თუ ჩვენ საშუალო გლეხურ მეურნეობად ჩავთვლით იმ კომლს, რომელსაც შეუძლია წლის მანძილზე 2-დან 5 ხარი შეიძინოს, მაშინ ასეთი „საშუალო გლეხი“ საქართველოში დაახლოებით 15 % გამოდის. მაგრამ თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ უკვე 1 ხარის შეძენის შესაძლებლობა უტოლდება „საშუალო გლეხის“ კატეგორიას, მაშინ აღმოჩნდება, რომ საქართველოში ასეთია დაახლოებით 72 პროცენტი. ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში კრიტერიუმად უნდა ჩავთვალოთ მატერიალური შემოსავალი, მით უფრო რომ XX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებში საბჭოთა კავშირში ჩატარდა ფინანსური რეფორმა და დამყარდა „ვერცხლის სტანდარტი“, რამაც მოაწესრიგა საფინანსო-ფულადი ურთიერთობები და დაასტაბილურა ბაზარი.

მიწა საქართველოს პირობებში, ჩვენი აზრით, შეიძლება არ გამოდგეს კრიტერიუმად, რადგან მიწის მხოლოდ რაოდენობა არ წყვეტს სასოფლო კომლის შესაძლებლობებს, რადგან მიწა შეიძლება იყოს მაღალი, საშუალო და უვარგისი ხარისხის, დაქუცმაცეული ან ერთიანი, ირწყვებოდეს ან არ ირწყვებოდეს და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეს ცვლადი კატეგორიაა. ამ აზრს ავითარებდა აკად. ი. კაჭარავა, როცა ამბობდა: „ნათესი ფართობის მიხედვით გლეხურ მეურნეობათა დაჯგუფებების მონაცემებით ძნელია რაიმე სანდო დასკვნის გაკეთება საქართველოს გლეხობის სოციალური სტრუქტურის შესახებ“ (კაჭარავა, 1976, 455).

ჩვენს მოსაზრებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ გლეხთა სოციალური გრადაცია შეიძლება მოხდეს (და მოხდეს წარმატებით) კონკრეტული დარგების მიხედვითაც: მემინდვრეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა და ა.შ. და ა.შ. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ იმ კლევის შედეგებს, რაც საქართველოში ჩატარდა 5 ტიპის სასოფლო-სამეურნეო რეგიონში სოფლის სოციალური განფენების შესასწავლად (ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ). ამ კვლევის შედეგებმა დაადასტურეს, რომ მემინდვრების რაიონებში წვრილი მწარმოებელი სოფლად (ანუ „საშუალო გლეხი“) არის 67,3%, მევენახეობის რაოდებში – 68,5%, მეხილეობის რაიონებში – 73,5%, მეთამბაქეობაში – 63,6, მესაქონლეობაში – 41,4%99.

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საქართველოს სოფლად „საშუალო გლეხი“ ანუ საშუალო შემლების საგლეხო მეურნეობის რაოდენობა მერყეობდა 65-70 პროცენტამდე.

სწორედ ამ კატეგორიის გლეხების შემოსავლები იძლეოდნენ შიდასოციალურ განფენილობას, რის გამოც „საშუალო გლეხი“ ზედმეტად „ჭირვეული“ სოციალური კატეგორია აღმოჩნდა.

ამ გარემოებას სერიოზულ ყურადღებას აქცევდა მოსკოვიდან მიღებული ცირკულარიც, რომელიც ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს მკაცრად გაემიჯნათ სოფლად სოციალური გრადაციები, განსაკუთრებით გაემიჯნათ „საშუალო გლეხი“. აი, რას აღნიშნავს მოსკოვიდან გამოგზავნილი ცირკულარი: საშუალო გლეხები „არიან წვრილი მიწათმოქმედნი, რომელთაც აქვთ საკუთარი ან აღებული არენდით მიწის ნაკვეთი, მაგრამ ისეთი, რომელიც მათ აძლევთ საშუალებას არა მარტო არჩინონ ოჯახი და მეურნეობა, არამედ მიიღონ გარკვეული ნამატი პროდუქცია, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ მეურნეობის განსამტკიცებლად. აქ შეიძლება სხვისი დაქირავებული შრომის გამოყენება. საშუალო გლეხი – ეს წვრილი მესაკუთრეა, რომელიც დაკავშირებულია ბაზართან და დაინტერესებულია თავისი მეურნეობის კეთილდღეობით. თეორეტიკოსის აზრით საშუალო გლეხს აქვს როგორც ღარიბი გლეხის, ისე კულაკის ნიშნები, უმეტესად ღარიბის, რადგან მხოლოდ მოსავლიან წლებში ექმნება მას კუთილდღეობის შესაძლებლობა. პრინციპი მისი ასეთია: საკუთარი წარმოების საშუალებები და უცხო სამუშაო ძალა მცირე ოდენობით, ან საკუთარი სამუშაო ძალა და სხვისი საწარმოო საშუალებები და ა.შ.“ (სშსს არქივი, ფ. 14. აღ. 4. ს. 232, 80)

მიგვაჩნია, რომ ყველა შემთხევაში საქართველოში „საშუალო გლეხი“ საკმაოდ რთული სოციალური კატეგორია იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასში აუცილებლად გამოკვეთილი იქნებოდა „ზედა ფენა“ – გლეხობის წარმატებული ნაწილი, რომელიც სიბეჯითით, შრომის ორგანიზაციით, აღწევს იმდენად მაღალ შრომის ნაყოფიერებას, რომ იღებს მაღალ ეკონომიკურ შედეგებს. ის ახერხებს და ადვილად შეიძლება გადავიდეს სოფლის ბურჟუაზიის ანუ საბჭოთა ტერმინოლოგიით „კულაკის“ კატეგორიაშიც კი. რა თქმა უნდა, ხანგძლივ პერიოდში წარმატებული ბიზნესი ასეთ გლეხს უვი-

თარებს ძლიერ კაპიტალისტურ სოციო-ფსიქოლოგიურ ელემენტებს, რაც თვალში საცემია („საშუალო გლეხს აქვს ... კულაკის ნიშნები“).

მაგრამ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ „საშუალო გლეხის“ ფენას შეუერთდნენ საბჭოთა აგრარული რეფორმის შეიმდეგ წარმატებული ღარიბი და უღარიბესი გლეხები, რომლებმაც კარგად გამოიყენეს როგორც საბჭოთა აგრარული კანონმდებლობა, ისე შედავათები და პრივილეგიები, რაც ღარიბ და უღარიბეს გლეხს შესთავაზა საბჭოთა ხელისუფლებამ. სწორედ აქედან – „საშუალო გლეხს აქვს ღარიბი გლეხის, ...უპირატესად ღარიბის“ ფსიქო-სოციალური მახასიათებელები, რაც ხაზგასმით არის აღნიშნული მოსკოვიდან მიღებულ ცირკულარში. მათ სრულიად სამართლიანად შეიძლება საშუალო გლეხის ქვედაფენა შევარქვათ.

ჩვენი შეხედულებები ლოგიკურად ასე შეიძლება შევაჯამოთ: „საშუალო გლეხის“ ძირითადი მასაა – საშუალო შეძლებული გლეხი, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში და ქვეყანაში სურსათის ძირითადი მწარმოებელია. ის „საშუალო გლეხობაში“ არა მარტო ცენტრალური და ძირითადი, არამედ იდეოლოგიურად განმსაზღვრელი და წამყვანი ნაწილია. მისი ძლიერება – მის რაოდენობაშია. XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში თითქმის 2 მილიონიან ქართველ საშუალო გლეხში სწორედ ის არის ძირითადი მწარმოებელი ბირთვი.

„საშუალო გლეხის“ მობილურობის, მისი ეკონომიკური შესაძლებელობების, და აქედან გამომდინარე მისი სოციო-ფსიქოლოგიური განწყობილებების საზომი აშკარად იყო საწარმოო საშუალებებეზე საკუთრების პრობლემაც. ამ კატეგორიაში იგულისხმება როგორც მიწის დასამუშავებლად აუცილებელი აგრო-წესების შესასრულებელი მოწყობილობები და საშუალებები ქონა, ისე მუშა-პირუტყვისა თუ მეწველი საქონლის ყოლა. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საიჯარო ურთიერთობებში ამ კატეგორიის გლეხობის აქტიურ თუ პასიურ მონაწილეობას.

ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში კიდევ უფრო მრავალწახნაგაა. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, საქართველოში არიან „საშუალო გლეხები“, რომლებიც არიან ჩართულნი საიჯარო ფულად ურთიერთობებში, და არიან ისეთებიც, რომელთაც ჰყოფნით საკუთარი სახნავ-სათესი და არც იჯარით იღებენ და არც იჯარით გასცემენ საკუთარ სარგებლობაში მყოფ მიწის სავარგულებს. საკოლმეურნეო მოძრაობის მასობრივად დაწყების წინ, როგორც აღინიშნა, საშუალო გლეხის მხოლოდ 15 % გასცემდა იჯარით მიწას. სამაგიეროდ ძალიან მაღალია იმ „საშუალო გლეხის“ პროცენტი, რომელიც დამატებით იღებს მიწას და ამუშავებს – ასეთი საქართველოს საშუალო გლეხობაში 67% (სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 1, 67).

აკად. ი. კაჭარავა სტატისტიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე ამტკიცებდა, რომ საქართველოში „საშუალო გლეხის“ ხელში იყო მთელი საწარმოო საშუალებათა 54,4%, ე.ი. უმრავლესი რაოდენობა. ამასთან ის იმა-

საც მიანიშნებდა, რომ დასტურდება „საშუალო გლეხის“ საწარმოო საშუალებების ყოველწლიური მატების ზოგადი ტენდენციაც (კაჭარავა, 1976, 461).

უფრო რთულად არის მუშა საქონლით უზრუნველყოფის პარამეტრების განსაზღვრა, რადგან სტატისტიკური კრებულები ამ მონაცემს აჯამებენ საერთო გლეხობის ოდენობის მიხედვით და არ ჩანს შიდასოციალური დიფერენციაცია და არ ვიცით „საშუალო გლეხობას“ ვის რამდენი გამწევი საშუალება ჰყავს. სტატისტიკური კრებულები კი ადასტურებენ, რომ ქართველოში 1926 წლისათვის გლეხური ოჯახი, რომელსაც საერთოდ არ ჰყავს მუშა საქონელი უდრის 37,5 პროცენტს. აშკარაა, რომ ის მოიცავს „საშუალო გლეხობის გარკვეულ კატეგორიასაც. ისეთი გლეხური მეურნეობის რაოდენობა, რომელსაც ჰყავს 1-3 მუშა საქონელი იმავე პერიოდში საქართველოში იყო 60.2 %, ანუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „საშუალო გლეხის“ ძირითად ნაწილს საქართველოში მუშა საქონელი ჰყავდა (კაჭარავა, 1976, 459).

„საშუალო გლეხის“ ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც დრო გადიოდა, როგორც აღვნიშნეთ, იზრდებოდა. ის სოფელში ანგარიშგასაწევი ძალა იყო – სოფლის ძირითად მასას წარმოადგენდა. მას ხმის უფლება ჩამორთმეული არა ჰქონდა, თუმცა საბჭოთა საარჩევნო პრინციპებიდან გამომდინარე, ის ყველა საბჭოთა სტრუქტურში დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყო. ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში, თემსაბჭოებში – „საშუალო გლეხები“ კი იყვნენ, მაგრამ მეტად მცირე ოდენობით.

§ 6. საეროვნებათაშორისო ურთიერთობები სოფელში

საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა, მაგრამ მისი მრავალეროვანი შემადგენლობა ისტორიულად სხვადასხვა გარემოებით იყო განპირობებული. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების აგრესიული საგარეო პოლიტიკა საქართველოს ჩინებული გეოსტრატეგიული მდგომარეობის გამო, რათა ხელში ჩაეგდოთ კავკასიონის მთიანეთის უმნიშვნელოვანესი გადასასვლელები და „აბრეშუმის გზის“ სატრანზიტო გზები. ამას ისინი ცდილობნენ ადგილობრივი ავტოქტონი მოსახლეობის გენოციდით, გენეტიკურად უცხო მოსახლეობის საქართველოში ჩამოსახლებით და აქ დამკვიდრებით, მაჰმადიანური სარწმუნოების გამოყენებით, ისტორიული ტერიტორიების ანექსიით და ა.შ.

XIX საუკუნეში რუსეთის დამკვიდრებამ საქართველოში კიდევ უფრო გააძლიერა დემოგრაფიული აგრესია. სხვადასხვა საბაბით რუსეთის ცარიზმი ცდილობდა საქართველოს რეგიონებში ჩაესახლებინა ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსები. უკვე გენერალი ერმოლოვის მმართველობის პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის კახეთშიც: დედოფლისწყაროში, მოგვიანებით

ლაგოდეხშიც შეიქმნა ეთნიკური რუსების დასახლებები, მათ შორის სამხედრო დანიშნულების დაბები (ჭუმბურიძე, 2008, 190).

კახეთის საზღვრისპირა რეგიონებში, ესეც ისტორიული გარემოებათა გამო, შეიქმნა და XX საუკუნეშიც არსებობას განაგრძობდა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსული მაჰმადიანი მოსახლეობის საცხოვრისები: ძირითადად პანკისის ხეობაში, ყვარლისა თუ ლაგოდეხის საზღვრისპირა რეგიონებში.

საქართველოს მოსახლეობას საერთოდ, კერძოდ კი კახეთის საზღვრისპირა რეგიონების მთის მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა ინტენსიური კავშირურთიერთობა ჩრდილო კავკასიის მცხოვრებლებთან. საქართველოს ძლიერების ხანაში ერთიანი საქართველოს მეფეები სწორედ მათი დახმარებით ახორციელებდნენ სამხედრო თუ რელიგიურ-კულტურულ პოლიტიკას, რომელიც მათ ზეგავლენას უმორჩილებდა ჩრდილო კავკასიის სტრატეგიულ რაიონებს.

ერთიანი ქართული მონარქიის დაშლისა და ქვეყნის დასუსტების შემდეგ ურთიერთობა შეიცვალა. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „XV საუკუნეში ვეინახების დამოკიდებულება საქართველოსთან შეიცვალა მონღოლების გავლენით. მონღოლთა ბატონობაში მოქცეული საქართველო ვეღარ ინარჩუნებდა თავის პოლიტიკურ ზეგავლენას ჩრდილოეთ კავკასიაზე. ამ პერიოდიდან ადგილი ჰქონდა ვეინახების გადმოსახლებას კავკასიონის ქედის სამხრეთით, ძირითადად მის მთიან თემებში. მთის პირობებში მცხოვრები ვეინახები მძარცველურ თავდასხმებს აწარმოებდენენ მეზობელ ფშავ-ხევსურებზე“ (ჯალაბაძე, 2002, 47).

ამრიგად, კეთილმეზობლური დამოკიდებულება შეიცვალა აგრესიული დამოკიდებულებით, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრდა მაჰმადის რჯული, ხოლო კახეთმა ბოლომდე შეინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

რუსეთის კავკასიურმა პოლიტიკამ უფრო მეტად დაძაბა ქართულ-ვეინახური ურთიერთობები – საქართველოს არისტოკრატია მხარს უჭერდა რუსეთის კავკასიურ პოლიტიკას და აქტიურად მონაწილეობდა იმ სამხედრო ოპერაციებში, რასაც მეფის რუსეთი მთელი XIX საუკუნის მანძილზე აწარმოებდა კავკასიის მთის მოსახლეობის დასამორჩილებლად.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ვეინახები ძირითადად პანკისის ხეობაში დასახლდნენ და როგორც ქართველი ეთნოლოგები აღნიშნავენ: „ეთნიკური ჯგუფის ადაპტაცია ახალ ბუნებრივ და ეთნოკულტურულ გარემოსთან საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია... მაგრამ საკვლევ რეგიონში (იგულისხმება პანკისის ხეობა – ა.დ.) ეთნიკური ჯგუფების თუ ამ ჯგუფების წევრთა ადაპტაცია უცხო ბუნებრივ გარემოსთან შედარებით იოლად უნდა წარმართულიყო. კონკრეტულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოსთან ადაპტაცია ამ ხალხებისათვის ნაკლებად მტკივნეული უნდა ყოფილიყო. ვინაიდან იმათ ერთგვაროვან გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ გარემოში უხდებოდათ არსებობა (კავკასიონის მაღალმთიანი რეგიო-

ნი, უმკაცრესი კლიმატი, დაახლოებით ერთტიპიური მიწის სავარგულები, მეურნეობის მსგავსი დარგები და სხვ.)“ (ჯალაბაძე, 2002, 50).

ურთიერთობა პანკისში ჩასახლებულ ვეინახებთან კახეთისა თუ ქართლის მოსახლეობას ერთსახოვანი არ ჰქონდა: როგორც ამტკიცებდნენ იშვიათი იყო ვეინახს (ქისტს) ქართველი ძმობილი რომ არა ჰყოლოდა, მაგრამ იმასაც ამტკიცებენ, რომ იყო ურთიერმტრობის, მოსისხლეობის, შურისძიების გამო მკვლელობების, საქონლის გატაცების, მეკობრეობის შემთხვევებიც. ეს ყველაფერი საკმაოდ კარგად აისახა XIX საუკუნის ქართულ მხატვრულ ურაში.

პანკისის ხეობაში ვეინახი-ქისტები ცხოვრობდნენ შემდეგ სოფლებში: ომალოში, დუისში, დედისფერულში, ჯოყოლოში, კუწახტაში და ა.შ. ქართველებთან ინტენსიურმა ურთიერთობამ მათ ბევრი შესძინა – ჩინებულად შეისწავლეს ქართული ენა, ბევრმა მათგანმა გვარიც კი ქართული ფორმით შეინარჩუნა და რუსულ ყაიდაზე არ გამოიცვალა, როგორც ეს ჩრდილო კავკასიელმა ვეინახებმა გააკეთეს. ქისტები თავდადებული მორწმუნეები იყვნენ და ისლამის სოფიურ ფორმას აღიარებდნენ. როგორც ამტკიცებენ: „ქისტების რწმენაში შერწყმულია სუფიზმის დოგმატიკა და საკულტო პრაქტიკა და ძველი, ადგილობრივი რელიგიური რიტუალები. სუფიური მოძღვრების ასიმილირებამ ადგილობრივ ტრადიციებთან განაპირობა ისლამის რაციონალური, თვითმყოფადი ხასიათის ჩამოყალიბება“ (სონღულაშვილი, 2005, 231-232).

თელავის მახლობლად, სალ რაღაც ექვს კილომეტრზე მდებარეობს ძლიერი სოფელი ყარაჯალა, რომელშიც მობინადრეები შაჰ-აბასის მიერ ჩამოსახლებულ თურქმანების ტომის გადარჩენილი ნაწილის შთამომავლები შეიძლება იყვნენ. ისინი თავიდანვე მესაქონელობას, შემდეგ კიდევ მებოსტნეობას მისდევდნენ. მჭიდროდ დაუკავშიროდნენ თელავის ბაზარს, სარგებლობდნენ კახეთის რეგიონალური ცენტრის სიახლოვით და აქტიურად ჩაებნენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

პანკისში და კახეთის მთიან ზოლში არის რამდენიმე ოსური დასახლებაც. ისინი ძირითადად განლაგებულია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე. კახეთში ოსური დასახლებების შექმნა დაიწყო 1905 წლიდან, როცა ჯავიდან ოსების 26 კომლი საცხოვრებლად ალაზნის ბარაქიან ველებზე გადმოსახლდა. ეს სოფლებია: დუმასტური, ქვემო ხალაწანი, წინუბანი, ქორეთი (ხუციშვილი, 2002, 151).

საკმაოდ დიდი დასახლებები აქვთ კახეთში დაღესტნელებს ყვარლისა და ლაგოდეხის მთისწინა ზოლში. კახეთთან დაღესტნელების ურთიერთობას რთული და დრამატული ეპიზოდებიც ახლავს თან, რის შესახებ მსჯელობა სცილდება ჩვენი წიგნის მიზანს. ფაქტია, რომ კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, აბორიგენი ქართული მოსახლეობის ინფილტრაციის შედეგად გამონთავისუფლებულ მიწებზე ჩრდილო კავკასიის მჭიდროდ დასახლებუ-

ლი ტერიტორიებიდან თანდათან დაიწყეს ლეკებმა ჩამოსახლება და საკმოდ დიდი მიწებიც დაიკავეს. ამ საქმეში რუსმა კოლონიზატორებმაც „გამოიჩინეს თავი“ – ჩრდილო კავკასიის დაპყრობის გეგმა ტრადიციული საცხოვრებელი ადგილებიდან ამაყი კავკასიელების გასახლებასაც გულისხმობდა, იქნებოდა ეს მათი თურქეთში გადასახლება („მუჰაჯირობა“), თუ მეზობელი კახეთის მიტოვებული, დაუსახლებელ ტერიტორიებზე მათი ჩასახლება. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „ბარონმა ვრევსკიმ აიძულა ლეკები, უარი ეთქვათ წინააღმდეგობაზე და კახეთში დასახლებულიყვნენ. ეს ოთხი ათასი კაცი უნდა დაესახლებინათ კახეთის თავისუფალ ადგილებზე. ანწუხელებს (1000 კაცი) ეძლეოდათ ნათლისმცემლის ხეობა თავისი სათიბ-საძოვრებით“ (ომარაშვილი, 2008, 97).

დაღესტნელები (ხუნძები) ცხოვრობდნენ კახეთში: თივში, თებელჯოხში და ხაშალხუტში. მათ კახეთში ჩამოიტანეს შრომისა და ცხოვრების ტრადიციული წესები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და სოციალური ურთიერთობების აპრობირებული ფორმები. იმათ ჰყავდათ საკუთარი მოლები, აშენებდნენ მეჩეთებს, ეწეოდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას. ქართველებთან მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ.

კახეთის ქალაქებში ცხოვრობდნენ სომხებიც, თუმცა კიდევ უფრო მეტ იყო გრიგორიანელი ქართველი. როგორც დასტურდება, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე კახეთის ქართველი ეროვნების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას აღიარებდა: თელავის, სიღნაღის მაზრის მაცხოვრებლებში ასეთი საკმაოდ ბევრი ქართველი იყო. ჩვენი ცნობით, სიღნაღის მაზრის სოფელ ყანდაურას მცხოვრებლებში 225 კაცი გრიგორიანელი იყო (სუიცსა ფ. 284, ს. 1, 17-18).

ასეთი იყო ეთნიკური სურათი ზოგადად კახეთში, როცა საქართველოში ძალით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში საქართველოში ადგილი ჰქონდა სერიოზულ პრობლემებსაც ეროვნებათაშორისო ურთიერთობების დარგში – ჯერ კიდევ სახეზეა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან გადმოყოლილი დაძაბულობა, ზოგჯერ გაუგებრობები და ზოჯერ აღვირახსნილი მოქმედებებიც კი არაქართული ენოსების წარმომადგენლების მხრიდან ადგილობრივ ქართველ მოსახლეობაზე: ადგილი ჰქონდა ოსი ეროვნების ბანდიტური ჯგუფების თარეშს ქართულ სოფლებში, ქონების მიტაცებას, საქონლის მითვისებას და ა.შ. (Тотадзе, 2010, 188).

გარკვეული პრობლემები იყო პანკისში ჩასახლებულ ჩეჩნებს (ქისტებსა) და მთის ადგილობრივ, ქართველ მოსახლეობას შორის. იყო სხვა პრობლემებიც, მაგრამ კახეთში ეროვნებათაშორისო დაძაბულობას არასოდეს მიუღია ისეთი მტკივნეული ფორმები, როგორსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აფხაზეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში და ა.შ.).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა განეხორციელებინა ეროვნული უმცირესობების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების მიზ-

ნით ქმედითი პოლიტიკა – ამაზე მიუთითებს XX საუკუნის 20-იან წლებში ეროვნულ-უმცირესობათა საჭირბოროტო საკითხების გარშემო მიღებული უამრავი დადგენილება. მაგრამ გარკვეული შედეგების მიუხედავად, მაინც უამრავი გადასაჭრელი პრობლემა რჩებოდა. ამის უპირველესი მიზეზი იყო პატარა საქართველოში უამრავი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების თავმოყრა (100 მეტი ეთნოსი), რაც განუხორციელებელს ხდიდა თითოეული მათგანისათვის ექსკლუზიური პირობების შექმნას საბჭოთა სისტემის ვითარებაში, მაშინ როცა თვითონ ქართველი ერის უამრავი ეროვნული პრობლემა და ინტერესი ილახებოდა და ითელებოდა პოლეტარული ინტერნაციონალიზმის დოგმატიკური პრინციპების რეალიზაციის გამო.

დოკუმენტურად ფიქსირდება ცალკეული უკმაყოფილებანი კახეთის რეგიონში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირსეობებს შორის. მაგალითად, ყვარლის რაიონში მოსახლე ლეკები უჩიოდნენ რაიონის ხელმძღვანელობას გულგრილობისა და მათი პროლემების უგულისყურო დამოკიდებულების გამო. აღნიშნავდნენ, რომ ისინი ნაკლებად ითვალისწინებდნენ ლეკი მოსახლეობის ინტერესებს, ხელს არ უწყობდნენ მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაში (დაღენსტანში), აღნიშნავდნენ ყოფითი პრობლემების მოუწესრიგებლობას, გაჭიანურებულ სასაქონლო დეფიციტს და ა.შ. და ა.შ. (სშსს. ფ. 14, აღ. 9, ს. 210, 421).

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ კახეთში მცხოვრებ არაქართველ ეთნოსებშიც სოციალური გრადაცია და სოციალური ინტერესები ისეთივე იყო, როგორც მონონაციონალურ ქართულ რეგიონებში. აქაც იყვნენ სოფლის „ბურჟუაზია“ („კულაკები“), საშუალო და ღარიბი გლეხები, ხოლო საქართველოს კომუნისტური პარტია ამ პოლიეთნიკურ რეგიონებში ახორციელებდა ისეთივე პოლიტიკას, როგორც საქართველოს დანარჩენ ოლქებსა თუ რაიონებში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Первая Всеобщая перепись населения Россииской Империи 1897, Тифлисская губерния, 1915, с. XI.
2. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (შემდგომში: სუიცსა). ფ. 284, აღ. 2, ს. 1.
3. დაუშვილი ა., საქართველოს წითელი არმიის საჯარისო ნაწილების ფორმირების ზოგიერთი უცნობი საკითხი, „ანალები“, 2009 წ. №4, გვ. 230.
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (სშსსა), II განყოფილება, ფ.14, აღ. 4, ს. 5.
5. დაუშვილი ა., წენგუაშვილი კ., „იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის, თამარ?“, თბ., 2005.

6. გაზ. „კომუნისტი“, 1923 წ. 1 აპრილი.

7. დაუშვილი ა., „კულაკები“ საქართველოში, თბ., 2016.

8. კოჭლამაზაშვილი რ., საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 54-55.

9. Киквидзе А., Колхозное строительство в Грузии. Тб., 1961.

10. გაზ. „კომუნისტი“, 1929 წ. 6 ივლისი.

11. ნათმელაძე მ., დაუშვილი ა., ჯაფარიძე მ., წენგუაშვილი კ., საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბ., 2008.

12. კაჭარავა ი., სოფლის მეურნეობა, იხ,: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976.

13. კაჭარავა ი., საბჭოთა სოფლის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურა საკოლმეურნეო მშენებლობის წინა ხანაში,იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976.

14. ჭუმბურიძე დ., რუსული დასახელებები საქართველოში (XIX-XX სს.) და „გადმოსახლებულთა სამმართველოს ამიერკავკასიის განყოფილება“, იხ,: ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, დ. ჭუმბურიძე, ხ. ქოქრაშვილი, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.

15. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 221.

16. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საარქივო დეპარტამენტის თელავის რეგიონალური არქივი (თელავის რეგიონალური არქივი), ფ, 12, აღ. 1, ს. 6.

17. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საარქივო დეპარტამენტის თელავის რეგიონალური არქივი (თელავის რეგიონალური არქივი), ფ. 21, აღ. 1, ს. 2.

18. Коммунистическая партия Грузии в цифрах 1921-1970. Тб., 1971.

19. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, აღ. 1, ს. 1.

20. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 444.

21. სშსს არქივი, ფ. 14. აღ. 4, საქ. 241.

22. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, აღ. 1, ს. 1.

23. სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 4, ს. 241.

24. სშსს არქივი, საქ. 231.

25. სშსს არქივი, ს. 273.

26. სშსს არქივი, ს. 273.

27. სშსს არქივი, ს. 224.
28. სშსს არქივი, ს.224.
29. სშსს არქივი, ს. 224, გვ. 11.
30. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 232.
31. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 1.
32. ჯალაბაძე ნ., ურთიერთობის ტრადიციული ნორმები საზღვრისპირა რეგიონში, იხ.: პანკისის კრიზისი, თბ., 2002.
33. ხუციშვილი ლ., რელიგიური რეორიენტაციის პრობლემები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, იხ.: პანკისის კრიზისი, თბ., 2002.
34. სონღულაშვილი ა., ეროვნული უმცირესობანი და კონფესიები საქართველოში, თბ., 2005.
35. ომარაშვილი ნ., კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბ., 2008.
36. Тотадзе А.. Демографические изменения в Шида Картли, искаженная история и «угнетенные» осетины. в сборнике: «Некоторые вопроси истории осетин Шида Картли», Тб.

თავი V.

საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირება

§ 1. პრინციპული დაპირისპირება საბჭოთა ხელმძღვანელობაში სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები კმაყოფილნი იყვნენ, რომ „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ განვითარების კვალდაკვალ, საბაზრო ეკონომიკის ცალკეული ელემენტის დაშვების პირობებში, მოხერხდა სოფლად სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღება და სამოქალაქო ომის მძიმე ეკონომიკური შედეგების რამდენადმე მოწესრიგება. ამიტომაც პოლიტიკის შეცვლას არ აპირებდნენ: „პარტია თვლის, რომ ეს პოლიტიკა დადგენილია დროის ხანგძლივი, მთელი რიგით წლებისათვის ნავარაუდევი პერიოდისათვის და მოითხოვს ყველასაგან მის უეჭველად გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად გატარებას“ (სკკპ...რეზოლუციებში, 1954, 739).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლენინი, თავისი სიცოცხლის ბოლო ეტაპზე, როგორც ჩანს, ბევრს ფიქრობდა საბჭოთა სოფლის განვითარების პრობლემაზე და მისდამი მიძღვნილი ნაშრომიც კი დაწერა – „კოოპერაციის შესახებ“. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამ ნაშრომს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის გეგმას უწოდებდა, თუმცა, ჩვენი აზრით, მართალია, სტატიაში ძალიან ბევრი საუბარია გლეხობის „კულტურულ განვითარებაზე“, გლეხობის „კულტურულ აღზრდაზე“, მაგრამ მასში არ არის მოცემული საკოლმეურნეო მოძრაობის რეალიზაციის კონკრეტული გეგმა – როგორ უნდა დაეწყოთ რიგითი გლეხების ორგანიზება, რომელი ნაბიჯი უნდა გადაედგათ პირველად, რა უნდა გაეკეთებინათ კონკრეტულად ამ ურთულეს ორგანიზაციულ პროცესში, რის საფუძველზე უნდა მომხდარიყო გლეხობის ეს გაერთიანება, რა უნდა განესაზოგადოებინათ გლეხებს და რა უნდა დაეტოვებნათ თავისთვის, ხომ არ აჯობებდა ყველაფერი გაეერთიანებინათ – კომუნების მსგავსად? სტატიაში არსად არ არის საუბარი გლეხებისათვის ქონებრივ კომპენსაციაზე – ვინ გადაუხდიდა გლეხებს გაცემული ქონების ღირებულებას, როგორ უნდა აღრიცხულიყო შრომის პროცესები კოოპერაციაში, როგორი იქნებოდა კოლმეურნის ანაზღაურება, ვინ უხელმძღვანელებდა მთელ ამ შრომით-ორგანიზაციულ პროცესს; როგორ დაუკავშირდებოდა ეს ახლადშექმნილი ორგანიზაცია – ბაზარს, სახელმწიფოს? არ არის განხილული, თუ რა ვალდებულებები ექნებოდა კოლექტიურ მეურნეობას (არტელს) სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფოს – კოოპერაციის მიმართ, როგორ და რა საშუალებებით დარეგულირდებოდა

ახალი ეკონომიკური ორგანიზმის ყოველდღიური არსებობა ტოტალურ სახელმწიფო სისტემაში და ა.შ. და ა.შ.

მიუხედავად ასეთი გაურკვევლობისა, საბჭოთა ისტორიოგრაფია მაინც ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ვ.ი. ლენინის ეს სტატია და მასში ჩამოყალიბებული „ლენინური მოძღვრება კოოპერაციის, როგორც სოციალისტურ გზაზე გლეხობის გადაყვანის ერთადერთი შესაძლებლობის შესახებ, იყო მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარება ახალ პირობებში. ვ.ი.ლენინმა დასახა ნათელი პერსპექტივა სოფლად სოციალისტური მშენებლობისა, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა ამ უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საკითხის გადაჭრაში“. (საკ.კპ (ბ) ისტორია, 1952, 318)

მაგრამ საბჭოთა სოფლის განვითარების კურსი სულ სხვანაირად წარიმართა, ვიდრე ამას მოელოდნენ. როგორც ზემოთ დავინახეთ, „ნეპის“ პოლიტიკის რეალიზაციამ გამოაცოცხლა კერძო სექტორი – განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის არსებობისა, XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა სოფელში ძირითადი განმსაზღვრელი კვლავ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა იყო. გლეხის სოციალური დიფერენციაცია მეტად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და აშკარად შესამჩნევი იყო სოფლის ბურჟუაზიის (რუსული ტერმინით „კულაკის“) მატერიალური შესაძლებლობების ზრდა.

ეს პროცესი შეუმჩნეველი არ დარჩენია კომუნისტური პარტიის „მემარცხენე“ შეხედულებების მქონე დაჯგუფებას, რომელმაც უკვე 1925 წელს დაიწყო სერიოზული ბრძოლა პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც სოფლის ბურჟუაზიასთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს. „მემარცხენეების“ აღიარებული ლიდერი ლ. ტროცკი თავის ურიცხვ გამოსვლებსა და ეპისტოლეებში ბრალს სდებდა კომუნისტური პარტიის სტალინურ ხელმძღვანელობას სოფლის ბურჟუაზიის, ანუ „კულაკის“ საფრთხის იგნორირებაში, ღარიბი გლეხების ინტერესების უგულებელყოფაში, სოციალიზმის საქმის ღალატში. ტროცკი და ტროცკისტები, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის ანალოგიით, სტალინის ფრაქციას „თერმიდორულ გადაგვარებაში“ (ანუ ბურჟუაზიასთან გარიგებაში – ალიანსში) ადანაშაულებდნენ.

აი, რას წერდა ლ. ტროცკი იმ პერიოდში: „სწორედ ლენინგრადის ოპოზიციის (ეს ოპოზიცია სტალინური ხელმძღვანელობის მთავარი და ძირითადი ოპონენტი იყო –ა.დ.) არსიდან გამომდინარეობს ოფიციალური კურსის, ანუ მისი მემარჯვენე ფრთის დადანაშაულება იმაში, რომ გლეხობა თანდათან ჩრდილავს პროლეტარიატს, ხოლო თვითონ გლეხობაში – კულაკი ავიწროებს საშუალო გლეხს, ხოლო საშუალო – ღარიბსა და უქონელს“ (Архив троцкого, 1990, 164).

მაგრამ, პარტიის ხელმძღვანელობაში თვლიდნენ, რომ „ტროცკისტების“ კრიტიკა არ იყო სამართლიანი, რადგან პარტია სოფელში ვითარებას სრულად აკონტროლებდა და მეთოდურად აგრძელებდა „ნეპის“ მხარდაჭე-

რის პოლიტიკას. სტალინური ხელმძღვანელობის მთავარ იდეოლოგად სოფლის მეურნეობის საკითხებში ნ. ბუხარინი ითვლებოდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მხოლოდ „ნეპის“ პოლიტიკა მოიტანდა საბჭოთა სოფელში ეკონომიკური აღმავლობის შესაძლებლობას, ეს კი გამოიწვევდა სოფლად მწარმოებლურობის ამაღლებას და „გლეხობის შერყევა“, რასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდნენ ტროცკისტები, კიდევ უფრო მეტიც – გლეხობის აქტიური ფენის მიმართ დაგეგმილი დრაკონული საბჭოთა კანონმდებლობის გატარება, მთლიანად გააქარწყლებდა სოფლად ახალი ეკონომიკური პოლიტიკის მოპოვებულ წარმატებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხედულებებს იზიარებდა იოსებ სტალინიც. აი, მისი ერთ-ერთი გამონათქვამი: „არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ **საბჭოთა გლეხობა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), რომელიც მიჩვეულია პროლეტარიატთან პოლიტიკური მეგობრობისა და პოლიტიკური თანამშრომლობის დაფასებას და რომელმაც თავისუფლება მიიღო ამ მეგობრობისა და ამ თანამშრომლობის მეოხებით, – არ შეიძლება არ შეადგენდეს განსაკუთრებით ხელსაყრელ მასალას პროლეტარიატთან ეკონომიკური თანამშრომლობისათვის“ (სტალინი, 1952, 45; 51).

აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ი. ბ. სტალინი გლეხობას უკვე საბჭოთა სისტემის ორგანულ ნაწილად მოიაზრებდა („საბჭოთა გლეხობა“) და მასზე უდიდეს იმედებს ამყარებდა სწორედ ეკონომიკური კატასტროფიდან ქვეყნის უსწრაფესად გამოყვანის თვალსაზრისით. ისიც ამ ეტაპზე „გლეხობის შერყევას“ არ აპირებდა.

მაგრამ, რაც დრო გადიოდა, საბჭოთა სოფელში მდგომარეობა, მართლაც, საგანგაშო ხდებოდა. სოფლის მქონებელი ფენის ეკონომიკური გაძლიერება შეიძლება პოლიტიკურ პრეტენზიებშიც გადაზრდილიყო და შეიქმნებოდა ეკონომიკური ბერკეტების დაკარგვის საფრთხე. ამას კომუნისტური პარტია ვერ დაუშვებდა.

§ 2. 1928 წელი

1928 წელს შეიქმნა ვითარება, რამაც მოითხოვა სტალინის ფრაქციისაგან სწრაფი და მკაცრი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წელი მოსავლიანი იყო და გლეხობამ თავთავიანი კულტურების საკმაოდ დიდი მარაგი დააგროვა, 1927 წელს ქვეყანაში პურის დამზადების გეგმები ვერ შესრულდა. სტალინის განცხადებით იმ წელს სახელმწიფოს დააკლდა 100-140 მილიონი ფუთი მარცვლული, რაც „იმას გამოიწვევს, რომ ჩვენი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, აგრეთვე ჩვენი წითელი არმია მძიმე მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებული, მათი მომარაგება ცუდი იქნება, მათ შიმშილის საფრთხე დაემუქრება. გასაგებია, რომ ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ“ (სტალინი, ტ. 11, 2).

სტალინს არ უთქვამს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს ვითარება გამოიწვევდა სოციალურ დაძაბულობას ქალაქად და განსაკუთრებით არმიაში, დაიწყებოდა სოციალური პროტესტები, უკმაყოფილება, კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი დაეცემოდა, შეილახებოდა პარტიის, განსაკუთრებით მმართველი დაჯგუფების (სტალინის ფრაქციის) ავტორიტეტი.

მსოფლიოში შექმნილი ვითარებაც არ იყო სახარბიელო – გერმანიაში ფაშიზმის საფრთხე ძლიერდებოდა, რევანშისტული განწყობილებები ევროპის ბევრი ქვეყნის მოსახლეობაში გავრცელდა. ახლოვდებოდა II მსოფლიო ომი. ეს ომი კი ჩვეულებრივი ომი არ შეიძლება ყოფილიყო – ის საბედისწერო ომი იქნებოდა, რომლის დროს წარმატებას მხოლოდ ისეთი რეჟიმი მოიპოვებდა, ვისაც ადამიანური და მატერიალური რესურსების დიდი მარაგების, ფინანსური სახსრების, განსაკუთრებით სასურსათო დოვლათის უკონტროლო განკარგვისა და მანიპულირების შესაძლებლობა ექნებოდა. ეს ჭერშმარიტება კარგად ჰქონდა შეგნებული იოსებ სტალინსა და მის პოლიტიკურ დაჯგუფებას.

ამასთან, და ესეც აუცილებლად გასათვლისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირში დაწყებული იყო ინდუსტრიალიზაცია, შენდებოდა და მწყობრში დგებოდა სულ და ახალი ახალი ფაბრიკა-ქარხნები. მანქანა-დანადგარებით, პროგრესული ტექნოლოგიებით მათი აღჭურვისათვის საჭირო იყო უცხოური ვალუტა, რომლის ერთადერთი წყარო იმჟამად საბჭოთა კავშირისათვის მხოლოდ სურსათის ექსპორტი იყო.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს დიდძალი და იაფი სურსათსანოვაგე სჭირდებოდა: 1. უნდა დაეპურებინა მუშები და მოქალაქეები; 2. უნდა დაეპურებინა წითელი არმია და ფლოტი; 3. სურსათის გატანით უნდა უზრუნველეყოთ ვალუტის შეუფერხებელი შემოდინება ინდუსტრიალიზაციის გეგმების სარეალიზაციოდ; 4. დაეგროვებინა სასურსათო რეზერვები და შეექმნა საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საჭირო მარაგის ძლიერი ბაზა მოსალოდნელი მსოფლიო ომის კვირაძალზე, რათა ისტორიულად მეტად საბედისწერო ჟამს კვლავ არ გამეორებულიყო 1928 წელი – როცა ქვეყანა მწვავე სასურსათო კრიზისის წინაშე დადგებოდა.

აი, სწორედ ასეთ დროს, და ზემოთჩამოთვლილმა გარემოებებმა ი. ბ. სტალინსაც გაახსენა „კულაკები“: „შეხედეთ კულაკურ მეურნეობებს: იქ ბეღლები და ფარდულები პური არის სავსე, შესანახავი ადგილების ნაკლებობის გამო პური დია ფარდულების ქვეშ უყრიათ, კულაკურ მეურნეობებში ჭარბი პური 50-60 ათას ფუთობით აქვთ თვითეულ მეურნეობაზე...“ (სტალინი, ტ.11, 2).

სტალინის მტკიცებით ღარიბმა და საშუალო გლეხობამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს ნამატი ხორბალი და მისთვის გაუგებარი იყო თუ კულაკის მიმართ რატომ ყოვნდებოდა ეს აქცია. ამიტომაც მეტად მკაცრია სტალინის ვერდიქტი: „ა) მოსთხოვეთ კულაკებს მთელი ჭარბი პურის დაუყოვნებლივ ჩაბარება სახელმწიფო ფასებში; ბ) იმ შემთხვევაში, თუ კულაკები

უარს იტყვიან კანონს დაემორჩილონ, – მიეცით ისინი სასამართლო პასუხისმგებლობაში რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხლის შესაბამისად და ჩამოართვით მათ ჭარბი პური სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ჩამორთმეული პურის 25 პროცენტი განაწილებული იქნას დარიბი გლეხებსა და ხელმოკლე საშუალო გლეხებს შორის დაბალ სახელმწიფო ფასებში ან გრძელვადიანი კრედიტის წესით“ (სტალინი, ტ. 11, 4-5).

სწორედ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ სტალინის სახით „კულაკს“ შემდეგი ვერდიქტი გამოუტანა – მომავალში კულაკური საფრთხის გასანეიტრალებლად საჭირო იყო: 1. კულაკის როგორც კლასის ლიკვიდაცია და 2. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაჩქარებული მშენებლობა.

1927-1928 წლებში სოფლის ბურჟუაზიის მოქმედებამ, მისმა „სიჯიუტემ“ – მიეცა საბჭოთა მთავრობისათვის მოწეული მოსავალი მტკიცე ფასებში, სტალინს მისცა არგუმენტი იმისთვის, რომ საბჭოთა სოფელი ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობაში გადაეყვანა. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს არგუმენტი თვითონ სოფლის ბურჟუაზიამ მისცა საბჭოთა მთავრობას. თავისი ქმედებით (პურის გადამალვით და ა.შ.) სოფლის ბურჟუაზიას (დავარქმევთ მას „კულაკს“ თუ არა, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს) დააფრთხო საბჭოთა ხელისუფლება. ამის შემდეგ საბჭოთა სისტემისათვის მას მხოლოდ უარყოფითი შედეგის მოტანა შეეძლო – ამიტომაც მასთან ყოველგვარი კომპრომისი გამოირიცხა. აქედან გამომდინარე „ნეპი“ გაუქმდა, გამოცხადდა კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის ტოტალური პოლიტიკის დაწყება.

ი. სტალინის ფრაქციამ საბჭოთა სოფელში ჩაიფიქრა ე.წ. „დიდი გარდატეხა“.

§ 3. კოლექტიური მეურნეობის პირველი რეალიზატორები კახეთში

1927 წლის დეკემბერში, პარტიის XV ყრილობაზე, გადაწყდა აგრარულ სექტორში რადიკალური ეკონომიკურ-ორგანიზაციული რეფორმების გატარება. ი. სტალინი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „გამოსავალი არის წვრილ და დაქსაქსული გლეხურ მეურნეობათა გადასვლაში მსხვილ და გაერთიანებულ მეურნეობაზე – მიწის საზოგადოებრივი დამუშავების საფუძველზე, მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე გადასვლაში ახალი, უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. გამოსავალი იმაშია, რომ წვრილ და უწვრილეს გლეხურ მეურნეობებს თანდათანობით, მაგრამ განუხრელად, **არა იძულების წესით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების წესით** (ხაზგასმა ჩვენია – ა. დ.), ვაერთიანებდეთ მსხვილ მეურნეობებად მიწის საზოგადოებრივი, საამხანაგო, კოლექტიური დამუშავების საფუძველზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ტრაქტორების გამოყენებით, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის მეცნიერული ხერხების გამოყენებით“ (სტალინი, ტ.10, 327).

ამრიგად, დირექტივა იყო „თანდათანობით, მაგრამ განუხრელად“, „არა იძულებითი წესით, არამედ ჩვენებისა და დარწმუნების გზით“ განეხორციელებინათ აგრარული რეფორმა სოციალისტური, კომუნისტური პრინციპების საფუძველზე. თითქოსდა, სტალინის ეს ხაზგასმა, ეს მკაცრი მითითება გაფრთხილება უნდა ყოფილიყო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისათვის, რომ კოლექტივიზაციის პროცესი წარემართათ „აღმზრდელობით-ორგანიზაციული მუშაობის“ ახალი ფორმების გამოყენებით. მაგრამ, აშკარად ი. სტალინს დაავიწყდა წვრიბურჟუაზიული გლეხური ფსიქოლოგიის – კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგიის გამძლეობა და შეუვალობა. ამან კი თავისი უარყოფითი იმპულსები ძალიან მალე გამოავლინა.

ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილას აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა სისტემის დამკვიდრების პარალელურად საქართველოში დაიწყეს სოფლად სოციალისტური და კომუნისტური აგრო-ორგანიზაციების შექმნა: იქმნებოდა კომუნები, არტელები, მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობები და ა.შ. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა მათ შექმნას მიესალმებოდა, მას გარკვეულ პირობებს უქმნიდა, მაგრამ მათ მუშაობაში ზედმეტად არ ერეოდა.

მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყების წინ საქართველოში ოფიციალური სტატისტიკით სულ იყო 8 კომუნა, 35 სასოფლო-სამეურნეო არტელი, მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობა – 60, სამანქანო ამხანაგობა – 30. მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს საქართველოს სოფლის მეურნეობაში არ ასრულებდნენ.

ამჯერად კომუნისტური პარტიის მიერ რადიკალური აგრარული რეფორმის განხორციელება, „მსხვილი გიგანტი ფაბრიკების“ ორგანიზება სპეციალური აგრონომიული კადრების მომზადების გარეშე, აშკარად სიზიფეს შრომას უდრიდა. XX საუკუნის 20-იან წლებში აგრონომი ქართულ სოფელში ჯერ კიდევ იშვიათობა იყო: 1924 წელს საქართველოში სულ 12 აგრონომი ჩანს, 1925 წელს მათი რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, 1926 წელს მათმა რაოდენობამ შეადგინა 48 კაცი, ხოლო 1927 წელს მთელ საქართველოში 69 აგრონომი უზრუნველყოფდა სოფლად აგრარული მეცნიერების უახლესი მიღწევების კულტივირებას. როგორც ჩანს, კიდევ უფრო მცირე იყო ვეტპერსონალის რაოდენობა (სშსს არქივი, ს.1, 61).

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, როცა ასეთი რადიკალური აგრარული რეფორმის განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო, მან სოფელში ამ პროცესის რეალიზატორებიც თავიდანვე შეარჩია. უკვე მრავალწლიანი გამოცდილებით პარტიისათვის ცნობილი იყო თუ ვინ შეძლებდა კონკრეტულად განეხორციელებინა „აგრარული გადატრიალება“: ესენი იყვნენ: ადგილობრივი სასოფლო საბჭოები, ადგილობრივი სასოფლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, მუშათა საშეფო მოძრაობების აქტივისტები.

საკოლმეურნეო მოძრაობის ცენტრალური საორგანიზაციო შტაბი – ეს სასოფლო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი იყო. 1928-1929 წლებში ისინი უფრო უკეთ იყვნენ მობილიზებული, რადგან წინა, გასულმა წლებ-

მა, მათ ბევრი გამოცდილება შესძინა, ისინი მეტ-ნაკლებად აკონტროლებ-დნენ ვითარებას სოფლად.

საქართველოში სასოფლო საბჭოები, რომლებიც კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის მხარდამჭერები იყვნენ, სასოფლო საბჭოს სხდომა-ზე იღებდნენ გადაწვეტილებას სოფლად კოლმეურნეობის შექმნის შესა-ხებ. კახეთში ცნობილმა ზემო ქედის სასოფლო საბჭომ 1930 წლის 15 იან-ვარს მიიღო გადაწყვეტილება „თემის გაკოლექტივების შესახებ“. დადგენი-ლებაში ხაზგასმულია, რომ „ვინაიდან თემში შემავალ სოფლებში უკვე მომზადებულია გლეხობა ამისათვის, საჭიროა გამოიყოს დამკვრელი ბრი-გადა, რომელიც მივამაგროთ სოფლებზედ და დაევალოს ფართო აგიტა-ცია“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 68, ს. 2, 7).

ამ შემთხვევაში საინტერესოა შემდეგი: საქართველოში ცნობილი ზემო ქე-დის კომუნის არსებობის მიუხედავად, სასოფლო საბჭომ მიიღო გადაწყვე-ტილება კოლექტიური მეურნეობის შექმნის შესახებ; მან ჩათვალა, რომ სოფლის საბჭოში შემავალ სოფლებში „გლეხობა მომზადებული იყო“ და უკვე შეიძლებოდა პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლა. როგორც ჩანს, ეს „მომზადება“ ადგილობრივ გლეხობას საკმაოდ დიდხანს დასჭირდა, რად-გან 1930 წელი – საკმაოდ დაგვიანებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სა-ქართველოში 1929 წლიდან დაიწყო საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირება. ამ მხრივ ზემო ქედის სოფლსაბჭომ საკმაოდ დააგვიანა. დოკუმენტში არ ჩანს, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი. ჩვენ ვარაუდობთ, რომ სა-კოლმეურნეო ცხოვრების საწყის ეტაპზე ზემო ქედის სასოფლო კომუნის ხელმძღვანელობას, მათ შორის კობა ჩოხელს, არ ეთმობოდათ კომუნალური ურთიერთობის ის ტრადიცია, რაც მათ უკვე დააგროვეს და ამ გამოცდილე-ბით ისინი რესპუბლიკაში საუკეთესო კომუნების რიგებში იდგნენ.

საკოლმეურნეო ცხოვრება თანდათან ვრცელდებოდა სოფლიდან სოფელ-ში. მაგალითად, არბოშიკის სასოფლო საბჭომ სოფელში კოლექტიური მე-ურნეობის გადაწყვეტილება მიიღო 1930 წლის 8 თებერვალს. დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ხელმძღვანელი შტაბი, რომელსაც კონკრეტული ნაბი-ჯები უნდა გადაედგა სოფელში კოლექტიური მეურნეობის ჩამოსაყალიბებ-ლად. შტაბის შემადგენლობაში აირჩიეს სოფლის დამსახურებული, ავტო-რიტეტული ადამიანები (თელავის რეგიონალურიარქივი, ფ. 21, ს. 2, 16).

სასოფლო საბჭოებს კოლექტივიზაციის პროცესში ექმნებოდათ პრობლემე-ბიც, განსაკუთრებით მაშინ, როცა თანასოფლელები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მათ უქმნიდნენ წინააღმდეგობას, აპროტესტებდენენ სოფელში კოლ-მეურნეობის შექმნის საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბებას, ანგარიშ-სწორებით ემუქრებოდნენ აქტივისტებს და ა.შ.

მაგრამ კომუნისტური პარტია სოფლად თავის მიზანდასახულობას მაინც ახორციელებდა და ამის მთავარი გარანტი იყო სასოფლო პარტიული ორ-განიზაციები, რომლებიც 1928-1929 წლებში უკვე ფაქტობრივად მთელ სა-ქართველოს მოიცავდა.

მიუხედავად ამისა, დასტურდება, რომ კომუნისტი გლეხები ყველგან არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული აქტივობით. არის შემთხვევები, როცა კომუნისტი გლეხები ეწინააღმდეგებიან კიდეც კოლექტიური მეურნეობების შექმნას. ერთ-ერთ პარტიულ ფორუმზე აღინიშნა, რომ ხოდაშნის თემში ერთი კომუნისტი აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეობის წინააღმდეგ (სშსს არქივი, ს. 229, 34). მას საჯაროდ განუცხადებია, რომ „ნამდვილი მუშა ხალხი კოლმეურნეობაში არ წავა, იქ მიდიან უსაქმურები და მუქთამჭამელები“.

კომუნისტური პარტიის საიმედო ძალა – ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთი განმახორციელებელი პოლიტიკური ძალა იყო და უდიდესი წვლილიც შეიტანა საბჭოთა სოფლის რადიკალური გარდაქმნის საქმეში. მაგრამ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ სოფლის კომკავშირლების ზედმეტი პასიურობით. როგორც მტკიცდება, ზოგჯერ ისინი თვითონაც კი ყოყმანობდნენ კოლმეურნეობაში გაერთიანების დროს, იყო შემთხვევები კომკავშირლების მხრიდან პარტიული ხაზის გამრუდების, ან მისი აშკარად უგულებელყოფის.

ასევე ოფიციალურად დასტურდება, რომ 1927 წელს საქართველოში არსებულ 85 კოლექტიურ მეურნეობაში მხოლოდ 9.2% იყო კომკავშირელი (სშსს არქივი ს. 233, 36), რაც უაღრესად მცირე რიცხვია იმ ამოცანებთან და იმედებთან შედარებით, რასაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებს უყენებდა XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს.

გარკვეული წვლილი სოფლად კოლექტივიზაციის პროცესების დაჩქარების საქმეში შეიტანა ე.წ. „საშეფო მოძრაობამ“, რომელიც მუდამ იყო დამახასიათებელი საბჭოთა სისტემისათვის და იგულისხმებოდა ძლიერი სამრეწველო შრომითი კოლექტივის შეგნებული მშრომელების უანგარო დახმარება სოფლის მეურნეობის პრობლემების მოსაწესრიგებლად. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში „საშეფო მოძრაობა“ სოფლად რადიკალური ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციის მნიშვნელოვან ბერკეტად გადაიქცა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ შესაბამისი თავის ავტორის მტკიცებით: „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის გაცხოველებულ მზადებასთან დაკავშირებით 1929 წლიდან უფრო გაძლიერდა მუშათა კლასის საშეფო მუშაობა სოფლად. თბილისის საშეფო ორგანიზაციამ 93 სოფელში გაგზავნა 200 კაცისაგან შემდგარი 28 ბრიგადა. მათ შეაკეთეს 5 ათასზე მეტი მანქანა-იარაღი, საზოგადოების სახსრებით განახორციელეს აგროტექნიკური ღონისძიებები. ბრიგადირების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო 9 ამხანაგობა და 17 არტელი.“ (კოჭლავაშვილი, 1976, 493).

რამდენადაც არ უნდა შეიცვალოს დღეს პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობითი შეხედულებები ჩვენს ქვეყანაში, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საბჭოთა რეჟიმს ჰყავდა გულმხვურვალე ენთუზიასტები, რომლებსაც ღრმად სჯეროდათ, რომ აშენებდნენ „ახალ სამყაროს“, ახალ სოციალურ ურთიერთობებს, მათ შორის სოფელშიც და ეს რადიკალური გარდაქმნები,

რომლებიც საკმაოდ მტკივნეულად ხორციელდებოდა, იქნებოდა იმის საწინდარი, რომ მომავალი ცხოვრება უფრო შინაარსიანი, უფრო შეძლებული და უფრო ბედნიერი იქნებოდა. ასეთი ადამიანები საკმაოდ ბევრნი იყვნენ და სწორედ მათ მხრებზე გადაიარა აკოლმეურენეო მშენებლობის მთელმა სიძნელემ.

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, სწორედ ასეთი ადამიანების ინიციატივით 1929-1930 წლებში საქართველოში განსაკუთრებით ფორსირებულად მიმდინარეობდა საკოლმეურნეო მშენებლობა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ, საქართველოს კომპარტიის მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს (მაგ. მ. კახიანსა და სხვებს) გადაულახავი სურვილი ჰქონდათ კოლექტივიზაციის ტემპებით დასწეოდნენ რუსეთის ეკონომიკურად და პოლიტიკურად განვითარებულ საკოლმეურნეო მოძრაობის ცენტრებს.

განსაკუთრებით სწრაფად განვითარდა საკოლმეურნეო მშენებლობა კახეთის რეგიონში. მაგალითად, სოფელ ტიბაანში 28 წელს იყო უკვე 13 კოლმეურნეობა, ერთი წლის შემდეგ – უკვე 51 კოლმეურნეობა. სოფელ მაჩხაანში 1928 წელს იყო 19 მეურნეობა, ერთი წლის თავზე უკვე იყო – 30 კოლექტიური მეურნეობა. ასევე, სოფელ ბოდბეში ერთ წელიწადში კოლმეურნეობის რიცხვი 13-დან გაიზარდა და გახდა 28 კოლმეურნეობა (სშსს არქივი, ს. 452, 150).

ზემოდან სპეციალური მითითებების გათვალისწინებით ასეთ კოლმეურნეობებს ძირითადად ღარიბი გლეხებისა და მოჯამაგირეების საფუძველზე ქმნიდნენ, დასაშვები იყო მხოლოდ ისეთი „საშუალო გლეხის“ თანამონაწილეობა, რომელიც თავისი ქონებრივი შესაძლებლეობებით უფრო ღარიბისაკენ იხრებოდა. ასეთი სოციალური შემადგენლობით ჩამოყალიბდა პირველი კოლმეურნეობა სოფელ ტიბაანში, სადაც 46 ღარიბი და მოჯამაგირე, მხოლოდ 5 საშუალო გლეხი იყო გაერთიანგებული. ასევე სოფელ მაჩხაანში, სადაც 27 ღარიბ გლეხსა და მოჯამაგირეებთან ერთად მხოლოდ 3 საშუალო გლეხი გაერთანდა. სოფელ ბოდბეში პირველი კოლმეურნეობა აერთიანებდა 25 ღარიბ და 3 საშუალო გლეხს. (სშსს არქივი, ს. 452, 150)

ამრიგად, საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა დაიწყო. როგორი იყო სოფლის მდიდარი ფენის რეაქცია საბჭოთა ხელისუფლების ამ გამოწვევაზე?

§ 4. სოფლის მდიდარი ფენის რეაქცია

ჩვენ ზემოთ უკვე აღნიშნეთ, რომ ი. სტალინის ფრაქციამ, შექმნილი ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე, საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება სოფლის ბურჟუაზიის (საბჭოთა ტერმინოლოგიით „კულაკების“) მიმართ. მაგრამ ადგილებზე „კულაკის“ განსაზღვრა ნაკლებად იყო დაკავშირებული ცირკულარის პარაგრაფებსა და პრინციპებზე. მას მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების სოფელში მთავარი დასაყრდენი – უღარიბესი და ღარიბი გლეხი განსაზღვრავდა. რო-

გორც აღვნიშნეთ, სწორედ გლეხობის ეს კატეგორია იყო წარმოდგენილი სათემო და სასოფლო საბჭოებში, სადაც „კულაკის“ საკითხით დაინტერესება უკვე 1928 წლიდან აშკარად იწყება. როგორც აღვნიშნეთ, სოფ. წინანდლის სასოფლო საბჭომ ეს „დაინტერესება“ უკვე 1928 წელს გამოავლინა, შეადგინეს სია იმ მდიდარი („კულაკი“) გლეხებისა, რომლებზეც ექსპროპრიაცია უნდა განხორციელებულიყო (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს. 6, 51-52).

სიღნაღის რაიონის ზემო-ქედის სოფლსაბჭომ ადგილობრივი ბურჟუაზიის ექსპროპრაცია დაიწყო ცოტა მოგვიანებით – 1929 წლის 20 ივლისიდან. არბოშიკის სოფსაბჭომ ეს საკითხი კიდევ უფრო გვიან – 1930 წელს განიხილა.

როგორც კვლევები ადასტურებს, საქართველოს სასოფლო საბჭოებში ანტიკულაკური საქმიანობა 1929-1930 წლებში დაიწყო და თითქმის 1935 წლამდე გაგრძელდა.

პირველ რიგში კულაკზე ზემოქმედება დიწყეს ქონების ექსპროპრიაციით. ართმევდნენ სახლს, მიწებს, საქონელს, ცხენს ურემით მხოლოდ იმიტომ რომ მათ ეს ჰქონდათ და სოფლის ღარიბებმა ასე გადაწყვიტეს. ექსპროპრიაციის დროს სოფლის საბჭოს არგუმენტები ასეთი იყო – პიროვნება ეწევა ვაჭრობას, ყავს დაქირავებული მუშა-ხელი, თვითონ მეურნეობასთან კავშირი აქვს გაწყვეტილი, სახლი აქვს სხვა ქალაქში ან სოფელში, გათხოვილია და სოფელში აღარ ცხოვრობს და ა.შ. და ა.შ. მაგალითად, ასეთი არგუმენტები წამოუყენა წინანდლის სასოფლო საბჭომ თანასოფლელს ვასო ფეხმოჭრილაშვილს, „რომელსაც აქვს სახლი თელავში და ვაჭრობს ფეხზედ“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, ს. 33, 4). ვინმე დათა ცისკარიშვილს სახლი ჩამოართვეს იმის გამო, რომ თელავში მას ჰქონდა სახლი, კერძო აფთიაქი. ამის გამო სოფ. კონდოლში მას ჩამოერთვა ვენახი და სახნავები. სოფლის საბჭომ მიწა ჩამოართვა სოფლის დიაკონსაც, რომლისგანაც მოელოდნენ ღვთისმსახურებაზე უარის თქმას. ამ შემთხვევაში სოფლის საბჭო მას მამულებს შეუნარჩუნებდა. როგორც ჩანს, დიაკონმა მღვთისმსახურებას თავი არ დაანება და მას მიწები ჩამოერთვა.

1929 წელს ზემო-ქედის სოფლის საბჭომ სოფლის კულაკურ ფენას ქონება ასეთი მოტივაციით ჩამოართვა: „ვინაიდან კულაკ გიგაურის შენობა უმოქმედოა და უმოქმედოდ დატოვებულ შენობას აფუჭებს წვიმა, ხოლო თემისათვის საჭიროა საექიმო პუნქტი და ამბულატორია, 2 სართულიანი სახლი ჩამოერთვას მფლობელს. გიგაურები ამ შენობაში არ ცხოვრობენ, ცხოვრობენ თბილისში“. მსგავსი მოტივაციით სოფლის საბჭომ სახლები ჩამოართვა „კულაკ“ ყოყოჩაშვილს, „კულაკ“ ქუმსიაშვილს, „კულაკ“ ყაყაჩეიშვილს, პაპა ხუცურაულს და სხვ.

ძალიან მკაცრი იყო სოფლის საბჭო, თუ კი „კულაკი“ მალავდა ხორბალს, არ ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს. ზემოქედის სოსფლო საბჭომ მეტად მკაცრი ვერდიქტი გამოუტანა „კულაკ“ კოტე ჩარბოდაშვილს, რომელმაც „გაყიდა ცხვარი და ყიდის კიდეც. გადამალა ხორბალი ორმოში,

რომელიც **დაბეზღებით** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) აღმოჩნდა. კოტე ჩარბოდაშვილის ქონებას ექნეს კონფისკაცია და თვითონ იქნეს განდევნილი თემის ფარგლებიდან და მთელი ქონება გადაეცეს ქვემო-ქედის კოლმეურნეობას“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, ს.2, 7).

ამრიგად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტად თვალსაჩინოა, რომ სოფელში „კულაკებზე“ ნადირობის სეზონი უკვე დაწყებულია, მათ უთვალთვალებენ, აბეზღებენ საბჭოთა ორგანოების წინაშე, ართმევენ ქონებას, დევნიან მშობლიური სოფლიდან.

ამავე სოფსაბჭომ „კულაკ“ ზაქრო ქუმსიაშვილის სახლი გადასცა ახლადშექმნილ მიხა ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობას, ასევე კონფისკაცია გაუკეთა „კულაკ“ ყაყიჩაშვილის ქონებას და ა.შ. და ა.შ.

როგორ იცავდნენ კულაკები საკუთარ უფლებებს ან იცავდნენ კი?

როგორც დოკუმენტური მასალა ადასტურებს ისინი საკმაოდ ენერგიულად იცავდნენ თავის უფლებებს როგორც მშვიდობიანი, ისე აგრესიული, უკიდურესად მიუღებელი ფორმებით. ანტისაბჭოთა ბრძოლის ეს მეთოდები უფრო ინტენსიური გახდა საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაციის კვალდაკვალ – კულაკი ჩინებულად გრძნობდა, რომ საბჭოთა კოლმეურნეობა მისი სოციალური სტაბილურობის დამანგრეველი იქნებოდა, რომ სოციალური გადარჩენისათვის საჭირო იყო ეფექტიანი მუშაობა სოფელში ჯერ კიდევ არსებული ზეგავლენის შესანარჩუნებლად, ხოლო შემდეგ თავისი ქონებისა და პირადი არსებობის უფლების გადასარჩენად. ბრძოლის მშვიდობიან ფორმებად შეიძლება დავასახელოთ კოლმეურნეობების წინააღმდეგ დაწყებული ანტიპროპაგანდა, გარკვეული შინაარსის ჭორების გავრცელება, ჯერ კიდევ არსებული ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება თანასოფლელთა მიმართ და ა.შ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „სოფლის კულაკებმა დაყარეს ხმები, რომ გლეხებს კოლექტიურ მიწებს წაართმევდნენ და ასე ამნაირად უნდოდათ მათ შეეტანათ არევდარევა კოლექტიურ მეურნეობაში“ – ნათქვამია ერთ ოფიციალურ დოკუმენტში (სშსს არქივი ს. 227, 9).

დასტურდება კულაკების მიერ თავის პროპაგანდაში ადგილობრივი ქალების გამოყენების შემთხვევებიც. ზემო მაჩხაანში კულაკები სოფლის ქალებში ეწეოდნენ ასეთ საუბრებს – „შენი შვილი კოლმეურნეობაში შევიდა? რა, ბერობა უნდა?, კოლმეურნეობა ხომ უკრძალავს ქორწინებას? შეშინებული დედა წავიდა კოლმეურნეობაში და თქვა – ორი თვით გაგვანთავისუფლეთ, ცოლს მოვუყვან შვილს და მარე ისევ შემოვალთ კოლმეურნეობაშიო“ (სშსს არქივი, ფ. 443, 141).

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს აგენტურამ დააფიქსირა ღარიბ და საშუალო გლეხობასთან კულაკების ასეთი საუბარიც: „რა გინდა კოლექტივში, მაქედან შენ ვერაფერს მიიღებ, შენზე მეტს, შენს მიერ ნაშრომს კოლექტივიდან მთავრობა წაიღებს. მოდი ჩვენ მოგეხმარებით, ქირას მოგცემთ, თუ ძალიან გაგიჭირდება მეზობლები დაგეხმარებით და გაგიტანთო“ (სშსს არქივი, ს. 443, 141).

სოფელ ახალ გავაზში (კახეთი) დააფიქსირეს კულაკის შემდეგი აქტივობა – მან დიდი დაპირებით განაწყო ღარიბი გლეხი და დაითანხმა კოლმეურნეობიდან გამოსვლაზე, ბოდბეში კულაკმა მოახერხა კოლმეურნეობისაგან გლეხის ჩამოცილება და ა.შ.

არის ძალიან ბევრი შემთხვევა, რომ კულაკი ცდილობს აღიდგინოს თავისი მოქალაქეობრივი უფლებები, მიაღწიოს თანასწორობას გადასახადის გადახდის საქმეში, შევიდეს სოფლის საბჭოს შემადგენლობაში, რომ დაიცვას თავისი უფლებები. საერთოდ, საბჭოთა კანონმდებლობა ესპლოატატორულ კლასებს ხმის უფლებას ართმევდა და მისი უკან დაბრუნება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ „კულაკი“ დაასაბუთებდა, რომ ის აღარ არის ექსპლოატატორი. ამიტომაც, საქართველოს სასოფლო საბჭოების აღმასკომების არქივებში ინახება ძალიან ბევრი კულაკის განცხადება ჩამორთმეული ხმის აღდგენის შესახებ. სპეციალურად გამოყოფილი „სამეული“ ამ განცხადებებს სწავლობდა. თუ დადასტურდეოდა, რომ „კულაკი“ „გამოსწორდა“, აღარ ეწევა ექსპლოატაციას, მას ხმის უფლებას ანიჭებდნენ. ზემო ქედის სოფლსაბჭომ 1930 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ხმაჩამორთმეული „კულაკების“ საკმაოდ დიდ ჯგუფს აღუდგინა ხმის უფლება და აქედან გამომდინარე გამოიყვანა კულაკების კატეგორიიდან (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, ს. 1, 13).

ამრიგად, სოფლის შეძლებული ფენის („კულაკების“) რეაქცია საკოლმეურნეო მოძრაობის საქართველოში დაწყების პირველ ეტაპზე მკვეთრად უარყოფითი ჩანს, თუმცა ისინი ჯერ კიდევ საკუთარი უფლებების დაცვისათვის მხოლოდ მშვიდობიან ფორმებს მიმართავენ – ანტისაკოლმეურნეო ჭორების გავრცელება, თანასოფლელებზე ეკონომიკური ბერკეტებისა და პირადი ზეგავლენის გამოყენება, ფარული ბოიკოტი და ა.შ.

ვითარება მკვეთრად იცვლება მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფო აშკარად გადადის „კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის“ პოლიტიკაზე.

§ 5. სიძნელეები და პრობლემები საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე

კოლმეურნეობის მიწათმოწყობის საკითხებს საბჭოთა ისტორიოგრაფია ან იგნორირებას უკეთებდა, ან დეკლარირებული გაცხადებებით კმაყოფილდებოდა: „არ ტარდებოდა მიწათმოწყობა“, „მიწათმოწყობა ცუდად ხორციელდებოდა“, „მოუგვარებელი იყო კოლმეურნეთა მიწათმოწყობის საქმე“. (მირცხულავა, 1968, 18,23,26)

ჩვენი აზრით ამ დუმილის, ასეთი დეკლარირებული განცხადებების მიზეზი იმ პრობლემებში უნდა ვეძებოთ, რაც მასობრივი საკოლმეურნეო მშენებლობის ეტაპზე სერიოზულ სიძნელეებს, წინააღმდეგობებს ბადებდა ამ, საბჭოთა სახელმწიფოსათვის უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში, საკუთარი სურვილით

თუ გარეშე იძულებით ჩაბმულ ადამიანებს შორის და მასზე ყურადღების კონცენტრირება საბჭოთა ისტორიკოსებს, მაინცდამაინც, არ სურდათ.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ახალი სამეურნეო ორგანიზმის – კოლექტიური მეურნეობის დაფუძნებამაც მოითხოვა მიწების ახალი „ამოძრავება“, ახალი გადანაწილება – მიწათმოწყობა, ანუ ადგილებზე ისეთი აგრარული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფდა შექმნილიყო ახალი კოლმეურნეობისათვის ოპტიმალური პირობები მიწათსარგებლობისათვის, მიწის ფონდის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისათვის. ეს კი, რაც ძალიან მალე გახდა ნათელი, საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა და მოითხოვდა დამატებით ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას, კონკრეტული ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, და საბოლოოდ, ამ „მიწათმოწყობის“ შედეგად სოფლებში შექმნილი ვითარების მოწესრიგებას – რათა სამომავლოდ კოლმეურნეობის ფუნქციონირებისათვის კეთილნაყოფიერი საფუძველი უზრუნველეყო.

როგორც პრაქტიკა ადასტურებს, თავდაპირველი კოლმეურნეობები საქართველოში მცირერიცხოვნობით გამოირჩეოდნენ: იყვნენ 10, 14, 20, და შვიდკაციანი კოლმეურნეობებიც კი. ასეთ კოლმეურნეობაში შესულ გლეხებს მიწების გაერთიანება ძალიან უჭირდათ – მათი ნაკვეთები ერთმანეთისაგან ხშირად ძალიან დაშორებული იყო. მომავალი სამეურნეო ორგანიზაციის სტაბილური მუშაობისათვის რომ მიეღწიათ, საჭირო იყო მიწების კონცენტრაცია, რაც ადგილებზე – სოფლებში, ყოველთვის უპრობლემოდ არ ხორციელდებოდა. საჭირო ხდებოდა კვალიფიციური მიწათმომწყობის დახმარება, სოფლის ინტერესების, ადგილობრივი გეოგრაფიული პირობებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის თავისებურებების გათვალისწინება და ა.შ. კიდევ უფრო რთულად იყო საქმე მთიან რეგიონებში (მაგალითად, თუშეთში, პანკისის ხეობაში და ა.შ.), სადაც სასოფლო-სავარგულები უაღრესად მცირე იყო, საკოლმეურნეო ენთუზიაზმი – კიდევ უფრო ნაკლები, ამიტომაც მიწათმოწყობის საკითხები ახლადშექნილ კოლმეურნეობებში მთის რეგიონებში კიდევ უფრო მეტ სიძნელეებს ქმნიდა.

როგორც იმჟამინდელი მიწათმოწყობის საქმეში გათვითცნობილებული პირები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, იმჟამად ყველაზე გავრცელებული ხარვეზები იყო: მიწათმოწყობას ჰქონდა მცირე ეფექტი (გავრცელებული იყო შორმიწიანობა, მრავალნაკვეთიანობა და ა.შ.), მიწათმოწყობა არ იყო დაკავშირებული აგრონომიული ორგანიზაციების მუშაობასთან; მიწათმოწყობა ახდენდა ყოველ ცალკე მეურნეობისათვის მის სარგებლობაში მყოფი მიწების მიზომვას, რაც აძლიერებდა გლეხობაში წვრილ კერძომესაკუთრულ ინსტინქტებს და ბუნდოვანს ხდიდა საბჭოთა მიწის რეფორმის შინაარსს; მიწათმოწყობის დროს ხშირად სათანადოდ მკაფიოდ არ ტარდებოდა კლასობრივი ხაზი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მიწით მოსაგებლეს ჰქონდა არჩევანის უფლება და მათ ხელში ამის გამო რჩებოდა საუკეთესო მიწები; მიწათმოწყობა მიმდინარეობდა ნელი ტემპით“ (სშსს არქივი, ს. 232, 80) და ა.შ.

მიწების გადანაწილებისა და საკოლმეურნეო მიწების გამიჯვნის დროს ხდებოდა ინტერესთა კონფლიქტი კოლმეურნეებსა და სოფლის დანარჩენ მოსახლეობას შორის, რაც ზოგჯერ შეტაკებებითაც მთავრდებოდა. მაგალითად, სოფელ ბაკურციხეში მიწათმოწყობის გამო მოხდა ორთაბრძოლა კოლმეურნეებსა და სოფლის დანარჩენ მოსახლეობას შორის. აქ კოლმეურნეობის მოწინააღმდეგეებმა კოლმეურნეობის კუთვნილი ტრაქტორი გადააყირავეს. მეორე დღეს ოპოზიციონერმა გლეხებმა მოაწყეს ჩასაფრება და სურდათ შეტაკების გამეორება (შსს არქივი, ს. 229, 20). არის სხვა მაგალითებიც.

ეს ყველაფერი სერიოზულად ძაბავდა სოციალურ ფონს საქართველოს სოფელში. რა თქმა უნდა, საუკეთესო გამოსავალი, ამ შემთხვევაში, ის იყო, რომ კოლმეურნეობები შემნილიყო მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაცემული მიწის ფონდის საფუძველზე. და ეს, ხშირად, ასეც ხდებოდა, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო – მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ 3 დესეტინა მიწაზე შეიქმნა არტელი „ჩვენი მომავალი“, ასევე, ბევრი სხვა კოლმეურნეობც, მაგრამ საქართველოს სოფლის მთავარი თავისებურება – მიწის ნაკლებობა იყო და უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივად არსებული მიწის გადანაწილების საფუძველზე შეიძლებოდა კოლმეურნეობის ჩამოყალიბება.

საკოლმეურნეო ცხოვრების ინტენსიფიკაციისა და სოფლის თითქმი მთელი მოსახლეობის კოლმეურნეობებში გაერთიანების შემდეგ მიწათმოწყობის საკითხების სიმწვავე აშკარად შენელდა – მთელი სასოფლო მიწები კოლმეურნეობის ხელში გაერთიანდა და მის იურისდიქციას დაექვემდებარა.

საქმის ცუდი ორგანიზება, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ახალშექმნილი კოლმეურნეობებისათვის, პირველ ხანებში, განსაკუთრებით ძნელად დასაძლევ პრობლემად გადაიქცა. კოლმეურნეობის ორგანიზების საკითხი რამდენიმე კომპონენტს აერთიანებდა და, როგორც ჩანს, გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობდა განსაკუთრებით არაორგანიზებულ, ნაკლებად განათლებულ სოფლის მოსახლეობაში.

კოლექტიური მეურნეობა – შრომის კოლექტიურ ფორმას გულისხმობს, განსხვავებით ინდივიდუალური, კერძო გლეხური მეურნეობისაგან, რისი წარმართვის თავისებურებებს ქართველი გლეხი, მეტ-ნაკლები წარმატებით, ყველა კუთხეში დაუფლებულიც იყო და ეს ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო ურთიერთობას წარმოადგენდა. კოლექტიური მეურნეობა – შრომითი ორგანიზების უფრო მაღალი ფორმაა, თავისი მკაცრად განსაზღვრული პრინციპებით, შრომის ორგანიზებისა და მისი ეკონომიკის წარმართვის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, საკმაოდ რთული, წესებით. ამიტომაც ორგანიზაციის პრობლემები სწრაფად დადგა ახლადშექმნილი კოლმეურნეობების წინაშე – საჭირო იყო კოლექტიური მეურნეობის საერთო ხელმძღვანელობა, კოლექტიური მეურნეობის ხელმძღვანელი ბირთვის ორგანიზება და მისი განთავსება, მათი შრომისთვის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა (ოფისის – „კანტორის“ შენობის მონახვა, სათანადო ინვენტარის მოძიება, საფინანსო-სააღრიცხვო განყოფილების ორ-

განიზება და ა.შ.), ასევე, კოლექტიური შრომის გარკვეული მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის შემუშავება, შრომის კოლექტიური პროცესის წარმართვის დაგეგმარება, კოლექტივში შრომის განაწილების ხასიათის შემუშავება, კოლექტივის წევრის გამომუშავებული შრომის ფიქსაცია, დახარჯული შრომის ანაზღაურების ფორმა და მეთოდის მოფიქრება, საბჭოთა სახელმწიფოსთან უამრავი ხილული თუ უხილავი ეკონომიკური კავშირის ორგანიზება, საფინანსო და საშემსრულებლო დისციპლინის დაცვა და ა.შ. და ა.შ.

ყველა ამ პრობლემის სწრაფად გადალახვა, დაძლევა და შრომის ორგანიზების ოპტიმალური ფორმების მოფიქრება – სერიოზული პრობლემა გახდა. საქმე ის იყო, რომ ერთიანი უნივერსალური დებულება კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციული სტრუქტურისა, რომელიც ყველას გამოადგებოდა და ზოგადპრაქტიკულ სახელმძღვანელოდ გადაიქცეოდა, ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. ამიტომაც, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, საქართველოში, პირველ ხანებში, ყველა კოლმეურნეობა თავის ორიგინალურ წესდებას აყალიბებდა.

რევიზორები თბილისს ატყობინებდნენ, რომ კახეთის ზონის ახლადშექმნილ კოლმეურნეოებების 95 პროცენტს „არ ახასიათებს შიდაკოლმეურნეობითი ორგანიზაციულობა: კოლექტივის მმართველი ორგანოების დამოკიდებულება კოლექტივის წევრებთან, შრომისა და მუშაობის გამოყენების წესები, საწარმოო თათბირები, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, წევრთა ურთიერთდამოკიდებულება. გამგეობის წევრებს შორის იშვიათი შემთხვევაა, რომ განაწილებული იქნეს სამუშაო ფუნქციები და ხშირ შემთვევაში თავმჯდომარე ითვლება კოლექტივის მოლარედაც, მოანგარიშედ, საწყობის გამგედ...“ (სშსს არქივი, ს. 227, 7)

იმისათვის, რომ ახლადშექმნილი კოლმეურნეობებისათვის გაეწიათ სათანადო დახმარება, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა ცენტრი – „კოლმცენტრი“, რომელსაც მთელს რესპუბლიკაში ჰქონდა თავისი ფილიალები. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, რომ ამ ფილიალებში აქტიურად გაეერთიანებინა რაიონების პარტიული და საბჭოთა აქტივის წარმომადგენლები. ასეთი „კოლბიუროები“ მაზრებსა და რაიონებში აერთიანებდნენ რაიაღმასკომების სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეს, რაიონის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელს, კომკავშირული ორგანიზაციის ლიდერს, რაიონის ქალთა ორგანიზაციის რწმუნებულს, ადგილობრივი გლეხკომის უფლაბააღჭურვილ პირს და ა.შ.

მაგრამ „კოლმცენტრის“ დახმარებით შექნილი საორგანიზაციო შტაბი, პირველ ეტაპზე ვერ ახერხებდა გამართულ, ორგანიზებულ მუშაობას. ამის მიზეზად ცენტრალური ხელისუფლება ასახელებდა ადგილობრივი გლეხების პოლიტიკურ უმწიფრობას და „კულაკების“ ორგანიზებულობას. პარტიულ ფორუმებზე არა ერთხელ აღინიშნა, რომ „კულაკები“ სერიოზულ ორგანიზაციულ პრობლემებს ქმნიან სოფლად საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების საქმეში.

იმისათვის, რომ კოლექტიური მეურნეობების ორგანიზებისას გამორიცხული ყოფილიყო შეცდომები და ნაკლოვანებები, „კულაკების“ ზედმეტი აქტივობა და არაორგანიზებულობა ცენტრიდან (თბილისიდან) ახლადშექმნილი მეურნეობებში გახშირდა ინსტრუქციებისა და აპრობირებული მეთოდების ტირაჟირება.

თანდათან, სწორედ ამ მითითებების კარნახით, ჩამოყალიბდა კოლექტიური მეურნეობის ხერხემალიც – ხელმძღვანელი ბირთვი, რომლის საშტატო განაკვეთიც დამტკიცდა ზემდგომი ინსტანციების მიერ. გადაწყდა, რომ კოლმეურნეობისათვის უნდა ეხელმძღვანელა თავმჯდომარეს (მისი საშტატო განაკვეთი განისაზღვრა 210 მანეთით), მას აუცილებლად უნდა ყოლოდა მოადგილე-ინსტრუქტორი (საშტატო განაკვეთი – 180 მან.) კოლმეურნეობაში სასურველი იყო ყოფილიყო 3 მოძრავი ინსტრუქტორი (საშტატო განაკვეთირ 164 მან.); 2 აგრონომი-ინსტრუქტორი (საშტატო განაკვეთი – 240 მან.), ტექნიკის მშენებელი (საშტატო განაკვეთი – 175 მან.), სტატისტიკოსი (საშტატო განაკვეთი – 120 მან.), მოანგარიშე (საშტატო განაკვეთი 150 მან.), მეჯინიბე საშტატო განაკვეთი 145 მან), მემანქანე-ქალი – (საშტატო განაკვეთი 75 მან.) (სშსს არქივი, ს. 443, 82).

თუ კარგად დავაკვირდებით, ამ ორგანიზაციულ სტრუქტურაში არ ფიგურირებს მომავალი საკოლმეურნეო ყოფის მთავარი და შეიძლება ითქვას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საშტატო ერთეული – ბრიგადირი. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე, როცა ზემოთ აღნიშნული საშტატო განრიგი შემუშავდა, უშუალოდ კოლმეურნეობაში მიმდინარე შრომითი პროცესების განვითარების აღმძრავი ბერკეტის (რასაც „ბრიგადირი“ მოგვიანებით წარმოადგენდა) შექმნის აუცილებლობის საკითხი ჯერ კიდევ არ იდგა დღის წესრიგში.

ასეთი ორგანიზაციული დახმარებების მიუხედავად, პირველ ხანებში საქართველოში შექმნილი კოლმეურნეობების სიცოცხლისუნარიანობა მეტად საალბათო იყო: არაორგანიზებულობისა და ცუდი საშემსრულებლო დისციპლინის გამო ბევრი კოლექტიური მეურნეობა ან დაიშალა, ან დაშლის წინაშე დადგა. ამას, ჩვენი აზრით აპირობებდა ადგილებზე, უშუალოდ სოფლებში კოლმეურნეობის შესახებ ზედმეტად გამარტივებული წარმოდგენები და კოლმეურნეობების შესაქმნელად აღებული ჩქარი ტემპი. საყოველთაოდ იყო გავრცელებული აპრიორული შეხედულებები იმაზე, რომ ღარიბი და უღარიბესი გლეხი თავისი შინაგანი არსით საკოლმეურნეო მშენებლობის ძირითადი ელემენტია და საკმარისია ისინი გაერთიანებულიყვნენ, რომ მარქსისტული თეორიის საფუძველზე – უნდა შექმნილიყო მაღალნაყოფიერი შრომის, საუკეთესო ორგანიზების, ადამიანის შრომითი შესაძლებლობების არნახული გაფურჩქვნის ძლიერი სტიმულები.

კახეთის რეგიონის შემოწმებისას თბილისელმა რევიზორებმა დაადგინეს შემდეგი: „კოლმეურნეობის ფორმირების პროცესი, ბევრ შემთხვევაში, თვითდინებაზე იყო და თვითონ ინიციატორებსაც კი არა ჰქონდათ სწორი წერმოდგენა კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის ძირითად საკითხებ-

ზე და უმეტეს შემთხვევაში ისინი ხელმძღვანელობდნენ ისეთი წესებით, რასაც სრულიად არაფერი ჰქონდა საერთო კოლმეურნეობის მშენებლობასთან“ (კოჭლავაშვილი, 1976, 486-487).

როგორც დასტურდება, საქართველოში კოლექტიური მეურნეობების მშენებლობის ამ ეტაპზე ძირითადად ორგანიზაციულ მუშაობას აქცევდნენ ყურადღებას და ამ საქმეშიც მთავარი – რაოდენობა მიაჩნდათ. ამიტომაც იყო „კოლოსალური შედეგები“ – თუ 1927 წელს შეიქმნა 37 კოლექტიური მეურნეობა, 1928 წელს შეიქმნა კიდევ 387, ხოლო 1929 წელს – 900-მდე კოლექტიური მეურნეობა (სშსს არქივი, ს. 331, 99)

პრობლემები აგრო-ტექნიკური პროგრესის ათვისების საქმეში. საკოლმეურნეო მოძრაობაში არსებული სიძნელეები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ იჩქმალებოდა, ძირითადად კმაყოფილდებოდნენ იმის კონსტატაციით, რაც გაიჟღერებდა ხოლმე პარტიულ ფორუმებზე პარტიის ლიდერების ე.წ.„თვითკრიტიკული“ გამოსვლების დროს და ეს პრობლემაც აი ასე წარმოჩინდებოდა: „მაშინ ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაკლს და შეცდომებს... კოლმეურნეობათა დიდ ნაწილში მოუწესრიგებელი იყო შრომის ორგანიზაცია, ანაზღაურება, დაბალი იყო **ტექნიკური ბაზის დონე** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) დიდი იყო კადრების უკმარისობა და სხვა.“ (სშსს არქივი, ს. 233, 156)

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით საქართველოს პირველ კოლმეურნეობებში ტექნიკური დონე დაბალი კი არა, საერთოდ არ იყო – პროგრესული აგრო-ტექნიკა და ტექნოლოგია იმჟამად საქართველოს სინამდვილეში საერთოდ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან წვრილ კოლმეურნეობებს მათი შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდათ – საამისოდ არც ფინანსური რესურსები იყო და არც სათანადოდ მომზადებული კადრები.

უფრო მეტიც, საქართველოში იყვნენ როგორც პარტიული მუშაკები, ისე მეცნიერ-აგრარიკოსები, რომლებიც თვლიდნენ, რომ ტრადიციული აგრარული წესების რადიკალური ცვლილებები უფრო დააზიანებდა ქართულ სოფელს, რომ „ზაჰესის ცხენს“ (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. კახიანის ხატოვანი გამოთქმა) ჯობდა გამწევ ძალად სოფლად ხარი და კამეჩი ყოფილიყო გამოყენებული (სშსს არქივი, ს. 273, 72-73).

მართლაც, საქართველოში იყვნენ მეცნიერ-აგრარიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის სიტყვა ინდუსტრიალიზაცია...ჩვენ ბოლო წლებში შევეჩვიეთ, რომ ინდუსტრიალიზაციის ქვეშ გვესმის აუცილებლად მანქანა, ფაბრიკა, ქარხანა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს საჭიროა, მაგრამ საჭიროა პირველ რიგში მივხედოთ და ვუპატრონოთ იმ მანქანას, რომელიც ბუნებამ შექმნა...“.

აქ უპირველსად იგულისხმებოდა სწორედ საქონელი – ძირითადი გამწევი საშუალება ქართულ სოფელში XX საუკუნის 20-იან წლებში: ცხენი, ხარი, კამეჩი. და ეს მეცნიერები, გარკვეული აზრით, მართალი იყვნენ – ქართული სოფლის ტექნიკური თუ ენერგოაღჭურვილობა ამ პერიოდში მიზერუ-

ლი იყო და საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ ამ პრობლემას კოლექტივიზაციის პროცესის პარალელურად დაძლევდა. შექმნილი ვითარება კი ასე წარმოჩნდება – საქართველოს ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებაში იყო მხოლოდ 103 ტრაქტორი, აქედან არტელებში (ანუ კოლექტიურ მეურნეობებში) – მხოლოდ 2, სათესი მანქანაც მხოლოდ 2 იყო და ისიც კომუნებს ჰქონდათ.

ამასთან, ძალიან დიდი იყო საქართველოს გლეხების გარკვეულ კატეგორიაში ცრურწმენა ტრაქტორის მიმართ. მათ მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმები უფრო მისაღებად და ნაყოფიერად ეჩვენებოდათ. ბევრი უარყოფითი შეხედულება ვრცელდებოდა „ზაჰესის ცხენზე“ საქართველოში, ძალიან ბევრი ეწინააღმდეგებოდა სოფლად ტრაქტორის შემოყვანას. ცნობილია და ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ კახეთი რეგიონის სოფელ ბაკურციხეში კოლმეურნეებსა და რიგით გლეხობას დაპირისპირების დროს გლეხებმა გადააყირავეს ტრაქტორი პროტესტის ნიშნად.

პროგრესული ტექნიკისადმი სიფრთხილისა თუ, ზოგიერთ შემთხვევაში, შიშის სინდრომის არსებობა სერიოზულად აწუხებდა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას, რომელიც ხშირად აღნიშნავდა: „ადგილი აქვს მანქანური წარმოების, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ძირითადი დემიურგის, ჩანაცვლებას ცოცხალი გამწევი ძალით“.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ისიც აღელვებდა, რომ იმ ადგილებში, სადაც ხერხდებოდა მოწინავე ტექნიკის შემოტანა, რიგითი გლეხისათვის ის მაინც მიუღწეველი იყო თავისი სიძვირის გამო. როგორც ატიცებდნენ, კახეთის რეგიონის სოფელ მაჩხაანში ტრაქტორის დასაქირავებლად სჭირო იყო 20 მანეთი და არა ჰქონდა მნიშვნელობა ვინ იყო დამქირვებელი: ღარიბი, საშუალო თუ შეძლებული გლეხი (სშსს არქივი, ს. 227, 38).

თუმცა იყო გარკვეული ძვრებიც – საქართველოს კოლმეურნეობების 80% ფაბრიკული გუთანი ჰქონდა. სულ საქართველოში 622 ფაბრიკული გუთანი იყო ექსპლოატაციაში. შედარებით ცოტა იყო თანამედროვე სათესები, დამხარისხებლები, ტრიერები, სათიბები.

სერიოზულ პრობლემას ჰქმნიდა სოფლებში **აგრო და ვეტმომსახურების სრული იგნორირება**, ამისათვის სათანადო კადრების თითქმის არარსებობა და ამ საქმეში ძალიან ცუდი პერსპექტივა. საქართველოში აგრონომებისა და კვალიფიცირებული ვეტერინარების რიცხვი, როგორც აღინიშნა, ერთეული იყო და სოფლად დაწყებული აგრარული რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინება მათი რაოდენობის მკვეთრი ზრდის გარეშე შეუძლებელი ჩანდა. ამიტომაც აგრონომიული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ორგანიზების საკითხები საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაციის პირალელურად მთელი სიმწვავით დადგა და სწრაფ მოწესრიგებას ელოდა.

ამ ტექნიკური პრობლემების მეტ-ნაკლები გადაწყვეტა საბჭოთა სისტემამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელის ინტენსიფიკაციით შეძლო.

სრული ფინანსური არაკომპეტენტურობა. კოლექტიური მეურნეობა – რთული სამეურნეო ორგანიზმია, რომელიც ეკონომიკის განვითარების კანონებს უნდა ეფუძნებოდეს და სწორედ ეკონომიკური კანონების გამოყენებით უნდა ახერხებდეს ფინანსურად წარმატებულ მეურნეობად ჩამოყალიბებას და განვითარებას. სწორედ ამის საფუძველზე უნდა შეიქმნას ხვავი და ბარაქა. უკვე მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში იგულისხმებოდა, რომ კოლექტიურ მეურნეობაში ყველაფერი უნდა ყოფილიყო პროგრესული: შრომის ორგანიზაცია, ფინანსური ურთიერთობა, ჯანსაღი ეკონომიკური ცხოვრების პირობები, შრომისა და დასვენების ჰარმონიული განვითარება და ა.შ.

როგორც ყველა ეკონომიკურ წამოწყებას, ამ რთულ საქმესაც ჭირდებოდა: სუბსიდიები, საბუღალტრო-ეკონომიკური აღრიცხვა, განტოტვილი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც აუცილებლად იგულისხმებოდა ეკონომიკურ ურთიერობა სახელმწიფოსთან (მთავარი დამკვეთი, მყიდველი და პარტნიორი), სხვა, მსგავს თუ მონათესავე ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან (სხვა კოლმეურნეობეთან თუ საბჭოთა ეკონომიკურ სუბიექტებთან, საქონელგაცვლის ახალი სისტემის შემუშავება და ა.შ. და ა.შ.)

მაგრამ საბჭოთა იდეოლოგებს დაავიწდათ, რომ ეს ეკონომიკური პროცესები დეკრეტების საფუძველზე, როგორც წესი, ყოველთვის, ყველა ქვეყანაში ერთობ რთულად ვითარდება. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში სოფლის თავისუფალი ეკონომიკური განვითარება, კონკურენტულ გარემოში და ბუნებრივი სელექციის გზით მიმდინარეობდა, როცა უფრო სიცოცხლისუნარიანი სამეურნეო ორგანიზმი და მისი ხელმძღვანელი ბირთვი დამოუკიდებლად ახერხებდა ყველა წარმოშობილი პრობლემის მინიმალიზაციას და ეკონომიკური წარმატებისაკენ მიჰყავდა საკუთარი სამეურნეო სუბიექტი.

არაეკონომიკური, დეკრეტული მართვის მეთოდები კი იწვევდა ახლადშექმნილ კოლმეურნეობებში სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს: სპონტანურად გაერთიანებული ყოფილი ინდივიდუალური გლეხები სრული ფინანსურ-ეკონომიკური უვიცობით გამოირჩეოდნენ. მათ იცოდნენ ინდივიდუალური გლეხური მეურენეობის მართვა, მაგრამ კოლექტიური მეურნეობის ეკონომიკური მართვის გამოცდილება საერთოდ არა ჰქონდათ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთმა კოლმეურნემ საერთოდ წერა-კითხვა არ იცოდა. საინტერესოა ერთი მაკონტროლებელი კომისიის დასკვნა ახლადშექმნილი არტელის „ჩვენი მომავალის“ წევრებზე: „მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ ორმა-სამმა იცის წერა. საერთოდ წევრები ძალიან ჩამორჩენილ შთაბეჭდილებას ტოვებენ. გონებრივი მდგომარეობაც სხვა არტელებთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია“.

ახალშექმნილი კოლმეურნეობების ფინანსური უვიცობა იმდენად აუტანელი იყო, რომ საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ გადაწყვიტა თვითონ დახმარებოდა მათ ეკონომიკურად ადგილებზე ფინანსური კადრების მომზადების საქმეში. საქართველოში განისაზღვრა სუბსიდია, რომელსაც კოლმეურნეობებისათვის მოანგარიშეების დაქირავების შესაძლებლობა უნდა მიეცა (წლიურად 51 840 მანეთი), ამასთან, ადგილებზე, მოანგარიშეე-

ბის მოსამზადებლად, დამატებით კიდევ გამოიყო 4500 მანეთი. (სშსს არქივი, ს. 233, 34). იგეგმებოდა სპეციალური ბლანკების, დავთრების, დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელობების ბეჭდვა, რაც დაეხმარებოდა ადგილობრივ კოლმეურნეებს ეკონომიკის მართვის რთული პრობლემების ათვისებაში.

ამ პირველ, განსაკუთრებით რთულ პერიოდში, „კოლმცენტრის“ ხელმძღვანელობა საქართველოს მთავრობის წინაშე აყენებდა საკითხს ახლადშექმნილი კოლმეურნეობებისათვის, ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მიზნით, ქმედითი დახმარების გეგმის შესამუშავებლად. ეს გეგმა ითვალისწინებდა კოლმეურნეობის მოანგარიშეთა ხელფასის 50% მთავრობის მიერ ანაზღაურებას, კონსულტანტებით კოლმეურნეობების დახმარებას, საჭირო ბლანკებითა და დავთრებით მათ მომარაგებას, საფინანსო ანგარიშის რთული სისტემის გაცნობას და ა.შ.(სშსს არქივი, ს. 233, ს. 454, 44)

რა თქმა უნდა, გარკვეული პროგრესი აშკარად გამოიკვეთა -კოლმეურნეობები თანდათან ახერხებდნენ ფინანსურ ორგანიზებას, სწავლობდნენ მარტივ და ადვილად აღსაქმელ ეკონომიკურ წესებს, ახერხებდნენ საბანკო ურთიერთობის მოწესრიგებასა, ადგილობრივ ბანკის ფილიალებში ანგარიშის გახსნას, გეგმიური მეურნეობრიობის პრინციპების დანერგვას.

ზოგიერთ ახლადშექმნილ კოლმეურნეობას თავიდანვე დაჰყვა კოლმეურნეობის „აქილევსის ქუსლი“ – დატაცება, „კოლექტიური ქონების მითვისება“. არის ინფორმაცია, რომ ბევრი კოლმეურნეობის „სალარო სრულიად ქაოტურ მდგომარეობაში“ იყო.

ამრიგად, საქართველოს სოფელში კოლმეურნეობების შექმნის პარალელურად ფინანსურ-ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგება, საბუღალტრო აღრიცხვის დაუფლება, კოლმეურნეობის ეკონომიკური ბირთვის მხრიდან საფინანსო-ეკონომიკური ცოდნის მინიმუმის შეთვისება – გადაუდებელ ამოცანად და უმწვავეს პრობლემად გადაიქცა.

„წვრილბურჟუაზიული“ – გლეხური ფსიქოლოგია. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ძალიან ჭირდა საბჭოთა, მათ შორის საქართველოს სოფელშიც, კერძო მესაკუთრული ინსტინქტების დაძლევა და კოლექტივისტური სულისკვეთების დამკვიდრება. სულ სხვა იყო მიტინგებსა თუ შეკრებებზე კოლექტივისტური სულისკვეთებით გამთბარი სიტყვებით აპელირება და სრულიად სხვა – საკუთარი კარმიდამოდან კოლმეურნეობაში შესატანი ნაწილის – გარკვეული პაიის გამოყოფა და მისი განსაზოგადოება.

როგორც საქართველოს გამოცდილება ადასტურებს, ახლადშექმნილი კოლმეურნეობების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც უღარიბესი გლეხების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ – ძირითადად სახელმწიფოს მიერ მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდიების საფუძველზე შეიქმნა და მათ თითქმის არაფერი არ განუზოგადებიათ.

მაგრამ, ძალიან ბევრი იყო ფაქტი, როცა „კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიით“ შექმნილ-გამოწვეულ პრობლემებზე მიანიშნებენ. მაგალითად, დამ-

კვირვებლები თბილისს ატყობინებდნენ, რომ **„კოლმეურნეობებში გლეხებმა ძალიან ცოტა შეიტანეს“** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). და აი, დამკვირვებლების მიერ თბილისში ჩამოტანილი ციფრებიც – ახლადშექმნილ კოლმეურნეობაში გაერთიანებულმა კოლექტივის წევრებმა გამწევი ძალა – ცხენი შეიტანეს 425, საკუთრებაში დაიტოვეს – 1531; უშობელი – შეიყვანეს 1366, საკუთრებაში დაიტოვეს – 8334, კოლმეურნეობების ფერმაში მიიყვანეს 961 ძროხა, საკუთრად დაიტოვეს – 8072. ასევე საკუთრებაში დაიტოვეს ხნულებიც კი – განასაზოგადეს 10 510 და დაიტოვეს – 9975 ერთეული (სშსს არქივი, ს. 443, 133) გლეხური წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ძლიერების შესახებ, საკოლმეურნეო მოძრაობის პირველ ეტაპზე, აშკარად მიუთითებდა განსაზოგადოების სტატისტიკური მაჩვენებელი, ახლა უკვე სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვითაც: საქართველოში განსაზოგადდა საგაზაფხული ნათესების 18%, ბამბის ნათესების მხოლოდ 1,21%, თამბაქოს – 23%, კანაფის – 30%, მზესუმზირის – 34%, არაქისის – 90%, შაქრის ჭარხლის – 40%, ვენახის – 12%, კარტოფილის 32%, ბაღჩეულის – 38% და ა.შ. (სშსს არქივი, ს. 443, 120)

კიდევ უფრო ცუდად იყო საქმე საქონლის განსაზოგადების საქმეში. 1929 წელს საქართველოში განაზოგადეს მხოლოდ 678 მსხვილფეხა, 3200 წვრილფეხა საქონელი, რაც საქართველოში დარეგისტრირებული ძროხების 0,16%, ცხვრის – 0,22%, ღორის – 0,11 პროცენტი იყო.

განსაკუთრულ პრობლემებს ქმნიდა საკუთრებაში არსებული სავენახე ფართობების განსაზოგადოება, რაც ძალიან ბევრ შემთხვევაში მთავრდებოდა დაპირისპირებებით, კონფლიქტებით, შეტაკებებითაც კი. ამ საქმეში დაძაბულობა სისტემატურად მატულობდა და ეს იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ ერთ-ერთი პარტიული ფუნქციონერი საჯარო გამოსვლაში აღნიშნავდა: „მწიფდება უკმაყოფილება გლეხებს შორის, რისი შედეგებიც შეიძლება ცუდი აღმოჩნდეს ჩვენთვის“ (სშსს არქივი, ს. 229, 20)

სწორედ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია გახდა ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რისი საშუალებითაც „კულაკები“ ახერხებდნენ არა მარტო საშუალო გლეხების, არამედ ღარიბი თანასოფლელებისა და მოჯამაგირეების ცალკეული წარმომადგენლების აყოლიებას და თავის მხარეზე გადაყვანას.

საქართველოს სინამდვილეში კოლექტივისტური სულისკვეთების დამკვიდერება ძალიან ჭირდა განსაკუთრებით მთის რეგიონებში (თუშეთი, პანკისის ხეობა, აჭარა, სვანეთი, ხევსურეთი და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამ კუთხეების მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო გარკვეული კოლექტივისტური სულისკვეთების ტრადიციული მახასიათებლები, მაინც კოლმეურნეობები ამ კუთხეებში ძალიან ძნელად ყალიბდებოდა.

მაგრამ, სიძნელეებისა და შეფერხებების მიუხედავად, განსაზოგადოების პროცესს საფუძველი ჩაყრილი უკვე ჰქონდა და ეს პროცესი აღმავალი ხაზით მიემართებოდა. მისი განვითარების ტემპები, მასშტაბები – რა თქმა უნდა, კომუნისტურ ხელისუფლებას არ აკმაყოფილებდა და დიდხანს პასი-

ური მომლოდინის პოზიციებზე დარჩენას არ აპირებდა – გადაწყდა პროცესების მნიშვნელოვნად დაჩქარება.

დაჩქარების პროცესი დაიწყეს საქართველოშიც...

§ 6. „კლასობრივი ომი“ სოფელში

საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარებაზე სისტემატური კონტროლი, ხშირი თათბირები, უამრავი შეხვედრები, რეგიონებში – ადგილებზე შექმნილი სიტუაციების გაცნობა, უშიშროების საბჭოთა ორგანოების ყოველკვირეული ანგარიშებში ასახული ვითარება საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ჯერ უყალიბებდა, ხოლო შემდეგ განუმტკიცებდა გარკვეულ შეხედულებებს, რომელთა რეალიზაციასაც ისინი ჯიუტად ცდილობდნენ.

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც გავიმეორებთ – საკოლმეურნეო მოძრაობის პირველმა ნაბიჯებმა აშკარად დაანახა საქართველოს ხელისუფლებას, რომ საჭირო იყო:

1. კოლმეურნეობების გამსხვილება; 2. საწარმოო საშუალებათა და იარაღმანქანების თანდათან მეტი განსაზოგადოება; 3. „დაგროვებათა ჩადება“ (იგულისხმება – ინვესტიციები) მეტ საქონლიან და შრომატევად მეურნეობაში; 4. კრედიტებისა და სესხების გაფართოება და მონაწილეობა კოლმეურნეობების განსაზოგადოებულ პროცესების ბრუნვაში; 5. ყურადღების გაძლიერება სოფლად გლეხობაში დიფერენციაციის პროცესებზე; 6. სოფლის საყოფაცხოვრებო საკითხების მიმართ არსებული პასიური დამოკიდებულების ლიკვიდაცია; 7. უპარტიო გლეხთა აქტივის აუცილებლად ფორმირება; 8. სოფლად ქალებთან მუშაობის განსაკუთრებით გააქტიურება; 9.ქართულ სოფლებში მენშევიკური ზეგავლენის რეციდივების აღმოფხვრა; 10. სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მუშაობის ორგანიზება; 11. სოფლის ღარიბების პარტიაში უპირატესად მიღების ხელშეწყობა; 12. მოჯამაგირეთა პრობლემების მიმართ მეტი ყურადღება; 13. სოფლად სოციალური ინფრასტრუქტურის: გზების, სკოლების, ამბულატორიების და საავადმყოფოების ქსელის გაფართოება; 14. წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის დასრულება; 15. პოლიტგანათლების ქსელის განვითარება-განმტკიცება და ა.შ. (სშსს არქივი, 233, 37).

წარმოდგენილი პროგრამა მიუთითებს, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზულად გადაწყვიტა საბოლოოდ „დაეპყრო“ საქართველოს სოფელი და ამ მიზნით შეტევაზე გადავიდა. ამ საქმეში მისი მთავარი მოწინააღმდეგე სოფლის ბურჟუაზია („კულაკები“) იყო, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შეეგუებოდა საკუარი ქონების, უფლებების და სიცოცხლის ხელყოფას. „კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის პროგრამა“ აუცილებლად ითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას „კულაკებთან“ სოფლად განუყოფელი ბატონობის მისაღწევად. ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო. საბჭოთა სახელმწიფოს მომავალი

განვითარება აუცილებლად მოითხოვდა სოფლადაც კომუნისტების ერთპიროვნული დიქტატურის დამყარებას.

საქართველოში ეს „კლასობრივი ომი“ დაიწყეს ფართო მაშტაბით და ერთბაშად. ამ „კლასობრივ“ ომს სრულიად პროზაული ამოცანებიც ჰქონდა – კოლექტივიზაციას ყოველდღიურად სჭირდებოდა მატერიალური რესურსები – საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობები კი მოკრძალებული იყო – ის მთლიანად იყო ჩაბმული ინდუსტრიალიზაციის გეგმების რეალიზაციაში, ამიტომ რესურსები თვითონ ადგილებზე, კოლმეურნეობებს უნდა ეშოვათ. ახლადშექმნილი კოლმეურნეობებისათვის საჭირო იყო კანტორის შენობა, სასაწყობო მეურნეობა, ბოსელი და თავლა, სასოფლო-სამეურნეო იარაღი, დამატებითი ფინანსები. ყველაფერი ამის შოვნა საქართველოს სოფელში ადვილად შეიძლებოდა, თუ კი საბოლოოდ რეალიზაცია გაუკეთდებოდა პროგრამას, რომელსაც ერქვა – „კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაცია“.

ჩვენ ზემოთ, რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე დავინახეთ თუ როგორ ადვილად იღებდნენ ღარიბებით დაკომპლექტებული სოფლის საბჭოები მდიდარი თანასოფლებების – „განკულაკებულთა“ საცხოვრებელი ნაგებობების, წისქვილებისა თუ სასაწყო მეურნეობების კონფისკაცის შესახებ გადაწყვეტილებებს. სწორედ ამ წართმეული ქონების საფუძველზე, მნიშვნელოვანწილად, დაიწყო საკოლმეურნეო მშენებლობა საქართველოში.

ეს ისტორიული ბრძოლა ეფექტიანი ყოფილიყო, კომუნისტურმა პარტიამ მაქსიმალურად გამოიყენა ის მძლავრი პროპაგანდისტული აპარატი, რაც მას უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა და თავისი პროპაგანდისტები და აგიტატორები, სხვადასხვა შემოქმედებითი გაერთიანებების წევრები (მაგალითად, „პროლეტკულტელები“, საბჭოთა მწერლები და ა.შ.) აქტიურად ჩაბა „კლასობრივი ომის“ გაჩაღების საქმეში.

ანტიკულაკური პროცესის იდეოლოგიური უზრვნველყოფა დროის გადაუდებელი ამოცანა იყო და ეს ამოცანა „წარმატებით“ გადაიჭრა, რათა საზოგადოებაში დანერგილიყო მკვეთრად უარყოფითი სტერეოტიპი მდიდარი გლეხის – „კულაკის“ მიმართ და მოხდა ისე, რომ ეს ნეგატიური ლექი საქართველოში თაობებს გადაჰყვა და მისი მანკიერი ხატება დღესაც ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი. მიზანმიმართული ანტიკულაკური პროპაგანდის შედეგად მოხდა საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში „კულაკის“ (ანუ მდიდარი გლეხის) მიმართ უარყოფითი სტერეოტიპის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა ურის იმჟამინდელი ოსტატები: ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, თვითონ კონსტანტინე გამსახურდიაც კი სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ინტერპრეტაციით აშუქებდნენ ამ დრამატულ პერიოდს. მათ ნაწარმოებებში “გვადი ბიგვა“, „მთვარის მოტაცება“, „კოლხეთის განთიადი“ და სხვები „კულაკები“ მუდამ მავნებლად, ხალხის მტრად, ცეცხლის წამკიდებლად, მკვლელად და საზოგადოებისათვის უცხო ელემენტად იყვნენ წარმოდგენილი. ამით მათ ქედი მოუხარეს ეპოქას.

ასეთი და მსგავსი „ურული“ შედევრებით, საგაზეთო თუ საჟურნალო სტატებით, რადიოგადაცემებით საქართველოში ანტიკულაკური ცნობიერება თანდათან დაეუფლა საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს. „კულაკების“ მიმართ ხელისუფლების მხრიდან დაწყებულმა გამძაფრებულმა დამოკიდებულებამ „კლასობრივი ომი“ მთელი თავისი არსით წარმოაჩინა – ღარიბი გლეხები და კომუნისტი აქტივისტები ეწეოდნენ „განკულაკებას“ ანუ „მდიდარ გლეხებს“ ართმევდნენ სახლ-კარს, ჯერ კიდევ შემორჩენილ მამულებს, საქონელს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სასაწყობო მეურნეობებს, წისქვილებს, ფინანსურ სახსრებს, ოქროსა და ვერცხლს. თავის მხრივ „კლასობრივ ომში“ ჩაბმული კულაკებიც ებრძოდნენ ადგილობრივ კომუნისტებსა და კომკავშირელებს, კოლმეურნეებს, სცემდნენ და ზოგჯერ კლავდნენ კიდეც სოფლის აქტივისტებს, ჩეხავდნენ კოლმეურნეობების ვენახებს, ცეცხლს უკიდებდნენ ხოდაბუნებს, წვავდნენ გამგეობის შენობებს და ა.შ. საქართველოს არქივებმა შემოინახა უამრავი ასეთი ფაქტი.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: სოფელ ვეჯინში კულაკებმა ღამით ამოყარეს კოლმეურნეების მიერ ახლადგაშენებული ვენახიდან 800 ძირი. როგორც იტყობინებოდნენ ნაფარეულსა და ახმეტაში კულაკები სისტემატურად ანადგურებდნენ ნათესებს, საქონელს.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან თბილისში მოდიოდა ცნობები კულაკების მიერ გადამწვარი ნათესების შესახებ. დიდი ლილოს კოლმეურნეობა „ანეულს“ კულაკებმა დაუწვეს მოსავლის ძნები, მინდორში ასაღებად გამზადებული. სოფელ ნუკრიანში ორმა კულაკმა გადაწვა კოლმეურნეობის თივა 1 200 მანეთის ღირებულების, ამავე სოფელში კულაკებმა დაწვეს პურის საფქვავი (სშსს არქივი, ს. 443, 141).

საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაცია იწვევდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას აქედან გამომდინარე ყველა საშინელი შედეგით. სოფელ შაშიანში კულაკებმა კოლმეურნეებს გაუგზავნეს ანონიმური წერილი: „დაგვიბრუნეთ ყველა სათესი და ვენახი, თორემ თქვენს კოლმეურნეობას სასაკლაოდ ვაქცევთ“ (სშსს არქივი, ს.443, 141); სოფელ ზემო სიმონეთში კოლმეურნეობის ერთ-ერთ აქტივისტს ასევე შეუგდეს ანონიმური წერილი, სადაც ემუქრებოდნენ – თუ ის კოლმეურნეობას არ დატოვებდა, საფლავს გაუთხრიდნენ.

კახეთში, სოფელ ახალსოფელში, კულაკებმა გალახეს კომუნის თავკაცი. 1930 წელს სიღნაღის რაიონის საქობოს სასოფლო საბჭოს არტელის მეცხვარეებს თავს დაესხნენ კულაკები და მოკლეს 6 კოლმეურნე. (სშსს არქივი, ფ. 14, აღ. 8 ს. 126, 18). არის სხვა მაგალითებიც.

სწორედ ასეთი ვითარება საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას საფუძველს აძლევდა, რომ ალაპარაკებულიყო „კულაკების მიერ გაჩაღებულ ომზე, კულაკურ ტერორზე, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე და ა.შ.“

საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი ვ. ბაქრაძე ერთ-ერთ ოფიციალურ გამოსვლაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „სოფლად კლასობრივი ბრძოლა მეტად გამწვავებულია და ეს ბრძოლა დროთა მსლელობაში თანდათან მწვავდება. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად დღევანდელ პირობებში აუცილებელი შედეგია იმ ღონისძიებების რომელსაც პარტია ატარებს სოფლად. პირველი და უმთავრესია სოციალისტური ელემენტის გაძლიერება და პირველ რიგში ამისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“ (სშსს არქივი, ს. 227, 7).

ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ საბჭოთა ფუნქციონერი სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, ე.ი. კულაკის ტრაგიკულ გააქტიურებასაც, უკავშირებს პარტიის მიზანმიმართულ პოლიტიკას სოფლად, რომელიც კოლმეურნეობების ფორმირებით აშკარად ლახავდა კულაკების ინტერესებს და არ შეეძლო არ შეელახა – ვითარების ზედაპირული შესწავლაც კი მიანიშნებს, რომ საბჭოთა სოფელი ორ პატრონს ვერ აიტანდა – მასში ან „კულაკს“, ან კოლმეურნეობას უნდა ებატონა, მათი კომპრომისი გამორიცხული იყო: კულაკი საბჭოთა ხელისუფლებას ვერ მისცემდა სურსათს იაფად და მუდმივად. კოლმეურნეობას შეეძლო (მან ისტორიულად ეს დაადასტურა კიდეც) და საბჭოთა ხელისუფლებას ათეული წლების მანძილზე, უწყვეტად, მშვიდობიანობისა თუ საომარი ვითარების პირობებშიც კი, უწყვეტად სთავაზობდა ულევ სასურსათო პროდუქციას ხელისუფლებისათვის მისაღებ მტკიცე ფასებში, რაც საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში მუდამ უზრუნველყოფდა დაბალ ფასებს ძირითად სასურსათო პროდუქტებზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სკკპ... რეზოლუციებში, თბ., 1954.
2. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია (მოკლე კურსი), თბ. 1952.
3. Архив троцкого, т.1, М.,1990.
4. სტალინი ი., ლენინიზმის საკითხები, თბ.,1952.
5. სტალინი ი, თხზ. ტ. 11,
6. სტალინი ი, თხზ. ტ. 10.
7. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 1.
8. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, ს. 2.
9. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, ს. 2.
10. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 229.
11. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4. ს. 233.

12. კოჭლავაშვილი ა. საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976.
13. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 452,.
14. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, აღ. 1, ს. 6.
15. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, აღ. 1, ს. 33.
16. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 69, ს. 2.
17. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 227.
18. სშსს არქივი, II განყოფილებას. 443.
19. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, ს. 1, ფურც. 13.
20. მირცხულავა ი., ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში, თბ., 1968.
21. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 443.
22. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 331.
23. სშსს არქივი, II განყოფილება, ს. 233.
24. სშსს არქივი, II განყოფილება, ს. 273.
25. სშსს არქივი, II განყოფილება, ს. 443.
26. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 229.
27. სშსს არქივი, II განყოფილება, ს. 443.
28. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 126.

თავი VI.

საკოლმეურნეო მოძრაობის „გამარჯვება“

§ 1. თავბრუდახვევა – „წარმატებისაგან“!?

1930 წლის დასაწყისში, „გაშლილი საკოლმეურნეო მშენებლობის“ პირობებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების წინაშე „მოულოდნელად“ წარმოიშვა ახალი პრობლემა, რომელსაც სულ რამდენიმე თვის წინ ან არ ამჩნევდნენ, ან არ უნდოდათ დაენახათ, ან ვარაუდობდნენ, რომ ეს ახალი „პრობლემა“ უპრობლემოდ ჩაბარდებოდა ისტორიას და პარტიას ახალ სიძნელეებს აღარ შეუქმნიდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა...

სწორედ ამ პერიოდში იოსებ სტალინი წერს თავის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაშრომს: „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“, რომელმაც პარტიის აგრარული პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას სოფლად დიდი კვალი დაამჩნია. ამ პატარა წერილს ისტორიკოსები მუდამ ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას, ითვლებოდა, რომ მასში ჩამოყალიბებული შეხედულებების რეალიზაციამ საბჭოთა სოფელი გადაარჩინა სერიოზულ პოლიტიკურ კატაკლიზმებს. როგორც მიუთითებდნენ – გამოაშკარავდა, რომ ირღვეოდა ნებაყოფლობის პრინციპი საკოლმეურნეო მშენებლობაში, მთელ რიგ რაიონებში ნებაყოფლობის ნაცვლად „განკულაკების“, საარჩევნო უფლებათა ჩამორთმევისა და სხვა მუქარით აიძულებდნენ გლეხებს – შესულიყვნენ კოლმეურნეობაში. საბჭოთა ისტორიკოსები ამტკიცებდნენ: „წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის მითითებებისა იმის შესახებ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც ხდება წარმოების მხოლოდ ძირითადი საშუალებათა განზოგადება, მთელ რიგ ადგილებზე ხდებოდა უთავგზურო გადახტომა არტელიდან კომუნაზე, ტარდებოდა საცხოვრებელი ნაგებობათა, არასასაქონლო მერძეული და წვრილფეხა პირუტყვის, შინაური ფრინველისა და სხვ. განსაზოგადოება ...პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომებისა და კლასობრივი მტრის პირდაპირი პროვოკაციული მოქმედების შედეგად, 1930 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, კოლექტივიზაციის უეჭველ საერთო წარმატებათა ფონზე, მთელ რიგ რაიონებში გაჩნდა **გლეხობის სერიოზული უკმაყოფილების საშიში** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ნიშნები. აქა-იქ კულაკებმა და მათმა აგენტებმა შეძლეს წაექეზებინათ კიდეც გლეხები პირდაპირი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის“ (საკ კპ (ბ) ისტორია, 1952, 374-375).

თვითონ ი. სტალინის ზემოთ აღნიშნული წერილი კი იწყება მეტად მაჟორული ნოტით: „საბჭოთა ხელისუფლების წარმატებებზე საკოლმეურნეო

მოძრაობის დარგში ახლა ყველა ლაპარაკობს. მტრებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ სერიოზული წარმატებები... ფაქტია, რომ ა.წ. 20 თებერვლისათვის სსრ კავშირში უკვე კოლექტივიზებულია გლეხური მეურნეობის 50%...“ (სტალინი, 1952, 387)

მაგრამ, სტალინის აზრით, ამ წარმატებებს თავიანთი ჩრდილოვანი მხარეც აქვთ, მეტადრე თუ „ისინი მოპოვებულია შედარებით „იოლად“. ასე ვთქვათ, „მოულოდნელობის“ წესით. ასეთი წარმატებები ზოგჯერ გულზვიადობასა და თავგასულობას იწვევს: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!“, „ჩვენთვის დაბრკოლება არ არსებობს!“. ისინი, წარმატებები, ხშირად ათრობენ ადამიანებს, ამასთან ადამიანებს თავბრუ ეხვევათ წარმატებებისაგან, ეკარგებათ ზომიერების გრძნობა, ეკარგებათ სინამდვილის გაგების უნარი“ (სტალინი, 1952, 387).

უდავოა – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის გენერალურ მდივანს სურდათ საკოლმეურნეო მოძრაობის ტემპების დაჩქარება – მათ უნდოდათ სწრაფად და მცირე დანაკარგებით გადაელახათ ქვეყნის ისტორიული განვითარების ურთულესი ეტაპი და ერთი დარტყმით, მოკლე ვადებში, წვრიბურჟუაზიული სოფლიდან მიეღოთ სოციალისტური სოფელი. ეს მათთვის ძალიან ბუნებრივი და დასაშვები სურვილი-ამოცანა იყო. მაგრამ ისიც მართალია, რომ ადგილებზე, პარტიული ხელმძღვანელები, აქტივისტი-ფანატიკოსები ამ პროცესების კიდევ უფრო დაჩქარებას ცდილობდნენ (მაგალითად, მ. კახიანის პოლიტიკური ჯგუფი საქართველოში) და, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციულ ბერკეტებსაც იყენებდნენ, მათ შორის ძალადობასაც.

ძალადობა – ეს ბოლშევიზმისათვის „დედის მუცლიდან თანდაყოლილი მშობიარობის ლაქაა“ და, მართალია, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ბოლშევიკები ფრაზით ცდილობდნენ ძალადობას განშორებოდნენ, მაგრამ მათ ეს არასოდეს გამოსდიოდათ, რადგან ყველაფერს მხოლოდ დიდი ძალადობის, დიდი ზეწოლის, დიდი ძალისხმევისა და ადამიანური მატერიალური თუ სულიერი რესურსების მაქსიმალური დაძაბვით აღწევდნენ. ასეთივე განწყობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრების დიდ უმრავლესობასაც: ისინი თვითონაც ძალადობაში ცხოვრობდნენ და პოლიტიკაც ძალადობრივი ჰქონდათ. ამიტომ სტალინის მიერ ძალადობის ელემენტის დაგმობა საკოლმეურნელო მოძრაობის მშენებლობის პროცესში – უბრალოდ „პოლიტიკური კოკეტობაა“, რომელიც საზოგადოებრივი აზრის (ისიც საზღვარგარეთ) დაწყნარებას, ჩამშვიდებას უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ჭეშმარიტი რეალობის წარმოჩენას.

საკოლმეურნეო მოძრაობა, თეორიულად, იდეოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით და პრაქტიკულადაც, თავდაპირველად მუდამ გულისხმობდა გლეხის ქონების საყოველთაო განზოგადოებას – მხოლოდ მაშინ შეიქმნებოდა ჭეშმარიტად სოციალისტური, კერძო საკუთრებისაგან თავისუფალი, საბჭოთა სამეურნეო გაერთიანება და მის საფუძველზე აღზრდილი ახალი პლიტიკურ-ეკონომიკური სუბიექტი – საბჭოთა სოფლის მუშა. ეს რთული

ექსპერიმენტი იყო, მაგრამ ამ ექსპერიმენტზე წასვლა მხოლოდ უქონელ ადამიანს შეეძლო. ყველა სხვა შემთხვევაში – მქონებელი ადამიანი უანგაროდ თავის გატეხილ თეფშსაც არავის მისცემდა – რა თქმა უნდა, კერძო მესაკუთრული გლეხური ინსტიქტებიდან (ფსიქოლოგიიდან) გამომდინარე. ამიტომ ამ კერძო მესაკუთრული გლეხური ინსტინქტების დაძლევა მხოლოდ იძულების საფუძველზე შეიძლებოდა და ეს იძულება საპირისპირო რეაქციას – მეორე მხარის ძალადობასაც რომ აშკარად გამოიწვევდა, ამაში ეჭვიც კი არავის ეპარებოდა და ბოლშევიკები ამისათვის მზად იყვნენ – ბრძოლა ხომ მათი სტიქია იყო.

საბჭოთა კავშირში კი, როგორც ჩანს, ვითარება პერმანენტულად იძაბებოდა და არა მარტო საქართველოში. მოსკოვში, კრემლში საბჭოთა სპეცორგანოების წარმომადგენლები აგზავნიდნენ დაშიფრულ შეტყობინებებს საბჭოთა სოფელში შექმნილი რთული ვითარების შესახებ: 1929 წელს საბჭოთა კავშირში დაფიქსირდა გლეხობის 1307 საპროტესტო გამოსვლა, მასში მონაწილეობდა 300 000 გლეხი. 1930 წლის იანვარ-მარტში უკვე დაფიქსირდა 2 700 საპროტესტო გამოსვლა, რომელშიც დაახლოებით მილიონი გლეხი იღებდა მონაწილეობას (С. Рыбас. Е. Рыбас, 2007, 608).

უდავოა, რომ ასეთი მასშტაბების საპროტესტო მოძრაობა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ნებისმიერ მთავრობას და საჭირო იყო გამოსავლის ძიება. ი. ბ. სტალინმა მოძებნა გამოსავალი: „საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად რგოლს, მის ახლანდელ მთავარ ფორმას, რომელსაც ახლა ხელი უნდა ჩავჭიდოთ, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი. სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია წარმოების ძირითადი საშუალებანი, უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობის ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და დანარჩენი ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო შენობები“ (სტალინი, 1952, 91).

და აი, მივადექით სტალინის მთავარ „მიგნებას“ – არტელში „განსაზოგადოებული არ არის: საკარმიდამო მიწები (პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები), საცხოვრებელი შენობები, მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და სხვ.“

ჩვენი აზრით, ეს არის უკანდახევა, კომუნისტური პრინციპების დათმობა – კომპრომისი, ზემოთ აღნიშნული შიშის ლოგიკური შედეგი – ეს არის წვრილბურჟუაზიული სტიქიის მოსალოდნელი ამბოხებით გამოწვეული უკუსვლა, დახლოებით ისეთი, როგორიც ლენინმა განახორციელა 1921 წელს, როცა „ნეპის“ პოლიტიკაზე გადაიყვანა საბჭოთა ქვეყანა და ეს რადიკალური შემობრუნება ასევე გლეხური ბუნტის შიშით (კომუნისტების ენაზე – პროლეტარიატისა და გლეხობის ორგანული კავშირის გაწყვეტის შიშით) იყო ნაკარნახევი.

ი. სტალინმაც ეს უკანდახევა განახორციელა თავის პოლიტიკურ გუნდათან ერთად და ამან, ჩვენი აზრით, საფუძველი დაუდო საბჭოთა სოფელში

„სტალინურ დუალიზმს“ და რამაც უკვე მოგვიანებით – 1960-1980-იან წლებში საბჭოთა სოფლის აგონია და კრახი გამოიწვია.

საქართველოში სტალინის წერილზე გლეხობის რეაქციამ არ დააყოვნა. თვითმხილველები ადასტურებენ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის მოწინააღმდეგენი საპროტესტო გამოსვლების დროს სწორედ იმ გაზეთებს აფრიალებდნენ, რომელშიც სტალინის ეს წერილი იყო გამოქვეყნებული. როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა საქართველოს გლეხობის მნიშვნელოვან ნაწილს ბოლომდე აევსო და ისინი საჯაროდ აპროტესტებდნენ იმ ძალმომრეობას, უსამართლობასა და უხეშობას, რასაც საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლება კოლექტივიზაციის პროცესის დროს ასე ხშირად მიმართავდა.

სტალინის წერილმა შეაჩერა საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირებული ტემპი საქართველოში – დაიწყო უკუპროცესი – გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა კოლმეურნეობიდან, გააქტიურეს საქმიანობა ანტისაბჭოთა პარტიებმა. აშკარა იყო – საქართველოს კომპარტიის საქმიანობაში მოხდა სერიოზული ჩავარდნა – მან თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას და მისმა საქმიანობამ სერიოზული პრობლემები გამოიწვია.

სწორედ ეს პროცესები, საქართველოში შექმნილი ეს ურთულესი ვითარება გახდა ფილიპე მახარაძის მოხსენების შინაარსი და ამ მოხსენებით ის საქართველოს კომპარტიის VII ყრილობაზე (1930 წლის 1-6 ივნისი) გამოვიდა. მან ყრილობასა და პარტიას განვითარებული მოვლენების შესახებ თავისი ხედვა წარუდგინა.

ფ. მახარაძის გამოსვლა, რა თქმა უნდა, მთლიანად სტალინის წერილის განწყობით არის ნაკარნახევი და მისი მთავარი შინაარსია – დაიგმოს ძალადობა, კოლმეურნეობა უნდა შეიქმნას მხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე.

მოხსენებაში ფილიპე მახარაძე კონსტატირებას უკეთებს იმ ფაქტს, რომ სტალინის წერილის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი გლეხი გამოვიდა კოლმეურნეობიდან და ბევრი კოლმეურნეობაც დაიშალა. მას მოაქვს სტატისტიკა: თუ წერილის გამოქვეყნებამდე საქართველოში იყო 2894 კოლმეურნეობა, იმავე წლის 10 მაისს მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა (დარჩა 2094 კოლმეურნეობა) (სშსს არქივი ს. 2, 340-341).

წარმოდგენილ მოხსენებაში ძალიან ბევრი საინტერესო მომენტია წარმოჩენილი, რომელიც არსებულ რეალობას ასახავს: „ჩვენ გვქონდა მთლიანი კოლექტივიზაცია“; „კახეთის რაიონის ამხანაგები აცხადებდნენ, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია მათთან უკვე რეალური ხდება“ და ა.შ. და ა.შ., რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა ზედმეტად ხელოვნურად იყო დაჩქარებული.

ასევე საყურადღებოა ფ. მახარაძის შემდეგი დასკვნაც: „კოლექტივიზაციის საქმეში ადმინისტრაციულობას ადგილი არ უნდა ჰქონოდა, დეკრეტების მეთოდებისთვის ჩვენ არ უნდა მიგვემართა“; „ამ კოლექტივიზაციის გატარებამ მიიღო კომპანიური ხასიათი... უნდა ითქვას, რომ არასოდეს არცერთი კამპანია ჩვენ პარტიას არ ჩაუტარებია ისე მოუმზადებლად, ისე აუ-

წონ-დაუწონავად, როგორც ეს იქნა ჩატარებული კოლექტივიზაციის შესახებ (სტილი ავტორისაა – ა.დ.)“ (სშსს არქივი ს. 2, 367).

ფილიპე მახარაძე, ფაქტობრივად საქართველოში ის პირველი პარტიული ფუნქციონერია, რომელმაც საჯაროდ მოიხადა ბოდიში სოფლის ბურჟუაზიის („კულაკების“) წინაშე კოლექტივზაციის პერიოდში განხორციელებული დრაკონული მოქმედებებისათვის. ის საჯაროდ აცხადებდა: „... დიდი ნაწილი საშუალო გლეხისა მოჰყვა განკულაკებაში (ფილიპე თავის მოხსენებაში 15-20 პროცენტს ვარაუდობს – ა.დ.) როგორ ხდებოდა განკულაკება, სადაც აუარებელი შეცდომა იქნა დაშვებული. ჯერ ერთი, რომ ასახლებდნენ ოჯახს, რომელშიც შედიოდნენ 80-90 წლის მოხუცები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები. სად ასახლებდნენ მათ – კაცმა არ იცის, სად უნდა წასულიყო – არავინ იცოდა. ამან შექმნა ის გარემოება, რომ საშუალო გლეხი, რომელიც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე კულაკისა, გახდა მისი თანამგრძნობელი“ (სშსს არქივი, ს. 2, 367).

მართალია, ფილიპე მახარაძის გამოსვლა, კრიტიკული იყო, მაგრამ მან ჯოხი მაინც პარტიის საშუალო რგოლზე გადატეხა – ვითარება ისე წარმოსახა, რომ შეცდომების ძირითადი კასკადი სწორედ ადგილებზე, „წარმატებისაგან თავბრუდახვევის გამო“ მოხდა. მომხსენებელმა ისიც კი აღნიშნა, რომ სტალინის მიერ დაწერილი წერილი შეიძლება უფრო ადრეც კი დაწერილიყო – რითიც არაპირდაპირ მიანიშნა, რომ ძალადობასა და უსამართლობაზე რეაგირებამ საბჭოთა კავშირში დააგვიანა, მაგრამ მან მაინც დაიცვა „მუნდირის ღირსება“ და გაამართლა პარტიის პოლიტიკა სოფლად, რომელიც, მცირე შესვენების შემდეგ, მცირედი კორექტურით მაინც გაგრძელდა და საკოლმეურნეო მოძრაობა ახალ ეტაპზე ავიდა. დაიწყეს სტალინის წერილში გამოთქმული შეხედულებების რეალიზება – პირველ რიგში დაიწყეს „საკარმიდამო ნაკვეთების“ ფორმირება.

§ 2. ე. წ. „საკარმიდამო ნაკვეთების“-ს საკითხისათვის

მარქსიზმის თეორია „საკარმიდამო ნაკვეთს“ არ იცნობს. სოფლად კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებებზე მარქსისტული ორთოდოქსიის პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ აქ ვერ ვისაუბრებთ – ნაშრომის ფორმატი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ფ. ენგელსიც თავის „კომუნიზმის პრინციპებში“ არსად არ იხსენიებს „საკარმიდამო ნაკვეთებს“, პირიქით, კომუნიზმის დროს იგულისხმება „ერთნაირი იძულებითი შრომა საზოგადოების ყველა წევრთათვის კერძო საკუთრების სრულ გაუქმებამდე. სამრეწველო არმიების შექმნა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისათვის“.დადასტურებულია, რომ ორთოდოქსალური მარქსიზმი არ გულისხმობს კომუნისტური გადატრიალების შემდეგ სოფლად „საკარმიდამო ნაკვეთების“ დარიგებას, პირიქით, გუშინდელი „გლეხი“ ახალი გენერაციის „მიწის მუშა“ უნდა გამხდარიყო, რომელიც „სახალხო მამულებში“ იცხოვრებდა და „შრომის არმიებში“ გაწევრიანდებოდა.

მაგრამ გლეხური წვრილბურჟუაზიული სტიქიის მიმართ განვითარებულმა შიშმა – გლეხური ამბოხების წინაშე შიშმა, რომლის სიმპტომები იმჟამად აშკარად ჩანდა, სტალინი და მისი ფრაქცია წაიყვანა კომპრომისზე და დააშვებინაა: კერძო საკარმიდამო ნაკვეთები („პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები“), კერძო საცხოვრებელი შენობები, კერძო მეწველი პირუტყვის განსაზღვრული ნაწილი, კერძო წვრილფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველი და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. სტალინის ზემოთაღნიშნულ ნაშრომში არ არის მითითებული, თუ რა რაოდენობის უნდა ყოფილიყო ეს „პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები“, ან რამდენი უნდა დაეტოვებინათ მეწველი თუ წვრილფეხა საქონელი, ფრინველი და ა.შ. ეს ყველაფერი მოგვიანებით, პრაქტიკული მუშაობის პარალელურად დადგინდა და დაკანონდა, მაგრამ ძირითადად – საკოლმეურნეო მშენებლობის ტემპების შემდგომი განვითარების კუთხით, ქვეყანაში არაფერი შეცვლილა – მოხდა აშკარად ძალთა გადაჯგუფება და დროებითი კომპრომისი დროის მოგების მიზნით.

შეიძლება კონსტატაცია გაუკეთდეს შემდეგ ფაქტს – უბრალოდ, საბჭოთა გლეხს შესთავაზეს დუალისტური სოფლის მეურნეობა – ფაქტობრივად უანგარო შრომა მიზერული ანაზღაურებით კოლექტივში, რომელიც მთლიანად სტალინური სოციალიზმის პრინციპებს დაეფუძნა და სოციალიზმის ეკონომიკური კანონებით იმართებოდა; და ამასთან, მის პარალელურად შეიქმნა „მინიატურული“ ფერმა ანუ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის „პაროდია“ (გადმონაშთი) – კერძო საკუთრების რუდიმენტი, რომელიც გლეხს არ ავიწყებდა, რომ ის კერძო მესაკუთრე იყო და მას ჰქონდა საკუთრება. ეს ნოვაცია, მის ინიციატორებს, რა თქმა უნდა, დროებით კატეგორიად მიაჩნდათ და სოფელში შეიძლებოდა ყოფილიყო კომუნიზმის გამარჯვებამდე – ე.ი. გარდამავალ პერიოდში. მათი ვარაუდით, ამ გარდამავალ პერიოდში გლეხი თანდათან შეეჩვეოდა კოლექტივისტურ სულისკეთებას, გარდაქმნებოდა „მიწის მუშად“, დაკარგავდა გლეხის ინდივიდუალისტურ ნიშნებს და მთლიანად შეერწყმებოდა რუსული სოციალიზმის მშენებარე მოდელს.

თავიდანვე ამ „საკარმიდამო ნაკვეთში“ – გლეხს შეეძლო მხოლოდ თვითონ და მისი ოჯახის წევრებს ემუშავათ. დაქირავებული პირის გამოყენება სასტიკად იკრძალებოდა. კოლმეურნე გლეხს ისიც შეეძლო, რომ ამ ნაკვეთებში მიღებული მოსავალი თავისი სურვილის მიხედვით გამოეყენებინა – გაეყიდა, გაეცვალა, გაეჩუქებინა, გაეტანა ბაზარზე და ისიც მხოლოდ საბჭოთა ბაზარზე, რომელიც, უკვე 1932 წლიდან აშკარად დაუშვეს და ასეთი ბაზრობები რეგულარულად იმართებოდა დიდ სამრეწველო ქალაქებში.

მოდი ახლა განვიხილოთ, თუ როგორ ჩატარდა ეს „პატარა ბოსტნებისა და პატარა ბაღების“ ფორმირების პროცესი საქართველოში და რის საფუძველზე მოხერხდა ამ სიახლის რეალიზება.

როგორც შემორჩენილი დოკუმენტები ადასტურებენ, კოლმეურნე გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთებად დაურიგეს „განკულაკებული გლეხების“ ჩამორ-

თმეული მამულები, რომელიც დაყვეს ადგილობრივი კანონით გათვალის-წინებულ მიკრო-ტერიტორიულ ერთეულებად და სოფლის საბჭოს გადაწ-ყვეტილების საფუძველზე, უვადო სარგებლობაში, გადასცეს კოლმეურნე გლეხებს.

მაგალითად, კახეთის რეგიონში, სოფელ წინანადალში საკარმიდამო მიწე-ბი დაარიგეს სწორედ ადგილობრივი „კულაკების“ ჩამორთმეული მიწების საფუძველზე და, უფრო მეტიც, ყველა მიმღებმა გლეხმა იცოდა, თუ ვის მამულს ეუფლებოდა ის. წინანდლის კოლმეურნეობის წევრს არჩილ ბატი-აშვილს მიეცა 1200 საჟენი ადგილობრივი „კულაკის“ მიტრო ომანაშვილის განკულაკების შედეგად მიღებული მიწის ფართობიდან. მეზვრიშვილ ნი-კას „ძეძვებში“ (წინანდლის უბანია) გადასცეს საკარმიდამოდ 1200 საჟენი – „კულაკ“ ვანო შიუკაშვილის ყოფილი საკუთრება და ა. შ. (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს.30, 1).

ამ ეტაპზე მიწის ფართობი საკარმიდამოდ, როგორც ჩან, კანონით ჯერ კი-დევ მკაცრად განსაზღვრული არ იყო და კოლმეურნეებს სხვადასხვა ფარ-თობის ნაკვეთები დაურიგდათ. მაგალითად, ზარდიაშვილ სანდროს მიეცა გიორგი მოდებაძის ყოფილი მამულის 1600 საჟენი, ხოლო ავაქაშვილ სან-დროს – „ნადარბაზევში“ (უბანია წინანდალში) იასე ბურნაძის მამულის 600 საჟენიანი მონაკვეთი (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს.30, 1). დოკუმენტის ამ ფურცელზე კიდევ სხვა 26 კოლმეურნის გვარია, რომ-ლებმაც ასევე „განკულაკებულების“ მამულები საჩუქრად მიიღეს. ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია.

მეტად საინტერესოა, რომ კახეთის რეგიონის სოფელ არბოშიკში ი. სტა-ლინის წერილის გამოქვეყნებისთანავე შეიკრიბა ხალხმრავალი თათბირი, რომელსაც 500 გლეხი დაესწრო. მათ განიხილეს სტალინის წერილი „თავ-ბრუსდახვევა წარმატებისაგან“ და ხაზგასმით კონსტატაცია გაუკეთეს იმ ფაქტს, რომ „წვრილი ბოსტან-ბაღჩეული უნდა დარჩეს მცხოვრებლებს მათ პირად სარგებლობაში“ (თელავის არქივი, ფ. 21, ს.3, 7).

როგორც ჩანს, ხალხმრავალი შეკრება მღელვარე აღმოჩნდა – საჯაროდ დაგმეს ტოტალური განსაზოგადოების პრაქტიკა და მიიღეს გადაწყვეტი-ლება „ყველას უნდა დავუბრუნოთ ჩამორთმეული ფური, ცხენი, თხა“.

„საკარმიდამო ნაკვეთების“ შექმნის პრაქტიკა მთელ საქართველოში გავ-რცელდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს ახალი მამულები „განკულაკებული“ თანასოფლელების ყოფილი საკუთრება იყო და ამის შესახებ ინფორმირებუ-ლი იყვნენ თვითონ კოლმეურნეობის წევრები, მაგრამ მათ ეს არ გაუპროტეს-ტებიათ. ეს მამულები მათ არა მარტო მიიღეს, არამედ შემდგომ მრავალი ათეული წელი ამუშავებდნენ და თავის „საკუთრებადაც“ კი მიაჩნდათ.

ვვარაუდობთ, რომ სწორედ ამ მდგომარეობამ – რომ საბჭოთა კავშირში მოხდა განკულაკებულთაგან ჩამორთმეული კერძო მამულების ტოტალური გადანაწილება კოლმეურნეებზე, უზრუნველყო ამ მთელი ამ უსამართლო პროცესის „წარმატებით“ დაგვირგვინება, რადგან სოფლის მოსახლეობის

ეს ახალი ფენა – „საკარმიდამო ნაკვეთებიანი“ – ფაქტობრივად თანამონაწილე გახდა საბჭოთა ძალმომრეობითი პოლიტიკისა, რომლის საფუძველზე მათ მიიღეს „საკარმიდამო ნაკვეთი“.

რა ვითარება შეიქმნა ქართულ სოფელში „საკარმიდამო ნაკვეთების“ დარიგების შემდეგ?

ამ ვითარებას ჩვენ წარმოვაჩენთ დღემდე შემორჩენილი სასოფლო დავთრების კრიტიკული გააზრების საფუძველზე. მაგალითად, სოფელ წინანდალში სტალინის სტატიის გამოქვეყნების შემდეგ კოლმეურნეობების შექმნის ფორსირებული ტემპი დროებით შეჩერდა და დამყარდა გარკვეული წონასწორობა. როგორც შემორჩენილი დოკუმენტები ადასტურებენ – ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა 1933-1934 წლებში სოფელ წინანდალში საკმაოდ ბევრი იყო: 1933 წელს – 597 კომლი; 1934 – 569 კომლი. აშკარაა ინდივიდუალური მეურნეობის შემცირების ტენდენცია, თუმცა ის მაინც მყარად არსებობს – ეს კი სოფლად პარალელურად საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების შედეგია. იმატა კოლმეურნეების რაოდენობამაც: 1933 წელს სოფლის მხოლოდ 35 კომლი იყო გაერთიანებული კოლმეურენეობაში, 1934 წელს – უკვე 95 კომლი. (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს.34, 14).

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ, კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო სოფლის მოსახლეობის მცირე ნაწილი (1934 წელს – 107 კაცი, 1934 წელს 332 კაცი). ძირითადი მოსახლეობა – 2 507 კაცი, კოლმეურნეობის გარეშე დარჩა და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობრიობას აგრძელებდა.

თუ შევუდარებთ ინდივიდუალური და კოლექტიური შრომის შედეგებს – შემორჩენილი დოკუმენტების საფუძველზე ამ ეტაპზე ჯერ კიდევ „ინდივიდუალისტები“ სჯობნიან „კოლექტივისტებს“ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მოცულობით და ეკონომიკური შედეგებით. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას ჰქონდა საშემოდგომო ნათესები – 331 ჰექტარზე, საგაზაფხულო ნათესები – 239 ჰექტარზე. ნაყოფის მომცემი ვენახი – 160,83 ჰექტარზე. მათ 1934 წელს მარცვლეული უნდა მოეყვანათ 486 ცენტნერი და ა.შ. ასევე, „ინდივიდუალისტებს“ საკუთრებაში ჰქონდათ 34 ულაყი, 19 ფაშატი, კამეჩი – 77 და ა.შ.

რაც შეეხება კოლექტიურ მეურნეობას, მის წევრებს მარცვლეული საერთოდ არ ეთესათ, კარტოფილი დათესილი იყო მხოლოდ 0,76 ჰექტარზე, ბოსტნეული – 0,69 ჰექტარზე. საშემოდგომო ნათესები ჰქონდათ გაშენებული 13,23 ჰექტარზე, საგაზაფხულო – 0,10 ჰექტარზე. ვენახი შეადგენდა სულ – 15, 8 ჰექტარს. კოლექტიურ მეურნეობას ჰყავდა 1 ულაყი და მხოლოდ 54 კამეჩი. აშკარაა, რომ ახლადშექმნილი კოლმეურნეობის შესაძლებლობები ერთობ მოკრძალებული იყო. სოფელში ჯერ კვლავ „ბატონობდა“ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა.

შემორჩენილია, ასევე, სოფელ წინანდლის 1937 წლის საკომლო დავთარიც, რომელშიც დაფიქსირებულია 74 კომლი. ეს მდიდარი მასალაა XX ს. 30-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს სოფელში შექმნილი სოცია-

ლურ-ეკონომიკური ვითარების შესაფასებლად. აშკარაა, რომ სოციალური განსხვავებები ჯერ კიდევ აშკარაა. არიან საკმაოდ შეუძლონი – ძირითადად მარტოხელები და ქალები. მაგალითად, ბეძუაშვილი საბედა, 1900 წელს დაბადებული, განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან, ჰქონდა დაბლარი ვენახი 0,27 ჰ. სადაც 1200 ძირი მსხმოიარე ვაზი იყო დარგული. სოფელში ის ღარიბ გლეხად ითვლებოდა.

დოკუმენტის მიხედვით, წინანდლის მოსახლეობას შეწერილი ჰქონდა გარკვეული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი – ფულად გამოხატულებაში, ჰქონდათ „ზემოდან“ მიცემული გეგმაც – ნატურალური გადასახადი და გადასახადი ხორცის პროდუქტებზეც. ეს გადასახადები ყველა ინდივიდუალური იყო, და როგორც ჩანს, კომლის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე იყო გათვლილი. მაგალითად, შემორჩენილი დოკუმენტის მიხედვით სოფელში ყველაზე დიდ გადასახადს – 46.48 მან. იხდიდა ზაქარია ბელიაშვილი, რომელსაც 8 კაციანი ოჯახი ჰყავდა, მათ შორის 6 შვილი. საყურადღებოა, რომ ოჯახში მხოლოდ მისმა ქალიშვილმა იცოდა წერა-კითხვა. ამ ოჯახს „საკარმიდამო ნაკვეთში“ ეთესა – სიმინდი 0,5 ჰა. კარტოფილი – 003 ჰა. ბოსტნეული – 005 ჰა. ხორბალი – 0, 75 ჰა, ვენახი – 0,09 ჰა.

საყურადღებოა, რომ სოფლის 74 კომლში (რომელთა ქონებრივი აღწერილობა დოკუმენტურად შემორჩა) ძალიან ცოტას ჰყავს საქონელი: დედა ღორი მხოლოდ ერთ ოჯახს ჰყავდა, ძროხა – 6 კომლს; დაფიქსირებულია თხა – ისიც მხოლოდ 3 ოჯახში, ფურ-კამეჩი – 4 ოჯახში, ხარ-კამეჩი – 5 ოჯახში, ცხენი – 6 ოჯახში, ასევე იყო გოჭი – 3 ოჯახში, ხბო – 3, ხარი – 3, ზაქი – ერთი. (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს.70, 1).

სოფელში ყველაზე მეტი საქონელი ირაკლი ფიცხელაურის ოჯახში ჰყავდათ: 1 ხბო, 1 ძროხა, 1 ცხენი.

მიუხედავად ამისა, რომ სოფლის მოსახლეობას საქონელი არ ჰყავს, მაინც სოფელში საკმაოდ ბევრს ჰქონდა დავალებული ხორცის გადასახადი – ოჯახზე 70 კგ.

მსგავსი ვითარებაა ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობაშიც. აქ საკომლო დავთარი 35 მცხოვრებლზე შემორჩენილი და იძლევა ზუსტ ინფორმაციას სოფლად არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, სოფელში იმჟამად ცხოვრობდა ერთი ოთხკაციანი ოჯახი, რომელსაც არავითარი ქონება არა ჰქონდა. ვინმე შიუკაშვილის 9 სულიან ოჯახში მხოლოდ 4 თვის გოჭი ჰყავდათ. სულ სტატისტიკურ დავთარში დაფიქსირებულ 35 ოჯახს ჰყავს: 14 გოჭი, 40 ღორი, 5 ძროხა, 2 უშობელი, 4 ხბო, 1 დეკეული, ცხვარი – 1, თხა – 5, ცხენი – 2. (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 11, ს.35, 3).

საკარმიდამო მიწების მოცულობა ამ სოფელშიც განსხვავებულია – არიან კოლმეურნეები, რომლებსაც „საკარმიდამო ნაკვეთი“ აქვს 0,29 ჰა და არიან ისეთებიც, ვისაც აქვს 0,70 ჰექტარი. ოჯახების რაოდენობაც განსხვავებულია – არიან ერთკაციანი, ოცხკაციანი ოჯახები. სოფელში ძირითადად

4-5 კაციანი ოჯახებია. ყველაზე მრავალრიცხოვანი, შემორჩენილი დოკუმენტის მიხედვით, იყო ვასო ზაალიშვილის რვაკაციანი ოჯახი. ოჯახის უფროსი გაერთიანებული იყო კოლმეურნეობაში „შრომის კავშირი“. მისი საკარმიდამო მიწის მოცულობა იყო 0,73 ჰექტარი. ჰქონდა დაბლარი ვენახი – 0,30 ჰა 1455 ძირი ყურძნით, ბოსტანი 0, 005 ჰა, რომელშიც მოჰყავდა კარტოფილი და ლობიო. ალექსი წივილაშვილის ერთკაციან ოჯახს საკარმიდამო ჰქონდა 0,70 ჰა. მათ შორის იყო: ბოსტანი – 0,02 ჰა, ბაღი – 0,02 ჰა, დაბლარი ვენახი 0, 42 ჰა 3760 ძირი ყურძნით. ამის გარდა კოლმეურნეს საკუთრებაში ჰქონდა 1 ძროხა, 1 ხბო, 1 ღორი (თელავის რეგიონალური არქივი ფ. 11, ს.5, 50).

აშკარაა, რომ კოლმეურნეებს დაუბრუნეს „პატარა ბოსტნები და პატარა ბაღები“, მსხვილფეხა და წვრილღესა საქონელის მიზერული რაოდენობა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე კოლმეურნეების გარკვეულ ნაწილს საერთოდ არავითარი საკარმიდამო ნაკვეთი არა ჰქონდა და არც საქონელი ჰყავდა.

§ 3. ახალი ტერიტორიები, ახალი მიწები – ახალი კოლმეურნეობები!

საბჭოთა კავშირში უკვე იმჟამად, განსაკუთრებით პარტიულ წრეებში, ერთი ცუდი ტრადიცია დამკვიდრდა – ახალი ხელმძღვანელობა მუდამ მკაცრად აკრიტიკებდა ძველს, თითქოს ის სხვა პარტიის წარმომადგენელი ყოფილიყოს. ეს კრიტიკა ზოგჯერ იმდენად მკვეთრი და შესაზარი ხდებოდა, რომ იქმნებოდაა შთაბეჭდილება: ქვეყანაში ყველაფერი წინა ხელისუფლებამ გააფუჭა და მხოლოდ ახლა, ახალი ხელისუფლების პირობებში იწყებოდა ქვეყნის ასაღორძინებლად ჭეშმარიტად შემოქმედებითი, მართლაც აღმშენებლობითი საქმიანობა.

ამ ტრადიციას ლავრენტი ბერიამაც მოუხარა ქედი – დანიშვნიდან (ანუ „არჩევიდან“) სულ რამდენიმე თვეში – 1932 წლის 20 იანვარს, საქ. კპ (ბ) VIII ყრილობაზე მან კრიტიკის ცეცხლში გაატარა საქართველოს ყოფილი ხელისუფლება და განსაკუთრებით აქცენტი გააკეთა სოფლად „პარტიის პოლიტიკის დამახინჯების გამო“ მის შეცდომებზე.

ლავრენტი ბერიამ ყრილობაზე დასვა რიტორიკული შეკითხვა – „რაში გამოიხატებოდა ძველი ხელმძღვანელების შეცდომები? პირველ რიგში რუსეთის ხორბლეული რაიონების გამოცდილების მექანიკურ გადმონერგვაში ქართულ სოფელში, რაც აიხსნება ქართული სოფლის სინამდვილის არცოდნით, მისგან მოწყვეტით, საქართველოს თავისებურებების გაუთვალისწინებლობით, ანგარიშგაუწევლობით... იყო უხეში შეცდომები დამზადების კომპანიის დროს, ადგილობრივი ამხანაგებისათვის აშკარად გადიდებული დავალებების მიცემა, კოლექტივიზაციის პროცესის დეკრეტირება, ადმინისტრირების მეთოდის გამოყენება კოლმეურნეობის მშენებლობის დროს, უხეში შეცდომები ფულადი რესურსების მობილიზაციისას, ძალმომრეობი-

თი მეთოდების გამოყენება ობლიგაციების გავრცელების დროს და არსებული ვითარების ვარდისფერებში წარმოდგენა.“ (სშსს არქივი, აღ.7,ს.1, 68)

საქართველოს სოფელში არსებული ვითარების გამოსწორება ლავრენტი ბერიამ საკითხის შესწავლით დაიწყო – ადგილებზე, რაიონებში მან გააგზავნა სპეციალური კომისიები: კახეთში, შორაპანში, ზესტაფონში, ჩხარის რაიონში, ვანსა და ბოგდანოვკაში, ახალქალაქსა და ახალციხეში. როგორც ჩანს, ამ კომისიების მუშაობის ანგარიში სპეციალური განხილვის საგანი გახდა და, რა თქმა უნდა, ყველამ ერთხმად დაგმო საქართველოს ძველი – როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ეწეოდნენ ძალმომრეობას, არსებული მდგომარეობის „ვარდისფრად წარმოჩენას“, „სოციალისტური კანონმდებლობის დარღვევას“ და ა.შ., სწორედ საკოლმეურნეო მშენებლობის პროცესის დროს.

მიზანმიმართული ლავირების წყალობით, სტალინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა შეძლო ქვეყანაში მდგომარეობის გამოსწორება და საკოლმეურნეო მოძრაობა კვლავ გაგრძელდა – თუმცა ამ ეტაპზე უკვე ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი „საბჭოთა კანომდებლობის მკაცრი დაცვის საფუძველზე“ ხორციელდებოდა.

საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოშიც ახალ ეტაპზე ავიდა და ლ. ბერიას ენერგიული ხელმძღვანელობით საკმაოდ „დიდ წარმატებებსაც“ მიაღწია. ამის საფუძველი გახდა ყამირი და ჭაობიანი მიწების ინტენსიური ათვისება XX საუკუნის პირველ ნახევარში.

ახალი მიწების ათვისება დაიწყეს აღმოსავლეთ საქართველოშიც, კახეთის რეგიონში. ნიშანდობლივია, რომ ამ ეტაპზე ძალიან დიდი ყურადღება მიექცა უზარმაზარი ბაღებისა და ვენახების მშენებლობას ქართლსა და კახეთში, სამცხე-ჯავახეთში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ალაზნის სარწყავი სისტემის დასრულებას. 1933 წელს მისი საშუალებით უკვე ირწყვებოდა 23 654 ჰექტარი ახლად ათვისებული მიწა. მასზე თესავდნენ ბამბას, რგავდნენ ხეხილს, აშენებდნენ ვენახს. ყოველდღიურად იზრდებოდა კოლექტიური მეურნეობებისა და მასში გაერთიანებული გლეხების რიცხვი. მცირე ხნის შესვენების შემდეგ, რამაც პარტიულ ელიტას მოსკოვში ძალების გადაადგილების საშუალება მისცა, ხოლო ადგილებზე ახლადდანიშნულ პარტიულ და საბჭოთა ბიუროკრატიას ვითარებაში გარკვევისა და მასზე რაციონალურად რეაგირების დრო გამოუყო, კოლექტიური მეურნეობების რაოდენობა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში საგრძნობლად გაიზარდა. ეს იმის შედეგი იყო, რომ საკავშირო კომპარტიას ცენტრალური კომიტეტის გეზი კოლექტიურ მეურნეობაზე – არ შეუცვლია, ის კვლავ იყო მიჩნეული სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მთავარ საშუალებად.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის წერილის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ბევრ რეგიონში დაიწყო უკუპროცესები – გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა კოლმეურნეობებიდან და არტელები დაშალეს, მაინც დარჩა ბევრი მეურნეობა, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი ორგანიზა-

ციული სტრუქტურა, გაუძლეს ამ კრიზისს და საკმაოდ გააძლიერეს თავისი ეკონომიკური პოტენციალი.

საყურადღებო იყო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობების გამოცდილება, სადაც კრიზისის დროს კოლმეურნეობათა რაოდენობა არა თუ შემცირდა, პირიქით – მკვეთრად გაიზარდა. ი. სტალინის წერილის გამოქვეყნების წინ რაიონში კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობის 23 %, მარტის თვეში (ფაქტობრივად სტალინის წერილის გამოქვეყნების დროს) კოლმეურნეობა მოიცავდა გლეხური მეურნეობის უკვე 85 პროცენტს, ხოლო სექტემბრისათვის შეიქმნა კიდევ დამატებით 16 ახალი კოლმეურნეობა, რომელმაც გააერთიანა 315 გლეხური კომლი (სშსს არქივი, ს.448, 41-42). რაიონში სულ ფუნქციონირებდა 641 კოლმეურნეობა 2054 გლეხური ოჯახის მონაწილეობით.

ხაზგასმით გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ საქართველოში კოლექტივიზაციის პროცესი შეეხო ყველას – ქართველსაც და არაქართველსაც – ამ საქმეში არ იყო არც გამონაკლისი და არც პრივილეგია. მიუხედავად ამისა, საქართველოს უშიშროების სამსახურები აფიქსირებდნენ მაჰმადიანურ რეგიონებში მკვეთრად ანტისაკოლმეურნეო განწყობილების ზრდას და ამის გამო ამ რეგიონებში იმატა თურქეთში გადასახლების მსურველების რაოდენობამაც, და მაინც – პანკისშიც, ლაგოდეხის მაჰმადიანთა სოფლებშიც კოლმეურნეობები შეიქმნა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა საკოლმეურნეო მოძრაობა გამოეყენებინა საქართველოს არაქართველი მოსახლეობის სოციალური დაწინაურებისა და კულტურული განვითარებისათვის. ამასთან, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ უნიფიცირება სასოფლო-სამეურნეო ურთიერთობის სფეროში, გარკვეულწილად სძლევდა იმ გაუცხოვებას, იმ ბარიერებს, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ არსებობდა საქართველოში მცხოვრებს ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებს შორის და თავისდაუნებურად ხელს უწყობდა ერთიანი პოლიტიკური ნაციის ფორმირების პროცესს საქართველოში.

სულ მალე საქართველოში კოლექტიური მეურნეობების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა – 1931 წელს არტელის ტიპის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო 91 600 ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა (ეს იყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის 20,8%), 1932 წელს მათი რიცხვი უკვე უდრიდა 176 400 მეურნეობას (ანუ 36,6%), 1934 წელსა საქართველოს კოლექტიური მეურნეობის სისტემა აერთიანებდა 185 196 მეურნეობას, ანუ საქართველოში კოლექტივიზაციის მაჩვენებელი უდრიდა 38 % (სშსს არქივი, აღ. 7,ს.278, 1). ეს საკმაოდ მაღალი შედეგი იყო.

მაგრამ რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად უმნიშვნელოვანესი იყო კოლექტიური მეურნეობების ორგანიზაციული სტრუქტურა და ორგანიზაციული განვითარება.

§ 4. კოლმეურნეობების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი განვითარება

ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილას, უკვე აღვნიშნეთ, რომ მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პირველ ეტაპზე სერიოზულ პრობლემათა შორის, რომლებიც დადგა ახლადშექმნილ სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრების წინაშე – იყო ორგანიზაციული საკითხებიც. ძალიან ბევრი კოლმეურნეობა დაიშალა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმეს თავი ვერ „მოაბეს“, გამოიჩინეს არაორგანიზებულობა, არ იცოდნენ „როგორ დაეწყოთ“, „რა ეკეთებინათ და როგორ“, არ იყო განაწილებული ფუნქციები კოლმეურნეობის წევრებს შორის, ჩამოუყალიბებელი იყო მმართვის აპარატი, შრომის ორგანიზაციის ადგილობრივი სტრუქტურები, საფინანსო სამსახური, მოუწესრიგებელი იყო შრომის აღრიცხვიანობა, გაწეული შრომის ფიქსაცია და არ ხდებოდა შრომის ადეკვატური ანაზღაურება და ა.შ. და ა.შ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ი. სტალინის ზემოთაღნიშნული წერილის გამოქვეყნებისთანავე, კომუნისტურ პრესაში (ცენტრსა და ადგილებზე) დაიბეჭდა არტელის სანიმუშო წესდება (პირველი). მოგვიანებით (1935 წ.) საზეიმო ვითარებაში მიიღეს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ადრე მიღებული წესდება – სრულყოფილი არ იყო და ზემდგომი ინსტანციების დავალებით ის საფუძველიანად გადაამუშავეს.

წესდებაში განსაზღვრული იყო არტელის წევრების უფლება-მოვალეობანი, ჩამოყალიბებულია მიწასთან ურთიერთობის, სახელმწიფოსთან დამოკიდებულების, წარმოებითი ურთიერთობის, არტელის წევრობის, შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და დისციპლინის აუცილებლად დასაცავი ნორმები და წესები, განსაზღვრულია არტელის მმართველობითი ორგანოს – გამგეობის, მისი წევრების, გამგეობის თავმჯდომარის უფლებები და მოვალეობები.

წესდებაში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო და ამას ფაქტობრივად კანონის ძალა ჰქონდა: „არტელი ვალდებელებას იღებს აწარმოოს თავისი კოლექტიური მეურნეობა გეგმის საფუძველზე, მტკიცედ დაიცვას მუშურგლეხური მთავრობის ორგანოების მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გეგმები და სახელმწიფოს წინაშე არტელის ყველა ვალდებულება“ – აი, სწორედ ეს იყო მთავარი და აუცილებელი, სწორედ ამისთვის შექმნეს კომუნისტებმა კოლექტიური მეურნეობა – კოლმეურნეობას საბჭოთა მთავრობისათვის უნდა მიეცა მუდამ იაფი, მუდამ აუცილებელი, ულევი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

საქართველოს კოლექტიური მეურნეობები თანდათან სწორედ ამ სანიმუშო წესდების საფუძველზე განვითარდნენ, მაგრამ, ესეც ხაზგასასმელია, და ამას პრაქტიკაც ადასტურებს, ყველა ორგანიზაციამ ერთნაირად ვერ აუღო ალღო შემოთავაზებულ ახალ ორგანიზაციულ სტრუქტურებს: ზოგმა უფრო ადვილად, ხოლო ზოგმაც – საკმაოდ რთულად დაიწყო ცხოვრებაში

იმ ორგანიზაციული პრინციპების გატარება, რასაც სანიმუშო წესდება აკანონებდა. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ინდივიდუალური ინტერპრეტაცია – გაუმჯობესების, ადგილობრივი თავისებურებების მასში ასახვისა თუ ადგილობრივი ორგანიზაციული სტრუქტურების ეფექტიანობის მიმართულებით განხორციელებული ინოვაცია დასაშვები იყო.

საკოლმეურნეო მოძრაობის ამ ეტაპზე აშკარად შესაჩნევია ორგანიზაციის მმართველი ცენტრის – გამგეობის მუშაობის სერიოზული ნაკლი. დოკუმენტებში ძალიან ხშირად არის ხაზგასმული ეს ნაკლი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ არტელის გამგეობის ფორმირება ხშირად სუბიექტურად ხორციელდებოდა, არ ითვალისწინებდნენ კანდიდატის პიროვნულ და ორგანიზაციულ თავისებურებებს, რაც უკვე შემდგომში გამგეობის მუშაობის ნაკლოვანებებში, მათ შორის ორგანიზაციულ ნაკლოვანებებშიც, აისახებოდა. მაგალითად, არის ცნობა, რომ ველიციხის კოლმეურნეობიდან გავიდა კოლმეურნე, რომელსაც არტელში მუშაობის 4 წლის გამოცდილება ჰქონდა, სწორედ იმის გამო, რომ „უსამარითლო განაწილებაა შემოსავლების და გამგეობა სუსტად მუშაობს“. ბოდბისხევის (კახეთის ზონა) კოლმეურნეობაში „გლეხის სინათლე“: „ადგილი ჰქონდა გაფლანგვას გამგეობის ცუდი მუშაობის გამო“ (სშსს არქივი, აღ.6, ს. 386, 8). ზემო მაჩხაანში გამგეობის ორმა წევრმა გაფლანგა 1000 მანეთი. არის გამგეობების ცუდი მუშაობის, არაორგანიზებულობის სხვა მაგალითებიც.

ძალიან მალე საქართველოში პრეტენზიები გაჩნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეების მიმართ – ბიუროკრატიზმი, უფლებამოსილების გადამეტება, არაკომპეტენტურობა, ფინანსური დისციპლინის დარღვევები და ა.შ. და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქურდობა, დატაცება, გაფლანგვა – ეს ნაკლიც თავიდანვე დაჰყვა კოლექტიურ მეურნეობას და ამ საქმეში სცოდავდნენ როგორც ხელმძღვანელი მუშაკები, ისე კოლექტივის რიგითი წევრებიც. მაგალითად, ზემო მაჩხაანში მწყემსმებმა დაიტაცეს 45 ცხვარი (სშსს არქივი, აღ. 6, ს.386, 8).

აშკარაა, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების პროცესში იყო როგორც დადებითი გამოცდილება, ისევე სერიოზული ნაკლი. ცდილობდნენ დადებითი გამოცდილების განზოგადებას, უარყოფითის – აღმოფხვრას. ყველაფრის მიუხედავად, საკოლმეურნეო მოძრაობა საქართველოში მაინც ვითარდებოდა. ეს განვითარება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდებოდა არტელების მიერ ათვისებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებასა და მისი მოსავლიანობის გადიდების დადებით ტენდენციებში.

§ 5. კოლექტიური მეურნეობა – მრავალდარგოვანი მეურნეობა

როცა კომუნისიტები სოფლად კოლექტიურ მეურნეობას აფუძნებდნენ, ძირითადად ორ ამოცანას ისახავდნენ მიზნად: მთლიანად გაეკონტროლებინათ მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი ქვეყანაში; და მეორე – ეს პროდუქტი უნდა ყოფილიყო უხვი და მრავალფეროვანი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მრავალფეროვნებას ძირითადად სამხრეთის რესპუბლიკები ქმნიდნენ, სადაც მიწების ნაყოფიერებასთან ერთად სახეზე იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მრავალფეროვნებაც და ეს თავისებურება ამ რეგიონებს გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

საქართველო ტრადიციულად მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობით გამოირჩეოდა: მევენახეობა, მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა მრავალი – ყველაფერი ეს საქართველოს გლეხისათვის ტრადიციული საქმიანობა იყო და თითოეულ მათგანში მან კოლოსალური გამოცდილება დააგროვა, რადგან საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური პირობები ყველა რეგიონში ყველა დარგს თავის გამორჩეულ რეგიონალურ თავისებურებას ანიჭებდა და ქართველი გლეხიც, ამ კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, იგონებდა მათი მოვლა-მოყვანის მრავალფეროვან, საინტერესო ფორმებსა და საშუალებებს.

კომუნისტურმა პარტიამ მიზნად დაისახა საქართველოს სოფლის ეს მრავალფეროვნება საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენებინა.

საქართველოსთვის მუდამ ტრადიციული დარგი იყო მევენახეობა. ის მთავარი და მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იყო საქართველოს ბარის სოფლის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვაზს სერიოზული პრობლემები ჰქონდა – ფილოქსერა, რაც ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების პერიოდში შეეჩვია საქართველოს ვენახს და მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენა. ამან საგრძნობლად შეამცირა ვენახების საერთო რაოდენობა ქვეყანაში: თუ 1913 წელს ვენახს საქართველოში ეკავა 49 430 ჰექტარი, მიუხედავად უდიდესი მცდელობებისა – 1934 წელს მას ეკავა მხოლოდ 38 396 ჰექტარი, ანუ ომამდელი ფართობის 77,7 % (სშსს არქივი, აღ.8, ს.286, 2).

მიუხედავად მცდელობისა, ომამდელ მაჩვენებლებს საქრთველოს სოფლის მეურნეობამ, ვენახის ფართობების მიხედვით, კიდევ დიდხანს ვერ მიაღწია, თუმცა ყოველწლიურად საქართველოში ექსპლოატაციაში შედიოდა საკმაოდ დიდი და ახალი მასივები – ვენახის ახალი ფართობები. მარტო 1931 წელს ჩაიყარა 1 585 ჰექტარი ახალი ვენახი, 1932 წელს დამატებით კიდევ – 1 187 ჰექტარი, 1933 წელს – 1 222 ჰექტარი. მაგრამ ეს ღონისძიებები მაინც არა კმარობდა.

როგორც მტკიცდება – საქართველოში იმჟამად ძალიან დაბალი იყო ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა. საშუალო მოსავლიანობა უდრიდა 35-40 ცენტნერს, ეს მაშინ, როცა ქართველი აგრარიკოსები ამტკიცებდნენ – ყველა აგროპირობის დაცვის შედეგად საქართველოში თავისუფლად შეიძლებოდა ჰექტარზე 80-100 ცენტნერი ყურძენის მოყვანა.

საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა სწორედ საკოლმეურნეო მოძრაობა გამოეყენებინა მევენახეობის განვითარებისა და განმტკიცების მნიშვნელოვან საშუალებად. იმედოვნებდნენ, რომ დარგის

ტრადიციულობა, გლეხობის გამოცდილება, ახალი ორგანიზაციული და სამეურნეო სტრუქტურები, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დახმარება უზრუნველყოფდა ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას.

გადიდებული ამოცანები დაუსახეს ქართლისა და კახეთის რეგიონების კოლექტიურ მეურნეობებს – რადგან აქ მევენახეობის განვითარებისათვის, სხვებთან შედარებით, უკეთესი პირობები არსებობდა. თელავში, გურჯაანში, ყვარელში, ლაგოდეხში, ახმეტასა და წითელწყაროში ყოველწლიურად ახალი სავენახე ფართობები შედიოდა ექსპლოატაციაში.

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის შემოსავლების მნიშვნელოვან სეგმენტს იკავებდა და ეს მაჩვენებელი სისტემატურად იზრდებოდა: 1931 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 147 741 ტ.; 1932 წელს – 153 661 ტ., 1933 წელს – 155 740 ტონას (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1967, 382).

სპეციალურ უში ხაზგასმულია, რომ 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყურძნის მთავარი მწარმოებელი მაინც ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა იყო, სწორედ მათზე მოდიოდა ყურძნის დამზადების განმსაზღვრელი მაჩვენებელი – 1931 წელს ინდივიდუალურმა გლეხმა დაამზადა 130 849 ათასი ტონა ყურძენი, 1934 წელს – 134 900 ტონა. აშკარაა, რომ საკოლმეურნეო სექტორს ამ სფეროში ჯერ კიდევ ძალიან მოკრაძალებული პოზიციები ჰქონდა.

ვენახთან ერთად, აღმოსავლეთ საქართველო ცნობილი იყო თავისი ხორბლეული კულტურების მოსავლიანობით – კახეთის აღმოსავლეთ რეგიონები – საქართველოს ბეღელი იყო მუდამ. წითელწყაროს, ლაგოდეხის, თელავის კოლმეურნეობები სისტემატურად ადიდებდნენ სათეს ფართობებს. ხორბალს, შეძლებისამებრ, საქართველოოს სხვა კუთხეებშიც თესდნენ, მაგრამ ძირითადი მოსავალი სწორედ კახეთის ამ რეგიონებში მოჰყავდათ. 1932 წელს მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების საერთო ფართობმა საქართველოში 831,5 ათასი ჰექტარი შეადგინა (1913 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა მხოლოდ 747,4 ჰა). აშკარაა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა წარმატებით გადალახეს ეს ზღვარი და შემდგომ წლებში სისტემატურად ზრდიდნენ ამ მაჩვენებელს (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1967, 351).

საქართველოში ყოველწლიურად მატულობდა ხორბლეული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობაც – თუ 1913 წელს საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 10 ცენტნერი, XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში ეს მაჩვენებელი 12,1 ცენტნერს შეადგენდა.

მეხილეობა – საქართველოსათვის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო დარგი იყო მუდამ – მასაც უძველესი ტრადიციები აქვს. საბჭოთა პერიოდშიც მას განვითარების კარგი პირობები შეექმნა – მას საბჭოთა კავშირის უკიდეგანო და უკონკურენტო ბაზარი ჰქონდა ასათვისებელი. ამიტომაც საქართველოში სისტემატურად ზრდიდნენ ხილისთვის გამოყოფილ ფართობებს. 1932 წელს ხეხილის ბაღებმა საქართველოში მოიცვა 38 348 ჰექტარი და საკმაოდ გადააჭარბა ომამდელ – 1913 წლის მაჩვენებელს. მაშინ ხეხილი

საქართველოში მოლოდ 30 ათას ჰექტარზე იყო გაშენებული. საქართველოში ხეხილის ბაღების მოცულობა სისტემატურად იზრდებოდა – 33 წელს მისი ფართობი უკვე შეადგენდა 39 150 ჰექტარს, ხოლო 1934 წელს ხეხილის ბაღების რაოდენობა კიდევ გაიზარდა – თითქმის 40 740 ჰექტარამდე. როგორც იმდროინდელი სტატისტიკოსები მიუთითებდენენ – საქართველოში ბოლო წლების მანძილზე ხეხილის ბაღების ფართობის ზრდამ შეადგინა 6,8 % (სშსს არქივი, აღ.8, ს.286, 2). ხეხილის ბაღებით ცნობილი იყო კახეთის რეგიონი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკვე XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში ქართული ხილის მოსავლის 2-3 % საბჭოთა სახელმწიფოს გაჰქონდა საზღვარგარეთ ექსპორტში – ე.ი. ის სრულად აკმაყოფილებდა დასავლეთ ევროპის მომხმარებლის მოთხოვნილებას. იგეგმებოდა საქართველოს ხეხილის ბაღების მასშტაბების კიდევ უფრო დიდი ზრდა, რადგან ვარაუდობდნენ ყველა სარაიონო ცენტრში ხილის გადამამუშავებელი ფაბრიკების მშენებლობას, რაც ხელს შეუწყობდა საქართველოს საშუალო ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

თითქმის ყველა კოლექტიურ მეურნეობაში ჰყავდათ საქონელი – ზოგან ძალიან ბევრი, ზოგან შედარებით ნაკლები, მაგრამ ამ ტრადიციულ დარგს საქართველოში განვითარების არცერთ ეტაპზე ყურადღება არ მოკლებია. თუმცა, როგორც ირკვევა, უკვე იმჟამად პრობლემებიც ბევრი ჰქონდა.

სერიოზულად დაზარალდა საქართველოში მესაქონლეობა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, როცა გლეხებმა, საკოლმეურნეო მშენებლობის პარალელურად, საქონლის განზოგადების პროცესის საპროტესტოდ, დაკლეს საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამან საგრძნობლად შეამცირა რესპუბლიკაში საქონლის რაოდენობა. ამ პროცესს ლ. ბერიამ ქართველი კომუნისტების ყრილობაზე ასეთი შეფასება მისცა: „მესაქონელეობა 1930-1931 წლებში ჩავარდნილი იყო. გაიზარდა ახალგაზრდა პირუტყვის დაცემა, გავრცელდა ეპიდემიები, შემცირდა საკვები ბაზა. ეს იყო შედეგი უხეში შეცდომებისა, რაც ხორციელდებოდა მავნებლური ორგანიზაციების მიერ... გაკეთდა ეპიდემიების ლოკალიზაცია, გავაძლიერეთ საკვები ბაზა, ამის გამო ყველაფერი კარგად მიდის“(სშსს არქივი, აღ.8, ს.278, 84).

მართლაც, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, საქართველოს კოლექტიური მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი სერიოზულ ყურადღებას იჩენდა მეცხოველეობის მიმართ: აწესრიგებდნენ საკვებ ბაზას, აშენებდნენ ახალ საქონლის ფერმებს, ყიდულობდნენ ჯიშიან პირუტყვს – რაც ერთობ რთული პრობლემა იყო XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში.

საგარეჯოს რაიონის კოლექტიურ და კერძო მეურნეობებში ჰყავდათ: ცხენი – 443 სული, მსხვილფეხა საქონელი – 17 219 სული, ფურ-კამეჩი -3527 სული, ცხვარი – 63 310 სული, თხა – 3024 სული. საყურადღებოა, რომ საგარეჯოს რაიონის ერთპიროვნულ მეურნეობებში ჰყავდათ: ცხენი – 338 სული, მსხვილფეხა საქონელი – 1224 სული, კამეჩი – 90 სული, ცხვარი –

1004 სული. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ კერძო სექტორში შეიმჩნეოდა სულადობის ნელი, მაგრამ მაინც საგრძნობი შემცირების ტენდენცია (სშსს არქივი, აღ.8, ს.285, 62).

როგორც აღინიშნა, საქართველოში მესაქონელობას განსაკუთრებით მთის რეგიონის მოსახლეობა მისდევდა: ხევსურები, თუშები, ქისტები, ოსები, მთიანი აჭარის მაცხოვრებლები. ახალციხე-ახალქალაქის კოლმეურნეობებს საქონლის საკმაოდ დიდი ფარები ჰყავდათ და აქედან საკმაოდ დიდ შემოსავალსაც იღებდნენ.

ლავრენტი ბერიას ინიციატივით გადაიდგა ნაბიჯები თუშური ჯიშის ცხვრის პოპულაციის გასამრავლებლად. ის ძალიან მაღალი აზრის იყო თუში მეცხვარის პროფესიონალურ ოსტატობაზე – „ასეთი კარგი მეცხვარეები, როგორიც თუშებია, სხვაგან არ არიანო“ – არა ერთხელ განუცხადებია მას ოფიციალური ტრიბუნიდან. ის ოცნებობდა იმ დროზე, როცა თუშ მეცხვარეს, როგორც ადრე პერიოდში, კვლავ ეყოლებოდა 200 ათასი სული ცხვარი.

ლ. ბერიას ინიციატივით არა ერთი თათბირი ჩატარდა თბილისში, რომელიც მესაქონელობის პრობლემების საკითხებს მიეძღვნა. ერთ-ერთი მათგანი ჩატარდა 1935 წლის 3 ოქტომბერს და დაამუშავა საქართველოში მეცხოველეობის საკვები ბაზის გაძლიერება-განვითარების საკითხები. თათბირზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პარტიულმა ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს მესაქონლეობის განვითარების შედარებით ობიექტური სურათი, ამ დარგში უკვე ჩატარებული და მიმდინარე მუშაობის შედეგები, მათ დაასაბუთეს ახალი გეგმები, ამ გეგმების რეალიზაციის საშუალებები და ა.შ. თათბირზე ყურადღება გამახვილდა სავეტერინარო მომსახურების საკითხებზეც – ეს საქართველოში მესაქონლეობის დარგში ჯერ კიდევ მუშაობის განსაკუთრებით სუსტი რგოლი იყო, რადგან ვეტერინართა რაოდენობა არ კმაროდა დასახული დიდი ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა ჩინებულად გამოიყენეს ტექნიკური კულტურების – თამბაქოს, ჭარხლის, ბამბის წარმოების გადიდებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში – ლაგოდეხში თამბაქოს მოვლა-მოყვანას რევოლუციამდეც მისდევდნენ და საკმაოდ დიდი ფართობები ეკავა. გასაბჭოების შემდეგ, გარკვეულ პერიოდში ლაგოდეხში თამბაქოს პლანტაციების ოდენობა შემცირდა – თამბაქოს ადგილობრივი გლეხები ნაკლებად თესდნენ კერძო მეურნეობებში, მაგრამ კოლექტივიზაციის პროცესებმა ამ მხრივაც ხელი შეუწყო თამბაქოს კულტურის განვითარებას – საქართველოს დიდ ქალაქებში თამბაქოს არაერთი საწარმო არსებობდა და მათთვის საჭირო იყო იაფი და მაღალხარისხიანი ნედლეული. 1932 წელს თამბაქოს საქართველოში ეკავა 27,7 ათასი ჰექტარი, რაც თითქოსდა მაღალი მაჩვენებელია, მაგრამ 1913 წელს საქართველოში 10,5 ათასი ჰექტარზე მოჰყავდათ თამბაქო – რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თითქმის ოცი წლის მანძილზე საქართველოში თაბაქოს ფართობი მხოლოდ 17,2 ათასი ჰექტარით გაიზარდა – რაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

ლავრენტი ბერია ამ ნაკლსაც საქართველოს ძველი პარტიული ხელმძღვანელობის დაუდევრობას მიაწერდა და პირობას დებდა, რომ საქართველო ამ დარგშიც მოწინავე იქნებოდა. თუმცა, მისი მმართველობის ხანაშიც თამბაქოს პლანტაციების მოცულობა არ გაზრდილა, პირიქით – შემცირდა.

თამბაქოს მოვლა-მოყვანა განსაკუთრებით განვითარდა ლაგოდეხის რაიონში. ადგილობრივი კოლექტიური მეურნეობები ყოველწლიურად 115 პროცენტით ზრდიდნენ თამბაქოს ფართობებს. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევდნენ ვარდისუბნის კოლმეურნეობის მშრომელები. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ლაგოდეხის კოლმეურნეები თამბაქოს საჰექტარო მოსავლიანობა 15-18 ცენტნერამდე აიყვანეს. რაიონს თავისი რეკორდსმენებიც ჰავდა, რომლებიც 35-40 ძაფ თამბაქოს ნემსავდნენ და ვალდებულებას იღებდნენ კიდევ უფრო მეტი დავალება შეესრულებინათ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული მეაბრეშუმეობა – რა თქმა უნდა, პირველ რიგში კახეთში, სადაც თუთის ბუნებრივი კორომები მრავალ ჰექტარზე იყო გადაჭიმული და აბრეშუმის ჭიის მოვლის ისტორიული ტრადიციაც არსებობდა.

მაგრამ ამ დარგს გარკვეული სპეციფიკა ჰქონდა – ის ბოლომდე დარჩა საოჯახო დარგად, რომელსაც კოლმეურნე ქალები ძირითადი საქმის პარალელურად, ოჯახის მოზარდი წევრების დახმარებით ასრულებდნენ. იმ დროს ძალიან ხშირად დამამზადებული ორგანიზაციები არღვევდნენ კოლმეურნეებთან დადებულ ხელშეკრულებებს და საერთოდ უგულებელყოფდნენ მეაბრეშუმე ქალების მატერიალურ ინტერესებს, რის გამოც არა ერთხელ მომხდარა მეაბრეშუმე ქალების გაფიცვა, საპროტესტო გამოსვლები, აღებული დავალების შეუსრულებლობის ფაქტები.

თანდათან მოწესრიგდა ვითარება აბრეშუმის მოვლა-მოყვანის საქმეშიც. ეს უზრუნველყო საქართველოში მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნამ – რესპუბლიკაში ერთმანეთის მიყოლებით მწყობრში ჩადგა რამდენიმე აბრეშუმსახვევ-საძახავი ფაბრიკა – თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, თელავში და სხვ. ამან მოითხოვა სანედლეული ბაზის განმტკიცება. ქართველი მეაბრეშუმე ქალების შრომას ფასი დაედო.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოჰყავდათ ბოსტნეული – მისი ფართობებიც ყოველწლიურად იზრდებოდა: თუ 1928 წელს ბოსტანს ეკავა 6,1ათასი ჰექტარი, 1932 წელს მან შეადგინა 18,3 ათასი ჰექტარი, რაც ფაქტობრივად გასამმაგებას უდრიდა და მატერიალური შედეგებიც თვალსაჩინო იყო.

ასევე, თითქმის ყველა კუთხეში კოლმეურნეებს მოჰყავდათ კარტოფილი და მზესუმზირა, მაგრამ გამორჩეულად კარტოფილს სამხრეთ საქართველოს კოლმეურნეები მისდევდნენ, ხოლო საუკეთესო მზესუმზარა – კახეთის თაკარა მზის გულზე ხარობდა. საჰექტარო ზრდა ამ დარგებშიც თვალსაჩინოა – მზესუმზირას ფართობი 1, 8 ათასი ჰექტარიდან აიყვანეს 5,8 ათას ჰექტარამდე, ხოლო კარტოფილი 8,0 ათასი ჰექტარიდან – 14, 3 ათას ჰექტარამდე (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1967, 342)..

ეს სერიოზული შედეგები იყო, მაგრამ არა უპრობლემო: პროდუქციის ხარისხი, აგროტექნიკური წესების დაცვა, ტრანსპორტირების კულტურა, პროდექციის შენახვის ხარისხი და სხვა ფაქტორები ჯერ კიდევ სერიოზულ სიძნელეებს წარმოშობდა. ვარაუდობდნენ რომ ამ ნაკლოვანებებს კადრების პროფესიული მომზადების სისტემის საშუალებით დაძლევდნენ,

§ 6. „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“

კოლექტიური მეურნეობა რთული ორგანიზაციული სტრუქტურაა და, რა თქმა უნდა, ის რადიკალურად განსხვადებოდა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობისაგან, რომელიც ძირითადად მეურნეობის გაძღოლის ტრადიციულ ფორმებს იყენებს. ეს კი ყოველთვის არ იყო რენტაბულური, პროგრესული, გამოირჩეოდა შრომატევადობით, იყო ნაკლებად ეფექტიანი და. ა.შ.

კოლექტიური მეურნეობის დანერგვის ინიციატორები გეგმავდნენ მეურნეობის ამ ფორმით მიეღწიათ: შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, შრომის ორგანიზაციის მაღალი კულტურისათვის, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის სწრაფი დანერგვა-განვითარებისათვის, პროგრესული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პრაქტიკაში კულტივირების მექანიზმის ოპტიმიზაციისათვის.

კოლექტიური მეურნეობის ინიციატორები ასეთ მიზანს იმიტომაც ისახავდნენ, რომ ეს ყველაფერი, ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ადგილებზე, სოფლებში ნაკლებად იყო შესამჩნევი. სამართლიანად მიუთითებს ისტორიკოსი თ. ჟღენტი, რომ „საკოლმეურნეო წყობილების განვითარების, კოლმეურნეობათა ეკონომიკური განმტკიცების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი იყო კვალიფიცირებული საკოლმეურნეო კადრების ნაკლებობა. კოლმეურნეობებს აკლდათ არა მარტო სპეციალისტები – მოანგარიშეები, აგრონომები და ვეტექიმები, არამედ აკლდათ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მეცხოველეობის ფერმის გამგეები და სხვ., რომლებიც აღჭურვილნი იქნებოდნენ სათანადო ცოდნით და შესაძლებლობა ექნებოდათ მტკიცედ და საქმის ღრმა ცოდნით წარემართათ კოლმეურნეობების, ბრიგადის თუ ფერმის საქმიანობა“ (ჟღენტი, 1976, 650).

ჩვენ ზემოთ კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენეთ, თუ რა პრობლემებს უქმნიდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ახლადშექმნილ კოლმეურნეობებს. ბევრჯერ ამის გამო თვით კოლექტიური მეურნეობაც დაშლილა კიდეც – მათ არ ჰყავდათ კარგი თავმჯდომარე, გამგეობის წევრები, ბრიგადირები, მოანგარიშეები და ა.შ.

ამიტომაც გარკვეულ ეტაპზე, თბილისის მითითებით თუ ადგილზე – საკუთარი მწარე გამოცდილებით კოლექტიურმა მეურნეობებმა დაიწყეს ზრუნვა კვალიფიციური კადრების აღზრდა-მომზადებაზე, სოფლის ენერგიული

პირების კოლექტიურ მეურნეობაში დამაგრებაზე, სოფლის განათლებული ახალგაზრდების კოლმეურნეობაში მოზიდვაზე.

ამ ეტაპზე საქართველოს კოლექტიური მეურნეობები ჯერ კიდევ არ იყვნენ ისე ორგანიზაციულად და მატერიალურად განმტკიცებული, რომ მხოლოდ თვითონ, დამოუკიდებლად ეზრუნათ კადრების მომზადება-გადამზადების პროცესების რეგულაციაზე, ამიტომაც ამ საქმეში მათ რაიონული თუ ზემდგომი პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული ორგანიზაციები ეხმარებოდნენ.

როგორც დასტურდება, საკოლმეურნეო კადრების მომზადებით მიზნით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალო კომისარიატმა 1934 წელს მოაწყო 25 რაიონული საკოლმეურნეო სკოლა სიღნაღის, გურჯაანის, გორის, ზესტაფონის, ქუთაისის, ამბროლაურის, ცაგერის, ვანის, სამტრედიის, აბაშის, სენაკის, ცხაკაიას, მარტვილის, ჩოხატაურის, ლაგოდეხის, თელავის, თბილისის რაიონების კოლმეურნეობებისათვის. ამ სკოლების წლიური კონტინგენტი 2 640 კაცით იყო განსაზღვრული. მსმენელებს აქ ამეცადინებდნენ წელიწადში ორჯერ – თებერვალსა და სექტემბერში. ეს სკოლები ამზადებდნენ მოანგარიშეებს, ბიგადირებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს. არსებობის მანძილზე ეს სკოლები უამრავმა კოლმეურნემ დაასრულა (ჟღენტი, 1976, 651).

საკოლმეურნეო სკოლებში, როგორც დასტურდება, ძირითადად იგზავნებოდნენ მოწინავე კოლმეურნეები. ასეთმა დარგობრივმა სკოლებმა უკვე 1934 წელს 1267 კაცი მოამზადეს: მოანგარიშე – 691, ბრიგადირი – 469, ფერმის გაიმგე – 79, კოლმეურნეობის თავმჯდომარე – 68.

ოფიციალური სტატისტიკით 1934 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო კურსების გარდა, რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების ქსელიც შეიქმნა, რომელიც ამზადებდა საშუალო-პროფესიული განათლების მქონე აგრარიკოსებს. ასეთი ტექნიკუმი საქართველოში 44 იყო და ისინი ამზადებდნენ: მევენახეებს, მესაქონლეებს, მექანიზატორებს, მეჩაიეებს, სუბტროპიკული დარგის სპეციალისტებს.

საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსიფიკაცია მოითხოვდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით. XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში უკვე ამ მიმართულების სამი უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა: თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და სუბტროპიკული კულტურების უმაღლესი სასწავლებელი. ყოველწლიურად ისინი დაახლოებით 2000 მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს ამზადებდნენ, რომლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ საკოლმეურნეო ცხოვრებაში აქტიურად ებმებოდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ უმაღლესი სასწავლებლების ძირითადი კონტინგენტი ან ახალგაზრდა კოლმეურნეები იყვნენ ან კოლმეურნეების სკოლადამთავრებული შვილები. იმჟამად, როგორც წესი, ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კოლმეურნეობაში ბრუნდებოდნენ.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საქართველოს სოფელში მაინც პრობლემად რჩებოდა ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, რომელიც ახალ ტექნიკას ეფექტიანად გამოიყენებდა. ამ ეტაპზე ამ პრობლემის გადაწყვეტა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ორგანიზებით სცადეს.

§ 7. მანქანა-ტრაქტორების სადგურები კახეთში

არა ერთხელ აღინიშნა – კოლექტიური მეურნეობა მის ინიციატორებსა და რეალიზატორებს ისეთ პროგრესულ სასოფლო-სამეურნეო უჯრედად ესახებოდათ, რომელშიც აკუმულირებული იქნებოდა საუკეთესო და უაღრესად თანამედროვე აგრომიღწევები, და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა – მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ისიც არა ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელები ოცნებობდნენ საქართველოს სოფელში უფრო ხშირად ენახათ „ზაჰესის ცხენი“, ვიდრე ტრადიციული ხარი და კამეჩი. ამიტომაც საქართველოს სოფლის ტექნიკურმა გადაიარაღებამ XX საუკუნის 20-იან წლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობა შეიძინა – ის ჩაითვალა სოფლის მეურნეობისა კოლექტივიზაციის ხელშემწყობ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ამიტომაც ამ მიმართულებით მიზანდასახული მუშაობა გამოცხადდა პარტიის პრიორიტეტულ მიმართულებად და შედეგმაც არ დააყოვნა: 1926-1929 წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 19 მილიონი მანეთის მანქანა-იარაღი (კოჭლავაშვილი, 1976, 489).

საქართველოს სოფელს მიაწოდეს დამატებით ასევე დიდი რაოდენობით: რკინის ფარცხები, კულტივატორები, ტრიერები, სათესი, სათიბი და სამკალი დანიშნულების მანქანები. ტრაქტორები იმჟამად ჯერ კიდევ საზღვარგარეთული წარმოების იყო და საკმაოდ ძვირიც ღირდა (2000 მანეთი). საზღვარგარეთიდან ტრაქტორები სახელმწიფოს შემოჰქონდა, მაგრამ პირველ ხანებში მისი შეძენა ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობასაც შეეძლო, ამ მიზნით სახელმწიფო, შეღავათიანი პირობებით, სპეციალურ კრედიტებს იძლეოდა. თავიდანვე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის სპეციალურად განსწავლული კადრების მომზადების პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გლეხობაში, მათ შორის კახეთშიც, ტრაქტორის მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი არსებობდა – გლეხობის გარკვეული ნაწილი მას არ ენდობოდა, ამჯობინებდნენ ტრადიციული წესებით მიწის დამუშავებას -ანტისატრაქტორო პროპაგანდა სახელმწიფო უშიშროების სამსახურებმა სოფლის შეძლებული პირების საუბრებშიც კი დააფიქსირა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ქართველი მეცნიერი-აგრარიკოსების გარკვეული ჯგუფიც უარყოფდა ტრაქტორის გამოყენების საჭიროებას ქართულ სინამდვილეში.

მაგრამ პარტიის კურსი უცვლელი იყო – თვლიდნენ, რომ თუ საბჭოთა სოფელი 100 000 ტრაქტორს მიიღებდა და გამოიყენებდა, სოფელი წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს დაკარგავდა და სოციალისტური გახდებოდა. საკითხის გადაწყვეტის დასაჩქარებლად გადაწყდა მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე მიზანს ითვალისწინებდა: სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა სოფლის ძირითადი ტექნიკური აღჭურვილობა, რომლის მოვლაზე, ექსპლოატაციაზე, სათადარიგო ნაწილებზე იზრუნებდა სახელმწიფო. ამასთან, სახელმწიფო თავისი სასაწავლო-საგანმანათლებლო პროფესიული ქსელით უზრუნველყოფდა მანქანა-ტრაქტორების სადგურებს კადრებით; ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშრომელები სოციალურად უკვე იქნებოდნენ მუშები და არა გლეხები, ანუ სოფლის სოციალური სტრუქტურა გარკვეულწილად შეიცვლებოდა; მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პარტიული და კომკავშირული ოგანიზაციები გახდებოდნენ პარტიის პოლიტიკის მთავარი გამტარებლები საქართველოს სოფელში – ესეც პარტიისათვის მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი იქნეოდა. ამრიგად, მანქანა-ტრაქტორების სადგურების დანიშნულება სცილდებოდა ვიწრო ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სფეროს და ის საბჭოთა სისტემისათვის მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ჟღერადობას იძენდა.

საქართველოში პირველი მანქანა-ტრაქტორების სადგური მოეწყო უკვე 1929 წელს, რესპუბლიკის სამ რაიონში. მათ შორის კახეთი არ იყო.

კახეთში პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ჩამოყალიბდა ყვარლის რაიონში (16 ტრაქტორით), ცოტა მოგვიანებით მტს-ი შექმნეს ლაგოდეხის რაიონშიც – მისი სამანქანა პარკი 48 ტრაქტორი იყო (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა, 1967, 334). ორივე სადგური გაიხსნა საშემოდგომო ხვნის წინ და მათზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათი მნიშვნელობა, უდავოდ, დიდი იყო კახეთის სოფლად მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში, სოფლის ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნისადმი ინტერესის გაღვივების თვალსაზრისითაც და სოფლის სოციალური სტრუქტურის გასაუმჯობესებლად. საქართველოს ახალგაზრდობამ გაიწია მანქანა-ტრაქტორების სადგურებში სამუშაოდ – ახალი მძლავრი ტექნიკის ათვისება მათ სოფლის სოციალური განვითარების მნიშვნელოვან გარანტად ესახებოდათ. იმჟამად არა მარტო თბილისში, არამედ მნიშვნელოვან რაინულ ცენტრებშიც ქმნიდნენ ტრაქტორისტების მოსამზადებელ კურსებს. კახეთის რეგიონში ასეთი კურსები შექმნილი იყო გურჯაანში (სტახანოვური მოძრაობის პიონერები, 1975, 169).

აღსანიშნავია, რომ ტრაქტორისტების კურსებზე იგზავნებოდნენ კახეთის სხვადასხვა სოფლებიდან, მათ შორის იყვნენ ქალებიც. მაგალითად, გურჯაანის ტრაქტორისტების კურსები დაამთავრეს კახეთში პირველმა ქალმა ტრაქტორისტებმა: სოფიო უსეინაშვილმა, ელენე ნატროშვილმა, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიეს თავის საქმიანობაში. მაღალი საწარმოო მიღწევების გამო ელენე ნატროშვილი გამორჩეული გახდა სა-

ქართველოს სოფლის მშრომელებს შორის – ის მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს დიდი მედლით დაჯილდოვდა.

რა თქმა უნდა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მოვლა-პატრონობა საქართველოს სოფლისათვის ახალი მიმართულება იყო და ამ საქმეში მუდამ იყო პრობლემები: ერთ-ერთი მთავარი – ეს იყო მარაგნაწილებით უზრუნველყოფა, ტექნიკის მოცდენები, არსებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია და ა.შ. და ა.შ. მაგალითად, ცნობილია, რომ ყვარლის სატრაქტორო რაზმში, მართალია, ნამდვილად ირიცხებოდა 15 ტრაქტორი, 5 სალეწი, 7 სამკალი, 2 სათესი და სხვა წვრილი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარი, მაგრამ მათგან 6 ტრაქტორი – უკვე მორალურად გაცვეთილი იყო, ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან – იწვევდა ე.წ. „მოცდენებს“.

ლაგოდეხის მანქანა-სატრაქტორო სადგურს ჰქონდა 19 ტრაქტორი, 20 სალეწი, 17 ლოკმობილი, 20 სათესი, 10 სამკალი და სხვა წვრილი მანქანა-დანადგარი. სადგური ემსახურებოდა 16 კოლექტიურ მეურნეობას, რომელთა 1400 ჰექტარ მიწას ამუშავებდა (სშსს არქივი, ს.444, 89).

შირაქში მანქანა-ტრაქტორთა სადგური შეიქმნა 1933 წელს. ის მომსახურებას უწევდა სოფლებს: ზემო და ქვემო ქედს, არხილოსკალოს, წითელ წყაროს, ჯაფარიძეს და სხვა სოფლებს. როგორც ამტკიცებენ: „მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ზონის კოლმეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების საქმეში. ყოველწლიურად იზრდებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მექანიზაციის გამოყენების დონე“ (ქვათაძე, საბახტარაშვილი, 1981, 48)

წარმატებებთან ერთად, რა თქმა უნდა, კახეთის რეგიონის მტს-ებში იყო სხვა პრობლემებიც – შრომის დისციპლინის დარღვევები, სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობა – ყვარლის მტს-ის კოლექტივმა, მაგალითად, დაკისრებული 1200 ჰექტარის დამუშავება ვერ შეძლო, თუმცა მთელი ღამე მუშაობდნენ დ დასათესად ძლივს დაამუშავეს 800 ჰექტარი.

მაგრამ, ბევრი პრობლემა მოწესრიგდა, როცა საბჭოთა სოფელში გავრცელდა სტახანოვური მოძრაობა და კოლმეურნე გლეხების „შრომითი ენთუზიაზმი“ ახალ სიმაღლეზე ავიდა.

§ 8. სტახანოვური მოძრაობა სოფლად

მარქსიზმის დოგმატიკით – სოციალიზმის პირობებში ექსპლუატაციისაგან თავისუფალი ადამიანი განსაკუთრებული შრომისნაყოფიერებით გამოირჩევა. რადგან ის უკვე მუშაობს არა ექსპლუატატორისათვის – არამედ საკუთარი ინტერესებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისთანავე საბჭოთა ლიდერები მოელოდნენ საბჭოთა მუშებისა და გლეხებისაგან შრომისნაყოფიერების არნახულ ზრდას, სახალხო ენთუზიაზმს, უმაღლეს ეკონომიკურ

განვითარებას. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველმა წლებმა აშკარა გახადეს, რომ ეკონომიკის მართვის დეკრეტული მეთოდები განსაკუთრებული შედეგიანობით არც მრეწველობაში და არც სოფლის მეურნეობაში არ გამოირჩეოდა.

„ნეპის“ რეალიზაციის ერთ-ერთი მიზეზიც ხომ სწორედ ეკონომიკური სტიმულების გაძლიერება და ამის საფუძველზე საბჭოთა ქვეყანაში ეკონომიკური კოლაფსის ლიკვიდაცია იყო. სოფლად მასობრივი კოლექტივიზაციის დაწყებამდე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში „შრომის ენთუზიაზმს“, „შრომის ნაყოფიერებას“ – თვითონ გლეხი განსაზღვრავდა ერთპიროვნულად და მათ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები არეგულირებდნენ.

სახელმწიფოს მიერ „სახალხო მამულების“ ბაზაზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა შედეგებით კერძო მესაკუთრე გლეხის შრომით მაჩვენებლებს; – ამის შესახებ არის მინიშნება საბჭოთა სტატისტიკაში.

როცა აშკარა გახდა, რომ უკონკურენტო ეკონომიკური ურთიერთობები სერიოზულად აფერხებდნენ საბჭოთა კავშირში ეკონომიკურ განვითარებას, მოიფიქრეს „სოციალისტური შეჯიბრება“ – კონკურენციის კომუნისტური ალტერნატივა, რომლის შესახებ მინიშნებები კომუნისტებისათვის მნიშვნელოვან ნაშრომში – თომას მორის „უტოპიაში“ უკვე იძებნება.

ამიტომაც დაიწყეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით, სოციალისტური შეჯიბრების სხვადასხვა ფორმის კულტივირება. ამ ინიციატივის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ საწარმოში დასაქმებული შეგნებული მშრომელები სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკის გასაძლიერებლად გამოიჩენდნენ ენთუზიაზმს და შეეცდებოდნენ ადგილებზე, თავის საწარმოო უბნებზე, შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან გადიდებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 20-იანი წლები დასასრულს საბჭოთა ქვეყანაში უკვე წარსულ ჩაბარდა ენგელს-ტროცკისეული „შრომის არმიების“ შექმნის პრაქტიკა და საბჭოთა სახელმწიფო საბოლოოდ გამოვიდა „გამთანაბრებლობის“ კომუნისტური ქიმერის მცდარი შეხედულებებიდან. ი. სტალინმა და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფმა საბოლოოდ ჩათვალა, რომ მარტო გეგმიური მეურნეობა – სამეურნეო ანგარიშიანობის, მატერიალური სტიმულირების და სხვა ეკონომიკური კატეგორიების გამოყენების გარეშე, ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შექმნიდა ხვავსა და ბარაქას, საბჭოთა მთავრობის ხელში თავს ვერ მოიყრიდა კოლოსალური მატერიალური რესურსი, რის გარეშეც საბჭოთა სახელმწიფო ვერ გახდებოდა მსოფლიოში ანგარიშგასაწევი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალა. ამიტომაც ნელა, მაგრამ საკმაოდ წარმატებით, საბჭოთა ეკონომიკაში დანერაგა ისეთი ახალი წესები, რომლებიც შრომისნაყოფიერებას გაადიდებდნენ, ადამიანებს ენთუზიაზმს გაუღვიძებდნენ და მატერიალურადაც დააინტერესებდნენ.

მცდელობათა მიუხედავად, XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ეკონომიკის მაჩვენებლები – განსაკურებით შრომისნაყოფიერებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საქმეში, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა კაპიტალისტური ქვეყნების შრომით შესაძლებლობებს.

სწორედ ამიტომაც გამოინახა „სოციალისტური შეჯიბრება“ – მატერიალურ სტიმულებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია, რომელსაც საბჭოთა მუშის, კოლმეურნე გლეხის შრომითი მოტივაცია უფრო მიზანმიმართული უნდა გაეხადა და ამის საფუძველზე შეექმნა კიდევ უფრო წარმატებული, მუდამ მზარდი ეკონომიკური შედეგები.

1935 წლის აგვისტოში დომბასელი მეშახტის ალექსი სტახანოვის შრომითმა მიღწევამ, რაც დადგენილი საწარმოო ნორმის 14-ჯერ გადამეტებას გულისხმობდა (მოანგრია 102 ტონა ქვანახშირი, როცა გერმანიაში – რურის ოლქში მუშა ერთ ცვლაში მხოლოდ 14 ტონა ქვანახშირს ამუშავებდა), ახალ შრომით თაოსნობას დაუდო საფუძველი – სტახანოვური მოძრაობა II მსოფლიო ომის წინ გახდა საბჭოთა მშრომელების ძირითადი შრომითი ენთუზიაზმის ფორმა, რომელიც ეკონომიკის რეალური ზრდის შესაძლებლობას იძლეოდა. ა. სტახანოვის შრომითი თაოსნობა გავრცელდა სოფლის მეურნეობაშიც: მემინდვრეობაში, მესაქონლეობაში, მეჭარხლეობასა თუ მებოსტნეობაში. საბჭოთა ისტორიკოსები ამ მოვლენას ასე აფასებდნენ: „ახალი, პროგრესული მოძრაობა წარმოიშვა სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოცილიზმის ძირითადად გამარჯვების პერიოდში, როდესაც მასების მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად ამაღლდა მათი კულტურულ-ტექნიკური, საერთოდ ინტელექტუალური დონე და მუშებმა საკუთარი ინიციატივით პრაქტიკულად წამოაყენეს ახალი ტექნიკური ნორმები, მიაღწიეს შრომის მაღალ მწარმოებლურობას“ (სტახანოვური მოძრაობის პიონერები, 1975, 5-6)

ეს შეხედულება დღეს არ არის გაზიარებული პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში და ითვლება, რომ ეს „სტახანოვური მოძრაობა“ იყო შენიღბული საბჭოთა ექსპლოატაციის უმაღლესი გამოვლენა ადგილებზე, შრომით კოლექტივებში, ორგანიზებული პარტიულ-კომკავშირული ნომენკლატურის მიერ და მიზნად ისახავდა კომუნისტური პარტიისათვის სოციალური ბაზის გაძლიერებას – მუშათა და გლეხთა ახალი პრივილიგირებული ფენის – „სტახანოველები“ – შექმნას.

თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პერიოდში საბჭოთა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, „სტახანოვური მოძრაობის“ პარალელურად დასრულდა წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია, რომ სოფლებში მასობრივად გაიხსნა სკოლების ქსელი, მოეწყო ადგილობრივი ამბულატორიები, კულტურის სახლები, ბაგა-ბაღები და ა.შ., ე.ი. გარკვეული სოციალური პროგრესი აშკარად სახეზე იყო.

შრომითმა ენთუზიაზმმა საქართველოს სოფელიც მოიცვა. საკავშირო მასშტაბით ძალიან პოპულარულნი იყვნენ ცნობილი მიწათმოქმედი პოლინა ანგელინა და უკრაინელი მეჭარხლე მარიამ დემჩენკო. ეს კოლმეურნე-ქალები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ თავის შრომით ადგილებზე. საქართველოს ყველა კუთხეში გამოუჩდნენ მათ მიმდევრები. კახეთში, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობა „მაისის წყაროს" მოწინავე თამბაქოს მომვლელმა ქალებმა, ელენე ნატროშვილის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო გეგმა 300 პროცენტით შეასრულეს. მათზე განპიროვნებული ნაკვეთი სანიმუშო იყო რაიონში. ასეთი მიღწევების გამო ბრიგადის ხელმძღვანელი ე. ნატროშვილი ჯერ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზეც მიიწვიეს და სახელმწიფო ჯილდოებით წაახალისეს, ხოლო შემედეგ ტრაქტორისტების კურსებზე გააგზავნეს (სტახანოვური მოძრაობის პიონერები, 1975, 168)

ცნობილ ზემო-ქედის კოლმეურნეობაში სტახანოვური შრომის მეთოდების გამოყენებით ბევრი კოლმეურნე მუშაობდა – თვითონ კოლმეურნეობის თავკაცი, ლეგენდარული კობა ჩოხელი, მემინდვრეობის ბრიგადირი ა. კედელაშვილი, ტრაქტორისტი ალექსი ბექაური, კოლმეურნეები პავლე ხუციშვილი, ვასილ ჩიტაური და სხვ. (ქვათაძე, საბახტარაშვილი, 1981, 53). მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

სტახანოვური შრომის მეთოდები გავრცელდა გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, წითელწყაროსა და კახეთის რეგიონის სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და სხვა კოლექტივებში.

II მსოფლიო ომის წინ ძალიან დიდი პოპულარობა შეიძინა სოციალისტური შეჯიბრებების გაფორმებამ მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქისა თუ სოფლის შრომითი კოლექტივებს შორის. პირველად ეს ინიციატივა სამრეწველო კოლექტივების მშრომელებს დაებადათ, რაც მოგვიანებით კოლმეურნეთა შორისაც გავრცელდა. შეჯიბრების ამ ფორმას საბჭოთა ხელისუფლება ინტერნაციონალისტური აღზრდის მიზნით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად აფასებდა და გამორჩეულადაც ხელს უწყობდა. შეჯიბრების ეს ფორმა გულისხმობდა შრომით კოლექტივის წარმომადგენლების ერთმანეთთან სტუმრობას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ერთობლივი გადიდებული ვალდებულებების მიღებას, მათი შესრულების პერიოდულ შემოწმებას და ა.შ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შრომითი კოლექტივები ამ საქმეშიც გამორჩეულად აქტიურობდნენ. ქრესტომათიული გახდა მახარაძისა (საქართველო) და გენიჩესკის (უკრაინა) სოფლის მშრომელების სოციალისტური შეჯიბრების ისტორია.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგი მოიტანა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც გაფორმდა ქართველ და რუს მეთამბაქოებს შორის. ამ მიზნით აზოვ-შავი ზღვის რეგიონის აბინსკის რაიონიდან თამბაქოს მოყვანის ოსტატები ჩამოვიდნენ ლაგოდეხში, გორიაჩეკლუჩინსკელები – სიღნაღის რაიონში. როგორც მოგვითხრობენ „დელეგაციებმა მასპინძელებთან გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, შეჯიბრების მიმდი-

ნარეობის კონტროლი და შედეგების შეჯამება ეთხოვა სსრ კავშირის მიწსახკომს, კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს და „პრავდის“ რედაქციას (კოჟიაშვილი, 1985, 21).

უდავოა – სტახანოვური მოძრაობის კულტივირებამ, მუდამ გადდებული ვალდებულებების აღებამ, ამ ვალდებულებების უსათუოდ შესრულებამ (მას ხომ უამრავი მაკონტროლებელი ორგანო ადევნებდა თვალს) წინ წასწია საბჭოთა ეკონომიკა, რომელმაც ამ და სხვა ხერხებით, მართლაც, უზრუნველყო საბჭოთა ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზეაღმავალი განვითარება – თუმცა უდიდესი ძალისხმევით. სოფლად ეს პროცესი დაემთხვა კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციას.

§ 9. „კულაკების“ როგორც კლასის ლიკვიდაცია საქართველოში

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელებმა სოფელში ჩატარებლი „განკულაკების“ პროცესების დროს, სერიოზული დარღვევების გამო, ფაქტობრივად ბოდიში მოუხადეს საზოგადოებას და ეს დანაშაული საქართველოს წინა ხელისუფლებას გადააბრალეს. მაგრამ მათ არ ჰქონდათ მიზნად შეეცვალათ ან გაემრუდებინათ ის კურსი, რასაც კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია ერქვა. კოლმეურნეობის მშენებლობის პარალელურად ვითარება ისე შეიცვალა, რომ საბჭოთა სოფელში „კულაკის“ ადგილი აღარ დარჩა – ვინც კი ღარიბი და უქონელი (ანუ პოტენციური მოჯამაგირე) იყო, კოლმეურნეობებში გაერთიანდა – „კულაკი“ დაქირავებული შრომის ძალის გარეშე აღმოჩნდა.

საკოლმეურნეო მშენებლობის დასაწყის ეტაპზე სოფლის მდიდარი ფენის წინააღმდეგ სოფლის ღარიბების ერთსულოვან და ენერგიულ შეტევებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, ისიც აღინიშნა, რომ კოლექტივიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომები და დანაშაული, რაც განხორციელდა „საშუალო გლეხის“ მიმართ, რომლებიც შეცდომებით „კულაკების“ რიგებში ჩარიცხეს – მეტნაკლებად გამოასწორეს, თუმცა ჩამორთემული ქონება, აღებული ვალდებულების მიუხედავად, მათ აღარ დაუბრუნეს. რაც შეეხება, საქართველოს სოფელში ნამდვილ „კულაკებს – თუ კი ვინმე შემორჩა, მათ მიმართაც სოფლის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით, ისე გააძლიერეს რეპრესიების მექანიზმი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ფინანსური, რომ წარმოუდგენლად გაიზარდა „კულაკის“ ინდივიდუალური გადასახადების ოდენობა, ხოლო, რაც შეეხება მათ მიმართ სოციალურ დისკრიმინაციას, მან ყოველგვარი ზღვარი გადალახა („კულაკის“ შვილებს არ იღებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში). ასეთი დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო „კულაკების“ მნიშვნელოვანი ნაწილი ისე გაღატაკდა, რომ სოციალური სახე აშკარად დაკარგა. ზოგი შეეგუა ვითა-

რებას – გაითქვიფა რიგით მოსახლეობაში. ზოგმა კი ანტისაბჭოთა მოღვაწეობა განაგრძო და შეძლებისამებრ ცდილობდა გაეძლიერებინა ბრძოლა საძულველი საკოლმეურნეო მოძრაობისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ – სულერთი იყო ეს იქნებოდა მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი ბრძოლის ფორმები.

კახეთის სოფლებში, საკოლმეურენეო მოძრაობის პირალელურად, XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში ადგილი ჰქონდა „კულაკების“ მიერ განხორციელებულ ანტისაბჭოთა ღონისძიებების გაძლიერების ტენდენციას. ეს იყო, მაგალითად, კვლავ ჭორების გავრცელება: კახეთის რეგიონის სოფელ ჩალაუბანში საპირველმაისოდ გავრცელდა ხმა კოლმეურნეების მასობრივი გალახვის შესახებ. როგორც დოკუმენტი მიუთითებს, ეს ხმები იმდენად დამაჯარებელი ჩანდა, რომ კოლმეურნეობიდან ბევრი მისი რიგითი წევრი გამოვიდა, მათ შორის კომუნისტებიც კი. (სშსს არქივი, აღ. 6, ს. 46, 39)

ყვარლის რაიონში საბჭოთა ორგანოებმა დააფიქსირეს კულაკური აგიტაციის გაძლიერება – ისინი გლეხებს მოუწოდებდნენ არ გასულიყვნენ მკაში. იყო კოლმეურნეობის ძნების გადაწვის შემთხვევები. სოფელ ახალ გავაზში „კულაკებმა“ სცემეს კოლმეურნეობის წევრს. სოფელ ჭიკაანში დააფიქსირეს კულაკის ასეთი საუბარი: „ამათი საშველი არ არის, თუ ხანჯლის ტრიალი არ იქნა, საჭიროა მომზადება“. (შსს არქივი, აღ. 6 ს. 404, 4).

როგორც ამტკიცებენ, ლაგოდეხის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში „კულაკები, კულაკების კუდები ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას, მავნებლობას, რის გამოც დააქციეს მთელი კოლმეურნეობა: იყო შრომის დისციპლინის წარმოუდგენელი ვარდნა, კოლმეურნეობის ქონების სისტემატური ქურდობა“ და ა.შ. (სშსს არქივი, აღ.8,ს. 193, 34).

არქივში შემორჩენილი „ანტიკულაკური ბრძოლის მასალის“ გაცნობა იმაზეც აშკარად მიანიშნებს, რომ ზოგ შეიმთვევაში კოლმეურნეობის უნიათო, არაორგანიზებული ხელმძღვანელი ან გამგეობა თავის წარუმატებლობების, დანაშაულებრივი გულგრილობის, შეცდომების მიზეზებად აცხადებდა სწორედ „კულაკურ მაქინაციებს“, „კულაკების ზეგავლენას“ კოლექტივში და ისინი მუდამ ეძებდნენ ადგილებზე „განტევების ვაცს“, რომელსაც ადვილად აკრავდნენ „კულაკის“ იარლიყს. კოლმეურნეობის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებისათვის ეს იმ პერიოდში საკუთარი თავის გადარჩენის ძალიან გავრცელებული მეთოდი იყო.

ისიც აღსანიშნავია, რომ „კულაკები“, სოფლის შეძლებული ადამიანები, ანტისაბჭოთა პარტიების წარმომადგენლები, კულტის მსახურები, ვინც კოლექტივიზაციის პერიოდის რეპრესიებს გადაურჩნენ, ისინი უფრო ხანგრძლივ პატიმრობაში აიყვანეს და გაასამართლეს „სამეულების“ საშუალებით ე. წ. „დიდი ტერორის“ დროს, რასაც ადგილი ჰქონდა ავადსახსენებელ 1937 წელს.

ჩვენი აზრით, სწორედ XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირში მომწიფდა ისეთი ობიექტური და სუბიექტუ-

რი ფაქტორების ერთობლიობა, რამაც გამოიწვია ტერორის ახალი ტალღის აგორება საბჭოთა კავშირში, მასობრივი ფსიქოზი, რაც სისხლიან ანგარიშსწორებაში გადაიზარდა.

საზოგადოების მართვის დიქტატორული მეთოდების გამო საბჭოთა კავშირში მოხდა გარკვეული ეკონომიკური სტაბილიზაცია, რაც სახალხო მეურნეობის დინამიურ განვითარებაშიც აისახა (ამას ჩვენ კახეთის სოფლის მეურნეობის შედეგებზეც ვნახავთ), მაგრამ ამ სტაბილიზაციამ აშკარად აჩვენა სოციალიზმის საბჭოთა სისტემის თეორიულ პრინციპებსა და რეალურ ცხოვრებას შორის არსებული, ხშირ შემთხვევაში გადაულახავი წინააღმდეგობები. განსაკუთრებით ეკონომიკაში (შრომისნაყოფიერების დაბალი მაჩვენებლები, საწარმოებიდან მუშათა პერმანენტული დენადობა, საწარმოო პროცესის არაეფექტიანობა, პროდუქციის თვითღირებულების გადიდების ტენდენცია და არა მისი შემცირება და ა.შ.). საბჭოთა კავშირში ეკონომიკის მართვა მიმდინარეობდა მეთოდებით, რაც მთლიანად გამორიცხავდა საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკურ კანონებს: ჯანსაღი კონკურენცია უგულვებელყოფილი იყო, თავისუფალი მეწარმეობა ჯერ შეიზღუდა, შემდეგ – ლიკვიდირებულიც აღმოჩნდა, მატერიალური სტიმულირება შეიცვალა მორალურით – ნაკლებად ეფექტიანით და ა.შ. მაგრამ რახან უსაზღვრო იყო კომუნისტური იდეალების რწმენა, რეალური ცხოვრების მიერ წარმოშობილი ობიექტური ნაკლოვანებები ჩაითვალა არა მოძღვრების (თეორიის) შეცდომად, არამედ პრაქტიკული ცხოვრების (განვითარების, ზრდის) ნაკლოვანებად, რისი გამოსწორება სცადეს ძალის გამოყენებით (დაუშვილი, 1997, 6-7).

ძალიან მალე წარმოიშვა წინააღმდეგობა სოციალიზმის პრინციპებს და პიროვნების სუბიექტურ ბუნებას შორის. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სოფლად – სადაც ჯერ კიდევ ბჟუტავდა გლეხური კერძომესაკუთრული ინსტინქტები. რა თქმა უნდა, იყვნენ იდეის ფანატიკურად ერთგული ადამიანები, მაგრამ მოსახლეობის ძირითად მასას არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ, ბევრ შემთხვევაში, პირადი ინტერესებიც ამოძრავებდა. წარმოიშვა წინააღმდეგობა ადამიანის ინდივიდუალურ ბუნებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ კოლექტივისტურ იდეოლოგიურ პრინციპებს შორის. დაიწყო საუბარი „პიროვნების გადაგვარებაზე“. ამ წინააღმდეგობის დაძლევაც ძალით სცადეს.

ტრაგიკული მოვლენების მთავარი კატალიზატორი იყო II მსოფლიო ომის მოახლოება. 30-იანი წლების შუა ხანებში გერმანიაში საბოლოოდ განმტკიცდა ნაცისტური იდეოლოგია და პოლიტიკა. დასავლეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობდა ფაშიზმისა და კომუნიზმის შეტაკებით საკუთარი ქვეყნებისათვის აეცილებინა შესაძლო სამხედრო კონფლიქტი. იმჟამად მათი წაყრუება, ფაქტობრივად ჩუმი ხელშეწყობა, ჩინებულად გამოიყენა გერმანიამ ევროპაში საკუთარი პრეტენზიების დასამკვიდრებლად.

საბჭოთა ხელისუფლება მიუღებელი იყო როგორც დემოკრატიული ქვეყნებისათვის, ისე ფაშისტური სახელმწიფოებისათვისაც. საბჭოთა კავშირი კი,

თავისი ტერიტორიული სიდიდის მიუხედავად, შედარებით სუსტი იყო ეკონომიკურად. კომუნისტური პარტიის ამოცანა იყო უმოკლეს დროში მიეღწიათ არა მარტო დიდი ეკონომიკური შედეგისათვის, არამედ საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისათვისაც, რაც გულისხმობდა ყოველგვარი ოპოზიციური ძალის ლიკვიდაციას, მომავალ ომში შესაძლო „მეხუთე კოლონის“ პრაქტიკულ განადგურებას. ფაქტობრივად, საბჭოთა საზოგადოების ყველა არსებული ნაკლი ტერორის საშუალებით უნდა დაძლეულიყო.

რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ადვილად ჩამოყალიბდა და მასობრივად გავრცელდა ცნება „ხალხის მტერი“. ეს იყო მეტად ტევადი შინაარსის მქონე ტერმინი: ის გულისხმობდა პარტიულ ოპოზიციონერს, თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ პარტიულ თუ საბჭოთა ლიდერს, უპასუხისმგებლო სამურნეო მუშაკს, კორუმპირებულ მოხელეს, ეროვნული იდეების მატარებელ ინტელიგენტს და ა.შ.

ლ. ბერიას ინიციატივით საქართველოს კომუნისტური პარტიის ის ლიდერები და აქტივისტები, ვინც სხვადასხვა დროს მონაწილეობას იღებდნენ სტალინის საწინააღმდეგო ფრაქციებში („ნაციონალ-უკლონისტები“ და სხვ.), იყვნენ ტროცკისტები, ემხრობოდნენ ბუხარინს, პარტიულ კრებებსა და დისპუტებზე პარტიის გენერალური ხაზის გარკვეული კრიტიკით გამოდიოდნენ – „შავ სიებში“ ჩაირიცხნენ. საბრალდებო დასკვნები და სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებსაც ყველა კომუნისტური გაზეთი ბეჭდავდა, მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ აზრზე ტოტალურ ზემოქმედებას, ისტერიული ფსიქოზის განვითარებას.

პასუხისმგებლობის შიშმა, რაც ავადმყოფურად განვითარდა, ბევრი აიძულა ავარიები, წარუმატებლობა, ნაკლი – „ხალხის მტრების“ ხრიკებთან დაეკავშირებინა, იყო ერთმანეთის დასმენის, მცდარი ინფორმაციის გავრცელების მასობრივი შემთხვევები.

სადამსჯელო ორგანოების თანამშრომლები, აღჭურვილნი უმაღლესი ძალაუფლებით, დაპატიმრებულ პარტიულ, საბჭოთა ხელმძღვანელებზე, ინტელიგენციის წარმომადგენლებზე საშინელ ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენდნენ და ასე იღებდნენ „აღიარებებს“.

რეპრესირებულთა შორის აღმოჩნდნენ კახეთის რეგიონის პარტიული თუ საბჭოთა მუშაკებიც, მტს-ების ხელმძღვანელი ადამიანები, ყოფილი „კულაკების“ შთამომავლები, სხვადასხვა ორგანიზაციაში „შემძვრალი მავნებლები“, „ხალხის მტრები“, „მათი კუდები“ მაგალითად, „მავნებლობის“ ბრალდებით დააპატიმრეს გურჯაანის მტს-ის დირექტორი კულუმბეგაშვილი, წნორის მტს-ის ხელმძღვანელი სტეპანოვი, ყვარლის რაიკომის მდივანი დ. აფციაური, ამავე რაიონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თანდილაშვილი (დაუშვილი, 1997, 161-162).

„ხალხის მტრის “ ბრალდებით დააპატიმრეს და გადაასახლეს საგარეჯოს სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარე გ. ჟუკუნავა, ხრამჰესის მშენებ-

ლობის უფროსი გ. ქორიძე, ელდარის საბჭოთა იმეურნეობის დირექტორი კ. აბაშიძე და მრავალი სხვა.

საქართველოში რეპრესიები განსაკუთრებით გაძლიერდა 1937 წლის ოქტომბერში, როცა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა ლ. ბერიას მოხსენება რესპუბლიკაში მავნებლობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შესახებ. პლენუმის შემდეგ ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილ საიდუმლო წერილში ლ. ბერია აზუსტებს 1937 წლის ოქტომბრამდე დაპატიმრებულთა რაოდენობას. ამ პერიოდისათვის დაპატიმრებული იყო 12 000 კაცზე მეტი. დაპატიმრებულებიდან 5236 უკვე მსჯავრდადებული იყო „სამეულის“ მიერ. უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გაასამართლა – 910 კაცი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატთან არსებულმა განსაკუთრებულმა საბჭომ – 591, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სპეციალურმა კოლეგიამ – 468, სამხედრო ტრიბუნალმა – 99, სახალხო სასამართლოებმა – 70. საქართველოს ციხეებში იმყოფებოდა 5 ათასი კაცი, მარტო თბილისში 2000. საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გაირიცხა 2500 კაცი. საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 74 წევრიდან 41 „ხალხის მტერი“ აღმოჩნდა (დაუშვილი, 1997, 142).

რეპრესიები ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციულ სისტემასაც შეეხო, რამაც კადრების სერიოზული ნაკლებობა გამოიწვია. 1937 წელს ნომენკლატურულ თანამდებობაზე დააწინაურეს 4000 კაცი, მათ შორის იყვნენ: რაიკომების და ქალაქკომების მდივნები, სახალხო კომისრები, კომისრის მოადგილეები, მსხვილი რეპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აღმასკომების თავმჯდომარეები და ა.შ.

მასობრივმა რეპრესიებმა საბჭოთა კავშირში შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო. შრომით კოლექტივებსა და შემოქმედებით ორგანიზაციებში უამრავი საქმე იყო კიდევ განსახილველი. ასეთ ვითარებაში 1938 წლის იანვარს მოსკოვში შეიკრიბა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება „საკ.კპ(ბ)-დან გარიცხულთა აპელაციისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“. ამ დადგენილებამ ძირითადად შეაჩერა რეპრესიების ტალღა, თუმცა რეპრესიების ცალკეული შემთხვევები შემდეგ წლებშიც გვხვდება. საქ. კპ (ბ) თებერვლის პლენუმმა მოიწონა საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილება და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა შეეწყვიტათ „ზედმეტი გულმოდგინება“ მასობრივი რეპრესიების ორგანიზაციის საქმეში. პლენუმზე აღინიშნა, რომ 1937 წელს საქართველოს კომპარტიის რიგებიდან გაირიცხა 4379 კაცი, მათგან 2642 დააპატიმრეს.

რეპრესიების პირობებში ათასობით ქართველი გადაასახლეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ: ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სპეციალურ ბანაკებში (მაგადანში, კალიმაზე და სხვა ბანაკებში). მასობრივი რეპრესიების ერთ-ერთი ფარული მიზანი ხომ ისიც იყო, რომ ნედლეულით მდიდარ შორეული აღმოსავლეთის მიუვალ ტერიტორიებზე ასი ათასობით იაფი მუშა-

ხელი შეეყვანათ და იქ საბჭოთა ეკონომიკის ძლიერი დასაყრდენი შექმნათ.

მასობრივმა რეპრესიებმა მთლიანად გაანადგურა ანტისტალინური ოპოზიციის ყველა ძირითადი მიმართულება, ყველა შესაძლო პოლიტიკური ოპონენტი, განამტკიცა ი.ბ. სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა.

ეს პერიოდი ფაქტობრივად დაემთხვა საკოლმეურნეო მოძრაობის „გამარჯვებას“ სოფლად.

§ 10. კოლმეურნეობამ „გაიმარჯვა“?!

1936 წლის 25 ნოემბერს, მოსკოვში, საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, ი. სტალინი თავის გამოსვლაში იხსენებდა ძველ საბჭოთა სოფელს: „მთლიანად სოფლის მეურნეობა მაშინ მოგვაგონებდა წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თვალუწვდენელ ოკეანეს მათი ჩამორჩენილი შუასაუკუნეობრივი ტექნიკით. ამ ოკეანეში ცალკეული წერტილებისა და პატარა კუნძულების სახით არსებობდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომელთაც, კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში“ (სტალინი, 1952, 639)

მართლაც, ასე იყო სულ რამდენიმე წლის წინ. როგორ შეიცვალა ი. სტალინის აზრით ვითარება 1936 წელს? „სოფლის მეურნეობის დარგში, – აღნიშნავდა ი. სტალინი, – ნაცვლად წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ოკეანისა მათი სუსტი ტექნიკითა და კულაკის ძალა-გავლენით, ახლა ჩვენ გვაქვს მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მექანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტემის სახით. ყველასათვის ცნობილია, რომ კულაკობა სოფლის მეურნეობაში ლიკვიდირებულია, ხოლო წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სექტორს, თავისი ჩამორჩენილი შუასაუკუნეობრივი ტექნიკით, ახლა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს... არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახლა კოლმეურნეობებს თავის განკარგულებაში აქვთ 316 ათასი ტრაქტორი...“ (სტალინი, 1952, 640).

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელის აზრით, საბჭოთა კავშირში დარჩა მხოლოდ ორი მეგობარი კლასი – მუშათა და გლეხთა კლასი და შემოქმედებითი ინტელიგენცია – როგორც სრულიად ახალი სოციალური ფენა.

აი, როგორ ხედავდა იოსებ სტალინი ახალ საბჭოთა გლეხობას: „ჩვენი საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალი გლეხობაა. ჩვენში აღარ არიან მემამულეები და კულაკები, ვაჭრები და მევახშეები, რომლებსაც შეეძლოთ ექსპლოატაცია გაუწიონ გლეხებს. მაშასადამე, ჩვენი გლეხობა ექსპლოატაციისაგან განთავისუფალი გლეხობაა. შემდეგ, საბჭოთა გლეხობა თავისი უდიდესი უმრავლესობით არის კოლმეურნე გლეხობა, ე.ი. ის თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორ-

ჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე. ბოლოს, ჩვენი გლეხობის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო საკუთრება, არამედ **კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე აღმოცენდა**“ (სტალინი, 1952, 642-643)(ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.).

ვნახოთ, რამდენად შეესაბამება იოსებ სტალინის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები საბჭოთა სოფელში არსებულ რეალობას. დასაწყისში თავიდანვე ვიტყვით, რომ ი. სტალინის გამოსვლის ზედმეტად მაჟორული ტონი უფრო პროპაგანდისტულ დატვირთას იძენს, ვიდრე რეალობას ასახავს, რადგან სოციალურ-ეკონომიკური პროცესები 3-4 წელიწადში არც ასე სწრაფად მწიფდებიან და არც საბოლოოდ გარკვეულ შედეგს იძლევიან. ჩვენ ვნახეთ, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირების პროცესში იმდენი შეცდომა და დანაშაული იყო ჩადენილი სოფლად, რომ თვითონ პარტიის ბელადს მოუხდა მათზე რეაგირება და დაუშვა ე.წ. „საკარმიდამო მამულები“ ანუ სოფლად შექმნა ე.წ. „სტალინური დუალიზმი“, რომლის შესახებ საზეიმო გამოსვლის დროს სტალინს ყურადღება საერთოდ არ გაუმახვილებია. ეს „საკარმიდამო მამულები“, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად „ხანგძლივი მოქმედების ნაღმი“ აღმოჩნდება საბჭოთა აგრარულ სისტემაში. ნაშრომის ფორმატი და მიზანი, სამწუხაროდ, არ იძლევა საშუალებას დეტალურად მიმოვიხილოთ საქართველოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა და განვითარების თავისებურებები II მსოფლიო ომის წინ. ამჯერად ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის წარმოჩენით და სწორედ მათ საფუძველზე გავაკეთებთ დასკვნას, თუ რა შინაარსის აგრარული რეფორმა განხორციელდა საქართველოში და როგორი იყო მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები.

შედეგი პირველი: კახეთში საკოლმეურნეო მოძრაობის ინტენსივობა XX საუკუნის შუა ხანებში მზარდი ხასიათისაა და ააშკარავებს ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების წარმომადგენლების სურვილს – გაერთიანდნენ კოლექტიურ მეურნეობებში. მაგალითად, თელავის რაიონის სოფლებში 30-იანი წლების დასაწყისში უკვე შეიმჩნევა საკოლმეურნეო მოძრაობის აღმავლობა და კოლმეურნეობების რაოდენობის ზრდა. თუ 1933 წელს რაიონში კოლმეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი უდრიდა 11,8%, 1934 წელს ეს მაჩვენებელი ავიდა 17,7 პროცენტამდე. კოლმეურნეობები აერთიანებდა 2657 მეურნეობას. კოლექტიურ მეურნეობებს ჰქონდათ: სათესი ფართობი 6 596 ჰა, ვენახი – 235 ჰა, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი – 3686, გამწევი საქონელი – 1859. (სშსს არქივი, აღ. 8,ს.276, 155).

შედეგი მეორე: როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, რაიონების კოლმეურნეობებმა ძირითადად გადალახეს „ზრდის სიძნელეები“ და ალღო აუღეს კოლექტივისტურ შრომას, რომელიც გარკვეული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. მაგალითად, თუ თელავის რაიონის კოლმეურნეობებში 1932 წელს შრომადღეებზე გასცეს: ხორბალი 2,1 კგ, ღვინო – 0,2 ლიტრი, არაყი – 0,01 გრადუსი, სხვა სურსათი – 0,18 მან. ფულად – 0,50 კაპ.; უკვე 1933 წელს შრომადღეზე გაიცა: ხორბალი – 4,5 კგ. ღვინო – 0,5 ლიტ. არა-

ყი – 0,4 გრადუსი, სხვა პროდუქტები – 0,29 კაპ. ფულად – 0,71 მან. (სშსს არქივი, აღ. 8, ს.276, 158).

ეს იყო რაიონის საშუალო მაჩვენებელი. როგორც საქმეში ჩახედულები ამტკიცებდნენ – რაიონის 5 კოლმეურნეობამ, მაღალი შემოსავლებიდან გამომდინარე, გაცილებით მეტი ოდენობის სურსათი და ხელფასი გასცა. სულ რაიონის კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 2 438 757 საბჭოთა მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში იყო კიდევ უფრო მაღალშემოსავლიანი სოფლები და კოლმეურნეობები. მაგალითად, გარე კახეთის რაიონში უკვე 1932 წელს მარტო ხელფასის სახით შრომადღეზე გაიცა 2, 44 მანეთი, როცა წინა წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა მხოლოდ 1,54 მანეთს. (სშსს არქივი, აღ. 7, ს. 127, 12). აშკარაა, რომ გარე კახეთის რაიონში შრომადღეები უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე წარმატებულ თელავის რაიონში.

შედეგი მესამე: უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა იმჟამად უდიდეს ყურადღებას უთმობდა კოლმეურნეობების ეკონომიკური განმტკიცების საქმეს, სპეციალური კომისიები, რევიზიები და ფარული აგენტურული ქსელიც კი, ცდილობდნენ დაედგინათ სოფლად შექმნილი რეალური ეკონომიკური ვითარება – რამდენად ეფექტიანად მუშაობდნენ კოლმეურნეობები, გაიზარდა თუ არა გლეხის შემოსავალი კოლმეურნეობაში გაწევრიანების შემდეგ, როგორ ნაწილდებოდა მიღებული შემოსავალი შრომადღეებზე, რამდენად პირნათლად ასრულებდნენ კოლმეურნეობები სახელმწიფო დავალებებსა და გეგმებს და ა.შ. და ა.შ.

მაგალითად, ლ. ბერიას მითითებით კომისიამ შეამოწმა თელავის რაიონის 64 კოლმეურნეობა და შრომადღეებზე დარიცხული მატერიალური დოვლათის განაწილების ხარისხი. კომისიამ დააფიქსირა უკმაყოფილება კოლმეურნეებს შორის განაწილების ტემპების დარღვევის გამო. ამასთან, როგორც ჩანს, ალვანის კოლმეურნეობაში შემოსავალი სულ პირწმინდად გაინაწილეს კოლმეურნეებმა, არ შექმნეს სათესლე 15%-იანი ფონდი, იყო სხვა ფინანსური დარღვევებიც (სშსს არქივი, აღ. 7, ს.127, 28).

თელავის რაიონის სოფელ სანიორეში კომისიამ აღმოაჩინა შემდეგი დარღვევა: მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს წინაშე აღებული ყველა ვალდებულება პირნათლად შეასრულა, დააგვიანეს კოლმეურნეებს შორის 2300 ფუთი პურის განაწილება (სშსს არქივი, აღ. 8, ს. 82, 6).

შედეგი მეოთხე: საბჭოთა აგრარული ურთიერთობები თანდათან ეუფლებოდა საქართველოს სოფელს, ბერიასეული სიმკაცრისა და პასუხისმგებობის შიშის სინდრომის ზეობის ვითარებაში კოლმეურნეობები ცდილობდნენ მოახდინათ სრული ადაპტაცია არსებულ რეალობაში და შედარებით უპრობლემოდ ეცხოვრათ. ამაზე მიანიშნებს ისიც, რომ კახეთის რეგიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა უკვე 30-იანი წლების შუახანებში სახელმწიფოს წინაშე აღებულ ყველა ვალდებულებას წარმატებით ასრულებდა. დოკუმენტებში მითითებულია, რომ, მაგალითად, ზემო მაჩხაანის კოლმე-

ურნეობამ სახელმწიფოს წინაშე აღებული ყველა ვალდებულება: საქონლის, მატყლის, ხორბლის მტკიცე სახელმწიფო ფასებში ჩაბარების შესახებ „ბოლომდე შეასრულა“, ბოდბისხევის კოლმეურნეობამ „გლეხის სინათლემ“ თავის თავზე აღებული პურის დამზადების გეგმა – 2000 ფუთი – ასევე პირნათლად გაანაღდა (სშსს არქივი, აღ. 6, ს.386, 12)

შედეგი მეხუთე: რა თქმა უნდა, იყვნენ „პრობლემური კოლმეურნეობებიც“, რომლებმაც ალღო ვერ აუღეს ახალ ეკონომიკურ პრინციპებს, მათ მუშაობაში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს. მაგალითად, ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებმა ძალიან დააგვიანეს პურის მოსავლის აღების კამპანიის დაწყება – მიმომხილველის აზრით ამის მიზეზი იყო „დაუშვებელი გულგრილობა“; ველისციხის კოლმეურნეობამ, რომელსაც წლიური შემოსავალი 134 792 მანეთი ჰქონდა, თავის თავს უფლება მისცა დაეფინანსებინა მშრომელების საერთო კვება – რაშიც 20 277 მანეთი გადახარჯა, ასევე, საბჭოთა კანონის დარღვევით კოლმეურნეობის გამგეობამ ბავშვების შენახვაზე კოლმეურნეობის წევრებს გამოუყო 19 481 მანეთი და ა.შ. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო ხელფასებში „გამთანაბრებლობის“ მანკიერი პრაქტიკა. მაგალითად, სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობაში მთელი შემოსავალი კოლმეურნეობის წევრებს შორის თანაბრად გაანაწილეს, არაფერი არ გადარიცხეს ხელუხლებელ ფონდში, რითიც კანონი დაარღვიეს. იყო სხვა სახის გადაცდომებიც.

მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემაში ეკონომიკური წარუმატებლობის, ეკონომიკური გულგრილობის, ადმინისტრაციული უთაურობის და სხვა მსგავსი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ეკონომიკური მეთოდები: გაკოტრება, წარმატებული ორგანიზაციის მიერ გაკოტრებული ორგანიზაციის შეძენა, გაკოტრებული კოლმეურნეობის ქონების აუქციონეზე გაყიდვა და სხვა ნაცადი, ისტორიულად შემოწმებული მეთოდების გამოყენება მთლიანად გამორიცხული იყო. საბჭოთა სინამდვილეში ზემოთჩამოთვლილ ნაკლს მხოლოდ ადმინისტრაციული ზომებით ებრძოდნენ: უპასუხისმგებლო თავმჯდომარისა თუ ადამინისტრაციული აპარატის დამნაშავე წევრების მიმართ მკაცრი რეპრესიული ზომების გამოყენება, „ხალხის მტრის“ იარლიყის მიწებება და შრომაგასწორების ბანაკებში მრავალწლიანი მუშაობის პერსპექტივა. სწორედ ესენი იყო „კომუნისტური აღზრდის“ ნაცადი ფორმები მრავალი წლის განმავლობაში.

შედეგი მეექვსე: კოლმეურნეობების გვერდით არსებობდა ე.წ. „საკარმიდამო მამულები“ – საკარმიდამო ნაკვეთები, რომლებიც XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ სუსტნი იყვნენ, მაგრამ ლ. ბერიას თვალსაზრისით საქართველოს სინამდვილეში გარკვეულ „ხუტორული მეურნეობის“ შინაარსს იძენდნენ. მეურნეობრიობის ამ ფორმამ, რაც, ჩვენი აზრით, უნიკალურია მსოფლიო ცივილიზირებული ქვეყნებისათვის და არც აუტენტური მარქსიზმისთვის იყო ცნობილი, საბჭოთა სინამდვილეში რეალური არსებობა შეიძინა და საკმაოდ კონკრეტული ეკონომიკური შედეგიც მოჰქონდა. როგორც მიუთითებენ, საქრთველოში იყო მცდელობა საკარმიდამო მიწე-

ბის ოდენობის უნიფიცირებისა. ამას ადგილებზე გამოუწვევია უკმაყოფილება და დათანხმდნენ რეგიონალური თავისებურებების დაშვებას საკარმიდამო მიწების ოდენობის განსაზღვრის დროს. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად პრაქტიკაში დაინერგა: ბაღი – 0,11 ჰექტარი, ვენახი – 0,13 ჰექტარი. ლ. ბერიას მტკიცებით – საქართველოში საკარმიდამო მამულიდან თვითოეული გლეხი ყოველწლიურად დამატებით 2000-4000 მანეთის შემოსავალ იღებდა.

როგორც ჩანს, ლ. ბერიას ინიციატივით საქართველოში დაიწყო მოძრაობა, რომ სოფელში მცხოვრებ ყველა ოჯახს ჰყოლოდა ერთი ძროხა მაინც. მან მოსკოვში გააგზავნა თხოვნა, რომ საქართველოს მეცხვარეობის რაიონებში კოლმეურნეებისათვის მიეცათ ნებართვა ყოლოდათ 35-50 სული ცხვარი.

შედეგი მეშვიდე: მაგრამ ამ „სტალინურმა დუალიზმა“ – საკოლმეურნეო და საკარმიდამო მიწებზე შრომის თანაარსებობამ გარკვეული პრობლემები თავიდანვე გამოიწვია კიდეც, რაც ლ. ბერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და მან ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა: „საკარმიდამო მეურნეობის დიდი მოცულობა ზოგიერთ რაიონში წარმოშობს პრობლემებს საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის საქმეში. ამის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ საკოლმეურნეო-საზოგადოებრივი შრომისა და საკარმიდამო მეურნეობაში შრომის უნარიანი შეხამების შედეგად, როცა საკოლმეურნეო შრომისაგან მიღებული შემოსავალი უზრუნველყოფს გლეხის შრომითი ორიენტაციის გადასვლას არა ინდივიდუალური, არამედ კოლექტივისტური შრომის ფორმებისაკენ“ (სშსს არქივი, აღ. 8, ს. 167, 14).

შედეგი მერვე: როგორც საბჭოთა სტატისტიკური ცნობარები და საბჭოთა ეკონომისტების ნაშრომები მიუთთებენ, სიძნელეების მიუხედავად საკოლმეურნეო მოძრაობამ 30-იანი წლების დასასრულს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და შედეგიც თვალსაჩინო აჩვენა: 1937 წელს საქართველოში ნათესი ფართობი გაიზარდა 1 016,8 ათას ჰექტარამდე (1913 წელს ის შეადგენდა – 747,4 ათასი ჰა), მათ შორის მარცვლეული და ცერცვოვანი კულტურების ფართობმა 873,5 ათასი შეადგინა (1913 წელს იყო 706,7 ათასი ჰა), თამბაქოს ნათესი ფართობი უკვე უდრიდა 21,1 ათას ჰა (1913 წელს იყო 10,5 ათასი ჰა), მზესუმზირის – 13,5ათასს ჰა (1913 წელს იყო 0,7 ათასი ჰა), ვენახების ფართობმა შეადგინა 45 ათასი ჰექტარი (1913 წ. 49,4 ათასი ჰა.) და ა.შ. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვენახი საქართველოში უკვე I მსოფლიო ომის პერიოდში ძლიერ გაანადგურა ფილოქსერამ, რისი ბოლომდე გამოსწორება მხოლოდ II მსოფლიო ომის შემდეგ გახდა შესაძლებელი (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 351-354).

მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში პირუტყვის სულადობაც: ცხენი 165 ათასი (1913 წელს იყო 134 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 1 760 ათასი სული (1913 წელს 1333 ათასი სული), მათ შორის ძროხა 541 ათასი სული (1913 წელს იყო 452 ათასი სული), ცხვარი და თხა 1 742 ათასი სული (1913 წელს იყო 1 085 ათასი სული) და ა.შ. (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა... 1967: 360).

მთლიანად საქართველოს მასშტაბით კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალიც მნიშვნელოვნად გაიზარდა: თუ 1934 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 130 190 481 მანეთს, 1938 წელს მან შეადგინა 316 093 093 მანეთი.

როგორც საბჭოთა სტატისტიკა ამტკიცებს -„უდიდესი მიღწევას წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1937 წელს თითქმის არ იყო არც ერთი უძროხო კოლმეურნე. ეს არნახული მოვლენა იყო ქართველი მშრომელი გლეხობის ისტორიაში“ (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 365).
შედეგი ცხრა: მთავარი და გადამწყვეტი კი იყო ის – რომ როგორც ზოგადად საბჭოთა სოფელში, ისევე საქართველოშიც, 1937 წლის ახლო ხანებში დამყარდა ერთპიროვნული და განუყოფელი დიქტატორული ბატონობა საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელმაც თავისი მიზანი განახორციელა – მან სრულად და საბოლოოდ დაიმორჩილა და დაიქვემდებარა გლეხი – როგორც თითოეული ცალკ-ცალკე, ისე მთლიანად – კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დახმარებით.

შედეგი ათი: მაგრამ ამ „საბჭოთა მკაცრ რეალობას“ თავისი კომპენსაციაც ჰქონდა – ეს იყო საქართველოს სოფლებში, მათ შორის კახეთშიც, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების ფართო ქსელის შექმნა და მათი წარმატებითი ფუნქციონირება. თითქმის ყველა სოფელში გაიხსნა დაწყებითი სკოლა, ბევრგან – ამბულატორია, სასოფლო რაიონებში ფუნქციონირებდნენ სამუსიკო სასწავლებლები, მილიონერმა კოლმეურნეობებმა დაიწყეს კულტურის სახლებისა და სასახლეების მშენებლობა, ადგილებზე მუშაობდნენ თვითმოქმედების წრეები და ჯგუფები, თითქმის ყველა სოფელში იყო ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა და ა.შ. კოლმეურნე გლეხობის შვილებისათვის ღია იყო ყველა უმაღლესი სკოლისა თუ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კარი, სადაც ისინი უფასოდ ეუფლებოდნენ არჩეულ პროფესიას.

კომუნისტური პარტიის ლიდერების თვალსაზრისით ეს ყველაფერი საკმარისი იყო საბჭოთა გლეხის ბედნიერი და ხალისიანი ცხოვრებისათვის. რამდენად გაუმართლა საბჭოთა სოფელმა საბჭოთა ხელმძღვანელობას – ეს ყველაზე უფრო II მსოფლიო ომის ხანგრძლივმა და გამანადგურებელმა ისტორიამ აჩვენა.

§ 11. დიდი გამოცდა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კოლმეურნეობის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ შესაძლო, საბედისწერო ომის დროს საბჭოთა სახელმწიფოს „ხელში ჰქონოდა“და მთლიანად გაეკონტროლებინა სურსათ-სანოვაგის უზარმაზარი რესურსების „მოძრაობა“ – მისი გასხვისება, განაწილება, მოხმარება, რაც მას თავიდან ააცილებდა „სასურსათო შიმშილს“, „სასურსათო კრიზისს“, რაც შეიძლება საბედისწერო გამხდარიყო არა მარტო

კომუნისტური რეჟიმისათვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს მომავალი ფიზიკური არსებობისათვისაც.

და ეს „დიდი გამოცდა“ 1941 წლის 22 ივნისს, დილით 4 საათზე დაიწყო, როცა ფაშისტური გერმანიის ჯარებმა, ომის გამოცხადების გარეშე, გადმოლახეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები, დაბომბეს მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები და აეროდრომები. დაიწყო ე.წ. „დიდი სამამულო ომი“.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ომის დაწყებისთანავე სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რაც გაჭიანურებული ბრძოლების გამო კიდევ უფრო რთული გახდა – პირველ რიგში სოფელს მოაკლდა სამუშაო ძალა, საქართველოდან წითელ არმიაში გაწვეული 700 ათასი მეომრიდან მნიშვნელოვანი ნაწილი – სოფლის მოსახლეობა იყო. კახეთის რაიონებიდან დაახლოებით 100 000 მებრძოლი მონაწილეობდა საბედისწერო ომის სხვადასხვა ფრონტსა თუ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციაში. სოფლებში დარჩნენ მოხუცები, ქალები და ბავშვები.

ომის პირველი თვეების წარუმატებლობამ, საბჭოთა დასავლეთის, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარი რეგიონების (ყუბანის, ჩრ. კავკასიის, უკრაინისა და ბელორუსიის ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების) დაკარგვის გამო, საბჭოთა ჯარების სურსათით მომარაგების მთელი სიმძიმე რუსეთის ჯერ კიდევ თავისუფალი ტერიტორიებს, ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების სოფლის მოსახლეობას დააწვა მხრებზე და მათაც ეს ამოცანა, უდიდესი ენერგიის დაძაბვით, შეძლებისამებრ შეასრულეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელი ომის მანძილზე უდიდესი ენერგიით იღვწოდნენ – მათ შორის იყო კახეთის რეგიონის სოფლის მოსახლეობაც. მათ თითოეულმა ცალკ-ცალკე და ყველამ ერთად, სრულიად საქართველოსთან ერთად უდიდესი მსხერპლი გაიღეს „ყავისფერის ჭირის“ განადგურების მსოფლიო ისტორიული ამოცანის შესრულების საქმეში.

აი, ამ თეზისის დამადასტურებელი ფაქტები: მოულოდნელად დაწყებულმა ომმა პირველ რიგში კადრების საკითხი დააყენა – კახეთის სოფელი მამაკაცებისაგან დაიცალა, მანქანა ტრაქტორთა სადგურებიდან საბჭოთა წითელ არმიაში გაიწვიეს ტრაქტორისტების, კომბაინერების, ტექნიკური პურსონალის დიდი ნაწილი. ამან სერიოზულად შეზღუდა სოფლის ტექნიკური აღჭურვილობის შესაძლებლობა. გამოსავალი მალე გამონახეს – მანქანა-ტრაქტორთა სადგურში სამუშაოდ წავიდნენ სოფლის ქალები. ცნობილია, რომ თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ 72 ქალმა-ენთუზიასტმა 1941 წლის ზაფხულში, მიმდინარე ომის პირობებში, 8 დღის განმავლობაში უდანაკარგოდ აიღო მთელი კოლმეურნეობის მარცვლეულის მოსავალი (ბაბალაშვილი, 1980, 130).

კახეთის სოფლის დიასახლისი ქალები, პენსიონერები, მოზარდი ბავშვები მოვიდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ. სწორედ მათ მხრებზე გადავიდა ომის პირველი თვეების უმძიმესი პერიოდის სირთულეები და პრობლემები. იმჟამად საქართველოს სოფელს ძალიან უჭირდა, მაგრამ ძალიან მაღალი იყო პატრიოტული შემართება და საქართველოს სოფლის მოსახლეობა უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ომით გამოწვეულ სიძნელეებს, თავისი შრომითი შემართებით ხშირად წარმატებითაც უმკლავდებოდა მათ. დადასტურებული ფაქტია – ომის პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობამ ძირითადად პირნათლად შეასრულა სახელმწიფო დავალებები და ნაკისრი ვალდებულებები, ფრონტის საჭიროებისათვის გააგზავნა სურსათი და სანოვაგე სახელმწიფო გეგმებზე უფრო მეტი. ამ საქმეში კახეთის რეგიონის მშრომელთა ღვაწლი მნიშვნელოვანია.

პირველ რიგში – აღსანიშნავია მარცვლეული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობის ზრდა, რაც ძირითადად სწორედ კახეთის მემარცვლეობის წამყვანი რაიონების მშრომელთა გმირული ძალისხმევით გახდა შესაძლებელი – 1941 წელს საქართველოში დაამზადეს 7,3 მილიონი ცენტნერი ხორბალი, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობდა წინა წლის მაჩვენებელს. ეს შედეგი მომდენო წლებშიც შეინარჩუნეს.

საგრძნობლად ამაღლდა ყურძნის დამზადების მაჩვენებელიც. როგორც სტატისტიკური კრებულები მიუთითებენ, ომის პირველ წლებში საქართველოს ყურძნის წარმოების 19 რაიონში 292,4 ათასი ცენტნერი ყურძენი მოიწიეს, რაც ასევე მნიშვნელოვნად აჭარბებდა წინა წლის მაჩვენებელს. თვალსაჩინო იყო ზრდა კახეთისათვის მეტად მნიშვნელოვანი სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების მიმართულებითაც – თამბაქოს, ეთერზეთების, ბოსტნეულისა და ბახჩეულის საჰექტარო მოსავალიანობა, მართლაც, საგრძნობლად გაიზარდა. ომის წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეაბრეშუმეობას – მის ნაწარმს ხომ აქტიურად იყენებდნენ პარაშუტის დამზადების საქმეში. ამიტომაც მაღალხარისხოვან ქართულ აბრეშუმზე ომის წლებში მუდამ დიდი მოთხოვნილება იყო.

სასოფლო-სამეურნეო დოვლათის სწრაფი გადიდების მნიშვნელოვანი საშუალება გახდა სათესი ფართობების ზრდა, რაც ხანგძლივი ომის პერიოდში საქართველოში, მათ შორის კახეთის რეგიონში მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა. გაზეთი „იზვესტია“ 1944 წლის მოწინავეში „საქართველოს კოლმეურნეთა შრომითი მამაცობა“ წერდა: “ომის განმავლობაში საქართველოს კოლმერნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 80 ათასი ჰექტარით გაადიდეს ნათესი ფართობი... მარცვლეულის მოსავლიანობა ომის განმავლობაში 1,5 ცენტნერით გადიდდა თვითოეულ ჰექტარზე“ (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 468). დიდი მიხვედრა არ უნდა, რომ ამ შემთხვევაშიც საუბარია სწორედ კახეთის მშრომელებზეც – რომლებიც საქართველოში მარცვლეული კულტურების ძირითადი მწარმოებლები იყვნენ.

საქართველოს სოფლის მშრომელები ომის წლებში იჩენდნენ უდიდეს ენთუზიაზმს, პატრიოტიზმს, საბჭოთა არმიის მებრძოლების მიმართ ზრუნვას. ძალიან ხშირად რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებიდან, ფრონტებზე იგზავნებოდა სოფლის ნობათი – ქართული სოფლის საოჯახო პროდუქცია: თბილი წინდები, ოჯახში ნაქსოვი ხელთათმანები და კაშნეები, მოსასხამი ნაბადები, თბილი ქუდები, ჩურჩხელები, ღვინო და არაყი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს სოფლის მშრომელებმა ომის დაწყებისთანავე თავდაცვის სახელმწიფო ფონდში შეიტანეს თავისი ფულადი დანაზოგები, ოქრო, ვერცხი, ძვირფასი ქვები. მიუხედავად სიძნელეებისა, ქართველმა კოლმეურნეებმა ომის პერიოდში შეაგროვეს გარკვეული თანხა და ფრონტს გაუგზავნეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“. ამ პატრიოტულ საქმეში ძალიან დიდი იყო კახეთის სოფლის მშრომელების წვლილიც. ცნობილია, რომ მარტო გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. ტატიშვილმა ამ კოლონის შეძენის ფონდში შეიტანა 120 ათასი მანეთი, ხოლო ამავე კოლმეურენეობის ბუღალტერმა – 40 ათასი მანეთი (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 471).

შრომით მიღწევებთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს კახეთიდან წარგზავნილების საბრძოლო მამაცობის შესახებ. ისინი ფაქტობრივად იბრძოდნენ თითქმის ყველა ფრონტზე, მონაწილეობას იღებდნენ ყველა საბრძოლო ოპერაციაში – დაწყებული კავკასიიისათვის ბრძოლით და დასრულებული ბერლინის ალყის დამაგვირგვინებელი ეპოპეით. სტალინგრადის, მოსკოვისა თუ ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის, მინსკისათვის ბრძოლის თითქმის ყველა ოპერაციაში ჩვენ ვხვდებით გმირ მებრძოლებს გურჯაანიდან, ახმეტიდან, სიღნაღიდან, წითელწყაროდან, საგარეჯოდან. მაგრამ მაინც ყველაზე დასამახსოვრებელი და მსოფლიო მნიშვნელობის იყო რიგითი კახელი ვაჟკაცის ფორე მოსულიშვილის გმირობა იტალიაში, ლაგო მაჯორეს ტბის მიდამოებში. მან თავი შესწირა იტალიისა და საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანების ერთობლი სურვილს – ერთხელ და სამუდამოდ გაენადგურებინათ ფაშიზმი. ამ გმირობისთვის იტალიის ხალხმა ფორე მოსულიშვილი სიკვდილის შემდეგ „იტალიის ეროვნული გმირის“ საპატიო წოდებით დააჯილდოვა. (ნათმელაძე, 2012, 400).

ეს არ იყო ერთეული შემთხვევა – კახეთიდან II მსოფლიო ომის ფრონტებზე მებრძოლი გმირების მემორიალები კახეთის ქალაქებსა თუ სოფლებში დღესაც გვახსენებენ იმ უდიდეს წვლილს, რაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ შეიტანა. ამიტომაც ასეთი დიდი იყო 1945 წლის 9 მაისის გამარჯვების დღით გამოწვეული სიხარული სრულიად საქართველოში.

და მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ კახელი გლეხის, გურჯაანელი გიორგი მახარაშვილის – ამ ჭეშმარიტად „ჯარისკაცის მამის“ გმირული ფიგურა, ასე ამაყად რომ აღმართულა გურჯაანის შემაღლებულ ბორცვზე, დღესაც მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებისათვის

არის სიმბოლო შვილმკდარი მამის, რომელიც მთელი თავისი არსით ებრძვის ბოროტებას და ამყარებს სიკეთეს.

ომის შემდგომ წლებში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საქართველოში საბოლოოდ განმტკიცდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ომის დაწყების წინ კახეთის სოფლის მშრომელების 90 პროცენტზე მეტი უკვე კოლმეურნეობებში იყო გაერთიანებული და ძირითადად კოლექტიურ შრომას მისდევდა. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა საქართველოში, მათ შორის კახეთშიც, თითქმის აღარ გვხვდება. კოლექტიურმა შრომამ გაიმარჯვა.

ომისშემდგომი წლები საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის გამორჩეული წლებია. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ი. სტალინის მიერ იგეგმებოდა გარკვეული ცვლილებები საბჭოთა ეკონომიკის მართვისა და მისი სტიმულირების შემდგომი ამაღლების მიზნით. „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში“ – ასე ჰქვია ი. სტალინის ნაშრომს, რომელიც მან XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დაწერა და, ჩვენი აზრით, საბჭოთა ეკონომიკის სერიოზული გაჯანსაღებას ითვალისწინებდა. მეტად საყურადღება მისი აღიარება: „პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მისი კანონები, ბუნებისმეცნიერების კანონებისაგან განსხავებით, არახანგრძლივია, რომ ისინი, მათი უმეტესობა მაინც, გარკვეული ისტორიული პერიოდის განმავლობაში მოქმედებენ, რის შემდეგ ადგილს უთმობენ ახალ კანონებს.“ (სტალინი, სოცილიზმის..., 1952, 6). სტალინის ამ ნაშრომში ჩამოყალიბებულ დებულებებს დღეს შეიძლება ყველას არ დავეთანხმოთ, მაგრამ მთავარი, ჩვენი აზრით ის არის, რომ 50-იანი წლების დასაწყისში სერიოზულად დადგა ეკონომიკის მართის მექანიზმის დახვეწის, გაუმჯობესების ამოცანა, რაც, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ საბჭოთა ეკონომიკაში სერიოზული პრობლემები იყო.

რა თქმა უნდა, ეს პრობლემები პირველ რიგში აშკარად ჩანდა სოფლის მეურნეობაში, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა საბჭოთა მრეწველობას როგორც განვითარებს ტემპებით, ისე მიღწეული შედეგებით. საბჭოთა იტორიკოსები ასახელებენ შემედეგ ციფრებს: თუ 1913 წელთან შედარებით 1950 წელს საბჭოთა მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 14,7-ჯერ, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია – მხოლოდ 40 პროცენტით (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 488). ეს აშკარად დრამატული დისბალანსი იყო.

ამიტომაც სოფლის მეურნეობას უნდა მიქცეოდა მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება, აუცილებლად უნდა გაანალიზებულიყო ის კონკრეტული რეალობა, რაც საბჭოთა სოფელში შეიქმნა XX საუკუნის 30-იან წლებში, კიდევ უფრო კრიტიკულად უნდა შეესწავლათ კოლმეურნეობა და მისი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, საბჭოთა სოფლის განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონები, განსაკუთრებით ე.წ. „სტალინური დუალიზმი“ სოფლად – მისი დადებითი თუ უარყოფითი შედეგები. მაგრამ ეს ასე არ მოხდა – 1953 წლის მარტში გარდაიცვალა ი. სტალინი. იმავე წლის ზაფხულში დააპატიმრეს ლ. ბერია, ხოლო ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნ.

ხრუშჩოვი, რომელმაც XX ყრილობაზე მიღებული ანტისტალინური კურსით ფაქტობრივად დაიწყო საბჭოთა სისტემის დემონტაჟი.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიით, უდანაშაულო ქართველი ახალგაზრდობის საპროტესტო აქციის დარბევით, ნ. ხრუშჩოვმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სოციალიზმის რუსული მოდელის კრიზისს...

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჟღენტი თ., კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976.;
2. კოჭლავაშვილი ა., საკოლმეურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპი, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 7, თბ., 1976.
3. ბაბალაშვილი ი., სოფლის მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 8, თბ., 1980
4. ნათმელაძე მ. საქართველოდან წარგზავნილები მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე, იხ,: საქართველოს ისტორია (ოთხტომეული), ტ. IV, თბ., 2012.
5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967. თბ., 1967.
6. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია – მოკლე კურსი, თბ., 1952.
7. სტალინი ი. ბ., ლენინიზმის საკითხები, თბ., 1952.
8. სტალინი ი. ბ., სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952.
9. Рыбас С., Рыбас Е., Сталин- судьба и стратегия, М., 2007.
10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (სშსს) არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4.
11. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს. 30.
12. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 21, ს. 3.
13. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს. 34.
14. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 12, ს. 70.
15. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 11, ს. 5.
16. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 7, ს. 1.
17. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 4, ს. 448.
18. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 7, ს. 278.
19. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 6, ს. 386.

20. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 286.
21. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 286.
22. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 278, ფურც. 84.
23. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8, ს. 285.
24. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 6. ს. 386.
25. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 8. ს. 276.
26. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 7. ს. 127.
27. სშსს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ.8, ს.167.

თავი VII.

კახეთის სოფლის მეურნეობა სოციალიზმის რუსული მოდელის კრიზისის პერიოდში

§ 1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირში

60-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში განმტკიცდა ნიკიტა ხრუშჩოვის ერთპიროვნული ძალაუფლება. ამ ძალაუფლებით აღჭურვილმა მან 50-60-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირში განახორციელა რიგი ეკონომიკური რეფორმა, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა ი. სტალინის შეხედულებებს და ხრუშჩოვის ახალი კურსის მიმდევრების მიერ შეფასებული იყო როგორც საბჭოთა ეკონომიკის მმართვის ოპტიმალური მექანიზმი. სიახლეები განახორციელეს სოფლის მეურნეობის დარგშიც – ვარაუდობდნენ, რომ უკვე აშკარად შესამჩნევი პრობლემები საბჭოთა აგრარულ სექტორში ამ სიახლეებით დაიძლეოდა. უპირველეს ყოვლისა, გადაწყდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, განსაკუთრებით ყაზახეთის უკიდეგანო ტრამალებზე, რამაც უდიდესი კაპიტალდაბანდებები მოითხოვა, გამოიწვია ყაზახეთის სსრ-ს ეთნიკური სურათის რადიკალური შეცვლა – რესპუბლიკაში შეიყვანეს რამდენიმე მილიონი რუსულენოვანი მოსახლეობა. ყამირი მიწების ათვისებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს წარგზავნილებიც: თითქმი ყველა რაიონიდან ყამირზე სისტემატურად იგზავნებოდნენ მივლინებით ან მუდმივად საცხოვრებლად ტრაქტორისტების, კომბაინერების, მშენებლების და სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგის მუშაკების ბრიგადები თუ ცალკეული წარმომადგენლები.

ნ. ხრუშჩოვის ოპონენტები (ვ. მოლოტოვი, გ. მალენკოვი, ლ. კოგანოვიჩი და სხვ.) თვლიდნენ, რომ ყამირის ათვისება ყაზახეთის ტრამალებში არ წარმოადგენდა აუცილებელ ნაბიჯს, რადგან ამ პროექტის განსახორციელებლად დახარჯული მილიარდობით მანეთის მეათედიც რომ დახარჯულიყო უკვე ექსპლოატაციაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მწარმოებლურობის ამაღლებაზე, საბჭოთა სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, შედეგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტიანი იქნებოდა. ნ. ხრუშჩოვმა პოლიტიკური ოპონენტები (ე.წ. „სტალინური გვარდია“) ხელისუფლებას ჩამოაცილა.

უკვე იმჟამად ბევრი აკრიტიკებდა ნ. ხრუშჩოვის გადაწყვეტილებას გაეუქმებინა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა უშუალოდ კოლმეურნეობებს შეეძინათ. მართალია, იყვნენ ექსპერტები, რომლებიც თვლიდნენ, რომ „მტს-ების რეორგანიზაციისა და მეტად მნიშვნელოვანი მანქანების კოლმეურნეობების ხელში გადასვლით ძირეუ-

ლად შეიცვალა კოლმეურნეობებისადმი საწარმოო-ტექნიკური მომსახურება. დამყარდა ეკონომიკური კავშირურთიერთობების ახალი ფორმები სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს შორის... ხელი შეუწყო კოლმეურნეობების შემოსავლიანობის, საკოლმეურნეო-კოოპერატიული საკუთრების გადიდებასა და განმტკიცებას, განუყოფელი ფონდების ზრდას“ (ბრეგაძე, 1980, 407). მაგრამ, მიუხედავად ასეთი მაჟორული შეფასებისა, სულ რამდენიმე წელში გამოვლინდა, რომ ამ ნოვაციამ სერიოზულად გაართულა ვითარება სოფლად: კოლმეურნეობებს იძულებით შეასყიდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რამაც მათი ფინანსური მდგომარეობა სერიოზულად გააუარესა – ფაქტობრივად სახელმწიფომ ფინანსურად გაძარცვა კოლმეურნეობები. ამასთან, კოლმეურნეობებს არ ჰქონდათ ტექნიკის მოვლის არც გამოცდილება და ამისათვის არც სათანადო კადრები ჰყავდათ; ამავე დროს, მათ არ შეეძლოთ მიეცათ ტრაქტორისტებისა და კომბაინერებისათვის მაღალი ანაზღაურები – ამიტომაც კადრები „დაეფანტათ“ – ისინი უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურებში გადავიდნენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტექნიკის ბევრი სახეობა მორალურად ან ფიზიკურად უკვე მოძველებული იყო, ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან და ძალიან მალე საჭირო გახდა მათი განახლება – რისი შესაძლებლობებიც კოლმეურნეობებს უკვე აღარ ჰქონდათ. ყველაფერმა ამან დამატებითი პრობლემები შეუქმნა კოლმეურნეობებს.

სერიოზული დარტყმა იყო საბჭოთა სოფლისათვის ხრუშჩოვის 1956 წლის 6 მარტის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში გადაცემული საკარმიდამო ნაკვეთებისა და მათ საკუთრებაში მყოფი პირუტყვის რაოდენობის შემცირების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს ე.წ. „კერძომესაკუთრული ინსტინქტების“ წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ვითარებაში და ამ „ინსტინქტების“ დაძლევის მიზნით. მაგრამ ამ ადმინისტრაციულმა ღონისძიებამ ფაქტობრივად ხელოვნურად ხელი შეუწყო ადგილებზე საქონლის სულადობის შემცირებას. კოლმეურნეები საქართველოშიც იძულებული გახდნენ დაეკლათ პირად საკუთრებაში მყოფი, ნორმის ზევით არსებული, საქონელი. ამან მოგვიანებით შექმნა ხელოვნური დეფიციტი საბჭოთა ბაზარზე.

კიდევ უფრო კურიოზული იყო ხრუშჩოვის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში „მინდვრის დედოფლის“ – სიმინდის ფართობების ფორსირებული გადიდების შესახებ. ეს დავალება საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ნ. ხრუშჩოვმა თბილისში სტუმრობის დროსაც გაუმეორა. აღსანიშნავია, რომ ნ. ხრუშჩოვი საქართველოში ყოფნის დროს კახეთსაც ესტუმრა, დაათვალიერა რამდენიმე წარმატებული მეურნეობა და გამოთქვა მოსაზრება ვენახის რიგებს შორის სიმინდის მოყვანის შესაძლებლობის შესახებ. მსგავსი და კიდევ უფრო მეტად გაუაზრებელი ნოვაციები შეეხო როგორც მრეწველობის, ისე პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებსაც.

ამასთან, ნ. ხრუშჩოვის მომხრეებმა სკკპ XXII ყრილობას (1961 წლის ოქტომბერი) მიაღებინეს კომუნისტური პარტიის ახალი, უტოპიური მესამე

პროგრამა. იგი 1980 წლისათვის საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური სისტემის გამარჯვებას ითვალისწინებდა: „უახლოეს ათწლეულში (1961-1970 წლებში) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას – ამერიკის შეერთებულ შტატებს; მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, ყველასთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინაზე; გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება. მეორე ათწლეულის შედეგად (1971-1980 წლებში) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის; საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების პრინციპის განხორციელებასთან, მოხდება თანდათან გადასვლა ერთიან საერთო სახალხო საკუთრებაზე. ამრიგად, სსრ კავშირში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება“ (სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, 455).

თავიდან ბოლომდე ეკონომიკურად მცდარი და სოციალურად ილუზორული დოკუმენტი ვარაუდობდა სულ რაღაც ოც წელწადში ქვეყანაში ისეთ ფანტასტიკურ ეკონომიკურ აღმავლობას, რის საფუძველზეც განხორციელდებოდა კომუნისტური პრინციპი: „თითოეულისაგან – უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით!“

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საპროგრამო დოკუმენტი აღსავსე იყო სამშვიდობო მოწოდებებით, საბჭოთა ხელმძღვანელობის ერთგულებით „მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისადმი“, საერთაშორისო მდგომარეობა მსოფლიოში კვლავ დაძაბული რჩებოდა: საბჭოთა კავშირი განაგრძობდა კომუნისტურ ექსპანსიას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. უზარმაზარი სახსრები ხმარდებოდა პროსაბჭოთა რეჟიმების სუფსიდირებას.

მაგრამ ძალიან მალე აშკარა გახდა, რომ 50-იან წლების მეორე ნახევარში განხორციელებული რეორგანიზაციები არაეფექტური იყო: ეკონომიკის მართვის ახალი სისტემა ნაკლებად შედეგიანი, მოუქნელი ეკონომიკური სტრუქტურა აღმოჩნდა.

1961 წელს განხორციელდა ფულის რეფორმა, რამაც ათჯერ შეამცირა ფულის არსებული მასშტაბი და მომავალში აშკარა ინფლაცია უზრუნველყო.

სერიოზული პრობლემები იყო სამომხმარებლო ბაზარზე – 1963 წელს შეიქმნა სერიოზული დაძაბულობა ქვეყნის რეგიონების პურით მომარაგების საქმეში. საქართველოში პურის მაღაზიებთან უზარმაზარი რიგები გაჩნდა.

სიძნელეები შეიქმნა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საგრძნობლად შენელდა შრომისნაყოფიე-

რების ზრდა, ყოველ დახარჯულ მანეთზე პროდუქციის უკუგება, ჭიანურდებოდა ახალი სამრეწველო ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა, ნელა ინერგებოდა წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები, ეკონომიკური დაგეგმვის დროს ხშირი იყო შეცდომები, ეკონომიკური კანონების უგულვებელყოფა, წარმოებული პროდუქცია იყო დაბალი ხარისხის და ა.შ.

ყოველივე ამის საპირისპიროდ, დასავლეთში თანდათან იწყებოდა და ყოველწლიურად ძალას იკრებდა ახალი სამრეწველო რევოლუცია. იქ მიმდინარეობდა გრანდიოზული ძვრები ეკონომიკის ყველა დარგში.

საშინაო და საგარეო ფაქტორების ერთობლიობამ აშკარა გახადა საბჭოთა ქვეყანაში რეფორმების აუცილებლობა. პარტიულმა და საბჭოთა ელიტამ ამ ცვლილებების რეალიზაცია დაიწყო ნ. ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ. 1964 წლის ოქტომბრის პლენუმზე შეთქმულებმა (ლ. ბრეჟნევმა, ა.კოსიგინმა, ნ. პოდგორნიმ, მ. სუსლოვმა, ვ. მჟავანაძემ და სხვ.) აიძულეს ნ. ხრუშჩოვი „ჯანმრთელობის გაუარესების“ საბაბით თანამდებობიდან გადამდგარიყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ლ. ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს გამოცდილი სამეურნეო მუშაკი – ა. კოსიგინი.

ახალმა ხელისუფლებამ ხრუშჩოვის მიერ განხორციელებული ბევრი ნოვაცია გააუქმა – მაგრამ მთავარი ის იყო, რომ დაიწყეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების განხორცილება. საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული პრობლემების მოწესრიგებას ითვალისწინებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმი. 60-იან წლებში უკვე აშკარა გახდა სოფლად აგრარული ურთიერთობების მახინჯი ხასიათი: დაბალი პროდუქტიულობა, უპასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ქონების დატაცება.

ახალი ეკონომიკური რეფორმის საერთო მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდა ზოგიერთი ღონისძიება, რასაც გარკვეული წინსვლა უნდა გამოეწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში: გამოიყო ასიგნებანი სამელიორაციო სამუშაოების გასაფართოებლად, ახალი ნასვენი და ყამირი მიწების ასათვისებლად. ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და ავტომატიზაციას, ახალი, უფრო ეფექტური სასოფლო-სამეურნეო მანქანებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგებას, მინერალური სასუქების შეტანას და ა.შ.

60-იანი წლების შუა ხანებში საქართველოში 1435 კოლმეურნეობა და 168 საბჭოთა მეურნეობა იყო. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ დარგების ინტენსიურ განვითარებას, რაც საერთო-საკავშირო შრომით დანაწილებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარგობრივ გადანაწილებაში, საქართველოს იმიჯს ქმნიდა: კახეთის რეგიონისათვის ეს იყო მევენახეობა, მემინდვრეობა, მესაქონლეობა, თამბაქოს კულტურა და ეთერზეთების პლანტაციები და სხვ.

§ 2. კახეთისათვის ტადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგები XX საუკუნის 60-80-იან წლებში

მევენახეობა. კახეთის მოსახლეობისათვის მევენახეობა ტრადიციული, საუკუნეების მანძილზე შესისლხორცებული და გათავისებული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია. როგორც ვნახეთ, საბჭოთა პერიოდშიც, კახეთისათვის მევენახეობა ითვლებოდა ძირითად და წამყვან სასოფლო-სამეურნეო სახეობად, რომელიც ნედლეულით ამარაგებდა საქართველოს ღვინის ქარხნებს და სწორედ მის საფუძველზე მზადდებოდა სახელგანთქმული ქართული ღვინოების უდიდესი უმეტესობა. ამიტომაც კახეთის მეღვინეობა-მევენახეობის რაიონებში XX საუკუნის 60-80-იან წლებშიც ამ დარგს ყურადღება და მზრუნველობა არ მოკლებია. პირიქით, ეს მზრუნველობა კიდევ უფრო გააქტიურდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა ვენახების საერთო რაოდენობის ზრდაში – ახალი ვენახების გაშენების საქმეში. როგორც ცნობილია, საბჭოთა გეგმური ეკონომიკის პირობებში აუცილებელი იყო, რომ ყოველწლიურად დაგეგმილიყო ახალი ვენახების ექსპლოატაციაში შესვლის საბაზისო მაჩვენებლები და, რა თქმა უნდა, შემდეგ უნდა მომხდარიყო ამ დასახული გეგმის რეალიზება. პრაქტიკაში გავრცელებული იყო „გადიდებული ვალდებულებების“ მიღებაც – რაც გულისხმობდა გეგმაში მოცემული დაკანონებული რაოდენობის გადაჭარბებით შესრულებას.

60-იანი წლების დასაწყისში კახეთის ყველა რაიონში ექსპლოატაციაში არსებული ვენახები საკმაოდ მნიშვნელოვან ტერიტორიებზე იყო გადაჭიმული: საგარეჯოს რაიონში მათ ეკავათ – 3306 ჰექტარი, გურჯაანის რაიონში – 8110 ჰექტარი, სიღნაღის რაიონში – 3104 ჰექტარი, წითელწყაროს რაიონში – 1927 ჰექტარი, თელავის რაიონში – 7439 ჰექტარი, ახმეტის რაიონში – 2803 ჰექტარი, ყვარლის რაიონში – 4246 ჰექტარი და ლაგოდეხის რაიონში – 2161 ჰექტარი. (სუიცსა, ს.7273, 32).

სტატისტიკური მასალა აშკარად მიუთითებს, რომ უკვე იმჟამად კახეთის რეგიონში ვენახების საჰექტარო ფართობებით განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავათ: გურჯაანის (8110 ჰექტარი), თელავის (7439 ჰექტარი), ყვარლის (4246 ჰექტარი), სიღნაღის (3104 ჰექტარი) და საგარეჯოს რაიონებს (3306 ჰექტარი), რაც ძირითადად აიხსნება გეო-კლიმატური პირობებით და ამ დარგის მიმართ მოსახლეობის ტრადიციულად გამორჩეული დამოკიდებულებით. კახეთის სხვა რაიონებში მევენახეობას, ასევე, ბუნებრივი პირობებდან გამომდინარე, შედარებით მოკრძალებული მდგომარეობა ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ საკუთრების ფორმის მიხედვით ეს საჰექტარო მოცულობები თანაბრად არ იყო გადანაწილებული კახეთის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს შორის. იყო რაიონები, სადაც ვენახები ძირითადად სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა (მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში ვენახები მხოლოდ სახელმწიფო საკუთრება იყო და მის ექსპლოატა-

ციას მხოლოდ საბჭოთა მეურნეობები ახდენდნენ, საგარეჯოს რაიონში საბჭოთა მეურნეობების ხელში იყო ვენახის ფართობის უმრავლესობა – 1748 ჰექტარი), თუმცა ყველა სხვა რაიონში ვენახები ძირითადად კოოპერაციული-კოლექტიური საკუთრება ჩანს და კოლმეურნეობები უწევდნენ ექსპლოატაციას (გურჯაანში კოლმეურნეობების კუთვნილება იყო 5526 ჰექტარი ვენახი, სიღნაღში – 2572 ჰექტარი, თელავში – 4809 ჰექტარი და ა.შ.). წითელწყაროში სახელმწიფო და კოლექტიურ საკუთრებას შორის გარკვეული პარიტეტი იყო დამყარებული – საკუთრების ორივე ფორმა ფლობდა 1927:1927 ჰექტარს. კახეთის სხვა რაიონებში სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ვენახების რაოდენობა მცირეა – მაგალითად, სიღნაღის რაიონში სახელმწიფოს ხელში იყო მხოლოდ 532 ჰექტარი ვენახი, ყვარელში – 706 ჰექტარი. კოლმეურნეების „საკარმიმდამო მამულებში“ მსხმოიარე ვენახების საკითხს ჩვენს სპეციალურად ქვემოთ განვიხილავთ.

სახელმწიფო გეგმის მიხედვით კახეთის ყველა რაიონის მევენახეობის პროფილის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია ყოველწლიურად ზრდიდა ვენახის ფართობებს და ექსპლოატაციაში უშვებდა ახალ მასივებს. მაგალითად, თელავის რაიონის ხოდაშნის კოლმეურნეობაში 1965 წელს ვენახის არსებულ 172 ჰექტარს კიდევ 15 ჰექტარი ახალი ვენახი დაუმატეს („ალაზნის განთიადი, 1965, 8 აპრილი), ახმეტის მატანის მევენახეობი საბჭოთა მეურნეობაში ტრადიციულად ყოველწლიურად 100 ჰექტარ ახალ ვენახს უშვებდნენ ექსპლოატაციაში („ბახტრიონი“, 1970, 10 იანვარი). ამავე რაიონის მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ მარტო 1975 წელს დამატებით დაახლოებით 30 ჰექტარი ახალი ვაზი გააშენა („ბახტრიანი“, 1975, 18 იანვარი). ასეთივე ტრადიცია კახეთის სხვა რეგიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც იყო. ძირითადად აშენებდნენ სახელგანთქმული და უხვმოსავლიანი „რქაწითელისა“ და „საფერავის“ ჯიშის ყურძენს, თუმცა რიგ რეგიონში პოპულარული ჩანს „მანავის მწვანე“ და ყურძნის სხვა სახეობები.

უნდა აღინიშნოს, რომ დარგისადმი ასეთი მიდგომა უფრო ექსტენსიური განვითარების შეფერილობას იძენს, რადგან აშკარაა – ცდილობენ ახლადათვისებული ტერიტორიების გადიდებით გაზარდონ პროდუქციის საერთო მაჩვენებელი. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, რომ ახლადგაშენებულ ვენახებზე დახარჯული ათასები გამოყენებულიყო კონკრეტული მეურნეობის განვითარების ინტენსიურ მეთოდებზე გადასაყვანათ. რა მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ვენახების მშენებლობას, როცა კახეთის მევენახეობის რაიონებში საშუალოდ მეჩხერიანობა შეადგენდა 14 პროცენტს და ამ მაჩვენებლის შემცირებით შეიძლებოდა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო ყურძნის მოსავლის საერთო მაჩვენებელი (მაგალითად, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის 460 ჰექტარეზე გადაჭიმულ ვენახში მეჩხერიანი აღმოჩნდა 170 ჰექტარი. („ალაზნის განთიადი“, 1970, 18 თებერვალი).

სპეცილურ ურაში მითითებულია, რომ 1962 წელს ვაზის მეჩხერიანობით გამოწვეულმა ზარალმა მარტო თელავის რაიონში 199 ტონა ყურძენი შე-

ადგინა, რაც დაახლოებით 1 699 ათასი მანეთის დანაკარგი იყო (საქართველოს სსრ...,1967, 598). ამიტომაც, როგორც ზემდგომი სადირექტივო ორგანოები, ისე ადგილობრივი რაიონული პარტიული თუ სამეურნეო ხელმძღვანელობა მიზანმიმართულად ცდილობდა ამ სერიოზული ნაკლის გამოსწორებას.

კახეთის ვენახები სერიოზულად დააზიანა 1972 და 1976 წლების ყინვებმა, როცა კახეთში ტემპერატურა დაეცა მინუს 10-26 გრადუსამდე. ვენახის პრობლემა განსაკუთრებით გამოიხატა კვირტის სერიოზულ დაზიანებაში, რამაც ვაზს ვეგეტაციის შესაძლებლობა მოუსპო. ზოგიერთ რაიონში კი ვაზი თოვლის საფარის ზემოთ მთლიანად გაიყინა. განსაკუთრებით დაზიანდა სუფრის ჯიშის ყურძენი. ყინვიანმა ზამთრებმა დააზიანა გურჯაანის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები. დაიღუპა 25 660 ჰექტარი ვენახი, ამათგან 21 220 ჰექტარი – მოსავლიანი იყო. ამის გამო, როგორც ზემდგომი ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, სოფლის მშრომელებმა ვერ მიიღეს დამატებით 80 093 ტონა ყურძენი (სუისა, ს.7519, 11)

მარტო ყინვა არ იყო კახელი მევენახეების მთავარი ხელისშემშლელი – გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა მიწის ქარული ეროზიაც, რაც გავრცელებული იყო კახეთის რიგ რაიონში და სერიოზულ თავსატეხს უჩენდა სოფლის მშრომელებს. მაგალითად, სიღნაღის რაიონის უკანა მხარის კოლმეურნეობის მიწები განიცდიდა ქარულ ეროზიას და ეს შეეხო დაახლოებით 6500 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს. კოლმეურნელობა იძულებული გახდა ჩაეტარებინა მიწის ჯვარედინი დამუშავება (სუიცსა, ს. 7322, 8-10). ქარული ეროზიის წინააღმდეგ დაახლოებით 2000 ჰექტარზე სერიოზული ღონისძიებების გატარება დასჭირდათ საგარეჯოს, წითელწყაროს, გურჯაანის რაიონებშიც.

ამას ემატებოდა ხშირი წვიმები, პერიოდულად – სეტყვა, რაც კიდევ უფრო სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა კახელ მევენახეს. გასათვალისწინებელია პიროვნული დაუდევრობის შედეგად გაჩენილი სერიოზული ნაკლოვანებებიც – ვენახებში სარეველა ბალახის მომრავლება, ჭრაქისა და ნაცრის დაავადების გაჩენა, „მწვანე ოპერაციების“ არარეგულარული შესრულება და ა.შ. და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად კახეთის მევენახეების პრობლემების მოსაწესრიგებლად, სახელმწიფო დონეზე არსებობდა საკმაოდ განტოტვილი ქსელი სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც ყოველმხრივ სწავლობდნენ შექმნილ პრობლემებს და შეძლებისამებრ სოფლის მშრომელებს ამ პრობლემების გადაჭრაში ეხმარებოდნენ. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებობდა მევენახეობისა და მეხილეობის სამმართველო. ამის გარდა, სამინისტროსთან ფუნქციონირებდა საკმაოდ მდიდარი ტრადიციების მქონე მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მას კახეთშიც მუდმივმოქმედი ბაზები ჰქონდა და თავისი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით ცდილობდა მევენახეობაში არსებული პრობლემების მოგვარებას.

ყინვის შედეგების სალიკვიდაციოდ სამინისტრომ შექმნა დამატებით სპეციალური კომისიები, რომლებიც ადგილზე გაეცვნენ ვითარებას, შეიმუშავეს სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც ეხმარებოდა მშრომელებს მინიმუმამდე შეემცირებინათ ზარალი: გამოიყენეს ვენახების მლიანად გადახვნის მეთოდი, შეიტანეს აზოტოვანი, ფოსფორ-კალუმინიანი სასუქები და ა.შ. (სუიცსა, 7519, 78).

ყინვის შედეგების ლიკვიდაციის მთავარი მეთოდი – მაინც რიგითი მევენახეების მიზანმიმართული და სინდისიერი შრომა აღმოჩნდა. როგორც არსებული დოკუმენტური და პრესის მასალები ადასტურებენ, კახეთის მევენახეები სინდისიერი და შემოქმედებივი შრომით ხშირად თვალსაჩინო შედეგებს აღწევდნენ. მათ შესახებ წერდნენ გაზეთები, მათ რაიონებში განსაკუთრებით გამოარჩევდნენ, მათ ნიმუშოდ სახავდნენ. ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ ორ მაგალითს გამორჩეული მევენახეების შრომითი გამოცდილებიდან, რომელთა შედეგებიც იმჟამად სანიმუშოდ ჩაითვალა. მაგალითად, წინანდლის საბჭოთა მეურნეობის მევენახე ვ. ჩოვალიშვილს გაპიროვნებული ჰქონდა 2 ჰექტარი ვაზი, საიდანაც ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო. როგორც გაზეთის კორესპონდენტი წერდა: „ვაზი საგულდაგულოდ შემობარა, ნაკვეთი სარეველებისაგან გაწმინდა, დროულად ჩაატარა სარ-მავთულის რემონტი, მწვანე ოპერაციები, ვენახი აბლაბუდისმკეთებელი ტკიპის საწინააღმდეგო სპეციალური ქიმიური ხსნარით შეწამლა, 7-ჯერ ბორდოს ხსნარი შეასხურა, 2-ჯერ გოგირდი შეაფრქვია, ნაკვეთში ორგანული და მინერალური სასუქები შეიტანა. წლის მანძილზე ნიადაგი ყოველთვის ფხვიერ მდგომარეობაში ჰქონდა“ („ალაზნის განთიადი“, 1970, 6 იანვარი).

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს სხვა რაიონიდან: ახმეტის რაიონის ქისტაურელი მევენახეების ზვრები 137 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. მშრომელებმა აგროტექნიკური წესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება დროულად ჩაატარეს, შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქი, 6-ჯერ შაბიამნის სხნარი შეასხურეს, 8-ჯერ გოგირდი. ზვრებში ჩაატარეს რამდენიმე კულტივაცია („ბახტრიონი“, 1965, 15 ივლისი).

ამრიგად, წარმატების ფორმულა თითქოს არც თუ ისე რთული ჩანს. ზემოთმოტანილი საგაზეთო პუბლიკაციები ქვეცნობიერად ასახავს ვენახის დამუშავების იდეალურ ვარიატს XX საუკუნის 60-70-იან წლებში. საქმეში ჩახედული ხალხისათვის ვენახის მოვლის ამ ფორმულის დაცვა წარმატების მიღწევის მთავარ საშუალებად წარმოჩინდება. მაგრამ, როგორც ფაქტები ადასტურებენ, ამ, ერთი შეხედვით მარტივ ფორმულას, კახეთში ყველა სათანადოდ და მაღალ დონეზე არ ასრულებდა (სწორედ ამაშია საბჭოთა სოფლის მეურნეობრიობის პრობლემიანობის მთავარი გამოცანა).

ამიტომაც კახეთში საკმაოდ ბევრი იყო ჩამორჩენილი მევენახეობის პროფილის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია. მათ შესახებაც ბევრს წერდა იმჟამინდელი პრესა: „კურდღელაურელმა კოლმეურნე მევენახეებმა შარშან თავი შეირცხვინეს – 200 ჰექტარზე ძლივს აიღეს 300 ტონა ყურძენი. კლი-

მატური პირობების გარდა ეს ვენახის მოუვლელობამ განაპირობა“ („ბახტრიონი“, 1965, 19 იანვარი), აი, კიდევ რას წერდა სხვა კორესპონდენტი: „ახაშენის კოლმეურნეებს საუკეთესო ადგილებში აქვთ ვენახები. კარგი მოვლის პირობებში უხვი მოსავალი უნდა ჰქონდეთ. საერთოდ აქ ყურძნის დაბალი მოსავალი მოჰყავთ. ამას ბუნებას აბრალებენ. საკოლმეურნეო ვენახის ბევრ ნაკვეთს კოლმეურნეთა ხელი აკლია. დროზე და ხარისხიანად არ მუშავდება ნიადაგი, ნაკლებად ატარებენ მწვანე ოპერაციებს, შაბიამნის ხსნარს ხშირად მაშინ ასხურებენ, როცა ვენახი გაფურჩვნილი არ არის“.

როგორც ვხედავთ, კახეთის სოფლებში როგორც წარმატების, ისე წარუმატებლობების დროს ძალიან დიდი ადგილი ეკავა სუბიექტურ ფაქტორს. ამ საკითხებზე ძალიან ხშირად იყო საუბრები ვენახების რესპუბლიკური დათვალიერებების დროს, რასაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს პერიოდულად ატარებდა, ხოლო შემდეგ მისი შედეგები საკმაოდ პრინციპული მსჯელობის საგანი ხდებოდა. ამის საფუძველზე იღებდნენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს, თუ როგორ აღმოეფხვრათ არსებული ნაკლოვანებები, როგორ წაეხალისებინათ წარმატებული კოლმეურნეობები თუ საბჭოთა მეურნეობები: მატერიალური სტიმულირების ფორმებით, შრომის საუკეთესო ორგნიზატორისა და გამორჩეული მიღწევების მქონე პირების საპატიო სიგელების დაჯილდოებით თუ სხვა, მაშინ პოპულარული და მიღებული სტიმულებით.

მოვიტანთ ერთ-ერთ ტიპიურ მაგალითს: 1973 წელს მაისში ჩატარდა ვენახების მორიგი რესპუბლიკური დათვალიერება. იგი ჩატარდა საქართველოს 54 რაიონში და შეამოწმეს 1235 ობიექტი: 894 კოლმეურნეობა და 34 საბჭოთა მეურნეობა. შემოწმების დროს დაათვალიერეს კახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო ობიექტებიც. განსაკუთრებულად მოეწონათ გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, ველისციხის, ჩუმლაყის კოლმეურნეობები, გურჯაანისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობები; სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის და ბოდბის კოლმეურნეობები, ტიბაანის საბჭოთა მეურნეობა; ახმეტის რაიონში გამორჩეულად აღინიშნა მატანის მევენახეების საბჭოთა მეურნეობისა და ახმეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მშრომელების მიღწევები.

ასეთი დათვალიერებების ერთ-ერთი მნიშვნელი ისიც იყო, რომ კომისიის წევრები აფიქსირებდნენ დარგისათვის საერთო ნაკლოვანებებს, რაც დამახასიათებელი იყო შესამოწმებელი ობიექტების მნიშვნელოვანია ნაწილისათვის. ამ შემთხვევაშიც აღინიშნა ნაკლზე: ვენახების რიგებში ნიადაგის დამუშავებისას გამოჩენილი დაუდევრობა და გულგრილობა (საგარეჯოს რაიონში), აზოტოვანი სასუქების შეტანის წესების დარღვევები, გამოთოხნის პროცესის უგულებელყოფა (სხვა რაიონები) და ა.შ.

რა თქმა უნდა, ტრადიციულად განსაკუთრებით აღნიშნეს მოწინავენიც – საქმისადმი მაღალი პროფესიონალიზმით განწყობილი ადამიანები. მაგალითად გურჯაანის რაიონში: მოწინავე მევენახე ნ. როსტიაშვილი, ბრიგადირი მ. მექვაბიშვილი და სხვ.; სიღნაღის რაიონში: სოფელ ძველი ანაგის ბრიგადირი ი. ხოზაშვილი, მევენახე მ. ბეგიაშვილი; თელავის რაიონის სა-

ნიორეს კოლმეურნეობის ბრიგადირი ს. გოგონაიშვილი და ბევრი სხვა (სუიცსა, ს.7524, 30-37).

ვენახების რესპუბლიკურ დათვალიერებებში, როგორც წესი, ქართველი მეცნიერ-აგრარიკოსებიც იღებდნენ მონაწილეობას. შემჩნეული ნაკლის გამოსწორების გზებსა და მეთოდებზე საკმაოდ ინტენსიურად მუშაობდნენ მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. სწორედ მათი ინიციატივით ქართველმა მევენახეებმა მიიღეს ახალი აგრეგატი, რომელიც ჭრიდა და ახარისხებდა სამყნობ მასალას, ახვევდა ნამყნობს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1980, 650).

მოგვიანებით ქართველმა მეცნიერ აგრარიკოსებმა კახეთის სოფლებში დანერგეს ელექტროსტრატიფიკაციის პროგრესული მეთოდი, გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ბაზაზე გამოიცადა და პრაქტიკაში დაინერგა ვაზის სარგავი ექსპერიმენტული მანქანა, ნამყენი ვაზის წარმოების უახლესი პროგრესული მეთოდოლოგიები და ა.შ. (სუიცსა, ს.7660, 2-4).

უდიდესი მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, რომ ადგილებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იყვნენ საქმეში ღრმად ჩახედული ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი მდიდარი გამოცდილება საკუთარ ტექნიკურ თუ ტექნოლოგიურ ნოვაციებში გამოესახათ. მაგალითად, ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსმა აგრონომა თ. შაშიაშვილმა გამოიგონა ნამყენი ვაზის წარმოების გაუმჯობესებული მეთოდი, რამაც ნამყენის საბოლოო პროდუქციაში I ხარისხის მაჩვენებელი 69 პროცენტამდე გაზარდა. მეთოდი სწრაფად გაავრცელეს და სხვა სოფლების მშრომელებმაც აითვისეს. მეთოდი ასეთი იყო – სადედეს ჭრიდნენ გაზაფხულზე, წვენთა მოძრაობის დასაწყისშივე და ინახავდნენ სპეციალურად მოწყობილ ბნელ სარდაფში, ხოლო საკვირტე მასალას კი ამზადებდენენ ვაზის „გაღვიძებამდე“, მყნობის წინ. 10 საათის განმავლობაში კონებად შეკრულ მასალას აწყობდნენ სპეციალურ აუზებში და შემდეგ იწყებდნენ ვაზის მყნობას. სამ დღეში ერთხელ ხდებოდა წყლის ქვედა ნაწილის გარეცხვა. დანარჩენს ტოვებდნენ, რადგან მასში მოიპოვებოდა მინერალური შენარეთები და აღარ ხდებოდა ვაზიდან საკვების დახარჯვა. ამ მეთოდით სათბურში ვაზის ნამყნობის შეხორცებას 18 დღის ნაცვლად ჭირდებოდა 8-9 დღე. შემდეგ საკაჟეში გადაჰქონდათ, სადაც 6-8 დღე აჩერებდნენ, რის შემდეგაც სანერგეში აწყობდნენ, რომელიც წინასწარ კარგად იყო დამუშავებული. სანერგეს ნიადაგს კი ჯერ მაისში ხნავდნენ, როგორც ანეულს, ხოლო აგვისტოში აპლანტაჟებდნენ. გვიან შემოდგომაზე აზიგზაგებდნენ და ფარცხის საშუალებით ნიადაგს ასწორებდნენ. როცა ვაზი სანერგეში გადაჰქონდათ, მას კოკოლებს უკეთებდნენ, რაც ხელს უწყობდა ნამყენი ვაზის გახარებას. („ბახტრიანი“, 1965, 8 აპრილი).

ეს ერთეული შემთხვევა არ იყო და საქართველოს სოფელში ბევრი რაციონალური აზროვნებით დაჯილდოებული ადამიანი ცხოვრობდა, ბევრი მათგანი ახორციელებდა საკუთარ რაციონალიზატორულ წინადადებებს კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობებში, მაგრამ საბჭოთა მატერია-

ლური სტიმულირების არსებული ფორმები შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის ნაკლებად განაწყობდა რიგით სოფლის მშრომელს.

მთელი შემოქმედებითი ინიციატივა, გაუმჯობესებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა მიზნად ისახავდა შრომისნაყოფიერების გადიდებას, საჰექტარო მოსავლიანობის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას.

წინა თავებში ჩვენ აღვნიშნეთ: 30-იან წლებში იყვნენ ქართველი აგრარიკოსები, რომლებიც ამტკიცებდენენ – საქართველოში არის ყველა პირობა, რომ ვენახების მოვლის თანამედროვე აგროტექნიკისა და ტექნოლოგიის სრული დაცვის შემთხვევაში საჰექტარო მოსავლიანობა საშუალოდ გაიზარდოს ჰექტარზე 80-100 ცენტნერამდე.

როგორი იყო ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა საკვლევ პერიოდში?

როგორც სტატისტიკური კრებულები და შემორჩენილი ოფიციალური დოკუმენტები მიუთითებენ – საკმაოდ მოკრძალებული. 1964 წელს საგარეჯოს რაიონში ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა უდრიდა 43,3 ცენტნერს, გურჯაანის რაიონში – 58,3 ცენტნერს, სიღნაღში – 46, 9 ცენტნერს, წითელწყაროს რაიონში – 41,9 ცენტნერს, თელავის რაიონში – 51,7 ცენტნერს, ახმეტის რაიონში – 48,3 ცენტნერს, ყვარლის რაიონში – 49,2 ცენტნერს, ლაგოდეხის რაიონში – 43 ცენტნერს (სუიცსა, ს. 2527, 32).

აშკარაა, რომ წინ არის გურჯაანის რაიონი – თავისი 58,3 ცენტნერით. ყურძნის საჰექტარო მაჩვენებელი რეგიონში ძირითადად მერყეობს 43-49 ცენტნერს შორის. თუმცა, სასურველი მიჯნა – მაინც გადალახა გურჯაანის რაიონის ველისციხის კოლმეურნეობამ, რომელმაც 1965 წელს ურწყავი ვენახების ყოველ ჰექტარზე 105 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო კოლმეურნეობის ბრიგადირმა ბ. გვარამაძემ 1 ჰექტარზე საშუალოდ 134 ცენტნერი ყურძენი მოიწია და ცენტნერი ყურძენის მოყვანაზე 14,1 კაცსაათი დახარჯა (საქართველოს სსრ...,1967, 597-598).

კახეთის რეგიონის მევენახეობის პროფილის შრომით კოლექტივებზე სისტემატური დაკვირვება, მათ შრომითი შედეგები და მიღწევები, ამ სოფლების განვითარებული სამეურნეო თუ სოციალური ინფრატსრუქტურა არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო სადირექტივო ორგანოებს აძლევდა საფუძველს მოწინავე, მართლაც საჩვენებელი კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა თამამად წარედგინა უცხოელი სპეციალისტებისათვის, სახელმწიფო თუ პარტიული დელეგაციებისათვის „საბჭოთა ცხოვრების წესის“ შესაფასებლად და პროპაგანდის მიზნით. ნიშანდობლივია, რომ 60-წლების შუა ხანებში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფილის კოლექტივების მოსკოვში დამტკიცებულ სიაში, რომლის საფუძველზე ხდებოდა საზღვარგარეთელი სტუმრების, აგრარიკოსების, პარტიული თუ სამთავრობო დელეგაციების ვიზიტები, საკმაოდ ბევრია კახეთის რეგიონის მევენახეობის პროფილის შრომითი ორგანიზაცია: თელავის რაიონიდან – რუისპირის მევენახეობის კოლეურნეობა, სოფ. სანიორეს 1 მაისის

სახ. კოლმეურნეობა, სოფ. აკურას კოლმეურნეობა „მოწინავე“, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობა; ყვარლის რაიონში – შილდას კუიბიშევის სახ. კოლმეურნეობა, ენისელის ჟდანოვის სახ. კოლმეურნეობა, ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა; გურჯაანის რაიონში – ვაზისუბნის კოლმეურნეობა, ჩუმლაყის კოლმეურნეობა, მუკუზნის კოლმეურნეობა და სხვ. (სუიცსა, 7228, 5).

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საკვლევ პერიოდში კახეთის მევენახეობის პროფილის შრომით ორგანიზაციებში ბევრი უცხოელი მეცნიერი სწავლობდა ვენახის მოვლის ქართულ გამოცდილებას. საუკუნეების მანძილზე დაგროვილმა ვენახის მოვლის ტრადიციულმა კულტურამ გარკვეული ინტერესი აღძრა და ეს თანამშრომლობა გარკვეული შედეგის მომტანიც აღმოჩნდა. საინტერესოდ ჩაიარა საქართველოში ფრანგი აგრარიკოსის დენის რაიმონ ბრეგმანის ვიზიტმა და ქართველ მევენახეებთან მისმა საუბრებმა (სუიცსა, 7218, 34). ისრალი აგრარიკოსების 9 კაციანი ჯგუფი ოთხი დღის მანძილზე ეცნობოდა ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების შრომით გამოცდილებას. 7 დღე ეცნობოდა ქართველი მევენახეებისა და მეღვინეების მიღწევებს იტალიელი პიერო როსიმონდი. სხვა ორგანიზაციებთან ერთად იტალიელი მეცნიერი გაეცნო მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის თანამშრომელთა მუშაობას, გაუზიარა მათ იტალიელი მევენახეების გამოცდილება (სუიცსა, 1718, 59). ასეთი მაგალითები ერთეული არ იყო.

მოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ საკვლევ პერიოდში მევენახეობა წარმოადგენდა ძირითად და უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო დარგს კახეთის რეგიონში. თუმცა ისიც დასტურდება, რომ მიღწევებთან ერთად საკმაოდ ბევრი იყო სერიოზული ნაკლოვანება, რაც ამ ტრადიციულ დარგს ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობას არ აძლევდა. ამაში სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად იკვეთება ობიექტური შემადგენელიც, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა ეკონომიკის თავისებურებებთან.

მესაქონლეობა. პირუტყვის მოვლა, მისი გამრავლება, მოთაბარე მესაქონლეობა, აქედან მიღებული პროდუქტის (რძის, მატყლის, ტყავის) გადამუშავება და მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო თუ საოჯახო საქმიანობა კახელი გლეხის ტრადიციული შრომითი მიმართულებაა. კახეთის ყველა რეგიონში მესაქონლეობა მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი მუდამ იყო და არის დღესაც, ხოლო მთის რეგიონებისათვის – თუშეთში, პანკისში, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების მთაგორიან სოფლებისათვის – ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. სოფლის მეურნეობის ამ დარგშიც კახელმა გლეხებმა მდიდარი და საინტერესო შრომითი ტრადიციები დააგროვეს. მაგრამ, საკვლევ პერიოდში, როგორც ამას ქართველი ეკონომისტები აღნიშნავენ: „მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ მეცხოველეობაში სულადობის ზრდისა და პროდუქციის წარმოების მხრივ ერთგვარ მიღწევებთან გვქონდა საქმე, ეს დარგი მაინც რესპუბლიკაში მთლიანად ჩამორჩენილი იყო და ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის

გაზრდილ მოთხოვნილებებს ხორცზე, რძეზე, კვერცხზე და სხვ. აგრეთვე მსუბუქ მრეწველობას ნედლეულით. ბევრი კოლმეურნეობა წლითიწლობით ვერ ასრულებდა პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმას... კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბალი იყო პირუტყვის პროდუქტიულობა. ამასთან ერთად, დიდი იყო იყო ბერწიანობა და პირუტ-ყვის სიკვდილიანობა და სხვ (საქართველოს სსრ..., 1967, 602)

საკვლევ პერიოდში საქართველოში მეცხოველეობის განვითარების შედეგების მიმართ ქართველი ისტორიკოსების დამოკიდებულებაც კრიტიკულია. მათი აზრით ჩამორჩენის „ძირითადი მიზეზი მაინც სოფლის მეურნეობისადმი არასწორი ხელმძღვანელობა იყო. საქართველოში სავარგულების შედარებითი ნაკლებობის გამო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა, მთლიანი მოსავლის დასახულ ოდენობამდე აყვანა უნდა განხორციელებულიყო მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვის საფუძველზე, ეკონომიკური და ბუნებრივი ზონების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და განლაგების გაუმჯობესების, აგრონომიული მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე“ (ჟღენტი, 1980, 658).

მაინც როგორი იყო ვითარება მესაქონლეობის დარგში კახეთის ზონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვლევ პერიოდში?

როგორც აღვნიშნეთ, კახეთის თითქმის ყველა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰყავდათ საქონლის სხვადასხვა რაოდენობა – მათი ფინანსური შეძლებიდან და მოვლა-პატრონობის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. იყვნენ პროფილური მეურნეობებიც: მესაქონლეობის, მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ძირითადად საქონლის მოვლა-პატრონობაზე იყვნენ გადართული. მაგალითად, ახმეტის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, პანკისის საბჭოთა მეურნეობა და სხვ. როგორც ცნობილია, თუშეთის მოსახლეობა საკვლევ პერიოდში ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. როგორც დასტურდება, 1970 წელს თუშები სულ 2660 კომლს შეადგენდნენ და ითვლებოდა 9200 კაცი. ჩვენ წინა თავებში აღვნიშნეთ, როგორც მაღალ შეფასებას აძლევდა ლ. ბერია თუში მეცხვარის შრომით შესაძლებლობებს და ოცნებობდა, რომ ახლო მომავალში თუშებს ასიათასობით სული ცხვარი ჰყოლოდათ. ჩვენი ცნობით, 1970 წელს თუშების კუთვნილ მარტო 4 ფერმაში მესაქონლეობის 51 ბრიგადა იყო ჩამოყალიბებული და ისინი უვლიდნენ: 86 223 სულ ცხვარსა და თხას, 600 ცხენს და 6400 სულ მსხვილფეხა პირუტყვს („ბახტრიონი“, 1970, 27 ოქტომბერი).

მესაქონლეობის მიმართულებას კახეთის ბარის რეგიონებშიც აქცევდნენ ჯეროვან ყურადღებას და საკმაოდ დიდი ფერმებიც ჰქონდათ. მაგალითად, სიღნაღის რაიონის ბოდბის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობას ყავდა 1 377 სული მსხვილფეხა საქონელი მათ შორის 480 ძროხა, 1 171 ღორი, ცხვარი და თხა – 17 850 სული. სულ სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვლევ პერიოდში ჰყავდათ: 15 336

მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის 5 608 ძროხა, 13 937 ღორი, 114 209 ცხვარი (სუიცსა, 7507, 8)

მევენახეობის მდიდარი ტრადიციებით ცნობილ თელავის რაიონშიც საქონელი (ძირითადად მსხვილფეხა) თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში იყო: აკურის კოლმეურნეობაში ჰყავდათ 300 მსხვილფეხა საქონელი (დაგეგმილზე 20 სულით მეტი), მათ შორის ძროხა – 103, ღორი – 337 (დაგეგმილზე 97 სულით მეტი); ვანთას კოლმეურნეობაში – 192 მსხვილფეხა საქონელი (დაგეგმილზე 32 სულით მეტი), მათ შორის ძროხა – 66 სული, ღორი – 227 სული (დაგეგმილზე 7 სულით მეტი); გულგულას კოლმეურნეობაში იყო 352 მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის 113 ძროხა, ღორი – 275 სული; ჯუგაანის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანის საქონლის რაოდენობა უდრიდა 221, მათ შორის ძროხა იყო 63, ღორი 344 (სუიცსა, 7570, 5) და ა.შ.

ყვარლის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ასევე საქონლის დიდი ფარები დაუდიოდათ და მესაქონლეობას მათ შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. მაგალითად, შილდას კოლმეურნეობას 897 მსხვილფეხა საქონელი ჰყავდა (თუმცა გეგმაზე 33 სულით ნაკლები), მათ შორის 265 ძროხა, 1 966 ღორი, ცხვარი და თხა – 1 020; გავაზის კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი საქონლის რაოდენობა გეგმურს 62 სულით ჭარბობდა და შეადგენდა 842 სულს. აქედან 265 იყო ძროხა, 1 628 – ღორი, 950 ცხვარი და თხა. ჭიკაანის კოლმეურნეობას ბალანსზე ჰყავდა აყვანილი 684 მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის 215 ძროხა, 744 ღორი, 683 ცხვარი და თხა და ა.შ. (სუიცსა, 7570, 3).

ჩვენთვის ცნობილია კახეთის ყველა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საქონლის სულადობის ზუსტი მაჩვენებელიც, მაგრამ ყველა მათგანის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. მოვიტანთ შემაჯამებელ მონაცემებს სტატისტიკური კრებულებიდან: 1961 წელს საქართველოში მსხვილფეხა რქიანი საქონლის რაოდენობა უდრიდა 1 486,5 ათას სულს (1941 წელს საქართველოში 1 607 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი იყო. სულადობრივი რაოდენობის ეს შესამჩნევი კლება აშკარად ხრუშჩოვის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს), მომდევნო წლებში სულადობამ იმატა, მაგრამ უმნიშვნელოდ (1977 წელს საქართველოში იყო 1 492,7 ათასი სული მსხვილფეხა საქონელი). შედარებით გაიზარდა ღორების რაოდენობა, რამაც 1977 წელს 731,6 ათასი შეადგინა. შემცირების ტენდენცია ჰქონდა ცხვრის სულადობრივ მაჩვენებელსაც – თუ 1951 წელს საქართველოში 2 458,1 ათასი სული თხა და ცხვარი ჰყავდათ ყველა კატეგორიის მეურნეობაში, 1977 წელს მისი რაოდენობა შემცირდა 1 978,9 ათასამდე (Народное хозяйство.., 1977, 87).

ითვლებოდა, რომ მესაქონლეობის განვითარების ძირითადი საფუძველია – საკვები ბაზა. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, 30-იან წლებშიც საქართველოში მესაქონლეობის საკვები ბაზის განმტკიცებას და განვითარებას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ. არსებობდა მკაცრად რეგლამენტირებული

სახელმწიფო გეგმები, რომლებშიც დეტალურად იყო გაწერილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო შრომითი კოლექტივების მიერ აღებული ვალდებულებები საძოვრების ფართობების გადიდების, მათი კულტივირების, საქონლისათვის განსაკუთრებით გამორჩეული საკვები მცენარეების მოშენების განსავითარებლად. ნიმუშისათვის ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ კახეთის რეგიონისთვის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმიდან ამონარიდს – 60-იანი წლების შუა ხანებში მრავაწლიანი ბალახის ნათესები ასეთი გეგმა იყო დაწესებული კახეთისათვის: საგარეჯოს კოლმეურნეობებს მრავალწლიანი ბალახები უნდა დაეთესათ 35 ჰექტარზე, ხოლო უნდა აეღოთ – 59 ტონა, მოსავლიანობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო 17 ცენტნერი ჰექტარზე; გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებს მრავალწლიანი ბალახები უნდა დაეთესათ 88 ჰექტარზე, უნდა აეღოთ 60 ტონა, ამასთან, ჰექტარზე აუცილებლად 20 ცენტნერი; სიღნაღის რაიონის კოლმეუნეობებს 72 ჰექტარზე უნდა აეღოთ 116 ტონა ბალახი, ჰექტარზე – 19,1 ცენტნერი და ა.შ.

კახეთის ზონაში მრავალწლიანი ბალახის ყველაზე დიდი ფართობი (365 ჰექტარი) და ყველაზე მნიშვნელოვანი მოსავალი (865 ტონა) უნდა მოეყვანათ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებს. საჰექტარო მოსავლიანობაც აქ ყველაზე მაღალი იყო დაგეგმილი – 39 ცენტნერი ჰექტარზე (სუიცსა, ს.7154, 3).

იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო საქონლისათვის ხელოვნურად გამომშრალი ვიტამინებით მდიდარი ბალახის ფქვილის წარმოება. კახეთის ზონის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს ამ მხრივაც დიდი გეგმები ჰქონდათ დასახული, გურჯაანის რაიონს ასეთი ფქვილი უნდა დაემზადებინა 50 ტონა, საგარეჯოს რაიონს – 100 ტონა, სიღნაღის რაიონს – 400 ტონა, წითელწყაროს რაიონს – 300 ტონა, თელავის რაიონს – 50 ტონა (სუიცსა, ს.7154, 5).

ამის გარდა რაიონებსა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს აუცილებლად ევალებოდათ დაემზადებინა საქონლისათვის მშრალი და წვნიანი საკვები, ჩაედოთ სილოსი. ამ მიმართულებითაც 60-იანი წლების მეორე ნახევარში სახელმწიფო გეგმები ძალიან შთამბეჭდავი ჩანს: საგარეჯოს რაიონს უნდა დაემზადებინა 12 991 ტონა მშრალი საკვები, მათ შორის თივა – 2 560 ტონა, 17 139 ტონა წვნიანი საკვები და ჩაედო 15 669 ტონა სილოსი; ახმეტის რაიონს უნდა უნდა დაემზადებინა 9 416 ტონა მშრალი საკვები, მათ შორის თივა – 389 ტონა, 12 727 ტონა წვნიანი საკვები და ჩაედო 11 898 ტონა სილოსი; ყვარლის რაიონს უნდა დაემზადებინა 13 000 ტონა მშრალი საკვები, მათ შორის თივა – 1534 ტონა, 21 265 ტონა წვნიანი საკვები და ჩაედო 18 000 ტონა სილოსი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო გეგმები საკმაოდ შთამბეჭდავია და ის გათვლილია საქონლის იმ რაოდენობაზე, რასაც ფლობდენენ კახეთის, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული რაიონები, მაგრამ დამტკიცებულ გეგმაზე უფრო მნიშვნელოვანია ამ გეგმების შესრულება, რაშიც საკვლევი პერიოდის განმავლობაში არაერთგვარი ვითარება ჩანს (ამის შესახებ ქვემოთ).

საქართველო მნიშვნელოვნად მთაგორიანი ქვეყანაა, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში ძალიან ბევრია ბუნებრივი ალპიური საძოვრები, სადაც ძირითადად ხორციელდება საქონლის მოვლასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ოპერაციები. მაგრამ ეს ბუნებრივი საძოვრებიც მოითხოვდნენ გარკვეულ ყურადღებას, ადამიანის აქტიურ ჩარევას, რომ მათ კიდევ უფრო ეფექტიანად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა. ეს ამოცანა სცილდებოდა რაიონის შესაძლებლობებს და ამ საქმეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებდა კალენდარული გეგმის მიხედვით. ეს ამოცანა ითვალისწინებდა: ბუნებრივ საძოვრებზე დაჭაობებული ადგილების ამოშრობას, საძოვრების გაწყალოსნებას, სასუქების შეტანას, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლას ქიმიური საშუალებებით, ნათესების გაწმენდას ბუჩქნარი და ტყის მასივებისაგან, ქვებისაგან და ა.შ. ამ სამუშაოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფები ასრულებდნენ და სახელმწიფოს ეს სამუშაო საკმაოდ ძვირიც უჯდებოდა (სუიცსა, ს. 7154, 17).

მაგრამ, როგორც ცნობილია, საკვები ბაზის განმტკიცება დირექტივებზე ნაკლებად არის დამოკიდებული, მას განსაზღვრავს ადამიანის ყოველდღიური ინტენსიური შრომა დასახული მიზნების თუ სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად. რეალური ვითარება კი, როგორც დასტურდება, საკმაოდ საგანგაშო ჩანს მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში. ამას ჰქონდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოში საძოვრების სიმცირე და მისი დაბალპროდუქტიულობა. თუ 100 ჰექტარ სახმარ მიწაზე სსრ კავშირში ყველა სახის მეურეობაში მოდიოდა 14 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, საქართველოში ეს მაჩვენებელი უდრიდა 56, ანუ საკავშირო მაჩვენებელს ოთხჯერ ჭარბობდა (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 607). საქართველოში იყო რაიონებში, სადაც 100 ჰექტარ სახმარ მიწაზე მოდიოდა 100-150 რქიანი პირუტყვი.

ამ მძიმე მდგომარეობის გამოსწორება საქართველოში შეძლეს ჩრდილო კავკასიის ნაყოფიერი საძოვრების ათვისებით. ყიზლარის საძოვრებზე სეზონზე საქართველოდან ათიათასობით სული ცხვარი ზამთრობდა. თუმცა ეს გამოსავალიც პრობლემებთან იყო დაკავშირებული – საჭირო იყო გადასარეკი მარშრუტების სწორედ დაგეგმარება, ამ გზებზე სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა, მეცხვარეებისათვის ყოფა-ცხოვრების ელემენტარული პიროებების მოგვარება, რაც ყოველთვის მაღალ დონეზე როდი ხდებოდა. მაგალითად, გაზეთ „ბახტრიონის“ კორესპონდენტი, რომელმაც მოინახულა გადასარეკ მარშრუტზე შექმნილი ინფრასტრუქტურა, წერდა სერიოზული პრობლემების შესახებ – ეს იყო პირუტყვის სადგომი ბინები, რომლებიც არ იყო კეთილმოწყობილი, არ ჰქონდათ ნაკელსაცავები, საწუნწუხე ორმოები, ზოგ ადგილებზე ფერმები შეუღებავი იყო და ა.შ. და ა.შ.

კახეთის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საქონლისათვის აუცილებელი საკვები ბაზის მომზადება, მისი საფუძვლების განმტკი-

ცება და გაძლიერება თავის თავზე, როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, სოფლის ახალგაზრდობამ აიღო. როგორც ჩანს, ადგილობრივი ახალგაზრდები ერთიანდებოდნენ ბრიგადებში და სოფლის ახლოს სათიბებში, საკმაოდ შორსაც კი მიდიოდნენ და აგროვებდნენ საზამთროდ საქონლისათვის აუცილებელ ყუათიან საკვებს. მაგალითად, შირაქის საძოვრებზე ზაფხულის ცხელი დღეების პერიოდში ალვანელთა 18 კომბაინი და 45 ახალგაზრდისაგან შემდგარი ბრიგადა იღვწოდა იმისათვის, რომ ზამთრისათვის დაემზადებინა 35 ათასი ცენტნერი თივა და 10 ათასი ცენტნერი ნამჯა.

თელავის რაიონის ზემო ხოდაშნის საბჭოთა მეურნეობაში მეღორეთა წარმატება განაპირობა იმანაც, რომ საკვებდამამზადებელმა, ძირითადად ახალგაზრდებმა, თავის დროზე და საკმაოდ უხვად მოიმარაგეს სიმინდი, ქერი, კონცენტრატები და სხვა აუცილებელი პროდუქტები. ამ მეურნეობაში რაიონში ერთ-ერთმა პირველებმა აითვისეს, ასევე, ტურნეფორისა და რაფსის კულტურები, რომლის საფუძველზე პირუტყვის ჩინებული საკვები მზადდება და 20 ჰექტარზე გააშენეს ისინი.

ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში 10 ათასი ტონა სილოსის მოსამზადელად მხოლოდ საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდები იღვწოდნენ და დაკისრებული მოვალეობაც ჩინებულად შეასრულეს. ასეთი მაგალითი ბევრია.

მაგრამ, სუბიექტური ფაქტორებიდან მთავარი და განმსაზღვარელი მაინც იყო და დღესაც არის მწყემსი, მეცხვარე, მწველავი – უშუალოდ საქონლის მომავლელი ადამიანი, რომლის მზრუნველობაზე, ყურადღებაზე ბევრად იყო დამოკიდებული საქონლის პროდუქტიულობა, მისი ჯანმრთელობა, გამრავლება, ერთი სიტყვით – მესაქონელობის განვითარების ძირითადი შედეგი.

კახეთის რეგინში ბევრი ცნობილი და დამსახურებული მწყემსი და მწველავი ცხოვრობდა, რომლებიც სისტემატურად კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავის მოვალეობას. მათ შესახებ სტატიებით სავსეა რაიონული გაზეთები. მათ შორისაც გამორჩეული იყო ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის სანაშენე მეღორეობის ბრიგადირი ნაზი პეტრიაშვილი, რომელიც შრომითი მიღწევების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატადაც კი აირჩიეს. მისმა ბრიგადამ ხუთწლედი 3 წელსა და 6 თვეში შეასრულა და სახელმწიფოს მისცა 3873 ტონა ხორცი. მისი ბრიგადის მიერ მიღებულმა ნამატმა 6 თვეში 7 998 გოჭი შეადგინა („ბახტრიონი“, 1975, 4 მარტი).

იყვნენ განსაკუთრებით რეკორდსმენი სხვა მეცხოველეებიც: სარქლები, მეღორეები, რომლებიც ახერხებდნენ სარეკორდო მაჩვენებლების მიღწევას. მართალია, მათ შესახებ ზოგჯერ ვრცელდებოდა მოარული ხმები, რომ ეს მაჩვენებლები მთლიად კეთილსინდისიერი ფორმებით არ იყო მიღწეული, რომ ადგილი ჰქონდა „მიწერებს“, სხვისი მიღწევების მითვისებას, ზემდგომი ორგანოების „აქტიური ჩარევის“ შედეგებს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვი-

ტანთ რამდენიმე მაგალითს: ახმეტის რაიონის სარქალმა არსენ სულხანურმა სეზონზე 100 დედა-ცხვრიდან მიიღო 100 ნერბი. თელავის რაიონის ჯუღაანელი მესაქონლე ბუღდან ქოჩიაშვილი გამორჩეული იყო შრომითი მიღწევებით. ის 12 ძროხას უვლიდა და მათგან ერთ სეზონზე 12 ხბო მიიღო. წველადობის მაჩვენებელიც გაუმჯობესა, გეგმური 900 კგ. ნაცვლად საშუალოდ მიიღო 1500 კგ. რძე. ხოლო ფერმის რეკორდსმენმა, მისმა „წაბლამ“ მოიწველა 1 700 კგ. რძე. ზემო ხოდაშნელმა მწველავმა ს. მორჩილაძემ გაპიროვნებული 13 ძროხისაგან 12 340 კგ. რძის ნაცვლად ჩამოწველა 19 878 კგ. რძე, რაც სარეკორდო იყო რაიონში და ის ფულადი პრემიითაც დააჯილდოვეს. თელავის რაიონის ზემოხოდაშნელმა მეღორემ გიორგი ქიტიაშვილმა ერთ დედა-ღორზე ერთ სეზონზე 20 გოჭი შეინარჩუნა. ასეთი მაგალითები არის უამრავი.

მესაქონელობის დარგში კახეთის რეგიონში, პიროვნებებთან ერთად, ძალიან ბევრი იყო წარმატებული კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა. როგორც დასტურდება, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ერთობლიობა ბევრ შრომით კოლექტივს კალენდარულ წელს ჩინებული შედეგებით ამთავრებინებდა. ამის შესახებ მუდამ აღინიშნებოდა ხოლმე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე წარმატებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მაგალითს მოვიტანთ.

თელავის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მესაქონელობას უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ, რაც შედეგებზეც აისახებოდა: მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობის გეგმა 113 პროცენტით შესრულდა; 100 ფურიდან შეინარჩუნეს 82 ხბო (გეგმაზე 2 სულით მეტი); გადააჭარბეს რძის წარმოების მაჩვენებელსაც – დაგეგმილი 1350 კილოს ნაცვლად თითოეულ ფურზე მიიღეს 1368 კილოგრამი რძე; მაღალი მაჩვენებლები იყო მეღორეობის დარგშიც – 1 დედა ღორზე დაგოჭიანებამ შეადგინა 11 გოჭი, ნაცლად გეგმური 9 გოჭისა; სადღეღამისო ნამატმა ასევე გეგმურს გადააჭარბა და 255 გრამი შეადგინა (სუიცსა, ს.7919, 16)

1976 წელს გამორჩეულ შედეგებს მიაღწია ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობამ. როგორც სამინისტროს სპეციალური რევიზიის შედეგები მიუთითებენ: საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ყველა ძირითადი მაჩვენელებით მესაქონლეობის დარგში წარმატებით შეასრულეს დავალება: მსხვილფეხა საქონელი ყავდათ 2 469 სული (გეგმა – 2400 სული), აქედან ძროხა იყო 701 სული. ერთ ფურზე ჩამოწველეს 1 845 კგ. რძე (გეგმა ითვალისწინებდა 1650 კგ.). ცხვარი ყავდათ – 32 789 სული (გეგმა – 31 700 სული); შრომითმა კოლექტივმა ცხვრის ხორცის წარმოების გეგმაც 179,33 პროცენტით შეასრულა. ღორის რაოდენობა გაუტოლდა 2 903 (გეგმა – 2800 სული). (სუიცსა, ს. 8133, 22-23).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მესაქონლეობის დარგში ის მიღწევები, რაც ახმეტის რაიონს ჰქონდა, რადგან ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაც და მოსახლეობის ტრადიციული შრომითი გამოცდილებიდან გამომდინა-

რეც, მესაქონლეობა ამ რაიონში ძირითადი და წამყვანი დარგი იყო მუდამ. მოვიტანთ მხოლოდ ახმეტის რაიონში 60-70-იან წლებში მესაქონლეობის პროდუქციის ჩაბარების მაჩვენებელს, რაც გარკვეულ ტენდენციაზე მიანიშნებს. 1968 წელს სოფელ საქობიანოს კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოსთვის ჩაბარებული მსხვილფეხა რქიანი საქონლის ცოცხალი წონა უდრიდა 800 კგ. ეს მაჩვენებელი 1970 წელს გაიზარდა 823 კილოგრამამდე. სოფელ დუისში იგივე მაჩვენებელი 1968 წელს უდრიდა 1494 კგ., 1970 წელს – ეს შედეგი გახდა 1 650 კგ.; ქვემო ხალატანში იგივე მაჩვენებელი 1968 წელს უდრიდა 980 კგ., 1970 წელს – 1 020 კგ.; სოფელ წინაუბანში ცოცხალი წონის ჩაბარების მაჩვენებელი 1968 წელს იყო 218 კგ., 1970 წელს – 233 კგ. და ა.შ. აშკარაა, რომ ტენდენცია მზარდია და ის მისაღებია.

ასევე მზარდია დაკლული ღორის, ცხვრის ცოცხალი წონის მაჩვენებელი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რაც, ასევე, ავლენს ზრდის ტენდენციას.

მიღწევად ჩაითვალა ერთ ფურზე ჩამოწველილი რძის მაჩვენებელიც. მართალია, ყველა კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ეს მაჩვენებელი განსხვავებულია, მაგრამ ზრდის ტენდენცია აქაც აშკარაა. მაგალითად, საქობიანოში ერთ ფურზე მიღებული რძის მაჩვენებელმა 1968 წელს შეადგინა 1 590 კგ., 1970 წელს – 1 900 კგ.; სოფელ დუისში იგივე მაჩვენებელი 1968 წელს უდრიდა 560 კგ., 1970 წელს – 770 კგ.; ქვემო ხალატანში 1968 წელს იგივე მაჩვენებელი უდრიდა 907 კგ., 1970 წელს – 1 060 კგ.; წინუბანში 1968 წელს ყოველ ფურზე რძე ჩამოწველეს 290 კგ., 1970 წ. – 440 კგ. (სუიცსა, ს. 7296, 6).

მიღწევებთან ერთად საქართველოს მესაქონლეობაში კიდევ უფრო მეტი იყო ნაკლოვანებები. მათ შესახებაც ბევრს წერდა ადგილობრივი პრესა: „ქვემო ხოდაშნის მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ფერმაში ვერსად შევამჩნიეთ საჰაერო გზა, ანდა ლიანდაგი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საკვების შეტანა, ნარჩენების გატანა. ფერმის ეზოსთან, რაღაც 20-25 ნაბიჯზე, წყალი მოჩუხჩუხებს, მაგრამ ფერმაში ის არ არის შეყვანილი. გამოყენებულია რამდენიმე წლის წინ შეძენილი საწველი აპარატები“ („ალაზნის განთიადი“, 1965, 21 იანვარი).

მიღწევებით ცნობილ ახმეტის რაიონშიც კი იყო რამდენიმე წარუმატებელი საბჭოთა მეურნეობა, სადაც წველადობაც შედარებით დაბალი იყო. კორესპონდენტმა დაადგინა, რომ მის მიერ ნანახ ფერმაში ფურებს, მართალია, კარგად კვებავდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, წველადობა მაინც დაბალი ჰქონდათ. მისი აზრით ამის მიზეზი იყო შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე, მწველავ-ოპერატორების უპასუხისმგებლობა და საბოლოოდ „ფერმის მუშაკთა მიმართ უყურადღებობა“ („ბახტრიონი, 1970, 6 იანვარი). მსგავსი მაგალითები ბევრია.

საქართველოში სერიოზული პრობლემები იყო მეღორეობის დარგშიც – ამაზე მიუთითებს ღორის სულადობრივი მაჩვენებლის შეუნელებელი შემ-

ცირება ათეული წლების მანძილზე: თუ 1941 წელ ყველა კატეგორიის მეურნეობაში ღორი იყო 615 ათასი სული, 1951 წელს – 498 ათასი სული. მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში ღორის სულადობის უმნიშვნელო ზრდა შეიმჩნევა – ის 585 ათასიდან 574 ათას სულამდე მერყეობს, რაც ფაქტობრივად სტაგნაციას უახლოვდება, რადგან ღორის გამრავლება სერიოზულ პროლემას არსად არ წარმოადგენდა, თუკი დაცული იქნეოდა ის ნორმები და აუცილებელი პირობები, რასაც ამ სპეციფიკური დარგის განვითარების ამოცანები აყენებდა მეურნეობის წინაშე. საქართველოში მეღორეობის დარგში ძირითადად გავრცელებული იყო წამოების ინტენსიურ-სტაციონარული სისტემა, ზოგან აქტიურად იყენებდნენ ღორის ბაგურ-საძოვრულ და ბაგურ-ბანაკურ შენახვის მეთოდს. იმ რაიონებში, სადაც ფოთლოვანი, ნაყოფისმომცემი ტყის დიდი მასივები იყო გავრცელებული (მაგალითად. ლაგოდეხის რაიონში და სხვა რაიონებში) პრაქტიკაში იყენებდნენ მომთაბარე მეღორეობასაც.

საქართველოს სადირექტივო ორგანიზაციები პერიოდულად იხილავდნენ საქართველოში მეღორეობის განვთარების საკითხებს, სახავდნენ გეგმებს, ამოცანებს, აყალიბებდნენ კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ორგანიზაციულ ნაბიჯებს, რაც უნდა განხორციელებულიყო ადგილებზე, რომ დარგი სტაგნაციიდან გამოსულიყო, მაგრამ ინტენსიური განვითარებას დარგი მაინც ვერ აღწევდა. მეტად საყურადღებოა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა კარდინალური გეგმა ღორის სულადობის გასადიდებლად. ის გრანდიზულ ამოცანებს უსახავდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს – მარტო კახეთის რეგიონში, საგარეჯოს რაიონში 1978 წელს უნდა გამოეზარდათ 19 600 გოჭი, გურჯაანის რაიონში – 16 500 გოჭი, სიღნაღის რაიონში – 18 800 გოჭი, წითელწყაროს რაიონში – 254 270 გოჭი, თელავის რაიონში – 10 100 გოჭი, ახმეტის რაიონში – 17 600 გოჭი და ა.შ. (სუიცსა, ს. 8453, 3).

მიუხედავად მკაცრი დადგენილებებისა, ღორის ხორცის წარმოება საქართველოში მაინც დუნედ მიიწევდა წინ – 1977 წელს საქართველოში ღორის წარმოება წინა წელთან შედარებით მხოლოდ 1,5 ტონით გაიზარდა. (სუიცსა, ს. 8453, 148).

საქართველოს მეცხოველეობაში სერიოზული ნაკლოვანებები შეუმჩნეველი არ დარჩენია გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტს, რომელმაც 1973 წელს ფელეტონში – „ხბო სარკეში“ მკაცრად გააკრიტიკა ის ნაკლოვანებები და დარღვევები, რაც აშკარად შეიმჩნეოდა საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კორესპოედენტმა განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება იმას, რომ საქართველოში კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მსხვილფეხა საქონელი საშუალოზე მეტი ნაკვებობის იყო (ე.ი. შედარებით „მსუქანი“) მხოლოდ 8%, საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლები ჩანს – 3%. გაირკვა, რომ სახელმწიფოსთვის ჩაბარებული საქონლის 26% საშუალო ნასუქობაზე ნაკლებია ანუ მჭლეა. ფელეტონში მოტანილი იყო შემაშფოთებელი ციფრები – სა-

ქონლის სიკვდილიანობა საქართველოში უდრიდა 5 პროცენტს, ბერწიანობა კატასტროფულს უახლოვდებოდა: კოლმეურნეობებში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 32 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობებში – 34 პროცენტს. რაიონების ჩამონათვალში დასახელებული იყო სიღნაღისა და ყვარლის რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებიც, სადაც ბერწიანობის მაჩვენებელი 40 პროცენტს აჭარბებდა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ადგილობრივი, ქართველი კორესპონდენტებიც ხედავდნენ და ამას არც მალავდნენ. სწორედ მათ გამოარკვიეს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლებით საერთო დაწინაურებულ ზემოხოდაშნელების მიერ სახელმწიფოსთვის მიყიდულ საქონელში მხოლოდ 1 სული აღმოჩნდა ნორმალურად ნაკვები პირუტყვი, ძირითადად იყო „საშუალო ნაკვებობის“. როგორც დადასტურდა, სახელმწიფოსათვის მიყიდული 2 438 სული პირუტყვიდან მხოლოდ 114 იყო „მაღალი ნაკვებობის“, დანარჩენი იყო „საშუალო ნაკვებობის“. გაყიდული ცხვარიდან „მაღალი ნაკვებობის“ იყო 2 193 სული, „საშუალო ნაკვებობის“ 10 185, „დაბალი ნაკვებობის“ – 11 444 სული, „ჯანდაგი“ – 3 515 („ბახტრიონი“, 1975, 24 აპრილი).

ეს, რა თქმა უნდა, ამ შრომით კოლექტივებში საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, პირუტყვისადმი მზრუნველობის მოდუნების აიხსნება. ამის ლოგიკური შედეგი კი – სერიოზული ავადმყოფობის გავრცელება და პირუტყვის მასობრივი დაცემაა, მათი ბერწიანობაა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ 60-80-იან წლებში სავეტერინარო მომსახურება, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია და თითქმის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას თავისი კვალიფიცირებული ვეტერინარი, ზოოტექნიკოსი ჰყავდა, ბევრ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში ვითარება ამ მხრივ მაინც საგანგაშო ჩანს.

1974 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობის დარგი სერიოზულად დააზარალა საქონლის ბრუცელიოზმა, რომელიც ძირითადად სწორედ კახეთის რეგიონის რაიონებს მოედო. დაავადება გავრცელდა წითელწყაროს, სიღნაღის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, საგარეჯოს, თელავისა და გურჯაანის რაიონებში. სულ დაავადმყოფდა 3 303 სული. ვეტექიმებმა გამოავლინეს დაავადების 28 კერა, მარტო წითელწყაროს რაიონში გამოავლინეს დაავადების 6 კერა. ამ რაიონში დაავადდა 2 446 მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის 1 625 ფური (სუიცსა, ს. 7616, 158-159). მეცნიერებმა გამოარკვიეს დაავადების გამომწვევი მიზეზიც: ვეტღონისძიებების ჩატარების დროს გამოვლენილი დარღვევები, ზოოტექნიკური და ზოოჰიგიენური პირობების შეუსრულებლობა, მესაქონლეობის ფერმების სავალალო მდგომარეობა, უმრავლეს შემთხვევაში – არქაული შრომის მეთოდები და საშუალებები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების უგულებელყოფა და ა.შ.

საქართველოში, თითქოსდა, საკმაოდ იყო განვითარებული ზოოვეტერინარული სამსახური, არსებობდა საკმაოდ ავტორიტეტული ზოოვეტერინარუ-

ლი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის მაღალკვალიფირებული მეცნიერები პერიოდულად უტარებედნენ საგანმანათლებლო ლექციებს, ავრცელებდნენ საინფორმაციო ბუკლეტებს, ნერგავდნენ სიახლეებს, საქონლის გაუმჯობესებულ ჯიშებს, მაგრამ შედეგი მაინც არ იყო თვალსაჩინო და დარგი მოითხოვდა რადიკალურ გარდაქმნას.

მესაქონლეობის ძირეული განახლების ამოცანა დაისახა საქართველოს ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რომელმაც მარტო 70-იანი წლების მეორე ნახევარში და 80-იანი წლების დასაწყისში ამასთან დაკავშირებით რამდენიმე დადგენილებაც კი მიიღო. ისინი ამოცანად სახავდნენ დარგის მმართვის პროცესის რადიკალურ გაუმჯობესებას. როგორც საბჭოთა ისტორიკოსები აღნიშნავდნენ, დადგენილებების გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს მეცხოველეობისათვის დამახასიათებელი გახდა „ყველა დარგის შემდგომი გაფართოება, ინტენსიფიკაცია, კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება, საკვები ბაზის სრულყოფა, ნახირის ჯიშური შემადგენლობის, მოვლა-შენახვის პირობების და ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის შეუნელებელი ზრდა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება“.

ასეთი მაჟორული შეფასებისათვის, ჩვენი აზრით, საფუძველი ნაკლებად იყო, თუმცა არ შეიძლება ისიც არ გავითვალისწინოთ, რომ სწორედ 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში იყო ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი 70 სადგური, 362 ვეტუბანი, 40 ვეტლაბორატორია, 101 ხორცისა და რძის საკონტროლო სადგური, 77 სადიზინფექციო რაზმი, 14 სასაზღვრო-საკონტროლო ვეტპუნქტი, 16 საგზაო-სატრანსპორტო ვეტუბანი, 6 დიაგნოსტიკური კაბინეტი, 13 ქალაქის ვეტსანიტარული სადგური, 212 ვეტსანიტარული რაზმი.

უშუალოდ საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით საქართველოში განხორციელდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში უმნიშვნელოვანესი ღონისძიება – ექსპლოტაციაში შევიდა წნორის მეცხოველეობის კომპლექსი. მოგვიანებით ისეთივე კომპლექსი გაიხსნა სოფელ ვაქირში, სადაც 13 000 ძროხა ჰყავდათ და რომელიც დასავლეთ ევროპის მოწინავე მეცხოველეობის გამოცდილების ადგილობრივ ინტერპრეტაციას წარმოადგენდა. ეს საწარმოები გარკვეულიწილად იმეორებდნენ ჰოლანდიისა და შვეიცარიის მესაქონლეთა პროგრესულ გამოცდილებას.

ამასთანავე, ხელი შეეწყო მესაქონლეობის რაიონთაშორისო, კოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების შექმნის პრაქტიკას. ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი გამოცდილება დააგროვეს თიანეთისა და თელავის კოლმეურნეებმა, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა შექმნეს საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობა (სუისცსა, 7523, 111).

70-იანი წლების ბოლოს შეიქმნა თელავის სამეურნეობათაშორისო მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანება, ცოტა უფრო მოგვიანებით – ლაგოდეხის რაიონის მედორეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და ა.შ.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, საქართველოში მესაქონლეობა კვლავ მძიმე მდგომარეობაში განაგრძობდა არსებობას, რამაც 80-იანი წლების შუა ხანებში შექმნა სერიოზული კრიზისი ქალაქებისა და სოფლების ხორცის პროდუქტით, კარაქითა და სხვა რძის ნაწარმით მომრაგების საქმეში.

§ 3. ხორბლეული კულტურები

ჩვენ, ადრე, შესაბამის თავში, აღვნიშნეთ, რომ საქართველოს სოფლის განვითარების შესახებ ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კონცეფცია არ გულისხმობდა ხორბლეული კულტურების განვითარებას. დიდი მოაზროვნე სამართლიანად თვლიდა, რომ საქართველოს გამორჩეული გეო-კლიმატური პირობები, რომლებიც იძლეოდა საშუალებას განვითარებულიყო უფრო შემოსავლიანი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურები, არ უნდა მოეცდინათ ისეთ იაფფასიან სასოფლო სამეურნეო პროდუქტის წარმოებაზე, როგორიც არის ხორბალი.

ზემოთ განსაკუთრებით ისიც აღინიშნა, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში ამ კონცეფციას ძალიან აფასებდნენ და სოფლის მეურნეობაში ძირითადად ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების განვითარებას აქცევდნენ გამორჩეულ ყურადღებას, რითიც საქართველომ შრომის საკავშირო დანაწილებაში მნიშვნელოვანი და გამორჩეული ადგილი დაიკავა. ეს კი საქართველოს სოფლის მშრომელების მატერიალურ კეთილდღეობაზეც აისახა.

მაგრამ 50-იანი წლების დასაწყისიდან, რატომღაც ჩათვალეს, რომ სასურველი იქნებოდა საქართველოს თავისი მოთხოვნილება ხორბალსა და სხვა მარცვლეულ კულტურებზე თვითონ, თავისი რესურსებით დაეკმაყოფილებინა. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, სულ რამდენიმე წელიწადში ხორბლის ნათესი ფართობი საქართველოში უნდა გადიდებულიყო 70 პროცენტით, თითქმის 25 ცენტნერამდე უნდა გაზრდილიყო საჰექტარო მოსავლიანობა, თითქმის 6-ჯერ და მეტად უნდა გაზრდილიყო, ასევე, მარცვლეულის სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. და ა.შ. (საქართველოს სსრ..., 1967, 583-584).

ასეთმა ვოლუნტარისტულმა გადაწყვეტილებამ, როგორც სამართლიანად მიუთითებენ ეკონომისტები, მოიტანა ის, რომ საქართველოში „შემცირდა ტექნიკური კულტურების ნათესები, საძოვრები და საბალახოები, ზოგიერთმა კოლმეურნეობამ მარცვლეულის ნათესების გასაფართოვებლად მრავალწლიანი ნარგავების აჩეხვაც კი დაიწყო“ (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა..., 1967, 574-1585).

მართალია, საქართველოში დროულად მიხვდნენ და ეს არასწორი აგრარული პოლიტიკა შეცვალეს, მაგრამ ხორბლეული კულტურების წარმოების დარგში დარჩა ძალიან ბევრი სერიოზული და გადაუწყვეტი პრობლემა, რაც წლების განმავლობაში დარგის ნორმალური განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ჩვენ მოვიტანთ ამონარიდს აკად. პ. გუგუშვილის რედაქციის გამოსული ნაშრომიდან, სადაც სკრუპულოზურად არის ჩამოთვლილი ეს ნაკლოვანებები: „უხარისხოდ ტარდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები... მთელი რიგი კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობების...ხელმძღვანელები უგულებელყოფდნენ აგროტექნიკის საკითხებს, დაუშვებლად ჭიანურდებოდა თავთავიანი კულტურების თესვის ვადები... საკმარისად არ გამოიყენებოდა ისეთი პროგრესული ხერხები, როგორიცაა თავთავიანი კულტურების ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა...“ და ა.შ. და ა.შ. (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა...,1967, 586)

როგორც ამტკიცებენ, ამ ეტაპზე დარღვევები გამოასწორეს, მაგრამ დოკუმენტურად დასტურდება, რომ საქართველოს მემინდვრეობის დარგში ხანგძლივად დამკვიდრდა სერიოზული პრობლემები, რაც ბოლომდე მაინც ვერ გადაწყვიტეს...

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ კახეთი მუდამ – საქართველოს მთავარი ბეღელი იყო და აქაური მიწათმოქმედნი მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის მდიდარ გამოცდილებას ფლობდნენ. ხორბალი კახეთის თითქმის ყველა რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას მოჰყავდა – ეს მათ სახელმწიფო გეგმით ევალებოდათ, თუმცა სათესი ფართობები, მოსავლის საერთო რაოდენობა და პროდუქციის საჰექტარო მოსავლის გეგმა – ყველა რაიონს განსხვავებული ჰქონდა. 60-იანი წლების შუა ხანებში კახეთის რეგიონში ყველაზე დიდი ფართობები და მოსავლის გამორჩეული რაოდენობა წითელწყაროს რაიონს ჰქონდა – სახელმწიფო გეგმითაც რაიონს ევალებოდა ხორბალი დაეთესა 36 308 ჰექტარზე, ხოლო საჰექტარო მოსავლიანობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო – 16,3 ცენტნერი. თავთავიანი კულტურების დიდი ხოდაბუნები ჰქონდა სიღნაღის რაიონსაც – ყოველწლიურად ხორბალს აქაური კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები 29 297 ჰექტარზე თესდნენ. შემდეგ, თავისი მნიშვნელობით, აღსანიშნავია ლაგოდეხის რაიონი – თავისი 13 651 ჰექტარით, გურჯაანი – თავისი 10 726 ჰექტარით, ახმეტის რაიონი – 9 985 ჰექტარით და სხვ. (სუიცსა, ს. 7173, 1).

როგორი იყო თანაფარდობა ხორბლის თესვის დროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის? ლაგოდეხში, გურჯაანში, სიღნაღში ხორბალი ძირითადად კოლმეურნეობებს მოჰყავდათ, თელავსა და ახმეტაში – ეს განაწილება საბჭოთა მეურნეობებთან შედარებითი პარიტეტული ჩანს.

საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა საჰექტარო მოსავლიანობის დაგეგმარებაშიც – რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ ტენდენციაზე მიანიშნებს. მაგალითად, ლაგოდეხში საჰექტარო მოსავლიანობის გეგმა ყველაზე მაღალია კახეთის რეგიონში – 19,6 ცენტნერი ჰექტარზე. ხორ-

ბლის ყველაზე დაბალი მოსავალი მოჰყავდათ საგარეჯოს რაიონში – 12,2 ცენტნერი. ძირითადად, რაიონებს შორის, საჰექტარო მოსავლიანობა მერყეობდა – 14-16 ცენტნერამდე. (სუიცსა, ს.7173, 1).

ხორბლის წარმოების მდგომარეობა, როგორც სანდო დოკუმენტური წყაროები მიუთითებენ, მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში, კახეთის რეგიონში აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ამაზე მიანიშნებს მოსავლის ის რაოდენობა, რასაც ასე ხშირად იღებდნენ კახელი მემინდვრეები. ჩვენ ქვემოთ მოვიტანს იმ მონაცემებს, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის დახურულ სხდომაზე განიხილეს და სერიოზული შეშფოთებაც გამოიწვია. 1969 წელს მარცვლეული კულტურების დავალება კახეთის ვერც ერთმა რაიონმა ვერ შეასრულა. კოლეგიაზე მოტანილი მაჩვენებლები მიუთითებდნენ სერიოზული კრიზისის ნიშნებზე: გურჯაანის რაიონმა მარცვლეული კულტურების გეგმა შეასრულა მხოლოდ 33,1 პროცენტით, ყვარლის რაიონმა – 30,1 პროცენტით, ლაგოდეხის რაიონმა 54,1 პროცენტით, საგარეჯოს რაიონმა 66,9 პროცენტით, სიღნაღის რაიონმა – 34,9 პროცენტით, თელავის რაიომა – მხოლოდ 3,8 პროცენტით, წითელწყაროს რაიონმა – 14,5 პროცენტით (სუიცსა, ს. 7339, 1).

ასეთი კატასტროფული მაჩვენებელი ნატურალურ გამოხატულებაში კიდევ უფრო შემაშფოთებელ ელფერს იძენს – წითელწყაროს რაიონში, საქართველოს ამ დიდ ბეღელში, 12 070 ტონა მარცვლის ნაცვლად აიღეს მხოლოდ 1750 ტონა, თელავის რაიონში – 1 495 ტონის ნაცვლად – მოიწიეს 58 ტონა, ყვარელში 3140 ტონის ნაცვლად ბეღელში შეიტანეს 947 ტონა და ა.შ.

კახეთის რაიონების საერთო კატასტროფული მაჩვენებელი, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობეისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ცუდი მუშაობის უნდა აიხსნას და მათი მუშაობის შემაჯამებელი შედეგიც სავალალო ჩანს. მუშაობის ასეთი სტილი წლების მანძილზე გრძელდებოდა და ერთეული შემთხვევები არ იყო. მსგავსი იყო, მაგალითად, თელავის რაიონის სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების მიღწევები 1972 წელსაც, რაც მიანიშნებს გარკვეულ კანონზომიერებაზე – აკურის კოლეურნეობაში მარცვლეული კულტურების გეგმა – 427 ტონა შეასრულეს მხოლოდ ნაწილობრივ (336 ტონა); კონდოლის კოლმეურნეობაში სახელმწიფო გეგმა: 567 ტონა გაანაღდეს ნაწილობრივ – მოიწიეს 397 ტონა მარცვლეული; იყალთოში სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებდა 330 ტონას, მიიღეს 320 ტონა და ა.შ. (სუიცსა, ს. 7507, 1). მსგავსი მაგალითები ბევრია.

რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა კლიმატურ პირობებსაც – მაგალითად 1972 და 1976 წლების მკაცრმა ზამთარმა კახეთში ვენახთან ერთად, ხორბლეული კულტურებიც სერიოზულად დააზიანა. მათ აღსადგენად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა აგრო-ტექნიკური ღონისძიებები მთელი ციკლი – ხელმეორედ დაითესა თავთავიანი კულტურები: დაახლოებით 126, 6 ჰექტარზე, გამოიყენეს მხოლოდ დასვენებული ჯიშების I და II კლასის თესლი. გაამკაცრეს ადგილებზე მეთვალყურეობა და კონტროლი. ამან უზრუნველყო დაღუპული ნათესების გადა-

თესვლა და ა.შ. (სუიცსა, ს.7471, 85). გატარებულმა ღონისძიებებმა მინიმუმამდე დაიყვანა ზარალი.

ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სიძნელეების მიუხედავად საქართველო მაინც ახერხებდა მარცვლეული კულტურების საკავშირო გეგმების წარმატებით შესრულებას. მაგალითად, საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავალი სისტემატურად იზრდება და საკმაოდ თვალსაჩინოდაც: თუ 1960 წელს საქართველოში თავთავიანი კულტურების მოსავალმა შეადგინა 628, 5 ათასი ტონა, 1976 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უდრიდა 765,6 ათას ტონას. (Народное хозяйиство..., 1977, 82) ზრდა აშკარაა, მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1940 წელს, გაცილებით ცუდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების არსებობის პირობებში, საქართველო აწარმოებდა 537,5 ათას ტონა მარცვლელს, აშკარა გახდება, რომ 1976 წლის მიღწევები არც თვალსაჩინოა და აღარც მნიშვნელოვანი, რადგან 26 წლის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობის თითქმის გაორმაგების პირობებში, თავთავიანი კულტურების მოსავალის ზრდა მხოლოდ ილუზორული და არა რეალური ჩანს, რადგან ის სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა სამომხმარებლო ბაზარზე. საქართველოში ამ პერიოდში ძირითადად მარცვლეული კულტურები, განსაკუთრები ხორბალი, საბჭოთა კავშირის ხორბლით მდიდარი რეგიონებიდან შემოჰქონდათ.

თუმცა არ შეიძლება გამოვრიცხოთ, რომ საქართველოში იყვნენ შედარებით წარმატებული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც შრომის საუკეთესო ორგანიზაციითა და აგროტექნოლოგიების სკრუპულოზურად დაცვის პირობებში შედეგად აღწევდნენ საინტერესო ეკონომიკურ მაჩვენელებს. ჩვენ მაგალითად მოვიტანთ საქართველოში იმჟამად სახელგანთქმული ზემო ქედის (წითელწყაროს რაიონი) კოლმეურნეობის მონაცემებს მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის საქმეში. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ეს სახელოვანი კოლმეურნეობა ყოველწლიურად საშუალოდ აწარმოებდა 8 000 ტონა მარცვლეულს. ამ საქმეშიც წამყვანი ადგილი ხორბალს ეკავა, თუმცა კოლმეურნეები თესდნენ ქერს, ჭვავს, სიმინდს, ფეტვს. ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ კოლმეურნეობაში 70-იანი წლების შუა ხანებში მნიშვნელოვნად შემცირდა ხორბლის სათესი ფართობები, მაგრამ გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა. იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ადრეულ წლებში კოლმეურნეობაში ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობა ძლივს აღწევდა 10 ცენტნერს, ხოლო 1975 წელს მათ მიიღეს 25,8 ცენტნერი ჰექტარზე (ქვათაძე, საბახტარიშვილი, 1981, 105).

საბჭოთა აგრარიკოსები ამ წარმატებას ასე ხსნიდნენ: „კოლმეურნეობის გამგეობას 60-იანი წლებიდან შემუშავებული აქვს კურსი, რომელიც ითვალისწინებს ხორბლეულის წარმოების ზრდას არა ნათესი ფართობების გადიდების გზით, არამედ საჰექტარო მოსავლიანობის მკვეთრი ამაღლებით. ამისათვის ის ახორციელებს ფართო აგრო-ტექნიკურ ღონისძიებებს. გაიზარდა ხორბლის ნათესებში მინერალური სასუქების გამოყენების დონე,

სერიოზული ყურადღება მიექცვა ხორბლეულის უხვმოსავლიანი ჯიშების შერჩევასა და განლაგებას ნიადაგისა და კლიმატის შესაბამისად“ (ქვათაძე, საბახტარიშვილი, 1981, 105).

მარცვლეულის უხვმოსავლიანი ჯიშები სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც აითვისეს. რა თქმა უნდა, თითქმის აღარ ითესებოდა ქართული ეროვნული, ტრადიციული სახეობის მარცვლეული. ძირითადად უფრო საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეკომენდებული ჯიშები უნდა დაეთესათ, რადგან ითვლებოდა, რომ ისინი გამორჩეული გენეტიკური თვისებების მატარებელი იყვნენ: უფრო უძლებდნენ მავნებლებს, გამოირჩეოდნენ ყინვგამძლეობით, იყვნენ უხვმოსავლიანი, ახასიათებდათ ნაკლები „მიზეზიანობა“ და ა.შ. ასეთ ჯიშებად XX საუკუნის 70-80-იან წლებში ითვლებოდა: „უფხო I“, „ავრორა“, „კავკაზი“. სახელმწიფო გეგმით ეს ჯიშები კახეთის მარცვლეულის პროფილის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოჰყავდათ. მაგალითად, 1974 წელს კახეთის ყველა რაიონს (გარდა ახმეტის რაიონისა), სადაც კი ხობალი მოჰყავდათ, ძირითადად ეს სამი ჯიში ეთესათ და საკმაოდ დიდ ფართობებზე: სიღნაღის რაიონში – 7 338 ჰექტარზე, წითელწყაროს რაიონში – 3 510 ჰექტარზე, ყვარლის რაიონში – 1 241 ჰექტარზე, საგარეჯოს რაიონში – 2 531 ჰექტარზე და ა.შ.

„ავრორა“ – ეს ჯიში ასევე თითქმის ყველა რაიონში დათესეს: საგარეჯოში – 2 610 ჰექტარზე, ლაგოდეხში – 5 745 ჰექტარზე, წითელწყაროში – 236 ჰექტარზე და ა.შ. ხორბლის ჯიში – „კავკაზი“ დიდ ფართობზე დათესეს: სიღნაღის (5 435 ჰა), გურჯაანის (2 074 ჰა), თელავის (2 858 ჰა), ყვარლის (1 744 ჰა) რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (სუიცსა, ს. 7637, 2).

საყურადღებოა, რომ საჰექტარო მოსავლიანობა ყველა რაიონში განსხვავებულია. მაგალითად, „უფხო I“-ის ყველაზე მაღალი მოსავალი მოვიდა წითელწყაროს რაიონში (ჰექტარზე 28,4 ტონა), გურჯაანისა და სიღნაღის როაიონებშიც მაღალი საჰექტარო მოსავლიანობა აჩვენეს – შესაბამისად 24,3 და 23,7 ტონა. ყველაზე დაბალი მოსავალი – 17,5 ტონა ჰექტარზე აიღეს ლაგოდეხელმა მშრომელებმა..

სამაგიეროდ „ავრორამ“ ძალიან გაუმართლა თელაველ მშრომელებს – ჰექტარზე აქ მოიწიეს 25,8 ტონა. ასევე გაამართლა „ავრორამ“ ლაგოდეხში (19,5 ტონა) და სიღნაღშიც (17,9 ტონა).

როგორც სტატისტიკური მასალა ადასტურებს, განსაკუთრებული მოსავლიანობით გამოირჩეოდა „კავკაზი“ – მაგალითად, წითელწყაროს რაიონში, სადაც ჰექტარზე 29,9 ტონა მიიღეს. მაგრამ იგივე ჯიშის ხორბალი სხვა რაიონში სხვა თავისებურებებით გამოირჩა: შედარებით ნაკლები რაოდენობა მიიღეს, მაგრამ მაღალი საჰექტარო მოსავლიანობა უჩვენა ლაგოდეხში, გურჯაანსა და თელავში.

აღნიშნული უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყენებით ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ სერიოზულად გაიუმჯობესეს ეკონომიკური მდგომარეობები. უამრავი სტატისტიკური ცნობებიდან ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს: საგარეჯოს რაიონის შიბლიანის, ბოგდანოვკის, ყანდაურასა და კაკაბეთის კოლმეურნეობებს ეთესათ როგორც „უფხო I“, ისე „ავრორა“. მათ ხორბალი დათესეს საკმაოდ დიდ ფართობებზე (მარტო ყანდაურელებმა – 253 ჰექტარზე, ხოლო კაკაბეთელებმა – 214 ჰექტარზე); სიღნაღის რაიონში „უფხო I“ ყველაზე დიდი ფართობები ჰქონდათ ჯუგაანის (1 091 ჰა), ბოდბის (484 ჰა) და მაღაროს (482 ჰა) კოლმეურნეობებს. წითელწყაროს რაიონში „უფხო 1“ სოფელ „გამარჯვების“ კოლმეურნეობაშიც ეთესათ, სულ 311 ჰექტარზე. თელავის რაიონში აღნიშნული ჯიში საკმაოდ დიდ ფართობზე მხოლოდ კონდოლის კოლმეურნეობამ დათესა (171 ჰა), დანარჩენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნათესები ძალიან უმნიშვნელოა (მერყეობს 10-20 ჰექტარამდე) და აქედან მიღებული შემოსავალიც მნიშვნელოვან ადგილს ვერ დაიკავებდა კოლექტივების ბიუჯეტში.

უნდა აღინიშნოს, რომ ხორბლის ჯიში „კავკაზიც“ საკმაოდ პოპულარული გახდა კახეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებისათვის. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობას ეს ჯიში ეთესა 2 660 ჰექტარზე, ზემო ქედის კოლმეურნეობას – 2 220 ჰექტარზე; სიღნაღში ეს მაჩვენებლები შედარებით მოკრძალებული ჩანს: ნუკრიანში ის უდრიდა 275 ჰექტარს, ჯუგაანში 53 ჰექტარს და ა.შ. (სუიცსა, ს. 7637, 10-12).

ხორბალი „უფხო I“ განსაკუთრებული მოსვალიანობით გამოირჩა სიღნაღის რაიონის ნუკრიანის (44,3 ტ.), წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის (47,3), თელავის რაიონის გულგულას (33 ტ.) და საგარეჯოს რაიონის შიბლიანის (23,4 ტ.) კოლმეურნეოებებში.

„კავკაზის“ მაღალი მოსავალი მოიყვანეს საგარეჯოშიც – მაგალითად, კაკაბეთელებმა (21,9 ტ.); სიღნაღში – ნუკრიანელებმა (29,4 ტ.), თელავში – გულგულელებმა (30 ტ.) და ა.შ. და ა.შ.

ამრიგად, აშკარაა, რომ კახეთის რეგიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შრომის რაციონალური ორგანიზაციისა და აგროტექნოლოგიური პირობების დაცვის შემთხვევაში საკმაოდ მაღალ საბოლოო შედეგებს აღწევდნენ მარცვლეული კულტურების, პირველ რიგში ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მაგრამ, ისიც აშკარაა, რომ ეს მაჩვენებლები ძალიან მერყეობს თვითოეული ცალკეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების შემთხვევაში, რაც მიუთითებს საკმაოდ დიდი რეზერვების არსებობაზე საქართველოს მემიდვრეობაში. აქედან გამომდინარე, არსებული ნაკლი და ჩამორჩენა, მნიშვნელოვანწილად, ჩვენი აზრით, სუბიექტურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული.

როგორც დოკუმენტები ადასტურებენ, კახეთში მნიშვნელოვან ფართობებზე იყო დათესილი სხვა თავთავიანი კულტურებიც, თუმცა მასშტაბებით

ისინი საგრძნობლად ჩამოუვარდებიან ხორბალს. მაგალითად, ბარდა კახეთში მოყავდათ მხოლოდ ყვარელსა და ლაგოდეხის რაიონში და მათი ფართობი 31 და 10 ჰექტარი ძლივს იყო. ეს კი იმდენად მოკრძალებული მაჩვენებელია, რომ მათგან მიღებული შემოსავლები ბევრ შემთხვევაში ვერ ფარავდა გაწეულ დანახარჯს (სუიცსა ს. 7173: 9).

კახეთში უფრო დიდ ფართობებზე ეთესათ სიმინდი. ამ კულტურისადმი ინტერესი, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებული იყო ნ. ხრუშჩოვის კახეთში მოგზაურობასთან. მაგრამ როგორც სათესი ფართობი, ისე მოსავლიანობაც, შედარებით საქართველოს სხვა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს) რაიონებისაგან, საკმაოდ მოკრძალებულია. მაგალითად, ყვარლის რაიონში სიმინდი ეთესათ: შილდის კოლმეურნეობაში – 320 ჰექტარზე, გავაზის კოლმეურნეობაში – 310 ჰექტარზე. ჭიკაანის კოლმეურნეობაში – 134 ჰექტარზე, ახალსოფლის კოლმეურნეობაში – 122 ჰექტარზე და ა.შ. (სუიცსა, ს. 7510, 2)

კახეთში უფრო პოპულარული იყო ლობიო, რომელსაც კახეთის თითქმის ყველა რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აუცილებლად თესდნენ. საილუსტრაციოდ მოვიტანს მხოლოდ ერთი რაიონის მონაცემებს. სიღნაღის რაიონის ბოდბის კოლმეურნეობაში ლობიო ეთესათ 6 ჰექტარზე, მაღაროსკარის კოლმეურნეობაში – 14 ჰექტარზე, ნუკრიანის კოლმეურნეობაში – 2 ჰექტარზე, ანაგის კოლმეურნეობაში – 6 ჰექტარზე, ჯუგაანის კოლმეურნეობაში – 5 ჰექტარზე და ა.შ. (სუიცსა, ს. 7507, 6).

როგორც ვხედავთ, საკვლევ პერიოდში კახეთის რეგიონში მემინდვრეობა, მართალია, განვითარებული, მაგრამ პრობლემებით საკმაოდ დატვირთული შრომითი მიმართულებაა. აშკარად ჩანს ამ დარგში როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი კოლექტივების არსებობაც. რისი საფუძველი, ჩვენი აზრით, სუბიექტურ ფაქტორებშია საძიებელი. აქედან გამომდინარე ისიც აშკარაა, რომ ამ დარგში ძალიან ბევრი რეზერვი იყო ასათვისებელი, რაც საბჭოთა სისტემის არსებობის ბოლო ეტაპზეც ბოლომდე ვერ მოხერხდა.

§ 4. ტექნიკური კულტურები კახეთში

მეაბრეშუმეობა. კახეთის მოსახლეობიათვის აბრეშუმის კულტურა ისეთივე ტრადიციულია, როგორც მევენახეობა – უხსოვარი დროიდან კახეთში უკვე იცოდნენ და ძალიანაც აფასებდნენ მეურნეობის ამ დარგს, კარგად ფლობდნენ მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილის წარმოების ხელოვნებას და მიღებული პროდუქცია ექსპორტშიც გაჰქონდათ. ყველა უცხოეული დამპყრობელი, როგორც ამას ისტორიული ანალები მიუთითებენ, როცა ქართველების ეკონომიკური განადგურება უნდოდა, კახეთში ვენახთან ერთად თუთის ხეებსაც ჩეხდა. კახეთი საქართველოს სწორედ ის გამორ-

ჩეული რეგიონი იყო, სადაც თუთის ტყის მასივები უზარმაზარ მასშტაბებს აღწევდა და მოსახლეობაც მას ძალიან უფრთხილდებოდა, სისტემატურად ამრავლებდა ამ ნარგავებს.

საბჭოთა პერიოდი მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის კეთილნაყოფიერი აღმოჩნდა – მსუბუქი და თავდაცვითი მრეწველობისათვის მუდამ საჭირო იყო ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი, რაც ბუნებრივ-ეკოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მხოლოდ სამხრეთის რესპუბლიკებში – ამიერკავკასიასა და შუა აზიაში შეიძლება განვითარებულიყო. სწორედ ამიტომაც საბჭოთა სახელმწიფო სუბსიდიებს არ იშურებდა, რომ აბრეშუმის მრეწველობის განვითარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პირველ რიგში, და აბრეშუმის პარკის წარმოების ადგილობრივი მატერიალური ბაზა განმტკიცებულიყო.

საბჭოთა პერიოდში აბრუშუმის პარკს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ამზადებდნენ და, როგორც დასტურდება, ის სოფლის მშრომელებისათვის მნიშვნელოვანი, დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. ასეთ ვითარებაშიც, საქართველოს რეგიონებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა კახეთი თავისი თუთის ტყეებით და აბრეშუმის წარმოების მამა-პაპური ტრადიციით.

მაგრამ ამ დარგს თავიდანვე დაჰყვა ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება – ეს ძირითადად საოჯახო წარმოება იყო, რომელიც ოჯახურ პირობებში, თითქმის მთელი ოჯახის მონაწილეობით, ხორციელდებოდა და იმჟამად სათანადოდაც ნაზღაურდებოდა.

ჩვენ ზემოთ, მეაბშუმეობაზე საუბრისას, აღვნიშნეთ, რომ 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, დამამზადებელი ორგანიზაციების მხრიდან, ადგილი ჰქონდა ინდივიდუალურ მეაბრეშუმეებთან ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების დარღვევას, რამაც ერთხელ მეაბრეშუმე ქალების გაფიცვაც კი გამოიწვია – ისინი მასობრივად აცხადებდნენ უარს აბრუშუმის ჭიის გამოკვებაზე. უკვე შემდეგ ეტაპზე პრობლემები მოწესრიგდა და მეაბრეშუმეობას საქართველოში აშკარად დაეტყო აღმავლობა – ეს განსაკუთრებით II მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში გახდა შესამჩნევი. თუ 1932 წელს საქართველოში დაამზადეს 1,3 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი, უკვე 1940 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის გასამმაგდა – შეადგინა 3, 6 ათასი ტონა. საქართველოს აბრეშუმის წარმოებაში სარეკორდოა 1950 წელი, როცა დამზადდა 3,9 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი (Народное хозяйиство..., 1977, 92).

რამდენადაც დარგი მაინც სპეციფიკური იყო – აბრეშუმის პარკის დამზადების მთელი ციკლი ოჯახის პირობებში მიმდინარეობდა და საოჯახო ბიზნესის სახეობას წარმოადგენდა, ზემდგომი ორგანოები ნაკლებად ერეოდნენ ამ პროცესებში, თუმცა, საბჭოთა კანონებიდან გამომდინარე, აბრეშუმის დამზადებისა და ჩაბარების გეგმები რაიონებში სისტემატურად მუშავდებოდა, დამზადებული ნედლეულის მისაღებად საკმაოდ დიდი თანხებიც იყო გამოყოფი-

ლი. სახელმწიფო, რაიონებში სპეციალურ შემსყიდველ პუნქტებსაც ხსნიდა, რომლის დახმარებითაც მეაბრეშუმე ქალები თავიანთ მიღებულ პროდუქციას სახელმწიფოს აბარებდნენ, რა თქმა უნდა, მტკიცე ფასებში.

პრაქტიკულად აბრეშუმის ჭიის მოვლისა და მისგან მაღალხარისხიანი აბრეშუმის პარკის დამზადების პროცესი იწყებოდა კოლმეურნე ქალების მიერ აღებული აბრუშემის გრენით. როგორც დასტურდება, ისინი გარკვეულ ვალდებულებას იღებდნენ ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე – იმისდა მიხედვით, თუ ჭიის გამოსაკვებად ვის როგორი და რამდენი რესურსი ჰქონდა. იყვნენ კოლმეურნე ქალები, რომლებიც 3-3 გრამ გრენს იღებდნენ, და იყვნენ რეკორდსმენებიც – რომლებიც აღებული 24 გრამი გრენიდან უზარმაზარ მოსავალს აბარებდნენ. მაგალითად, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ოსანა აივაზაშვილმა სწორედ 24 გრამი გრენიდან მიიღო 127 კილოგრამი მაღალოხარისხოვანი პარკი.

განსაკუთრებით პოპულარული იყო მეაბრეშუმეობა ახმეტის რაიონში, სადაც, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, ყველა სოფელში და თითქმის ყველა ოჯახში აბრეშუმის პარკს უვლიდნენ. რაიონში განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ ზემო ხოდაშნელი, ოჟიოელი, ქისტაურელი მეაბრეშუმეები. რაიონის მეაბრეშუმეების მიერ სახელმწიფოსთვის ჩაბარებული აბრეშუმის პარკის რაოდენობა ყოველთვის ჭარბობდა გეგმურს. საშუალოდ სეზონზე კოლმეურნე ქალები აბარებდნენ 16-30 კილოგრამს. თუმცა, მაგალითად, ქისტაურელმა ვართო კვიტაშვილმა სახელმწიფოს 82 კგ. აბრეშუმის პარკი ჩააბარა.

XX საუკუნის 60-იანი წლები განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა კახელი მეაბრეშუმეებისათვის. მაგალითად, ქისტაურელმა კოლმეურნეებმა 4 600 კგ ნაცვლად 5076 კგ. აბრეშუმის პარკი ჩააბარეს; ახაშნელმა მეაბრეშუმეებმა – 1 040 კგ., ნაცვლად – 1 234 კგ-ისა; ოჟიოელმა მშრომელებმა 4 460 კილოგრამი, რითიც გეგმას 260 კგ. გადააჭარბეს („ბახტრიონი“, 1965, 20 ივლისი), თელაველმა მეაბრეშუმეებიც ყოველწლიურად გეგმის ასევე დიდი გადაჭარბებით ასრულებდნენ და სახელმწიფოს აბრეშუმის პარკს დროულად აბარებდნენ. მაგალითად, 1970 წელს მათ სახელმწიფოს 652 ცენტნერი აბრეშუმის პარკი მიყიდეს სახელმწიფოს და გეგმა 110 პროცენტით შეასრულეს („ალაზნის განთიადი“ 1971:12 ივნისი). თელავის რაიონში მიღწევებით გამოირჩეოდნენ სოფელ კონდოლის მშრომელები, რუისპირელი მეაბრეშუმეები და სხვ.

შემდგომ წლებშიც გამოირჩეოდნენ კახელი მეაბრეშუმეები ამ დარგში თავისი მიღწევებით. ცნობილია, რომ 1977 წელს ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლა“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მეაბრეშუმეობის დარგში მოპოვებული მაღალი მიღწევებისათვის დააჯილდოვა ფულადი ჯილდოთი – 4200 მანეთით (სუიცსა, ს. 8041, 55)

კახეთის რეგიონში, უშუალოდ თელავის რაიონში, მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ ქალაქში უკვე XX საუკუნის 20-ია-

ნი წლებიდან ამოქმედა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი აბრეშუმსახვევ-საძახავი ფაბრიკა, რომელშიც რამდენიმე ასეული მშრომელი იყო დასაქმებული. ფაბრიკა წლიდან წლამდე ზდიდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობას. ეს კი აუცილებლად გულისხმობდა სანედლეულო ბაზის განმტკიცებას – რეგიონში აბრეშუმის პარკის მუდამ მზარდ რაოდენობას.

კახეთში მეაბრეშუმეობის განვითარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თელავში გახსნა თელავის მეაბრეშუმეობის საჯიშე-სასელექციო სადგური. როგორც აღნიშნავენ, სადგურის მთავარი მიზანი იყო აბრეშუმის ჭიის ჯიშების დამახასიათებელი თვისებების შენარჩუნება-გაუმჯობესება და საგრენაჟო ქარხნების მომარაგება ელიტური გრენით. სადგურს საკმაოდ დიდ ფართობზე ჰქონდა გაშენებული თუთის პლანტაცია და თავისი სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობით ხელს უწყობდა რეგიონში მეაბრეშუმეობის მოწინავე ტექნოლოგიების გავრცელებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ კოლმეურნეობებიც აქცევდნენ ყურადღებას თუთის პლანტაციების გაშენებას და ყოველწლიურად ათეულობით ჰექტარზე რგავდნენ თუთის სულ ახალ და ახალ ნარგავებს.

წლების მანძილზე საქართველოში მეაბრეშუმეობა მომგებიანი დარგი იყო – 1964 წელს დარგმა საქართველოს ეკონომიკას მოუტანა 604 ათასი მანეთის მოგება (სუიცსა, ს.7155, 11). მაგრამ სარკორდო მიღწევას (3,9 ათასი ტონა) საქართველოს მეაბრეშუმეობამ უკვე ვეღარ გადააჭარბა, პირიქით – დაიწყო უკუპროცესი და დარგის შეუქცევადი ვარდნა. უკვე 1970 წელს საქართველოში დაამზადეს მხოლოდ 2,6 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი, ხოლო 1975 წელს – 1,7 ათასი ტონა. ეს ვარდნა განაპირობა როგორც ობიექტურმა, ისე სუბიექტურმა ფაქტორებმა: შემოვიდა და საქართველოშიც ფართოდ გავრცელდა ხელოვნური აბრეშუმი, რომელიც ნაკლებად შრომატევადი და გაცილებით იაფი იყო; ხოლო საქართველოს სოფელში 70-80-იან წლებში სოციალისტური ეკონომიკის კრიზისმა მოსახლეობას საერთოდ ხელი ააღებინა აბრეშუმის ტრადიციულ დარგზე. დღეს კახეთში აღარც აბრეშუმის ჭიაა, აღარც თუთის პლანტაციები და აღარც თელავის აბრეშუმსახვევ-საძახავი ფაბრიკა.

მეთამბაქოეობა. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოში ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურების გნვითარების საქმეს: მას მიაჩნდა, რომ საქართველოს გეო-კლიმატური პირობები საუკეთესო შესაძლებლობებს იძლეოდა ამ ძვირადღირებული და მეტად საჭირო სოფლის პროდუქტის საწარმოებლად. ამ თვალსაზრისს საქართველოში იმჟამად სხვებიც იზიარებდნენ და უკვე იმ დროს იყო მცდელობა კახეთის რეგიონში ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის დაწყების. მაგალითად, რევოლუციამდე ლაგოდეხის ზონაში თამბაქოს კულტურის არსებობისა და პლანტაციების ექსპლოატაციის მაგალითები ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია. მუდამ ტრადიციული იყო კახეთისათვის მზესუმზირის კულტურის წარმოება – კახური ზეთი თავისი საგემოვ-

ნო თვისებებით ცნობილი და პოპულარული იყო სრულიად საქართველოში. ისიც აღსანიშნავია, რომ სოფელ ნაფარეულში – საუფლისწულო მამულში ყაზანლიყის ვარდის პირველი პლანტაციები უკვე 1897 წელს ცოლ-ქმარ კუშილოვებს გაუშენებიათ და 6,5 ჰექტარზე მსხმოიარე პლანტაციისაგან საუკეთესო ეკონომიკური შედეგებისთვისაც მიუღწევიათ.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის რეგიონში ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის საუკეთესო პირობები შეიქმნა საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როცა გეგმური წარმოება აუცილებლობით მოითხოვდა შესაფერ ნედლეულს, მათ შორის თამბაქოს, ეთერ-ზეთებს, ტუნგოს, მზესუმზირას და ა.შ. აქედან გამომდინარე, საქართველოში ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობების მოცულობა ყოველწლიურად უნდა გაზრდილიყო. და ეს ასეც ხდებოდა: თუ ომისშემდგომ წლებში ტექნიკური კულუტურების ხვედრითი წილი სათეს ფართობებში 4,5 პროცენტს შეადგენდა, 1965 წელს მან თითქმის 5,7 პროცენტს გადააჭარბა (საქართველოს სსრ..., 1967, 589).

ტექნიკურ კულტურებს კახეთის თითქმის ყველა რაიონში თესავდნენ, თუმცა მის სხვადასხვა სახეობას და თანაც სხვადასხვა მასშტაბებით. XX საუკუნის 60-იან წლებში ტექნიკურ კულტურებს კახეთის ზონაში ასეთი ფართობები ეკავა: საგარეჯოს რაიონში – 2 555 ჰექტარი, გურჯაანის რაიონში – 810 ჰექტარი, სიღნაღის რაიონში – 4886 ჰექტარი, წითელწყაროს რაიონში – 7 656 ჰექტარი, თელავის რაიონში – 300 ჰექტარი, ახმეტის რაიონში – 90 ჰექტარი, ყვარელში – 226 ჰექტარი, ლაგოდეხის ზონაში – 2 958 ჰექტარი (სუიცსა, ს.7173, 130).

რა თქმა უნდა, მკვეთრი განსხვავებები ფართობებში მთლიანად დაკავშირებული იყო გეო-კლიმატურ პირობებსა და სოფლის შესაძლებლობებთან – როგორც მტკიცდება, ტექნიკური კულტურების ძირითადი ნაწილი კახეთში წითელწყაროს რაიონში იწარმოებოდა.

ლაგოდეხში კი ძირითადად თამბაქო მოჰყავდათ და აქაური მეთამბაქოები ცნობილი იყვნენ თავისი მიღწევებით. რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მოჰყავდათ თამბაქოს კულტურა: ლაგოდეხის კალინინის სახ. კოლმეურნეობაში 130 ჰექტარზე ეთესათ სურნელოვანი თამბაქო, ცოდნისკარში – 184 ჰა ეკავა, ბაისუბანში – 141 ჰა., განჯალაში – 92,5 ჰა, ხეთაგუროვის სახ. კოლმეურნეობაში – 125 ჰა. (სუიცსა, ს.7510, 18). სულ ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს კულტურას ეკავა 2 350 ჰექტარი. როგორც დასტურდება, შესაძლო მოსავალის გეგმებიც რაიონისათვის მუდამ მზარდია – 70-იანი წლების ბოლოს ლაგოდეხელები წლიურად სახელმწიფოს 7 000 ტონაზე მეტ თამბაქოს აბარებდნენ.

თამბაქო მეტად შრომატევადი კულტურაა, დიდ დანახარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ, როგორც ეკონომისტები მიუთითებენ „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება უდრიდა 406 ათას მანეთს და რენტაბელობის ნორმა კი 48,2 პრო-

ცენტს“ (საქართველოს სსრ..., 1967, 590). ეს კი კარგი სტიმული იყო შემდგომი ეკონომიკური ექსპერიმენტებისათვის.

საქართველოში თამბაქოს მოსავლიანობის პიკი იყო 1975 წელს, როცა მოიკრიფა 18,2 ათასი ტონა ნედლეული. ამის შემდეგ ხდება მკეთრი დაქვეითება. დღეს ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს კულტურას თითქმის აღარ თესავენ.

კახეთში მდიდარი ტრადიციები აქვს მზესუმზირის წარმოებას და საკვლევ პერიოდში ის კახეთის ყველა რაიონში იყო გავრცელებული. კახეთის რეგიონში მზესუმზირა და სოიო მოჰავდათ როგორც კოლმეურნეობებში, ისე საბჭოთა მეურნეობებშიც: საგარეჯოში (2555 ჰა), სიღნაღსა (4886 ჰა) და წითელწყაროში (7656 ჰა) ამ ტექნიკურ კულტურებს ყველაზე დიდი ფართობები ეკავათ, მაშინ როცა ზოგიერთ რაიონში მათი ხვედრითი წილი ძალიან უმნიშვნელო ჩანს: მაგალითად, ყვარელში (16 ჰა), ახმეტაში (90 ჰა) და ა.შ. (სუიცსა, ს. 7510, 15).

თელავის რაიონშიც ტექნიკურ კულტურებს მოკრძალებული პოზიცია ეკავათ: აკურაში, ვანთასა და კონდოლში მათ საერთოდ არ თესდნენ. ხოლო სადაც თესდნენ – მაგალითად, გულგულაში, იყალთოში – ფართობები აშკარად მოკრძალებულია (20-30 ჰექტარი), აქედან გამომდინარე – შემოსავლებიც.

ტექნიკურ კულტურებს დიდ ფართობებზე თესდნენ სიღნაღის რაიონის მაღაროს (355 ჰა), ბოდბის (305 ჰა), ჯუგაანის (244 ჰა) და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საგარეჯოს რაიონში ტექნიკური კულტურების ყველაზე დიდი ფართობი იყო პატარძეულის კოლმეურნეობაში (208 ჰა), სხვა სოფლებში – მათ მცირე ფართობები ეკავათ. გურჯაანის რაიონში ტექნიკური კულტურების ფართობებითა და მოსავლიანობით გამოირჩეოდა ჩალაუბნის, კაჭრეთის, არაშენდის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

კახეთი საქართველოში მზესუმზირის კულტურის მთავარი მომყვანი და მწარმოებელი კუთხეა. საქართველოში საკვლევი პერიოდის მთელ სიგრძეზე სახეზეა მზუსუმზირის მოსავლიანობის ზრდის ჩინებული მაჩვენებელი: 1960 წელს მოიწიეს 8,2 ათასი ტონა, 1975 წელს – 18,2 ათასი ტონა. უნდა აღინიშნოს, რომ არის მეორე მონაცემიც, რომელიც ამტკიცებს, რომ 1976 წელს საქართველოში მზესუმზირა მოიწიეს მხოლოდ 11,7 ათასი ტონა (Народное хозяйиство..., 1977, 92). ჩვენთვის უცნობია ამ ცდომილების მიზეზი და მისი დადგენა ჭირს, მაგრამ ეს ბოლო მონაცემი გულისხმობს, რომ ამ მიმართულებით ზრდის ტენდენცია კი არის, მაგრამ ის მეტად უმნიშვნელოა.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იმჟამად ეთერზეთების წარმოებაც კახეთის რეგიონისათვის მთავარი და მნიშვნელოვანი მიმართულება იყო. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს დარგი რეგიონში ძირითადად საჭოთა ხელისუფლების წლებში განვითარდა. საკვლევ პეიოდში მან მნიშვნელოვანი მასშტაბებიც კი შეიძინა: მარტო ლაგოდეხის რაიონში ამ კულტურას ეკავა 329 ჰექტარი, ყვარლის რაიონში – 210 ჰექტარი, თელავის რაიონში –

145 ჰექტარი. აქაც ძირითადად მოჰყავდათ ბაზილიკის ყვავილი, რეჰანი, ჰერანი, ყაზანლიყის ვარდი და სხვ.

თელავის რაიონის ჯუღაანის კოლმეურნეობაში ვარდის პლანტაციები 5 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. პლანტაცია ორ ბრიგადაზე იყო გადანაწილებული და, როგორც ამტკიცებენ, ჩინებულადაც ყოფილა მოვლილი: კოლმეურნეებმა ამ ფართობზე დაგეგმილი 3,5 ტონის ნაცვლად 5,5 ტონა ვარდი მოკრიფეს („ალაზნის განთიადი“ 1965, 4 მარტი).

კახეთის რიგ რაიონში უფრო ყურადღებას ჰერანის მოლა-მოყვანას აქცევდნენ. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში მას 20 ჰექტარი ეკავა, ყვარლის რაიონში – 19 ჰექტარი, თელავის რაიონში -14 ჰა. მოსავალიც მაღალი ჩანს – თელავში ჰექტარზე 171,4 ტონა ჰერანის მცენარეს ჰკრეფდნენ, ლაგოდეხში – 100 ტონას. (სუიცსა ს.7173:18)

თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში შექმნილი იყო სპეციალური, ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა. თელავის რაიონული გაზეთის კორესპონდენტმა მთელი დღე გაატარა მეურნეობაში და ასეთი აღწერილობა დაგვიტოვა: „მუშები მასობრივად გამოდიან სამუშაოდ. გაზაფხულისთვის ამზადებენ სათბურებს – გამოაქვთ ძველი მიწა, შეაქვთ ახალი – მინერალური სასუქებით განოყიერებული მიწა. აწესრიგებენ სათბურების ჩარჩოებს, უცვლიან მინებს, შეაქვთ ახალი ნაკელი. 21 თებერვალს ამ სამუშაოზე 200 კაცი მუშაობდა“ („ალაზნის განთიადი“, 1965, 2 მარტი). როგორც ჩანს, ადგილობრივი მშრომელები გამოირჩეოდნენ მაღალი შრომითი აქტივობით: მაგალითად, აღაქარუმ აჯიმურაოღლიმ 0,6 ჰექტარზე 6 ტონის ნაცვლად 19,5 ტონა რეჰანი მოიყვანა. ეს მართლაც დიდი მიღწევა იყო.

ვარდის პლანტაციებით ასევე ცნობილი იყო სოფელი ნაფარეული. გეოკლიმატური პირობები უზრუნველყოფდნენ აქაური ვარდის არა მარტო მაღალ საჰექტარო მოსავლიანობას, არამედ მიღებული ზეთის გამორჩეულ არომატიზირებასაც. ეთერზეთებზე მოთხოვნილების სისტემატური ზრდა უზუნველყოფდა მაღალ ანაზღაურებას და აქედან გამომდინარე მშრომელების განსაკუთრებულ დაინტერესებასაც. ამიტომაც ნაფარეულელმა კოლმეურნეებმა გაზარდეს სათესი ფართობი და ის თითქმის 47 ჰექტარამდე აიყვანეს. როგორც ამტკიცებდნენ, თითოეული ჰექტარიდან კოლმეურნეობა იღებდა 4 200-4 700 მანეთის წმინდა შემოსავალს. დიდი კომერციული ინტერესიდან გამომდინარე 1 კგ ვარდის სახელმწიფო შესასყიდი ფასი უდრიდა 5 მანეთსა და 60 კაპიკს. ეს კი საკმაოდ ამაღლებდა მშრომელთა ენთუზიაზმსაც და, აქედან გამომდინარე, მათ საბოლოო ეკონომიკურ შედეგსაც.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ თელავის რაიონში უკვე 1939 წლიდან ფუნქციონირებდა ეთერზეთების ქარხანა. 1961 წელს ქარხანა გაფართოვდა ლაფანყურის კოლმეურნეობის ბაზაზე. აშენდა ახალი ადმინისტრაციული შენობა და სასტუმრო, ზეთისგამომხდელი ახალი ქარხანა. ქარხანას ნედლეულით ამარაგებდა ნაფარეულის, ჯუღაანის, სანიორეს, ყარაჯალას, ლაფანყურის და საჭირო ნედლეულის მწარმოებელი სხვა

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ქარხანა იმჟამად წარმატებული იყო, შრომისნაყოფიერება კი ყოველწლიურად იზრდებოდა ერთი კილოგრამი ვარდის ზეთი კოლექტივს უჯდებოდა 561,5 მანეთის ნაცვლად 497 მანეთი და 20 კაპიკი.

ეთერზეთების წარმოების მაჩვენებელი საქართველოში ყოველწლიურად იზრდებოდა, დარგი აშკარად პერსპექტიული ჩანდა და თანაც მომგებიანიც. ამიტომ საჰექტარო ფართობებთან ერთად მკვეთრად იზრდებოდა ეთერზეთების დამზადების მაჩვენებელიც: თუ 1960 წელს საქართველოში დამზადდა 10,7 ათასი ტონა ნედლეული, 1976 წელს – 28,6 ათასი ტონა. ფაქტობრივად 16 წელიწადში მოსავლის რაოდენობა თითქმის გასამმაგდა.

დღეს კახეთის რეგიონში ეთერზეთების წარმოება ფაქტობრივად აღარ არსებობს...

§ 5. „დიდი ბაღები, დიდი ბოსტნები...“ კახეთში

მეხილეობა. საქართველოში მეხილეობას ისეთივე ძველი და მდიდარი ტრადიციები აქვს, როგორც მევენახეობას, ღვინის წარმოებას თუ აბრეშუმის დამზადებას. სურნელოვანი ქართული ხილი: ვაშლი, მსხალი, ქლიავი თუ ატამი, თავისი საგემოვნო თავისებურებებით, განთქმული და გამორჩეული იყო მუდამ. ცნობილია, რომ ი. სტალინი, ომისშემდგომ პირველ წლებში, საქართველოს ხელმძღვანელებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა საქართველოში ხილის წარმოების, განსაკუთრებით ატმის დამზადების, გადიდებისა და საქართველოს მეხილეებისათვის გამორჩეული პირობების შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში, მის თითქმის ყველა რაიონში, მათ შორის მთიან ზოლშიც (მაგალითად, ახმეტის რაიონში) მეხილეობა საკმაოდ განვითარებული იყო და კოლმეურნეობესა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში ამ კულტურას თავისი გამორჩეული ნიში მუდამ ეკავა.

მსხმოიარე ბაღების ფართობები, მართალია, არც ერთ რაიონში განსაკუთრებით დიდი არ ჩანს, მაგრამ საკმარისია იმისათვის, რომ ბაღების სათანადო მოვლის პირობებში მუდმივად უზრუნველეყო მეურნეობა დამატებითი და მნიშვნელოვანი შემოსავალებით. მით უფრო, რომ კახეთის ყველა რაიონში XX საუკუნის 60-იან წლებში ფუნქციონირებდა საკმაოდ გამართული საკონსერვო წარმოება, რაც უკვე გულისხმობდა მოყვანილი ხილის დიდი მასის სამრეწველო გადამუშავებას, რაც ხილის დანაკარგების მნიშვნელოვან შემცირებას იწვევდა.

როგორც დასტურდება, საგარეჯოს რაიონში უკვე 60-იან წლებში მსხმოიარე ბაღების რაოდენობა უდრიდა 490 ჰექტარს, სიღნაღის რაიონში – 329 ჰექტარს, წითელწყაროს რაიონში – 304 ჰექტარს, თელავის რაიონში – 387

ჰექტარს, ყვარლის რაიონში – 195 ჰექტარს, ლაგოდეხის რაიონში 451 ჰექ-ტარს (სუიცსა, ს.7173, 31).

სტატისტიკური ცნობარი იმაზეც მიუთითებს, რომ მეხილეობა უფრო კოლმეურნეობებში იყო განვითარებული (მაგალითად, წითელწაროს რაიონში მხოლოდ კოლმეურნეობებს ჰქონდათ ხეხილის ბაღები); ხოლო თუ საბჭოთა მეურნეობაში ავითარებდნენ ამ დარგს – დასტურდება ძალიან უმნიშვნელო ფართობები, მაგალითად, – სიღნაღის რაიონის საბჭოთა მეურნეობებს ხეხილი მხოლოდ 37 ჰექტარზე ჰქონდათ დარგული.

დასტურდება ისიც, რომ კახეთის ბევრი კოლმეურნეობა სერიოზულად ეკიდებოდა მეურნეობის ამ მიმართულებას და ცდილობდა ყოველწლიურად გაეზარდა როგორც ნარგავების საერთო რაოდენობა, ანუ აეთვისებინა ახალი სავარგულები, ასევე მნიშვნელოვნად გაედიდებინათ ხილის საჰექტარო მოსავლიანობაც, მიეღოთ ამ დარგიდან უფრო მეტი და სტაბილური შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტენდენცია კახეთში უფრო შეიმჩნეოდა იმ რეგიონში, რომლის კლიმატური პირობები შედარებით ნაკლებად უწყობდა ხელს ხეხილის ვეგეტაციას. მაგალითად, ალვანის საბჭოთა მეურნეობაში ხეხილის ბაღებს 180 ჰექტარი ეკავათ. კოლექტივი ერთ-ერთ საანგარიშო წელს აპირებდა ამ ფართისათვის კიდევ 23 ჰექტარი დაემატებინა. საბჭოთა მეურნეობაში აშკარად მაღალი ჩანს საჰექტარო მოსავლიანობაც („ბახტრიანი“, 1965, 31 ივლისი).

ახმეტის რაიონის ოჟიოს კოლმეურნეობაშიც ხეხილის ბაღებს 70 ჰექტარი ეკავათ. როგორც ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი აღნიშნავდა: „დამთავრებულია რიგთაშორისო საზამთრო ხვნა, მიმდინარეობს ნარგავების ძირების გამობარვა“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეობაში ბაღების მოვლა აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენა იყო.

რაიონში რომ მეხილეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ახმეტაში პერიოდულად აწყობდნენ ხეხილ-კენკროვანი ბაღების აღწერებსა და დათვალიერებებს, რომლის დროსაც ავლენდნენ საუკეთესო ბაღებს, მოწინავე მეხილეებს და საუკეთესო ხილის სახეობებს.

შეიძლება ასეთი მზრუნველი დამოკიდებულება აპირობებდა, რომ მეხილეობის დარგში რაიონის შრომით კოლექტივებს ჩინებული მიღწევები ჰქონდათ – მაგალითად, ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობამ დამტკიცებულ გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა (ანუ წლიური დავალება შეასრულა 189,4 პროცენტით).

მუდამ მაღალ მაჩვენებელს აღწევდნენ ოჟიოელი, ქისტაურელი, ზემო ხოდაშნელი მეხილეები. XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ამ სოფლების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იღებდნენ ჩინებულ მოსავალს: ოჟიოში 426 ცენტნერს ჰექტარზე, ზემო ხოდაშენში – 110 ცენტნერს ჰექტარზე, ქისტაურში – 130 ცენტნერს ჰექტარზე და ა.შ. („ბახტრიანი“, 1981, 17 მარტი).

მეხილეობა საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს კახეთის სხვა რაიონებშიც, თუმცა, ჩვენი აზრით, საკმაოდ მოკრძალებულ ფართობებზე: მაგალითად, ყვარლის რაიონის შილდის კოლმეურნეობაში ხეხილის ბაღებს ეკავა მხოლოდ 25 ჰექტარი, გავაზის კოლმეურნეობაში – 10 ჰექტარი, ჭიკაანის კოლმეურნეობაში – 7 ჰექტარი და ა.შ. ასევე მცირეა ხეხილის ფართობები ლაგოდეხის რაიონშიც: ლაგოდეხის კალინინის სახ. კოლმეურენეობაში მისი მოცულობა 20 ჰექტარია, ცოდნისკარის კოლმეურნეობაში – 12 ჰექტარი, განჯალას კოლმეურნეობაში – 3 ჰექტარი და ა.შ. (სუიცსა ს.7510:2;18).

თელავის სახელგანთქმულ წინანდლის საბჭოთა მეურნეობაშიც კი ხეხილის ბაღები 9,5 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული და ამ შრომითი გაერთიანების სამეურნეო სტრუქტურაში მეხილეობას საკმაოდ მოკრძალებული ადგილი ეკავა. ასევე სახელგანთქმულ წითელ წყაროს სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში ბაღების ფართობი მხოლოდ 62,3 ჰექტარზე იყო გადაჭიმული, გურჯაანის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში – 39 ჰექტარზე და ა.შ.

მაგრამ, როგორც სპეციალისტები მიუთითებდნენ საქართველოს, მათ შორის კახეთის რეგიონის მეხილეების საქმიანობაში ძალიან ბევრი იყო პრობლემები. აი, როგორც აფასებს მოვლენას ქართველი ისტორიკოსი: „საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მოსავლიანობის მიხედვით აღმოჩნდა ბოლოდან მეორე ადგილზე, რაც აიხსნება იმით, რომ ...განსაკუთრებით მებაღეობა ჩვენში ვითარდებოდა ექსტენსიურად. საქართველოში ხილის საჰექტარო მოსავლიანობა 60-70 ცენტნერის რაოდენობით კარგ მოსავლად ითვლება. ამავე დროს ქვეყნის (იგულისხმება სსრკ – ა.დ.) მოწინავე მეურნეობებში, სადაც დიდი ხანია ინტენსიურ მებაღეობაზე გადავიდნენ, ჰექტარზე იღებენ 300-400 ცენტნერ ხილს“ (კოჭლავაშვილი, 1980, 864).

ასევე კრიტიკულია ეკონომისტების შეფასებაც: „ხილისა და კენკროვანების საჰექტარო მოსავალი წლების მანძილზე ჯერ კიდევ ძლიერ მერყეობს, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვერ მიაღწიეს მყარი მოსავლის მიღებას“ (საქართველოს სსრ.... 1967, 601).

საინტერესოა ექსპერტების აზრი საქართველოს მეხილეობის დარგში შექნილი ვითარების გამომწვევი მიზეზების შესახებაც: „რესპუბლიკის... ბაღებში ჯერ კიდევ დიდი იყო მეჩხერიანობა, სათანადოდ არ ხორციელდებოდა უკვე ნაცადი აგროტექნიკური ღონისძიებები. ყველაფერი ეს მნიშვნელოვნად აფერხებდა მრავალწლიანი კულტურების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას“ (კოჭლავაშვილი, 1980, 864).

ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება, მართლაც, აშკარად მიუთითებს სერიოზულ პრობლემებზე საქართველოს მეხილეობაში, რაც, ჩვენი აზრით, ფაქტობრივად არ უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოში არსებობდა საკმაოდ ავტორიტეტული მეხილეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი, რომელიც კურირებდა ამ დარგს და მისი საკმაოდ მაღალკვალიფიცირებული მეცნიერები პერიოდულად ამოწმებდნენ რეგიონებში ბაღებისა და ვენახების მდგომარეობას, ატარებდნენ საცდელ გამოკლევებს, ნერ-

გავდნენ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს. ერთ-ერთი მათ მიერ რეალიზებული სიახლე იყო, მაგალითად, გურჯაანში პალმეტური ბაღების გაშენების პრაქტიკა, ხეხილის მოვლის მოწინავე ტექნოლოგიების რეალიზება და ა.შ. მიუხედავად ყველაფრისა, მეხილეობაში შედეგები მაინც მოკრძალებული ჩანს. ასე მაგალითად, თელავის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე ვერ ასრულებდა ხეხილის დამზადებისა და ჩაბარების გეგმებს. გურჯაანის მუკუზანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 1977 წელს ხილის დამზადების გეგმა მხოლოდ 39 პროცენტით შეასრულა (სუიცსა ს. 8661, 4). ამავე რაიონის სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ხილი მოიწიეს გეგმის მხოლოდ 35 პროცენტი. მსგავსი მაგალითი ძალიან ბევრია.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისულ მდგომარეობას კახეთის მეხილეებმა შემდგომ პერიოდშიც ვერ დააღწიეს თავი, თუმცა საბჭოთა სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ საქართველოში ხილის დამზადების მაჩვენებლების სისტემატურ ზრდაზე 294 ათასი ტონიდან (1970 წ.) 483,2 ათას ტონამდე (1979 წ.). ეს ზრდა, სრულიად ადვილი შესაძლებელია მიღწეული იყო საქართველოს სხვა რეგიონების (ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, იმერეთის, აფხაზეთის და სხვ.) მეხილეების შრომის ფასად.

ბოსტნეული კულტურები. საქართველოში ბოსტნეული კულტურების განვითარებისათვის ჩინებული პირობებია და ძალიან ბევრ რეგიონში – ის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორიც არის.

კახეთშიც, თითქმის ყველა რაიონის სოფლის შრომით კოლექტივს ბოსტნეული კულტურების წარმოება გეგმით ჰქონდა გაწერილი. საკვლევ პერიოდში, მაგალითად, თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობას ბოსტანი გაშენებული ჰქონდა 10 ჰექტარზე, ვანთას კოლმეურნეობას – 6 ჰექტარზე, კონდოლელ მშრომელებს – 5 ჰექტარზე, სოფელ გულგულაში ბოსტანს 7 ჰექტარი ეკავა, იყალთოში კი 5 ჰექტარი. ყველაზე პატარა ბოსტანი ჯუღაანის კოლმეურნეობას ჰქონდა (სულ 2 ჰექტარი) (სუიცსა, ს. 7507, 1).

ყვარლის რაიონში ბოსტნეული უფრო დიდ ფართობებზე ეთესათ – შილდის კოლმეურნეობაში 16 ჰექტარზე, გავაზის მეურნეობაში – 12,3 ჰექტარზე, ჭიკაანის კოლმეურნეობაში – 12 ჰექტარზე და ა.შ.

შედარებით დიდი ფართობი ბოსტანს ეკავა ლაგოდეხის რაიონშიც – მაგალითად, კალინინის სახ. კოლმეურნეობაში თითქმის 25 ჰექტარი, ცოდნისკარში – 22 ჰექტარი, ხეთაგუროვის სახ. კოლმეურნეობაში – 20 ჰა და ა.შ.

ყვარლისა, საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებშიც ბოსტნეულის ფართობები შედარებით მოკრძალებულია – აქ ყველაზე დიდი ბოსტანი ჩუმლაყის კოლმეურნეობას ჰქონდა (36 ჰექტარი).

ბოსტანში ძირითადად მოჰყავდათ კარტოფილი, პამიდორი, კიტრი, მრავალფეროვანი მწვანილი (ქინძი, ოხრახუში, კამა, ნიახური, ტარხუნა, ბოლოკი და ა.შ.), მოჰყავდათ ძირითადად ადგილობრივი, ენდემური ჯიშები. უნდა აღინიშ-

ნოს, რომ ნაადრევი ბოსტნეულით საქართველოს სოფლის მშრომელები ამარაგებდნენ მოსკოვსა და ლენინგრადს, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებს.

საქართველოში, როგორც სტატისტიკური ცნობები მიუთითებენ, მებოსტნეობა განსაკუთრებულ აღმავლობას მთელი საკვლევი პერიოდის მანძილზე განიცდიდა: 1960 წელს 50,9 ათასი ტონიდან ბოტნეული კულტურების მოსავალიანობამ შეადგინა 273,8 ტონა (1976 წელი) (Народное хозяйиство..., 1977, 92).

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, მებოსტნეობის ზრდის რადიკალურად განსხვავებულ ცნობებს იძლევა საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის ტომი „საქართველოს სსრ“, სადაც ბოსტნეულის წარმოება XX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში საკმაოდ გადიდებულია და უახლოვდება წლიურად 372 ათას ტონას (ქსე – „საქართველოს სსრ“, 1981, 137). ასეთი ციფრობრივი ცდომილების მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

მაგრამ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რევიზორები ზუსტად აღრიცხავდნენ ვითარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მათი ანგარიშები ჩნებულ წყაროს წარმოადგენს XX საუკუნის 60-80–იან წლებში საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონის სასოფლო შრომით ორგანიზაციებში მებოსტნეობაის დარგში შექმნილი ვითარების შესახებ.

ამ ანგარიშებშიც არის ცნობები, რომ ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სერიოზულად ეკიდებოდა ბოსტნეული კულტურების წარმოებას, დროულად ატარებდა აგროტექნიკურ ღონისძიებებს, ნიადაგში შეჰქონდა აგროწესებით გათვალისწინებული ორგანული თუ მინერალური სასუქები და შედეგებსაც ჩინებულს იღებდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი იყო წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა. შემოწმებული სამი წლის მანძილზე (1972-1975 წლები) მეურნეობამ ბოსტნეული კულტურების სახეობები დაწესებული გეგმის 146,3 პროცენტის გადაჭარბებით მოიწია (სუიცსა, ს. 8014, 4);

მაგრამ ყველგან ვითარება ასეთი წარმატებული არ იყო. წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, მართალია, ბოსტანი 20 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული, მაგრამ როგორც რევიზორები აღნიშნავდნენ: „ტექნოლოგიური რუკების გაუთვალისწინებლობისა და ბრიგადირების უპასუხისმგებლობის გამო“ ბოსტნეულის თვითღირებულებას გადააჭარბეს 67,63 მანეთით (სუიცსა, ს. 7919, 10).

პრობლემები მებოსტნეობაში კახეთის სხვა რეგიონებსაც ჰქონდათ. მაგალითად, ყვარლის რაიონის შილდას კოლმეურნეობამ 1972 წელს სახელმწიფო დავალება ბოსტნეული კულტურების დარგში (70 ც.) შეასრულა მხოლოდ მიზერული მაჩვენებლით (4,4 ც.) თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა XX საუკუნის 80-იან წელების დასაწყისში ბოსტნეულის სახელმწიფო დავალება მხოლოდ 65 პროცენტით შეასრულეს (სუიცსა, ს.9913, 226).

არსებული მდგომარეობა უკეთესობით ვერ შეიცვალა საკვლევი პერიოდის დასკვნით ეტაპზეც კი.

§ 6. სოფლის მეურნეობის დარჩენილი დარგები

მეფრინველეობა. შინაური ფრინველის მოვლა-გამრავლება სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. საქართველოში აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტები მიუთითებენ, რომ უძველესი ქართველური ტომები საქონელთან ერთად იშინაურებდნენ ფრინველსაც. ქართველი ეთნოლოგები მეფრინველეობის მკვეთრად გამორჩეულ რეგიონალურ თავისებურებებზეც საუბრობენ.

კახეთსაც მეფრინველეობის დარგში თავისი ადგილობრივი, რეგიონალური გამოცდილება ჰქონდა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გარკვეულ ნაწილს მეფრინველეობის დარგში ყოველწლიურად დაკისრებული ვალდებულებების შესრულება უწევდა და მეფრინველეობა მათი ბიუჯეტის გარკვეულ სეგმენტს იკავებდა. მაგალითად, მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც მრავალდარგიანი პროფილის წარმოება იყო, მეფრინველეობასაც გარკვეული ადგილი ეკავა – ყოველწლიურად მას დაახლოებით 46 122 ათასი კვერცხი უნდა ჩაებარებინა სახელმწიფოსათვის. უნდა გამორჩეულად აღინიშნოს, რომ ამ დავალებებს საბჭოთა მეურნეობა ყოველთვის გადაჭარბებით (დაახლოებით 113%) ასრულებდა (სუიცსა, ს.7155, 24).

საკმაოდ ბევრი ფრინველი ყავდათ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს – ლაგოდეხის კალინინის სახ. კოლმეურნეობაში ბალანსზე 2447 ფრთა-ქათამი ირიცხებოდა, ცოდნისკარში – 4698, ბაისუბანში – 2596, განჯალაში – 1465, ხეთაგროვის სახ. კოლმეურნეობაში – 2 808 (სუიცსა, ს.7510, 18). როგორც დასტურდება, თითქმი ყველა მეურნეობას ფრთა-ქათამი გეგმური რაოდენობაზე გაცილებით მეტიც ჰყავდა და კვერცხსაც სახელმწიფოს უფრო მეტს აბარებდა, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა.

მაგრამ კახეთის ბევრ რაიონში იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები, რომელთაც საერთოდ არ ჰქონდათ ფრინველის ფერმა და მეფრინველეობას სულ არ მისდევდნენ. ამ სოფლებში ქათმის მოშენება მხოლოდ პირად საკარმიდამო მეურნეობაში იყო გავრცელებული.

მიუხედავად ამისა, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საანგარიშო დოკუმენტები მიუთითებენ, კვეცხმდებელი ქათმების რაოდენობა მთლიანად რესპულიკაში პროგრესულად იზრდებოდა: როგორც გვიმტკიცებენ, 1960 წელს 63 მილიონი ცალი კვერცხი უკვე 1976 წელს გახდა 326,7 მილიონი ცალი (Народное хозяйиство..., 1977, 92). ასევე ძლიერ გაიზარდა ფრთა-ქათამის საერთო რაოდენობა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციაში – 1961 წელს თუ იყო 7 218 ათასი

ფრთა-ქათამი, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 15 553 ათასამდე (1976 წ.). მიუხედავად ამისა, ამ დარგში პრობლემები ძალიან ბევრი ჩანს.

ამიტომაც ძნელია ამ სტატისტიკური მონაცემების ჭეშმარიტება დაიჯერო, როცა კითხულობ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის სხდომების ოქმებს, სადაც მეფრინველეობის დარგში საქართველოში შექმნილ მძიმე ვითარებაზეა საუბარი – მაგალითად, როცა განიხილეს 1965 წელს არსებული მდგომარეობა: კოლეგიაზე აღინიშნა, რომ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული 12 მეფრინველეობის პროფილის მეურნეობიდან მხოლოდ 5 მეურნეობა იყო მომგებიანი. ფრინველის სულადობის გეგმა ამ 12-მა მეურნეობამ მხოლოდ 64,9 პროცენტით შეასრულა, დედლების სულადობრივი მაჩვენებელი ასევე შეუსრულებელი დარჩათ (78,9 პროცენტი). სერიოზულად გაიზარდა თვითღირებულებაც – 1 კგ. ქათმის ხორცის წარმოებაზე დაიხარჯა თითქმის 10 მანეთი, დაგეგმილი 7,65 მანეთის ნაცვლად. მეფრინველეობის დარგმა 1965 წელს დაასრულა მხოლოდ 67,8 ათასი მანეთის მოგებით, მაშინ როცა მოელოდნენ დაახლოებით 898 ათასი მანეთის მოგებას (სუიცსა, ს.7190, 198).

ვითარება არც მომდევნო წლებში გაუმჯობესებულა. მეფრინველეობაში რადიკალური ტექნიკური და ტექნოლოგიური გარდაქმნები იყო საჭირო, ამას დიდი სუბსიდიები და ენერგიული ადამიანები ჭირდებოდა. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში სწორედ ამ პერიოდში მიმდინარეობდა ახალი სამრეწველო რევოლუცია, რომელიც მეფრინველეობასაც შეეხო და რადიკალური ცდილებები გამოიწვია – დარგი მთლიანად ავტომატიზირებული და მექანიზირებული გახდა, ქართმის წარმოების მთელი ციკლი ერთ მთლიან საწარმოო პროგრამას დაუქვემდებარეს, რადიკალურად გააუმჯობესეს ჯიშური სელექცია, გამოიყენეს ახალი ბიოტექნოლოგიები, ინდუსტრიული გახადეს საკვების დამზადება და ა.შ. და ა.შ.

მართალია, საქართველოს მეფრინველეობაში იმ პერიოდში დაინერგა ახალი საინკუბაციო ტექნიკა და გარკვეული ტექნოლოგიებიც კი, მაგრამ სამრეწველო რევოლუციის შედეგები მეფრინველეობაში აშკარად არ ჩანდა – ფრინველის ხორცი საბჭოთა ბაზარზე კვლავ დელიკატესი იყო. მისი შეძენა საბჭოთა მოქალაქეს ძირითადად საკოლმეურნეო ბაზარზე უხდებოდა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყეს საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკების ორგანიზება. ივარაუდებოდა, რომ ასეთი გაერთიანებები ხელს შეუწყობდა დარგის დაწინაურებას. ერთერთი პირველი იყო თელავის მეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა 25 ათასი კვერცხისმდებელი ქათამით. ასეთივე ფაბრიკა მოგვიანებით ჩამოყალიბდა გურჯაანშიც. იგეგმებოდა კიდევ დამატებით 5 ასეთი ფაბრიკის მშენებლობა (სუიცსა, ს. 7472, 61). თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, თავიდავე ამ საწარმოებს სერიოზული „აქილევსის ქუსლი“ დაჰყვათ. ზოგი ექსპერტი ამას სუბიექტურ ფაქტორებს უკავშირებდა, ზოგიც – ტექნოლოგიურს. ფაქტი ერთია – ფრინველის ხორცის დეფიციტი

საბჭოთა ბაზარზე კვლავ არსებობდა და მისი ნეიტრალიზება დასავლეთ ევროპიდან შემოტანილი გაყინული და დაფასოებული ქათმით სცადეს.

წლები გადიოდა, მაგრამ მდგომარეობა არ სწორდებოდა. საქართველოში კვლავ ქმნინენ მეფრინველეობის ახალ საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკებს (მაგალითად, ექსპლუატაციაში შევიდა ლაგოდეხის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა და სხვ.), მაგრამ მდგომარეობა კვლავ არ სწორდებოდა. პირიქით...

თელავის მეფრინველეობის მეურნეობათაშორისო ფაბრიკამ 77-78 წლები 220 955 მანეთის ზარალით დაასრულა, ფრინველის სულადობის გეგმა მხოლოდ 53 პროცენტით შეასრულა, კვერცხის წარმოების გეგმა – 32,2 პროცენტით, ზრდასრული ფრინველის გეგმა – 46,4 პროცეტით. წლის მანძილზე 34 394 ფრთა-ქათამი დაეღუპათ გულგრილობისა და ტექნოლოგიური დარღვევების გამო (სუიცსა, ს. 8719, 3)

ლაგოდეხის რაიონის მეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკამაც სამეურნეო წელი 71,5 ათასი მანეთის ზარალით დაასრულა. რევიზიამ გამოავლინა, რომ საწარმოში ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაობა ჩაშლილი იყო, გაზარდეს პროდუქციის თვითღირებულება, ზედმეტად გადახარჯეს საკვები, საფრინველეებში აუტანელი ანტისანიტარია სუფევდა. დაუდევრობისა და სუბიექტური ფაქტორის გამო იძულების წესით დაკლეს კვერცხისმდებელი 15 362 ფრთა-ქათამი, მოუვლელობის და ვადაგადაცილების გამო სავაჭრო ქსელმა არ მიიღო ფაბრიკის 25 930 ცალი კვერცხი და ა.შ. და ა.შ.

ამრიგად, აშკარაა, რომ საკვლევი პერიოდის მანძილზე კახეთის რეგიონში მეფრინველეობის დარგში არსებული პრობლემები არა თუ გამოსწორდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა და უარყოფითი მატერიალური შედეგები მოიტანა. არსებული ნაკლოვანებების ანალიზი კი აშკარად სუბიექტური ფაქტორების მოქმედებაზე მიანიშნებს.

მეფუტკრეობა. ქართული ფუტკარი, როგორც საქმეში ჩახედული ექსპერტები ამტკიცებენ, გამორჩეულია თავისი შრომითი და ორგანიზაციული თვისებებით. ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ის „კავკასიაში გავრცელებულ ფუტკრებს შორის ყველაზე პოპულარული რასაა“. ფუტკრისათვის აუცილებელ ყველა მნიშვნელოვან კომპონენტში ქართული ჯიშის ფუტკარი, როგორც ჩანს, სჯობდა თავის საზღვარგარეთელ თანამოძმეებს: მაგალითად, ხორთუმის გამორჩეული სიგრძით, მას ახასიათებს ზომიერი ნაყრიანობა, არაჩვეულებრივი სიმშვიდე, ნექტარის ძიების დიდი უნარი, სუსტი და საშუალო ღალიანობის ეფექტიანი გამოყენება, ბუდეში საკვების გეგმაზომიერი განლაგება და ა.შ. და ა.შ. არსებობს ქართული ფუტკარის სამი სახეობა – მეგრული, აფხაზური და ქართული. კახეთში ძირითადად ეს უკანაკსკნელი იყო გავრცელებული.

ქართული ჯიშის ფუტკარი გამორჩეულად სახელგანთქმულიც იყო – ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ 60-იანი წლების დასაწყისში, როგორც ეს დოკუმენტურად დასტურდება, ქართული ჯიშის ფუტკარი, მთელი ოჯა-

ხობით, საზღვარგარეთ, ექსპორტში გაჰყავდათ. არსებობს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. კოსიგინის ხელმოწერილი დოკუმენტი იმ საბჭოთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამონათვალისა, რომელიც ექსპორტში უნდა გასულიყო 1967 წელს. ამ გეგმით საქართველოს ევალებოდა მხოლოდ ქართული ფუტკარის 150 ოჯახის ექსპორტირება (სუიცსა, ს. 7220, 6). ქართული ფუტკარი სხვა წლებშიც გაუყვანიათ საზღვარგარეთ და საკმაოდ ბევრიც (მაგალითად, ერთ ჯერზე 400 ოჯახი). ცნობილია ქართული ფუტკრის წარმატებები სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა თუ დათვალიერებებზე.

მაგრამ, მეფუტკრეობის საკითხებს, დარგში არსებულ პრობლემებს, მისი განვითარების პერსპექტივებს, რაც ასევე დოკუმენტურად დასტურდება, საკვლევი პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თითქმის არასოდეს სპეციალურად არ შეუსწავლია დარგის განვითარების პრობლემა. ასევე საყურადღებოა ისიც, რომ თაფლის წარმოების დავალება არასოდეს შეუტანით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელმწიფო გეგმებში. არც ერთ სტატისტიკურ კრებულში ჩვენ ვერ გადავაწდით საკვლევ პერიოდში საქართველოში დამზადებული თაფლის რაოდენობრივ მაჩვენებელს და ა.შ.

თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაარსებული იყო და წლების მანძილზე საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებდა მეფუტკრების საცდელი სადგური, 80-იან წლებში მეფუტკრეობის დარგში სამეცნიერო თემებს ამუშავებდა მეფუტკრეობის სამეცნიერო რესპუბლიკური გაერთიანება. დოკუმენტებში იმასაც კი შევხვდით, რომ ახმეტის რაიონის ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში ფუტკრის 108 ოჯახი ყავდათ. არის ფრაგმენტული ცნობა, რომ საქართველოში 1967 წელს გამოიყვანეს 31 500 დედა ფუტკარი, რომ გაიყიდა 3 620 სკა, მაგრამ ვინ გაყიდა, ვის მიჰყიდა – ამის შესახებ დოკუმენტი მკაცრად დუმს (სუიცსა, ს.7248, 35).

რა თქმა უნდა, კახეთში მეფუტკრეობა არსებობდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ის იმჟამად ძირითადად საოჯახო საქმიანობის სახეობას წარმოადგენდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ დარგს დაქვემდებარებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ეს კი იმას იწვევდა, რომ საკმაოდ „მიზეზიანი“ ქართული ფუტკარი უყურადღებობისა და ცუდი მოვლის გამო, ადვილად ავადდებოდა სხვადასხვა დაავადებით და ძალიან ადვილადაც იღუპებოდა.

საქართველოში მეფუტკრეობა სერიოზულად დააზიანა ხელოვნური თაფლის წარმოების განვითარებამ, რაც ნაკლებად შრომატევადი იყო და საკმაოდ დიდ შემოსავალსაც იძლეოდა.

კახეთში მეფუტკრეობის აღორძინება მთლიანად საქართველოს ისტორიის უახლეს პერიოდს უკავშირდება.

§ 7. სოფლის სამეურნეო-ორგანიზაციული საკითხები

წინა პარაგრაფებში ჩვენ წარმოვაჩინეთ ის უზარმაზარი შრომის შედეგი, რაც მრავალ სასოფლო-სამეურნეო დარგსა თუ მის ქვესახეობას მოიცავდა და დავრწმუნდით, რომ კახეთში სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები ძირითადად მრავალპროფილური კოლექტივები იყვნენ, რომლებიც ერთნაირი ძალისხმევით უნდა გამკლავებოდნენ მევენახეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, ბაღჩეული თუ ბოსტნეული კულტურების პრობლემებს და მუდამ (სახელწიფო გეგმიდან გამომდინარე) მაღალ დონეზე და წარმატებით უნდა შეესრულებინათ აღებული ვალდებულებები. ეს კი ორგანიზაციული სტრუქტურების მტკიცედ ჩამოყალიბებული ვერტიკალის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

XX საუკუნის 60-იანი წლებისათვის საქართველოს სოფლის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების) ორგანიზაციული სტრუქტურა უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჩანს – მან გამოიარა საბჭოთა ქვეყნის ისტორიული განვითარების გარკვეული დრამატული პერიოდი და შეძლო გარკვეულწილად ადაპტაცია.

მაგრამ 60-იან წლებში გამოიკვეთა ერთი ორგანიზაციული ნიუანსი, რომელიც, საბჭოთა აგრარიკოსებისა და პარტიული ხელმძღვანელების მხრიდან შეფასდა როგორც წარმატებული, დადებითი მოვლენა სოფლის მეურნეობაში. ეს ორგანიზაციული ნიუანსი იყო კოლმეურნეობის გადაქცევა საბჭოთა მეურნეობად.

ჩვენ ზემოთ, სათანადო ადგილზე, აღვნიშნეთ, რომ კოლმეურნეობების შექმნისთანავე დადგა საკითხი მათი გამსხვილებისა – ერთ პატარა სოფელში ზოგჯერ 5-7 კოლმეურნეობა იყო შექმნილი 20-30 კაცის მონაწილეობით. ეს პროცესები შეუქცევადი იყო და ეს გაერთიანება ეკონომიკური კანონზომიერებებითა და ჯანსაღი პრაგმატიზმით ადვილად აიხსნება.

მაგრამ საკვლევ პერიოდში ძალიან თვალსაჩინო გახდა კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის პრაქტიკა, რაც ჩვენ არც კანონზომიერად და არც ჯანსაღ პრაგმატიზმად არ გვეჩვენება. როგორც დოკუმენტურად დასტურდება ამ მეტამორფოზას, როგორც წესი, ექვემდებარებოდნენ ეკონომიკურად წარუმატებელი კოლექტივები, დიდი სახელმწიფო დავალიანებებით, შრომის უვარგისი ორგანიზაციით, სერიოზული და გადაუჭრელი პრობლემებით აღჭურვილნი. სახელმწიფოში, სადაც ცუდი მუშაობის გამო უკვე აღარავინ ისჯებოდა, უკვე არავინ კოტრდებოდა და არავის ქონება საჯარო აუქციონზე არ იყიდებოდა, სახელმწიფო გამოდიოდა ეკონომიკური ბუქსირის როლში – წარუმატებელ, ფაქტობრივად გაკოტრებულ კოლმეურნეობას, როგორც წესი, ჩამოაწერდნენ ვალებს, შეუცვლიდნენ სოციალურ სტატუსს (ჯგუფურ-კოლექტიური საკუთრებიდან ორგანიზაცია „სწრაფად“ გადაიქცეოდა ხოლმე სახელმწიფო საკუთრებად; კოლმეურნე კი ხდებოდა – მუშა).

მოვიტანოთ არგუმენტი: სტატისტიკური კრებული მიუთითებს, რომ საქართველოში 1950 წელს თუ 2535 კოლმეურნეობა იყო, 1960 წელს მათი რაოდენობა შემცირდა 1847-მდე, ხოლო 1976 წელს საქართველოში დარჩა მხოლოდ 729 კოლმეურნეობა. მართალია, ამტკიცებენ, რომ ეს შემცირება მოხდა კოლმეურნეობების გამსხვილების ხარჯზე (ჩვენი ცნობით, მარტო 1966 წელს გამსხვილდა 686 კოლმეურნეობა), მაგრამ ერთი სახეობიდან მეორე სახეობაზე გარდაქმნის პროცესიც შეუქცევადი ჩანს. ამაზე მიანიშნებს ასევე სტატისტიკა: 1950 წელს საქართველოში მხოლოდ 80 საბჭოთა მეურენეობა იყო, უკვე 1960 წელს მათი რაოდენობა გახდა 147, ხოლო 1976 წელს საქართველოში 382 საბჭოთა მეურნეეობა იყო (Народное хозяйиство..., 1977, 73).

მოვიტანთ კონკრეტულ სხვა მაგალითსაც – 1965 წელს სიღნაღის რაიონის შ. რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა გარდაიქმნა წნორის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობად (სუიცსა, ს. 7155, 4). ასეთი მაგალითი ბევრია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სოციალური მანიპულაცია საბჭოთა სოფლის ნგრევის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი გახდება მომავალში, რადგან მთლიანად ეს პროცესი იყო ხელოვნური, არაეკონომიკური, სრულად ჯდებოდა ადმინისტრაციულ-ბიუროკრატული ეკონომიკური სისტემის კანონებში, რომელიც უკვე XX საუკუნის 60-80-იან წლებში სერიოზული კრიზისის ნიშნებს აშკარად ავლენდა.

როგორც ცნობილია, ჯანსაღი ეკონომიკის პრინციპები აუცილებლად მოითხოვენ თავისუფალ ეკონომიკურ ცხოვრებას, როცა ეკონომიკური სისტემა თვითონ ახორციელებს სელექციას, ეკონომიკური განვითრებას, ეკონომიკურ თვითორგანიზაციას და ეკონომიკურ წინსვლას. და მთელი ეს პროცესი, წარმოების სრული ციკლი, მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზაციაში ჩართულ ინდივიდების ეკონომიკურ აქტივობაზე, პირად პასუხისმგებლობაზე, დასახული ამოცანების რეალიზაციის ოპტიმალური გეგმების შემუშავებაზე და ა.შ. და ა.შ. ასეთი ეკონომიკის დროს მხოლოდ ძლიერი, წარმატებული იმარჯვებს. როგორც წესი, ის შემდეგ იძენს აუქციონზე დამარცხებული სამეურნეო სუბიექტის ქონებას, შეიერთებს მის რესურსებს (მატერიალურ თუ პიროვნულს) და უკვე ახალი სასტარტო მდგომარეობიდან მიდის კიდევ უფრო წინ – მაღალი ეკონომიკური მიღწევებისეაკენ. თავისუფალ ეკონომიკურ სამყაროში ეს პროცესი პერმანენტულია – ასეთი ეკონომიკა სიცოცხლისათვის ტოვებს მხოლოდ ძლიერს, ორგანიზაციულად სრულყოფილს, მიზანსწრაფ და ეკონომიკურად რაციონალურ საწარმოო ორგანიზმს.

საბჭოთა სინამდვილეში იდეოლოგიური პოსტულატები გამორიცხავდნენ გაკოტრებას – როგორც ეკონომიკურ კატეგორიას. წარუმატებელი კოლექტიური მეურნეობების საბჭოთა მეურნეობად გარდაქმნა – მაშველი რგოლი იყო მხოლოდ. საბჭოთა სახელმწიფოს ხელში არსებული უზარმაზარი მატერიალური რესურსები ამის შესაძლებლობას ჯერ კიდევ იძლეოდა – სახელმწიფოს ხარჯზე ხდებოდა უპასუხისმგებლო, უდისციპლინო, უუნარო, არაორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის „გასახელმწიფო-

ებრიობა“. ყოფილ კოლმეურნეობას არჩეული თავჯდომარის ნაცვლად სახელმწიფოს მიერ შერჩეული დირექტორი ენიშნებოდა, მაგრამ ორგანიზაციაში დასაქმებულთა დამოკიდებულება საქმისადმი, როგორც წესი, ნაკლებად იცვლებოდა. გლეხებიც კვლავ „გლეხებად“ რჩებოდნენ და ნაკლებად იძენდნენ „მუშის“ თვისებებს, მით უფრო, რომ ასეთ „მუშებს“ კვლავ რჩებოდათ კერძო ხმარებაში „საკარმიდამო მამულები“.

ჩვენ ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ საკვლევი პერიოდის მანძილზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის ოქმები აშკარად მიანიშნებებს საბჭოთა მეურნეობებში არსებულ სერიოზულ პრობლემებზე, უდისციპლინობაზე, უპასუხისმგებლობაზე. ძალიან ხშირად, ბევრი პარამეტრით, საბჭოთა მეურნეობა სერიოზულად ჩამოუვარდებოდა კოლექტიურ მეურნეობას (მაგალითად, მსხვილფეხა საქონლის „სიმსუქნის“ მაჩვენებელი საქართველოს კოლმეურნეობებში თუ უდრიდა 8 პროცენტს, საბჭოთა მეურნეობაში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 3 პროცენტი იყო).

მაგრამ, ჩვენ მაინც შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ არაორგანიზებულობა და უპასუხისმგებლობა გავავრცელოთ კახეთის რეგიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე. დოკუმენტურად დასტურდება, რომ საკვლევ პერიოდში საკმაოდ ბევრი კოლმეურნეობა გამოირჩეოდა თავისი მიღწევებით, იყვნენ მილიონერი კოლმეურნეობებიც, რომლებიც უზარმაზარ თახმებს ხარჯავდნენ სოფლის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად; მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო სოციალურ შეჯიბრებებში, იღებდნენ გარდამავალ დროშებს, ჰყავდათ სოციალისტური შრომის გმირები, საქართველოსა და საკავშირო უზენაესი საბჭოების დეპუტატები და ა.შ. ამ წარმატებების მიზეზი, უდავოდ, მათი ორგანიზაციული ვერტიკალიც იყო. ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ კახეთის რეგიონის რამდენიმე წარმატებული სუბიექტის სამეურნეო-ორგანიზაციული ვერტიკალის დეტალურ სურათს, რომელიც ჩინებულად ახნის მიღწეული წარმატებების მიზეზებს.

მაგალითად: თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობა ძირითადად მევენახეობას მისდევდა. კოლექტივს ხელმძღვანელობდა დირექტორი. მეურნეობაში შექმნილი იყო 8 აგროგანყოფილება, 29 საწარმოო ბრიგადა, მსხვილფეხა პირუტყვის 3 ბრიგადა, ერთი მეღორეობის ბრიგადა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ყველა აგროგაერთიანებისა თუ ბრიგადის ხელმძღვანელს უმაღლესი სპეციალური განათლება ჰქონდა.

ეს მეურნეობა უვადო სარგებლობით ფლობდა 4 278 ჰა მიწის ფართობს, აქედან 2 254 ჰა სავარგული იყო. სახნავ ფართობს – 575 ჰექტარი ეკავა, მსხმოიარე იყო ვენახი – 935,4 ჰექტარი, ახლადჩაყრილი ვენახი – 426 ჰექტარზე ჰქონდათ გაშენებული. მრავაწლიანი ნარგავები დარგული იყო 66 ჰექტარზე. სწორედ ამ მატერიალური და ადამიანური რესურსებით მეურნეობა აღწევდა იმ წარმატებებს, რაზედაც არა ერთხელ იყო საუბარი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხდომებზე (სუიცსა, ს.7919, 8).

მუდამ წარმატებული იყო წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობა. 1972-1974 წლების ეკონომიკური მაჩვენებლებითაც ის ძირითადად გამარჯვებული გამოვიდა. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ძალიან ბევრი ამოცანა ჰქონდა შესასრულებელი კოლმეურნეობას: ხორცის წარმოება, რძის წარმოება, მატყლის წარმოება, ხორბლის წარმოება, სიმინდის წარმოება, ბოსტნეულის წარმოება, ბაღჩეულის წარმოება, და მთავარი – მევენახეობა.

როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეამოწმა კოლმეურნეობის წლიური შედეგები, აღმოჩნდა, რომ მან ყველა ძირითად მაჩვენებელში გადაჭარბება დავალებას. მაგალითად, – ხორცის წარმოების გეგმა შესრულდა 100%, ხორბლის წარმოების – 124,5%, სიმინდის წარმოების – 125,5%, ბოსტნეულის წარმოების – 146,2%, ყურძნის დამზადების გეგმა – 172,2% და ა.შ. ამასთან, კოლმეურნეობას ყავდა 2 173 მსხილფეხა საქონელი (გეგმის 100%), ძროხა – 750 სული (გეგმის 102,7%) ცხვარი – 7702 სული.

რა თქმა უნდა, უპრობლემო და უნაკლო არც ეს კოლმეურნეობა იყო (როგორც ამტკიცებენ, აქ ვერ შესრულდა ბაღჩეული კულტურების ჩაბარების გეგმა (62,3%), რძის წარმოების დავალება (98,6%); სამინისტროს კომისიამ სადღაც პატარა დარღვევაც აღმოუჩინა ორგანიზაციას, გადაცდომებიც. მაგრამ ფაქტია – კოლმეურნეობის შემოსავალმა 1972 წელს 1 682 499 მანეთი შეადგინა. წმინდა მოგებამ 439 386 მანეთი. ეს საბჭოთა პირობებში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. და ეს მოახერხეს 103 კაცის შრომის ოპტიმიზაციის საფუძველზე, იმ ორგანიზაციული ვერტიკალით, რომელიც კოლექტივს ჰქონდა და მას საკმაოდ ეფექტიანად იყენებდა.

ამ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე (ხელფასი – 260 მანეთი). უკვე მკაცრად ჩამოყალიბებულ სამეურნეო სტრუქტურაში მეორე მონაწილე იყო მთავარი ინჟინერი (ხელფასი 200 მანეთი), ჰყავდათ მთავარი ბუღალტერიც – (ხელფასი 200 მანეთი), ბრიგადირს ეძლეოდა 140 მანეთი, სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს – 150 მანეთი, ფერმის გამგეს 140-160 მანეთი, მეველეს – 75 მანეთი და ა.შ.

კოლმეურნეობის საერთო კრება ირჩევდა გამგეობას, რომლის წევრებს შორის ფუნქციები ნაწილდებოდა – ყველა მათგანი გარკვეულ დარგს კურირებდა. გამგეობა პერიოდულად იკრიბებოდა, იხილავდა მიმდინარე საკითხებს. სამეურნეო წლის ბოლოს კი კოლმეურნეები იკრიბებოდნენ საერთო კრებაზე: ისმენდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ანგარიშს, აზრს გამოთქვამდნენ მიმდინარე მუშაობის, მიღწეული შედეგებისა თუ მომავალი პერსპექტივების შესახებ, ირჩევდნენ კოლმეურნეობის ახალ გამგეობას და ახალ თავმჯდომარეს. ეს სქემა ბოლომდე გაჰყვა საბჭოთა კოლმეურნეობას. რა თქმა უნდა, იყო (და საკმაოდ ბევრიც) ფორმალური კრებები, სადაც არაფერი არ წყდებოდა, მაგრამ ბევრი იყო კრიტიკულიც – პრინციპული პოზიციებიდან ზოგჯერ გამოდიოდნენ კოლმეურნობის წევრები და აყენებდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხებს, სახავდნენ მათი გადაწყვეტის გზებს.

ადგილობრივი, რაიონული გაზეთები უამრავი ასეთი კრების შესახებ საინტერესო ანგარიშებსა და რეპორტაჟებს ბეჭდავდნენ. ძირითადად ყოველთვის იყო საუბარი მიღწევებზე, ზედმეტად აქებდნენ მოწინავეებს, რეკორდსმენებს, მათ აჯილდოვებდნენ დეფიციტური ნივთებითა თუ ფულადი საჩუქრით. როგორც წესი – საანგარიშო მოხსენებას, ტრადიციულად, ყოველთვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკეთებდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში კოლმეურნეობის თავმჯდომარე – უკვე გამორჩეული და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ქართულ სოფელში. იყვნენ კოლმეურნეობები, რომელთაც თითქმის უცვლელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჰყავდათ, ზოგიერთ მათგანში კოლმეურნეობის დამფუძნებელი თავკაცი 60-იან წლებშიც განაგრძობდა ხელმძღვანელობას. მათ შორის ბევრი იყო ღირსეული, სოფლის პატრიოტი პიროვნება. მაგალითად მოვიტანთ თელავის რაიონის სოფელ ვანთას კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ კირვალიძეს. მან კოლმეურნეობაში 1949 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, დაიწყო მუშაობა, შემდეგ სამხედრო ვალდებულება მოიხადა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიც დაამთავრა და ინჟინერ-მექანიზატორად დაუბრუნდა სოფელს. ის 1964 წელს სათავეში ჩაუდგა კოლმეურნეობას და 1981 წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებული მიღწევებისათვის წარმატებასაც მიაღწია – კოლექტივი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის წითელი დროშით დააჯილდოვეს. მისი ხელმძღვანელობით კოლმეურნეობამ შეძლო ბევრი: მათ შორის სოფელში აშენდა კულტურის სახლი თვითმოქმედი წრეებით, ჰქონდათ ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, სამუსიკო სასწავლებელი, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების კარგად გამართული ცენტრი. სოფელში ყოველი მე-10 კოლმეურნე ფლობდა ავტომანქანას („ალაზნის განთიადი“, 1981, 22 იანვარი).

მართლაც ლეგენდარული იყო წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კობა ჩოხელი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა კომუნისტური კომუნა ამ კუთხეში და იმის შემდეგ ის ძალიან დიდხანს ხელმძღვანელობდა რესპუბლიკაში ერთ-ერთ წარმატებულ სამეურნეო გაერთიანებას. კოლმეურნეობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების გამო ის ჯერ კიდევ 1939 წელს დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ხოლო მან 1942 წელს პირადად, საკუთარი სახსრებით შეიძინა ტანკი და ფრონტზე საბჭოთა მეომრებს გაუგზავნა. ამისათვის უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობის დეპეშაც კი მიიღო.

ასეთი ღირსეული თავმჯდომარეები ბევრი იყო კახეთის რეგიონშიც, მაგრამ იყვნენ შემთხვევითი, არაორგანიზებული, ანგარებიანი პირებიც, რომლებიც კოლმეურნეობას თავის გამდიდრების ძირითად წყაროდ თვლიდნენ, იტაცებდნენ ქონებას, უყაირათოდ ეკიდებოდნენ კოლექტიურ დოვლათს. ასეთმა „თავმჯდომარეებმა“ მნიშვნელოვნად უზრუნველყვეს სერიოზული კრიზისი საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

§ 8. კიდევ ერთხელ კომუნისტური რეჟიმის დროს შრომის შინაარსის და შრომის ხასიათის შესახებ

როგორი იყო შრომის პროცესი, შრომის შინაარსი და შრომითი ურთიერთობები საქართველოს სოფელში კომუნისტური რეჟიმის პირობებში, განსაკუთრებით საკვლევ – XX საუკუნის 60-80-იან წლებში? ეს საკითხი დღესაც იწვევს ინტერესს როგორც დასავლეთის „სოვეტოლოგებში“, ისე პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართველ საზოგადოებათმცოდნეებს შორის. ამ თემაზე საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები და არსებული მეცნიერული კონცეფციები დღეს, ხშირ შემთხვევაში, გამოცხადებულია უმართებულოდ, ტენდენციურად, ისტორიის ფალსიფიკაციად (ზოჯერ ასეთ განცხადებებს აკეთებენ სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც უზარმაზარი ტომები აქვთ დაწერილი სოფლად სოციალისტური თუ კომუნისტური შრომის უპირატესობების „მეცნიერულად“ დასასაბუთებლად); ასეთ ისტორიკოსებს დღეს უკვე „საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ენთუზიაზმი და შემოქმედებითი ინიციატივა“, „სოციალისტური შეჯიბრება“, „კომუნისტური ურთიერთდახმარება და შრომითი მიღწევების ურთიერთგაზიარება“ – მიაჩნიათ კომუნისტური პროპაგანდის ორგანულ ნაწილად, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ეკონომიკურ შინაარსს. მათი აზრით მხოლოდ ტოტალური ძალადობრივი პროცესით ხერხდებოდა საბჭოთა ეკონომიკაში ჩაბმული ადამიანის მიერ საწარმოო დავალებების შესრულება. ასეთი შეხედულების საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ ერთ ამონარიდს, რომელიც გამოხატავს საბჭოთა პერიოდში შრომის შინაარსის გარკვეულ სუბიექტურ შეფასებას: „ისტორია არ იცნობს მშრომელთა უფრო შეუბრალებლ ექსპლოატაციას, ვიდრე ეს იყო იმ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელსაც სსრ კავშირი ერქვა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 1 აგვისტო).

დღეს განსაკუთრებით აკრიტიკებენ საბჭოთა აგრარულ პოლიტიკას, კოოპერაციის საბჭოთა მოდელს – კოლექტიურ მეურნეობებს, რომელმაც „გლეხი გააზარმაცა“, „მიწისაგან გააუცხოვა“, „კერძო საკუთრება ჩამოაშორა და ტოტალიტარული სახელმწიფოს უღიმღამო ჭანჭიკად გადააქცია“.

ჩვენ მკითხველს შევთავაზებთ საკვლევ პერიოდში, არსებულ ეკონომიკურ სისტემაში, სოციალისტური მეურნეობის ვითარებაში სოფლად შრომის ხასიათისა და შრომითი ურთიერთობების ჩვენ მიერ დანახულ სურათს და წარმოვაჩენთ იმ თავისებურებებს, რაც კონკრეტულ სოფლის კოლექტივებში შეიმჩნეოდა და შემდეგ ის – ან კომერციულ წარმატებად გარდაიქმნებოდა, ან ზარალიანობისა და ეკონომიკური მარცხის საფუძველი ხდებოდა. ამასთანავე, ჩვენ ამ თემაზე მუშაობისას გამოვიყენებთ მოსაზრებებს იმ კონკრეტული მშრომელებისას, რომელებიც XX საუკუნის 60-80-იან წლებში თვითონ იღვწოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და დღეს უკვე საკუთარი მდიდარი გამოცდილებით, ისტორიის დისტან-

ციის გადმოსახედიდან, შეუძლიათ უფრო ობიექტურად შეაფასონ მაშინდელი შრომითი ურთიერთობების შინაარსიც და ხასიათიც.

დავიწყებთ იქიდან, რომ 60-80-იანი წლების სოფლის შრომით კოლექტივებში შრომითი ორგანიზაციების მთავარი ფორმა ისევ ბრიგადული იყო, რომელიც ჩამოყალიბდა რა კოლექტივიზაციის საწყის ეტაპზე, გაიარა გარკვეული ისტორიული გამოცდა და საკვლევ პერიოდში ყველა სასოფლო შრომით კოლექტივის ძირითადი საწარმოო ბერკეტი გახდა. ასეთი ბრიგადები, უკვე აპრობირებული ტრადიციით, სპეციალიზებული იყო სოფლის მეურნეობის ცალკეულ სახეობაზე (მევენახეობაზე, მესაქონელობაზე, მეხილეობაზე, მებოსტნეობაზე და ა.შ. და ა.შ.).

იმისდა მიხედვით, თუ რა მაშტაბისა და შესაძლებლობების იყო სოფლის შრომითი კოლექტივი, მას იმდენი საწარმოო ბრიგადა ჰყავდა: მაგალითად, ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში საკვლევ პერიოდში მიწათმოქმედების 9 ბრიგადა იყო, მეცხვარეობის – 2 ბრიგადა, თითი-თითო მეღორეობისა და მსხვილფეხა საქონლის ბრიგადები, 2 სატრაქტორო ბრიგადა და ა.შ. (სუიცსა, ს. 8133, 7).

თელავის რაიონის წარმატებულ წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში 1978 წელს უკვე 29 საწარმოო ბრიგადა ჩანს; სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში მევენახეობის 8 ბრიგადა იყო ჩამოყალიბებული, არსებობდა მებოსტნეობის – 2 ბრიგადა, მსხვილფეხა რქიანი საქონლის მომვლელი – 8 ბრიგადა, მეღორეობის – 4 ბრიგადა, მეცხვარეობის – 9 ბრიგადა, მეფრინველეობის – 1 ბრიგადა, სატრაქტორო – 2 ბრიგადა და ა.შ. (სუიცსა, ს. 8822, 7).

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ძალიან პოპულარული გახდა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების შექმნა. თითქმის ყველა შრომით კოლექტივში ასეთი ბრიგადები აერთიანებდნენ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდა მშრომელებს, რომლებიც ხშირად საქონლის საკვების დამზადებაზე მუშაობდნენ და ჩინებულადაც არ-თმევდნენ თავს დაკისრებლ მოვალეობას.

70-იან წლებში სასოფლო შრომით კოლექტივებში დაიწყეს ბრიგადების აგროუბნებად გაერთიანება. ზოგიერთ კოლმეურენეობასა და საბჭოთა მეურნეობაში რამდენიმე ასეთი აგროუბანი იყო. 80-იანი წლების მეორე ნახევარში მოიფიქრეს საოჯახო იჯარა – რომელიც კონკრეტული ოჯახის მიერ შრომითი კოლექტივისაგან ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული სავარგულების თავის ხელში აღებას და ვალდებულებით ნაკისრი ეკონომიკური შედეგების მიღწევას გულისხმობდა. მაგრამ ეს წამოწყება ბოლომდე მაინც ვერ დაინერგა საბჭოთა სისტემის კრახის გამო.

ჩვენი დაკვირვებით, ადრეულ წლებში არ ექცეოდა განსაკუთრეული ყურადღება, მაგრამ 70-80 იან წლებში უკვე ცდილობდნენ ბრიგადის ხელმძღვანელი აუცილებლად პროფესიონალი ყოფილიყო – უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პიროვნება. ეს ვითარება ყოველ-

ნაირად ხალისდებოდა ზემდგომი ორგანიზაციების მხრიდანაც. მაგალითად, თელავის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში უმაღლესი სპეციალური განათლებით 63 კაცი შრომობდა, საშუალო სპეციალური განათლების მქონე იყო 14 თანამშრომელი.

თუმცა, რა თქმა უნდა, ყველ სასოფლო შრომით კოლექტივში არ იყო მსგავსი ვითარება და საქართველოს სოფლის მეურენეობის სამინისტროს დოკუმენტებში ხშირად არის შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მმართვის საშუალო რგოლი არ იყო კვალიფიციური და აქედან გამომდინარე ძალიან დიდი იყო ხვედრითი წილი „პრაქტიკოსებისა“, რომლებიც „ძველებურად“ მუშაობდნენ და ნაკლებად იყვნენ „გახსნილი“ სიახლისა და პროგრესის შედეგების წარმოებაში დასანერგად (სუიცსა, ს. 7339, 194).

შრომის პროცესი საქართველოს სოფელში ყოველდღიურად აპრობირებული სცენარით მიმდინარეობდა – ბრიგადირი აგროვებდა ბრიგადას, აცნობდა ბრიგადის წევრებს დღიური მუშაობის დავალებას, ანაწილებდა ბრიგადის წევრებზე სამუშაოს მთლიან მოცულობას და აკონტროლებდა დავალების შესრულებას. თუ ვერწმუნებით საბჭოთა პრესას, იყვნენ ბრიგადირები, რომლებსაც გამოარჩევდა ორგანიზაციული უნარი, შეეძლოთ მიკროკოლექტივის დარაზმვა, ახერხებდნენ კოლექტივში ერთიანობისა და მიზანსწრაფულობის ატმოსფეროს შექმნას. აქედან გამომდინარე, აპიროებდნენ დღიდან დღემდე წარმატებული ტემპის შენარჩუნებას. ჩვენ ზემოთ, საქართველოს სოფლის შრომითი კოლექტივების დარგობრივი სტრუქტურების განხილვის დროს, ბევრი ასეთი ბრიგადა და ბრიგადის ხელმძღვანელი აღვნიშნეთ და აქ აღარ გავმეორდებით.

ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ენთუზიაზმის, მიზანსწრაფულობისა და ერთიანობის შენარჩუნება XX საუკუნის 60-70-იან წლებში უკვე აღარ იყო ისე ადვილი, როგორც, მაგალითად, 30-40-იან წლებში. თბილისში 1956 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა, ნ. ხრუშჩოვის ბრძანებით თბილისში უდანაშაულო ადამიანების დახვრეტის შემდეგ, სოციალიზმის რუსული მოდელის, კომუნისტური იდეოლოგიისადმი რწმენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში სერიოზულად შეირყა, როგორც რიგით მოსახლეობაში, ისე პარტიულ ნომენკლატურაშიც. ამიტომ შრომითი ენთუზიაზმის გაღვივება ადგილებზე ძალიან ჭირდა. ცალკეული წარმატეული ბრიგების მაღალი შედეგები ხშირად ვეღარ ფარავდა სოფლად არსებულ პრობლემებს.

ეს კი შრომის შინაარსა და შრომის შედეგებზეც ვლინდებოდა. სოფლის მშრომელები ძალიან ხშირად არ ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს, განსაკუთრებით შრომისნაყოფიერების, შრომის ეფექტიანობის, შრომის ეკონომიურობისა და შრომატევადი პროცესების გამარტივების მიმართულებით. ეს ძლიერ აძვირებდა პროდუქციის თვითღირებულებას, იწვევდა გადახარჯვებს, საბოლოო ჯამში – ეკონომიკურ წარუმატებლობებს. მაგალითისთვის მოვიტანთ შემდეგ ფაქტს: ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეო-

ბის საბჭოთა მეურნეობამ ცუდი მუშაობით, მშრომელების უდისციპლინობით, ტექნიკური და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის შედეგად 1976 წელი დაამთავრა 132 533 მანეთის ზარალით. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ სერიოზული გადაიხარჯვა იყო სახელფასო ფონდში: კოლექტივმა, რომელიც ზარალიანი იყო – ხელფასებზე დახარჯა 2 101 859 მანეთი, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა ამ მიზნით 1 950 ათასი მანეთის გამოყენებას. ფაქტორივად კოლექტივში ცუდ მუშაობას მატერიალურად ახალისებდნენ (სუიცსა, ს. 8133, 9).

უპასუხისმგებლობისა და უკონტროლობის ატმოსფერომ, ბრიგადების ცუდმა ორგანიზაციულმა მუშაობამ ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის მეურნეობაში ფაქტობრივად მოშალა შრომის პროცესი. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, მშრომელებმა გააცდინეს 48 441 კაცდღე ანუ საჭირო შრომითი რესურსის 45% (სუიცსა, ს. 8128, 1).

გურჯაანის მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში დაფიქსირდა სერიოზული ნაკლოვანებები იმის გამო, რომ მშრომელები „სრულყოფილად არ ატარებენ აგროტექნოლოგიით გათვალისწინებულ ყველა სახის ღონისძიებებს, ნაკლები ყურადღება ექცევა მინერალური სასუქების გამოყენებას, სათანადო სიმაღლეზე არ დგას შრომის დისციპლინა. **სამუშაოები უხარისხოდ სრულდება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.).

აშკარაა, რომ კოლექტივში სერიოზული პრობლემების მიზეზი სუბიექტურ ფაქტორშია საძიებელი – ამ შემთხვევაში რიგითი მუშების შრომა არამოტივირებულია, რაც ბევრი გარემოებით აიხსნება (მაგალითად, დაბალი სახელფასო ანაზღაურება, შრომის ცუდი პირობები, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ა.შ და ა.შ.).

საქართველოს სოფელში რომ შრომითი ანაზღაურება არ შეესაბამებოდა შრომის შინაარსს, მის თავისებურებებს და ბევრ შემთხვევაში სადირექტივო ორგანოების მიერ სუბიექტურად განისაზღვრებოდა, ამას ქვემოთ ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტებიც მიანიშნებენ: როგორც დოკუმენტურად დასტურდება XX საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში მევენახეებისა და მეხილეების საშუალო წლიური გამომუშავება საქართველოში 556 მანეთი იყო, მებოსტნეებისა და მერძევეების – 568 მანეთი, მეფრინველეების – 778 მანეთი, ყველაზე დაბალი ხელფასი ჰქონდათ მეცხვარეებს – წლიურად 450 მანეთი (სუიცსა, ს. 7191, 37).

მომდევნო წლებში ხელფასები საქრთველოს სოფლის მეურნეობის შრომით კოლექტივებში მეტ-ნაკლებად გაიზარდა, მაგრამ ამან შრომა უფრო მოტივირებული ვერ გახადა – სასოფლო შრომით ორგანიზაციაში მუშაობა ეკონომიკურად საინტერესო აღარ იყო. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა სამუშაო ძალის ხშირ დენადობას, სამუშაოს გაცდენებს, მოცდენებს, უპასუხისმგებლობას და სხვა ნეგატიურ მოვლენას. მაგალითად, გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღიურად უნდა ემუშავა 1140 კაცს, ფაქტობრივად მუშაობდა 967 კაცი. დაბალი იყო

შრომის დისციპლინა – 253 372 კაცდღის ნაცვლად გამომუშავებული იყო მხოლოდ 139 536 კაცდღე. საშუალოდ ერთ მუშას თვეში გამომუშავებული ჰქონდა მხოლოდ 16 კაცდღე (სუიცსა, ს. 8661, 23). სიღნაღის რაიონის ნუკრიანის კლმეურნეობაში 1977 წელს გამომუშავების ნორმა კოლექტივის დაახლოებით 10 პროცენტს არ ჰქონდა გამომუშავებული, 7 კოლმეურნე წლის განმავლობაში ერთხელაც არ მისულა სამუშაოდ, ხოლო დასაქმებულმა თანამშრომლებმა მთელი წლის მანძილზე მხოლოდ საშუალოდ 198 კაცდღე გამოიმუშავეს (სუიცსა, ს, 8821, 15). მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, აძვირებდა პროდუქციის თვითღირებულებას, იწვევდა არარენტაბულობას და სხვა ნეგატიურ მოვლენას.

მაგრამ საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ხომ ყველგან ერთნაირი იყო – რეალურად ხომ მაინც საქმე გვაქვს საკმაოდ მკაფიო განსხვავებებთან წარმატებულ და წარუმატებელ შრომით ორგანიზაციებთან, ანუ თანაბარ პირობებში ერთნი შრმობდნენ კარგად, მეორენი – ცუდად.

იმჟამინდელი პარტიული და სამთავრობო დოკუმენტები ეკონომიკური წარმატებების მიღწევის მთავარ საშუალებად სოციალისტური შეჯიბების ეფექტიანობის ამაღლებას ასახელებენ და წარუმატებლობის მიზეზად მისი უგულებულყოფა მიაჩნიათ. მოვიტანთ ამონარიდს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი დადგენილებიდან: „„სიღნაღის რაიონის ვაქირის კოლმეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება ატარებს ფორმალურ ხასიათს, ნახევარი წლის შედეგები არ განუხილიათ და არც ჯილდო არ გაუციათ, სუსტად არის გამოყენებული აგიტაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა დიაგრამები, მოწინავეთა დაფები, სტენდები, კედლის გაზეთები, ფოტოვიტრინები“ (სუიცსა, ს. 7616, 136).

ტიპიური საბჭოთა დადგენილებაა – ეკონომიკური კატეგორიები, შრომითი მოტივაციის ეკონომიკური მახასიათებლები შეცვლილია აგიტაციის ისეთი ფორმებით, როგორიცაა „დიაგრამები, მოწინავეთა დაფები, სტენდები, კედლის გაზეთები, ფოტოვიტრინები“. ეს შრომითი სტიმულები შედარებით უკეთ მუშაობდნენ 30-იან წლებში; სოციალიზმის რუსული მოდელის კრიზისის პირობებში საბჭოთა ადამიანებს ისინი მასობრივად უკვე ვეღარ ახალისებდნენ ნაყოფიერი შრომისათვის. თუმცა, დოკუმენტურად ისიც დასტურდება, რომ საკვლევ პერიოდში ადგილი ჰქონდა შრომით ინიციატივას, სოციალისტური შეჯიბრებების კულტივირებას, სხვადასხვა თაოსნობას, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებას და ა.შ. და ა.შ. ჩვენ არ შევუდგებით ამ პროცესის დეტალურ ინტერპრეტაციას – უამრავი წიგნი არსებობს ამის შესახებ (ს. ჩხარტიშვილის, ფ. კოჟიაშვილის, ე. ქვათაძის, ფ. ლომაშვილისა და სხვ.). მოვიტანთ სულ რამდენიმე მაგალითს: თელავის რაიონში 1965 წელს გავრცელდა სოფელ აკურის მექანიზატორთა თაოსნობა – ყოველმხრივ მომზადებლი შეხვედროდნენ გაზაფხულს,

მაღალხარისხოვნად შეესრულებინა ყველა სამუშაო („ალაზნის განთიადი“, 1965, 4 თებერვალი).

ახმეტის რაიონში მატანის მეენახეობის საბჭოთა მეურნეობამ შეჯიბრებაში გამოიწვია ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა და ივალდებულა პროდუქციის თვითღირებულება 10 პროცენტით შეემცირებინა („ბახტრიონი“, 1970, 19 თებერვალი) და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა კახეთის სოფლის მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებსაც, აწყობდნენ შეხვედრებს, ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას და ა.შ. მაგალითად, 60-იან წლებში თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობის წევრები სოცილისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ უკრაინის შარგორდოდსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ წევრებთან. ეს თაოსნობა მოიწონეს რაიონის პარტიულ ხელმძღვანელობაში და შედგა რამდენიმე შეხვედრა, დელეგაციები გაიცვალა, ხელი მოაწერეს სოციალისტურ ხელშეკრულებას. შეხვედრების დროს ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ხალხთა მეგობრობაზე და შრომით თანამშრომლობაზე, მაგრამ 70-იან წლებში ეს ურთიერთობა შეწყდა – სოციალისტური ეკონომიკური სისტემა და მისი ეკონომიკური კანონები არავითარ შანსს არ ტოვებდნენ, რომ ასეთი ურთიერთობა მომგებიან, ჭეშმარიტ კომერციულ თანამშრომლობად გადაზრდილიყო – მათ ხომ დამოუკიდებლად ფინანსების განკარგვის, ან სხვა რაიმე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობები არა ჰქონდათ. ამიტომაც ასეთი სოციალისტური შეჯიბრებები საბჭოთა სინამდვილეში მხოლოდ ინტერნაციონალური აღზრდის გლობალური პროპაგანდის მნიშვნელოვანი შემადგენელი ხდებოდა. (ამის შესახებ დეტალურად იხ. ფ. კოჟიაშვილის ნაშრომები).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ცენტრალური და რაიონული ხელმძღვანელობა სისტემატურად ამოწმებდა სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და ავლენდა გამარჯვებულს. როგორც წესი მათთვის დაწესებული იყო საჩუქრები, პრიზები. ყოფილა გამრჯვებული ორგანიზაციისათვის პრიზის სახით სატვირთო ავტომანქანის გადაცემის შემთხვევაც.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, არა ეკონომიკური სტიმულებისა და დაბალი შრომითი ანაზღაურებისა, შრომის პროცესი საქართველოში ტოტალურად არსად არ იყო ჩაშლილი და გარკვეული შედეგიანობით ხასიათდებოდა (ეკონომიკური პარამეტრების საკითხებს ქვემოთ განვიხილავთ).

რაც შეეხება შრომის შინაარსა და შრომის ურთიერთობებს – როგორც ჩვენი კვლევები ადასტურებს, ყველგან მკვეთრად თავისებური იყო – იმისდა მიხედვით, თუ რა შრომითი გამოცდილება, რა რესურსები, რა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორები ამოძრავებდათ კოლექტივში დასაქმებულ კონკრეტულ ადამიანებს.

2015-2017 წლებში კახეთის სხვადასხვა რაიონის სოფლებში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით ჩვენ დავაზუსტეთ საკვლევ პერიოდში არსებული შრომის ხასია-

თისა და შრომის შინაარსის საკითხებიც, შრომითი ურთიერეობების თავისებურებები, რამაც არაერთმნიშვნელოვანი სურათი წარმოაჩინა: ასეულობით ყოფილ კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშასთან გასაუბრების შედეგად XX საუკუნის 60-80-იან წლებში არსებული შრომის შინაარსი და შრომის ხასიათი მათ მოგონებაში ასე წარმოჩნდა:

„შრომის პირობები კარგი იყო, მთელი ოჯახი კოლმეურნეობაში ვმუშაობდით. ხელფასებიც გვქონდა და პრემიებიც. კოლმეურნეობა მომგებიანი იყო“ (დაუშვილი, სიღნაღი, 2016)

„ჩვენი კოლმეურნეობა მემინდვრეობა-მევენახეობის პროფილის იყო, მომგებიანი, ჩემი ოჯახიდან 6 სული ვმუშაობდით, არავინ არ იყო უკმაყოფილო. შრომა საინტერესო იყო, შემოსავალი – დახარჯული შრომის შესაფერისი. მიწერები არ იყო, ყველა იყო კმაყოფილი (დაუშვილი, თელავი, 2016).

„მუშაობა საინტერესო იყო, მართალია ცოტას გვაძლევდნენ, მაგრამ გვყოფნიდა – ყველაფერი იაფი იყო. ბაზართანაც გვქონდა კავშირი – ვყიდდით კიტრს, პამიდორს, ბაღჩეულს. მამაჩემი ყოველ წელს ერთი თვე ისვენებდა უფასოდ, მეც ყოველწლიურად სოჭში ვისვენებდი. დღეს გლეხობას კულტურა ეკარგება, ლაპარაკიც კი აღარ იციან. კოოპერატივები ჯობია აღადგინონ. ანაგაში ვიყავი ბედნიერი: შრომაც მიყვარდა და ხარჯვაც (დაუშვილი, სიღნაღი, 2016).

„ჩვენი საბჭოთა მეურნეობა მევენახეობა-მებოსტნეობის მიმართულების იყო, შეძლებული, შრომა ასატანი იყო, ხელფასი – დახარჯული შრომის შესაფერისი. მეურნეობაში მთელი ოჯახი ვმუშაობდით. კარგი შრომისათვის 1983 წელს მსუბუქი ავტომანქანით დაგვაჯილდოვეს. ნეტა ისევ ის ცხოვრება იყოს. ზღვაზე არ მაკლდა დასვენება, რუსეთში ხშირად დავდიოდი (დაუშვილი, ახმეტა, 2015).

„სოფელში საბჭოთა მეურნეობა იყო, მესაქონლეობის. გვყავდა ძროხა, ცხვარი, ვთესავდით ქერს, ბოსტნეულს. გვქონდა ბაზართან კავშირი – ვყიდდით ყველს, ერბოს. მაშინ ღარიბი არავინ არ იყო, საჭმელი არ გვაკლდა. კარგიც ბევრი იყო და ცუდიც. კომუნისტების დროს მთაში მესაქონლეობა წარმატებული იყო – მარტო მარტყლი ყველა ხარჯს ისტუმრებდა, დანარჩენი – აშკარა მოგება იყო. ცხოვრება დუღდა (დაუშვილი, ახმეტა, 2015).

დღევანდელ გლეხებთან ჩვენი საუბრის ჩანაწერის ძალიან დიდი ნაწილი – მსგავსი შინაარსისა. ისინი არა თვლიან, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში, განსაკუთრებით საკვლევ პერიოდში – 60-80-იან წლებში მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან, ან ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრიდან ხორციელდებოდა ექსპლოატაციის აშკარა თუ ფარული ფორმა.

ჩვენ მათ ასეთ სუბიექტურ დამოკიდებულებას ვხსნით როგორ ფსიქოლოგიური, ისე ობიექტური ფაქტორებით: პირველი, „ახალგაზრდობის სინდრომი“ – მაშინ ყველა ისინი ახალგაზრდები იყვნენ და ახსოვთ (უნდათ რომ ახსოვდეთ) მხოლოდ კარგი, დადებითი, მხოლოდ პოზიტიური; და მე-

ორე, თანამედროვე პირობებმა, კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების საშინელებებმა, ქართული სოფლის, მათ შორის კახეთის რეგიონშიც, ტოტალურმა გაღატაკებამ, უამრავმა გადაუჭრელმა პრობლემამ, არაორგანიზებულობამ, სახელმწიფო ქონების მითვისებამ, კორუფციამა და სხვა წყლულებმა მათ აშკარად წარსულ ეპოქაზე ნოსტალგია გაუჩინათ.

თუმცა არის სხვა მოსაზრებებიც, მათალია ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც:

„კოლმეურნეობა წამგებიანი იყო, მუშაობა – ქარნცგამწყვეტი, ხელფასი – მათხოვრული. დამხმარე საკარმიდამო რომ არ გვქონოდა, სულ გავნადგურდებოდით. გავრცელებული იყო მოსავლის მოპარვა, სულ ერთმანეთს პარავდნენ“ (დაუშვილი, საგარეჯო, 2017).

„დღეს უკეთესია ცხოვრება!“ (დაუშვილი, თელავი, 2016).

„დღევანდელი თავისუფლება მირჩევნია, ვიდრე მაშინდელი ცხოვრება“ (დაუშვილი, თელავი, 2016).

ამრიგად, აშკარაა კახეთის დღევანდელი მაცხოვრებლების მხრიდან 60-80-იანი წლების შრომითი ურთიერთობებისა და შრომითი ხასიათის განსხვავებული დახასიათება – რაც, უდავოდ, საინტერესოა. მაგრამ შრომითი ურთიერთობები და შრომს ხასიათი, საბოლოო ჯამში მუდამ შრომის შედეგებზე აისახება. თუ როგორი იყო ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები კახეთის რეგიონის სოფლის შრომითი ორგანიზაციების – ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

§ 9. ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები

საბჭოთა ეკონომიკური სისტემა – გეგმურ პრინციპებზე იყო აგებული და მის ფუნდამენტურ კანონებს ექვემდებარებოდა. საკუთრების ორი ფორმის – საზოგადოებრივი (სახელმწიფო) და კოლექტიური (საკოლმეურნეო) არსებობის პირობებში, საბაზრო ურთიერთობის გარეშე, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების, კერძო ინიციატივისა და კონკურენციის არარსებობის ვითარებაში, ეკონომიკა მთლიანად უნდა დაფუძნებოდა სოციალისტური წარმოების წესის მხოლოდ იმ კანონზომიერებებს და წესებს, რომლებიც პარტიული ლიდერების შეხედულებებსა თუ პარტიული ყრილობების დადგენილებებსა თუ გადაწყვეტილებებში იყო ჩამოყალიბებული.

ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ სოციალისტურ ეკონომიკას, თავისი მატერიალური სტიმულები და ეკონომიკური ბერკეტები, გარკვეულწილად, ჰქონდა და შრომითი პროცესები ტოტალურად არსად არ იყო გაწყვეტილი, დეზორგანიზებული, ამასთან, გარკვეული ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობები მუდამ ხორციელდებოდა. რა თქმა უნდა, კონკრეტული შრომის შედეგებიდან გამომდინარე იყვნენ ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი სასოფლო-სამეურნეო

კოლექტივები. ისიც აღინიშნა, რომ გარკვეული, კონკრეტული ფაქტორების ერთობლიობა იწვევდა მოცემული კოლექტივის ფინანსურ-ეკონომიკურ წარმატებებს თუ ფინანსურ-ეკონომიკურ კრახს. მთავარი თავისებურება მხოლოდ ის იყო, რომ ფინანსურ-ეკონომიკური კრახი არასოდეს არ მთავრდებოდა საბაზრო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიით – გაკოტრებით, ანუ საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში არა ხდებოდა ეკონომიკური სუბიექტების ბუნებრივი სელექცია და ძლიერი ეკონომიკის შეუნელებელი წინსვლა ახალი, კიდევ უფრო მაღალი, მაჩვენებლებისაკენ: საბჭოთა კანონებით ყველა შრომითი კოლექტივი წარმატებული და მომგებიანი უნდა ყოფილიყო. რეალობაში, რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის ასე როდი ხდებოდა.

ყოფითი რეალობა, აშკარად, სხვა ჩანდა – იყვნენ მუდამ წარმატებული, მილიონერი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, და იყვნენ აუტსაიდერები – წლიდან წლამდე ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემებით დატვირთულნი, ჩამორჩენილები. ამ ჩვენი თვალსაზრისით საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს კახეთის რეგიონიდან. XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეისწავლა კოლმეურნეობების ძალიან დიდი ჯგუფის ფინანსუ-ეკონომიკური მაჩვენებლები და, საბჭოთა ეკონომიკის კრიტერიუმებიდან გამომდინარე, გარკვეული პარამეტრების ერთობლიობით, წარმატებულად ჩათვალა რესპუბლიკის ძალიან ბევრი ეკონომიკური სუბიექტი, მათ შორის კახეთის რეგიონიდან: გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, ველისციხის, ჩუმლაყის კოლმეურნეობები; გურჯაანისა და მუკუზნის საბჭოთა მეურნეობები; სიღნაღის რაიონის ძველი ანაგისა და ბოდბის კოლმეურნეობები, ტიბაანის საბჭოთა მეურნეობა, ახმეტის რაიონის მატანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და ამავე რაიონის სანერგე საბჭოთა მეურნეობა და სხვ.

გამორჩეულად აღინიშნა ამ მეურნეობების თავკაცების – კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების: გურჯაანის ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ს. მღებრიშვილის, სოფ. ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დ. მამისაშვილის, სოფ. ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. უტიაშვილის, ახმეტის რაიონის მატანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ა. ჭუნიაშვილის, თელავის რაიონის სოფ. სანიორეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. მარგალიტაშვილის და სხვათა პიროვნული ფაქტორის შესახებაც შრომითი კოლექტივის ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესებისა და კოლექტივის საერთო წარმატების მიღწევის საქმეში.

მაინც რა შედეგები იყო ასეთი?

როგორც დოკუმენტურად დასტურდება 9 თვის მანძილზე წარმატებულმა კოლექტივებმა 3 პროცენტით გაზარდეს ხორცის წარმოება, 11 პროცენტით რძის წარმოება, 37 პროცენტით კვერცხის წარმოება, 18 პროცენტით მატყლის დამზადება. ამავე პერიოდში სახელმწიფოს მიჰყიდეს ხორცი – 4 პროცენტით მეტი, რძე – 14 პროცენტით მეტი, კვერცხი – 44 პროცენტით

მეტი, მატყლი – 5 პროცენტით მეტი. ეს მაჩვენებელი ნატურით ასეთ გამოიყურებოდა: ხორცი 1 900 ტონით მეტი, რძე 8 500 ტონით მეტი, კვერცხი – 10,5 მილიონი ცალით მეტი, მატყლი 99,6 ტონით მეტი და ა.შ. (სუიცსა ს. 7524: 162). ანუ შრომითი კოლექტივების გარკვეულმა ჯგუფმა, საბჭოთა ეკონომიკური კანონების მოქმედების პირობებშიც კი, შეძლო (ანუ ეს შესაძლებელი იყო) წარმატებით გაენაღდებინა აღებული ვალდებულებები და შეესრულებინა ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

რა თქმა უნდა, იყვნენ აუტსაიდერები. იგივე დოკუმენტი მიუთითებს, რომ რესპუბლიკის 73 კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა ხორცის სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება, 63 კოლმეურნეობამ – მატყლის მიყიდვის გეგმა, 129 კოლმეურნეობამ – რძის მიყიდვის მაჩვენებელი და ა.შ.

მოტანილი მონაცემები მიანიშნებენ, რომ წარმატებულ მეურნეობებში ხერხდებოდა საფინანსო დისციპლინის დაცვა, ეკონომიკური ბერკეტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების, სუბიექტური ფაქტორების ისეთი ჰარმონიული გამოყენება, რაც შედეგად ფინანსურ წარმატებას იძლეოდა. არ შეიძლება ამ საქმეში კოლექტივის ხელმძღვანელის – კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორის სუბიექტური ფაქტორიც არ იყოს გათვალისწინებული. ჩვენ ზემოთ ამის შესახებ სპეციალურად აღვნიშნეთ კიდეც.

წარმატებები და წარუმატებლობები ეკონომიკურ ორგანიზმში მუდამ ფინანსური მაჩვენებლებში აისახება. ჩვენ მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. მაგალითად, წითელწყაროს რაონის გამარჯვების კოლმეურნეობამ, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, „აამაღლა შრომის დისციპლინა. 1971 წელს კოლმეურნეობამ შეძლო საშემოდგომო თავთავიანი კულტურების, მზესუმზირის თესვის და მრავალწლიანი კულტურების გაშენების გეგმების შესრულება. ყურძნის წარმოების გეგმა გაანაღდეს 110 პროცენტით, რძის ჩაბარების გეგმა – 111,6 პროცენტით, მატყლის დამზადების გეგმა – 118 პროცენტით. ერთი საფურაჟე ძროხიდან ჩამოწველეს 2 721 კგ. რძე. მოხერხდა ერთ სულ ცხვარზე მატყლის ჩაბარების გეგმის 116,6 პროცენტით შესრულება (თითო ცხვარიდან მიიღეს 3,530 კგ. მატყლი) და ა.შ.

შრომის შედეგი, რა თქმა უნდა, ფინანსურ მაჩვენებლებში აისახა – მიიღეს 1 415,7 ათასი მანეთის შემოსავალი, რაც გეგმის 154,7 პროცენტი იყო. სუფთა მოგებამ 533,4 ათასი მანეთი შეადგინა (მოგების გეგმა კოლექტივს განსაზღვრული ჰქონდა მხოლოდ 333 ათასი მანეთი). წარმოების რენტაბელობა გაიზარდა 37 პროცენტით (სუიცსა, ს.7472, 93).

სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობამ, გარკვეული პრობლემების მიუხედავად, 1977 წელს პროდუქციის რეალიზაციის შედეგად 1 291 ათასი მანეთის შემოსავალი მიიღო, წმინდა მოგებამ 146 ათასი მანეთი შეადგინა. პროდუქციის რენტაბელობა გაიზარდა 13 პროცენტით (სუიცსა, ს.8821, 20). როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, მეურნეობამ ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი გადაჭარბებით შეასრულა და, რაც მთავარია, შე-

ამცირა პროდუქციის თვითღირებულება: 1 ცენტნერზე საშუალოდ 0,58 მანეთით. დარგის ცალკეულ სახეობაზე ეს მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო: ლობიოს წარმოებაზე თვითღირებულება ცენტნერზე შეამცირეს 11,72 მანეთით, მზესუმზირაზე – 3,0826 მანეთით, ხილის დამზადებაზე – 3,47 მანეთით, მსხვილფეხა საქონლის წარმოებაზე – 66,79 მანეთით, ღორის ხორცის დამზადებაზე – 33,20 მანეთით, ცხვრის ხორცის ჩაბარებაზე – 11,3 მანეთით. როგორც ვხედავთ, ასეთი სტაბილური შედეგი საბჭოთა პირობებშიც შესაძლებელი იყო და ეს კოლმეურნეობა გამონაკლისი არა ჩანს.

ასეთი შედეგები არ იყო ერთჯერად შემთხვევა. მოვიტანთ, მაგალითად, წითელწყაროს რაიონის მოწინავე სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის რამდენიმე წლის მაჩვენებელს: 1972 წელს კოლმეურნეობამ მიიღო 1 682 499 მანეთის შემოსავალი, 1973 წელს უკვე 2 459 063 მანეთის. ამ წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 793 032 მანეთი. რენტაბელობა გაიზარდა 31 პროცენტით; 1974 წელს კოლმეურნეობის შემოსავალმა 2,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა, სუფთა მოგებამ კი 837 896 მანეთი შეადგინა. ეს მიუთითებს, რომ შრომით კოლექტივში მოინახა საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობის სტაბილურად განვითარების წარმატებული გეგმა, რასაც სისტემატურად ახორციელებდნენ.

როცა შრომით კოლექტივს ასეთი მზარდი ეკონომიკური პროგრესი ახასიათებს, რა თქმა უნდა, ეს შრომადღეების მაჩვენებლებზეც აისახება და ამ შემთხვევაში ეს მაჩვენებელიც მუდამ მზარდია: 1972 წელს ერთი კაცდღე მეურნეობაში ანაზღაურდა 6,25 მანეთით, 1973 წელს – 8 მანეთით, 1974 წელს 7,79 მანეთით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსურ წარმატებებში გარკვეული მნიშვნელობა საბჭოთა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკასაც მიუძღვის წილი, განსაკუთრებით 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა სასოლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდი ფასები გაადიდეს. როგორც ქართველი ეკონომისტები მიუთითებენ: „1965 წელს 1963 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის, თხისა და ფრინველის ფაქტიური საშუალო შესყიდვის ფასი ორჯერ გაიზარდა“ (საქართველოს სსრ..., 1967, 611). როგორც ჩანს, ამ გარემოებამაც დადებითად იმოქმედა ორგანიზებული მეურნეობების შრომითი მიღწევების პროგრესულად ზრდის მაჩვენებელზე.

ჩამორჩენილი მეურნეობის შედეგები კი რადიკალურად განსხვავებული იყო – აქ თანხვედრაა როგორც ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ფაქტორებისა, ისე შრომის მწარმოებლურობის საქმეში სერიოზული ჩავარდნების, შრომის დისციპლინის მოშლის, უყაირათი ეკონომიკური პოლიტიკის, გაფლანგვების და საბჭოთა ეკონომიკაში საკვლევ პერიოდში უკვე საკმაოდ გავრცელებული სენის – „სოციალისტური ქონების“ დატაცებისა. მაგალითისთვის მოვიტანთ სიღნაღის რაიონის ბოდბის კოლმეურნეობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რაც სავალალოა – კოლმეურნეობის 348 წევრიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოიმუშავა 117

წევრმა, 15 თანამშრომელმა მთელი წლის მანძელზე ერთი შრომადღეც კი არ იმუშავა. კოლექტივში შრომის ნაყოფიერება კი არ გაიზარდა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა (40%). სარევიზიო პერიოდში კოლმეურნეობას არ შეუსრულებია: მარცვლეული კულტურების, მათ შორის სოიოს თესვის გეგმები, საერთოდ არ აწარმოა გეგმით გათვალისწინებული სიმინდი, ლობიო. ყურძნის დამზადების გეგმა მხოლოდ 14,8 პროცენტით შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით. ზარალმა შეადგინა 525 ათასი მანეთი (სუიცსა, ს.9913, 132). საქართველოს სოფლისმეურნეობის სამინისტრომ დააყენა საკითხი კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. მსგავსი მაგალითები იმ წელებში ერთეული არ იყო.

საბჭოთა ეკონომიკურ სისტემაში, წარმატებისა და წარუმატებლობის მიღწევების მიზეზები მოითხოვს სპეციალურ ანალიზს. ის არ არის დამოკიდებული მარტო საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებთან – ის უფრო გლობალური და სისტემური ხასიათს ატარებდა. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურ პარაგრაფში გვექნება საუბარი.

§ 10. სამრეწველო საწარმოები სოფლად

სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების წარმატების პირობა – პროდუქციის რეალიზაციაა. ეს პრობლემა საბჭოა სინამდვილეში ადვილი გადასაწყვეტი იყო – გეგმური ეკონომიკის პირობებში ყველაფერი მკაცრად იყო რეგლამენტირებული და გამონაკლისები, პირადი ინიციატივები, კომერციული „ვირაჟები“ არ ხალისდებოდა. ყველა ნაბიჯი სამრეწველო საწარმოს, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის წინასწარ გათვლილი და სანქციონირებული იყო. გეგმური ეკონომიკიდან გამომდინარე, მუდამ განსაზღვრული იყო თუ რომელ სასოფლო კოლექტივს სად, როგორ, რა ფასად უნდა ჩაებარებინა მოწეული ჭირნახული, მკაცრად იყო განსაზღვრული, ასევე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებში ამ პროდუქციის აუცილებლად ჩაბარების, ხოლო საწარმოს მხრიდან – ამ პროდუქციის აუცილებლად მიღების დაკანონებული წესი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს ძალიან ბევრ სოფელში ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი, საკმაოდ დიდი სიმძლავრის მქონე, საწარმოები: ღვინისა ქარხნები, ეთერზეთების საწარმოები, საკონსერვო კომბინატები, აბრეშუმის პარკის მიმღები პუნქტები, მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკები, აბრეშუმის ძაფსახვევ-საძახავი ქარხნები და ა.შ. და ა.შ.

მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფლებში: წნორში, ხირსაში, ტიბაანში, ანაგაში, ვაქირსა და ქვემო მაღაროში ფუნქცინირებდა ღვინის წარმოება. დაბა წნორში ფუნქციონირებდა ყველ-კარაქისა და საკონსერვო ქარხნები;

თელავის რაიონში ღვინის წარმოება თავმოყრილი იყო: თელავში, წინანდალში, აკურაში, ნაფარეულში, იყალთოში, თელიანში. ეთერზეთების მეურნეობასთან ნაფარეულში არსებობდა გადამამუშავებელი ქარხანაც. თელავში ფუნქციონირებდა ხარც-კომბინატი, ყველ-კარაქის წარმოება, საკონსევო ქარხანა. ყვარლის რაიონში საკუთარი ნედლეულის ბაზაზე კარგად იყო ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება – ღვინის ქარხნები: ენისელში, ხირსაში, ახალსოფელში, ყვარელში. ეთერზეთების გამართული საწარმო იყო სოფელ წიწკანაანთსერში. გურჯაანის რაიონში ღვინის ქარხნები მდებარეობდა: გურჯაანში, კარდანახში, ველიციხეში, მუკუზანში, კაჭრეთში. რაიონის ცენტრში წარმატებით ფუნქციონირებდა საკონსერვო წარმოება, რომელიც ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებით იყო დაკავებული. ასევე იყო კახეთის სხვა რაიონებშიც.

სწორედ კახეთის სასოფლო ღვინის ქარხნებში იწარმოებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული სამარკო ღვინოები: „წინანდალი“, „ნაფარეული“, „თელიანი“, „ტიბაანი“ და სხვ.

ახმეტის რაიონში ღვინის წარმატებული საწარმოები ქისტაურსა და ახმეტაში ფუნქციონირებდნენ. ყოველწლიურად ახმეტის ღვინის ქარხანა – 7 770 ტონას, ხოლო – ქისტაურის ქარხანა – 5 200 ტონა ყურძენს ამუშავებდა. საწარმოებში დამონტაჟებული იყო მუხის 30 ათასი დეკალიტრის ტევადობის ბიდონები, ადგილობრივ წარმატებით გამოსცადეს ყურძნის გადამამუშავებელი მანქანა, რომელიც საათში 12 ტონა ნედლეულს ამუშავებდა („ბახტრიონი“, 1965, 20 ივნისი).

ახმეტის ღვინის ქარხანა ყოველწლიურად ზრდიდა თავის საწარმოო სიმძლავრეებს: 1980 წელს საწარმომ გადაამუშავა 55 457 ტონა ყურძენი და მომხმარებელს მიაწოდა 43 მილიონ 256 ათასი მანეთის პროდუქცია.

თელავის, წინანდლისა და აკურის ღვინის ქარხნები გარკვეულ საწარმოო კონგლომერატს ქმნიდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით გამორჩეულ შედეგებს ისინი უკვე XX საუკუნის 70-იან წლებიდან აღწევდნენ. მათ მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი ქართული ღვინის პროდუქცია სისტემატურად იგზავნებოდა ექსპორტში: კუბაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში. მაგალითად ცნობილია, რომ მათ ექსპორტში გააგზავნეს 381 661 დეკალიტრი ღვინო. წმინდა მოგებამ შეადგინა 2 436 ათასი მანეთი.

ასევე წარმატებული იყო კახეთში საკონსერვო წარმოებაც. ეს საწარმოები თითქმის ყველა რეგიონში ფუნქცინირებდა და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას. მართალია, ამ წარმოებისათვის უკვე შესამჩნევი იყო საბჭოთა ეკონომიკის მარადიული მახასიათებელი – პროდუქციის ასორტიმენტის სიღარიბე, პროდუქციის დიაზაინის სრული უგულებელყოფა, მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებელზე გამოდევნება; მაგრამ საკონსერვო საწარმოების პროდუქცია იყო ეკო-

ლოგიურად სუფთა, ჯანსაღი და იწარმოებოდა ყოველგვარი ქიმიური დანამატის გარეშე.

ეთერზეთების წარმოებასა და თელავის აბრეშუმსახვევ-საძახავ ფაბრიკაზე ჩვენ ზემოთ სპეციალურ პარაგრაფში უკვე ვისაუბრეთ და აქ აღარ გავიმეორებთ. ფაქტი ერთია – საკვლევ პერიოდში კახეთის სოფლის ნობათის გადასამუშავებლად არსებობდა საკმაოდ განტოტვილი საწარმოთა ქსელი, რომელიც საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებდა.

დღეს ამ საწარმოთა უმრავლესობა აღარ არსებობს.

§ 11. ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება

მელიორაცია. ნებისმიერი წარმოება აუცილებლად გულისხმობს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებას – რამდენადაც უნდა ძვირფასი იყოს, თუნდაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, წარმოების განსაზღვრული წესი, სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანის ადგილობრივი თავისებურებები, ხოლო ეგზოტიკური და გამორჩეულად საინტერესო – მისი მოლა-მოყვანა, პროდუქციის დამზადება, მაინც ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენების გარეშე დარგი სათანადოდ ვერ განვითარდება, ის ვერასოდეს გახდება რენტაბელური და, აქედან გამომდინარე, რეალურ ზეგავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე და მუდამ ის დარჩება როგორც სამუზეუმო რელიქტი.

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მსოფლიოს პროგრესულ ქვეყნებში დაიწყო სამრეწველო რევოლუციის ახალი ტალღა, რომელმაც 80-90-იან წლებში თავის არნახულ სიმაღლეებს მიაღწია – განვითარდა კომპიუტერული ტექნიკა, შეიქმნა ახალი ბიოტექნოლოგიები, გამოიგონეს ნედლეულის ახალი სახეები, უნაკლოდ გამართეს მრავალპროფილური კომპლექსური საწარმოო უბნები და მოიფიქრეს ახალი ტექნოლოგიური კომპლექსები, რომლებმაც აღგავეს წარმოების პატრიარქალური, მოძველებული, დრომოჭმული, რუტინული წესები და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგს, ყველა მიმართულებას შესთავაზეს ტექნიკური პროგრესის ახალ, აუთვისებელ სიმაღლეები – ახალ შესაძლებლობები. დასავლეთში უკვე იქმნებოდა სოფლის-მეურნეობის წარმოების ისეთი უნიკალური კომპლექსები, სადაც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე რეკორდულს უახლოვდებოდა, სადაც ადამიანის ჩარევები წარმოების პროცესში მიმნიმუმამდე იყო შემცირებული, ხოლო ყოველწლიურად ექსპლოატაციაში შესული ახალი რობოტო-ტექნიკა ყველა შრომატევად პროცესს წარმოუდგენლად ამარტივებდა – აიაფებდა.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც იმჟამად „ცივ ომში“ იყო ჩაბმული და მილიარდობით მანეთს ხარჯავდა ატომური ქობინების, ზოგადად კი შეია-

რადების გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ძალუმი განვითარებისათვის ნაკლებად იცლიდა და ფაქტორივად მოხდა ისე, რომ ახალმა სამრეწველო რევოლუციამ მას გვერდით ჩაუარა – მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა ვერ მოახდინა. თუმცა ჯერ კიდევ კოლოსალური მატერიალური და ადამიანური რესურსების მქონე სახელმწიფო მაინც ახერხებდა გარკვეული მოკრძალებული ნაბიჯები გადაედგა ამ მიმართულებითაც.

უპირველესად ყურადღება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობას მიექცა ყურადღება – რაც ტრაქტორებისა და კომბაინების რიცხვის ზრდაში აისახა. საბჭოთა სოფელს მხოლოდ საბჭოთა მოდელის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მიეწოდებოდა. როგორც სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდება კი ყოველწლიურად იზრდებოდა: თუ 1961 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობას მიაწოდეს 1 161 ტრაქტორი, 970 სატვირთო ავტომობილი, 2 016 სატრაქტორო გუთანი, 356 სატრაქტორო კულტივატორი, 374 ტრაქტორის სათესი მოწყობილობა, 410 ტრაქტორის სამკალი მოწყობლობა და ა.შ., უკვე 1976 წელს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს მიაწოდეს 3 129 ტრაქტორი, 2 701 სატვირთო ავტომობილი, 2 454 სატრაქტორო გუთანი, 1 237 სატრაქტორო კულტივატორი, 1 211 სატრაქტორო სათესი მოწყობილობა, 813 ტრაქტორის სამკალი მოწყობილობა და ა.შ. (Народное хозяйиство..., 1977, 94).

ერთი შეხედვით, საქართველოს სასოფლო შრომით კოლექტივებს, თითქმის ყველას, საკმაოდ ძლიერი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკი ჰქონდა. მაგალითად, სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობას ჰქონდა 41 ტრაქტორი, 56 ავტომობილი, 11 კომბაინი და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (სუიცსა ს. 8822: 7). იყალთოს შ. რუსთაველის სახ. კოლმეურნეობაში ჰქონდათ 13 ტრაქტორი, 8 სატვირთო ავტომანქანა, 4 კომბაინი, 1 – სილოსის ასაღები კომბაინი, 1 – სიმინდის ასაღები კომბაინი, კულტივატორები, სათესი დანადგარები და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა მთლიანად დაკავშირებული იყო საწარმოს მასშტაბებთან, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან. უნდა ხაზგასმით ისიც აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაც ქვეყანაში ნაწილდებოდა გეგმურად და მთლიანად გამოირიცხებოდა ამ საქმეში ზედმეტი ინიციატივა. ამიტომ ზოგჯერ იყო შემთხვევა, რომ საჭირო მწყობილობის, ტრაქტორისა თუ კომბაინის მიღება საკმაოდ ჭიანურდებოდა და დამატებით პრობლემებს უქმნიდა შრომით კოლექტივს.

როგორც აღვნიშნეთ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დაშლამ პირველ ხანებში გარკვეული პრობლემები შექმნა სოფლად (კვალიფიციური კადრების, სათადარიგო ნაწილების და სხვ.), მაგრამ თანდათან პრობლემები მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა – ყველა სოფელს თავისი მექანიზატორი ყავდა და არა ერთი. იყვნენ თავისი საქმის მცოდნე, გამოცდილი მეანიზატორები, თუმცა ბევრგან – იყვნენ შემთხვევითი, არაპროფესიონალი ადამიანები, რომელთა შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინის-

ტროს დოკუმენტებში ხაზგასმულია: „კოლმეურნეობების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფა, მათი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში მექანიზატორთა რიცხვი მანქანა-ტრაქტორთა პარკის ზრდასთან შედარებით ნელი ტემპიმთ იზრდება და ადგილი აქვს მექანიზატორთა დიდ დენადობას. რესპუბლიკაში 100 ტრაქტორზე მოდის 90 მექანიზატორი“ (სუიცსა, ს. 7524, 326).

ეს სერიოზული ჩამორჩენა იყო, რადგან კავშირის მასშტაბით 100 ტრაქტორზე საშუალოდ 136 მექანიზატორი მოდიოდა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მესვეურები ჩინებულად გრძნობდნენ ასეთი მდგომარეობის მიზეზებს – „მექანიზატორებს შევუქმნათ კარგი პირობები“ – ხაზგასმულია ერთ-ერთ დადგენილებაში და ისინიც გარკვეულ ნაბიჯებს დგამდნენ ამ მიმართულებით.

ერთ-ერთი ასეთი „ნაბიჯი“ იყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რესპულიკური დათვალიერებები, რომელიც პერიდულად იმართებოდა და მიზნად ისახავდა მოწინავე სატრაქტორო ბრიგადის, მოწინავე ტრაქტორისტისა ან კომბაინერის გამოვლენას, სასოფლო შრომითი კოლექტივის ტექნიკური აღჭურვილობის რევიზიას. ერთ-ერთ ასეთ შემოწმების დროს საუკეთესოთა შორის აღმოჩნდნენ კახეთის რეგიონის მექანიზატორებიც. გამორჩეულად აღინიშნა ტექნიკური პარკის გამართული მდგომარეობა წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის, გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის, საგარეჯოს რაიონის დიდი ჩაილურის, თელავის რაიონის სარნიორეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მოწინავე მექანიზატორის წოდებები მიენიჭათ სიღნაღის რაიონის მაღაროს №1 სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს ი. ბაიდოშვილს, გურჯაანის რაიონის შაშიანის სატრაქტორო ბრიგადის თავკაცს ა. აბულაშვილს და სხვებს. ისინი სპეციალური პრიზებით დააჯილოვეს.

მაგრამ საბჭოთა სისტემაში არსებული პრიზები – მატერიალური წახალისების ფორმები, თანდათან ფასს კარგავდნენ და მატერიალურ სტიმულებად აღარ ვარგოდა. კარგი მექანიზატორი საქართველოს სოფელში კვლავ დეფიციტი იყო.

ამ პრობლემების მოსაწესრიგებლად მოგვიანებით საქართველოში შეიქმნა საწარმოო გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, რომელსაც კახეთში თავისი ქსელი ჰქონდა და გარკვეულ მომსახურებას უწევდა სოფლის მექანიზატორებს სათადარიგო ნაწილებით, კონსულტაციებით და ა.შ.

როგორც სტატისტიკური კრებულები ამტკიცებენ, შედარებით მოწესრიგდა სოფლის შრომითი კოლექტივების ენერგოაღჭურვილობა – 60-იანი წლების შუახანებში ელექტროენერგიის მიწოდება საქართველოში უკვე რეგულარული იყო და ის სოფელს დამატებით პრობლემებს აღარ უქმნიდა, მაგრამ პრობლემური გახდა ელექტროტექნიკის უახლესი მიღწევების ოპერატიული და სათანადოდ დანერგვის საკითხი. საბჭოთა იტორიკოსები აღ-

ნიშნავდნენ, რომ „გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგოაღჭურვილობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ენერგოაღჭურვა ერთ მუშაკზე 1970 წელს 3,8 ცხენის ძალიდან გაიზარდა 4,2 ცხენის ძალამდე 1975 წელს. ელექტროენერგია სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა უმთავრესად მექანიკურ სამუშაოთა ელექტრიფიცირებისათვის. მექანიკური ამძრავები საბოლოოდ შეცვალეს ელექტროძრავებმა სარემონტო სახელოსნოებში, სამჭედლოებში, წყალსაქაჩავებში, წისქვილებში, ხე-ტყის დამუშავებაში, მარცვლეულის შეწამვლა-დახარისხებაში და სხვ.“ (კოჭლავაშვილი, 1980, 855).

ამ მოსაზრებას შეიძლება დავეთანხმოთ, მაგრამ გარკვეულ სკეპტიკურ დამოკიდებულებას გვიქმნის მეორე თეზისი: „ელექტროენერგია ფართოდ გამოიყენებოდა მეცხოველეობაში – სოფლის მეურნეობის წარმოების ამ ყველაზე შრომატევად და ჯერჯერობით ყველაზე ჩამორჩენილ დარგში. წყლის მიწოდება ფერმებში, მათი ვენტილაცია, საკვების დამზადება, ცხვრის პარსვა, მაცივრების მუშაობა, მეფრინველეობის ინკუბატორების მოქმედება **სრულდებოდა უმთავრესად** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ელექტროდანადგარებით“.

ძნელია მთლიანად გაიზიარო ამ თეზისში გამოთქმული შეხედულება მას შემდეგ, რაც ჩვენ სპეციალურ პარაგრაფში „მესაქონლეობა“ შევეხეთ საქართველოში ამ სასოფლო-სამეურნეო დარგის საერთო მძიმე მდგომარეობას და განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ ნაკლს სწორედ ფერმების ელექტროაღჭურვილობის საქმეში. შესაძლებელია ეს შეხედულება თავის თავს ამართლებდა წნორისა და ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსებში, რომლებიც თავიდანვე საქართველოს პარტიული ხელმძღვანელების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცნენ, მაგრამ მასობივად – საქართველოს მეცხოველეობა ძალიან შორს იდგა ჰოლანდიისა და შვეიცარიის მესაქონეობის დარგის ელექტროაღჭურვილობის განვითარების დონისგან.

საქართველოს სოფლად ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების განხორციელებაზე ზრუნვა, პირველ რიგში, ქართულ მეცნიერ-აგრარიკოსებს ევალებოდათ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქართველოში გარეგნულად საკმაოდ მოწესრიგებული ვითარება ჩანს – აგრონომიული და ვეტერინარული სამეცნიერო პოტენციალი საქართველოში XX საუკუნის 60-80-იან წლებში საკმაოდ განვითარებულია და გარკვეული პოზიტიური შედეგითაც გამოირჩევა. არსებობდა საკმაოდ განტოტვილი ქსელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა, რომელთაც ევალებოდათ სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულების კურირება, ტექნიკური და ტექნოლოგიური ნოვაციებით უზრუნველყოფა, ახალი გაუმჯობესებული – საკუთარი წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის პრაქტიკულად რეალიზება. მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში წარმატებით საქმიანობდნენ: მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიუტი თავისი 11 ექსპერიმენტული მეურნეობით, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტი

თავისი 5 ექსპერიმენტული მეურნეობით, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტი, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტი, ეთერზეთების კულტურათა საცდელი სადგური, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, მეფუტურეობის საცდელი სადგური და ა.შ. და ა.შ.

უშუალოდ კახეთის რაგიონისათვის თელავში არსებობდა სპეციალიზებული საცდელი სადგური თავისი 7 განყოფილებითა და 4 ექსპერიმენტული ბაზით. ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ თბილისის სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების სამეცნიერო პოტენციალიც და ჯამში საკმაოოდ სოლიდური სამეცნიერო რესურსი იკვეთება, რომელთა შენახვაზე სახელმწიფოს უზარმაზარი თანხები იხარჯებოდა და ეს სახსრები ყოველწლიურად იზრდებოდა.

საკვლევ პერიოდში ქართველმა მეცნიერ-აგრარიკოსებმა არა ერთი საინტერესო ტექნიკური თუ ტექნოლოგიური სიახელე დანერგეს სოფლად, გამოიყვანეს ან გააუმჯობესეს მცენარისა თუ სასოფლო-სამეურნეო ცხოველის ჯიში, შეიმუშავეს ახალი ტენოლოგიური ხაზი და ა.შ. ყველას ჩამოთვლას ჩვენ ვერ შევუდგებით, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: 60-იან წლებში მიმდინარეობდა მუშაობა კავკასიური ჯიშის წაბლა ძროხის სელექციისა და მისი ბიო-ფიზიკური პარამეტრების გასაუმჯობესებლად; ქართველი აგრარიკოსების მიერ მევენახეობაში დაინერგა მოწყობილობა „ПРВН-72 000“ გამოყენება ვაზის რიგთაშორის დამუშავების დროს. მარტო ამ სიახლემ საქართველოს სოფლის მეურნეობას 224 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. ასევე წარმატებული აღმოჩნდა გაკრეჭილი ყლორტების შემგროვებელი მექანიზმი, რომელიც ჰექტარზე 5-6 მანეთის ეკონომიას იძლეოდა, სულ რესპუბლიკაში ერთ სეზონზე დაზოგა 20 ათასი მანეთი. კახეთის სოფლებში ასევე წარმატებით დაინერგა დაწვიმების აგრეგატი „ДДН-70“, ქართველი მეცნიერების დახმარებით მოხერხდა ბევრ მეურნეობაში თივის დამზადების მექანიზაცია „ПСБ“ მოწყობილობით და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით წაადგა კახელ გლეხებს თელაველი აგრარიკოსების მიერ შემუშავებული პრაქტიკული წინადადებები. თელავის საცდელი სადგურის მეცნიერები ამუშავებდნენ ისე პროლემებს, როგორიც იყო მევენახეობის კომპლექსური აგროტექნიკის წესების დადგენა შიდა კახეთის პირობებისათვის, ვენახებში მინერალური სასუქების გამოყენების ახალი კომპლექსური სისტემის გამომუშავება, ვაზის ყლორტების შედარებით მარილამტანობის შესწავლის საკითხი, ხილის ყოველწლიური უხვი მოსავლის მიღების აგროტექნიკური ღონისძიების კომპექსის შემუშავება და ა.შ. (სუიცსა ს. 7515, 31).

კახეთისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ქართველი მეცნიერების მიერ სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების აგროწესების კომპლექსის დამუშავებას. ეს დანადგარ-მოწყობილობები კახეთის ბევრ ზონაში დაამონტაჟეს, თუმცა მისგან მიღებული

ეფექტი ყოველთვის მოლოდინს არ ამართლებდა. ქართველი მეცნიერ-აგრარიკოსების, განსაკუთრებით მილიორატორების, უდიდესი დამსახურება იყო კახეთში მეტად აუცილებელი სამელიორაციო სამუშაობის ოპერატიულად განხორციელება. კახეთის ყველა რაიონში არსებობდა მელიორაციის სამსახური და ყველა რაიონს ევალებოდა ყოველწლიურად გარკვეული სამუშაოს შესრულება, რაც ახალი მიწების გაწყალოსნებას გამოიწვევდა. როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოკუმენტებშია ასახული, წლიდან წლამდე კახეთის ყველა რაიონში ამ მიმართულებით დაგეგმილი სამუშაო მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდებოდა. მაგალითად, 1967 წელს გურჯაანის რაიონში – 14 415

ჰექტრის ნაცვლად 15 104 ჰექტარი გააწყალოსნეს, ლაგოდეხის რაიონში მელიორაციული სამუშაო ჩატარდა 20 214 ჰექტარზე (გეგმა ითვალისწინებდა 20 038 ჰა), წითელწყაროს რაიონში იგივე სამუშაო ჩატარდა 50 308 ჰექტარზე (გეგმა ითვალისწინებდა 50 093 ჰა). კახეთის სხვა რაიონებში, მართალია, გეგმები ვერ შეასრულეს, მაგრამ მელიორაციული სამუშაოები საკმაოდ დიდ ფართობებზე განახორციელეს: ყვარელში – 13 269 ჰექტარზე, თელავში – 9 812 ჰექტარზე და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ იმჟამად ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს თავისი, ავტონომიური მელიორაციული სისტემა ჰქონდა: მაგალითად, ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, მატანის კოლმეურნეობას და სხვა კოლექტივებს.

უდიდესი იყო მნიშვნელობა იმ ჰიდროკომპლექსის მშენებლობისა, რომელსაც დღესაც ალაზნის სარწყავს სისტემას უწოდებენ. ალაზნის არხი ქართველებმა ჯერ კიდევ XII საუკუნეში ააშენეს და ის 50 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა, მოგვიანებით ის არა ერთხელ დაანგრია მტერმა. XX ს. 30-იან წლებში დაიწყო ალაზნის ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობა, რომელიც დასრულების შემდეგ რწყავდა დაახლოებით 30 ათას ჰექტარ მიწას. 1964 წელს დაიწყეს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მისი დახმარებით იგეგმებოდა 100 000 ჰექტარი მიწის გაწყალოსნება. ამ ნაგებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ახმეტის რაიონისათვის ჰქონდა, რომლის მიწების დიდი უმეტესობა არ ირწყვებოდა. ძალიან საინტერესოა ის მოლოდინები, რაც რაიონის მოსახლეობას ჰქონდა და კარგადაც აისახა რაიონული გაზეთის პუბლიკაციებში: „სოფელ დუისთან განზრახულია კაშხალის აგება, აქედან მაგისტრალური არხი მოუვლის სოფ. მატანს, გადაკვეთს მდინარე ილტოს, გაივლის ახმეტას და თელავ-გურჯაანის მიმართულებით წავა. შემდეგ მიადგება ცივ-გომბორის მთებს, გადაკვეთს მას გვირაბით და გამოვა გარე კახეთის პლატოზე. აქედან მაგისტრალური არხი შირაქისაკენ გაემართება და 113-ე კილომეტრზე ტრასა მივა მარეგულირებელ წყალსაცავთან, რომელიც 200 მილიონ კუბურ მეტრს წყალს დაიტევს“. სარწყავი სისტემის მშენებლობა წლებში გაიწელა და როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს „სამელიორაციო სამუშაოები ხშირ შემთხვევაში დაბალი ხარისხით სრულდებოდა, რის გამოც მელიორირებული

მიწების ნაწილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის კვლავ უვარგისი ხდებოდა“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1980, 860).

როგორც ვხედავთ, საკვლევ პერიოდში მუშაობა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო ჯიშების დანეგვის, მელიორაციის მიმართულებით ხორციელდება, თუმცა არა ყოველთვის მაღალ დონეზე და არა ყოველთვის სათანადო ეფექტიანობით.

ერთადერთი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც საეკვლევ პერიოდში პერმანენტულ აღმავლობას განიცდიდა და ეფექტიანად მუშაობდა ეს ე.წ. „საკარმიდამო მამული“ იყო.

§ 12. კიდევ ერთხელ „საკარმიდამო მამულის“ საკითხისათვის

ჩვენ სათანადო ადგილზე განსაკუთრებულად გამოვყავით და შევაფასეთ ი. სტალინის ორიგინალური მიგნება სოფლად „პატარა ბაღების, პატარა ბოსტნების“ შექმნის შესახებ, რომლის დახმარებითაც მან 30-იან წლებში მწვავე აგრარული კრიზისის გადაჭრა შეძლო. ხაზგასმით ისიც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს პრაქტიკაში ეს „პატარა ბაღები, პატარა ბოსტნები“ სოფლის გლეხობას „კულაკების“ მამულების საფუძველზე დაურიგდათ და ამით საბჭოთა სახელმწიფომ რიგითი გლეხები თავისი ანტიკულაკური პოლიტიკის აქტიურ მონაწილედ და თანამზრახველად გახადა. ისიც სათანადოდ აღინიშნა, რომ ეს სტალინური კომპრომისი თავის არსში სოციალისტური სახელმწიფოსათვის საფრთხის შემცველი შეიძლება ყოფილიყო, რადგან, ფაქტობრივად, კერძომესაკუთრული ტენდენციების ჩაბუდების, მისი ნელი განვითარებისა და რაღაც სხვა ახალ თვისებრიობაში გადაზრდის პოტენციალს შეიცავდა. ისიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოს სინამდვილეში ამ სიახლის გამტარებელი ლ. ბერია ამ საშიშროებას კარგად გრძნობდა და თვლიდა, რომ საბჭოთა ეკონომიკის ძალუმი აღმავლობა, კოლექტიური შრომის ნაყოფიერების გაძლიერება და მისი განსაკუთრებული ეფექტიანობა, „საკარმიდამო მამულის“ აუცილებლობის მოთხოვნილებას გლეხს თანდათან გაუქრობდა და ეს სიახლეც ისტორიას ჩაბარდებოდა.

როცა საბჭოთა სახელმწიფო ძლიერი იყო, გამართულად მუშაობდა იდეოლოგიური აპარატი, იყო რწმენა სტალინის შეუცდომლობისა და კოლექტიური შრომაც გამორჩეულ პატივში ჰყავდათ, საბჭოთა გლეხი თავის თავს ვალდებულად თვლიდა (რწმენის, იდეალებისადმი ერთგულებისა თუ „შიშის სინდრომის“ გამო) უპირატესად კოლმეურნეობაში ემუშავა, სწორედ იქ მიღებული შემოსავალი ყოფილიყო მისი ძირითადი მატერიალური წყარო, ხოლო „საკარმიდამო მამული“ ასეთ შემთხვევაში ატარებდა საკმაოდ დაქვემდებარებულ, მესამეხარისხოვან ფუნქციას.

სათანადო ადგილზე ისიც აღინიშნა, რომ ნ. ხრუშჩოვმა, რომელმაც ბევრი რამ გააფუჭა საბჭოთა სინამდვილეში, ასევე ვოლუნტარისტული პოზიციებიდან, ჩათვალა, რომ საკარმიდამო მამულები უკვე ანაქრონიზმია და საჭიროა იყო მისი მასშტაბების დაუყოვნებლივ შემცირება, კერძო საკუთრებაში არსებული საქონლის ლიკვიდირება და საბჭოთა ქვეყანაში კოლექტიური შრომის უპირატესობის ტოტალურად დამკვიდრება.

მაგრამ ეს მისი სურვილი დაემთხვა XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, სტალინის კულტის კრიტიკას, 1956 წლის თბილისის მშვიდობიანი დემონასტრაციის ბარბაროსულ დარბევას, ადამიანურ მსხვერპლს, რამაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსული სოციალიზმისადმი რწმენა საქართველოში სერიოზულად შეარყია როგორც რიგით მოსახლეობაში, ისე პარტიულ ელიტაშიც. ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა პოლიტიკამ ისიც გამოიწვია, რომ სერიოზული პრობლემები შეიქნა აგრარულ სექტორში: შემცირდა შრომისნაყოფიერება, შრომის დისციპლინა, კატასტროფულად დაეცა საქონლის რაოდენობა კერძო სექტორში – გლეხობამ იძულებითი წესით დაკლა საქონელი.

კომუნისტური რწმენის შერყევამ დაასუსტა კოლექტიური შრომისადმი ინტერესი. ეს განსაკუთრებით საკვლევ პერიოდში გახდა შესამჩნევი – როცა ლ. ბრეჟნევის შედარებით დაბალანსებული პოლიტიკური კურსი სოფლის მეურნეობაშიც გულისხმობდა გარკვეულ შეღავათებს კერძო სექტორის განვითარების საკითხების გადაწყვეტის დროს: აშკარად თუ ფარულად პარტიული ლიდერები თვალს ხუჭავდნენ კერძო სექტორში გლეხის მუშაობის ინტენსიფიკაციის ფაქტებზე, მათთვის მთავარი იყო ქვეყანა დაეპურებინათ. ამიტომაც ცოტა მეტი თავისუფლება მისცეს გლეხს საკარმიდამო მიწების დამუშავების დროს. მართალია, საბჭოთა კანონმდებლობით მიწით ვაჭრობა აკრძალული იყო, მაგრამ ამ საკარმიდამო ნაკვეთზე მოქმედების სრული თავისუფლება საკვლევ პერიოდში თითქმის მიღწეული ჩანს.

ასეთმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, რომლებიც საუკეთესო გეო-კლიმატური პირობებით გამოირჩეოდნენ, უზრუნველყო ამ საოცრად მცირე „საკარმიდამო ნაკვეთებზე“ საკმაოდ მაღალი მოსავლის მოყვანა და, აქედან გამომდინარე, მუდამ მზარდი შემოსავლის მიღება, რამაც რიგით გლეხს კოლექტივში მუშაობის ხალისი აშკარად დაუკარგა. „შიშის სინდრომი“ XX საუკუნის 60-80-იან წლებში უკვე აღარ „მუშაობდა“ ისე აქტიურად, როგორც ეს იყო 30-50-იან წლებში, კომუნისტური რწმენა – სერიოზულ კრიზისში აღმოჩნდა. ეს კი კონკრეტულ ფაქტებზეც აისახა. ამ პროცესის ჩვენეული ანალიზის დასაბუთებას კონკრეტული მაგალითების მოშველიებით შევეცდებით.

60-იან წლების შუა ხანებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის სამოქმედო წესები, რაც „საკარმიდამო მამულების“ გაცემის, გაფორმების დროს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მკაცრად განისაზღვრა საკარმიდამო მიწის ფართობი, საქონლის რაოდენობა და ა.შ. ეს „კანონები“ აუცილებლად უნდა ასახულიყო კოლმეურნეობის წესდებაში და კოლმეურნეს ის უნდა

მკაცრად დაეცვა. აქვე იყო მინიშნებული, რომ თუ კოლმეურნე შეწყვეტდა საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობას, მას ეს საკარმიდამო მამული ჩამოერთმეოდა – საზოგადოებრივი შრომისაგან განდგომილი პიროვნება შეიძლება სოფლიდანაც გაესახლებინათ. სწორედ ამ კანონების დაცვით, შემუშავდა სოფელ ახაშნის კოლმეურნეობის წესდება, რომელმაც მკაცრად განსაზღვრა „საკარმიდამო მამულებისა“ და კერძო მფლობელობაში მყოფი საქონლის ოდენობა. როგორც დოკუმენტურად დასტურდება, კოლმეურნეს ბაღის, ბოსტნის, ვენახის საჭიროებისათვის ეძლეოდა მხოლოდ 0,4 ჰექტარი. მას შეიძლება ჰყოლოდა ერთი ძროხა და ერთი ფურკამეჩი 1 წლამდე ნამატით, ერთი მოზარდი მსხვილფეხა საქონელი, 1 დედა-ღორი სამ თვემდე ნამატით, 10 სული ცხვარი ან თხა, 1 ცხენი ან სახედარი, ფრინველი და ფუტკარი განუსაზღვრელი რაოდენობით („ბახტრიონი,“ 1970, 5 მარტი).

ასეთივე და მსგავსი წესდებები მიიღეს საქართველოს სხვა კოლმეურნეობებმაც. ყველა კოლმეურნეს ჰქონდა თავისი „საკარმიდამო მამული“, მაგრამ საქართველოში სპეციფიკური თავისებურება ისიც იყო, რომ „საკარმიდამო მამულები“ ჰქონდათ საბჭოთა მეურნეობების მუშებს და საკმაოდ ბევრიც. მაგალითად, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებაში იყო 413 ჰექტარი მიწა; ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საჯიშე მეურნეობაში – 310 ჰექტარი, ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში – 253 ჰა და ა.შ.

ეს ყოვლად დაუშვებელი მდგომარეობა კი იწვევდა იმას, რომ არა მარტო კოლმეურნე რჩებოდა კერძომესაკუთრული ინსტიქტის მატარებელი, არამედ საბჭოთა მეურნეობის (ანუ სოფლის სამრეწველო წარმოების) მუშა ინარჩუნებდა გლეხის ფსიქოლოგიას, თუმცა საბჭოთა კანონით ისინი უკვე „მუშათა“ სოციალურ კატეგორიაში ირიცხებოდნენ. ეს სპეციფიკური თავისებურებაც წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო და მანაც მოგვიანებით საკმაოდ კარგად იმუშავა საბჭოთა სოფლის „აფეთქების“ საქმეში.

როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ეს საკარმიდამო ფართობები არ იყო ერთხელ და საბოლოოდ განსაზღვრული და, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება მისი ფართობი გადიდებულიყო ან შემცირებულიყო. თუ ოჯახი იყრებოდა და ახალი ოჯახი ფუძნდებოდა, მას აუცილებლად აძლევდნენ საკარმიდამო ნაკვეთს, თუ ახალი ოჯახის წევრი კოლმეურნეობაში მუშაობას აგრძელებდა. ხოლო თუ კოლმეურნე დატოვებდა მეურნეობას, მას უმეტეს შემთხვევაში ართმევდნენ მამულს და სოფელი მას სხვას გადასცემდა ხოლმე. ასე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წინადადლის საბჭოთა მეურნეობაში „საკარმიდამლო მამულების“ რაოდენობა – 413 ჰექტარი სულ რამდენიმე წელში შემცირდა 279 ჰექტარამდე (სუიცსა, ს.8716, 7).

რაც დრო გადიოდა, საბჭოთა საკოლმეურნეო ბაზრის მოცულობის გაფართოებამ და მასზე სასოფლო-სამეურნეო დოვლათის დიდი რაოდენობით მიწოდებამ, ფარულმა თუ აშკარა ინფლაციამ, სოფლის მეურენეობის პროდუქტებზე ფასების ზრდამ და შემოსავლების მნიშვნელოვანმა გადიდებამ,

კოლმეურნე გლეხი საქართველოში აშკარად „საკარმიდამო მამულისაკენ“ გადახარა. ყველა მიზეზით ისინი ცდილობდნენ თავი აერიდებინათ კოლმეურნეობაში მუშაობაზე, დარჩენილიყვნენ სახლში და ემუშავათ ძირითადად „საკარმიდამო მამულებში“, მიეხედათ კერძო საკუთრებაში მყოფი საქონელისა თუ ფრინველისათვის, ინტენსიური კავშირი ჰქონოდათ საკოლმეურნეო ბაზრებთან. „საკარმიდამო მამულებში“ მოყვანილი პროდუქცია მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და იყო ეკოლოგიურად სუფთა.

ის რომ კოლმეურნეობებს მოაკლდა მშრომელი ხელი, რამაც კოლმეურნეობების საერთო მაჩვენებლებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, ეს ჩინებულად ჩანს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კოლმეურნეობებში ჩატარებული რევიზიების მასალებიდან. ზემოთაც აღვნიშნეთ და ახლაც გავმეორდებით, რომ კახეთის რეგიონში იყო კოლმეურნეობები, რომლის შრომითი კონტინგენტი 45 პროცენტი არ მონაწილეობადა შრომის პროცესებში, ძალიან ბევრი იყო გაცდენები, კოლმეურნეობის წევრების მნიშვნელოვანია ნაწილი არ ასრულებდა წესდებით დადგენილ შრომადღეების აუცილებელ ნორმას და ა.შ. (სუიცსა, ს. 8128, 1).

თელავის რაიონის კონდოლის კოლმეურნეობაში 1986 წელს 75 კოლმეურნემ არ შეასრულა 619 შრომადღე („ალაზნის განთიადი“, 1986, 13 თებერვალი).

80-იანი წლების დასასრულს სერიოზული პრობლეიმები შეექმნა ერთ დროს მოწინავე აკურის კოლმეურნეობას. როგორც გაირკვა, სოფელში მაცხოვრებელი 1587 შრომისუნარიანი ადამიანიდან კოლმეურნეობაში მხოლოდ 512 კაცი იღვწოდა, დანარჩენი ან სხვა ორგანიზაციებში შრომობდა, ან თავის საკარმიდამო მამულს პატრონობდა („ალაზნის გაენთიადი“, 1986, 8 თებერვალი).

ეს პრობლემა კახეთის სხვა რაიონებსაც გაუჩნდათ: ახმეტის რაიონის პანკისის საბჭოთა მეურნეობაში 1985 წელს 250 100 კაცდღე უნდა გამომუშავებულიყო, რეალურად გამომუშავდა მხოლოდ 54 000 კაცდღე (დაგეგმილის თითქმის 20%) საბჭოთა მეურნეობაში ფორმალურად დასაქმებულმა ადამიანებმა გამომუშავების აუცილებელი ნორმის მხოლოდ 47 % შეასრულეს („ბახტრიონი“, 1986, 3 ივლისი).

ეს პროცესი (ანუ შრომა-ვალდებულებისაგან თავის არიდება) დამახასიათებელი იყო მთელი საქართველოსათვის და აისახა კიდეც სტატისტიკურ კრებულებში – 1976 წელს კოლმეურნეობებში მუშაობდა 109 000 კაცით ნაკლები ვიდრე 1965 წელს. შეიძლება ეს შემცირება ვინმემ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებს დაუკავშიროს და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებიც გაიხსენოს – სადაც სოფლის მეურნეობაში ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის დასაქმებით სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქცია იწარმოება, მაგრამ საქართველოში ამისთვის არ იყო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა – უბრალოდ „საკარმიდამო ნაკვეთმა“ გლეხი მოწყიტა საზოგადოებრივ მეურნეობას და

კვლავ გაუძლიერა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის წარმოების სურვილი.

კერძო მესაკუთრულმა ინსტიქტებმა, საკუთრებაში მქონე „პატარა ბაღების პატარა ბოსტნების“ გამორჩეულმა პატრონობამ შედეგიც სათანადო გამოიღო – პატარა ნაკვეთებზე საქართველოს გლეხები ჩინებულ მოსავალს იღებდნენ: მაგალითად, ქისტაურელმა გლეხებმა ღვინის ქარხნებს ჩააბარეს „საკარმიდამო მამულში“ მოწეული ყუძენი: ს. ქინქლაძემ 1 342 კგ., ნ. მაზნიაშვილმა – 1 250 კგ. სულ სოფლის „კერძო მამულებიდან“ ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 400 ტონა ყურძენი („ბახტრიონი“, 1965, 9 ობქტომბერი). თელავის სოფლის მეურნეობი სამმართველოს ეკონომისტმა ო, ხუციშვილმა ღვინის ქარხნებს ჩააბარა 6 040 კგ. ყურძენი. მსგავსი მაგალითი უამრავია და ეს პროცესი შეუჩერებელი აღმოჩნდა – კერძო სექტორი აშკარად ჯაბნიდა საზოგადოებრივს.

მართალია, საქართველოში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით დაიწყეს ბრძოლა კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ, მაგრამ მან ეს პერმანენტულად მზარდი პროცესი ვეღარ შეაჩერა – ზოგიერთი ციფრი უკვე აშკარად მიანიშნებდა საქართველოში კოლექტიური შრომის კრიზისის სიმპტომების ზრდაზე. საქართველოში. 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეისწავლა „საკარმიდამო მამულების“ ეკონომიკური შესაძლებლობის საკითხი და მიღებული ციფრები მართლაც შემაშფოთებელი აღმოჩნდა – მაგალითად, ყვარლის რაიონის მოქალაქეთა „საკრმიდამო ნაკვეთებიდან“ მიღებულმა პროდუქციამ შეადგინა ყველა კატეგორიის მეურნეობაში დამზადებული ხორცის 45%, ყურძნის 55%, ხილის 80%, კვერცხის 17%, რძის 33% (სუიცსა, ს.9914, 151). ამავე რაიონის გლეხების პირად სარგებლობაში მყოფი საქონლის რაოდენობა გაიზარდა 231 სულით, ძროხების – 247 სულით.

მსგავსი მდგომარეობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც იყო: კასპის რაიონში დამზადებული ხორცის საერთო რაოდენობაში „საკარმიდამო მამულებიდან“ მიღებული იყო პროდუქციის 26%, კვერცხის – 33%, ხილის – 72%, ყურძნის – 55%; მაიაკოვსკის რაიონში იგივე მონაცემები ასე გამოიყურება – კერძო მეურნეობიდან შემოსულმა ხორცის პროდუქციამ შეადგინა რაიონში დამზადებული ხორცის 59%, ყურძნის – 81%, ხილის 90%, კვერცხის 15%.

საბჭოთა ლიდერებს არ უყვარდათ ამ თემაზე საუბარი, ამიტომაც დოკუმენტური მასალა – თუ რა ვითარება იყო „საკარმიდამო მამულებში“ უცნობია, თუმცა ზოგიერთ სტატისტიკური კრებულიდან შეიძლება ამოკრეფა იმ მასალისა, რაც გვაძლევს საშუალებას დავინახოთ და გავასიგრძეგანოთ „კერძო მამულების“ ჭეშმარიტი მდგომარეობა საქართველოში. როგორც ირკვევა, 1977 წელს „საკარმიდამო მამულში“ საკუთრებაში ჰქონდათ საქართველოში არსებული საქონლის 55,7%, ძროხების – 69,3%, ღორების – 30,7%, ცხვარის და თხა 33,9%; ფრთა-ქათამის – 49,6%, ფუტკრის

– 57,2% და ა.შ. (პროცენტი გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ. იხ. Народное хозяйиство..., 1977, 87-88).

მოტანილი მასალა აშკარად მიუთითებს, რომ საოცრად მცირე ფართობებზე – რომელთა შესახებ ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, საქართველოს კოლმეურნე გლეხობა ახერხებდა საკმაოდ მაღალი შრომისნაყოფიერების მიღწევას, საქონლის პროდუქტიულობის ამაღლებას, საჰექტარო მოსავლიანობის გადიდებას – ყველაფერს იმას, რასაც ვერ ახერხებდნენ საკმაოდ კარგად აღჭურვილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. სწორედ ასეთმა თანაფარდობამ გააძლიერა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში საზოგადოებრივი საკუთრება და მასზე დამყარებული შრომითი ურთიერთობები სერიოზული კრიზისის ფაზაში შევიდა და ის საბოლოოდ დასჯაბნა კერძო მესაკუთრულმა ტენდენციამ. შეიძლება ამ აზრს სრულად დავეთანხმოთ, რომ არა ერთი გარემოება – საქართველოში „საკარმიდამო მამულები“ არსებობდნენ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების გვერდით და მათთან ერთად. „საკარმიდამო მეურნეობა“ უნდა წარმოვიდგინოთ ძალიან მჭიდრო კონტაქტში კოლმეურნეობასთან და საბჭოთა მეურნეობასთან, თუმცა ეს ურთიერთობა უფრო კანონდარღვევით სფეროს განეკუთვნება – როგორც შემჩნეულია, უკვე XX საუკუნის 60-80-იან წლებში, როცა სერიოზულად შესუსტდა საბჭოთა კავშირში კონტროლი და დისციპლინა, „საკარმიდამო მიწების“ დასამუშავებლად ხშირად იყენებდნენ საზოგადოებრივ ტექნიკას, იპარავდნენ საწვავს, სასუქებს, არა ერთხელ დაფიქსირდა კერძო პირუტყვის საკოლმეურნეო ფერმებში გამოზამთრების შემთხვევები და ა.შ. და ა.შ. ამიტომაც ეს წარმატება „საკარმიდამო მამულების“ დამოუკიდებლად მიღწეულად არ უნდა ჩაითვალოს, **ის უზრუნველყო მის გვერდით არსებული სახელმწიფო მეურნეობის მიზნობრივმა ძარცვამ.** ამ აზრს რომ არსებობის უფლება აქვს – ეს კარგად გამოჩნდა საბჭოთა სოფლის კრახის შემდეგ, როცა კვლავ დამკვიდრებული ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა სრულიად უპატრონოდ დარჩა და მან უკვე ვეღარ გაიმეორა საბჭოთა პერიოდის „საკარმიდამო ნაკვეთების“ რეკორდული მაჩვენებლები (ამის შესახებ დეტალურად იხილეთ ქვემოთ).

§ 13. პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოფლად

ქართული სოფლის განვითარების თავისებურებებზე მსჯელობა არ იქნება სრული და ყოვლისმომცველი, თუკი ჩვენ მოკლედ მაინც არ შევეხებით ტოტალიტარული რეჟიმის მთავარი დემიურგის – კომუნისტური პარტიისა და მისი სატელიტების – კომკავშირისა და პროფკავშირის საქმიანობას სოფლის შრომით კოლექტივებში, მათი მუშაობის პროცესის თავისებურებებს, ამ მუშაობის კონკრეტულ შედეგებს. ხომ ფაქტია, რომ XX საუკუნის 60-80-იან წლებში კომუნისტური პარტია საბჭოთა სახელმწიფოში და სა-

ერთაშორისო არენაზეც უძლიერეს პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, რომელიც თითქმის მთლიანად აკონტროლებდა საერთაშორისო კომუნისტურ და ე.წ. „ეროვნულ-განმათავისუფლებელ“ მოძრაობას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია საკავშირო კომუნისტური მოძრაობის ორგანული და საკმაოდ დაწინაურებული რაზმი იყო, ხოლო 1972 წლიდან – როცა მისი ხელმძღვანელობა შეიცვალა – მას გაუჩნდა ამბიციაც, რომ ყოფილიყო „მოწინავეთა შორის მოწინავე“, „რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე“ და ა.შ. ამიტომაც ამ პერიოდში პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა საქართველოში გარეგნულად კიდევ უფრო განვითარდა და განმტკიცდა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას სოფლად: საბჭოთა მეურნეობებსა თუ კოლმეურნეობებში, თითქმის ყველგან, თავისი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჰქონდა. ამრიგად, მთლიანად საქართველოში 1 522 კოლმეურნეობასა და 216 საბჭოთა მეურნეობაში პირველადი პარტიული ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, რომლებიც დაყოფილნი იყვნენ პარტიულ ჯგუფებად, საამქრო პარტიულ ორგანიზაციებად (Коммунистическая партия Грузии..., 1971, 250). საქართველოს სოფელში პარტიული ორგანიზაციები აერთიანებდნენ 72 851 კომუნისტს. როგორც დასტურდება, მარტო კოლმეურნე პარტიის წევრების ხვედრითი წილი საქართველოს კომპარტიის შემადგენლობაში 21,6 პროცენტს უახლოვდებოდა – ე.ი. საქართველოს კომუნისტების თითქმის მეხუთედი კოლმეურნე იყო. სწორედ მათი დახმარებით ახორციელებდა საქართველოს კომპარტია თავის აგრარულ პოლიტიკას მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში.

უფრო ძლიერი და ორგანიზებული პარტიული გაერთიანებები იყო საბჭოთა მეურნეობებში, რაც აიხსნება როგორც ტრადიციით, ისე სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღებით. კოლმეურნეობებში პარტიული ორგანიზაციების უფლებამოსილება ბევრად იყო დამოკიდებული კოლმეურნეობის მასშტაბებზე, კოლექტივის საერთო რაოდენობაზე, მასში კომუნისტების ხვედრით წილზე, მათ პირად აქტივობაზე და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, ახმეტის რაიონის მესაქონლეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში ითვლებოდა 59 კომუნისტი; საკმაოდ დიდი და ძლიერი პარტიული ორგანიზაცია ჰქონდა თელავის რაიონის აკურის კოლმეურნეობას, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობას, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას და სხვა სასოფლო-სამეურნეო სუბიექტებს.

ამ პარტიული ორგანიზაციების მთავარი ამოცანა იყო ორგანიზაციული, ადმინისტრაციული და პროპაგანდისტული ხერხებით უზრუნველეყოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფო გეგმების უპირობო შესრულება, ყოფილიყვნენ პარტიული პოლიტიკის მტკიცე გამტარებლები, აღეზარდათ როგორც კომუნისტები, ისე უპარტიო აქტივი პარტიის იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით. როგორც წესი – ეს ორგანიზაციები მჭიდრო კავშირში იყვნენ რაიონულ პარტიულ ორაგნიზაციებთან და მათი დირექტივებით მუშაობდნენ.

დადგენილი ტრადიციით, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის მთელი ხელმძღვანელი ბირთვი აუცილებლად კომუნისტი უნდა ყოფილიყო, ბრიგადირების დიდი უმეტესობაც – ასევე კომუნისტური პარტიის წევრი იყო. აქედან გამომდინარე, პარტიული ორგანიზაცია, ფაქტობრივად, კოლექტივში მუდმივი გენერატორის ფუნქციას ასრულებდა და იქ, სადაც ძლიერი პარტიული ორგანზაცია არსებობდა, მართლაც ხერხდებოდა ყველა მიზანდასახულების შესრულება სწორედ პარტიული დისციპლინისა და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ზეგავლენის გამოყენებით.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები პერიოდულად ატარებდნენ პარტიულ კრებებს – სადაც წარმოების საჭირბოროტო საკითხებსაც იხილავდნენ. ამ შემთხვევაში კრიტიკა საკუთარი ხელმძღვანელებისა – სრულიად დასაშვები იყო. კომუნისტები უფრო აქტიურობდნენ წარმოების კონკრეტული საკითხების მოგვარების პრობლემებთან დაკავშირეული კამათის დროს, ამ შემთხვევაში სახავდნენ ნაკლის გამოსწორების საკუთარ გზებს, აკრიტიკებდნენ ზარმაც კოლეგებს და ა.შ.

წელიწადში ერთხელ იმართებოდა პარტიული საანგარიშო კრება, სადაც ხდებოდა გაწეული მუშაობის შეფასება, კომუნისტები სიტყვით გამოდიოდნენ, იყო კრიტიკაც, ახალი გეგმებზე საუბარიც, სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პრობლემების დაყენებაც. იყო შემხვევები, როდესაც ასეთ კრებებს საქართველოს კომპარტიის ლიდერებიც კი ესწრებოდნენ. მაგალითად, სოფელ აკურის კოლმეურნეობის ერთ-ერთ პარტიულ კრებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანიც კი დაესწრო.

საწარმოო პრობლემატიკასთან ერთად ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობდნენ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. ბევრ პარტორგანიზაციასთან არსებობდა პარტიული სკოლები, აგიტატორთა ჯგუფები, პროპაგანდისტების გაერთიანებები, რომლებიც ორგანიზაციას ეხმარებოდნენ არა მარტო საწარმოს მშრომელების კომუნისტურად აღზრდის საქმეში, არამედ სოფლის უპარტიო მცხოვრებლებს შორისაც პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა დადგენილების აგიტაცია-პროპაგანდა მათი უპირველესი მოვალეობა იყო. დიდი ყურადღება ეთმობოდა ათეიზმის საფუძვლების პროპაგანდას, აწყობდნენ ათეისტურ საღამოებს, ათეისტური წიგნების გამოფენებს, იბრძოდნენ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ“ და ა.შ. და ა.შ.

პარტიულ ორგანიზაციების გვერდით არსებობდნენ ადგილობრივი კომკავშირული გაერთიანებებიც, რომლებიც, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, ჯერ კიდევ ახერხებდნენ საწარმოში დასაქმებული ახალგაზრდების მობილიზებას. ისინი, ფაქტობრივად, პარტიული ორგანიზაციების ანალოგს წარმოადგენდნენ ახალგაზდებისათვის – მათაც ჰქონდა კომკავშირული სკოლები, აგიტატორებისა და პროპაგანდისტების ჯგუფები, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების წევრები აყალი-

ბებდნენ კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ კომკავშირული ორგანიზაციების წინაშეც (მათ შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ).

ბევრ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციასთან არსებობდა პროფკავშირული გაერთიანებაც, რომლებიც ძირითადად მშრომელების კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებით იყვნენ დაკავებულნი და ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ საბჭოთა დემოკრატიისათვის დამახასიათებელი აქტივობები: საწარმოო თათბირები, სადელეგატო კრებები და ა.შ. პროფკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სოციალისტური შეჯიბრებების ორგანიზების, წარმართვისა და მისი შედეგების შეჯამების დროს.

კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის გამტარებელი, კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდის გამორჩეული სახეობა იყო ადგილობრივი რაიონული გაზეთი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა რაიონულ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებობდა და მისი განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მუშაობდა. კომუნისტურად გაგებული „სიტყვის თავისუფლების“ პირობებში ასეთი გაზეთების მნიშვნელობა უფრო კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულებას იძენდა. გაზეთები: „ბახტრიონი“ „ალაზნის განთიადი“, „კოლმეურნე“ და სხვა მრავალი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ კახეთის სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში – გაზეთები აქვეყნებდნენ საჭირო და საინტერესო ინფორმაციებს ახალი სასოფლო-სამეურნეო კულუტურების, მათი მოვლა-მოყვანის, აგროტექნიკისა და აგრარული ტექნოლოგიის საყურადღებო საკითხებზე. ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდნენ პროპაგანდისტულ საქმიანობასაც, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გაზეთების კორესპონდენტების მიერ გაკეთებული რეპორტაჟები, ჩანახატები, კრიტიკული ანალიზები დღეს ჩინებულ წყაროს წარმადგენს მეცნიერისათვის საქართველოს სოფლის პრობლემების სრულად გასააზრებლად.

რაინული გაზეთები ძალიან ბევრ ინფორმაციას ბეჭდავდნენ კახეთის სოფლების სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხებზეც.

§ 14. კახეთის სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა

ყველაფერი ის, რაზედაც ზემოთ ამდენი ვილაპარაკეთ, მოწოდებული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ კომუნისტურად გაგებული კეთილდღეობა და ბედნიერება დამკვიდრებულიყო ქართულ სოფელში. შეიძლება ითქვას, რომ თავისი „ნიშანი“ ამ პოლიტიკამ საქართველოში სწორედ XX საუკუნის 60-80-იან წლებში გამოიღო და ჩვენ შევეცდებით კახეთის სოფლის მაგალითზე გამოვკვეთოთ ასეთი „ნიშანის“ ზოგიერთი ასპექტი.

დასაწყისში შევეხებით ქართული სოფლის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მის ფუნქციებსა და შესაძლებლობებს. საბჭოთა პერიოდში

სოფელში ფორმალურად უზენაესი ხელისუფალი – სასოფლო საბჭო იყო, რომელსაც პერიოდულად ირჩევდნენ და რომელშიც სოფლის აქტივი იყო გაერთიანებული. სოფლის საბჭო ირჩევდა აღმასაკომს, რომელსაც ყავდა თავისი თავმჯდომარე. საბჭოსთან არსებობდა დარგობრივი კომისიები, რომლებიც სოფლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს კურირებდნენ. საბჭო პერიოდულად იკრიბებოდა, იყო მსჯელობა საჭირბოროტო საკითხებზე, იღებდნენ დადგენილებებს, წარმოაჩენდნენ მიღწევებს, სახავდნენ ზომებს ნაკლისა და დარღვევების გამოსასწორებლად.

სანამ კოლმეურნეობები შეიქმნებოდა, სასოფლო საბჭოს ქართულ სოფელში ძალიან დიდი მნიშვნელობა და წონა ჰქონდა, ბევრ საქმესაც აკეთებდა. კოლმეურნეობების შექმნის, მათი ორგანიზაციული და განსაკუთრებით ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, სასოფლო საბჭოს მნიშვნელობა სერიოზულად დასუსტდა, რადგან მისი ფინანსური შესაძლებლობები საკმაოდ მოკრძალებული იყო კოლმეურნეობების მილიონიან შემოსავლებთან შედარებით, აქედან გამომდინარე – მათი როლი სოფელში დაკნინდა. ამიტომ იყო, რომ საკვლევ პერიოდში თუ კი რამე იყო გასაკეთებელი სოფელში, ამას კოლმეურნეობის თავმჯდომარის კეთილი ნება ახორციელებდა.

მაგრამ, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, საქართველოს სოფლის საბჭოებს გარკვეული რეალური უფლებამოსილება ჰქონდათ და მათ იყენებდნენ კიდეც. უპირველეს ყოვლისა ჩვენ შევეხებით სოფლის საბჭოს ფინანსურ შესაძლებლობებს – შემოსავლებს, გასავალს. ავიღოთ, მაგალითად, თელავის რაიონის მოწინავე სოფელი გულგულა – საქართველოში კომუნალური მოძრაობის აკვანი. ამ სოფელში XX ს. 70-იან წლებში სასოფლო საბჭოს შემოსავლები განისაზღვრებოდა შემდეგი საფინანსო წყაროებით: სახელმწიფო დაზღვევის ანარიცხები; მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადი; სასოფლო-სამეურნეო გადასახადი; სახელმწიფო ბაჟი; სხვადასხვა საგადასაახადო შემოსავალი; უშვილობის შემოსავალი და რაიონის ბიუჯეტიდან გადმორიცხული დოტაცია. ეს უკანასკნელი შემოსავლებში ყველაზე დიდი ოდენობაა (6200 მანეთი), ასევე მეტად მნიშვნელოვანია სოფლის ბიუჯეტში სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ხვედრითი წილიც (3 871 მანეთი). სულ წლიურად სოფლის საბჭოს უგროვდებოდა 11 904 ათასი მანეთი (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, ს. 11,18).

ამ შემოსავლებიდან სასოფლო საბჭოს შენახვა ჯდებოდა მხოლოდ 1 203 მანეთი. ძირითადი თანხა ხმარდებოდა: სოფლის სკოლას (1 832 მანეთი), საბავშვო ბაღს (5 863 მანეთი), სოფლის ბიბლიოთეკას (896 მანეთი), სოფლის კლუბს (720 მანეთი) და ა.შ. სწორედ ასე ყალიბდებოდა კახეთის სხვა სოფლების ადგილობრივი ორგანოების შემოსავა-გასავლები.

სოფლის საბჭოს გარკვეული რეალური უფლებებიც ჰქონდა: მას შეეძლო განეცალკევებინა კომლები, მიეცა კოლმეურნისათვის სოფელში მიწა სარეზერვო ფონდიდან სამოსახლოდ, საკარმიდამოდ. მაგალითად, წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს სოფსაბჭომ 1975 წლის 30 ნოემ-

ბრის დადგენილებით დააკმაყოფილა სოფლის მაცხოვრებლის განცხადება გაყრასთან დაკავშირებით (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 106, ს.386, 2); თელავის რაიონის გულგულას სასოფლო საბჭოსაც არა ერთი დადგენილება აქვს მიღებული ოჯახის გაყრის პროცესთან დაკავშირებით (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, ს. 13, 3-5). თუ გაყრა პრობლემების შემცველი იყო – საბჭო ქმნიდა კომისიას, რომელიც დეტალურად სწავლობდა ოჯახში შექმნილ ვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება.

სასოფლო საბჭო მუდმივმოქმედ კომისიებსაც აყალიბებდა: არსებობდა კომისიები ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის კეთილმოწყობის, სახალხო განათლებისა და კულტურის და ა.შ. და ა.შ. კომისიის თავმჯდომარეები პერიოდულად აკეთებდნენ ანგარიშებს სოფლად არსებული სანიტარული, კულტურული თუ საგანმანათლებლო მდგომარეობის შესახებ, სახავდნენ არსებული ნაკლის გამოსწორების კონკრეტულ გზებს. ამ საქმიანობაში, როგორც დოკუმენტებითაც იკვეთება, ძალიან ბევრი იყო ფორმალური – მათი სურვილები რეალურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა და, როგორც წესი, ნაკლებად ხორციელდებოდა, მაგრამ იყო წარმატებული პროექტებიც, რომელთა შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

სასოფლო საბჭოს ძალამოსილებას ისიც მიუთითებს, რომ მათ შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შემცირება, თუ კი ამისათვის არსებობდა საფუძვლიანი მიზეზი. მაგალითა, გულგულას სასოფლო საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით, სეტყვის გამო, სოფლის 183 კომლს შეუმცირა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი 3 665 მანეთით (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, ს. 13, 5).

სასოფლო საბჭოები ეხმარებოდნენ სოფლის მცხოვრებლებს ბინათმშენებლობის დროსაც – აძლევდნენ გრძელვადიან სესხს (დაახლოებით 700 მანეთს) (თელავის რეგიონალური არქივი, ფ.25, ს. 13, 19(ა).

აღსანიშნავია, რომ სოფლის სასოფლო საბჭოს რეპრესიული ზომების მიღების უფლებაც ჰქონდა. ეს ხდებოდა განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ჭიანურდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმების შესრულება და მთელი რაიონი რესურსებს ეძებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასეთ შემთხვევაში სასოფლო საბჭო იღებდა ხოლმე აი ასეთ მკაცრ გადაწყვეტილებას: „პირად სარგებლობაში მქონე ვენახებში რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად ცალკეულ უბნებს მიემაგროს საბჭოს დეპუტატები და აგიტატორები, მიეცეთ საორიენტაციო ჩასაბარებელი ყურძნის სიები და გაეწიოს სათანადო ახსნა-განმარტება, რომ ნაჭარბი ყურძნის მოსავლისა ჩააბარონ სახელმწიფოს. დაწესდეს სასტიკი კონტროლი, რომ ადგილი არა ჰქონდეს ყურძნის კერძო ვაჭრობას“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, ს. 13, 5). ეს აშკარად დიქტატარული მეთოდების განხორციელებაა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, XX საუკუნის 70-იან წლებში ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ზეწოლა საქართველოს სოფელში მასობრივი მოვლენაა და მისი დახმარე-

ბით, ფაქტობრივად კანონდარღვევით, საქართველოს პარტიული და სახელმწიფო მესვეურები ასრულებდნენ სახელმწიფო დავალებებს.

სასოფლო საბჭოები გარკვეულ მუშაობას ახორციელებდნენ სოფლის კეთილმოწყობის, მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საქმეშიც. XX საუკუნის 60-80-იანი წლები ქართული სოფლის სოციალური და კულტურული აღმავლობის წლებია – ეს არ დავინახათ და არ დავაფასოთ, არ იქნება მართებული.

მთავარი მიღწევა მაინც საქართველოს სოფელში საბინაო მშენებლობის ინტენსიფიკაციაა. როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშრომელები მასობრივად იშენებდნენ ახალ, უპირატესად ორსართულიან, ქვითკირის სახლებს. შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონარიდს სხვადასხვა გაზეთის ფურცლებიდან: „სოფელი ქორეთი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო კოლმეურნეთა მშენებარე ორსართულიანმა ბინებმა, რაც იმას მოწმობს, რომ მათ შრომა უფასდებათ. კლუბსაც აშენებენ... “; „ზემო და ქვემო ალვანში ქვითკირის ორსართულიანი საცხოვრებელი ბინა აქვთ კარგად მოწყობილი დგამ-ავეჯით. აქვთ ორი საშუალო და ერთი დაწყებითი სკოლა. სწავლაში ჩაბმულია 1760 მოსწავლე. 172 მასწავლებელია. არის 4 საბავშვო ბაღი – 500 ბავშვზე, 2 საექიმო უბანი, 2 საბებიო პუნქტი, საავადმყოფო, ტუბდისპანსერი, კულტურის სახლი, 2 სასოფლო კლუბი და 7 ბიბლიოთეკა. მომავალ წელს მწყობრში ჩადგება 600 ადგილიანი კულტურის სახლი“ („ბახტრიანი“, 1970, 27 ოქტომბერი); აი, კიდევ საინტერესო ფაქტი: „სოფელში 60 უმაღლესდამთავრებულია, 41 სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, სოფელში 2 ბიბლიოთეკაა 7278 წიგნით. არის სასოფლო კლუბი. 500-ზე მეტი მოსწავლე დადის საშუალო სკოლაში, 30 მასწავლებელი ემსახურება მათ განათლებას. დასასრულს უახლოვდება ტიპიური საბავშვო ბაღის მშენებლობა, შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების პავილიონი, წელს დამთავრდება 50 ნომრიანი ტელეფონის კვანძის მშენებლობა – სოფელი ნუკრიანი “(„ალაზნის განთიადი“, 1971, 15 ივლისი); სხვა გაზეთში კი ვკითხულობთ: „სოფელი ვანთა. კოლმეურნეთა სამსახურშია კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლა, სამუსიკო სკოლა, საბავშვო ბაღი, სავაჭრო და საყოფაცხოვრეო მომსახურების სალონი, ყოველ მე-10 ოჯახში არის ავტომანქანა“. ასეთი ამონარიდების მოტანა კიდევ ბევრი შეიძლება, მაგრამ აქ გავჩერდებით.

როგორც სტატისტიკური კრებულები მიუთითებენ, 1960-1980 წლებში საქართველოს სოფელში ყოველწლიურად დაახლოებით 330-400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინა შედიოდა მწყობრში. IX ხუთწლედში საქართველოს სოფელში აშენდა 1 687 ათასი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი სახლი, ძირითადად ინდივიდუალური მშენებლობის საფუძველზე (Народное хозяйиство..., 1977, 153).

ბინებს საქართველოს სოფლის მშრომელები ძირითადად სამამულო წარმოების ავეჯითა და საყოფაცხოვრებო ინვენტარით აწყობდნენ, იმ ხანებში

ძალიან პოპულარული გახდა პიანინოს შეძენა, სოფლად გამოჩნდა ტელევიზორი, მაცივარი. ბევრი სოფელი იყო გაზიფიცირებული, კახეთის სოფელშიც ბევრმა კოლმეურნემ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა: „ვოლგა“, „ჟიგული“, „მოსკვიჩი“.

იმ წლებში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სოფლებში კულტურის სახლების, კლუბების მშენებლობას. გამორჩეულად დიდი საკონცენცერტო დარბაზი აშენდა წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობაში. კულტურის სახლთან არსებობდა თვითმოქმედების წრეები, სპორტული ჯგუფები, ბიბლიოთეკა და ა.შ. და ა.შ.

ამ კულტურის სახლებსა და კლუბებს ხშირად სტუმრობდნენ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორ-მომხსენებლები, რომლებიც საუბრობდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე. სოფელ იყალთოში არსებობდა „სახალხო უნიტვერსიტეტი“, რომლის ლექტორებად ითვლებოდნან სახელგანთქმული ქართველი აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სპორტიც: ძალიან ბევრ კოლმეურნეობასთან და საბჭოთა მეურნეობასთან, სოფლის კლუბებთან და კულტურის სახლებთან არსებობდა სპორტული ჯგუფები, ძირითადად ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის და ა.შ. საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც არსებობდა ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაცია „კოლმეურნე“, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო კურირებდა და სპორტის გასავითარებლად ყოველწლიურად გარკვეული თანხებიც იხარჯებოდა როგორც რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირადი სახსრებიდანაც. სოფლის სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, კახეთის სოფლის სპორტსმენები არა ერთხელ გამოსულან გამარჯვებული საკავშირო თუ რესპულიკურ შეჯიბრებებზე.

რომ პანეგერიკი არ გამომივიდეს, აღვნიშნავთ ნაკლსაც, რაც საკმაოზე მეტი იყო – მაგალითად, რაიონულ პრესაში წერდნენ: „ახმეტაში არ ჰქონდათ დენის წისქვილი“, „მაღრაანის სკოლის შენობა უხარისხოდ გაარემონტეს, კედლებიც უხარისხოდ შეღებეს, ირგვლივ უსუფთაობაა, რამდენიმე საკლასო ოთახში აბრეშუმის ჭია ყოლიათ..“; ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში, როგორც ჩანს, არა ჰქონდათ აბანო და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ფაქტი ერთია: საკვლევ პერიოდში ქართული სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა, საბჭოთა კრიტერიუმებიდან გამომდინარე, აშკარად თვალში საცემი და დაწინაურებული ჩანს. რამდენად ადეკვატური იყო ქართული სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა იმ შრომით დანახარჯებთან, იმ შრომით პროცესებთან, შრომის დისციპლინასთან, შრომის კულტურასთან და შრომის იმ შედეგებთან, რაც გაბატონებული იყო საქართველოს სოფელში – ეს ცალკე პრობლემაა და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, რადგან დღეს ბევრი რუსი ექსპერტი თავის გამოკვლევებში აშკარად აღნიშნავს, რომ საბჭთა კავშირის დაშლის წინ მოკავშირე

რესპუბლიკებს შორის ყოფა-ცხოვრებისა და შემოსავლების დონით საქართველო პირველ ადგილზე იყო.

§ 15. საბჭოთა აგრარული სისტემის კრახი

როგორც ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზი ადასტურებს, XX საუკუნის 60-80-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა არასტაბილურად: იყო შედარებით წარმატებული წლები, იყო სერიოზული ჩავარდნებიც – სახელმწიფო დავალებების შეუსრულებლობა, ფინანსური კრახი და ა.შ. ნამდვილად იყვნენ წარმატებული – მილიონერი კოლმეურნეობები და იყვნენ აუტსაიდერებიც – პერმანენტულად ჩამორჩენილი, პრობლემებით დატვირთული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ახლა ჩვენ გვინდა მკითხველს წარვუდგინოთ ის ოფიციალური შეხედულებები – როგორც ეკონომისტების, ისტორიკოსების, ისე სახელმწიფო აგროსტრუქტურების ხელმძღვანელებისა, რითიც ისინი საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ არასტაბილურობას ხსნიდნენ: „მეცხრე ხუთწლედში კიდევ დაბალი იყო საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამუშაოთა მექანიზაციის დონე. საქართველოს სოფლის მეურნეობა საშუალო საკავშირო მონაცემებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აგრეთვე ტრაქტორებისა და კომბაინების **საშუალო გამომუშავების** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) მხრივაც (კოჭლავაშვილი, 1980, 856); „საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხანგძრძლივი ჩამორჩენა მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო მისი ფონდაღჭურვის დაბალი დონით და არსებული ფონდების **არადამაკმაყოფილებლად გამოყენებით** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (კოჭლავაშვილი, 1980, 858); „სამელიორაციო სამუშაოები **ხშირ შეიმთხვევაში დაბალი ხარისხით სრულდებოდა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), რის გამოც მელიორირებული მიწების ნაწილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის კვლავ უვარგისი ხდებოდა“ (კოჭლავაშვილი, 1980, 860); „მეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა, რადგან სოფლის მეურნეობაში **რაციონალურად არ იყენებდნენ** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს“.

ეკონომისტები ხაზგასმით მიუთითებედნენ: „მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ რენტაბელურ დარგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული **ყველა რეზერვი** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.); „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში **დაბალი იყო პირუტყვის პროდუქტიულობა. ამასთან ერთად, დიდი იყო ბერწიანობა და პირუტყვის სიკვდილიანობა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) და სხვ.“

აი, ამონარიდები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რევიზორების ანგარიშებიდან და კოლეგიის დადგენილებებიდან: „დაბალი დონე (იგულისხმება საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ეკონომიკური მდგომარეობის – ა.დ.) აიხსნება **შრომის ორგანიზაციის და შრომის დისციპლინის დაცვის სისუსტით**“ (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (სუიცსა, ს.7191, 38); „რაიონის კოლმეურნეობებში აგროტექნიკური სამსახურის არსებული მდგომარეობა მოწმობს ამ კოლმეურნეობებში **მიწათმოქმედების დაბალი კულტურის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) შესახებ“ (სუიცსა, ს. 7322, 111); „აგროტექნიკის **უხეშად დარღვევის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წინასწარი მონაცემებით... (სუიცსა, ს. 7471, 114) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მოტანილი ამონარიდები აშკარად ხდის, რომ ჩამორჩენების, დაბალი სამიწათმოქმედო კულტურის, სერიოზული ნაკლოვანებების თავი და თავი არის **სუბიექტური ფაქტორი** – პიროვნების შრომისადმი მოტივაციის დაბალი დონე, საქმისადმი უსულგულო დამოკიდებულება. ამ ჩვენს მოსაზრებას განამტკიცებს სამთავრობო დადგენილებების იმ ნაწილის შინაარსის, მათი კრიტიკული პათოსის უცვლელობა წლების განმავლობაში, რაც მოწოდებული იყო არსებული ნაკლის გამოსასწორებლად და მიჩნეული იყო შექმნილი მდგომარეობიდან მთავარ გამოსავლად: „დაუყოვნებლივ შეამოწმონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, ფერმებსა და რგოლებში სამუშაოების მიმდინარეობა, გააძლიერონ მუშაობა **ნათესების მაღალხარისხოვნად დამუშავებისა და საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დამთავრებისათვის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და სოფლის მეურნეობის დავალებათა დაწესებულ ვადებში შესრულებისათვის“ (სუიცსა, ს. 7472, 3); „ბევრგან ეფექტურად არ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, დაბალია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, კერძოდ მეცხოველეობაში მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ავტომატიზაციის დონე, ადგილი აქვს ტრაქტორებისა და ავტომანქანების არადანიშნულისამებრ გამოყენებას, **მეტად დაბალია მიწათმოქმედების** კულტურა (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (სუიცსა, ს.7472, 193); „კადრების საკითხი მოსაგვარებელია. მაღალკვალიფირებული კადრები არ ყავთ, წარმოუდგენლად დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, **შრომის ორგანიზაცია და საწარმოო დისციპლინა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). კოლმეურნეთა დიდი ნაწილი ყოველგვარი ნებართვის გარეშე ტოვებს საკოლმეურნეო წარმოებას და მიდის გარე სამუშაოზე“ (სუიცსა, ს.7523, 202); „**დაბალ დონეზეა ზოოვეტერინარული მომსახურეობა, არა აქვთ დედა პირუტყვის აღრიცხვის ჟურნალი** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), მეღორეობის ფერმაში არ არის გაკრული სადოლფარო ბარათები, საკვების ხარჯვის უწყისები... (სუიცსა, 8717, 7-8).

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ სხვადასხვა დროს დასხვადასხვა ორგანიზაციის მუშაობასთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის მიერ მიღებული დადგენილებების ამონარიდების ციტი-

რებას – აშკარაა, რომ ყველა არსებული ნაკლის უკან ერთი მთავარი მიზეზია – პიროვნული ფაქტორი, რიგითი კოლმეურნისა თუ საბჭოთა მეურნეობის მუშის უდისციპლინობა, დაბალი საშემსრულებლო შესაძლებლობები, არაორგანიზებულობა, მიწათმოქმედების დაბალი კულტურა, უპასუხისმგებლობა და ა.შ. ეს დადგენიელებებიც და ქართველ მეცნიერთა კრიტიკული გამონათქვამებიც აშკარად იყო „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ – ეს ტრაფარეტული დადგენილებები წლიდან წლამდე თითქმის უცვლელად მეორდებოდა, სამინისტროს კოლეგიები, კვალიფიციური რევიზორები სახავდნენ ნაკლის გამოსწორების გზებს – ნაკლი კი არა სწორდებოდა.

უფრო მეტიც – საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის დარგში სულ უფრო და უფრო იძაბებოდა მდგომარეობა. საჭირო გახდა ე.წ. „სასურსათო პროგრამის“ მიღება, განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებებიც – შეიქმნა ყოვლისმომცველი „აგრომრეწვიც“, რომელიც მთლიანად აერთიანებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მის გადამუშავებას და რეალიზაციას. ასეთი ორგანიზაციული ცვლილებები საქართველოშიც განხორციელდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. პირიქით – სწორედ 80-იან წლებში გამოიკვეთა განსაკუთრებით მკაფიოდ „მიწერები“ – სასოფლო-სამეურნეო ამოცანების შეჯამების დროს (როგორც საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს გამოცდილმა და ავტორიტეტულმა ყოფილმა სოფლის-მეურნე აგრარიკოსებმა გვითხრეს – როგორც წესი, ეს „მიწერები“ არ აღემატებოდა 5-10 პროცენტს), ფინანსური დარღვევები, საკადრო პრობლემა, დიდი დენადობა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში მამაკაცის როლის მკვეთრი შემცირება, ძირითადად ქალის შრომის გამოყენება, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუარესება, ზარალიანი წარმოება და ა.შ.

ყველაფერი ამის მიზეზი სტალინური „დაულიზმის“ კრიზისში უნდა ვეძებოთ – განსაკუთრებით საქართველოში. აქ ეს პროცესი ძალიან შესამჩნევი გახდა. ნაყოფიერი მიწა, რადაც მცირე უნდა ყოფილიყო, იმჟამად გაცილებით მეტს იძლეოდა შემოსავალს, ვიდრე კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში ადამიანის ინტენსიური მუშაობა. რაც დრო გადიოდა, კოლექტიურმა შრომამ სულ დაკარგა მიმზიდველობა საქართველოში – ის იძულებით ფაქტორად გადაიქცა და აშკარად შეიძინა ექსპლოატაციის ნიშნები. „საკარმიდამო მამულებიდან“ მიღებული დოვლათი საბჭოთა სისტემის პირობებში საქართველოში სრულად კმაროდა შეძლებული ცხოვრებისათვის.

საქართველოში სოფლის მეურნეობის რიგითმა კოლმეურნემ და საბჭოთა მეუნეობის მუშამ **დაკარგეს შრომით კოლექტივში ერთგულად მუშაობის მოტივაცია**.

საბჭოთა სახელმწიფო, ჩაბმული მსოფლიო პოლიტიკურ თამაშებში, იმპერიული ამბიციებიდან გამომდინარე სოფლის მეურნეობას ფაქტობრივად დაქვემდებარებულ ყურადღებას უთმობდა საყოველთაო შეიარაღებისა და კოსმოსური პროგრამების ყოველწლიური დაფინანსების ზრდის ვითარებაში.

სოფლის მეურნეობის მიმართ სათნადოდ ყურადღება ვერ გამოიჩინეს ვერც ე.წ. „გარდაქმნის“ დროსაც, როცა იმედოვნებდნენ, რომ რადიკალურად შეცვლიდნენ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობაში არსებულ ვითარებას და ქვეყანას ააღორძინებდნენ.

მოხდა პირიქით, განხორციელებულმა ე.წ. „მშრალმა კანონმა“ რომელი მ. გორბაჩოვის მმართველობის წლებში მიიღეს, სერიოზულად დააზარალა საქართველოს, განსაკუთრებით კახეთის სოფლის მეურნეობა – მკვეთრად შემცირდა მოთხოვნილება ქართულ ღვინოზე. ამას დაემატა ე.წ. „საჯაროობა“, როცა აშკარად დაიწყეს ი. სტალინისა და ლ. ბერიას ღვაწლის საჯარო კრიტიკა, განსაკუთრებით ბევრი ცუდი ითქვა კოლმეურნეობებზე, მათი შექმნის მიზანშეწონილობაზე, იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე „კულაკების“ მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 30-იან წლებში, ბევრი დოკუმენტი და თვალსაჩინოება გამოქვეყნდა 1937 წლის მასობრივი რეპრესიების შესახებ. მთელი ქვეყანა გადაერთო „საჯაროობაში“ – ეკონომიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა დარჩა ყოველგვარი ზრუნვის გარეშე. ყველა ელოდებოდა დასასრულს.

1989 წლის 9 აპირილის შემდეგ, როცა თბილისი ცენტში რუსეთის საჯარისო ნაწილებმა ბარბაროსულად დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია, საქართველოში ცხოვრების რიტმი დაირღვა, ეკონომიკამაც შეწყვიტა ნორმალური ფუნქციონირება, საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად გადავიდა მიტინგებზე. ახლოვდებოდა საბჭოთა სისტემის დასასრული.

1990 წლის ოქტომბერში მრავაპარტიულ არჩევნებში გაიმარჯვა „მრგვალმა მაგიდამ – თავისუფალმა საქართველომ“. უზენაესი საბჭოთ თავმჯდომარე გახდა ზ. გამსახურდია. საბჭოთა სისტემა საქართველოში დაემხო.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სკკპ XXII ყრილობის მასალები, თბ., 1962.
2. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, თბ., 1967.
3. Народное хозяйство Грузиской ССР к 60-летию Великого Октября.Тб.,1967.
4. Коммунистическая партия Грзии в цифрах 1921-1970, Тб.,1971.
5. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991-2003.
6. ქვათაძე ე., საბახტარიშვილი ვ., ზემო ქედის ი.ბ. სტალინის სახ. კოლმეურნეობის ისტორია, თბ., 1981.
7. ბრეგაძე გ., ღონისძიებები სოფლის მეურნეობის განვითარების დაჩქარებისათვის, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. VIII. თბ., 1980.
8. კოჭლავაშვილი ა., სოფლის მეურნეობის განვითარება, იხ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. VIII. თბ., 1980.

9. გაზ.„ ალაზნის განთიადი“, თელავის რაიონული გაზეთი, 1961-1988 წლები.
10. გაზ. „ბახტრიონი“, ახმეტის რაიონული გაზეთი, 1961-1988 წლები.
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7273.
12. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7519.
13. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7243.
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე7524.
15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7660.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7273.
17. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 2527.
18. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7228.
19. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 1718.
20. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7570.
21. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7154.
22. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7919.
23. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8133.
24. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7296.
25. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8453.
26. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7616.

27. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7523.
28. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7173.
29. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7339.
30. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7507.
31. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7471.
32. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7637.
33. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7510.
34. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7507.
35. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8041.
36. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7155.
37. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8661.
38. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8014.
39. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7919.
40. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 9913.
41. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7190.
42. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8719.
43. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7220.
44. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8133.

45. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8822.
46. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7339.
47. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8128.
48. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8821.
49. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7191.
50. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7616.
51. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7472.
52. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 9913.
53. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7524.
54. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8716.
55. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 8717.
56. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 9914.
57. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 288, აღ. 1, საქმე 7191.
58. თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, საქმე 11, 13.

თავი VIII.

ახალი ქართული სოფელი

§ 1. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აგრარული პოლიტიკის გაგებისათვის

1990 წლის ოქტომბერში საქართველოში დაემხო კომუნისტური ხელისუფლება. უზენაესი საბჭო თავმჯდომარე გახადა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი ზვიად გამსახურდია. მის მოღვაწეობაზე უამრავი სქელტანიანი ნაშრომები არსებობს, მაგრამ მისი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ასპექტებზე სპეციალურად ნაშრომი ჯერ არავის დაუწერია. ამის ამოცანა არც ჩვენ დაგვისახავს, ჩვენ მხოლოდ შევეცდებით, საკვლევი თემის ინტერესებიდან გამომდინარე, გავაშუქოთ ზოგიერთი აუცილებელი ასპექტი.

ზვიად გამოსახურდიამ, თავისი საქმიანობის დასაწყისშივე განაცხადა, რომ საქართველო იმყოფებოდა ე.წ. „გარდამავალ პერიოდში“, რაც უდავოდ გულისხმობდა საქართველოს საზოგადოების ყოფნას ისეთ მდგომარეობაში, როცა ახალი ძველს ჩაენაცვლებოდა მხოლოდ ევოლუციური გზით, მშვიდობიანი საშუალებებით, რაც გამორიცხავდა „მკვეთრ ნაბიჯებს“ და უზრუნველყოფდა საზოგადოების გადასვლას ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან (ტოტალიტარული, გეგმური საბჭოთა ეკონომიკიდან) მეორე ფორმაციაზე (თავისუფალი საბაზრო ურთიერთობაზე ანუ კაპიტალიზმზე). თავისთავად იდეა ჩინებულია, მაგრამ მთავარი იყო განხორციელების კონკრეტული მექანიზმი, სამოქმედო პროგრამა, ამ რეორგანიზაციის განვითარების ეტაპების დასახვა, რთული ამოცანების სარეალიზაციოდ რაციონალური საშუალებების გამონახვა და ა.შ.

ის რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლება თავისი მმართველობის დასაწყისშივე ადაპტაციური მეთოდების მომხრე იყო, ამაზე მიუთითებს საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის შემდეგი გადაწყვეტილებაც: „საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობათა დებულების შესახებ“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, 2 თებერვალი). საქმე ის არის, რომ სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობების დანერგვა დაიწყეს XX საუკუნის 80-იან წლებში, როცა საკოლმეურნეო მოძრაობა საბჭოთა კავშირში სერიოზულ აგონიაში აღმოჩნდა და საბჭოთა სისტემამ გამოსავალი მონახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წიაღში საოჯახო იჯარის განვითარებაში, რაც, ამ იდეის ავტორების ჩანაფიქრით, გააქტიურებდა სუბიექტურ ფაქტორს, მწარმოებელს დააინტერესებდა წარმოების საბოლოო შედეგით

ზემოაღნიშნული მოსაზრება საოჯახო იჯარის შესახებ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და მიიღო დადგენილება, საიდანაც მოვიტანთ ერთ ამონარიდს: „გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალოს არსებული შინასამეურნეო ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობების შენარჩუნება და განვითარება“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 26 იანვარი).

ის რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლება თავის საქმიანობას სოფლის მეურნეობაში იწყებდა „საოჯახო იჯარის“ რეამინაციით, ჩვენი აზრით, მიანიშნებს ორ გარემოებაზე – სოფლად გამსახურდიას ხელისუფლება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლას ჯერ არ აპირებდა და, მეორეც – ახალ ხელისუფლებას თავის „პორტფოლიოში“ სოფლის განვითარების უკეთესი მოდელი ჯერ არ ჰქონდა შემუშავებული.

მაგრამ მარტო ეს არ იყო მთავარი პრობლემა ეკონომიკაში: როცა გინდა ეკონომიკის ევოლუცია, მაგრამ ჯერ კიდევ ხარ საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში, რომლის ნედლეულს, ფინანსებს, სახელმწიფო და ეკონომიკურ სტრუქტურებს აქტიურად იყენებ, ვითარება განსაკუთრებით რთული ხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა მაინც აკეთებ მკვეთრ პოლიტიკურ განცხადებებს დამფინანსებელი ცენტრის წინააღმდეგ, თავი გიჭირავს, როგორც თვითკმარ, დამოუკიდებელ, ეკონომიურად სუვერენულ ქვეყანას, რომელსაც სინამდვილეში არსაიდან არც ეკონომიკური და არც პოლიტკური მხარდაჭერა არა აქვს, მდგომარეობა კიდევ უფრო იძაბება.

არ შეიძლება არ დაეთანხმო მკვლევარ გ. წიქარიშვილს, რომელიც იმჟამინდელი ქართული საზოგადოების ეკონომიკურ მსოფლმხედველობაზე ამახვილებს ყურადღებას: „ეკონომიკური სუვერენიტეტის თემაზე ფართო დისკუსია გაიშალა. დღეს ნათელია, რომ იგი აბსოლუტურად უსაგნო იყო: საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის, წინაშე, სინამდვილეში, ეკონომიკური თვალსაზისით ერთადერთი პრობლემა იდგა: ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემთხვევაში როგორმე მოხერხებულიყო დამანგრეველი ეკონომიკური პროცესების თავიდან აცილება ან მათი მაქსიმალური შერბილება, ვინაიდან სრულიად თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა, – რაკი ერთბაშად დაიშლებოდა ერთიანი ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საბანკო-ფინანსური და სხვა სივრცე... ავტორები მსჯელობდნენ იმაზე, ძალუძს თუ არა საქართველოს თავის გამოკვება. გამოიკვეთა სხვადასხვა აზრი. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს, რაღა თქმა უნდა, შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა...სხვები უფრო სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და ზომიერებისაკენ მოუწოდებდნენ რადიკალებს. მისი აზრით (ზომიერთა ინტერპრეტაციით) „საქართველოს მარტო ბორჯომიც არჩენს“ (წიქარიშვილი, 2003, 124-125).

ჩინებულად არის დასურათხატებული იმჟამინდელი ვითარებაა და მას ჩვენ ვერაფერს დავუმატებთ.

ამ რთულ გაემოებას ისიც დაემატა, რომ საქართველოს საზოგადოებრივი აზრი, როგორც ლიბერალური, ისე რადიკალურად განწყობილი, ერთხმად მოითხოვდა იმჟამად საბჭოთა ეკონომიკური სისტემის სწრაფ დემონტაჟს. მაგალითად, 1991 წლის 2 თებერვალს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიწყო მჯდომარე აქცია საყოველთაო გაფიცვის დაწყების მოთხოვნით და ამ ულტიმატუმის ერთ-ერთი პუნქტი იყო: „მიწა სამუდამო მფლობელობაში გადაეცეს გლეხებს. გაუქმდეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, 9 თებერვალი).

კვლავ ძველ პოზიციაზე იდგა საქართველოს კომუნისტური პარტიაც და ის მოითხოვდა მიწის სახელმწიფო საკუთრებაში დატოვებას: „...მიწა, როგორც აღწარმოების ძირითადი საშუალება, ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკას, მის ხალხს გარდამავალ ეტაპზე, მიწის კანონმდებლობის მიღება-ჩამოყალიბებამდე ფართოდ უნდა დაინერგოს შიდასამეურნეო ანუ **საანარდო იჯარის პროგრესული ფორმები**“ (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). („ცხოვრება“, 1991, 22 მარტი).

ამ შემთხვევაში აშკარაა იდენტობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგრარული პროგრამის ერთ-ერთ პარაგრაფსა და ზ. გამსახურდიას მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამის ადგილს შორის. საქართველოს კომპარტია, რა თქმა უნდა, მიესალმებოდა თავის სისტემაში ნაშობი „საოჯახო იჯარის“ აღორძინება-განმტკიცებას, თუმცა ჩინებულად იცოდნენ, ალბათ, რომ აქედან არაფერი გონიერი არ გამოვიდოდა, იმიტომ რომ იმჟამად საქართველოში საზოგადოებრივი აზრი საოცრად რადიკალური იყო და კომპრომისები, მით უფრო ეკონომიკის განვითარების საკითხებზე, მისთვის მიუღებელი ჩანდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს რადიკალიზმი აისახა უკვე საპრეზიდენტო მარათონის დროს პრეზიდენტობის კანდიდატების აგრარულ პროგრამებშიც. მაგალითად, ზ. გამსახურდია თავის პროგრამაში ხაზს უსვამდა, რომ „აუცილებელია საქართველოში ოდითგანვე განვითარებული მემარცვლეობის ტრადიციების აღდგენა. მისი პროდუქცია უნდა გახდეს მოსახლეობის უპირველესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების რეალური საყრდენი და მეცხოველეობის აღორძინების ბაზა. ამ ამოცანის გადაჭრა სოფლად საკუთრების ურთიერთობების შეცვლით არის შესაძლებელი. საქართველოში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნამ ქართველი გლეხი მოწყვიტა მიწას, შეაძულა მას შრომა, მოაშორა მშობლიურ ფესვებს... საქართველოს რესპუბიკის მოქალაქეებს გარდამავალ პერიოდში მიწა შეიძლება გადაეცეთ მოკლევადიან, გრძელვადიან ან მუდმივ მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით, რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 22 მაისი)

ძალიან საყურადღებო პროგრამაა – აშკარაა, რომ საოჯახო იჯარაზე აღარც არის საუბარი, სამაგიეროდ არის კოლმეურნეობების მკვეთრი კრიტიკა, რომელმაც „გლეხი მოწყვიტა მიწას, შეაძულა მას შრომა“ და აქვეა, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო საინტერესო ფრაზაც: „**მიწა შეიძლება** (ხაზ-

გასმა ჩვენია – ა.დ.) გადაეცეთ“, და აი, კიდევ ერთი საინტერესო აქცენტი: „... მემკვიდრეობის უფლებით. **რეგიონების თავისებურებათა გათვალისწინებით** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.)“. აქ აშკარად არ არის ნათქვამი, მაგრამ უკვე ზედაპირზე დევს: საბაზრო ურთიერთობის ძირითადი ელემენტის – მიწის კერძო საკუთრებაში ფლობა პროგრამაში, მაინცდამაინც, არაკატეგორიული მოთხოვნაა („შეიძლება“) და იგრძნობა რეგიონალური დისკრიმინაციის განზრახულობაც სწორედ მიწის ფლობის თვალსაზრისით.

ცნობილია – ეკონომიკის წარმართვა, თუნდაც ის აგრარული იყოს, მხოლოდ მშვიდ, მოწესრიგებულ ურთიერთობებში შეიძლება – მაგრამ როცა ხელისუფლება, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თვითონ მიმართავს დესტრუქციულ ნაბიჯებს, არღვევს ეკონომიკურ კანონებს, ანგრევს ეკონომიკურ კავშირებს – მაშინ რა პროცესები განხორციელდება და რა შედეგი მიიღწევა? იმჟამინდელმა საქართველოს მთავრობამ კრემლის, მართლაც გამიზნულ, დესტრუქციულ პოლიტიკას ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ემბარგო დაუპირისპირა: „საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციასთან შექმნილი რესპუბლიკის საგაფიცვო კომიტეტის გადაწყვეტილოებით 25 აპრილს 12 საათზე მოეწყო სრულიად საქართველოს საპროტესტო აქცია.“ საქართველომ ემბარგო გამოუცხადა საკავშირო მთავრობას...

ემბარგო და ეკონომიკური თვითიზოლაცია გაგრძელდა 29 აპრილამდე, სანამ საჩხერის ძლიერმა მიწისძვრამ კატასტროფული შედეგები არ მოიტანა და საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ჩუმად შეეწყვიტა ემბარგოც და ეკონომიკური სანქციებიც. მაგრამ საქართველოს ეკონომიკას, მათ შორის აგრარულ სექტორს, უკვე ვეღარაფერი გადაარჩენდა, რადაგან სამოქალაქო დაპირისპირება 1991 წლის მთელი ზაფხულის პერიოდში მწიფდებოდა, და მოგვიანებით ეს სამოქალაქო დაპირისპირება უკვე სამოქალაქო ომში გადაიზარდა, რამაც საერთოდ დაასამარა საქართველოში ეკონომიკის ევოლუციური განვითარების შესაძლებლობა. ამ დაპირისპირებამ გახლიჩა სახელისუფლებო ბლოკი – ყოფილი პრემიერ მინისტრი და ყოფილი სარდალი მკვეთრად დაუპირისპიდნენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს. თბილისის ომმა და პეზიდენტის იძულებითმა გამგზავრებამ საქართველო და ქართველი ხალხი ახალი რეალიების წინაშე დააყენა.

საქართველოს სამხედრო ხელისუფლებამ დროებითი მთავრობის ხელძღვანელად კვლავ თ. სიგუა დაამტკიცა, რომელიც ოპოზიციაში ყოფნიას საჯაროდ აცხადებდა, რომ ის ეკონომიკაში აპირებდა რადიკალურ გარდაქმნებს, მაგრამ პრეზიდენტი ზ. გამსახურდია მას ამის შესაძლებლობებს არ აძლევდა. ამიტომაც ფორსირებული წესით შეუდგნენ საქართველოს ეკონომიკის „გაჯანსაღებას“ – 1992 წლის 18 იანვარს გამოქვეყნდა საკონონმდებლო აქტი „მიწის რეფორმის შესახებ“, რომელმაც დაადასტურა, რომ საქართველოში შემოდის მიწის კერძო საკუთრება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ – დემოკრატებიდან დაწყებული „სახალხო ფრონტით“ დამთავრებული, ცალსახად მოითხოვდნენ მიწის კერძო საკუთრებას, კოლმეურნეო-

ბებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლა-გაუქმებას, აგრარულ სფეროში საბჭოთა კანონდელობისა და პრაქტიკის ტოტალურ აღმოფხვრას. მათ არავითარი საუბარი არ სურდათ ევოლუციური პროცესების განვითარებაზე – ისინი სწრაფოდ მოითხოვდნენ სოფლის რევოლუციურ გარდაქმნას. 18 იანვარს საკანონმდებლო აქტი ამის შესაძლებლობას უკვე იძლეოდა. ამ საქმეს ახალგაზრდა აგრარიკოს-თეორეტიკოსი პაატა კოდაშვილი ხელმძღვანელობდა, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, თუ ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს სოფელში როგორი წინააღმდეგობრივი პროცესები გამოიწვია და როგორ სწრაფად გააჩანაგეს ის, რასაც თვითონ გლეხები ათეული წლებით თავისი ხელით აშენებდნენ – ყველაფერი ან დაიტაცეს, ან ჯართში ჩააბარეს. დღესაც გაოცებას იწვევს და სპეციალურ შესწავლას მოითხოვს – როგორ ადვილად გაანადგურეს საქართველოს სოფელში ერთობლივი შრომით შექმნილი უზარმაზარი ქონება. საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროს გამოკითხულთა დიდი უმეტესობა ამ პროცესებს ახსნას ვერ უძებნის და მიაჩნიათ, რომ გლეხობა ფაქტობრივად მოატყუეს, ჩიათრიეს ბოლომდე გაუაზრებელ ეკონომიკურ თამაშში, რომლიდანაც ისინი წაგებულნი გამოვიდნენ.

საქართველოს მოსახლეობის გარკვეულია ნაწილი იმედით შეხვდა ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას. იმჟამად ის იმედს აღძრავდა, რომ შეძლებდა გამკლავებოდა სტიქიურ ეკონომიკურ პროცესებს და დაამყარებდა წესრიგსა და კანონიერებას საქართველოს საზოგადოერივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი ეკონომიკაში.

ჩვენ ქვემოთ სპეციალურად წარმოვაჩენთ სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტს, რომლებიც დახვდა თბილისში დაბრუნებულ ე. შევარდნაძეს და რომლებსაც იმჟამინდელი ქართული ეკონომიკური აზრის კორიფეები აყალიბებდნენ. მათ მიერ შეთავაზებული იყო სხვადასხვა თვალსაზრისი, რომლის დახმარებითაც ქვეყანა ეკონომიკური სტაგნაციიდან უნდა გამოსულიყო, მაგრამ მოხდა პირიქით – ისტორიამ დაგვანახა, რომ არცერთი მათგანი ან ბოლომდე ვერ განხორციელდა, ან უბრალოდ ვერ მოერგო ქართულ სინამდვილეს. საქართველოში დამკვიდრდა ეკონომიკის სტიქიური თვითდინება – კატასტროფულად დამანგრეველი, ყოვლისმომცველი, გამოწვეული, გარკვეულწილად, სამოქალაქო ომით, ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებების შემდგომი დაძაბულობის ესკალაციით, რუსეთის სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობით და, რაც მთავარია, ქართულ სინამდვილეში კაპიტალისტური წარმოების წესის დანერგვის განსაკუთრებული სირთულეებით. ყოველი დღე, ყოველი საათი ამტკიცებდა იმას, რომ პროტესტანტული მენტალიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებული თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები უაღრესად ძნელად ინერგებოდა ირაციანული შეხედულებებით გაჯერებულ ქართულ ცივილიზაციაში.

1992-1995 წლები საქართველოს ეკონომიკისათვის, როგორც მრეწველობის, ისე აგრარული სექტორისათვის აღმოჩნდა ტოტალური ნგრევის პერიოდი, როცა ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი კოლოსალურად დაეცა –

ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევეხებით ეკონომისტ-აგრარიკოსების: რ. ლიპარტელიანის, ყოფილი სამეურნეო მუშაკის ნ. ჭითანავასა და სხვათა მიერ მოტანილ სტატიტიკურ მონაცემებს, როლებიც მიუთითებენ სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური ვარდნის კატასტროფულ შედეგებზე: 1992 წელს ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი დავიდა 51 პროცენტზე 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით, კატასტროფულად დაეცა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შედეგობრივი მონაცემებიც.

1992-1995 წლების განმავლობაში ე. შევარდნაძე დარწმუნდა, რომ ქართული დემოკრატიული რევოლუციის ტალღებზე ხელისუფლებაში მოსული ძალები დაბალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ და სათანადოდ ვერ უძღვებოდნენ დაკისრებულ საქმეებს. მართალია, ამაში განმსაზღვრელი მაინც შექმნილი ობიექტური მდგომარეობა იყო: სამოქალაქო ომი, ეთნოპოლიტიკური დაპირისპირებები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, საბჭოთა მანეთის ლიკვიდაცია, ეროვნული კუპონის არაეფექტიანობა, და, რაც მთავარია, სათანადო კვალიფიცირებული კადრების არარსებობა და ა.შ.

პირველ ხანებში აშკარად არ გაამართლა საზღვარგარეთელი ექსპერტების ხშირმა ვოიაჟებმაც და მათ მიერ ჩამოყალიბებულმა გეგმა-პროექტებმაც. უზარმაზარი მატერიალური რესურსი დაიხარჯა მათი ჰონორარებისათვის, გარკვეულ ეტაპზე ე. შევარდნაძის მრჩეველი ეკონომიკური განვითარების საკითხებში, ამერიკის შეერთებული შტატების სუბსიდიებით, იყო პოლონეთის „შოკური თერაპიის“ რეალიზატორი ეკონომისტი ლ. ბალცეროვიჩიც. მაგრამ მდგომარეობა საქართველოს სოფელში მაინც არ შეიცვალა.

1995 წელს საქართველოს ეკონომიკაში მოხდა მნიშვნელოვანი გარღვევა – მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციების დახმარებით მოხერხდა ეროვნული ვალუტის – „ლარის“ დაკანონება. ეს შესაძლებელი გახდა იმის საფუძველზე; რომ, როგორც საზღვარგარეთელი დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, მიკრო-ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა დაგეგმილი იყო მკაცრი ზომების მიღების საშუალებით, რომელითაც აკონტროლებედნენ ჰიპერ-ინფლაციას და ამის საფუძველზე შექმნეს პირობები მყარი ვალუტისათვის. დღგ-სა და საბაჟო გადასახადების შემოღებამაც გაზარდა სახელმწიფოსათვის მეტად საჭირო შემოსავლების სიდიდე. საზოგადოებაში არსებული მაფიის ელემენტების აღმოფხვრამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა როგორც მთავრობის, ასევე მოსახლეობის შემოსავალი. აღნიშნული გეგმის განხორციელებას მოჰყვა შესამჩნევი ეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარება უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში (სსმს არქივი, ანაწერი 1(დამატ), საქ. 16, 10). ეს არის შეხედულება ევროკავშირის მიერ საქართველოში დასახმარებლად გამოგზავნილი ეკონომისტების მიერ ჩატარებული რევიზიების საბოლოო ანგარიშებიდან.

სწორედ ამ მოსამზადებელი სამუშაოს საფუძველზე მოხდა ეროვნული ვალუტის – ლარის დამკვიდრება ქართულ ეკონომიკურ სივრცეში. ეს ახალი ვალუტა მაღალი მსყიდველობითი უნარის იყო, ჰქონდა თავისუფალი კონვერტაციის უნარი, იცვლებოდა საკმაოდ მაღალი კურსით და მის დამკვიდ-

რებას საკმაოდ სერიოზული და დიდი ორგანიზაციული სამუშაო უსწრებდა წინ. ფულადი რეფორმა, ჩვენი აზრით, ე. შევარდნაძის ეკონომიკური მოღვაწეობის ყველაზე წარმატებული შედეგი იყო, რომელმაც შექმნა საფუძველი თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების განსავითარებლად. 1992-1995 წლებში მომძლავრდა და განმტკიცდა საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემა – კაპიტალისტური ეკონომიკის ძირითადი სასიცოცხლო არტერია, რომელმაც თანდათან გაიდგა ფესვი მთელ რესპუბლიკაში და საბაზრო ურთიერთობის ქსელით მოიცვა იგი.

1995 წელს ე. შევარდნაძემ კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები ქვეყნის პოლიტიკაში – მან შეძლო და ჩამოიცილა „დემოკრატიული რევოლუციის“ შემოქმედნი და თავის გვერდით დაიყენა ახალგაზრდა გენერაციის მოღვაწეები: მაგრამ, ისიც აღსანიშნავია, რომ მათ გვერდით კვლავ წამოატივტივდნენ კომუნისტური პერიოდის საქართველოს გამოცდილი სამეურნეო მუშაკებიც... ძველი, გამოცდილი კადრების რეამინაციით ე. შევარდნაძე ცდილობდა რადიკალური რეფორმების გატარებას. მაგრამ, ჩვენი აზრით, მისმა ამ ნაბიჯმა არ გაამართლა – ეს მისი განზრახულება გაამართლებდა დენ სიაო პინის მიერ ჩინეთში განხორციელებული რეფორმის ანალოგიის შემთხვევაში – როცა ტოტალიტარული სახელმწიფო, ერთპარტიული რეჟიმის პირობებში, საკუთარი შესაძლებლობებით მიზანმიმართულად და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გზით, თანდათან, აუჩქარებლად წავიდოდა დასახული მიზნისაკენ – საბაზრო ურთიერთობებისაკენ. ასეთ შემთვევაში ძველი წრთობის კადრების გამოყენებას ექნებოდა უდიდესი ეფექტი.

საქართველოში, რომლიც ხელმძღვანელობა იმჟამად ევროპასაც ეთამაშებოდა და აზიასაც (რუსეთის სახით), დემოკრატიაც უნდოდა და უკვე ავტორიტარიზმის ნიშნებიც აშკარად იკვეთებოდა, სადაც განსაკუთრებით გამძაფრებული იყო კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების პროცესებთან დაკავშირებული სიმახინჯეები, მაფიოზური სტრუქტურების მიერ ქონების ხელში ჩაგდების ძალუმი პროცესი სწრაფი ტემპით იყო გაშლილი. ასეთ ვითარებაში, ძალიან დიდი სურვილის მიუხედავად, რაიმე სერიოზული ნაბიჯების გადადგმა ეკონომიკის გაჯანსაღების მიმართულებით თითქმის გამორიცხული იყო.

საქართველოს ეკონომიკა ჭრიალით, ტრაგიკული ზიგზაგებით მიიწევდა წინ – იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის ეკონომიკა ჩაკეტილ წრეში ტრიალებდა და უდიდესი ძალისხმევა წინსვლისათვის მთავრდებოდა „ერთ ადგილზე ნიადაგის ტკეპნით“. ამაზე ჩინებულად მიანიშნებს კონკრეტული ეკონომიკური შედეგები, რასაც საქართველომ მიაღწია XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში.

სტატისტიკური მონაცემებით უკვე 1994 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება საქართველოში 1987 წელთან შედარებით შემცირდა 65 პროცენტით, ხოლო აგრო-სამრეწველო საწარმოთა პროდუქცია – 90 პოცენტით. მართალია, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი საერთო მონაცემებში 1992 წლის 30 პროცენტიდან 1995 წელს გაიზარდა 87 პროცენტამ-

დე – მაგრამ ეს წარმატებაზე სულაც არ მიუთითებდა. როგორც საქმეში ჩახედული უცხოელი-ექსპერტები ამტკიცებდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ „საქართველოს სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო დანარჩენი ეკონომიკა კი მთლიანად მოშლილია“ (სსმს არქივი, ანაწერი 1 (დამატ), საქ. 16, 13).

ასეთი ვითარების გამომწვევ მიზეზად, საზღვარგარეთელი ექსპერტები, სრულიად სამართლიანად ასახელებდნენ იმ ფაქტორს, რაც საქართველოში რეალურად ჩამოყალიბდა: „საქართველოს სოფლის მეურნეობს დაქვეითება ნაწილობრივ განაპირობა ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორე ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლამ და ამასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით მიწის გადაცემას კერძო ფერმერებისათვის არ მოჰყოლია იმ აუცილებელი კანონების მიღება, რომელიც მიანიჭებდა მიწის მფლობელებს საკუთრების უფლებას, ხოლო დანარჩენ სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობებს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას“. ასეთი თვალსაზრისი ძალიან ხშირია „TACIS“-ის (ევროკავშირის სპეციალური პროგრამა, რაც 1991 წელს შეიქმნა დსთ-ს ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების დასაჩქარებლად) მიერ საქართველოში რეალიზებული პროგრამების შედეგების შემაჯამებელ დასკვნებში – რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთავარი სრულყოფილი პროგრამა კი არ არის, არამედ მთავარია ამ პროგრამის განმახორციელებელი სუბიექტი, მისი მენტალობა და კონკრეტული ინტერესი, რომელიც მას ამოძრავებდა.

1996-1999 წლებში საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო აგრარულ სფეროში უფლებრივი საკითხების მოსაწესრიგებელი საკმაოდ ბევრი კანონი, რომელთა ფორმალური შინაარსი ჩინებულად ასახავდა თანავდროული მსოფლის პროგრესული აგრარული შეხედულებების საუკეთესო მიმართულებებს. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე მათგანს. უკვე 1996 წელს მთავრობამ პარლამენტში წარადგინა კანონ-პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. კანონ-პროექტზე მსჯელობის შემდეგ პარლამენტმა ის დაამტკიცა და გამოაქვეყნა. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ახალ ვითარებაში განისაზღვრა „საადგილმამულო მეურნეობის“ ცნება. საადგილმამულო მეურნეობად ჩაითვალა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე, შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებითა და მოწყობილობების ერთობლიობით, რაც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს და იძლევა კომლისა თუ იურიდიული პირის შემოსავლის ნახევარს („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 23 თებერვალი).

უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად დეტალიზირებული კანონი თითქმის ორი წელი მუშავდებოდა საქართველოს სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის აგრარულ ქვეკომისიაში, რომლის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი იურისტები, აგრარიკოსები, ეთნოლოგები. ამ კანონის მთავარი მიზანი, ავტორთა ვარაუდით, უნ-

და ყოფილიყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაქუცმაცების თავიდან აცილება, მაგრამ საქართველოს საზოგადოებამ ეს კანონი აღიქვა როგორც საქართველოში მიწის ყიდვა-გაყიდვის თავისუფლების აღიარება. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს დაჭირდა განმარტების გაკეთება, რომ ეს კანონი შეეხებოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხოლოდ 12 პროცენტს, რომ ძირითადად მიწა კვლავ რჩებოდა საქართველოს სახელმწიფოს ხელში. მაგრამ, პრაქტიკულად საქართველოში ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ მიწის გაყიდვის პროცესი სწრაფი ტემპით წავიდა წინ და მას აქტიურად იყენებდნენ როგორც ქართველი გლეხები, ისე უცხოელებიც. გამოქვეყნებული კანონი მიწის მფლობელს გარკვეულ სანქციებსაც უწესებდა – თუ ორი წლის მანძილზე მიწის მესაკუთრე ზედიზედ არ დაამუშავებდა მიწას, არ მოიყვანდა მოსავალს და არ გადაიხდიდი მიწის გადასახადს, მას მკაცრად აჯარიმებდნენ.

ძალიან მალე მიიღეს ახალი კანონი: „სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“ („საქართველოს რესპუბლიკა 1996 28 ივნისი). მოგვიანებით საქართველოში მიიღეს სპეციალური კანონიც კი – „ვაზისა და ღვინის“ შესახებ, რომელსაც, ავტორების აზრით, ქვეყნისათვის მეტად სტრატეგიული მნიშვნელობის დარგისათვის უნდა შეექმნა განვითარების ოპტიმალური პიროებები. კანონით განისაზღვრა საღვინე ჯიშების სახეობებიც კი.

ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მთავრობამ გამოაქვეყნა: „საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფცია“, რომლის მიზანი იყო საქართველოს საზოგადოებისათვის განემარტა თუ რა უნდოდა და რას გააკეთებდა ახალი ხელისუფლება საქართველოს სოფელში. ამ დოკუმენტის მიღება დროული ჩანდა, რადგან საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობას, მოთმინების ფიალა აევსო უამრავი დაპირებებით და ახალ-ახალი პროგრამებით, რომელსაც კონკრეტული შედეგები არ მოჰქონდა – ქვეყანაში სურსათ-სანოვაგის დეფიციტი კვლავ მწვავე პრობლემა იყო. იურიდიული და პროფესიული თვალსაზრისით საკმაოდ უხვსიტყვა, ამასთან მუხლებითა და პარაგრაფებით გაჯერებული დოკუმენტი თეორიულად საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ მთავარი აქაც ის იყო, რომ მიღებული ეს მაღალფარდოვანი დოკუმენტები „არ მუშაობდნენ“. საქართველოს სოფელში რადიკალური გარდაქმნა ვერ ხერხდებოდა – **აგრარული პოლიტიკა არაეფექტიანი იყო.** როგორც დოკუმენტები მიანიშნებენ, ამის მიზეზი ძირითადად სუბიექტური ფაქტორი ჩანს – ამაზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს კონტროლის პალატამ, რომელმაც შეისწავლა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მუშაობა საკმაოდ დიდ პერიოდში და მოახდინა სამინისტროს მუშაობის კრიტიკული შეფასება. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ კომისიის დასკვნას: მკვეთრად დაეცა აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ისეთი დარგების განვითარების დონე, როგორიცაა მევენახეობა, მეხი-

ლეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა. განიავდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი, საგრძნობლად შემცირდა მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობი და აგრარული სექტორში წარმოებული მთელი რიგი სტრატეგიული პროდუქტის საერთო წარმოება. თვითდინებაზე იყო მიშვებული მეურნეობის, განსაკუთრებით გლეხური და ფერმერული მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, საწვავ-საცხები მასალებით, ქიმიური საშუალებებით და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თესლით მომარაგება, შეფერხდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია...“ (სსმს-ს არქივი, აღწ. 1 (დამ), საქ. 64, 1)

სერიოზული დარღვევები და დანაშაულებრივი გულგრილობის ფაქტები გამოვლინდა მუშაობის თითქმის ყველა მიმართულებით: „მასობრივი ხასიათი ჰქონდა მიღებული აგრეთვე საკარანტინო და ვეტერინარული შემოწმების გარეშე, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისა და საქონლის შემოზიდვა-რეალიზაციას, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას და ეროვნულ სიმდიდრეს. შეუმოწმებელი თესლის დათესვამ გამოიწვია მოსავლის კატასტროფული შემცირება – დათესილის მხოლოდ 10-15 პროცენტი თუ აღმოცენდა. ზარალმა 12 მილიონ ლარს გადააჭარბა“.

პალატამ დააფიქსირა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურებში (მაგალითად, პურპროდუქტების სააქციო კოორპორაციაში და სხვა ორგანიზაციებშიც), ფინანსური დისციპლინის დარღვევის, თანხების არამიზნობრივად ხარჯვის უამრავი შემთხვევა და ა. შ.

კონტროლის პალატის დასკვნაში მოტანილია დანაშაულებრივი გულგრილობის არა ერთი მაგალითი, რომელიც აშკარად მეტყველებს საქართველოში მმართვის აპარატის სერიოზულ პრობლემებზე, რაც სასწრაფოდ რადიკალურად უნდა შეცვლილიყო. მარტო ხელმძღვანელი კადრების ცვლილება საქმეს არ შველოდა. 2002 წელს „TACIS“-ის კოორდინაციითა და ევროპული კრიტერიუმებით ჩატარებული სტატისტიკურ გამოკვლევაში აშკარად მინიშნებულია საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემცირების ტენდენცია: მაგალითად, თუ 1998 წელს ერთიანმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტმა საქართველოს სოფელში 1 201 მილიონი დოლარი შეადგინა, 1999 წელს ეს მაჩვენებელი უკვე უდრიდა 918 მილიონ დოლარს, ხოლო 2000 წელს – 778 მილიონ დოლარს. ასევე სერიოზული ვარდნაა მემცენარეობის დარგშიც: 1998 წელს მიიღეს 644 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია, 2000 წელს – უკვე 377 მილიონი დოლარის; მძიმე ვითარება შეიქმნა მესაქონლეობაშიც – 1998 წელს მესაქონლეობის პროდუქცია უდრიდა 537 მილიონ დოლარს, ეს მაჩვენებელი ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა 394 მილიონ დოლარამდე (Статиститческий ежегодник южно-кавказских стран, 2002, 193).

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელების ოპტიმისტური განცხადებები ვითარებას უკვე ვეღარ შველოდა. საქართველოს მოსახლეობას აღარ

სჯეროდა საზღვარგარეთელი ექსპერტებისაც და ყოველწლიური მილიონიანი გრანტების ეფექტიანობისაც, რადგან შედეგები არ აისახებოდა მათ ყოველდღიურ ბიუჯეტზე.

არ ვიქნებით სამართლიანი, თუ არ აღვნიშნავთ დასავლეთ ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონკრეტული სახელმწიფოების მთავრობების საკმაოდ მნიშვნელოვან მატერიალურ თუ ტექნიკურ დახმარებას საქართველოს სოფლის სტაგნაციიდან გამოყვანის საქმეში. ევროკავშირის დახმარება „TACIS"-ის პროგრამების ფარგლებში ხორციელდებოდა და მათი მთელი რიგი გადაუდებელი პროექტი საკმაოდ მოცულობითიც იყო. ისინი ეხებოდა როგორც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დარგებისათვის მილიონიანი სუბსიდიების გამოყოფას, ასევე აგრობიზნესის სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრების ორგანიზებას, რათა მომხდარიყო ევროპული აგრომეცნიერების მიღწევის პოპულარიზება საქართველოში (სსმს-ს არქივი, აღ.1(დამ), ს.55, 4).

„TACIS"-ის პროგრამების ფარგლებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სასურსათო დახმარების პროგრამას, რაც ითვალისინებდა 176,6 ათასი ტონის სურსათის საქართველოში რეალიზებას და ამონაგები თანხის (34,3 მილიონი ლარის) განაწილებისა და ხარჯვის პროცესის უზრუნველყოფას.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით საქართველოში ხორციელდებოდა „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი", რომლის მიზანი იყო სოფლად საკრედიტო კავშირების განვითარება, მიწის რეგისტრაციის საცდელი პროექტების რეალიზება, სასოფლო-სამეურნეო კვლევების პრაქტიკაში დანერგვა, ირიგაციისა და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაცია ((სსმს-ს არქივი, აღ.1(დამ), ს.68, 2).

უდიდესია გერმანიის მთავრობის გადაუდებელი დახმარება: 7 მილიონი გერმანული მარკა გამოიყო საქართველოს სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად (სსმს-ის არქივი, აღ. 1(დამ), ს.62, 1-4). გერმანიის „ტექნიკური დახმარების საზოგადოება", გერმანიის „აღორძინებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ინსტიტუტი", რომელთან თანამშრომლობაც 2034 წლამდე იგეგმებოდა, მიზნად ისახავდნენ ყველა საშუალებით საქართველოს სოფლის მეურნეობის გაჯანსაღებასა და აღორძინებას.

საქართველოს სოფელს ფინანსურად ეხმარებოდენენ ევროპის სხვა ქვეყნებიც, რომლებიც ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ საქართველოს მთავრობას უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა ეს დახმარება. იმ წლებში საზღვარგარეთულმა აგრო-ორგანიზაციებმა საქართველოში განახორციელეს პროექტიები: „სასურსათო პროდუქციის წარმოების ზრდა", „მცირე ფერმების მხარიდაჭერის პროექტი" და ა.შ. და ა.შ.

მიუხედავად ასეთი დახმარებისა, საერთო შედეგი ნაკლებ ეფექტიანი იყო, რაც მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით მისი კრიტიკულად განწყობილი ნაწილის – საქართველოს ინტელიგენციის გაღიზიანებას იწვევდა. ახალი ათასწლეულის დასაწყისში აშკარად გამოიკვეთა, რომ საქართვე-

ლოში არსებულ ხელისუფლებას ამოეწურა შესაძლებლობა გამკლავებოდა კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების სიმახინჯეებს, აღმოეფხვრა კორუფცია, ჩინოვნიკების თვითნებობა და გადაეყვანა ქვეყანა განვითარების ოპტიმალურ რელსებზე. საზოგადოების ეს განწყობილება კარგად ჩანს აკად. დავით მუსხელიშვილის მიმართვაში საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელიც 2003 წელს ჟურნალ „ანალებში“ დაიბეჭდა: „ბატონო პრეზიდენტო, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მესამედ მოგმართავთ იმ მძიმე მდგომარეობის გამო, რომელშიც აღმოჩნდა ქვეყანა და ხალხი. ჩვენ გაფრთხილებდით, რომ სახელისუფლებო სტრუქტურების საყოველთაო კორუმპირებულობის და მაფიოზური კლანების ანტიეროვნული „მოღვაწეობის“ შედეგად, საქართველო უკვე იმ ზღურბლს იყო მიმდგარი, რომლის გადალახვის შედეგად იგი ჩამოყალიბდება, როგორც შუა საუკუნეების ტიპის აღმოსავლური ბარბაროსული სახელმწიფო, რომელიც ხასიათდება კონსტიტუციური კანონიერების სრული იგნორირებით, ადამიანების დაუცველობით და შარაგზის ბანდიტური ჯგუფების თარეშით“ (მუსხელიშვილი. „ანალები“, 2003, №1, 3).

ქართველი ინტელიგენტის ეს შეფასება ააშკარავებდა თუ რატომ არ ხორციელდებოდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების მიერ დაფინანსებული პროექტები ეფექტიანად და რატომ იყო ქართული სოფელი კვლავ ღარიბი. კორუფცია მთლიანად ღრღნიდა ახალი ქართული სახელმწიფოს საფუძვლებს და შედეგი ფაქტობრივად არცერთ სფეროში არ ჩანდა. ასეთი მდგომარეობით და ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონით ისარგებლეს ე. შევარდნაძის პარტიის – „მოქალაქეთა კავშირის“ ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორნებმა“ და 2003 წლის ნოემბერში აიძულეს ე. შევარდნაძე გადამდგარიყო.

საქართველოს სათავეში ჩაუდგა ახალი „ტრიუმვირატი“ – მ. სააკაშვილი, ნ. ბურჯანაძე და ზ. ჟვანია. დასაწყისში იყო დიდი საზოგადოებრივი მოლოდინი, რომ კრიტიკულად მოაზროვნე, ევროპულ განათლებას ნაზიარევი, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა რიადიკალურად შეცვლიდა პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკა დაიწყებდა სტაგნაციიდან გამოსვლას. ამ იმედებს ასაზრდოებდა „ახალგაზრდა რეფორმატორი“ ლიდერების მაღალფარდოვანი საჯარო განცხადებები, მათ მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჩატარებული გადაუდებელი ღონისძიებები (მხედველობაში გვაქვს აჭარაში ავტორიტეტული რეგიონალური მმართველობის ლიკვიდირება 2004 წლის მაისში) და ა.შ.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გრძელდებოდა ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული აგრარული პროექტები, „TACIS“-ის თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული გარდაქმნები. კვლავ შემოდიოდა ამ პროექტებით გათვალისწინებული სუბსიდიები, ხელისუფლებაც ცდილობდა ეჩვენებინა მოსახლეობისათვის, რომ ის ენერგიულად ცდილობს გამოიყვანოს საქართველოს სოფლის მეურნეობა გაჭია-

ნურებული სტაგნაციიდან. ჩვენი აზრით, ამის ჩინებული დადასტურებაა მისი გამორჩეული ყურადღება სოფლის მეურნეობის მელიორაციისა და სადრენაჟო მეურნეობის განსავითარებლად ჩატარებული სამუშაოები. დადასტურდა, რომ 2004 წელს სახელმწიფოს ბალანსზე ირიცხებოდა 205 სახელმწიფო დანიშნულების სამელიორაციული სისტემა და დამოუკიდებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობა. მელიორაციას საქართველოსთვის, განსაკუთრებით კახეთის რეგიონისათვის, მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველო გამოირჩეოდა ბუნებრივი ტენიანობის ნაკლებობით, რასაც უკვე საბჭოთა ხელისუფლების წლებში სწორად დაგეგმილი სამელიორაციო პოლიტიკით აწესრიგებდნენ: საქართველოში 2004 წლისათვის არსებული ყველა ეს ნაგებობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში იყო აშენებული. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოში ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას თავისი საკუთარი სამელიორაციო და სადრენაჟო სისტემები ჰქონდა. ეს უზარმაზარი ჰიდროლოგიური პოტენცია ემსახურებოდა საქართველოს 1 მილიონ მოსახლეობას და რწყავდა 820 ათას ჰექტარ სავარგულს. როგორც ექსპერტები ამტკიცებდნენ, ამ ჰიდროლოგიური სისტემის დახმარებით XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში მოჰყავდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 55-60%, ბოსტნეულის 75%, კარტოფილის 70%, ყურძნის 65%, ხილის 85%, მარცვლეულის – 50% (სსმს-არქივი, აღწ.1, ს. 466, 2).

აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის კახეთის რეგიონში, ტრადიციულად წელიწადში ოთჯერ რწყავდნენ მიწებს, რადგან ამის გარეშე მოსავლის რაოდენობა 40-50 პროცენტით კლებულობდა. ეს განსაკუთრებით აუცილებელი იყო გვალვიან პერიოდებში, რაც საქართველოში ყოველ 12 წელიწადში ერთხელ სერიოზულად აზარალებდა სოფლის მეურნეობას. 1998 და 2000 წლების გვალვების სეზონმაც სერიოზულად დააზარალა კახეთის სოფლის მეურნეობა.

მაგრამ საქართველოში მიმდინარე, უკვე აღნიშნული, XX საუკუნის 90-იანი წლების ტრაგიკული მოვლენების გამო სამელიორაციო სისტემები უყურადღებოდ დარჩა, მისი ქონება დაიტაცეს, გულგრილობისა და მოუვლელობის გამო ჰიდროტექნიკური ნაგებობები ნაკლებეფექტიანი გახდა, ზოგიერთი – დაინგრა, გაპარტახდა. საჭირო იყო მათი უსწრაფესად განახლება, ახლების აშენება, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და სისტემების ახალი გამართული ქსელის შექმნა. ამას სერიოზული სუბსიდიები სჭირდებოდა.

მაგრამ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას, საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკური საკითხების ნაცვლად, უფრო საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები აღელვებდა. მისმა გაუაზრებელმა „თამაშმა“ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის გამოიწვია სერიოზული პრობლემები როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით.

პირველ ეტაპზე მ. სააკაშვილი ხაზგასმით რუსულ-ქართული ურთიერთობების მოწესრიგების მომხრე იყო და მისი პირველი ოფიციალური ვიზიტიც მოსკოვში განხორციელდა.ერთ-ერთ ბრიფინგზე მ. სააკაშვილმა ისიც

განაცხადა, რომ „რაც უფრო დათბება ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის. მით უფრო ძლიერი იქნება საქართველო“ („რეზონანსი“, 2004, 13 თებერვალი).

საქართველოს ახალი პრეზიდენტი ყველა ფორმით ცდილობდა დაემტკიცებინა რუსეთისადმი გამოჩეული პატივისცემა და ნდობა. ამაზე მიანიშნებს 2004 წლის მაისში საქართველოში რუსი ბიზნესმენების დიდი ჯგუფის ჩამოყვანა, რომლის შემადგენლობაში ძირითადად პუტინთან დაახლოებული პირების მფლობელობაში მყოფი საწარმოო ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ. მეტად საყურადღებოა მ. სააკაშვილის განცხადება რუს ბიზნესმენებთან დაკავშირებით: „ჩვენ გვჭირდება რუსული კაპიტალი, ის უფრო გაბედული და ინტუიტიურია“ (რეზონანსი“, 2004, 28 მაისი).

რუსეთის ბიზნესთან „თამაში“ საქართველოში იქამდე მივიდა, რომ იგეგმებოდა მაგისტრალური ნავთსადენის რუსეთისადმი მიყიდვაც კი, რამაც აშშ-ის ადმინისტრაციას სპეციალური განცხადების გაკეთება აიძულა და საქართველოს ხელისუფლებამ ეს განზრახულობა აღარ განახორციელა.

მაგრამ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსის ბოლომდე შენარჩუნება და „რაღაცის“ თუ „ვიღაცის“ იმედით ხაზგასმით პროდასავლური კურსი აირჩია. ამას მოჰყვა „სავაჭრო ომი“, რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ემბარგო ქართული წარმოების პროდუქციაზე (მათ შორის ღვინის ნაწარომზე, ბორჯომის წყალზე) და შემდეგ მოხდა კიდევ უფრო დრამატული: დაიწყო საქართველოს მოქალაქეების რუსეთიდან დეპორტაციის ტრაგიკული პროცესი, რაც რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის ესკალაციაში გადაიზარდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა კიდევ ერთ ეტაპს დაუსვა წერტილი საქართველოს ისტორიაში. საქართველომ დროებით დაეკარგა თავისი ტერიტორიების 20 პროცენტი, რომელზეც რუსეთმა სეპარატისტების ძალაუფლება იურიდიულად აღიარა. გაჩნდნენ ლტოლვილთა ახალი ნაკადები, გაჩნდა ახალი ფინანსური პრობლემებიც. ეკონომიკა კვლავ თვითდინებაზე მიშვებული აღმოჩნდა. პრეზიდენტი მას მართავდა ვენახებში საჩვენებელი თათბირებიდან, სახლის სახურავებზე გამართული ეკონომიკური შეკრებებით, ერთკვირიანი საწარმოების „გახსნით“, თესვის სეზონის დასაწყისში მიწის დასამუშავებლად გლეხებისათვის ერთჯერადი „ვაუჩერების“ დარიგებით და ა.შ. და ა.შ.

ამასობაში, კახეთში გამოგონილი მიზეზით („ღორის ჭირი“) – თითქმის მთლიანად ამოხოცეს ღორის ენდემური ჯიშები, უყურადღებობითა და დაბალი შესასყიდი ფასების გამო კახეთში გლეხებმა მასობრივად დაიწყეს ვენახების გაჩეხვა და საზამთროს, ვაშლატამას პლანტაციების გაშენება. მთავრობის გაუაზრებელი აგრარული პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში შემოტანეს ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლი და ის ძალით შეასყიდეს გლეხებს. ამასთან, აიძულეს მოეყვანათ აღნიშნული სახეობა, რამაც არ გაამართლა და იმ წელს საქართველოს გლეხობამ სერიოზული ფინანსუ-

რი ზარალი ნახა. ყველაფერში ჩანდა, რომ საქართველოსი სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუჩნდა სერიოზული „პატრონი“.

აი, რას ამტკიცებდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები: „ეკონომიკური ზრდის განსხვავებული ტემპების გამო გავლილ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა – მკვეთრად შემცირდა აგრარული სექტორის როლი და წონა მშპ-ის ფორმირებაში. მისი წილი დაეცა 2-ჯერ და ამჟამად (ციტირებული ნაშრომი შეიქმნა 2012 წელს – ა.დ.) მხოლოდ 9,3 პროცენტია (2003 წ .- 20,6%). ამ დარგის გაჭიანურებული კრიზისი დაეტყო შიდა სამომხმარებლო სურსათის ბაზარსაც, რომლის ორი-მესამედზე მეტი უკვე იმპორტულ საქონელს უკავია“ (არჩვაძე და სხვ. 2012, 5).

ეკონომიკური სტაგნაცია საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო – რამაც რეგიონში საქართველოს აუტსაიდერის პოზიცია დიდხნით დაუმკვიდრა. ექსპერტები ამის მიზეზს აშკარად ამზეურებდნენ: „საქართველოს ამგვარი უკუსვლის ძირითადი მიზეზი ქვეყნის მშპ-ის ზრდის არასაკმარისი, დაბალი ტემპია. 2003 წლის შემდეგ საქართველოს წილი სამხრეთ კავკასიის ეკონომიკაში ყოველწლიურად საშუალოდ 1,7 პროცენტული პუნქტით კლებულობდა. შედეგად, თუ 2003 წელს საქართველოს წილად მოდიოდა სამხრეთ კავკასიის მშპ-ის 28,4%, 2011 წელს მან მხოლოდ 16,5% შეადგინა“ (არჩვაძე და სხვ. 2012, 6).

სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა ინფლაცია: ფასები განუწყვეტლად იზრდებოდა, განსაკუთრებით სუსრსათ-სანოვაგეზე, რაც ანგრევდა რიგითი ქართველის საოჯახო ბიუჯეტს. ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ 2011 წელს „თითქმის 180 ლარია საჭირო იმ საქონლის შესაძენად, რასაც 2003 წელს 100 ლარი ყოფნიდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლარის მსყიდველობითი უნარიანობა დღეისათვის 2003 წელთან შედარებით – 43,6 პროცენტით, ხოლო მისი შემოღების დღიდან – (1995 წ.) თითქმის 4-ჯერაა შემცირებული“ (არჩვაძე და სხვ. 2012, 9).

ეკონომიკურმა სტაგნაციამ, რაც რუსეთის ემბარგომაც საკმაოდ გაამწვავა, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაც შეამცირა. უმუშევრობა ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გადაიქცა. ექსპერტები მიუთითებდნენ: „2003 წლის შემდეგ დასაქმებულთა საერთო რაოდენობა ქვეყანაში 151 ათასით შემცირდა (ქვეყნის მთელი მოსახლეობის 182 ათასით ზრდის პირობებში). უმუშევრობის დონე 2003 წლის 11,5 %-დან 2011 წლისათვის 15,1%-მდე გაიზარდა (2009 წელს მისმა დონემ 16,9%-საც კი მიაღწია). უმუშევრობის დონით საქართველო წინ უსწრებს მის ყველა სახმელეთო მეზობელს (აზერბაიჯანი – 6,0%, რუსეთის ფედერაცია – 6,6%, სომხეთი – 10,1%“, თურქეთი – 10,5%)“ (არჩვაძე და სხვ. 2012, 10).

საქართველოს ხელისუფლებისათვის არსებობდა მხოლოდ საბანკო კაპიტალი, რომლის მიმართ ყურადღება არ შენელებულა მათი მმართველობის არცერ ეტაპზე, ამიტომაც საბანკო კაპიტალის როლი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში წარმოუდგენლად განმტკიცდა.

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ პრობლემებს დაემატა პოლიტიკური პრობლემებიც.შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ საქართველოს ეროვნული ეკონომიკიდან დაიწყო ფრონდირების მძლავრი მუხტი, რაც შეუჩერებელ საპროტესტო ანტისამთავრობო მოძრაობაში გადაიზარდა

2012 წლის ნოებერში არჩევნებში დამაჯარებლად გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – „ქართული ოცნება“. ახალმა მთავრობამ თავის მთავარ ამოცანად ქვეყნის ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოყვანა დაისახა – ბიზნესისათვის სრული თავისუფლბისა და დამოუკიდებლობის მინიჭება, საგადასახადო ღვედების შესუსტება, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პრინციპების უცილებელი დაცვა, საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა, ქართული პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრების მოძიება და იქ დამკვიდრება და ა.შ.

გასათვალისწინებელია ბ. ივანიშვილის ის დაპირებაც, რომ ის შეეცდებოდა მოეგვარებინა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან და ქართული პროდუქციისათვის კვლავ დაებრუნებინა რუსეთის ბაზარი.

ახალი ხელისუფლებისათვისაც პრიორიტეტული – უფრო ევროკავშირთან ერთიერთობების განვითარება-გაღრმავება აღმოჩნდა – ევროკავშიითან გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება, დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა ევროპაში უვიზოდ მიმოსვლის პროგრამის რეალიზება, ევროკავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა და ქართული პროდუქცია (განსაკუთრებით ქართული ღვინო) კვლავ დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე. ამან გარკვეული სტიმული მისცა კახეთში მეღვინეობის სექტორში მუშაობის აქტივიზირებას.

§ 2. რადიკალური აგრარული რეფორმა და ქართული საზოგადოებრივი აზრი

როგორც აღვნიშნეთ, 1991-1992 წლების თბილისის ომისა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც რამდენიმე წელი გაგრძელდა და ქვეყანას წარმოუდგენელი უბედურება მოუტანა.

ახალი ხელისუფლება, რომელიც თავის თავს „დემოკრატიული ფასეულობების დამცველ“ რევოლუციურ ძალად თვლიდა და საქართველოში მას უკვე არსებული უმეტესი პარტიული ორგანიზაცია ან მხარს უჭერდა, ან თანაუგრძნობდა, ამიტომაც პოპულისტური მოსაზრებებით ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად გაეკეთებინა ის, რასაც სხვადასხვა მიზეზების გამო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არ, ან ვერ აკეთებდა

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად რადიკალური გარდაქმნების ფორსირება, „სამხედრო საბჭოს“ დაქვემდებარებულმა საქართველოს დროებითმა მთავრობამ თ. სიგუას ხელმძღვანელობით, ძალიან სწრაფად დაიწყო. ზემოთ აღინიშნა, რომ უკვე 1992 წლის 18 იანვარს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა საკანონმდებლო აქტი „მიწის რეფორმის შესახებ“. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა თბილისი 7 იანვარს, გამთენიისას დატოვა, ფაქტობრივად 10 დღეში ახალი ხელისუფლება იწყებს ყველაზე რთული და პასუხისაგები, ეროვნული თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიების რეალიზებას, შეიძლება თამამად ითქვას – აშკარად ნაჩქარევად. რატომ?

ვვარაუდობთ, რომ ამის მიზეზი იყო შემდეგი: ეროვნული მოძრაობის ერთიანობის დროსაც, და მოგვიანებით – მათი პრინციპული გათიშვის შემდეგაც, ანტიკომუნისტური ეროვნული მოძრაობა თავის მიტინგებზე ცალსახად ხაზს უსვამდა კომუნისტების მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში ქართულ სოფელში განხორციელებული „რეფორმების“ დანაშაულებრივ ხასიათს, მის არაეფექტიანობას, ქართულ ბუნებასთან აგროწარმოების საბჭოთა წესის მიუღებლობას, გლეხობის ბარბაროსულ ექსპლოატაციას და ა.შ. და ა.შ. საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება, რომ „ისტორია არ იცნობს მშრომელთა უფრო შეუბრალებლ ექსპლოატაციას, ვიდრე ეს იყო იმ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელსაც სსრ კავშირი ერქვა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 1 აგვისტო).

განსაკუთრებით აკრიტიკებდნენ საბჭოთა აგრარულ პოლიტიკას, კოოპერაციის საბჭოთა მოდელს – კოლექტიურ მეურნეობებს, რომელმაც „გლეხი გააზარმაცა“, „მიწისაგან გააუცხოვა“, „კერძო საკუთრება ჩამოაშორა და ტოტალიტარული სახელმწიფოს უღიმღამო ჭანჭიკად გადააქცია“. ამიტომ ყველაფერი ამის გამოსწორება აუცილებელი და სასწრაფო იყო: გლეხებს უნდა საკუთრებაში მისცემოდათ მიწა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კი ისტორიის სანაგვეზე გადაესროლათ – ასეთი იყო დემოკრატი პოლიტიკოსების მოთხოვნა.

მსგავსი მოსაზრებები უკვე „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ორგანიზაციისადმი კრიტიკულად განწყობილ პოლიტიკური ძალების შეკრებებსა და მიტინგებზე სისტემატურად ისმოდა, რადგან ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ თავისი 11 თვიანი მმართველობის პერიოდში აგრარული საკითხი არც დააყენა და არც გადაწყვიტა. ამ „აუჩქარებლობას“ აშკარად ბრალად უყენებდნენ მას ოპონენტები: „ეროვნულმა ხელისუფლებამ“ მემკვიდრეობით მიიღო ტოტალიტარული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, მართვის კომუნისტური სტრუქტურები, აზროვნების და საქმიანობის ის წესი, რაც კომპარტიამ დაამკვიდრა 70 წლის მანძილზე, და ყველაფერი ხელუხლებელი დატოვა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 1 აგვისტო)..

სწორედ ასეთი შეხედულებებს იზიარებდნენ ზ. გამსახურდიას დამხობის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ძალები, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ მიწის საკითხის რადიკალური გადაწყვეტა იყო საბჭოთა ეკონომიკუ-

რი სისტემის დემონტაჟის და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირველი ნაბიჯი.

„თავისუფალი საბაზრო ურთიერთობა“ – საქართველოში 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მიმართულების მთავარი მიზანი იყო, სწორედ მასში ხედავდნენ საქართველოს მომავალს, ეკონომიკის გაჯანსაღების ერთადერთ საშუალებას: „ეკონომიკის სფეროში – ეს არის **საბაზრო მეურნეობა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.), რომელსაც აქვს მრავალი უპირატესობა, მაგრამ იგი თავისთავად არ ჩამოყალიბდება, უნდა შევქმნათ“ – საჯაროდ აცხადებდა ცნობილი ეკონომისტი ვალერიან ადვაძე. „ახლა ამოცანა ის არის, რომ როგორმე ეკონომიკური პროცესი ვმართოთ და ახალი, **ანუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ავაშენოთ“ – ხაზგასმით აღნიშნავდა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე აკაკი ბაქრაძე („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 16 მაისი). უაღრესად საინტერესოა ცნობილი მეცნიერის, თამაზ ჯანელიძის მიერ თავის ერთ-ერთ სტატიაში ხელისუფლების გასაგონად გამოთქმული შეხედულება: „ძალზე საჩქარო და საშური საქმეა სახალხო მეურნეობის ოპტიმალურ რეჟიმზე გადაყვანა, ე.ი. **თვითრეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ორგანიზაცია“ (ჯანელიძე, 1992, 3)

ამრიგად, ახალი ხელისუფლების მხარდამჭერ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ძალებს სწრაფად თვითრეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის დანერგვა საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამოსვლის მთავარ შესაძლებლობად მიაჩნდათ. ხოლო საქართველოს დროებითმა მთავრობამ, როგორც დავინახეთ, ამ მიზნის რეალიზება დაიწყო სოფლად აგრარული რეფორმების განხორციელებით.

როგორც უკვე აღინიშნა, 18 იანვრის დადგენილებით დადასტურებულია, რომ „საქართველოში შემოდის მიწის კერძო საკუთრება – მიწა უსასყიდლოდ გადადის გლეხის მფლობელობაში“. ამ საქმის განხორცელება დაევალა ამ მიზნით შექმნილ მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს.

რას ითვალისწინებდა ეს სახელმწიფო გადაწყვეტილება: – პირველ რიგში მიწაზე კერძო საკუთრების უფლების აღიარებას. შემდეგ: საქართველოს სხვადასხვა აგრარულ ზოლში გათვალისწინებული იყო მიწის კერძო საკუთრების ზღვრული ოდენობაც – 0,33 ჰექტარიდან 3 ჰექტარამდე. სიახლე გულისხმობდა, ასევე, სოფლად მცხოვრები აგრარული მოსახლეობის (გლეხობის, აგროსპეციალისტების და ა.შ.) მიწით დაკმაყოფილებას. პარალელურად ივარაუდებოდა სოფლად მომუშავე ინტელიგენციის (მასწავლებლების, მედიკოსების და ა.შ.) დაკმაყოფილებაც. გათვალისწინებული იყო წარსულში სოფლად მობინადრე, ხოლო ამჯერად ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში მცხოვრები ადამიანების ინტერესებიც – თუ ისინი მოისურვებდნენ, მიწა მათაც მიეცემოდათ, („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 18 იანვარი).

ადგილებზე იქმნებოდა რაიონული თუ სასოფლო სპეციალური კომისიები, ძირითადად ადგილობრივი, ასევე ცენტრალური სახელმწიფო ორგანოებიდან მივლინებული „კომპეტენტური“ პირების შემადგენლობით, რომლებიც განიხილავდნენ განცხადებებს, სწავლობდნენ ვითარებას და გამოჰქონდათ გადაწყვეტილება. ივარაუდებოდა, რომ ამ ღონისძიებას შეეძლო მიწისაგან „გაუცხოვებელი საქართველოს გლეხი“ მიწის მთავარ მოჭირნახულად გადაექცია. რეფორმა აშკარად ამბიციური იყო, რადგან ითვალისწინებდა საქართველოში კერძო საკუთრებაში 626 ათასი ჰექტარი მიწის გადაცემას.

ქართული პრესა აქვეყნებდა მიწის რეფორმის „მამების“ დიდ იმედებსაც: „დღეს არსებული საკარმიდამო მიწები – 185 ათასი ჰექტარი იძლევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის 42-44 პროცენტს, ხოლო საზოგადოებრივ სექტორში არსებული 976 ათასი ჰექტარი – 56-58 პროცენტს. ყველასთვის ნათელი გახდება, თუ რა შედეგს მივიღებთ საკარმიდამო მიწების ფართობის 3-ჯერ გაზრდით“. ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური სპექტრი ძირითადად მხარს უჭერდა რადიკალურ რეფორმებს ეკონომიკის ყველა დარგში, მათ შორის აგრარულ სექტორშიც.

საინტერესოა, რომ ქართველი მეცნიერები გარკვეულ სამოქმედო პროგრამასაც აყალიბებდნენ, რომელიც ქართულ ეკონომიკას, მათ შორის სოფლის მეურნეობას, სტაგნაციიდან გამოიყვანდა. მაგალითად, პროფ. ვ. ადვაძის მიხედვით აუცილებლად განსახორციელებელი იყო, როგორც ქალაქად, ისე სოფლად შემდეგი:

– საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების შეცვლა;

– პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაცია;

– მონოპოლიზმის ლიკვიდაცია, კერძო საკუთრების, საკუთრების მრავალფეროვნების, კონკურენციული გარემოს, ბაზრის რეალური დამკვიდრება;

– ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება;

– უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;

– პრივატიზაციით უნდა შექმნილიყო დიდმწარმოებულური შრომისადმი მოტივაცია და კერძო მესაკუთრეთა და მეწარმეთა კლასი. **ესაა მთავარი და ამაშია ჩვენი ხსნა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (ადვაძე, 1992, 3).

ამრიგად, საქართველოს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი აყენებდა კოკნრეტულ გეგმას, რომელშიც მისი აზრით „არის საქართველოს ხსნა“.

იყო სხვა პროექტებიც: პროფ. თამაზ ჯანელიძე ასე აყალიბებდა მოსაზრებას ეკონომიკური კოლაფსიდან ქვეყნის გამოსაყვანად: „დროულად უნდა განისაზღვროს და დასაბუთდეს ყველა ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების გზები, ჩამოყალიბდეს მოთხოვნები სახალხო მეურნეობის ოპტიმალური სტრუქტურისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის (ტავტოლოგია ავტორისაა – ა.დ.), განისაზღვროს ტექნოლოგიების დონე და ისიც, თუ რამდენად მისაღებია ისინი ეკოლოგიუ-

რად ჩვენთვის, ჩამოყალიბდეს პრიორიტეტები და სხვა, ყველა ეს საკითხი უნდა ეთანხმებოდეს მაღალგანვითარებული ქვეყნების პარამეტრებს და მათი შემდგომი განვითრების ტენდენციებს.“ (ჯანელიძე, 1992, 3)

ცნობილი ქართველ პოლიტიკოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ წამყვანი ლიდერი, ნოდარ ნათაძე თავის ხუთპუნქტიან გადაუდებელ სამოქმედო გეგმაში, ეკონომიკის საკითხებზე მხოლოდ ბოლო ორ მუხლში ამახვილებდა ყურადღებას: „4. **საჭიროა მიწის სასწრაფოდ დარიგება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) და ამავე დროს მისი დაცვა გაფლანგვისაგან. **ამ პროგრამის განხორციელება რეალურად დაწყებულია** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.); 5. საჭიროა ეკონომიკის გაჯანსაღება და მისი გამოყვანა სოციალისტური სტაგნაციის მდგომარეობიდან. რამდენადაც შემიძლია ვიმსჯელო, ამ მხრივ დროებითი ხელისუფლების პოზიცია ჯანსაღია“ (ნათაძე, 1992, 3).

ამრიგად, ჩვენ წარმოვადგინეთ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გარკვეულწილად განმსაზღვრელი ადამიანების ერთი ჯგუფის, შეხედულებების ნაწილი, რომელთაც აშკარად ერთი საერთო აქვთ – ისინი საოცრად ზოგადნი არიან, ასახავენ ძირითადად კაპიტალისტური ეკონომიკის ქრესტომათიულ ჭეშმარიტებებს და თითქმის არ შეიცავენ კონკრეტულ, გააზრებულ გეგმას, არც საქართველოს ეკონომიკის იმჟამინდელი მდგომარეობის კრიტიკულ შეფასებას, არც ამ ეკონომიკის შესაძლებლობების ობიექტურ ანალიზს და არც საქართველოში ახალი კაპიტალისტური ეკონომიკის გასავითარებლად საჭირო კონკრეტული სამოქმედო გეგმების დეტალურ მონახაზს, რომელიც გარკვეული ვადით იქნებოდა განსაზღვრული.

ქართველი (და საერთოდ საბჭოთა) ეკონომისეტები კაპიტალიზმის ეკონომიკურ სისტემას იცნობდნენ მხოლოდ მარქსისტული ეკონომიკური დოგმატიკის საფუძველზე. კაპიტალიზმის, მით უფრო თანამედროვე კაპიტალიზმის, პოსტინდუსტრიული კაპიტალიზმის განვითარების პრაქტიკული ამოცანები და განვითარების კონკრეტული გზები ძალიან ბუნდოვნად, ზოგად შტრიხებში ჰქონდათ წარმოდგენილი, არ იყო გათვლილი რამდენად ორგანულად მიიღებდა და შეითვისებდა უკვე 70 წლის მანძილზე სტალინური კოლექტივიზაციის მოდელით მომუშავე ქართული სოფელი ამ ახალ, რადიკალურად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემას.

სოფლის განვითარების ეკონომიკურ მოდელს ამუშავებდნენ ქართველი პოლიტიკოსებიც, რომელთა ფრაზეოლოგია კიდევ უფრო ზოგადი იყო და კონკრეტიკას თითქმის გამორიცხავდა. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი აპელირებდა „მაღალგანვითაებული ქვეყნების მაჩვენებლებზე“ – ეს იყო აშკარა გულუბრყვილობა, რადგან მათ პროექტებში კონკრეტულად განსაზღვრული არ იყო კაპიტალიზმის რომელი მოდელი ჰქონდათ მხედველობაში. ვარაუდი იმისა, რომ შეძლებდნენ განეხორციელებინათ „მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მაჩვენებლები“ – აშკარად გულისხმობდა, რომ ქართული საზოგადოერივი აზრი იმჟამად აპელირებდა საბჭოთა საქართველოს იმ სოციალურ-ეკონომიკური მიღწევებით, რომლე-

ბიც ეკონომიკაში XX საუკუნის 60-80-იან წლებში იყო სწორედ იმ მატერიალური რესურსებით, რაც საქართველოს ამ პერიოდში ჰქონდა და ფიქრობდნენ, რომ ამის ტრანსფორმაცია კაპიტალიზმის ეკონომიკურ სისტემაში ადვილად მოხერხდებოდა.

თვალში საცემია სერიოზული წინააღმდეგობა საქართველოს რეალიების შეფასებისას, რასაც ეკონომიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად აკაკი ბაქრაძის აზრით: „ამ პროცესებმა (იგულისხმება მსოფლიოში მიმდინარე პროცესები – ა.დ.) ძირფესვიანად დაანგრია ძველი ეკონომიკური სისტემა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 16 მაისი). ხოლო ვ. ადვაძე კი ამტკიცებდა, რომ „ის საზოგადოებრივ – ეკონომიკური წყობილება, რომელიც იმპერიაში (ე.ი. საქართველოშიც – ა.დ.) არსებობდა, ჯერ კიდევ არ დამსხვრეულა“. აქ აშკარაა, რომ მათი ხედვა ეკონომიკური მოვლენებისა რადიკალურად განსხვავებულია, აქედან გამომდინარე დასკვნებიც განსხვავებული იქნება.

თუმცა, ყველა ამ ნააზრევში აშკარად ვხვდებით საქართველოს დროებითი მთავრობის მიერ გადადგმული ეკონომიკური ნაბიჯების დადებით შეფასებას – ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს „სახალხო ფრონტის“ ხელმძღვანელის ნოდარ ნათაძის შეხედულებებში.

1992 წლის 12 მარტს ოფიციოზმა გამოაქვეყნა სამთავრობო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შეიქმნა სახელმწიფო მიწებისა და მიწის რეფორმის ფონდები და დადგინდა მათი შექმნის წესი. დაწესდა საკუთრებაში მფლობელობასა და სარგებლობაში გადასაცემი მიწის ზღვრული ნორმები. ფაქტორივად ეს გადაწყვეტილება აზუსტებდა 18 იანვრის დადგენილებას, რაც აშკარად მიანიშნებს, რომ ის წინა დადგენილება ცოტა ნაჩქარევი იყო, მით უფრო, რომ ახალმა გადაწყვეტილებამ გაზარდა ზღვრული ნორმების ოდენობა. ეს ბოლო გადაწყვეტილება აშკარად პოპულისტურიც იყო და მიზნად ისახავდა სოფლის მოსახლეობის კეთილგანწყობის გაძლიერებას.

მიგვაჩნია, რომ უდიდესი მნიშვნელობისაა დეკრეტი „სოფლის შესახებ“. მასზე ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით.

1992 წლის 23 ივლისს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ მომზადდა „დეკრეტი სოფლის შესახებ“. ინფორმაციის პრეამბულაში ხაზგასმული იყო: მიწის რეფორმის მთავარი ამოცანაა – მიწისაგან ადამიანის გაუცხოება უნდა მოისპოს. ამისათვის რესპუბლიკის მიწის რესურსების და მიწის რეფორმების სახელმწიფო კომიტეტი მიიჩნევს **ტრადიციული ქართული სოფლის** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) დამახასიათებელი ფაქტორების საფუძველზე ახალი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას. პროექტში მითითებულია, რომ „სოფლის შესახებ დეკრეტის მიღების მიზანია მიწის მიმართ სოფლისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობათა ისეთი გამიჯვნა, რომელიც შექმნის მიწების დაცვის, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, მიწის ნაყოფიერებისა ...ეფექტიანობის ამაღლების, სოფლის ტრადიციებისა და ისტორიული მეხსიერებისათვის მისაღები თვითმმართველობის

სისტემის დამკვიდრებას“. როგორც დეკრეტის ავტორები ამტკიცებდნენ, რეფორმის მიზანია მიწის სოფლისათვის გადაცემა; ამის გამო სოფლის უფლება მოვალეობის განსაზღვრა; სოფლის საზღვრების დადგენა; განსაზღვრული სოფლის თვითმმართველი ორგანოს უფლება-მოვლეობის განსაზღვრა (ტავტოლოგია ავტორებისაა – ა.დ.); სოფლის დადგენილ საზღვრებში **კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაცია** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) ან რეორგანიზაცია; ამ საკითხებს წყვეტს სოფლის თვითმმართველი ორგანო. საზოგადოებრივი მეურნეობის ლიკვიდაციის შემთხვევაში დაშვებული იყო კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ქონების (სოციალური სფეროს ობიექტების, გაზის მომარაგების, ენერგომომარაგების, სატელეფონო სისტემის, კრედიტებისა და ვალების, მიწის გარდა) სხვა **საერთო ქონების მოქალაქეთა შორის განაწილება** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.).

დეკრეტი, რომელიც საკმაოდ შინაარსტევადია, განსაზღვრავდა სოფელში მცხოვრები მოქალაქეების უფლება-მოვალეობებს, საკუთრების უფლებებს და ა.შ.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ზემოთ თქმულის შესახებ:

1.რადიკალური ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, მათ შორის ქართულ სოფელში, დაიწყო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე; 2.ქართული საზოგადოებრივი აზრი ტოტალურად მხარს უჭერდა რადიკალურ ეკონომიკურ გარდაქმნებს ქვეყანაში საერთოდ და ქართულ სოფლებში კერძოდ; 3.ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ ჩამოყალიბებული გარდაქმნის პროექტები უადრესად ზოგადია და, ჩვენი აზრით, არაპრაგმატულია; 4.სახელმწიფოს მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები ნაჩქარევია და ბოლომდე გააზრებული არ ჩანს.

რა გვაძლევს ასეთი განცხადების გაკეთების შესაძლებლობას?

იმ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შინაარსი, რაც საქართველოში შეიქმნა თბილისი ომის შემდეგ: როგორც ცნობილია, საქართველოში დაიწყო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი თავისი დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით, წესებითა და შედეგებით. სამოქალაქო ომმა, რომელსაც აღრმავებდა ეთნო-პოლიტიკური დაპირისპირებები აფხაზეთსა და შიდა ქართლში, უკვე ეკონომიკურ კოლაფსში მოქცეულ ქვეყანას იმდენი ახალი ამოცანები და გადასაჭრელი პრობლემა გაუჩინა, რომ საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში რაიმე რეალური საქმის ბოლომდე მიყვანა ნამდვილად არ შეეძლო.

ამ ყველაფერს დაემატა ისიც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ, ფინანსურ-ეკონომიკურმა ანარქიამ, საბჭოთა (შემდეგ რუსული) მანეთის სივრციდან საქართველოს განდევნამ და ქვეყანაში საკუთარი მყარი ვალუტის არარსებობამ, ცენტრალური ხელისუფლების გამოუცდელობამ, ათასგვარი „საძმოებისა“ და ლეგალური თუ არალეგალური შეიარაღებული ადამიანების თარეშმა, უპასუხისმგებლობის გაძლიერებამ, სიღატაკის საყოველთაობამ

– რა თქმა უნდა, სახელმწიფოსა და მისი რიგითი მოქალაქეების ქმედითუნარიანობაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა. ასეთ ვითარებაში, როცა რიგითი ქართველი ყოველდღიური არსებობის შესანარჩუნებლად იბრძოდა, ხოლო სახელმწიფო უძლური იყო შეექმნა ცხოვრებისა და შრომის ელემენტარული პირობები (ეს ობიექტური რეალობა იყო, რაც შედეგად მოჰყვა სუპერსახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის მოულოდნელ დაშლას), ძნელი იყო რაიმე დეკრეტის, სახელმწიფოებრივი აქტის რეალური თანმიმდევრული შესრულება. სახელმწიფო და მისი მესვეურები, რიგითი მოქალაქეები ცხოვრობდნენ ყოველდღიური პრობლემებით დატვირთულ გარემოში, მათ შორსგამიზნული პერსპექტივებისათვის ნამდვილად არ ეცალათ. ფულის ყოველდღიური გაუფასურების პირობებში, უშუქობის, ენერგომატარებლების დეფიციტის არსებობის ვითარებაში, მთავარი ამოცანა ხდებოდა საზოგადოების ფიზიკური გადარჩენა. ამიტომაც, ახალი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული „დეკრეტებისა“ და „დადგენილებებიდან“ საქართველოს სოფლის რიგითი მოსახლის ცნობიერებამდე მივიდა მხოლოდ ერთი თეზისი – საერთო ქონების მოქალაქეთა შორის განაწილება, ანუ სამოქალაქო ომში ჩაბმული საქართველოს რიგითი მოქალაქის ენაზე ამას ერქვა „დაიტაცე, წაიღე სახლში ის რაც ცუდად დევს და უპატრონოდ გეჩვენება“.

„ქონების მოქალაქეთა შორის“ განაწილების პრაქტიკამ გაძარცვა საქართველოს სოფელი (და არა მარტო ის) ტოტალურად. ამისთვის იდეოლოგიური პირობები ეროვნული მოძრაობის ლიდერების მიერ მიტინგებსა და შეხვედრებზე უკვე ათასჯერ იყო დამუშავებული – კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები – კანონგარეშედ ათასჯერ გამოცხადებული, როგორც უზნეო რეჟიმის უზნეო მოქმედების ერთ-ერთი მთავარი შედეგი. ამიტომ „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“ ქართულ სოფელში, მათ შორის კახეთშიც, საკმაოდ წარმატებით ჩატარდა.

ჩვენ მიერ კახეთის რეგიონის სხვადასხვა რაიონსა თუ სოფელში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს (2015-2017 წწ.) ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრები აშკარად ადასტურებენ, რომ ე.წ. „რეფორმის“ დროს ადგილზე ფაქტობრივად განხორციელდა საკოლმეურნეო ქონების ტოტალური ძარცვა, რაც ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ (კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, რაიონის გამგეობების წარმომადგენლები და ა.შ.), ასევე გარეშე „აქტიურმა პირებმა“ ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი ქაოსით და დაიტაცეს კოლმეურნეობების უზრმაზარი ქონება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობები, მიწები, ფერმები და ა.შ.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ქართულ სოფელში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის შედეგები რომ არა მარტო იგვიანებდა, არამედ საჭირო მიმართულებით არ ვითარდებოდა, ეს საქართველოში დროულად შეამჩნიეს. პირველი განგაშის ზარი თვითონ ვალერიან ადვაძემ შემოჰკრა. 1993 წლის იანვარში მის მიერ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული სტატია „ეკონომიკური კატასტროფა“ აშკარად მიანიშ-

ნებს იმ სერიოზულ შიშებზე, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ერთი წლის განმავლობაში დაკვირვებამ ათქმევინა: „საქართველოს ეკონომიკას დაუდგა ისეთი ძლიერი დაქვეითება, რომელიც არ ჰქონია უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში. იყო ცდები, დაისახა ღონისძიებები მდგომარეობის გამოსწორების, მაგრამ ისინი ვეღარ შესრულდა და ვერ შესრულდებოდა, **რადგან არ იყო პოლიტიკური სტაბილიზაცია** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). საქართველოში შექმნილი ვითარების მისეული ინტერპრეტაციის შემდეგ ექსპერტი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რაც ეკონომიკის განვითარებას აფერხებდა: პოლიტიკური არასტაბილურობა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მკვეთრი დეფიციტი, ტრანსპორტის მოშლა, ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ეკონომიკური კავშირების რღვევა, სამოქალაქო ომი, ერთიანი მტკიცე ხელისუფლების არარსებობა და ა.შ. მეტად საყურადღებოა მისი შემდეგი დაკვირვება: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის კვალობაზე მკვერად შემცირდა პირუტყვის სულადობა, კერძო სექტორში ამას არ მოჰყვა ზრდა პირუტყვის“ და ა.შ.

ექსპერტის შეშფოთებას იწვევდა „საზოგადოებრივი საკუთრების მიზნობრივი დატაცება, რაც დაიწყო ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, ძარცვა გრძელდება დღესაც“ (ადვაძე, 1993, 2).

საქართველოში ზოგ აგრარიკოსს კი უკვე 1993 წელს სერიოზულად ამინებდა მიწის თავისუფალი გაყიდვის დაკანონება, ამ ღონისძიების სოციალური და ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი შედეგები. საქართველოს პარლამენტის წევრის სერგო რუხაძისა და მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლის თეგიზ ქავთარაძის ერთობლივ წერილში ხაზგასმულია იმ ხიფათების შესახებ, რაც უკვე გამოიკვეთა, ხოლო მომავალში კი შეიძლება საფრთხეც კი შეექმნა საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის. ისინი წერდნენ: „მიწის საკუთრების უფლება სოციალური თვალსაზრისით მოასწავებს იმას, რომ იგი ფულად მიმოქცევაში ჩაერთვება და ამის გამო ბუნებრივი გახდება სპეკულაცია, სოციალურ ფენებად დაყოფა და სხვა ნეგატიური ტენდენციები“. ამის გარდა წერილის ავტორები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სოფლად კერძო გლეხური მეურნეობის დანერგვის შესაძლებლობებს, აკრიტიკებდნენ მის აპოლოგეტებს და აღნიშნავდნენ, რომ „კერძო მესაკუთრის აპოლოგეტები ჭეშმარიტებას ღალატობენ კერძო გლეხური მეურნეობის შესაძლებლობათა შეფასებაში არა მარტო დღევანდელი, არამედ წარსული ცხოვრების მიხედვითაც“. ისტორიამ დაადასტურა, რომ ისინი თავის შეხედულებებში ახლოს იყვნენ ჭეშმარიტებასთან – საქართველოში კერძო გლეხური მეურნეობა ვერ გადაიქცა აგრარული ურთიერთობების დაჩქარებული განვითარების საფუძვლად.

მაგრამ ხელისუფლებაში მყოფი აგრარიკოს-კანონმდებლები მაინც შეუჩერებლად წინ მიდიოდნენ, ისინი ადგენდნენ გეგმებს, აყალიბებდნენ კონცეფციებს, რომელსაც უნდა აეღორძინებინა საქართველოს ეკონომიკა, მათ შორის აგრარული სექტორი.

1993 წლის ზაფხულში ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსიდან გამოყვანის, ახლა უკვე დროში გაწერილი კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. ამ უზარმაზარი გეგმის ერთი მონაკვეთი სოფლის მეურნეობას და ქართულ სოფელს ეხებოდა. დამტკიცებული გეგმის მიხედვით:

– აგრარული რეფორმის ნორმატიული ბაზის შექმნა უნდა დასრულებულიყო 1993-1994 წლებში;

– კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაციის დასრულებოდა – 1993-1994 წწ.

– სოფლად საბაზრო ინფრასტრუქტურის ინტენსიური განვითარება მოხდებოდა 1993-1994 წწ.

– მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების გადაცემა საბაღედ და საბოსტნედ დასრულდებოდა 1993 წ.

– მიწის გამოყოფა გლეხური მეურნეობებისათვის, საკარმიდამო ნაკვეთების გადაცემა ჩათავდებოდა 1993 წ.

– შეზღუდვები მიწის გაყიდვაზე მოიხსნებოდა 1993-1994 წლებში;

– რეგულირებადი მიწის ბაზრის, მიწის იჯარისა და იპოთეკური კრედიტების განვითარების წინაპირობები მომზადდებოდა და დასრულდებოდა 1993 წ.

– მიწის კადასტრი და მონიტორინგი მიწაზე დაინერგებოდა 1993-1994 წლებში.

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის ბაზრის ფორმირება დასრულდებოდა 1993-1994 წწ. და ა.შ.

ჩამოყალიბებული გეგმა, აშკარად მიანიშნებს, რომ სოფლად ყველაფერს იწყებდნენ „თავიდან“, რადგან ჩვენ მიერ უკვე ზემოთ აღნიშნული, 1992 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ სოფლად განხორციელებული ღონისძიებები, რამაც ბევრ ექსპერტში აშკარა აღფრთოვანება გამოიწვია, „ბლეფი“ აღმოჩნდა და ქვეყნის ხელისუფლება 1993 წლის ზაფხულიდან ხელმეორედ იწყებდა იმას, რაც ბევრს უკვე გაკეთებული ეგონა.

შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ხელისუფლება სოფლის მეურნეობაში ასეთ მკვეთრ ეკონომიკურ ვარდნას არ ელოდებოდა? როგორც საქართველოს პარლამენტის აგროკომისიის ხელმძღვანელი, დეპუტატი როინ ლიპარტელიანი აღნიშნავდა, 1993 წელს მარცვლეულის წარმოება შემცირდა 26 პროცენტით, კარტოფილის – 27 პროცენტით, ყურძნის – 29 პროცენტით, ხორცის – 28 პროცენტით. მისი განცხადებით, წინა წელს მინდორში დარჩა და ვერ აიღეს ათასობით ტონა პამიდორი, ხახვი, კომბოსტო. ასეთმა ვითარებამ ბევრში გააჩინა აზრი – ხომ არ ავჩქარდით აგრარული რეფორმის გატარების დროს?

ეს თვალსაზრისი რელიეფურად ჩანს ცნობილი სამეურნეო მუშაკის, საქართველოს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის (საბჭოთა პერიოდის და-

სასრულს) ნოდარ ჭითანავას შეხედულებებში. „კიდევ უფრო გაღრმავდა წინა წლებში დაწყებული კრიზისი. ტრადიციულ საგარეო და საშინაო ეკონომიკური კავშირების მასშტაბურმა რღვევამ, წარმოებისა და მომსახურების კატასტროფულმა შემცირებამ საფინანსო-საბიუჯეტო და ფულადი მიმოქცევის მოშლამ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია“. მისი თვალსაზრისით, 1992 წელს საქართველოში წარმოებული იყო 51,1 პროცენტით ნაკლები ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი, ვიდრე 1990 წელს. ეროვნული შემოსავლის მოცელობა 52,4% შემცირდა, მრეწველობის – 51,8%. „განსაკუთრებით დაზარალდა ფულად საკრედიტო სისტემა... მთელი სიმწვავით, სიღრმით ვგრძნობთ ეკონომიკური ცხოვრების სუსტ მაჯისცემას. მის „ტემპერატურას“, „კლინიკური სიკვდილის“ მოახლოებას“. უაღრესად მინორული შტრიხებით დაწერილი სტატიის სათაური ასეთი იყო: „რამდენად სწორია ამჟამინდელი ეკონომიკური პოლიტიკა?“. (ჭითანავა, 1993, 2)

მაგრამ პესიმისტებთან ერთად იმჟამად აქტიური ოპტიმისტებიც იყვნენ. მაგალითად ახალგაზრდა ეკონომისტი ვლადიმერ პაპავა და მისი თანამოაზრეები ქვეყანას უმტკიცებდნენ, რომ შემუშავებული ჰქონდათ სპეციალური პროგრამა, რომლის რეალიზაცია გამოიწვევდა საბიუჯეტო დისციპლინის აღდგენას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, კერძო სექტორი დაიწყებდა ეფექტიან მუშაობას, შეიქმნებოდა ყველა პირობა სამეწარმეო საქმიანობისათვის, სულ მალე ცხოვრების პირობებიც საგრძნობლად გაუმჯობესდებოდა და „თუ დღეს მინიმალური ხელფასი 80 ცენტია, პროგრამის რეალიზაციის შემდეგ საშუალო ხელფასი გახდება 11- 11,5 დოლარი“ (პაპავა, 1993, 2).

რა პროგრამა იყო ლ. პაპავას ღონისძიებათა ეს ჩამონათვალი? – „სისტემური ცვლილებების განხორციელება, ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა, საინვესტიციო გარემოს ფორმირება და ამ ეტაპზე საზოგადოების მაქსიმალურად სოციალური ადაპტაცია“ – მიანიშნებდა ვ. პაპავა („საქართველოს რესპუბლიკა“ 1993, 22 ოქტომბერი).. პროექტის ავტორის მტკიცებით მისი პროგრამა 16 თვეში შეძლებდა მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ვლ. პაპავა ე. შევარდნაძემ სულ მალე ეკონომიკის მინისტრად დანიშნა (ის ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1994-2000 წწ.) .

ამრიგად, აშკარაა, რომ ახალი საქართველოს მშენებლობის პირველ წლებში ეკონომიკის გარდაქმნისა და განვითარების არაერთი სახელმწიფო თუ ინდივიდუალური პროექტი-პროგრამა შემუშავდა. მაგრამ ქართულ სოფელში მდგომარეობა არ იცვლებოდა. მიწების დარიგებამ, საკარმიდამო მეურნეობების მასშტაბების გაზრდამ, როგორც დავინახეთ, სოფლის მეურნეობის ვერცერთ პარამეტრზე ზეგავლენა ვერ მახდინა. ჩვენი ვარაუდით ამის მიზეზი რამდენიმეა:

1. საქართველოში მიმდინარეობდა საკმაოდ მასშტაბური სისხლიანი დრამა – სამოქალაქო ომი ქათველებს შორის, ისევ გრძელდებოდა ეთნო-პოლიტიკური დაპირსიპირება აფხაზეთსა და შიდა ქართლში. რთული ვითარება იყო ჯავახეთში. მართალია, შევარდნაძის ხელისუფლება ვარაუდობდა,

რომ სამოქალაქო ომს სწრაფად დაასრულებდა, ის დაამყარებდა თანხმობას ქართველებს შორის, მაგრამ ეს ასე არ მოხდა – სამოქალაქო ომი გაიწელა 1994 წლამდე. სამოქალაქო ომთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯები ქვეყნის მწირი ბიუჯეტის შემოსავლებს მთლიანად ანადგურებდა და აღარაფერი რჩებოდა ეკონომიკური რეფორმებისათვის. ეკონომიკური რეფორმა კი სერიოზული ფინანსური მხარდაჭერის გარეშე – ფიქციაა.

2. სამოქალაქო ომში ჩაბმულ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო საზღვარგარეთული კერძო ინვესტიციები. ინვესტორებს სერიოზულად აშინებდათ შესაძლო რისკები, ეკონომიკის უღიმღამო პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს ხელისუფლება არსებობდა საზღვარგარეთელი დონორი ქვეყნების მთავრობების შემოწირულობის (გრანტების) ხარჯზე, რაც მოსახლეობის პურით მომარაგებას ძლივს ყოფნიდა.

3. საკუთარი ვალუტის არარსებობის პირობებში, დროებითი ანგარიშსწორების საშუალების – კუპონის დანერვის შემდეგ, არაფრით გარანტირებული ეს ფინანსური ერთეული კატასტროფულად გაუფასურდა. მისი მსყიდველობითი უნარი არ იძლეოდა შესაძლებლობას ნორმალურად განვითარებულიყო საფინანსო სისტემა ისე, რომ მას ქვეყანაში ეკონომიკური განვითარებისათვის ძლიერი კატალიზატორის როლი შეესრულებინა.

4. ხელისუფლბის მიერ შემუშავებულ აგრარულ პროგრამებშიც ბევრი იყო ნაკლი, რეალობის არაადეკვატური აღქმა, ვითარების არასწორი შეფასება. ამჯერად მაგალითისათვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთს: ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გადაწყდა საკარმიდამო მიწების გადიდება საზოგადოებრივი მიწების შემცირების ხარჯზე.

ამტკიცებდნენ, რომ თავისი შესაძლებლობებითა და შედეგებით საბჭოთა საკარმიდამო მიწები უპირატესია საკოლმეურნეო საკუთრებასთან შედარებით. ამ თეზისის პოპულარობას სერიოზულად ხელს უწყობდნენ დასავლეთის „სოვეტოლოგები“ იმის დასადასტურებლად, რომ კერძო საკუთრება უფრო ეფექტიანია ვიდრე საზოგადოებრივი. მაგრამ ჩვენი აზრით ამ ჭეშმარიტების დასადასტურებლად საბჭოთა გლეხის საკარმიდამო მიწის მაგალითი არ გამოდგება. ის თვითკმარი ეკონომიკური ერთეული არ იყო. ის თანაარსებობდა კოლმეურნეობასთან და მისით: საკარმიდამო მამულები, განსაკუთრებით საქართველოში, მნიშვნელოვნად საკოლმეურნეო ქონების საფუძველზე არსებობდნენ: დაუკითხავად აღებული სასუქი და საწვავი, საკოლმეურნეო საცავებიდან წაღებული პირუტყვის საკვები, საკუთარი საქონლის საკოლმეურნეო ფერმაში გამოზამთრების მასობრივი შემთხვევები, არსებული იაფი ენერგორესურსები, უფასო აგრო თუ ვეტმომსახურება და ა.შ. ამ „სიკეთეებს“ ემატებოდა, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრების ეფექტიანობა ყველა დროსა და ყველა რეჟიმის პირობებში და სტაბილურად მაღალი ფასები საბჭოთა საკოლმეურნეო ბაზარზე, რა თქმა უნდა, შედეგებიც მაღალი იქნებოდა.

სტალინის მმართველობის პერიოდში, სიმკაცრისა და კერძო მესაკუთრული ინსტინქტების მაქსიმალური ჩახშობის ვითარებაში, საზოგადოებრივი მეურნეობები თავისი შესაძლებლობებითაც და შედეგებით აშკარად სჯობნიდნენ საკარმიდამო მეურნეობებს, მაგრამ 1956 წლის შემდეგ, დისციპლინის მოშლამ, ხელისუფლების მხრიდან წაყრუებამ, სოციალისტური სისტემის რუსული მოდელის ეროზიამ საბჭოთა სოფელში არსებული „ორმისამართიანობა" – საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების დაპირისპირებაში აშკარად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაიძალა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ვ. ადვაძის აქცენტირება იმაზე, რომ „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის კვალობაზე მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა, კერძო სექტორში ამას არ მოჰყვა ზრდა პირუტყვის" – სწორედ იმას მიუთითებს, რომ აღარ იყო არც იაფი ენერგორესურსი, არც პირუტყვის ადვილად ხელმისაწვდომი უფასო საკვები, არც უფასო აგრო თუ ვეტმომსახურება, ამიტომ ვერ გამრავლდა საქონელი. რა თქმა უნდა, იაფი ნედლეულისა და სახელმწიფო მომარაგების გარეშე დარჩენილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა უძლური აღმოჩნდა საბაზრო ურთიერთობის სტიქიას გამკლავებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ საქართველოში ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა განვითარდა არა ამერიკული გზით – ფერმერული მეურნეობის მსგავსად, არამედ მოხდა მკვეთრი ვარდნა და ქართულ სოფელში შემოიპარა, ჩვენი აზრით, ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აგრარული ურთიერთობა კერძო გლეხური მეურნეობის სახით (ფაქტობრივად თვითკმარი ნატურალური მეურნეობა). მისი შედეგები კი გლეხის ოჯახის შესანახადაც არ იყო საკმარისი. ამან კი ქართული სოფელი სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა.

5. საქართველოში ყველას ეგონა, რომ „კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე" სწრაფად განავითარებდა საბაზრო ურთიერთობას, უზრუნველყოფდა ხვავსა და ბარაქას. მაგრამ დაავიწყდათ, რომ თავისთავად კერძო საკუთრება მიწაზე – ვერ შექმნის ხვავსა და ბარაქას. საჭიროა მეტად აუცილებელი – „შრომითი მოტივაცია" – გლეხის შრომა უნდა იყოს სარგებლიანი, მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი, მხოლოდ მაშინ ხდება სოფელი პროდუქტიული. საქართველოში კი უკვე, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, შეიქმნა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რომ სოფლად ცხოვრება, შრომითი საქმიანობის წარმოება, აგრობიზნესი – არარენტაბელური აღმოჩნდა. ამაში უდიდესი როლი ითამაშა კონკურენციამ, როცა იაფფასიანმა საზღვარგარეთულმა საქონელმა წალეკა რესპუბლიკის ბაზარი, ხოლო საკუთარ თავთან მარტო დარჩენილმა „ერპიროვნულმა გლეხურმა მეურნეობამ" ალღო ვერ აუღო კაპიტალიზაციის პირველ ნაბიჯებს და დათმო პოზიცია. ქართული სოფელი ამ ეტაპზე კონკურენტუნარო აღმოჩნდა. ქვეყანა დაიპყრო იაფმა, მაგრამ გენმოდიფიცირებულმა, ეკოლოგიურად უვარგისმა, დაბალხარისხიანმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ.

6. დღეს, 27 წლის გადასახედიდან, აშკარად ჩანს, რომ პოლიტიკა კოლმეურნეობებისა და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობების ტოტალური გა-

ნადგურებისაკენ, იყო არასწორი. საბჭოთა სინამდვილეში უამრავი არარენტაბელური კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობ არსებობდა, მაგრამ ასევე იყო საკმაოდ ბევრი ძლიერი, ტრადიციულად წარმატებული სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება-კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა. კახეთში საყოველთაოდ ცნობილი იყო ზემო ქედის ი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც თავისი შესაძლებლობებით მუდამ გამოირჩეოდა. ასეთი ძლიერი აგროგაერთიანებები კახეთის თითქმის ყველა რაიონში არსებობდა. ალბათ საჭირო იყო მათი შენარჩუნება და რეორგანიაზაცია, ამ მიზნით სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა, რომელიც დაეხმარებოდა სწორედ ასეთ ძლიერ მეურნეობებს: შეენარჩუნებინათ მატერიალური ქონება, სოციალურად აუცილებელი საწარმოო ობიექტები, აგრო და ვეტერინარული კადრები, ეკონომიკური კავშირები, სოფლის მეურნეობის წარმოების ადგილობრივი ტრადიცია, არ დაეფანტათ მუშახელი, მოეხდინათ თვისებრივი რეორგანიზაცია ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის შესაბამისად. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ალბათ, ამის გამოც ქართული სოფელი საოცრად გაღატაკდა.

7. არ შეიძლება არ შევეხოთ „სუბიექტურ ფაქტორს“. ტრადიციული ქართული ინდივიდუალიზმის პირობებში ძალიან სწრაფად დაიკარგა „კოლექტივისტური“ სულისკვეთება და ყველა საკუთარ გადარჩენაზე ფიქრობდა. ამიტომაც, საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი მისაკუთრება საყოველთაო მოვლენა გახდა. ისტორიული განაჩენივით ისმის ვ. ადვაძის შემდეგი შეძახილი: „საზოგადოებრივი საკუთრების მიზნობრივი დატაცება, რაც დაიწყო ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს, ძარცვა გრძელდება დღესაც“. ადამიანები იპარავდნენ და სახლში მიჰქონდათ ის, რასაც წლების მანძილზე ქმნიდნენ და აშენებდნენ, გადარჩენის ინსტინქტს ამოფარულები ჭრიდნენ და ანადგურებდნენ ქარსაცავ ზოლებს, რომლებიც მათმა წინაპრებმა XX საუკუნის 30-50-იან წლებში დიდი ძალისხმევის საფუძველზე შექმნეს, უპატრონობისა და უყურადღებობის გამო მოიშალა ერთდროს შედარებით გაიმართული სარწყავი სისტემები და სხვა აგროსტრუქტურები. ქართულ სოფელში თითქმის აღარ იყო არც აგრონომი და აღარც ვეტერინარი, ფუნქცია დაკარგა კულტურის სახლმა, გაუქმნდა ამბულატორია და აღარც ბევრი სოფლის საბავშვო ბაღში ისმოდა ყმაწვილის ჟრიამული. ყველაფერი დაშლილ-დაქუცმაცებული, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ბრძოლის კანონებს შეეწირა.

8. საყოველთაოდ გავრცელებული აზრია, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სოციალური კატაკლიზმების შედეგად ყველაზე უფრო საქართველო დაზარალდა. ამის საფუძველი კი ის უნდა იყოს, რომ საქართველოში საოცრად სწრაფად დავანგრიეთ ყველაფერი ძველი ისე, რომ ახლის ასაშენებლად ერთი ნაბიჯიც კი არ გადავდგით.

9. საქმე ის არის, რომ საქართველოში სოციალისტური სისტემის რღვევისთანავე, როგორც ქალაქში, ისე სოფელში, დაიწყო არა ცივილიზებული, პროგრესული კაპიტალისტური ურთიერთობების დანერგვა (როგორც ამას

ფიქრობდა ზოგიერთი ქართველი ინტელიგენტი), არამედ კლასიკური კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების პროცესი, რაც დროში საკმაოდ გაიწელა.

დატაცება, უკანონო მისაკუთრება – ეს არის ამ პროცესის ძირითადი შინაარსი. საქართველოში დაიწყო კაპიტალისტების კლასის ფორმირების რთული, წინაამღდეგობრივი პროცესი, რასაც საქართველოს მატერიალური დოვლათის (ქარხნების, ფაბრიკების, წიაღისეულის, ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ქონების და ა.შ.) გარკვეული ჯგუფებისა თუ ინდივიდების ხელში მოქცევა უნდა უზრუნველეყო. ქართველი მორალისტების სურვილების საწინააღმდეგოდ, ეს პროცესი თავისი მახინჯი ფორმებით უფრო გვაგონებს ამერიკის შეერთებულ შტატებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ვიდრე დასავლეთ გერმანიას XX საუკუნის დასასრულს.

კაპიტალიზაციის პროცესის ცივილიზებულ ჩარჩოებში ჩაყენება ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ ვერ (ან არ) შეძლო. ამიტომაც საქართველოში იყო მწვავე დაუნდობელი ბრძოლა ქონების გადანაწილებისათვის, ყალიბდებოდნენ პირველი კაპიტალისტები, ფინანსისტები, ბანკირები. როგორც აღვნიშნეთ, ეს პროცესი დროში გაიწელა, თუმცა საბოლოოდ მაინც მოხერხდა საქართველოს ეკონომიკის გარკვეული ტრანსფორმაცია კაპიტალისტური მეურნეობისაკენ, მაგრამ ის გაჯერებული იყო უამრავი მახინჯი ფორმით და პირობით. ამ პროცესებმა ზეგავლენა უფრო ქალაქურ ცხოვრებაზე მოახდინა. სოფელი საკმაოდ დიდხანს დარჩა ყურადღების მიღმა. იქ სტიქიურმა პროცესებმა სულ სხვა შედეგები მოგვცა.

ამრიგად, საქართველოში რადიკალური აგრარული რეფორმა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა ნაჩქარევად, შორსგამიზნული დახვეწილი ეკონომიკური კონცეფციის გარეშე, მან ვერ შეუქმნა ძლიერი საფუძველი სოფლად კაპიტალისტური აგრარული უთიერთობების დამკვიდრებას, პირიქით – ქართულ სოფელი ფაქტობრივად დააბრუნეს ფეოდალური ერთპიროვნული გლეხური მეურნეობისაკენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას არ ყავდა ე.წ. „მემამულე“, „ბატონი“, ანუ სოციალური „სტიმულატორი“. ამან ქართული სოფელი თვითკმარ, არარენტაბელურ ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაძირა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური) ადეკვატურად ვერ აღიქვამდა საქართველოს სოფელში მიმდინარე პროცესებს. მათ მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პროგრამები იყო ზოგადი და არ ითვალისწინებდა არსებულ ვითარებას. ამ გეგმებმა განხილულ პერიოდში რადიკალურად ვერ გარდაქმნა ქართული სოფელი, მან ვერ მიაღწია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლებით მსოფლიოს განვითარებული აგრარული ქვეყნების დონეს.

§ 3. საზღვარგარეთელი ექსპერტი-აგრარიკოსები ქართულ სოფელში

საზღვარგარეთელი ექსპერტები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს (ინგლისს, გერმანიას და სხვ.), აშშ-ს, სახელმწიფოთა გაერთიანებას (ევროკავშირს), სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას, „TACIS"-ს წარმოადგენდნენ, საქართველოში ძალიან მალე გამოჩნდნენ და საინტერესო კვლევებიც ჩაატარეს. უკვე 1993 წლის იანვარ-თებრვალში ასეთი მუშაობის პირველი შედეგები დოკუმენტურად დასტურდება (სსმს არქივი, დამატება. აღ.1.საქმე 1, 1.)

უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ექსპერტების ეს ჯგუფები დადიოდნენ სოფელ-სოფელ და სწავლობდნენ ქართული სოფლის რეალურ მდგომარეობას, ესაუბრებოდნენ ადგილობრივ ქართველ აგრარიკოსებს, სოფლის ხელმძღვანელებს, გლეხებს, ამოწმებდნენ დოკუმენტებს, ერკვეოდნენ არსებულ ვითარებაში.

ასეთი კვლევები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის კახეთის რაიონებშიც. მათი მნიშვნელობა უდიდესია, რადგან ასეთი მოგზაურობის დროს გაკეთებული ოფიციალური დასკვნები, გათვლები, შეხედულებები, რჩევები, პროგნოზები საფუძვლად უნდა დასდებოდა და ზოგჯერ ედებოდა კიდეც საქართველოში აგრარული პოლიტიკის გარკვეული სეგმენტის რეფორმირებას. ზოგიერთი მათგანი ცხოვრებაში ბოლომდე განხორციელდა და გარკვეული შედეგიც მოიტანა.

ასეთი რელაციების მთავარი ღირებულებაა მათი ავტორების მაღალი კვალიფიკაცია. მაგრამ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი (ეს ექსპერტები) დასპეციალებულნი იყვნენ კაპიტალისტური აგრარული ურთიერთობების განვითარების თანადროულ პრობლემატიკაში, მათ საბჭოთა ქართული სოფლის მეურნეობის თავისებურებები, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, და კიდევ უფრო არ იცოდნენ თუ როგორ გარდაექმნათ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ღრმად ჩამჯდარი სოფლის მეურნეობა ახალ, ეკონომიკური თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებულ წარმოების წესად. და, ჩვენი აზრით, მათი პროგრამების მთავარი ნაკლიც – სწორედ ეს უკანასკნელი გარემოებაა, რაზედაც ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით.

მეტად ღირებული ჩანს მათ მიერ 1992-1993 წლებში არსებული მდგომარეობით დანახული და გასიგრძეგანებული საქართველოს სოფელი. უპირველესად ისინი აფასებდნენ ქართულ სოფელში იმას, რაც დახვდათ საბჭოთა მემკვიდრეობიდან და მათ განსაკუთრებულ კრიტიკას იწვევდა. „აგრარულ საკითხს უდგებოდნენ ისე, როგორც მრეწველობის დარგებს, თანაც გიგანტურობის მიდრეკილებებით (7000 ჰექტარი, 450 მოსამსახურე პერსონალი და ა.შ." – აღნიშნავდნენ ისინი (სსმს არქივი, დამატება. აღ.1.საქმე 1, 1). როგორც ჩანს ექსპერტებისათვის ასეთი „გიგანტური" სასოფლო ორგა-

ნიზაციები ნაკლებად მობილურ, დაბალმწარმოელურ და არარენტაბური სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებად ჩაითვალა.

ექსპერტების გაოცება გამოიწვია სოფლის მეურნეობის წარმოების საბჭოთა სისტემამ, საბჭოთა გეგმური პოლიტიკის მახინჯმა მხარეებმა, რასაც XX საუკუნის 80-90-იან წლებში თავის მხრივ დაემატა ქაოსის ელემენტიც, რაც გამოიწვია საბჭოთა სისტემის აგონიამ. ისინი წერდნენ: „ზოგჯერ სიცილს იწვევს ბიოლოგიური მოვლენების დაგეგმვა: წინწყაროს მეურნეობაში დედაღორებს დაგეგმილი ჰქონდათ, რომ მაკედ ყოფილიყვნენ წელიწადში 2,5-ჯერ და მიეღოთ 11 გოჭი. საბჭოთა მეურნეობებს აძლევდნენ მძიმე ტრაქტორებს, რომლებსაც იყენებენ სამშენებლო მიზნებისათვის"(სსმს არქივი, დამატება. აღ.1.საქმე 1, 1.).

ექსპერტები მიუთითებდნენ, რომ თვით მეურნეობის მიმართულებები შეიძლება არანაირ კავშირში არ ყოფილიყვნენ იმ გარემო პირობებთან, რომლებიც მას ხელს შეუწყობდა ან შეუშლიდა ფუნქციონირებაში. მაგალითად, მეფრინველეობის ფერმის დაარსება მთაში, სადაც ტემპერატურა ეცემა – 18 გრადუსამდე" (სსმს არქივი, დამატება. აღ.1.საქმე 1, 1) და აქედან გამომდინარე შეუფერებელი იყო დარგისათვის.

ექსპერტების ამ შეფასებებში სამართლიანდ არის გაკრიტიკებული საბჭოთა დაგეგმარების მავნე პრაქტიკა, რომლის გამოვლენის ნაშთებს ისინი ჯერ კიდევ მოესწრნენ ქართულ სოფელში, როცა ეკონომიკური განვითარების მკაცრ ობიექტურ მიზანშეწონილობას ძალიან ხშირად გადასძლევდა ხოლმე სოფლის მეურნეობის განვითარების დაგეგმარების დეკრეტირების სუბიექტური მეთოდი.

ვითარების კრიტიკული გააზრების შემდეგ უცხოელი ექსპერტები, მათთვის მიწოდებული ოფიციალური სტატისტიკური მასალის საფუძველზე, აყალიბებდნენ შეხედულებებს ქართულ სოფელზე, საქართველოში შექმნილ აგრარულ ურთიერთობებზე, სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებებზე. მათ ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების მაჟორული პროპაგანდის მიუხედავად, დიდი არ იყო და ის არ შეესაბამებოდა მაღალგანვითარებული ქვეყნების პარამეტრებს. მათი მონაცემებით, 1985 წელს საქართველოს მთლიან ეროვნულ პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მხოლოდ 19,7 პროცენტი ყოფილა, რაც ოდნავ გაიზარდა 1991 წელს, როცა შეადგინა 20,5%. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ ამის მიუხედავად, ეროვნულ შემოსავალში სოფლის მეურნეობის პროდუქციას შესაბამისი წლების მიხედვით 32% და 37 % ეკავა, რაც, მათი აზრით, ცუდი მაჩვენებელი არ იყო (სსმს არქივი, დამატება. აღ.1. საქმე 3, 27).

ექსპერტები აკრიტიკებენ საბჭოთა ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზებულ პრინციპრებს, როცა „ფასებს განსაზღვრავდა მოსკოვი... სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიდი ნაწილი გაჰქონდათ ექსპორტად საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, საი-

დანაც ხდებოდა სამრეწველო საქონლის, ტრაქტორების, მანქანა-იარაღების და სხვა რესურსების იმპორტი“.

ექსპერტებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ, რომ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა აკანონებდა არაეკვივალენტურ საქონელგაცვლას, როცა საქართველო იძულებული ხდებოდა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან შეეძინა საქონელი „გაცილებით მაღალ ფასებში“.

ევროექსპერტების მიერ ჩატარებულ კვლევებში რამდენიმე საინტერესო მომენტია ხაზგასმული: უპირველესად ყურადღებას იქცევს მათ მიერ იმის კონსტატირება, რომ ადგილებზე მათ დახვდათ „მეურნეობის ხელმძღვანელობის მხრიდან უარი თანამშრომლობაზე“(სსმს არქივი, დამატება. აღ.1. საქმე 1, 5).

ევროკავშირის ექსპერტების ამოცანა იყო ადგილებზე სრულად და ობიექტურად შეესწავლათ არსებული ვითარება, რაც გულისხმობდა ტექნიკური ინფორმაციის (მათ აინტერესებდათ სათესი ფართობი, პირუტყვის სულადობა, მოსავლიანობა, შრომისნაყოფიერება და ა.შ. პარამეტრები) შეგროვებას, მეურნეობის საფინანსო და ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი პარამეტრების დამუშავებას. სოფლების ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან კი მათ დააფიქსირეს მათთან თანამშრომლობის მიმართ აშკარა ნეგატიური დამოკიდებლება: „ექსპერტებმა ვერ შეძლეს მიეღოთ სასურველი ინფორმაცია“ – აღნიშნულია რელაციებში. აქედან გამომდინარე, ექსპერტები კრიტიკულად იყვნენ განწყობილი მიღებული ინფორმაციის მიმართ. ადგილებეზე ასეთ დამოკიდებულებას ექსპერტები ასე ხსნიან:

1.1989 წლიდან სახელმწიფო მეურნეობები თავს ვეღარ ართმევენ წარმოების ტემპებს, აქედან გამომდინარე არცერთი ბოლო მონაცემი არ არის ზუსტი;

2.ზოგიერთი მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ გაერკვა თავიანთ სტუტუსში. ექსპერტების ვარაუდით ისინი „მოლოდინის პოზიციაში“ იყვნენ, ელოდებოდნენ დირექტივებს ცენტრიდან.

ექსპერტებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ საქართველოს სოფელში იმჟამად შექმნილი დრამატული ვითარება – პირუტყვის საკვების ნაკლებობის გამო ბევრ ქართულ სოფელში იძულებით კლავდნენ საქონელს. მათ ანგარიშში მოტანილია მაგალითი, რომ ერთ-ერთ ქართულ სოფელში სულ რაღაც ერთ თვეში 220 მსხვილფეხა საქონლიდან დარჩა მხოლოდ 100. იმჟამად ასე ბევრი სასოფლო–სამეურნეო ორგანიზაცია იქცეოდა.

საზღვარგარეთელი აგრარიკოსები აფასებენ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული აგრარული პოლიტიკის პირველ ნაბიჯებს და გამოთქვამენ საყურადღებო შეხედულებებს. ჩვენთვის განსაკუთრეულად ფასეულია მათ ანგარიშში ქვემოთმოტანილი მასალა. ეს არის 1995 წლისთვის ქართულ სოფელში განხორციელებული მიწის პრივატიზაციის შედეგად დარჩენილი სასოფლო სამეურნეო ორგანიზაციების სტრუქტურა:

– მეურნეობები, რომელთაც არ შეეხო პრივატიზაცია – 446 (21%);

– მეურნეობები, რომლებიც სახელმწიფო მეურნეობებად დარჩნენ – 697 (33%);

– მეურნეობები, რომლებიც კოლმეურნეობებად დარჩნენ – 490 (23%);

– მეურნეობები, რომლებიც კოოპერატივებად გადაკეთდნენ – 304 (14,5%);

– მეურნეობები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო კომბინატებად გადაკეთ-დნენ – 116 (5,5%);

– მეურნეობები, რომლებიც აგროფირმებად გადაკეთდნენ – 50 (2,4%);

– მეურნეობები, რომლებიც გლეხურ მეურნეობებად გადაკეთდნენ – 8 (0,4%). (სსმს არქივი, დამატება. აღ.1. საქმე 24: 1.)

აშკარაა, რომ 1995 წლისათვის ქართულ სოფელში, სადაც ძირითადად სოფლის-მეურნეობის წარმოების ორგანიზაციის ორი ფორმა – კოლმეურ-ნეობა და საბჭოთა მეურნეობა არსებობდა, ვითარება უკვე საკმაოდ დიფე-რენცირებულია – დაახლოებით 7 ფორმის სასოფლო-საწარმოო ორგანიზა-ცია არის შექმნილი. აშკარაა, რომ ჯერ კიდევ არსებობს როგორც კოლმე-ურნეობა, ისე საბჭოთა მეურნეობა, ჯამში ისინი ერთად შეადგენდნენ მე-ურნეობების 55%, რაც სოფლად არსებული სასოფლო სამეურნეო ფორმე-ბის უმრავლესობაა. საკმაოდ დიდია პროცენტი (21%) იმ მეურნეობებისა, რომელთა მიწების პრივატიზება არ მოხდა. მათი ინფორმაციით სიახლე-გარდაქნა, ახალ თვისებრიობაში გადასვლა, ფორმალურად მაინც, შეეხო ქართული სოფლის მხოლოდ 22,8 პროცენტს, ე.ი. ქართულ სოფელში არ-სებული მეურნეობების მხოლოდ მეხუთედ ნაწილს. განსაკუთრებით თვალ-ში საცემია გლეხურ მეურნეობებად „გადაკეთებულთა“ მცირე რიცხვი – 8 (0,4%), აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს, ალბათ, „ფერმერული“ ფორმა სოფ-ლის მეურნეობისა და არა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, რომელიც მოგვიანებით თითქმის მთავარი და ძირი-თადი ფორმა გახდება ქართულ სოფელში. საერთოდ საზღვრგარეთელი ექსპერტების ანგარიშებში ხშირად დასტურდება ფრაზა „ფერმერი“ ერთპი-როვნული გლეხური მეურნეობის აღსანიშნავად, რაც, ჩვენის აზრით, მე-თოდურად სწორი არ უნდა იყოს. დასავლურ ევროპული გაგება „ფერმე-რის“ რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც რეალურად იყო საქარ-თველოში – „ერთპირონული გლეხური მეურნეობა“. ეს ორი სოციალური ცნება XX საუკუნის 90-იანი წლების შუა რიცხვებში საქართველოში ერ-თმანეთს არ ემთხვეოდა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ჭეშმარიტება უცხოელმა ექსპერტებმა მხოლოდ 90-იანი წლების მეორე ნახევარში დააფიქსირეს. 1996 წელს მათ მიერ გა-კეთებულ შემაჯამებელ დოკუმენტში ფერმერები, ფერმერული ასოციაციე-ბი გამიჯნულია გლეხური მეურნეობებისაგან და მოტანილია მათი გან-მსაზღვრელი პარამეტრებიც, რომლის შესახებ კი გვქონდა საუბარი, მაგ-რამ ახლაც გავიმეორებთ – „გლეხური მეურნეობა ძირითადად ორიენტი-

რებულია საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებებსა და თვითუზრუნველყოფაზე, მათ ახასიათებთ დაბალი სასაქონლო წარმოების დონე“ და ა.შ.

ექსპერტები მიესალმებიან საქართველოს სოფელში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესს და საქართველოს ხელისუფლებას ამას დადებით ღონისძიებად უთვლიან. მათ ანგარიშებში მითითებულია კონკრეტული ციფრებიც. 1995 წელს მათი ინფორმაციით (ალბათ, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიწოდებული ცნობებით) პრივატიზაციის I ეტაპისათვის გამოიყო 1 289 000 ჰა, საიდანაც უკვე პრივატიზირებულია 638 000 ჰექტარი. მიწა დაურიგდა 850 000 კომლს. უკვე პრივატიზირებულია სახნავი მიწების 40%, მრავალწლიანი ნარგავების (ვენახების, საბაღ-ბოსტნე ნაკვეთების) 50%. სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის 30 პროცენტს (მილიონი კაცი) დაურიგდა სსოფლო-სამეურნეო მიწა.

რადიკალურ სოციალურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც თავისი მასშტაბებით თითქმის მილიონ კაცს მოიცავს, ეს უკვე რევოლუციის ტოლფასია – **ამრიგად, XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში ქართულ სოფელში განხორციელდა აგრარული რევოლუცია, როცა სახელმწიფო მიწის უზარმაზარი ოდენობა გადავიდა კერძო მესაკუთრეთა ხელში, ანუ მიწა, რომელიც ადრე კონცენტრირებული იყო, ის დაიქსაქსა.**

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები ცალსახად მიესალმებიან ქართულ სოფელში განხორციელებულ ამ რევოლუციურ ღონისძიებებს, ისინი ხაზს უსვამენ სერიოზულ ნაკლოვანებებსაც, რამაც, ჩვენი აზრით, შემდგომ საქართველოს სოფელში უფრო ღრმა ნეგატიური შედეგები მოიტანა.

ექსპერტები პირველ რიგში ყურადღებას აქცევენ რეფორმების იურიდიულ მხარეს და აქცენტს აკეთებენ სერიოზულ იურიდიულ დარღვევებზე – როგორც ჩანს, აქტები ნოტარიულად არ მტკიცდებოდა, გლეხებს არ ჰქონდა ნაკვეთის გეგმა, მიღება-ჩაბარების აქტები მხოლოდ მიწამიღებული გლეხების 15-20 პროცენტმა ჩაიბარა.

ძალიან სერიოზულ ბრალდებად ჩანს შემდეგიც – „ხშირად ვხვდებით უკანონო მიტაცებული მიწების შემთხვევებს... მოსახლეობას მიტაცებული აქვს მიწები... ზოგ შემთხვევაში ამის მიზეზია მოსახლეობის მიერ დადგენილების იგნორირება, სოფლის კომისიების მიერ დადგენილების პირობების დარღვევა და ა.შ ხდებოდა ოჯახების ხელოვნური დაყოფა მეტი მიწების მიღების მიზნით“ (სსმს არქივი, დამატება, აღ.1.საქმე 14, 26)). საყურადღებოა დასკვნაც – „არაოფიციალურად მიწის დაკავება ჯერ კიდევ სსრკ დაშლამდე, 1991 წლიდან დაიწყო, სანამ რაიმე კანონს მიიღებდნენ“.

ამრიგად, უცხოელი ექსპერტები არ მალავენ, რომ ქართულ სოფელში განხორციელდა მიწის გადანაწილების უარესი სცენარი – დატაცება-მიტაცება. ეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც საქართველოში საკმაოდ მასობრივი და მძლავრი იყო, თავის უარყოფით სოციალურ შედეგებს შედარებით მოგვიანებით გამოავლენს. მიგვაჩნია, რომ ასეთი ძალადობრივი ქმედებების გარკვეულ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ანტიკომუნისტუ-

რი ოპოზიციის მხრიდან საბჭოთა სოფელში დამკვიდრებული აგრარული სისტემის მკვეთრად უარყოფითი კრიტიკა, რამაც ადამიანები ფსიქოლოგიურად განაწყო იმის რადიკალური, ანუ რევოლუციური მეთოდით შეცვლისაკენ, რაც 70 წლის მანძილზე დამკვიდრდა ქართულ სოფელში.

ასევე სახეზეა ევროექსპერტების მხრიდან საქართველოში განხორციელებული რეფორმის სხვა, უფრო სიღრმისეული კრიტიკაც – „სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაურიგდათ 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი არსებულთან ჩათვლით (იგულისხმება საკარმიდამო ნაკვეთები – ა.დ.), ეს მცირე ზომის ნაკვეთები გადარჩენის საშუალებას წარმოადგენენ. კაპიტალის დასაგროვებლად მათ მეტი მიწები დასჭირდებათ, ანდა იძულებული გახდებიან სხვა სამსახური იშოვონ. **ერთადერთი გამოსავალია ფერმერთა ასოციაციის შექმნა** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ) (სსმს არქივი, დამატება, აღ.1.საქმე 1, 1.).

აშკარაა, რომ საქართველოში რეფორმისთვის დაწესებული ზღვრული ნორმა მიზერული იყო, ის კაპიტალისტური აგრარული ურთიერთობებს ქართულ სფელში ვერ განავითარებდა, ერთადერთი გზა – „მიწის ამოძრავება“, ანუ მიწის კონცენტრაცია, თავისუფალი მიწის ბაზრის ფორმირება იყო, რომელიც უზრუნველყოფდა სოფლის მცხოვრებლების აქტიურ ნაწილის ხელში მიწის ფონდის საკმაოდ დიდი რაოდენობის თავმოყრას. მაგრამ სამოქალაქო ომისა და ფინანსური კოლაფსის პირობებში, საზღვარგარეთული ინვესტიციების არარსებობის გამო, ქართულ სოფელში ყველაფერი მეტად მდორედ მიდიოდა, შედეგები არ ჩანდა. ფერმერთა კლასის შექმნა, ქართველი გლეხის გარდაქმნა ამერიკელ ფერმერად – ესეც ურთულესი ამოცანა აღმოჩნდა. თუ ჩვენ ექსპერტების ჩამონათვალში დასახელებულ „მეურნეობებს, რომლებიც გლეხურ მეურნეობებად გადაკეთდნენ“, ფერმერულად ჩავთვლით, გამოდის რომ 1995 წლისათვის მთლიანად საქართველოში ასეთი მეურნეობა მხოლოდ 8 ერთეული შექმნილა, რაც ანგარიშში ჩასათვლელი არც არის (ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ შემთხვევაში საზღვარგარეთელმა ექსპერტმა „გლეხურ მეურნეობაში“ არ იგულიხმა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა საბჭოთა გაგებით, რაც მასობრივად არსებობდა და დღესაც არსებობს საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის კახეთშიც), მათ იგულისხმეს მეურნეობის ის ფორმა, რომელიც თავისი შინაარსით ამერიკულს უახლოვდებოდა.

ექსპერტების კრიტიკას იმსახურებდა საქართველოს მთავრობის ის გადაწყვეტილებაც, რომლის თანახმად მიწები დაურიგდა სოფლის ინტელიგენციას (მასწავლებლებს, ექიმებს, სოფლიდან წასულ მოსახლეობას). ჩვენც ვფიქროთ, რომ ეს აშკარად მიწის განიავება იყო, რამაც ძალიან მალე თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო.

მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ექსპერტების მიერ ჩამოთვლილი ის პრობლემები, რომლებიც აფერხებდნენ ქართული ეკონომიკის, მათ შორის, სოფლის მეურნეობის განვითარებას და საჭიროებდნენ სწრაფად გამოსწორებას. ესენია:

– ენერგეტიკული კრიზისი;

– ეკონომიკური აქტივიზაციის შენელება;

– ინფლაციის აღმავლობა და მსყიდველობითი უნარის დაკარგვა;

– უმეტესი სახელმწიფო და კომერციული ფირმების მოღვაწეობის შესუსტება ან შეწყვეტა.

– სამეურნეო რესურსების ნაკლებობა;

– საბაზრო ციკლის დეზორგანიზაცია;

– სასოფლო სამეურნეო წარმოების დაცემა რაოდენობრივად და ხარისხობრივად;

– ცხოველების საერთო რაოდენობისა და მეცხოველეობის პროდუქციის შემცირება;

– ინტერესის შესუსტება სტრუქტურული ცვლილებებისა და სასოფლო სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პრივატიზაციისადმი;

– ნელი პროგრესი პრივატიზაციის პროცესის კანონმდებლობის უქონლობის პირობებში (სსმს არქივი, დამატება, აღ.1. საქმე 3, 5).

წარმოდგენილი ჩამონათვალი ფაქტობრივად სრულად ასახავს საქართველოს სოფელში XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში შექმნილ ვითარებას. გარეშე თვალი კარგად აფიქსირებს ყველა იმ ხარვეზს, რაც საქართველოს ხელისუფლებამ სხვადასხვა მიზეზით დაუშვა და დიდხანს ვერ გამოასწორა. აშკარაა, რომ ამ მიზეზების აღმოფხვრის გარეშე ნორმალური სამეურნეო ციკლი ქართულ სოფელში ვერ აღდგებოდა.

მაგრამ ამ ჩამონათვალში მაინც გამოვყოფდით ერთს – „ინტერესის შესუსტება სტრუქტურული ცვლილებებისა და სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პრივატიზაციისადმი“. ეს გულისხმობს სუბიექტური ფაქტორის მოდუნებას, კერძო ინიციატივის პასიურობას სწორედ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საკითხებში. ამ პროცესის რეალიზაცია ძალდატანების იმ ფორმებით, როგორსაც ადგილი ჰქონდა კოლექტივიზაციის დროს, ახალ, დემოკრატიული სახელმწიფოს მაშენებელ საქართველოში, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, აქედან გამომდინარე პროცესი თვითდინებაზე მიშვებული და ნაკლებად შედეგიანი აღმოჩდა. საჭირო იყო ამ პროცესის გამოცოცხლება და გლეხის აქტიური ჩაბმა ამ პროცესში. ეს შეეძლო სოფლად კაპიტალიზმის ჭეშმარიტ და არა ფსევდო განვითარებას. ამისათვს, როგორც ჩანს XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში არც პოლიტიკური ნება და არც ჭეშმარიტი სურვილები საქართველოს მმართველ ძალას, როგორც დავინახეთ, არა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, უცხოელ ექსპერტებს ჩამოყალიბებული აქვთ კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც წარედგინა ჯერ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ხოლო შემდეგ მთავრობასა და პარლამენტს.

ეს პროგრამა რიგი აუცილებელი ღონისძიების გატარებას ვარაუდობდა, რომ სოფელი სტაგნაციიდან გამოეყვანათ:

– მიწის ფონდის განაწილება–რესტრუქტურიზაცია;

– საწარმოო სისტემების და საფირმო მოდელების რეაბილიტაცია;

– აგრარულ-ინდუსტრიული წარმოების რეაბილიტაცია;

– ბოსტნეულის წარმოების მოდერნიზება და აღორძინება;

– მეცხოველეობის წარმოების მოდერნიზება და აღორძინება;

– სასოფლო-სამეურნეო პროდექციის ბაზრების და განაწილების მოდერნიზება;

– საირიგაციო ფართობების სადრენაჟო სისტემების განახლება;

– პროფესიული, ტექნიკური და უმაღლესი სასწავლებლების რეფორმა;

– ბენუბრივი რესურსების დაზოგვა (სსმს არქივი, დამატება, აღ.1. საქმე 6, 1).

ეს პროგრამა, აშკარად, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის აგრარული მეცნიერების საუკეთესო გამოცდილებით არის ნაკარნახევი და, ყველა შესაძლო პირობების გათვალისწინებით, უნდა გამოეწვია სოფლის რეაბილიტაცია-აღორძინება.

უფრო მეტიც, ექსპერტები პირდებოდნენ საქართველოს მთავრობას, რომ მათი პროგრამის რეალიზების შედეგად საქართველოში 2003 წლისათვის მოხდებოდა რადიკალური ცვლილება სოფლის მეურნეობაში, რაც კონკრეტულ მაჩვენებლებზე აისახებოდა – მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა გაიზრდებოდა 650 ათასამდე, ცხვრისა და თხის – მილიონამდე, ღორის – 100 000 სულამდე, ფრინველის რაოდენობა გახდებოდა 13 მილიონი. ეს, როგორც მაშინ ამბობდნენ მეტად „ამბიციური“ პროექტი იყო.

ექსპერტების პროგრამაში საოცრად ჰარმონიულად არის შეხამებული წარმოება და მოხმარება. ერთი მთლიანი პროცესის ეს ორი პარამეტრი, მათი აზრით, საქართველოში ჰარმონიულად უნდა განვითარებულიყო – ასეა მათ პროექტებშიც, და ასე კეთდებოდა დასავლეთის ქვეყნების აგრარულ პრაქტიკაშიც. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, მისი რიალიზება ერთიან, მონოლითურ სისტემად უნდა გადაქცეულიყო. საქართველოს აგრარული სექტორი, რომელიც ქვეყნის გეოგრაფიულ-კლიმატური თავისებურებების გამო, ახერხებდა სეზონზე რიგი სასოფლო-სამეურენეო პროდუქციის რამდენიმე მოსავლის მიღებას, უდავოდ თეორიაშიც და პრაქტიკაშიც ჭარბი პროდუქციის მიმღები იქნებოდა, რაც ლოგიკურად ამ პროდუქტის შენახვა-გადამუშავებას გულისხმობდა. საბჭოთა რეჟიმის არსეობის პირობებში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების მთელი განტოტვილი სისტემა არსებობდა – თითქმის ყველა რაიონში ერთი დიდი საკონსერვო ქარხანა მაინც ფუნქციონირებდა. მართალია, მათ მიერ წარმოებული პროდუქცია, შესაფუთი ტარა, საკონსერვო

მრეწველობაში გამოყენებული მასალისა და მოწყობილობების ხარისხი დაბალი იყო, მაგრამ საქართველო საბჭოთა და საზღვარგარეთელ მომხმარებელს ასობით მილიონი ქილა ხილისა თუ ბოსტნეულის კონსერვს აწვდიდა.

ეკონომიკური კოლაფსის გამო მათი შესაძლებლობები მკეთად შემცირდა. მათზე ექსპერტებს აქვთ თავისი დასკვნა: „ყველა არსებული ქარხანა (დაახლოებით 60 პროცენტი) აგებული იყო 1920-1960 წლებში. ძველი ქარხნები უმოქმედოა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ შემთხვევაში მოხდა მათი რეკონსტრუქცია და აღდგენა. ჩატარებული რეკონსტრუქცია არ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.შედარებით ასატანია ქარხნების 30-35 პროცენტი“.ექსპერტები ურჩევდნენ საქართველოს ხელისუფლებას – „მოხდეს მოკლე ვადებში აღდგენა კარგ მდგომარეობაში მყოფი ხაზების, სათადარიგო ნაწილების შესყიდვა და შედარებით თანამედროვე საქარხნო მოწყობილობების აღდგენა“ (სსმს არქივი, დამატება, აღ.1.საქმე 29, 16).

სრულიად მისაღები რჩევაა – საქართველოს სოფლის ასაღორძინებლად პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის ტევადი ბაზრის შექმნა იყო საჭირო. ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია – ვაშლი, ატამი, ქლიავი და ა.შ., კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი და ა.შ., ყურძენი, ციტრუსი, ჩაი და ა.შ. მხოლოდ მაშინ იქნებოდა ქვეყნისთვის დოვლათის მომტანი, როცა მოხდებოდა მათი მაქსიმალურად უდანაკარგო გადამუშავება და მივიდოდა მომხმარებლამდე.

ჩვენთვის განსაკუთრებით ღირებულია ის შეფასება, რაც შეგვხვდა ერთ-ერთ ანგარიშში და მიგვაჩნია განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად: „დღეს სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სოციალისტურ წყობილების დროს. ბუნებრივი პირობებით (განსაკუთრებით ეს შეეხება მის კლიმატურ პირობებს) განპირობებული უპირატესობა, რაც საქართველოს გააჩნდა სხვა ქვეყნებთან შედარებით, კვლავაც არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც აადვილებს ვაჭრობას მთელი მსოფლიოს სხვადასხვა სავაჭრო პარტნიორთან, ისინი შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია“ (სსმს არქივი, დამატება, აღ.1.საქმე 29, 16).

ასევე მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ექსპერტების შემდეგი აღიარებაც: „საქართველო ვერ დაიბრუნებს ძველ პოზიციებს თუ ვერ შეძლებს დაკარგული ბაზრების დაბრუნებას და ამავე დროს ახალ ბაზრებზე დამკვიდრებას“.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ექსპერტების მხრიდან იმ უცილობელი ფაქტის კონსტატაციასთან, რისი აღიარებაც ძალიან უჭირს ზოგიერთ ქართველ მეცნიერს – ქართველი ერის კონსოლიდაციის სტალინ-ბერიასეული გეგმა, რომელიც 1931 წლიდან იღებს სათავეს, გულისხმობდა სწორედ საქართველოს ბუნებრივი უნიკალური პირობების მაქსიმალურად სასარგებლო გამოყენებას ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით. გამორჩეული გეო-კლიმატური პირობები ჩაკეტილი საზოგა-

დოების ფარგლებში უზრუნველყოფდა სტაბილურ ბაზარს, უწყვეტ რესურსებს, გარანტირებულ მოგებას. რა თქმა უნდა, ეს ასევე იყო ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვისაც: შუა აზიაში ამას განაპირობებდა – ბამბა, აზერბაიჯანში – ნავთობი და ა.შ.

სწორედ ამ უნიკალობამ, ამ გამორჩეულობამ უზრუნველყო ქართული სოფლის მნიშვნელოვანი წინსვლა XX საუკუნის 50-80-იან წლებში, რაც განსაკუთრებით საცნაური იყო ქართული სოფლის იერსახის ცვლილებაში. მაგრამ იგივე ამ გამორჩეულმა თავისებურებამ და საბჭოთა ტოტალიტარული სისტემაში მჭიდრო ჩართულობამ, იმან, რომ ბაზრები ადვილად ხელმისაწვდომი იყო და ნებისმიერი ხარისხის პროდუქცია გეგმიური ეკონომიკის პირობებში გაუსაღებელი არ რჩებოდა – უზრუნველყო უკვე სოციალიზმის კრიზისის პირობებში, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ხარისხის მნიშვნელოვანი ვარდნა, რამაც სერიოზული ჩრდილი მიაყენა საქართველოს სოფლის-მეურნეობის ტრადიციულ პროდუქციას, განსაკუთრებით კი მეღვინეობას.

ის, რომ საზღვარგარეთელი ექსპერტები ამ ფენომენს ხედავენ და წინ სწევენ, მიანიშნებს, რომ მათ შეამჩნიეს საქართველოს სოფელში ათწლეულობის მანძილზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და გამოკვეთეს ძირითადი მახასიათებლები.

საყურადღებოა ის კონკრეტული ამოცანები, რომლებსაც საზღვარგარეთელი ექსპერტები აყენებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე: 1. ადრინდელი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის სრული უარყოფა; 2. მიზანმიმართული მუშაობა სურსათით უკეთესად თვითდაკმაყოფილებისათვის.

ამ უკანასკნელი ამოცანის რეალიზება საკმაოდ რთულ ორგანიზაციულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული და ექსპერტები ამ საქმიანობის შინაარსს დარგების მიხედვით აყალიბებდნენ.

მესაქონლეობის დარგი: საკვები ბაზის გაძლიერება. მცოხნავი პირუტყვის საკვებად კონცენტრატებისა და მარცვლეულის მასიური გამოყენება (შემოდის უკრაინიდან და ბელორუსიიდან) უნდა ჩაითვალოს როგორც ეკონომიკური, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით შეცდომად. საქართველოში არსებული პირუტყვი პოლიგასტრულია და ამიტომაც ის 80-90% უნდა იკვებებოდეს ბუნებრივ საძოვრებზე კულტივირებული ფურაჟის ხარჯზე. უნდა მოხდეს ძირითადი საკვები პროდუქტების შიდა წარმოების ზრდა. საჭიროა საფურაჟე პროდუქციის უფრო მაღალი ხარისხი, რაც ხელს შეუწყობს ყოველგვარი პირუტყვის მოშენებას.

მრავალწლიანი კულტურები: – ვენახების, ბაღების, ჩაის პლანტაციების დაახლოებით 35% გაშენებულია მარგინალურ ზონებში, სადაც ნიადაგი უვარგისია, კლიმატი და ეკოლოგია შეუფერებელი. ამიტომაც აქ მოსავალი მუდამ დაბალია და მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით წამგებიანია. პლანტაციების დიდი ნაწილი ცუდ სანიტარულ მდგომარეობაშია, გაშენე-

ბულია 1960 წლამდე, ამდენად, ფიზიოლოგიურად დაბერებულია. პლანტაციების დიდი ნაწილი ამოსაძირკვია და ახლად გასაშენებელი.

ბოსტნეული კულტურები: ეს დარგი დღეს ნელა ვითარდება და განიცდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ საშუალებათა ნაკლებობას: იარაღი, სარწყავი სისტემები, ტრანსპორტი. საჭიროა ამის სწრაფად მოგვარება.

სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრია, რომელიც ძირითად 1945-1960 წლებშია აშენებული, დღეისათვის თითქმის გამოუსადეგარია. სასწრაფად უნდა მოხერხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მოდერნიზება, ამისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფა.

წარმოება და მარკეტინგი უნდა განვითარდეს ისე, რომ მოხდეს მთელი ყურადღების კონცენტრირება „მაღალხარისხოვან“ საექსპორტო პროდუქციაზე, რომელსაც მზარდი ღირებულება ექნება და არ მოითხოვს სავარგულების დიდ ფართობებს. ეს ქვეყანას მისცემს ახალ სარფიან და პოტენციურ ბაზრებზე შეღწევის შესაძლებლობას, ან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრების (რომელიც უკვე დაიკარგა) ხელახალი ათვისებას.

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ თუ მოხერხდებოდა მწარმოებელი მოსახლეობის მოტივაციის სტიმულირება, მათი შრომისადმი დამოკიდებულების (მენტალობის) გარკვეული შეცვლა საქართველოში რეალური შედეგი გამოჩნდებოდა 3-5 წელიწადში. ამასთან ისინი გეგმავდნენ დაახლოეით 10 წლიან გარდამავალ პერიოდსაც, რაც აგრარული რეფორმის სრული ციკლის დასრულებით დაგვირგვინდებოდა.

ჩვენი ყურადღება მიიქცია საზღვარგარეთელი ექსპერტების მხრიდან „გეგმიურობის“, როგორც მეთოდის გამოყენების აუცილებლობამ მეურნეობრიობის საერთო ციკლში. ისინი მიუთითებენ, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ეკონომიკური დაგეგმვა და კონტროლი ცენტრიდან ხორციელდებოდა, რომ საქართველო იყო ეკონომიკური ურთიერდახმარების საბჭოს წევრი ქვეყანა, რომ ყოფილი სოციალისტური სისტემის პირობებში, განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისათვის, ეკონომიკის ნებისმიერი ასპექტი იგეგმებოდა. ექსპერტების ეს აქცენტები იმაზე მიანიშნებს, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა არ გამორიცხავს დაგეგმარების მეთოდს წარმოების სრულ ციკლში და საქართველოშიც დაგეგმარების კაპიტალისტური წესი შეიძლება თავისუფლად ყოფილიყო გამოყენებული.

ექსპერტები ვარაუდოებდნენ, რომ თუ მათი მითითებები დროულად და ხარისხიანად შესრულდებოდა, **ქართული სოფლის თითქმის „უსიცოცხლო სიტუაციაში“** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) **წარმოიშვებოდა სიცოცხლე, აღორძინდებოდა სოფლის მეურნეობა.**

ამრიგად, უცხოელი ექსპერტების აზრით: 1.საბჭოთა საქართველოში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი არ შეესაბამებოდა მაღალგანვითარებული ქვეყნების პარამეტრებს, იყო ზედმეტად ცენტრალიზებული, საქართველოში ამკვიდრებდა არაეკვივალენტურ საქონელბრუნვას;

2. ექსპერტების მიერ გამოვლენილია და შეფასებულია ის ნაკლი და გადაცდომა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ უკვე დაუშვა სოფლად აგრარული რეფორმების განხორციელებისას: სამართლებრივი უწესობა, მიწების დაქსაქსვა, მათი განაწილება სოფლის ინტელიგენციაზე და ა.შ.

3. ექსპერტებმა გამოავლინეს ქართულ სფელში აგრარული რეფორმის დუნედ წარმართვის მიზეზები და დასახეს მათი აუცილებელი გამოსწორების ამოცანები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ამოცანები მაინც თავისი შინაარსით ზოგადი იყო, არ გამომდინარეობდა ქართული სოფლის, ქართველი მეურნის ფსიქოლოგიის, შრომითი კულტურის სიღრმისეული ცოდნიდან;

4. ასევე ზოგადია მათ მიერ შემოთავაზებული სამოქმედო გეგმებიც, რეფორმის კონკრეტული საკითხებით ექსპერტები ინტერესდებიან შედარებით გვიან, XX საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან, როცა მათი ინიციატივით და მხარდაჭერით ქართულ სოფელში იქმნება შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმები;

5. ექსპერტები სთავაზობენ საქართველოს ხელისუფლებას სოფლად განხორციელებული რეფორმის დროს არ გაემიჯნა წარმოება და მოხმარება და ისინი ჰარმონიულად განავითაროს, რადგან ერთი იწვევს მეორეს, ხოლო მეორე აპირობებს პირველს.

6. მეთოდურად სწორი გვეჩვენება და შეესაბამება ქართული სოფლის ისტორიულ განვითარებას საბჭოთა პერიოდის შესახებ ექსპერტების შემდეგი დასკვნა, რომ საქართველოს გამორჩეული აგროპირობები ჩაკეტილ საბჭოთა სციალისტურ სისტემაშიუზრუნველყოფდა საქართველოს სოფლის გამორჩეულ მგომარეობას, რაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, დაიკარგა საბოლოოდ და ვეღარასოდეს ვეღარ აღდგება. **საჭიროა საქართველოს სოფელმა ისწავლოს ცხოვრება და მეურნეობა ახალი, ღია საბაზრო ურთიერთობების პირობებში და დაიბრუნოს უკვე დაკარგული ბაზრები, როგორც საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც.**

§ 4. დემოგრაფიული, სოციალური და ეროვნებათაშორისო ურთიერთობები კახეთში

ახალ, დამოუკიდებელ საქართველოში ყველაზე სერიოზული და ძნელადგადასაჭრელი პრობლემა აღმოჩნდა დემოგრაფიული – მოსახლეობის პერმანენტული კლებამ, მისი გარე და შიდა მიგრაციამ, რაც დამახასიათებელი თავისებურება გახდა უკვე XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და გაგრძელდა XXI საუკუნეშიც, აშკარად გაართულა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო საქართველოდან მასობრივად წავიდნენ: რუსები, ოსები, ბერძნები, ებრაელები და სხვა ეთნოსების წარმომადგენლები. სოციალური პრობლემების

გამო ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთ სამუშაოდ გავიდნენ – ქართველები, სომხები, დაღესტნელები, ჩეჩნები (ქისტები) და ა.შ.

სერიოზულ პრობლემად საქართველოში დღემდე რჩება მოსახლეობის დაბერება, შობადობასთან შედარებით მოსახლეობის სიკვდილიანობის წინსწრაფი ზრდა. 2000 წელს, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში დეპოპულაცია დაიწყო, თუმცა გარკვეულ პერიოდში ეს პროცესი შეჩერდა.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ თავისი ასახვა კახეთის რეგიონზეც ჰპოვა და დემოგრაფიული პრობლემები აქაც სერიოზულად გაართულა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტოტალურმა გაუქმებამ, ადგილობრივი საწარმოო ობიექტების ძარცვამ და განადგურებამ, ადამიანები სოფელში საკუთარი „საკარმიდამო მამულის“ ამარა დატოვა, რომელიც ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში, უკვე კოლმეურნეობების ლიკვიდაციის პირობებში, საკარმიდამო მამულში მუშაობა უკვე აღარ იყო ისეთი ეფექტიანი, როგორც საბჭოთა პერიოდში და კახეთის სოფლის მოსახლეობაც დაიძრა თბილისისაკენ, ახლო და შორეული საზღვარგარეთისაკენ. სწორედ ამის გამო კახეთში მოსახლეობა კატასტროფულად შემცირდა: თუ XX საუკუნის 80-იან წლებში კახეთში მოსახლეობდა 427,8 ათასი კაცი, 2002 წლის აღწერით კახეთში დარჩა მხოლოდ 322 355 კაცი, ხოლო 2017 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 317,5 ათასი კაცი.

დემოგრაფიული პრობლემები კახეთის ყველა რაიონს გაუჩნდა. კახეთიდან მოსახლეობის გადინებამ დაახლოებით 25 პროცენტი შეადგინა. სხვადასხვა რაიონში ეს მაჩვენებელიც სხვადასხვა ჩანს. ძალიან ბევრი მოსახლეობა „დაკარგეს“ თელავის (33,6%), დედოფლის წყაროს (34,7%), ყვარლის (32,0%), სიღნაღის (29,3%) რაიონებმა. ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს, პირველ რიგში, ამ რაიონებში მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობის მასშტაბური გასვლა საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, რაც საქართველოში იმჟამად შექმნილი უაღრესად რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით უნდა აიხსნას და, მეორე, კახეთის რეგიონში მასობრივად დახურული, გაძარცული და განადგურებული ფაბრიკებისა და ქარხნების გამოც – გამონთავისუფლებულმა მუშა-მოსამსახურეებმა მასობრივად მიატოვეს კახეთის რეგიონი და თავის გადასარჩენად თბილისსა და ქვეყნის სხვა ქალაქებს მიაშურეს.

შედარებით ნაკლებად „დაზარალდა“ საგარეჯოს რაიონი (13,7%), რაც თბილისთან მისი სიახლოვით უნდა აიხსნას: ადგილობრივ მოსახლეობას არ ჭირდებოდა მუდმივად საცხოვრებლად თბილისში გადასვლა, ისინი თბილისში მუშაობას თავის საცხოვრებელი ბინიდანაც კარგად ახერხებდნენ.

24,1 პროცენტით შემცირდა ახმეტის რაიონის მოსახლეობა, რაც დაახლოებით 10 530 კაცია. რაიონში დემოგრაფიული პრობლემები საბჭოთა პერიოდშიც სერიოზული იდგა – პერმანენტულად იცლებოდა მთის სოფლები, მოსახლეობა მასობრივად ჩამოვიდა ბარში საცხოვრებლად. 40-50-იან

წლებში საბჭოთა სახელმწიფოს ჰქონდა ამბიცია მთის მოსახლეობა ქალაქებში ჩამოესახლებინა, შეექმნა მათთვის „უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები“ და ამ სოციალურ პროექტს აქტიურად ახორციელებდა კიდეც. ასე ჩამოასახლეს ბარში, მაგალითად თუშები. თუმცა ამ ეთნოგრაფიულმა ჯგუფმა შეინარჩუნეს „ორმისამართიანობა“ და ზაფხულში კვლავ თავის მშობლიურ კუთხეს – მთის ციცაბო კალთებს უბრუნდებოდნენ და უბრუნდებიან დღესაც.

XX საუკუნის 90-იან წლებში ტლანქად და ნაჩქარევად ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ კიდევ უფრო გააძლიერა დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავე. ეს პროცესი უშუალოდ კახეთის სოფლებზეც მწვავენდ აისახა – სოფლებში მკვეთრად შემცირადა მოსახლეობა, კახეთში გაჩნდნენ გავერანებული სოფლები, სადაც უკვე არავინ ცხოვრობს: თელავის რაიონში ასეთი იყო 6, ახმეტის რაიონში – 4, საგარეჯოს რაიონში – 2.

გაიზარდა იმ სოფლების რაოდენობა, სადაც 10 და ნაკლები კაცი ცხოვრობს: თელავში ასეთი სოფელი არის 7, ახმეტაში – 5, საგარეჯოში – 1.

მიუხედავად დემოგრაფიული პრობლემებისა, კახეთის რეგიონში მაინც არის 8 სოფელი, რომლის მოსახლეობა უტოლდება 5000 სულს (...აღწერის ძირითადი შედეგები, 2003, 89-111).

ყველაზე დრამატული დემოგრაფიული პრობლემა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ბოლომდე გაუაზრებელი აგრარული რეფორმის შედეგად უკვე 1992 წლიდან დაიწყეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კომლებზე გადანაწილება. საქართველოს საზოგადოებრივი აზრის, განსაკუთრებით ინტელიგენციის რადიკალური ნაწილის პროპაგანდის შედეგად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების გადანაწილება, მისი კერძო საკუთრებად გარდაქმნა გამოცხადდა სოფლის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში წარმატების პანაცეად. ამიტომაც ამ პროცესს ახალი საქართველოს სახელმწიფოს ჩინოსნები განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ. სწორედ მათი ინტენსიური ჩარევით, მაგალითად, დანაწილდა წინანდლის საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებაში მყოფი 4 278 ჰა მიწის საერთო მოცულობა, 2 254 ჰა სავარგული, 575 ჰა სახნავი ფართობი, 935,4 ჰა მსხმოიარე ვენახი, 426 ჰა ახალჩაყრილი ვაზი, 66 ჰა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები. ამ მილიონიანი, მეტად წარმატებული საბჭოთა მეუნეობის სავარგულები გადაუნაწილეს სოფლის გლეხურ კომლებს, სოფლის ინტელიგენციასა და სხვადასხვა დროს სოფლიდან ქალაქად საცხოვრებლად გადასულ ადამიანებს (თუ მათ ამის სურვილი ჰქონდათ). უზარმაზარი ფართობები დაქუცმაცდა, საჭირო გახდა მიწათმოწყობის ახალი სამუშაოების ჩატარება, ახალი, გამყოფი მიჯნების შექმნა, მისასვლელი გზების ორგანიზება და ა.შ. **ფაქტობრივად მიწა დაიქსაქსა**.

ასეთივე სქემით დაინაწილეს სოფლის ადგილობრივმა მოსახლეობამ ახმეტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის 876 ჰა მრავალწლიანი ნარგავების

ფართობები, 757 ჰექტარი ვენახი, 57,5 ჰექტარი ხეხილის ბაღი; ქვემო ალვანის მეცხოველეობის საჯიშე მეურნეობის სარგებლობაში მყოფი 48 534 ჰექტარი მიწა, მათ შორის 35 667 ჰექტარი სავარგული, 3 423 ჰექტარი სახნავი, 69 ჰექტარი – ნასვენი, 26 ჰექტარი სათიბი, 31 614 ჰექტარი საძოვრები. ანალოგიურად დაქუცმაცდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეუნეობების სავარგულები კახეთის ყველა სოფელში.

დღეს მეცნიერთა ინტერესს იწვევს პასუხი კითხვაზე – ნუთუ **ასეთი უზარმაზარი ქონების ტოტალური დაქუცმაცება შედიოდა ქართული სოფლის სამეურნეო ინტერესებში, ნუთუ ადგილობრივად, სოფლის მცხოვრებლებს შორის არავის დაებადა მოსაზრება საკოლმეურნეო ქონების შენარჩუნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების (განსაკუთრებით წარმატებული და ორგანიზებული მეურნეობებების) კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ გარდაქმნის შესახებ?**

ჩვენ ეს საკითხი შევისწავლეთ თელავის რაიონის სოფელ გულგულას მაგალითზე, რადგან თელავის რეგიონალურ არქივში აღმოჩნდა საინტერესო დოკუმენტური მასალა, რაც იძლევა ზემოთაღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზის ადგილობრივი თავისებურების დადგენის შესაძლებლობას. ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით მსგავსი სცენარით განვითარდა მიწების გადანაწილების პროცესი პოსტსაბჭოთა საქართველოში.

რეფორმის საკითხი სოფელში განიხილეს 1992 წლის 9 აპრილს. სოფლის ყრილობას ესწრებოდა 390 კაცი. ფაქტობრივად, სოფლელების შეკრება მოხდა მთავრობის მიერ მიწის პრივატიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან ძალიან მალე. არსებობს ყრილობის სტენოგრამა, სადაც დაფიქსირებულია გლეხების გუნება-განწყობილებები. არცერთ გლეხს არ დაუყენებია საკითხი საბჭოთა მეურნეობის შენარჩუნებისა და მისი კაპიტალისტურ საწარმოდ გარდაქმნის შესახებ. ყველას აღელვებდა სხვა საკითხი – როდის დაენაწილებინათ მეურნეობის მიწები: მოსავლის აღებამდე თუ მოსავლის აღების შემდეგ. მიწის რეფორმის ადგილობრივად გამტარებელი კომისიის თავმჯდომარემ ყრილობას წარუდგინა კომისიის პროექტი: სოფლის მოსახლეობას უკვე ჰქონდა მიწის გარკვეული ოდენობა (ე.წ. „საკარმიდამო მამულები“) – 129,52 ჰა. სახელმწიფოს მიერ დაწესებული კვეტების შესავსებად საჭირო იყო დამატებით 242,91 ჰა მეურნეობის მიწა. ასევე ივარაუდებოდა სარეზერვო მიწის ფონდის შექმნა – 80 ჰა, ბინების ასაშენებლად გამოიყო 30 ჰა და ა.შ.

სიტყვით გამოსულმა გლეხებმა, ჩემი აზრით, რამდენიმე საჭირბოროტო საკითხი დააყენეს: ერთ-ერთმა გლეხმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კოლმეურნეობის ორგანიზაციის დროს მისმა ოჯახმა კოლმეურნეობაში შეიტანა 5 ჰექტარი მიწა, 8 სული მსხვილფეხა საქონელი. ახლა მას სახელმწიფო უბრუნებს მხოლოდ 1 ჰექტარს და ამასაც სამადლოდ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, აღ. 3ა,ს., 9). აშკარაა, რომ ამ კონკრეტული გლეხის მსგავსი მდგომარეობა მთლიანად საქართველოსთვის იქნებოდა დამახასიათებელი და ასეთი კატეგორიის გლეხებს, უდავოდ, დარჩებო-

დათ როგორც უკმარისობის, ისე მათ მიმართ განხორციელებული უსამართლობის გრძნობა.

გულგულელი გლეხობის უმრავლესობა სოფლის ყრილობაზე მოითხოვდა მიწის დაუყოვნებლივ გადანაწილებას, შემდეგი მოტივით: „მიწა ეკუთვნის გლეხს, რაც მალე გახდება გლეხი მიწის პატრონი, მით უფრო მალე მოაწყობს უკეთ“. ამ თვალსაზრისის უსუსურობა და მავნეობა სოფლისათვის, მთლიანად საქართველოსათვის, ძალიან მალე გახდება აშკარა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

ყრილობაზე მყოფმა სოფლის ინტელიგენციამ (მასწავლებლები, ექიმ-ექთნები და ა.შ.) კომისიისაგან მოითხოვა სრული თანასწორობა მიწების განაწილების დროს.

ყრილობამ მიიღო შემდეგი დადგენილება: „მიწის განაწილება დაიწყოს მიწის რეფორმის კომისიის მიერ წარდგენილი საბუთების დამტკიცებისთანავე“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, აღ. 3ა, ს. 1, 10). მიწის ფართობის მაძიებლები დაიყო 4 კატეგორიად. პირველ კატეგორიას მიწა მიეცათ 1 ჰექტარი (საკარმიდამო მამულითურთ), სხვა კატეგორიებს მიეცა 0,75 ჰა, ქალაქში მომუშავე თანასოფლელებს – 0, 25 ჰა, სოფლიდან წასულ პირებს, რომელთაც სოფელთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდათ, მიეცათ 0,15 ჰა. სახლის ასაშენებლად გამოიყო საშუალოდ 0,15 ჰა.

მიგვაჩნია, რომ სწორედ ზემოთგანხილულ ქმედებაშია ერთ-ერთი მიზეზი ქართული სოფლის ასეთი ტოტალური გავერანების, რაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდა – მოხდა მიწების ტოტალური დაქუცმაცებულობა პატარა ნადელებად, რაც არანაირად არ შეესაბამება კაპიტალიზმის ეკონომიკურ კანონებს და ეს ვერასოდეს გამოიწვდა მაღალნაყოფიერ შრომას. პირიქით, კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში (თუნდაც XIX საუკუნის საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე) მიწების კონცენტრაციასა და მათ ცენტრალიზაციას გულისხმობს: კაპიტალიზმს ჭირდება დიდი მამულები, დიდი პროექტები, დიდი ფინანსური სახსრები. ჩვენი ვარაუდით, საერთოდ არ უნდა მისცემოდათ მიწები სოფლის ინტელიგენციასა და სოფლიდან საცხოვრებლად ქალაქში გადასული მოსახლეობის შთამომავლებს – ეს ხომ კიდევ უფრო აქუცმაცებდა პატარა ნადელებად უკვე ისედაც დაქუცმაცებულ მიწებს. მით უფრო, რომ ბევრმა მათგანმა თავი ვერ მოაბა სოფლის მეურნეობას ამ პატარა მამულში და ძალიან მალე გაყიდა კიდეც. ჩვენი აზრით, ფაქტობრივად საქართველოს სოფელში უკვე იმჟამად **მიწა გავერანდა**.

პირველი ეიფორიის გასვლისთანავე, ძალიან მალე აღმოჩნდა, რომ გულგულელი გლეხები შეცდნენ – ამაზე მიუთითებს უკვე 1992 წლის 2 ნოემბერს სოფლის გლეხობის ერთი ჯგუფის მიერ თელავის რაიონის გამგებლის მისამართით დაწერილი საჩივარი, რომელშიც ხაზგასმულია „სოფლად ჩატარებული რეფორმის დროს დარღვევებისა და დატაცების ფაქტები“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ.25, აღ.3მ, ს.1, 3).

გულგულელები საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ბრალად უყენებდნენ რეფორმის უკანონოდ ჩატარებას, საკუთარი ინტერესების ლობირებას, მეურნეობის ქონების დატაცებას და ა.შ. და ა.შ.

უნდა აღინიშნოს,რომ სოფლის გლეხები საჩივრით მიმართეს ქართული სოფლის ახალი კაპიტალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთ ავტორს პროფ. პ. კოღუაშვილსაც.

დღეს, ზემოთმოტანილი მაგალითის შესახებ უკვე ხმამაღლა საუბრობენ კახეთის რაიონების აგროსამსახურების კვალიფიციური პირებიც, როცა თავის ანგარიშებში ხაზს უსვამენ შემდეგ გარემოებას: „15-20 წლის წინ მიწის პრივატიზაციამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა მემინდვრეობაზე. 10-20-30-40-50 ჰექტარიანი ნაკვეთები განაწილდა 0,25 ჰექტარიდან 1 ჰექტარამდე ნაკვეთებად. მათი გარკვეული ნაწილი მისასვლელმა გზებმა დაიკავა. ბევრისთვის მომგებიანი არ აღმოჩნდა თუნდაც 1 ჰექტარის მოსავლელად 5-10 კილომეტრზე წასვლა“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის..., 2016, 27)

მაგრამ კაპიტალიზაციის გზაზე დამდგარი საქართველო თავისი განვითარების ყველაზე უმძიმეს და ურთულეს ეტაპს – კაპიტალის პირველადი დაგროვების პერიოდს გადიოდა, რაც ყველა ქვეყანაში უაღრესად მწვავედ განხორციელდა და მუდამ იწვევდა სოფლის მოსახლეობის ერთი ჯგუფის გაღატაკებას და მეორე ჯგუფის გამდიდრებას.

საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს კახეთის რიგითი გლეხების საუბარში კარგად ჩანს იმედგაცრუებაც და XX საუკუნის 90-იანი წლების მანძილზე განცდილი სოციალური პრობლემების სიმწვავეც. მაგალითად, სოფელ იყალთოს მაცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ აწყობილ-გამართულ კოლმეურნეობას გლეხი არ დაანგრევდა, *„მაშინ ამ საქმეში ჩაფლული იყო რაიონის ხელმძღვანელობა, მინისტრები, თბილისი“* (დაუშვილი, თელავი, 2016); სოფელ მატანში მთხრობელმა აღნიშნა, რომ სოფელში მცხოვრებლების 80 პროცენტი გაჭირვებულია“ (დაუშვილი, ახმეტა, 2015). საგარეჯოს რაიონის მანავის მცხოვრებმა განაცხადა: *„ძალიან ღარიბია ხალხი, სიღარიბე მეფობს“*; საბჭოთა პერიოდში მილიონერ კოლმეურნეობაში – დედოფლისწყაროს ზემო ქედის კოლმეურნეობის ყოფილმა მშრომელებმა განაცხადეს, რომ *„სოფელში 20-30 წელი სახლი არ აშენებულა, რემონტი არ ჩატარებულა“*; სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის გლეხებმა განაცხადეს, რომ დღეს სოფელში შეძლებულად მხოლოდ 10 პროცენტი თუ ცხოვრობს“ (დაუშვილი, დედოფლისწყარო, 2017)

მეტად საყურადღებოა, რომ სოფელ გულგულაში, სადაც 1992 წელს ჩატარებული სასოფლო ყრილობის მასალები მოვიტანეთ, როგორც ჩანს, მოსახლეობის გუნება-განწყობილება რადიკალურად შეიცვალა. როგორც აღინიშნა, კრიტიკული გამოსვლები რეფორმის წინააღმდეგ მაშინ საერთოდ არ ყოფილა, ყველა გლეხი მეურნეობის მიწების გადანაწილებას უჭერდა მხარს, დღეს კი ასე საუბრობენ: „ჩვენ არავინ გვეკითხებოდა, შე-

იძლება გლეხს უნდოდა შენარჩუნება (იგულისხმება მეურნეობის – ა.დ.), ხალხს ეგონა, რომ ეს სიახლე უკეთესობას მოუტანდა, ყველა ჩვენთვის ვიმუშავებდით, უკეთესი ცხოვრება გვექნებოდა, მაგრამ მოხდა ესე? არა“ (დაუშვილი, თელავი, 2016).

2015-2017 წლებში ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე იკვეთება ქართული სოფლის კონკრეტული სოციალური სტრუქტურა, რაც ჩამოყალიბდა ფაქტობრივად 1992-2016 წლებში: სახეზეა მზარდი და განვითარებადი **ფერმერების ფენა**. ესენი არიან ის ენერგიული ადამიანები, ვინც მეტა-ნაკლებად ალღო აუღო კაპიტალის პირველადი დაგროვების კანონებს, შეძლეს მობილიზება, გარკვეული კაპიტალის დაგროვება და სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის (მემინდვრეობის, მევენახეობის, მესაქონლეობის, მებოსტნეობის და ა.შ.) განვითარება, ბაზართან მჭიდრო კავშირი,სუბსიდიების ან გრანტების მოპოვება და ა.შ. მათ შორის არიან ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებიც, ან მათი შვილები, არიან „ბუნებრივი სელექციით“ შერჩეულებიც – ადგილობრივი მოხერხებული ადამიანები, და არიან „ჩამოსული ბიზნესმენებიც“ – ადამიანები, რომლებმაც ფული სხვა სფეროში, სხვა „ადგილას“ იშოვეს და ის კახეთის აგროსექტორში დააბანდეს. სწორედ მათ მოახერხეს მიწების გარკვეული რაოდენობის შესყიდვა-კონცენტრაცია, მისი კაპიტალისტურ რელსებზე დაყენება, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება, ბაზართან კავშირის დამყარება, სრული საწარმოო ციკლის შექმნა ანუ საწარმოო პროცესის აწყობა. მათი რაოდენობა კახეთის მაგალითით შეიძლება სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 5-10 პროცენტი ვივარაუდოთ.

ძირითადი და განმსაზღვრელი ფენა ქართულ სოფელში – ეს არის **ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა**. დიდი ხნის მანძილზე საზღვარგარეთელი ექსპერტები, და არა მარტო ისინი, მათ „ფერმერებთან“ აიგივებდნენ, თუმცა მოგვიანებით, ქართული სოფლის კანონზომიერებების უკეთ გაცნობის შემდეგ, მათაც დააზუსტეს თავისი შეხედულება – საქართველოს სოფელში ძირითდი და წამყვანი სოციალური ძალა დღეს – **ეს არის ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა** – აშკარად რელიქტიური გადმონაშთი წარსული ეპოქებიდან, რადგან გლეხობის ასეთი კატეგორია ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში აღარ გვხვდება. და სწორედ ეს გარემოება მიუთითებს იმაზეც, რომ საბჭოთა სისტემამ, მიუხედავად თავისი დრაკონული კანონებისა და გლეხობასთან განსაკუთრებით მძიმე დამოკიდებულებისა, ეს სოციალური კლასი **ვერ გააქრო, ვერ გარდაქმნა**.

არ შეიძლება არ გამოვკვეთოთ ის სოციალური ფენაც, რომელიც ადრე არ არსებობდა და ახალი საქართველოს მახასიათებელია. ეს არის კატეგორია მოსახლეობისა, რომელიც სოფლიდან ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოში წავიდა, ქალაქში გაიკეთა კარიერა – გახდა პროფესიონალი: ექიმი, იურისტი, პედაგოგი, უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი, მაგრამ საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმის შედეგად კვლავ დაბ-

რუნდა სოფელში ანუ **„უკანდაბრუნებულები“** – მიიღო გამოყოფილი კუთვნილი მცირე მამული და მასზე ეწევა მეურნეობას, რა თქმა უნდა, ძირითადად ოჯახური საჭიროებისათვის – უმთავრესად როგორც თავისი ოჯახის, ისე დაქირავებული გლეხის (შეიძლება ტრადიციული ტერმინით მას „მოჯამაგირე“ ვუწოდოთ) დახმარებით. ზოგ შემხთხვევაში მათ საქონელი და ფრინველიც შეიძლება ჰყავდეთ, აქვთ ვენახები, ბოსტანი, ხეხილი. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სოფლის ცხოვრებაში, ზაფხულს ატარებენ საკუთარ მამულებში – ეწევიან „ორმისამართიანობას“. მათ მამულებში მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, რა თქმა უნდა, ბევრს ვერაფერს შესძენს საქართველოს განვითარებას – საერთო სტატისტიკას, მაგრამ სოფლისათვის მათ ცოდნას, გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს – ისინი აქტიურად არიან ჩაბმული სოფლის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რჩევებით, კრიტიკული ანალიზით ხელს უწყობენ ადგილობრივ ხელისუფლებას გაამახვილოს ყურადღება სოფლის საჭირბოროტო პრობლემებზე. საველე-ეთნოგრაფილი ექსპედიციის დროს ჩვენ შევხვდით ამ ფენის წარმომადგენლებსაც, გავესაუბრეთ მათ და დავრწმუნდით, რომ ამ სოციალურ კატეგორიას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია თანამედროვე ქართული სოფლის სოცილურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, თუ კი მათ ცოდნასა და გამოცდილებას ადგილებზე სათანადოდ გამოიყენებენ.

არ შეიძლება არ შევეხეთ **სოფლის ახალგაზრდობას** – როგორც მნიშვნელოვან სოციალურ კატეგორიას. თითქმის ყველა რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სოფლად ახალგაზრდობის დასაქმების, მათი ადგილზე დამაგრების და მათი სოციალური განვითარების საკითხები დღეს სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. მოხდა ისე, რომ სოფელში ცხოვრება საინტერესო აღარ არის სოფლის ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილისათვის – ბევრს არ უნდა სოფლის მეურნეობაში მუშაობა: მევენახედ, მებოსტნედ, მეხილედ ან მწყემსად. ასეთ ფსიქოლოგიურ განწყობილებას აპირობებს, როგორც მათი განათლების შედარებით მაღალი ცენზი, ისე დღევანდელ სოფელში სოფლის მეურნეობის წარმოების მეტად დაბალი კულტურა, ძველი – მამაპაპური მეთოდებით შრომა, ქართულ სოფელში ინდუსტრიული შრომის მიღწევების დანერგვის ნაკლებობა. ბევრი მათგანი ქალაქშია დასაქმებული და სოფლად მშობლებს მოვალეობის მოხდის გულისთვის ეხმარება – ისიც მხოლოდ „საკარმიდამო ნაკვეთებში“ მუშაობის დროს. ბევრი საზღვარგარეთ წასვლაზე ფიქრობს, მაგრამ არის გარკვეული კატეგორია სოფლის ახალგაზრდებისა, რომლებსაც აწუხებთ ქართული სოფლის პრობლემები, ურთულესი სოციალური პირობების მიუხედავად, არ აპირებენ სოფლიდან წასვლას და ელოდებიან ისეთ დროებას, როცა სოფლის მშრომელის შრომა დაფასდება. ჩვენ გავესაუბრეთ ხორნაბუჯელ ახალგაზრდებს – 20-23 წლის ბიჭებს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში არიან ჩაბმული და ჯერჯერობით არსად არ აპირებენ წასვლას. ერთ-ერთ ახალგაზრდას აქვს 3 ჰექტარი ხეხილის ბაღი, აღებული აქვს სესხი ბანკში – აქედან გამომდინარე აწუხებს ვალი, რომელიც მისთვის ძალიან მძიმეა, რადგან ბიზნესი მან მხოლოდ დაიწყო და ჯერ კიდევ ბევრი საკითხი აქვს

მოსაგვარებელი. მეორე ახალგაზრდას აქვს მესაქონლეობის მცირე ფერმა, მასაც აწუხებს ბანკის სესხის ხელმიუწვდომლობის პრობლემა. მაგრამ ყველას ერთად – თანამედროვე ქართულ სოფელში კულტურულ-საყოფაცხოვრებო ვითარების საგანგაშო მდგომარეობა: კახეთის ძალიან ბევრ სოფელში აღარ არის კლუბი და კულტურის სახლი, აღარ არის სპორტული დარბაზი, ახალგაზრდრობის თავშეყრისა და გართობის ცენტრები და ა.შ. და ა.შ. ამის გამო ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს გული თბილისისაკენ მიუწევს, ოცნებობენ საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრებაზეც. ეს, ჩვენი აზრით, ძალიან სერიოზული პრობლემაა და მოითხოვს სპეციალურ შესწავლას.

გარკვეულ კატეგორიას ქმნიან **უქონელი, ღარიბი მოსახლეობა**. ესენი არიან სოფლის ის მაცხოვრებლები, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზებით სახელმწიფოსაგან მიღებული მიწები გაყიდეს, მიაყიდეს თავისი „საკარმიდამო მამულებიც“ და დღეს მხოლოდ სახელმწიფოს სოციალურ შემწეობაზე არიან დამოკიდებულნი – სამწუხაროდ, ისინი კახეთის სოფლის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ (ამის შესახებ სპეციალურ ქვეთავში იქნება ქვემოთ საუბარი.

კახეთის რიგ რეგიონში, როგორც ცნობილია, კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი არაქართული ეთნოსის წარმომადგენლები: ჩეჩნები, ოსები, ლეკები, აზერბაიჯანელები. შევეხეთ მათ ცხოვრებას საბჭოთა სინამდვილეში. საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმა, რა თქმა უნდა, მათაც შეეხოთ და მათ ცხოვრებაშიც გარკვეული ცვლილებები შეიტანა.

როგორც სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ, კახეთის რეგიონის 280 სოფლიდან ქართველი ეროვნება ჭარბობს 216 სოფელში, აზერბაიჯანელი – 14 სოფელში, სომეხი – 1 სოფელში, ოსი – 29 სოფელში, ქისტი – 8 სოფელში, რუსი – 2 სოფელში, 4 სოფელში დაფიქსირებულია სხვა ეროვნებების წარმოადგენლებიც. კახეთის მოსახლეობაში არაქართული ეთნოსის წარმომადგენლები ასე გადანაწილდნენ: აზერბაიჯანელები შეადგენენ მოსახლეობის 12 პროცენტს, 2,2 პროცენტია – ქისტი (ჩეჩენი), 1,7 პროცენტი – ოსი, 0,7 პროცენტი – რუსია. რა თქმა უნდა, არის სოფლები შერეული მოსახლეობით, მაგრამ ძირითადად მაინც კახეთში მონონაციონალური სოფლებია. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა სრულ თანასწორობას ეროვნებისა და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად, კახეთის არაქართველმა მოსახლეობამაც ახალ საქართველოში მიიღო როგორც ყველა კონსტიტუციური უფლებები, ასევე დაშლილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სავარგულები იმავე ლიმიტით, რაც დაშვებული იყო ქართველი მოსახლეობისათვის.

კახეთის არაქართველ მოსახლეობას, რა თქმა უნდა, იგივე პრობლემები ჰქონდათ და დღესაც აქვს, რაც ზოგადად საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გააჩნია მშრომელ გლეხს, მაგრამ დამატებით მათ პრობლემებს უქმნის სახელმწიფო ენის – ქართული ენის არცოდნა ან სუსტი ცოდნა, ქართული

კულტურის იგნორირება და ქართულ სახელმწიფოებრიობის შენების პროცესში აქტიური ჩარევისა და თანამონაწილეობის გრძნობის ნაკლებობა.

XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში პრობლემები შეიქმნა პანკისის ხეობაში. ჩეჩენი ხალხის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძარაობის წინააღმდეგ რუსეთის მხედრიონის აგრესიული მოქმედების გამო, ჩეჩნეთში გაჩაღებული გენოციდის ვითარებაში, პანკისის ხეობას ჩეჩენი ლტოლვილების ჯგუფები შემოეხიზნენ. საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით გაღიზიანებული რუსეთი „ჩეჩენი ტერორისტების“ თემას აქტიურად იყენებდა საქართველოსთან ურთიერთობაში, აბრალებდა ქართულ მხარეს „ჩეჩენი ბოევიკების“ მფარველობაში.

ასეთ რთულ ვითარებაში საჭრო იყო ხეობაში შექმნილი ობიექტური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო მდგომარეობის ობიქტური სურათის შესწავლა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნეოდა ოპტიმალური სახელმწიფო პროგრამების შემუშავება. ეს საქმე ქართველი ეთნოლოგი-ქალების ერთმა ჯგუფმა (ხელმძღვანელი პროფ. ლია მელიქიშვილი) აიღო თავის თავზე და შეიმუშავა მწყობრი სისტემა პანკისში სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. სხვათა შორის ჯგუფის კონკრეტულ მეცნიერულ შეთავაზებებში ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი მოსაზრებაც: „დღეს პანკიში ეკონომიკური უზრუნველყოფისათვის საჭიროა ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. პოლიეთნიკური საზოგადოების უსაფრთხოების სტრატეგია, არასტაბული კავკასიის ფონზე, უფრო მეტ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს. კრიზისული მდგომარეობა მთავრობისა და ბიუროკრატიული აპარატისაგან მეტ კომპეტენტურობასა და პროფესიონალიზმს საჭიროებს, რათა გადაწყვეტილებები ხეობაში მოსახლე პოლიეთნიკური საზოგადოების საერთო ინტერესებს, კანონის ფარგლებში მათ სოციალურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას ემსახურებოდეს. სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიის შედეგი უნდა იყოს პოლიეთნიკური ჯგუფების ერთიან ეკონომიკურ ძალად ქცევა, ეკონომიკური ინტეგრირება, ახალი სოციოკულტურული გარემოს შექმნა და საზოგადოების სტაბილურობა“ (ბახია-ოქრუაშვილი, 2002, 202). არაჩვეულებრივი ნათქვამია, დღესაც, ამ ნაშრომის გამოცემიდან 16 წლის გასვლის შემდეგაც, ეს სიტყვები არა მარტო აქტუალურია, არამედ აუცილებლად შესასრულებელიც – ამის გარეშე არ შეიქმნება პოლიეთნიკურ გარემოში სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ფონი.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფალნი ნაკლებად ადევნებენ თვალს სამეცნიერო გამოკვლევებს და დღესაც არა მარტო კახეთში, არამედ სრულიად საქართველოში შეიმჩნევა ეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლეების მიმართ ზერელე დამოკიდებულება, რის გამოც ხდება ეროვნებათაშორისო ურთიერთობის პრობლემების მიფუჩეჩება, მწვავე საკითხების – იგნორირება, არსებულის სასურველად წარმოჩენის ტენდენცია.

ეს კი ქმნის ე.წ. „სახელმწიფოებს სახელმწიფოში“ – უყურადღებოდ დარჩენილი მონოეთნიკური არაქართული სოფლები, სრულიად ახალ სოციო-კულტურულ ვითარებაში, როცა აღარ არსებობს სტალინური „შემაკავშირებელი ღვედები“, ერთიანი იდეოლოგია, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მჭიდროდ ცენტრალიზებული ქსელი, ქმნიან თავის განცალკევებულ სამყაროს, საერთოდ არ აინტერესებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული პროცესები, იზრდება გაუცხოვებისა და უკონტროლობის სინდრომი. ვთვლით, რომ ამის ჩინებული მაგალითია თელავის ახლოს მდებარე სოფელი ყარაჯალა, რომელშიც დაახლოებით 8 270 ათასი კაცი ცხოვრობს და აქედან 99 პროცენტი აზერბაიჯანელია. სავველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს სოფელი მთლიანად მოწყვეტილია საქართველოს სახელმწიფოს – დიდი ხანია დაშლილია საბჭოთა მეურნეობა, რომელიც წარმატებული იყო რაიონში და სახელგანთქმულიც – ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებით.

დღეს, როგორც რესპონდენტებმა გვითხრეს, სოფელს გაუჩნდა უწყვეტი ფინანსური წყარო: ვაჭრობა გახდა სოფლის მცხოვრებლების მთავარი შემოსავალი, რაც მუდამ მზარდია. ეს ვლინდება ჩინებულ ორსართულიან სახლებში, ავტომანქანების სიმრავლეში, სოფლად აშენებელ თანამედროვე სამლოცველოშიც – მდიდრულად მორთულ მეჩეთში.

არაქართველი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრობს ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებშიც, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით და ჯერჯერობით მხოლოდ იგივე პრობლემებით, რაც დამახასიათებელია საქართველოს თანამედროვე სოფლისათვის.

არაქართველი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ვაჭრობით არ არის დაკავებული, ძირითადად ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობაში საქმიანობს.

§ 5. ერთპიროვნებული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა კახეთში

საქართველოში, როცა ფორსირებული ტემპით დაშალეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გლეხობა, რომელსაც ძირითადად 1,25 ჰა მიწა გამოუყვეს და სოფლის მეურნეობის გაძღოლის ურთულესი ამოცანა დააკისრეს, ფაქტობრივად მარტო აღმოჩნდა უამრავ გადაუჭრელ, ყოველწლიურად განმეორებად და ურთულეს პრობლემებთან. ამ არსებული ვითარების წარმოჩენას ჩვენ შევეცდებით კახეთის რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მაგალითზე – განვიხილავთ როგორც მიღწევებს, წარმატებებს, ისე გადაუჭრელ საკითხებს. სწორედ ამ კონკრეტული სოციალური კატეგორიის განვითარების მაგალითზე შევეცდებით ვაჩვენოთ საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების კონკრეტული თავისებურება 1992-2016 წლებში.

კოლმეურნე გლეხი და საბჭოთა მეურნეობის მუშა ერთ დღეში, ახალი საქართველოს ხელისუფლების მიერ მომზადებული დეკრეტით გამოცხადდა მიწის პატარა ნადელის (1.25 ჰა) ფაქტობრივ მესაკუთრედ და სწორედ მათ, საქართველოს საზოგადოების ერთი, რადიკალური ჯგუფის თვალსაზრისით, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, უნდა შეძლებოდათ განევითარებინათ საბაზრო ეკონომიკა, გაეჩინათ ქვეყნისათვის ხვავი და ბარაქა.

ერთ დღეში, დეკრეტის საფუძველზე, კოლმეურნე გლეხები და საბჭოთა მეურნე „მუშები“ გახდნენ „ფერმერები“ – სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ამ ახალ სოციალურ კატეგორიას ქართველი „პროგრესული ეკონომისტები“, ახალი საქართველოს „იდეოლოგები“ და, რა თქმა უნდა, საზღვარაგრეთელი ექსპერტი-აგრარიკოსებიც, რომლებიც XX ს. 90-იანი წლების შუა ხანებიდან საკმაოდ ხშირად უწევდნენ „ექსპერტიზას“ ქართულ სოფელს. მაგრამ, ისიც აღვნიშნეთ, რომ გარკვეული პერიოდიდან საზღვარგარეთელი ექსპერტები ტერმინს „ფერმერი“ – უკვე აღარ ხმარობდნენ საქართველოს სინამდვილეში იმ გლეხების აღსანიშნავად, ვისაც 1,25 ჰა მიწის ფართობი ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების აღრევა და 1,25 ჰა მამულის მქონე გლეხის „ფერმერად“ გამოცხადება საქართველოს ჩინოსნებს აგრარული სექტორიდან XXI საუკუნეშიც გადმოჰყვათ და მათ მიერ შედგენილ ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირ შემთხვევაში წაშლილია ზღვარი „ფერმერსა“ და „ერთპიროვნულ გლეხს“ შორის. მაგალითისთვის მოვიტანთ ყვარლის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მიერ შედეგენილი დოკუმენტიდან ამონარიდს: „ყვარლის მუნიციპალიტეტში დიდია მცირემიწიანი ფერმერთა რაოდენობა, რომლებიც ფლობენ 0,1-1,25 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და მათი ფართობები თითქმის მთლიანად დანაწევრებულია“ (ყვარლის მუნიციპალიტეტის..., 2016, 2). ამრიგად, ყვარლის მუნიციპალიტეტშიც მიჩნიათ, რომ 0,1 – 1,25 ჰექტარის მფლობელი გლეხი არის „ფერმერი“. ერთი გვერდის შემდეგ ვკითხულობთ: „მუნიციპალიტეტში ფერმერთა რაოდენობა შეადგენს 1000-ს, რომელთაც ჰყავს 10 სული მსხვილფეხა და ზევით, 10 სული ღორი და ზევით, 25 ცხვარი და ზევით, 10 ოჯახი ფუტკარი და ზევით, 200 ფრთა ფრინველი და ზევით, სახნავი მიწა 5 ჰა და ზევით...“

ამრიგად, დოკუმენტის შემდგენელი ჩინოსნები იმასაც ადასტურებენ, რომ არის განსხვავება 1,25 ჰა-ის მქონე და 5 ჰექტარი სავარგულს მქონე მწარმოებელს შორის. და რახან არის განსხვავება და ეს განსხვავება კი ძალიან ბევრი ასპექტით ხასიათდება, რა თქმა უნდა, ტერმინიც აუცილებლად განხსვავებული უნდა იყოს ნახმარი.

თუმცა არის გამონაკლისიც, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოს („საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება“) თანამშრომლები ანსხვავებენ საოჯახო და ფერმერულ მეურნეობებს (გურჯაანის მუნიციპალიტეტის..., 2016, 49).

ჩვენ გლეხს, რომელსაც 1,25 ჰექტარი სავარგული აქვს, აღვნიშნავთ ტერმინით – „ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის“ მეპატრონე. მიწის პრივატიზაციისა და მისი გადანაწილების შემდეგ საქართველოს სოფელში ტოტალურად შეიქმნა სწორედ ეს სოციალური კატეგორია. ჩვენი აზრით, გარეგნულად ის ტრადიციულ ქართული სოფლის გლეხს კი ჰგავდა XVIII-XIX საუკუნიდან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას არ ჰყავდა მეპატრონე და მთლიანად თავის და ოჯახის შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული, წარმოებას ეწეოდა მხოლოდ საკუთარი და ოჯახის წევრების დახმარებით, საკუთარი შრომის იარაღების გამოყენებით და იყო საკუთარი, საოჯახო საძროხის მეპატრონე (უკეთეს შემთხვევაში). ამასთან, ქონდა „უხვად მომადლებული“ საბჭოთა ეპოქაში შეძენილი მენტალობაც, აგრარული ურთიერთობების სოციალისტური გამოცდილების „ტვირთი“. და, რა თქმა უნდა, საჭირო იყო ამ მენტალობის, ამ „გამოცდილების“ სწრაფი გარდაქმნა საბაზრო და კაპიტალისტური ურთიერთობებში ადაპტირებისათვის.

სულ მალე ასეთი კატეგორიის გლეხი ძირითადი და წარმართველი სოციალური ძალა გახდა ქართულ სოფელში, რომლის განვითარება ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში მიმდინარეობდა – ეს ის პერიოდია, როცა ქვეყანაში პერმანენტულად არ იყო ელექტროენერგია, საწვავი, მოშლილი იყო საფინანსო სისტემა, ტოტალურად გაუფასურდა საბჭოთა მანეთი, ახლადშემოღებული ქართული კუპონი მსყიდველობის უნარდაკარგული იყო; ეს იყო ის პერიოდი, როცა ქვეყანას არ ყოფნიდა პური, სურსათი, არსებობდა სამოქალაქო დაპირისპირება და მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. ფაქტობრივად 1995 წლამდე საქართველოს ეკონომიკა სრულ ქაოსში იმყოფებოდა და ამის გამო სოფლის განვითარება მთლიანად კაპიტალიზმის პირველადი დაგროვების პირობებში აღმოჩნდა.

დღეს ბევრი ექსპერტი მიუთითებს, რომ საბჭოთა სისტემის დემონტაჟი საქართველოში განხორციელდა გამორჩეული დაუნდობლობით, როგორც იტყვიან ხოლმე – „ნაბან წყალს ბავშვიც თან გადააყოლეს!“, ფაქტობრივად სახელმწიფოში განადგურდა თითქმის ყველა სფერო და ეკონომიკის ყველა მიმართულება. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ფასი უნდა დასდებოდა მიწას – ქვეყნის ერთადერთ მარჩენალს, მაგრამ რთული სოციალურ-ეკონომიკური და განსაკუთრებით კი პოლიტიკური ვითარების გამოც მასაც ჩალის ფასად ჰყიდდნენ – ჯერ მდიდარ მოქალაქეებზე, მოგვიანებით უკვე ინდოელებზე, ეგვიპტელებზე, სხვა უცხოტომელებზე.

ასეთ ვითარებაში „ერთპიროვნული (საოჯახო) გლეხური მეურნეობა“ საქართველოში აშკარად ცდილობდა „სახის შენარჩუნებას“ – სოფლად გაიხსენეს მამა-პაპური გამწევი საქონელი, სოფლის მეურნეობის განვითარების ტრადიციული საშუალებები და საქართველოს გლეხმა, თავისი უდიდესი ძალისხმევით, ძირითადად გადაარჩინა ქართული მიწა, აგრარული ურთიერთობების ქართული ტრადიცია, გამოიარა განვითარების ურთულესი

პერიოდი და დღესაც, როგორც სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ, მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში.

როგორც ირკვევა 2008 წელაც კი საქართველოს მთლიან ნათეს ფართობებში ერთპიროვნული (ოჯახური) მეურნეობის წილი შეადგენდა 96,1 პროცენტს, 2011 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა და შეადგინა 97,9 პროცენტი (საქსტატი, 2012, 27). უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ყველა მიმართულებაში ოჯახური მეურნეობების ხვედრითი წილი განმსაზღვრელი და მთავარია: მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ნათეს ფართობებში ოჯახური მეურნეობის წილი 96,2 პროცენტს შეადგენს, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის მიმართულებაში – 99,1 პროცენტი უკავია. წარმოუდგენლად მაღალია ოჯახური მეურნეობის წილი სოფლის-მეურნეობის პროდუქციის ცალკეული სახეობის წარმოებაშიც: ლობიოს დამზადებაში – 100%, სიმინდის წარმოებაში – 99%, კარტოფილის მიწოდებაში – 100%, ბოსტნეულის მოვლა-მოყვანაში – 100% და ა.შ. (საქსტატი, 1912, 29). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კახეთის რეგიონისათვის ისეთი სასოფლო-სამეურნეო დარგი, როგორიცაა მევენახეობა – ამ მიმართულებითაც წილობრივი შემადგენელი ძალიან მაღალია – საოჯახო მეურნეობის წილი 2008 წლის 95,2 პროცენტიდან დავიდა 91,5 პროცენტამდე (2012 წ.). ეს წილობრივი კლება, ჩვენი აზრით, მსოფლიოში ქართული ღვინისადმი ინტერესის ზრდით უნდა აიხსნას, რამაც სოფლის-მეურნეობის კაპიტალიზაციას შეუწყო ხელი და მევენახეობის დარგში განხორციელდა საკმაოდ დიდი ინვესტიციები სხვადასხვა მძლავი ფინანსური ჯგუფების მხრიდან (როგორც სტატისტიკური ცნობარები მიუთითებენ; მათი წილი მევენახეობაში 4,8 პროცენტიდან გაიზარდა 8,5 პროცენტამდე) (საქსტატი..., 2012, 41)

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მზარდი ტენდენცია (კაპიტალიზაცია) შეიმჩნევა ბოლო წლებშიც სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც, სულ უფრო აშკარა ხდება, რომ სასოფლო-სამეურნეო კაპიტალისტური წარმოება თანდათან ზრდის სოფელში თავის მონაწილეობის მასშტაბს: ხორბლის წარმოებაში მან 2016 წელს უკვე 15,3 პროცენტს მიაღწია, სიმინდის დამზადებაში – 5,4 პროცენტს გაუტოლდა და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ ამ დარგებში თავისი მონაწილეობა კაპიტალისტურმა სექტორმა გააორმაგა სულ რაღაც ორ წელიმწადში (საქსტატი..., 2016, 33), რაც მისასალმებელია და მომავლის იმედებს აღძრავს.

მაგრამ, იგივე სტატისტიკური ცნობარები მიანიშნებენ, რომ 2016 წელსაც სოფლად კვლავ ბატონობს ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა, რომელიც გადასროლილი საქართველოს კაპიტალიზაციის სტიქიაში, ცდილობს განვითარებას, ეძებს ოპტიმალურ შესაძლებლობებს. ჩვენ ქვემოთ, საველე-ეთნოგრაფიული მასალის მოშველიებით, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობების მესაკუთრეებთან გასაუბრებების საფუძველზე მოპოვებული მასალის გაანალიზებით, შევეცდებით წარმოვაჩინოთ ის რეალობა, რასაც ვერ გადავაწყდით ოფიციალურ სტატისტიკურ კრებულებში.

მნიშვნელოოვანი განსხვავება ფერმერულსა და ერთპიროვნულ(გლეხურ) მეურნეობას შორის არის დარგობრივი სპეციალიზაცია. გლეხური (საოჯახო) მეურნეობა, როგორც კახეთში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული მასალა მიანიშნებს, მრავალპროფილურია: გლეხები მისდევენ ერთნაირი გულისხმიერებით: მევენახეობას, მეღვინეობას, მებოსტნეობას, მეხილეობას, მესაქონლეობას, მეფუტკრეობას. მაგალითად, ქისტაურელ გლეხს, მთავრობისაგან მიღებულ ფართობზე, უთესია ლობიო, სიმინდი, აქვს ვენახის პლანტაციაც; ძირითადად ოჯახური საჭიროებისათვის, მხოლოდ ლობიოს ყიდის ბაზარზე (დაუშვილი, ახმეტა, 2015); სოფელ გულგულას მკვიდრ გლეხს თავის კუთვნილ 1 ჰექტარზე მოჰყავს ხორბალი, სიმინდი, აქვს ვენახის პლანტაცია, უვლის ბოსტანს, ჰყავს 1 ძროხა. სოფელ ტიბაანში (სიღნაღის რაიონი) ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა ძირითადად მისდევს მევენახეობას, ამასთან, მოჰყავს ხორბალი, ქერი, მზესუმზირა, სიმინდი, ბოსტნეული (დაუშვილი, სიღნაღი, 2016), გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში ერთპიროვნულ გლეხს აქვს ვენახი, ხეხილის პლანტაცია, ბოსტანი, ჰყავს საქონელი და ა.შ.

არიან, თუმცა შედარებით ცოტა, საოჯახო მეურნეობები, რომლებიც ძირითადად მაინც სპეციალიზებულნი არიან სოფლის მეურნეობის კონკრეტულ მიმართულებაზე: მევენახეობაზე, მებოსტნეობაზე, მესაქონლეობაზე (ეს ვითარება უფრო შესამჩნევია ახმეტის რაიონის სოფლებში, თუშეთში). მაგალითად, დიკლოში (თუშეთი) საოჯახო მეურნეობა მისდევს მეკარტოფილეობას, ნამატს ყიდის ბაზარზე; საერთოდ, თუშეთის სოფლებში ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ, რძეს და ხორცს ჰყიდიან. ცდილობენ შეინარჩუნონ მეურნეობის წარმოების ტრადიციული წესები. სიღნაღის რაიონის სოფელ ილიაწმინდას ერპიროვნული გლეხური მეურნეობა ძირითადად მევენახეობით არის დაკავებული და ა.შ. და ა.შ.

როგორია ერთპიროვნულ(საოჯახო) მეურნეობაში შრომის ხასიათი, მისი ნაყოფიერება, შრომის ციკლის თავისებურებება, სამუშაოს ძალის პრობლემა და ა.შ.

როგორც საველე ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს, ერთპიროვნულ (საოჯახო) მეურნეობაში ძირითადად მუშაობენ ოჯახის წევრები – ამჟამად უმეტეს შემთხვევაში უფროსი ასაკის პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სოფლის მეურნეობის გაძღოლას არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეროვნული მნიშვნელობაც ენიჭება და ცდილობენ გაუფრთხილდნენ ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და მათი წარმოების მამა-პაპისეულ წესებს. თუმცა შექმნილი რეალობა მათ ყოველთვის ამის შესაძლებლობას არ აძლევს. მათ უამრავი პრობლემა აქვთ. უპირველესი ეს არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არ ქონა. გლეხი დღეს იძულებულია ტრაქტორი დაიქირაოს, რაც საკმაო დანახარჯებთან არის დაკავშირებული. როგორც ირკვევა, გლეხური მეურნეობის უმნიშვნელო პროცენტს აქვს პირად საკუთრებაში ტრაქტორი, რომელიც ან პირადი დანაზოგით შეიძინა, ან ბანკის დახმარებით გაიფორმა. მაგალითად, სოფ. სამთაწყაროელმა

გლეხმა იაგო სარდალაშვილმა ბანკის დახმარებით შეიძინა ტრაქტორი (დაუშვილი, თელავი, 2016); სოფელ იყალთოს მკვიდრმა სიდონაშვილმა ვანომ პატარა ტრაქტორი შეიძინა სააკუთარი დანაზოგით. არის ოჯახები, რომელთაც ხელის ტრაქტორი აქვთ. თუმცა ძირითადად ერთპიროვნულ (საოჯახო) გლეხურ მეურნეობას ტრაქტორის დაქირავება უხდება.

ბოლო წლებში თითქმის ყველა რაიონში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები, რომლებიც სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას აქირავებენ მაგრამ როგორც მთხრობელები აღნიშნავენ – ისინი ნაკლებად ეფექტიანია. ყოფილმა სამეურნეო მუშაკმა, სოფლის მკვიდრმა, ამასთან დაკავშირებით განგვიცხადა შემდეგი: „შემოვიტანოთ ტექნიკა და შევქმნათ მომსახურების პუნქტები, არა ისე, გზის პირებზე ჩამომწკრივებული, რადაც მოჩვენებითობა. ამ რაიონში მარტო სამი „მტს“-ი იყო“ (დაუშვილი, საგარეჯო, 2017).

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან ერთად ძალიან პრობლემურია დღევანდელ კახეთის სოფელში აგრონომიული და ვეტერინარული მომსახურებაც. თუ კი ადრე ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აუცილებლად იყო აგრონომიც და ვეტერინარიც, დღეს ერპიროვნულ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობაში კვალფიციური აგრონომი და ვეტერინარი აღარ არის. ამის გამო სერიოზულად ზარალდება სოფლის მეურნეობა. ამ პრობლემის სიმწვავის შესუსტებას გარკვეულწილად ცდილობს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რაიონული წარმომადგენლობა (ე.წ. „საინფორმაციო-ანალიტიკური ბიუროები“), რომლებიც მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტებით არიან დაკომპლექტებული, თუმცა ყველა საკითხის მოგვარებას ისინიც ვერ ახერხებენ. მაგალითად, გურჯაანის რაიონში ვეტერინარი ექიმი სურსათის ეროვნულ სააგენტოს ჰყავს მუდმივ შტატში. ერთპიროვნულ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობას ვეტერინარი, აგრონომი არ ჰყავს, ასეთი გლეხები ძველი, მამა-პაპური მეთოდებით და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით გადიან იოლად.

ხშირად სერიოზულ პრობლემას ქმნის შემოტანილი სასუქების, პესტიციდების, შესაწამლი ნივთიერებების (მაგალითად, შაბიამანის) ხარისხი და ვარგისიანაობა. მთხრობელები განსაკუთრებით გამოჰყოფენ შაბიამნის ხარისხს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ვაზის ნორმალური ვეგეტაციისათვის და აუცილებელია ვენახის პარაზიტების წინააღმდეგ საბრძოლველად

სერიოზული პრობლემაა კახეთის რეგიონში სარწყავი სისტემის ნგრევის შემდგომ მისი შედეგების გამოსწორება. ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას არ ძალუძს ამ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა და ამის გამო სერიოზულად ზარალდება. ძალიან ბევრ ადგილას, სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა ჰიდრო-მელიორაციული სისტემები დაინგრა, ველარ ხერხდება მიწების მორწყვა, რაც ამ მიწებს ფასს უკარგავს და იქ მუშაობა უნაყოფოა. ბოლო რამდენიმე წელია დაწყებულია სამელიორაციო სამუშაობის ინტენსიფიკაცია. ახმეტის რაიონის მოსახლეობამ ცალსახად განაცხადა, რომ

მიესალმებიან ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის მიზნით გადადგმული მთავრობის ნაბიჯებს. აშკარად საჭიროა, რომ არა მარტო აღდგეს ის სარწყავი სისტემები, რომლებიც არსებობდა ახლო წარსულში, არამედ საჭიროა უკვე ახალი სისტემების შექმნაც.

არ ვიქნებით სამართლიანი, თუ არ აღვნიშნავთ, რომ რაიონებში ადგილობრივი აგრარიკოსები ამ აუცილობლობას გრძნობენ და მათ ანგარიშებში ამაზე ხაზგასმით არის საუბარი: „ყვარლის ნიადაგურ-კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას ბოსტნეულ-ბაღჩეულის მაღალხარისხიანი და უხვი მოსავლის მოსაყვანად. მუნიციპალიტეტს გააჩნია მდინარეთა ფართო ქსელი, რომლითაც შესაძლებელია წყლის რესურსის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი გასარწყავდეს. გასულ საუკუნეში რაიონში გაკეთდა ორი წყალსაცავი მდ. ბურსაზე და მდ. დურუჯზე, სადაც ხდებოდა წყლის დაგროვება და მისი სარწყავად გამოყენება, თუმცა ბოლო ათეული წლის განმავლობაში მისი სარწყავად გამოყენება არ ხდება“ (ყვარლის მუნიციპალიტეტის..., 2016, 5-6). ნიშანდოლივია, რომ რაიონში არსებული 12 სამელიორაციო სისტემასა და სარწყავი არხებიდან 2015 წლისათვის გაწმენდილი იყო მხოლოდ ორი. არ გაწმენდილა ილიას ტბიდან გამომავალი კუდიგორის 6500 მეტრიანი არხი, საბუის 3214 მეტრნიანი სარწყავი არხი, შილდის ცენტრალური სარწყავი არხი და ბევრი სხვა. ფაქტობრივად გამოდის, რომ ახალი საქართველოს მშენებლობის მთელ ეტაპზე (1992-2015 წწ.) რაიონის სოფლის მეურნეობა წყლით ნორმალურად უზრუნველყოფილი არ იყო, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობაზეც აისახებოდა. როგორც საანგარიშო დოკუმენტი მიუთითებს, 2016 წელს სპეციალური ორგანოები აპირებდნენ რაიონის რამდენიმე არხის გაწმენდას. მელიორაციასთან დაკავშირებული მსგავსი პრობლემები შესამჩნევია საქართველოს თითქმის ყველა რაიონში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, კახეთის რეგიონის მთავარი ბუნებრივი კატაკლიზმის – სეტყვის შესახებაც, რომელიც სერიოზულად აზიანებს ვენახს და თითქმის ყოველ წელს უზარმაზარ დანაკარგებს იწვევს. ზოგჯერ სეტყვისგან მიყენებული ზარალი კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს – ყვარელში 2015 წელს მოსულმა სეტყვამ ვენახების 80-100% გაანადგურა, დაიკარგა 18 000 ტონა ყურძენი.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შექმნილი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემები – მოიშალა. ბოლო წლებში ამ საქმეს უფრო გამოცდილი სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, მაგრამ ეფექტი შედარებით ნაკლებია. ჯერჯერობით ვერ გაამართლა ვერც სადაზღვევო სისტემამაც, რომელიც გლეხებში ვერ გახდა პოპულარული, უბრალოდ იმის გამო, რომ მათ არ აქვთ თავისუფალი ფულადი სახსრები, რაც დაზღვევას მათთვის ხელმისაწვდომს გახდის.

შრომის ორგანიზაცია და შრომის მწარმოებლურობა – ეს კახეთის რეგიონში საკვლევ პერიოდში აშკარად მამა-პაპისეული ჩანს – ანუ არარეგლა-

მენტირებული და მთლიანად ინდივიდუალურ შესაძლებლობზე დაფუძნებული. გლეხის შრომა არასოდეს არ ყოფილა ადვილი და საამო, მაგრამ დღეს ეს შრომა ნამდვილად არ განეკუთვნება პროგრესული, ტექნიკური და ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი შრომის ფორმას. ამიტომაც არის გამოკითხულთა პასუხი შეკითხვაზე – „როგორია შრომა საკუთარ მამულში – მძიმე, მსუბუქი, იძულებითი თუ ასატანი?“, პასუხი ხშირ შემთხვევაში არის – „ასატანი“. არის რამდენიმე პასუხი – „იძულებითი“, რაც მიანიშნებს, რომ გლეხი მიწაზე მუშაობს ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე იძულებით და შემთხვევის მიცემისთანავე – ის შეიცვლის ცხოვრების ადგილსაც და შრომის ხასიათსაც.

მიწის გაყიდვა – ეს კახეთის რეგიონშიც ხშირი შემთხვევაა, განსაკუთრებით ერთპიროვნულ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობებში, რაც მიანიშნებს, რომ საქართველოში აგროსექტორში კაპიტალიზაციის პროცესი ნელა, მაგრამ აღმავალი ხაზით მიმდინარეობს და ხდება მიწების კონცენტრაცია. რა თქმა უნდა, მიწის გაყიდვის მიზეზი ხშირ შემთვევაში სოციალურიც არის, გამომდინარეობს კონკრეტული ოჯახის კონკრეტული ინტერესებიდან. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გურჯაანელი გლეხის ქალის მონათხრობი, რომელიც გურჯაანის ბაზარში ჩავიწერეთ: *„ვენახს დამუშავება უნდა, ძალიან რთული და ძნელია, იმ ვენახს თან არავინ გადაყვება, თუ რაღაც დიდი თანხა არა გაქვს და ამიტომა იშვიათია, რომ ვენახს უვლიდნენ; გლეხმა მშიერი რომ არა ყოფილიყო, გაყიდა ვენახები. 400 ლარში გავყიდე ჩემი ვენახი, შვილიშვილი მეყოლა, ბავშვს ჭამა უნდოდა, დედას რძე არა ჰქონდა და რა მექნა...“* (დაუშვილი, გურჯაანი, 2017).

მართალია, ერთი ოჯახის დრამატული ამბავია ამ მონათხრობში, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით ტიპიურია საქართველოში, მათ შორის კახეთის რეგიონისათვისაც დამახასიათებელია. ამავე დროს, ის გამოხატავს კაპიტალიზაციის ტენდენციას – ხდება სტიქიური სელექცია, სოფლის მეურნეობიდან იდევნებიან ის ადამიანები, ის ოჯახები, რომლებიც ვეღარ ახერხებენ (ეკონომიკური, თუ სოციალური პრობლემების გამო) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოპტიმიზაციას და ჰყიდიან მათ. ასე თანდათან ხდება საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კაპიტალისტური კონცენტრაცია. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 48 პროცენტი ცხოვრობს სოფლად და მათი უდიდესი ნაწილი ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობას მისდევს. თუ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების: აშშ-ის, საფრანგეთის, ისრაელის და სხვების გამოცდილებას გავითვალისწინებთ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ბიო-ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობაში ქვეყნის მოსახლეობის 5-10 პროცენტის ჩართულობის პირობებშიც არა მარტო დააკმაყოფილონ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებები სურსათ-სანოვაგეზე, მრეწველობის მოთხოვნილება – ნედლეულზე, არამედ ექსპორტშიც გაიტანონ სურსათის საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ამრიგად, კახეთის რეგიონის სოფლის ერთპიროვნულ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობაზე დაკვირვება იძლევა საფუძველს წამოვაყენოთ თვალსაზრისი ამ სოციალური დაჯგუფების შიდა-კლასობრვი დიფერენციაციის შესახებ. როგორც ვხედავთ, ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის გარკვეული წარმომადგენელები ყოფითი პრობლემების გამო ყიდიან მამულებს და გადადიან სხვა სოციალურ კატეგორიაში – იკავებენ სოფლის სოციალურ სტრუქტურაში სხვა განზომილებას (ხდებიან წვრილი ვაჭრები, ან აქირავებენ საკუთარ შრომას სოფლის კაპიტალისტებსა და შეძლებულ ფენაზე).

ბუნებრივი სელექცია ამ სოციალურ კატეგორიაში გამოარჩევს ენერგიულ, საქმეში ჩახედულ პირებს, რომლებიც ახერხებენ საკუთარი შრომის საფუძველზე, ბანკიდან აღებული სესხით თავისი სავარგულების გადიდებას, ადაპტაციას კაპიტალისტურ გარემოში და წარმატებების მიღწევას. მართალია, ასეთი კატეგორია ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა, მაგრამ სწორედ ეს კატეგორია უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის ზეაღმავალ განვითარებას.

ძირითადი ნაწილი სოფლის კვლავაც გლეხური (საოჯახო) მეურნეობაა, რომელიც ჯერ კიდევ ახერხებს არსებობის შენარჩუნებას და ვითარების სტაბილიზაციას. როგორია ამ კატეგორიის მშრომელების შრომითი შემოსავალი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სტატისტიკურ სამსახურს ამ მიმართულებით არავითარი სერიოზული სამუშაო არ ჩაუტარებია – სტატისტიკური კრებულები არ ასახავენ სოფლად არსებულ სოციალურ გრადაციას, სოციალრი კლასებისა თუ ფენების შემოსავლებს – გასავლებს. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ჩვენს მიერ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დრო ჩაწერილი მასალა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის შემოსავლებზე. მაგალითად, სოფელ საბუეს გლეხი აღნიშნავს, რომ მას წლიურად მიღებული შემოსავალი არა ყოფნის. ამის მიზეზად ის ასახელებს საკუთრებაში არსებული მიწის ცუდ ადგილეზე მდებარეობას და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არქონას. სოფელ გულგულის მკვიდრმა გლეხის ქალმა, რომელსაც 1 ჰექტარი მიწის ფართობი აქვს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას ყოველწლიურად ქირაობს, განაცხადა, რომ მათი შემოსავალი ასატანია. ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის გლეხმაც განაცხადა, რომ მისი წლიური შემოსავალი – ასატანია, თუმცა ისიც გაგვიმხილა, რომ მისი მეუღლე საბერძნეთშია წასული სამუშაოდ (ე.ი. ოჯახს სერიოზული პრობლემები აქვს); იყალთოელი ცოლ-ქმარი, რომელთაც პატარა ტრაქტორიც აქვთ საკუთრებაში, მიღებული ყოველწლიური შემოსავლით კმაყოფილები არიან, თუმცა აღნიშნავენ, რომ ეს ძირითადად დამოკიდებულია მოსავლიან წლებზე, ყურძენზე არსებულ შესასყიდ ფასებზე და ა.შ. სიღნაღის რაიონის ილიაწმინდელმა 80 წლის გლეხმა აღნიშნა, რომ მისი შემოსავალი „კარგია“. სოფელ მატაანის მკვიდრმა განაცხადა, რომ მისი მეურნეობა არა პერსპექტიულია, არარენტაბელური და ამიტომაც არავითარი შემოსავალი არა აქვს. ბოჭორნელმა გლეხმა საუბარში განაცხადა, რომ მიღებუ-

ლი შემოსავალი არ აკმაყოფილებს და პენსიას რომ არ იღებდეს, სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა.

ჩვენ არ შეგვხვედრია ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის წარმომადგენელი, რომელსაც ეთქვას, რომ წლიური შემოსავალი მას აძლევს საშუალებას მდიდრად ან შეძლებულად იცხოვროს. ისინი ძალიან ხშირად ხმარობენ სიტყვას – ასატანი. ჩვენ ვუშვებთ იმ ფსიქოლოგიურ ვითარებას, რაც ერთპიროვნული გლეხური ცნობიერებისათვის არის დამახასიათებელი და გულისხმობს „თავშეკავებას“, „ჭეშმარიტების დამალვას“, „პრობლემების გაზვიადებას“, „შემოსავლების დაფარვას“, „არაგულწრფელობას“ და ა.შ.; მაგრამ ის, რომ კახეთის სოფელში ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა სერიოზული პრობლემების წინაშეა – ამაზე მეტყველებს დედოფლისწყაროს სოფელ ზემო ქედის გლეხების განცხადება იმის თაობაზე, რომ „სოფელში 20-25 წელია სახლი არ აშენებულა“.

საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს დავრწმუნდით, რომ ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის ძირითადი სუბიექტები – ასაკს საკმაოდ გადაცილებული მოხუცები არიან. ისინი მეურნეობას საკუთარ მიწაზე ტრადიციული ინერციით აგრძელებენ და ამას მშობლიური მიწის სიყვარული აიძულებთ. ისინი ყველა – სახელმწიფოს პენსიაზე არიან. ეს კი კიდევ ყოველთვიური დამატებით შემოსავალია ოჯახში, ამიტომაც ისინი უფრო ადვილად ეგუებიან მოსავლის ავკარგიანობას, სოფელში არსებულ პრობლემებს, არ ეთმობათ სოფელი, არ წყვეტენ საბოლოოდ ურთიერთობას სოფლის მეურნეობასთან.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის ძალიან ბევრ სოფელში ზოგი ოჯახის ერთი წევრი მაინც არის წასული საზღვარგარეთ და საჭირო თნხას სისტემატურად გზავნის. ესეც ეხმარება ოჯახს ადგილზე არსებობის შენარჩუნებასა და სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

სწორედ იმიტომ, რომ აშკარად გამოიკვეთა ქართულ სინამდვილეში – ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა ნაკლებად პერსპექტიულია, ამიტომაც 2012 წელს ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ დღის წესრიგში დააყენა სოფლად კოოპერაციული მოძრაობის აღორძინებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კვლავ შექმნის საკითხი.

§ 6. საქართველოში „ფერმერის“ სოციალური კატეგორიის გარკვევისათვის – საკითხის დაყენება

თანამედროვე ქართული სოფლის სოციალური იერსახის წარმოჩენისას, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ როგორც ოფიციალურ – სახელმწიფო დოკუმენტებში, უცხოელი ექსპერტ-აგრარიკოსებისს ანგარიშებსა და დასკვნებში, ასევე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარაიონო საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილებების ყოველწლიური მუშაობის შემაჯამებელ ბიულეტინებში სოციალური კატეგორია – „ფერმე-

რი“, ქართული სოფლის სოციალურ სტრუქტურასთან მიმართებაში, ჩვენი აზრით, არაადეკვატურად ანუ არაზუსტი შინაარსით გამოიხატება და შეიმჩნევა გარკვეული ცდომილება როგორც თვითონ ცნების, ისე ამ შინაარსის მატარებელი სოციალური კატეგორიის აღნიშვნისას.

სანამ ჩვენ ხედვას აღნიშნულ საკითხზე წარმოვაჩენდეთ, შევეცდებით მოკლე ლექსიკოგრაფიული ექსკურსი გავაკეთოთ პოლიტიკურ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში, რომ მკითხველმა გაისიგრძეგანოს ტერმინის განვითარების თავისებურება ისტორიულ პერსპექტივაში.

XX საუკუნის 30-50-იანი წლების საბჭოთა ისტორიოგრაფია და პოლიტიკური ურა ტერმინში – „ფერმერი“ წარმოაჩენდა შემდეგ შინაარსს: „სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მფლობელი (უპირატესად ხუტორული ტიპის), რომელიც ამუშავებს საკუთარ, ან იჯარით აღებულ მიწას, რაც მუშავდება უპირატესად დაქირავებული შრომის გამოყენებით“ (Словарь инастранных слов, 1950, 680). ასევე საყურადღებოა ამ კონკრეტული ლექსიკონის მიერ „ფერმერული მეურნეობის“ დეფინიციაც – ინდივიდუალური მეურნეობა, როგორც წესი, სასაქონლო წარმოება ან საკუთარ, ან იჯარით აღებულ მიწაზე, რომელსაც უპირატესად კაპიტალისტური მეწარმეობის ხასიათი აქვს“.

უფრო მოგვიანებითაც, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ ცნების შინაარსის გაგებაში სერიოზული გარდატეხა არ მომხდარა: „ფერმერული მეურნეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობას საკუთარ ან იჯარით აღებულ მიწაზე. კაპიტალისტური ფერმერული მეურნეობა ეფუძნება დაქირავებულ შრომას. (Советский энциклопедический словарь, 1990, 1422).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ასე განმარტავს ამ ტერმინს: „კაპიტალისტურ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის საწარმოს მფლობელი. მწარმოებელი“ (ქსე, 1986:, 268). ამავე ენციკლოპედიით „ფერმერული მეურნეობა კაპიტალისტურ ქვეყანაში არის კერძო სასოქონლო სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც პროდუქციას აწარმოებს საკუთარი ან იჯარით აღებულ მიწაზე და მიზნად ისახავს მოგების მიღებას.“

მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ენციკლოპედისტების განმარტება სრულად გამოხატავს „ფერმერისა“ და „ფერმერული მეურნეობის“ იმანენტურ ბუნებას, რადგან ყურადღებას ამახვილებს სამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე: კაპიტალისტურ წარმოების წესზე, წარმოების სასაქონლო (ანუ საბაზრო) აუცილებელ ხასიათზე, მიწის დასამუშავებელად დაქირავებული შრომის გამოყენებაზე – ამ სამი კომპონენტის გარეშე, ჩვენი აზრით კლასიკური ფერმერული მეურნეობა წარმოუდგენელია..

მიგვაჩნია, რომ ძირითადად მართებულია ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში გამოთქმული ის შეხედულებაც, რომ კლასიკური სახით ფერმერული მეურნეობა განვითარდა ანგლო-საქსურ ქვეყნებში: დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მნიშვნელოვნად ხაზგასასმელია

ისიც, რომ „ფერმერული მეურნეობა“ თავისი კლასიკური სახით ჩამოყალიბდა საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიულ მონაკვეთში – ინგლისში XVI-XIX საუკუნეებში, აშშ-ში – XVIII-XIX საუკუნეებში. ანუ ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ დროში გაწელილია და ამასთან, საკმაოდ მტკივნეულიც არის, რადგან დაკავშირებულია მკაცრ კონკურენციასთან, ბუნებრივ სელექციასთან, რის შედეგადაც ყალიბდება აღნიშნული მეურნეობის წარმოების მფლობელის ფსიქო-სოციალური მახასიათებლებიც, რაც მხოლოდ ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში შეიძლება განვითარდეს. სამწუხაროდ, ჩვენი ნაშრომის ფორმატი და მისი მიზანდასახულობა არ გვაძლევს საშუალებას ღრმად განვიხილოთ აღნიშნული საკითხი, მაგრამ მოკლედ მაინც დავძენთ, რომ „ფერმერის“ სოციალური კატეგორიის ფორმირება მთლიანად დაკავშირებულია სოფლის კაპიტალიზაციის პროცესთან, რაც ყველაზე აშკარად და კლასიკური ფორმით სწორედ ინგლისში განვითარდა, როცა „გლეხი“ როგორც სოციალური კატეგორია მთლიანად შეცვალა ახალმა კატეგორიამ – „მიწის მუშა“, ხოლო ვინც შეძლო მიწის შენარჩუნება, მისი რაოდენობის გამრავლება, მისი კაპიტალიზაცია და წარმატებული ბიზნეს-წარმოება შექმნა – ის გახდა „ფერმერი“.

მოდით, ახლა ვნახოთ რას გვატყობინებს ამ ტერმინის შესახებ პოსტსაბჭოთა სოციოლოგია. რუსულენოვანი ვიკიპედია ასე განმარტავს ამ ტერმინს: „ფერმერი-გლეხი – მეწარმე, ფლობს მიწას ან იღებს მას არენდით, და ეწევა მასზე სოფლის მეურნეობას“.

ეს, ჩვენი აზრით, საკმაოდ მოკლე და არასწორი განმარტებაა, რადგან აშკარაა ცნება „გლეხისა“ და ცნება „ფერმერის“ გაიგივების, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმისა და მათი სინონიმებად გამოცხადების სურვილი, რაც არ უნდა შეესაბამებოდეს არსებულ რეალობას.

მიგვაჩნია, რომ რუსულენოვან ვიკიპედიაში განთავსებული ცნება „ფერმერი“-ის განმარტება გამოხატავს იმ რუსი (და არა მარტო რუსი) სოციოლოგებისა და ისტორიკოსების შეხედულებებს, რომლებიც მარტივად უდგებიან სოციალური კატეგორიის დასურათხატებას და თვლიან, რომ სოციალური კატეგორია შეიძლება დეკრეტირებული იყოს და გუშინდელ „კოლმეურნე გლეხს“ შეიძლება დღეს უკვე „ფერმერი“ დავარქვათ, თუკი მას მფლობელობაში გადავცემთ მიწის გარკვეულ ოდენობას და გადავისვრით ბაზრის სტიქიაში.

ამ ჩვენს მოსაზრებას სპეციალურ ურაში ტერმინების აღრევის შესახებ აძლიერებს სხვა მაგალითიც: 2002 წელს TACIS-ის პროგრამით გამოქვეყნდა რუსულ-ინგლისურ ენებზე შედგენილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების: საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სტატისტიკური ინფორმაციული კრებული, სადაც მოტანილი აქვთ ცნება „ფერმერის“ საკუთარი განმარტება, რომელიც ასეთი შინაარსისაა – „გლეხური (ფერმერული) მეურნეობა – თავისუფალი მეწარმეობის ფორმა, როდესაც სამუდამო საკუთრებაში მქონე მამულში, ან არენდის საფუძველზე აღებულ მიწაზე ხორციელდება სა-

სოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და და რეალიზება“ (Статиститческий ежегодник южно-кавказских стран, 2002, 186).

მიგვაჩნია, რომ ამ კრებულის შემდეგნლებიც გარკვეულად მოექცნენ რუსული ვიკიპედიის ავტორების ზეგავლენის ქვეშ და მათაც ტოლობის ნიშანი დასვეს გლეხსა და ფერმერს შორის, რაც დაუშვებელია და არ გამოხატავს ჭეშმარიტ ვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით მსგავსი დამოკიდებულება ცნება „ფერმერის“ მიმართ იყო და დღესაც არის საქართველოში, განსაკუთრებით სახელისუფლო სტრუქტურებში. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და გავიმეორებთ, რომ საერთოდ საქართველოში მომუშავე საზღვრგარეთელი ექსპერტების ანგარიშებში ხშირად დასტურდებოდა სიტყვა „ფერმერი“ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის აღსანიშნავად, რაც, ჩვენის აზრით, მეთოდურად სწორი არ უნდა იყოს, რადგან დასავლური გაგება „ფერმერის“ რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც რეალურად იყო საქართველოში ანუ „ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობისაგან“. საქართველოში ეს ორი სოციალური კატეგორია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე ერთმანეთს აშკარად არ ემთხვეოდა.

დოკუმენტურად ისიც დასტურდება, რომ ეს ჭეშმარიტება უცხოელმა ექსპერტებმა მხოლოდ 90-იანი წლების მეორე ნახევარში დააფიქსირეს. 1996 წელს მათ მიერ გაკეთებულ შემაჯამებელ დოკუმენტში ფერმერები, ფერმერული ასოციაციები უკვე გამიჯნულია საქართველოს გლეხური მეურნეობებისაგან და მოტანილია მათი განმსაზღვრელი პარამეტრებიც: „გლეხური მეურნეობა ძირითადად ორიენტირებულია საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებებსა და თვითუზრუნველყოფაზე, მათ ახასიათებთ დაბალი სასაქონლო წარმოების დონე“ და ა.შ. და ა.შ. (სსმს არქივი, დამატება აღ. 1, ს.14, 24)

მაგრამ რასაც სწრაფად მიხვდნენ საზღვარგარეთელი ექსპერტები, ამას ჩვენი აზრით, დღემდე ვერ მიხვდა საქართველოს აგროსექტორის ხელმძღვანელობა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების ჩინოვნიკობა. ისინი დღემდე ურევენ ამ კატეგორიებს.

0,1-1.25 ჰექტარიანი გლეხის გამოცხადება „ფერმერად“, ჩვენი აზრით, სერიოზული არაკომპეტენტურობაა, რადგან მსოფლიო გამოცდილებიდან ცნობილია, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებთან საშუალო ფერმის ოდენობა უდრის 180 ჰექტარს (1940 წ. უდრიდა 70 ჰა); დიდ ბრიტანეთში საშუალო ფერმის მიწის რაოდენობა უტოლდება 50 ჰა (1960 წელს – 32 ჰა), საფრანგეთში საშუალო ფერმერს აქვს 23 ჰა მიწა (1956 წ. ჰქონდა 15 ჰა) და ა.შ.

აქედან გამომდინარე სერიოზული საუბარი „ფერმაზე“ და „ფერმერზე“ 1-10 ჰექტარი მიწის ნაკვეთის არსებობის პირობებში არასერიოზულად უნდა ჩაითვალოს.

მოვიტანთ დამატებით მაგალითებს სხვადასხვა რაიონის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილებების მიერ შედგენილი ანგარიშებიდან, რათა გავამყაროთ ჩვენი მოსაზრება. მაგალითად, არის ასეთი ინფორმაცია: „მუნიციპალიტეტში ძირითადად მცირე და ფერმერული მეურნეობები დომინირებენ“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის..., 2015, 18), საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში საუბარია: „მხვილ ფერმერულ მეურნეობებზე“, „მსხვილი **ფერმერული მეურნეობების ტრადიციებზე**“ (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის..., 2015, 46);

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ და ეს განსაკუთრებული აღნიშნვის ღირსია: სიღნაღის მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ შედგენილ დოკუმენტში აშკარად შესამჩნევია ის გარემოება, რომ გარკვეულწილდად გამიჯნული არიან „საოჯახო მეურნეობები“ და „ფერმერები“, რომელთა „რიცხვი საკმაოდ მცირეა საერთო სურათზე არსებითი ზეგავლენის მოსახდენად“ (სიღნაღის მუნიციპალიტეტის..., 2015, 14). მეტად მნიშვნელოვნად გვესახება ანგარიშის კიდევ ერთი აქცენტი: „უახლოეს მომავალში სურათი სავარაუდოდ არ შეიცვლება“ და საყურადღებოა მეორე აქცენტიც – „დაქირავებული შრომა შედარებით ნაკლებად გამოიყენება“.

სკეპტიკურ დამოკიდებულებას საქართველოში ე.წ. „ფერმერების“ სოციალური კატეგორიის მიმართ გვიძლიერებს იმავე ანგარიშებში, სასოფლო-სამეურნეო განვითარების საკითხებზე მსჯელობისას, ტერმინ „ფერმერის“ სხვადასხვა დანიშნულებითა და მიზნით ხმარება, რაც თავისთავად გამორიცხავს „ფერმერის“ კლასიკურ გაგებას და მის ქართულ ჰიბრიდიზაციაზე მიანიშნებს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: **„მუნიციპალიტეტში არ ხდება მეცხოველეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია და მართვის მეთოდების გამოყენება“** (ე.ი. ის არაორგანიზებულია, ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.); **ფერმერთა ძირითადი ნაწილი უძღვება ექსტენსიურ, დაუგეგმავ მეურნეობას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.); **„სწორედ ეს შეიძლება მივიჩნიოთ ყველა სხვა დანარჩენი პრობლემის მიზეზად. ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მეცხოველეობის ყველა მიმართულებით იჩენს თავს. წარმოების არასრულყფილი ორგანიზაციის გამო ფერმერების მიერ არ ხდება პირუტყვის მოთხოვნილებების გათვალისწინება კვების, სადგომის მოწყობისა და ჰიგიენური პირობების მიმართ, არ იგეგმება მომავალი საწარმოო წელი, რაც განაპირობებს წარმოების ბუნებრივ სეზონურობას. ასევე ამ მიზეზით არ ხდება ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალური გამოყენება“** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.). **მოცემული მიზეზები თავის მხრივ განაპირეობებს უარყოფით სელექციას, რასაც მივყავათ ჯიშობრივ დეგრადაციამდე** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) **ყოველივე ეს განაპირობებს ერთეული ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის სიმცირეს და ბაზარზე მიწოდების არასტაბილურობას** (ხაზგასმა ჩვენია – ა.დ.) (საგარეჯოს მუნიციპალიტეტის..., 2015, 24-25).

მიგვაჩნია, რომ წინამდებარე ამონარიდი თავისი მნიშვნელობით უნიკალურია – აშკარაა, რომ „ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას“ „აბრალებენ“ ფერმერულ მეურნეობად ყოფნას, რადგან ის ნაკლი, რაც ჩვენ მიერ ხაზგასმულია ზემოთმოტანილ ამონარიდში კლასიკურ ფერმერულ მეურნეობას არ შეიძლება ახასიათებდეს. ზოგიერთი რაიონის აგროსპეციალისტების ბრალდებები, ჩვენი აზრით, მხოლოდ სტიქიურ „ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობა“ შეიძლება ახასიათებდეს: წარმოებული პროდუქციის სიმცირე და ბაზარზე მიწოდების არასტაბილურობა; უარყოფითი სელექცია და ჯიშობრივი დეგრადაცია; პირუტყვის მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა კვების, სადგომის მოწყობის და ჰიგიენური პირობების დაცვის მიმართ; დაუგეგმავი მეურნეობის წარმოება და ა.შ. და ა.შ.

ოფიციალურ დოკუმენტებში ჩვენ, ასევე, გადავაწყდით ადგილებზე შემჩნეულ სხვა ნაკლოვანებებსაც, რაც დამახასიათებელია დღევანდელი ქართველი „ფერმერისათვის“ – „ფერმერთა გამოცდილების დაბალი დონე კოოპერირების საკითხებში“; „ფერმერების მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე“ და ა.შ.

ჩვენი სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოში ტერმინ „ფერმერის“ ხმარების მიზანშეწონილობის საკითხზე გაგვიძლიერა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების მიერ შედგენილმა „ფერმერთა“ ნუსხამ, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს გურჯაანის რაიონში და ძალიან ბევრი საკითხის ახლებრად წარმოჩენის შესაძლებლობა მოგვცა. დოკუმენტს ჰქვია: „ოპერტიული ინფორმაცია გურჯაანის მუნიციპალიეტეტში ფერმერების შესახებ 2015 წლის მდგომარეობით“. ეს არის საკმაოდ დიდი ინფორმაცია რაიონის „ფერემერების“ შესახებ, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობას და რომლებსაც ჰყავთ: „მინიმუმ 10 სული მხვილფეხა და ზევით, 10 სული ღორი და ზევით, 25 ცხვარი და ზევით, 10 ოჯახი ფუტკარი და ზევით, 200 ფრთა ქათამი და ზევით, სახნავი მიწა 5 ჰა და ზევით, მრავალწლიანი (ხეხილის ბაღი, თხილი, ციტრუსი, ვაზი და ა.შ.) 1 ჰექტარი და ზევით“.

აღნიშნული დოკუმენტი მრავალმხრივ საინტერესოა როგორც თეორიული, ისე განსაკუთრებით პრაქტიკული თვალსაზრისით. პირველ რიგში სწორედ აქედან ვიგებთ, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში სულ 1652 „ფერმერია“ – ეს ამ პატარა რაიონისათვის, თუ კი ეს სინამდვილეა, წარმოუდგენლად დიდი ციფრია. (ამერიკის შეერთებულ შტატებში 69 ათასი მსხვილი ფერმერია).

როგორც აღნიშნულ დოკუმენტზე ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი აჩვენებს, გურჯაანის „ფერმერების“ 75,4% (ანუ 1246 კაცი) ფლობს 1-2 ჰექტარ მიწას; 3-დან 5 ჰექტარამდე მიწის ფართობს ფლობს 6,47 % (ანუ 107 კაცი); 6-10 ჰექტარი მიწა გააჩნია 39 კაცს (2,36%); 11-20 ჰექტარი მიწის მფლობელია 1,99 % (ანუ 33 კაცი); 21 – 30 ჰექტარი მიწა აქვს სულ 4 კაცს (0,24 %); 50-100 ჰექტარამდე მიწის კონცენტრაცია მოხდინა მხოლოდ 3 კაცმა; 100 ჰექტარს ფლობს 4 პირი (0,24%), 100 ჰექტარზე მეტს ფლობს

ასევე 4 კაცი. დოკუმენტიდან ისიც იკვევა, რომ გლეხობის გარკვეულ ნაწილს გურჯაანის რაიონში – 212 კაცს მიწა საერთოდ არ გააჩნია – ესენი არიან ძირითადად მეფუტკრეები, ასევე მეცხოველეები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ლატიფუნდიებით უფრო ცნობილია სოფელი არაშენდა – ამ სოფელში ცხოვრობენ გურჯაანის რაიონის ყველაზე დიდი მამულის მფლობელები, რომელთაც აქვს 100-150 ჰექტარი მიწის ფართობი. ისინი ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი მიწის ფართობი – 220 ჰექტარი აქვს ვინმე გ. დონაძეს სოფელ ჯიმითიდან და ამ ფართობზე ფერმერს ძირითადად მარცვლეული მოჰყავდა. 2015 წლის შემდეგ ეს ფერმა აღარ ფუნქციონირებს (მიზეზები უცნობია).

სწორედ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზეც ჩვენ ვამტკიცებთ, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკურ განყოფილებაშიც (ისევე როგორც საქართველოს აგროსექტორის ზედა ეშელონებშიც) მოხდა ტერმინების აღრევა და ცნების კრიტერიუმების არასწორი განსაზღვრება. რაიონის სოფლად მცხოვრები სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ძირითადი მასა (75,4%) – უმეტესად ერთპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა ავტომატურად ჩარიცხეს ფერმერთა კატეგორიაში. ამ კატეგორიას 1-1,3 და 1,5 ჰექტარი მიწა აქვს, რომელსაც ძირითადად 1-2 კაცის საშუალებით მუშავდება და ისინიც, ალბათ, ოჯახის წევრები არიან. ამ ადამიანებს მცირე შემოსავლები ექნებათ და ალბათ ოჯახის მოთხოვნილებებს თუ იკმაყოფილებენ, ისინი ბაზართან ინტენსიურად ნაკლებად არიან დაკავშირებული და მთლიანად ბუნების კაპრიზებზე არიან დამოკიდებულნი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს დასაქმების შესახებაც. როგორც ჩანს, რაიონში დასაქმებულთა რაოდენობა დიდი არ არის არც საქართველოს მასშტაბით საკმაოდ დიდ – 50-100 ჰექტარიან მამულებშიც კი. მაგალითად, არაშენდელი შოთა ქართლელიშვილის 150 ჰექტარიან ფერმაში მხოლოდ 5 კაცი იყო დასაქმებული. მათი საშუალებით ფერმა ყოველწლიურად აწარმოებდა 7,5 ტონა მატყლს, 15 ტონა ხორცს და 45 ტონა ყველს. ამავე სოფელში 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთის მფლობელი გივი ჩივიაშვილი 2 კაცით აწარმოებდა 36 ტონა რძეს და ა.შ. და ა.შ.

წარმოდგენილი ნუსხა, მართალია, შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას მეურნეობის განვითარების გარკვეული პარამეტრების შესახებ, მაგრამ მასში არ ჩანს შრომისნაყოფიერების, რენტაბელობის, მიღებული შემოსავლების შესახებ საჭირო ინფორმაცია, რაც გვიძნელებს საბოლოო დასკვნების გაკეთებას კონკრეტული ფერმის მომავალი განვითარებისა თუ მისი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ.

ჩვენ ვთვლით რომ წარმოდგენილი ნუსხა ტიპიური ნიმუშია სოციალური ტერმინებისა და ცნებების აღრევის და რომ 75,4% „ფერმერი“ – სინამდვილეში ეს ტრადიციული ქართველი ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის

მფლობელია, რომელსაც საკმაოდ აქვს შემორჩენილი საბჭოთა კოლმეურნე გლეხის მენტალობაც და მოვლენების აღთქმის ტრადიციული იმპულსებიც. ისინი ძირითადად კმაყოფილდებიან იმით, რაც მათთვის საქართველოს მთავრობამ გაიმეტა – 1,3 ჰექტარი მიწის სავარგული.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმანაც, რომ, როგორც კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში, რომელიც 2014-2021 წლებს მოიცავს, ისე სხვა დოკუმენტებშიც (მაგალითად სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალებში, საერთოდ საუბარი არ არის „ფერმერებზე", „ფერმერული მეურნეობების" განვითარებაზე და ა.შ. ესეც მიანიშნებს, რომ ეს საკითხი მათთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი არ არის, ფერმერული მეურნეობების სიმცირის, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობასა და ეშპ-ის შემადგენლობაში მისი უმნიშვნელო წილის გამო.

დაუჯერებელია, მაგრამ ფერმერების პრობლემას საერთოდ არ ეხებიან საქართველოს სტატისტიკური კრებულების ავტორებიც, რომლებიც იცნობენ მხოლოდ ორ სოციალურ კატეგორიას სოფლად: „ოჯახური მეურნეობა" და „სასოფლო-სამეურნეო საწარმოები". ჩვენ ვვარაუდობთ, რომ „სასოფლო-სამეურნეო საწარმოების" კატეგორიაში გაბნეულია ქართველი ფერმერების უკვე არსებული რაოდენობაც. ის რაც მისასალმებელია – ეს ისაა, რომ ეს აღნიშნული კატეგორია, რიგი სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებაში მზარდი პოტენციითა და შედეგებით გამოირჩევა. ჩვენი ყურადღება იმანაც მიიქცია, რომ სტატისტიკურ კრებულებში დაფიქსირებული „სასოფლო-სამეურნეო საწარმოები" აქტიურობენ სწორედ იმ დარგებში, რომელიც ფერმერული მეურნეობის განვითარების მაღალ პოტენციალს შეიცავენ: მემიდვრეობა, მებოსტნეობა. მაგალითად, საქართველოში 2014 წლიდან 2015 წლამდე ხორბლის წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა შეძლეს გრანდიოზული ნახტომის გაკეთება – 7,6 პროცენტიდან მათ ხორბლის საერთო წარმოებაში დაიკავეს 29,1 პროცენტი, ანუ ფაქტობრივად პროდუქციის მესამედს უკვე ისინი აწარმოებენ. სწორედ ამაშია ჭეშმარიტი „ფერმერული" მეურნეობის მობილურობისა და მძლავრი განვითარების შინაგანი სტიმულატორი, რაც, როგორც ჩანს, ამ დარგში განსაკუთრებით ვლინდება და ის ჩვენ დავაფიქსირეთ საველე-ეთნოგრაფიული მუშაობის დროსაც განსაკუთრებით დედოფლისწყაროს რაიონში. ასევე თვალსაჩინოა „საოფლო-სამეურნეო საწარმოების" წილის ზრდა მებოსტნეობაში: 2014 წლის 2,6 პროცენტიდან ის ავიდა 6 პროცენტზე (2015 წ) (საქსტატი, 2016, 33). ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს...

რა შეიძლება ითქვას ზემოთ მოტანილი მასალის ანალიზის შემდეგ?

„პროტოფერმერები" – ასე შევასახელეთ ჩვენ ის სოციალური კატეგორია, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კლასიკურ ფერმერად ჩამოყალიბდება. მიმაჩნია, რომ მათ მიმართ ტერმინის – „ფერმერი" გამოყენება ჯერჯერობით, მეცნიერული თვალსაზრისით, არამართლოზმიერია. მათ შეიძლება ვუწოდოთ „პროტოფერმერები" – ანუ ისინი ისეთი მეურნეე-

ბი არიან, რომლებმაც გარკვეულად აითვისეს კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების წესი, მუშაობენ ბაზრისათვის, ჩაერთვნენ კონკურენტულ გარემოში და ქმნიან მომავალს ეკონომიკურ ცხოვრებას. სწორედ ამ წრიდან, კონკურენციისა და ბუნერივი სელექციის საფუძველზე, საბოლოოდ ჩამოყალიბდება საქართველოში კლასიკური ფერმერი. ჩვენი ეს შეხედულება შეიძლება გავრცელდეს კახეთის რეგიონის სხვა რაიონებზეც და სრულიად საქართველოზეც.

ჩვენი აზრით, „პროტოფერმერების“ კატეგორიაში გურჯაანის მუნიციპალიტეტში შედგენილი „ფერმერთა ნუსხიდან“ შეიძლება შევიყვანოთ მხოლოდ ის მეურნეობები, რომლებმაც ბოლო 20 წლის მანძილზე მოახერხეს მთავრობისაგან მიღებული საჰექტარო მოცულობების გადიდება, დაქირავებული შრომის გამოყენება, ახალი ტექნიკის შეძენა, არატრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების (უეკლო მაყვალის, ზეთის ხილისა და თხილი პლანტაციების გაშენება და ა.შ.) წარმოება. მათი რაოდენობა რაიონში ბევრი არ არის – ჩვენი გამოანგარიშებით დაახლოებით ასეთი 87 მეურნეობაა. ეს რაიონის სოფლის ყველა სახის მეურნეობის 5 პროცენტია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მოხდა სოციალური ტერმინების აღრევა, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში მიმდინარე დრამატული პროცესების (სამოქალაქო დაპირისპირება, პოლიტიკური რეჟიმების ძალისმიერი ფორმით ცვლა, მკვეთრი ანტიკომუნისტური ისტერია, საბჭოთა წარსულის რადიკალური უარყოფა, ყველა პროცესის ფორსირებულ რიტმში გადაწყვეტის სურვილი და ა.შ. და ა.შ.) არაადეკვატურმა გააზრებამ.

იმდენად დიდი იყო საზოგადოების ერთ ნაწილში ანტისაბჭოთა განწყობილებები, რომ მათ დაუფიქრებლად (ან იქნებ „დაფიქრებით“, გარკვეული სოციალური კატეგორიისათვის სასარგებლოდ?!) ფორსირებული ტემპით დაანგრიეს საბჭოთა სოფელი თავისი სოციალური კატეგორიებით და ამის შემდეგ, მეორე დღესვე „კოლმეურნე გლეხი“ გახადეს „ფერმერი“. საერთოდ არ იფიქრეს, რომ „ფერმერად“ ფორმირების პროცესი ხანგძლივია და ის არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და არსებული ყოფიერების რადიკალურ შეცვლას გულისხმობს, არამედ სოციალური ფსიქოლოგიის შეცვლასაც იწვევს, როცა აღარ უნდა იყოს ისეთი ფაქტორები თვალშისაცემი, რაც საგარეჯოს რაიონის საინფორმაციო-საკუნსულტაციო სამსახურის ანალიტიკოსებს მოხვდათ თვალში: არაორგანიზებულობა, საქმის დაუგეგმავობა, ჯიშთა სელენქციის არარსებობა, ჯიშთა დეგრადაცია და ა.შ. და ა.შ.

ჩვენ ვთვლით, რომ დღეს საქართველოში თუ შეიძლება საუბარი „ფერმერზე“, ის მხოლოდ „პროტოფერმერად“ შეიძლება ჩაითვალოს, ანუ „ფერმერი“ პოტენციაში, რომლისგანაც გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ჩამოყალიბდეს კლასიკური ფერმერი – რა თქმა უნდა ბუნებრივი სელექციისა და მხოლოდ სამართიანი კონკურენციის პირობებში. ჩვენ საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს არა ერთ ასეთ „პროტოფერმერს“ შევხვდით. მათი ჩამოყალიბების გენეზისი, შევსების წყაროები, განვითარების ისტორია,

მიღწევები – ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია, მაგრამ ის რაც მათ აერთიანებთ – ეს არის არსებული მძლავრი მუხტი კაპიტალისტური ეკონომიკის კანონების საფუძველზე განავითარონ საბაზრო ფორმით სოფლის მეურნეობა და მიაღწიონ მზარდ ეკონომიკურ წარმატებას.

ამრიგად, როგორც წერილობითი წყაროების, ისე საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების შედეგად ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოში განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებობს „პროტოფერმერული“ რეალობა მაღალი ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მუხტით შემდგომი განვითარებისათვის და აღძრავს იმედს, რომ გარკვეულ ეტაპზე საქართველდოშიც ჩამოყალიბდება დასავლური სოციოლოგიის შინაარსით განსაზღვრული კლასიკური „ფერმერი“.

§ 7. საქართველოს სოფელში „კოოპერატივების“ კვლავ აღორძინების საკითხისათვის

საბჭოთა სისტემის დამხობისა და ყოველივე საბჭოურზე უარის თქმის ვითარებაში, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საზოგდოებრივი აზრის რადიკალურად განწყობილი ნაწილის მიერ მიმდინარეობდა „ყოველივე საბჭოურის“ დისკრედიტაცია.

ამ შეხედულებებიდან გამომდინარე, აგრარული რეფორმის შედეგად, ბარბაროსული ფორმით განადგურდა საქართველოს სოფელში ყველაფერი ის, რაც უდიდესი მსხვერპლის ფასად იყო შექმნილი და XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის თვითოეული კოლმეურნის ოჯახისათვის გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მომტანიც იყო.

საქართველოს რადიკალები, რომლებიც ძალაუფლებას ფლობდნენ, იმედოვნებდნენ, რომ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობა სწრაფად გამოაცოცხლებდა საქართველოს სოფლის ეკონომიკას, რომ ქართველი გლეხი შეძლებდა ტრადიციული მეთოდებით ქართული სოფლის წამოწევას და საქართველო კვლავ „გაბრწყინდებოდა“.

საქართველოში შემომავალი უდიდესი ეკონომიკური დახმარებები (გრანტები, ინვესტიციები, სუბსიდიები), რომლის მიზანი სოფლის აღორძინება იყო, სადღაც უკვალოდ იკარგებოდა – ეფექტი ნაკლები ჰქონდა. „ფერმერული მეურნეობები“ – როგორც ზემოთ აღინიშნა, სათანადო ეფექტის მომცემი ვერ გახდა – მიღებული შედეგი მოლოდინს არ უტოლდებოდა. არაფრად არ ვარგოდა სოფლის მეურნეობის მართვის მექანიზმი.

იყო მცდელობა ქართულ სოფლებში გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების შექმნის, რომელიც გამოაცოცხლებდა ქართულ სოფელს. თუ როგორი იყო თავისი არსით ეს ამხანაგობები, ამაზე ნათლად მიუთითებს ჩვენს მიერ მიკვლეული ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე არქივში. 2007

წელს სამინისტრომ, საქართველოს პრეზიდენტის 21 თებერვლის განკაგულების საფუძველზე, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად შეასყიდა სასოფლო-სამეურნეო „ამხანაგობებს“ სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ე.ი. „გამოიჩინა ზრუნვა“.

უდავოდ, განზრახვა მისასალმებელია, მით უფრო, რომ დოკუმენტის მიხედვით ტექნიკა კახეთის რეგიონის ყველა „ამხანაგობაზე“ გადანაწილდა და არავინ დარჩა ტექნიკის გარეშე. ჩვენ დავინტერესდით, რა „ამხანაგობებზე“ იყო საუბარი და სოფლის მეურნეობის რომელ მიმართულებაში საქმიანობდნენ ისინი. საკმაოდ დიდი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ დავრწმუნდით, რომ კახეთის რეგიონში „ამხანაგობების სახელწოდება“ არის: თელავის რაიონში – ყარაჯალა, კისისხევი, ქვ. ხოდაშენი, იყალთო, აკურა, წინანდალი, ჯუდაანი და ა.შ; გურჯაანის რაიონში „ამხანაგობები“ ერქვათ – ჭერემს, ველისციხეს, ჩუმლაყს, ყიტაანს, კარდენახს, ვეჯინს და სხვ.; სიღნაღის რაიონში ტექნიკა მიიღო „ამხანაგობებმა“: საქობომ, ულიანოვკამ, წნორმა, ვაქირმა, ანაგამ, ჯუღაანმა და ა.შ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. პრეზიდენტის საჩუქარი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო – თითოეულმა სასოფლ-სამეურნეო „ამხანაგობამ“ საშუალოდ მიიღო: ვენახის გუთან-გამფხვიერებელი, როტაციული ფრეზი, ტურბო ატომიზერი, ლაფეტი 2 ტონიანი, 3 ფრთიანი გუთანი და ა.შ. არც ერთი „ამხანაგობა“ (ანუ კახეთის სოფელი) არ დარჩა ტექნიკის გარეშე. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არსად არ ჩანს თუ ამ „ამხანაგობებმა“ როგორ წასწიეს წინ კახეთის რაგიონის სოფლის მეურნეობა (სსმს არქივი, ანაწერი 1, ს.814, 1-10), პირიქით, კახეთი საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილებების ანგარიშებში მუდამ ცალსახად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არარსებობაზეა საუბარი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ „ამხანაგობების“ მუშაობის შედეგები არც ერთ სტატისტიკურ კრებულებში არ აისახა და არც ასეთი „ამხანაგობების“ შესახებ მასალას სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივში ვერ გადავაწყდით. სამაგიეროდ, საკმაოდ თვალსაჩინოა და ეს ყველა სტატისტიკურ კრებულში გარკვევით ფიქსირდება, რომ, როგორც ჩანს, საბაზრო ეკონომიკა თავისთავად, სტიქიურად სიუხვეს ვერ ქმნის ვერც მრეწველობაში და ვერც სოფლის მეურნეობაში. ამაზე აშკარად მიანიშნებს ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი არა ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც ქართული სოფლის მწარმოებლურობის მკვეთრ ვარდნას ადასტურებს.

ამ მძიმე ვითარების გამოსწორებას სოფლად ითვალისწინებს ახალი პოლიტიკური ძალის – „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ იდეოლოგების მიერ შემოტანილი ახალი პროგრამა: საქართველოში კოოპერატიული მოძრაობის აღორძინებისა და კოოპერატივების მასობრივად შექმნის შესახებ. ეს იდეა იმდენად მომხიბლავად ჩაითვალა, რომ უკვე ხელისუფლებში მოსვლის შემდეგ შეიქმნა სპეციალური სამსახურიც კი – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერტივების განვითარების სააგენტო“, რომელსაც ახალგაზრდა იურისტი ჩაუყენეს სათავეში და რომლის მიზანია სა-

ქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება შემდეგი პროგრამების დახმარებით: „თხილისწარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“; „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიების მხარდაჭერა სახელმწიფო პროგრამით“; „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამის“ რეალიზაცია; „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო სპაკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა“ და ა.შ.

როგორც სააგენტოს ხელმძღვანელები ამტკიცებენ, საქართველოში დღეს უკვე 1440 სასოფლო-სამეურნეო კოოპერტივია, ამათგან მარტო – კახეთში – 160, ქვემო ქართლში – 185, სამცხე-ჯავახეთში – 338 და ა.შ. (იხ. სააგენტოს საიტი).

კოოპერატიული მოძრაობის ხელშესაწყობად ხელისუფლებამ სანიმუშო ტიპიური წესდებაც კი შეიმუშავა და მასობრივად გაავრცელა. გათვალისწინებულია ეკონომიკური სტიმულებიც (საბანკო შედავათიანი კრედიტები, საგადასახადო შედავათები, დაწესებულია გარკვეული პრივილეგიებიც).

თუ საიტზე წარმოდგენილ საქმიანობის ამსახველ ფოტოილუსტრაციებს ვერწმუნებით – საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა „დუღს და გადმოდვუღს“, ერთმანეთის მიყოლებით ტარდება გამოფენები, ტრენინგები, შეხვედრები და ა.შ.

საველე-ენოგრაფულმა ექსპედიციამ შესაძლებლობა მოგვცა ადგილებზე გადაგვემოწმებინა სააგენტოს მიერ გაკეთებული განცხადებები და დაგვედგინა შედარებითი ჭეშმარიტება. კახეთის ყველა რაიონში ექსპედიციის წევრები ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრის დროს მუდამ ეხებოდნენ კოოპერატივთან დაკავშირებულ საკითხებს. თქმა იმისა, რომ კახეთში კოოპერტივები არ არის – უსამართლობა იქნება, ის ნამდვილად არსებობს ზოგიერთ რაიონში, არიან წარმატებულინიც და არინ პრობლემებით დატვირთულნიც. მათ შესახებ მკვლევარი-ეთნოგრაფები დეტალურად სათანადო ადგილზე ისაუბრებენ, ჩვენ ქვემოთ მხოლოდ ზოგადთეორიულ და რამდენიმე პრაქტიკულ საკითხებს წარმოვაჩენთ.

გლეხებთან საუბრისას ძალიან ბევრმა გამოთქვა თავისი დამოკიდებულება კოოპერტივის საკითხზე: *„კოოპერატივზე დიდი წარმოდგენის არა ვარ“* – განაცხადა გლეხმა (თუშეთი); იყალთოელმა გამოკითხულმა გლეხებმა განაცხადეს, რომ *„კოოპერატივი შესახებ არაფერი იციან და სოფელში ამაზე ლაპარაკიც არ არის“.* ქისტაურელმა 70 წლის გლეხმა განგვიცხადა, რომ სოფელში კოოპერატივი არავის აინტერესებს – ყველა თავისთვისაა. საინტერესო აზრი გამოთქვა ხოდაშნელმა გლეხმაც: *„კოოპერატიი აქ არ არის. არც შეესაბამება ჩვენ ცხოვრებას. ნაკვეთები უნდა გააერთიანონ, ყველაფერი ერთიანი უნდა იყოს, ვიღაც ხელმძღვანელი უნდა დაინიშნოს. პრინციპულად ცუდი არ არის, მაგრამ ხარისხი? გლეხს არა აქვს გარან-*

ტია, რომ იქნება ხარისხი“ (აქ მთხრობელი აშკარად გულისხმობს კოოპერატივის შედეგს – ა.დ.).

სოფელ მაჩხაანში განგვიცხადეს: *„კოოპერატივის იდეა ბერჯერ დადგა, ხალხსაც ვესაუბრეთ, მაგრამ ხალხი არ არის დაინტერესებული. ვუთხარით, რომ არ იქნება გადასახადები, რომ ტექნიკა იქნება, მაგრამ იმ დონეზეა ხალხი გაჭირვებული, რომ აღარ აქვთ იმედი და სურვილი. ალბათ გაუადვილდებათ მუშაობა, მოძრაობაც ადვილი იქნება. ამას უნდა დრო“*.

თელავის რაიონის სოფელ აკურაში განაცხადეს: *„ხალხს კოოპერატივს რომ უხსენებ, ეშინიათ, არ უნდათ, ჰგონიათ, რომ ეს ისევ კომუნისტურია და კოლექტივი ყალიბდება, ასეთი მენტალიტეტი აქვთ. მე ვეხვეწები ხალხს, რომ ერთი კოოპერატივი მაინც ჩამოვაყალიბოთ საჩვენებლად – არ უნდათ. არა და კარგია, უპირატესობა აქვს კოოპერატივს“* (სოფლის რწმუნებელი). მსგავსი გამონათქვამები სხვა სოფლებშიც მოვისმინეთ.

ამრიგად, საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩანაწერებიდან აშკარაა რიგითი გლეხების მკვერად უარყოფითი დამოკიდებულება კოოპერატიული მოძრაობისადმი, მაგრამ კახეთის მთელ რიგ რაიონში კოოპერატივები მაინც არებობს და მათ შესახებ გარკვეული ინფორმაციაც მოგვცეს რაიონის საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილებების ხელმძღვანელებმა. მაგალითად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 2015 წლის 31 დეკემბერისათვის ფუნქციონირებდა 23 სასოფლო-სამეურნელო მიმართულების კოოპერატივი (საგარეჯოს რაიონის..., 2015, 19). ყვარლის მუნიციპალიტეტში შექმნილია 16 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი: „როკი“ – მევენახეობა-მესაქონლეობის პროფილით; „საბა“ (სოფ. გავაზში) – სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების პროფილით; „კირკიტიანი“ (სოფ. ჭიკაანი) – მევენახეობა და სატბორე მეურნეობის მიმართულება; „ნერსე“ (სოფ. ენისელი) – სასათბურე მეურნეობა, მებოსტნეობა, მებაღეობა, მევენახეობა და ა.შ.

დედოფლისწყაროს რაიონში სულ სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია შექმნილი – „ხვავი“ (მევენახეობა, მარცვლეული კულტურები, მეხილეობა); „ქიზიყი“ (რძის წარმოება, მესაქონლეობა); „თაფლი“ (თაფლის წარმოება და რეალიზაცია). რამდენიმე კოოპერატივია შექმნილი გურჯაანისა და თელავის რაიონებშიც.

სიღნაღის რაიონში, ჩვენი ექსპედიციის იქ ყოფნის დროს, 2016 წელს, კოოპერატივი ოფიციალურად ჯერ კიდევ შექმნილი არ იყო.

მართალია, ამ რაიონების ხელმძღვანელთა საანგარიშო დოკუმენტებში დაფიქსირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მათი პროფილი, მაგრამ არსად არ უთითებენ მათი მუშაობის შედეგებს, მათ მნიშვნელობას – რაიონის სოფლის მეურნეობის განვთარებაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამის მიზეზი არსებული კოოპერატივების რეალურად მეტად უმნიშვნელო შესაძლებლობები და, რათ მთავარია, მათი მუშაობის მოკრძალებული შედეგები უნდა იყოს.

კახეთის რეგიონში ადგილობრივი ხელმძღვანელები კოოპერატივების მშენებლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ არ ანიჭებენ, ამაზე აშკარად მიანიშნებს ოფიციალური დოკუმენტი – „კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2014-2022 წლების პერიოდში, სადაც სიტყვაც არ არის ნახსენები კოოპერატივების შესახებ. კიდევ უფრო მეტი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – „საქსტატი“ თავის ყოველწლიურ სტატისტიკურ კრებულებში საერთოდ არ უჩვენებს საქართველოში კოოპერატიული მოძრაობის განვითარებას, მისი მუშაობისა თუ წარმატება-წარუმატებლობის კონკრეტულ შედეგებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, საველე-ეთნოგრაფიული მასალით მტკიცდება, რომ კახეთის რეგიონში კოოპერატიული მოძრაობის აღორძინებით დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საელჩოები და ამ ინტერესს კონკრეტულად ახორციელებენ კიდეც. მაგალითად, ძალიან რეალური ჩანს ჩეხეთის საელჩოს აქტივობა ახმეტის რაიონში – განსაკუთრებით თუშეთში. მათი ძალისხმევით (ფინანსური მხადაჭერით) შექმნილია რამდენიმე კოოპერატივი: მეკარტოფილეობის, მებოსტნეობის, მატყლის დამუშავების. ჩვენ გავესაუბრეთ ამ კოოპერატივების ხელმძღვანელებს. მათთან საუბრის დროს ეს კოოპერატივები სულ ახალი შექმნილი იყო და ჯერ კონკრეტული შედეგები არა ჰქონდათ. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, ახმეტის რაიონის მეკარტოფილეობის კოოპერატივი, აერთიანებდა 14 კაცს, უკვე შეძენილი ჰქონდათ საკმაოდ ძვირადღირებული ტრაქტორი, რაშიც ძირითადი თანხა გადაიხადეს „მეკარტოფილეობის პროგრამის“ გრანტით. კოოპერატივს საკმაოდ მცირე ტერიტორია ეკავა – მისმა წევრებმა საპაიო წილი 0,50 ჰა შეიტანეს თვითოეულმა. მუშაობის ფორმა – ინდივიდუალურია. კოოპერატივის შექმნის მთავარი ინიციატორი და სპონსორი – ჩეხეთის მხარე ჩანს, რომლის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა თუშური კარტოფილის კულტურის აღორძინება, მისი მოსავლიანობის ისეთი ზრდა, რომ ის ჩეხეთშიც გაიტანონ. ჩეხების დახმარებით კარტოფილის შესანახი სპეციალური საწყობიც კი გაკეთდა.

ჩეხების დახმარებით შეიქმნა ასევე მეკარტოფილეობის მეორე კოოპერატივიც. ჩეხების დაფინანსებით თუშეთში შექნილია მემატყლეობის მიმართულების ერთი კოოპერატივიც. ასეთივე ინტერესი დაფიქსირდა პოლონეთი, გერმანელი ინვესტორების მხრიდანაც. (დარგობრივ კოოპერატივებზე დეტალური საუბარი გვექნება ქვემოთ).

გურჯაანში მეტად საინტერესო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი შეიქმნა, რომელმაც საკმაოდ ძნელი გზა განვლო, მაგრამ მოახერხა საზღვარგარეთული თუ ადგილობრივი (ქართული) გრანტების მოპოვება და ჩინებული კოოპერაციული გაერთიანება ჩამოყალიბდა, რომელიც დაკავებულია არატრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაზე (მაგალითად, უეკლო მაყვალი და სხვ.). 2015 წელს გურჯაანში დაარსდა მევენახეობის კოოპერატივი, რომელსაც არატრადიციული ჯიშის ყურძენი მოჰყავს („კარდინალი“, „სომხური თითა“ და სხვ.).

ექსპედიციის დროს ჩვენ გავესაუბრეთ კახეთის რეგიონში მცხოვრებ, წარსულში კახეთის რაიონებში აგროსექტორის ცალკეული მიმართულებებისა თუ სხვა სტრუქტურების ხელმძღვანელებს, გამოცდილ აგრარიკოსებს და ჩავიწერეთ მათი შეხედულებები, დაკვირვებები სოფლად მიმდინარე პროცესებზე. მათი თვალსაზრისი კოოპერატივის აღორძინებაზე ბევრად საყურადღებოდ გვეჩვენება: „ახლა გლეხი ამბობს – თუ შემაყოფინეს თავი მაგ კოოპერატივში, იურიდიულად პასუხისმგებლად გამხდიან და მერე დამადგამენ უღელსო. ამასთან გადასახადებს მომიმატებენ, რომ იქნებ თავბედიც კი მაწყევლინონო. გლეხს ეშინია – ამიტომაც ფიქრობს დავრჩე ისევ ინდივიდუალურ მეწარმედო“.

გურჯაანში ერთ გამოცდილ აგრონომს საინტერესო ინტერვიუ ჩამოვართვით, სადაც კოოპერატივის განვითარების საკითხებსაც შეეხო. მან მოგვიყვა ერთი ამბავი – „ულიანოვკაში რუსები ცხოვრობდნენ, საქმის წარმოებაც რუსული იყო – რადგან რუსები ცხოვრობდნენ... ეს რუსები ცნობილი მოვლენების დროს რუსეთში წავიდნენ. ორი წლის წინ ჩამოვიდა ერთი მათგანი, ინჟინერი, მოვიდა ჩემთან და მითხრა: – ვნახეო სადაც ვმუშაობდიო... სულ გაგინადგურებიათ ყველაფერიო“. „როგორ არის თქუენთან სოფლის მეურნეობა მოწყობილი მეთქი“ – ვკითხე, ჩვენთან სულ მოიშალა კოლმეურნეობა-მეთქი.

მიპასუხა – „მე კოლმეურნეობაში ვმუშაობო. ჩვენ კოლმეურნეობას ვეძახით, ისე სააქციო საზოგადოებაა“. ანუ ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეცვალეს მეორე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, ანუ იყო კოლმეურნეობა და გადააქციეს სააქციო საზოგადოებად. და რა არის სააქციო საზოგადოება – ეს ხომ იგივე კოლმეურნეობაა“.

მსგავსი შეხედულება კახეთში დღეს ერთეული არ არის. სამწუხაროდ, იმჟამად, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის გატარების დროს, ლიბერალური საზოგადოებრივი აზრის ბატონობის ვითარებაში, ასეთი შეხედულების გამოთქმა „ერის მოღალატის“ „კრემლის აგენტის“ იარლიყის მიწებების ტოლფასი იყო. ფაქტი კი ერთია, აცერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში ისე ბარბაროსულად არ გაუნადგურებიათ კოლექტიური მეურნეობები, როგორც საქართველოში – მის დარბევაში ისევე დიდი ერთსულოვნებით მონაწილეობდა სოფლის ძირითადი მოსახლეობა, როგორც ე.წ. „კულაკების“ განადგურების ოპერაციაში XX საუკუნის 30-იან წლებში.

ჩვენი დამოკიდებულება აღნიშნულ საკითხზე არის შემდეგი: მართალია ბერძენი ფილოსოფოსი – „ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ!“. საქართველოში კოოპერაციული მოძრაობა XX საუკუნის 30-იან წლებში განსაკუთრებული ბარბაროსული მეთოდებითა და ტრაგიკული შედეგებით ჩატარდა. მაშინაც მიზანი – სასოფლო-სამერნეო პროდუქციის არნახული ზრდა, გლეხებისათვის ცხოვრებისა და შრომის საუკეთესო პიროებების შექმნა იყო – კულაკების ექსპროპრიაციის გზით. ჩვენ ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ კოოპერაცილი ფორმები ქართულ სინამდვილეში ნებაყოფლობით ინერგებოდა 1921 წლიდანაც (სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა ხელი-

სუფლება პრივილეგიებს სთავაზობდა კოოპერატორებს – საბანკოს, საგადასახადოს, ტექნიკურსა და ა.შ.), მაგრამ ეს პროცესი საოცრად უშედეგო აღმოჩნდა – 1929 წლისათვის ასეთი კოოპერატივების ხვედრითი წილი ეშპ-ის სტრუქტურაში სრულიად უმნიშვნელო იყო. ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას საქართველოში (მთლიანად კავშირში) ერთპიროვნული გლეხური მეურნეობები, განსაკუთრებით კი მდიდარი გლეხები (ე.წ. „კულაკები“) აწარმოებდნენ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ჭირდებოდა მუდმივი და იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია: მყარ შესასყიდ ფასებში, ყოველგვარი ეკონომიკური კოლაფსების, გლეხური ბუნტებისა და ბოიკოტების გარეშე. საბჭოთა კოოპერაცია სწორედ ამ მიზნის მიღწევას ითვალისწინებდა და ეს რთული (მატერიალური თუ ორგანიზაციული თვალსაზრისით) სოციალური რევოლუცია კომუნისტურმა პარტიამ უღარიბესი და საშუალო გლეხების მხარდაჭერით, ტრაგიკული ფორმით, წარმატებით განახორციელა კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის საფუძველზე. ეს ისტორიული გამოცდილება საქართველოს გლეხის სოციალურ ქვეცნობიერში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შემორჩენილია და ამ გზის მეორედ გამეორება მას არ სურს.

ამიტომაც არის, რომ დღევანდელი გლეხი ისეთივე მომლოდინეა, როგორიც ის იყო 1921-1929 წლებში – ქართველ გლეხს ამ მიმართულებით მკვეთრი ნაბიჯის გადადგმა უჭირს. პრაქტიკა მიანიშნებს, რომ ის მხოლოდ მხოლოდ მაშინ ხდება აქტიური, თუ მისთვის ხელშეწყობა არის ტოტალური – 100%. ამიტომაც, როგორც ვხედავთ, იქნება კოოპერატივები შედარებით წარმატებით მხოლოდ იქ, სადაც 100 პროცენტიანი საგრანტო დაფინანსებაა და ისიც რამდენიმე წელზე გათვლილი.

ძნელი სათქმელია რა შედეგებს გამოიტანს დღეს ასე აფიშირებული „კოოპერაციული მოძრაობა“ და მოხდება კი მასში რადიკალური გარდაქმნა? დღევანდელი გამოცდილებით კი აშკარაა, რომ ის მხოლოდ ჩანასახის სტადიაშია და კიდევ დიდი ხნის განმავლობაში რაიმე რეალურ როლს საქართველოს სოფლის მეურნეობაში ვერ შეასრულებს.

§ 8. სოფლის თვითმმართველობა

კახეთის რეგიონში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სოფლის დონეზე თვითმმართველობა საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაშია. სოფლის დეპუტატი (//მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელში), სრულიად უუფლებოა, „რაიონის მუნიციპალიტეტი განაგებს ყველაფერს, ჩვენ მხოლოდ ადმინისტრაციული ერთეული ვართ, გამგობის წარმომადგენელი, შუამავალი“; „მხოლოდ ფოსტალიონის როლს ვასრულებთ სოფელსა და მუნიციპალიტეტის გამგებელს შორის“-ო. თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ ერთ-ერთი სოფლის გამგებლის წარმომადგენლის

მონათხრობს: „ *2012 წლიდან დავიწყე მე მუშაობა. ყველანაირი უფლებები გვაქვს ჩამორთმეული. მე მაქვს მხოლოდ ორი ცნობის გაცემის უფლება საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ და ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. მეტი არაფრის უფლება არ მაქვს. ერთი ლარი არ გვაქვს ბიუჯეტში. თუ რაღაც დაგვჭირდა, აი მაგალითად, მოსახლეს დასჭირდა ტრაქტორი, უნდა გავაგზავნო მოთხოვნა გამგეობაში და როდის-როდის შესრულდება. მოკლედ შუამავალი ვარ სოფელსა და რაიონის გამგეობას შორის. ხალხს ჰგონია შეგვიძლია რამე. მოვა ვინმე, მაგალითად რამე უსიამოვნება აქვს მეზობელთან ან ოჯახში და გაყრა უნდა, ან წყალთან (სასმელი, სარწყავი) აქვს პრობლემა და ა.შ. გვთხოვს დახმარებას. არ მეხება, არ ვარ ვალდებული და პასუხისმგებელი ამ საკითხებზე. სოფელში რამე თუ გაფუჭდა, მაგალითად სასმელი წყლის მილი გასკდა, უნდა დავურეკო ვისაც წყალი ეკუთვნის, რომ მოვიდეს და გააკეთოს. წყლის აუზი იყო გასარეცხი, ფული არ მოგვცეს, სასწრაფოდ ვიშოვეთ მუშა, საკუთარი ფული მივეცი, რომ აუზი გაეწმინდა და მოსახლეობისათვის დროულად მიგვეწოდებინა წყალი. ასე რომ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ გამგეობის წარმომადგენლები. თვეში 300 ლარი მაინც რომ გვქონდეს სოფლის ბიუჯეტში, მაგ; ვიღაც გაჭირვებული მოდის დახმარება უნდა, ვიღაც უპატრონო არის, რაღაცნაირად რომ დაეხმარო, არანაირი საშუალება არ არის. არავითარი ფუნქციები არ გვაქვს“.*

სოფელს შეგნებულად არ ვასახელებთ იმიტომ, რომ ზემოჩამოთვლილი პრობლემები ყველა სოფლის გამგებლის წარმომადგენელს აწუხებს. ყველა სოფლის (ორიოდე გამონაკლისის გარდა) ე.წ. თვითმმართველობის შენობა გასული საუკუნის 80-იან წლებშია აშენებული ან კოლმეურნეობის შენობაა, ან კულტურის სახლში, ერთ ოთახში არიან შეკედლებულები. შენობების უმრავლესობა ავარიულია, კეთილმოუწყობელი.

სოფლის დახმარების პროგრამით გამოყოფილი თანხა სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ნაწილდება. სოფლის განვითარების პროგრამით ერთ სულ მოსახლეზე 12 ლარია გამოყოფილი – მოსახლეობის რაოდენობაზეა დამოკიდებული თანხების განაწილება. „ეს ბევრი არაფრის გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ სულ არაფერს ჯობია“. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სოფლის დახმარების პროგრამით მიღებული ფულით რა უნდა გაკეთდეს, რა არის სოფლისათვის პრიორიტეტი, ამის გადასაწყვეტად იწვევენ სოფლის კრებას. მოსახლეობის მოთხოვნა ყველა სოფელში თითქმის ერთნაირია: გზის გაკეთება, სასმელი ან სარწყავი წყლით მომარაგება, საბავშვო ბაღის გარემონტება, სასაფლაოს შემოღობვა და სხვ. იშვიათია, მაგრამ ზოგიერთ სოფელში ფეხბურთის ახალი სტადიონიც გაკეთდა.

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნას არ ითვალისწინებენ, თუ ეს გამგეობის შენობის კეთილმოწყობას ეხება, „გამგეობის შენობა ნახეთ აგერ, ტუალეტი არ გვაქვს, მრცხვენია. სოფლის კრებამ დააყენა საკითხი, სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხით (ჩვენს სოფელზე გა-

მოყოფილი 35 ათასი ლარით), გარემონტებულიყო ეს შენობა, სასტიკი უარი მივიღეთ, არ შეიძლება საოფისე ფართების მოწყობაო. სოფლის კრების ჩატარება ღია ცის ქვეშ გვიწევს (ბურდული, სიღნაღი, 2016).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოყოფილი თანხის რაოდენობა სოფლის სიდიდეზეა დამოკიდებული. მაგალითად, თელავის რ-ის სოფ. კურდღელაურს 2015 წელს შეხვედრია 72 ათასი ლარი. ამ ფულით კეთდება საბავშვო ბაღი, რომელიც არ ქონდა სოფელს, გზა და სასმელი წყალი. გამგებლის წარმომადგენელის ოთახი, როგორც ყველგან, ამ სოფელშიც სავალალო მდგომარეობაშია.

„ვიღაც რომ მოდის, კარების გაღება საჭირო არ არის, ისეც ვხედავ იმხელა ღრიჭოები აქვს“. სოფელს ბიუჯეტი არ აქვს რომ მოაწესრიგონ პირობები, სოფლის განვითარების ფონდიდან კი ადმინისტრაციული შენობების გარემონტების უფლება არ აქვთ. „ვითხოვთ გქონდეს მუშაობის ელემენტარულ პირობები, უცხო შემოდის თუ ადგილობრივი მოსახლე ელემენტარულად სირცხვილია. *„წელს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან იყვნენ ჩამოსულები, ვთხოვეთ დარბაზი გვაქვს სადაც ასი კაცი დაეტევა, კრების ჩატარება რომ გვინდა სხვას ვეხვეწები – იქნებ ცოტა ხანი დამითმო დარბაზი, რომ კრება მაქვს ჩასატარებელი-მეთქი. ხან სტუმრები ჩამოდიან, ხან ჩვენ გვჭირდება. მომეცით იმის უფლება, რომ ეს დარბაზი შეკეთდეს, ამაზეც უარი გვითხრეს. სირცხვილია, ძალიან ცუდი მიდგომაა, ჩაგაქნევინებენ ყველაფერზე ხელს. ჩვენ წარმომადგენლები გვქვია ახლა. ანუ თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ვარ მე სოფელ კურდღელაურში, რაც ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იქიდან ამბავი ჩამოვიტანო და აქედან ავიტანო. როგორ შეიძლება სოფელს ბიუჯეტი არ ჰქონდეს. რატომ უნდა შევყურებდეთ ხელებში, მაგალითად, კალამი რომ გაგვითავდება, ქაღალდი რომ გაგვითავდება, განცხადებას ვწერ, რომ შევიძინოთ მეთქი. თვიდან თვემდე ველოდებით ხელფასს თანამშრომლები და აღებული არ გვაქვს, უკვე დახარჯულია. ძველ, საბჭოთა პერიოდში იგივე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მურნეობებს, ჰქონდა სამსახურებრივი მანქანები, დღესაც ხომ შეიძლება, რომ იგივე სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან გამოიყოს ერთი 5000 ლარი მანქანის შესაძენათ. საკუთარ მანქანას „ძირი გავაგდებინე“ სოფლის საქმეებზე სირბილით“. (ბურდული, თელავი, 2016).*

სოფლის კრებებს, გარდა სოფლის დახმარების პროგრამის განხილვისა, თუ სოფელში რაიმე საჭირბოროტო საკითხია გადასაწყვეტი, მაშინაც იწვევენ. ზოგიერთ სოფელს ამ დახმარების გარდა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც აფინანსებენ.

„46 ათასი ლარია გამოყოფილი ყოველ წელიწადს სოფლისათვის, უფრო მეტად ხალხი დაინტერესებულია სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგებით, არ ყოფნის თანხა, დიდი სოფელია, წელიწადში ერთი უბანი რემონტდება. ყველა ოჯახს აქვს უკვე სახლში წყალი შეყვანილი. ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაცია „ვორდ ვიჟენ“-ი („მსოფლიო ხედვა“) ძალიან გვიდგას მხარში. ძირითადად ბავშვებს ეხმარება. სკოლაც მა-

გათ გაგვირემონტეს. საბავშვო ბაღიც. და ძალიან ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ. მეფუტკრეობასაც მოკიდეს ხელი. კოოპერატივის წევრებს სკები მაგათ დაგვიდგეს. წყლის სისტემებიც ბევრ უბანში გამოგვიცვალა". (ბურდული, თელავი, 2016).

სოფლისთვის განვითარების პროგრამით გამოყოფილი თანხა დაგროვილი პრობლემების მოგვარებას არ ჰყოფნის, *„მატანი ძალიან დიდი სოფელია, მარტო გზის მოხრეშისა და სასმელი წყლის მილების გამოცვლას არ ჰყოფნის, კი, ყოველ წელს გვაძლევს მთავრობა ამ ფულს, მაგრამ ეს ვერ აუდის, არ ყოფნის. დაახლოებით 12 ლარია ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი, ჩვენ გვიწევს სადღაც 80 ათასი ლარი. ზღვაში წვეთია ეს ფული. ნაწილი მილებისა შეიცვალა, ნაწილი იცვლება, შიდა გზები იხრეშება, ამ ფულმა შედავათი როგორ არ მოგვცა მაგრამ არ არის საკმარისი" (ბურდული, ახმეტა, 2015).*

ასეა ყველა სოფელში და ამიტომ ნაწილ-ნაწილ კეთდება უბნების მიხედვით, მაგალითად, თუ წყლის მილებია გამოსაცვლელი, ერთ წელს ერთ უბანში ხორციელდება სამუშაოები, სხვა უბანი მეორე წლის დახმარებას უნდა დაელოდოს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამით გათვალისწინებული თანხაც ისევე იბეგრება, როგორც ბიზნესი, – *„იქ დამატებითი ღირებულების გადასახადი, იქ საშემოსავლო და ხომ აკლდება ამ თანხას".* უნდა იბეგრებოდეს თუ არა აღნიშნული თანხა? მის გარკვევა ჩვენს კომპეტენციას აღემატება, სურვილის მიხედვით კი ვიტყვით, რომ უმჯობესი იქნებოდა ეს მწირი თანხა სრულად მოხმარებოდა სოფელს.

საინტერესოდ გვეჩვენება შევადაროთ თანამედროვე სოფლის კრებების უფლება-მოვალეობები, XIX საუკუნეში არსებულ ე.წ. „სოფლობა"-ს. მაშინდელი სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებები უფრო მრავალფეროვანია:

„რადგან (სოფლის) კრება წყვეტდა როგორც სამეურნეო, ისე ადმინისტრაციულ საკითხებს, განსახილველი თემებიც მრავალფეროვანი იყო: ხვნის, თესვის, მკისა და რთველის დაწყების თარიღი, სოფლის კეთილმოწყობა და წესრიგის დაცვა, ხიდების აშენება, გზების გაყვანა და შეკეთება, ობლად დარჩენილი ბავშვების მოვლა-პატრონობა, გადასახადების გაწერისა და აკრეფის საკითხებიც. მოსავლის აღება ყველას ერთად უნდა დაეწყო და ერთმანეთს დახმარებოდნენ. სანამ კარგად არ დამწიფდებოდა ყურძენი, დადგენილ თარიღამდე არავის არ უნდა დაეკრიფა (კაკაშვილი, 2015, 17).

სამეცნიერო ურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სოფლობის" იმ ფორმის წინაპარი, რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრიდან XX ს-ის პირველ მეოთხედამდე ფუნქციონირებდა, უნდა ყოფილიყო საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში არსებული საზოგადოებრივი კრებები. მაგ. ხევსურეთში საფიხვნო და ფეხნობა, თუშეთში – საანჯმო, დაღესტანში – ჯამაათი, ოსეთში – ნიხასი და სხვ. (კაკაშვილი, 2015, 19)

მოსახლეობის აზრით, მიწის გადასახადიდან ნაწილი რომ მაინც რჩებოდეს სოფელში, სოფელი თავის თავს მიხედავდა. მოვიყვან ერთი სოფლის

მაგალითს, მათი დაანგარიშებით, თუ სავარაუდოდ რამდენი შედის ბიუჯეტში მიწის გადასახადით: *„ჰექტრამდე ვისაც აქვს მიწა მათთვის გადასახადი არ არის, მაგრამ 1800 ჰექტარი ხომ არის არენდით გაცემული და აქედან 860 ათასი უნდა შევიდეს ბიუჯეტში. სოფელში რომ რჩებოდეს მცირე თანხა მაინც სოფელს მოევლებოდა მაგ; გაკეთდებოდა კულტურის სახლი, კარგი სპორტული დარბაზი, გზებს მოვაასფალტებდით, წყალს მოვაწესრიგებდით. წყალი გვაქვს 24 საათიანი გრაფიკით, მაგრამ მოსაწესრიგებელია. 2 თვე, ივლისი და აგვისტო ჭირს წყალი“.*

სოფლის მცხოვრებლები თვლიან, რომ სოფელს სანამ თავისი ბიუჯეტი არ ექნება, თვითონ არ განაგებს თავის ჭირ-ვარამს, რა არის გასაკეთებელი და რა არა, არაფერი ეშველება. მაგალითად, *„გაფუჭდა სასმელი წყლის გამანაწილებელი, ჩვენს წყალს „ჯორჯიან უოთერ ფაუერსი“ მართავს, უნდა რაღაც გარკვეული ინსტანციები გაიარო რომ შეატყობინო, მოვიდეს და წყალი გააკეთოს. მაშინ როდესაც, სოფელს, თუ თავისი ბიუჯეტი ექნება სასწრაფოდ გაკეთდებოდა. ჯერ რამდენი ადამიანი სოფელში დასაქმდებოდა. სოფელი თვითონ უნდა წყვეტდეს რა არის მისი პრობლემა. სოფელი რომ დააყენებს პრობლემას, ეს უნდა იყოს ამოსავალი. არასოდეს ზევიდან ქვევით არ უნდა გვკარნახობდნენ ჩვენ სოფელში რა არის გასაკეთებელი. გამგებლის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში მხოლოდ მიღებულ დავალებებს ასრულებს, წარმოადგენს შუამავალს ხალხსა და გამგებელს შორის. სხვა უფლებები მას არა აქვს“.*

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სოფელში, სოფლის დახმარების პროგრამით, გაკეთდა ან ეხლა კეთდება საბავშვო ბაღი თანამედროვე სტანდარტებით. მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ საბავშვო ბაღში ბავშვების კვებას სახელმწიფო აფინანსებს.

საინტერესოდ გვეჩვენება და მოვიტანოთ სოფლის მოსახლეობის გულისტკივილს, რაც მათ უჩნდებათ გამოთქმაზე, – „სოფლის დახმარების პროგრამა“. აღნიშნული აღიზიანებს მათ, თვლიან, რომ ეს შეურაცხმყოფელია: *„არაფერი დასახმარებელი არ სჭირს სოფელს, ეს ფული ხალხიდან არის მოგროვილი, დამეხმარო რას ქვია, ეს ცუდად მოქმედებს ხალხზე, გამოდის გადასახადი მიაქვთ და მერე მეხმარება“.*

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სოფელი, „დახმარების პროგრამის“ გარდა, სხვა დაფინანსებასაც იღებს მთავრობიდან. ზოგიერთ სოფელში გამგებლის რწმუნებული 2013 წლიდან სოფელზე დახარჯულ თანხას ასახელებს, რომელიც არც თუ ისე ცოტაა: „მეოთხე წელიწადია, რაც ეს ხელისუფლება არის, როცა ივანიშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, თქვა თითო სოფელს თითო მილიონი უნდა ჰქონდესო. ეხლა თუ ვიანგარიშებთ, ჩვენს სოფელში, ტიბაანში, 500 ათასი გაიხარჯა სასმელი წყლის გაყვანილობის მოწესრიგებაზე, რკინის მილები გამოცვალეს, აბსოლუტურად დაფაცხავებული იყო, ხან სად ამოხეთქავდა წყალი ხან სად. დღეს ჩვენ სოფელში წყალი უკვე ყველას აქვს ეზოში. ორი მოსახლე იყო სადაც წყალი არ მიდიოდა და მერე ბურღის წყალი გავიყვანეთ. 4 ბურღი

გვაქვს სოფელში. ნახევარი მილიონი მაგაზე დაიხარჯა. სკოლის გზა იყო პროექტში, გასულ წელს მოასფალტდა, 120 ათასი იმაზე დაიხარჯა. მესამე წელია 40-40 ათასი იხარჯება ამ საქმეზე, საბავშვო ბაღს ჰქონდა რემონტი გასაკეთებელი, ეს გაკეთდა. მუსიკალური სკოლა გვაქვს სოფელში – ესეც გარემონტდა. დიდი სურვილი მქონდა რომ გაკეთებულიყო სასაფლაოსკენ მიმავალი გზა, რომელიც ორგანშტოებიანია, ერთი მიდის ხირსის მონასტერთან, რომელიც VI საუკუნის ძეგლია და სტეფანე ხირსელი აქ არის დაკრძალული. ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის. ეხლა კეთდება ეს გზები. სასაფლაოსაც მთლიანად კაპიტალურად უკეთდება შემოღობვა. ასე რომ, თითქმის რომ დავიანგარიშეთ მილიონ სამასი ათასი აი ამ ხელისუფლების პერიოდში დაიხარჯა მარტო ჩვენს სოფელზე“ (ბურდული, სიღნაღის.., 2016).

ზოგადად, სოფლის მცხოვრებნი გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სოფლისთვის რაიმე საერთო სარგებლობის, სოფლის ბალანსზე რომ იყოს, არაფერი არ აშენებულა, თუ რამე შენდება –ეს კერძოა.

კოლმეურნეობის/საბჭოთა მეურნეობის დროს ყველა სოფელში იყო ამბულატორია, კულტურის სახლი, სკოლა, ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი. მეურნეობა ან კოლმეურნეობა (რომელ სოფელშიც მეურნეობის რა ფორმა იყო), აფინანსებდა სოფელში ყველაფრის მშენებლობას. აქედან ახლა არის მხოლოდ სკოლა, ამბულატორიაც (ბევრ სოფელს ჰყავთ ექიმიც და ექთანიც), საბავშვო ბაღი. ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი ნაკლებად. ზოგიერთ სოფელში კულტურის სახლი დაანგრიეს, ზოგან ისევ დგას, მაგრამ ძველი ფუნქციები აღარ აქვს. სხვადასხვა მიზეზების გამო სოფელი „ბერდება“, ახალგაზრდობა ტოვებს სოფელს, ამის გამო კახეთის სოფლის სკოლებში ძალიან არის შემცირებული მოსწავლეთა რაოდენობა, ზოგან, თუ შევადარებთ გასული საუკუნის 80-იან წლებს, განახევრებული და უფრო ნაკლებიც კია.

აქვე ორიოდე სიტყვით შევეხები სოფლის კულტურულ ცხოვრებას. ღოგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთის თითქმის ყველა სოფელში იყო, ან შენდებოდა კულტურის სახლი, რომელსაც სოფელი თავის შემოსავლიდან აფინანსებდა. ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ კულტურის სახლს მრავალფუნქციური დატვირთვა ჰქონდა, მუშაობდა სოფლის მოსწავლეახალგაზრდობის სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული წრეები, იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები, როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიული თეატრალური დასების მიერ. კულტურის სასახლეები, ეს ტერმინი კარგად შეესაბამება კახეთის ზოგიერთი სოფლის (ზემო ქედის, აკურას, ჩუმლაყის და ა.შ.) კულტურის სახლს, ბევრ სოფელში დღესაც დგას როგორც შენობა, მაგრამ ფუნქციური დატვირთვა დაკარგა. მაგალითად, ზემო ქედის კულტურის სახლში სპორტული სექციაღა ფუნქციონირებს კერძო ინიციატივებისა და დაფინანსების ხარჯზე, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სასახლის ფოიეში სოფლის ისტორი-

ის ამსახველი ფოტოები და ნივთები დღესაც არის გამოფენილი, ასევე მართალია უფუნქციოდ, მაგრამ გაუძარცვავად დგას ისევ თეატრალური წარმოდგენებისთვის გამოყოფილი დარბაზი და ელოდება გაცოცხლებას.

ბუნებრივია, კულტურის სახლის მუშაობა მარტო შენობის არსებობაზე არ არის დამოკიდებული, სხვა ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ერთ-ერთია სოფლის მაცხოვრებელთა აქტიურობა, განსაკუთრებით კი ახალ-გაზრდების. სოფელ აკურის მაგალითი გვიჩვენებს, ამ მხრივ ზოგადად სოფლებში არსებულ სავალალო მდგომარეობას: *„ეხლა რომ თქვა, რომ ახალგაზრდები გარბიან მეთქი სოფლიდან, მართალი არ ვიქნები, მაგრამ იყო პერიოდი, რომ მართლა გარბოდნენ, 90-იან წლებში. თაობას უნდა ისეთი გაზრდა, რომ კულტურული ცხოვრებით დაინტერესდეს, ეს საბავ-შვო ბაღიდან უნდა მოხდეს. ისევე როგორც ადრე იყო – აბონომენტებს რომ გვაძლევდნენ, 5 ლარი მშობლისთვის წელიწადში რა არის რომ გადა-იხადოს ... მაგალითს გეტყვით, უფასო კონცერს ატარებდა ერთ-ერთი ან-სანბლი სოფელში და მაყურებლის ორგანიზება ვერ მოვახერხეთ, არ მო-ვიდნენ, აღარ აინტერესებთ ახალგაზრდებს“ (ბურდული, თელავი, 2016).*

ცნობილია, რომ „დასახლების თანამედროვე ერთეული – სოფელი ... მტკიცედ ჩამოყალიბებული სოციალური ორგანიზმია თავისი მეურნეობით, რთული ინფრასტრუქტურით, წეს-ჩვეულებათა კომპლექსით. ყოველივე ეს ერთობლიობაში გააზრებული ქართველი კაცის ყოფიერებას, ეთნოფსიქოლოგიურ განწყობას განსაზღვრავს, თავის მხრივ მომხდარი ნებისმიერი ცვლილება ზემოქმედებას ახდენს და აისახება ქვეყნის საერთო ცხოვრებაში“ (ქანთარია, 2001, 109).

XX საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებულმა მიწის რეფორმამ ძირფესვია-ნად შეცვალა ქართული სოფელი. სოციალისტური, საზოგადოებრივი სა-კუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლამ, თავისუფალი საბაზრო ურ-თიერთობების პრინციპების დამკვიდრებამ ბევრი სიძნელე წარმოშვა. გა-სათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ საბჭოთა სისტემის აგრარულმა პოლიტიკამ, არა მარტო სოფელს უცვალა სახე, არამედ შეიცვალა ქარ-თველი გლეხის მენტალიტეტიც. მშობლიური სოფლის მიტოვება და სხვა-გან ბედის ძიება დღეს უკვე აღარავის უკვირს. როგორც ჩვენს მიერ მოპო-ვებული ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, გლეხობა დაზარალდა, რო-გორც კოლმეურნეობების შექმნისას, ისე მისი დაშლისა და მიწების ხელა-ხალი პრივატიზაციისას, რადგან საშუალო გლეხობამ ბევრად მეტი მიწა შეიტანა კოლმეურნეობაში, ვიდრე მისი დაშლის შემდეგ მიიღო. ეს მათ ფსიქოლოქიაზე უარყოფითად აისახა და გარანტირებული მომავლის იმე-დი ნაკლებადა აქვთ.

სოფლის კულტურულ ცხოვრებაშიც, როგორც ჩანს, ეს ცვლილები არ არის ერთი მიზეზით გამოწვეული. ჯერ ერთი, სოფელში ახალგაზრდობის რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია, და რაიმე კულტურული ინიციატი-ვის ხელშეწყობა ადგილზე არ არის, და მეორე, თანამედროვე ტექნოლო-გიებმა კახეთის სოფლის ახალგაზრდებას საშუალება მისცა სახლიდან

გაუსვლელად, ინტერნეტითს საშუალებით დაესწრონ ნებისმიერ კონცერტსა თუ თეატრალურ წარმოდგენას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თუშეთის პრობლემები, რომელზეც პირველ რიგში ვრცელდება საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს მიღებული „მთის კანონი“. კანონი უზრუნველყოფს მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის მთელ რიგ საგადასახადო და სოციალური შეღავათებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მაღალმთიან რეგიონების მაცხოვრებელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, შეამციროს მთიდან მიგრაციის პროცესი და სხვ. მაგრამ, როგორც ჩანს, მთის კანონის მიღების პარალელურად, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზეც გასათვალისწინებელია და დასახვეწია კანონმდებლობა, რათა მთიდან ბარში გადმოსახლებულებს გაუადვილდეთ მთაში მათი მამაპაპეული ქონების დარეგისტრირება. სხვა შემთხვევაში მთის კანონის მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი იქნება. ვიცით, რომ თითქმის მთელი თუშეთი ჩამოსახლებულია კახეთის ბარში და ცხოვრობს ახმეტის რაიონის სოფლებში. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მათ უჭირთ წინაპრების დანატოვარი ქონების დარეგისტრირება, – *„მე რომ მამაპაპეული სახლი მაქვს სოფელ ჭონთიოში, ვერ ვიფორმებ, იმიტომ რომ ფორმა ვერ ნახეს იმისა, როგორ გავიფორმო. თუშეთიდან ჩამოსახლებულებს ყველას ეგ პრობლემა აქვს. ადრე რეგისტრირდებოდა საკრებულოს ცნობით. ადრე თუშეთის საკრებულო იძლეოდა ცნობას, რომ ესა და ეს პიროვნება ფლობს ამა და ამ სახლს და ამა და ამ ფართობს, და ამით არეგისტრირებდნენ. ბევრმა ვერ მოასწრო მაშინ, არ ჩათვალა საჭიროდ, არ მიაქცია ყურადღება არ დაარეგისტრირა და ეხლა პრობლემაა. საკრებულო აღარ იძლევა ასეთ ცნობას, რადგან იურიდიულ საბუთად აღარ თვლიან. იურიდიული დოკუმენტის ფორმას ვერ პოულობს სახელმწიფო, რომ მე რომ მაქვს მამაპაპეული სახლი და ჩემია და მომდავებელი არავინ არ მყავს – ვერ მიმტკიცებს, ანუ საჯარო რეესტრში ვერ ტარდება. ვერ ნახულობენ გამოსავალს“ (ბურდული, ახმეტა, 2015).*

როგორც ჩანს, პრობლემა აუცილებლად მოსაგვარებელია, გასათვალისწინებელია ალბათ ისიც, რომ მთაში დაბრუნება და მთის კანონის შეღავათების გამოყენებას უნარიანი, აქტიური ადამიანები შეეცდებიან, რომ გადასახლდნენ (ზაფხულის პერიოდში მაინც ჯერჯერობით) და რაღაც ბიზნესი წამოიწყონ, თუნდაც საოჯახო სასტუმროს სახით, ან მესაქონლეობის განვითარების კუთხით და ა.შ. ხომ სწორედ მათი დახმარებისთვის დაიწერა მთის კანონი!

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მუნიციპალიტეტების დონეზე ერთერთი ყველაზე მოწესრიგებულ საკითხად ჩანს დასუფთავების სამსახურის საქმიანობა, უმრავლეს სოფლებში დადგმულია ნაგვის ურნები, კვირაში ერთხელ ან ორჯერ გააქვთ ნაგავი სოფლიდან. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს თავად მაცხოვრებელთა გულგრილი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. კახეთის მთელ რიგ სოფლებში საზოგადოებრივი თავშეყრის

ადგილების დაბინძურების დონე ძალიან მაღალია ძირითადად პოლიეთილენის პარკებითა და სხვადასხვა სახის ბოთლებით. ვარაუდობენ, რომ ეს „მათი საქმე არ არის“.

სოფლებში სანიტარული წესრიგის დაცვის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მასალაა დაცული თელავის რეგიონალურ ისტორიულ არქივში, მაგ; სოფელ გულგულის დეპუტატთა საბჭოს დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. სოფელი იყოს კეთილმოწყობილი, არ დაუშვან ნაგვის ყველა ადგილზე დაყრა; 2. სოფლის გზის პირებზე მოეწყოს „კანაო“; 3. სესია ავალებს მეურნეობის დირექციას სოფელში მოხრეშოს გზები და გააკეთოს აბანო; 4. სესია ავალებს გულგულას აღმასკომის კომიტეტს რომ სოფელს ყავდეს ექიმი, ავალებს საექიმო ამბულატორიას რომ სასმელი წყლის აუზი თვეში ორჯერ დაქლოროს. (თელავის რეგიონალური არქივი, 1977, ფ. 25). ვფიქრობთ შტამბეჭდავი ჩამონათვალია და დღესაც გასათვალისწინებელია.

მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება უხდებოდა ყველა სოფლის დეპუტატთა საბჭოს, მაგრამ ვფიქრობთ საკითხის ნათელსაყოფად ზემოთ მოტანილი ეს ერთი დოკუმენტიც საკმარისია.

ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანს ეამაყება თავისი კუთხის, ქვეყნის ღირსეული და გმირული წარსული, თავის საცხოვრებელ სივრცეში მოქცეული ისტორიული ძეგლი თუ გამოჩენილი წინაპარი. როგორც დღეს სოფლის განვითარების კუთხით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მოგვიწოდებენ, საჭიროა ამ ძეგლების მიმართ „ახალგაზრდების დაინტერესების წახალისებამ, საგანმანათლებლო კურსების შემუშავების გზით, ან როგორც ამის გამოცდილება დასავლეთში არსებობს – სკოლის, კლასების მიერ კონკრეტულ ძეგლზე მზრუნველობის აღებით, ... შეიძლება ანალოგიურად გამოკვეთოს სხვა ძეგლების მიმართ მოთხოვნა და ინტერესი; ადგილობრივმა საზოგადოებამ უფრო მეტი ინტერესი გამოიჩინოს...კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოსავლენად, შესანარჩუნებლად...“ (ხვადაგიანი,2014,162).

მაგრამ რატომ ვთვლით დღეს, რომ ეს დასავლეთის გამოცდილებაა მხოლოდ, როცა ასეთ და მსგავს დავალებებს სოფლის ხელმძღვანელები რაიონის ხელმძღვანელებიდან იღებდნენ. თელავის რეგიონალურ ისტორიულ არქივში დაცულია დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ სოფლის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში ახალგაზრდების ჩართვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასე მაგ: თელავის რაიონის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის გადაწყვეტილება ავალებს სოფლების საბჭოების შესაბამის კომიტეტებს, – „დაევალოს რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, გააძლიერონ კონტროლი სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, არ დაუშვან სპირტიანი სასმელების გამოყენება და პირუტყვის დაკვლა ძეგლის ტერიტორიაზე. მოსწავლე-ახალგაზრდობის დახმარებით გააძლიერონ კონტროლი, რათა არ იქნას დაშვებული ძეგლის დაზიანება“ (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25, საქმე 234).

კახეთის თითქმის ყველა სოფელში საქართველოს ისტორიის გმირული წარსულის მოწმე მრავალი ისტორიული ძეგლი დგას, ამიტომ ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული ახალგაზრდობას არა მარტო საკუთარი სოფლის მოვლა-პატრონობას ავალდებულებდა და ავალდებულებს, არამედ, ქვეყნის ისტორიული წარსულის პატივისცემასა და სიამაყის განცდასაც უნვითარებდა. ამიტომაც დღესაც გასაზიარებელია ეს გამოცდილება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ადვაძე ვ. პრივატიზაციის მიზანი და შედეგი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 1 აგვისტო.
2. ალავერდაშვილი პ., მევენახე მეღვინეთა გაერთიანებები, ინიციატივა ცვლილებებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე, თბ., 2015.
3. არჩვაძე ი.., დევდარიანი ნ., ვეკუა გ., ოსაძე ლ., რცხილაძე გ., „ვარედეების რევოლუცია“: შედეგები, თბ., 2012.
4. ბაქრაძე ა. ყველაფერს ფული უნდა, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 16 მაისი.
5. ბურდული მ., 2015-2016-2017 წლების კახეთის ეთნოგრაფიული მივლინებების დღიურები;
6. დაუშვილი ა., 2015-2016-2017 წლების კახეთის ეთნოგრაფიული მივლინების დღიურები;
7. ვარდიაშვილი მ., „ევროკავშირი სოფლის მოსახლეობისათვის ახალ საგრანტო პროგრამას იწყებს“, წწწ.ეუგეორგია.ინფო
8. თელავის რეგიონალური ისტორიული არქივი, ფონდი 25-1, საქმე 227;
9. თელავის რეგიონალური ისტორიული არქივი, ფონდი 25, 1977.
10. „ივერია“, №142, 1892.
11. „ივერია“, №162, 1899.
12. კალანდაძე ბ., საქართველო ღვინის აკვანი, თბ., 2015.
13. კახეთის რეგიონის საინვესტიციო გზამკვლევი აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიმართულებით, წყარო: ადგილობრივი თვითმმართველობა/სტატისტიკის ეროვნული სამსახური, გამოთვლები, 2015.
14. კაკაშვილი დ., „სოფლობა“, ინიციატივა ცვლილებებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე, თბ., 2015.
15. „კვირის პალიტრა“, №45, 2017).

16. მარგველაშვილი ა., „ინიციატივა ცვლილებებისათვის“, ინიციატივა ცვლილებებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე, თბ., 2015.

17. ნათაძე ნ. ბრძოლა ახლა იწყება, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 20 თებერვალი.

18. ნაცვლიშვილი მ., „შემოსავლების მომტანი საქმიანობა, როგორც თემის განვითარების შესაძლებლობა, ნაფარეულის სახელოსნოების გამოცდილება“, კრბ. თანამშრომლობა ცვლილებებისათვის – სათემო განვითარების ცენტრი, მიმოხილვა 2011-2012 ;

19. სიხარულიძე თ., „სოფელი ქვემო მაჩხაანი – ქიზიყის კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი“, ინიციატივა ცვლილებებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე, თბ., 2015.

20. ქანთარია მ., ქართული სოფლის ყოფითი რეალობა, ისტორიის ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 2001.

21. ჩიტაია გ., „ქართული ხალხური სამიწათმოქმედო კულტურა“, „შრომები“, IVტ. 2001;

22. ჯანელიძე თ. მთავარია ეკონომიკური აღორძინება, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 25 თებერვალი.

23. ჯიბუტი ა., საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები, თბ., 2014;

24. წიქარიშვილი გ.., ჟამი ჭეშმარიტი, თბ., 2003.

25. ხვადაგიანი ი., დოკუმენტური და ზეპირი წყაროების ფუნქცია და მათი მნიშვნელობა ადგილობრივი საზოგადოებისათვის“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსი, თბ., 2014.

26. „სოფელი მაჩხაანი“, 2017, სიგნაგი.ცომ.გე.

27. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე არქივი.

28. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლის მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003.

29. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საარქივო სამმართველოს თელავის რეგიონალური არქივი.

30. დედოფლიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, დედოფლისწყარო, 2015 (ხელნაწერის უფლებით).

31. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები. გურჯაანი, 2016 (ხელნაწერის უფლებით).

32. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021, თელავი, 2016, (ხელნაწერის უფლებით).
33. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლის განვითარების პერსპექტივები, სიღნაღი, 2016 (ხელნაწერის უფლებით).
34. საგერეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, საგარეჯო, 2017, (ხელნაწერის უფლებით).
35. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერ-სპექტივები, ახმეტა, 2015, (ხელნაწერის უფლებით).
36. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერ-სპექტივები, ყვარელი 2017 (ხელნაწერის უფლებით).
37. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს (საქსტატის) ვებ-გვერდი. მიმდინარე მასალები.
38. Словарь иностранных слов, М.,1950.
39. Статистический эжегодник южно-кавказских стран. Тб.,2002.
40. Советский энциклопедический словарь, М.,1990.
41. საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986.
42. საქართველოს სოსოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საიტი.
43. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“.
44. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
45. გაზეთი „ცხოვრება“.
46. გაზეთი „რეზონანსი“.
47. ჟურნალი „ანალები“.

§ 9. დასაქმების პრობლემა და სოციალური დახმარება სოფლად

ისტორიულად კახეთი ეკონომიური თვალსაზრისით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წელგამართული კუთხე იყო, მაგრამ XX საუკუნეში ორ-ჯერ ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ, 30-იან წლებში კოლექტივიზა-ციამ (კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაზე), და 90-იან წლებ-ში საწინააღმდეგო პროცესმა (კერძო საკუთრებაზე გადასვლამ), სოფელ-ში, როგორც ზემოთ არაერთხელ იქნა აღნიშნული, დიდი სოციალურ-ეკო-ნომიკური ცვლილებები გამოიწვია. 2015-2017 წლებში მოპოვებული ეთნოგ-რაფიული მასალიდან ჩანს, რომ სოფლის ყოფაში საკმაოდ ბევრი პრობ-ლემები დაგროვდა, რაც ჩვენი დაკვირვებით კომპლექსურ შესწავლას სა-ჭიროებს. პარადოქსულია, მაგრამ 90-იან წლებში ჩატარებული მიწის რე-

ფორმის შემდეგ, სოფლის მაცხოვრებელთა ნაწილი უმიწოდ დარჩა, – სხვადასხვა მიზეზით მათ რეფორმით მიღებული მიწები გაყიდეს. ამასთან ერთად 90-იანი წლებიდან მოყოლებული ერთიმეორის მიყოლებით თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში და ქალაქ თელავშიც დაიხურა სხვადასხვა წარმოება – დაწესებულებები, რის გამოც სოფლის მაცხოვრებელთა დიდი უმრავლესობა აღმოჩნდა უკიდურეს გაჭირვებაში, მისთვის დამახასიათებელი მძიმე სოციალური შედეგებით. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ პრობლემას, კერძოდ, სოფლის მოსახლეთა დაუსაქმებლობას და აქედან გამომდინარე სოციალური დახმარების საჭიროების საკითხს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონალური სამმართველოს მონაცემებით სოფლად მცხოვრები ადამიანების 70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (კახეთის რეგიონის...2015, 26) რაც ძალიან დიდი პროცენტია, თუ გავითვალისწინებთ ევროპის ანალოგიურ, აგრარულ ქვეყნებს, სადაც სოფლად მცხოვრებთა მხოლოდ 5-8% არის სოფლის მეურნეობით დაკავებული. ევროპელი სოფლის მეურნეობის ექსპერტები გვირჩევენ, რომ აუცილებელია სოფლის მცხოვრებთათვის შეიქმნას ალტერნატიული დასაქმების საშუალებები, ეს იქნება გადამამუშავებელი თუ სხვა სახის სერვის ცენტრები, ტურისტების მომსახურება და სხვ. (მ. ვარდიაშვილი, 2016, www.eugeorgia.info**).**

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის მონაცემებითა და ეთნოგრაფიული მასალებით დასაქმების თვალსაზრისით ქართულ სოფელს XX ს-ის 80-იან წლებში უკეთესი პირობები ჰქონია, კერძოდ, 1986 წლის მონაცემებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხოლოდ 26,4% იყო დასაქმებული სოფლის მეურნეობაში (ჯიბუტი, 2014, 83). დანარჩენი მოსახლეობა კი რაიონებისა და ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში იყო გადანაწილებული. სწორედ ასეთი დასაქმების საშუალება ჰქონდათ კახეთის რეგიონის მაცხოვრებლებს XX ს-ის 80-იანი წლებისათვის: ყველა რაიონულ ცენტრში (დღეს მუნიციპალიტეტი – მ. ბ.) არსებობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმოები (გარდა იმისა, რომ დასაქმებულები იყვნენ, არც მოსავალი უფუჭდებოდათ, აბარებდნენ და იქიდანაც ჰქონდათ გარკვეული შემოსავალი), იყო სასოფლო ტექნიკის სარემონტო სახელოსნოები, თელავში კი სხვადასხვა პროფილის ფაბრიკა, მაგალითად, აბრეშუმის ფაბრიკა, ეთერ-ზეთების ფაბრიკა და სხვ. კახეთის სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი, თელავთან სიახლოვის გამო, ამ ფაბრიკებში მუშაობდა, დღეს აღარც ერთი ეს ფაბრიკა არ მუშაობს, ნაგებობები გაყიდულია, პროფილი შენარჩუნებული არ არის და ა.შ. და ა.შ.

თვალსაჩინოებისათვის კახეთის ერთი სოფლის მაგალითს მოვიტან: თელავის მუნიციპალიტეტში „ნაფარეული ყოველთვის ძლიერი სოფელი იყო. სოფელში მუშაობდა ღვინის ქარხანა, საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი ეთერზეთების ფაბრიკა, ყველის საწარმო, პურკომბინატი, ლიმონათის ქარხანა, სამშენებლო მასალების საამქრო, ავტოპროფილაქტიკა, მანქანა-

ტრაქტორების პარკი, მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, საბავშვო ბაგა-ბაღი, სკოლა, ორი დიდი მაღაზია, კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები და სხვ“. (ნაცვლიშვილი, 2011-2012. 57). ვფიქრობთ ერთი სოფლისთვის ეს მეტად შთამბეჭდავი ჩამონათვალია

ბუნებრივია, 1980-90-იანი წლების სისტემურმა ცვლილებებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი დატოვა. 2016 წელს აღნიშნულ სოფელში ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად ჩანს, რომ:

„სოფელი დღესაც საკმაოდ ძლიერია, ღარიბი ოჯახი იშვიათია. სოციალურ დახმარებას დღემდე მრავალი ოჯახი იღებდა, ეხლა ბევრს მოეხსნა. თუმცა ვისაც მოეხსნა, მათ არ უნდა მოხსნოდა. ჩვენგან (გამგეობისაგან – მ.ბ.) დამოუკიდებლად ეძლევათ სოციალური დახმარება. სოციალური დახმარება უნდა ეძლეოდეთ როცა მარტოხელები არიან, პატარა ბავშვები ჰყავთ და დედა ვერ მუშაობს. მე მაგალითად პატარა ბავშვებზე გავაკეთებდი დახმარების აქცენტს. ან ავადმყოფებზე. გაუთხოვრებზე, ვისაც შვილი არა ჰყავთ. ჩვენ, გამგეობა უნდა ვიღებდეთ გადაწყვეტილებას – ვის მიეცეს დახმარება, მაგრამ ჩვენ არავინ გვეკითხება. დღეს შედარებით ნაკლები ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას. სჯობია პენსია იყოს მაღალი“.

ამ სოფლის შედარებით უკეთესი მდგომარეობა კახეთის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, გამოწვეულია მისი ხელსაყრელი მდებარეობით. ცნობილია, რომ ნაფარეული საფერავის ჯიშის ყურძნის ზონაა, ამიტომ რამდენიმე ღვინის ქარხანა დღესაც მუშაობს და არც ყურძენი რჩებათ გლეხებს ჩაუბარებელი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთერთი ძირითადი მიზეზი რის გამოც სოფლის ასაკიანი მაცხოვრებლები კომუნისტების დროს „მისტირიან“, არის ის, რომ მათ ჰქონდათ საშუალება ოჯახის ერთ წევრს მაინც ემუშავა წარმოებაში და მხოლოდ სოფლის მეურნეობით არ ყოფილიყვნენ დაკავებული. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქალაქ თელავთან ახლო მდებარე სოფლები:

„ჩვენი სოფელი (კურდღელაური) დამოკიდებული იყო თელავის სამრეწველო პოტენციალზე. კურდღელაურის მოსახლეობის 60-70 პროცენტი მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნებში თელავში. აქ იყო უზარმაზარი ფაბრიკები – წინდების ფაბრიკა იყო მაგალითად, აბრეშუმის ძაფის სართავ-საგრეხი ფაბრიკა, სადაც ათასობით ადამიანი მუშაობდა. სამი უზარმაზარი გიგანტი ფაბრიკა იყო საკავშირო დაქვემდებარებისა. ჰექტრობით ადგილი ეკავა თელავში. მეაბრეშუმეობაც იყო განვითარებული კახეთის სოფლებში. კოლმეურნეობაში ვინც იყვნენ დარჩენილები იმათ თავიანთი საქმე იცოდნენ, მუშობდნენ, ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდნენ“ (ბურდული, თელავი, 2016).

დღეს კი, ავლებენ რა პარალელს „ძველ“ და „ახალ“ დროს შორის, „ახალს“ სწორედ დასაქმების პრობლემის გამო აკრიტიკებენ:

„ახალგაზრდებმა რა გააკეთონ, ადგილზე არ ჩერდებიან. ძნელია აქ ცხოვრება. გასართობის მსგავსი არაფერი არ არის სოფელში. უმუშევრად არიან, ვინ გაჩერდება. კომუნისტების დროს ვის გააჩერებდნენ უქმად. კომუნისტების დროს კარგი იყო ცხოვრება, ხელფასი იყო, შრომადღეზე პურს გვირიგებდნენ. ფერმები იყო, ღორისა, ცხვრისა, ძროხისა. დაიშალა ყველაფერი. ის დრო სჯობდა“ (ბურდული, თელავი, 2016).

„სამუშაო არ არსებობს და ხალხი იმიტომ არი მშიერი. ჩვენმა ხალხმა რადა ქნას, უმუშევრები სხედან და პურის ფული არა აქვს. აი, კაცები ბირჟაზე სხედან და მიწა დაუმუშავებელი უგდიათ, არა აქვთ საშუალება რომ დაამუშაონ. სამუშაო არა აქვთ ახალგაზრდებს, დედ-მამის პენსიას შეყურებენ. კარგი მიწა დაამუშაონ, მაგრამ ის მიწა რას უშველის, საკმარის შემოსავალს ვერ იღებს გლეხი, ყოველდღე მაღაზიაში რაღაც უნდა იყიდო ოჯახისთვის, რითი უნდა შეინახოს ოჯახი“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

ზემოთქმულის მიუხედავად, ახალგაზრდებშიც საკმაოდ მოიძებნებიან ისეთები, ვინც სიძნელეებს არ უშინდება, გაჭირვების მიუხედავად არ მიდის სოფლიდან და ქვეყნიდან და სურს თავისი ცხოვრებაც თვითონ მოიწყოს და ქვეყანასაც გამოადგეს:

„მე შემეძლო, რომ წავსულიყავი საზღვარგარეთ, და მყავს იტალიაში, მოქალაქეა, მაგრამ არ წავედი, იქ რომ გადავიდე, რას უნდა წარმოვადგენდე, ვინ ვარ, რას ვაკეთებ, როგორ დავიმკვიდრო თავი. არ მინდა იქ ვიცხოვრო ისე, რომ დაკარგული ადამიანი ვიყო. სად საკუთარ გარემოში რომ მოეწყობი. სხვის აწყობილ ქვეყანაში ნამდვილად არ მინდა ცხოვრება. მინდა აქ ჩემი ცხოვრება თვითონ მოვაწყო. ასე დავიწყე, 2003 თუ 2004 წელს გრანტი მოვიგე და თუშეთში, ჩემს სოფელში, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით და დავიწყეთ სასტუმროების მოწყობა“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

კახეთის სხვადასხვა სოფლებში ჩაწერილი მასალა დაუსაქმებლობის პრობლემაზე ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, სოფელი არ არის ქალი ან კაცი სამუშაოს საძებნელად სხვა ქვეყანაში არ იყოს წასული:

„ქალები უფრო აქტიურები არიან სოფელში ვიდრე კაცები. კაცები სამუშაოდ წასულები რუსეთში არიან. მაგრამ ევროპის ქვეყნებში კი ქალები მიდიან ძირითადად. აი, ამ ჩემი პატარა უბნიდან რომ დავყვე, ყველა ოჯახიდან არის ქალი წასული საზღვარგარეთ. იგრე გაიზრდებიან ხომ ეს ბავშები, დედები შეიძლება ველარ იცნონ რომ ჩამოვლენ. ქალებმა მართლა დატოვეს ყველაფერი და წავიდნენ. რა ვიცი აბა, როცა ქალები ვიკრიბებით და ამ საკითხზე ვმსჯელობთ, გამოსავალს ვერა ვხედავთ, იმიტომ რომ რა ვიცი აბა, რა უნდა გააკეთონ სხვა ქალებმა შვილების სარჩენად?“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

ქართული სოფლის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან რეფორმების ნაჩქარევად და არათანმიმდევრულად განხორციელებიამ. „სოფლად რეფორმები განხორციელდა

ზედაპირულად, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის გამოცდილების და ტრადიციების, საზოგადოების ინტერესების გაუთვალისწინებლად, რის გამოც რეფორმების დაწყების დროიდან უკვე ორ-სამ წელიწადში მოხდა წარმოების კატასტროფული დაცემა. 2001 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1980-1990 წლების საშუალო მონაცემებთან შედარებით შემცირდა 75%-ით“ (ჯიბუტი, 2014, 4).

„ინტენსიურად დაიწყეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე ორიენტირებული მონოპოლიების შექმნა, ლიბერალური საბაზრო პოლიტიკის ეგიდით საზღვარზე ყოველგვარი შემოწმების გარეშე, საეჭვო წარმომავლობის (გენმოდიფიცირებული) ხილის, ბაღჩეულის, ხორცისა და ხორცპროდუქტების შემოტანა. ქვეყანაში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური (ჯიბუტი. 2014. 5).

ეს საკითხი დღესაც არ არის მოგვარებული, არადა სპეციალისტების აზრით სოფლის მეურნეობა არსად არ განვითარებულა სტიქიურად, ქვეყნის მთავრობის მიერ დაწესებული პროტექციონისტული პოლიტიკის გარეშე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაუსაქმებლობა აძლიერებს სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციას. ყოველი მეორე ახალგაზრდა თბილისში მიდის. იქ რაღაცა სამუშაოს შოულობენ. ზოგი მანქანის მრეცხავად მიდის, ზოგი ვაჭრობს ელიავას ბაზრობაზე, ვისაც როგორ შეუძლია ისე შოულობს ფულს. მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს მუნიციპალიტეტების საჯარო სტრუქტურებში პოლიტიკური ნიშნით დასაქმების პრაქტიკაც:

„ხდებოდა ადრე და ხდება ახლაც პარტიული ნიშნით დასაქმება. ეს სცლის სოფელს, სამსახური თუ არ არის, რა აკეთონ. კულტურული კერების არარსებობა მეორე მიზეზია, ახალგაზრდები თავისუფალ დროს ვერსად ვერ ატარებენ, და ყველას არ შეუძლია ბირჟაზე დგომა და კარტის თამაში. სოფლის ახალგაზრდების 30-40 პროცენტი ამით არის დაკავებული, მაგრამ არიან ახალგაზრდები, რომელთაც სხვა გაქანება აქვთ და იძულებულნი არიან წავიდნენ სოფლიდან. განა იმიტომ რომ იქ ერთობიან, მაგრამ იქ მაინც მეტი საშუალება აქვთ ცხოვრების“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).

ახალგაზრდების სოფლიდან მიგრაცია უკვე სხვა პრობლემებს წარმოშობს, სოფელი ბერდება, ახალი ოჯახები ნაკლებად იქმნება, ბავშვების რაოდენობა ზოგიერთ სოფელში კატასტროფულად არის შემცირებული: *„სოფელი (ვაქირი) სადღაა, დაბერებულია, სად არის ახალგაზრდობა. შემოდგომიდან ცარიელია უკვე სოფელი. ზოგ კლასში 2 ან ერთი ბავშვი დადის,* ***800 კომლიან სოფელში სულ 80 ბავშვი დადის სკოლაში.*** *ცუდი სურათია ძალიან. რა ვიცი თუ სოფლის მეურნეობას არ მიექცა ყურადღება და დასაქმების რამე საშუალება არ გაჩნდა, ვინ მობრუნდება“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ოჯახებიდან ქალების სხვა ქვეყნებში სამუშაოდ წასვლას მოსახლეობის ნაწილი უარყოფითად აფასებს: ***„ამ ქალების საზღვარგარეთ წასვლამ შვილები და ქმრები გაანაწამაცა.*** *საზღვარგარეთ რომ მიდიან ქალები სამუშა-*

ოდ ვარიგებ: ერთი ლარი არ გამოაგზავნოთ ოჯახში, როცა მოშივდებათ იმუშავებენ და რამეს იშოვიან. აი თქვენ როცა ჩამოხვალთ, მაშინ გააკეთეთ თქვენს სახლებში რაც გინდათ-მეთქი. უმეტესად სამუშაოდ წასულ ქალებს დაბრუნებისას ოჯახებში იგივე მდგომარეობა ხვდებათ, რის გამოსასწორებლადაც წლების მანძილზე იყვნენ საზღვარგარეთ წასულები. ასეთი ოჯახის კაცები არაფერს არ აკეთებენ – ჭამენ და სვამენ, ლოთობენ, მეტი რა უნდა აკეთონ კაცებმა" (ბურდული, თელავი, 2016).

ოჯახი, სადაც პენსიონერია, მისი პენსიის მიღებას ელოდება. ასეთი მენტალიტეტია საერთოდ სოფლებში. სამწუხაროდ, **ამართლებენ ქალები თავიანთი შვილების უმუშევრობას და სიზარმაცეს**. *„თუ მოინდომებენ გამოსავალს იპოვიან, შეიძლება ეხლა დიდი რაღაცა არ მოგცეს მიწის დამუშავებამ, მაგრამ მშიერი არ იქნება" – გადმოგვცემენ მთხრობელები.*

„ოჯახები ინგრევა იმის გამო, რომ ქალები წასულები არიან საზღვარგარეთ სამუშაოდ, კაცები გალოთებულები არიან, შვილები არაფერს არ აკეთებენ. შემოვიდა ახლა მოდაში – ვიღაც რომ მოუკვდებათ, დაკრძალვის დროს, მობილურს დაადებენ ხოლმე გულზე და იქიდან ისე დასტირიან მიცვალებულს. ეს უკვე ჩვეულებრივი ამბავია და არა მარტო კახეთში" (ბურდული, ახმეტა, 2015).

საყურადღებოა, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის არსებული პრაქტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ხშირად მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზიც ხდება. ზოგადად სოციალური დახმარების პროგრამა რომ გადასახედია, სადავო არ არის. მრავალი რესპოდენტის აზრით, – ეს წყალში გადაყრილი ფულია. ბევრი *„უკადრებელ საქციელს კადრულობს, რომ დახმარება დაენიშნოს, მაგ. ძველ პაპისეულ დანგრეულ სახლში დადგამს ძველ რკინის საწოლს, ვითომ იქ ცხოვრობს, იციან როდის უნდა ჩამოიაროს სოციალურმა მუშაკმაო*", – გადმოგვცემენ მთხრობელები. მაქსიმალურად მკაცრად უნდა განისაზღვროს სოციალური დახმარების მიმღებთა კატეგორია. დღესდღეობით კი, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სოფლებში ძალიან უსამართლოდ არის დანიშნული სოციალური დახმარებები.

„ვისაც პატრონი ჰყავს, სოციალურ დახმარებასაც ისინი იღებენ. ვისაც შვილები და შვილიშვილები ჰყავს – ის რატო იღებს სოციალურ დახმარებას, ის არ არის მარტოხელა"– გულისტკივილით აღნიშნავენ სოფელში.

„ძალიან უსამართლობაა სოციალური დახმარების დანიშვნაზე. ისეთ ოჯახებს აქვთ რომელთაც არ სჭირდებათ დახმარება. რაიონშია ეგ დაწესებულება, ვისაც ევალება მაგის მოწესრიგება, მუნიციპალიტეტის სამსახურის მუშაკები ამბობენ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ, თელავში მიდის ეს მონაცემები და იქიდან მოდის ქულებიო" (ბურდული, თელავი, 2016).

პერიოდულად ხდება ოჯახების შემოწმება და ეკონომიკური მდგომარეობა თუ გაუუმჯობესდა, ასეთებს უხსნიან დახმარებას, ბუნებრივია, ეს ასეც

უნდა მოხდეს, მაგრამ სოფლის მცხოვრებლები სოციალურ აგენტებს სუბიექტურობაში ადანაშაულებენ:

„უპატრონოს, უშვილოს, მოხუცს, ავადმყოფს, ვისაც ეკუთვნის რატო არ უნდა ჰქონდეს დახმარება, ყველას არა, რა თქმა უნდა. ადამიანთან ოჯახში რომ შეხვალ, მაშივე მიხვდები იმას უნდა თუ არა დახმარება. ჯერ მარტო იმ პირობას რომ უყენებენ ხალხს მაცივარი არ უნდა ჰქონდეს, ტელევიზორი არ უნდა ჰქონდეს და ისე მცხოვრებს უნდა მიეცეს დახმარებაო, დღეს 21 საუკუნეში ეგ რომ არ ექნება, ადამიანს მოკვდიო რა – გეუბნებიან!“ (ბურდული. სიღნაღი, 2016).

„სოციალური უზრუნველყოფის სამსახური სერიოზულად მისახედია. რამდენიმე ფაქტს დაგისახელებთ, რომ მართლა არ ითვლება გაჭირვებულად, ითვლება საშუალო მაცხოვრებლად და მაინც აქვს დახმარება. იმდენია ვისაც მართლა უჭირს, აგერ ტუბერკულიოზი აქვს ჩემს მეზობელს, არც პენსიონერია, პური მომეციო დამიძახებს ხოლმე. არც არავინ არა ჰყავს. ქულებით არ ეკუთვნის. მაცივარი და ტელევიზორი რომ აქვს კომუნისტების დროს ნაყიდი, იმის გამო არ ითვლება გაჭირვებულად“.

სოფლელების აზრით, მათ უკეთ იციან ვის ეკუთვნის დახმარება და ვის არა, დღეს კი სოციალური აგენტები ისე ნიშნავენ დახმარებას, გამგებლის წარმომადგენელს არაფერს ეკითხებიან, თავიანთი ცხრილების მიხედვით ავსებენ, მერე ხდება გადანაწილება. მოსახლეობაში ეჭვი ჩნდება, რომ აქ ხშირ შემთხვევაში მოლაპარაკებამდე მიდის საქმე სოცაგენტსა და სოციალური დახმარების მიმღებს შორის და გარკვეული საზღაურის მიღების სანაცვლოდ უნიშნავს დახმარებას. **(ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ უსამართლოდ განაწილებული სოციალური დახმარება მოსახლეობაში ეჭვს ბადებს და ამას დროზე უნდა მიხედვა– მ.ბ.)** ან ისეც ხდება, რომ სოციალური დახმარების მიღებით დაინტერესებული პირი თავის ქონებას, მაგ; მანქანას სხვა პირზე აფორმებს, სოფლის რწმუნებულს ხომ ამას ვერ გამოაპარებენ.

„ამიტომ არის, უნდა ჰკითხონ ადგილობრივს, მუშაობს, მიწებს ამუშავებს თუ მანქანა ყავს, – ადგილობრივმა იცის. აგერ ერთი ოჯახია, მანქანები სხვებზე აქვს გაფორმებული, სამიათასი ძირი პამიდორი მოიყვანა და სოციალურ დახმარებას ღებულობს. არის ოჯახი სამი კაცი ცხოვრობს და სამივე შრომისუნარიანი, მუშაობენ კიდეც, მაგრამ სახლი ულატაკესად აქვთ მოწყობილი, ეს რა შუაშია? თავის დროზე ჩვენც გვიჭირდა, შევქმენით რაღაცა, ისინი არა მუშაობდნენ. დღეს სოციალურად დაუცველები არიან და დახმარებას ღებულობენ. იშრომონ და გააკეთონ“.

როგორც ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, როცა ოჯახი მრავასულიანია, მისი თითოეული წევრი იღებს დახმარებას, ეს საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის და ოჯახს ჰყოფნის. „გააზარმაცა დახმარებამ ხალხი, ტყუილს მიაჩვია“. **მოულოდნელად** უნდა შეამოწმონ, თორემ იციან როდის

მოდის სოცაგენტი შესამოწმებლად და ემზადებიან, – კომპიუტერს და ტელევიზორს მალავენ, ფარდებს ჩამოხსნიან, ძროხებს მალავენ და სხვ.

„ზოგს ხუთი ძროხა ყავს და მაინც იღებს დახმარებას. სამართლიანობა რომ იყოს გავჩუმდებოდი. მაგრამ უსამართლობა როა, ვამბობ. მანქანებსა მალავენ და რა ვიცი. ფერმა რომ აქვს ადამიანს, იმას დახმარება რად უნდა, 5 ძროხა რო ყავს, რად უნდა დახმარება? სამინისტრო დაინტერესდეს და აიღოს სია, ერთი ათ ოჯახში შევიდეს გაუფრთხილებლად, წინასწარ რატო აფრთხილებენ რომ მოვდივართო, იმიტომ რომ გადამალონ არა?“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

„იგეთი ოჯახებიც არის, არაფერი საიმისო რომ არ სჭირთ და დახმარებებს იღებენ. ვისაც მართლა უჭირთ, ისინი არაფერს იღებენ. ვისაც არაფერი არ უჭირს, აგერ ერთი ქალია, სამი ბიჭი ჰყავს, მაგის ბიჭი, ***სადაც სოციალურ დახმარებას აძლევენ,*** *იქ მუშაობს, საქმეებს აკეთებენ და ისე აძლევენ დახმარებას. აგერ ეს დედაჩემია, ცალი თირკმელიანია, ჩიყვიც აქვს, რამდენჯერ მივიტანე ფორმა ასი, თვალებზე მივაფარე, არ გეკუთვნითო, ისეთებს ვაძლევთ, ვისაც არაფერი არ შეუძლია და ჩაწოლილი არისო. მეზობლებმა უკეთესად იციან, ვის ეკუთვნის და ვის არა“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ზემოთ მოტანილი მასალა გვიჩვენებს, რომ სოფლად სოციალურ შეჭირვებასთან ერთად მძიმე ფსიქოლოგიური ფონიცაა. სპეციალურად, საკუთარი თავის დარიბად ჩვენება, მართლა გაჭირვებული მეზობლის მაგივრად დახმარების აღება ხომ ნიშნავს, რომ ქვრივ-ობოლსა და ავადმყოფს ართმევ პირიდან ლუკმას. არადა ქართული ეთნოგრაფიული ურიდან ცნობილია, რომ სოფელი მუდამ ზრუნავდა გაჭირვებულ მეზობელზე, ქვრივ-ობოლზე, ამის ნათელი მაგალითია ის, რომ მოდგამი (ხვნასთან დაკავშირებით შექმნილი შრომის ორგანიზაცია) პირველად ასეთ გაჭირვებულ ოჯახის ნაკვეთსს მოხნავდა და დაეხმარებოდა მოსავლის აღებაშიც. (ჩიტაია, 2001, 123). თუმცა, საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი სხვაგვარად აზროვნებს, საღად აფასებს მოვლენებს, ეუხერხულებათ სოციალური დახმარების აღება. ასეთების აზრით:

„სოციალური დახმარება, ჩემი აზრით, მათხოვრობაა და იმაზე დაბლაა კიდევ. *არის ისეთი ოჯახები რომელთაც მუშაობა ეზარებათ და ელოდებიან სოციალურ დახმარებას, მაგრამ ეგეთი არის ძალიან ცოტა“. „ვისაც შვილები ყავს, ახალგაზრდა და მშრომელია, არ ეკუთვნის. ჩემმა მეუღლემ მაიწადინა, ჩემი ბიჭის მეგობრი მუშაობს იქა (სოციალურ სააგენტოში), ჩემმა შვილებმა, – გოგომაც და ბიჭმაც რომ გაიგეს, უთხრეს, ხმა არ ამაიღო დახმარებაზეო“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

„თვითონ ხალხშიც არის პრობლემა, ფსიქოლოგია, მენტალიტეტი შეიცვალა, გაზარმაცდა, თორემ სამუშაოს მეტი რა არის. ქალების ბრიგადა რომ წაიყვანო სამუშაოდ და ვენახი გააფურჩნინო, ვერ იშოვი, დასაქმებულები არიან. ყვარელში დადიან აქედან სამუშაოდ, დღეში 30 ლარს აძლევენ

ერთ ქალს. აქ (სიღნაღში – მ.ბ.) 20-25 ლარი ღირს. იქ უფრო მეტი ნაკვეთებია. ქალები 25-წლიდან 45 წლამდე თითქმის ყველა დასაქმებულია, ვისაც არ ეზარება მუშაობა“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, სოციალური დახმარება გარკვეულწილად ხელს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებასაც. მაგ; ფერმერები ჩივიან, რომ მუშას დღეში 25-30 ლარად ვერ შოულობენ, რადგან „უშრომელად აღებული ფული ურჩევნიათ“, როცა ოჯახში 5-6 სულია 300-350 ლარს იღებს დახმარებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების გადმოცემით, მათ არავინ ეკითხება ვინ არის სოფელში გაჭირვებული და ვინ საჭიროებს დახმარებას. ბუნებრივია, მათ უკეთ იციან ვის ეკუთვნის, ისინიც თვლიან, რომ სოციალური დახმარება არასამართლიანადაა განაწილებული, ამავე დროს ის აზარმაცებს ადამიანს, უუნაროებს და სხვის ხელში შემყურეებად აყალიბებს:

*„55 და 60 წლის ადამიანი უნდა მუშაობდეს. სოფელში 5, 10 ოჯახი იქნება, ვისაც ნამდვილად სჭირდება დახმარება. მრავალშვილიანი რომ არის, ინვალიდი რომ არის, არაფერი რომ არ გააჩნია, ხომ ვიცი ვინ არის ასეთი სოფელში, და სხვათა შორის ესეთებს არა აქვთ დახმარება, ისეთებს აქვთ ვისაც უნდა ჩამოერთვას. ჯანდაცვის სამინისტროს სოცაგენტები მოდიან და ისინი არჩევენ და აძლევენ, ვისაც არ სჭირდება. ჩვენს სოფელში ვიცი აქვს ერთ ოჯახს, სადაც რძალიც მუშაობს, დედამთილიც მუშაობს, ბიჭიც მუშაობს, სკოლის მასწავლებელია და იმათ აქვს სოციალური დახმარება. ისეთებს არა აქვთ, აქ რომ მოდიან ტირილით და 10 ლარს რომ ვაძლევ ჯიბიდან. ეს არც ჩემს დონეზე, არც გამგებლის დონეზე არ წყდება, სისტემაა თვითონ შესაცვლელი. ჩვენ არავინ არაფერს არ გვეკითხება. კომპიუტერი აგდებსო შერჩევიათ, რა ვიცი რაღა ისეთებს აგდებს, ვისაც არ სჭირდება დახმარება. მასიურად მიდის ახლა მოხსნა, ახალი გადამოწმება ხდება და პარამეტრებიც იცვლება. დღეს ცხვარი და ღორი არ ითვლება თურმე ქონებად, **თუ გინდა სამი ათასი ცხვარი და ღორი გყავდეს, ოღონდ სახლი გქონდეს პატარა, მოგცემენ. მაგამ საკმარისია 4 ქათამი გყავდეს და დიდი სახლი გქონდეს და შიგ არაფერი გედგას, არ მოგცემენ დახმარებას.** უცნაურად არის განაწილებული“. (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ახალგაზრდა და შრომისუნარიანი, როდესაც სოციალური დახმარების იმედადაა და მეზობელს, ფერმერს არ მიჰყვება სამუშაოდ იმის მომიზეზებით, რომ სოციალურ დახმარებას მოუხსნიან სოფელში უქნარასა და ზარმაცს ეძახიან:

„შვიდსულიანი ოჯახია, ყველანი სხედან სახლში. დახმარებას აიღებენ და აი ეგრე სხედან. პენსიონერებიც ყავთ, ნაკვეთიც აქვთ. ნაკვეთები ყველასა აქვს. არ ამუშავებენ, უსაქმურები არიან. არც სხვის ვენახებში მუშაობენ, არც თავის ვენახებში არა მუშაობენ. უქნარები არიან. დახმარებას იღებენ. ეხლა რო დაუძახო – წამოდი ჩემთან სამუშაოდ, დღეში 25 მანეთს გაძ-

ლევ, არ მოდის, შენ მე დამიფიქსირებ, რომ მე შენთან ვიმუშავე მშენებლობაზე და დახმარებას მომიხსნიანო. ჩემი ოჯახის გარდა, გარშემო ყველა იღებს დახმარებას. ყველას მანქანაცა ჰყავს, ძროხაცა ჰყავს, ცხენიც, მამულებიც აქვთ, ეს ხომ გადაყრილი ფულია. სამუშაოზე არ მომყვება იმიტომ, რომ მე იმას რომ მივცე სამასი, ოთხასი მანეთი, ხომ უნდა დავაფიქსირო, არ უნდა ჩემი მიცემული ოთხასი მანეთი, იმიტომ რომ სოციალური დახმარებით მეტს ღებულობს ოჯახი, ამასთან ერთად სხვა შეღავათებიც აქვთ, როგორც სოციალურად დაუცველებს. ჩემთან რომ წამოვიდეს სამუშაოდ, დაკარგავს სოციალურ დახმარებას, იმიტომ არ მოდის. ის ნაღდი ფული, ასპროცენტიანი, მისდის არაფერში და რატო დაკარგავს. ძალიან დიდი რაოდენობის დახმარება რიგდება ჩვენს სოფელში (კარდენახი), ეს ბიუჯეტისთვის ძალიან დიდი ტვირთია.“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

ის, რომ სოციალური დახმარების მიმღები არ მუშაობს, ალბათ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის ბრალიც შეიძლება იყოს. ეტლს მიჯაჭვულ ადამიანს რომ ეკუთვნის დახმარება, – ამაზე ალბათ არავინ იდავებს, მაგრამ თუ მან მუშაობა დაიწყო დახმარება ეხსნება, ეს არასწორია. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან ერთ მაგალითს, „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილ სტატიაში მოთხრობილია ერთი ახალგაზრდა კაცის, დათო პარკაძის შესანიშნავ საქმიანობაზე, რომელმაც საწოლს მიჯაჭვულ ადამიანებს ეტლები შეუძინა (ბიზნესმენთა დახმარებით), მათთვის საწარმო გახსნა (კასპში) და დაასაქმა (გასაყიდ კალათებს წნავდნენ), რის შემდეგაც მათ ყველა შეღავათი მოეხსნათ:

„ქვეყანა არ არის მათ წინაშე სამართლიანი – ამ ხალხს სოციალური დახმარება აქვს, სამედიცინო მომსახურება და ოპერაციებიც სჭირდება, რასაც ხელფასი ვერ დაუფარავს. როგორც კი მათ სახელზე ხელფასი გაჩნდა, ყველას სოციალური დახმარება და სამედიცინო მომსახურება შეუწყვიტეს. ... – ეტლს მიჯაჭვულებს, ხელფასების გამო დახმარებას არ უნდა უხსნიდნენ!“ („კვირის პალიტრა“, №45, 2017).

სოფლის მცხოვრებლები საკითხის მოგვარების საინტერესო აზრს გვიზიარებენ: *„მე რომ დირექტორი ვიყო, უმწეოებს სოციალურ დახმარებას სხვანაირად დავუნიშნავდი. კატეგორიებად დავყოფდი უმწეოებს: მაგალითად ბავშვები, მაგალითად მოხუცები, რომლებსაც პატრონი არ ჰყავს და მოხუცი, რომელსაც ოჯახის წევრები ყავს და ვალდებულები არიან რომ მოუარონ მშობელს. შეიძლება რასაც იღებენ იმაზე მეტი მიმეცა, მაგრამ ყველას არ მივცემდი. ადამიანს, რომელსაც ორი ფეხი და ორი ხელი აქვს, მუშაობა შეუძლია და მუშაობს კიდევაც, იმას არ მივცემდი სოციალურ დახმარებას“ (ბურდული, თელავი, 2016).*

ალბათ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასოფლო სამეურნეო სამუშაოები სეზონურია, მუდმივი დასაქმების საშუალებას არ იძლევა და ასეთი დასაქმების სანაცვლოდ მუდმივი სოციალური დახმარების დაკარგვა არავის უნდა.

დამქირავებელიც არ არის კარგ დღეში: „ყოველ დღეს 25 ლარს ვაძლევ მუშას. 80 პროცენტი ვინც მუშაობს, უმწეოა. ხელფასი რომ გამოვუწერო, უმწეობისა უნდა მოეხსნას. იძულებული ვარ, ბანკთან რომ გავასწორო ანგარიში, სხვა ხერხი ვიხმარო: ხან 10 კაცი რომ მუშაობდა, 5 გავაფორმე, 15 რომ მუშაობდა, 10 გავაფორმე, რაღაცა „მახინაციები"-ს ჩატარება მიხდება, რომ მე იმის უმწეობის სტატუსს არ შევეხო" (ბურდული, გურჯაანი, 2016).

მთხრობელები თვლიან, რომ სოციალური დახმარება სოფლად გადასახედია, მისი გამოყენება უფრო გონივრულად შეიძლება, პენსიონერს პენსია მოუმატონ და სხვ:

„ამ სოფელში (კარდენახი) მარტო სოციალური დახმარება გაიცემა 130 ათასი ლარი. ეს თანხები რომ სოფელს მოხმარდეს, სოფელი აშენდებოდა და რაღაცას დაინახავდა კაცი. საერთოდ მოვხსნიდი მე, მაგალითად, სოციალურ დახმარებას. შეიძლება საერთოდ არ მოხსნა, მაგრამ იყოს გონივრულად განაწილებული. ვინც ჩაწოლიალი, ვინც უპატრონოა და არავინ არა ყავს, იმათ მიეცი."- გადმოგვცემენ სოფლელები.

„რა საჭიროა სოციალური დახმარება, პენსიონერს პენსიაზე დაუმატე დახმარება, პენსია დაუძახე და შენც ჩაგეთვლება, რომ პენსია გაზარდე და დახმარება მოუხსენი, კაცო! ძალიან მისახედია ეს ამბავი. ეს ფული სულ გადაყრილია. რატომ უნდა იყვნენ ეს მხარბეჭიანი კაცები სახელმწიფო ფულზე დამოკიდებულნი. ეხლა სულ ბებიები და პაპები ინახავენ ოჯახებს, ახალგაზრდები არაფერს არ აკეთებენ."

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოფლის მცხოვრებთა ნაწილმა რეფორმის შედეგად მიღებული მიწები გაყიდეს, რის მიზეზადაც გაჭირვებას ასახელებენ, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ მიწების გაყიდვა „სიზარმაცის ბრალია". მიწის მფლობელი მშიერი არ მოკვდება, „სოფელში რომ არიან ძალიან ღარიბები, თითქმის ყველას გაყიდული აქვთ მიწები". მერე ქირით მუშაობენ სხვის ნაკვეთში. არიან ისეთებიც, რომ არც სხვის ნაკვეთში მუშაობენ. როგორც გადმოგვცემენ, სხვის ნაკვეთშიც ძირითადად ქალები მუშაობენ, მხოლოდ ვენახის გასასხლავად შეიძლება წავიდნენ კაცები. მოსახლეობის უმრავლესობა იმათთან მუშაობს დღიურად, ვისაც გაშენებული აქვს ვენახი, ან საქონლის ფერმა აქვს. საოჯახო მეურნეობა ვისაც აქვს, ისინი წარმატებულები არიან, მაგრამ ძირითადად მოსახლეობის 80 პროცენტი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია. *„კი მამულები დაგვირიგეს, მაგრამ ამ მამულებს სასუქი უნდა, მოხვნა უნდა, უსასუქოდ აღარ მოდის არაფერი, გამოიფიტა მიწა".*

სოფლად შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას მოსახლეობა მთავრობას აბრალებს, ასე, მაგალითად: *„ნორმალური ხელისუფლება რომ მოსულიყო ჩვენს სოფელს და ასევე სხვა სოფლებს არაფერი დახმარება არ უნდოდა, მარტო ის რომ შენარჩუნებულიყო; რაც იყო სოფელში. ჩვენი სოფელი სულ სავსე იყო ვენახებით. აი, რასაც ტერიტორიას ხედავთ სულ ვენახები იყო. ამდენი საქონელი გვყავდა, ამდენი ცხვარი, ამდენი ღორი,*

პლიუს მთა გვქონდა, შირაქი გვქონდა, ხალხი დასაქმებული იყო. მაგრამ მეთაური რომ ვერ მოვიდა ნორმალური, ყველაფერი განიავდა“.

სოფლის გამგეობებში ჩაწერილი მასალის მიხედვით: „სოფელს რომ ეშველოს, გადამამუშავებელი ქარხანა უნდა იყოს აუცილებლად, რაიონში ერთი მაინც, რომ ხილ-ბოსტნეული გადაამუშაოს. მე ვფიქრობ, რომ ვაუჩერების დარიგებას, გადამამუშავებელი ქარხნის აშენება სჯობია, გლეხი იმით უფრო ისარგებლებს. ეხლა დარჩენილი მაქვს 20-დე ვაუჩერი, – არ მიაქვთ, არ აინტერესებთ. ღვინის ქარხნების გარდა არაფერი არ არის მუნიციპალიტეტებში. ავიღოთ, მაგალითად, ქვეშნაყარი ატამი, ხიდან რომ ცვივა, ნახევარზე მეტი კარგია, იმას წამოჰკრიფავს გლეხი და 15-20 თეთრიც რომ ღირდეს, მიიტანს და ჩააბარებს გადამამუშავებელ საწარმოს. ფაქტიურად, ის იყრება“ (ბურდული, თელავი, 2016).

ვფიქრობთ საინტერესო იქნება მოვიტანოთ კოლმეურნეობების დროს სოფლად არსებული სოციალური ფონის შესახებ თელავის ისტორიულ არქივში დაცული მასალები. ამ მასალების მიხედვით ჩანს, რომ გაჭირვებული ოჯახები მაშინაც იყო, მაგრამ შეუდარებლად ცოტა. ასე მაგ, ანგარიშში, რომელიც ეხება ერთ-ერთი სოფლის ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისთვის დახმარების დანიშვნას 1975 წლის 18 ივლისის მონაცემებით ჩანს რომ ასეთი სულ სამი ოჯახია და მათ ხუთ ბავშვს დაენიშნა დახმარება თვიურად 12 მანეთი თითოეულს (სულ 60 მან); 1976 წელს, მხოლოდ ბავშვების რაოდენობაა გაზრდილი და შესაბამისად დახმარების საერთო თვიური თანხა შეადგენს 72 მანეთს. (თელავის რეგიონალური არქივი, ფ. 25-1, საქმე 227).

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა გასული საუკუნის 90-იანი წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის შემდეგ კახეთის სოფელში შექმნილი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ მდგომარეობა საკმაოდ არასახარბიელოა: ქონებრივი თვალსაზრისით სოფლის მაცხოვრებელთა მკვეთრი დიფერენციაცია მოხდა; დაუსაქმებლობამ და უპერსპექტივობამ სოფლიდან ახალგაზრდების მასობრივი მიგრაცია გამოიწვია; მოსახლეობის გაღარიბებული ნაწილი სოციალური დახმარების იმედადაა დარჩენილი; სოფლად სოციალური დახმარების დანიშვნა მეზობლების ურთიერთდაპირისპირების მიზეზი ხდება და, რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა, ეროვნული ხასიათის ცვლილებასაც იწვევს, მაგ; 4-5 შვილის გამზრდელი დედა თავს მარტოხელად რომ თვლის და მხოლოდ სახელმწიფოსაგან ელის დახმარებას, ვფიქრობთ ჩვენს ეროვნულ ხასიათს დიდ დარტყმას აყენებს; როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური დახმარება სოფლის მეურნეობის განვითარების შემაფერხებლადაც გვევლინება.

§ 10. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლის თემი“ და მისი საქმიანობა

კახეთის რამდენიმე სოფელში დაარსებულია არასამთავრობო ორგანიზაციები, – „სასოფლო თემი“, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებებით ფუნქციონირებენ. ზოგმა უკვე შეწვიტა არსებობა, ზოგი ძალიან აქტიურია. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ თემის წარმატებული მუშაობა ხელმძღვანელის პირად თვისებებზე, მისი, როგორც ლიდერის, უნარ-ჩვევებზე დიდადაა დამოკიდებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ თემის საქმიანობა ძირითადად მიმართულია სოფლის მოსახლეობის გააქტიურებისაკენ, მათში სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისაკენ, რათა მათ უკეთ შეძლონ თვითდასაქმება, თავად წამოიწყონ თუნდაც მცირე ბიზნესი. „სოფლის თემები“-ს მუშაობის ძირითადი მიზანია სოფლად მცხოვრებთა დაინტერესება არასასოფლო – სამეურნეო საქმიანობით, მაგალითად, არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შექმნა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება და სხვ.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე „სოფლის თემის“ საქმიანობას:

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში ფუნქციონირებს, არასამთავრობო ორგანიზაცია **„ვარდისუბნის თემი“,** თემის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, მარიამ დარჩიაშვილი გადმოგვცემს: – „მე 2004 წელში შევკრიბე ერთი ხუთი კაცი, დავაფუძნეთ და დავარეგისტრირეთ „სასოფლო კავშირი, – თემი ვარდისუბნი“. ვმუშაობთ საჭიროებებზე, მიზნებში ასე გვაქვს გაწერილი, ე.ი. როდის რა პრობლემა წამოიჭრება სოფლად. ახლა მინდა კოოპერატივის დაფუძნება. მეფუტკრეებს აქვთ სურვილი გაერთიანდნენ კოოპერატივში; არიან ოჯახები, წიწილები გამოყავთ, მათი სურვილიცაა გაერთიანება და ინკუპატორის შეძენა. თემის ხელმძღვანელის გადმოცემით *„სოფლის მაცხოვრებლები ძალიან ინერტულები არიან, მე რომ ჩამოვივლი და დავუძახებ, მოდიან, მაგრამ თვითონ არაფრის ინიციატივას არ იჩენენ, პასიურები არიან, გულგრილები საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, მაგალითად, სოფელში ნაგვის ურნები დადგეს, მაგრამ ხალხი ნაგვის გარდა იქ ნაკელით სავსე ტომრებსაც ყრის, რომელიც ნაგვის მანქანას არ მიაქვს. ვის სახლთანაც ეს ნაგვის ურნა დგას იმ ქალს ვუთხარი, დაუდარაჯდი და ნახე ვინ ყრის, რომ მერე იმას პასუხი მოვთხოვოთო, იმან კიდევ „ეგ რა ჩემი საქმეაო“, ასეა, გაუმჯობესებული ცხოვრება უნდათ, ოღონდ ეს ყველაფერი სხვამ უნდა გააკეთოს“ (ბურდული, თელავი, 2016).*

დემოკრატიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებიც აღნიშნავენ ამ პრობლემას. „ხშირია დისკუსია იმის შესახებ, რომ საჭიროა სოფლად თუ ქალაქებში მაცხოვრებლების გააქტიურება, სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის ფორმირება და ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში მოქალაქე-

თა ჩართულობა, სასოფლო ინიციატივა და უფრო ეფექტური ადგილობრივი თვითმმართველობა“ (მარგველაშვილი, 2015, 5)

„სასოფლო კავშირი, – თემი ვარდისუბნი“- ევროკავშირის პროექტშიაც იყვნენ ჩართულები, ოღონდ როცა საქმე მივიდა აპლიკაციის ფორმის შევსებაზე (აზერბაიჯანელი პარტნიორები უნდა ჰყოლოდათ), ეს პარტნიორული ურთიერთობები ვეღარ შედგა და პროექტი ბოლომდე ვერ განახორციელეს.

თემის ხელმძღვანელის გადმოცემით, ისინი სოფლის მეურნეობის მიმართულებით არ მუშაობენ. *„მოგვიწყვია ხელით ნამუშევრების გამოფენა, – მაგალითად, მატყლის სხვადასხვა ნაკეთობების. ჩვენს თემს 2006 წელში მატყლის საჩეჩი და საპენტი დანადგარების საყიდელი ფული და დამატებით, 2000 ლარიც „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფონდმა გადმოგვცა. იმ დროს ქალები მართლა აქტიურობდნენ, მატყლს წეწავდნენ, ართავდნენ, ქსოვდნენ, რასაც ძალიან დიდ დროს ანდომებდნენ. დანადგარის ყიდვის შემდეგ შრომა გაუადვილდათ, უფრო სწრაფად პენტავდნენ და ჩეჩავდნენ მატყლს, დრო აღარ ეკარგებოდათ. აქ დგას მატყლის საპენტი აპარატი (თემის ხელ-ის ეზოში – მ.ბ.) გაპენტავდნენ მატყლს და დანარჩენ სამუშაოს სახლებში აკეთებდნენ. დენის ფულს „თემი“ იხდიდა, დანადგარს თუ რამე გაუფუჭდებოდა, ვაკეთებდით. ქალები საბნებს, ლეიბებს კერავდნენ. გამოჰქონდათ ბაზრობებზე და ჰყიდდნენ. იმ პერიოდში ეს საბნები ძალიან კარგად იყიდებოდა, ბათუმშიაც კი გაჰქონდათ, სადღა აღარ იყიდებოდა და ეხლა იმდენად აღარ იყიდება და ამიტომ ზოგმა უკვე საქმიანობაც შეწყვიტა. მაშინდელი გააქტიურებული ქალები ეხლაც მუშაობენ, ოღონდ თემისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული საქმიანობით თემი 2006-2009 წლებში იყო დაკავებული. მაშინ ქალებმა ისწავლეს ხელობა, პატარა დანადგარებიც იყიდეს თავიანთთვის და ისე მუშაობენ“ (ბურდული, თელავი, 2016).*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მიზანი „სოფლის თემის“ საქმიანობისა მოსახლეობის გააქტიურებაა, ამ მიმართულებით „ვარდისუბნის თემმა“, შეიძლება ითქვას, კარგად იმუშავა, მაგრამ საწყენია, რომ მან განვითარება შეწყვიტა, ისეთი აქტიური აღარაა, როგორც თავიდან იყო, რადგან თემის ხელმძღვანელი, მარიამ დარჩიაშვილი, რეპატრიაციით მიდის ოჯახთან ერთად ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად. პირადად მას ძალიან უჭირს წასვლა, არ უნდა, მუდმივად დარჩენასაც არ ფიქრობს, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, როგორც ამბობს: *„ახლა იქ გვირჩევნია. შვილს უნდა გაიუმჯობესოს ცხოვრების პირობები. მე არა მაქვს დიდი სურვილი რომ წავიდე, მაგრამ ქალიშვილმა რომ იაქტიუროს, შვილიშვილს იქ პატრონი სჭირდება. ვფიქრობ მე ერთი წელი გავძლებ როგორმე. ჩემი მეუღლე თელაველი ებრაელი იყო, დავარაშვილი“ (ბურდული, თელავი, 2016).*

2004 წელს სოფელ ნაფარეულში, ამავე სოფელში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის „საფარის“ მხარდაჭერით დაარსდა სათემო კავშირი „ნაფარეული“, რომლის პირველი პროექტი იყო „თექა და ფარდაგი კახეთ-

ში“. პროექტი ფონდმა – „ღია საზოგადოება – საქართველომ“ დააფინანსა. პროექტის ფარგლებში 14-მა ქალმა შეისწავლა ხელობა. ასე შეიქმნა „ნაფარეულის სახელოსნოები“, რომლის მთავარი მიზანი იყო სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა ქალების გააქტიურება და მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. სამწუხაროდ, აღნიშნულმა კავშირმა 2007 წელს უკვე შეწყვიტა არსებობა, მაგრამ 2010 წელს „კავკასიური სახლის“-ა და სათემო განვითარების ცენტრის მხარდაჭერით ნაფარეულის სახელოსნოები კვლავ ამოქმედდა. „კავკასიურმა სახლმა“ კავშირს გადასცა მინანქრის სახელოსნოსთვის საჭირო ინვენტარი, ასევე დააფინანსა ქვილთის, კერვისა და ტიხრული მინანქრის შემსწავლელი კურსებიც. მან ხელი შეუწყო სახელოსნოს ახალი წევრებით შევსებას და მის გამოცოცხლებას (ნაცვლიშვილი, 2015, 57) და დღეს ეს სათემო კავშირი სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობს.

კახეთში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და წარმატებული არასამთავრობო სათემო ორგანიზაცია, რომელთანაც კი გვიმუშავია, დაფუძნებილია სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში, „სათემო კავშირი ნუკრიანი“. როგორც თემის ხელმძღვანელი მაია ბიძინაშვილი გადმოგვცემს, თემს აქვს ოთხი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება.

პირველი მიმართულება – თემი მუშაობს თვითდასაქმების განხრით, ეს ნიშნავს საგანმანათლებლო საქმიანობას, სხვადასხვა სერვისების შეთავაზებას სოფლის მოსახლეობისათვის, რომ ადამიანმა თვითონ შეძლოს დასაქმება. გარდა ხელობის მიცემისა, თემი 2009 წლიდან სისტემატურად ატარებს ტრენინგებს. ეს არის ზოგადი კომპეტენციების კურსი ახალგაზრდებისთვის, ასევე ასწავლიან როგორ დაიწყონ ბიზნესი, თუნდაც ელემენტარული, მაგრამ დამოუკიდებელი. მაგალითად, თავისი ვენახის ყურძნიდან მიღებული ღვინო როგორ აქციოს მცირე ბიზნესად, შემოსავლის წყაროდ.

მეორე – ეს არის ორგანიზაციული განვითარების მიმართულება, რომელმაც ახალი წევრების მიღების შემდეგ შეიძლება შეიცვალოს პროფილი. აქვთ საგანმანათლებლო ცენტრი ახალგაზრდებისთვის. პროექტი ფაქტიურად მთელი რაიონის ახალგაზრდობასთან მუშაობს. ყავთ დონორი ორგანიზაციები.

თემის საქმიანობა მრავალფეროვანია: *„ეხლა მაქვს ასეთი პროექტი: სიღნაღის მუნიციპალიტეტის დემოკრატიის ხარისხის დადგენა, თვითმმართველობის მონიტორინგი, რომელიც ხორციელდება საქართველოში სულ რვა მუნიციპალიტეტში და მათ შორის ერთ-ერთია ჩვენი, არის ასეთი ორგანიზაცია, „კონსტანცი და ტრენინგის ცენტრი“. ის ახორციელებს და ვართ ერთ-ერთი გრანტიორი. ეს ძალიან დიდი პროექტია, არ არის ერთჯერადი, მიმდინარე პროექტია. სანამ თვითმმართველობის კოდექსში შევიდოდა ცვლილება თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის კომპონენტზე, ეს მუშავდებოდა ზუსტად ჩვენნაირ ორგანიზაციებში: როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ, რანიარად შეიძლება განხორციელდეს თვითმმართველობა. სოფლებში დღეს გამგებლის წარმომადგენლები არიან დანიშნულები, ესე-*

ნი თვითმმართველის როლს ვერასოდეს ვერ შეასრულებენ. იმიტომ რომ ეს იქნება ყოველთვის პარტიული ნიშნით, ყოველთვის გამგებლის მითითებას შეასრულებენ. თვითმმართველობა იყო იმ პერიოდში, როცა სოფლებში გვქონდა საკრებულოები, ყველა უბანს თავისი არჩეული დეპუტატი ჰყავდა. პრინციპში ასეც არის ამ კანონში, ასეთი რამე უნდა გაკეთდეს, მაგრამ არ გამოდის". (ბურდული, სიღნაღი, 2016).

თემის ხელმძღვანელის გადმოცემით, 2015 წლის სექტემბერში შემოსული კანონით, სოფელს უნდა ჰქონდეს თავისი თვითმმართველი ორგანო, ან რჩეული, რომელიც უნდა აირჩიოს სათემო კრებამ. კანონი გაძლევს უფლებას მოითხოვო სოფლისთვის ამაა-თუ იმ საქმის გაკეთება, მაგრამ ჩამონათვალი, რომელიც სოფლის კრებამ უნდა დასახოს პრიორიტეტად, ამ კანონიდან უნდა ამოვიდეს, მისი შესასრულებელი თანხა კი ბიუჯეტში არ არის. გამოდის რომ ისევ სოფლის დახმარების პროგრამაზე ვართ დამოკიდებული.

„ცხადი რომ გახდეს რაზე ვლაპარაკობ მაგალითს მოვიტან: ილიაწმინდაში ჩატარდა სათემო კრება – კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით. ხალხმა მოითხოვა, რომ ილიაწმნდაში (ყოფილ ულიანოვკაში), სადაც 90-იან წლებამდე ცხოვრობდნენ მალაკნები, გაკეთდეს მალაკნების ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მუზეუმი. მალაკნები წავიდნენ, მაგრამ სოფელში დარჩა შერეული ოჯახები, ბევრი რძალი ცხოვრობს, ზოგი ბიჭი დარჩა. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ დღეს, როცა მათი მიმართვა და კრების ოქმი შევიდა გამგეობაში და მითხოვდნენ საკითხის გადაწყვეტას, გამგეობას ფული არა აქვს სამაგისოდ გამოყოფილი. ბიუჯეტი იგეგმება ოქტომბერ-ნოემბერში და იმ დროს არ იყო ეს მოთხოვნა. აცდენაა ძალიან დროში. ბიუჯეტის მიღებას რომ წინ უსწრებდეს კრებების ჩატარება სოფლებში, იქნებ უფრო შედეგიანი ყოფილიყო და ეს თვითმმართველობაც მაშინ განხორციელდებოდა. რა თქმა უნდა, საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო თანხა შეიძლება შეიტანონ მომავალი წლის ბიუჯეტში, მაგრამ მყისიერად გადასაწყვეტ საკითხს, დღევანდელი მდგომარეობით სოფელი ვერ გადაწყვეტს" (ბურდული, სიღნაღი, 2016).

სოფლის არასამთავრობო სათემო ორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ კულტურის განვითარება უნდა იყოს პრიორიტეტი, მაგრამ სინამდვილეში მუნიციპალიტეტის განვითარების პროექტში კი არა, ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროექტშიც კულტურა ტურიზმთან და ეკონომიკასთან არის მიბმული. რესპოდენტი აღნიშნავს, რომ: *„ჩვენ პირიქით ვფიქრობთ, კულტურის განვითარებამ უნდა მოიტანოს ეკონომიკის განვითარება და ამის დანახვა სახელმწიფო დონეზე უნდა მოხდეს. მუზეუმიც აღარ არის სიღნაღში, ახლა საგამოფენო დარბაზია, როგორ შეიძლებოდა მუზეუმის გაყიდვა? ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა სიღნაღში აღარ არის. ყველაფერი არის გურჯაანში, ყუთებში ჩაწყობილი, ყოველგვარი კატალოგიზაციის გარეშე დასაწყობებული, ე.წ. მუზეუმის დასათვალიერებლად მოსული ტურისტი ბილეთს ხომ იღებს, შემოსული ფული მიდის ცენტრალურ ეროვ-*

ნულ მუზეუმში. და არც ხმარდება იქიდან სიღნაღს არაფერი. ამას მუზეუმი არ ჰქვია, ჰქვია საგამოფენო სივრცე“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).

ჩვენ სიღნაღში მუშაობისას, საკუთარი დაკვირვების საფუძველზე, შეგვიძლია დავამატოთ შემდეგი: სიღნაღში, რომელსაც ამდენი დამთვალიერებელი ტურისტი ყავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან თუ საზღვარგარეთიდან, შესაბამისი შედეგი არ ჩანს. ბუნებრივია იბადება კითხვა – რატომ? იმიტომ, რომ ტურისტი ორ საათში გადის სიღნაღიდან, დაათვალიერებს ქალაქს და მიდის, სხვა რამ, რაც მოთხოვნას გაუჩენს, რომ დარჩეს სიღნაღში თუნდაც ერთი დღით, არ არის; გართობა არ არის, შეიძლება 2 კვირაში, თვეში ერთხელ კონცერტი ჩაატარონ, მაგრამ მუდმივმოქმედი არაფერი არ არის; არ არის მოწესრიგებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, საერთოდ კვების ობიექტები არ არის მორგებული ტურიზმს, გვიან იღება, ადრე იკეტება, მაღალი ფასებით გამოირჩევა; ამიტომ, თავად სიღნაღელებიც ერიდებიან იქ შესვალას „სტუმარი რომ მომდის ვერიდები სიღნაღში შევიყვანო კვების ობიექტში, წნორში მიმყავს“-ო, გადმოგვცემენ სიღნაღელები. კარგი თეატრი ჰქონდა სიღნაღს, ის შენობაც დღეს თეატრს აღარ ეკუთვნის. მუზეუმი აღარ ფუნქციონირებს სრულყოფილად, არის მხოლოდ საგამოფენო სივრცე. ტურისტი ჩამოდის ვთქვათ საფრანგეთიდან და სიღნაღში ვაჩვენებთ ფრანგი იმპრესიონისტების ნახატებს, რომლებიც მას აქ არ აინტერესებს. ჩვენ აქ ჩვენი უნდა დავახვედროთ, სიღნაღის ღირსშესანიშნაობები და ამ კუთხის გამოჩენილი შვილების შესახებ ვესაუბროთ და ზოგადად, ქართული სოფლის ყოფა ვაჩვენოთ. ასეთი მუზეუმი ჰქონდა სიღნაღს სულ ახლო წარსულში, დღეს უკვე აღარ აქვს.

ნუკრიანის არასამთავრობო სასოფლო თემმა 2012 წელს „ღია საზოგადოება-საქართველო“-ს ფონდში წარადგინა საგრანტო პროექტი, „ნუკრიანის ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია“. პროექტი დაფინანსდა 10000 დოლარით და მათ შესძლეს ამ ფულით ორი ოთახის, მათ შორის ერთი სამკითხველო დარბაზის, გარემონტება და კომპიუტერებით აღჭურვა. სოფლის ახალგაზრდობას აქვს უფასო ინტერნეტმომსახურება. ამით სარგებლობენ როგორც სკოლის პედაგოგები, ისე მოსწავლეები. პედაგოგებს შესაძლებლობა აქვთ ჩაატარონ საჩვენებელი გაკვეთილი, მოაწყონ ფილმის ჩვენება, ჩანაწერების გაკეთება და სხვ. პროექტი საგანმანათლებლო ნაწილსაც მოიცავს, მაგალითად, სხვადასხვა საკითხზე ახალგაზრდებთან ტარდება ლექციები, შეხვედრები მათთვის საინტერესო ადამიანებთან და სხვ.

„ბიბლიოთეკის საცავის გარემონტება ვერ მოვახერხეთ, 24-25 ათასი წიგნია, სად უნდა წაგველო. კავკასიურმა სახლმა მარტო ბოლო წლებში 6 ათასი წიგნი გადმოგვცა. მუშავდება ახალი პროექტი ჩვენსა და იუსტიციის სამინისტროს შორის, რომ გაკეთდეს ბიბლიოთეკა და საზოგადოებრივი ცენტრი ერთად, სადაც 200 სერვისის მიღება იქნება შესაძლებელი. თვითონ ჩვენს ორგანიზაციას აქვს ძალიან დიდი ტექნიკური რესურსი. გვაქვს ძალიან კარგი მუსიკალური გახმოვანების აპარატურა, რაც კონცერტისათ-

ვის არის საჭირო, ფესტივალის დროს სტადიონზე ვდგამთ დიდი სცენას, სოფელში კონცერტები იმართება, ჩვენი სოფლის ახალგაზრდებს ამ მხრივ არაფერი არ ეთქმით“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).

აღსანიშნავია, რომ სათემო ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავიანთ წარმატებულ საქმიანობას მწერალ ნაირა გელაშვილს უმადლის, რომელიც წარმოშობით ამ სოფლიდანაა, *„ნაირა გელაშვილის ინიციატივით ნუკრიანის სკოლის ბაზაზე ფონდი – „პური მსოფლიოს“, 10 წლის განმავლობაში მოსწავლეთა ბევრი წრეს აფინანსებდა. იყო: უფასო სამოქალაქო განათლების წრე; ეკოლოგიის წრე; დრამწრე გვქონდა; საკუთარი თეატრი გვქონდა. იმ წლებში ჩვენ ძალიან კარგ ჟურნალს ვუშვებდით, „ჩემი სოფელი“ ერქვა. არის ბიბლიოთეკაში დაცული ნომრები. სოფლის მეურნეობის მიმართულებაც იყო, კულტურული მიმართულებაც იყო, თარგმანებიც იბეჭდებოდა, ხალხის მონათხრობიც იბეჭდებოდა“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

კარგი იქნება თუ ქალბატონ ნაირა გელაშვილის მაგალითს სხვებიც მიბაძავენ, და თავიანთ სოფლებს რაიმეთი შეეწევიან, მითუმეტეს საქართველოში ამის ტრადიცია ადრეც არსებობდა.

ნუკრიანის სათემო ორგანიზაცია ინტერნეტში რეგისტრირებულია „ნუკრიანის სახელოსნოების“ სახელით. დღეს უკვე 15 ადამიანია დასაქმებული ამ საწარმოში. თავიანთი ნაწარმით მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში, ავსტრიაშიც კი აგზავნიან თავიანთ შეკერილ საბნებს, ამზადებენ სხვადასხვა სუვენირებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს (თექა, ნაქსოვი და სხვ.). *„საერთო ჯამში შემოსავალი გვაქვს, შარშანდელი წელი დავხურეთ 18 ათას ლარამდე მოგებით, აქედან ჩვენ ხელფასი უნდა გავცეთ, ნედლეული შევიძინოთ, გადასახადები გადავიხადოთ. როგორც იურიდიულ პირებს, ისე გვეწერება გადასახადი. სოციალური საწარმო ჰქვია და როგორ შეიძლება ეს იხდიდეს გადასახადს? ჩვეულებივ ვიხდით ყველანაირ გადასახადს. თექის ერთი კვადრატი 15 ლარი ჯდება, ამაზე დიდები უფრო დიდი კვადრატებიანი – 18-19 ლარი ჯდება. არის რადაცეები, რაზეც შეკვეთებს იღებენ გოგოები. სასტუმროებს შეაქვთ ჩვენი ნაწარმი. პროექტის ფარგლებში შემოგვაქვს საკერავი მანქანები, ახლა მაქვს ერთი გრანტი მოგებული და იმით ტექნიკა უნდა შევიძინოთ და მასალები“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

„ნუკრიანის სახელოსნოები“ ფესტივალებზე მონაწილეობს თავიანთი ხელნაკეთი სუვენირებით, ჩანთებით, სხვადასხვა დანიშნულების თექის ნაწარმით, საბნებით და სხვ. აქვთ კორპორაციული დაკვეთებიც, ჩვენ გვიკავშირდებიან ვებგვერდის, „ნუკრიანის სახელოსნოები“-ს, ან მობილურის დახმარებით, როგორც ამბობენ „მოდუნების საშუალება არ აქვთ“.

სამწუხაროდ, „სათემო კავშირი ნუკრიანის“ კარგად აწყობილი საქმე 2017 წელს შენობაში გაჩენილმა ხანძარმა ძალიან დააზიანა, თუმცა ვერ შეაჩერა და დღეს კერძო სახლში თავშეფარებულები აგრძელებენ საქმიანობას. უფრო მეტიც, მათ 2017 წელს სათემო ორგანიზაციებისა და ჯგუფებისათ-

ვის თემის განვითარების რესურსცენტრის (CSRDG) მიერ გამოცხადებულ ღია კონკურსში წარადგინეს პროექტი „სოფელ ნუკრიანის ტურისტული პოტენციალის გაზრდის ხელშეწყობა“ და გაიმარჯვეს. 2017 წლის ზაფხულში პროექტის ფარგლებში იმუშავა საზაფხულო სკოლამ, სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდებს გააცნეს აგროტურიზმის განვითარების, საოჯახო სასტუმროების მოწყობისა და მომსახურების თანამედროვე სტანდარტები.

ისტორიულადაც, სოფელი ნუკრიანი, სხვა სოფლებისგან განსხვავებით უფრო მწირია, იგი ტრადიციულად სიღნაღზე იყო მიბმული და ვაჭრობა-ხელოსნობით ირჩენდა თავს. სოფელი გასაბჭოების პერიოდამდეც ხელსაქმით ცხოვრობდა, იყო საგამყიდველო, აღებ-მიცემობის ადგილი, სავაჭრო დასახლება, ფეხსაცმლის მკერავები ცხოვრობდნენ, ქალები ძირითადად წინდებს ქსოვდნენ. განვითარებული იყო შინამრეწველობა და ქალაქური წარმოება.

2016 წელს სოფელმა მიიღო მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, დემოგრაფიული მონაცემები ნუკრიანში ძალიან საგანგაშოა: *„2002 და 2004 წლის აღწერებს შორის სოფლის მოსახლეობის შემცირება 37 პროცენტს უდრის. ნუკრიანის მაცხოვრებელთა საშუალო ასაკი 47 წელია. ანუ აქ არ არის საუბარი რომ შობადობაა შემცირებული, არა, ახალგაზრდობა აღარ არის სოფელში. ეს არის ყველაზე დიდი ტრაგედია. ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა გააკეთონ თვითმმართველობებმა საკუთარი რესურსის კვლევა, რომ მუნიციპალიტეტებში რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდისთვის გამოიძებნოს დასაქმების საშუალება, სხვანაირად როგორ უნდა მოევლოს ამ საქმეს, არ ვიცი“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ეს პრობლემა არც მარტო სიღნაღის მუნიციპალიტეტის და მითუმეტეს ნუკრიანის პრობლემა არაა. ანალოგიური მდგომარეობაა კახეთის სხვა მუნიციპალიტეტის სოფლებშიც, უზარმაზარი 600-800-1000-1500 კომლიან სოფლების საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა, გასული საუკუნის 80-იან წლებთათ შედარებით ორჯერ და მეტადაა შემცირებული, თუ მაშინ პარალელური კლასები იყო, დღეს ზოგიერთ კლასში 5-10 და უფრო ნაკლები მოსწავლეა. პრობლემა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ძალიან მაღალი შეფასება მისცეს ნუკრიანის სასოფლო თემის მუშაობას. „არასამთავრებო ორგანიზაციები სხვებიც არიან სიღნაღში, მაგრამ როგორც ასეთი ხელის შემწყობი იყოს სოფლის ცხოვრებისთვის, ან ახალგაზრდებთან მუშაობდეს, წარმატებული და აქტიური არასამთავრობო ორგანიზაცია, „სოფლის თემი“მხოლოდ ნუკრიანშია“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეშიც, დღევანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ქიზიყი, სახელოსნოებითა და სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების გაერთიანებებით, არა მარტო კახეთში, არამედ მთელ საქართველოში

გამოირჩეოდა, განსაკუთრებით კი სოფელი ქვემო მაჩხაანი, რომელიც ქიზიყის კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა. სოფელში სავაჭრო-სახელოსნო დუქნების რიცხვი რამდენიმე ათეულს აჭარბებდა. „ძლიერი ეკონომიკური რესურსის სოფელში თავმოყრამ ხელი შეუწყო ადგილობრივ მოსახლეობაში საზოგადოებრივ კულტურული ცხოვრების გააქტიურებას. ადგილობრივები, თვითორგანიზებით, თავადვე სახავდნენ პრიორიტეტებს სოფლის ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მიმართულებითა და შემდეგ სხვადასხვა სახის ღონისძიებით თავადვე მოიძიებდნენ სახსრებს მსგავსი პროფილის დაწესებულების დასაარსებლად (სიხარულიძე, 2015,49-50).

სავაჭრო სახელოსნოების სიმრავლის გამო, ქვემო მაჩხაანში ეწყობოდა ხელოსანთა, მევენახეთა, მეცხვარეთა ერთობლივი კრებები, რომელთა ფარგლებშიც ერთიანი ძალებით აარსებდნენ მაღაზიებსა და საამქროებს, არა მარტო სოფელში, არამედ სხვა ქალაქებშიც. ..... 1895 წელს, სოფელში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი სავაჭრო-სახელოსნო დეპო (სიხარულიძე, 2015, 54).

დეპო-ბანკის თანხა ბევრ სასიკეთო საქმეს ხმარდებოდა, მაგ, ამ თანხის მარაგით 1901 წელს გვალვისა და მოუსავლიანობისას შეძლეს მოსახლეობისათვის ფქვილის შეძენა (სიხარულიძე, 2015, 55).

დღეს თვითმმართველობის კოდექსში შეტანილია ცვლილება ჩართულობის ელემენტის შესახებ და ეს ითვლება ევროპულ გამოცდილებად. უნდა აღინიშნოს რომ ქიზიყში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ასეთი სათემო გაერთიანებები. თემის აქტიურობის კარგი მაგალითია ქვემო მაჩხაანელთა აქტიურობა, სადაც გაერთიანდა თემი, ფული მოგროვდა და თეატრის შენობა, რომელიც დღესაც ძალიან კარგ მდგომარეობაშია, თვითონ სოფლის აშენებულია. ეს საქმე ქიზიყელი ინტელიგენციის თაოსნობით და სოფლის აქტიურობით გაკეთდა, ამ სოფლის აქტიური ცხოვრება შემოგვინახა XIX სუკუნის ქართულმა პრესამ. მაგ; „ივერია“ წერდა როგორც თეატრის ასაშენებლად და ფულის მოსაზიდად გამართულ ღონისძიებებზე („ივერია“, 1892), ისე უკვე აშენებულ თეატრში დადგმულ თეატრალურ წარმოდგენებზე („ივერია“, 1899).

თეატრის შენობას სხვა საგანმანათლებლო ფუნქციაც ჰქონდა, კერძოდ „მაჩხაანის ინტელიგენცია აპირებს მოათავსოს წიგნთ-საცავი და სამკითხველო ახლადაშენებულ თეატრის დარბაზში, სადაც კვირა-უქმე დღეებში წაუკითხავენ ხალხს ხალხური ენით დაწერილ ლექციებს, ზნეობრივს, სასოფლო-მეურნეობისას და სამკურნალოს“ (წყარო: signagi.com.ge)

საინტერესოა და ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივ-კულტურულ ღონისძიებებს ადგილობრივი ახალგაზრდობა უწევდა ორგანიზებას (სიხარულიძე, 2015,49-50), დღეს კი ქიზიყის სოფლები „დაბერებულია“, ახალგაზრდები „გარბიან სოფლიდან“.

როგორც ისტორიული დოკუმენტები, ისე ეთნოგრაფიული მასალა საფუძველს გვაძლევს, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, რომ შექმნილი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსავალი იქნება სოფლის მაცხოვრებელს გაუჩნდეს სოფლის მეურნეობისაგან დამოუკიდებელი ალტერნატიული სამსახური, სოფლის ახალგაზრდობა დასაქმდეს სხვადასხვა საწარმოებში და სერვისცენტრებში, რომლის რესურსი კახეთში ნამდვილად არის. ამის თქმის საფუძველს იძლევა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში კახეთის თითქმის რაიონებში მოქმედი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთაგან დღეს მხოლოდ მცირე და საშუალო სიმძლავრის ღვინის ქარხნები მუშაობს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აგრეთვე, სოფლის თვითმმართველობას მიეცეს მეტი უფლებები, რათა თავად გადაწყვიტონ თავიანთი სოფლის ბედი, ამით მეტ პასუხისმგებლობასაც იგრძნობენ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ზემოთ განხილული ზოგიერთ სოფელში დაფუძნებული არასამთავრობო სასოფლო თემების საქმიანობა, რომლებიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებენ. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის სასოფლო თემის ძალისხმევა სოფლად ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

§ 11. აგროსექტორისათვის პროფესიული კადრების მომზადების ცენტრები კახეთში

თანამედროვე სოფლის სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის, როგორც ჩვენს მიერ 2015-2017 წლებში კახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალიდან გამოჩნდა, აუცილებელია ქართული სამეურნეო ტრადიციებისა და ახალი ტექნოლოგიების ცოდნა და ურთიერთშეხამება. ამისათვის კი საჭიროა სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე, გამოცდილი, მცოდნე კადრების არსებობა. უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ ბოლო წლებში ყურადღება მიაქცია და პრიორიტეტული გახადა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება. 2013 წლიდან ყველა მუნიციპალიტეტში ამოქმედდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი რაიონის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის დონეზე სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და სამომავლოდ განვითარების პერსპექტივის დასახვა, სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობისთვის საკონსულტაციო სამსახურის გაწევა. საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ყველა მუნიციპალიტეტს ამ სამსახურში დასაქმებული ჰყავთ სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები – ძირითადად აგრონომები, რომელთა ნაწილს სამეცნიერო ხარისხი აქვს.

მთხრობელთა გადმოცემით ახალგაზრდობამ მიწის სიყვარული დაკარგა, რომელსაც ადრე ბავშვობიდან უნერგავდნენ და ასწავლიდნენ მოზარდს. ამის მაგალითად სასკოლო საცდელ ნაკვეთებსაც ასახელებენ, –„*დღეს*

ახალგაზრდებს სოფლის მეურნეობაზე წარმოდგენაც არა აქვთ, – მე როცა ვსწავლობდი სკოლაში, მაშინ სკოლას ჰქონდათ სასწავლო საცდელი ნაკვეთები, ბოტანიკაც იქ ტარდებოდა, თემებს გვაწერინებდნენ, ყველას თავისი ნაკვეთი გვქონდა, ვენახი იყო თუ სხვა, მახსოვს ერთხელ ჩემს კლასს სტაფილო გვქონდა მოყვანილი. ვიღაცას ჭარხალი ჰქონდა, მიწის სიყვარული ბავშვებს აღარა აქვთ. ეს სწავლება სკოლიდან უნდა დაიწყოს ისევ" (ბურდული, სიღნაღი, 2016).

წარსულში ქართველ ახალგაზრდებში მიწის სიყვარულისა და სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად გაწეული საქმიანობიდან განსაკუთრებულია ილია წინამძღვრიშვილის ღვაწლი, – რომელმაც 1883 წელს საკუთარ მამულში, წინამძღვრიანთკარში დააარსა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, უსასყოდლოდ გადასცა 55 ჰა სახნავ-სათესი მიწა, ტყე და 20 ათასი ლიტრის ტევადობის ღვინის სარდაფი, რათა საქართველოს სოფელი პროფესიული კადრებით მოემარაგებინა. აღნიშნულ სასწავლებელში მოსწავლეები ეუფლებოდნენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მეურნეობის ამა თუ იმ დარგში (კალანდაძე, 2015, 89).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეურნეო სასწავლებლების არსებობას კახეთშიც დიდი ხნის ისტორია აქვს. ასე მაგალითად, XX ს-ის 20-იან წლებში, სოფ. კარდენახში მეურნეების მოთხოვნით, მთავრობის მიერ დაარსდა სამეურნეო სასწავლებელი: „სოფ. კარდენახის მცხოვრებლებმა (კახეთში) აღძრეს შუამდგომლობა მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა სახელმწიფო ნაციონალურ მამულში „კარდანახ"-ში (შერემეტევისეული) გაიხსნას მეურნეობის პრაქტიკული სასწავლებელი. სამინისტრო შუამდგომლობას დიდი თანაგრძნობით მოეკიდა. საერთო კრება ფინანსდება სხვადასხვა კოოპერატივებისა და ამხანაგობების მიერ, რომლებსაც ის თავის მხრივ იყენებს საგანმანათლებლო თუ სხვა, ზემოაღნიშნული მიზნებისათვის . . . . შთამბეჭდავია საერთო კრების წევრთა რაოდენობა, რომელიც 4 200 მევენახე-მეღვინეს შეადგენს (ალავერდაშვილი, 2015, 123-124).

ცნობილია, რომ საქართველოში XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მიმართულებით, არსდება უმაღლესი სასწავლებლები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ქართული სოფლის პროფესიული კადრებით მომარაგებაში და სამეურნეო საქმიანობის განვითარებაში. XXI საუკუნის დასაწყისიდან კი (განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმების შედეგადაც), აგროსექტორში პროფესიული კადრების მწვავე დეფიციტი შეინიშნება. სოფელს დღეს აგრონომები, ვეტერინარები აღარ ჰყავს, ვისგანაც კონსულტაციის მიღება შეეძლებათ (ვგულისხმობთ მცირემიწიან და საშუალო ფერმერებს, მსხვილ მეურნეობებს თავიანთი სპეციალისტები ჰყავთ).

დღეისათვის ამ დეფიციტის შევსებას ემსახურება კახეთის რეგიონში მოქმედი ორი პროფესიული სასწავლებელი. თელავის პროფესიულ კოლეჯს, სხვა სპეციალობებთან ერთად აქვს ვეტერინარიისა და მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლო პროგრამები, ხოლო კაჭრეთის პროფესული კოლეჯის

საქმიანობა აგროსექტორის მიმართულებით უფრო მრავალდარგოვანია, აგრეთვე ის ფლობს ფილიალებს ახმეტის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. ორივე კოლეჯს სახელმწიფო აფინანსებს.

თელავის პროფესიულ კოლეჯში მოპოვებული მასალის მიხედვით: „*სტუდენტი, რომელიც მოდის კოლეჯში, პირველ რიგში კითხულობს, რომელი პროფესიაა უფრო დასაქმებადი. ამ მხრივ მზარეულის პროფესია ლიდერობს. მენეჯერის სპეციალობით ვერასოდეს ვერ ვასაქმებთ, იმიტომ რომ ოფისში ვინმეს ოფისმენეჯერად აყვანა ხდება სანდოობის პრინციპით, ურჩევნიათ ახლობლები აიყვანონ. ვერ ვასაქმებთ ბუღალტერს. ჩვენი კურსამთავრებული ბუღალტერი არის მესამე საფეხურის, ამიტომ პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულს ბუღალტრად არავინ* იღებს“ (ბურდული, თელავი, 2016).

თელავის კოლეჯში ვეტერინარიის პროგრამაზე სტუდენტების სიმცირეს უჩივიან, პრობლემა აქვთ მეღვინეობის მიმართულებაზეც, რადგან მეღვინის სპეციალობის კოლეჯის სტუდენტებს ღვინის საწარმოები პრაქტიკაზე არ ღებულობენ, გარკვეული მიზეზების გამო, პრაქტიკის გარეშე კი, როგორც თავადაც აღნიშნავენ, კარგი სპეციალისტის მომზადება შეუძლებელია: „*გვაქვს სპეციალობა მეღვინეობის მიმართულებით, მაგრამ ჩვენს სტუდენტებს დიდი საწარმოები პრაქტიკაზეც არ იღებენ. მაგალითად, ბადაგონის კომპანიას ძალიან ვთხოვე, რომ შეეშვათ პრაქტიკაზე სტუდენტები, ჩვენი დამსაქმებლები ყოფილიყვნენ, უარი გვითხრეს: ჩვენ აქ ხუთიათასდოლარიანი ფილტრები და დანადგარები გვაქვს, რომ დააზიანონ პასუხს ვინ აგებსო. ჩვენთან 30%-ია თეორია, დანარჩენი პრაქტიკაა, ამიტომ რთულ დღეში ვართ, უფრო პატარა საწარმოებში გვიშვებენ, ნაცნობ-მეგობრობის ხათრით*“ (ბურდული, თელავი, 2016).

როგორც ჩანს, კოლეჯის კურსდამთავრებულის პროფესიული დონე მაღალი რომ იყოს, თავად კოლეჯს უნდა ჰქონდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი შესაბამისი კაბინეტ-ლაბორატორიები, თუ მინი – საწარმოები. საბედნიეროდ ამ მხრივ კახეთის რეგიონში, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში არის საქართველოში ერთერთი საუკეთესო პროფესიული კოლეჯი „აისი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „აისს“, ფილიალები აქვს დედოფლისწყაროში (100 სტუდენტი), ალვანში (80 სტუდენტი) და ლაგოდეხში, რომლის რეაბილიტაცია ეხლა მიმდინარეობს (2016 წ. – მ.ბ.).

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯი სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებს ამზადებს. უნდა აღინიშნოს, რომ რასაც თეორიულად ასწავლიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ევროდონეზე მოწყობილ ლაბორატორიებში, სამზარეულოში, ფერმებსა და ღვინის მარნებში გაეცნონ. კოლეჯს აქვს აგრეთვე თავისი ვენახი, საფუტკრე, საქონლისა და მეფრინველეობის ფერმა, რძისა და ხილ-ბოსტნეულის გადამუშავების მინი საწარმო. აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან გამოჩნდა, კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის

წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის დირექტორს, ქალბატონ ნათელა მაზანიშვილს, რომელიც კოლეჯს 2017 წლამდე ხელმძღვანელობდა.

კოლეჯის დირექტორისაგან ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით აღნიშნული სასწავლებელი ძველი დროიდანვე (იგი ფუნქციონირებდა საბჭოთა წყობილების დროსაც) ახდენდა არა მარტო კადრების მომზადებას, არამედ მათ გადამზადებასაც: *„თუ დინამიურად არ ვითარდები, თუ წინ არ უსწრებ ცხოვრების მოთხოვნებს ჩათვალე, რომ კვდება დარგიც და პიროვნებაც. ჩვენ, მაგალითად, სრულიად ვაკმაყოფილებთ კახეთის მოთხოვნილებას პროფესიულ კადრებზე. 1100 სტუდენტზე გვაქვს ქვოტა. ახლა უნდა გავიაროთ ხელახალი აკრედიტაცია, ავტორიზაცია. 23 სხვადასხვა პროფესიულ პროგრამაზე გვყავს 45 ჯგუფი. აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, რომ თითოეული სპეციალობისთვის ჯერ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩამოვაყალიბოთ, მოვიწვიოთ შესაბამისი დარგის მასწავლებელი, და შემდეგ ავამოქმედოთ პროგრამა. სახელმწიფო ყველანაირად ხელს გვიწყობს, გვაფინანსებს, მილიონონახევარიანი ბიუჯეტი გვაქვს“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

აღინიშნა, რომ დაინტერესება პროფესიული განათლების მიმართ ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით იმ პროგრამებზე, რომელსაც დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს. მზარეულების პროგრამის კურსდამთავრებული თითქმის ყველა საქმდება, ამიტომაც როგორც თელავში, ისე კაჭრეთის კოლეჯშიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დარგი მზარეულის პროფესიული პროგრამაა: *„პრაქტიკული ჭკუის ახალგაზრდები მოდიან, 60 პროცენტს ვასაქმებთ. ჩვენ გვაქვს აღრიცხვა, დასაქმებული, დაუსაქმებელი კადრის და თუკი ვინმე მსურველი იქნება, ვაძლევთ რეკომენდაციას და ვაგზავნით სამუშაოდ. აღრიცხული გვყავს ყველა ჩვენი კურსდამთავრებული, გვაქვს ტელეფონები. როდესაც ამთავრებენ და პრაქტიკაზე ვუშვებთ, ერთთვიანი პრაქტიკები გვაქვს. აი, მაშინ უკვე მოლაპარაკება მიმდინარეობს საწარმოს ხელმძღვანელობასთან, ხომ არ სჭირდებათ ახალი კადრი, რომ დაიტოვონ სამსახურში“.*

კოლეჯში მზარეულები სწავლობენ როგორც ევროპული, ისე ქართული ტრადიციული კერძების მომზადებას, მაგრამ ქართულ კერძების მომზადებას უფრო მეტი ყურადღებას აქცევენ, რადგან მათი კურსდამთავრებულების დასაქმება ძირითადად საქართველოში, ქართულ რესტორნებში ხდება. მოკლე ხანში გეგმავენ მზარეულის პროგრამის მეოთხე საფეხურის ამოქმედებას, შესაბამისად სწავლების ხანგრძლივობაც და მომზადებული მზარეულის დონეც გაიზრდება.

ამ ამბიციის დასაკმაყოფილებლად კოლეჯს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ყველა რესურსი. პრაქტიკული საქმიანობისათვის აქვთ მაღალ ტექნოლოგიურ დონეზე მოწყობილი სამზარეულო, რომელიც ემსახურება სასწავლებლის მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც. სამზარეულოში მორიგეობენ სტუდენტები, რომლებიც ამ-

ზადებენ კერძებს როგორც ჩვეულებრივი, ისე განსაკუთრებული (საჩვენებელი) მენიუთიც.

დამსაქმებელთან კაპიტალისტური ურთიერთობების პრინციპზე აქვთ დაყენებული ურთიერთობა. *„აუცილებლად უნდა ჩაახედო შენს საქმიანობაში. აუხსნა, რომ გყავს კონკურენტუნარიანი სტუდენტები, ამდაგვარად უნდა აააგო ურთიერთობები მეწარმეებთან“* – გვიხსნის კოლეჯის ხელმძღვანელი.

კოლეჯის ხელმძღვანელობა ზრუნავს პედაგოგიურ კოლექტივის პროფესიული დონის ამაღლებაზეც, მათ სისტემატურად უტარდებათ მასტერკლასები, რომელსაც შესაბამისი დარგის გამორჩეული კადრები ატარებენ. როგორც გადმოგვცემენ, კოლეჯის საქმიანობაში დიდი როლი შეასრულა გაეროს პროგრამებმა. პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: პროფესორები, აკადემიკოსები ღებულობდნენ მონაწილეობას. „მათთან ურთიერთობა ძალიან გამოგვადგა. სწავლება მიმდინარეობდა შემდეგნაირად, მაგალითად ვეტერინარიაში გაიარა თემა, მასტერკლასებს ვატარებინებთ იმ თემის ირგვლივ, რომ სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი პედაგოგის გარდა, სხვისგანაც მოისმინოს ლექცია, დასვას კითხვები და ა.შ. უამრავი კუთხით ვმუშაობთ“. აღსანიშნავია, რომ გაეროს პროგრამით დაგეგმილი მასტერკლასების შესახებ კახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ვრცელდებოდა ინფორმაცია. მუშაობდა ვებგვერდი, ყველა მსურველს შეეძლო მისვლა და ლექციების მოსმენა.

კოლეჯში მოქმედი 23 სპეციალობიდან ჩვენ განსაკუთრებით დავინტერესდით სოფლის მეურნეობის მიმართულებით მოქმედი პროფესიული პროგრამების თეორიული და პრაქტიკული სწავლებით.

ასე მაგალითად, მეცხოველეობის მიმართულებით კოლეჯი ამზადებს მე-3; მე-4 და მე-5 საფეხურის ვეტერინარებს. მეხუთე საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს ვეტერინარად, და ამავე დროს, გააგრძელოს სწავლა უმაღლესში მეორე კურსიდან. პრაქტიკული სწავლებისათვის კოლეჯში აქვთ ბაზა – ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი მეცხოველეობის ფერმა (გაეროს პროგრამით აშენებული), სამთაბარო ადგილი (საძოვრები). ჰყავთ საკუთარი საქონელი, – ცხვარი, ღორი, ქათამი, ცხენი, ვირი, 32 ძროხა. უვლიან სხვადასხვა სახის ფრინველს, მათ შორის დეკორატიულსაც. ცხოველთა და ფრინველთა მოვლას პრაქტიკულად სწავლობენ, – კვებავენ, უტარებენ აცრებს, და სხვ. *„ყველს ვაწარმოებთ და სტუდენტებსა და კოლეჯის პერსონალზე იაფად ვყიდით, ამონაგები ფულით ისევ საქონლის საკვებს ვყიდულობთ“.* ფიქრობენ რძის პროდუქტების გადამამუშავებელი სრული ციკლის მქონე მინი – საწარმოს შექმნას.

საქონლის მოსავლელად მწყემსი ჰვყავთ დაქირავებული, მაგრამ სტუდენტებიც სასწავლო პრაქტიკის ფარგლებში ეხმარებიან მწყემსებს. სტუდენ-

ტები ამ დარგისადმი ინტერესს იჩენენ, განსაკუთრებით კი ქვემო ქართლის რაიონებიდან ჩამოსულები, – ქართველებიც, აზერბაიჯანელებიც.

2009 წლიდან კოლეჯს აქვს გაეროს პროგრამით დაფინანსებული ხილ-ბოსტეულის გადასამუშავებელი საკონსერვო მინი–საწარმო, სადაც კოლეჯის კუთვნილ მიწაზე მოწეული პროდუქცია მუშავდება, თუმცა, როგორც გადმოგვცეს, ფერმერების შეტანილ ხილსა და ბოსტნეულსაც ამუშავებენ.

აღნიშნული მინი–საწარმო აღჭურვილია უახლესი დანადგარებით, სტუდენტები თეორიული კურსის გავლის შემდეგ პრაქტიკულად ეუფლებიან ხილისაგან და ბოსტნეულისაგან მზა პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას. ჰყავთ ლაბორანტი, მთავარი ტექნოლოგი. *„გადავამუშავებთ ყველაფერს, ეს ჩვენი დანადგარებია, ამჟამად მსხლის მურაბას გადავამუშავებთ. პატარა პანტა მსხლებია. აქ ყველა ხილს დამუშავების თავისი ტექნოლოგია აქვს. რომ შემოდის ხილი, ვარჩევთ, რა გამოვა მისგან უკეთესი, რას მოგვცემს, იმის მიხედვით – ვამზადებთ. ამჟამად პამიდორს ვამუშავებთ. ეს გამხეხია, ძალიან კარგად აცალკევებს ერთმანეთისგან თესლს, კანს. ვიღებთ სუფთა მასას, რომელსაც არ მიყვება თესლი და კანი. რამოდენიმე ბადეში ვატარებთ, დიამეტრი ბადის განსხვავებულია, იმის მიხედვით – რას ვაკეთებთ. ეს არის გამრეცხი, აქედან შედის წყალი, ირეცხება, შემდეგ გადადის აქ, რომელიც აქუცმაცებს და კურკასაც აცლის. თუ არ გვჭირდება დაქუცმაცება, მოვხსნით და გადავაერთებთ პირდაპირ გამხეხ აპარატთან. შემდეგ ვაკუუმაპარატში მიმდინარეობს ხარშვა, დაბალი წნევის აპარატში და შენარჩუნდება ნედლეულის სასარგებლო თვისებები“ – გვიხსნის კოლეჯის მთავარი ტექნოლოგი.*

როგორც გადმოგვცეს, ზამთრის სეზონისათვის ინახავენ ნახევარფაბრიკატებს, რომ ზამთრის განმავლობაშიც ჰქონდეთ სტუდენტებთან სამუშაო მასალა. საწარმოში ყველა ტექნოლოგიური რეჟიმი ზუსტად არის დაცული. ნედლეულის დროებითი შენახვისთვის მაცივარი აქვთ. სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს თავისუფლად შეეძლება მუშაობა შესაბამის საწარმოში.

კოლეჯს აქვს მეხუთე საფეხურის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულება, რამდენიმე ადგილზე აქვთ სხადასხვა ჯიშის ვაზით გაშენებული ვენახები. სიამაყით აღნიშნავენ, რომ მათ კოლეჯს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის სწავლებისათვის ყველაზე საუკეთესო ბაზა აქვს.

კოლეჯის ღვინის ლაბორატორია მცირე ზომისაა, მაგრამ ყველა საჭირო ხელსაწყოთია აღჭურვილი, სადაც ნებისმიერი ანალიზის გაკეთებაა შესაძლებელი: *„ეს არის ღვინის ლაბორატორია, სადაც ხდება ჩვენს საწარმოში წარმოებული ღვინოების ანალიზები. დაყენებული ღვინო შემოგვაქვს აქ და ვაკეთებთ ანალიზებს. 20 სახეობის ანალიზი კეთდება ამჟამად ამ ლაბორატორიაში. გვაქვს ყველანაირი დანადგარები. პირადად მე ვარ ამ ლაბორატორიის ლაბორანტი, ჯერ ჩემს მიერ ხდება ანალიზების გაკეთება, ქიმიკოსი ვარ და გავლილი მაქვს ტრენინგები, ღვინის ლაბორატორიაში*

კეთდება მჟავიანობის განსაზღვრა, ტიტრული მჟავიანობა და ბევრი სხვა დასახელების ანალიზი. გვერდით არის კაბინეტი, სადაც თეორიული სწავლება მიმდინარეობს მეღვინეების, და შემდეგ, როდესაც თეორიული სწავლება მორჩება და აქვთ პრაქტიკული მეცადინეობა, შემოდიან სტუდენტები და თვითონ ვაკეთებთ ანალიზებს, რაც საჭიროა. ეზოში გვაქვს საკუთარი რქაწითელის ჯიშის ვაზით გაშენებული ვენახი, მისგან დანმზადებულ ღვინოსაც რქაწითელი ჰქვია. ღვინოს ევროპული ტექნოლოგიითაც ვაყენებთ და კახური ტრადიციული მეთოდითაც. როდესაც ანალიზების გაკეთება აწერია ბოთლს, ღვინო ქვევრისაა თუ ევროპულად დაყენებული, ანალიზები აუცილებლად განსხვავებულ შედეგს იძლევა. აქ ჩვენთან საუკეთესო ღვინოები დგება, ზოგს ქვევრის მოსწონს, ზოგს ევროპული. ჩვენ უკეთესზე უკეთესი ღვინოები გვაქვს (ბურდული, გურჯაანი, 2016).

შემდეგი ობიექტია ევროპული ღვინის სახლი, – ეს არის მიკრო საწარმო, დიდი ქარხნის პატარა მაკეტი, ანალოგიური დანადგარებით, განსხვავება ის არის, რომ არის პატარა ზომის და სასწავლო, სადაც სტუდენტები ეუფლებიან ცოდნას. საწარმოში არის კლერტგამცლელი მანქანა, რომელიც აუცილებელია ევროპული ღვინის დასამზადებლად. *„როდესაც ვამზადებთ ჩვენებურ ღვინოს, მას კლერტის გაცლა არ სჭირდება, იმიტომ რომ შიგ უნდა იყოს ტანინები, სხვადასხვა ეთერზეთები. მაგრამ ევროპულ ღვინოს უნდა გამოეცალოს კლერტი. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ საწარმოებში გადიან ერთთვიან პრაქტიკას, მას ჰქვია საწარმოო პრაქტიკა და იქ რჩებიან, იღრმავებენ ცოდნას და საქმდებიან კიდეც“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

აქვთ აგრეთვე ტრადიციული მარანი ქვევრებით და საწნახლით, სადაც ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს ასწავლიან სტუდენტებს: *„აქ მზადდება კახური, ტრადიციული ქვევრის ღვინო. რომელიც დაყენებულია დურდოზე, თავის კლერტზე უნდა გაჩერდეს გარკვეული პერიოდი. ამ ღვინოს ტანინი მეტი აქვს. აქ ალბათ თვეზე მეტს აჩერებენ ღვინოს. საწნახელში ყურძენს ფეხით წურავენ, ჩექმები აცვიათ, წვენი საწნახლის ღარიდან პირდაპირ ქვევრში ჩადის “.*

კოლეჯი საწარმოებში დამზადებულ ღვინოს ბოთლებში ასხავს, მათი ღვინოებია – „კაჭრეთი“ და „რქაწითელი“.

კოლეჯში ერთ-ერთი მოთხოვნადი დარგი ბოლო დროს გახდა მეფუტკრეობა, რადგანაც, როგორც გადმოგვცეს, „თვითდასაქმებადი დარგია“. ახალგაზრდებსაც აინტერესებთ და ხანდაზმული სტუდენტებიც ჰყავთ. სწავლობენ, მიდიან, ყიდულობენ ფუტკრებს და ძალიან ბევრი წარმატებული მეფუტკრე ხდება. *„თბილისიდან იყო ერთი ქალბატონი, 65 წლის, ისწავლა მეფუტკრეობა, ჩამოვიდა სოფელში, სახლი იყიდა და ფუტკარი მოაშენა. 25-30 ძირი ფუტკარი ყავს უკვე“.*

კოლეჯში მეფუტკრეობის პროგრამას უძღვება გამოცდილი მეფუტკრე, რომელიც უკვე 20 წელია მეფუტკრეობას მისდევს, ეხმარება დამწყებ მეფუტ-

კრეებს. დაახლოებით 1300 ფუტკრის ოჯახს უვლის ქართლსა და კახეთში. *„მეფუტკრეობასთან დაკავშირებით მოდულურ სწავლებაზე ვართ გადასული, სულ 16 მოდულია, აქედან 9 სავალდებულო, პროგრამა ფიჭის ბეჭდვის ტექნოლოგიებზე მუშაობასაც ითვალისწინებს“, „ეს სკები საჩვენებელია, როგორ უნდა მივიდეს სკასთან, როგორ ახადონ, როგორ იმუშაონ იმას ვასწავლით“.* აქვთ ყველა საჭირო ინვენტარი ფუტკრის მოსავლელად და თაფლის ამოსაღებად.

კაჭრეთის კოლეჯს, მთიან ადგილზე, ტყის პირას გადასცეს საკუთრებაში დამატებით 25 ჰექტარი მიწა, სადაც ფიქრობენ შექმნან აგრარული ტურიზმის კერა, – ფიქრობენ ხის კოტეჯების აშენებას. დღეისათვის მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი, ლობიო. ეს მოსავალი კოლეჯის სასადილოში შეაქვთ ნახევარფასებში სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის.

ერთ ნაკვეთზე უეკლო მაყვალიც აქვთ გაშენებული. ამ მიმართულებით კოლეჯში მთელი 5 წელი გაეროს პროგრამით ფერმერებისთვის ტრენინგები ტარდებოდა. აქ მიღებული ცოდნის გამოყენებით ბევრმა მიაღწია წარმატებას, გამოიყენა პრაქტიკულ საქმიანობაში.

ერთ ასეთ წარმატებულ ქალ ფერმერს, რომელსაც ტრენინგები ჰქონდა გავლილი კაჭრეთის კოლეჯში, გურჯაანში ეთნოგრაფიული მუშაობისას, შევხვდით, გავეცანით მის საქმიანობას. მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ ასეთ ტრენინგებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ფერმერისთვის: *„ბევრი სიახლე გავიგე, წამყვანი სპეციალისტები გვიკითხავდნენ ლექციებს ყველა დარგში. 2008 წლიდან დაიწყო ეს ტრენინგები. გავიგე გრანტების არსებობის შესახებ და ვისწავლე როგორ დამეწერა პროექტი. ჩემმა პროექტმა 134 პროექტში გაიმარჯვა და დავფინანსდი. ეს იყო მილენიუმის პროგრამა, სიღარიბის დაძლევის პროგრამა, 31 ათას 700 დოლარით დავფინანსდი. მოვცეს ტრაქტორი, რა ტექნიკაც გვჭირდებოდა სოფლის მეურნეობაში. გავაკეთეთ სანერგე, აბმის ახალი ჯიშები საგურამოდან შემოვიტანეთ და უკმაყოფილონი ნამდვილად არ ვიყავით. მერეც სისტემატიურად დავდიოდი ტრენინგებზე, რაც მაინტერესებდა ვიგებდი“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულები, მაგ; ვეტერინარები, მუშაობენ აგრეთვე კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მეცხოველეობის ფერმებში.

კოლეჯი აწყობს საშემოდგომო გამოფენა-ბაზრობებს, სადაც იყიდება მათ ნაკვეთებში მოწეული და საწარმოებში შექმნილი პროდუქცია: ღვინო, თაფლი, ჩურჩხელა, საკონსერვო ნაწარმი და ა.შ. სტუმრებს შეუძლიათ გამოფენილი ნაწარმის დაგემოვნებაც.

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალიდან გამოჩნდა, კახეთში არსებული პროფესიული კოლეჯები დიდ ყურადღებას უთმობენ სოფლის მეურნეობის დარგისათვის პროფესიული კადრების მომზადებას. ბოლო დროს მოსახლეობაშიც გაიზარდა ინტერესი სოფლის მეურნეობის მიმართულებით სხვადასხვა პროფესიის დაუფლებისა, რაც სტუდენტთა რაოდე-

ნობის გაზრდაში გამოიხატა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რამაც შედეგი უნდა მოიტანოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კვალიფიციური კადრების არსებობა და მათი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაა.

ჩვენ ასე დაწვრილებით იმიტომ ავღწერეთ კოლეჯში სწავლების პროცესები, რომ გვეჩვენებინა, დაინტერესებულ, უნარიან და ინიციატივიან ახალგაზრდას და არა მარტო ახალგაზრდას, შეუძლია სოფლის მეურნეობის მისთვის საინტერესო დარგის შესახებ მიიღოს სრულყოფილი ცოდნა, აიმაღლოს კვალიფიკაცია და გაიუმჯობესოს ცხოვრება, ეს კი თავის მხრივ გააუმჯობესებს ქართული სოფლის სოციალურ ყოფას.

თავი IX.

მევენახეობა

§ 1. ვაზის კულტურა კახეთში

მევენახეობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი ნაყოფიერი და წესიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნა არის საჭირო. მეცნიერ-მკვლევარები საქართველოში მევენახეობის არსებობას უძველესი დროიდან განიხილავენ. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, მთელ საქართველოში ვაზი ველურად იზრდება. მისი ზრდისათვის საუკეთესო ნიადაგი შავიზღვისპირეთსა და კახეთშია (ჯავახიშვილი, 1986, 308). აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მთად და ბარად გაყოფა სწორედ ვენახის გავრცელების არეალზე იყო დამოკიდებული: სადამდისაც ვაზის მოყვანა იყო შესაძლებელი იქამდე ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საიდგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზიდან მოყოლებული უკვე მთა იყო (ჯავახიშვილი, 1986, 303).

ეთნოგრაფი ა. ლეკიაშვილი საქართველოსა და ვაზის შესახებ შემდეგს წერს: „სწორედ რომ სავენახედ იყო დალოცვილი ეს ქვეყანა. რა უხვად ხარობდა აქ ველური ყურძენი..... ამ პატარა ქვეყნის ვენახები ყურძნის ჯიშების არნახული სიმრავლით გამოირჩეოდა, ხოლო ღვინოები უბადლო ღირსებით“ (ლეკიაშვილი, 1972,6); გასული საუკუნის თუ თანამედროვე მკვლევარები მევენახეობის თავდაპირველ სამშობლოდ „სამხრეთ კავკასიას, საქართველოს ასახელებენ. აქ არარატის მთის სანახებში, გადმოვიდა თუ არა კიდობნიდან, „იწყო ნოე კაცმან საქმედ ქვეყნისა, და დაასხა ვენახი და სვა ღვინისაგან და დაითრო“, გვაუწყებს ბიბლია, „შესაქმეთა წიგნი“ (ლეკიაშვილი, 1976, 7).

საქართველოსთვის მევენახეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს სამყაროს შექმნის ქართლური ვარიანტი: „რად გვინდა ამდენი წყალიო, თქვა ღმერთმა და ზღვები ალაგ-ალაგ დააშრო, ხმელეთი გამოაჩინა. მერე ქარი ამოუშვა და მიწა სულ გამოახმო. ახლა ვენახი უნდა გავაჩინოო, გაიფიქრა, გაფიქრება და ვენახის გაჩენაც ერთი იყო. ერთ დღეს გავიდა ვენახში და რას ხედავს, ვაზები ტირიან, სულ ცრემლებად იღვრებიან, ესენი იმიტომ ტირიან პატრონი არ ჰყავთო, თქვა ღმერთმა. ადგა, ვაზის ცრემლები პეშვით შეაგროვა, დაასხა მიწას, მოზილა, გამოძერწა კაცი, ჩაჰბერა სული და გაუჩინა ვაზს პატრონი“ (შამანიძე, 1973, 30).

ეთნოგრაფ ნ. ბრეგაძის მიხედვით სიცოცხლის ხის, ანუ ალვის ხის სიუხვის ხედ წარმოდგენას ხელს უნდა უწყობდეს ხის ტანზე შემოხვეული და

უხვმოსავლიანი, სასარგებლო და საამო ნაყოფის მომცემი, მხვიარა ვაზი (ბრეგაძე, 2005,118).

„წმინდა მცენარედ ვაზის აღიარებამ მას მიაწერა ჯადოსნური და ღვთიური ძალა სიმართლისადმი მსახურებისა. ჭეშმარიტების გამოვლენისა. ზღაპრებში მისი ხმელი რქა, ლერწი//წნელი მართალი კაცის ხელში ნედლდება, ფოთოლს გამოიღებს, აყვავდება, დაისხამს და დამწიფდება“ (ბრეგაძე, 2005, 119).

საქართველოში იცოდნენ ახალ წელს ვაზის რქით მილოცვა/მიკვლევა (ქსე, V).

ეთნოლოგი ლ. ფრუიძე საქართველოში ვაზისა და ღვინის კულტურის შესახებ წერს: „ამიერკავკასიის ქვეყნებიდან ღვინის რაოდენობითა და ხარისხით, ყველა ეპოქაში, პირველობა საქართველოს უნდა მიენიჭოს. აქედან გამომდინარე, უნდა ვირწმუნოთ, რომ შუამდინარეთი და სხვა ქვეყნებიც, ძირითადად ქართული ღვინით მარაგდებოდა“ (ფრუიძე, 2014, 20). მკვლევარი აღნიშნავს, რომ: „კვლევა-ძიების თანამედროვე ეტაპზე ნათელია, რომ მცირე აზიაში ვაზის კულტურა მესხების მიერ უნდა იყოს შეტანილი. მესხები, ე.ი. ქართველები ერთადერთი ცოცხალი, მოქმედი ხალხია, რომელიც დასაბამიდან დღემდე მეურნეობის ამ დარგს ავითარებდა და ბედის ტრიალის გამო, სადაც კი ცხოვრება მოუხდებოდათ, თავშესაფრის მოწყობასთან ერთად, საარსებო საშუალებად პირველად ვაზს რგავდა“ (ფრუიძე, 2014, 21).

ჩვენს მიწა-წყალზე განვითარებული მევენახეობისა და მეღვინეობის არსებობა არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში (XIII–VI სს. ძვ. წ.) დასტურდება. ამ დროიდან ჩნდება ბრინჯაოს, შემდეგ კი რკინის ნამგლისებური დანები, განკუთვნილი მევენახეობისათვის (ბ. კუფტინი, ა. აფაქიძე). ეს იარაღები სწორედ კახეთშია აღმოჩენილი (ლ. სუმბაძე, 1972, 126).

ეთნოლოგი ა. ლეკიაშვილი წერდა: კახეთში მევენახეობის სიძველეზე მეტყველებს არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არტეფაქტები, რომლებიც ვენახის მოსავლელ სამეურნეო იარაღებადაა მიჩნეული, კერძოდ, კახეთში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მოღუნული ბრინჯაოს დანები, რომელთა ხნოვანება დაახლოებით სამიათასი წელია, თავისი დანიშნულებით ანალოგიურია, ბოლო დრომდე კახეთში ვაზის სასხლავად გამოყენებული რკინის დანებისა (ლეკიაშვილი, 1976, 11).

„ვაზი ხომ ქართველთა ტოტემური მცენარეა, ხოლო ღვინო მისი მოძრავი და დაუდგრომელი სული. ქართველთათვის ვენახი წმიდათაწმიდა ნარგაობაა, მევენახე კი მიწათმოქმედების საოჯახო ქურუმი. მარანი მარტო სამეურნეო ნაგებობა როდია, არამედ საოჯახო-საკომლო ტაძარი, სადაც ლოცვა-კურთხევა და საჭიროების დროს ნათლობაც სრულდება. ქართულმა ცოცხალმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ ეს დამოკიდებულება ბოლო დრომდე შემოინახა“ (ფრუიძე, 2014, 100).

ქართველი კაცის ცხოვრებაში ვენახის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: სოფელში (აკურა მ.ბ.) „იყვნენ მევენახე კომლები, რომლებსაც არც საქონელი ჰყავდათ და არც კალო ჰქონდათ; მიუხედავად ამისა ისინი სარჩოს (პურს) კი არ ყიდულობდნენ, არამედ თავიანთ საყანე ადგილებს ქირით ამუშავებდნენ, რასაც ასრულებდნენ მესაქონლე კომლები, რომლებიც „ალოს ყიდდნენ“. იგივე კომლები თავიანთ კალოზე ულეწავდნენ პურს „ვენახით ოჯახიშვილებს“ იმ პირობით, რომ კალოიანებს ბზე რჩებოდათ“ (რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია, 1964, 39).

საქართველოში ყურძნის 500-ზე მეტი ჯიშია ცნობილი. ყველაზე ჯიშმრავალი კუთხე კახეთია. საქართველოს მევენახეობის ამ კლასიკურ მხარეში ოთხმოცამდე ჯიშია გამოყვანილი. მეოცე საუკუნის 70-იანი წლებისათვის ქართველი ეთნოგრაფების მიერ კახეთში სამოცდაათამდე ჯიშია დამოწმებული, მათ შორის მთავარია საფერავი, რქაწითელი, მწვანე, შავკაპიტო, ჯანაანურა ანუ ხიხვი, მცვივანი, შავყურძენი, ჟღია, თავკვერი, წობენური, ბუდეშური, თითა, კუმსი, ხარისთვალა, უწიპწო ყურძენი, საკმელის ყურძენი.... ეთნოლოგ ლ. ჭყონიას მიერ გასული საუკუნის 80-იან წლებში გარე კახეთში მწვანის ხუთი სახეობა აქვს დაფიქსირებული, „გარე-კახეთის მოსახლეობა მწვანე ვაზის ხუთ სახეობას არჩევს: 1. ჭორფლიანი მწვანე; 2. ყვითელი (მოყვითალო) მწვანე; 3. მანავის მწვანე; 4. ნაბადა მწვანე და 5. წობენური მწვანე. აღნიშნული სახეობებიდან ყველაზე მეტი წვნიანობითა და კარგი ხარისხის ღვინით გამოირჩევა მანავის მწვანე, რომელსაც მანავში საფენასაც უწოდებენ. საფიქრებელია, საფენა საფერავის, ანუ საფერეს მსგავსი ტერმინია. ეს ვარაუდი მით უფროა დასაჯერებელი, რომ მწვანის წვენსაც, როგორც საფერავს, უფრო მდარე ღირსების თეთრი ყურძნის ჯიშების წვენში განაზავებდნენ მათი თვისებების გასაუმჯობესებლად (ჭყონია, 1988, 106).

საფერავის შესახებაც შემდეგი მასალა დავაფიქსირეთ: „საფერავი ორნაირია: მრგვალმარცვალა და გრძელმარცვალა, განსხვავება მათ შორის წვენის გამოღებაშია, გრძელმარცვალა უფრო წვნიანია. მრგვალმარცვალა უფრო არომატზეა კონცენტრირებული, რაც უფრო ცოტა წვენი გამოდის მარცვლიდან, არომატი უფრო დიდი აქვს. მოსავლიანობით და ღვინის რაოდენობით მრგვალმარცვალას ყურძენი თუ 50%-ს გაძლევს წვენს, გრძელმარცვალამ შეიძლება მოგცეთ 60-70 პროცენტი. ერთმანეთში ურევენ რა თქმა უნდა. ვიზუალურად გამოირჩევა, მეღვინეები მრგვალმარცვალას ვირჩევთ, მეორეს ბუდეშურისებრი ჰქვია, მრგვალმარცვალას ქართულ საფერავს ეძახიან“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

თუკი ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მევენახეობის დარგში საქართველოს ანიჭებენ პირველობას, საქართველოს მასშტაბით მევენახეობის ცენტრი კახეთია. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება. ... კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშებად იქცა. ... ამ გარემოების

გათვალისწინებით, მაშინ, ... სრულიად საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი კახეთი ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1986, 610).

საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის მევენახეობა-მეღვინეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა „ძველი საქართველოს მეზობლებმაც და მეტოქეებმაც კარგად იცოდნენ და სწორედ ამიტომაცაა, რომ თემურ-ლენგმა მე-XIV ს-ის დამლევს და შემდეგ მე-XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასმა საქართველოს ეკონომიკურად დასაუძლურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს“ (ჩიტაია, 2001. 137).

აღსანიშნავია, რომ კახეთში „მამული“ გამოხატავდა ვენახს. „ვენახის მქონე „ზეითს გლეხებში“ ითვლებოდა და ბოგანოსაგან განსხვავებით მეტი შეუვალობით სარგებლობდა, როგორც ჩანს, სახელმწიფო ამ გარემოებას გარკვეულ ანგარიშს უწევდა“ (ჯალაბაძე, 1986, 223). საინტერესო მასალას გვაწვდის ი. ნანობაშვილი ქიზიყის ეთნოგრაფიული ყოფიდან, ძველად თურმე „როცა მამაკაცისათვის ქალი უნდა მოეყვანათ, ვაჟის მხრივ მრჩევლები ქალის მხარეს ეუბნებოდნენ: „კარგი ვაჟია, მამულიშვილია“-ო. მამულიშვილობაში უმთავრესად ვენახის ქონებას გულისხმობდნენ და ის კაცი შეძლებულად ითვლებოდა“ (ნანობაშვილი, 1960. 24). ვახტან VI სამართლის კანონთა კრებულში აღნიშნულია, რომ „ვენაჯის მქონეს გლეხს ბოგანო არა ჰქუიან, რაგინდ სხვა მამული ნაკლებად ჰქონდესო“ (დოლიძე, 1953, 508)
„კახელი გლეხის ცხოვრებაში ვენახს ფრიად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა; მევენახეობას გლეხისათვის, მემინდვრეობის თანაბარი სარგებლობა მოჰქონდა. გლეხი ვენახს თვალისჩინივით უვლიდა და უფრთხილდებოდა, კარგი ვენახის პატრონს თავი ესახელებოდა“ (ბოჭორიშვილი, 1956ა,10).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველ მეურნე გლეხს ბუნებრივია ვაზის მოვლასა და ღვინის დაყენებაში, საუკუნეთა მანძილზე გარკვეული, ჭკუასაკითხავი ცოდნა-გამოცდილება დაუგროვდა. „კახელმა მევენახემ ისიც კარგად იცოდა, თუ მისი სოფლის რომელი ადგილი რა ღირსების ღვინოს იძლეოდა; კარგი ღვინის მომცემი ვენახები, მეტ-ნაკლები სიკარგით ერთმანეთისაგან განსხვავებული, თითქმის ყველა სოფელში მოიპოვებოდა. ზოგი მათგანის, როგორც, მაგ; ახმეტის რ-ის სოფ. ბითაანის, ყვარლის რ-ის ქინძმარაულისა და სხვა მათი მსგავსი ადგილების სიკეთე კახეთის სხვა სოფლებისთვის კარგად იყო ცნობილი. ზოგიერთის სახელგანთქმულობა კი, როგორც ვიცით, შორეულ მხარეებამდეც იყო მისული“ (აქ მხედველობაში გვაქვს წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნისა და კარდენახის მამულები) (ლ. ბოჭორიშვილი, 1956ბ. 20).

სავენახე ადგილის სწორად შერჩევას ხარისხიანი ყურძნისა და საბოლოო პროდუქტის, კარგი ღვინის მისაღებად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეთნოგრაფიული მასალა (როგორც ძველი, ისე თანამედროვე) მოწმობს აღნიშნულ საკითხში ქართველი გლეხის დიდ გამოცდილებას. გ. ჩიტაია ქართველი მევენახის ცოდნის შესახებ წერდა: „კახელი მევენახე კარგად ერკვეოდა ნიადაგის თვისებებში, ის კარგად იცნობდა შავი მიწის, თიხა მი-

წის, ლამი მიწის, ქვიანი მიწის და სხვა სახის მიწების დამახასიათებელ თვისებებს. სავენახედ ყველა მათგანი გამოდგებოდა, თუკი ის „ღონიერი“ იქნებოდა და ნაყოფიერი (ჩიტაია, 2001, 139). კახეთში ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სავენახედ ადგილის შერჩევის ტრადიციული ცოდნა დღესაც არ არის დაკარგული და იგი თანამედროვე ცოდნითაც არის გამდიდრებული. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოდაშენის მევენახისაგან შემდეგი მასალა ჩავიწერეთ: *„ალავერდის მონასტრიდან სამ კილომეტრში არის სოფელ კოღოთი, სადაც იყო სოფელი ჯანაანი, შაჰ-აბასმა რომ გადაასახლა ხალხი სოფელი გაქრა, აღარ არის. ხიხვს მეორენაირად ჰქვია ჯანანური, და შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ მთელი ამ დაყოლების ნიადაგი, ხოდაშნიდან ჯანაანურა/კოღოთის ჩათვლით, ფორმირებულია აქედან წაღებული მიწით, აქ ჩამომავალი ხევების (დიდრი ხევი, ბერშევა, უძიროს ხევი) ჩამონაშალით. თუ იქ ჯანაანში/კოღოთში იყო გავრცელებული ხიხვი, (მან სახელი გაითქვა როგორც ჯანაანურმა), მე ვფიქრობ, რომ ჩემს ნაკვეთშიაც კარგი მოსავალი უნდა მომცეს, რადგგან მიწა ერთნაირია. მწვანე მაგალითად ძალიან კარგ შედეგს იძლევა, ახმეტის რაიონი მწვანესთვის არის საუკეთესო. თვთონ ჯანაანურზე და ხიხვზეც ასე ვფიქრობ, ქისი უფრო გაღმა მხარის არის, მაღრაანი არის სოფელი ჩვენთან, ქისს მეორენაირად ეძახიან მაღრაანულას“* (ბურდული, ახმეტა, 2015).

ითვლება, რომ სოფელ კარდენახის მიწები საუკეთესო ადგილია ხიხვისთვის და მცვივანისთვის, *„ზოგადად კარდენახში ორი მიკროზონაა: წარაფი და ახოები. ახოები ითვლება საუკეთესო ადგილად საფერავისა და ხიხვისთვის. ხიხვის სამშობლო ახოებია. წარაფი უფრო ფიცხი ადგილია ვიდრე ახოები, ნეშომპალა კარბონატული ნიადაგებია, შაქრიანობა ყურძენს უფრო მაღალი აქვს, ერთი კილომეტრითაა დაცილებული ერთიმეორისაგან წარაფი და ახოები და რთველი ერთი კვირით ადრე დგება წარაფში“* (ბურდული, გურჯაანი, 2016).

„ვენახები კახეთში ძველთაგან განლაგებულია ძირითადად ცივ-გომბორის მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ და მთავარი კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ სუსტად დაქანებულ ფერდობებზე. ძველად ვენახების დიდი ფართობები მთის კლდოვან ფერდობებზე იყო გავრცელებული. ალაზნის ველის ტერასებსა და ალაზნისპირა ვაკე ადგილებში ვენახები თითქმის არ ჰქონდათ“ (ბერიაშვილი, 1989, 123).

„ხომ საყოველთაოდ ცნობილია ის გარემოება, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში, სადაც ვაზის კულტურა აქვთ, ძვირფასი ყურძნის ჯიშები მთის ფერდობებზე მოჰყავთ და ეს ადგილებია საუკეთესოდ მიჩნეული მაღალხარისხოვანი ღვინოების მისაღებად“ (ბერიაშვილი, 1989, 123).

როგორც შიდა, ასევე გარე კახეთის მოსახლეობა ვაზის მოვლა გაშენების საკითხში, სავენახე ადგილის შერჩევასა და მასზე კლიმატის ზეგავლენის საქმეში კარგად ერკვეოდა. „მევენახეთა დაკვირვებები, ცოდნა-გამოცდილე-

ბანი თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მდიდრდებოდა და იხვეწებოდა; მათი ცოდნით ვენახის გაშენება ფერდობ ადგილებზე სჯობია, მზე მთელი დღე ზედ უყურებს, ყურძენი კარგად მწიფდება, ღვინოს შაქრიანობა მეტი აქვს და სიმაგრეც. ვაკე ადგილებში კი მიწა ნოყიერია, ვაზი კარგად იზრდება, კარგი მოსავალიც იცის, მაგრამ ღვინოს კი სიმაგრე და ფერი აკლია“ (ჭყონია, 1984, 275). ბოჭორიშვილის მიხედვითაც, ძველად ვენახების გავრცელების არეალი მთის ზოლშიც იჭრებოდა (ლ. ბოჭორიშვილი, 1956c, 201).

„ქართლ-კახეთის ვაკე-ველებზე ვაზი ნაკლებადაა. ვენახები უმთავრესად მთის კალთებზე გადაჭიმულა. აქაური ღვინოებიც განსაკუთრებული ღირსებით გამოირჩევა. კახეთი – მეღვინეობის კლასიკური მხარე – ცივ-გომბორის კალთებზე შეფენილ ვენახებს უნდა უმადლოდეს თავის საუკეთესო ღვინოებს“ (ლეკიაშვილი, 1976, 53).

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვითაც ძველად ვენახები ალაზანთან ახლოს არ ყოფილა: *„წინანდლის ვენახები ზემოთ არის, მიკროზონაა. ახლა რომელი ვენახიც ვიყიდე ალაზანთან არის. ალაზანთან მიკროზონა არასდროს არ ყოფილა და არც იქნება. ალაზანთან მიწას სავენახედ არ გამოიყენებდნენ, ეგ იყო სათუშო გზა, ალაზნის ჭალები, სადაც ცხვარს გადარეკავდნენ შირაქში, ზამთრის საძოვრებზე. იქ აზამთრებდნენ და ზაფხულში მოყავდათ თუშეთში. ეს გზა აქვს ცხვარს დღესაც. მანდ ვენახების გაშენება დაიწყეს კომუნისტებმა. ვენახები ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰქონდა ზემოთ სოფლის თავში, მუხიანს ეძახიან. სოფელი ზემოთ იყო გაშენებული, ტრასაზე მოგვიანებით ჩამოვიდნენ, როდესაც რკინიგზა გააკეთეს კახეთში, აი მაშინ ჩამოსახლდნენ ქვემოთ“* (ბურდული, თელავი, 2016).

თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, სოფელ აკურის მაგალითზე ეთნოლოგი ა. ლეკიაშვილი წერდა: აკურელები მამულის გასაშენებლად სავენახის შერჩევის დროს ვაკე ადგილს ამჯობინებენ. ასეთ ადგილზე „წვიმის წყალი ადგილობრივად დგება, დაქანებული ფერდა კი წყალს არ აყენებს, ირეცხება, ჯანი ეცლება“. ვაკეზე გაშენებულ ვენახს „მზე ვერ დასწვავს, ფერდობზე კი გვალვა ბრიყვობს“ (რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია,. 1964. 147). ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალბათ, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მევენახეობა სოფელ აკურაში ძირითადი სამეურნეო დარგი არ იყო და ის XX საუკუნეში, კერძოდ კი კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ გახდა წამყვანი მიმართულება. თავად სოფელიც უფრო ზემოთ მდებარეობდა და შემდეგ ჩამოვიდა დაბლა.

ილია ჭავჭავაძე ქართველი მევენახე გლეხის გამოცდილებაზე სავენახედ ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით წერდა, „.....ჩვენს ვენახებს უკეთესი ადგილები უჭირავთ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ საცა დღეს ვენახებია, იმ ადგილებიდან კარგი ღვინო გამოდის და ვენახების დიდი ხნის წარსულიც გვიმოწმებს ამას. ... რომ ადგილის ამორჩევა ვენახებისათვის ვიცით და არც შესაძლოა არ გვცოდნოდა, იმიტომ რომ ვენახის კეთება

ჩვენში გუშინდელი საქმე არ არის და კარგის არჩევანისათვის რამდენიმე საუკუნის გამოცდილება ხელთა გვაქვს. ... არც ერთი ვენახის პატრონი გლეხი არ არის ჩვენში, რომ ამ საგანზედ ჭკვად მისაღები დარიგება და რჩევა არ მოგცეთ. ამ მხრივ ჩვენებური გლეხი ევროპიელ მეცნიერსაც კი აჯობებს, იმიტომ, რომ მიწათმოქმედებაში საერთოდ და ვენახობის საქმეში ცალკე გამოცდილება დიდი რამ არის, და ჩვენებური გლეხი ევროპიელს მეცნიერზედ გამოცდილებით მეტისმეტად წინ იქნება, იმიტომ რომ ადგილის კაცია“ (ჭავჭავაძე, 1956, 78).

ქართველი მეურნის გამოცდილებაზე ილია არა მარტო პუბლიცისტიკაში, არამედ მხატვრულ ულაშიც ხაზგასმით მიუთითებს. „ოთარაანთ ქვრივში“ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესოა ეპიზოდი, როდესაც გიორგი არჩილს უხსნის სავენახე ადგილის შერჩევის, ვენახის გაშენების და მორწყვის ტრადიციებს. ამ საუბრიდან გამომდინარე მწერალი გვასწავლის, რომ „ქვეყნად ბევრი რამ არის ისეთი, რაც წიგნებში არ ასახულა და უნდა ვიცოდეთ, რომ „ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია. ყოველი გონიერი კაცი, თუნდაც უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისთვისაც კი ოსტატია“ (მიმინოშვილი, 2009, 257).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ვაზის მრავალი (500) ჯიში იყო გავრცელებული, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ჯიშს „ერთნაირი ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, და დღესაც არა აქვს, სოფლის ეკონომიკურ განვითარებაში. რაც უფრო დიდ მანძილზე და ფართოდ იყო და არის ესა თუ ის ჯიში გავრცელებული საქართველოში, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონია ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობისათვის, მით უფრო მაღალი ღირსების მქონე ყოფილა“ (ჯავახიშვილი, 1986, 598). როგორც ა. ლეკიაშვილი გადმოგვცემს, „დღეს კახეთის ვენახებში ნაკლებად ვხვდებით სათუთსა და განსაკუთრებულ ზრუნვას ჩვეულ მწვანეს. ამ ვაზს სოკოვანი დაავადებებიც ადვილად ერევა. გასულ საუკუნეში კახეთის თეთრ ღვინოებს შორის განსაკუთრებით ფასობდა მანავის მწვანე: ძალზე მაგარი, უჩვეულო სინაზისა და სურნელების ღვინო. მას ქებით იხსენიებს ვახუშტიც, „მანაური“ ძველთაგან კახეთის მეფეთა სუფრას ამშვენებდა (ლეკიაშვილი, 1976, 50).

რქაწითელი კი კახეთში თითქმის ყველგან საუკეთესო ღვინოს იძლევა. მეტადრე განთქმულია კარდენახის „წარაფების“ და წინანდლის „გრძელი მინდვრის“ რქაწითელი. ... ეს უხვმოსავლიანი ჯიში საოცარი გამძლეობითაც გამოირჩევა, კახეთის ყინვიან ზამთაერაც ადვილად იტანს და ზაფხულის გვალვასაც. რქაწითელი თვით ფილოქსერასაც გაუმკლავდა (ლეკიაშვილი, 1976, 50).

საინტერესო მასალა აქვს ჩაწერილი თელავის რეგიონში გავრცელებული ვაზის ჯიშების შესახებ ეთნოლოგ ჯ. რუხაძეს 1954 წელს, სოფელ იყალთოში, 112 წლის მთხრობელის, ალექსი სამხარაულისაგან, – „წინათ ღვინის მოსავალი უფრო მეტი იყო ვიდრე პურისა. მწვანე იყო, რქაწითელი, ბუდეშური, ხარი თვალა, მცვივანი, შავი ყურძენი – ჟღირა, ადრეული ყურ-

ძენი იყო. საფერავი ორნაირია, პირველი საფერავი და მეორე ჟღირა – ცოტა რიჟა არი“ (რუხაძე, 2015, 154).

ი. ნანობაშვილის ცნობით XX ს-ის 60-იანი წლებისათვის კახეთში (ქიზიყში) ვაზის შემდეგი ჯიშებია დაფიქსირებული: ბეჟანაური, ბუერა, გუდაშური (იგივე ბუდეშური), დათვიყურძენი, დონდღლო, თავკვერი, თითა, თოდანო, კუმში, ლეკური, მცვივანა, მწვანე, მწვანე რქაწითელი, მჭკნარა, მხარგრძელა, ობაყლური (იგივე ობაყალო), ორჯონიკიძე, ოქროულა, ჟღია, რქაწითელი, საფერავი, საბატონო, სვიმონა, ტყლაპუნა (იგივე ტყაპუნა), ფრანგულა, ქიშმიში, ქიწნურა, შავი-ვაზი, ჩიტისთვალა, ძაღლიარჭამა, წვრილი საფერავი, ხარისთვალა და ხიხვი (ნანობაშვილი, 1960, 37-38).

XX ს-ის შუახანებისთვისაც კახეთში „სამოცდაათამდე ყურძნის სახეობა დაითვლება. მათ შორის მთავარია საფერავი, რქაწითელი, მწვანე, შავკაპიტო, ჯანაანურა ანუ ხიხვი, მცვივანი, შავყურძენი, ჟღია, თავკვერი, წობენური, ბუდეშური, თითა, კუმსი, ხარისთვალა, უწიპწო ყურძენი, საკმელის ყურძენი....“ (ლეკიაშვილი, 1976, 48).

კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი იყო. გამოჰყავდათ ჯიშები. ღოგორც უკვე აღვნიშნეთ, 80 ჯიშის ვაზი მაინც იყო კახეთში. კახური მრავალრიცხოვანი ვაზის ჯიშებიდან დღეს მხოლოდ რამდენიმეა ფართოდ გავრცელებული. სამრეწველო დანიშნულებამ რქაწითელი და საფერავი გააბატონა ყველგან, მცირე რაოდენობითაა კახური მწვანე და ქისი. აღნიშნული ტენდენცია ახალი არ არის, იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. „ქართული ვაზის გადაშენებას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ღვინის სასაქონლო პროდუქტად გადაქცევის ინტენსიურმა პროცესმაც შეუწყო ხელი. „ვაჭრულმა ანგარიშმა“ მევენახის თვალში ზოგ ჯიშს ღირსება შემატა, ზოგი კი პირიქით, გააუფასურა. მაღალი ღირსების, მაგრამ მცირემოსავლიანმა ჯიშებმა, აგრეთვე სამაჭრე და საჭმელმა ვაზ-ყურძენმა, უხვმოსავლიან საღვინე ჯიშებს დაუთმეს თანდათან ასპარეზი“ (ლეკიაშვილი, 1976, 47).

შემდეგი ეტაპი ქართული (კახური) ვაზის ჯიშების გადაშენებისა უკვე საბჭოთა კავშირის დროს იწყება – სამრეწველო ვაზის ჯიშებზე ორიენტაციის აღებით. 70-იან წლებში საქართველოში ჩატარებული ღონისძიების შედეგად კიდევ უფრო შემცირდა იმ ჯიშების რაოდენობა, რომლებიც მევენახეებს უნდა გაეშენებინათ. „ქართული ღვინოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელებული 50 სამრეწველო ჯიშიდან ამჟამად შერჩეულია ყველაზე უფრო ძვირფასი 16 ჯიშის ვაზი. ეს ჯიშებია: რქაწითელი, ცოლიკაური, ციცკა, საფერავი, მწვანე, ჩინური, ალექსანდროული, ოჯალეშური, ჩხავერი, კრახუნა, უსახელაური და სხვ.“ (კახეთელიძე, 1972, 51).

ამ მხრივ მდგომარეობა დღესაც არ არის სახარბიელო. 2016 წელს თელავში გაიმართა მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი პროგრამების წარდგინება (პრეზენტაცია). ამ პროგრამის მიხედ-

ვით დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოოპერატივს გადაეცემა 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისათვის საჭირო აღჭურვილობა, თავის მხრივ კოოპერატივმა უნდა შეძლოს შესაბამისი შენობა-ნაგებობის მოწყობა.

პირობის თანახმად კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 20 მეპაიეს, მათ საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა 20 ჰა ვენახი, რომელშიც გაშენებული უნდა იყოს ვაზის შემდეგი ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინებული (ჩინური) (წყარო: http://www.acda.gov.ge), – ერთი შეხედვით მიმზიდველი წინადადებაა, გათვლილია წვრილ ფერმერებზე, მაგრამ ყურძნის ჯიშების ასეთი შეზღუდვა, ზოგადად მევენახეობის და კახური ვაზის ჯიშების გადასარჩენად რამდენად მისაღებია ეს სხვა საკითხია. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მაღალ მოსავლიან ჯიშებზე აღებულმა ორიენტაციამ გადაშენების პირას მიიყვანა უნიკალური ქართული ვაზის ჯიშები და დღესაც თუ ამ ტენდენციას გავაგრძელებთ, რბილად რომ ვთქვათ, სახარბიელო შედეგს ვერ მივიღებთ.

ზოგადად კახეთში, „საღვინე ყურძენთა შორის საფერავს, რქაწითელსა და მწვანეს პირველი ადგილი უჭირავს. შავი ფერის ყურძენში საფერავი მეფობს და თეორ ყურძენში კი რქაწითელი და მწვანე ეცილებიან ერთმანეთს პირველობას. ზოგი მწვანეს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ჩანს, რომ რქაწითელს მაინც ვერ უტოლდება. გამძლეობის უნარი და სიცოცხლის ხანგრძლიობა რქაწითელს ყველაზე მეტი გააჩნია“ (ბოჭორიშვილი, 1956, 9).

საფერავს საუკეთესო ჯიშად თვლიდნენ უცხოელი ამპელოლოგებიც: მე-19 ს-ის 70-იან წლებში საქვეყნოდ ცნობილი ამპელოლოგი გ. ცაბელი საფერავს უხვმოსავლიანობითა და მისგან მიღებული ღვინის ხარისხით საუკეთესო ფრანგული ვაზის ჯიშებზე მაღლა აყენებდა. გამოჩენილი ინგლისელი ამპელოლოგი კი საფერავის შესახებ წერდა: „წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებული ყურძნის ჯიშს სჯობია და შემიძლია იგი სრულიად შეგნებულად გირჩიოთ ფართოდ საცდელად“ (კახეთელიძე, ხასია, 1972, 50).

ჩვენს მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით დღეს კახეთში ვაზის ძირითადი ჯიშებია: *„საფერავი, რქაწითელი, ქისი, მწვანე, ხიხვი, სუფრის ჯიშის – მსხვილმარცვალა. ყველაზე მეტი ფართობი რქაწითელს და საფერავს უჭირავს. ქისი საუკეთესო ჯიშია. საქართველოში მხოლოდ ორ სოფელში, – მაღრანში და არგოხში (ახმეტის რაიონი) მოდის ქისი, ძველი ქართული ჯიშია. მწვანეს დიდი ფართობები არ უჭირავს, შერეულია რქაწითელთან. მწვანეს ხშირად ცალკე წურავენ. უფრო მაღალი ხარისხის ღვინო გამოდის. რქაწითელი უფრო უძლებს უამინდობას, მწვანე უფრო ცოტა მოსავლიანია.“* (ბურდული, თელავი, 2016)

სამეცნიერო ურიდან ცნობილია, რომ „რქაწითელი, საფერავსა და მწვანესთან შედარებით, უფრო მოსავლიანია; მას ახასიათებს ფილოქსერის მიმართ

უფრო მეტი გამძლეობა, უკეთესად იტანს აგრეთვე სხვადასხვა სოკოვან ავადმყოფობას და მავნებლებსაც უკეთ უძლებს; იგი ღონივრად იზრდება, მაგრამ ვერტიკალური მიმართულებით – სწორედ და ამასთანავე ნაკლებად იბარდნება, რაც აადვილებს მის მოვლას და სხვ.“ (მასალები.. 1957, 156).

კახელები თვლიან, რომ კახეთის ენდემური ჯიშია რქაწითელი, რომელიც არის: *„კახელი კაცივით მედგარი, ყინვას უძლებს კარგად, სიცხესაც უძ-ლებს. საფერავი ცოტა რთული მოსავლელია, მანავის მწვანეს დიდი სიც-ხის დროს უჭკნება ფოთოლი, ანუ სიცხეს ნაკლებად იტანს. მოვლა იგივე სჭირდება, რაც რქაწითელს– განსხვავებით საფერავისგან, მაგალითად რქაწითელი რომ მოვწამლე რვაჯერ, საფერავს 12-ჯერ უნდა მოწამვლა“.* (ბურდული, 2015; 2016; 2017).

საფერავი დღეისათვის საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება, მაგრამ არსად ისე არ გვარობს საფერავი, როგორც მშობლიურ კახეთში: „კახეთის გამოღმა მხარის სამხრეთის ფერდობებზე გაშენებულ საფერავს აქაური ღონიერი, რკინით მდიდარი, კირნარევი ნიადაგი და ზაფხულ-შემოდგომის თვეებში მოძალებული მზის სხივები იშვიათ ფერსა და სიტკბოს ანიჭებენ. შეუდარებელია მუკუზნის, ხოდაშნის თუ კარდენახის წითელი ღვინოები არა მხოლოდ სიმაგრითა და სისქით, ხავერდოვნებითა და სურნელებით, მუქი ლალისფერითაც არ მოეპოვება ამ ღვინოს ბადალი“ (ლეკიაშვილი, 1976, 49-50).

„დაჭორფლილი რქაწითელი და ლურჯი საფერავი! ალაზნის ველისა და ცივგომბორის მზვარეების ამ ორმა მკვიდრმა ყველაზე მეტად ასახელა ქართული ღვინოები. რქაწითელი მსოფლიოს თეთრყურძნიანი ვაზების რჩეულს ამშვენებს, საფერავი კი წითელყურძნიან ჯიშებს ეცილება პირველობას“ (ლეკიაშვილი, 1976, 49).

კახური მწვანე, საფერავივით რთული მოსავლელია: „კლიმატური პირობების მიმართ მანავის მწვანე მგრძნობიარეა და ამ მხრივაც იგი ნაზ ჯიშად ითვლება. ამავე დროს ნაცრის მიმართ სუსტი გამძლეობა ახასიათებს და საჭიროებს გოგირდით დროულ და ხშირ წამლობას“ (ჭყონია, 1988, 107).

ზემოაღნიშნულის გამო რქაწითელს წინათაც და ახლაც მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში მეტი ფართობი აქვს დაკავებული, შემდეგ მოდის საფერავი, და კახური მწვანე.

§ 2. მევენახეობის მიკროზონები

საქართველოში არსებული ვენახების 70% კახეთშია კონცენტრირებული. საუკეთესო ღვინოების მომცემი ვენახები მდებარეობს ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე, ალაზნისა და ივრის აუზებში. მართალია, კახეთი მევენახეობის ზონაა, მაგრამ თითოეული მუნიციპალიტეტი და ზოგჯერ

თითოეული სოფელიც კი, განსხვავებული მიკროკლიმატითა და ნიადაგების ნაირფეროვნებით ხასიათდება, რაც მევენახეობაში საკმაოდ განსხვავებულ სურათს იძლევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მევენახეობა თითქმის მთელ კახეთშია შესაძლებელი, მაგრამ რვა მუნიციპალიტეტიდან მევენახეობის წამყვანი რაიონებია, – გურჯაანის, სიღნაღის, ყვარელისა და თელავის რაიონები, რომელთა შორის გურჯაანი ლიდერობს, სადაც გავრცელებულია აბორიგენული ვაზის ისეთი უნიკალური ჯიშები, როგორიცაა: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ხიხვი, ქისი და ა.შ. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მევენახეობას ახმეტასა და საგარეჯოში, ყველაზე ნაკლებად მევენახეობა ლაგოდეხის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტებშია წარმოდგენილი, რაც გეოკლიმატური პირობებითაა გამოწვეული.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ერთი და იგივე ჯიში ყველგან ერთნაირი ხარისხის მოსავალს არ იძლევა: *„გურჯაანი ძირითადად დარაიონებულია მევენახეობის რაიონად და ძირითდად რქაწითელია გაბატონებული. ახაშენში მაგალითად ყურძენი საფერავი მოყავთ, სადაც განსაკუთრებული ადგილია. ასეა ყვარლის რაიონში, ქინძმარაულს რომ ეძახიან. მონაკვეთია, დარაიონებულია ისე, სად რა უნდა მოიყვანონ. მანავის მწვანე, მაგალითად, განა ჩვენ მანავის მწვანე არ გვიდგას, მეც მიდგას ვენახში, მაგარამ ის სხვაა, სულ სხვაა. წარაფიც სხვა ჯიშია, როგორც მანავის მწვანე ასეთივე თხელი მტევანი აქვს და ყურძენიც ღია ფერისაა“* (ბურდული, გურჯაანი, 2016).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში არის ყურძნის უნიკალური ადგილწარმოშობის რამდენიმე მიკროზონა: ახაშენი, მუკუზანი, ვაზისუბანი, კარდანახი და სხვ. სადაც იწარმოება საყოველთაოდ ცნობილი სამარკო ღვინოები. მუნიციპალიტეტში ასეთ მიკროზონაა სოფელ კარდენახიდან სოფელ კახიფარის ჩათვლით. ამ ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე და სხვ. სწორედ ამ ჯიშებიდან და ფართობებიდან მზადდება ისეთი მაღალხარისხოვანი ღვინო, როგორიცაა: მუკუზანი, ახაშენი, გურჯაანი, ვაზისუბანი, კარდენახი, კოტეხი და სხვ. (გურჯაანის მუნიციპალიტეტის.. 2016. .29)

გურჯაანის ზემოაღნიშნულ მიკროზონებში დღეისათვის ვენახით დაკავებული ფართობები მოიცავს დაახლოებით 60-70%, ანუ არსებობს რესურსი მიკროზონებში ვენახით დაკავებული ფართობი გაიზარდოს დაახლოებით 30%-ით.

„გურჯაანის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც მოსახლეობისათვის, სახელმწიფოსთვისაც შემოსავლის ძირითადი წყარო იყო მევენახეობა. შეიძლება ითქვას, რომ მომავალშიც ასე იქნება, რადგან ნიადაგური და კლიმატური პირობები, საერთოდ და განსაკუთრებით კი საყოველთაოდ ცნობილ მიკროზონებში მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ვაზის კარგი ზრდ-განვითარებისათვის და მაღალხარისხოვანი სხვადასხვა სახის ღვინის

წარმოებისათვის, რასაც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“ (გურჯაანის მუნიციპალიტეტის... 2016. 29).

თელავის რაიონის ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი გაშლილია ალაზნის ვაკეზე და შემოზღუდულია სამხრეთ-დასავლეთით გომბორის ქედით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით, კახეთის კავკასიონით, რაც აღნიშნულ რეგიონს ცივი ქარებისაგან იცავს და აქ ისეთი მიკროკლიმატია შექმნილი, რომელიც ვაზის კულტურისათვის მეტად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მონაცემების მიხედვით კახეთის ვენახების 17% თელავის მუნიციპალიტეტშია, (5493 ჰა), რომლის თანახმადაც კახეთის რაიონებს შორის გურჯაანისა და ყვარლის შემდეგ მესამე ადგილი უკავია. თელავში მდებარეობს მევენახეობის უნიკალური ზონები: წინანდალი და ნაფარეული, სადაც დღესაც ტრადიციულად იწარმოება ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები: *„მიკროზონაა წინანდალი, აკურიდან იწყება თელავის მუნიციპალიტეტი და ძირითადი მეღვინეობა აკურის შემდეგ რაც არის ბუშეტი, ვანთა, თვითონ წინანდალი, ნასამხრალი, შალაური ეგენი ყველა მისდევენ მევენახეობას, მაგრამ ყველაზე განთქმული რაც არის, ეს არის წინანდალი, მიკროზონა გახლავთ, სხვათა შორის ეს ალექსანდრე ჭავჭავაძის დამსახურებაა, პირველი იყო მათი ზვრები და ევროპული ღვინოს ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი“* (ბურდული, თელავი,) 2016).

ამასთანავე, სოფელ წინანდლის მთელი ვენახები კი არ იგულისხმება მიკროზონაში, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, სადაც ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰქონდა ვენახები სოფლის თავში და რომელიც მუხიანის სახელით არის ცნობილი.

თელავის რაიონში მევენახეობით განთქმული მეორე სოფელია ნაფარეული, ცნობილი ადგილწარმოშობის ღვინის, „ნაფარეულის“ სამშობლო. სოფელში იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენებული დიდი ღვინის ქარხანა, რომელიც დღეს გაჩანაგებულია. სოფლელები იმედოვნებენ, რომ მას ოდესმე გაუკეთდება რეაბილიტაცია და ამუშავდება. საუკეთესო ღვინის დაყენების ტრადიცია ნაფარეულში დღესაც გრძელდება. სოფელში არის ორი ღვინის ქარხანა. – ე.წ. „ტყუპების საღვინე სახლი“ და შპს „მარანი“, რაც სრულიად აკმაყოფილებს სოფლის დღევანდელ მოთხოვნებს, ყურძნის ჩაბარების პრობლემა სოფელს არა აქვს. *„ტყუპების მარანი“ რომ არის აქვე, მაგათ თავიანთი ვენახები აქვთ, ერთს 2 გექტარი, მეორესაც 5 გექტრამდე, ტყუპი ძმები არიან, აქაურები, გია და გელა გამტკიცულაშვილები. „ღვინის შპს მარანი“, იაგო და გია ხორუაშვილებისაა, მათ 38 გექტრამდე ვენახი აქვთ.. სოფელი უხვმიწიანია, და მიწების განაწილების დროს დარჩა სარეზერვო მიწები, რომლებიც სამწუხაროდ გაიყიდა და ეხლა აღარ გვაქვს. საჰექტარო მოსავლიანობა მაღალია 15 ტონა მოდის ერთ გექტარზე. სეტყვა იცის ხშირად, ისეთი ადგილებიცაა, სადაც ყოველწლიურად ისეტყვება. მაინც უვლიან, ბოლო დროს აზღვევენ ვენახებს“.* (ბურდული, თელავი, 2016).

მაგრამ, როგორც მთელ კახეთში, ისე ნაფარეულშიც ყურძნის ჩაბარების დაბალი ფასი იწვევს მცირემიწიან ფერმერთა უკმაყოფილებას, რადგან ვენახის დამუშავება ყოველწლიურად ძვირდება, ყურძნის ჩაბარების ფასი კი კლებულობს. როგორც გადმოგვცემენ, მიწა ძალიან სწრაფად იფიტება, სასუქების შეტანაა საჭირო, ორჯერ მაინც უნდა მოირწყას ვენახი. სოფელში ძირითადად რქაწითელი, მწვანე და საფერავია გაშენებული. ნაფარეულის ცნობილი ღვინის დასაყენებელი ყურძენი მთელ სოფლის ტერიტორიაზე მოდის, წინანდლისაგან განსხვავებით ზონებად არ არის დაყოფილი. რქაწითელიც და შავიც თანაბარი რაოდენობით არის გაშენებული, საოჯახოდ სუფრის ყურძენიც მოყავთ. სოფლის მაცხოვრებლები თვლიან, რომ თვითონ უნდა მიხედოს ყველამ თავის თავს, მაგრამ მთავრობისაგან მოითხოვენ მეტ ყურადღებას ყურძნის გასაღებისა და ფასის დარეგულირების საქმეში.

ახმეტის რაიონის სოფელი მაღრაანი ტრადიციულად ითვლება ქისის ჯიშის ყურძნის ყველაზე მსხვილ მწარმოებელ მხარედ. ხოლო ნასოფლარი ჯანაანი (ამჟამად სოფელ კოღოთის მიმდებარე ტერიტორია) მიჩნეულია უნიკალური ყურძნის ჯიშის – ჯანაანურის (ამჟამად ხიხვი) ადგილწარმოშობის ტერიტორიად

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში პრიორიტეტული მიმართულება მევენახეობა-მეღვინეობაა. მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემებით ამ მიმართულებით დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 55%. ყვარელი „ქინძმარაული“-ს მიკროზონაა, სადაც იწარმოება უნიკალური ქინძმარაულის მარკის ღვინო, შესაბამისად ყურძნის ფასი აქ უფრო მაღალია და მოსახლეობას არ უჭირს მოწეული მოსავლის ჩაბარება, დაინტერესებულია ვენახის მოვლით. განთქმულია თვითონ ყვარელი, ენისელი, შაქრიანი,.. ყურძენი მოდის ძალიან ტკბილი და ხარისხიანი, იმიტომ რომ ფერდზეა შეფენილი, მზიანი ადგილია და ეს არის უბრწყინვალესი – 25-26 გრადუსზე ადის შაქრიანობა. საერთოდ, როგორც გადმოგვცემენ, ყურძენს სჭირდება ქვიანი ადგილი, ფხვიერში მოდის მხოლოდ ყვარლის ქინძმარაული.

ყვარლის მუნიციპალიტეტში 28 მსხვილი და საშუალო წარმადობის ყურძნის გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებს, რომელიც არა მარტო ყვარელის, არამედ კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებში მოწეული მოსავლის გადამუშავებასაც ახერხებს.

საგარეჯოს რაიონში მიკროზონაა მანავი *„ დიდი მეურნეობა იყო, მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. 7 000 ტონა ყურძენს კრეფდა ეს მეურნეობა, ერთად რა თქმა უნდა მწვანეს, საფერავს და რქაწითელს. 1200 გექტარი ვენახი იყო“.* (ბურდული, 2017).

საგარეჯოს რაიონი სოფელი მანავი ძველი დროიდანვე განთქმული იყო საუცხოო თეთრი ღვინით, „მანავის მწვანით“. „წყაროების მიხედვით, აქ ოდითგანვე გაშენებული ყოფილა „საბერო“ და „სადედოფლო“ ზვრები (ჭყონია, 1988,106).

მანავის მწვანეს, როგორც ძვირფას სამრეწველო ჯიშს, დიდი ყურადღება ექცეოდა საბჭოთა ხელისუფლების დროს: „გათვალისწინებულია რა კახელი გლეხის მდიდარი ემპირიული ცოდნა-გამოცდილება და ამ ჯიშის ვაზის თავისებურებანი, სოფელ მანავში არის სპეციალიზებული მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც გაშენებულია ძირითადად მანავის მწვანე. (ჭყონია, 1988, 108)

მართალია, ჯერ მიკროზონად არ არის დარაიონებული, მაგრამ თავისი უნიკალური თვისებებით, საქართველოში ასევე ცნობილია ხაშმის საფერავიც.

§ 3. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კახეთის მევენახეობაში შექმნილი პრობლემები

ვენახების „გაკაჭვა"//გაჩეხვა; გაყიდვა: XX ს-ის 80-იანი წლებისათვის კახეთში მევენახეობის დარგმა, როგორც ვენახით დაკავებული ფართობით, ისე პროდუქციის მოცულობით უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. საქართველოში 90-იან წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის შემდეგ განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა სირთულეებმა თავისი ასახვა ჰპოვა ზოგადად სოფლის მეურნეობაზე, კერძოდ კი მევენახეობა-მეღვინეობაზე. მევენახეობის ძირითად რაიონებში, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა ვენახების რაოდენობა. კახელ მევენახეებს გაუჭირდათ დამოუკიდებლად ვენახის მოვლა რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა პრობლემებით: ვენახები დიდი მანძილით იყო დაშორებული სოფლიდან და არ ჰქონდათ ტრანსპორტით გადაადგილების საშუალება; ვაზის მეჩხერიანობა ვენახში; შხამ-ქიმიკატების სიძვირე და დაბალი ხარისხი; მოწეული მოსავლის გასაღების გართულება და არაადეკვატური ფასები, რაც დახარჯულ შრომასაც არ ანაზღაურებდა და ა.შ. და ა.შ.

ზემოჩამოთვლილი მიზეზები აიძულებდა გლეხს გაეყიდა ვენახი, *„ზოგმა არ გაყიდა, მაგრამ სიშორის გამო ველარ მოუარა და ისე გდია უპატრონოდ გადაშენებული".* იყალთოს *მასალის მიხედვით მიწის გაყიდვის ძირითადი მიზეზი მისი სიშორე იყო, – „მე მიწა მომცეს ალავერდთან. თერთმეტი კილომეტრია იქამდე. 32 რიგი ვენახი მქონდა. სამი წელი ზედიზედ სეტყვა მოვიდა ვერაფერი ვერ ავიღეთ. ჩემი მეუღლე როცა ცოცხალი მყავდა ეს ვენახი იმდენად დაზიანდა იმ სეტყვისგან რომ გავჩეხეთ და მერე მოგვყავდა ხორბალი. აქედან იქამდე იმხელა სასიარულო იყო, რომ ფაქტიურად აღარ ღირდა, მოგებას არ იძლეოდა, ამიტომ მიწა გავყიდეთ, 1000 ლარი მოგვცეს ერთ ჰექტარში. კოლექტივის დრო იმიტომ იყო კარგი რომ ერთად მიდიოდნენ მანქანით ხალხი, მიყავდათ და უკან მოყავდათ.." (ბურდული, თელავი, 2016).*

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში დღეს არსებული პრობლემების თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ კახეთის მევენახეობის ცენტრის, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მაგალითს. 1980-იანი წლების ბოლოს გურჯაანის რაიონ-

ში ვენახით დაკავებული ფართობი შეადგენდა დაახლოებით 15000 ჰექ-ტარს, ხოლო წარმოებული პროდუქცია 120 000 ტონას. მევენახეობის დარ-გის რეგრესი განსაკუთრებით მწვავე გახდა 2006 წლის რუსეთის ემბარ-გოს შემდეგ და უკვე 2012 წლის მონაცემებით ვენახით დაკავებული ფარ-თობი შემცირდა 6281 ჰექტრამდე, ხოლო წარმოება 20375 ტონას შეადგენ-და. 2014 წლიდან შენდება ახალი ვენახები. 2015 წელს გურჯაანში ვენახის საერთო ფართობი შეადგენდა უკვე 7089 ჰა-ს, მათ შორის რქაწითელი – 4955, საფერავი – 1900, მწვანე – 28, სუფრის ყურძენი – 62ჰა, ჰიბრიდი -144. (გურჯაანის მუნიციპ. .. 2016).

მიწის რეფორმის შემდგომ კახელი გლეხობისათვის გადაცემული ვენახე-ბის უმეტესობა, კახეთის თითქმის ყველა სოფლიდან (აღმოსავლეთ საქარ-თველოში დასახლების ტრადიციული ფორმიდან გამომდინარე) საკმაოდ შორსაა. ვენახები ყველაზე ახლოს 5-8-10 კილომეტრში, თელავის, გურჯა-ანის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების სოფლებთანაა, ხოლო სიღნაღისა და დედოფლისწყაროს სოფლებიდან 25-45 კილომეტრითაა და-შორებული. მაგალითად სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანს ნაკვე-თები ძალიან შორსა აქვს. უახლოესი ნაკვეთები 25-კილომეტრშია და ბო-ლო ნაკვეთი კი 50-კილომეტრშია განთავსებული.

რეფორმის შემდეგ მევენახეობის დარგის დაცემის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სიშორესთან ერთად მიწების დაქუცმაცება/დანაწევრება გახდა. კა-ხეთის ყველა მუნიციპალიტეტში ვენახების ძირითადი ფართობები საოჯა-ხო მეურნეობების საკუთრებაშია. „თელავის მუნიციპალიტეტში მრავალი მცირე, საშუალო თუ მსხვილი მევენახეა. ძირითადი ფართობები საოჯახო მეურნეობების საკუთრებაშია, აგრეთვე მნიშვნელოვანი წილი უკავია მსხვილი კომერციული ღვინის ქარხნების საკუთრებაში არსებულ ვენა-ხებს, რომელთა ფართობებიც ყოველწლიურად იზრდება. ოპერატიული ინ-ფორმაციით, შედარებით მსხვილი ფართობის მესაკუთრე დაახლოებით 605 ფერმერია, რომელთა მფლობელობაშიც არის 1 ჰა-ზე მეტი ფართობის ვე-ნახები. მუნიციპალიტეტში ყურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა არის 6-7 ტონა“ (თვითმმართველი თემის, – თელავის,.. 2015. 27).

დედოფლისწყაროს რაიონში ალაზნის მხარის რამდენიმე სოფელი მევენა-ხეობას ძველი დროიდანვე მისდევდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დროს, კოლმეურნეობების ჩამოყალიბების შემდეგ, მევენახეობას მეტი ყუ-რადღება მიაქციეს და რაიონის ყველა სოფელს 200-400 ჰექტრამდე ვენახე-ბი ჰქონდა. ტარიბანას ველზეც კი გააშენეს ვენახები, რომელიც უახლოე-სი სოფლებიდან 40-45 კმ-ით არის დაცილებული, ასეთ სიშორეზე კოლმე-ურნეობების დროს მუშახელის ტრანსპორტირება ორგანიზებულად ხდებო-და, კოლმეურნეობების დაშლისა და მიწის რეფორმის შემდეგ, რასაც სარ-წყავი სისტემის მოშლაც მოჰყვა, აქ ვენახები საერთოდ განადგურდა, რად-გან დედოფლისწყაროს ცხელი კლიმატის პირობებში ვაზისათვის მორწყვა აუცილებელია, ამასთანავე უტრანსპორტობის გამო ვეღარ მოახერხეს ვე-ნახების მოვლა.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ვენახებამდე მისასვლელად გზები მოხრეშილი იყო: *„პირველი რასაც ვერ დავუკარგავთ კომუნისტებს ისაა, რომ ჯერ კიდევ ფუნქციონირებს მაშინ გაკეთებული ვენახებამდე მისასვლელი გზები. ასფალტირებული არ არის, მაგრამ მაინც ვარგისი გზებია. აი სიშორემ გამოიწვია კიდევ მიწების მიტოვება. სოფლიდან 12 კილომეტრზე გვაქვს სახნავ-სათესი მიწები, ალაზანთან არის სადღაც 150 ჰექტარი, რომელიც განაწილდა მაშინ გლეხებზე. ფიზიკურად ძალიან გაჭირვება იყო, ვერ ჩადიოდნენ დასამუშავებლად და იმ პერიოდისთვის ძირითადი ტრანსპორტი იყო ცხენის ტაჭკა და თუ ვინმეს მაქანა ჰყავდა, ის ადგილები გაიყიდა პირველ რიგში ყველაზე მეტად“.* (ბურდული, თელავი, 2016).

ამასთანავე მოსახლეობისათვის დარიგებული ვენახების 50-60% საბჭოთა პერიოდშია გაშენებული და ოფიციალური მონაცემებითაც ვაზის ძველ ნარგაობებში დიდია მეჩხერიანობა, რის გამოც დაბალია საჰექტარო მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხი. აღნიშნული მიზეზის გამოც ჩეხავდნენ ვაზს, თუმცა მას საყოველთაო ხასიათი არ ჰქონდა. თელავის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ასეთი რამ იშვიათი იყო: *„90-იან წლებში იყო პერიოდი, რომ ჩეხავდნენ ვენახსო – ამბობდნენ, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი თელავში ნაჯახი არ დაუდიათ ვაზისთვის. გაიჩეხა ვაზი და საზამთრო დაითესა მე ასეთი რამე არ მახსოვს. შეიძლება ვიღაცამ ეს გააკეთა, გაჩეხა ვაზი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისტემური ხასიათი აქვს ან ჰქონდა“.* (ბურდული, თელავი, 2016).

მსგავს ფაქტებს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტებში ჰქონდა ადგილი. ახმეტაში, – *„ჭრიდნენ რადაც პერიოდში ვენახს, ჭირდა ძალიან საჭმელი არ ჰქონდათ, ხალხს ლუკმა-პური ენატრებოდათ. ბევრმა გასჭრა ამიტომ, ვენახი ვერ არჩენდა, გაჭრეს და ხორბალი დათესეს, სიმინდი და ხორბალი. უფრო ოჯახის გადასარჩენად გააკეთეს“. (ბურდული, ახმეტა, 2015).*

აღნიშნულის გამო ვენახების ფართობი ზოგიერთ სოფელში ძალიან შემცირდა, მაგალითად, სოფელ მატანში ჩაწერილი მასალის მიხედვით, – *„ვენახს დღეს უკავია დაახლოებით 200 ჰექტარი. კოლმეურნეობის დროს ეკავა დაახლოებით 1200 ჰექტარი. ვაზისაგან გამოთავისუფლებული მიწები იმ 1200-დან სამოცდაათი პროცენტი ალბათ დაუმუშავებელი მიწებია, აღარც ვენახია, გაკაჭულია, მაგრამ ისეა, მიგდებული, დაუმუშავებლად. თავის დროზე ყველას ვენახი შეხვდა განაწილებისას, მეც ვენახი შემხვდა, ფასი აღარ ჰქონდა ყურძენს. მე იმის ჭურჭელი არ მქონდა, რასაც მოვიწევდი – დამეწურა. ავდექი და გავკაჭე ვენახი, ხორბალს, სიმინდს მოვიყვან მეთქი. გაჩეხილი ვენახების ადგილას ყველგან დაითესა ხორბალი და სიმინდი. გაჭირვების გამოც იყო, ცომის გუნდის გულისთვის ღამეებს ვათენებდით, არ იყო პური, რა ფქვილს გვაჭმევდნენ კიდევ საკითხავი იყო, ესეც იყო მიზეზი ვაზის გაჩეხვისა“. (ბურდული, ახმეტა, 2016).*

ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ზოგადად კახეთში ვენახების გაყიდვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიც სოფლიდან მისი სიშორე და მეჩხერიანობა გახდა. უტრანსპორტობის გამო გაუჭირდათ შორ მანძილზე ვენა-

ხების დამუშავება, ხოლო მეჩხერი ვენახი იმდენ მოსავალს ვერ იძლეოდა, რომ მასზე დახარჯული შრომა აენაზღაურებინა და ოჯახს ეკონომიკური შემოსავალი მიეღო.

ვენახი ხშირად საჭიროებს ძველი, გადაბერებული ვაზის ამოგდებას და ახალი ნერგით შევსებას. თელავის ისტორიულ არქივში არსებული მასალის მიხედვით აღნიშნულ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების დროს თითქმის ყოველწლიურად ასრულებდნენ და კოლმეურნეობებისათვის მიცემული დირექტივების მიხედვით ჩანს, რომ თითქმის ყველგან, სადაც მევენახეობა წამყვან დარგს წარმოადგენდა, ახალი ვენახის გაშენებასთან ერთად მიცემული ჰქონდათ გეგმა, რამდენ ჰექტარ ვენახში უნდა აღმოეფხვრათ მეჩხერიანობა:

მაგალითად, 1975 წელს ლალისყურის საბჭოთა მეურნეობას მიეცა დირექტივა, – 20 ჰექტარზე გაეშენებინა ახალი ვენახი და ჩაეტარებინა ძველი ვენახების „რემონტი“, – 22000 ვაზის ნერგით (თელავის რეგიონ. რქ. ფ. 153, №52:2);

იმავე მეურნეობას 1984 წელს ავალებენ ვენახის მეჩხერიანობის უსწრაფესად გამოსწორებას, რადგან სახელმწიფო გეგმის შესრულება მასზეა დამოკიდებული. ასეთივე მითითება მიეცათ ნაფარეულის, წინანდლისა და კისისხევის საბჭოთა მეურნეობებსა და კურდღელაურისა და სანიორეს კოლმეურნეობებს. (თელავის რეგიონ. არქ. ფ. 153,№470,1).

ასეთი სახის მასალები არსებობს თითქმის ყველა მეურეობასა თუ კოლმეურნეობაზე.

წინანდალში ჩაწერილი მასალის მიხედვით: *„90-იან წლებში როცა ვენახები დარიგდა ძალიან ბევრმა ვერ მიხედა, მაგალითად ართანაში ჯივიესის კიმპანიას აქვს დიდი ზვრები. ეს ის ნაკვეთებია კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ რომ დარიგდა გლეხებზე, მათ ვედარ დაამუშავეს და გაყიდეს. ეხლა უკვე აღარ ყიდიან, ჩემს მომიჯნავეს მიტოვებული აქვს ვენახი, იქ უკვე ვაზი აღარ არსებობს, მე მინდა ვიყიდო. მაგრამ არ ყიდის, როდისმე მივხედავო“* (ბურდული, თელავი, 2016).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში ვენახების გაჩეხვისა თუ გაყიდვის მიზეზები ფაქტიურად ერთნაირია: *„ვენახი სადაც ვიყიდე, ტრასიდან 8 კილომეტრია, რატომ გაყიდეს იცით? გვიჭირდა ვერ ჩავდიოდითო. ასაკიანი ქალბატონი იყო, მეო შვილო სანამ შემეძლო ფეხით მივდიოდიო, და ახლა აღარ შემიძლიაო. რა თქმა უნდა, თუ ტრანსპორტი არ გყავს 8 კილომეტრზე წახვიდე, იმუშაო, და მერე უკან წამოხვიდე, ძალიან რთულია. ეს ის ვენახებია კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები რომ დაიშალა და ხალხს გადასცეს საკუთრებაში“.*

„დღეს უკვე ნაკლებად ყიდიან ვენახებს ყიდულობს უფრო მისი მომიჯნავე სიახლოვეს მყოფი. გაჭირვება აიძულებს გლეხს რომ გაყიდოს მიწა. „ადრე იყიდებოდა მიწები ჩვენს სოფელში, ეხლა აღარ, ვენახებს აშენებს ხალხი

უკვე რაც ეს სამწლიანი პროგრამა (ვაუჩერებს გულისხმობს მ.ბ.) *ამუშავდა, გაუადვილდა ხალხს მიწის დამუშავება.“*

სოფლის მოსახლეობა შექმნილ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს: *„მიწები შევარდნაძემ თუ გახსოვთ ნაუცბათევად დაანაწილა, ასე არ უნდა მომხდარიყო, უნდა შენარჩუნებულიყო რაღაც მეურნეობის ტიპი, შენარჩუნდებოდა ვაზიც, ის ფერმაც და სულ ყველაფერი. სოფლებში მაინც იქნებოდა სამუშაო ადგილი. ახლა რა გამოვიდა დანაწილდა მიწები ნაადრევად, გლეხს ფული არ ქონდა ვერ დაამუშავა, დაინგრა სარწყავი, მოიშალა ფერმები, ყველაფერი მოიშალა“. (ბურდული, ახმეტა, 2015).*

ზემოთ მოტანილ ეთნოგრაფიულ მასალის მართებულობას ამყარებს შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომებიც, სადაც ვკითხულობთ: 1990 წლებიდან მოყოლებული ხელაღებით დაშალეს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, დაიტაცეს ადრე მათ საკუთრებაში არსებული უპატრონოდ მიტოვებული ქონება, არ მუშავდებოდა მრავალწლიანი ნარგავების ბაღები, გადაამენეს პირუტყვი და ფრინველი. ჯართის სახით გაიყიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მოიშალა მელიორაციის სისტემა, მინდვრიდან გაქრა ტრაქტორები და სათეს-სამკალი ტექნიკა, კომბაინები და ა.შ. . . ქვეყანაში ფაქტიურად აგრარული რეფორმა არ განხორციელებულა. მთავრობები მხოლოდ (ისიც ნაწილობრივ) გლეხობაზე მიწების გადანაწილების იქით ვერ წავიდნენ (ჯიბუტი, 2014, 63-64).

ვენახების გაყიდვასა და ვაზის გაჩეხვასთან დაკავშირებულ პროცესების მიმართ სოფლის მცხოვრებთა შორის ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა სოფლის მცხოვრებთა ნაწილი გააღარიბა და მიწები გააყიდვინა, ნაწილმა კი პირიქით ალღო აუღო ახალ ვითარებას მათ პირიქით შეიძინეს მიწები, და დღეს შეძლებულად ცხოვრობს, ამიტომ წვრილი საოჯახო მეურნეობის მქონე გლეხი (1,25 ჰა) სხვანაირად აფასებს კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ შექმნილ ვითარებას, მცირემიწიან ფერმერს (5-10 ჰექტრის მფლობელს) სხვა დამოკიდებულება აქვს, დიდი ნაკვეთების (10-20 და მეტი ჰა-ს) მფლობელის შეხედულებები მეურნეობის დღევანდელობასა და განვითარებაზე მათგან განსხვავებულია.

ვინც მიწები გაყიდა, თითქმის ერთიდაიგივე მიზეზს ასახელებენ: *„ვენახს დამუშავება უნდა, ძალიან რთული და ძნელია, თუ დიდი თანხა არა აქვს გლეხს ვერ დაამუშავებს. ვენახს მდიდარი თუ მოუვლის. მდიდრის შვილს აქვს შემორჩენილი თანხა, აქ ეგრეა. ნებისმიერი ვენახი რომელიც კარგია, მდიდრისაა, საცოდავ გლეხს არაფერი არა აქვს. კარგი ვენახი კარგ მოვლილ დიდ ვენახს ნიშნავს. ვენახი რომ არ გაფუჭდეს იმასაც თანხა უნდა, რომ წამალი დროზე მისცე და არ გაგიფუჭდეს. წამალი ძვირი ღირს ერთი მოწამვლა 200-300 ლარი ჯდება. ერთი ჰექტარი, ვენახს კიდევ 7-8 მოწამვლა მაინც უნდა. მთლიანობაში ჩვენთან ასეთი ამბავია, ვინც მდიდარია*

შესყიდული აქვთ 10-15 ჰექტარი. გლეხმა, მშიერი რომ არა ყოფილიყო, გაყიდა ვენახი. 400 ლარში გავყიდე ჩემი ვენახი. რომ გამითავდა ის ოთხასი ლარი გამოველ ბაზარში, დავიწყე ყიდვა-გაყიდვა რომ ლუკმა-პური ვიშოვოო“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

როგორც ინფორმატორი გადმოგვცემს, ვაჭრობით უკეთესად არჩენს ოჯახს, ვიდრე ამას მიწაზე მუშაობით ახერხებდა, რადგან „გლეხის ნაშრომს ფასი არ აქვსო“, ამავე დროს თავადაც ცდილობს რაც შეიძლება იაფად იყიდოს გლეხისგან პროდუქცია და ძვირად გაყიდოს.

მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი საბაზრო ფასებიც რაც მათი აზრით გამოწვეულია საქართველოში საზღვარგარეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანით, იმავე დროს, რა დროსაც ადგილობრივი, იგივე დასახელების პროდუქტი მწიფდება, შემოაქვთ ბაჟის გარეშე, იაფად და მათი მოწეული პროდუქციის ფასი ეცემა, შესაბამისად, მათ შრომასაც აზრი ეკარგება.

გარდა ზემოჩამოთვლილი მიზეზებისა, სოფლის მეურნეობის დაგეგმარების მოშლამ, მოთხოვნა-მიწოდებაზე გაჩენილმა დისბალანსმა, იმოქმედა ფასებზე რამაც, რა თქმა უნდა სოფლის მცხოვრებნი დააზარალა. ამის გარდა, საქართველოში „ინტენსიურად დაიწყეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე ორიენტირებული მონოპოლიების შექმნა. ლიბერალური საბაზრო პოლიტიკის ეგიდით საზღვარზე ყოველგვარი შემოწმების გარეშე, საეჭვო წარმომავლობის (გენმოდიფიცირებული) ხილის, ბადჩეულის, ხორცისა და ხორცპროდუქტების შემოტანა. ქვეყანაში გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური“ (ჯიბუტი, 2014, 5). განბაჟების გარეშე შემოტანილმა იმპორტულმა კვების პროდუქტებმა, დაბალი ფასის გამო, ადგილობრივი სოფლის მეურნეობა დააზარალა: გლეხი ვეღარ ყიდდა მოწეულ მოსავალს და ამიტომაც მიწების უმეტესობა გლეხობამ 2012 წლამდე გაყიდა. ისტორიულად კი საქართველოს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონდა. „განსაკუთრებით განვითარებული იყო მიწათმოქმედება – მარცვლეულის მეურნეობა და მევენახეობა-მეღვინეობა. ამდენად ამ პროდუქტებით ვაჭრობას საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქართული მარცვლეული და ღვინო უძველეს დროიდანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა. „ჩვენთვის მეტად ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე სხვა ქვეყნებიდან სასურსათო პროდუქტების იმპორტი არასდროს არ განუხორციელებია“ (ჯიბუტი, 2014, 44).

ვენახების გაყიდვის, ან უპატრონოდ დაგდების ერთ-ერთი მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო სოფლიდან დიდი მანძილით დაშორება, რამაც ზოგიერთ სოფელში კატასტროფულად შეამცირა ვენახების რაოდენობა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვენახების სოფლებიდან დაშორებით განსაკუთრებით გამოირჩევა სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტები. ასე მაგ; სიღნაღის მასალების მიხედვით: სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში დღეს *„ვენახი დაახლოებით 40-45 ჰექტარზეაა, ბევრი*

იყო, დაახლოებით 200 გექტარზე იყო გაშენებული, მაგრამ გაიჩეხა რაც კოლმეურნეობა დაიშალა".

„ზემო მაჩხაანში მამაიაშვილი რომ იყო თავჯდომარე, ქუხდა ეგ სოფელი. მიწები შორს ჰქონდა მაგ სოფელს, სულ სოფლის გარშემო ხომ არ არის მიწა, ზოგი შორს არის, ეხლა ვერ დაამუშავა ხალხმა. მაგრამ მაშინ, მშვენიერი ავტობუსებით დაგვყავდა ხალხი სამუშაოდ. ეხლა ვეღარ ჩადიან" (ბურდული, დედოფლისწყარო, 2017). მსგავსი პრობლემები იყო თითქმის ყველა სოფელში.

„როდესაც განაწილდა მიწები და მოსახლეობას დაურიგდა 25 მეასედი ვენახები, იმდენად შორს არის, ტრანსპორტი არა აქვს ხალხს რომ წავიდეს და ეს მიწები დაამუშაოს. ფეხით ვერ მიდიოდნენ და ტრანსპორტის საშუალება ყველას არ ჰქონდა, იძულებული გახდნენ ეს მიწები გაეყიდათ".

როგორც გადმოგვცემენ, ძირითადად კოლმეურნეობებს დროს გაშენებული და მიწის რეფორმის შემდეგ გლეხობისათვის გადაცემული ვენახები გაიკაფა. ყურძნის გაუფასურებამ, ფულის ინფლაციამ, კუპონების შემოღების შემდეგ საერთოდ აღარ უღირდათ ვენახის მოვლა, ზარალიანი იყო, და *„გაიკაჭა, გაოხრდა და დარჩა ცარიელი მიწები."*

ქვემო მაჩხაანს მამა-პაპური სახნავ-სათესი მიწები: ვენახი, სათესი, სახნავი, აქვს ხორნაბუჯში. *„ძველად კოლმეურნეობები იყო, მანქანები მოძრაობდა, მიყავდა ხალხი და მოყავდა. უფრო ადრე სხვა დრო იყო, სხვა მოთხოვნილებები ურმებით, ტაჭკებით ჩადიოდნენ ჩვენი წინაპრები. ჩვენც ჩავდივართ კიდეც, მაგრამ ტრანსპორტირება ძალიან ძვირი ჯდება. იმის გამო რომ ძალიან შორს არის ნაკვეთები გაყიდა ხალხმა"* (ბურდული, სიღნაღი, 2016). მოსახლეობის ნაწილმა ამოძირკვა ვენახი, ნაწილი გატყეურდა, ამოვარდა. დღეს თავიდან აშენებენ, მაგრამ სწორედ იქცევიან თუ არა არ იციან, როგორ წარიმართება ცხოვრება, „ყურძენს ფასი ან ექნება ან არა, ეგეც არ ვიცით"–ო.

საგარეჯოს რაიონში ყველაზე ცნობილი ადგილწარმოების ღვინო მანავის მწვანეა. ამ სოფელში ვენახი 1200 ჰექტარზე იყო გაშენებული და 7000 ტონა ყურძენი იკრიფებოდა. *„1200 გექტარი ვენახიდან აღარაფერი არ არის აქ, მანავში. განადგურდა. ახლა რაც გლეხობას ისტორიულად ჰქონდა ისღა არის. რაც საზოგადოებრივ სექტორში იყო აღარაფერი აღარ არის. ვაზი იყო აქ (სადაც რესპოდენტი ახალ ვენახს აშენებდა ცარიელ მინდორზე ინტერვიუს ჩაწერის პერიოდში მ.ბ.) ისტორიულად, გაკაფეს, გაჩანაგდა, ვერ მოუარეს, მავთული აუშვეს, 90-იან წლებზე ვამბობ. ახლა პირადად მე ვაზი გავაშენე".* (ბურდული, საგარეჯო, 2016).

მიუხედავად სიძნელეებისა, მთლად უვენახო გლეხი კახეთის სოფელში არ არის, რაღაც პატარა ნაკვეთები მაინც აქვთ დატოვებული, სადაც ოჯახისათვის საკმარისი ყურძენი მოჰყავთ. დღეს კახეთის სოფლებში კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი პროცესი მიმდინარეობს: სოფლის ზოგიერთი მცხოვრები სხვადასხვა მიზეზის გამო

ყიდის მიწას, ზოგი კი ყიდულობს. *„მე ვიყიდე ეხლა გაშენებული ვენახი ნახევარი ჰექტარი 10 000 ლარად. წინა ვენახი, რამდენიმე წლის წინ, ვიყიდე სამიათას ლარად 50 მეასედი, ანუ ნახევარი ჰექტარი. დღეს ხალხი უკვე ცდილობს ახალი ვენახის გაშენებას. ძირითადად რქაწითელს აშენებენ. ღირებულება საფერავს აქვს უფრო მაღალი, მაგრამ მოსავლელად უფრო რთულია. წინანდალში მაგალითად 60-40-ზე აქვთ საფერავი და რქაწითელი“.* მოტანილი მასალის მიხედვით მიწის ფასი სამჯერ და მეტადაა გაზრდილი, რაც უდაოდ მისასალმებელი ფაქტია.

სოფელ აკურის მცხოვრებთა გადმოცემით წინათ ყველაფერი მოჰყავდათ, ჰქონდათ: ვენახი, ბაღი ბოსტნეული, მარცვლეული. მიწები რომ დარიგდა გლეხს ჰექტარი შეუსრულეს. დღეს ვისაც მიწა აქვს, ძირითადად მეზობლებისაგან შეისყიდეს. ვისაც ბევრი მიწა აქვს მექანიზაციაც თავისი აქვს. აკურაში ღვინის ქარხანა იყო და ეხლაც არის. ამიტომ ყურძნის ჩაბარებაზე არა აქვთ პრობლემა, პრობლემა ფასშია: *„შარშან სამოც თეთრადად ჩაიბარეს ყურძენი სამოცი თეთრი ყურძნისთვის ძალიან იაფია. ყურძნის საწამლი წამლები გასაყიდად გამოდის ძველი და ძალიან ძვირი ღირს. შაბიამანი ძველად ღირდა 50 თეთრიი და ეხლა ღირს 7-8 ლარი“ (ბურდული, თელავი, 2016).*

„ჩვენს სოფელში (აკურა) ბევრი ოჯახია 5-10-15-20 ჰა და მეტი მიწა რომ აქვთ. ზოგი სახელმწიფოსგან აქვთ გამოსყიდული, იჯარით რომ ჰქონდათ აღებული ის, ზოგი მეზობლებისგან შეიძინეს, ზოგმა გაყიდა მიწა, მე პირადად 10 ჰექტარი მიწა ვიყიდე, მაგრამ მერე გავყიდე, გაჭირვების გამო. 4 ჰექტარზე მქონდა საფერავი ჩაყრილი, 2004 წელში იმდენად გაფუჭდა საქმე, რომ ყურძენს ფასი დაეკარგა, ბაზარი აღარ იყო, არ იყიდებოდა, მუშის ფულსაც ვერ ვიღებდით, ამიტომ ჯერ გავჯაგე ვაზი, მერე გავყიდე მიწა. ეხლა მაქვს ცოტა ჩემი სამყოფი“ (ბურდული, თელავი, 2016).

უნდა აღვნიშნო, რომ XX ს. 60-იან წლებში სოფელ აკურის ეთნოგრაფიული ყოფა და სამეურნეო კულტურები შესწავლილი აქვთ ქართველ ეთნოგრაფებს, რაც საშუალებას გვაძლევს შევუდაროთ მევენახეობაში დღეს არსებული მდგომარეობას. ავტორების დაკვირვებით სოფელში ადგილი ჰქონდა კომლების დაჯგუფებას, რომელთაგან ერთის მეურნეობაში მევენახეობა იკავებდა წამყვან ადგილს, ხოლო მეორისაში – მესაქონლეობა-მემინდვრეობა რჩებოდა თავის ძველ მდგომარეობაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანაასკნელიც ერთეული კომლის ხელში ვითარდებოდა და იზრდებოდა. როგორც ერთი ისე მეორე მდგომარეობა დამახასიათებელი ჩანს „ოჯახიშვილების“ მეურნეობისათვის (რუხაძე, ლეკიაშვილი, ჭყონია, 1964, 39).

სოფელი აკურა არ განეკუთვნება ძველიდანვე მევენახეობა-მეღვინეობით განთქმულ სოფლებს. ინტენსიური მევენახეობის სოფლად საბჭოთა ხელისუფლების წლებში იქცა. პირველი არტელი სოფელში 1926 წელს დაარსებულა, რომელსაც „ვაზი აშენე“ ერქვა. „ეს სახელწოდება არტელისა სრულიად შეესაბამებოდა მის საქმიანობას, რომელიც ძირითადად ვენახის გაშენებაში გამოიხატებოდა. გლეხობამ კარგად იცოდა, რომ კახელი გლე-

ხის ცხოვრებაში ძირითადი შემოსავლის წყარო ვენახი იყო" (რუხაძე,.... 1964. 25). რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს ქართველი კაცისთვის ეს კარგად ჩანს აკურელი გლეხების მოთხოვნაში. კოლმეურნეობების დროს ბრიგადები სამეურნეო დარგების პროფილის მიხედვით იქმნებოდა, აკურელებმა მოითხოვეს, „რომ ბრიგადები არ ყოფილიყვნენ მხოლოდ მემინდვრე, ან მხოლოდ მევენახე, რასაც იმით ამართლებდნენ, რომ უვენახოდ ქართველი კაცი ვერ გაძლებს ცოდვაა, ხალისი არ ექნება მუშაობას და სხვ. „ვენახი ახალისებს გლეხს", მიუხედავად იმისა რომ ვენახში დღედაღამ შრომაა საჭირო. „ქართველი დაჩვეული იყო მამა-პაპიდან – სარჩოც მოყავდა და ვენახიც ჰქონდა" (რუხაძე.. 1964. 40).

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის ბევრ სოფელში ვერ დავადასტურეთ ვენახების გაჩეხვის ფაქტები, იუკადრისეს კიდეც: მაგალითად, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის მცხოვრებნი თვლიან, რომ: „*სოფელში ვენახების გაჩეხვას ვერ დავარქმევ, უფრო ამოვარდნა ხდებოდა მოუვლელობით. გაჩეხვა სხვაა და ამოვარდნა სხვა, როცა რამდენიმე წელიწადი არ გაისხვლება, არ მოიხვნება – ვაზი თვითონვე ნადგურდება, მოსავალს იძლევა უფრო და უფრო ნაკლებს, და ბოლოს სულ ფუჭდება.*"

ვარდისუბნელებისაგან განსხვავებით რუისპირელები აღიარებენ, რომ ვენახების გაჩეხვას ადგილი ჰქონდა: „*მძიმე პერიოდში გაჩეხეს ვენახი და ატამი ჩაყარეს. ყურძნის ფასი წელს, შარშანდელთან შედარებით განახევრდა., სტაბილური არ არის, ცვალებადია. ჰექტარზე ჩვენთან დაახლოებით 15 ტონა ყურძენი მოდის, შეიძლება მეტიც – მოვლაზეა დამოკიდებული. მიწა სავენახედ კარგია. რუისპირის მიწები ძალიან კარგი მიწებია. სოფლის პრობლემა სარწყავის უქონლობაა. მილები ბოლომდე არ ჩადის. ვენახისთვის კარგია თუ მორწყავ. წელს ძალიან გვალვა იყო და რომ არ მოგვერწყა, ვაზი გახმებოდა*".

ზოგჯერ მევენახე იძულებული ხდება სულ სხვა მიზეზით გაკაფოს ვენახი, ერთ-ერთი წარმატებული მევენახე ფერმერი გვიამბობს: „*მე მქონდა სადღაც სამი ჰექტარი ვენახი. ახლა მაქვს ორი ჰექტარი. ერთი ჰექტარი გავყიდე. ჩემს გარშემო ყველამ გაკაფა ვენახი, მარტო ჩემი იყო დარჩენილი. გარშემო მარტო სიმინდი ითესებოდა, წარმოიდგინეთ ხოდაშნის ცენტრში შუაში იყოს ერთი ჰექტარი ვენახი და გარშემო სულ ტრიალი მინდორი იყოს, იქ საქონელი აფუჭებდა, მავთულს იპარავდნენ, ჩალის შესაკონად, იძულებული გავხდი რომ გამეკაფა და გამეყიდა. იმის სანაცვლოდ სხვაგან ვიყიდე და იქ ვფიქრობთ ეხლა ვენახის გაშენებას. სადღაც ერთი 5 ჰექტარი მაქვს და მინდა გავაშენო ხიხვი, ქისი, მწვანე, შეიძლება საფერავი, ან კიდევ კახური მცვივანი, ძველი კახური ჯიშები მინდა, რქაწითელი არ მინდა, რქაწითელის ჭარბი მოსავალია*" (*ბურდული, ახმეტა, 2015).*

კახეთში ვენახების ასე დაშორებას სოფლიდან თავისი მიზეზი ჰქონდა, – ეთნოგრაფიული ურიდან ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სამოსახლო ადგილისა და სამეურნეო მიწების ხარისხი განსხვავებული იყო, დასასახლებლად ნაკლებმოსავლიან ადგილებს ირჩებდნენ, ამის გამო სა-

მეურნეო სავარგულები სოფლებიდან საკმაოდ დაშორებულია. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებთან ახლოს ვენახი ნაკლებ მოსავალს იძლევა. სოფელ ვარდისუბნის მონაცემებით თუ ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა სოფლის ვენახების ზოლში არის 14 ტონა, სოფელთან ახლოს, ეზოში ვისაც აქვს, შეიძლება მოიყვანოს 2-3 ტონა, საუკეთესო შემთხვევაში – 7 ტონამდე.

„სოფლის მიწები და იქაური მიწები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ამის გამო მოხდა დასახლება აქ. მწირ მიწიანზე დასახლდნენ და უხვმოსავლიანი ადგილები შემოინახეს სახნავ-სათესად“. (ბურდული, თელავი, 2016).

ბოლო რამდენიმე წელია ყურძნის ჩასაბარებელი ფასი მეტ-ნაკლებად მისაღები გახდა და გლეხებმა ისევ დაიწყეს ვენახის გაშენება. ძირითადად რქაწითელის და საფერავის ვენახებს შენდება. როგორც გლეხები ამბობენ, ძლიერი და ამტანი ვაზია რქაწითელი, ვიდრე სხვა ჯიშები. მწვანე, საფერავი ძალიან სათუთი ვაზია, რთული მოსავლელია. *„რქაწითელი თვითონ ეხვევა ვაზს, ადვილი მოსავლელია, ამბობენ რქაწითელი ეხმარება გლეხსო, თავის თავს თვითონ უვლისო. საფერავიც გააშენეს – ცოტა შეძლებული ვინც არის. კოლმეურნეობის დროსაც ვენახები თავის საკმარი ყველას ჰქონდა. აი გარე მიწები რომ დაგვირიგეს, თითქმის სულ გაჩეხილი იყო. იმ მიწებიდან ერთი 10–20 ჰექტარზე თუღა იქნებოდა ვაზი. ახალგაშენებული ვენახების ფართობი 200 ჰექტარამდე ავიდა. სოფელში არის ოჯახები 5, 6, ჰექტარი მიწა ვისაც აქვს. ნიკუშა ხოხობაშვილი, გოდერძი გოდერძიშვილი, ჯუგაშვილი... სხვები, დაქირავებული მუშახელით უვლიან ვენახს. ფული ვისაც ჰქონდა მეზობლებისგან შეისყიდეს მიწები. საერთო გაუნაწილებელი მიწა სოფელში არ დარჩა. მარტო საძოვარი დაუტოვეს სოფელს. (ბურდული, თელავი, 2016*).

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე სოფლად საზოგადოებრივი მეურნეობის ორი ფორმა არსებობდა, – საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, მიწის რეფორმის შედეგად სოფლის მაცხოვრებლები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, კერძოდ კოლმეურნეებმა მიიღეს 1,25 ჰა, ხოლო საბჭოთა მეურნეობის მუშებმა – 65 მეასედი. *„საბჭოთა მეურნეობა სადაც იყო, მიწა ეკუთვნოდა სახელმწიფოს და კოლექტივის მიწა ხალხისა იყო. სოფელს ეკუთვნოდა და კოლექტივის წევრებზე განაწილდა, ჰექტარი და 25 მეასედები შეხვდათ ყველას და აგრეთვე არენდითაც გაიცა მიწები. არენდით გაცემული მიწები უმრავლესობამ შეისყიდა. სოფლად მაცხოვრებელ მოსამსახურეებს, – მასწავლებლებს, ექიმებს და სხვ. მიეცათ 0,75 ჰექტარი.“*

იმ სოფლის მაცხოვრებლები კი სადაც საბჭოთა მეურნეობა იყო, მიწის ასეთ განაწილებას არასამართლიანად თვლიან და თავს მოტყუებულად გრძნობენ. ასე მაგალითად, მთხრობელთა გადმოცემით სოფელი ხირსა, ძალიან დაიჩაგრა მიწების პრივატიზაციის დროს. სოფელში კოლმეურნეობა არ იყო, იყო – ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ამ სოფელში

დარიგდა მხოლოდ 15 მეასედი სახნავი და 16 მეასედი ვენახი, დანარჩენი მიწა ისევ მეურნეობას დარჩა.

იმ დროს ხირსის ღვინის ქარხნის და შემდეგ მეურნეობის დირექტორიც იყო ტაბატაძე. როგორც რესპოდენტი მოგვითხრობს: *„ტაბატაძემ მოგვატყუა, გვითხრა სჯობია მეურნეობა შევინარჩუნოთ, სამუშაო გექნებათ, მიწებიც გაგეზარდათ და სხვა სოფლებზე უკეთესად იქნებითო. პირველი სამი წელი მეურნეობამაც და ქარხანამაც მართლა იმუშავა. მეზობელი სოფლები, სადაც მიწები დარიგდა, ჩვენ შემოგვნატროდნენ, იმიტომ, რომ ტექნიკის გარეშე ვერ ამუშავებდნენ მიწას, გაუჭირდათ. მაგრამ ეხლა ისინი კარგად არიან, ჩვენ კი უმიწოდ დავრჩით. (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ხირსაში 500 ჰექტრამდე ვენახი იყო გაშენებული და მერე „გაკაჭა“//გაკაფა ხალხმა, ან მოუვლელობით გადაშენდა, მაგრამ როგორც მთელ კახეთში, ისე ამ სოფელშიც ისევ დაიწყეს ვენახის გაშენება, უკვე 50 ჰექტრამდე ახალი ვენახია გაშენებული. როგორც ერთ-ერთი მთხრობელი გადმოგვცემს, დაზღვეულები არ არიან რომ ნაყიდი მიწა შერჩეთ, რომ შენს მიერ ნაყიდი მიწა მეორედ არ გაიყიდოს: *„მე 2 ჰექტარი ვენახი მაქვს გაშენებული, წელს უკვე მოსავალს ველოდი, მაგრამ მაისში მოსულმა სეტყვამ გამინადგურა. მიწა სოფელს არა აქვს, რაც დაგვირიგდა ისაა, მაგრამ ზოგი ყიდის, ზოგი ყიდულობს. მე ვიყიდე, მაგრამ უპატრონობაა, ჩემს ნაკვეთში ისე შევიდნენ და ანძა დააყენეს არც უკითხავთ. მეზობლებმა რომ შემატყობინეს და მივედი უკვე გადათხრილი ჰქონდათ – „ჩვენ რას გვერჩი, ჩვენც ვიყიდეთო“ – მითხრეს. „ნაციონალების“ დრო იყო, მხარზე ხელი დამარტყეს და მითხრეს „მოვრიგდებითო..“ ასე მოვრიგდით, წამართვეს ჩემი ნაყიდი მიწის ნაწილი“* (ბურდული, სიღნაღი, 2016)

სოფლის მაცხოვრებლების გულისტკივილს იწვევს აგრეთვე მათგან ფარულად სოფლის მიწების გაყიდვაც: „სოფლის მაცხოვრებლებს არ გვატყობინებენ, ისე ტარდება ვითომ „ტენდერები“, ეგებ ჩვენ ვიყიდოთ და დავამუშაოთ, ისე ხომ მაინც არ დავაგდებთ, როგორც ეს გაყიდული მიწებია დაყრილი“-ო, – გადმოგვცემენ სოფლის მცხოვრებლები. ამ პრობლემაზე თითქმის ყველა სოფელში ლაპარაკობენ.

საბჭოთა მეურნეობა იყო ილიაწმინდაშიც, ხირსისგან განსხვავებით აქ 65-65 მეასედი დარიგდა, ანუ ორჯერ მეტი აქვთ მიწები. მაგრამ დანარჩენი მიწები გაიყიდა. სოფელს საბჭოთა მეურნეობის დროს ჰქონდა 1800 ჰექტარი, სოფლის მაცხოვრებლებზე გაიცა დაახლოებით 200-300 ჰექტარი, დანარჩენი მიწები დღეს, როგორც ვიცით, ეგვიპტელების საკუთრებაა. სოფლელებს იმის საშუალებაც არა აქვთ, რომ არენდით აიღონ მიწა, რადგან თავისუფალი მიწა აღარ არის დარჩენილი.

ძალიან საინტერესო მასალა ჩავიწერეთ სოფელ ნუკრიანში მიწის რეფორმის მიმდინარეობისას განვითარებულ მოვლენებზე, როგორც ჩანს აღნიშნულ პერიოდში, სოფლის ხელმძღვანელზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული, *„რა დაშავდა საკანონმდებლო დონეზე მე ვერ ვიტყვი, მაგრამ 25 მეა-*

სედები დარიგდა ჩვენთანაც, – ნუკრიანში, თითო ოჯახზე, ჩვენთან ნუკრიანში იყო ორი კოლმეურნეობა სოფლის ქვედა ნაწილს – კალოებს ეძახიან, იქ უფრო გონიერი თავმჯდომარე იყო, რომელმაც ძალიან დიდხანს შემოინარჩუნა ეს კოლმეურნეობა კოოპერატივის სახით და ხალხს რაც ეკუთვნოდა, ხელფასებს რომ ვედარ გასცემდა, საპაიო ნაწილად გაანაწილა მიწები, ამ პაი-ში ხალხს დაურიგდა ვენახები, და დღეს, ბევრად მდიდარი ხალხი ცხოვრობს სოფლის ქვემო ნაწილში, ვიდრე ჩვენთან. თბილისიდან რომ შემოვდივართ, ვიდრე ადმართს შემოვუყვებით ეგ არის ნუკრიანის ქვემო ნაწილი, ერთი სოფელია, უბრალოდ ორი კოლმეურნეობა იყო" (ბურდული, სიღნაღი, 2016).

მიწის რეფორმის პირველ წლებში კახეთის სხვა სოფლებმაც შეინარჩუნეს კოლექტიური მეურნეობები. ეთნოლოგ მ. ქანთარიას მიხედვით: „გურჯაანის სოფლებში მიწის პრივატიზაცია ისეთივე პრინციპით ჩატარდა, როგორც კახეთის სხვა რეგიონებში, მაგრამ ბევრ სოფელში, განსაკუთრებით უკანამხარში კოლმეურნეობები და მეურნეობები არ დაშლილა. მოსახლეობას ურჩევნია ერთობლივად დაამუშაოს მიწები, ხოლო სადაც დაიშალა კოლმეურნეობა მაგ. სოფ. არაშენდაში, დაადგინეს ჩამოაყალიბონ კოოპერატიული მეურნეობები. ოცამდე კომლმა შეიძლება აიღოს იჯარით საერთო მასივი და შეერთებული ძალებით დაამუშაონ. კოლექტიურ საკუთრებას ბევრ სოფელში ანიჭებენ უპირატესობას (ქანთარია, 2004, 115).

უნდა აღინიშნოს, რომ მევენახეობის წამყვან მუნიციპალიტეტებშიც ყველა სოფელში მევენახეობა ტრადიციული არ იყო. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში ვენახის მოვლა და ღვინის წარმოება ტრადიციული არ იყო. კოლმეურნეობის დროს გაშენდა და პირველი მოსავალი 1988 წელს მიიღეს. როდესაც მიწები განაწილდა, მოსახლეობას იმ ახალგაშენებული ვენახებიდან დაურიგდა 25–25 მეასედი, მაგრამ სოფლიდან იმდენად შორს არის ეს მიწები რომ იძულებული გახდნენ ეს ვენახები გაეყიდათ. მიწების პრივატიზაციის შედეგად ძალიან დაქუცმაცდა სავარგულები, რის გამოც ჭირს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაც.

უცხოელები განსაკუთრებით დაინტერესებულნი არიან მიწების ყიდვით სიღნაღის მუნიციპალიტეტში. ცნობილი წნორის მეცხოველეობის კომპლექსის დანგრევის შემდეგ (ცნობისათვის იქ 23-24 ათასი მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ) მისი კუთვნილი მიწები შეისყიდეს ინდოელებმა. ერთი პერიოდი ძალიან ბევრი მიწები ჰქონდათ არაბებსაც, მაგრამ შემდეგ რაღაც მოხდა (რა მოხდა ხალხისათვის უცნობია), წავიდნენ არაბები და მიწები ისევ სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. როგორც გადმოგვცემენ ინდოელები ვენახის გაშენებითა და მოვლით დაინტერესებულები არ არიან, მათი ძირითადადი საქმიანობა მემინდვრეობაა, ხორბალი მოჰყავთ.

სოფელ ხოდაშენში (ახმეტა) სამას გექტარზე მეტი ვენახი განაწილდა გლეხებზე. 2015 წელს, სოფლის თვითმმართველობაში გადმოგვცეს, რომ იქიდან 50 გექტარი ვენახიღა იყო დარჩენილი. *„20 თეთრადაც არავის არ უნდოდა მაშინ ყურძენი, მოვლა ძვირი იყო, ტექნიკა აღარ იყო, დაიშალა*

ყველაფერი და რა ექნა გლეხს, გაკაჭა, ეხლა დაედო ფასი და დაიწყეს გაშენება“.

კახეთის თითქმის ყველა სოფელში ბევრს აქვს 5 ჰექტარზე მეტი მიწა ნაყიდი, მაგრამ როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს: *„მიწის რეფორმის შედეგად მიღებული 1,25 ჰა კი არა 25 ჰექტარიც ცოტაა ძლიერ სამეურნეო ერთეულად ჩამოყალიბებისათვის და შესაბამისად ღირსეული ცხოვრებისათვის“.* დიდი ნაკვეთების მფლობელები, როგორც წესი შერეულ მეურნეობას ეწევა: მემინდვრეობას, მევენახეობას, და სხვ.

ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობას ჰქონდა 300-400 ფექტარი ვენახი, იმ ვენახებიდან დღეს არაფერი აღარ დარჩა. კოლმეურნეობის დროს სოფელში მევენახეობის 9 ბრიგადა მუშაობდა, ყურძნის მოსავალი 2000 ტონაზე ადიოდა. ქვემომაჩხაანელი ფერმერი ზურა ჭუჭულაშვილი გადმოგვცემს: *„60 ჰექტრამდე მიწები მაქვს. ცოტა-ცოტა მე ყველაფერი მაქვს, მემინდვრეც ვარ, მევენახეც. ზოგი იჯარით მქონდა აღებული და მერე შევისყიდე. ჰექტარი და 25 მეასედი მქონდა როგორც ყველას როცა დარიგდა მიწები. ვენახი მაქვს 12 ჰექტარი. რქაწითელი მაქვს გაშენებული. ჩვენს სოფელში სხვა ჯიში არ ყოფილა. წელს კარგი მოსავლაი მაქვს ვენახისაც, ოდნავ დამესეტყვა. მუშახელით ვამუშავებ რა თქმა უნდა, კი იშოვება მუშა. სეზონურად რომ დაგყავს, შეიძლება გაგიჭირდეს მუშის შოვნა მაგრამ ბრიგადას მუდმივად რომ ვამუშავებ, არ მიჭირს შოვნა. 9 ადამიანი მუდმივად მყავს დასაქმებული“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

არიან ისეთებიც, რომელთაც მიწა გაქირავებული აქვთ: „45 მესედზე მაქვს ვაზი და იმას ვუვლი, დანარჩენი მიწა გაქირავებული მაქვს და სხვები ამუშავებენ. სოფელი დაცლილია, მუშას ვერ იშოვი. ყურძნის ფასი არის ძალიან დაბალი. 2 წლის წინ მოგვცეს კარგი ფასი საფერავი 2 ლარ ნახევარზე ავიდა, შარშან აღარ მოგვცეს. ერთ წელიწადს რომ ფასი დაედო ყურძენს ხალხი გახალისდა და დაიწყეს ახლიდან გაშენება ვენახისა. ახლა რა იქნება არ ვიცით, სტაბილურობა არ არის, ძნელია გლეხისთვის, კოლეურნეობის დროს ვაქირში დიდძალი ვენახები იყო გაშენებული. მე აგრონომად ვმუშაობდი. არ იყო პრობლემა არც ჩაბარების არც მოყვანის. ხალხი კმაყოფილი იყო. 2 000 ტონა ყურძენს ვაბარებდით კლმეურნეობა. მერე რომ დაიშალა კოლმეურნეობა და გაიცა ეს ვენახები მოსახლეობაზე ნახევარზე მეტი ამოიძირკვა“ (ბურდული, სიღნაღი, 2016)..

მთხრობელთა გადმოცემით მევენახეობის სოფელია ვაქირი, სადაც პრიორიტეტული მდგომარეობა აქვს ვაზს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამოძირკული ვენახების ვაზის ჯიში იყო ვაქირულა. ეს ის შემთხვევაა, როცა სახელმწიფოს მოთხოვნით გაიჩეხა ვენახები. კოლმეურნეობაში ნამუშევარი ვაქირელი აგრონომის გადმოცემით – ეს ვაზი ჰიბრიდული ჯიშის იყო. სოფლის მეურნეობის კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევითი ანალიზები და დადო დასკვნა, რომ ეს ჯიში არ არის კულტურული ვაზი, ანუ ჰიბრიდია. ვაქირულა ნაცარს უძლებს, ვერცერთი კულტურული ჯიში ნაცარს ვერ უძლებს, ყურძნის ხარისხიც დაბალი აქვს, შესაბამისად ღვინოც

დაბალი ხარისხის გამოდის. მაგრამ რადგან შავი იყო და ღვინოც გაჰქონდათ რუსეთში ყურძენს ფასი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ ვაქირულას ჯიშის ყურძენს აღარ იღებდნენ ღვინის ქარხნები. როგორც უხვმოსავლიანი ვაზი გლეხებს მოსწონდათ. *„ნიადაგის პირობების მხრივაც ნაკლებმ მომთხოვნი იყო, დიდ მოსავალს იძლეოდა და მოვლაც ნაკლები სჭირდებოდა, ღვინოც კარგი დგებოდა. მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს ჯიში არ არსებობდა, შემოტანილი იყო ჭიათურის რაიონის სოფელ ჩიხურადან, გავრცელდა ძირითადად ვაქირში, ამიტომ დაუძახეს ვაქირულა. დაადგინეს რომ ეს იყო ჰიბრიდი და არა ჯიში, მავნე იყო. სააკაშვილის დროს ვაქირში გაიკაჭა 300 ჰექტარი ვაქირულას ჯიშის ვენახი. ჰიბრიდული ჯიშის ღვინო არ გადიოდა საზღვარგარეთ და გააკაჭინეს ხალხს“* (ბურდული, სიღნაღი, 2016). სახელმწიფომ ერთი ჰექტრის გაჩეხვაში//„გაკაჭვაში“ 2000 მანეთს მისცა გლეხს. მუდმივად პრობლემა ჰქონდა სახელმწიფოს ამ ჯიშის ყურძნის ჩაბარებისას. ხალხს უთხრეს, მერე პრეტენზია არ გქონდეთ ვერ მივიღებთ მაგ ყურძენსო და დაურიგეს თანხები რომ გადაჭერით და სხვა ჯიშები გააშენეთო. სოფლელებმა ვენახები კი გაკაფეს, მაგრამ ახალი აღარ გაუშენებიათ. 2000 ლარი არ ჰყოფნის ახალი ვენახის გაშენებას. ვაქირულას ჯიშის ვაზი *„ცოტაღა დარჩა, ეხლა იბარებენ ძალიან დაბალ ფასში, 25 თეთრს გვაძლევენ. იყო ასეთი წელიწადი რომ საერთოდ არ ჩაიბარეს და ზედ დალპა ვაზებზე ყურძენი. გვაიძულეს რომ გაგვეკაჭა. გაკაფულ ნაკვენახარებში ზოგმა ახალი ვენახი გააშენა, ნაწილი ნაკვეთებისა ისე გდია, საძოვრებად არის გადაქცეული. ეხლა ძირითადად რქაწითელი და საფერავია გაშენებული“.*

მცირემიწიანი გლეხი ნაკლებად აშენებს ახალ ვენახს, ნაკვეთის მყიდველი ცდილობს თავის ნაკვეთთან ახლოს იყიდოს, სოფელში მეზობლები ერთმანეთშიც ცვლიდნენ ნაკვეთებს, რადგან რეფორმის შედეგად მიღებული მიწები ერთიმეორისაგან საკმაოდ დაშორებული, დაქუცმაცებული იყო.

„ჩვენ სოფელში (კურდღელაური) დღეს იშვიათი ყიდის როგორც ვენახს, ისე სახნავს, ყიდულობს უფრო მისი მომიჯნავე სიახლოვეს მყოფი მეზობელი. ჩვენთან მევენახოებაა წამყვანი კულტურა. ყოველწლიურად შენდება უფრო მეტი ვენახი. დაახლოებით 1500 გექტარია კურდღელაურის ტერიტორია, აქედან დაახლოებით 400 გექტარი ვენახია“ (ბურდული. 2016).

ახალი ვენახების აქტიური გაშენების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია ყურძნის ჩასაბარებელი ფასის ცვალებადობა. *„ერთი პერიოდი საფერავი გააშენეს, დიდი მოთხოვნილება იყო, მერე ფასი დაეცა. ვენახის პატრონებმა ხუთ-ხუთ ჰექტარზე ვაზი გაკაფეს და თხილი ჩაყარეს. ეხლა საფერავის ფასმა მოიმატა. ხვალ რა იქნება არ ვიცით“* (ბურდული, თელავი, 2017).

მევენახეობის ერთ-ერთ ძირითად რაიონში, ყვარელში, რომელიც ქინძმარაულის ღვინის წარმოების ზონაა, ვენახები ნაკლებად გაიჩეხა. ყვარელი, სოფელ შილდაში ვენახის ფართობი 1000 ფექტრამდეა, ძირითადი ჯიშებია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე, პინო.

საინტერესო მასალა ჩავიწერეთ აგროდაზღვევის შესახებ სოფელ ენისელის მრავალპროფილიანი ფერმერის მერაბ ბეჟაშვილისაგან, რომელსაც აქვს 10 ჰექტარზე გაშენებული საფერავის ვენახი, – „ვენახი დაზღვეული მქონდა 100000-ად აგროდაზღვევით, სეტყვა მოვიდა, კომისიამ 80% დაზიანება დამიწერა, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ მომცეს 40000, თუ გინდა ესაა, თუ არა და კარგად იყავიო?!“.

კახეთის სოფლის მაცხოვრებლებს ეჭვი აქვთ, რომ დღევანდელი მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც 90-იანი წლების მიწის რეფორმის შემდეგ შეიქმნა, „ვიღაცეებმა სპეციალურად, ხელოვნურად შექმნეს“ – „*არ უნდა ყოფილიყო მელიორაცია, სარწყავი სისტემები უნდა მოშლილიყო, რომ იძულებული გამხდარიყო ხალხი მიწა გაეყიდათ, იყიდეს კომპანიებმა, ერთი და იგივე ხალხმა, ყველა რაიონში. ეხლა მაგათ ადგილებში მელიორაციაც ამუშავდა, წყალიც მივიდა და გზებიც დაქვიშეს, მაგათთვის ყველაფერი აღორძინდა. სად იგეგმება ეს პროგრამები არ ვიცი. რამოდენიმე კაცი ყიდლობს ნაკვეთებს და მერე იწყება აღორძინება, ჩემს ადგილში მევე დამაწყებინებს მუშაობას ფიზიკურ მუშად“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

უმიწოდ დარჩენილები დღეს დაქირავებულ მუშად მუშაობენ მსხვილი ფერმერებისა თუ კომპანიების ვენახებში. ასე იყო ისტორიულადაც: „უქონელი გლეხები დაქირავებული შრომით ირჩენდნენ თავს, შეძლებულნი კი დიდი მასშტაბით ეწეოდნენ მეურნეობას, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობას, რომელსაც თელავის მაზრაში უკვე იმ დროს სავაჭრო ხასიათი ჰქონდა მიღებული. პატარძეულელ სოლომონ ბუთურაშვილის ოჯახს (24 სული) ჰქონდა 300 დღიური მიწა, სამი ვენახი, რომლიდანაც აყენებდა 40 საპალნე (საპალნე–576ლ) ღვინოს. იმავე პატარძეულში ცხოვრობდა იორამ ზუკაკიშვილის ოჯახი (11 სული) 200 დღიური ვარგისი მიწით და 20 საპალნე ღვინის შემოსავლით. ასეთი მდიდარი გლეხები, რომელნიც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, საკმაოდ ყოფილა XIX ს-ის 20-30-იან წლებში თელავის მაზრაში (ბენდიანიშვილი, 1965, 109).

ვენახის გაშენება-მოვლასთან დაკავშირებული სიძნელეები: სავენახედ ადგილის შერჩევის შემდეგ იწყებენ ვენახის გაშენებას. ვაზის დარგვისა და ვენახის გაშენების ხალხური ტრადიციები კახეთში თავის დროზე შესწავლილი აქვთ ქართველ ეთნოგრაფებს (ი. ნანობაშვილს, ლ. ბოჭორიშვილს, ა. ლეკიაშვილს, ლ. ჭყონიას და სხვ.), ამიტომ ამ საკითხს ნაკლებად ვეხებით, ჩვენი ძირითადადი მიზანია 90-იანი წლების შემდეგ კახეთში მევენახეობის დარგში შექმნილ სიძნელეების შესწავლა და განვითარების პერსპექტივის ჩვენება. საინტერესოა, რომ ვენახით დაკავებული ფართობის შემცირებით XX ს-ის 90-იანი წლები შეიძლება შევადაროთ მე-20 ს-ის 20-იან წლებს, თუმცა გამომწვევი მიზეზები სხვადასხვა იყო. საქართველოს მევენახეობის რეგიონებიდან კახეთში ყველაზე გვიან, 1911 წელში დაფიქსირდა ვაზის საშიში დაავადება ფილოქსერა. კახეთში ვენახები ამ დროისთვის გაშენებული იყო ძირითადად საკუთარ ძირზე, რაც ფილოქსერას მიმართ ნაკლები გამძლეობით გამოირჩეოდა და ამან გამოიწვია ვენახების

მასობრივი განადგურება. „ვენახების დაღუპვა შესამჩნევი გახდა 1912-14 წლებში,.. ომის წლებში მუშახელის ნაკლებობისა და შესაწამლი მასალის (შაბიამანის, გოგირდის) უქონლობის გამო ვენახები მოუვლელი რჩებოდა და თანდათან სუსტდებოდა“ (მასალები,..1957, 146.), ამიტომ კახეთში მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დიდი ყურადღება დაეთმო ვენახის ფართობების გაზრდას საკოლმეურნეო, სახელმწიფო და კერძო სექტორში. შენდებოდა ძირითადად საწარმოო ჯიშები: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ქისი და სხვ.

კახეთში XX ს-ის 50-იან წლებში ჯერ კიდევ დიდი იყო რქით გაშენებული ვენახების ფართობი: „საკუთარ ძირზე (დაუმყნობელი) ვენახების ფართობი ამჟამად კახეთში მეტად დიდია და 1953 წლის შემოდგომაზე ჩატარებული აღწერით 6474 ჰექტარს ე.ი. ვენახების მთელი ფართობის 42% შეადგენდა (მასალები,..1957.153). საიდანაც დიდი წილი მოდიოდა კოლმეურნეობათა წევრებზე და მათი ვენახების ფართობებზე 75% შეადგენდა, საბჭოთა მეურნეობებში ასეთი ვენახის წილი იყო 4,8%, ხოლო კოლმეურნეობებში 11,8% არ აღემატებოდა. დაუმყნობელ ვენახებში ძირითადად გაშენებული იყო რქაწითელი, რომელიც შედარებით გამძლეა ფილოქსერის მიმართ, გარდა ამისა, საკარმიდამო ნაკვეთების სიმცირის გამო მისი განახლება სისტემატურად ხდებოდა, დაღუპული ვაზის ადგილზე ჯანსაღი რქის გადაწვენით (მასალები,..1957.153-154).

XX ს-ის 50-იან წლებში ნამყენი ვაზით ვენახის გაშენების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზს საძირე ვაზების სადედების სიმცირე წარმოადგენდა, მაშინდელი სტატისტიკური მონაცემებით იგი 325 ჰექტარს უდრიდა; რომელიც ძირითადად სამ რაიონში იყო თავმოყრილი, – გურჯაანში 113 ჰა, სიღნაღში 82 და თელავში – 57 (მასალები,..1957, 154).

XX ს-ის 60-70–იანი წლებიდან ჩანს, რომ „კახელი მეურნე ვენახს ვაზის რქით აღარ აშენებს. ვენახები ძირითადად ნამყენი ვაზით შენდება, თუმცა აღნიშნავენ „ქართული რქით“ გაშენებული ვენახის უპირატესობაზეც: რქით გაშენებული ვენახის სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტია, 60-80-100 წელი, ნამყენის 30-40; რქით გაშენებული ვენახის მოსავალი უფრო მაღალი ხარისხისაა და მისგან დაყენებული ღვინო მეტი სიმაგრით ხასიათდება; რქით გაშენებულ ვენახს ნაკლები მოწამვლა სჭირდება, 2-3 -ჯერ, ნამყენს 8-10-ჯერ; რქით გაშენებული ვენახი დაბარვას საჭიროებს 4-5-7 წელიწადში ერთხელ, ნამყენი – ყოველწელს; ნოტიო წელიწადში ნამყენით გაშენებული ვენახი იღუპება, რქით გაშენებული ძლებს; ნამყენით გაშენებული ვენახის უპირატესობა ფილოქსერის მიმართ გამძლეობაში გამოიხატება (ჭყონია, 1984, 276).

კახელი მევენახეების წინაშე დღესაც იგივე პრობლემაა, – ვენახის გასაშენებლად აუცილებელია კარგი ხარისხის ნერგი, რის სიმცირეს და სიძვირეს ყველა მევენახე ფერმერი უჩივის. აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის 90-ან წლებამდე კახეთის მევენახეობის ყველა ძირითად რაიონში იყო სახელმწიფო სანერგე მეურნეობები. მაგალითად, ახმეტაში ფუნქციო-

ნირებდა ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების სპეციალიზებული სანერგე მეურნეობა (18 ჰა სადედე ფართობით), რომელიც ყოველწლიურად აწარმოებდა დაახლოებით 4 მლნ სხვადასხვა ჯიშის მაღალხარისხოვან ვაზის ნამყენ ნერგს. დღეს აღარ არსებობს საძირე ვაზის სადედეები, საკვირტე მასალის აღება ხდება სტიქიურად, წინასწარი აპრობაციის გარეშე. ამჟამად საძირე კალმებს მოსახლეობა აგროვებს მიტოვებულ ვენახებში, საძირეზე ველურად განვითარებული ამონაყრებიდან, რაც მყნობისათვის უხარისხო და პოტენციურად დაავადების მატარებელია, ამასთანავე უცნობია საძირის ჯიშები.

გურჯაანის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო და საკონსულტაციო სამსახურის ოფიციალური მონაცემებითაც: აღარ არსებობს საძირე ვაზის სადედეები; მცირე ფართობებზეა საკვირტე მასალის მისაღებად საჭირო უხვმოსავლიანი მოდგმების (კლონების) ნარგაობები. ე.ი. უგულვებელყოფილია საძირე ვაზის ჯიშების სხვადასხვა ტიპის ნიადაგებთან შეგუების უნარი (ადაპტაცია) და საძირე და სანამყენოს ჯიშების ურთიერთშეგუების (აფინიტეტის) საკითხი. ცნობილია, რომ ამ ორი აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად წარმართვის შემთხვევაში მოსავლიანობა – 20-30% იზრდება, ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე (გურჯაანის.. 2016. 29-30).

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ უხარისხო და დაავადებული რქები სასურველ შედეგს ვერასოდეს მოგვცემს, რაც შეეხება ჯიშს იგი აგრონომიული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან სხვადასხვა ტიპის ნიადაგზე სწორად შერჩეული საძირის ჯიში გარანტიაა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სანამყენო ვაზიდან მიღებული იქნას სტაბილურად უხვი და ხარისხიანი მოსავალი“ (გურჯაანის.. 2016, 31)

ზემოაღნიშნული საკონსულტაციო სამსახურის უფროსი მოგვითხრობს, რომ მათი სამსახურის ხელშეწყობითა და კონსულტაციით, „მიმდინარე წელს სოფელ ჩუმლაყში რამოდენიმე ფერმერმა, ხუთ ფექტარზე ვაზის და სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრიდან ჩამოტანილი მასალით გააშენა ის საძირე ვაზის ჯიშები, რომლებიც მუნიციპალიტეტის სოფლების (კარდენახიდან-კახიფარამდე მ.ბ.) მაღალკარბონატულ ნიადაგებს კარგად ეგუებიან და ადგილობრივ ჯიშებთან საუკეთესო აფინიტეტით (ურთიერთშეგუება) ხასიათდებიან, მაგრამ ეს ფართობი ძალიან ცოტაა. მუნიციპალიტეტში საჭიროა 100-120 ჰექტარი ასეთი საძირე ვაზის სადედე“ (გურჯაანის,..2016. 32).

მისივე გადმოცემით, მოსახლეობა იმიტომ ერიდება საძირე ვაზის სადედეების გაშენებას, რომ იგი მრავალწლიან შრომას და დიდ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს.

ახმეტაში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ბოლო დროს ცალკეული მევენახეები, რომლებსაც აქვთ ძველი გამოცდილება, კვლავ მისდევენ ნამყენი ნერგის გამოყვანას სოფელ მატანსა და ახმეტაში. ახმეტაში არის სერტიფიცირებული კოოპერატივი „ბითაანი“ ქვია, ამზადებენ

ქართული ვაზის ჯიშების ნამყენს. ისინი ყოველწლიურად რქაწითელის, საფერავის და ქისის 250000 ნერგს ყიდიან ადგილობრივ ბაზარზე. ახალი ვენახების გაშენების კვალდაკვალ, ნამყენის გაკეთება შემოსავლიანი დარგი გახდა. ასევე სხვა მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელში წინანდალში, კონდოლში, კისისხევში, რუისპირში გამოყავთ, კარგი სანერგე მეურნეობები აქვთ კერძო პირებს, გლეხებს, რომლებმაც იციან ვაზის ნამყენის გამოყვანა, ძირითადად რქაწითელისა და საფერავის ნამყენებს აკეთებენ. 90-იან წლებამდე სოფელ ვეჯინში იყო ყველაზე დიდი ვაზის სანერგე მეურნეობა.

მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ჩანს აგრეთვე, რომ მიუხედავად სხვადასხვა სიძნელეებისა დღეს ახალგაშენებული ვენახების რაოდენობა კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში თანდათან იზრდება. მვენახეობის წამყვან რაიონებში ახალი ვენახების გაშენების ოფიციალური მონაცემები ასეთია: თელავის მუნიციპალიტეტის მონაცემების მიხედვით 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ვენახების ფართობი 150 ჰექტრით გაიზარდა. 2013 წელს გაშენდა: რქაწითელი – 3132 ჰა; საფერავი – 1959 ჰა; კახური მწვანე – 29,6 ჰა; ჰიბრიდი –146 ჰა; სხვა – 79,8ჰა. 2014 წელს, ერთ წელიწადში ვენახების ზრდა ჰექტრებში ასე გამოისახება: რქაწითელი – 3214 ჰა; საფერავი – 2007 ჰა; კახური მწვანე – 30,6 ჰა; ჰიბრიდი –146 ჰა; სხვა – 95,8 ჰა. (თვითმმართველი თემი თელავი...,2016, 26).

ყვარელში 2013-2016 წლებში გაშენდა 1579 ჰექტარი ახალი ვენახი. 2017 წლის მონაცემებით ყვარელში ვენახის მთლიანი ფართობი შეადგენს 6984 ჰა-ს, მათ შორის რქაწითელი, – 3858 ჰა, საფერავი,- 2941, სხვა ჯიშები- 185 ჰა. მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სამსახურში აღებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თუ 2013-2014 წლებში ვენახებს აშენებდნენ ძირითადად მსხვილი ფერმერები, ამჟამად ვენახების უმეტესი ნაწილი შენდება მცირემიწიანი ფერმერების მიერ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მსხმოიარე ვენახის ფართობი შეადგენს 2941 ჰა-ს, 2015 წლის მონაცემებით 2013-2014 წლებში გაშენდა 201 ჰექტარი ვენახი.

ახმეტაშიც 2013 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა გლეხების და ფერმერების დაინტერესება ახალი ვენახების გაშენებისადმი. XX ს-ის 80-იანი წლებისათვის ვენახის საერთო ფართობი შეადგენდა 5300 ჰა, ხოლო ყოველწლიურად საშუალოდ იკრიფებოდა 28000-35000 ტონა ყურძენი. დღეისათვის ვენახის ფართობი შეადგენს 2000 ჰა-ს, რქაწითელი 14000 ჰა-მდე, საფერავი- 350 ჰა-მდე, კახური მწვანე და ქისი 180 ჰა-მდე. 2014 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტში წარმოებული ყურძნის რაოდენობამ 10000 ტონას მიაღწია. (ახმეტის.. 2015, 49-51).

გურჯაანში, – როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ 2012 წლის მონაცემებით ვენახით დაკავებული ფართობი შეადგენდა 6281 ჰექტარს, 2014 წლიდან შენდება ახალი ვენახები, 2015 ვენახის საერთო ფართობი შეადგენდა უკვე 7089 ჰა-ს, მათ შორის რქაწითელი – 4955 ჰა, საფერავი – 1900 ჰა, მწვანე – 28 ჰა, სუფრის ყურძენი – 62ჰა, ჰიბრიდი -144 ჰა. (გურჯაანის.... 2016, .26-27).

ამ მონაცემის მიხედვით ახალი ვენახები, 2014-2015 წლებში, 800 ჰექტარზე მეტ ფართობზე გაშენდა.

საგარეჯოში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან წელიწადში საშუალოდ 30000 ტონა ყურძენი მოდიოდა, ვენახების საერთო ფართობი 5000 ჰა-ს აღემატებოდა. 2015 წლისათვის ვენახების ფართობმა შეადგინა 4500 ჰა, 2013 წლიდან საგარეჯოში ახალი ვენახები გაშენდა თითქმის 800 ჰექტარზე, 2016 წელს ექსპლოატაციაში შევა კიდევ 80 ჰა. მომზადებულია 100 ჰა ვენახის გასაშენებლად. დღეისათვის რქაწითელი გაშენებულია 2943 ჰა-ზე, საფერავი 1115 ჰა-ზე, კახური მწვანე 341 ჰა-ზე, დანარჩენი ჯიშები 181 ჰა-ზე. (საგარეჯოს.., 2017, 30).

დედოფლისწყაროში, გარდა ალაზნის მხარის რამდენიმე სოფლისა, მევენახეობა ტრადიციული სამეურნეო კულტურა არ იყო, მაგრამ აქ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაშენებული ვენახების ფართობი, გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის შეადგენდა 8500 ჰექტარს და 70-75 ათასი ტონა ყურძენი იკრიფებოდა. დღეისათვის ვენახები შემორჩენილია მის ისტორიულ საზღვრებში, ალაზნის მხარის სოფლებში: სამთაწყაროში, ფიროსმანსა და არხილოსკალოში – 1431 ჰექტარი ვენახი. 90-იანი წლების შემდეგ დედოფლისწყაროში ვენახების მასიური მოსპობა, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოიწვია სამელიორაციო სისტემისა და წყალსაქაჩი სადგურების მწყობრიდან გამოსვლამ, მორწყვის გარეშე აქ ვენახის არსებობა შეუძლებელია. ყოფილი ნავენახარები მარცვლეული კულტურების (დილიჩა) და საძოვრებად (ტარიბანა) არის გადაქცეული. ბოლო წლებში, ალაზნის მხარის სოფლებში გაშენდა 50-100 ჰექტრამდე ახალი ვენახი. (დედოფლისწყაროს.. 2015).

რადგან კახეთში სამრეწველო მევენახეობის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი გეო-კლიმატური პირობებია, ახალი ვენახების გაშენებას ბევრი ფერმერი აპირებს. თუმცა ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საფერავისა და რქაწითელის გაშენებაზე. ფერმერთა მცირე ნაწილი ფიქრობს სხვა, ძველი კახური ჯიშების აღდგენა–გაშენებასაც: კახური მწვანის, ხიხვის, ქისის, გრძელმტევანას, ბუდეშური წითელი, ჩიტისთვალას და სხვ. როგორც გადმოგვცემენ ამ ჯიშების ღვინოზე შიდა ბაზარზეც იქნება მოთხოვნა.

მოსახლეობა ჩივის, რომ ახალი ვენახის გაშენება ძალიან ძვირი ჯდება, ინფორმატორები სხვადასხვა თანხას ასახელებენ, რაც მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული. უპირველესად ფასის განსხვავება გამოწვეულია ნამყენი ნერგის ღირებულებით, რომელიც მერყეობს ლარიდან ორლარნახევრამდე. ყველაზე ძვირი საფერავის ნერგი ღირს. ფასი განსხვავებულია იმის მიხედვითაც, თუ ნერგს რომელი სანერგიდან ყიდულობენ. ვაზისათვის უმჯობესია, თუ ვენახის გაშენების პირველ წელსვე მოეწყოს შპალერი და თითოეულ ვაზს შეედგას ჭიგო. ასეთ პირობებში ვაზი ეხვევა საყრდენს და გაცილებით ძლიერად ვითარდება. ეს ყველაფერი კი ფულად სახსრებთან არის დაკავშირებული.

„ერთი ჰექტარი ვენახის გაშენება 15 ათას ლარამდე ჯდება, ბუნებრივია გლეხს ამის საშუალება ნაკლებად აქვს. ამ თანხაში არ შედის თავად მევენახის ყოველდღიური შრომა მამულში. ძალიან ძვირია სარი, მავთული, ნამყენი..., მუშა კიდე ცალკე ფულია. ვენახს ბავშვივით უნდა მოუარო, ბალახი არ უნდა მიაკარო, გარდა ამისა, მოხვნა სჭირდება ყოველ წელს, კულტივაცია სჭირდება, სარი სჭირდება, მავთული, მუშა ხელი, ათასი რაღაც სჭირდება. ვაზის ნერგიც საკმაოდ ძვირია ლარნახევარი, ორი ლარი რქაწითელის ნამყენი ღირს. შეიძლება 50 თეთრიანიც იშოვნო მაგრამ არ ვარგა, შეიძლება 100 ნერგიდან ნახევარმაც არ გაიხაროს, მირჩევნია 1,50 ან 2 ლარი მივცე და ვიცოდე ორწლიანია და ნამდვილად იხეირებს, და მეორე წელს უკვე ნიშანს მომცემს“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

ზემოდასახელებული თანხა ყველაზე მცირეა, არსებობს სხვა მონაცემებიც, როდესაც ვენახის გაშენება ბევრად ძვირია და ამის გამო ფერმერი ვერ აშენებს: *„მე მინდოდა გამეშენებინა ვენახი, მაგრამ რომ დავიანგარიშე, ძალიან ძვირი მიჯდებოდა. დაახლოებით ერთი ჰექტარი ვენახის გაშენება ჯდება 15 ათას დოლარამდე. და შეიძლება მეტიც. ვაზი მესამე წელს გაძლევთ ნიშანს, ნიშანს ეძახიან, როცა გამოიტანს რამოდენიმე მტევანს. მეოთხე წელს იძლევა მოსავალს. ძალიან შრომატევადია..“*

„ისე მიგდია მიწა არ მაქვს იმის საშუალება, რომ მოვუარო. ვაზის გაშენება ძალიან ძვირია, სამი წელი ხომ უნდა, სანამ მოსავალს მომცემს, ძალიან დიდი ხარჯია, სარი გინდა, მიწა უნდა გადააბრუნო, მავთული გინდა, ხომ უნდა ამ მთავრობას გლეხების დახმარება, მოვიდნენ ჩემნაირებთან, შეგვეკითხონ, ვეტყვი რეალური დახმარება რა არის. არ ირწყვება მიწები, სარწყავი თუ არ იქნა მოწესრიგებული, შარშანაც ჩაყრილი ვაზი გაუხმათ.“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

ახალგაზრდა და შეძლებული მევენახეები ამჯობინებენ ხარისხიანი ნერგი იყიდონ, რადგან: *„მართალია კარგი ნერგი 2 და 2,50 ლარი ღირს, მაგრამ ყურძნის ხარისხი იწყება საძირიდან, თუ საძირე არ გივარგა, ვენახი არ გივარგა, შრომა ფუჭად ჩაგივლის. საძირე არის სხვადასხვანაირი, – გვალვა გამძლე, უხვ ფესვიანი,.. “.*

ერთი ჰექტარი ვენახის გაშენება 36000 ლარი ჯდებოდა, მაშინ როცა დოლარი იყო ორი ლარის ფარგლებში. ლარის 2017 წლის კურსით უფრო ძვირი დაჯდება. თანაც, ახლა ყველა საფერავის ვაზის ვენახს აშენებს, და ამიტომ მისი ნერგი ღირს 2 ლარი და მეტი.

ვენახების გაშენების სურვილმა გამოიწვია მიწების გაყიდვის შეჩერება. თუ ადრე სოფლებში მიწა იაფად იყიდებოდა, დღეს აღარ ყიდიან და პირიქით ცდილობენ თავად იყიდონ, თუ ასეთი ნაკვეთი გამოჩნდება.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, დღეისათვის კახეთის სოფლებში საკმაოდ ბევრი მევენახე ფერმერია 3-4-5-6 ჰექტარი ვენახის მფლობელი, ზოგს 10 ჰექტარიც აქვს, და კიდევ აშენებს ახალ ვენახს. ერთმა ვარდისუბნელმა ფერმერმა *„შარშან 42 ტონა ყურძენი ჩააბარა“–ო,* გადმოგვცემენ თანასოფ-

ლელები. კოლმეურნეობის დროს სოფელ ვარდისუბანს 500 ჰექტარი მოსავლიანი ვენახი ჰქონია. ბოლო წლებში კი სოფელში ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია „ჯივიესმა“ შეიძინა 104 ჰექტარი მიწა და გააშენა ახალი ვენახი. *„ჩვენი მიწები არის გულგულამდე და ეს არის ჯივიესის ვენახები, შეატყობდით კიდეც ახალგაშენებულია. ჩვენს სოფელში ვენახების უდიდეს ტრიტორიას ფლობს ჯივიესი.“ „გვყვანან ადგილობრივი ფერმერებიც, 6-7-10 ჰექტარი ვენახი რომ აქვთ“ (ბურდული, 2016).*

თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში მრავალი მცირე, საშუალო და მსხვილი მევენახეა, მაგრამ ძირითადი ფართობები საოჯახო მეურნეობების საკუთრებაშია. მნიშვნელოვანი წილი უკავია მსხვილი კომერციული ღვინის ქარხნების საკუთრებაში არსებულ ვენახებსაც, რომელთა ფართობები ყოველწლიურად იზრდება, შედარებით დიდი, ერთ ჰექტარი ვენახის მფლობელი, თელავის მუნიციპალიტეტში, 605 ფერმერია (თვითმმართველი თემი თელავის... 27). ერთი შეხედვით, ეს ციფრი შთამბეჭდავად გამოიყურება მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მუნიციპალიტეტში სოფლების სიდიდეს და რაოდენობას, მაშინ უკვე ბევრი აღარაა.

გულისტკივილით იხსენებენ ვენახების გაყიდვას, დღეს ხალხი კვლავ მიუბრუნდა ახალი ვენახების გაშენებას: *„ისევ შენდება ვენახები. ერთი პერიოდი როცა აღარ იყო შემოსავლიანი, მაშინ აღარ აქცევდა ხალხი ყურადღებას ვენახებს, ახლა იცით – გაშენდა ჰექტრები. მაგრამ რაღა დროს. ის ვენახები, დაუმუშავებელი რომ რჩებოდათ, შეისყიდეს ბიზნესმენებმა და ახლა ეს ახალგაზრდები, ვისმა ოჯახმაც გაყიდა ვენახები, მათთან მუშაობენ. დღიურ მუშად, ამით არიან ძირითადად დასაქმებულნი“ (ბურდული, თელავი, 2016).*

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში (სამი მაღაროს) ვენახი დაახლოებით 40-45 ჰექტარზეა შემორჩენილი ძველი ვენახები, 2012 წლის შემდეგ დაახლოებით 15-20 გექტარი გაშენდა. არ არსებობს ოჯახი 10 „პლანი“ (რიგი) მაინც რომ არ ჰქონდეს ვენახი, 4-5 ტონა ყურძენი მოსდით, საოჯახოდ ერთ ტონას წურავენ, დანარჩენს ყიდიან. ამ სოფლებში ძირითადად რქაწითელის ჯიშის ვაზი აქვთ გაშენებული.

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, კახეთის თითქმის ყველა სოფელში ხდება ახალი ვენახის გაშენება, მაგრამ ვენახის გასაშენებლად საჭირო ფინანსების მოძიება მცირე ფართობის მქონე გლეხს უჭირს, *მამა-პაპეული* ვენახი ყველას აქვს, მაგრამ ახალს ვეღარ აშენებენ. *„10 „პლანი“ რომ გააშენო, 6 ათასი ლარია საჭირო რომ მიიყვანო მოსავლამდე, 6 ათასი ლარის შოვნა ასე ადვილი არ არის“ – გადმოგვცემენ მცირემიწიანი გლეხები, აღნიშნული მასალა ყველა მუნიციპალიტეტში ერთნაირია.*

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მევენეხეობით ერთ-ერთ გამორჩეულ სოფელში, ტიბაანში ბოლო წლებში 35-40 ჰექტრამდე ახალი ვენახი გაშენდა.

ვენახების გაშენების დაწყებასთან ერთად ძვირდება ვაზის ნერგიც. მაგრამ გამოცდილი მევენახეების დაკვირვებით, სჯობია ცოტა ძვირი გადაიხადო და კარგი ხარისხის ნერგი იყიდო, რათა ხარისხიანი ვენახი გააშენო. ახმეტაში ჩაწერილი მასალის მიხედვით: *„ერთწლიანი გამოყვანილი ნერგი შარშან 75 თეთრად იყიდებოდა (2014წ. მ.ბ.). მერე ლარნახევრადაც ჭირდა ყიდვა. შეიძლება იმიტომ რომ გაიტანეს ექსპორტზე. წინანდალში მაგალითად არის ფირმა „ბესინი“, რომელიც ღვინოზეც მუშაობს, პლიუს სანამყენეც აქვთ. კიდევ და თქმაა ასეთი, რაც ღირს ყურძენი, დავუშვათ კილოგრამი ყურძენი ღირს ლარი, ნამყენიც ღირს საშუალოდ ლარი, საფერავი ღირს 2 ლარი, მისი ნამყენი ნერგიც ღირს ორი ლარი. შარშან საფერავზე იყო დიდი მოთხოვნა და 2 ლარადაც ვერ იყიდიდით ნერგს. ივანიშვილის სანერგე რომ იყო, მთავრობას რომ აჩუქა, იქ ღირს ყველაზე ძვირი ნერგი. სამაგიეროდ ეგ ივანიშვილისეული „ჯიღაურა“ იმით არის კარგი, რომ ვირუსზეა შემოწმებული, ვირუსული დაავადება არ ექნება ნერგს. შეიძლება დარგათ ვაზი, იყოს 5-10 წელი, მაგრამ როცა უნდა შევიდეს სხმაში, ვენახად რომ უნდა იქცეს მაშინ შეიძლება გამოაჩინოს თავი ვირუსმა. ის მუშაობს, ჭამს, ჭამს და სადღაც შეიძლება გამოაჩინოს თავი. ამიტომ ჯობია ძვირი გადაიხადო, სამაგიეროდ მეტ-ნაკლებად დაზღვეული იქნები ვირუსებისგან. საკმაოდ ძვირია მაგათი პროდუქცია. რქაწითელი თუ ღირდა 80 თეთრი სხვაგან, „ჯიღაურა“-ს ნერგი ლარნახევარზე ნაკლები არ ღირდა. თუმცა კაცი ორწყალშუაა, იაფადაც გინდა და ხარისხიანიც, ეგრე კიდე არ არის. ან იაფი უნდა იყოს და სათუო, ან ძვირი და ცოტა სათუო. შარშან მაგალითად ყურძენი არ მქონდა დაკრეფილი და საძირეების ასაჭრელად დადიოდნენ მენამყენეები. მათი ნამყენი არ იქნება კარგი, საძირე უნდა აიჭრას ნოემბერში ან დეკემბერში, ფოთოლი რომ გასცვივა, კანი რომ შემოვა. ადრე, დავუშვათ სექტემბერში აჭრილის კანი შემოუსვლელია. სანამყენეში შეხორცებას გააკეთებს, მაგრამ შემდეგში მიწაში რომ გადაიტანთ ის უკვე ვეღარ იმუშავებს, აიქერცლება ის ნორჩი კანი და მერე დაიწყებს ხმობას“(ბურდული, ახმეტა, 2015).*

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ადრე, მენამყენე ჩამოივლიდა ვენახებს და მსხმოიარე ვაზი რომ მოეწონებოდა, ნიშანს გაუკეთებდა და შემდეგ იქიდან იღებდა სანამყენე მასალისთვის კვირტს. ტრადიციულად ასე ხდებოდა. ეხლა ასე აღარ ხდება. საძირე უნდა იყოს გრძელი (70 სმ) და ძალიან ხარისხიანი, კერძო მენამყენეები აღარც ამას აქცევენ დიდ ყურადღებას.

ნერგის სიძვირის გამოც, დიდი ვენახების მეპატრონეები თვითონ აშენებენ საძირე მწარე ვაზს. ასე მაგალითად *„ალავერდის მონასტერმა თავისი გააშენა, მამა გერასიმე ძველი მენამყენეა. აჭრილ სანამყენეებს ზოგი ქვევრში ინახავს, ზოგი მიწაში. მამაჩემი ვენახში ამოთხრიდა ხოლმე ორმოს და იქ ინახავდა, სინესტეს ინარჩუნედა, წვიმა თოვლი ზედ დადიოდა. უმჯობესია თიხანარევი მიწა იყოს. სილა ადვილად ატარებს სინესტეს მაგრამ მალე შრება. თიხა უფრო მდგრადია“- მოგვითხრობს მევენახე.*

დღესდღეობით ნამყენის გაკეთება შემოსავლიანი ხელობა გახდა, რადგან ვენახების გაშენება მიმდინარეობს. სხვადასხვა სოფლებში სანერგე მეურნეობები აქვთ კერძო პირებს, გლეხებს, რომლებმაც იციან ვაზის ნამყენის გაკეთება. ძირითადად რქაწითელისა და საფერავის ნამყენებს აკეთებენ. *„თვითონ გამომგვყავს ნერგი, ჩვენ გვაქვს სახლში მამაჩემის დანატოვარი სამყნობი დაზგა, დღეში 2000 ცალს დაამყნობ. ამ სოფელში მომავალი ისევ ალბათ ვაზისაა, თუ ფასი ექნება ყურძენს. მთელ მატანში იციან, რომ ჩემი ძმა ამყნობს ვაზს, მოდიან და მიაქვთ რამდენიც უნდათ. ერთწლიანს წაიღებს თუ ახალდამყნობილს, ფასი იმაზეა დამოკიდებული. წლიური ნახერხში აღარ არის, სათბურისას ეძახიან, წლიური უკვე მიწაშია გადარგული და ლარნახევარი ღირს. ნახერხში მყოფი 60 თუ 70 თეთრი ღირს“ (ბურდული, ახმეტა, 2015).*

ერთ ჰექტარ სავსე ვენახს დაახლოებით 3400 ვაზის ნერგი უნდა, იმის მიხედვით თუ მწკრივებს შორის რა მანძილი იქნება დატოვებული. ტრაქტორმა რომ კარგად იაროს 2,20 – 2,40 უნდა იყოს მანძილი მწკრივებს შორის, მინიმუმ ორი მეტრი. მწკრივში ვაზებს შორის მეტრანახევარი უნდა იყოს დაშორება, ასე აკეთებს ვინც დიდ ვენახს აშენებს, ვისაც პატარა ნაკვეთები აქვთ, ძველებურად, ტრადიციულად ახლო–ახლო რგავენ.

როგორც აღვწერეთ, ვენახის გაშენებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა კარგი ნამყენი ნერგის ხელმისაწვდომობა, ამ მხრივ კახეთის არც ერთ მუნიციპალიტეტში სახარბიელო მდგომარეობა არ არის. „ვაზისა და სარგავი მასალის ეროვნულ ცენტრს კი შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია და ისიც მხოლოდ განსაკუთრებული პირობების შესრულებით (საგარეჯოს.. 2017, 30).

გარდა ჯიშურად გარატირებული სარგავი მასალის ხელმიუწვდომლობისა, სპეციალისტების აზრით, ხელისშემშლელი ფაქტორია წვრილი სანერგე მეურნეობები, რომლებიც ყოველგვარი კონტროლის გარეშე აწარმოებენ გაურკვეველი წარმოშობის ვაზის ნერგებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ყველა ძირითადად რქაწითელს და საფერავს აშენებს სხვა ჯიშის ვაზი მცირე ფართობებზეღაა შემორჩენილი, რაც მოწეული პროდუქციის გასაღების სიძნელეზეც არის დამოკიდებული. რის გამოც მევენახე ფერმერი ახალ ვენახს სხვა ჯიშით აღარ აშენებს, რადგან მას არც ერთი ღვინის ქარხანა აღარ იღებს: *„მე რომ მოვიყვანო 3 ან თუნდაც 10 ტონა სხვა ჯიშის ყურძენი, თუნდაც მწვანე ან სხვა, ღვინის ქარხანა მას უკვე აღარ გადაამუშავებს, სად უნდა წაიღოს მეღვინემ, სხვა ჯიშის ყურძენში ვერ შეურევს“* და ა.შ.

თუმცა თანამედროვე შეხედულებით შესაძლებელია ვაზის ძირითადი ჯიშის მოსავალთან 15%-დე სხვა ჯიშის ყურძნის შერევა. მაგ; *„რქაწითელი იძლევა ძალიან მაგარ სხეულიან ღვინოს, ისეთი მაგარი სხეულიანი ღვინოა, რომ აუცილებელიც კია სხვა ჯიშის ყურძნის შერევა. მწვანეს იმიტომ ურევენ, რომ უფრო კარგ არომატს აძლევს“ (ბურდული, გურჯაანი, 2017).*

საინტერესოა, რომ ახალ თაობას კახეთში ვენახების ფართობის ზრდასთან დაკავშირებით განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ: *„ვენახის ფართობის ზრდა კარგი არ არის. მცირემიწიანი გლეხი სხვა კულტურების მოყვანაზეც უნდა ფიქრობდეს, მართალია, კახეთში ვაზი ყველგან ხარობს, მაგრამ ყურძენს შესაბამისი ფასი არა აქვს, ამიტომ სხვა უფრო შემოსავლიანი კულტურების მოყვანაზეც უნდა დაფიქრდეს. წელს კარდანახში ორი ტრაილერი იდგა მუდმივად ლეღვის სიმწიფის პერიოდში და ადგილზე ლეღვის ჩაბარების ყველაზე დაბალი ფასი იყო 2,20 ლარი. ძალიან კარგი და ბევრი ლეღვი მოდის კახეთში. თან ორჯერ მოდის მოსავალი. ბევრმა გლეხმა გადაწყვიტა ვენახის მაგივრად ლეღვის გაშენება. ერთ ჰექტარზე ზოგმა 30000-40000 ლარი იშოვა“ (ბურდული, გურჯაანი, 2017).*

თავად მევენახე გლეხებიც ფიქრობენ რომ ყურძნის მაგივრად სხვა კულტურის მოყვანას მიჰყონ ხელი: *„ეღვინემ 10 ათასი რომ დახარჯა 100000 აიღო. რატომ ქნეს ასე არ ვიცი. საცოდავ გლეხს 10 თეთრი მისცეს ნასეტყვ ყურძენში. გადაამუშავებენ იმ ყურძენს სპირტისთვის და სპირტს რა ფასი ადევს კარგად იცით. შარშანწინ ლარად ჩაიბარეს რქაწითელის კარგი ყურძენი. კიდევ გვინდოდა ვენახის გაშენება, მაგრამ აღარ გავაშენებთ ახლა, ფასი არ აქვს. ისევ ატამს ჩავყრი გაზაფხულზე. ჩემნაირად ბევრი ფიქრობს. რაშიც ჩვენს შრომას დაფასება არა აქვს იმას აღარ გავაკეთებთ. მე დიდი ვენახი არ მაქვს მაგარმ 2013 წლის ღვინოც მაქვს დარჩენილი, 2014-ის და 2015-ისაც. მითუმეტეს, რომ მე ბევრს არ ვწურავ, ღვინოც არ იყიდება. მარტო ოჯახში ვხმარობთ, ან ნათესავებს დავურიგებთ. ყურძენს რომ ფასი ქონდეს ჩავაბარებდი და აღარ დავწურავდი“ (ბურდული, 2016, გურჯაანი).*

როგორც ზემოთ მოტანილი მასალიდან დავინახეთ, კახელი მევენახეების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა მოწეული მოსავლის გასაღებაშიცაა, მევენახის შემოსავალი კი მთლიანად ყურძნის ჩასაბარებელ ფასზეა დამოკიდებული. 2015-2017 წლებში კახეთის მუნიციპალიტეტებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ეს პრობლემა ყველას აწუხებს, განსაკუთრებით კი მცირე მიწიან გლეხებს და ფერმერებს. არასტაბილურობის განცდას აჩენს ყურძნის დაბალი ფასები და მისი ცვალებადობა წლების მიხედვით. ამასთან ერთად პრობლემაა მოწეული მოსავლის ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარებაც და სხვ.

ღვინის ქარხნებმა თუ 2014 წელს გლეხს საფერავში მისცეს ორ ლარამდე, რქაწითელში ლარამდე, 2015 წელს, უკვე ნაკლები შესთავაზეს. იმიტომ რომ მეღვინეები ამბობენ, *„ჩვენ ჩვენი საკუთარი ვენახები იმდენი გვაქვს, რომ ჩვენს მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“–ო“.*

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ მცირემიწიან გლეხებს უფროდაუფრო გაუჭირდებათ ყურძნის ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარება: *„მე რატომ ჩავიბარებ უხარისხო, ზედმეტი შხამქიმიკატებით მოწამლულ ყურძენს, ყველაფერი ხომ კონკურენციასთან მიდის. სუბსიდირება არ უნდა იყოს და მე რომ გლეხი ან ფერმერი ყურძენს მომიტანს, მოყვანის ხარის-*

ხის მიხედვით უნდა გადავუხადო, შეიძლება ზოგს 2 ლარი ავუნაზღაურო, ზოგს ლარი და უფრო ნაკლები და მათ ამის გამო პრეტენზია არ უნდა ჰქონდეთ. ამას ალბათ ახალი თაობა მიხვდება, ეხლა ცოტა ძნელია“ (ბურდული, გურჯაანი, 2017).

„პენსია და ვენახია ჩემი შემოსავალი. შარშანწინ მოგვცეს კარგი ფასი, როცა გლეხმა თქვა „მიღირს შრომაო“, ხალხმა დაიწყო ვენახების გაშენება. ეხლა ველარაფერი გაუგია ხალხს გააშენოს ვენახი თუ არ გააშენოს, რა ქნას“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

„ყურძნებს უკვე აღარ იბარებენ ქარხნები, ან კაპიკებად იბარებენ. გლეხს რაც უჯდება ვენახის მოვლა იმასაც ველარ იღებს. 2005 წ. რქაწითელს ლარად, საფერავს ორ ლარად იბარებდნენ. ხალხი ხეხილს ჭრიდა და ვაზს აშენებდა. სულ საფერავის ვენახები გააშენეს. მერე ლარზე ჩამოვიდა საფერავი, მერე უფრო ნაკლებზე. რქაწთელს ლარად იბარებდნენ, ახლა 40-35 თეთრად“ (ბურდული, თელავი, 2016).

„სოფელში (ვარდისუბანი) ყურძნის მოსავალი იყო ძალიან კარგი. მაგრამ მოსახლეობა უკმაყოფილო იყო რადგან წინა წელთან შედარებით 20-25 თეთრით ნაკლები მისცეს. 700 ტონამდე ავედით წელს ყურძნის მოსავლით, ჯივიესის მიერ მოწეულ მოსავალთან ერთად. მარტო სოფლის იყო სადღაც 300 ტონამდე. ქვევრის ღვინო სამი წლის აქვს აგერ აქვე მცხოვრებს, უნდა როგორმე ჩამოსხმას მიაღწიოს. ძალიან უჭიანურდება საქმე. დღევანდელი პირობებით გლეხებს ურჩევნიათ თვითონ დაწურონ და გადაამუშაონ, ტექნოლოგიაც იციან, მიხედვაც და ჭურჭელიც აქვთ, მაგრამ ჭირს მერე მისი რეალიზაცია. ვიცი ოჯახები, რომლებსაც 3-4 ტონა ღვინო აქვთ სახლში და ვერ გაუყიდია, იმიტომ რომ უძნელდება გასაღების ბაზრის ნახვა“ – გვითხრეს სოფლის გამგეობაში.

როგორც დავინახეთ, გლეხებისათვის ყურძნის მისაღებ ფასად ჩაბარებას რამდენიმე მიზეზი უშლის ხელს: 1. ღვინის ქარხნების სიმცირე; 2. ღვინის კომპანიები თავად ფლობენ უკვე ვენახის დიდ ფართობებს; 3. ღვინის გასაღებისათვის საკმარისი ბაზრის არქონა და სხვ

ამიტომ ისე გამოდის რომ თითქოს სახელმწიფო გლეხისგან ყურძნის მიღებას აიძულებს ღვინის ქარხნებს, აღნიშნული სიტუაცია კი აიძულებს გლეხებს გაყიდონ ვენახები, იმდენს იტოვებენ, რომ პირადი მოხმარებისათვის ეყოთ. თავად გლეხებს შეუძლიათ თუ არა თავიანთი მოწეული მოსავლის სახელმწიფოს გარეშე რეალიზაცია? მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ჯერ-ჯერობით ამის პერსპექტივა არ ჩანს, რადგან პროდუქციის გასაღების ბაზარი ქვეყნის გარეთ არის საძიებელი. ამიტომ ურჩვნიათ მამაპაპურად დაწურონ, ქვევრში შეინახონ ღვინო და როცა კლიენტი გამოჩნდება, მაშინ გაყიდონ.

ყურძნის ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარება განსაკუთრებით უჭირთ ახმეტელებს, რადგან ახმეტის ქარხანა არ მუშაობს, ყურძენი ყვარელში მიაქვთ ჩასაბარებლად. როგორც ვიცით, მთავრობა ეხმარება გლეხს მოწეული მო-

სავლის ქარხნისათვის ჩაბარებაში, მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. ღვინოდ გაყიდვას უფრო მომგებიანად თვლიან, ვიდრე ყურძნად ჩაბარებას, მაგრამ ჯერ ერთი, ღვინის შესანახი საკმარისი ჭურჭელი არავის აქვს მარანში, და მეორეც ღვინის გაყიდვაც პრობლემაა.

ზემოთქმულის მიუხედავად, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მევენახეობის ძირითად მუნიციპალიტეტებში მაინც იზრდება ახალგაშენებული ვენახების ფართობი, რადგან კახეთში მევენახეობა ტრადიციულად პერსპექტიულ დარგად ითვლება და გლეხების ნაწილი ვენახის გაშენებას მაინც მომგებიანად თვლიან: ასე მაგალითად, *„ყურძნის ფასი წელს შედარებით დაბალი იყო, რქაწითელს 85 თეთრად, საფერავს კი ლარად იბარებდნენ, ისე გლეხებს წუწუნი გვიყვარს, რა თქმა უნდა უფრო მაღალი ფასი ჯობდა, მაგრამ ეს ფასიც მისაღებია, მაინც მომგებიანია. კარგი ამინდებისა და მოვლის შემთხვევაში ერთ ჰექტარზე 10-15 ტონა ყურძენი მოდის, ამდენი ყურძნის გადამუშავება არ შეგვიძლია, ტონა-ტონანახევრის დაწურვას ვახდენთ, უფრო დიდი ტევადობის მარნები არ გვაქვს“ (ბურდული, თელავი, 2016).*

თელავში ჩაწერილი მასალის მიხედვით ხალხს რაღაც იმედი ჩაესახა, რადგან გავრცელდა ხმა, რომ არის სამთავრობო წინადადება თელავში შეიქმნას ღვინის სახლი, სადაც გლეხი მიიტანს თავის მოსავალს, დაწურავს, დაწურული წვენისა თუ ღვინის სახით შემდეგ თავად გაუკეთებს რეალიზაციასო. ეს იდეაში კარგია ხალხისთვისაც, ალბათ, ძალიან კარგი იქნება. მევენახეობაც განვითარდება, სტიმული მიეცემა გლეხს. თუ გაადვილდა დაზღვევა, თუ აუნაზღაურებენ სეტყვისაგან მიყენებულ ზარალს, ეგეც სტიმულია. მევენახეების ნაწილმა დაიწყო უკვე ვენახების დაზღვევა. როგორც გადმოგვცეს, ცოტა კი იწვალეს სეტყვით დაზარალებულებმა, თუმცა ბოლოს მაინც აიღეს დაზღვევის ფული.

ყურძნის ფასთან დაკავშირებით გამოყოფილი სახელმწიფო სუბსიდიის შესახებაც სოფლის მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ ამით ყურძნის ჩამბარებელი ღვინის ქარხანა უფრო რჩება მოგებული, ვიდრე მევენახე გლეხი. მეღვინეს ღვინის თვითღირებულება ნაკლები უჯდება, სუბსიდიას, 45 თეთრს, ამატებს 25 თეთრს, ღვინის თვითღირებულებას კი ანგარიშობს არა 25 თეთრიდან, არამედ 70 თეთრიდან. ეს არ არის საბაზრო ეკონომიკა, პირიქით ანგრევს ეკონომიკას. გამოცდილი მეურნე და დარგში გაცნობიერებული სპეციალისტების აზრით ყურძნის ჩაბარებისათვის სახელმწიფოს მიერ სუბსიდიის სახით გამოყოფილი თანხის უფრო ეფექტიანად გამოყენება შეიძლება:

„მე რომ ვინმე მეკითხებოდეს, იმ სუბსიდიას 200-300 მილიონს გამოვიყენებდი ისე, რომ ყველა სოფელში ავაშენებდი პატარა ღვინის ქარხანას. პირველ ხუთ წელიწადში არაფერს გადავახდევინებდი, შემდეგ 20 წლის მანძილზე უნდა დაეფარათ მისი საფასური. ეს საშუალებას მომცემდა დამეგეგმა და მეთქვა გლეხებისთვის რამდენ ტონას და რა ჯიშის ყურძენს გადაამუშავებდა ქარხანა და შემდეგ თვითონ მიხვდებოდნენ რომელი ჯი-

შის ვაზი გაეშენებინათ და რამდენი მოეყვანათ, თორემ ეხლა უსუსტემოდ ხდება, გლეხი ვერ გეგმავს რა მოსავალი მოიყვანოს. მაგალითად, წელს რომ ნიორს ფასი აქვს, მომავალ წელს ყველა ნიორს თესავს და ა.შ. ამის გამო ბუნებრივია პროდუქცია უფასურდება და გლეხი ზარალობს.“ (ეს მასალა თავად მეღვინისგან მაქვს ჩაწერილი), რომ *„ყურძნის ჩაბარებაზე სახელმწიფო სუბსიდია არ უნდა იყოს“.* (აქვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლის რთველმა სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე ჩაიარა და ოფიციალური მონაცემების მიხედვით, არცთუ ურიგოდ, გლეხების მოსავალი ღვინის ქარხნებმა ჩაიბარეს თითქმის იგივე ფასში).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მცირემიწიანი გლეხი მეურნეობას გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ დაგეგმავს, ეს შეიძლება გათვალოს იმან, ვისაც 100 გექტარი მიწა აქვს და ყოველ შემთხვევისათვის, ერთ 10 გექტარს ვაზსაც გააშენებს, იცის რომ ყოველწლიური შემოსავალი სხვა კულტურიდან ექნება.

ცნობილია, რომ ვენახში ყურძნის დაკრეფამდე სულ საქმეა. რამდენჯერმე უნდა გაფურჩნა, დაკავება, ძირებს გამოთოხნა, სარეველა ბალახებიის მოცილება. პატარა ვენახს (25 მეასედამდე) ერთი კაცი მოუვლის, მაგრამ დიდი ვენახის მოსავლელად უკვე მუშის დაქირავებაა საჭირო, რაც ხარჯებს ზრდის. დღეს, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, ვენახის მოვლა თანდათანობით უფრო რთულდება და ძვირდება, არადა, როგორც ეთნოგრაფიული ურიდან ჩანს, „ ძველი დროის ვენახი განსაკუთრებული მოვლის გარეშეც იძლეოდა მოსავალს. ვენახის მოვლის ეს სიმარტივე რამდენიმე წელიწადში ერთხელ დაბარვასა, ყოველწლივ შეყელვა-შესარვასა და გათიბვაში მდგომარეობდა“ (ბოჭორიშვილი, 1956: 15).

დღეს კი ვენახს 8-10-ჯერ და მეტჯერაც სჭირდება მოწამლა, ეს დამოკიდებულია ამინდზე. ერთ გექტარზე გაშენებულ ვენახს, თუ ოჯახის 3-4 წევრი იქნება ჩაბმული, თავისუფლად მოუვლის, თვითონ გასხლავენ, თვითონ ჩაატერებენ მწვანე ოპერაციებს, ასე დროს ვენახის მოვლა დაახლოებით 2000-3000 ლარი ჯდება. კახეთში ერთ ჰექტარზე სულ ცოტა 10 ტონა ყურძენი მაინც უნდა მოვიდეს და ასეთ დროს ვენახი მომგებიანია, მაგრამ ვინც ვენახს მუშის დახმარებით უვლის, იმას ძვირი უჯდება.

მთხრობელი გადმოგვცემს, რომ მის მეზობელს „.... დიდი ვენახები აქვს, 10 თუ 12 ტონა დაკრიფა, მაგრამ მოგება არ დარჩა. თვითონ ვერა მუშაობს, სულ მუშით აკეთებს და რომ ჩააბარებს ყურძენს, ვალებს ისტუმრებს მხოლოდ. მუშა ძვირია, ვენახსში კი ყურძნის დაკრეფამდე ყოველდღიურად საქმეა.“

დიდი ვენახებს კახეთში ძველადაც მუშით ამუშავებდნენ. ცნობილია, რომ „რევოლუციამდელ კერძო მესაკუთრულ მევენახეობაში ბარვის, თოხნისა და სხვა სამუშაოების შესასრულებლად დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი დაქირავებული შრომის გამოყენებას. ქალებისა და კაცების დაქირავების ამ წესს მევენახეობაში „დღიური“ ეწოდებოდა (ნანობაშვილი, 1960, 25).

როგორც ისტორიულად, ისე დღესაც თვლიან, რომ გლეხისთვის ვენახს მეტი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ ეკონომიკურად რომ წელში გაიმართონ, სულ ცოტა ერთი ჰექტარი ვენახი მაინც უნდა ჰქონდეთ. უმრავლესობას ოციდან ორმოცდაათ მეასედამდე ვენახი აქვთ. მაგრამ, – „20 მეასედი ვენახიც შრომად ღირს“, პატარა ვენახებში მოსახლეობის უმრავლესობას ძირითადად რქაწითელი და მწვანე უდგას. საფერავს წონა აქვს ნაკლები, გლეხი არ ცდილობს რომ დიდი რაოდენობით ჰქონდეს საფერავი, რქაწითელი ორჯერ მოსავლიანია და ამავე დროს ყველა დანიშნულებით გამოიყენება, საფერავი ვენახებში მცირე რაოდენობით ჰქონდათ. საბჭოთა მეურნეობებსაც საფერავის ვენახები ნაკლებად ჰქონდათ, საფერავის ვაზის გაშენება ეხლა დაიწყეს, ფასი რომ დაედო.

დღეს სოფელში ოჯახებს ეკონომიკური შემოსავალი ძირითადად ვენახიდან აქვთ, მაგრამ კახეთის ვენახებს ძალიან აზარალებს სეტყვა, *„დააყენეს სეტყვის საწინააღმდეგობები, მაგრამ რა ვიცი. კომუნისტების პერიოდში რაც იდგა დიდს არაფერს აკეთებდა. ეხლაც ახლოს არ დგას რო გაგვეგო გაისროლეს თუ არა ღრუბლების გასაფანტად, კი დაგვისეტყვა ვენახები“ (ახმეტა, ბურდული, 2015).*

ბოლო წლებში შემოიღეს დაზღვევის პრაქტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის ნაწილმა ვენახები დააზღვია. თვლიან, რომ დაზღვევა გაცილებით მომგებიანა, მაგრამ მცირე ნაკვეთების მფლობელი გლეხები ჯერ ვერ რისკავენ 100, ან 50 ლარი „გადააგდონ“. უფრო დიდი ვენახის პატრონები აზღვევენ. მაგრამ, როგორც დაზღვევის განვითარების პერსპექტივა გვიჩვენებს, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი მევენახე დაზღვევს ვენახს. ხალხი უყურებს რა შედეგს მოიტანს დაზღვევა, რას აუნაზღაუერებენ და „მერე მე კი არა, ერთი კაცი არ დარჩება რომ არ დააზღვიოს ვენახი“-ო – გადმოგვცემენ მთხრობელები.

ასაკიანი მევენახეები ადარებენ კოლექტიურ და კერძო ვენახში მუშაობას და შემოსავალს. აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობის დროს გაპიროვნებულ ვენახზე გეგმა ჰქონდათ მიცემული და მოყვანილი პროდუქციის მესამედი იყო მევენახის: *„რაც კერძოობა გახდა ვენახიანი ერთი ჰექტარი მომცეს. მაგრამ მეურნეობის დროს, ვთქვათ ის ერთი ტონა ყურძენი ხო ჩემი იყო და ნაკვეთს რომ ვამუშავებდი ხელფასსაც მიხდიდნენ. მარტო ყურძენზე კი არ ვიყავი დამოკიდებული. ახლა სამივე ტონა ჩემია, მაგრამ რაც კერძო გახდა ნაკვეთები, გახდა უპატრონო. მე ამ დარიგებული მიწიდან მოსავალი არ მიმიღია“ (ბურდული, ახმეტა, 2015)*

სამეცნიერო ურიდან ცნობილია, რომ ძველად ვენახს არ უჩნდებოდა ამდენი დაავადება და შედარებით ადვილიც და იაფიც იყო მოვლა. თუმცა მევენახეს „7-8 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეეტანა ვენახში სასუქი, ზოგი კი, როგორც ეტყობა, ვენახს ყოველწლივ აპატივებდა, „ძველი ვენახები სასუქით იყო განოყიერებულიო“- გადმოგვცემენ მთხრობელები. სასუქის დაყრა შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზეც (კვირტის გამოს-

ვლამდე) ხდებოდა. ზამთარში დაყრილს უპირატესობას ანიჭებდნენ“ (ბოჭორიშვილი, 1956, 13).

უნდა აღინიშნოს, რომ 25 მეასედი ვენახიც მფლობელს გარკვეულ მოგებას აძლევს, კერძოდ ერთ-ერთი მევენახის დაანგარიშებით: *„მე არ მომიწამლია, ხელით შეწამვლაში ვაძლევდი 30 ლარს, შევაწამლინე რვაჯერ – 240 ლარი, 240 ლარის წამალი ვიყიდე, ე.ი. მარტო შეწამთლა დაახლოებით 500 ლარი დაჯდა. ერთი გაფურჩქრა მე და ჩემმა მეუღლემ ჩავატარეთ. მეორე გაფურჩქნას ვეღარ ვასწრებდით და ქალები დავიხმარე – 50 ლარი გადავუხადე, სადღაც ტრანსპორტირებაც რომ ვიანგარიშო, დაახლოებით 600-650 ლარი დავხარჯე. დავკრიფე ორი ტონა და შვიდასი, ამ ორი ტონა და შვიდასიდან ტონა 450 კგ. ჩავაბარე და ავიღე 1200 ლარი. სახლში დავწურე რვაასი კილო ყურძენი და მივიღე 400 ლიტრი ღვინო. ჭაჭიდან 45 ლიტრი არაყი გამოვიდა. 100 ჩურჩხელა გაავლეს და კიდევ ბადაგი შევინახე“.* აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, კახელი გლეხისათვის ვენახი მომგებიანია, მაგრამ მარტო ეს არ არის მიზეზი, რომ უვენახოდ ვერ გაუძლიათ, კარგი ვენახისა და განსაკუთრებით კი კარგი ღვინის პატრონი სოფელში ყოველთვის დაფასებული იყო.

მისივე გამოთვლით, ვენახის ყველა სამუშაო რომ მუშით შეასრულოს, ერთი ვაზის მოვლა ჯდება დაახლოებით 35 თეთრი, ამ დროს ერთმა ვაზმა დაახლოებით 3-4 კილოგრამი ყურძენი მაინც უნდა მოისხას. კარგია, როდესაც ლარი ღირს, მაგრამ ყურძენში 70 თეთრის გადახდაც მომგებიანია, თუმცა სირცხვილია როცა ერთი ბოთლი ჩამოსხმული ღვინო 20 ლარი ღირს. ერთი ჰექტარი ვენახის დამუშავება მუშით, 3500 ლარამდე ჯდება.

მევენახე ფერმერების ნაამბობის მიხედვით სოფელში ვენახის დასამუშავებლად ხშირად მუშას ვერ შოულობენ. *„მე მგონი ერთ ათ წელიწადში აქეთ დავუწყებთ ჩინელებს და პაკისტანელებს ხვეწნას ჩამოდით, იმუშავეთო. იმიტომ რომ სოფელში აღარც ხალხია და ვინც არის დარჩენილი, ფიზიკური მუშაობა აღარ უნდა. მუშად არ მოგვყვებიან, მქონდა ასეთი შემთხვევა, მჭირდებოდა კაცი მომხმარებოდა ვენახში მწვანე ოპერაციის ჩატარებაში, მითხრა რა ვქნა არა მცალია, მოზვერი მყავს, უნდა გადავაბაგადმოვაბაო ჩრდილში, რომ არ დაისიცხოსო?, ჰყოფნის ის დედის პენსია და დახმარება და მოზვერს გადააბავს-გადმოაბავს. არ უნდა მეტი.“* უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ერთეული შემთხვევა არ არის და პარადოქსულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, ფერმერები მუშის შოვნას ვერ ახერხებენ, მაშინ, როცა სოფლის მოსახლეობა დაუსაქმებლობას უჩივის.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად მუშაობს ღვინის კომპანიების ვენახებში, სეზონურად, მცირე რაოდენობა – მუდმივადაცაა დასაქმებული. მაგალითად, ერთ-ერთი ფერმერისგან აღებული მონაცემებით, რომელიც 15 ჰექტარი ვენახის მფლობელია, მუდმივად დასაქმებული ჰყავს 6 კაცი, სეზონურ სამუშაოებზე კი ამატებს საჭიროების მიხედვით 10-15-25 მუშას.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სეზონურ სამუშაოებზეც ძირითადად ასაკიანი ადამიანები, უფრო კი ქალები მუშაობენ. ასე მაგალითად, სოფელ შილდაში მცხოვრები, 78 წლის ქალი, ნაფარეულში გერმანელის ვენახებში მუშაობს სეზონურ სამუშაოებზე *„ეხლა (აგვისტოში) მუშაობას ვიწყებთ დილიდ 5 საათზე და 11 სთ-დე ვმუშაობთ შესვენების გარეშე. დღეში გვაძლევენ 25 ლარს. ამ სოფლიდან 50 კაცი ჰყავს დასაქმებული“ (ბურდული, ყვარელი, 2017).* უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს 78 წლის ქალი მარტო უვლის თავის ნახევარჰექტარ ვენახსაც. ეს მაგალითი სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც სხვა პრობლემას აშიშვლებს, კერძოდ, ახალგაზრდობას აღარ სურს სოფელში ცხოვრება და სოფლის მეურნეობაში მუშაობა, სხვა შემთხვევაში ოთხი შვილის გამზრდელ დედას მარტოს არ მოუწევდა ვენახის დამუშავება.

§ 4. პროფესიონალიზმის დეფიციტი მევენახეობის დარგში

ზემოთ ჩვენ უკვე ვაჩვენეთ მევენახეობის დარგში არსებულ პრობლემების ნაწილი, მაგრამ დარგის განვითარებაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თავად მევენახე ფერმერთა პროფესიული ცოდნის დონე. უკეთესი იქნება, თუ ტრადიციული მოვლის წესებთან ერთად (რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, ხშირად აღარ იციან, ან შეცვლი კლიმატური პირობებისა, თუ ვაზის ახალი დაავადებების გამო უკვე ნაკლებშედეგიანია), შეისწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიებს ვაზის მოვლისა და ყურძნის წარმოების სფეროში, აგრეთვე იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა ბიზნესის განვითარებისათვის და საბაზრო ურთიერთობებში წარმატებულად ჩართვისათვის.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობისას მევენახე გლეხის პროფესიული დონის შესახებ განსხვავებული შეხედულებები დავაფიქსირეთ. გამოცდილი მეურნე კაცისაგან ჩაწერილი მასალის მიხედვით: *„გლეხმაც დაკარგა თავისი პროფესიონალიზმი და რატომ დაკარგა იცით? როცა დაინახა, რომ მისი მოწეული მოსავალი ძალიან დაბალ ფასში იყიდება და ზოგჯერ არც იყიდება, აქედან თვითღირებულების ამონაგები ძალიან ცოტათი სცილდება დახარჯულს და ძალიან ცოტა რჩება ოჯახის სარჩენად“,* ამიტომ იფიქრა *„მირჩევნია წავიდე, ვიღაცას, სადღაც მივექირავო, თუნდაც მშენებლობაზე, მეცოდინება რომ ვთქვათ 1000 ლარი მაქვს და ჩემი ოჯახის ბიუჯეტში გავთვლი და გავანაწილებ“.*

მეორე მომენტია გლეხის სიჯიუტე: „ჩემს მამა-პაპას ასე უკეთებია“-ს პრინციპი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, ივანე ბასილაშვილი პროფესიით აგრონომია და მისი პროფესიის ორგანული ნაწილია მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე კლიმატური პირობების ზემოქმედების შესწავლა. როგორც

გადმოგვცემს, ბოლო წლებში კახეთში, ზაფხულში პაპანაქება სიცხეებია, ამიტომ ასეთ კლიმატზე უნდა გადავაწყოთ ვენახის მოვლა და მინდა ეს ჩვენ გლეხსაც გავაგებინო. ბევრი ჩემს რჩევას ითვალისწინებს, მაგრამ ბევრი არა. მაგალითად ვაზის მწვანე ოპერაციების დროს ახალგაზრდა ყლორტს 2-3 ფოთოლი უნდა მოსცილდეს, დანარჩენი არა, მაგრამ არ მიჯერებენ და 2-3 კი არა 6-7 ფოთოლს აცლიან, ჩემი მამა-პაპა ასე აკეთებდაო, მაგრამ ადრე მზის ასეთი რადიაცია არ იყო, როგორიც ბოლო წლებშია და ფოთლისაგან დაუცველი მტევანი აირუჯება (ბურდული, გურჯაანის, 2016). მისივე ანგარიშით „შარშან ასეთი არუჯვით გურჯაანელმა გლეხმა თავის თავსა და ქვეყანას 4-5 ათასი ტონა ყურძენი დააკარგვინა“(კვირის პალიტრა, 2015, №34).

დიდი ხანია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაშლის შემდეგ, სოფელს აღარ ჰყავს აგრონომი რომ საჭიროების დროს რჩევა ჰკითხონ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჭიროა კლიმატური პირობების ცვლილებას მიესადაგოს ვაზის მოვლის წესებიც, ამავე დროს საქართველოში შემოტანილია და აგროქიმიის მაღაზიებში უამრავი დასახელების ვაზის საწამლი შხამქიმიკატები იყიდება, ამიტომ მევენახეები ვეღარ გარკვეულან, რომელი პრეპარატი, როდის გამოიყენონ, ფერმერთა დიდ ნაწილს არა აქვს თანამედროვე აგროტექნოლოგიების ცოდნა რაც მათ საქმიანობაში ნეგატიურად აისახება და ხშირად ვენეხების გახმობასაც კი იწვევს. ხშირ შემთხვევაში არც ის იცის, ესა თუ ის შხამქიმიკატი როგორი წესით უნდა მოიხმაროს, ვერც მაღაზიაში უხსნიან სწორად, ამიტომ არის შემთხვევები, როდესაც მკურნალობის მაგივრად ვენახს აფუჭებენ. მაგ; —„*ბალახის შესაწამლი ქიმიკატები რო შემოვიდა არ ვიცოდით მოხმარების წესი, თურმე სანამ კვირტს გამოიტანდა ვენახი, სარეველა ბალახების წამალი მაშინ უნდა დაგვესხა. კვირტი რო გამოვა თურმე კვირტს აფუჭებს, ამიტომ მაშინ სუ გაგვიფუჭდა ვენახები“ (ბურდული, გურგაანი, 2016).*

„ბაბანეური არის ქვემო ალვანთან სოფელი, იქ მოწამლეს ბიოდინამიური ხსნარებით და ბიოსტიმულატორით დაახლოებით ხუთი თუ ათი ჰექტარი საფერავი და ისე გააფუჭეს ვენახი, რომ სულ დასანეკი გახდა, სანაყოფე რქაც კი აღარ გაეზარდა“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

ცალკე პრობლემაა შხამ-ქიმიკატების უხარისხობა რასაც კახელი მევენახეები უჩივიან „*საწამლი წამლები შემოდის უხარისხო, არ არის კონტროლი, უნდა იყოს რაღაცა ინსტიტუტი რომელიც შეისწავლის მცენარის დამოკიდებულებას რაღაცა პრეპარატისადმი. მაგალითად, ვაზს ადრე თუ სჭირდებოდა 3-4-ჯერ შეწამლა ბორდოს ხსნარით, მიეჩვია და დღეს 12-ჯერაც აღარ ჰყოფნის. ათჯერ ძლიერი პრეპარატი სჭირდება, ვიდრე ადრე. ე.ი. სპეციალისტებია საჭირო, პატარ-პატარა მობილური ლაბორატორიები, შეისწავლონ, რა სჭირს ვაზს და როგორი მკურნალობა სჭირდება. დიდ კომპანიებს აქვთ მიკროსადგურები ვენახებში და წინასწარ, ერთი თვით ადრე, იციან რა დაავადება შემოდის. სანამ დაავადება გამოაჩნდება, მანამ უნდა შეიწამლოს“.* ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ აღნიშნული

პრობლემის მოგვარება გლეხს არ შეუძლია, დახმარებას მთავრობისაგან მოითხოვენ.

გლეხი წამალს აგროქიმიის მაღაზიაში ყიდულობს. დავუშვათ, პაკეტს აწერია რომ უნდა გაიხნას 100 ლ. წყალში და შეიწამლოს ორ კვირაში ერთხელ, – გამყიდველი ეუბნება გლეხს, რომ უმჯობესია და უფრო კარგი ეფექტი ექნება, ამავე რაოდენობის წყალში თუ ორი პაკეტს გახსნის და კვირაში ერთხელ შეწამლავს. ჯერ ერთი, რომ წამალი ძვირია და ორმაგი უჯდება ვენახის შეწამლა, და მეორეც გლეხმა აღარ იცის ვის დაუჯეროს. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემომტანს შემოაქვს იაფი და შესაბამისად დაბალი ხარისხის პრეპარატები. აქედან გამომდინარე მევენახეობასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობაში, ძირითადი პრობლემები გაუნათლებლობის ბრალია.

საქმეში ჩახედული ფერმერები თვლიან (ბიომევენახეები), რომ პესტიციდებისა და შხამქიმიკატების უკონტროლო გამოყენებამ უკვე სავალალო შედეგი გამოიღო, *„ვენახში მწყერი აღარ არის, გაქრა. მიწა კვდება ამ წამლების, პესტიციდების შედეგად. ეს ნივთიერება, რომელიც ჰერბიციდში მუშაობს არის მარილი, სხვადასხვა დასახელების, ეს ხომ დროთა განმავლობაში ილექება და მიწა გექნება შავი, მაგრამ მლაშე ნიადაგი. ცოდნის ამაღლება, შეგნება უნდა მაგ ამბავს, რომ არ შეიტანონ ნაკვეთში ჰერბიციდები. ვეუბნები, მაგალითად, წამალს მე მოგიტან – რითიც უნდა შეწამლო, შენ არ შეწუხდები წამალზე, ტრაქტორიც თუ საჭირო იქნება, მე გიქირავებ, ოღონდ, რა თქმა უნდა ფასში შევა მერე, მაგრამ ამათ ურჩვნიათ სისტემური, სინთეზური ახალი წამლები რაც არის, ის იხმარონ, უფრო მდგრადია სოკოვანი დაავადებების მიმართ, და ურჩევიათ.“* გასაგებია ბიომევენახეების გულისტკივილი, რადგან თავად, როგორც არ უნდა მოუარონ ვენახს, თუ მისი მეზობელიც ბიოვენახისათვის წაყენებული პირობების მიხედვით არ უვლის, ვენახის ბიოვენახად დარეგისტრირება უჭირთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ კახეთში არალიცენზირებული ბიომევენახეები ბევრად სჭარბობენ ლიცენზირებულებს

სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნაა, გაიხსნას ლაბორატორიები, სადაც გასინჯავენ თუ რა დაავადება გაუჩნდა ვაზს და აუხსნიან გლეხს, რომელი წამლით უნდა უმკურნალონ. ეხლა კი თითქოს ცდები ტარდება, აგროქიმიის მაღაზიის გამყიდველები ფერმერებს ხან ერთ წამალს ურჩევენ, ხან მეორეს და შესაბამისად ყურძნის მოყვანაც ძვირი ჯდება. ბოლოს რომ ანგარიშობს გლეხი, გამოდის, რომ ყურძენი კი ლარად გაყიდა, მაგრამ მოყვანა დაუჯდა 80 თეთრი, ამიტომ აღარ უღირს. *„სახელმწიფომ უნდა დააყენოს ეს საკითხი, არ უნდა შემოუშვას ბაზარზე უკონტროლოდ წამლის შემომტანი ფირმები. როგორ შეიძლება ამდენი სახეობის წამალი იყიდებოდეს. ადრე არ იყო – სულ მაქსიმუმ 10 სახეობის წამალი იყო. ახლა მინიმუმ 80 სახეობის წამალი იყიდება, ყველას ერთი სახეობის წარწერა აქვს. ნაცარს შველის, ჭრაქს შველის, და ა. შ. იყოს 10 სახეობა და ნორმალური იყოს. მოდის დუბაიდან, ჩინეთიდან. უწერია 400 ლიტრი ჩვენ, ყველა,*

ვხსნით 100 ლიტრზე რომ ძლიერი გამოვიდეს. არ შველის. გარდა ამისა, ძალიან ძვირია ეს წამლები. წელს უკვე 70 პროცენტი ვენახებისა, წამლების გამო გაფუჭდა. საერთოდ ვენახი გამოსვლის დროს ფუჭდება ხოლმე და წელს გაფუჭდა მე-6, მე-7 წამლობის დროს“– გადმოგვცემენ მევენახეები.

წამლების სიმრავლეზე მეტად მისი უხარისხობა იწვევს მევენახეთა გულისწყრომას. კახეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით უხარისხო შხამ-ქიმიკატებმა მოსპო ვენახები: *„10 რიგი ვენახი მაქვს მიახლოებით 20 მეასედი. საოჯახოდ და ცოტა გასაყიდად. წელს ისეთი ცუდი წამალი შემოიტანეს, რომ სოფელში რომ გაიარო – თითქმის აღარავის არა აქვს ვენახი, წამალმა გააფუჭა, ქარიშხალი იყო სულ გააცვივნა, დაუეჯა მთლიანად. აქეთ წამალმა გააფუჭა. იმედი აღარავის არა აქვს. თუ სიტყვაზე უნდა დაკრეფილიყო 1000 ტონა შეიძლება დაიკრიფოს ერთი 60 ტონა. გაფუჭდა მოსავალი;“*

„შაბიამანი საერთოდ აღარ იჭერს. მეორეც აღარ არსებობს ხარისხიანი შაბი“.

„ვენახში ძალიან ბევრი შხამ-ქიმიკატი შედის, ვასხავთ ბალახის მოსასპობ წამალს, ისეც ხომ ჩადის ფესვთა სისტემაში, აორთქლებაც აქვს, მოსავალი კი მოდის, მაგრამ საჭმელად საშიშია, შხამს ვჭამთ“.

ზემოთ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალა უნისონშია დარგის სპეციალისტების შეხედულებასთან, რომ „საქართველო ამიერკავკასიის მეშხამეობის იმპორტ-ექსპორტის მსხვილ საერთაშორისო ცენტრად ჩამოყალიბდა, რომლის ეპიცენტრიც ჩვენი ქალაქების შუაგულში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე გადის. ... შხამ-ქიმიკატების მაღაზიების რიცხვი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა და ...1000 მიაღწია, პარალელურად გაიზარდა შხამების შემოტანა-გამოყენებაც“(ჯალაბაძე, 2013, "საზოგადოება.გე").

ფიქრობენ, რომ თუ კონტროლი არ გამკაცრდა ფალსიფიკატორების მიმართ, ჩვენი ქვეყანა ვერ განვითარდება. *„გლეხის ღვინო-არაყი რატო არ იყიდება? 4 ლარი ღირს გურჯაანში სპირტი, ერთ ლიტრა სპირტს რომ ერთი ლიტრა წყალი დაასხას – გამოდის 2 ლიტრა არაყი, ჯდება 2 ლარი და გლეხის არაყში 5 და 4 ლარს ვინ მისცემს. ფალსიფიცირება უნდა მოისპოს, ეს კონტროლის პრობლემაა. სურსათის ეროვნული სააგენტო ყველგან არის, მაგრამ ეგ ხალხი რას აკეთებს, არავის არ ამოწმებენ.“*

მევენახეობის განვითარებისათვის, როგორც თავად დარგის სპეციალისტები ფიქრობენ, საჭიროა გარკვეული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ: კახეთის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ არის ვენახების შესახებ ზუსტი მონაცემები, ვენახების ზუსტი საკადასტრო რუკები, რაც წარმოების დონეზე მნიშვნელოვანი პრობლემას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ფართობების და ამ ფართობებზე გაშენებული ყურძნის ჯიშების შესახებ არ არსებობს ზუსტი ციფრობრივი მონაცემები, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია, როგორც ღვინის ქარხნებისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. ინფორმაციის მაქ-

სიმალური სიზუსტის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება სამომავლო გათვლების გეგმაზომიერად განხორციელება. საჭიროა და აუცილებელი ერთიანი ელექტრონული რუკების ბაზების შექმნა, რომელიც სრულად მოიცავს ინფორმაციას ვენახის ფართობების, გაშენებული ჯიშებისა და ზონების შესახებ.

ზემოაღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა ჩატარდეს ღონისძიებები ვენახების განახლების მიმართულებით. მოხდეს ვენახების საყოველთაო საკადასტრო აღწერა და რეგისტრაციის პროცესი. ეს მოიცავს მუნიციპალიტეტებში არსებული ვენახების სრულად აღწერას, მასში არსებული ვაზის ჯიშებისა და მდებარეობის მიხედვით, ყველა ადგილწარმოშობის ზონის ზუსტად დადგენას და აგრეთვე თითოეულ ზონის სპეციფიკური ჯიშებისათვის შესაფერისი დამატებითი მიწების აღრიცხვას. აღნიშნულ პრობლემის მოგვარების აუცილებლობას კახეთის ყველა მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიერ შედგენილ პერსპექტიულ გეგმებში ვხვდებით.

ვენახის მოვლაში მნიშვნელოვანი პროცესია ვაზის გასხვლა, რადგან მასზე ბევრადაა დამოკიდებული იმ წლის მოსავლის რაოდენობა და ხარისხი. როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს აღნიშნული პრობლემაც დღეს მეტნაკლებად მისახედია. *„ჩემს ვენახს თვითონ ვსხლავ, სხვას ვერ ვანდობ. ვენახს გაზაფხულზე ვსხლავ, ვენახი ორნაირად ისხვლება, რომელი მევენახეც მხოლოდ ყურძნის გაყიდვაზე მუშაობს, მეტი სარგებელი უნდათ მიიღონ, მეტ სანაყოფე ტოტებს უტოვებენ ვაზს, შენ თავად როცა გინდა ყურძენი ღვინისთვის, იქ ცოტა ნაკლები სანაყოფე რქა უნდა დაუტოვო. რაც უფრო ნაკლები მოსავალია, მინერალიზაცია ყურძნისა იზრდება და ეს მინერალიზაცია ღვინოში გადასული უფრო მაღალხარისხიანია. რაც უფრო ნაკლებია მოსავალი უფრო მეტად არომატულ ღვინოს იღებ. მოკლედ გააჩნია რაზე მუშაობთ, თუ ყურძნის გაყიდვაზე მუშაობთ და ფიქრობთ რომ ქარხანას ჩავაბარებ და მერე აღარ მაინტერესებსო, ეს მიდგომა არის მევენახეთა სადღაც 99 პროცენტში. ერთი პროცენტი ვართ ალბათ, ჩვენ, დარჩენილები, ვისაც გიჟებს გვეძახიან.“ (ბურდული, ახმეტა, 2015).*

როგორც მევენახეები გადმოგვცემენ, თეორიულად ყველამ იცის, რომ ერთ გადაკავებულ რქაზე უნდა იყოს მაქსიმუმ ათი კვირტი. ერთ ძირზე, ყველაზე ოპტიმალურ მოსავალს იძლევა და ვაზიც ძალიან არ იტვირთება, როცა ვაზს უტოვებ ორი რქას, თითოს ათი კვირტით, და ორ ან ერთ ნეკს. ე.ი. სანაყოფე კვირტი 22-24 გამოდის. ასეთ შემთხვევაში ყურძნის მოსავალი უფრო ხარისხიანია. მეჩხერი ვენახის შესავსებად ვაზს უფრო გრძელი რქა სჭირდება, ამას გადახეივნებულ ვაზს ეძახიან. როცა გვერდით სხვა ვაზი არ უდგას, საკვები არეალი ეზრდება ვაზს და არ იჩაგრება.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, გასხვლის პრობლემა არსებობს არა იმიტომ რომ არ იციან რა სჯობია, არამედ იმიტომ რომ რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიიღონ.

დიდი კომპანიები უფრო სხვანაირად უდგებიან საკითხს. მათი თქმით მოსავლის რაოდენობის გაზრდაზე ზრუნვა ამცირებს პროდუქციის ხარისხს. ახალგაზრდა კახელი მევენახეები თვლიან, რომ მოსავლის რაოდენობაზე გამოკიდება გვღუპავს ქართველებს. *„აი მაგალითად, რუისპირში ვიღაცას სამ ჰექტარზე დაუკრეფია 100 ტონა ყურძენი. ჰექტარზე 33 და რაღაც კილოგრამები. ეს იყო რეკორდი, რქაწითელზეა საუბარი. 10 ტონაზე მეტი არ უნდა მოიყვანო ჰექტარზე, რომ ხარისხიანი ყურძენი და ღვინო გამოვიდეს, მაგრამ რქაწითელი ისეთი ძლიერი ჯიშია, ჰექტარზე თორმეტი ტონა რომ მოვიდეს კარგად გრძნობს თავს ვაზი, მაგრამ 12-ზე მეტი უკვე აღარ ვარგა. უნდა შევაცალოთ ზედმეტი მტევნები, როგორც ამას საფრანგეთში აკეთებენ. მაგალითად, ჩვენც გვაქვს აპელასიონები*, რომელიც დაგვიდგეს დაცულ ტერიტორიებზე, მიკროზონებში, მუკუზანში, მანავში, კარდანახში და სხვ. განსაზღვრულია, რამდენი უნდა იყოს საჰექტარო მოსავალიანობა: მუკუზანში უნდა იყოს 8 ტონა, კარდენახში უნდა იყოს 10 ტონა“* (ბურდული, გურჯაანი, 2016).

კახეთის ადგილასახელების ვენახები და ღვინოები შეიძლება გარკვეული კუთხით შევადაროთ აპელასიონების ფრანგულ სისტემას. აპელასიონი მკვეთრად განსაზღვრული ტერიტორიაა, რომლის შიგნით უნიკალური ეკოსისტემაა ჩამოყალიბებული (კლიმატი, ნიადაგი, ქარი, სინოტივე) და მხოლოდ ვაზის მკვეთრად განსაზღვრული ჯიში კულტივირდება. ყურძენიც განსაზღვრული ოდენობით იკრიფება. ბუნებრივი მონაცემებით ჩვენი, კახეთის მოკროზონები და ფრანგული აპელასიონი არაფრით განსხვავდება, კახელმა მევენახემ კარგად იცის რომელ მიკროზონაში, რომელი ვაზის ჯიში გაახაროს, მაგრამ სხვა პირობას კი, თუნდაც მოსავლის ლიმიტირებული ოდენობით მოყვანას ჯერ-ჯერობით ნაკლებად მისდევენ.

§ 5. ბიომევენახეობა კახეთში

ცნობილია,რომ ბიომეურნეობა/ორგანული მეურნეობა ნიშნავს სპეციალურად შემუშავებულ და შეთანხმებული სტანდარტების შესაბამისად მოწყო-

---

* სიტყვა აპელასიონი თარგმანში „დასახელებას“ ნიშნავს. **AOC – Appelation d`origine Controlee** (ფრანგ.) – სიტყვასიტყვით „დასახელების კონტროლირება წარმოშობის მიხედვით“. საფრანგეთის გარკვეული რეგიონი, ე.წ. აპელასიონი, რომელსაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალური დეკრეტით ენიჭება AOC an AOVDQS კატეგორია. თითოეულ აპელასიონს სახელმწიფო **უწესებს რეგლამენტს ყურძნის ჯიშების, მოსავლიანობის, წარმოების ტექნოლოგიის, ღვინის ბრენდის ტიპების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით... აპელასიონების ფრანგული სისტემა კონკრეტულ ტერიტორიაზე წარმოებული სასმელის გაუყალბებლობის გარანტიას იძლევა. (© ღვინის კლუბი/vinoge.com)**

ბილ მეურნეობას, რომელიც გამორიცხავს ქიმიური სასუქების, პესტიციდების გამოყენებას, აგრეთვე გენეტიკური ინჟინერიის მეშვეობით მიღებული ორგანიზმებისა და პროდუქტების გამოყენებას. იგი კანონით რეგულირდება და გულისხმობს რომ მეურნეობის მართვისა და საკვები პროდუქტების წარმოების მეთოდები აღიარებულ სტანდარტებს შეესაბამება. ასეთ მეურნეობაში მოყვანილი პროდუქტი არის „ბიოპროდუქტი", და მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. ასეთი მეურნეობის მოწყობისათვის მარტო ფერმერის სურვილი არ არის საკმარისი, მას უნდა გააჩნდეს: ა) საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია; ბ) მან უნდა შეძლოს ტრადიციული მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა; გ) ბიომეურნეს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მოწეულ მოსავალს გაყიდის შესაბამის ფასში.

კახეთის რეგიონის ნიადაგობრივი და კლიმატური მრავალფეროვნება არის იმის საფუძველი, რომ ზედმეტი ქიმიური ჩარევის გარეშე იქნას მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. დღეის მდგომარეობით, მცირე რაოდენობით არიან სერთიფიცირებული და არასერთიფიცირებული ბიო-მეურნეები ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კახეთის რეგიონის საინფორმაციო სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით სერთიფიცირებული ბიო-მეურნეების რაოდენობა 11, ხოლო არასერთიფიცირებულების 23 (კახეთის რეგიონის..66-67). წარმოგიდგენთ ერთ-ერთი ასეთი მევენახე-მეღვინე ბიო-მეურნისაგან ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალას:

„მე ვწამლი კონტაქტური, სპილენძის შემცველი წამლებით და გოგირდით. სპილენძის წამალი სხვა არის, ეს შაბიამანი არ არის, ეს არის კალცის, კირშერეული, ბორდოსნარევი, იროკო არის, ბოჟანგი, სპილენძის ჰიდროქსიდი, ბევრნაირი წამლებია, სპილენძისშემცველი წამლები, სველებადი გოგირდია, რომელიც ერევა შიგ, უბრალოდ ბოლო წამლობისას აღარ ვიყენებ ამ სველ გოგირდს. ამჟამად თეთრი ჯიშის ვაზი ექვსჯერ, ხოლო საფერავი შვიდჯერ მაქვს შეწამლული. სულ ორი გექტარი მაქვს სამ ნაწილად, შავი ცალკე მაქვს, რქაწითელი და მწვანე ერთად მაქვს შერეული. ვიწყებთ საფერავის კრეფით ორ დღეს შავს ვკრეფავთ, ორი დღე გვინდა მწვანის დაკრეფას და ერთი დღე საფერავის, შერჩევით კრეფას ვახდენთ, იციან როგორი ყურძენი უნდა დაკრიფონ.

ვენახში მწვანე ოპერაციების (გაფურჩვნას), და ყურძნის კრეფის დროს ვქირაობ მუშებს, დანარჩენს ყველაფერს – მოწამვლას, გასხვლას მე თვითონ ვაკეთებ. გაზაფხულზე ვსხლავ ხოლმე, მერე ვარემონტებ, გამოთიბვით ცელით ვთიბავთ, შუაზე ტრაქტორი გაივლის და ძირებში ცელით ვთიბავთ. მოკრეფით მაკრატლით ვკრიფავთ, არა მგონია, მაკრატლიდან იმდენი რკინა გადავიდეს რომ იმან იმოქმედოს ღვინის ხარისხზე.

მეორე მიდგომაა კიდევ ორგანულ მევენახეობაში – ბიოდინამიური ჰქვია, სადაც კონტაქტური წამლები სულ არ გამოიყენება. თვითონ სოკოები გამოიყენება, ისეთი სოკოები, რომლებიც ებრძვიან ჭრაქის და ნაცრის სოკოს. ერთი პერიოდი ჩვენც აქ ვწამლეთ საცდელად ამ სოკოებით, ვენახში

ნახევარი ვენახი ვწამლე მაგით, და კიდევ იყო სტიმულატორი აი ვაზის ძირებში დაასხავ, როგორც სასუქი ისე, მაგრამ ორჯერ მოვიდა მაშინ ჩემს ვენახში სეტყვა, და ყოველი სეტყვის მერე გადავწამლე ბორდოს ნარევით, და ალბათ ამან უშველა და შეინარჩუნა რქაც, ყურძენზე ვერ ვიტყვი კარგი ყურძენი იყო მეთქი.

ვაზი იტანს გვალვას, მე ვთვლი, ზოგადად ვაზი არ უნდა მოირწყას. თუ დიდი გვალვა იქნება წვეთოვანი მორწყვა თუ გაკეთდება, ყველაზე კარგი იქნებოდა, საფრანგეთში მაგალითად კანონით არის ვაზის მორწყვა აკრძალული.

არ შემაქვს ჰერბიციდი, ანუ ბალახის საწინააღმდეგო წამალი, 7-8 წელია ბალახს რასაც ვთიბავთ არ გამომიტანია ვენახიდან, რაც ითიბება შიგვე ლპება, სასუქად რომ იქცეს და რა თქმა უნდა, მულჩირებასაც აკეთებს. ისტორიულად როგორ იყო, ჩვენი წინაპრები როგორ იყენებდნენ ამ ბალახს არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ, პრაქტიკაში დასავლეთში იყენებენ. ჩვენთან მიწასთან დამოკიდებულება უფრო სხვანაირი წავიდა, ყველანაირი მოსავლის მოსაყვანად მასიურად იხმარება ეს ჰერბიციდები. კლავენ მიწას. ასე შედის ნიადაგში დიამინის მარილი, გლიფოსატის მარილი, რომელიც დროთა განმავლობაში მლაშე მიწად აქცევს ამ ჩვენს ნიადაგებს. აქტიური ნივთიერება, რომელიც ამ ბალახის გახმობაზე მუშაობს არის ან დიამინის, ან გლიფოსატის მარილი.

მოსავლიანობას რა თქმა უნდა ზრდის, ვინც სხვა რამეებით, სინთეზური წამლებით წამლავს, ჰერბიციდებს ხმარობს მეტი მოსავალი მოყავთ. მინერალური სასუქები შეაქვთ, მკვებავი ნუტრილანტები შეაქვთ, რომლებიც წამალში ირევა და მცენარე მინერალებით იკვებება ფოთლიდანაც და არა მარტო ფესვიდან, ანუ ფესვის გარდა ფოთლიდან კვებაც მიდის და იმათი ვენახში არის სულ კუმსი მტევანი, ერთი ზომის მარცვალი. ჩემთან უფრო თხელი მტევანია, წვრილი, მსხვილი მარცვალ არეულია. უფრო სუსტია, იმათი უფრო კარგად გამოიყურება, ჩემსას თითქოს უჭირსო ისე გამოიყურება, მაგრამ ჩემი გადის ორგანულ მეურნეობაში და ეს მეხმარება კარგ ფასად გაყიდვაში. მოსავლის დანაკლისი, რა თქმა უნდა მაქვს, მაგრამ საბოლოო ჯამში ღვინის ფასში აისახება. სისტემური წამლებით ნაწამლი ვენახი ინდუსტრიულ მევენახეობად ითვლება, ჩემი ორგანულ მევენახეობად. შარშან, მაგალითად ვენახებს ეძებდნენ, იცოდნენ რომ მე კონტაქტური წამლებით ვწამლიდი ვენახებს და უნდოდათ ეყიდათ განსხვავებული, მაღალი ფასით ყურძენი. მაგრამ ასეთ დროს ვენახი უნდა იყოს სერთიფიცირებული. სერტიფიკატი რომ აიღო, არის „კავკასერტი“ – ასეთი ფირმა საქართველოში, რომელიც ლიცენზიას გასცემს ორგანულზე, მაგრამ მე ჯერ არ მაქვს აღებული სერთიფიკატი. ადრე ღირდა 400 ევრო ყოველწლიური მონიტორინგი, წელს უკვე რახან ევროპასთან დაიდო ხელშეკრულება, მონიტორინგის ფასი უკვე 600 თუ 800 ევრო გახდა. ნებისმიერს შეუძლია რომ ჩამოიყვანოს ევროპიდან ასეთი ფირმა, რომელიც გაუწევს მონიტორინგს, მოკლედ ყველაფერი დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. იყო

მაგალითად ჩემი მეზობელი, იმასაც დიდი ვენახი აქვს, საკმაოდ დიდ მოსავალს დებულობს, ჰექტარზე საშუალოდ 15 ტონას, მეტსაც, მაგრამ თავის ვენახის ყურძენს თვითონ არ წურავს, იცის რითიც აქვს ნაწამლი, ჩემგან უნდოდა ყიდვა, მე როგორ მივყიდი ჩემთვის არ მყოფნის“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მუშაობისას გამოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული მევენახის მიერ, ვენახის მოვლის მეთოდების შესახებ თითქმის ყველა სოფელში იციან, *„პეტრიაშვილი რომ არის მაგალითად კონკრეტულად სწამლავს სულ სხვა წამლებით, რომლებიც არ არის სისტემურები, არ შეიცავს ძლიერ შხამქიმიკატებს, ნაცრის წამალსაც არ ურევს, ჩვეულებრივ საჭმლის სოდას აყრის“ (ბურდული, ახმეტა, 2015)).*

მევენახე ფერმერების თქმით ბიომეურნეობაზე გადასვლა სხვადასხვა სიძნელეებთან არის დაკავშირებული, კერძოდ: *„ბიომეურნეობა მინდა ვაწარმოო, მაგრამ ბიოზე გადასვლა ეგრე მარტივი არ არის. შენ რომ ბიოვენახი გექნება შენს მეზობელსაც ასევე უნდა ჰქონდეს, გვერდზე ვინც გყავს მან თუ სისტემურით მოწამლა და თან ძლიერი იყოსო და ორმაგი დოზით შენიც აღარ იქნება ბიო. ახალი ვენახის გადაყვანა ბიოზე ძნელია, ფესვი არა აქვს მომაგრებული და დაავადებებს ვერ უძლებს, ჯერ უნდა განვითარდეს ფესვი და მერე დაიწყოს ბიოზე გადასვლა. სამი წელია საჭირო, რომ ნიადაგი გაიწმინდოს და მერე გადახვიდე ბიოზე. მე კონტაქტური საწამლი საშუალებებით წამლობის მომხრე ვარ. არის ისეთი მომენტები, ისეთი დაავადება, რომ შეწამლის გარეშე ვერ გაართმევ თავს. შარშან მე შევწამლე 12-ჯერ. თავდაპირველად იწყება წამლობა კონტაქტურით, თავიდანვე სისტემურით მოწამლა არ შეიძლება, მერე სეტყვის და წვიმების სეზონზე სისტემურით ხდება შეწამლა, ოღონდ ორი შეწამლა სისტემურით და მერე ისევ კონტაქტური წამლებით. ბოლო ორი წამლობა აუცილებლად უნდა იყოს კონტაქტურით შეწამლული, ივლისის ბოლოს, მერე ვენახი იკეტება“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს: კახეთში, რომელიც გამოირჩევა უნიკალური გეო-კლიმატური პირობებითა და ნიადაგების მრავალფეროვნებით, უძველესი დროიდან განვითარებული ტრადიციული სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებით, ყველა პირობა არსებობს ბიომეურნეობის განვითარებისათვის. თანამედროვე მოთხოვნებით, თვალში საცემია ის ტენდენცია, რომ მომავალში უფრო მეტი მოთხოვნილება გაჩნდება ბიოლოგიურად სუფთა, შხამ-ქიმიკატების გარეშე მოყვანილ სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე. ბუნებრივია, რომ ბაზრის ეს მოთხოვნა იმოქმედებს პროდუქციის ფასის გაზრდაზე, რაც ფერმერს, მისცემს სტიმულს იზრუნოს არა მოსავლის რაოდენობის გაზრდაზე, არამედ მის ხარისხზე.

§ 6. მევენახეთა კოოპერატივები:

სოფლის მეურნეობის დარგში ჩახედული სპეციალისტების აზრით მცირე მიწიან მევენახეთა და შესაბამისად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებული პრობლემების მოგვარების საუკეთესო და პროდუქტიული გზა იქნება წვრილ ფერმერთა გაერთიანება კოოპერირების გზით, რის საფუძველზეც მათ ექნებათ საშუალება დაზოგონ დრო და ფინანსური რესურსები, უკეთ აწარმოონ სამეურნეო საქმიანობა. ჯერ-ჯერობით კი, როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს– კოოპერატივების მიმართ ხალხს ნაკლები ნდობა აქვს, ურჩევნიათ დამოუკიდებლად დაამუშაოს მიწა, თავის საქმე თვითონ მართოს, ვიდრე სხვასთან შეამხანაგდეს. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის სოფლის წარმომადგენლები გვეუბნებიან, ხალხს კოოპერატივს ვერ უხსენებ, ეშინიათ, არ უნდათ, ჰგონიათ რომ კომუნისტურია და კოლექტივი ყალიბდება. *„მე ვეხვეწები ხალხს (თელავის გამგებლის წარმომადგენელი სოფ. აკურაში), რომ ერთი კოოპერატივი მაინც ჩამოაყალიბონ საჩვენებლად არ უნდათ, არა და კარგია, მართლა კარგია. უპირატესობა აქვთ კოოპერატივებს აი მაგალითად ავიღოთ ვენახზე – ვენახის კოოპერატივი რომ ჩამოყალიბდეს, პირდაპირ ღვინის ქარხანა დაუდებს ხელშეკრულებას, კოოპერატივი 30 ტონას მოიყვანს თუ 50 უპრობლემოდ ჩააბარებს ყურძენს. გრანტებს იძლევიან, იაფიან სესხს იძლევიან, გადასახადიდან განთავისუფლებულები არიან, მერე შეუძლიათ რამდენიმე კოოპერატივი გაერთიანდეს ერთად და შექმნან საწარმო. სახელმწიფოს სარგებელი იქნება ის რომ სოფლის მეურნეობა განვითარდება, სხვა სარგებელს სახელმწიფო ვერ მიიღებს.“* –ასეთი დამოკიდებულებაა კახეთის თითქმის ყველა სოფელში.

თუ გადავხედავთ მევენახე-მეღვინეთა კოოპერირების ისტორიას საქართველოში, რომელსაც საფუძველი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა, დავინახავთ, რომ მან საკმაოდ დიდი დახმარება გაუწია გლეხებს. „საქართველოს რეგიონებში მევენახე მეღვინეები ქმნიან კოოპერატივებსა და ამხანაგობებს, რომელთა საშუალებითაც ერთად უვლიან ვენახებს, აყენებენ ღვინოს, ეძებენ და აფართოებენ გასაყიდ ბაზრებს. კახეთის მევენახე-მეღვინეების მიერ კოოპერატივის შექმნაზე ყველაზე ადრეული ინფორმაცია გვაქვს 1895 წელს. (ალავერდაშვილი, 2015, 118). აღნიშნული კოოპერატივის წესდება გამოქვეყნებულა 1908 წელს სადაც ვკითხულობთ: „კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელ; გლეხთა ამხანაგობას მიზნად აქვს ხელი შეუწყოს თავის წევრებს მხოლოდ მათი მევენახეობის ნაწარმის გასაღებაში: ა) ღებულობს მათგან ღვინოს დასამუშავებლად და დასაძველებლად; ბ) სასტიკ თვალყურს ადევნებს, რომ მიღებულ ღვინოს არავითარი ფალსიფიკაცია არ უყონ, არაფრით შეაზავონ, რომელიც დაუკარგავს ბუნებრივ გემოსა და ფერს და გ) ამგვარად დამუშავებული და მოძველებული ღვინო გამოუშვას ამხანაგობის ფირმით გასაყიდად“. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობა ღვინოს ასაღებს არა მარტო საქარ-

თველოში, არამედ ამყარებს კონტაქტებს სხვა ქვეყნებთანაც: „ამხანაგობა ბაზრის გაფართოებისათვის ზრუნავს, რათა საქმე დაიჭიროს პირდაპირ ბაზართან. რისთვისაც ხსნის და მართავს, რუსეთში თუ საზღვარგარეთ, საწყობებს, სარდაფებს, განყოფილებებს, მაღაზიებს...“ 1918 წლისათვის ამ-ხანაგობა 246 წევრს აერთიანებდა და ფარავდა მთელ კახეთს (ალავერ-დაშვილი, 2015, 119-120).

1917 წელს კახეთში დაარსებულა მევენახეთა გაერთიანება „კავშირთ-კავ-შირი, რომლის მიზანიც ყოფილა „გაავრცელოს გაუმჯობესებული წესით მევენახეობის და მეღვინეობის წარმოება, აგრეთვე ხელი შეუწყოს მევენა-ხეთა კოოპერატიულ ამხანაგობათა დაარსებას, მათ შეკავშირებას და სა-ზოგადოდ, კახეთის კულტურილ და ეკონომიკურ აღორძინებას“. კავშირის აქტივობები სხვადასხვა დროს მოიცავს მაგ: „1. სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა მონახვას; 2. ადგილობრივი ნიადაგისა და კლიმატურ პირო-ბათა მიხედვით ამერიკულ და ადგილობრივ ვაზის შერჩევა-შესწავლას; 3. სახალხო ლექციების და თათბირების მოწყობას და ა.შ. 4. სტატისტიკური მონაცემების შეკრებას და მათი შედეგების გამოქვეყნებას; 5. პერიოდული თუ სხვა სპეციალური ურიდს გამოცემა გავრცელებას; 6. სათანადო დაწე-სებულებებში თუ კერძო პირთა წინაშე სხვადასხვა შუამდგომლობის აღ-ძვრას; 7. საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობას (საზოგადო განმა-ნათლებელი და სპეც სამეურნეო სკოლების, სახალხო სახლების და საზო-გადოებების სამკითხველოების)“ და სხვ. (ალავერდაშვილი, 2015, 120-121).

როგორც აღვნიშნეთ, კოოპერატივები იქმნებოდა მევენახე გლეხების ინტე-რესების დასაცავად, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღე-ბის სადავეები წვრილ მოვაჭრეებს, გადამყიდველებს, „ჩარჩებს“ ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, რომლებიც ე.წ. კარტერული შეთანხმების პრინციპით, პროდუქციის შესყიდვისას, ფასს მინიმალურს ხდიდნენ და თავად კი გასა-ღებისას დიდ მოგებას ნახულობდნენ. შესაბამისად გლეხების მეურნეობე-ბი ვერ ვითარდებოდა. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კახეთის სოფ-ლებში დღეს არსებული ვითარების გამოსწორების ერთ-ერთი (და არა ერ-თადერთი) გზა, სწორედ კოოპერატივების შექმნაა, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ მხრივ მნიშველოვანი წარმატებები არ არის.

კახეთში, კოოპერატივების რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა მუნიციპა-ლიტეტებში განსხვავებული სურათია. ზოგიერთ რაიონში მარტო მევენახე-ობის დარგში კოოპერატივები საერთოდ არ ფიქსირდება, მაგ; ყვარელში, უფრო მრავალპროფილიანი კოოპერტივებია სადაც ვენახთან ერთად გაშე-ნებული აქვთ თხილის პლანტაციაც, ან მესაქონლეობის ფერმაც, ან თევ-ზის სატბორე მეურნეობა და სხვ. მათი რაოდენობაც 2017 წლის მონაცემე-ბით 7 არ აღემატება. თელავის მუნიციპალიტეტში არსებული ხუთი კოო-პერატივიდან (2016 წ.), არც ერთი არ იყო მევენახეობის მიმართულების. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ამავე პერიოდში დაფუძნებული ჩვიდმეტი კოოპერატივიდან, მხოლოდ ოთხია მევენახეობის განხრით, აქედან სამი მე-ურნეობის სხვა მიმართულებითაც მუშაობს და მხოლოდ ერთი კოოპერა-

ტივია (მის შესახებ იხ. ქვემოთ) მარტო მევენახეობის სფეროთი დაკავებული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობით გამოირჩევა საგარეჯოს რაიონი, მაგრამ აქ მხოლოდ სამი კოოპერატივია, რომელიც სხვა საქმიანობასთან ერთად მევენახეობასაც მისდევს, და სხვ.

სოფლის მოსახლეობის ნაწილი თვლის, რომ კოოპერატივის იდეა ცუდი არ არის, მაგრამ შრომისუნარიანი ხალხი ძირითადად წასულია სოფლიდან, „რომ გინდოდეს 10 მუშა კაცს ვეღარ შეაქუჩებ სოფელში“-ო. ზოგიერთ სოფელში მიწის რეფორმის შემდეგ, ხალხს რაღაც კოოპერატივის მსგავსი საუბნო გაერთიანება ჩამოუყალიბებია და რამდენიმე წელი ასე მუშაობდნენ. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სოფელ ქვემო მაჩხაანში ასეთ საუბნო გაეთიანებას 4 კაცი ხელმძღვანელობდა. ამუშავებდნენ 20 ჰექტარ მიწას. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ საწვავი აზერბაიჯანიდან იაფად გადმოჰქონდათ. საზღვრების ჩაკეტვისა და საწვავის გაძვირების შემდეგ გაუჭირდათ მუშაობა და დაიშალა საუბნო გაერთიანებაც. *„მთავარი მოხვნაა რომ მიწა დაამუშაო, სანამ საწვავი იაფი იყო ვხნავდით. მერე ორი ლარი გახდა საწვავი და გაგვიჭირდა, აზრი დაკარგა მიწის დამუშავებამ, რადგან საწვავის გაძვირებასთან ერთად მოსავლის ფასი სულ უფროდა უფრო იკლებდა. მოსავალი რომ მოვიდოდა ხორბლის ფასს დააგდებდნენ, 17-18 თეთრზე ჩამოყავდათ. მეტი გიჯდებოდა მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა, აღარ ქონდა აზრი“ (ბურდული, სიღნაღი 2016,).* ფერმერები ეჭვობენ, რომ ხორბლის ფასს სპეციალურად აიაფებდნენ, რათა სოფლელებს მიეტოვებინათ მიწები, აღარ დაემუშავებინათ და გაეყიდათ.

მსხვილი მევენახე ფერმერების აზრითაც, წვრილმა მესაკუთრე გლეხებმა უნდა შექმნან კოოპერატივები, სხვა პერსპექტივა მათ არა აქვთ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 4-5 წლის მერე არც ერთი ღვინის მწარმოებელი კომპანია გლეხის ყურძენს აღარ ჩაიბარებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ აქვთ უკვე გაშენებული დიდი ვენახები და კიდევ აშენებენ, და მეორეც, უნდა იყოს შეთანხმებული, ან ხელშეკრულებას დადებენ წვრილ ფერმერებთან, როგორ უნდა მოუარონ მათ ვენახს, რა წამალი უნდა იხმარონ. თუ არ ეცოდინებათ, როგორ არის ყურძენი მოყვანილი, მეღვინეები აღარ ჩაიბარებენ.

ამიტომ მაინც ფიქრობენ, რომ კოოპერატივების შექმნის სურვილი სოფლებში უეჭველი გაჩნდება, რადგან მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის სხვა გზა არ არსებობს. უნდა მოხდეს მცირე ფართობის მქონე მევენახეთა კოოპერატივებში გაერთიანება, რათა მათ შეძლონ წარმოებული პროდუქციის როგორც ხარისხობრივი ისე რაოდენობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2014 წელს დაარსდა მევენახეთა კოოპერატივი „მანი“, რომელიც აერთიანებს სუფრის ყურძნის მომყვან 7 მევენახეს, ისინი თავიანთი ნაკვეთებით გაერთიანდნენ კოოპერატივში. მაგალითისათვის მოკლედ შევეხებით აღნიშნული კოოპერატივის საქმიანობას.

„7 წევრი ვართ გაერთიანებული ჩვენ ჩვენი ნაკვეთებით, ზოგი კი ფულადი თანხის შემოტანით. აი ეს მიწის ნაკვეთი იყო ჩემი მაგალითად, ჩემს საკუთრებაში და შევიტანე კოოპერატივში, ნახევარი ჰექტარია, აუდიტით შეფასდა, რა ფასიც იყო და იმ ფასად მომივიდა დავუშვათ 30 პაი ასე ვთქვათ, ერთი პაი არის 72 თუ 75 ლარი. კოოპერატივის წევრები მეპაიეები ვართ. მე მომივიდა დავუშვათ 20 პაი, სხვამ შემოიტანა დავუშვათ 15 პაი, წილობრივი მონაცემებით, მოსავალიც ამის მიხედვით განაწილდება. მარტო არ ვართ შრომაში, ერთად ვმუშაობთ 6-7 კაცი“(ბურდული, გურჯაანი, 2016).

სუფრის ყურძნის მოყვანას საქართველოში ბევრი არ მისდევს, ეს კოოპერატივი მთლიანად სუფრის ყურძენის მოყვანაზეა ორიენტირებული. აქვთ სამი ჯიშის ყურძენი, – კარდინალი, სომხური თითა, და საქიშმიშე ჯიში. კოოპერატივის წევრების დაინტერესება სუფრის ყურძნის წარმოებით გამოიწვია აღნიშნული პროდუქციის დეფიციტმა. ყურძენი შემოსვლისთანავე თავდება, საქართველოში მოწეული სუფრის ყურძენი ბაზარს ერთ თვესაც არ ჰყოფნის, შემდეგ უკვე ქართული ყურძენი აღარ არის და მთელი წლის მანძილზე ბაზარი გაჯერებულია საზღვარგარეთიდან, ძირითადად სასომხეთიდან, შემოტანილი სუფრის ყურძნით.

არსებობს განსხვავებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც, სუფრის ყურძნის მოსავალი კახეთიდან გადის ერევანში და შემდეგ ზამთრის პერიოდში შემოდის როცა ძვირდება. არა მარტო ყურძენი არამედ სხვადასხვა ხილი სეზონზე გააქვთ, როცა კახეთში ღირს ძალიან იაფი. სომხეთში სამაცივრე ინფრასტრუქტურა კარგადაა განვითარებული, ინახავენ 3-4 თვეს და შემდეგ სეზონი რომ გადის ორმაგ და სამმაგ ფასად შემოაქვთ ისევ ჩვენთან.

საქართველოში სამაცივრე ინფრასტუქტურის უქონლობა, მევენახეს აიძულებს ყურძენი მოკრეფისთანავე იაფად გაყიდოს. ამიტომ აღნიშნული კოოპერატივის საქმიანობა პერსპექტიულია და მომავალზეა გათვლილი. ადგილზე წარმოებული პროდუქცია ყოველთვის უფრო ნაკლები ფასი ეღირება და გაუსაღებელი არ დარჩება. *„ჩვენი ბაზარიც მთელი ნოემბერი-დეკემბრიდან თავისუფალია, თუ იქნება ყურძენი, გაიყიდება აუცილებლად. მით უმეტეს, რომ საბაჟო გადასახადის შემთხვევაში კონკურენციას გაუწევს შემოტანილ ყურძენს“.*

ჩვენ დავათვალიერეთ კოოპერატივის საპილოტე ვენახი, სადაც ვაზის რიგები მოწყობილი აქვთ ევროპული სტანდარტით, როგორც ამას იტალიაში და საფრანგეთში აკეთებენ. კოოპერატივის თავმჯდომარე გვიხსნის, რომ ასე უფრო ხარისხიანი ყურძენი მოდის, უფრო თავისუფლად არის მტევანი, მავთულთან არ არის შეხებაში, დაავადება ნაკლებად უჩნდება და მეტი მოსავალი მოდის. ვაზი მაღალ შპალებზე, ხეივნის სტილში აქვთ გაშენებული, თითო რიგის გამოტოვებით, ისე, რომ ხეივანი ფარავს მათ შორის მოქცეულ ვაზის რიგს, რაც მოსავლიანობის გაზრდის გარანტიაა. თუ ჩვეულებრივი წესით გაშენებული ვენახი 10-15 ტონა მოსავალს იძლევა, ასე

გაშენებულ ვენახში 30-35 ტონა უნდა მოვიდეს – გადმოგვცემს კოოპერატივის თავმჯდომარე.

სუფრის ყურძენსაც ისეთივე მოვლა უნდა, როგორც საღვინე ჯიშებს, იმდენჯერვე სჭირდება მოწამვლა, დაავადება უფრო მეტად ემართება ამ ჯიშებს ვიდრე სხვა კლასიკურ ჯიშებს, საღვინე ჯიშებთან შედარებით უფრო ადვილადაც ავადდება. *„მეტი მოვლა უნდა უკვე 12-ჯერ მაქვს მოწამლული. მორწყვა წელს არ დასჭირდა, წვიმიანი ამინდები იყო და ეს დაავადებაც მიტომ გაუჩნდა. თუ დასჭირდა 2-3-ჯერ ვრწყამთ. სამაცივრე ყურძენია, შენახვის პრობლემები არ გვაქს, მაცივარი გვაქვს, საკუთრებაში მაქვს, კოოპერატივში არ მაქვს შეტანილი“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

კოოპერატივის თავმჯდომარე მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე საუბრისას აღვნიშნავს, რომ „წელს ძალიან ცუდი წელია ყურძნის მოსაყვანად, მასიურად დაზიანდა ვენახები. კოოპერატივის უპირატესობა ჩემთვის ისაა იქნებ სხვა ჯიშებიც მომცენ, უკეთესი, ნერგების სახით. ბანკიდან სესხის აღებისას იქნებ შედავათი იყოს და დაბალ პროცენტში მოგვცენ-თქო. აღმოჩნდა კოოპერატივს უფრო ერიდება ბანკი ვიდრე კერძო პირს. არ გვაძლევენ სესხს. პირობა თავიდან იყო რომ უნდა მოეცათ სესხი, ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეალურად არ არის. თუმცა ეს ხეივანი რასაც ხედავთ, ENMPARD-ის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა) გრანტით არის გაკეთებული, 30 პროცენტი ჩვენი იყო 70 პროცენტი გრანტის“. (ბურდული,გურჯაანი, 2016).

კოოპერატივს სულ 3 გექტრამდე სასუფრე ვაზი აქვს *გაშენებული.* ევროპული სტანდარტით, როგორც საპილოტე პროგრამა, მხოლოდ ერთი ჰექტარზე აქვთ გაშენებული, საქართველოში ასე გაშენებული ვენახი ჯერჯერობით მეტი არ არის. დანარჩენი 2 ჰექტარი ჩვეულებრივ ტრადიციულ ვენახად აქვთ. გრანტის დაფინანსებით მარტო ბოძები და მავთულები მოუვიდათ, დანარჩენი კოოპერატივის წევრების მიერაა გაკეთებული. კოოპერატივი ვენახის მოსავლელად ტექნიკას ქირაობს, ძირითადად კერძო სექტორიდან. მათი თქმით კერძო სექტორიდან დაქირავება უფრო იაფი და მოსახერხებელია:

„სახელმწიფომ რომ შექმნა ტრაქტორების გასაქირავებელი ცენტრები, ჯერ ერთი შედარებით ძვირია და თანაც მოუხერხებელი. ჯერ ბანკში უნდა გადარიცხო წინასწარ ფული, ბანკთან ურთიერთობაც პრობლემურია. კერძო პირს ხან სახლში დავურეკავ, მოდი მომიწამლე-მეთქი და მოდის და მიწამლავს. დაქირავებული შრომა არ გვჭირდება ჩვენი ძალებით ვამუშავებთ. შეწამვლას ხელით ვახდენთ.“

როგორც ჩანს, ახალი ურთიერთობები – სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გასაქირავებელ ცენტრებთან, ბანკებთან და სხვ. ჯერჯერობით ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ნელი ტემპით ვითარდება.

გურჯაანის გარდა, სუფრის ყურძნის მომყვანი კოოპერატივი, სხვა მუნიციპალიტეტებში ვერ დავაფიქსირეთ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალავერდაშვილი, პ., მევენახე-მეღვინეთა გაერთიანებები, ინიციატივა ცვლილებებისათვის, (თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე), თბ., 2015.
2. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2015.
3. ბენდიანიშვილი ალ., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965.
4. ბერიაშვილი ლ., „ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში“, თბ., 1989.
5. ბოჭორიშვილი ლ., – მევენახეობა კახეთში, მსე, VIII. თბ.,1956ა.
6. ბოჭორიშვილი ლ., ვენახის მოშენების ხალხური წესები კახეთში, მსე. VIII, თბ.,1956ბ.
7. ბოჭორიშვილი ლ., თელავის რაიონში მივლინების ანგარიში, მსე, თბ., 1956ც.
8. ბრეგაძე ნ., საკულტო მცენარეები და ქართული ფოლკლორი, მსე XXV, თბ., 2005.
9. ბურდული მ., ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან). ახმეტა., 2015.
10. ბურდული მ., გურჯაანის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), გურჯაანი., 2016.
11. ბურდული მ., სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), სიღნაღი., 2016.
12. ბურდული მ., თელავის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), თელავი., 2016.
13. ბურდული მ., ყვარელის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ყვარელი., 2017.
14. ბურდული მ., დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), დედოფლისწყარო., 2017.
15. ბურდული მ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ლაგოდეხი., 2017.
16. ბურდული მ., საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), საგარეჯო., 2017.

17. „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“, გურჯაანის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2016.

18. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

19. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი თბ.,1953.

20. თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები (თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების საინფორმაციო სამსახურის მასალები), თელავი, 2016.

21. კახეთელიძე მ., ხასია ბ., საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 1972.

22. ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1976.

23. მასალები კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის შესასწავლად, თბილისის საგარეუბნო ზონის სოფლის მეურნეობის შესწავლის წინასწარი ანგარიში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის გამომცემლობა, თბ., 1957.

24. ნანობაშვილი ი., ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), თბ., 1960.

25. რუხაძე ჯ., ლეკიაშვილი ან., ჭყონია ი., „სოფელი აკურა”, თბ., 1964.

26. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

27. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2016.

28. სუმბაძე ლ., ქართული მარნის ხუროთმოძღვრება, XVI–XVII, თბ., 1972.

29. უკლება დ., ალაზნის ველი, შიგნი-კახეთი, თბ., 1966.

30. ფრუიძე ლ., საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი პირველი, შესავალი – ძველი სამყარო, თბ., 2014.

31. ქანთარია მ., გურჯაანის რაიონის მოსახლეობის ყოფის ზოგი თავისებურება, მსე, ტ.XXVI, თბ., 2004.

32. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.V ტბ., 19..?

33. შამანიძე ნ., ქართული ხალხური ლეგენდები, თბ., 1973.

34. ჩიტაია გ., მევენახეობა-მეღვინეობა, „შრომები“ ტ. IV. თბ., 2001.

35. ცოცხალი ისტორიები, ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი: ქართვე-

ლი ხალხის ტრადიციული კულტურა, კახეთი I. სამშენებლო კულტურა, თბ., 2015.

36. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.V საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, თბ.,1986.

37. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1986.

38. ჯალაბაძე, ლ., სოფლის მეურნეობის განვითარება, თუ ეკოლოგიური კატასტროფა?!, 2013, sazogadoeba.ge

39. „ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება და სტატისტიკური მონაცემები“, ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2017.

40. ჭყონია ლ., „ვაზის გაშენებისა და მოვლა-პატრონობის ხალხური ცოდნა-გამოცდილებები გარე კახეთში“, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა IV რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1982.

41. ჭყონია ლ., „ვაზის ჯიშები გარე-კახეთში (მანავის მწვანე)“, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1988.

თავი X.

მეღვინეობა

§ 1. კახური ტრადიციული მეღვინეობის ისტორია

საქართველოში კახეთი მეღვინეობის უმთავრესი რეგიონია. როგორც ზემოთ განხილული მასალებიდან გამოჩნდა ვაზის ოთხმოცამდე კახური ჯიშიდან, ყველაზე მეტად გავრცელებულია: რქაწითელი, საფერავი, ხიხვი, კახური მწვანე, ქისი და სხვ. საიდანაც საუკეთესო ღვინოები მზადდება. კახეთში, დღეს ვენახების ყველაზე მეტი ფართობი რქაწითელს და საფერავს უკავია. XIX საუკუნიდან, ქართული ტრადიციული მეღვინეობის გვერდით, თანდათან ფეხს იკიდებს ღვინის ევროპული ტექნოლოგიით დაყენების ტრადიცია, რომელიც XIX საუკუნის ბოლოდან უკვე ცდილობს შეავიწროოს და განდევნოს მეღვინეობიდან ღვინის დაყენების ტრადიციული ქართული მეთოდი და ამ მიზანს XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის აღწევს კიდეც. დღეს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ღვინის ქართულად (კახურად) დაყენების ტრადიციამ თავისი უფლებები აღიდგინა და საქართველოში დღეს მოქმედი ღვინის მსხვილი კომპანიები ღვინოს ორივე მეთოდით აწარმოებენ. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქართველ გლეხს ღვინის ქვევრში დაყენების ქართულ (კახურ) ტრადიციაზე უარი არასოდეს უთქვამს, მაგრამ ეს მხოლოდ შიდა მოხმარებისთვისდა იყო.

რქაწითელი, როგორც საღვინე ჯიში, ყოველთვის გამორჩეულ ადგილს იკავებდა და იკავებს კახეთის მეღვინეობაში, მაგრამ „დღეს საქართველოში ნამდვილად საფერავის ბუმია, ერთი მხრივ ახალი ტექნოლოგიებია ჩართული ამ საქმეში, მეორე მხრივ კი ძველი ტრადიციებიც აღდგა. გაცოცხლდა მივიწყებული ვენახები, გაშენდა ახალი ვენახები“ (დიდი ენციკლოპედია, 2018, 277).

კახური ღვინო საუკეთესო სუფრის ღვინოდ ითვლება საქართველოში, რაც ბუნებრივ გეო-კლიმატურ პირობებთან ერთად, კახელი მეღვინის უდავო დამსახურებაცაა. მევენახეობის ძირითადი პროდუქტი საქართველოში ძველი დროიდანვე იყო ღვინო. „სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ტიპური კახური ღვინო ზღვის დონიდან 400-450-750 მ-ს შორის მოქცეულ ფერდობებზე დგება“ (გაბუნია, 2016, 264).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დარეგისტრირებული 18 ადგილწარმოშობის ღვინიდან 14 იწარმოება კახეთში: წინანდალი, გურჯაანი, ვაზისუბანი, ახაშენი, მანავი, კარდანახი, ტიბაანი, კახეთი, კოტეხი, ნაფარეული, მუკუზანი, თელიანი, ქინძმარაული, ყვარელი.

საქართველოში, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, ღვინო ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იყო და დღესაც ასეა. ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, XVI საუკუნეში, კახეთიდან „ღვინო უხვად გაჰქონდათ ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში" (ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, ჯანაშია, 1943, 273). „ჩვენი ქვეყნიდან ღვინო თურმე მე-XVII ს-ში სომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანშიც კი სპარსეთის მეფისათვის სასმელად ყოველწლიურად ბევრი გაჰქონდათ" (ჯავახიშვილი, 1986, 604).

ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელიც საქართველოში XIX ს–ის ოცდაათიან წლებში იმყოფებოდა, წერდა: „ღვინოს მოსახლეობის ყველა ფენა სვამს, ამიტომ თვითოეული ცდილობს ვენახიდან მოგება მიიღოს. კახეთში მზადდება საუკეთესო ღვინო; თითო თუნგს ჰყიდიან 20-25 კაპიკად; სამი თუნგი შეადგენს ერთ რუსულ ვედროს. ყოველწლიურად იღებენ 900000 ათას ვედროს და ეს მთელი რაოდენობა ყოველ წელს იხარჯება საქართველოში", ამავე დროს აკრიტიკებს კახელ მეღვინეებს, რომ ისინი არ ზრუნავენ ხარისხის გაუმჯობესებაზე: „ღვინის დამზადებას ისეთივე მუყაითად და ცოდნით რომ მოეკიდონ, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება, ის არაფრით არ ჩამორჩებოდა საუკეთესო ევროპულ ღვინოებს. ვენახის პატრონები სწრაფად ჰყიდიან საშუალო ხარისხის ღვინოს, რადგან მათზე მოთხოვნა უფრო დიდია და თავს არ იწუხებენ გაუმჯობესონ ღვინის დაყენება" (გელაშვილი, 205, 18)

კახური ღვინის შესახებ ი. ჭავჭავაძე წერდა: „... ჩვენი ქვეყანა მდიდარია, რადგან ჰავა და მიწა ბევრგვარს საგანს სიმდიდრეს იძლევა, თუ კაცი ცნობიერად ხელს მოჰკიდებს და ცოდნით და ხერხიანად გაირჯება. ჩვენი ქვეყანა, მაგალითებრ, ღვინოს და კარგის თვისების ღვინოსაც იძლევა სხვათაშორის.." (ჭავჭავაძე, 1956, 164).

როგორც ისტორიკოსი ალ. ბენდიანიშვილი წერს ღვინის ექსპორტი განსაკუთრებით გაიზარდა XIX საუკუნეში, მას შემდეგ რაც ამიერკავკასია რკინიგზით დაუკავშირდა რუსეთს. საქართველო-ამიერკავკასიის ღვინოები სულ მზარდი რაოდენობით გადიოდა. სასაქონლო ღვინის დიდ ნაწილს მემამულური და კულაკური მეურნეობები იძლეოდნენ. (ბენდიანიშვილი, 1965, 71). მისსივე მონაცემებით XIX-XX სს. მიჯნაზე კახეთი ბაზრებს ყოველწლიურად აწვდიდა (ან შეეძლო მიეწოდებინა) 2 მლნ. ვედრო ღვინო ... (ბენდიანიშვილი, 1965, 78).

აქვე მას ძალიან საინტერესო ცნობები აქვს მოტანილი ღვინის შემსყიდველი სირაჯების არაკეთილსინდისიერი და ერთმანეთთან შეთანხმებული მოქმედების შესახებ, რის შემდეგაც უფრო იაფად ყიდულობენ ღვინოს: „ღვინის შემსყიდველი სირაჯები სარგებლობდნენ კახური ღვინის ბაზრებზე გადაზიდვის სიძნელეებით, ისინი თავად ჩადიოდნენ კახეთის სოფლებში და ღვინოს ძალიან იაფად ყიდულობდნენ. თელავის მაზრის ანგარიშში ნათქვამია: სირაჯები ჯგუფად ჩამოდიან თელავში და კრეფენ ცნობებს ღვინის ფასების შესახებ. თუ გლეხი საპალნე ღვინოს (576ლ) 120-150 მა-

ნეთს აფასებს, სირაჯები ღებულობენ გადაწყვეტილებას არ მისცენ 45-60 მანეთზე მეტი. ისინი იყოფიან რამდენიმე ჯგუფად და ინაწილებენ მოქმედების ასპარეზს. პირველ დღეს სირაჯები გლეხებს სთავაზობენ საპალნე ღვინოში 70-80 მანეთს, რაზეც ისინი არ თანხმდებიან. მეორე დღეს სირაჯები სამოქმედო ტერიტორიებს ერთმანეთში ცვლიან და უფრო დაბალ ფასს სთავაზობენ გლეხებს. ბოლოს უბრუნდებიან თავდაპირველ ტერიტორიებს და ახერხებენ საპალნე ღვინის 45-60 მანეთად ყიდვას (ბენდიანიშვილი, 1965, 79).

სირაჯები, მეტწილად ამქარში გაერთიანებულნი, მტკიცედ ორგანიზებული ღვინით ვაჭარ-მევახშეები იყვნენ; სირაჯთა მთავარ კონტინგენტს თბილისელი ღვინით მოვაჭრენი შეადგენდნენ (არჯევანიძე, 1958, 188).

ცნობილია, რომ სირაჯი მრავალ ფუნქციას ასრულებდა, იგი იყო: ვაჭარი, მევახშე, მიმწოდებელი (მაგალითად, ვაზის შესაწამლი დანადგარებისა თუ პრეპარატებისა), მეღვინე, მიკიტანი, მეტიკე და შუამავალიც კი. (კალანდაძე, 2015, 243).

მევენახე გლეხებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაწყებული ფულის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების დაარსება, რითაც საშუალება ეძლეოდათ თავი დაეხსნათ სირაჯების არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისაგან. საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი იყო ველისციხის საკრედიტო ამხანაგობა, „რომელიც დაარსდა 1911 წელს ი. გოზალიშვილის ინიციატივით ... ველისციხესთან ერთად შედიოდა ჩუმლაყი, მუკუზანი და ახაშენი. საკრედიტო ამხანაგობა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა სოფლის მოსახლეობის ეკონომიკურ ყოფაზე. იგი სესხებს გასცემდა გაზაფხულზე, როცა გლეხებს ყველაზე მეტად უჭირთ და ამით ათავისუფლებს მოსავლის ავანსად და დაბალ ფასში გაყიდვისაგან (ბენდიანიშვილი, 1965, 86).

მარანი. კახური ტრადიციული მეღვინეობა ორგანულადაა დაკავშირებული ქვევრთან, საწნახელთან და მარანთან. ყურძნის დაწურვის, ტკბილის დადუღებისა და ღვინოს შენახვისთვის კახეთში ცალკე ნაგებობა – მარანი არსებობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მარანი თავისი მნიშვნელობით მეორე ობიექტია გლეხის კარმიდამოსი, საცხოვრებელი სახლის შემდეგ; ... ქართულ მარანში კი თავი და თავი ქვევრებია, მან ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას. „მიწაში ჩაფლული თიხის ჭურჭელი უბადლოა, როგორც ღვინის დასადუღებლად, ისე წლების მანძილზე ღვინის შესანახად. მისი ღირსება განსაკუთრებული გამძლეობაცაა. ქვევრი „უკვდავია“, არც ლპება და არც იჟანგება მიწაში“ (ლეკიაშვილი, 1976, 88).

ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებაში სამი ტიპის მარანი გვხვდება:

1. დამოუკიდებელი ნაგებობის სახით. 2. სახლის ცალკე სათავსოს სახით, რომელიც საცხოვრებლის გვერდით ან მის უკან მდებარეობს და 3. ჩიხე-

სახლის ან აივნიანი სახლის პირველი ან ნახევრადსარდაფის სართულის სახით (სუმბაძე, 1972, 127).

„აღმოსავლეთ საქართველოში (ქართლ-კახეთში), როგორც ყურძნის დაწურვა, ისე ტკბილის დადუღება-დაღვინება წარმოებს „საღვინე სახლში“ (საბა ორბელიანი) მარანში, სადაც მეღვინეობის მთელი ინვენტარია დაცული: საწნახელი, ქვევრები და ა.შ. მარანი ზოგან განცალკევებით მდგომი ქვითკირის ან ფიცრული უჭერო ნაგებობაა, კრამიტით ან წალმით გადახურული. ზოგჯერ კი მარანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულშია მოთავსებული. ძველად მარნები ვენახშიც (ზვრებში) ჰქონიათ“ (ჩიტაია, 2001, 145).

ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე კარგი მეურნე იყო, წინანდალსა და მის შემოგარენში მისი ვენახები 90 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. თავადმა ყოველ ზვართან ცალკე მარანი და ბინა ააშენებინა მეზვრეებისათვის (კალანდაძე, 2015, 105). ბუნებრივია ასე საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მოიქცეოდა, საქართველოში ისტორიულად „ზვარი, როგორც სამეურნეო ერთეული, განსხვავდება ვენახისაგან. წერილობითი თუ ისტორიული წყაროების მიხედვით ზვრების მფლობელები იყვნენ: მეფე, თავადი, ეკლესია და მონასტერი“ (ჭყონია, 1981, 166).

მარანი საქართველოში მხოლოდ ღვინის დასამზადებლად და შესანახად არ გამოიყენებოდა. „მარანი წმინდა ადგილია, სადაც ყურძნის დაწურვა და ტკბილის ღვინოდ დაყენება მიმდინარეობს. მარანში სანიტარულ – ჰიგიენური თვალსაზრისით სანიმუშო სისუფთავე უნდა იყოს, რათა ღვინო ღმერთების საკადრის ღვთაებრივ სასმელად გარდაისახოს (ფრუიძე, 2014, 980).

„მარანი დიდ როლს ასრულებდა სარწმუნოებრივ წეს-ჩვეულებებშიც. საქართველოში იგი წმინდა ნაგებობად იყო მიჩნეული, გარკვეული რიტუალები მარანში უნდა შესრულებულიყო“ (თოფურია, 1984, 34).

მარანში შეიძლება შესრულებულიყო ჯვრისწერისა და ბავშვის მონათვლის რიტუალები. მონათვლამდე ბავშვის მარანში შესვლა არ შეიძლებოდა. „მარანი წმინდა ადგილია, როგორც ეკლესია, სადაც მამა-უფალი რომ მობრძანდება, ზედაშეზე ჩამოჯდება და შეისვენებს, თუ აქ ყველაფერი რიგზეა, მოვლილია, მამა-უფალი თუ კმაყოფილი დარჩა, ოჯახს სიკეთე მოელის“ (ჭყონია, 1988, 85).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში ისტორიულად ძირითადად დახურული ტიპის მარანი იყო გავრცელებული, თუმცა ეთნოგრაფიული მასალებით ღია მარნის არსებობაც დასტურდება. „გარე კახეთში დგინდება ორი ტიპის მარნის არსებობა: ღია და დახურული. ღიაა: მიწაში ჩაყრილი ქვევრები, რომლებსაც საფარი არა აქვს და ჩარდახგადაფარებულია; დახურული: მიწური, ხის და ქვითკირის მარნები“ (ჭყონია, 1981, 166).

1887 წელს კახეთში არსებული მარნის არქიტექტურის შესახებ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენში უფრო ბევრგან ფარდალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დახურული, ბევრგან უკედლებოცაა. ... ამისთანა მარანი უშიშია

ადამიანისათვის და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველმხრივ შეკრულ მარანს დიდი სიფრთხილე უნდა, თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს. როცა ტკბილი დიდ დუღილშია და ბუყბუყებს, ... ბუღი რომ ჩაისუნთქოს კაცმა ძალიან ადვილად დაიხრჩობა. რომ დახურულს და შეკრულს მარანში.. კაცს ეს არ დაემართოს, დუღილის დროს ხშირად უნდა ამისთანა მარანში წმინდა ჰაერი ამუშაოს...“ (ჭავჭავაძე, 1887, №52).

ქვევრი. საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებული დარგი, ბუნებრივია მოითხოვდა ღვინის შესანახი ჭურჭლის დამზადებასაც. ქართული (კახური) ტრადიციული მეღვინეობა ქვევრის გარეშე წარმოუდგენელია. ქართველი მეღვინეები, როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებს, ქვევრს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ღვინის დასაყენებლად. ბერძნული წყაროები გადმოგვცემს, რომ ღვინოს ჩვენი წინაპრები უძველესი დროიდან ქვევრებში ინახავდნენ, – „კარდუხების დამარცხების შემდეგ ელინების ლაშქარმა ერთად მოიყარა თავი და განლაგდა მრავალრიცხოვან და მშვენიერ სახლებში, რომლებიც სავსე იყო სურსათით. იქ ღვინო ისე ბევრი იყო, რომ სილით ამოლესილ ორმოებში ჰქონდათ შენახული“ (მიქელაძე, 1967, 73).

ქვევრებისა და ვენახის დიდ ღირებულებაზე შუა საუკუნეებში მიგვითითებს ბაგრატ კურაპალატის სამართლის (XI ს.) ერთი მუხლი, რომლის მიხედვითაც ძმათა გაყრისას უფროსმა „საუხუცესოდ“ შეიძლება მიიღოს: „თავი სახლი“ (მთავარი საცხოვრებელი ნაგებობა), „ერთი ვენახი“ ან „უფროსნი ჭურნი“ (დოლიძე, 1953. 341).

როგორც ეთნოლოგი ლ. ფრუიძე წერს: „საფიქრებელია, რომ ქვევრმა – ამ უნიკალურმა საღვინე ჭურჭელმა – ადრევე მიიღო როგორც პრაქტიკულ დიზაინური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით სრულქმნილი სახე და მთელ ძველ აღმოსავლეთში გავრცელდა. მართალია, მას ყოფაში მრავალმხრივ იყენებდნენ, მაგრამ ქვევრი უეჭველია, მევენახეობა-მეღვინეობის საჭიროებისათვის წარმოქმნილი, უმთავრესი საღვინე ჭურჭელია და ათასწლეულთა მანძილზე, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებული“ (ფრუიძე, 2014, 89).

ღვინის შესანახად და დასაძველებლადაც, საქართველოში და კერძოდ კახეთშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი დროიდანვე ქვევრი გამოიყენებოდა, მაგრამ XIX ს-ის II ნახევარიდან კი, როგორც ი. ჭავჭავაძე წერდა, „ჩვენი ქვევრი მეტად ათვალწუნებულია ჩვენთა მეცნიერთაგან, ამიტომ... ქვევრის ავკარგიანობა შეძლებისდაგვარად უნდა გამოვიძიოთ ... ქვევრის სიკეთისათვის საჭიროა, კარგის თიხის იყოს და გარგად გამომწვარი (ჭავჭავაძე, 1956, 116).

ცნობილია, რომ კარგი ღვინის დასაყენებლად, გარდა ჭურჭლისა, აუცილებელია ღვინის საცავში ზამთარ-ზაფხულ ერთი და იგივე ტემპერატურა იყოს, რასაც ჩვენი ქვევრი შესანიშნავად უზრუნველყოფს, „ჩვენი კარგი ქვევრი, იმით, რომ თითქმის ქვადქცეული თიხისაა, მიწაში ჰზის და სწო-

რედ, – იმ სამსახურს გვიწევს, რასაც კარგი სარდაფი, ანუ მარანი ევროპიელს. (ჭავჭავაძე, 1956, 120).

ევროპელები, „...სარდაფს ანუ მარანს, იმ წინდახედულობით აკეთებენ, რომ საჭირო სითბო-სიცივის ზომაც, სინათლისა, თუ ნესტ-მშრალობისა, – როცა უნდათ, – იმ დონეზე დააყენონ ხოლმე, რა დონესაც დრო და ჰაერის ცვლილება მოითხოვს. ამ სახით იქ მარანს, ანუ სარდაფს, აკეთებენ იმ წინდახედულობით, რომ ღვინის ჭურჭელი ხსენებულს განსაცდელებს მოაშორონ, და ჩვენ კი თვითონ ჭურჭელს ღვინისას ვაყენებთ იმ მდგომარეობაში, რომლებზედაც იმ განსაცდელებს ხელი არ მიუწვდებათ“ (ჭავჭავაძე, 1956,120).

საწნახელი. მარანში ქვევრთან ერთად აუცილებელი ჭურჭელია საწნახელი, კახეთში მეღვინეობის უმთავრეს ჭურჭლებს, საწნახელსა და ქვევრებს შორის მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია არსებობს, საწნახელი მხოლოდ ყურძნის დაწურვას ემსახურება, ქვევრები კი მხოლოდ ღვინის დაყენებას და შენახვას. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ქვითკირის საწნახელი, რომელიც ხშირად ორგანყოფილებიანია.

ყურძნის დაწურვასა და მეტადრე ღვინის დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რადგან ღვინოს დიდი ფასი ჰქონდა და სოფლის მეურნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. კარგი ღვინის დაყენება მარტივი საქმე არ იყო, არამედ ამისთვის შესაფერისი ცოდნა და დიდი გამოცდილებაც იყო საჭირო. ერთ მთავარ პირობათაგანს სისუფთავის დაცვა შეადგენდა (ჯავახიშვილი, 1986, 637).

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, ძველად საქართველოში მეფე მხოლოდ „ღვინის შენახვის მცოდნე“-ს მიანდობდა მეღვინის პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობას. ყველგან სადაც მეფეს საკუთარი ზვრები ჰქონდა, დასტურლამალის მიხედვით, „ჩვენნი მოჭელენი ასეთს მემარნეს დააყენებდნენ, წლითიწლად რიგით, რომე ღვინის შენახვის მცოდნე იქნებოდეს“-ო (ჯავახიშვილი, 1986, 658).

მემარნე ვალდებული იყო კარგი ღვინო დაეყენებინა და სათანადოდ დაეცვა, პასუხისმგებელი იყო ღვინის სიკარგეზე. როდესაც მოსთხოვდნენ ღვინოს, მეღვინესთვის უნდა ჩაებარებინა და ამ დროს მის თვისებასაც შეამოწმებდნენ (ჯავახიშვილი, 1986, 671-672).

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს მეფე-მთავრებს თავთავიანთი მეღვინეთუხუცესები ჰყოლიათ, რომელთა ფუნქციაში ბუნებრივია ღვინის ღირსება – ნაკლოვანების გამოცნობაც შედიოდა (თანამედროვე სომელიე). ზემოაღნიშნულის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის თ. სახოკია: „გურიელს ერთი მეღვინეთუხუცესი ჰყოლია, გვარად ანთაძე. კაცი მეტად დახელოვნებული ღვინის ღირსების გამოცნობაში, რითაც თავი დიდად მოჰქონდა თურმე გურიელსა. ერთხელ სასახლეში უცხო სტუმრებთან ჩამოვარდნილა მის შესახებ ლაპარაკი და გადაუწყვეტიათ გამოვცადოთო. აურევიათ ერთმანეთში სამნაირი ღვინო: ორი მეხუთედი ფერსათული (სო-

ფელია), ორი მეხუთედი ოსეთური (სოფელია) და ერთი მეხუთედი ჩაქვური.. მოუხმიათ მეღვინეთუხუცესი და უთქვამთ – გამოიცანიო. იმასაც გემო უნახავს თუ არა, შემდეგი პასუხი მოუხსენებია მთავრისთვის:

„ფერად ფერსათულიო,

გემოდ ოსეთურიო,

ცოტას მოიჩაქვურებსო“.. (სახოკია, 1985, 116).

კახეთის ბარის თითქმის ყველა სოფელში უამრავ ადგილას, „ძირითადად სამონასტრო კომპლექსების მახლობლად და ნასოფლარებში (ჯანაანი, ბაიხო, ხაშმი და სხვ.) მრავლად არის შემორჩენილი ქვევრ-მარნის ნაშთები. აღმოჩენილია მე-8 საუკუნის ქვევრები და მარნის ნაშთები ალავერდის მონასტერთანაც, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს მევენახეობის დარგის ადრეული საუკუნეებიდანვე კარგად განვითარებას. (ახმეტის.., .2015, 48).

ეთნოლოგი ა. ლეკიაშვილი წერს: მეექვსე საუკუნიდან საქართველოში გაშლილი სამონასტრო მშენებლობების კვალდაკვალ ვენახებით იფარება მონასტრის მიდამოები. „მონასტრებიდან ქალაქებში ბაზარზე გააქვთ დიდძალი ღვინო. აქ გამართულ ქულბაქებში იყიდება ქებული სამონასტრო ღვინოები. ღვინის შემოსავალი უზრუნველყოფს მონასტრის კრებულს საზრდელით, სამოსელით, „ეკლესიის სამკაულით“ „სახმარი ნივთით“, ახალი მამულებით“ (ლეკიაშვილი, 1976, 21).

სპეციალისტების აზრით ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგია იმდენად უნიკალური და დახვეწილი შინაარსისაა, რომ განვითარებას არც კი ექვემდებარება. კახეთის ღვინოებს ადგილწარმოშობის მიხედვით ვახუშტი ასე ახასიათებს, რომ არის „კეთილი და კარგი“, კონდოლის ღვინო – „წარჩინებული“, ახმეტის და მანავის – „კეთილი“. (ვახუშტი, 1973, 528; 549).

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, განსაკუთრებით კი მეორე ნახევრიდან, ღვინის ქვევრში კახურად დაყენების ტრადიციას მრავალი მაკრიტიკებელი გამოუჩნდა, როგორც უცხოელების, ისე უცხოეთში განსწავლული ქართველების სახით და ქართველი მეღვინის მრავალსაუკუნოვანი ემპირიული ცოდნა-გამოცდილება ეჭვქვეშ დააყენეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ საპასუხოდ დაწერილ ი. ჭავჭავაძის ნარკვევს „ღვინის ქართულად დაყენება“, სადაც უცხოელ თუ უცხოეთში განსწავლულ თანამემამულეთაგან იცავს ქართველ მეღვინეს და ტრადიციულ მეღვინეობას.

კახური წესით ღვინის დაყენება, კლერტთან ერთად ქვევრში ხანგრძლივ დადუღებას და ყოფნას გულისხმობს, კერძოდ 4-5 თვეს, რაც ძირეულად განსხვავდება ღვინის დაყენების ევროპული წესისაგან და პირველ რიგში სწორედ ეს გახდა კრიტიკის ერთ-ერთი ობიექტი XIX საუკუნეში, რომლის საპასუხოდ ილია წერდა: „კლერტს რომ ჩვენში არ აცლიან ყურძენსა, ამაზედ იმას ამბობენ, რომ კლერტით მარცვალი უფრო კარგად და ჩქარაც ისრისება, ფეხქვეშ დაწურვას ამ გზით ჰშველის და უხდებაო. გარდა ამისა კლერტის ჩარჩენა იმისთვისაც საჭიროაო, რომ დაწმინდავების დროს,

როცა ღვინოს ქუდს გაუტეხენ და დაურევენ, კლერტი ძირს ჩადის და ლექი ღვინისა ძირს ჩააქვსო, ამის გამო ღვინო სწრაფად დაწმინდავდება ხოლმეო" (ჭავჭავაძე, 1956, 91).

ქართველი მეღვინე XIX ს-შიც ღვინოს მხოლოდ ყურძნის წვენისაგან ამზადებდა, რაც ასევე განსხვავდებოდა ღვინის ევროპულად დაყენების წესისაგან, ამასაც გვიწუნებდნენ: „ყურძნის წვენის სხავდასხვა ოსტატობით და მეცნიერთაგან აღმოჩენილი წამლებით გადასხვავება ნუთუ ისე ბრმად მოსაწონია, რომ იმის მიხედვით დაიწუნოს კაცმა ჩვენებური ღვინის კეთება, რომელიც მარტო იმაზეა მიქცეული, რომ ყურძნის წვენს არა რა შეერიოს და ღვინოს თავისი ბუნებური, შეურეველი ბუნება ჰქონდეს!" (ჭავჭავაძე, 1956. 82).

როგორც ი. ჭავჭავაძე წერს კახური ტრადიციული მეღვინეობის განქიქებაში უცხოელებზე მეტად ქართველები აქტიურობენ: „მათის სახელით და სიტყვით ბრმად გატაცებულნი და ფეხის ხმას აყოლილნი, იმათზე უარესად გვხვევენ მჩვარში. ჩვენნი შინაური ოსტატები ბრძანებენ, რომ ჩვენბური ღვინის კეთება გროშად არა ჰღირსო; ჩვენ არ ვიცით ვერც ერთნაირის და გამძლე ღვინის კეთება, ვერც შამპანურისა, ვერც კონიაკისა და სხვა ამგვარი დიდფასიანი სასმელებისაო ... ეს კი გონების თვალისაგან მოჰსხლეტიათ, რომ ღვინის კეთებას ჩვენში მთელი ათასის წლების ისტორია აქვს და, მაშასადამე, არის რამ მიზეზი, რომლის ძალითაც ჩვენი ერი თავისებურ ღვინის კეთებას ჰრჩეობს და ევროპიულს უფრთხის და ერიდება დღესაც. ვინ იცის, იქნება ეს მიზეზი პატივსადებია, ჭკვად მისაღებია? მას გამოძიება, გამოკვლევა უნდა და უამისოდ ჩვენებურ ღვინოზედ წუნის დადება, ღვინოს ჩვენებურად კეთების აბუჩად აგდება, . . .სიბრიყვე და კადნიერებაა." (ჭავჭავაძე, 1956, 76).

თავის მოსაზრებებს ი. ჭავჭავაძე მეცნიერულად და სამართლებრივი თვალსაზრისითაც ამაგრებდა, ასე, მაგ; „გერმანიის რჯულდება პირდაპირ და ცხადად ამბობს, რომ ღვინო მარტო იმასა ჰქვიან, რაც მარტო ყურძნის წვენისაგან კეთდება და სხვა არა-რა განგებ ჩარეული და ჩამატებული არა აქვს-რაო". (ჭავჭავაძე, 1956, 85).

„ჩვენში ამ საგანზე თავის დღეში არავითარი რჯულდება არა ყოფილა, ... მაგრამ ეს კი ვიცით ჩვენებური ხალხი ძალიან ჰთაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რაიმე ჩაურიოს" (ჭავჭავაძე, 1956, 86).

ქართული რჯულდება რომ არ იცნობს სასჯელს ღვინის ფალსიფიკაციაზე ალბათ იმიტომ, რომ ქართველ მეღვინეს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა ყურძნის წვენში რაიმე შეერია. ყურძნის დაწურვას და ღვინის დაყენებას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული, კარგი ღვინის დაყენებას კი შესაფერისი ცოდნა და დიდი გამოცდილება სჭირდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით მარანში მიტანილი ყურძენი მალე უნდა გადამუშავდეს. ყურძნის წურვას შებინდებისას დაიწყებდნენ და შუაღა-

მემდე გრძელდებოდა, ვიდრე სულ არ დაიწურებოდა იმ დღეს მოკრეფილი ყურძენი. სხვადასხვა ჯიშის ყურძენს ცალ-ცალკე წურავდნენ. მეღვინეები თვლიან, რომ ღვინო ხარისხიანი მაშინ დგება, როცა ყურძენი ზომიერად მწიფეა. „ზედმეტად მწიფე ყურძნისაგან დუნე, უსიცოცხლო ღვინო დგება, დაუმწიფებელი ყურძენი კი მჟავე ღვინოს გვაძლევს. ამას გარდა თეთრი და შავი ჯიშები ერთსა და იმავე სიმწიფის დონეს არ მოითხოვს. „სხეულის“ სინაკლულე თეთრ ღვინოს უფრო ეპატიება ვიდრე შავს“ (ჭყონია, 1987, 131).

ღვინის დაყენების კახური წესის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ როგორც თეთრი, ასევე წითელი ღვინის დაყენება სწარმოებს მთლიან ჭაჭაზე. გარე კახეთში ყველაზე კარგი ღვინოები დგებოდა: საფერავი (სოფ. ხაშმი ცნობილია საფერავის ღვინოებით), მწვანე (მანავის მწვანე ისტორიულად ცნობილი ღვინოა) და რქაწითელი (ჭყონია, 1987, 133).

ღვინის დაყენების თავისებური ტექნოლოგია გამოიყენებოდა კახეთში; „დასადუღებელი ტკბილი საწნახლიდან ხის ღარებით ან პირდაპირ ისხმებოდა ქვევრში, ან თაღარში (თიხის პირგანიერი ჭურჭელი) გროვდებოდა, რათა შემდეგ ქვევრში გადაეტანათ. ტკბილის გასაფილტრად საწნახლის ძირში მოწნული ლასტი ან ტუპკირი იდგმებოდა. დუღილის პროცესში, რომელიც 1-2 კვირა გრძელდებოდა, მაჭარს სარეველათი (კაპებიანი ჯოხი) ურევდნენ“ (გაბუნია, 2016, 270).

ღვინის დუღილი დამოკიდებულია ჭურჭელზე და მარნის ტემპერატურაზე. თუ თბილი მარანია ღვინო მალე დუღდება, თუ გრილია გვიან, ნელა დუღს. ღვინის დუღილი ქვევრებზეც არის დამოკიდებული, ცნობილი არის ორი სახის ქვევრი: „სწრაფი“ და „მძიმე“. რომელი ქვევრიც მძიმედ ადუღებს ის ქვევრი კარგია. დუღილი, რა თქმა უნდა, ყურძენზედაც არის დამოკიდებული, თუ ყურძენი გახურებულია, მალე დუღდება, თუ გრილია, მაშინ მძიმედ დუღდება ღვინო“ (ლეკიაშვილი,1969, 72-73).

კახეთში პირველ დუღილს სჭირდება დაახლოებით ორი კვირიდან ერთ თვემდე, რადგან გარე კახეთში მანავის მწვანე მწიფდება სექტემბრის ბოლოს – ოქტომბრის დასაწყისში. მისგან დამზადებული ღვინო მწვანე ფერისაა, გემოთი ნაზი, რბილი და ჰაეროვანი, შეიცავს 11-12% ალკოჰოლს (მოდებაძე, 1961, 518), ჩვეულებრივ პირობებში ეს დუღილი მთავრდება ოქტომბრის დამლევს და ნოემბრის დასაწყისში. ამ დროს ჩვენთან ჰაერი ცივდება. ეს, რასაკვირველია, მარანსაც აციებს და ღვინოც ცივდება და დუღილი ჩერდება. დადგება თუ არა შემდეგ გაზაფხულის სითბო, ღვინის მდგომარეობა იცვლება. ნახშირმჟავა, რომელიც დიდი რაოდენობით არის მოგროვილი, ვეღარ ეტევა და ამოდის მაღლა. ამოძრავებული ღვინო ლექით ხელმეორედ იმღვრევა. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ღვინის გადაღება მაშინ უნდა მოხდეს, სანამ გრილა და ღვინო დაწყნარებულია. მთხრობელთა გადმოცემით, – ღვინოს სამ-ოთხ ან ხუთჯერ სჭირდება გადაღება პირველ წელიწადს. შემდეგ წლებში კი ორჯელ გადაღება სჭირდება: მარტსა და აგვისტოს; თეთრ ღვინოებს წელიწადში ოთხ-ხუთჯერ

უნდა გადაღება, ფაქიზია ძალიან, შავს კი ორ-სამჯერ. ღვინოს თუ მალ-მალე გადაიღებ, ტკბილი გამოდის, ხოლო თუ ჭაჭაზე დიდხანს რჩება – ძლიერია.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ღვინის პირველი თვისება ის არის, რომ იყოს „წმინდა, გემოიანი, არ ჰქონდეს მიწის გემო და იყოს სასმელად მაგარი“. ღვინო არის წითელი, თეთრი, მწავანე. ღვინის დაყენების ტექნო-ლოგია მრავალგვარია.

გარე-კახეთის მევენახეობა-მეღვინეობის ძირითადი ცენტრები იყო სოფ. ხაშმი, მანავი, უჯარმა, დიდი და პატარა ჩაილური, თოხლიაური, კაკაბეთი, ანთოკი, საგარეჯო, ყანდაურა, შიბლიანი და სხვ.

„ხაშმი მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით ერთ-ერთი პერსპექტიუ-ლი მიკროზონაა გარე კახეთის მიკრორაიონებს შორის. ხაშმის საფერავი უნიკალური სუფრის ღვინოა, თავისი ბიოენერგეტიკული და სამკურნალო თვისებებითაც“ (კალანდაძე, 2015, 221).

ქართლ-კახეთის მეღვინეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი მხარის, რომელი მამულის ღვინოა, როგორ ადგილზეა ვენახი გაშენებული და როგორი ნიადაგის მოსავალია, თვით სოფლის შიგნითაც განსხვავდება ერთი მამულის ღვინო მეორე, მომიჯნავე მამულის ღვინისა-გან (სონღულაშვილი, 1974, 48).

ზემომოყვანილი ტრადიციული ცოდნა თანამედროვე მეღვინეობაში მეტად გამოიყენება: ცნობილი კარდანახის წარაფის შესახებ ახალგაზრდა მეღვი-ნე გადმოგვცემს: *„წარაფში კიდევ ჩაშლილია სავენახე ადგილები, სხვა-დასხვა სახელები აქვს, მაგ; „გოგიასეული“ და ა.შ. მე მაგალითად ერთი ვენახი წარაფში რომ გავაშენე შუაზე საურმე გზა მაქვს დატოვილი, მარ-ცხენა მხარეს ორი წელია ვაზი ვერ გავახარე. რომ შეხედავ მიწაც სხვა ფერისაა. ყურძენი მოდის რათქმა უნდა მაგრამ იმ ხარისხის არაა. სხვა-დასხვა ადგილზე მოყვანილ ერთი და იგივე ჯიშის ყურძნისაგან სხვადას-ხვა არომატის ღვინო დგება. მე რაც ვაკვირდები კარდანახის ახოები, და-ახლოებით 120 ჰექტარი, უფრო კარგია სავენახედ, ვიდრე წარაფი“ (ბურ-დული, გურჯაანი, 2016).* მისი გადმოგვცემით *„ქვევრის ღვინოს პერსპექ-ტივა – ძალიან კარგია, მაგრამ აღარ განვითარდება. ქვევრი არის მისტიკა და ტრადიცია. ტექნოლოგიურად შეიძლება უკეთესად აკონტროლო ქვევ-რის გარეშე. ქვევრი არის უნიკალური, იშვიათია, არსად არ არის მსოფ-ლიოში სხვაგან, მომავალი აქვს, რა თქმა უნდა, მე ძირითადად მექნება ქვევრის ღვინო. დღეს მეცნიერებაშია გადასული ღვინო“.* როგორც გად-მოგვცემს პირველი მოსავალი პაპისეულ ქვევრში დაუყენებია: *„პაპაჩემის 200 ლიტრიან ქვევრში დავაყენე პირველი მოსავალი, რომ ავხადე, ისეთი არომატული იყო, რომ დასალევად შემეცოდა“*-ო.

ცნობილია, რომ საქართველოში ყურძენი ოდითგანვე ფეხით იწურებოდა, რაც აღმოსავლეთ საქართველოში XX ს-ის II ნახევრამდე შემორჩა. „თუმ-ცა მანქანით ყურძნის წურვა გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე ფეხით

წურვა, ინფორმატორები და ნაწილობრივ სპეციალისტები (მეღვინეები) უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებენ. საქმე ის არის, რომ ფეხით წურვა საშუალებას აძლევს მეღვინეს თავიდან აიცილოს წიპწის დამტვრევა და კლერტის გასრესვა, რასაც მანქანით წურვის დროს აქვს ადგილი და რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ღვინის გემოზე“ (გაბუნია, 2003, 59).

ყურძნის დამუშავების დროს საქართველოში იყენებდნენ წვენების (ტკბილის ფრაქციების) გამორჩევის (გამოყოფის) ხერხს, რომელიც დღესაც, მაღალხარისხოვანი ღვინის დამზადების ერთ-ერთ პირობად არის მიჩნეული.

კახეთში არჩევდნენ ტკბილის სამ ფრაქციას: წინა-წვენს, შუა-წვენს, უკანა-წვენს. მეღვინე ლ. ჯორჯაძის დაკვირვებით, წინა-წვენს იძლევა კარგად მოწეული ყურძნის მარცვალი, რომელიც დაწურვისას მაშინვე იჭყლიტება. უფრო მაგარი მარცვლები, რომლებიც უფრო გვიან იჭყლიტება იძლევა შუა-წვენს და ბოლო-წვენს. გარდა ამისა სცოდნიათ საწნახელში დარჩენილი ჭაჭის საქაჯავში გატარება და გამოწურვა, რომელსაც „ნაქაჯი წვენი“ ჰქვია (ჯორჯაძე, 1876, 76).

აღმოსავლეთ საქართველოში წვენების გამორჩევა ხდებოდა მათ თვისებებზე (სიწმინდე, ფერი, სისქე) დაკვირვების შედეგად. საწნახელში მწურავების მიერ პირველ გავლაზე გამოსულ მღვრიე წვენს, რომელიც მტვერს, გარეშე მინარევებს და წყალს შეიცავდა, ცალკე ასხამდნენ. როდესაც შეამჩნევდნენ, რომ წვენმა ფერი იცვალა, მას სხვა ქვევრში მიუშვებდნენ; ბოლოს გამოსული მომუქო ფერის წვენისათვის მესამე ქვევრი იყო განკუთვნილი (გაბუნია, 2003, 97).

წვენების გამოყოფის ასეთი წესი XX საუკუნის II ნახევარშიც დაადასტურა ჭყონიამ გარე კახეთში, რომლის მიხედვითაც საუკეთესოდ შუა წვენი ითვლებოდა (ჭყონია, 1988, 136).

ზოგადად კახეთში თვლიან, რომ შუა წვენი კარგ ღვინოს იძლევა მაგრამ უკეთეს ღვინოს – ბოლო წვენი. ღვინის წვენის ღირსების შეფასებაზე იყო მიღებული კახეთში ღვინის დაყენების წესი დამყარებული „რაკი დაკვირვება-გამოცდილებამ კახეთის მევენახე დაარწმუნა, რომ წინა-წვენისაგან და შუა წვენისაგან უფრო სუსტი და სუბუქი ღვინო დგებოდა, ვიდრე ბოლო წვენისგან, ამიტომ მათ ერთმანეთში არ ურევდნენ, არამედ წინა-წვენსა და შუა-წვენს ერთად ცალკე ქვევრში ასხამდნენ, ხოლო ბოლო წვენს, ვითარცა უფრო უკეთესსა და მაგარს, ცალკე ქვევრში“ (ჯავახიშვილი, 1986, 661).

როგორც ეთნოლოგი ლ. გაბუნია წერს საინტერესოა კახელი მეღვინის ლ. ჯორჯაძის დაკვირვება ღვინის ფრაქციათა თვისებების კახეთში შემუშავებული წესის შესახებ, რადგან მას მხოლოდ გარკვეულ პირობებში თვლიდა მისაღებად (გაბუნია, 2003, 61).

ფეხით წურვის უპირატესობის დამტკიცებას ილია ჭავჭავაძე ევროპელი მეცნიერების ნაშრომების მოშველიებით ცდილობდა: „... თვითონ ... მეცნიერნი ევროპიელნი ამტკიცებენ, – ფეხით წურვა ყურძნისა ბევრით სჯობ-

ნის საქაჯავით წურვასაო. ... ფეხით წურვისაგან უფრო თანაბრად ისრისება ყურძნის მარცვალი და წიპწა მარცვლისა, ესე იგი კურკა ყურძნისა, არ იჭყლიტებაო. საქაჯავს უამისოდ ვერასგზით ვერ გადაურჩება წიპწაო და გაჭყლეტილი წიპწა-კი ღვინოს წკლარტავსო და ამწარებსო“ (ჭავჭავაძე, 1956, 95).

ყურძნის ფეხით დაწურვას „თავისი დადებითი მხარეები აქვს, მაგალითად, რომ წიპწა და კლერტი არ იჭყლიტება, მთელი დურდოს სათანადო აერაცია ხდება, რაც საფუარს აღვივებს და აძლიერებს“ (მოდებაძე, 1961, 267).

თანამედროვე გამოკვლევები ამტკიცებს იმას, რასაც კახელმა გლეხმა ემპირიული გამოცდილებით მიაგნო და რაც დღეს ქიმიური ანალიზის საშუალებით არის ცნობილი, კერძოდ: დღესდღეობით ქიმიური ანალიზით გამოკვლეულია კახეთის სხვადასხვა თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშის (რქაწითელი, მწვანე კახური, ხიხვი, კახური მცვივანი) ყურძნის კლერტის, აგრეთვე ამ ჯიშებისა და წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის, „საფერავი“-საგან დაყენებული ღვინოების აქროლადი და არააქროლადი არომატწარმომქმნელი ნაერთები. ... კლერტის განსაკუთრებული მნიშვნელობა განსაზღვრულია მისი მდიდარი ქიმიური შემადგენლობით, თეთრყურძნიანი ჯიშებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ვაზის ჯიში „კახური მცვივანი“ (ღლონტი, 2011, 2).

ყურძნის მაგარი ნაწილებიდან წიპწა და შემდეგ კლერტი ძირითადად განსაზღვრავენ კახური ღვინის მაღალ ანტიოქსიდანტურ მაჩვენებელს (ღლონტი, 2011. 8).

„ტიპიური კახური ღვინის დაყენებაში უმნიშვნელოვანესი ასპექტია მომწიფებული ყურძნის კლერტი, ანუ ფიზიოლოგიურ სიმწიფეში მოკრეფილი ყურძნის კლერტი, უკლერტოდ ტრადიციული კახური ღვინის მიღება შეუძლებელია“ (ღლონტი, 2011, 2).

თავად ილია ჭავჭავაძე კლერტის შესახებ წერდა: „მაიმცდამაინც, ჩვენის ფიქრით, გემოსთვის უკლერტოდ ღვინის დაყენება სჯობია, თუმცა ჩვენებურ ხალხს ძალიან უყვარს ის პირის მბლანდველი თვისება ჩვენებურის ღვინისა და უმაგისოდ ღვინოს განგებ ნაკეთებს ეძახის” (ჭავჭავაძე, 1956, 92).

მისივე ცნობით, კახეთშიც იცოდნენ კლერტის გამოცლა, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც ღვინო მაჭრობაშივე იყიდებოდა. მაგალითად, კახეთის „ზოგიერთ სოფელში (შაქრიანსა, ფაშაანსა, ზეგაანში და სხვ.) საცა ღვინო მაჭრობაშივე იყიდება, კლერტს აცლიან, ოღონდ დაწურვის შემდეგ და ისე უკლერტო ჭაჭაზე დაადუღებენ ღვინოსა. ამ ადგილების მაჭარი განთქმულია და ვაჭარიც დაწურვისვე უმალ ეტანება (ჭავჭავაძე, 1956, 93).

თანამედროვე გამოკვლევების მიხედვით „კახური ღვინის ტექნოლოგიაში კლერტი განსაკუთრებულ როლს ასრულებს, ვინაიდან განაპირობებს კახური ღვინისათვის დამახასიათებელ გემოსა და არომატს, რაც უკლერტო ჭაჭაზე დაყენებულ ღვინოს ვერ ექნება, თუნდაც ის დავარგებული იყოს

ქვევრში, 5 თვის განმავლობაში დუღილის დამთავრების შემდეგ“ (ღლონტი, 2011, 11-12).

XIX საუკუნეში, როგორც ჩანს, კახელ გლეხს მინერალური სასუქი არ შეჰქონდა ვენახში იმიტომ, რომ მათი აზრით სასუქი ღვინოს გემოს უცვლისო, სწორედაც იქცევიანო, წერდა ილია: ზოგიერთი სასუქი, რაშიც ერთნაირი ნივთიერება „ამმონიაკი“ მეტისმეტად ჭარბად ურევია, ან სხვა რამ ძლიერად საგრძნობელი ყნოსისათვის, ჰვნებს ღვინოსა. რაკი ესეა, ჩვენებური კაცი, კარგი ღვინის დამყენებელი, ერიდება სასუქის შეტანას ვენახში, რა გვარის სასუქიც უნდა იყოს“ (ჭავჭავაძე, 1956, 89-90). დღეს კი პირიქით, კახეთის ვენახებში არაორგანული სასუქების უკონტროლო შეტანის მხრივ, როგორც მევენახეობის თავში განხილული მასალიდან დავინახეთ, საგანგაშო მდგომარეობაა.

კახეთში, „წასული საუკუნის 20-30-იან წლებიდან დაიწყო კახეთში მეღვინეობის შინამრეწველური წარმოება. ... დაარსდა მევენახეობის მსხვილი მეურნეობები, მაგალითად, ივანე აფხაზისა სოფ. კარდანახში, რომელიც შემდეგ გრაფ შერემეტევმა შეიძინა, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა – წინანდალსა და მუკუზანში (შემდეგში საუფლისწულო მამულად გადასული, გაყიდული“ (არჯევანიძე, 1958, 187).

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში მემამულეთა ნაწილმა შექმნა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ე.წ. საუფლისწულო მამულები (დაქირავებულ შრომაზე დაფუძნებული), რომლებიც აწარმოებდნენ და უცხოეთის ბაზრებზე გაჰქონდათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. კახეთის რეგიონში ასეთი მამულები იყო: წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნის, მუღანლოს და სხვ.

XIX ს-ის მე-2 ნახევრიდან ღვინის მეწარმეები საქართველოში და კერძოდ კახეთში ძირითადად თავადები იყვნენ, – გურჯაანიდან, – ანდრონიკაშვილები; ყვარელში, – ჯორჯაძეები; თავადი ლევან ჯანდიერი და ა.შ.

დიდი დარტყმა ქართულ (კახურ) მევენახეობა–მეღვინეობას მიაყენა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა პროცესებმა, „გაკულაკებამ“, ქონების ნაციონალიზაციამ.

მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა XX ს-ის 30-იან წლებში. 1929 წელს შეიქმნა მეურნეობრივი ორგანიზაცია „სამტრესტი“, რომლის ხელში ძირითადად თავმოყრილი იყო ღვინის როგორც წარმოების, ისე დამზადებისა და გასაღების საქმიანობა. „სამტრესტი არსებითად წარმოადგენდა მსხვილ აგროსამრეწველო ქვეკომპლექსს, რომელიც რესპუბლიკაში მევენახეობისა და მეღვინეობის დარგში ანხორციელებდა ერთიან ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ პოლიტიკას“ (სტეფანიშვილი, 1967, 205). „გეგმიურ საწყისებზე დაფუძნებულმა სახელმწიფომ მიზნად დაისახა მეღვინეობის დარგში არსებული ყველა საწარმოს გადაიარაღება, ახლების აშენება, ახალი ვენახების გაშენება. „სამტრესტმა“, სამუშაოდ მიიწვია 1917 წლამდე კერძო კომპანიებში მომუშავე დარგის სპეციალისტები და

მათთან ერთად დაიწყო ახალი კადრების მომზადება. თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ცოდნის ასამაღლებლად აშენდა საცდელი სადგურები, სანერგე მეურნეობები, შეიქმნა მევენახეთა სკოლები და მოგვიანებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი ჩამოყალიბდა“ (კალანდაძე, 2015, 365).

XX ს-ის 90-იანი წლებიდან შეიცვალა „სამტრესტის“ ფუნქცია და მას დაევალა საქართველოს მეღვინეობის დარგის მართვა. მოხდა ამ სისტემაში არსებული ღვინის მარნების პრივატიზაცია. 2000 წელს „სამტრესტი“ გარდაიქმნა მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტად, ხოლო 2003 წელს – სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტად.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, გეგმიური ხუთწლედებით მცხოვრები სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ქარხნებისა და საწარმოების პრივატიზაციამ მეპატრონეები დააბნია, ისინი არ აღმოჩნდნენ მზად ასეთი ძირეული ცვლილებებისათვის: ფაქტიურად გაჩერდა ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

§ 2. კახური ტრადიციული მეღვინეობის აღორძინება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში კვლავ დაიწყო კამპანია ქვევრში ღვინის დაყენების წინააღმდეგ, ხოლო 80-იანი წლებიდან, როგორც მთელ საქართველოში ისე კახეთშიც იგნორირებული იქნა ქვევრის ღვინის წარმოება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ახმეტის რაიონის ქისტაურის ღვინის ქარხნის ასობით ქვევრი ქვაღორღით ამოავსეს, ქვა-ღორღით არ ამოუვსიათ, მაგრამ განადგურდა წნორის ღვინის ქარხანაც და იქაური ქვევრებიც. საბჭოთა საქართველოში მიზნად იყო დასახული მეღვინეობის მთლიანად ევროპულ ტექნოლოგიაზე გადასვლა. ღვინოს კახური წესით მხოლოდ საოჯახო მარნებშიღა ამზადებდნენ. აღსანიშნავია, რომ წნორის ღვინის ქარხნის განადგურებაში, რომელიც XX ს-ის 80-იან წლებში აშენდა, დიდი წვლილი მიუძღვის გორბაჩოვის მშრალ კანონს: *„ვარდისუბანში დაამზადეს 2000 ქვევრი, იქ სპეციალურად აუშენეს დიდი ქურა, რომ ეს დიდი ქვევრები შესულიყო შიგა. წნორში ჯერ ჩაიყარა ქვევრები და მერე დაიწყო მშენებლობა. სანამ ქარხანა ბოლომდე აშენდებოდა მოუსწრო გორბაჩოვის მშრალმა კანონმა და გააჩერეს მუშაობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო წნორის ქარხნის კონსტრუქციების გაყიდვა, კონსტრუქციები თავისითაც ჩამოიშალა მთელი ტექნიკა ზედ ეცემოდა ქვევრებს, ჩალეწა, ჩაანგრია“ (ბურდული, სიღნაღის.. 2016).*

XX ს-ის 90–იან წლებიდან დაიწყო ძალიან მძიმე პერიოდი კახეთის მევენახეობა-მეღვინეობისათვის. როგორც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, თითქმის განახევრდა ვენახით დაკავებული ფართობი კახეთში, ძალზე შემ-

ცირდა ყურძნის მოსავალი, მაგრამ ამ შემცირებული მოსავლის ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნებისათვის ჩაბარებაც შეუძლებელი გახდა, რადგან მათი უმეტესობა გაპარტახებული, ნაწილი კი ახალი მეპატრონეების მიერ გაჩერებული იყო.

საბჭოთა კავშირის პერიოდში და შემდგომ რთულ წლებშიც ვაზის უნიკალური ჯიშებისა და ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გადარჩენაში უმნიშვნელოვანესია ქართველი გლეხებისა და მცირე მეწარმეების როლი.

როგორც ცნობილია, ქართული ქვევრის ღვინოს იუნესკომ, არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, რაც საერთაშორისო ასპარეზზე ქვევრის ღვინის დამსახურებული აღიარებაა. აღიარებამდე მისასვლელად კი ბევრი შრომა დაიხარჯა.

2005 წლიდან ალავერდის მონასტრის თაოსნობით, მონასტერში არსებულ მერვე საუკუნის მარნის ნაშთებზე, საფუძველი ჩაეყარა და აღორძინდა ქვევრის ღვინის წარმოება კახური მეთოდით – ქვევრში ღვინის არანაკლებ 6 თვის მანძილზე ჭაჭაზე დაყოვნებით და შემდეგ ღვინის ისევ ქვევრში შენახვით.

ალავერდის ტაძარში ტრადიციული კახური წესით დაყენებული ქვევრის ღვინოს დიდი მოწონება ხვდა წილად მრავალ-საერთაშორისო გამოფენა-დეგუსტაციაზე და არაერთი მედლითა და დიპლომით აღინიშნა. ამ წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა ქვევრის ღვინის წარმოების აღდგენას, როგორც ღვინის კომპანიებში, ისე მევენახე-ფერმერებში.

ქვევრის ღვინის პოპულარიზაციას დიდად შეუწყო ხელი 2011წ. 8 აპრილს დაფუძნებულმა ქვევრის ფონდმა, რომლის დამფუძნებლები არიან:

** ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი (დაფუძნებულია სამი მღვდელმთავრის, აბბა ალავერდელი მიტროპოლიტის – დავითის (ალავერდის ეპარქია), სამთავისისა და გორის მიტროპოლიტის – ანდრიას (სამთავისისა და გორის ეპარქია) და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – პეტრეს (ჭყონდიდის ეპარქია) მიერ);*

** ასოციაცია ქვევრის ღვინო;*

** ასოციაცია ქართული ღვინო;*

** ღვინის კლუბი*

ფონდმა უკვე 2011 წლის 11-15 სექტემბერს, საქართველოში, ალავერდის ტაძარში ჩაატარა ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმი. უნდა აღინიშნოს, რომ სიმპოზიუმის მონაწილე ყველა მეცნიერმა, როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა ენოლოგებმა მაღალი შეფასება მისცეს ქვევრში ღვინის დაყენების კახურ მეთოდს.

„ქვევრის ფონდი“ მიზნად ისახავს: ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციების აღდგენასა და დაცვას; ქვევრის ღვინის მწარმოებელთა სტიმულირებას და მხარდაჭერას; კატეგორია – „ქვევრის ღვინის“ დამკვიდრე-

ბას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ; მექვევრეობის ტრადიციების აღდგენას, ქვევრის წარმოების პოპულარიზაციასა და მხარდაჭერსა და სხვ.

ალავერდის მონასტრის მარნის ირგვლივ შეიკრიბა და გამოიკვეთა ქვევრის ღვინოების მწარმოებელ ფერმერთა ჯგუფი – „ალავერდის მონასტრის მარნის მეგობრების“ სახელწოდებით. ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ჩანს, რომ ალავერდის მონასტერი ახლომდებარე სოფლების მევენახე ფერმერებს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებაშიც ეხმარება:

„მარანი რომ გამეკეთებინა, ქვევრები რომ ჩამელაგებინა – ეს ალავერდის მხრიდან იყო „წაქეზება“ კარგი გაგებით, „პეტრიაანთ მარანი“ დავარქვი, ბერების ხელმძღვანელობით ასეთი ტრადიციული მარნები არის სხვადასხვა სოფლებში. მაგალითად, თელავში არის „როსტომაანთ მარანი“. „ალავერდის მეგობართა“ ჯგუფში შევდივარ. ალავერდის ღვინის მარნის გარშემო გაერთიანებულები ვართ პატარ-პატარა საოჯახო მარნები, ისეთი ოჯახები, რომლებსაც ყურძენი მოგვყავს კონტაქტური წამლებით, შაბიამნის მაგივრად სპილენძით და გოგირდით ვწამლით ვენახებს. ბალახის საწინააღმდეგო ჰერბიციდები არ შეგვაქვს და ღვინოს ვაყენებთ ტრადიციული მეთოდით, კახური მეთოდით დაწურვიდან სულ ჭაჭაზე უნდა იყოს მაჭარი, კლერტი, მარცვალი, წვენი ერთად არის 5-6 თვე, ამას გულისხმობს ეს მეთოდი და ამან გაგვაერთიანა ჩვენ ალავერდის გარშემო, ღვინო უნდა დავაყენოთ ამ მეთოდით. ამ ჯგუფში გაერთიანებული არიან თბილისელებიც, მაგალითად შპს „დერგი.“ ქვევრის ღვინის ბოთლში ჩამოსხმაშიც ალავერდის მონასტერი დამეხმარა. თუ რამე გვჭირდება, თეიმურაზ ღლონტი, ალავერდის მარნის მთავარი მეღვინე და კონსულტანტი გვეხმარება, ასევე მამა გერასიმე ადგილზე მევენახეობასაც ხელმძღვანელობს და თვითონ მარანსაც. ჩვენ თუ რამე გვჭირდება კონსულტაციას გვიწევს“ (ბურდული, ახმეტია, 2015).

„ბერების მეგობარი“ მევენახეების გადმოცემით, მათთვის მნიშვნელოვანი იყო ალავერდის მონასტერში ჩატარებულ ქვევრის ღვინის I საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც ესწრებოდნენ და მოისმინეს ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მოხსენებები, დადებითი შეფასებები ქვევრში დაყენებულ ღვინოზე. ქვევრის ღვინის მიმართ მრავალი წლის განმავლობაში ნეგატიური შეფასებების შემდეგ, საქვეყნოდ აღიარებული ღვინის სპეციალისტების აზრი ქვევრის ღვინის შესახებ, ქართველი მეღვინეებისათვის სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა.

ქვევრი პირველ რიგში ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილეობს, თუმცა იგი შესანიშნავი ჭურჭელია ღვინის შესანახადაც. „ის, რომ შენახვის პერიოდში, პირველ გადაღებამდე ღვინო არ განიცდის წიპწის, კლერტისა და ჭაჭის უარყოფით გავლენას, პირიქით, ეს სამი კომპონენტი ძალზე დადებითად მოქმედებს ღვინოზე, სწორედ ქვევრის კონუსისებურ ფორმაზეა დამოკიდებული. ჭიპწა, კლერტი და ჭაჭა იძირება, მას ზემოდან ლექი და

ღვინო ეფარება და თვეების განმავლობაში ასე რჩება. მის შედეგად დგება ტანინებით მდიდარი, შენახვის მაღალი პოტენციალის მქონე გემრიელი, ხასიათიანი ღვინო, რომელიც ცეცხლისფერით ხასიათდება და ნიგვზისა და ვაშლის ჩირის ტონები დაჰკრავს (დიდი ენციკლოპედია.., 2018, 273).

დღეს ტრადიციული კახური მეთოდით, საოჯახო მარნებთან ერთად რომლებიც ყველა მუნიციპალიტეტის სოფლებში საკმაოდ მრავლად არიან, უკვე ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანიების ნაწილიც აყენებს.

ქართველი მეღვინეები ზოგჯერ ე.წ. შერეულ მეთოდსაც იყენებენ. ასეთ მეთოდს მიმართავს, მაგალითად, ქართული მეღვინეობის ტრადიციისათვის უცხო, და დღესდრეობით ერთადერთი მეღვინე ქალი კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში მცხოვრები მეღვინე თამარ დიღმელაშვილი. მას ვენახი 5 ჰა-ზე აქვს გაშენებული, რომელიც ფრანგული ჯიშის ყურძნისაგან ღვინო „შარდონეს“ ასხამს. ყურძენს კლერტსაცლელით წურავს, დაწურული მარცვლის ღვინოს კი ქვევრში, ტრადიციული მეთოდით აყენებს. მეღვინე ქალი აღნიშნავს, რომ ასე დაყენებული ღვინო განსაკუთრებული გემოთი და არომატით გამოირჩევა.

ღვინის მწარმოებელი საოჯახო მარნების ბოთლში ჩამოსხმული ღვინოები უკვე იყიდება ადგილობრივ ბაზარზე. მათგან აღებული ინფორმაციის მიხედვით ისინი კარგად ფლობენ ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდს: *„ღვინოს ვაყენებ ტრადიციული მეთოდით. კახური მეთოდი დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე. დაკრეფიდან სულ ჭაჭაზე უნდა იყოს კლერტი, მარცვალი, წვენი. გასულ წელს დავკრიფე ყურძენი ოქტომბრის დასაწყისში და რქაწითელის ღვინო გადავიღე აღდგომის, წინ 10 აპრილს, ხოლო მწვანე, გადავიღე სადღაც 22-23 აპრილს. მანამდე იყო ქვვრში მთლიანი მასა ერთად. დათბობამდე უნდა გადავიღოთ, რომ ლექი სითბოზე არ აიმღვრეს“ (ბურდული, ახმეტა, 2015).*

საოჯახო მარნები, რომელთა რაოდენობა კახეთში დღითიდღე იზრდება, სისტემატურად მონაწილეობენ ღვინის ფესტივალებსა და საერთაშორისო გამოფენებზე: ასე მაგალითად, თბილისში, გაზაფხულზე ღვინის კლუბი ატარებს ღვინის ფესტივალს; ღვინის სააგენტო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ივნისში „ექსპო ჯორჯიაში“ ატარებს საერთაშორისო გამოფენას; შემოდგომით ღვინის ფესტივალს „ღია ცის ქვეშ მუზეუმი“ მასპინძლობს და ა.შ.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრები მეღვინის, ივანე ნარეკლიშვილის ქვევრის ღვინოებმა 2017 წელს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების რიგით მე-9 საერთაშორისო გამოფენაზე ჭინ ხპო ეორგია17-ში, ორი ოქროს მედალი და ორი გრანპრი აიღო.

საოჯახო მარნის მფლობელების გადმოცემით ღვინოს კარგ ფასად ყიდიან: *„შარშანდელი 2013 წლის ღვინიდან დამრჩა 10 ბოთლი საფერავი, 10 მწვანე და სადღაც 15 თუ 20 ბოთლი რქაწითელი, დანარჩენი სულ გავყიდეთ. ზოგი ბოთლში ჩამოსხმული, ზოგიც ჩამოსასხმელი, როგორი შეკვეთაც*

გვექნება. მე მინდა კიდევ დამატებით ვიყიდო ყურძენი, რომ მქონდეს ერთი წლის ღვინო, ორი წლის ღვინო. დაძველებულს რა თქმა უნდა სულ სხვა გემო და არომატი აქვს. იყიდება ვერ ვასწრებ დაძველებას, მაგრამ ყურძენს ვერ ვშოულობ ისეთს, რომლიც იქნება მოწამლული ისე როგორც მე ვწამლი“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, საოჯახო მარნის ღვინოებს შორისაც არის განსხვავება იმის მიხედვით, თუ როგორი წამლებით წამლავენ ვაზს: *„ჩვეულებრივ ღვინოსა და ორგანულ ღვინოს შორის სხვაობაა ფასში, მაგალითად, თბილისში ჩემი ღვინო რქაწითელი და მწვანე ღირდა 25 ლარი, პლიუს მინუს ორი ლარი – სხვადასხვა მაღაზიაში სხვადასხვა ღირდა, საფერავი ღირდა 30 ლარიდან ზევით“.*

ერთ-ერთი მეღვინის გადმოცემით ღვინის გაყიდვაში მიღწეული შედეგი აძლევს სტიმულს. *„ გერმანელს ვკითხე კარგ ღვინოს რას ეძახით თქვენ – მეთქი, მიპასუხა: კარგი ღვინო ის არის რაც გაყიდულია უკვეო. სტიმულიც ეს არის, როცა ხედავ შედეგს, მეტი გინდა გააკეთო. ერთია მოგწონდეს შენი საქმიანობა, მეორე რამდენად შედეგიანია ეს საქმიანობა, რას იღებ ეკონომიურად“.*

მეღვინეებს სამთავრობო პოლიტიკაც ხელს უწყობს, 2006 წლიდან, რუსეთიდან განხორციელებული ემბარგოს შემდეგ დიდი შეღავათები დაწესდა, *„მაგიტომ არც აქციზია ღვინოზე, ადვილია ღვინის რეალიზაცია. უბრალოდ უნდა გქონდეს კარგი ღვინო, ლაბორატორიის დასკვნები, სერტიფიკატი და შეიტან ბაზარზე“.*

როგორც გადმოგვცემენ ჩამოსასხმელად მეორად ბოთლს არ იყენებენ, ახალი ბოთლი სტერილურად უკვე დამუშავებულია. ჩამოსხმის წინ ბოთლს ავლებენ სპეციალურ ხსნარში (გოგირდის ბისულფატს ხსნიან გამოხდილ წყალში), ბოთლი რომ დაიწრიტება ჩაასხავენ და კორპის სახურავს უკეთებენ. ბოთლში ჩამოსხმა საკმაოდ ძვირი უჯდებათ: *„კორპის სახურავი პორტუგალიიდან შემოგვაქვს. ვაძლევთ შეკვეთას, სხვადასხვა ფასები აქვს ტრანსპორტირებას. 1000-დან 1500-მდე სახურავი ჯდება 90 ევრო, ახლა მაქვს შეკვეთილი, ტრანსპორტირება მიჯდება 120 ევრო. 1000 ცალი კორპი ღირს 205 ევრო, ვყიდულობ სადღაც 3500-ს, მიჯდება 600, – 715 ევრო მერე ემატება ტრანსპორტირებისა 120 ევრო გამოდის სადღაც 815 ევრო და პლუს საბაჟო გადასახადი, ადის 1000-მდე თუ არ გავცდი, მერე ბოთლი, ეტიკეტი, ხარჯები 3500 ბოთლაზე ადის 4000-4500 ლარამდე. ესეც მერყეობს დოლარის კურსთან მიმართებაში. დანარჩენი უკვე სულ მოგებაზე უნდა წავიდეს. ჩემი შრომა აღარ ითვლება ხოლმე ამ ხარჯებში“ (ბურდული, ახმეტა, 2015).*

პატარა მარნებისთვის, როგორც გადმოგვცემენ, ხელსაყრელია სხვადასხვა ასოციაციაში გაერთიანება, ასე მაგალითად, *„ღვინის კლუბი“* ატარებს *რაღაც ტრენინგებს, ლექციას, თუ მისი წევრი ხართ ამაში უფასოდ იღებთ მონაწილეობას. მე მაგალითად რაღაც ფასი უნდა გადავიხადო ლექცია*

რომ მოვისმინო, რაღაც ტრეინინგს დავესწრო“, ან „მაგალითად შემსყიდველი, უკავშირდება ღვინის კლუბს, რომელიც ატარებს რაღაც გამოფენებს, რაღაც ინფორმაცია აქვს, ეს ღვინის კლუბი ჯერ თქვენთან მოდის – რახან თქვენ იმათი წევრი ხართ, თქვენ გეხმარებათ, რომ შემსყიდველთან დაგაკავშიროთ“.

ზემოაღნიშნული გაერთიანებები – „ღვინის კლუბი“, „ქვევრის ფონდი“, „ღვინის ასოციაცია“ და სხვ. ეხმარება საოჯახო მარნების მქონე მეღვინეებს გარკვეული საკითხების მოგვარებაში.

ქვევრის ღვინის თვისებებზე დიდი გავლენა აქვს მისი გარეცხვის ხარისხს. ამიტომ ზოგიერთი საოჯახო მარნის მფლობელი მუშას არ ენდობა: „*მე თვითონ ვრცხავ, სხვას ვერ ვანდობ ქვევრებს*“-ო.

თელავის მუნიციპალიტეში, მეღვინეობით განთქმულ სოფელ ნაფარეულში ცხოვრობენ საინტერესო ადამიანები, ტყუპი ძმები, გამტკიცულაშვილები, რომლებმაც დააარსეს ე.წ. „ტყუპების“ მარანი, მარნის მფლობელებისაგან ჩაწერილი მასალიდან ჩანს, რომ თავიდანვე მათი სურვილი იყო ღვინის ქვევრში დაყენების კახური ტრადიციის აღორძინება. მათ შექმნეს საკუთარი მრავალპროფილიანი ფერმერული მეურნეობა და ჩაერთვნენ საოჯახო ტურისტულ ბიზნესში. თავდაპირველად აღადგინეს ძველი, პაპისეული მარანი. მფლობელობაში ჰქონდათ 5 ჰექტარი ვენახი და ამიტომ გაუჩნდათ ამბიცია, რომ *„ჩვენი ვენახის ყურძენი კი არ შეგვეტანა ქარხანაში, არამედ თვითონ გადაგვემუშავებინა და თვითონ მიგვეცა სასაქონლო სახე. გვინდოდა მოხვედრილიყო ჩვენი დასახელებით თაროზე – როგორც ეს ხდება მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში“ (ბურდული, თელავი, 2016).*

დასახული მიზნის მისაღწევად მათ მიიღეს განათლება მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, – *„2002 წელს ჩავაბარეთ ჩხარტიშვილის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში, პარალელურ რეჟიმში ჩვენ ვაშენებდით ვენახებს, ვამზადებდით ღვინოს. 2004 წელს ჩვენ მამა-პაპისეული მარანი აღვადგინეთ და უკვე 2005 წელს ჩამოვასხით 2004 წლის ქვევრის ღვინო 5000 ბოთლი და ყველა ბოთლი დავნომრეთ. საქართველოს უახლეს ისტორიაში, ქვევრის ღვინო პირველად ჩვენ ჩამოვასხით ბოთლში. სამწუხაროდ, იმ 5000 ბოთლიდან მხოლოდ 10 ბოთლიღა მაქვს შემორჩენილი“ (ბურდული, თელავი, 2016).*

რადგან მათი ძველი მარანი არ იყო დიდი ტევადობის, მათ განადგურებული წნორის ქარხნიდან გადმოზიდეს 3-4 ტონიანი ქვევრები, დღეს უკვე 90 ქვევრი აქვთ 400 ტონა ღვინის ტევადობის.

ძმების წარმატებული საქმიანობის შესახებ ჟურნალისტი მერი ბეთ დურქინი 2017 წლის იანვარში წერდა: „2015 წელს „ტყუპების მარანში“ ჩამოისხა ქვევრის ღვინის 5000 ბოთლი, ხოლო დღეს ამ რიცხვმა 350000 ბოთლს მიაღწია!“ (https://medium.com/@foodmatters/).

სტატიის ბოლოს ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ საქართველოდან ჩატანილი ქვევრის ღვინო ხელმისაწვდომია ნიუ-იორკის, ლოს-ანჟელესის, სან-ფრანცისკოს და ვაშინგტონის რამდენიმე მაღაზიაში.

მექვევრეობა, – კახური ტრადიციული მეღვინეობის განვითარება წარმოუდგენელია ქვევრის გარეშე. საქართველოში მექვევრეობა ძველი დროიდანვე ცალკე ხელოსნურ დარგად ჩამოყალიბდა. საქართველოს მიწაწყალზე გათხრილი აუარებელი ჭურ-ქვევრი ქვევრისმკეთებლობის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს. „საქართველოში დღესაც (XX საუკუნეში – მ.ბ.) მრავალია მექვევრეობის ძველთაძველი კერა, სადაც თიხის ოსტატები მამა-პაპეულ საქმიანობას ეწევიან. კახეთში მექვევრეობით განთქმულია სოფლები: ანაგა, ვარდისუბანი, იყალთო, ახალსოფელი“ (ლეკიაშვილი, 1976, 89-92).

კახეთში XIX საუკუნეში ქვევრებს ბევრგან აკეთებდნენ, მაგრამ საუკეთესოდ ანაგის ქვევრები ითვლებოდა (ჯავახიშვილი, 1986, 653). დღესდღეობით მექვევრეობის ტრადიცია შემორჩენილია მხოლოდ სოფელ ვარდისუბანში. სოფლის მექვევრეებიდან ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ქვევრის დამზადება ძალიან შრომატევადი საქმეა და დღევანდელ დღეს ძალიან გართულებული. მხედველობაში აქვთ ქვევრისთვის საჭირო მასალის – თიხის მოსაჭრელად საჭირო ლიცენზიის აღების შეუძლებლობა და გამოსაწვავი ქურისთვის აუცილებელი შეშის სიძვირე. *„თიხის მოჭრა არ შეიძლება, თიხის მოტანა პრობლემაა. ლიცენზიას არ იძლევიან, ერთი მანქანა შეშა რომ მოვიტანო 1500 ლარიან ჯარიმას დამიწერენ. რეალურად რაც გვჭირდება, იმის საბუთს ვერ ვიღებთ. კარიერი ვინმეზე რომ იყოს გაფორმებული გადავუხდით ფულს, მუქთად ხომ არ მოგცემს, სახელმწიფოსია. ამ საქმემ საუკუნეებს უნდა გაუძლოს, ეს არის ისტორიული საქმე, სულ შიშში ვართ. ადრე ამ საქმეს თითქმის მთელი სოფელი მისდევდა, ეხლა ორიოდე ოჯახიდა მუშაობს“ (ბურდული, თელავი, 2016).*

ადრე ძალიან მოთხოვნადი იყო ქვევრი. *„მთელ კახეთში ეს სოფელი იყო მეთუნეობის ცენტრი. ქვევრი დღესაც მოთხოვნადი გახდა, თიხის არ გვაძლევენ. ინდმეწარმე რომ ვიყოთ, არც მაშინ გვექნებოდა თიხის გამოყენების უფლება. ვერაფერს ვერ გააკეთებ“* – წუხან მექვევრეები.

ვარდისუბნელი მექვევრე, გოჩა კბილაშვილი გადმოგვცემს, რომ ქვევრის პოპულარიზაციის მიზნით 2013 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ მათთან ქვევრის დამზადების მთლიანი პროცესი გადაიღო, ეს ფილმი დიდი ბრიტანეთის ტელეკომპანია „ბიბისიზე“ გადიოდა.

ქვევრის დამზადების ტექნოლოგია ძალიან შრომატევადია: *„პარალელურად 8 ქვევრი კეთდება ერთდროულად, სამი-ოთხთვენახევარი სჭიდება გაკეთების პროცესს. თავიდან სანამ ქვევრებს ქურაში შევაწყობთ, რაც ნელა გაშრება ქვევრი, ერთი თვეც რომ იყოს, ქურაში გამოწვამდე, უკეთესია. თავისით დახურულ სივრცეში უნდა გაშრეს, ფრჩხილით უნდა გავსინჯოთ გამაგრებულია თუ არა, არც ძალიან სველი არ უნდა იყოს და არც ძალი-*

ან უნდა გამოშრეს, ამას „დაყანდრებას“ ეძახიან. „დაყანდრდა“ ანუ ძალიან გამოიფიტაო. მერე გატყდება როცა იფიტება. გამოწვა 10 დღემდე სჭირდება. თავიდან ნელი ცეცხლი ანთია და დროდადრო ემატება. ქვევრების შეტანის მერე შესასვლელი კედელი ამოშენდება და ძალიან დაბალ ცეცხლს შევუნთებთ, თავიდან დაბოლვის პროცესი აქვს, მერე თანდათან მივუმატებთ. ღამე უნდა უთენო, ვერ დაანებებ თავს. ყურადღება უნდა დიდი“ (ბურდული, თელავი, 2016).

სეზონზე ერთი ოჯახი 16 ქვევრზე მეტს ვერ აკეთებს. ქვევრებს შეკვეთით ამზადებენ, ამიტომ გასაყიდი არ რჩებათ. ეზოში რამდენიმე ათეული შეკვეთით დამზადებული ქვევრები ეწყოთ. ვარდისუბნელი ოსტატების მიერ დამზადებული ქვევრები ბოლო დროს მიაქვთ ავსტრიაში, იტალიაში, აშშ-ში, ოღონდ უფრო პატარა ზომის, 500 ლიტრის ტევადობის.

ვარდისუბანში ქვევრებს რემი და ზაზა კბილაშვილების ოჯახიც ამზადებს. მექვევრეობა მათ ოჯახშიც ტრადიციულად გადადიოდა მამიდან შვილზე: „როგორც მე ვუყურებდი და ვსწავლობდი ამ საქმეს მამაჩემისგან, ისე სწავლობენ ჩემი ვაჟები ჩემგან“, – გადმოგვცემს ზაზა, მისი ოჯახი ჩართულია აგროტურიზმშიც, იგი შეიძლება ითქვას ყველაზე ახალგაზრდა ქვევრის მკეთებელი ოსტატია, მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ღონისძიებებში, – „2006 წელს ვიყავი ერთ-ერთ კონფერენციაზე, სადაც ქვევრის ღვინის გასაცნობად და დასაგემოვნებლად ჩვენს მეღვინეებსა და სახელმწიფოს უცხოელებიც ჰყავდათ მოწვეული. ერთ-ერთი ამერიკელი დაინტერესდა, უნდა გავიგო რისგან ამზადებენ ქვევრს, მასში ჩასხმული ღვინო მომეწონაო. თარჯიმანმა ჩემთან მოიყვანა, მეც დავპატიჟე, სიამოვნებით წაგიყვანთ ვარდისუბანში და თიხასაც გაგატანთ შესამოწმებლად-მეთქი“ (კვირის პალიტრა, №36, 2015).

როგორც ზაზა გადმოგვცემს, თიხის ანალიზის პასუხი აშშ-დან მოუვიდა ექვს თვეში, სადაც თიხას მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული. „ჩვენმა წინაპრებმა ქვევრის ქიმიური შემადგენლობა და მოქმედების მექანიზმი, ალბათ არც იცოდნენ, მაგრამ ათასწლეულების განმავლობაში მშვენივრად შეისწავლეს, რომ ქვევრი ღვინოს ყველასა და ყველაფრის ჩარევის გარეშე კიდეც აყენებდა, კიდეც ინახავდა და ასე მზამზარეულს გვაწვდიდა“(კვირის პალიტრა, №36, 2015). უნდა აღინიშნოს, რომ წნორის ქარხნის ქვევრებისთვისაც ვარდისუბნის თიხა ამჯობინეს 1976 წელს სპეციალურად მოწვეულმა ამერიკელმა სპეციალისტებმაც.

ზოგიერთი კახელი მეღვინე ფიქრობს, რომ დიდი შეკვეთების გამო ვარდისუბნელმა მექვევრეებმა გააძვირეს პროდუქცია. *„ასეთი პატარა მარნები ვინც ვართ გაერთიანებულნი ღვინის, ქვევრის ასოციაციაში წელს, მაგალითად, არცერთი ქვევრი აღარ შეგვიკვეთია მათთვის. შევუკვეთეთ იმერეთში, ტყემლანა არის ძირითადი მექვევრეობის სოფელი, საჩხერის რაიონში, იქიდან მოგვაქვს ქვევრები. რასაც ვუკვირდები იმათი ქვევრები ჯობია. გარეცხვისას ამათი (ვარდისუბნის) ქვევრის წყალი რჩება წითელი,*

გემო არ ეცვლება, მაგრამ წყალი მაინც წითელი რჩება. იმერული ქვევრის ნარეცხი წყალი კი თეთრი რჩება“ (ბურდული, ახმეტა, 2015).

უნდა აღინიშნოს, რომ მექვევრეობა, და განსაკუთრებით დიდი ზომის ქვევრების დამზადება, დიდ ცოდნა-გამოცდილებასა და ასევე დანახარჯებს მოითხოვს. ბუნებრივია როცა შეწყდა ქვევრში ღვინის დაყენება, აღარც ქვევრი უნდოდა ვინმეს, როგორც კი ქვევრის ღვინოებისადმი ინტერესი კვლავ გაჩნდა, ქვევრზე მოთხოვნებიც გაიზარდა, არა მარტო ქართველი მეღვინეების, არამედ უცხოელების მხრიდანაც. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ სოფელ იყალთოში დაიწყო ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობა, რომელიც 2016 წლის სექტემბერში დამთავრდა, სკოლა-სახელოსნო მოსავლელად და სამუშაოდ გადაეცა საპატრიარქოს.

კომპლექსის პირველ სართულზე წარმოდგენილი იქნება ქვევრის დამზადების მთელი პროცესი, – თიხის დამუშავება – მოზელიდან დაწყებული ქვევრის გამოწვით დამთავრებული. სკოლა-სახელოსნოს ძირითადი მიზანია მექვევრეობის ტრადიციის შესწავლა-გაგრძელება, ახალგაზრდების დაინტერესება ამ საქმიანობით.

§ 3. ღვინის დაყენების ევროპული ტრადიცია კახეთში

კახეთში ევროპულ მეღვინეობას, როგორც ცნობილია, ერთ-ერთმა პირველმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი. ღვინო წინანდალი ხომ მის სახელთან არის დაკავშირებული. მისი დამსახურებაა, რომ დღეს თელიანში, მუკუზანსა და ნაფარეულში ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები მზადდება. „1835 წელს მან ბანკიდან მილიონი მანეთი ისესხა და ეს ფული მამულების გაუმჯობესებას მოახმარა“ (კალანდაძე, 2015, 105), ააგო მიწისქვეშა მარანი, ჩაყარა ახალი ქვევრები. სამწუხაროდ, მისი გარდაცვალების მერე, მისი ვაჟი ვერ გაუძღვა მეურნეობას და ბანკის ვალებში აღმოჩნდა. 1886 წელს ჭავჭავაძის ქონება მილიონნახევარ მანეთად შეისყიდა საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა.

ევროპულ მეღვინეობაზე აღებული ორიენტაციის გამო, 1890 წლიდან წინანდლის მამულებში დაიწყეს უცხოური ვაზის ჯიშების გაშენება. მაგრამ შემოტანილი ათზე მეტი ჯიშიდან წინანდალში მხოლოდ კაბერნემ ივარგა და ისიც ერთ პატარა მიკრორაიონში, თელიანის აგროუბანში.

მრავალი ცდისა და დაკვირვების შედეგად გამოირკვა, რომ კახეთში ნიადაგურ-კლიმატურ და ბუნებრივ პირობებთან იმდენად იყო შეგუებული ადგილობრივი ჯიშები, რომ ისინი გაცილებით უკეთესი ხარისხის უხვ მოსავალს იძლეოდა და პროდუქციაც საუკეთესო მზადდებოდა. „კახური რქაწითელი ევროპული ტიპის ღვინოებშიც საუკეთესო იყო“ (კალანდაძე, 2015, 109).

1891 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოდან წინანდლის სარდაფში მოიწვიეს ფრანგი სპეციალისტი მერლ-ანტუან მასანო, რომელმაც დიდი რილი შეასრულა საქართველოში ევროპული მეღვინეობის განვითარების საქმეში. მან პირველმა დააყენა ადგილობრივი ყურძნის ჯიშისაგან ევროპული ტიპის ღვინოები (კალანდაძე, 2015, 109).

ერთ-ერთი პირველი ქართველი პროფესიონალი მეღვინე, რომელიც თავის მამულში, ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, მისდევდა როგორც ტრადიციული კახური წესით, ისე ევროპული წესით ღვინის დაყენებას, იყო ზაქარია ჯორჯაძე. ავსტრიის მეღვინეობის ცენტრის – ნოეკლოსტერნობურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ „მან 1882 წელს თავის მამულში ღვინის მარნის მშენებლობა დაიწყო და მარანში 100-ზე მეტი ქვევრი ჩაყარა და მეღვინეობისათის საჭირო მოწყობილობა, დანადგარები ჩამოიტანა საზღვარგარეთიდან. ეს ევროპული ტიპის „შატო“ დღემდეა შემორჩენილი. სარდაფში იგი ამზადებდა როგორც კახურ, ისე ევროპულ, ლიქიორულ და შემაგრებულ ღვინოებს (კალანდაძე, 2015, 95).

როგორც ჩანს, ზ. ჯორჯაძემ თავის სოფელში პირველხარისხოვანი ღვინის ქარხანა მოაწყო. „ჩვენ ვნახეთ – წერდა ბალლასი, – ღვინის უზარმაზარი ქარხანა ღვინის დასაყენებელი მრავალრიცხოვანი ინვენტარით და მოწყობილი ევროპული მევენახეობის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ... ბევრი ენერგია მოხმარდა კახეთში ამ მსხვილ და დროის მიხედვით პირველ საწარმოს შექმნას ... თავადმა ჯორჯაძემ პირველმა დაიწყო კახური ღვინის დაყენება ევროპული წესით...“ (კალანდაძე, 2015, 99).

ჯორჯაძის თაოსნობით ჩამოყალიბდა მეპაიეთა საზოგადოება, რომელიც ყურძნისა და ღვინომასალების გარდა, ჭაჭის არაყსა და სპირტებს ყიდულობდა. მეღვინეობასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ წყდებოდა ზაქარია ჯორჯაძის გარეშე, რომელიც იმავდროულად სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების ვიზე-პრეზიდენტიც იყო (კალანდაძე, 2015, 97).

გარე კახეთში, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში, აღსანიშნავია თავად თადეოზ ჩოლოყაშვილის საქმიანობა. მან თავის მამულში, სოფელ ყარაბულახში/ხაშმში, XIX ს-ის II ნახევარში სახლის ეზოში მარანი იტალიიდან მოწვეულ მშენებლებს დააპროექტებინა, რომელიც განსხვავებულია ქართული ტრადიციული მარნის არქიტექტურიდან და ამით, შეიძლება ითქვას, უნიკალურია. თავის მარანში გადასამუშავებლად თადეოზი თავისი ვენახებიდან მოწეულ ყურძენსა და ადგილობრივი გლეხებისაგან ჩაბარებულ საფერავს წურავდა, რისგანაც შესანიშნავ სუფრის ღვინოს ამზადებდა. ღვინოს საქართველოს გარდა რუსეთსა და საფრანგეთში აგზავნიდა.

იტალიელების დაპროექტებული მარანი ასეთი სახის იყო: „წყალი შემოდიოდა ვენახებიდან, ერთ ადგილას გროვდებოდა და შემდგომ იგი სპეციალური სისტემის წყალობით ქვევრებს გარს უვლიდა და ღვინოს აციებდა“ (კალანდაძე, 2015, 219).

აღნიშნული მარანი, XX ს-ის 50-იან წლებში შეიძინა „სამტრესტმა“ განაახლა ყურძნის მიღება. ქარხნის ტერიტორიაზე განლაგებული იყო ყურძნის მიმღები და სადუღარი განყოფილება, ღვინის შესანახი ცემენტის, რკინისა და ემალის ავზები. „ამ ქარხანაში ბარდებოდა საგარეჯოს რაიონში მოწეული საფერავის მთელი მოსავალი. ყურძენს საკმაოდ მაღალ ფასში იბარებდნენ“ (კალანდაძე, 2015, 220-221).

1890 წელს კარდანახში დაარსდა „ძმები სესიაშვილების“ კომპანია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მეღვინეობის დარგს სათავეში ჩაუდგა სახელმწიფოს მიერ გეგმიურ საწყისებზე დაარსებული „სამტრესტი“. რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც 14 ღვინის ქარხანას უწევდა კოორდინაციას. მან თავის დროზე დადებითი როლი ითამაშა საქართველოში მეღვინეობის დარგის განვითარების საქმეში. მაგრამ XX ს-ის 40-იან წლებში აგროსამრეწველო კომპლექსი სამტრესტი დაიშალა, რეორგანიზაციამ დადებითი შედეგი ვერ მოიტანა, ყურადღება მიექცა მხოლოდ რაოდენობას, ღვინის ხარისხი კი გაუარესდა.

1980-1981 წლებში, საქართველოში და კახეთშიც მევენახეობის მთელი ისტორიის მანძილზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მოსავალი. შეიქმნა „მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი ყურძნის წარმოების გადიდებისა და მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინოების წარმოებისათვის. გაფართოვდა ღვინის მრეწველობა, აშენდა მრავალი ახალი მარანი და სარდაფი (ჯიბუტი, 2014, 124).

საქართველოში ვენახების შემცირების ტენდენცია, შესაბამისად მეღვინეობისაც, 1982 წლიდან იწყება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ორი მიზეზით ა) ყურძნის სახელმწიფოებრივი შესყიდვის დაბალი დონით და ბ) ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების პრაქტიკაში არასწორად განხორციელებით (ჯიბუტი, 2014,125).

ყურძნის შესასყიდი ფასი, მისი მოყვანისათვის გაწეულ ხარჯებთან მიმართებაში, თითქმის ყოველთვის დაბალი და არახელსაყრელი იყო მევენახისათვის. მართალია, ბოლო წლებში ყურძნის შესასყიდი ფასი გაიზარდა, მაგრამ მასთან ერთად ფასი გაიზარდა ყურძნის წარმოებისათვის საჭირო საშუალებებზეც, რამაც ყურძნის თვითღირებულების გაუმართლებელი გაზრდა გამოიწვია. „ქვეყანაში მევენახეობის რენტაბელობის დონე ყოველწლიურად მცირდება. ასეთ პირობებში ყურძნის საბაზრო ფასების ეხლანდელი დონე ვერ პასუხობს მევენახეობის დარგის მოთხოვნებს ..., ყურძნის საბაზრო ფასების ფაქტიური დონე დაბალია და იგი ვერ ასახავს მის წარმოებაზე საზოგადოებრივი დანახარჯების დონეს“ (ჯიბუტი, 2014, 127).

დღეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქართველოში წამყვანი ორგანიზაციაა – ღვინის სააგენტო, ფუნქციონირებს სომელიეთა კავშირი, მეღვინეთა გაერთიანება, ახალგაზრდა მეღვინეთა ასოციაცია, უხუცესთა საბჭო, ქვევრის ღვინის კომპანია, ღვინის კლუბი, ქართული ტრადიციული ღვინის

ფონდი და სხვ. რომლებიც ცდას არ აკლებენ ქართული წესით ღვინის დაყენების პოპულარიზაციის საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში 70-80-იან წლებში ღვინის ქარხნები, ღვინოს ძირითადად მხოლოდ ევროპული ტექნოლოგიებით ამზადებდნენ, მათ საბოლოოდ უარი თქვეს (თუ ათქმევინეს) ქვევრის ღვინის დამზადებაზე. ტრადიციულად ღვინოს მხოლოდ საოჯახო მარნებში თუ ამზადებდნენ.

კახეთში XX საუკუნის 80-იან წლებამდე აშენებულ ღვინის ქარხნების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, მათ უნდა უზრუნველეყოთ ყურძნის მზარდი მოსავლის სრულად გადამუშავება. 90–იანი წლებიდან განვითარებულმა მოვლენებმა ბევრი ღვინის ქარხანა გამოიყვანა მწყობრიდან და დღეს თავიდანაა გასაკეთებელი. 90-იანი წლების მერე განვითარებულმა მოვლენებმა, მეღვინეობის დარგი საქართველოში ძალიან დააზარალა, იგი სახელმწიფო სუბსიდიებისა და დახმარების გარეშე დარჩა, დამოუკიდებელი არსებობის გამოცდილება კი არ ჰქონდა.

ქართული ღვინის 80% რუსეთში გადიოდა. 2006 წლის 27 მარტს კი ეს ბაზარი გადაიკეტა, რუსეთში აიკრძალა ქართული ღვინის ექსპორტი. (2006 წლიდან 2010 წლამდე საქართველოში ვენახის ფართობი და ყურძნის წარმოება 26% შემცირდა). რა თქმა უნდა გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო, მაგრამ ქართული ღვინის მრეწველობას მართლაც ჰქონდა დიდი პრობლემები. ევროპულ ბაზარზე გასვლა მაღალ ხარისხს, მეტ შრომასა და ფინანსებს საჭიროებდა.

ქართველი მეღვინეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა ნაწილმა, რუსული ემბარგოს არსებობის 7 წლის განმავლობაში, ქართული ღვინო არათუ გადაარჩინა, არამედ თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანა. ღვინის სააგენტოს მონაცემებით დღეს ქართული ღვინო უკვე 50 ქვეყანაში იყიდება. თუმცა ამ ექსპორტიორი ქვეყნებიდან, 2016 წლის მონაცემებით, ისევ რუსეთი ლიდერობს. როგორც ექსპერტები მიუთითებენ, რუსული ემბარგოს დამსახურებაა ღვინის ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

უნდა აღინიშნოს, რომ XX ს-ის 50-იანი წლებიდან კახეთის ყველა რაიონში მიმდინარეობდა ღვინის ქარხნების მშენებლობა. მაგალითად, ახმეტაში აშენდა ღვინის ორი ქარხანა (ქისტაური, ახმეტა), ტრადიციულად ქვევრებით და გარდა ორდინალური ღვინოებისა დაიწყეს ახმეტის ზონისათვის დამახასიათებელი უნიკალური სადესერტო-ნახევრადტკბილი და სახელობითი ღვინოების: „ახმეტა“, „ბახტრიონი“, „შუამთა“, დამზადება-ჩამოსხმა, რომელიც შეწყდა 90-იანი წლების ბოლოდან. (ახმეტის..., 2015, 48). აღნიშნული ქარხნები რაიონში მოწეული ყურძნის მოსავლის სრულ გადამუშავენას ახდენდნენ. როგორც მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში ფიქრობენ მათი წარმოების აღდგენა დიდ ტექნოლოგიურ პროცესებთან არ

არის დაკავშირებული და გაჩნდება შესაძლებლობა უნიკალური ღვინოების წარმოების აღდგენისა.

ამჟამად ახმეტაში 4 ღვინის ქარხანაა: ქ. ახმეტაში – სს „ახმეტის ღვინის ქარხანა“, ქისტაურში – შპს „ფალავანი“, ზემო ხოდაშენში – შპს „ბადაგონი“ და ხორხელში შპს „ოროველა“. მათგან შედარებით მსხვილი კომპანიაა „ბადაგონი“, რომელიც ყოველწლიურად გადაამუშავებს 5-6 ათას ტონა ყურძენს. ქარხანამ 2014 წელს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის“ ფარგლებში გააფართოა წარმოება და გახსნა შამპანურის ჩამოსასხმელი ხაზი. ამჟამად მთლიანად აწარმოებენ 22 დასახელების პროდუქციას და საექსპორტოდ გააქვთ 4 მლნ ბოთლი ღვინო, ხოლო შიდა ბაზარზე რეალიზაციას უკეთებენ დაახლოებით 150000 ბოთლს. გასულ წელს (2014 მ.ბ.) ასევე შეღავათიანი აგროკრედიტით ამოქმედდა შპს „ოროველა“ „რომელმაც უკვე გადაამუშავა დაახლოებით 50 ტონა ყურძენი და მიმდინარე წელს დამატებით აშენებს 45 ჰა ვენახს (ახმეტის, 2015, 49).

ახმეტის რაიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მართალია, ადგილზე 4 ღვინის ქარხანა მუშაობს, მაგრამ ადგილობრივი მევენახეებისთვის შეუძლებელია ზემოდასახელებულ ქარხნებში ყურძნის ჩაბარება, რადგან აღნიშნულ კომპანიებს თავად აქვთ ვენახები და იქ მოწეული მოსავალი სრულად შეესაბამება მათ სიმძლავრეებს. ამიტომ მათ უხდებათ ყურძნის თელავის ან ყვარლის რაიონის ქარხნებში ჩაბარება.

მსგავსი სიტუაციაა სიღნაღის მუნიციპალიტეტშიც, სადაც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ფუნქციონირებდა 8 ღვინის ქარხანა, 2016 წლის მონაცემებით კი მხოლოდ წნორის პირველადი გადამუშავების ქარხანა მუშაობს.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ერთ დროს: *„ტიბაანის ღვინო განთქმული იყო, ადგილწარმოების ღვინოა. დღეს ტიბაანის ღვინის ქარხანა ვიღაც ჩინელსა აქვს ნაყიდი. ორი წელი არემონტებდნენ ვითომ ქარხანას, მაგრამ რეალურად არაფერი არ გაუკეთებიათ, გარედან ფასადი შეალამაზეს მხოლოდ, მე მაინტერესებდა მენახა მაგრამ არ შემიშვეს შიგნით. ამბობენ, ვითომ სხვაგან ყიდულობენ ღვინოს და ტიბაანის სახელით გააქვთო..“ (ქარხანაში არ შეუშვეს სიღნაღის გამგებლის რწმუნებული სოფ. ტიბაანში, მ.ბ.) (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

მთხრობელთა გადმოცემით, ტიბანაანის ღვინის ქარხანა ფაქტობრივად ერთი დიდი ქალაქი იყო, ქარხანაში ბევრი ადამიანი იყო დასაქმებული. ტიბაანის ღვინო სამარკო იყო, ცნობილი №8. ხირსის ქარხანაც კარგ ღვინოს ამზადებდა, დღეს ხირსაც მიწასთან არის გასწორებული. *„განადგურდა წნორის ქარხანაც, აფსნაძე რომ იყო, იმან იყიდა, (ფინანსთა მინისტრი იყო ზვიადი გამსახურდიას დროს) და გაანადგურა“* – გადმოგვცემენ მთხრობელები.

„სიღნაღში 80-იან წლებში იკრიფებოდა 80 ათას ტონა ყურძენი, შვიდი ღვინის ქარხანა გვქონდა. სრულად უზრუნველყოფდა ყურძნის მიღება-გადამუშავებას. რაიონის ხელმძღვანელობას ევალებოდათ მოეყვანათ ყურძე-

ნი, ღვინის ქარხნებში გადაემუშავებინათ. წნორში ჩამოდგებოდა უზარმაზარი ეშელონი, „ნერჟავეიკის“ ვაგონ ცისტერნებით, ივსებოდა ღვინით და მიდიოდა ტომსკში, ხაბაროვსკში, ნოვოსიბირსკში,.. მარტო უნდა გაგვევსო ეს ცისტერნები. ირიცხებოდა მერე ფული ბიუჯეტში“ (ბურდული, სიღნაღი, 2015).

საბჭოთა პერიოდში გლეხებისაგან ყველანაირი ყურძნის ჩაბარება ხდებოდა, ამიტომ ბუნებრივია დღეს ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ღვინის ქარხნების გაუქმების გამო, რომლებიც ადრე არა მარტო რაიონულ ცენტრებში, არამედ ცალკეულ დიდ სოფლებშიც კი იყო: *„სიღნაღის მუნიციპალიტეტში მევენახეობის სოფელია ვაქირი, რაიონში აუცილებლად უნდა აშენდეს ერთი ღვინის ქარხანა. კომუნისტების დროს იყო ქარხანა, სულ დაშალეს და ჯართში ჩააბარეს. დიდი ქარხანა გვქონდა 3 000 ტონა ყურძენზე იყო გათვლილი. და ღვინის ფასებიც დარეგულირებული. ახლა ჩვენ, გლეხებს გვჩაგრავენ მეღვინეები, შეადარონ ყურძნის ფასი და ღვინის“ (ბურდული, სიღნაღი, 2016).*

ხარისხიანი ღვინო ხარისხიანი ყურძნისაგან იწარმოება, ამიტომ ბუნებრივია, დღეს საბაზრო კონკურენციის პირობებში, ღვინის ქარხნები უხარისხო ყურძენს აღარ ჩაიბარებენ: *„ადრე არ უყურებდნენ იმას როგორი ყურძენი იყო, დაავადებული თუ არადაავადებული, მაგალითად, საფრანგეთში ყურძნის მოსავალს აკონტროლებს პრეფექტურა, ცნობას რომ გასცემს ე.ი. მაღალი ხარისხია. აქ სახელმწიფო ქარხნებში ყველანაირი ყურძნის გადამუშავება ხდებოდა, სასწორზე დგებოდა მანქანა და კაცმა არ იცოდა შიგნით როგორი ყურძენი ეყარა, ეხლა ეგრე აღარ იქნება“. (ბურდული, გურჯაანი, 2016).* ვფიქრობთ მეღვინეების მოთხოვნა ყურძნის ხარისხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევია და ეს მევენახეებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ მოსავლის ღვინის ქარხნებისთვის ჩაბარება პრობლემად არ ექცეთ.

ახალგაზრდა მეღვინეების აზრით: *„როცა იმ შეგნებამდე მივალთ, როგორც ეს საფრანგეთშია, რომ სოფელი არ მოგცემს ღვინის ფალსიფიკაციის უფლებას, რათა სოფლის ტერუარს სახელი არ გაუფუჭდეს, მაშინ ჩვენთანაც ხარისხი გაუმჯობესდება. მომავალში ძალიან დიდი რესურსები აქვს ჩვენს ღვინოებს, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენი ეტალონი არის საფერავი, ეს არის უნიკალური“.*

ახმეტისა და სიღნაღისაგან განსხვავებით, ყურძნის ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარების საქმეში უკეთესი მდგომარეობაა ყვარელში, რომელიც წარმოადგენს „ქინძმარაულის“ მიკროზონას და იწარმოება ქინძმარაულის მარკის ღვინო. მუნიციპალიტეტში, სასოფლო სამეურნეო საწარმოებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებს. ყვარელში 28 დიდი და მცირე ღვინის საწარმოა, მათ ბოლო წლებში ჩაუტარდა გადაიარაღება და დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებით ღვინის წარმოებას და გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას. ყვარლის მუნიციპალიტეტის საინ-

ფორმაციო სამსახურის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ღვინის საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 2-იდან 200 მუშამდე. მაგალითად, შპს „ხარებას“ დასაქმებული ჰყავს 200 კაცი; შპს „ქინძმარაულის მარან“-ს 100; შპს „ჭიკაანის ღვინის მარანი“ 10; სს. კორპორაცია ქინძმარაული – 20 და ა.შ. (ყვარლის.., 2017, 8-10).

მუნიციპალიტეტში მოწეული ყურძნის 90% ღვინის წარმოებაში გამოიყენება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ფუნქციონირებდა სამი პირველადი და ერთი ჩამომსხმელი ღვინის ქარხანა, რომელთაც შეეძლოთ 25000 ტონა ყურძნის გადამუშავება. რაიონში მოჰყავდათ 30000 ტონა ყურძენი. დღეის მდგომარეობით ღვინის მწარმოებელი 10 მცირე საწარმოა, რომელთა შორის ორ ყველაზე დიდს ქარხანას, თითოეულს შეუძლია 5000 ტონის გადამუშავება, დანარჩენებს ორასი ტონიდან ათას ხუთას ტონამდე.

მუნიციპალიტეტში არის ადგილები, რომელთა სახელებიც დაკავშირებულია ვენახთან და ღვინოსთან, მაგალითად, სოფელ ხაშმში თადიაანთ მარანი (საპატრიარქოს განკარგულებაშია), რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. სოფელ მანავში საცივე (მეფის მარანი) და მეფის ზვარი, რომელზედაც დღესაც გაშენებულია ვენახი, და მიიღება უნიკალური ღვინო „მანავის მწვანე“ (საგარეჯოს.., 2017, 30).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2016 წლის მონაცემებით მუშაობდა 31 ღვინის საწარმო, რომელთა წარმოების მოცულობა ჯამურად შეადგენს 23 350 ტონას, აღნიშნულ საწარმოებში დასაქმებულია 578 ადამიანი. (გურჯაანის.., 2016, 28).

თელავში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ყურძნის მცირე და მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოები. 25 მოქმედი ღვინის ქარხანაა, რომელთაც აქვთ საკმაო რესურსი გადაამუშაონ როგორც მუნიციპალიტეტში წარმოებული ყურძენი, ასევე მიიღონ მუნიციპალიტეტებიდანაც. ქარხნების რიცხვი კიდევ იზრდება. 2013-214 წლებში შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში დაფინანსდა 6 ახალი ღვინის ქარხანა. მევენახე ფერმერებს თელავის მუნიციპალიტეტში ყურძნის რეალიზაციაზე პრობლემა არ ექმნებათ.

„ნაფარეული მევენახეობით და მეღვინეობით განთქმული სოფელია, ერთ-ერთი დიდი ღვინის ქარხანა გვქონდა სამწუხაროდ გაჩანაგდა. შენობა კი დგას და ალბათ ოდესმე გაუკეთდება რეაბილიტაცია. სოფელში დღეს ორი ღვინის საწარმოა. ტყუპების საღვინე სახლი და შპს მარანი. სრულიად აკმაყოფილებს ჩვენი სოფლის მოთხოვნებს, აქვე აბარებს სოფელი და პრობლემა ამ მხრივ არა გვაქვს“ (ბურდული, თელავი, 2016).

კახური ღვინის ხარისხის ამაღლებაში დიდი როლი ეკისრებათ მეღვინეობის მსხვილ კომპანიებს. ბოლო პერიოდში საექსპორტო ბაზარებზე ღვინოზე მზარდი მოთხოვნაც, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების

პერსპექტივას იძლევა. კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში აღებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2013-1014 გაფართოვდა ქართული ღვინის საექსპორტო ბაზარი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია რუსულ ბაზარზე დაბრუნება.

დღეს კახეთში არსებული ღვინის მსხვილი კომპანიების ნაწილი ღვინოს აწარმოებს როგორც ქვევრში ტრადიციული კახური მეთოდით, ისე ევროპული ტექნოლოგიითაც. 2001 წელს დაარსდა კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა", დღესდღეობით იგი ერთ-ერთი მსხვილი კომპანიაა საქართველოში. მას მსოფლიოს მრავალ ბაზარზე გააქვს თავისი პროდუქცია და რამდენიმე ქვეყანაში ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. კომპანიამ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კახური მეღვინეობის უძველესი ტრადიციების შერწყმით შეძლო შეენარჩუნებინა ღვინის ძველი უნიკალური გემო და, ამასთან ერთად, შეექმნა ახალი განუმეორებელი ნიმუშები (კალანდაძე, 2015, 455). „კახურმა ტრადიციულმა მეღვინეობამ" 2013 წელს საგარეჯოში, სოფ. პატარძეულში ააშენა ღვინის საწარმო, რომელიც აღჭურვა უახლესი იტალიური ტექნოლოგიით. 2014 წელს კი გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხეში – ღვინის ქარხანა 5000 ტონა ყურძნის გადამუშავებაზეა გათვლილი.

ღვინის მწარმოებელი კომპანია, „მეღვინეობა ხარება", აწარმოებს 30-დე სახეობის ღვინოს, საიდანაც 9 ქვევრისაა. კომპანია ფლობს 1962 წელს სპეციალურად ვაზისა და ღვინის მსოფლიო კონგრესისათვის გახსნილ გვირაბს, სადაც კომპანიის ღვინის საცავია.

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაული" დაფუძნდა 1992 წელს. კორპორაცია ქინძმარაულისა და ყვარლის ტერიტორიაზე ფლობს 300 ჰა მიწას საიდანაც 150 ჰექტარზე უკვე გაშენებული აქვს ვენახი, ძირითადად საკუთარი ვენახებში მოყვანილი ყურძნისაგან ამზადებს ღვინოს.

კომპანია „ქინძმარაულის მარანი" დაარსდა 2001 წელს, ფლობს 330 ჰა ვენახს. აღსანიშნავია კომპანიის საქმიანობა ვაზის ჯიშების მოძიება-გადარჩენაში, დღეისათვის 423 ჯიში აქვს მოძიებული და გაშენებული ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საკოლექციო ვენახში.

კომპანია „შუხმანს ვაინს ჯორჯია", დაარსდა 2006 წელს, რომელსაც ნაფარეულში, კისისხევსა და შილდაში აქვს 100 ჰექტარ ვენახი გაშენებული. კომპანია ამზადებს გაუფილტრავ ღვინოებს, ფლობს სამ მარანს ასზე მეტი ქვევრით.

სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი" დაარსდა 1997 წელს „თელიანის სამარკო ღვინოების მარნის" ბაზაზე. რომელიც XIX ს-ში აშენდა წინანდალში, თელიანის ვენახების მახლობლად. საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნისგან აწარმოებენ „თელიანი ველის" ადგილწარმოშობის ღვინოებს.

1993 წელს დაარსდა „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" (ჭშ). მათ ყურძნის მიღება და ღვინომასალების დამზადება დაიწყეს გურჯაანის რ-ის კოტეხის ღვინის ქარხანაში. 1996 წელს კომპანიამ

შეიძინა თელავში ღვინის ქარხანა და გადააიარაღა. თელავის ღვინის ქარხანას შეუძლია დღეში 500 ტონა ყურძნის გადამუშავება, წელიწადში 9 მილიონი ლიტრის ჩამოსხმა და 20 მილიონი ლიტრი ღვინის შენახვა. კომპანიის ქარხნის კასრებშო 30000. კომპანიას აქვს საკუთარი ვენახები კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში.

კომპანია „შალვინო“, კარდანახში დაარსდა 2008 წელს, იგი წარაფების, ახოების და მოწყობილის მიკროზონაში მოყვანილი ყურძნით საუკეთესო ქვევრის ღვინოს აყენებს. ფლობს 34 ჰა ვენახს. ქარხნის ტერიტორიაზე ჩაყრილი აქვს 130 ქვევრი, რომელთა მთლიანი მოცულობა შეადგენს 220 ტონას. ქვევრში მზადდება და ძველდება უმაღლესი ხარისხის რარიტეტული კახური ქვევრის ღვინო (კალანდაძე, 2015, 477). დღესდღეობით კომპანია ადგილწარმოშობის დასახელების შემაგრებული ღვინო „კარდენახის“ ერთადერთი მწარმოებელია.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ყველა კომპანია აწარმოებს ნახევლად ტკიბილ ღვინოს, „ალაზნის ველს“, ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, „ყველაზე მეტად ეგ ღვინო იყიდება, რუსეთშიც და ჩინეთშიც, გაყიდვების 70-80% უკავია“–ო.

ისტორიული წყაროებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველოში არსებობდა ღვინის დაძველების ტრადიცია. ძველ ღვინოს განსაკუთრებით აფასებდნენ, იგი არა მარტო შესანიშნავ საკვებ პროდუქტად, არამედ სამკურნალო საშუალებადაც ითვლებოდა. „ღვინის დაძველების ხანგრძლივობა 10 წელს, ზოგან 15-20 წელსაც აღწევდა“ (გაბუნია, 2016, 270).

§ 4. ღვინის სამკურნალოდ გამოყენების ტრადიცია საქართველოში (ენოთერაპია)

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ყურძნის ღვინო ერთ–ერთ უძველეს ნატურალურ სამკუნალო საშუალებად ითვლებოდა საქართველოში (აღნიშნულ საკითხზე ვრცელი სტატია დაბეჭდილი მაქვს 2007 წელს სამეცნიერო კრებულში, – „მესხეთი“, ტ. VIII–IX), ცნობილია, რომ ძველ ცივილიზებულ სამყაროშიც, სადაც კი არსებობდა ვაზის კულტურა, ღვინის სამკურნალოდ გამოყენებას უძველესი ტრადიცია აქვს. ჰომეროსი „ილიადაში“ იხსენიებს ორ მეომარ ექიმს – მახაონსა და პალადირს, რომლებიც დაჭრილებს ღვინოს ასმევდნენ, აგრეთვე ღვინით უმუშავებდნენ ჭრილობებს (სალუქვაძე, 1987, 371).

ცნობილი რომაელი ექიმი კლავდიუს გალენი (201–131წწ. ჩვ. წ. აღ–მდე) დაჭრილი გლადიატორების სამკურნალოდ ღვინის ხსნარში დასველებულ საფენებს იყენებდა (სიხარულიძე, 1979, 92).

ბუნებრივია, რომ ვაზისა და ღვინის კლასიკურ ქვეყანაში, საქართველოშიც, ღვინის სამკურნალოდ გამოყენების ტრადიციას საუკუნოვანი ფესვები გააჩნია, რასაც ადასტურებს როგორც ეთნოგრაფიული მასალა, ისე წერილობითი წყაროები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ ხალხურ მედიცინაში ღვინით მკურნალობა მევენახეობის გავრცელების ზოლშია მოქცეული, თუმცა „ვაზის კულტურა არც მთის მოსახლეობისთვის იყო უცხო – მათ ბარში ჰქონდათ ვენახები – „ხატის ვენახები“ (თოფურია, 1984, 30; 60–75).

ქართულ ხალხურ მედიცინაში ღვინოს მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონდა. იგი გამოიყენებოდა როგორც პროფილაქტიკური, მასტიმულირებელი და სამკურნალო საშუალება მრავალი სხვადასხვა სახის (ბავშვთა ასაკში გავრცელებული ზოგიერთი სახის დაავადებების – „სიმჭლე“, „საყმაწვილო“; გინეკოლოგიური, ტრამვული, თერაპიული და სხვ.) დაავადებათა სამკურნალოდ, როგორც ცალკე ისე სხვა ინგრედიენტებთან (რთული შემადგენლობის წამლებში) ერთადაც. ასევე მრავალფეროვანია ღვინით მკურნალობის სპექტრი ძველი ქართული სამედიცინო ხელნაწერების მიხედვითაც (ქანანელი, 1940, „წიგნი სააქიმოდ“, 1936; ბაგრატიონი, 1985; ფანასკერტელ–ციციშვილი, 1988).

ღვინოს მცირე დოზებით აძლევდნენ ადამიანს უმადობისა და სისუსტის დროს. უძველეს წერილობით ცნობას, ღვინის ბიოგენური სტიმულატორად გამოყენების შესახებ ვხვდებით V საუკუნის ურულ ნაწარმოებში – „შუშანიკის წამება“. იაკობ ხუცესი სთხოვს შუშანიკს, რომ მან საკვებად ღვინოში ჩამბალი პური მიიღოს. „ ...მაშინ მივიღე მცირედ ღვინო და პური. დავალბე და მცირედ გემოდ იხილა“ (ცურტაველი, 1986, 47.).

თუ ღვინის სმის კულტურას, მის სამკურნალოდ გამოყენების ხალხურ ცოდნასა და გამოცდილებას შევადარებთ კარაბადინებში აღწერილ ცნობებს, საინტერესო სურათს მივიღებთ: ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ ხალხი ღვინის სასარგებლო თვისებებთან ერთად, მისი გადაჭარბებული სმის შედეგად გამოწვეულ უარყოფით მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას, –„გადამეტებული ღვინის სმა და ლოთობა თავად იწვევს სხვადასხვა დაავადებებს“–ო. იგივე თვალსაზრისია გატარებული კარაბადინში: „...თუ კაცი ცოტასა სვამს და ზომიერსა, კაცსა კარგა დააშუნდების, თუ კაცი ბევრსა სვამს მოწედ აწყენს და კაცი ღვინის თრიაქი (ლოთი) შეიქმნების“ (ბაგრატიონი, 1985: 185.). ან „მაგრა თუ კაცი ბევრსა ღვინოსა სვამს, კაცსა აწყენს და ღვიძლს დაუკოდს, თავსა და ხელებს აუთრთოლებს, თუალთა ცრემლსა და წუწსა მოადენს“ (ბაგრატიონი, 1985: 185.). სამკურნალო წიგნში ვკითხულობთ „რასაცა კაცსა ანდაზითა ღუინო ესუას და თავი შეენახოს მისგან, სიმრთელე ჰქონდეს. თუ მერმე დაიწყოს ჭარბობა ღუინისა იმა ანდაზაზედა, რაცა პირველად სიმრთელე ყოფილიყოს, ისი ყუალა სენად და სნებად შეექნას“ (ფანასკერტელ–ციციშვილი, 1988, 773.).

ღვინისა და ალკოჰოლის მომეტებული მიღებისაგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ბიბლია, რომ-

ლის მიხედვითაც ღვინის უზომოდ სმამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სხვადასხვა დაავადება და სიკვდილიც კი (თომსენი, 1991, 88–91.). თუმცა იქვე დიდი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ალკოჰოლის (ღვინის), „სამკურნალო მიზნებისათვის გამოყენებას და სათანადო რეკომენდაციებს. როგორც წამალი, ალკოჰოლი სწორადაა „გამოწერილი“ ბიბლიაში (თომსენი, 1991, 91–92.).

ენოთერაპიული მკურნალობა ძველ საქართველოში სხვადასხვა ფორმით გამოიყენებოდა. კარაბადინების მიხედვით სხვადასხვა დაავადებების დროს ღვინო განსხვავებული წესით გამოიყენებოდა: „ღვინითა შეზილოს“ (მაგალითად მალამო მ.ბ.), „ღვინითა დაალბოს“, „ღვინო წყალსა გაურიონ“, „ორთქლი ღვინისაჲ“, „ცოტაი ღვინო დიდსა წყალსა გაურიონ“ და სხვ.

ანალოგიურია ღვინის სამკურნალოდ გამოყენების გზები ხალხურ მედიცინაშიც. მკურნალობენ სუფთა ღვინით, წყალგარეული ღვინით, ღვინის ორთქლით–ინჰალაციით, ღვინოზე ცივად შეზელილი წამლით. ზოგიერთ დაავადებას, მაგ: ტრავმულს (ჭრილობა, მოტეხილობა დამწვრობა და სხვ.) ალკოჰოლიანი ღვინით მკურნალობდნენ, ზოგიერთს კი (ბავშვთა, გინეკოლოგიური, თერაპიული) „დადაღული“ ან „მოხარშული“ ღვინით. ხალხის დაკვირვებით ასეთი ღვინო სიმაგრეს (ალკოჰოლს) კარგავს, სხვა ყველა სასარგებლო თვისებას კი ინარჩუნებს. „დადაღული“ ღვინო მარტივი შემადგენლობის წამალია. (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ თავად ღვინო არის მეტად რთული შემადგენლობის). ღვინოში ჩააგდებდნენ ნაღვერდალს, მისი ჩაქრობის შემდეგ ნახშირს გადააგდებდნენ, ხოლო ღვინოს დაალევინებდნენ წამლად. „მოხარშული“ ღვინო კი რთული წამლის შემადგენელი კომპონენტია, იგი არის ძირითადი ნივთიერება, რომელშიც სხვადასხვა დანამატებს ურევენ (დაავადების ხასიათიდან გამომდინარე).

აღსანიშნავია, რომ ხალხურ მედიცინაში უპირატესი გამოყენება შავ ღვინოს აქვს, მას უფრო მეტ სასარგებლო თვისებებს მიაწერენ. კარაბადინების მიხედვით კი სამკურნალოდ ყველანაირი ღვინო გამოიყენებოდა, უფრო კი „ძუელი ღვინო“. „წიგნი სააქიმოჲს“ მიხედვით სამკურნალო წამლები მზადდებოდა – „ძუელითა ღვინითა“, „ღვინისა ძუელისა“, „ღვინოჲ ესეი ყველაჲ“, „ყოველითა ღვინითა“, „ძალიანისა ღვინისა“, „კარგსა ღვინოჲსა“, „ღვინოისა წყალრეულსა“ ... და სხვ.

ზაზა ფანასკერტელ–ციციშვილის კარაბადინში ვხვდებით ღვინოზე შემზადებული წამლის სხვადასხვა ფორმებს – მალამოს, ნახარშ წამალს, შესანახ აბებს, – რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში წყალში გახსნილს აძლევდნენ ავადმყოფს. ხალხურ მედიცინაში კი შესანახი აბების დამზადების ტრადიცია არ არსებობდა.

როგორც ხალხურ, ისე ტრადიციულ (კარაბადინების) მედიცინაში სამკურნალო საშუალებად ფართოდაა წარმოდგენილი ღვინის ძმარიც. ასე მაგალითად: ჭრილობას, თუ ის ამავე დროს „გაღიზიანებული“//ინფიცირებული იყო ღვინის გარდა ძმრით ან მასზე დამზადებული ე.წ. „დაზელილი წამ-

ლით“, მკურნალობდნენ. აღნიშნული წამლით მკურნალობდნენ დამწვრობასაც. წამალი ცივად შეზელვის წესით მზადდება – გარკვეულ სამკურნალო საშუალებებს (რასაც ხალხური მკურნალები საიდუმლოდ ინახავენ) მცირე–მცირე დოზებით ასხამდნენ ძმარს და ზელდნენ.

ჭრილობაზე აფენდნენ ღვინის ან ძმრის საფენებს (კომპრესს): „დაჩირქებულ ჭრილობაზე ჯერ წავუსმევდით ღორის ქონს და მერე ღვინის ან ძმრის საფენს დავაფენდით, რომ გაშრებოდა, გამოვუცვლიდით“,– გადმოგვცემენ მთხრობელები. კარაბადინების მიხედვითაც – „ვინცა სამოსელი ძმარშიგა დაასოლვოს და დაკოდილზედა (ჭრილობაზე მ.ბ.) გარდაკრას, იმა დაკოდილსა აღარ გაუსივებს და მართალსა რიგზედა ამყოფებს“ (ბაგრატიონი, 1985, 537.). ან „და თუ დაკოდილი თავზედ იყოს ... მოიტანე ზარავანდი მუდარაჯი და დაჯეჭკე და ღვინოშიგა მოხარშეთ და კიდევ გაახმეთ, დანაყონ და გაცრან და დაკოდილზედა დააყარონ და მწოვედ კარგად უზამს“ (ბაგრატიონი, 1985, 534.).

ღვინის გამოყენებას ჭრილობების დასამუშავებლად ვხვდებით ბიბლიაშიც. მაგალითად, ქრისტეს იგავი კეთილ სამარიელზე, როდესაც ის მომაკვდავ ადამიანს დაეხმარა „ზეთითა და ღვინით მოჰბანა ჭრილობები და შეუხვია“ (სახარება ლუკასი, 10:34).

ღვინო და ღვინის ძმარი განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი დამწვრობის მკურნალობაში როგორც დაზიანებული არის ასეპტიკურად დასამუშავებელი ნივთიერება და როგორც წამალი. დამწვარს „პირველად ღვინოს, ან ღვინის ძმარს გადავასხავდით, რომ არ აპეპკილიყო“– გადმოგვცემენ მთხრობელები. ამავე დანიშნულებით გამოიყენებოდა შავ ღვინოში მოზელილი სიმინდის ფქვილის ცომი, რომელსაც დააფენდნენ დამწვარზე და გაშრობისთანავე უცვლიდნენ, ან ასველებდნენ ღვინით. აღსანიშნავია, რომ დამწვარი არედან სხვა სამკურნალო საშუალებების მოსაცილებლადაც ღვინოს იყენებდნენ. დამწვრობის სამკურნალო „დაზელილ წამალს“ ამზადებდნენ ძმარზე ან ღვინოზე.

დამწვრობის სამკურნალოდ ძმრისა და ღვინის გამოყენება დამოწმებულია ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებშიც. „ვინცა ამა ჭადრისა ქერქი ძმარშიგა მოხარშოს და დამწვარზედა დაიდვას და ან მარტო ძმარი შეიცხოს, დამწვარსა ხორცსა გაამთელებს“ (ბაგრატიონი, 1985, 54.).

ხალხური მედიცინა ღვინოს მოტეხილობის მკურნალობაშიც იყენებს, – შავ ღვინოში ხარშავენ მცენარე საროს/შყმპჰყტუმ ცაუცასიუმ მ. ბ. ძირებს და აღნიშნული წამლით მკურნალობდნენ. ასევე წყალ–ღვინისა და დანაყილი ნიგვზის შერევით ამზადებდნენ ნაღრძობის სამკურნალო წამალსაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხური ენოთერაპიული მკურნალობის ტრადიციები საქართველოში დღესაც ცოცხალია. ცნობილია, რომ მოქმედი „ექიმბაშები“

წამლის დამზადების ტექნოლოგიას საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება წამლის შემადგენლობის ნაწილობრივი გამხელა. ასე

მაგ: იმერეთში ცნობილი „გაფრინდაშვილების საყმაწვილო წამალი“ („საყმაწვილო“–ბავშვობის ასაკის ფსიქო–ნერვული დაავადება)–წყალ–ღვინისა და სამკურნალო მცენარეთა (რომელიც არ გაამხილეს) ნახარშს წარმოადგენს. ასევე ღვინოზე მზადდებოდა საქართველოში „საყმაწვილო სენის“ სამკურნალოდ განთქმული „პაჭკორიების წამალი“.

საველე ეთნოგრაფიული მუშაობისას დავაფიქსირეთ, აგრეთვე, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში გავრცელებული მძიმე დაავადების „სიმჭლის“//„გოჟოს“ ღვინით მკურნალობა. ასეთ ბავშვს (რომელიც აღარ იზრდება, კუნთები მოდუნებული და მომჩვარული აქვს, ახასიათებს სიგამხდრე, უმადობა, ყვითლდება და სხვ.) ღვინოში სხვადასხვა სამკურნალო მცენარეების ნახარშის აბაზანებით მკურნალობდნენ.

ახლო წარსულში, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში „ექიმბაშები“ სხვადასხვა (თერაპიული და გინეკოლოგიური, უშვილობის) დაავადებების სამკურნალოდ შავ ღვინოზე „დადუღების“ წესით ამზადებდნენ ძვირად ღირებულ წამლებს, რომლებშიც ღვინის გარდა მრავალი სხვა სამკურნალო ნივთიერება შედიოდა.

უშვილობის სამკურნალოდ კარაბადინებშიც ღვინოზე დამზადებული წამლებია მოწოდებული, ოღონდ წამლის ფორმაა განსხვავებული. ნახარშის მაგიერ კეთდება კვერები, აბები (თხილისხელა), რომელიც თანამედროვე გინეკოლოგიური სანთლების ანალოგიურად გამოიყენებოდა. ასე მაგალითად „..აიღე მური და კუჭუმბრა და კინა, ამათგანი – თუითო ნაწილი, დანაყენ და დაგალენ და შეზილენ ღუინითა და შექენ კუერი თუითო მუტყლის წონა, და გაახმე ჩრდილსა, და ოდეს დაიბანოს წესისაგან, იკმიოს მით“ (ფანასკერტელი, 1988, 693).

ან, ქალი რომ არ ფეხმძიმდება – „...ამის წამალი ესე არის: მოიტანე თხის თირკმლის ქონი, გაადნონ და გაწურონ, და მოიტანე უშარი, რომე სპარსნი დანაი ჩადირსა (უმი კევი მ.ბ.) ეძახიან და ძველი ღვინითა სქლად გააყენე, რომე მალამოსავითა შეიქნას, და მერე ამა თხის თირკმლის ქონითა კარგად და მაგრად მოზილონ, და იმავე რიგად ერთი თხილის ოდენი გუნდა შექმნას..“ (ბაგრატიონი, 1985, 463.).

ხალხურ მედიცინაში ღვინოზე ნახარში წამლები გამოიყენებოდა შინაგანი დაავადებების – „მუცლის ტკივილის“, ღვიძლის და სხვ. დაავადებების სამკურნალოდაც. ასე მაგალითად, სამ ლიტრ შავ ღვინოში მოხარშავდნენ ერთ კილოგრამ მაყვლის ძირებს, ხარშვით დაიყვანდნენ ერთ ლიტრზე და ჭამის წინ 100 გრამს ასმევდნენ ავადმყოფს.

ალოეს და მაისის უცეცხლო თაფლს შეურევდნენ თანაბარი რაოდენობით (600–600გრ.), დაუმატებდნენ სამ სუფრის კოვზ არყის ხის / ეტულა/ კვირტს და სამ ლიტრ შავ ღვინოს. აღნიშნული წამალი ღვინოზე ცივად დაყენების წესით მზადდება. აკეპილ ალოეს და სხვა ინგრედიენტებს ჩაყრიან ღვინოში და ბნელ და გრილ ადგილზე დადგამენ.

ღვინის ნახარში წამლით (ასკილისა და შავი ლეღვის ნორჩი შტოები თითო მუჭა + 5 ლ. შავი ღვინო) მკურნალობდნენ ბუასილსაც. ვადმყოფს დღეში 500 გრამი უნდა დაელია (100 გრ. 5–ჯერ).

ღვიძლის სამკურნალოდ კარაბადინებში ღვინოზე დამზადებული ნახარში წამლებია მოწოდებული (ფანასკერტელი, 1988, 693.).

სხვადასხვა სახის დაავადებების სამკურნალო ნახარშ წამლებში იცვლება „ღვინოზე დასადუღებელი“ (ღვინოში მოსახახარში) მცენარეები: კვლიავი; ბროწეულის /პინიცა გრენატუმ/ კანი; ასკილის /ღოზა ცანინა/ და ლეღვის /ფიკუს ცარიცა/ ყლორტები; მაყვლის /Rubus/ ძირები; ალოე და სხვა. ჩამოთვლილი მცენარეები ტკივილგამაყუჩებელ და სამკურნალო თვისებებს შეიცავენ (წუწუნავა, 1966.).

ყურის ტკივილის დასაამებლად ღვინის ორთქლით ინჰალაციურ მკურნალობას მიმართავდნენ. ნაღვინარ დოქში ჩაასხამდნენ ადუღებულ წყალს და მტკივან ყურს მის ორთქლზე გაიჩერებდნენ, შემდეგ თბილად შეიხვევდნენ.

ღვინო გამოიყენებოდა კბილის ამოღების დროს როგორც ასეპტიკური გამოსავლები საშუალება. ღვინოში მოხარშული ბროწეულის ქერქის ნახარში კი, კბილის ტკივილის სამკურნალო საშუალება იყო.

ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში ვკითხულობთ – „სხუა წამალი კბილისა, რომე იძვროდეს და ჯანგი ეკიდებოდეს – აიღე: ტენცო (პიტნა) და ღუინითა კარგად ადუღე. ისი ღუინო პირშიგა დაიჭიროს და ერგოს“ (ფანასკერტელი, 1988, 374.).

როგორც წარმოდგენილი მასალიდანაც ჩანს, ღვინოს როგორც ხალხურ, ისე ტრადიციულ (კარაბადინების) მედიცინაში გამოყენების ფართო სპექტრი ჰქონდა და დღესაც აქვს. თანამედროვე მეცნიერული გამოკვლევების მიხედვითაც ღვინის ბიოქიმიური სტრუქტურა რთული კომპლექსია და მრავალ სამკურნალო თვისებებს შეიცავს. მას აქვს ბაქტერიოციდული და ანტიტოქსიკური თვისებები, ამიტომ ერთ–ერთი საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ღვინო, როგორც მასტიმულირებელი, სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალება მოწოდებულია სხვადასხვა დაავადებების (შინაგანი, მალარია, გულ–სისხლძარღვთა და სხვ.) დროს.

§ 5. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პერსპექტივა

ჩვენს მიერ 2015-2017 წლებში კახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მევენახეობა-მეღვინეობას კახეთში განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მევენახეობის განვითარება და ხარისხიანი მოსავალი კი განაპირობებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მეღვინეობას.

მევენახეობის თავში განხილული გვქონდა სხვადასხვა მიზეზები, რის გამოც მევენახეობის დარგს გარკვეული საფრთხეები შეექმნა კახეთში. ჯერ

80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში მიღებული ე.წ. გორბაჩოვის „მშრალი კანონის“, ხოლო 2006 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ღვინოზე დაწესებულმა ემბარგომ კახეთში ვენახების ფართობი გასული საუკუნის 80-იან წლებთან შედარებით თითქმის გაანახევრა, ამიტომ პერსპექტივაში ვენახების ფართობების გაზრდის დიდი შესაძლებლობა არსებობს, როგორც ძველ ნავენახარი ადგილების, ისე ახალი ფართობების მიმატების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლიდან კახეთში ყოველწლიურად იზრდება ახალგაშენებული ვენახების ფართობი, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოებია შესასრულებელი XX საუკუნის 80-იან წლების დონემდე რომ მივიდეთ.

ქართველი მეღვინეების ძალისხმევით, ღვინის ხარისხის გაუმჯობესებამ, გამოიწვია ღვინის ექსპორტის გაზრდა. დღეს ქართული ღვინო, გარდა იმისა რომ დაბრუნდა რუსეთის ბაზარზე, მსოფლიოს 50-დე ქვეყანაში იყიდება, რაც თავის მხრივ, ახალი ვენახების გაშენების სტიმულს იძლევა. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კახეთში განვითარების დიდი პერსპექტივა აქვთ მიკროზონებს, შედარებით მაღალი ხარისხის საღვინე ყურძნის ვენახების გაშენებით, რადგან ადგილდასახელების ღვინოები უფრო მაღალ ფასში იყიდება, დარგის განვითარება კი პროდუქციის ფასზე დიდადაა დამოკიდებული. აგროსექტორში მომუშავე სპეციალისტების აზრით მიკროზონების უნიკალური ბუნებრივი პირობები ჯეროვნად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ყვარლის რაიონი წარმოადგენს „ქინძმარაული“-ს მიკროზონას, რაც წინაპირობაა იმისა, რომ აქ ძირითადად გაშენდეს საფერავის ჯიშის ვენახები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოპოვებული მასალის მიხედვითაც, მარტო ამ რაიონის უნიკალურ მიკროზონებში ვენახის ფართობების გაზრდის დიდი შესაძლებლობაა, როგორც გადმოგვცეს: „დღეისათვის ვენახით დაკავებული ფართობები მოიცავს დაახლოებით 60-70%, ანუ არსებობს რესურსი მიკროზონებში ვენახით დაკავებული ფართობი გაიზარდოს დაახლოებით 30%-ით“ (გურჯაანის.., 2016, 29). თუ გავითვალისწინებთ, რომ მუნიციპალიტეტში ასეთ მიკროზონას მიეკუთვნება 17000 ჰა, ვენახების ფართობის სავარაუდო ზრდა მეტად შთამბეჭდავ სურათს იძლევა. გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო მევენახეობა, „მომავალშიც ასე იქნებაო“, – გვეუბნებიან რესპოდენტები. ამ რეგიონის „ნიადაგური და კლიმატური პირობები, საერთოდ და განსაკუთრებით კი საყოველთაოდ ცნობილ მიკროზონებში მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ვაზის კარგი ზრდა-განვითარებისა და მაღალხარისხოვანი სხვადასხვა სახის ღვინის წარმოებისათვის, რასაც დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“ (გურჯაანის.., 2016, 29).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მეღვინეობის განვითარების თვალსაზრისით დიდი შესაძლებლობა აქვს „მანავის მწვანეს“ (რომლის განაშენიანების ფართობი გასცდა სოფელ მანავს და დღეს მანავის მწვანის მიკროზონად მოიაზრება სოფელ თოხლიაური-

დან სოფელ ვერხვიანამდე ტერიტორია) და „ხაშმის საფერავს“, რომელიც დღეს ოფიციალურად არ არის აღიარებული ადგილწარმოშობის ღვინოდ, მაგრამ თავისი გამორჩეულობითა და განსაკუთრებულობით შესაძლოა ეს სტატუსი მოიპოვოს. ამ თვალსაზრისით ხაშმი ერთ-ერთი პერსპექტიული მიკროზონაა გარე კახეთის მიკრორაიონებს შორის.

ყურძნის მოსავლის გაზრდის მიზნით ერთერთი უპირველესი ამოცანაა მეჩხერიანობის შემცირება ვენახში. როგორც ახალი ვენახების გაშენება, ისე მეჩხერიანობის აღმოფხვრა ვენახებში ხარისხიან ნერგს მოითხოვს, რის სიმცირესაც ნამდვილად განიცდიან მევენახეები, ამასთან, ასეთი ნერგი საკმაოდ ძვირია და მცირემიწიანი მევენახეებისთვის ძნელად ხელმისაწვდომი. ამ მიმართულებით საკმაოდ ბევრია გასაკეთებელი. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა სადედისა და სანერგე მეურნეობის გაფართოება ერთის მხრივ და აგროტექნიკის დონის ამაღლება, ვენახის მოვლა-გაშენების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. ამ საკითხში ყურადსაღებია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის, ბასილაშვილის შეხედულებები, რომლის მიხედვითაც, დღეს: „უგულვებელყოფილია აგროტექნიკური ღონისძიებები, მაგალითად, საძირე ვაზის ჯიშების სხვადასხვა ნიადაგებთან შეგუების უნარი, ასევე საძირე და სანამყენე ჯიშების ურთიერთშეგუების საკითხი. ჩამოთვლილი აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად წარმართვის შემთხვევაში მოსავლიანობა 20-30% გაიზრდება“ (გურჯაანის.., 2016, 30). ე. ი. ვენახების ფართობის გაზრდის გარეშეც კი, მევენახეობის დარგში აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელია მოსავლიანობის გაზრდა.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა აზრით, პარკოსანი მცენარეები, – ბარდა, ლობიო, სოიო ამდიდრებს მიწას აზოტით, „ამის დათესვა ვენახში კარგია, რიგგამოშვებით უნდა დაითესოს“–გადმოგვცემენ მთხრობელები. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები თესდნენ ამ პარკოსნებს ვენახში, დღეს ეს ტრადიცია აღარ არის, მისი აღდგენა გაზრდის როგორც ყურძნის მოსავალს, ამავე დროს აღადგენს პარკოსანი კულტურების მოყვანის ტრადიციასაც.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, დღეს კახეთში საღვინე ჯიშებიდან ძირითადი ფართობები უკავია რქაწითელს და საფერავს, მესამე ადგილზეა კახური მწვანე, მაგრამ მცირე ფართობზეა წარმოდგენილი. პერსპექტივაში აუცილებელია რქაწითელისა და საფერავის გარდა სხვა კახური ჯიშების გამრავლებაზე ფიქრი, ესენია: კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, გრძელმტევანა, ბუდეშური წითელი, ჩიტისთვალა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა ძირითადად მეღვინეობასთან და ღვინის ქარხნების მუშაობასთან არის დაკავშირებული, რადგან ნებისმიერი ჯიშის ყურძენი ცალკე გადამუშავებას მოითხოვს, მცირე რაოდენობის მოსავალს კი ღვინის ქარხანა არ ღებულობს. როგორც საველე ეთნოგრაფიულმა მუშაობამ დაგვანახა, ამ მხრივ ინიციატივა უფრო მსხვილი ფერმერებისა და კომპანიების მხრიდა-

ნაა მოსალოდნელი, რადგან მცირემიწიანი მევენახეები მომავალშიც, ძირითადად რქაწითელისა და საფერვის ჯიშის ვაზით აპირებენ ვენახების გაშენებას.

დღევანდელი მონაცემებით სუფრის ყურძენი იმდენად მცირე ფართობზეა გაშენებული, რომ მოსავალი შიდა ბაზარსაც ერთი თვეც არ ჰყოფნის. სუფრის ყურძნის ფართობების გაზრდა დაკავშირებულია სამაცივრე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომელიც დღეს ძალიან არასახარბიელოდ გამოიყურება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში საქართველოში პერსპექტიულია სასუფრე ყურძნის მოყვანა.

სუფრის ყურძენი მევენახე ფერმერებს მცირე რაოდენობით ყველა მუნიციპალიტეტში მოჰყავთ ძირითად საღვინე ჯიშებთან ერთად, მაგრამ ბოლო დროს გამოიკვეთა ცალკეული მევენახეების დაინტერესება, რომ სარეალიზაციოდ მხოლოდ სუფრის ყურძენზე აიღონ ორიენტაცია. ასე მაგალითად, საგარეჯოს სოფელ ბადიაურში, სასუფრე ყურძენი მოყავს მევენახე გოირგი გიქორაშვილს, „მშობლებთან და ძმებთან ერთად 3 ჰექტრამდე ვენახს ვუვლი. ყოველ წელს 25-30 ტონა განთქმული სუფრის თითა მოგვყავს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჭირს სუფრის ჯიშების მოვლა, მოყვანა, შენახვა და გაყიდვა, მაინც მინდა, ძირძველი ქართული სუფრის ჯიშები ჩემს პატარა სავარგულში შევკრიბო“ („კვირის პალიტრა“, №38, 2017).

პერსპექტივაში აღნიშნული მევენახე ორსართულიანი ვენახის გაშენებას ფიქრობს: „ვაპირებ სახლთან ახლოს ნიადაგის კარგად დამუშავებას და ვაზის ორსართულად გაშენებას, რაც ლერწის, გაშვებული რქის, პირველ და მეორე მავთულზე გადაკავებას გულისხმობს,. . . მართალია ვაზი დაიტვირთება, მაგრამ ნიადაგის კარგად გამოკვების ხარჯზე ორმაგ მოსავალს ველი“ („კვირის პალიტრა“, №38, 2017).

სუფრის ყურძნის ჯიშის ვენახების გაშენებით დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ კახეთის გეო-კლიმატური პირობების გამო, კახეთში სუფრის ყურძენი აგვისტოში უკვე მწიფდება და შესაძლებელია საადრეო პროდუქციით გავიდნენ ევროპულ ბაზარზე. ამასთან მშვენივრად იციან, რომ ამისათვის საჭირო მათი მოწეული პროდუქცია მაღალი ხარისხის იყოს: „მთავარია მოწეული ყურძნის ხარისხის ამაღლება, სხვა ბუნებისგან ნაბოძები ყველა სიკეთე გვაქვს კახეთშიო“- გადმოგვცემენ მევენახეები.

კიდევ უფრო მცირეა საქიშმიშე ვაზის ჯიშით გაშენებული ვენახები, ჩვენ ასეთი სულ სამი ჰექტარი ვენახი დავაფიქსირეთ, რომელიც გააშენა ალავერდის მონასტრის მარანმა. მომავალში იგეგმება ყურძნის ქიშმიშად გადამუშავება. ქიშმიშთან ერთად, ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი იქნება ყურძნისაგან წარმოებული პროდუქციის გამრავალფეროვნება, კერძოდ ყურძნის წვენის კონცენტრატების, წიპწისაგან ზეთის წარმოება და ა.შ.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, სასუფრე, საქიშმიშე, სამურაბე და სხვ. ჯიშებით ვენახის გაშენება თავის მხრივ გამოიწვევს ყურძნისაგან

მიღებული პროდუქციის გამრავალფეროვნებას (ყურძნის წიპწის ზეთი, ჩურჩხელა, კონცენტრატები), რაც დღეს ჩანასახოვან მდგომარეობაშია და მხოლოდ ერთეული კომპანიები (მაგ; „მეღვინეობა ხარება“) აწარმოებენ. მევენახეობის აღნიშნული მიმართულება ეკონომიკური თვალსაზრისით მევენახისთვისაც და ქვეყნისთვისაც მომგებიანია, ამიტომ მას განვითარების დიდი პოტენციალიც აქვს და პერსპექტიულიც არის.

გასათვალისწინებელია მცირე ფერმერთა მოთხოვნა, რომ სახელმწიფომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს სარეალიზაციოს შემოტანილი შხამ-ქიმიკატების ხარისხს, რადგან, აგროქიმიის მაღაზიებში დასაქმებულები, ხშირად თავადაც ვერ ერკვევიან და სათანადო კონსულტაციას ვერ აძლევენ გლეხებს შხამ-ქიმიკატის გამოყენების წესის, დოზისა და მოწამვლის დროის შესახებ, რაც ზოგჯერ, როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან გამოჩნდა, არა მარტო მოსავლის გარეშე ტოვებს ვენახის პატრონს, არამედ შეიძლება ვაზიც კი გახმეს. ბუნებრივია აქ საქმე ეხება მცირემიწიან გლეხებსა და ფერმერებს. მსხვილ კომპანიებს თავად ჰყავთ დასაქმებული ამ დარგის სპეციალისტები და მათ ასეთი ზარალი არ მოსდით. აქვე აუცილებელია, აღინიშნოს, რომ თავად მცირემიწიანი მევენახეებიც უნდა დაინტერესდნენ თავიანთი პროფესიული დონის ამაღლებით, რათა მსგავსი ზარალი აღარ განიცადონ, მითუმეტეს ამის შესაძლებლობა მათ აქვთ, კახეთში არსებული პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე (იხ, VII თავის შესაბამისი პარაგრაფი, – „აგროსექტორისათვის პროფესიული კადრების მომზადების ცენტრები კახეთში“).

დიდი პოტენციალი აქვს მევენახეობის დარგში ბიომეურნეობის განვითარებას. დღეს ასეთი ფეერმერული მეურნეობები მცირე რაოდენობითაა კახეთში წარმოდგენილი, რადგან ის ტრადიციულ სამეურნეო ცოდნასთან, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გაცნობასაც გულისხმობს, შხამ-ქიმიკატებზე უარის თქმას, და სხვ. მაგრამ ასეთი მეურნეობებიდან მიღებული ღვინის ფასი დღესაც შედარებით მაღალია, რაც სამომავლოდ გაზრდის აღნიშნული მეურნეობის განვითარებით დაინტერესებულ ფერმერთა რიცხვს, დღეისათვის მათი რაოდენობა ძალიან მცირეა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიომეურნეობის განვითარებით უფრო ახალგაზრდა და შედარებით დიდი ვენახების მფლობელები ინტერესდებიან, მათ დარგში შესაბამისი ცოდნაც აქვთ, ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდის გადმოცემით:
„ჩვენს მამა-პაპიდან არის ნათქვამი, რომ „ვენახმა თქვაო, რაც მოგეცი ის დამიბრუნეო“, უცხოურ სახელმძღვანელოებში წერია, რომ ვენახიდან ნახხლავიც კი არ უნდა გამოვიტანოთ, ვაზს რასაც ვაცილებთ, შიგ უნდა დარჩეს და მიწას დაუბრუნდეს. არის ისეთი მანქანები, რომელიც ვაზის ნასხლავს თუ ნაფურჩნს აქუცმაცებს და მიწაში ჩადის ისევ. მე ვფიქრობ რომ მომავალ წელს შევიძინო ეს დასაქუცმაცებელი მანქანა“-ო. ბუნებრივია ეს ყველაფერი ფულად სახსრებთან არის დაკავშირებული და სამომავლოდ გათვლილი, რაც მხოლოდ დიდი მეურნეობებისთვის იქნება შესაძლებელი.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ჩანს, რომ მცირემიწიანი ფერმერებისათვის მომავალში კოოპერაციული გაერთიანებების შექმნა გახდება აუცილებელი რადგან თანამედროვე მოთხოვნების დონეზე ხარისხიანი ყურძნის მოყვანა დიდ ძალისხმევას, ფულად რესურსსა და ცოდნას მოითხოვს. როგორც ჩანს, მათ თანდათან უფრო გაუჭირდებათ მოწეული მოსავლის ღვინის ქარხნებისათვის ჩაბარება, მეღვინეებისგან მიღებული ინფორმაციით, მათ თუ არ ეცოდინებათ, როგორ არის ყურძენი მოყვანილი, რით არის შეწამლული, რამდენჯერ და ა.შ. ყურძენს აღარ ჩაიბარებენ. ყურძნის მოყვანაზე კონტროლი კი კოოპერატივების შემთხვევაში უფრო ადვილია, ასეთ დროს შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება ღვინის ქარხანასა და კოოპერატივს შორის და ყურძენს უპრობლემოდ ჩააბარებენ. კახეთში მცირემიწიანი ფერმერების რაოდენობა ძალიან დიდია და ვის როგორ მოჰყავს და რომელი შხამქიმიკატით წამლის ვენახს, ამის კონტროლი ძალიან ძნელია.

§ 6. „ღვინის გზა“ – თვითდასაქმების პერსპექტივა ქართულ სოფელში

კახური ტრადიციული მეღვინეობის, ქვევრის ღვინის პოპულარიზაციამ, ვფიქრობთ დიდად შეუწყო ხელი კახეთში აგროტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების -„ღვინის გზის“ წარმატებით განვითარებას. ცნობილია, რომ აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის მიმართულება, მე-20 ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ასეთ ტურებში, ტურისტის სურვილია იცხოვროს სოფლის მოსახლესთან, იმუშაოს და იკვებოს მასთან ერთად და გარკვეული დროით გახდეს მასპინძელი ოჯახის წევრი. სოფლად დასვენების მსურველები არჩევდნენ მიმზიდველ რეგიონებს და გარკვეული ქირის საფასურად ისვენებდნენ მასპინძელ ოჯახებში. შესაბამისად, ტურიზმის ეს სახეობა მომგებიანია სოფლის მცხოვრებლებისათვისაც.

ევროპაში აგროტურიზმი კარგადაა განვითარებული და როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, მას ვერც ეკონომიკური კრიზისები ვერაფერს აკლებს. აგროტურიზმის მიმართულებით ლიდერი ქვეყნებია: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, შვეიცარია, ხორვატია, კვიპროსი, საბერძნეთი. საქართველოში ტურიზმის ეს სახეობა ახალია, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ სწრაფი ტემპით ვითარდება, განსაკუთრებით გამოირჩევა ე.წ. „ღვინის ტურები“.

აგროტურიზმი იმითაც გამოირჩევა ტურიზმის სხვა სახეობებისაგან, რომ ტურისტი დასვენებას შედარებით მცირე დანახარჯით ახერხებს. მან შესაძლოა იცხოვროს ძველ გლეხურ სახლში, ოფიციანტის ნაცვლად კი დიასახლისი გაუმასპინძლდეს. ტურისტი იკვებება მასპინძელი ოჯახის მიერ წარმოებული ნატურალური საკვებით: ხილ-ბოსტნეულით, გლეხური ყველით, ოჯახში დაყენებული ღვინით, ახალი ხორცით და ა.შ. სოფლის მცხოვრებთათვის აგროტურიზმი იმითაც არის მომგებიანი, რომ მასზე არ

მოქმედებს სეზონურობა: წელიწადის ნებისმიერ დროს შეიძლება სოფელში სტუმრობა. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობას უჩნდება მოტივაცია სოფლად ცხოვრების და საკუთარი ბიზნესის წარმოების, იქმნება ინფრასტრუქტურა და, ამავე დროს, ქვეყნის ყოფასა და ტრადიციებს უცხოელები უკეთესად ეცნობიან.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, აგროტურიზმის განვითარებას კახეთში საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს. დღეისათვის კახეთის რეგიონის მცხოვრებთა 60-70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ჯერ-ჯერობით მათი უმრავლესობის შემოსავალი ძალიან დაბალია. ერთერთი მიმართულება, რომელიც შეიძლება მოსახლეობის ალტერნატიული დასაქმების წყარო გახდეს, არის აგროტურიზმი. თუმცა ჯერ-ჯერობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგროტურიზმის მიმართულებით ყველაზე განვითარებული და წარმატებული ტურისტული მიმართულებაა „ღვინის გზა“. ქართულ სოფელში თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში, რეგიონს დიდი პოტენციალი აქვს აგროტურიზმის განვითარებისათვის. აგროტურიზმი, – „ღვინის გზა“, ბოლო წლებში, კახეთის სოფლებში მოგვევლინა როგორც თვითდასაქმების ალტერნატიული შესაძლებლობა. სოფლებში სულ უფრო და უფრო მეტი ოჯახი ცდილობს დაკავდეს ახალი საქმიანობით – ტურისტების მომსახურებით. ამისათვის კახეთში ყველა პირობაა ბუნებისაგან თუ ადამიანისაგან შექმნილი: ქართული ტრადიციული სამეურნეო და საოჯახო ყოფა– მამაპაპური ქვევრ-მარანი, მდიდარ სამზარეულო და სხვ. მიმზიდველია ტურისტებისათვის და უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი საოჯახო ტიპის სასტუმროები თუ „ეთნოგრაფიული ეზოები“ საკმაოდ დატვირთულია ტურისტებით.

ზოგადად ბოლო წლებში საქართველო ტურისტებისათვის მიმზიდველ ქვეყნად იქცა, სტატისტიკური მონაცემებით ტურისტების რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, მათ შორის აგროტურიზმის მიმართულებითაც.

„საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების ქვეყანას, აგროტურიზმის განვითარების შესაძლებლობაც აქვს. ჩვენთან აგროტურიზმმა ფეხი უკვე მოიკიდა კიდეც. თუმცა, ამ სფეროში გვაქს სისუსტეებიც და მთავარი სოფლად ინფრასტრუქტურის არარსებობაა“ – აღნიშნავენ დარგის სპეციალისტები (კვირის პალიტრა, №46, 2016).

კახეთში, რამდენიმე ტურისტული კომპანია და საოჯახო სასტუმროები უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს სთავაზობს „ღვინის გზის“ ტურებს, რაც გულისხმობს: რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელის ამოვლებას, ყველის ამოყვანას, თაფლის ამოღებას და სხვ.

თელავის მუნიციპალიტეტში მაგალითად, ფუნქციონირებს „კახეთის მეღვინეთა გილდია“, რომელშიც გაერთიანებულია 5 კომპანია „თელავის ღვინის მარანი“, „თელიანი ველი“, „კახური“, „ვინივერია“ და კორპორაცია „ქინძმარაული“. ასოციაციის მიზანია ქართული ღვინის პოპულარიზაცია

და ვიზიტორი ტურისტებისათვის უზრუნველყოფენ ექსკურსიებს ღვინის დეგუსტაციის, რთველში მონაწილეობის მიღების, წარმოების გაცნობის და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას. წარმატებით ფუნქციონირებენ ისეთი საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ტურისტებს უმასპინძლდებიან ტრადიციული სამზარეულოთი, სთავაზობენ სხვადასხვა ტრადიციულ-კულტურულ ღონისძიებებს. (რთველში მონაწილეობის მიღება, ჩურჩხელის ამოვლება და სხვ.) (თვითმმ. თემის –თელავის,.. 2016. 47).

ზემომოტანილი მასალის მიხედვით ჩანს, რომ აგროტურიზმში ჩართულნი არიან როგორც საოჯახო ტრადიციული მარნები, ისე ღვინის მწარმოებელი მსხვილი კომპანიებიც, ასე მაგალითად, „მეღვინეობა ხარებას“, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში ქვევრის ღვინოების ძველი ტრადიციის აღორძინებასა და პოპულარიზაციაში, საქმიანობს აგრეთვე ღვინის ტურიზმის განვითარების მიმართულებითაც, მასპინძლობს ამ პროფილის ტურისტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მევენახეობა-მეღვინეობის დარგთან დაკავშირებულ საქმიანობაში, აგრეთვე ეცნობიან ღვინის წარმოების ტექნოლოგიას.

კომპანია „შუხმანს ვაინს ჯორჯია“ აქტიურად არის ჩართული ღვინის ტურიზმში, „შუხმან ვაინსის შატო“ იყო ერთ–ერთი პირველი ადგილი, რომელიც სთავაზობდა ტურისტს ღვინის ტურს, და შესაბამისად დახვეწილ სერვისს. (ქართულ და უცხოურ კერძებს, ღვინის დაგემოვნებას, სასტუმროს, თევზაობას, ნადირობასს, კულტურულ ტურს და ა.შ (კალანდაძე, 2015, 474).

საქართველოში ფართოდ ცნობილი „თელიანი ველი“-ს მარანი ქართული ღვინით დაინტერესებულ მომხმარებელს სთავაზობს ღვინის ტურს წლის ნებისმიერ დროს, შემოდგომაზე სტუმრებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა რთველში. „თელიანი ველის“ საწარმოს ტური ერთ საათიანია სადაც შეუძლიათ წარმოების მთელ ციკლს გაეცნონ.

საინტერესოა, რომ „2005 წლიდან „თელიანი ველის“ ახალი საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს პატარა სასტუმრო – „ უესტ ოუსე“, რომელშიც სულ რამდენიმე ნომერია. აქ თითოეულ ოთახს ქართული ღვინის სახელი ჰქვია: თელიანი, მიკუზანი, წინანდალი, საფერავი, ქინძმარაული, ხვანჭკარა და ყოველი მათგანის ინტერიერი იმავე ფერისაა, რომელი ღვინის სახელსაც ატარებს. აქვე სტუმარს შეუძლია შეუკვეთოს ტრადიციული სუფრა და დააგემოვნოს „თელიანი ველის“ საუკეთესო ღვინოები (კალანდაძე, 2015, 485).

სააქციო საზოგადოება „კორპორაცია ქინძმარაული“, რომელიც ფლობს რესტორან „ღვინის ეზო“-ს და სასტუმრო „შატო ყვარელს“, სერიოზულად არის ჩართული ღვინის ტურიზმში.

ვფიქრობთ, უფრო საინტერესოა და მნიშვნელოვანი, ვაჩვენოთ სოფლის ჩვეულებრივი მოსახლის ჩართულობა აგროტურიზმში. 2015-2017 წლებში კახეთში საველე სამუშაოების დროს მრავალი მცირე და საშუალო საოჯახო მარნები და „ეთნოგრაფიული ეზოები“ დავათვალიერეთ, რომლებიც

„ღვინის გზის“ ტურიზმის სფეროში საქმიანობენ. ენერგიული და ინიციატივიანი ადამიანები საკუთარ მამა-პაპეულ მარნებს აწესრიგებენ, უბრუნებენ ტრადიციულ იერს და ღებულობენ ტურისტებს, ცდილობენ ქართული სამეურნეო ტრადიციების გათვალისწინებით „ეთნოგრაფიული ეზოების“ მოწყობას, რომელთა აუცილებელი ატრიბუტია მწვანე მდელოზე წამოქცეული ქვევრი, ყურძნის საკრეფი და გადასაზიდი საშუალებები, გოდორი, ურემი, დასხვ. ასევე სათონე, არყის სახდელი „ზაოტი“ (როგორც მას კახელები უწოდებენ), მწვადის შესაწვავად მომარაგებული წალამი (ვაზის ნასხლავი) და ა.შ.

ზოგიერთი გლეხი მარანს თანამედროვე მოთხოვნებით გათვალისწინებულ საოჯახო სასტუმროს და მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას ამატებს, მაგ; ინტერნეტს. სასტუმრო სახლი „ნონა“, რომელიც მდებარეობს ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, ისეა მოწყობილი, რომ ყველაზე პრეტენზიული ტურისტიც ვერაფერს დაუწუნებს. აქ ტურისტს ხვდება ძველი კახური მარანი და „ეთნოგრაფიული ეზო“, რომელსაც დამატებული აქვს ეზოში საცურაო აუზიც კი. ოჯახს შეუძლია ერთდროულად 14 ტურისტის მიღება და მათი დაბინავება 2 და 3 ადგილიან კეთილმოწყობილ ოთახებში. აგროტურიზმის მოყვარულებს სთავაზობს სეზონურად რთველში მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოში მონაწილეობის მიღებას, ეზოში მოწყობილ ფანჩატურში – ტრადიციულ სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნებას მარანში.

აგროტურიზმშია ჩართული ყვარლის რაიონში „შალოშვილის მარანიც“, რომელიც ზემოჩამოთვლილ ყველა სერვისს სთავაზობს ტურისტებს. უნდა აღინიშნოს, რომ საოჯახო მარნებისა და სასტუმროების სიმრავლით კახეთში ყვარელი გამოირჩევა.

აგროტურიზმში ჩართული ოჯახების შესახებ, როგორც წესი, იფორმაცია უნდა იყოს ტურისტულ სააგენტოში, საიდანაც ოჯახებს წინასწარ აცნობებენ ტურისტების ვიზიტის შესახებ და ოჯახიც გამოცხადებული სერვისისა და ტურისტების მოთხოვნის შესაბამისად ემზადება.

საოჯახო მარნების მფლობალთა ნაწილი მხოლოდ ერთ ან ორსაათიან მასპინძლობას სთავაზობს ტურისტებს, სხვები ღამის გათევას, რთველში მონაწილეობის მიღებას, ყურძნის წურვას, ჩურჩხელის ამოვლებას თუ სხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში დავათვალიერეთ ციური გომურაშვილი-ლაჩაშვილის მარანი, როგორც მან გადმოგვცა „*ამ მარნის მშენებლობა ჩემმა მამამთილმა დაიწყო, შემდეგ ჩემმა მეუღლემ დაამთავრა, 100 წლისაა. ეს მარანი ტურისტებისთვის არის განკუთვნლი. მოდიან ხოლმე, მაგრამ ძალიან ხშირად არა. ჩემი მარნის სურათები მივიტანე თელავის ტურისტულ სააგენტოში. „რუსთავი 2-მა“ ჩაატარა მარნების კონკურსი. მივიღე მონაწილეობა გავაგზავნე სურათები, კონკურსის დროს ჩამოვიდნენ ჟიურის წევრები, სურათები თვითონაც გადაიღეს, გამოავლინეს*

როგორც გამარჯვებული მარანი, სერთიფიკატი უკვე მომცეს, ინფორმაცია ჩემი მარნის შესახებ დაიდო ტურისტულ სააგენტოში, „ძველი მარანი“ ჰქვია, დარეგისტრირებულია ჩემი შვილის, პაატა ლაჩაშვილის სახელით. საოჯახო სასტუმრო არ არის, მე სველი წერტილები ოთახებში არ მაქვს, ვერ გავაკეთე და ეგ დამიწუნეს. ამიტომ ტურისტები ჩემს მარანში შემოდგომით უფრო მოდიან, როცა უკვე დაღვინებულია მაჭარი. ღვინო სულ მაქვს, რა თქმა უნდა, წინასწარ დამირეკავენ, რასაც შემიკვეთავენ დავახვედრებ, ძირითადად ესაა: შოთი პური, მწნილი, ყველი, ღვინო, კიტრი პამიდორი, მწვადი, ეს ყველაფერი 10 ლარად სულზე, თან არაყს გავატან ხოლმე“ (ბურდული, თელავი, 2016). მის მარანში არის თითქმის ყველა ზომის ქვევრი, ღვინის ამოსაღებად საჭირო ყველა ტრადიციული ინვენტარი, ღვინის ჩამოსასხმელი დოქები და სასმისები. „მიხარია, როცა ჩემი მარნიდან მრავალჟამიერის ხმა გადის“-ო, გვითხრა ქალბატონმა ციურიმ, რომელიც პარალელურად იყალთოს სკოლაში ასწავლის ხელოვნებას, „მომყავს ხოლმე მარანში ბავშვები და ვაჩვენებ და ვუხსნი ორნამენტებს“.

სხვებს, ამავე სოფელში საოჯახო მარნებთან სასტუმროებიც აქვთ მოწყობილი, სადაც ტურისტს ღამის გათევაც შეუძლიათ.

აგროტურიზმშია ჩართული ტრადიციული ტიპის ტურისტული კომპლექსი „ტყუპების საღვინე სახლი ნაფარეულში“, სადაც ტურისტებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ღვინის ტურში, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობებს: რთველში მონაწილეობის მიღება, მე-18 საუკუნის საწნახელში ყურძნის დაწურვა, ჩურჩხელის ამოვლება, ქვევრისა და ღვინის მუზეუმის დათვალიერება, ღვინის დეგუსტაცია და სხვ.

აღნიშნული ფირმის მფლობელებს, ძმებ გამტკიცულაშვილებს, მოწყობილი აქვთ მარანი-მუზეუმი, სადაც მეღვინეობასთან დაკავშირებული ყველა პროცესი თვალსაჩინოდაა გამოფენილი. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ქვევრის ჭრილმა, სადაც ნაჩვენებია დაღვინების პროცესი როგორ მიმდინარეობს, როგორაა დალექილი ქვევრის ძირში ჭაჭა, კლერტი და ლექი, ხოლო ზემოთ კამკამა ღვინოა მოქცეული. სასიამოვნოდ გვახსოვს ქვევრიდან ამოღებული ღვინის დაგემოვნებაც.

როგორც ეთნოგრაფიული მასალის, ისე მუნიციპალიტეტების საინფორმაციო სამსახურებიდან აღებული ცნობების მიხედვით ჩანს, რომ ბოლო წლებში აგროტურიზმის მიმართულებით ტურისტების ნაკადი გაიზარდა, რამაც ადგილობრივ ბიზნეს სექტორს სტიმული მისცა გააფართოონ ამ კუთხით საქმიანობა. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში „დაფინანსდა ორი ახალი ტრადიციული ტიპის ღვინის საწარმო შპს „საწნახელი“ და შპს „შალაურის ღვინის მარანი“, რომელიც მომავალში ფუნქციონირებას განაგრძობს აგროტურიზმის მიმართულებით (თელავის,.. 2015. 48).

სოფელ წინანდალში წარმატებით ფუნქციონირებს აგროტურისტული მეურნეობა, მცირე საოჯახო ტიპის მარანი „წინანდლის ედემი“, სადაც იშვიათი ასწლოვანი ვაზიცაა და სხვადასხვა ტრადიციული აქტივობების

(რთველში მონაწილეობა, ყურძნის დაწურვა თუ ჩურჩხელის გაკეთება) გარდა შესაძლებელია ღამის გათევაც.

საინტერესო აგროტურისტული კომპლექსი დავათვალიერეთ სოფელ ჩუმლაყში, ე.წ. „სიმონაის ზაოტი“, მისი მფლობელი, სიმონ რუაძე მეტად საინტერესო პიროვნება აღმოჩნდა, მისი თქმით, მართალია კომპლექსს „ზაოტი“ ჰქვია, მაგრამ არყის პრაქტიკული გამოხდა იშვიათად უწევს, ძირითადად თეორიულად უხსნის როგორ უნდა გამოიხადოს კახური ჭაჭა, რადგან თავად უცხოელ ტურისტებსაც ნაკლებად აინტერესებთ ეს პროცესი. თავისთავად არყის გამოხდა შრომატევადი საქმეა და, ბუნებრივია ფასზეც მოქმედებს. ის ტურისტების ნაკლებობას არ უჩივის. ყველა ტურისტული სააგენტოსთან აქვს ურთიერთობა, და ჩართულია პროგამაში. უკვე 11 წელია მუშაობს ამ მიმართულებით. *„მარანი მეგობრის დახმარებით ავაშენე, კახურ სტილში, მეოცე საუკუნე დავიჭირე. ათას რადაცას მჩუქნიან, მაგრამ არ ვკიდებ, იმიტომ რომ ეს არის „ზაოტი“ და არა მუზეუმი. 2007 წელშია აშენებული, სტილი დაცულია, დიზაინი ჩემია, კარგი ქვათამწყობი მყავდა, ეს ბუხარიც და ყველაფერი რაც აქ არის, იმან გააკეთა. ქვევრები გარეთ არის, სადაც ტურისტს ვესაუბრები ყურძნის ჯიშებისა და ღვინის დაყენების შესახებ. სხვადასხვა ენებზე ვლაპარაკობ: ფრანგულად, იტალიურად, რუსულად, ინგლისურად თავისუფლად, გერმანულსაც საშუალოდ ვფლობ. ჩემთან გიდი ძირითადად დუმს, რადგან მე თვითონ ველაპარაკები ტურისტებს. რეიტინგის მიხედვით დამილაგებია ხოლმე მომსვლელები: სანამ უკრაინაში ომი დაიწყებოდა უფრო მეტი უკრაინელი მოდიოდა, მერე იყო ბალტიისპირეთის ქვეყნები, მერე ისრაელი, რუსეთი ყოველთვის, პოლონეთი, სტუმრების ინტენსიურობა იზრდება აპრილ-მაისში, ალბათ იმიტომ რომ მთის კურორტები უკვე მოლეულია, ხოლო საზაფხულო ჯერ არ არის დაწყებული“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

კახეთში ტურისტების რაოდენობა მზარდი აპრილ-მაისსა და სექტემბერ-ოქტომბერშია. შემოდგომით კახეთში ძირითადად ღვინის ტურებია. როგორც გადმოგვცა, „სიმონაის ზაოტს“ წელიწადში საშუალოდ 1500-დან 1700 ტურისტამდე სტუმრობს. *„ძალიან დატვირთულები არ ვართ, ჩვენ დღეში შეგვიძლია მივიღოთ ერთი ჯგუფი, თუ პატარა ჯგუფია შეიძლება მივიღოთ ორი. ბევრიც შეიძლება, მაგრამ ხიბლი ეკარგება უკვე. როცა ჩემთან მოდიან ყოველთვის ვუხსნი, რომ ეს არც კაფეა, არც ბარი და არც რესტორანი, ეს არის ოჯახი, სადაც ცხოვრობს ოთხი თაობა – დედაჩემი, ჩემი მეულლე, სამი შვილი, და ერთი შვილიშვილი. აი ჩვენ ვართ და ჩვენ ვუძღვებით ყველა საქმეს. ვუხსნი, როცა შემოდიან პატარას წავუმღერებ ხოლმე, გურჯაანის ანსამბლში ვმღეროდი 1982 წლიდან, ასე რომ ფოლკლორთან ახლოს ვარ. ოჯახის ყველა წევრი ვმღერით“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

პურობის დროს საჭმელი რიგის მიხედვით შემოგვაქვს, *„ვურჩევ რა რასთან ერთად ჭამონ“, ყველა ნიუანსს თავისი დატვირთვა აქვს, მეკითხებიან და ვპასუხობ, მაგალითად, რატომ არის საპურე ჭერზე ჩამოკიდებული და*

ა.შ. საათნახევარი-ორი საათი გრძელდება ეს პურობა, მეტი არა და ასე მშვიდად კმაყოფილები მიდიან ხოლმე. გადახდა მიდის გადარიცხვებით, წინასწარ, მცირე მეწარმე ვარ. ერთი კაცი 35 ლარიდან ზევით ჯდება, გაიჩნია როგორი ჯგუფია. ჩვენ ვაინტერესებთ ჩვენი ოჯახური დახვედრით".

კარ-მიდამო ტურისტების მისაღებად შესაფერისად არის მოწყობილი, ვენახში ძირითადად სამი ჯიშის ვაზი, – რქაწითელი, მწვანე და საფერავი აქვს. ღვინოს შესაბამისად ქვევრიდან აგემოვნებენ ტურისტები. როგორც გადმოგვცემს: *„ღვინოში, – 30 პროცენტი მანავის მწვანეა, 70 პროცენტი რქაწითელი, ასეთი შეფარდებით შესანიშნავი ღვინო დგება. თურისთებს თუ აინტერესებთ პურის ცხობა, აქვე თონეში ვაცხობთ, თუშურ ყველთან ერთად აგემოვნებენ. აქვე იწვება მწვადები, ხდება ღვინის დაჭაშნიკება. მერე შემოდიან, „ზაოტში", თეორიულად ვუხსნი რას ნიშნავს „ზაოტი". . გაშლილი სუფრა ხვდებათ, ჩვენ მენიუს იშვიათად ვცვლით, გვაქვს იმერული ხაჭაპური, დედაჩემის ნახელავი, კარგი მწვადები – სუკის. ასევე რაც სეზონურია ან ოსტრი, ან ჩაშუშული, ან ჩაქაფული, ან სოკო, არის კარტოფილი შემწვარი, მოკლედ მთელი ოჯახი რაღაცას ვაკეთებთ. მერე ცივი მოდის, ბადრიჯანი ნივრით, ნიგვზით, ეს ყველაფერი რაფინირებულია. ღვინო კარგი გვაქვს – მოსწონთ ხოლმე, ბევრს არ სვამენ მაინცდამაინც, ბევრი სმით პოლონელები გამოირჩევიან.* სადღეგრძელოებს ვეუბნები ინტერპრეტაციებით, *მერე, რა თქმა უნდა ვურთავთ საოჯახო ფოლკლორს. სამნი როცა ვართ კარგია ხოლმე, ამ შემთხვევაში ვართ მე, ჩემი გიორგი და სოფო. მოსწონთ ქართული ფოლკლორი. ეხლა ეს ჩემი შვილიშვილი 5 წლის არის და ჩავრთეთ უკვე, სულიკოს კარგად მღერის" (ბურდული, გურჯაანი, 2016).*

ჯგუფის მისვლას ტურისტული სააგენტო რამდენიმე დღით ადრე ატყობინებს ოჯახს და დაუკვეთავენ, როგორი ჯგუფი მოდის, რა ინტერესები აქვთ, რისი ნახვა და დაგემოვნება სურთ.

სიმონს თავისი პრინციპი აქვს, გვიხსნის რატომ არ აკეთებს საოჯახო სასტუმროს სტილში და არ სთავაზობს ღამის გასათევს ტურისტებს: „ამ სახლში ოთხი თაობა ცხოვრობს, დედა, მეუღლე, ქალიშვილი, რძალი და სასტუმროს სხვა დატვირთვა აქვს, ამიტომ უარი ვთქვით ამგვარ მომსახურებაზე", უარს ამბობს ქართული ჯგუფების მომსახურებაზეც, რადგან მისი თქმით მათ არაფერი არ აინტერესებთ, „ვერაფრით ვერ აკვირვებ, არც ჩოხა უკვირს შენი, არც ფოლკლორი, არც სამზარეულო, უნდა ჭამოს კარგად, არა აქვს მნიშვნელობა ეყო არ ეყო, საჭმელი უნდა ეყაროს ბლომად, დათვრნენ უზომოდ–ო."

განსაკუთრებით მინდა გამოვყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში, – ნუნუს ეთნოგრაფიული ეზო და მუზეუმი.

ოჯახს ველისციხეში აქვს ღვინის ორსართულიანი მარანი (0 –1), ეთნოგრაფიული მუზეუმით (გამოფენილია არქეოლოგიური ნივთებიც), სადაც ექსპონატები თემატიკის მიხედვით არის წარმოდგენილი. იმავე შენობის პირ-

ველ (0) სართულზე აქვს რესტორანი, ემსახურებიან ტურისტებს, ძირითადად უცხოელებს. ეთნოგრაფიული ეზო-მუზეუმი ჩართულია ტურისტულ მარშრუტში. ამ ექსპონატების მომძიებელი და გამოფენის მომწყობი არის ნუნუ კარდენახიშვილი. ეზოდან იწყება სიძველეების დათვალიერება, აქვეა ტურისტებისათვის მოწყობილი ქართული სოფლის ყოფისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობანი: თონე, ნალია/ხულა ...

ქრონოლოგიურადაც, აზრობრივადაც ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ნივთები ნუნუს დალაგებულია. რას არ შეხვდებით აქ – ღვინის გადასაღები სხვადასხვა სახეობის ჭურჭელს, XVIII-XIX საუკუნის დასაწისის ფრანგული ყურძნის საწურ დანადგარს, რომელიც ლერწს და ყურძენს აცალკევებს. ორნავიან საწნახელს, სადაც შეიძლებოდა ერთდროულად ორი ჯიშის, ორი ფერის ყურძნის დაწურვა. ღვინის სარდაფში არსებული ძველი ქვევრებიდან 7 ქვევრი გამოიყენება. სარდაფშიც აქვს და მუზეუმშიც არის გამოფენილი მცენარე კრაზანისგან დამზადებული ქვევრის სარეცხი სამეურნეო იარაღები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ველისციხის მუზეუმი XIX–XX საუკუნის მარნის ინვენტართან ერთად კახეთის სოფლის ეთნოგრაფიულ ყოფას სრულყოფილად წარმოგვიდგენს.

ამ ობიექტის მფლობელი, სარდაფით ძალიან ამაყობს *„ეს არის ჩვენი ძალიან საამაყო სარდაფი. მთლიანად მიწით იყო დაფარული. ოთხი წელი აქედან მიწა ვეზიდე. აქ ზამთარშიც და ზაფხულშიც ერთი და იგივე ტემპერატურაა. ზამთარში თბილა და ზაფხულში – პირიქით. ეს ღობურა ჩემი მოშენებულია, ძველად რა ჰქონდა – არ ვიცი. მე ყველაფერი აგურში გადავწყვიტე. როცა გარეთ არის გვალვა აქ კედელი იწყებს ტირილს. მოდის მარცხნიდან მარჯვნივ სისველე, ბოლომდე რომ მივა, ამ დროს უკვე იწყება შემოდგომა, წვიმების სეზონი დგება, და რაც ყველაზე საინტერესოა – სარდაფის კედელი გამოშრობას იწყებს და ზამთარში არის სრულიად მშრალი. ი, ახლა ნახეთ, სულ სველია (ჩვენ აგვისტოში ვიყავით). თავიდან მეშინოდა კედელი არ მოენგრია სინესტეს, მაგრამ აბა სცადეთ და რამე მოაფხვენით. ღვინის შესანახის გარდა, გადმოცემით კიდევ ერთი სართული უნდა იყოს დაბლა, სადაც ყინული ინახებოდა* თურმე“ (ბურდული, გურჯაანი, 2016).

მასპინძელს საინტერესო პროგრამა აქვთ ტურისტებისათვის: „მიგვყავს ჩვენს ვენახში, სიმბოლურად რამოდენიმე ვედროს ვაკრეფინებთთ, მოგვაქვს და ვაწურინებთ. ეს ტურისტებს ძალიან უხარიათ, ფილმებს იღებენ, ჩვენი იქ ყოფნის დროს ტურისტებმა ჩურჩხელები ამოავლეს.

მამაპაპეული ტრადიციისა და ახალი იდეების შერწყმის საუკეთესო მაგალითია ჟურნალისტისა და მუსიკისმცოდნის, ყვარლის რაიონის, სოფელ ახალსოფელში, ქალაქიდან საცხოვრებლად სოფელში დაბრუნებული, თიკა დუღაშვილის საქმიანობა საოჯახო აგროტურიზმის მიმართულებით.

მის შესახებ თანასოფლელებმაც გვიამბეს (სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევხვდით) და კვირის პალიტრაც წერდა, რომ მან ოჯახთან ერთად წამოიწყო

კერძო ბიზნესი, გააცოცხლა მამაპაპისეული მარანი და შექმნა ტურისტული ობიექტი „ღვინის ეზო“.

თიკა დუდაშვილი „ერაზმუსის“ (სტუდენტებისა და მასწავლებლების გაცვლის ევროკავშირის პროგრამის) ფარგლებში ცხოვრობდა ჰოლანდიაში და იქაური გამოცდილების ცხოვრებაში დანერგვა გადაწყვიტა. ან მიზნად დაისახა, გაეკეთებინა ისეთი ტურისტული ობიექტი, რომელიც ქართულ ყოფა-ცხოვრებას ასახავდა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით გაიარა ტურიზმის განვითარების კურსები და არის პროფესიონალი გიდი. (კვირის პალიტრა, №46, 2017).

„ღვინის ეზო“ ახალგახსნილი აქვთ, თვლიან, რომ მათმა წამოწყებამ გაამართლა. „სტუმრებს ჩვენთან სითბო და ურთიერთობები მოსწონთ. თბილისიდან 160 კილომეტრს გადიან, რათა რეალური ცხოვრება ნახონ, ჩვენთან ერთად კერძი მოამზადონ, ღვინო გადაიღონ. ... ეს არის ჩვენი მიზანი, სტუმარმა თავი შინ უნდა იგრძნოს“. „პაპა თითქმის სულ მარანში იყო, უვლიდა და ეფერებოდა ღვინოს, იქვე სადილ-ვახშმობდა. მარანში საზედაშე ქვევრები გვაქვს. ბებო ყოველ შაბათს ქვევრზე სანთელს ანთებდა, ამ რიტუალს დღეს უკვე ტურისტებს ვაჩვენებთ“ (კვირის პალიტრა, №46, 2017).

ამ ოჯახს შესაბამისად აქვს მოწყობილი ეზო-კარმიდამოც, მათმა პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში – „აწარმოე საქართველოში“ და ფიქრობენ უკვე შეძლებენ საოჯახო სასტუმროს გაკეთებასაც.

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში აგროტურიზმის მიმართულებით რამდენიმე ობიექტი მუშაობს, დავათვალიერეთ ეთნოგრაფიული ეზო „ქიზიყი“, საიდანაც ალაზნის ველის არაჩვეულებრივი ხედი იშლება და ტურისტებისთვის ყველა პირობაა შექმნილი, როგორც ეთნოგრაფიული ყოფის, ისე ტრადიციული ქართული სამზარეულოს გასაცნობად. მეპატრონე ინდმეწარმედაა გაფორმებული და დასაქმებული ჰყავს სამი ადამიანი.

მეორე ეთნოგრაფიული ეზო ნუკრიანში არის „ზედაშე“, მისი მფლობელია მცირე მეწარმე, გიორგი ჩერქეზიშვილი, ძალზე საინტერესო პიროვნება, დოქტორანტი ეთნოლოგიის განხრით და ამდენად პროფესიონალურად უდგება საქმეს. მასაც სამი ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

როგორც წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, რომ კახეთში აგროტურიზმის, – „ღვინის გზის“, განვითარებას, ტრადიციული ღვინის მარნების არსებობა დიდად უწყობს ხელს. ღვინის ტურებით სტუმრებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ ღია და დახურული ტიპის მარნები, მიიღონ მონაწილეობა რთველში და ყურძნის დაწურვაში და დააგემოვნონ ადგილზე წარმოებული ღვინო.

ამ მიმართულებით რეგიონში კიდევ დიდი რეზერვია ასამოქმედებელი. ჯერ კიდევ შემორჩენილია გასული საუკუნის მარნები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა როგორც ისტორიული ძეგლები, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მათი გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისით და ჩაბმა აგროტურიზმის მარშრუტში. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო

მაჩხაანში კარგ მდგომარეობაშია შემორჩენილი ნადირაშვილების საცხოვრებელი სახლი, რომელიც ერთერთი გამორჩეული ნაგებობა იყო საფელში. „სახლი ორსართულიანია, პირველი სართული მთლიანად მარანს აქვს დათმობილი. სტილური ნიშნებით სახლი დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნის უნდა იყოს ... მარნის ერთ მხარეს მთელი არე ფართო ბუხარს უჭირავს, ხოლო დანარჩენი კედლები მთლიანად შეისრული ნიშებითა და თახჩებითაა დანაწევრებული. ... დაცულობისა და ესთეტიკის მხრივ ეს მარანი შემორჩენილ მარანთაგან მხოლოდ ქვემო მაჩხაანში კი არ არის ერთერთი საუკეთესო, არამედ მთელ ამ კუთხეში“ (სიხარულიძე, 2014, 157).

მრავალი ასეთი მცირე და საშუალო მოცულობის საქმიანობა რეგიონის ეკონომიკური წინსვლის საფუძველია. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ქართული სოფლისათვის ამ ახალ სამეურნეო საქმიანობას, საოჯახო ბიზნესს, განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს. კახეთის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ნაწილმა ტურიზმის ამ სახეობას ალღო აუღო, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ საოჯახო მარნებისა თუ სასტუმროების მფლობელთა ნაწილს, ტურისტული ბიზნესის უნარ-ჩვევების არ ქონის გამო უჭირთ ტურისტებთან სათანადო ურთიერთობის დამყარება. მათი პროფესიული დონის ასამაღლებლად საჭიროა მთავრობამაც გამოიჩინოს მეტი ძალისხმევა და აგროტურიზმში ჩართული მოსახლეობისათვის სასურველი იქნებოდა სისტემატურად ეწყობოდეს ტრენინგები. მოსახლეობა მეტად იყოს ინფორმირებული აგროტურიზმის შესაძლებლობების შესახებ, აგროტურიზმში მომუშავე კომპანიების გამოცდილების შესახებ, რაც მათ მუშაობას გაუადვილებს და მისცემს შესაძლებლობას საოჯახო ბიზნესს უფრო მყარი საფუძველი შეუქმნან. აგროტურიზმის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სოფლის მოსახლეობის თვითდასაქმებასა და შესაბამისად ბევრი სოციალ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. არჯევანიძე ივ., -თბილისიდან ალაზნის ველისაკენ, თბ., 1958.
2. აიხვალდი ე., – საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი, გერმანულიდან თარგმნა გია გელაშვილმა), 2005.
3. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2015.
4. ბაგრატიონი დ., „იადიგარ დაუდი“, თბ., 1985.
5. ბენდიანიშვილი ალ., – აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., „მეცნიერება“, 1965.

6. ბურდული მ., ტრავმების მკურნალობა სვანეთსა და ლეჩხუმში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თსუ ახალციხის ფილიალის შრომები. I. თბილისი–ახალციხე. 1997.
7. ბურდული მ., 2015 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები (ინახება ავტორთან.
8. ბურდული მ., 2016 წლის თელავის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები (ინახება ავტორთან).
9. ბურდული მ., 2016 წლის სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები
10. ბურდული მ., 2016 წლის გურჯაანის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები
11. ბურდული მ., 2017 წლის ყვარლის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები (ინახება ავტორთან).
12. გაბუნია ლ., „მევენახეობა-მეღვინეობა“, „ქართველები, ყველაფერი ქართველთა კულტურისა და ეთნოსის შესახებ“, თბ., 2016.
13. გაბუნია ლ., ყურძნის დაწურვის ხალხური წესები და ღვინის ტრადიციული ტექნოლოგიის ზოგიერთი თავისებურება საქართველოში, „ანალები“, №1 2003.
14. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი თბ.,1953;
15. თოფურია ნ., ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ.,1984.
16. თომსენი რ., ბიბლიის სამედიცინო სიბრძნე. თბ. 1991.
17. კალანდაძე ბ., საქართველო ღვინის აკვანი, თბ., 2015.
18. კვირის პალიტრა, №36, 2015.
19. კვირის პალიტრა, №38, 2017.
20. კვირის პალიტრა., №46, 2016.
21. კვირის პალიტრა., №46. 2017.
22. ლეკიაშვილი ა., შენ ხარ ვენახი, თბ., 1972.
23. ლეკიაშვილი ა., მეღვინეობა კახეთში, მ.ს.ე. XI, 1969.
24. მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967.
25. მოდებაძე კ., მეღვინწობა, II, თბ., 1961.
26. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1985.
27. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“, 2017.

28. საქართველო – ვაზისა და ღვინის აკვანი, დიდი ენციკლოპედია, ნაწილი II, ღვინო, თბ., 2018.

29. სონღულაშვილი ჯ., საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, თბ., 1974.

30. სალუქვაძე ს., წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX ს–დე. თბ. 1987.

31. სტეფანიშვილი ა., მეღვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1967.

32. სიხარულიძე თ., ეტიუდები ღვინოზე. თბ. 1979.

33. სიხარულიძე თ., „ქვემო მაჩხაანი – წარსულისა და მომავლის ქიზიყის საზოგადოებრივ კულტურული ცენტრი“, სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები, თბ., 2014.

34. ფრუიძე ლ., საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია, წიგნი პირველი, შესავალი – ძველი სამყარო, თბ., 2014.

35. ფანასკერტელ-ციციშვილი ზ., „სამკურნალო წიგნი, კარაბადინი. თბ. 1988.

36. ღლონტი თ., ყურძნის კლერტი და ქვევრის კახური ღვინო, „ქვევრის ფონდი“, თბ., 2011.

37. ჩიტაია გ., მევენახეობა-მეღვინეობა, „შრომები“ ტ. IV. თბ., 2001.

38. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.V საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, 1986.

39. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე, თბ., 1943.

40. ჯორჯაძე ლ., მევენახეობა და ღვინის დაყენება, ტფ., 1876.

41. ჭავჭავაძე ი., ღვინის ქართულად დაყენება, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ VII, თბ., 1956.

42. ჭავჭავაძე ი., ჩვენი მევენახეობისა და მეღვინეობის საჭიროებანი, , თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ VII, თბ., 1956ა.

43. ჭავჭავაძძე ი., „ივერია“, №52, 1887.

44. ჭყონია ლ., „მევენახეობა-მეღვინეობის ზოგიერთი საკითხისათვის ივრის ხეობაში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1981.

45. ჭყონია ლ., „ღვინის დაყენების ხალხური წესები გარე-კახეთში“, ქართველი ხალხის ტრადიციული სამეურნეო და სულიერი კულტურა, თბ., 1987.

46. ჭყონია ლ., „რელიგიური რწმენა წარმოდგენები მევენახეობა-მეღვინეობაში“, ეთნოგრაფიული ძიებანი, თბ., 1988.

47. Чкония Л., Виноградство и виноделие в Восточной Грузии (по историко-этнографическим материалам Гаре Кахети). Дисертация, Тб., 1988,

48. „წიგნი სააქიმოდ“ თბ. 1036.

49. ქანანელი., „უსწორო კარაბადინი“, თბ. 1940.

50. ცურტაველი ი., წამება შუშანიკისი. თბ. 1986.

51. წუწუნავა ნ., საქართველოს სამკურნალო მცენარეები. თბ. 1966.

თავი XI.

მემინდვრეობა

§ 1. მარცვლეული კულტურები

საქართველო და კავკასია კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მათი კულტივირების უძველესი კერაა. „მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს პურეული კულტურების ისეთი მრავალფეროვნება, როგორც საქართველოში; ამათგან ექვსი ენდემური ჯიშია“ (ჩიტაია, 1997, 56). სამეცნიერო ურიდან ცნობილია, რომ საქართველო ითვლება ხორბლის სახეობათა წარმოქმნის ერთ-ერთ კერად, სადაც მიწათმოქმედებას ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ჩაეყარა საფუძველი.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს: ქვეყნის „ეკონომიკური ისტორიისათვის ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია საკითხი კულტურულ მცენარეთა სადაურობის შესახებ ამათუიმ ქვეყანაში, რადგან ამ გზით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური კავშირისა და გავლენის გზების გათვალისწინება ისეთ ხანაშიც-კი, რომლისთვისაც ჩვეულებრივ წერილობითი ცნობები არ არსებობს ხოლმე“ (ჯავახიშვილი, 1996, 410). მკვლევარი აღნიშნავს, რომ „პურეულის სხვა ერთა სახელებისაგან ქართული სახელები, „იფქლი“ და „დიკა“, სრულებით განსხვავდებიან: არც ერთი მათგანი სხვა რომელსამე ენაზე არსებულ სახელს არ უდგება და უეჭველია ორივე ძველისძველი ქართული სახელი უნდა იყოს მცენარეულობისათვის“ (ჯავახიშვილი, 1996, 415).

საქართველოში ძვ. წ. V-IV ათასწლეულის ხორბლის ნიმუშებია აღმოჩენილი (Менабде, 1948, 47). მრავალი ძნელბედობის მიუხედავად, ათასწლეულების განმავლობაში ქართული ხორბლის ჯიშები თანდათან უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა. ამის წყალობით დღემდე ქართული ხორბლის უამრავი ჯიში შემოინახა ყოფამ. ქართველი ხალხი თითქმის ათი ათასი წელია ქმნის ხორბლის მრავალფეროვან გენეტიკურ სახეობას და ამით აძლევსმსოფლიოს უნიკალურ შესაძლებლობებს შექმნას გამძლე და ხარისხიანი ჯიშები.

ზემოაღნიშნული განპირობებულია საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი და ნიადაგური საფარით, შეიძლება ითქვას, რომ კახეთი ამ მხრივ გამორჩეული კუთხეა, სადაც მარცვლეული კულტურების მოყვანის ტრადიციას უძველესი ფესვები აქვს.

ისტორიულად „მიწათმოქმედება, მემინდვრეობა, მარცვლეული კულტურების წარმოება ძველთაგანვე ქართველი ხალხის ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო

საქმიანობას და საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ნაყოფიერი მიწები და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნება ამ დარგის აღმასვლას მუდამ უწყობდა ხელს. ქართული მარცვლეული და ღვინო უძველესი დროიდან საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა“ (გუგუშვილი, 1971, 45).

საქართველოში ქვეყნის გეოკლიმატურ პირობებთან მისადაგებული ენდემებით, დამოწმებულია კულტურული ხორბლის მსოფლიოში ცნობილი ყველაზე მეტი სახეობა. აღსანიშნავია, რომ ათასწლეულთა განმავლობაში, ბუნებრივი შერჩევის გვერდით მოქმედებდა ხალხური სელექციაც, რომელმაც ფენოლოგიური დაკვირვების შედეგად – მცენარეული ორგანიზმის განვითარების ემპირიულად მიკვლეული ზოგადი კანონების გათვალისწინებით, შექმნა მათი ადგილობრივი კულტურული სახეობები, ჯიშები, ფორმები და ეკოტიპები. ზოგიერთი მათგანი, საუკეთესო თვისებებისა და მაღალი ხარისხიანობის გამო იქცა მსოფლიოს გენეტიკოსთა ყურადღების ობიექტად.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: *„გლეხების დაკვირვებით, თავთუხს გადაგვარება სცოდნია. იგი ყოველ მესამე წელს სათესლედ ისე უნდა აეღოთ, რომ კვლავ თავთუხი მიეღოთ. უკიდურეს შემთხვევაში იგი დადოლდებოდა, ანუ როგორც ადგილობრივები ამბობენ, ეს რომ არ მომხდარიყო, მესამე ან მეოთხე წლის თავთუხის მოსავლიდან იღებდნენ სრულ თავთავებს, წვერს წაატეხავდნენ და ქვედა ნაწილს გადადებდნენ სათესლედ. ამ წესით მიღებული თავთუხის თესლი კვლავ სამ წელიწადს თავთუხობდა. მეოთხე წლისთვის კი თუ დადოლება არ უნდოდათ, იგივე ღონისძიება უნდა ჩაეტარებინათ“ (მღებრიშვილი, საგარეჯო, 2017).*

ცნობილია, რომ მსოფლიოში არსებული 27 სახეობიდან საქართველოში მოჰყავთ ხორბლის 14 სახეობა, ესენია: 1. მონოკოკუმი; 2.დიკოკკუმი; 3. ტიმოფეევი; 4. გეორგიკუმი-პალეოკოლხიკუმი; 5. ქართლდიკუმი-პერსიკუმი-დიკა; 6 დურუმი; 7. ტურგიდუმი; 8. პოლონიკუმი; 9. ტურანიკუმი-ორიენტალე; 10. ესტიუმი; 11. სპელტა; 12. კოპაქტუმი; 13. მახა; 14. ჟუკოვსკი. რაც შეადგენს სამყაროში ხორბლის გვარში შემავალ სახეობათა 62%-ს. შესაბამისად დედამიწაზე გავრცელებულ ხორბლის სახეოლბებშიც 70% ქართული გენი დევს. მათ შორის 5 ენდემური, აბორიგენული სახეობაა, რომელიც სრულიად უცნობია სხვა ქვეყნებისათვის და ბუნებრივად მხოლოდ საქართველოში გვხვდება. ყველა ენდემური სახეობა ხასიათდება განსაკუთრებული თვისებებით, რომლითაც გამოირჩევა ყველა სხვა სახეობებისაგან („აგრარული საქართველო“, 2016, №4).

როგორც ეთნოლოგი ნ. ბრეგაძე წერს: გერმანელმა მეცნიერმა ხორბლის ქართული ჯიში „ზანდური“ იმ მარცვლოვან კულტურებს შორის დაასახელა, რომელთა მოხმარება მსოფლიოში უახლეს მომავალში აქტუალური იქნება. კვლევა ჟურნალ „Trends in flant Science“-ში 2016 წელს გამოქვეყნდა. „ზანდურთან“ ერთად ამ კონტექსტში დასახელდა სხვა ჯიშები: „პოლუპოლბა“ და „სპელტა“, გამოცემა აღნიშნავს, რომ „ზანდურისა“ და „პოლუპოლბას“ პოპულარობის ზრდის მიზეზი მათი სტაბილურობა, მაღალი იმუ-

ნიტეტი და პარაზიტებისადმი მდგრადობაა. ასევე მომხმარებლების მიწრაფება გაამრავალფეროვნონ კვების რაციონი. მეცნიერებმა გააანალიზეს ასობით სახეობა და 15 მათგანში აღმოაჩინეს პოტენციალი ბაზარზე გასასვლელად. მეცნიერთა აზრით სწორედ დასახელებული ჯიშები ჩაანაცვლებს უახლოეს მომავალში ხორბლდის თანამედროვე სახეობებს. ამასთან, XX საუკუნის შუახანებამდე მხოლოდ ქართულმა ყოფამ შემოინახა ხორბლის ერთიანი ხაზის ყველა საფეხური, დაწყებული ველური თუ პირველადი – კულტურულისკენ გარდამავალი, კილიანი სახეობითა და დამთავრებული მეორადი, მაღალკულტურული, შიშველი მარცვლიანი ფორმებით (ბრეგაძე, 2016, 57).

ნებისმიერი ქვეყნის აგრარული პოლიტიკა (განვითარების სხვადასხვა დონის მიუხედავად) მიმართულია ქვეყნის საიმედო სასურსათო რეზერვების შესაქმნელად. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოში მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს ყოველთვისდიდი ყურადღება ექცეოდა და დათმობილი აქვს მიწის ფართობის ნახევარზე მეტი (ჯიბუტი, 2014, 10).

„ქვეყნისა და ერის კეთილდღეობისათვის უპირატესობა, რასაკვირველია, საკვებ მცენარეულობას ენიჭებოდა: ყველას ხორბლეული და ქრთილეული მიუძღოდა წინ“ (ჯავახიშვილი, 1996, 432). როგორც სამეცნიერო ურიდან არის ცნობილი: „ქართველებს უძველესი დროითგანვე მოყოლებული საჭმელად ხორბლეული ჰქონიათ: ხალხისათვის კვების უმთავრეს საგნად პურეული ითვლებოდა. ამიტომვე იყო, რომ იფქლის უქონლობა უკიდურესი გაჭირვების ნიშნად იყო მიჩნეული“ (ჯავახიშვილი, 1996, 439).

ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფამ დიდხანს შემოგვინახა რეგიონებისა და მიკრო რეგიონების გარემო პირობებთან მისადაგებული ხორბლეულის სხვადასხვა ჯიშ-ვარიაციები: საშემოდგომო და საგაზაფხულო, საადრეო და საგვიანო, ფხიანი და უფხო, ტენის მოყვარე და გვალვაგამძლე, სითბოს მოყვარული და ყინვაგამძლე. ჩრდილისა და მზვარეს სათესი, მწირ, ქვა-ღორღიან ნიადაგებს შეგუებული და მდიდარი აგროფონის მომთხოვნი, მავნებელთა და დაავადებათა მიმართ იმუნური, მცირე და უხვმოსავლიანი, გემრიელი და სურნელოვანი პურის მომცემი ცვენადი და არცვენადი, მკვრივთავთავიანი და ფაშარათავთავიანი, ფქვილისებრი და რქისებური მარცვლის კონსტინტენციის მქონე და ა. შ. ქართული ეკოტიპის ხორბლის ფორმებისათვის მნიშვნელოვანი თვისებებია: 1. მარცვალში ცილის და შეუცვლელი ამინომჟავეების გადიდებული შედგენილობა; 2. დაფქვისა და პურცხობის მაღალი ხარისხი; 3. გამომცხვარი პურის ხანგრძლივად შენახვის უნარიანობა, სწორედ ეს ნიშნებია, რითაც ქართული ჯიშები გამოირჩევა და საინტერესოა მსოფლიოს სელექციონერებისათვის. ამ ჯიშებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ადგილობრივი მეურნეობისა და ზოგადადაც ხორბლის კულტურის ისტორიაში.

მსოფლიოში ცნობილი კულტურული ხორბლის მრავალრიცხოვან ფორმათა შორის მარტო ქართულ ენდემს, კილიანებს – მახას, ძველკოლხურ ასლს და ზანდურს, აგრეთვე შიშველმარცვლიან დიკას ახასიათებთ მრა-

ვალთავთუხიანობა და თავთავთა სიმკვრივე. მათ შორის სოკოვან დაავადებათა მიმართ იმუნიტეტი (Горгидзе, 1977,190).

– **მახა**. მრავალმარცვლიანი, საადრეო სახეობაა, იგი 1-2 კვირით ასწრებს შემოსვლას სხვა პურეულს.

– **დოლის პური**. რბილხორბლეულს განეკუთვნება. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. იგი კარგად მოდის მძიმე თუ მწირ ნიადაგებზე. ეგუება ტემპერატურისა და ამინდის მერყეობას, უძლებს ყინვასა და გვალვას, იმუნურია. ბუდეში მჭიდროდ მჯდარი მისი მარცვალი არ ცვივა, არც სეტყვასა თუ ძლიერი ქარის დროს.

– **დიკა**. მაგარი ხორბლეულის ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენელია, ქართული სელექციის საუკეთესო ნიმუში. დიკა კიდევ ერთი მოწმობაა საქართველოში ხორბლის სახეობათა წარმოქმნის უწყვეტი პროცესისა. დიკას ხორბლის ნათესებს შორის მეორე ადგილი ეკავა. დიკას ისევე როგორც ზანდურს, იყენებენ უცხო ქვეყნის გენეტიკოსები, სელექციონერები ახალი, მაღალხარისხოვანი ხორბლის ჯიშების გამოსაყვანად (ბრეგაძე, 2016,53).

კახეთი თავთავიანი კულტურებით საკმაოდ მდიდარი კუთხეა. მისი ბუნებრივი გარემო მემინდვრეობის ყველა მიმართულებისათვის ერთნაირად ხელშემწყობ პირობას არა ქმნის. სახელდობრ, ზოგ რეგიონში ურწყაობის გამო პურეულის გარკვეულ სახეობას თესდნენ. ნიადაგების ერთი ნაწილი ურწყაობისა და ხშირი ქარების შედეგად გაალქატებულია, მაგრამ ასეთი მიწები მაინც მუშავდებოდა. ალქატი და ურწყავი მიწების მემინდვრეობა რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა. მაგალითად, გარე კახეთში, სადაც მიწის ფართობი ეროზიული – გაალაქტებული იყო, ითესებოდა ისეთი კულტურები, რომელიც გვალვას უძლებდა და ასწრებდა შემოსვლას ზაფხულის მკაცრი სიცხეების დაწყებამდე. ამის შესაბამისად ალქატებს გაზაფხულზე ხნავდნენ და ძირითადად საგაზაფხულო ხორბალს თესდნენ (ჯალაბაძე, 1986, 217). შესაბამისად კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებისა და ეთნიკური ერთეულების თავისებურებების, კახეთის მემინდვრეობა შეიძლება რამდენიმე ზონად დავყოთ. მაგალითად: გარე კახეთის, ივრის ხეობის დავაკების, ქიზიყის (შირაქის ჩათვლით), შიგნით კახეთის და გაღმა მხარის მემინდვრეობა (საბაშვილი, 1965,220).

კახეთში, სადაც ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38% მდებარეობს, განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია სახნავ და სათიბ-საძოვარ სავარგულებს, რეგიონში ამ კუთხით გამოირჩევა დედოფლისწყაროს, ახმეტის, სიღნაღისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. მინდვრის კულტურების (თავთავიანი, მარცვლეული, ზეთოვანი) საწარმოებლად კახეთი ტრადიციული რეგიონია.

მიუხედავად ამისა, კახეთის ცალკეულ რაიონებში წარმოებული მემინდვრეობა მეტ-ნაკლები განსხვავებების შემცველია. ეს ვლინდება მინდვრის კულტურების რაოდენობაში, ხელით სამუშაო იარაღების ფორმებში, გამწევი ძალით მომუშავე იარაღის სახეობებში, შრომის ორგანიზაციის ფორ-

მებში და მემინდვრეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებში. საბოლოო ჯამში, ყველა ზონაში აღებული ნიშნები მემინდვრეობის კახურ წეს-ჩვეულებებზე ერთ მთლიან სურათს გვაძლევს (ჯალაბაძე, 1986, 217).

„კახეთში გავრცელებულია ნიადაგები: შავმიწა, წაბლა, რუხი და ჭროღა. სამგორ-ვაზიანის ველებზე წაბლა, ბიცი ნიადაგები ჭარბობს. საგარეჯო-თელავის, გურჯაანის და გაღმა კახეთის ველებზე შავმიწა და ჭროღა ნიადაგებია, შირაქის ველებზე რუხი და წაბლა, ხოლო ქიზიყის უკანა მხარის ნიადაგები ძირითადად წაბლა. კახეთის მთისწინა ზოლშიკი რუხი და ჭროღა ფერის ნიადაგების სჭარბობს“ (ჯალაბაძე, 1986, 218). ავტორი აქვე იძლევა განმარტებას, რომ კახეთის ნიადაგების კლასიფიკაციას მხოლოდ ხალხური, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ახდენს.

ნიადაგები ერთმანეთისაგან სხვადასხვა თვისებებით გამოირჩევიან. რუხი ფერის ნიადაგები ფიცხია და მოსავლის მოყვანას აჩქარებს. შავმიწა ნიადაგი ზომიერია. ბიცი, მლაშობის მიწები ალქატებად ითვლება, დაბალ მოსავალს იძლევა და ხშირად საძოვარ-სათიბებად იყენებდნენ. ნიადაგების ვარგისიანობის შესაბამისად ძველადვე გამოყენებული იყო შესაფერისი სახვნელი იარაღი (ჯალაბაძე, 1986, გვ. 218-219).

როგორც ძველი ისე თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საერთო კახური მეურნეობისაგან მკვეთრად გამოიყოფა ქიზიყური მემინდვრეობა. მასთან მსგავსებას იჩენს გარე კახური მემინდვრეობა. საერთო კახურისაგან განსხვავებული ნიშნები ძირითადად ორმა ვითარებამ განაპირობა. ერთი იმან, რომ აქ ორივე შემთხვევაში ურწყავ მიწათმოქმედებასთან გვქონდა საქმე. მეორე, რომლითაც ქიზიყი გამოირჩევა, საზოგადოებრივ ეკონომიკური გარემოებაა, სადაც მიწის თემური სარგებლობა სხვაკუთხეებთან შედარებით აქ უფრო მეტად იყო ძალაში. პირველ ვითარებას ემატებოდა სახნავ-სათესი მიწების სოფლიდან სიშორე, რაც აქტიური მემინდვრეობის შემზღუდველი პირობაა (ჯალაბაძე, 1986, 216).

აღსანიშნავია, რომ ასევე დიდი თავისებურებებით ხასიათდება კახეთის რეგიონის კონკრეტული სოფლების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც. მაგალითად, სოფელ ბოდბეს სახნავ-სათესი მიწები სამ კატეგორიად ჰქონდათდაყოფილი. პირველი კატეგორიის მიწები ყოფილა ვაკის მიწები, „ელიავას ზევით“, რომელსაც საბლის მიწებს უწოდებდნენ. შემდეგ ელიას ქვემოთ „ოლემდე“, მეორე კატეგორიის მიწები, ხოლო ოლეს ქვემოთ ე. წ. „ნემარი“ – მესამე კატეგორია. ანალოგიურად იყო სოფელ მაღაროს სახნავ-სათესი მიწების განლაგებაც (მღებრიშვილი, სიღნაღი, 2016).

საერთო ჯამში, რეგიონში გავრცელებული ნიადაგის ტიპები მაღალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდება. ამ ნიადაგზე გაშენებული ბაღები, ასევე, ხორბლის, ქერის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსნების და სხვა კულტურებისათვის შესანიშნავ პირობას ქმნის უხვი მოსავლის მოსაყვანად. გარდა ამისა, ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატი, იმის საშუალე-

ბას იძლევა, რომ წელიწადში მოიყვანონ მარცვლეულის და ბოსტნეულის ორი მოსავალი.

პურეულის მრავალსახეობას თესდნენ გაღმა მხარის და შიდა კახეთის ველებზე. აქ სახნავ-სათესი მიწები ირწყვებოდა, რაც მემინდვრეობის საიმედო ბაზას უქმნიდა.

ხორბალი. ჩვენს მიერ, 2015-2017 წლებში, კახეთის რეგიონში ჩატარებული საველე ეთნოგრაფიული კვლევი დროს მოპოვებული მასალის მიხედვითაც, სულ ცოტა ხნის წინ, კახეთში გავრცელებული მინდვრისკულტურები იყო: დოლი წითელი და თეთრი, თავთუხი, შავფხა, პოშოლა, ხულუგო, დიკა, გაზაფხულის ქერი, ასლი, ჭვავი, შემოდგომის ქერი, შავი ქერი, სიმინდი, ლობიო, მუხუდო, ცერცვი, უგრეხელი, ფეტვი და ბრინჯი. დასახელებული კულტურებიდან დიდი გავრცელება ჰქონდა დოლის პურს, თავთუხს, ქერს და ფეტვეულს. ბევრი ითესებოდა აგრეთვე უგრეხელი და მუხუდო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მემინდვრეობას. სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 114 466 ჰა. მათ შორის სახნავია 47 663 ჰა, საძოვარი 65271 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს 1532 ჰა. (დედოფლისწყაროს.., 2017, 18).

ამ რაიონში ძირითადად მცირე და ფერმერული მეურნეობები დომინირებენ. აქ მოჰყავთ ხორბალი და ქერი. მცირე დოზით არის წარმოდგენილი მებაღჩეობა (საზამთრო, ნესვი). ერთ-ერთი წამყვანი დარგია ამ რაიონისათვის აგრეთვე საკვებწარმოება, იგულისხმება როგორც ნამჯის, ასევე ბალახის პრესის დამზადება.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს 6-7 ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი, მათ შორის ერთი თანამედროვე ტიპის, ხოლო დანარჩენი საბჭოთა კავშირის დროინდელია. ასევე მუშა მდგომარეობაშია მზესუმზირის 6-7 გადამამუშავებელი საამქრო. ფუნქციონირებს, აგრეთვე, თანამედროვე ტიპის რაფინირებული ზეთის ქარხანა, რომელიც წარმოდგენილია ბრენდი „ქარვას“ სახით. თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებს მარცვლეულის საღერღი საამქრო. რაც შეეხება კოოპერატიულ გაერთიანებებს, მათი რაოდენობა ჯერჯერობით მხოლოდ სამია.

საბჭოთა პერიოდში დედოფლისწყაროს რაიონში ფუნქციონირებდა ელევატორი, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფდა მოწეული მარცვლეულის (ხორბალი, ქერი, მზესუმზირა) შენახვას. 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ აღნიშნულმა ელევატორმა ფუნქციონირება შეწყვიტა. მოსახლეობამ რაციონალურად გამოიყენა კოლმეურნეობების საკუთრებაში არსებული სასაწყობე მეურნეობები და საველე კალოები. ამასთან, გარემონტდა და აშენდა ახალი სასაწყობე მეურნეობები, რომელიც 100%-ით უზრუნველყოფს მაღალი მოსავლის პირობებშიც მოწეული მოსავლის დაბინავებას (დედოფლისწყაროს.., 2017, 19, 22).

90-იან წლებში განხორციელებულმა მიწის პრივატიზაციამ გარკვეულწილად უარყოფითად იმოქმედა, ზოგადად სოფლის მეურნეობაზე, და კერძოდ, მემინდვრეობის განვითარებაზე. ერთიანი საკოლმეურნეო მინდვრები, 0,25 ჰა-დან 1 ჰა-მდე ნაკვეთებად განაწილდა, ასეთი მცირე ფართობის მიწების დამუშავებასოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მომგებიანი არ აღმოჩნდა, თუნდაც იმის გამო, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სოფლიდან ძალიან დაშორებულია. 15-20-30 კმ-ზე წასვლა ნაკვეთის დასამუშავებლად, ტრანსპორტის უქონლობის გამო ძალიან გაუჭირდათ.

მაგალითად, როგორც ასაკიანი მთხრობელები გადმოგვცემენ: *„საბჭოთა პერიოდში ჯაფარიძის კოლმეურნეობა (დღეს სოფელი სამრეკლო ლ.მ.) ცნობილი კოლმეურნეობა იყო მთელი საქართველოს მასშტაბით. მემინდვრეობა აქ წამყვანი დარგი იყო. მაშინ საქმეს უფრო მეტი ინტერესით და ხალისით უყურებდნენ. ორგანიზებულობა მეტი იყო. უსაქმურად ადამიანს ვერ ნახავდით. სოფლის თავკაცი რომ გაივლიდა, თუ უსაქმურად მდგარ ახალგაზრდას დაინახავდა, აუცილებლად მივიდოდა, დაინტერესდებოდა, რატომ იდგა უსაქმურად და აუცილებლად რაღაცით დაასაქმებდა“ (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).*

როგორც მოგვითხრობენ, სოფელში იყო სავაჭრო წერტები, სადაც იყიდებოდა ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი: ხორბალი, თაფლი, ღვინო, ცხვარი და სხვ. ყველაფერი იაფი და ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო. ამავე დროს, გეგმის ზევით მოწეული პროდუქცია გლეხს პრემიის სახით ეძლეოდა.

ზემოაღნიშნულის მაგალითად მოვიტანთ მთელ საქართველოში ცნობილი სოფელ ზემო მაჩხაანის მილიონერი კოლმეურნეობის, საქმიანობის შესახებ ჩაწერილ ეთნოგრაფიულ მასალას. როგორც გადმოგვცემენ: *„მამაიაშვილის თავმჯდომარეობის დროს კოლმეურნეობას 100 მანქანა ჰქონდა. იმასაც ამბობენ, რომ მის დროს კოლმეურნეებს თითო ტონა კარაქი დაყველი შეხვედრიათ გამომუშავებულ შრომადღეებზე, ხორბალი 5-6 ტ. ნაწილდებოდა. სოფლის ფერმაში ყოველდღიურად 3-4 ტონა რძეს აწარმოებდნენ. სოფლელებს თავად არ ჰყავდათ საქონელი, რადგან სავაჭრო წერტებში ყოველ დილით, რვა საათზე, ახალი რძე ძალიან იაფად იყიდებოდა. სოფელში 800-900 ოჯახი ცხოვრობდა. ეს რაოდენობა ბოლო წლებში 1500-დე გაიზარდა. კოლმეურნეობას მილიონობით თანხა ედო სალაროებში. შემდეგში ესქონება ხალხისთვის დაიკარგა“ (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).*

ერთი პრობლემაა სათესლე მასალის ხარისხი, ადრე ადგილობრივი ჯიში – ლომთაგორა – ითესებოდა. ქართული ჯიშები მორგებული იყო საქართველოს პირობებს. ქართული ჯიშების უნიკალურობა არის მისი გემოვნური თვისებები და გამძლეობა. დღეს-დღეობით ქართული ჯიშების თესლი, 3-ჯერ უფრო ძვირია სხვა ჯიშებთან შედარებით. სათესლე ხორბლი ახლა შემოაქვთ უცხოეთიდან. *„არავინ იცის რა თესლია. ხარისხს არ ექცევა საერთოდ ყურადღება, მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით არჩევენ ჯიშს*

და თესლს. მაგალითად, გერმანული ხორბალი უფრო მოსავლიანია, სამაგიეროდ ხარისხი არ უვარგა – ქართულს ვერ გაუწევს კონკურენციას“ (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).

ზემოაღნიშნული, აგროსექტორში მომუშავე სპეციალისტების ყურადღებას და გულისტკივილს იწცევს: „ბოლო პერიოდში ინტენსიურად შემოდის რბილი ხორბლის უცხოური ჯიშები. ეს ჯიშები ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით მკვეთრად ჩამოუვარდება ადგილობრივ ჯიშებს. უხარისხო მოსავალს არ იბარებს წისქვილ-კომბინატი და ფერმერებს უჭირთ მათი რეალიზაცია. ამით კი მცირდება ხორბლის მოყვანისადმი ინტერესი. გარდა ამისა, შემოტანილი თესლი მაღალმოსავლიანია პირველ და მეორე წელს, შემდეგში კი მათი მოსავალი ისთივეა, როგორც ადგილობრივი ჯიშების, რომლებიც მაღალხარისხიანია. გარდა ამისა, ადგილობრივი ჯიშები გამოირჩევიან უფრო სტაბილური მოსავლიანობით, ვიდრე შემოტანილი“ (სამადაშვილი, ჩხუტიაშვილი, ბენდიანიშვილი, 2017, 16).

„ბუნებაში არაფერი არ იკარგება, თუ ხორბლის სახეობა არის გამძლე, ამტანი და ხასიათდება დაავადებების მიმართ იმუნიტეტის თვისებებით, მაშინ მისი მირთმევის შემთხვევაში ეს თვისება ადამიანშიც გადადის. სწორედ ამ თვისებებს აქცევდნენ ყურადღებას ჩვენი წინაპრები“ (ლაშხი, 2016, 5).

ადრე კი *„ელდარში იყო სპეციალური საცდელი მეურნეობა და იქიდან მოგვქონდა ელიტური ახალი გამოყვანილი ჯიშები და იმას ვთესავდით. ოთხი წლის განმავლობაში ითესებოდა და მერე უნდა შეგვეცვალა სხვა თესლით ანუ თესლბრუნვას ვახდენდით“–გადმოგვცემენ მთხრობელები.*

საქართველოში ყველგან და მათ შორის კახეთშიც, XX საუკუნის ბოლომდე, *„ლაბორატორიებში ადგილზე მუშავდებოდა ყველა ეს სათესლე მასალა და მერე იგზავნებოდა დასათესად. შხამქიმიკატებით დამუშავება არ ხდებოდა. მხოლოდ შაბიამანს ხმარობდნენ. ახლა რომ თესლი იყიდება, ყველა ქიმიურად არის დამუშავებული. დღეს-დღეობით ყველა ლაბორატორია გაუქმებულია. განადგურებულია ყველაფერი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვიდრე ამ საკითხს მოაწესრიგებს, ალბათ, ქვეყანა სერიოზულად იზარალებს“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2017).*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძნელია ხორბლის, ქერის და სხვა მარცვლეული კულტურების ხარისხიანი თესლის შოვნა. საბჭოთა პერიოდში მეთესლეობის რესპუბლიკურ სამმართველოში შედიოდა მარცვლოვანი კულტურების სინჯები, რომელიც ლაბორატორიაში მუშავდებოდა. ლაბორატორიები იყო საქართველოს 57 რაიონში. ორ კვირაში ერთხელ განიხილებოდა სათესლე მასალის მდგომარეობა. რაც გარკვეულ კონდიციაზე უნდა ყოფილიყო მისული. თუ სარევლიანს დათესავდნენ, რა თქმა უნდა ცუდი მოსავალი მოვიდოდა, ამიტომ თესლი ირჩეოდა.

ასეთ ვითარებაში „ფირმა ლომთაგორა“, ქართველ ფერმერებს ხორბლის ქართული ჯიშების ჯანსაღ, უხვმოსავლიან სათესლე მასალას სთავაზობს

(„აგრარული საქართველო“, 2015, №4). ახალი ხორბლის ჯიშები სპეციალურ სანერგეში საგანგებოდ იცდება და ირჩევა, შემდეგ ხდება წარმოებაში ჩაშვება, ფერმერებისათვის შეთავაზება. „ლომთაგორაში“ უკვე რამდენიმე მაღალი ხარისხის უხვმოსავლიანი სიმინდის თესლსაც აწარმოებენ. „ლომთაგორას“ სიმინდის ჰიბრიდები გათვლილია იმის მიხედვით, რომელ ზონაში ითესება, აგრეთვე ადგილობრივი ჯიშებია, ადაპტირებულია ქართულ გარემოსთან, გამძლეა აქ გავრცელებული დაავადებების მიმართ. შემოტანილი კი აქაური პირობების მიმართ შეგუებული არ არის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დღეისათვის სოფლისმეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრმა თითქმის ყველა რეგიონში და მათ შორის, სიღნაღშიც გააკეთეს ჯიშთა გამოცდის ნაკვეთები, რაც უდაოდ ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და მეთესლეობის აღდგენას (სიღნაღის.., 2016, 18). მათივე გადმოცემით, პერსპექტივაში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალიდან საინტერესო მიმართულებას წარმოადგემს საშემოდგომო თავთავიანი, ერთწლიანი მარცვლეული კულტურების და მრავალწლიანი ბალახების მეთესლეობის პირველადი საფეხურების აღდგენა და წარმოება. ინვესტორისათვის მიზანმიმართული იქნება სათესლე მეურნეობის ორგანიზება, გააზრებული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის მიხედვით მუშაობის შემთხვევაში, მინიმუმ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეურნეობა უახლეს პერიოდში უზრუნველყოფილი იქნება საჭირო რაოდენობის, საკუთარი წარმოების სერთიფიცირებული საშემოდგომო თავთავიანი და ერთწლიანი კულტურების თესლით. საბოლოო მიზანი კი, – ხელი შეუწყოს კახეთში ნათესი ფართობებისა და საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდას, კონკრეტულად რეგიონის მიწათმოსარგებლეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უხვმოსავლიანი სერთიფიცირებული სათესლე მასალით (სიღნაღის.., 2016, 38).

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ბევრი დარგი დააზარალა, მათ შორის სელექცია და მეთესლეობა. მეთესლეობის ჯიშური და ხარისხობრივი კონტროლის მოშლამ დაუცველი დატოვა მომხმარებელი. საშიშროება დაემუქრა სელექციის სფეროსაც. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, რომელიც აღებულია სოფლის მეურნეობის ძველი, გამოცდილი კადრების გამოკითხვით, დღეს საქართველოში აღარ არსებობს თესლის შემოწმების და სერთიფიცირების ბაზა, რამაც თესლის ხარისხის გაუარესება გამოიწვია. კვლავწარმოებისათვის გამოყენებულ თესლს დაკარგული აქვს სათესლე მასალისათვის აუცილებელი თვისებები. ეს კი მოსავლიანობას ამცირებს 70%-ით. თესლი ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა განახლდეს. ფაქტობრივად გაუქმდა ჯიშთა ცვლა და ჯიშთა განახლება. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ზემოაღნიშნულმა უარყოფითი გავლენა იქონია მარცვლეული კულტურების მოსავლიანობაზე. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონში იმდენი სიმინდი მოდიოდა, რაც დღეს იწარმოება მთელ საქართველოში. ეთნოგრაფიული ურიდან ცნობილია და მიწათმოქმედების განვითა-

რების ისტორიაც გვიჩვენებს, რომ ხორბალი ან სხვა კულტურა ზედიზედ ერთსა და იმავე ნაკვეთზე რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება დავთესოთ და მაღალი მოსავალიც მივიღოთ, მაგრამ გარკვეული წლების შემდეგ მათი მოსავლიანობა თანდათანობით ეცემა. საერთოდ, ხორბლისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის დაცემა თესლბრუნვის პირობებშიც სხვადასხვა მიზეზებითაც ხდება, მაგრამ იშვიათად.

ცნობილია, რომ: „ნიადაგის სტრუქტურის სიმტკიცეს მხოლოდ პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების ნარევების თესვა-მოყვანა იძლევა. ამ მცენარეებს, როგორც მდელოს მცენარეულობის წარმომადგენლებს, ნიადაგში ორგანულ ნივთიერებათა დაგროვება ახასიათებს. ერთწლიანი ბალახების თესვა-მოყვანაც ამდიდრებს ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით და აუმჯობესებს მის სტრუქტურას (მასალები..., 1957, 16).

დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, მემარცვლეობა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგი არ არის. სტატისტიკური მონაცემებით ხორბლის წარმოების მხრივ ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია. ერთ სულ მოსახლეზე, წლის განმავლობაში ამჟამად 18 კილოგრამი ხორბალი იწარმოება. მაშინ, როდესაც, ნორმით საჭიროა 120 კილოგრამი ხორბალი. ესეც იმ შემთხვევაში, როდესაც საკმარისი გვაქვს ხორცი, კარაქი, რძე და სხვა. ქვეყანას წელიწადში სულ 700 000 ტ. ხორბალი სჭირდება. სხვა მარცვლეულსაც – სიმინდს, ქერს, შვრიას ამდენივეს მოიხმარს. შარშან ქვეყანამ მხოლოდ 17წ ათასი ტონა ხორბალი მოიწია, რაც საგანგაშო ფაქტია. ის თანხა, რაც შეიძლება საქართველოს მემარცვლეობაში ჩაიდოს, საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადის. ეკონომიურად განვითარებულმა ქვეყნებმა იციან, რომ პური უფრო იაფია, ვიდრე ჩაი, ციტრუსი და სხვა. მათაც შეუძლიათ პურის სხვა ქვეყნებში შეძენა და შეტანა, მაგრამ ამას არ აკეთებენ და აწარმოებენ მილიონობით ტონას. მათ კარგად იციან, რომ ამ გამორჩეული პროდუქტისადმი ჩვეულებრივი საქონლის საზომით მიდგომა მეტად სახიფათოა, რომ პურით ქვეყნის უზრუნველყოფა პირველხარისხოვანი ამოცანაა, წინააღმდეგ შემთხვევაში განსაკუთრებული ზეწოლის, წნეხის ქვეშ მოქცევაა, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება არასასურველი მიმართულებით ამოძრავდეს. იმისათვის, რომ ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს, საჭიროა შენარჩუნებულ იქნას ეროვნული, მარცვლეულის ადგილობრივი წარმოება, რათა ქვეყანა საკუთარ, მყარ საფუძველზე დადგეს (ლაშხი, 2016, 5).

ჩვენ მიერ 2015-2017 წლებში მოპოვებული მასალის მიხედვით გასული საუკუნის 80-90-იან წლებთან შედარებით მარცვლეულის კულტურების მოყვანა განახევრდა. ზოგიერთ სოფელში საერთოდაღარც კი იწარმოება. არადა სოფლის მეურნეობა ქართველი კაცისთვის, თავიდანვე, მისი ისტორიის, ცნობიერების და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილი იყო. მიწა – ეს არის ქვეყნის ძირითადი რესურსი, ამიტომ მისი სწორი დაგეგმარება, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილდებელი პირობაა.

ინფორმატორების გადმოცემით – „უჭირს ხალხს, უფულობის გამო ვეღარ ამუშავებენ მიწის ნაკვეთებს, ვეღარ მოყავთ მოსავალი. იმდენიც კი ვეღარ

მოყავთ, რომ ოჯახმა დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებები თავიანთი მიწის ნაკვეთებიდან. „ამის მიზეზად ასახელებენ სარწყავი წყლის ნაკლებობას, ზოგან საერთოდაც აღარ არსებობს სარწყავი სისტემები, უამინდობას, რომელიც ხშირად ატყდებათ თავს, უფულობას და სხვა მრავალი კიდევ, რის გამოც გლეხი ტოვებს თავის „მამა-პაპისეულ“ მიწას და „საშოვარზე“ მიდის ზოგი სად და ზოგი სად“, ასეთი სახის მასალა ჩავიწერეთ კახეთის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უძველესი აგრარული ქვეყანაა, დღეს ის მსოფლიოს მოწინავე აგრარულ ქვეყნებს პროდუქციის წარმოების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საქართველო საკმაოდ რთულ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 23 წლის წინ, ჩვენი ქვეყანა გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და ამ ხნის მანძილზე შეიძლებოდა მძლავრი ეკონომიკის შექმნაც, თუ კი ამის სურვილი და უნარი ექნებოდათ, მაგრამ სახელმწიფომ ვერ შეძლო ქვეყნისათვის სასურველი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. მთლიანად მოიშალა და გაჩანაგდა ეროვნული მეურნეობა. დღეს ქვეყანაში განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობა სასურსათო კრიზისი. თითქმის ყველა რეგიონში მოხდა არქაულ ტექნოლოგიაზე და ხელის შრომაზე დაფუძნებული, ნატურალური მეურნეობის რეანიმაცია. ადგილობრივი წარმოება მნიშვნელოვნად იმპორტით იქნა ჩანაცვლებული (ჯიბუტი, 2014, 5). გასული საუკუნის 90-იან წლების შემდეგ სოფლის მეურნეობის პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა. მეურნეობის მრავალფორმიანობამ მძლავრი მეურნეობების დაშლა გამოიწვია. მიწების არასწორმა პრივატიზაციამ და დანაწევრებამ ისედაც მცირე მიწიანი ქვეყნების სახნავ-სათესი ფართობების გამოყენების არეალი შეამცირა. საგრძნობლად დაეცა მოსავლიანობისა და პროდუქციის ხარისხი. განადგურდა არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა. გაღარიბდა სოფლის მოსახლეობა. დღეისათვის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი მოწყვიტა სოფელს. სოფელში დარჩენილია ძირითადად ხანდაზმული და მოხუცი ადამიანები. ასევე უმრავლესობისათვის მიუწვდომელი გახდა წარმოების საშუალებებზე და საჭირო ფინანსებზე წვდომა.

როგორც მემინდვრეობის დარგში დასაქმებული ფერმერები გადმოგვცემენ მათ სურთ ადგილობრივი ჯიშის ხორბლის დათესვა, მაგრამ სხავდასხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ: *„თითქმის ყველა რეგიონში სადაც მემინდვრეობის კულტურები ითესებოდა, სისტემა მოშლილია. ვინ რას თესავს – კაცმა არ იცის. თესლი შემოგვაქვს, ნაწილი ქართულია, ნაწილი რუსული, გერმანული, შვეიცარიული, ერთი სიტყვით ვისაც სად მიუწვდება ხელი. ამიტომაც გადაშენება ემუქრება ადგილობრივ ჯიშებს. ბოლო წლებში ქართული ხორბალი გაამრავლეს და აღადგინეს, მაგრამ ისეთი ძვირი ღირს, რომ სათესლედ მის ყიდვას ვერ ვახერხებთ. გენმოდიფიცირებულ თუ ჰიბრიდულ თესლს არ ვთესავთ, ამიტომ თესლის შერჩევას ნდობაზე ვამყარებთ. მაგალითად, ჩვენი მექანიზატორი თუ რომელიმე ფერმერთან*

საუკეთესო მოსავალს აიღებს, ის ამის შესახებ ყველას გვიყვება და ჩვენც ამ ყანიდან აღებულ თესლს ვყიდულობთ. აი, ეს არის ჩვენებური ტრადიციული სელექცია, რომელიც ჯერ-ჯერობით გვიმართლებს“ (მღებრიშვილი, სიღნაღი, 2016).

მემინდვრეობაში დასაქმებულ ფერმერებს მოსავლის გასაღება არ უჭირთ: *„კლიენტები თვითონ მოდიან. უმეტესად ისინი, ვინც შემდგომში ჩვენს ხორბალს, როცა ფასი აიწევს, მაშინ ყიდიან. ზოგადად გადამყიდველები ცდილობენ ფასის დაგდებას. ასე მაგალითად, 1 კგ. სათესლე მზესუმზირა 2 ლარად იყიდება, ხოლო ზეთის გამოსახდელი ლარად. დღეს მიწის დასამუშავებელი ტექნიკა ისე ძვირი ღირს, რომ მას ჩვენისთანა მცირე ფერმერები ვერ ქირაობენ. ის უფრო მდიდარი ფერმერებისთვისაა შესაძლებელი, ჩემისთანები კი (უფრო მცირე მიწიანები ლ.მ.) საბჭოთა პერიოდის ტექნიკას ვქირაობთ, რადგან უფრო იაფი გვიჯდება, რამდენ ხანს გაგვიძლებს არავინ იცის, ალბათ ბევრი ფერმერი გააჩერებს მუშაობას (მღებრიშვილი, თელავი, 2016).*

სამწუხაროდ, მემინდვრეობის ისეთი მდიდარი ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ხორბლის კულტურას სათანადო ყურადღება მაინც არ ექცევა. თავთავიანი კულტურებისსათესი ფართობი თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში და სოფელში შემცირებულია, ზოგან იმის ნახევარიც აღარ იხვნება, რაც XX საუკუნის 80-90-იან წლებში ითესებოდა.

მაგალითად სოფელ ნაფარეულის მკვიდრის ინფორმაციით: *„ეს სოფელი ცნობილია ღვინის დაყენებით, ნაფარეულის ღვინის ქარხანა ხომ ცნობილია, მაგრამ ამ სოფელში მემინდვრეობაც წამყვანი დარგი იყო. მოჰყავდათ ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, კარტოფილი. ადრე საზამთრო და ნესვიც ბევრი მოჰყავდათ, ეს ყველაფერი კოლმეურნეობების დროს იყო“ (მღებრიშვილი, თელავი, 2016).*

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა პერიოდში სოფლის მეურნეობის დარგში არსებული პრობლემებისა თუ აგრონომიული საკითხების გადაჭრა ორგანიზებულად ხდებოდა და გლეხს არ უხდებოდა იმაზე თავის შეწუხება როგორ მოეხნა და დაეთესა, თუ აეღო მოსავალი, სოფლის ასაკოვან მცხოვრებთ, თანამედროვე სოფელში მიმდინარე პროცესებზეუარყოფითი დამოკიდებულება აქვთ.მათი აზრით: *„კოლმეურნეობების დროს აწყობილი სისტემა იყო. ყველაფერი კონტროლდებოდა. სოფლის ყოფით პრობლემებს, ადგილობრივი ხელისუფლება აგვარებდა. ყოველი სოფელი დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა: მესაქონლეობას, მებოსტნეობას, მევენახეობას და სხვა. ისე იყო ყველაფერი აწყობილი, რომ გლეხიც კმაყოფილი იყო და ქვეყანაც მოგებული რჩებოდა“ (მღებრიშვილი, სიღნაღი, 2016).*

ერთ-ერთი რესპონდენტი მოგვითხრობს: *„მემინდვრეობა კარგად იყო განვითარებული, ხორბალი, ქერი, სიმინდი საკმაოდ მოდიოდა, თან საუკეთესო ხარისხის. დაიშალა კოლმეურნეობები და მთლიანად მოიშალა სისტემა. ამჟამად აღარაფერი აღარ არსებობს, ვებრძვით ცხოვრებას, მაგრამ გლე-*

ხის საშველი მაინც არ არის. გლეხს აღარ აქვს საშუალება მიწის დამუშავების. ადრე ყველა გლეხს ჰქონდა დანაზოგი ბანკში შეტანილი. ახლა კი ჩვენ გვაქვს ბანკის ვალები და მთლიანად დაგვაქცია ამ ვალებმა. დაგვაკარგვინა საცხოვრებელი ადგილი და დავრჩით ღია ცის ქვეშ“ (მღებრიშვილი, თელავი, 2016).

სოფლის მცხოვრებთა უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ მხოლოდ მიწის რეფორმის შემდეგ მიღებული ერთი ჰექტარი მიწის ანაბარად დარჩა და სხვა შემოსავალი მათ უკვე აღარ აქვთ: *„კოლმეურნეობების დროს უკეთესი იყო. ვმუშაობდით და ვიღებდით რაღაცას. ხელფასიც გვქონდა და რაც მოგვყავდა: ხახვი, კარტოფილი, პომიდორი, იმასაც გვინაწილებდნენ. ვისაც პენსია ჰქონდა – ენახებოდა, რადგან პროდუქცია რასაც გვირიგებდნენ, გვყოფნიდა. ახლა კი ვზივართ სახლში. მაშინ ყველა დასაქმებული ვიყავით. მიწა თუ გვაქვს, უსახსრობის გამო ვერ დაგვიმუშავებია. ჩვენ მაგალითად, ხორბალი გვეთესა. სასუქიც დავაყარეთ. მაგრამ ტონანახევარიც ვერ ავიღეთ. ატამიც გვიდგა, მაგრამ სეტყვამ ისიც გაგვინადგურა. ჩემი შვილიც მუშაობს, მაგრამ მაინც გვიჭირს ცხოვრება. შარშან ნაკვეთი დაზღვეული გვქონდა, მაგრამ არავინ არაფერი არ აგვინაზღაურა. დენი გაგვიძვირეს, გაზი გაგვიძვირეს. ნახევარი ხალხი მშიერი დადის. ადრე არავინ არ იყო მშიერი, არ იყვნენ მათხოვრები. ახლა ყოველ ნაბიჯზე მათხოვარი ხის. იმდენი მოსავალი ვეღარ მოგვყავს, რომ ოჯახმა წლიდანწლამდე თავი გატანოს. მიწები კი დარიგდა, მაგრამ ხუთი კილომეტრის მოშორებით არის. ტრანსპორტი თუ არ გყავს, იქ ყოველდღე მისვლა შეუძლებელია. ამიტომ იძულებული ვართ გავყიდოთ. უარეს შემთხვევაში დაუმუშავებელი დავტოვოთ. ერთი ჰექტარის მოხვნა 160 ლარი ჯდება, მერე იმას კულტივირება უნდა,დათესვა უნდა. შარშან ქერი დავთესე, რაც დავხარჯე, ისიც ვერ ამოვიღე, ამიტომ წელს აღარ დამითესავს. სარწყავის პრობლემა კიდევ სხვა საკითხია. დაანგრიეს, მოშალეს ყველაფერი. ნახეთ გამგეობის შენობები რას გავს, ნაგავში სხედან. წინათ რომ ნაგავი დაგეგდო არ გაპატიებდნენ, ახლა კი ნახეთ რას გავს ყველაფერი“ (მღებრიშვილი, თელავი, 2016).*

ბევრს საუბრობენ მთხრობელები თანამედროვე კვალიფიციური კადრების ნაკლებობაზე, და იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აღარ არიან სოფელში: *„კადრების აღზრდა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. კადრი უნდა გამოაწრთო. ყველა ნაბიჯი, ყველა ეტაპი უნდა გაატარო. მაგალითად, კარგი მეურნე მეურნეობის დირექტორი რომ გამხდარიყო, უნდა ყოფილიყო ჯერ რგოლის ხელმძღვანელი, შემდეგ ბრიგადირი, შემდეგ უბნის უფროსი, შემდეგ მთავარი აგრონომი, ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა მისი თანამდებობაზე დანიშვნა, ასე იყო ყველა სფეროში. ახლა კადრებს ძალიან ადვილად არჩევენ“ (მღებრიშვილი, საგარეჯო, 2017).*

საინტერესოა სოფლის მეურნეობაში გაცნობიერებული რესპოდენტების აზრი მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით: „ასე უცებ არ უნდა მომხდარიყო მიწების განაწილება. გლეხებზე მიწების განაწილება სტიქიურად

მოხდა. ადრე კანონში იდო, რომ გლეხს შეეძლო 15-დან 25 მეასედამდე ჰქონოდა მიწა. გლეხს მისცეს ერთი ჰექტარი, ხოლო მუშა-მოსამსახურეს 75 მეასედი, 25 მეასედი მიეცათ რაიონში მცხოვრებლებს. ბუნებრივია გლეხი დაზარალდა, და რაც გაუნაწილებელი მიწები დარჩა მსხვილმა კომპანიებმა და ცალკეულმა პირებმა შეიძინეს. ასეთ ვითარებაში არ დარჩა არანაირი განვითარების საშუალება. სარეზერვო ფონდი არ არსებობს. ეს სოფლის დაცარიელებისათვის საუკეთესო პირობაა. სოფლები ხალხისაგან ან მთლიანად ან სანახევროდ არის დაცლილი. ლუკმა-პურის საშოვნელად ან ქალაქად არიან გაქცეულნი ან საზღვარგარეთ დამამცირებელ შრომას ეწევიან.ანუ იმის თქმა მინდა, რომ ეს მიწები რომ მივეცით გლეხებს, აუცილებლად უნდა მიგვეცა მექანიზაციაც. ახლა შექმნეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის რგოლები, გზის პირზე დააყენეს ტრაქტორები ხალხის დასანახად, მაგრამ ფუნქცია არა აქვს. ჯერ ერთი ძვირია, მეორე არც ყოფნის. დაახლოებით სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დახარჯა 600 მილიონი ლარი ვაუჩერებზე (მიწის მოსახნავად). ეს არ იყო სწორი პოლიტიკა. მოხვნას მერე კულტივაცია უნდა, მერე ჯიშიანი თესლი, მერე აღება უნდა კომბაინით, მერე საშრობი უნდა, რომ არ დანესტიანდეს, მერე გადამამუშავებელი წარმოება, თუ ეს ციკლი არ შევკარით, არაფერი არ გამოვა. ამიტომ ვაუჩერებში გაცემული ფული ტყუილად გადაყრილი აღმოჩნდა“ (მღებრიშვილი, საგარეჯო, 2017).

რა თქმა უნდა ახსოვთ საბჭოთა სისტემის უარყოფით მხარეებიც, დედოფლისწყაროში საველე მუშაობის დროს გავიცანით და ვესაუბრეთ სოფელ სამრეკლოს (ყოფილი ჯაფარიძე) მკვიდრს, 75 წლის აგრონომს, რომელსაც სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და თავის მიწას დღესაც უვლის. მისი გადმოცემით: „*ჩვენი რაიონი ცნობილი იყო შირაქის ბელლის სახელით, ცნობილები ვიყავით მადალმოსავლიანი მარცვლეული კულტურებით. შამწუხაროდ ქართულ ჯიშს არ გვათესინებდნენ, ნაკლებ მოსავლიანიაო და „უფხო პირველს“ და „კავკაზის“ ვთესავდით, ლუკიანევკოს გამოგონილი ჯიშები იყო. მინდორში ყველა სახის სასუქი შეგვქონდა: ქიმიური ფოსფოროვანი, კალიუმიანი და ორგანული სასუქი. ყველაფერს თავის დოზები ჰქონდა, არ უნდა შეგვშლოდა. სახნავის გაზრდის გეგმები გვქონდა და ყოველწლიურად ყამირის ან საძოვარის ხარჯზე ვუმატებდით ხუთ-ხუთ ჰექტარს, რა თქმა უნდა ეს არ იყო კარგი, ამას ბოლოს და ბოლოს სიყალბესთან მივყავდით, რადგან ყოველწლიურად სახნავი მიწის გაზრდის რესურსი არც სოფელს და არც რაიონს არ ჰქონდა.ეს იყო მაშინდელი რეჟიმის მინუსი. სამაგიეროდ იყო, აგრო ქიმიის ლაბორატორია, რომელიც ანალიზს აკეთებდა და გვეუბნებოდა, ესა თუ ის მიწის ნიადაგი რას შეიცავდა და რომელი სასუქის შეტანა იყო საჭირო ამა თუ იმ ნიადაგში. მაგალითად ჩვენი მიწა (შირაქის მიწებია ნაგულისხმები ლ.მ.) ზედმეტ მარილს შეიცავს და კალიუმიან სასუქს ზედმეტად არ საჭიროებდა. ჰექტარზე სამნახევარ-ოთხ ტონამდე მოსავალს ვიღებდით. გარდა ამისა ჩვენ თვითონ ვაშენებდით ქარსაცავ ზოლებს. ვრგავდით, აკაციის, ბლის, ჭერმის, კაკლის ნერგებს და უკან*

წყლით სავსე ვედროებით მივდევდით, რომ ნარგავები არ გამხმარიყო. სულ შირაქში 99 ჰექტარი ქარსაფარი გავაშენეთ. დღეს კი ხალხი ჭრის ამ ხეებს და ცეცხლს უკიდებენ. ფაქტიურად ქარსაფრები მიწასთან გასწორდა, რომლის არარსებობამ ბევრად გააფუჭა მემინდვრეობის საქმე.

ძალიან დიდი შეცდომა იყო აგრეთვე მიწების დანაწევრება. ერთ ჰექტარზე მიღებული მოსავალი მეურნეს მოყვანის ხარჯს ვერ უფარავდა, ერთ წელს დაექარა, მეორე წელს თაგვმა შეუჭამა, მესამე წელს გვალვამ მოუსწრო და მერე გლეხმა ხელი ჩაიქნია, ზარალი მეტი იყო ვიდრე მოგება, ამიტომ ზოგმა გაყიდა, ზოგმა საერთოდ მიატოვა და აღარ დაამუშავა, ლუკმაპურის საშოვნელად ან ქვეყნიდან გადაიხვეწა ან მეწვრილმანე ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამიტომ სწორი იქნება, თუ ისევ გაერთიანდება, ან კოოპერატივები ჩამოყალიბდება. რა თქმა უნდა კერძოობასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, როცა შენ იცი რაროგორ აწარმოო, მაგრამ ეს ყველას არ შეუძლია, ამიტომ გამოსავალი კოოპერატიული გაერთიანებებია" (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017). ეს ერთი სოფლის, ერთი მაგალითია, მაგრამ იგი შეგვიძლია მთელ კახეთზე და საერთოდ საქართველოს ყველა კუთხეებზე გავავრცელოთ.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დღეს მცირემიწიანი გლეხებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს მოსავლის რეალიზაცია. გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობის გამო, მოსავლის დიდი ნაწილი უფუჭდებათ და გადასაყრელი უხდებათ. არადა ადრე ასეთი საწარმოები თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებდა. მოსავლის გაყიდვას თვითონ ვერ ახერხებენ, გარკვეული მიზეზების გამო, იძულებული ხდებიან სამმაგ და ოთხმაგად იაფად მიჰყიდონ გადამყიდველებს. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სოფლის მეურნეობით დაკავებული ყოველი მეორე ფიქრობს მიწის იჯარით გაცემაზე ან გაყიდვაზე (მღებრიშვილი, ყვარელი, 2017).

ხელისუფლებამ, „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით" ბედის ანაბარა მიატოვა სოფელი და მიწის მესაკუთრე. რეალური ვითარებიდან გამომდინარე, სოფელს ძალიან უჭირს, საგრძნობლად შემცირდა მარცვლეულის წარმოება, სამაგიეროდ იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი. დღეს, საქართველო, უძველესი მაღალი კულტურის, მდიდარი ბუნებრივი კლიმატური და ხელსაყრელი გეოპლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყანა გამორჩეულია სიღარიბის მაღალი დონით. მაშინ როდესაც ქართველ, ჩვენ შემთხვევაში კი კახელ გლეხს „შეუძლია ეკონომიკური შესაძლებლობების მაღალეფექტიანი გამოყენებით, დაიკმაყოფილოს არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებანი, არამედ აწარმოოს და მიაწოდოს მსოფლიო ბაზარს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები" (ჯიბუტი, 2014,20).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ აგროსექტორში დასაქმებულთა უმრავლესობა შესაბამის პროფესიულ ცოდნას ვერ ფლობს, თუმცა მაინც საკმაოდ ბევრია ისეთი ფერმერი, რომელიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვით ცდილობს საკუთარ მეურნეობაში მაღალი მოსავლის მიღებას. ასე მაგალითად, მაგალითად ნოდარ ლატიბაშვილმაშეძლო საგარეჯოს ახლოს მი-

წის ნაკვეთზე შვრია და წითელი დოლის ჯიშის ხორბალი მოეყვანა, მისი აზრით, – „როცა გვაქვს ადგილობრივი, ჯანმრთელი ხორბალი, რატომ უნდა ვიყიდოთ სხვისი პური. ბევრმა არ იცის, რომ დოლის პური გემრიელიცაა და არ შეიცავს ალერგიის გამომწვევ არანაირ ნივთიერებებს, თუმცა ეს ჯიში დიდი მოსავლიანი არ არის („კვირის პალიტრა“, №34, 2017).

USAID/REAP- პროექტის დახმარებით დედოფლისწყაროს რაიონში, შირაქის ველზე, ფერმერ ზურაბ თეთვაძის ნაკვეთში 204-2015 წლებში, მინიმალური და ნულოვანი დამუშავების ტექნოლოგიით ხორბლის მოყვანის პროექტი განხორციელდა. 6 ჰექტარ ფართობზე ხორბლის სხვადასხვა ჯიშები: ჯაგერი, ამბერო, პრემიო, ასანო, ლავერდა, გრომი, ტანია, რენანი, ნავერტა ტრადიციული, ნულოვანი და მინიმალური დამუშავების მეთოდით დაითესა. პროექტის ავტორმა ბატონმა ზურაბ თეთვაძემ აღნიშნა: – საქართველოში ტრადიციად ქცეული ნიადაგის ტოტალური ხვნა, უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რადგან სახნავი ფართის ხშირი გადაბრუნება და გაფხვიერება იწვევს მის დეგრადაციას, ჰუმუსის მინერალიზაციას, ხოლო ფერდობის პირობებში ეროზიული პროცესების განვითარებას (ცუკოშვილი, 2015, 4-7).

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც იძლევა საშუალებას მოვახდინოთ ნიადაგის დაკარგული ნაყოფიერების აღდგენა, ამავდროულად გავზარდოთ მოსავლიანობა და შევამციროთ ენერგო დანახარჯები წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

როგორც ნულოვანი, ისე მინიმალური დამუშავების დროს ძირითად კომპონენტს წარმოადგენს მულჩის ფენა. მულჩის მისაღებად სპეციალურად ითესება საფარი კულტურა (უმთავრესად სწრაფად მზარდი კულტურები), რომელიც ძირითადი კულტურის თესვის წინ 2-3 კვირით ადრე მოიტკეპნება და დამუშავდება ჰერბიციდებით რათა ჩახმეს. მცენარეული ნარჩენები ქმნიან მულჩის ფენას, რომელიც ინახავს ტენს, იცავს ნიადაგს გამოშრობისაგან, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან. ამასთან, დროთა განმავლობაში მულჩი მიკროორგანიზმების მოქმედებით განიცდის დაშლას, რის შედეგადაც ამაღლებს ნიადაგის ნაყოფიერებას. შემდგომ ეტაპებზე მულჩის ფენად შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე აღნიშნული ტექნოლოგიით მოსავლის აღებისას მინდორში მიმობნეული ნამჯა. ნულოვანი ტექნოლოგიის პრინციპით პირდაპირ თესვის წესით ნაკვეთის მოუხნავად. ეს კომპლექსები მოუხნავ ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ: სათესი კვლის მომზადებას, ზუსტ თანაბარ თესვას, კვალის დახურვას და მიტკეპვნას, მინერალური სასუქის და ზოგიერთ შემთხვევაში ქიმიური საშუალებების შეტანას. ამგვარად, ერთი გავლით ეს კომპლექსი გამორიცხავს სხვადასხვა აგრეგატებით ჩასატარებელ 5-6 გავლას, რითაც მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის დატკეპვნას, ნიადაგიდან წყლის აორთქლებას, ეროზიული პროცესების განვითარებას, მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას. ასეთი სათესები შესაძლებლობას იძლევა საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებში, ჩა-

ტარდეს თესვა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენი ქვეყნის მთიანი რეგიონებისათვის, სადაც სავეგეტაციო პერიოდები საგრძნობლად მოკლეა (ცუკოშვილი, 2015, 4-7).

ქერი. ელდარის ველებზე ძირითადად ორი კულტურა ითესებოდა: დოლის პური და ქერი, აღსანიშნავია, რომ *„გაღმა მხარეში (ელდარის ველებზეა ლაპარაკი – ლ. მ.) დიდი რაოდენობით ითესებოდა შავი ქერი, რომელსაც დიდიმაწივრობა გააჩნია და ძირითადად საფურაქედ იყენებდნენ. მთხრობელთა გადმოცემით, შავი ქერი მხურვალეა და ზამთრის პერიოდში ცხენებისთვის საუკეთესო საკვებად იყო მიჩნეული. ბოლო დროს სულაც აიღეს ხელი მის მოყვანაზე“ (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).*

ზოგადად, საქართველოს მემინდვრეობაში თავთავიან კულტურებს შორის, ქერს მეორე ადგილი ეკავა. მარცვლეულის საერთო წარმოებაში კი მესამე. საქართველოში ცნობილია ქერის რამდენიმე ათეული ბიოლოგიური სახე, რომელთა შორისაა მაღალხარისხოვანი სასელექციო მასალა. საქართველოში ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ქერის საშემოდგომო, ნახევრად საშემოდგომო და საგაზაფხულო ჯიშები ითესებოდა. ქერს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთისთვის, – მთაში აცხობდნენ ქერის პურს. ამზადებდნენ მისი ბურღულისაგან ფაფას. ქერისგანვე მზადდებოდა არაყი და ბურახი. რაც შეეხება მაღალხარისხოვან ლუდს, ის სწორედ მთაში მოყვანილი, სახამებლით მდიდარი ქერისგან მზადდებოდა. ამ მხრივ ლუდის გამოხდის ტრადიცია დაცულია ყველაზე კარგად თუშეთში და ხევსურეთში. მას აქვს სეზონური ხასიათი და დაკანონებული ვალდებულებები. თუ თუშს შულტობა (იგივე დეკანოზობა) უწევს, იგი ვალდებულია ავიდეს სალოცავში, ლუდი მოადუღოს და სადღესასწაულოდ მოსულთ უმასპინძლოს. ლუდს ხდიდნენ ძირითადად სახატე ხორბლიდან. იგი უპირველეს სარიტუალო სასმელს წარმოადგენდა ყველა დღესასწაულისათვის. უამისოდ არ იყო დალოცვა. მთაში არა მარტო სარიტუალო დღესასწაულები არამედ, ფაქტობრივად ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი თუ საოჯახო მოვლენა ლუდს უკავშირდება და ლუდით იყო „განწმენდილი“ – ვაჟიშვილის ძეობიდან დაწყებული მოჩხუბარ-მოშუღლართა შერიგებით დამთავრებული.

რატომ შემოინახა მთამ ლუდის მოხარშვის ჩვევა და არა ბარმა? ეს უბრალო მიზეზით აიხსნება: ბარში უმთავრესი ყურადღება გადატანილი იყო მევენახეობა-მეღვინეობაზე, ხოლო მთა დღესასწაულობდა თავიანთი გამოხდილი ლუდით (ნადირაძე, 2009, 47).

ქერის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე დღეს 40 ცენტნერამდე მერყეობს, ზოგიერთ ნაკვეთზე, განსაკუთრებით ალაზნის მიმდებარედ, ქერისა და ხორბლის მოსავალმა ჰექტარზე 70 ცენტნერს გადააჭარბა. როგორც ფერმერები ამბობენ, შირაქის ველზე უკეთეს მოსავალს ვარაუდობენ. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ბოლო ათწლეულია ქვეყანაში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ასეთი უხვი მოსავალი არ მიუღიათ. (კოღუაშვილი, ჯაფარიძე, 2015, 21-24).

ქერი პირუტყვისათვის, განსაკუთრებით ცხენებისა, მეწველი და მუშა თუ დაავადებული საქონლისა და კვერცხისმდებელი ქათმებისათვის საუკეთესო საკვებია დღესაც.

მარცვლეული კულტურებით ნათესი ფართობები კახეთის მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში, ბოლო დროს უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. დედოფლისწყაროს შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, რაც შეეხება დანარჩენ მუნიციპალიტეტებს, მარცვლეული კულტურების სამეული ასე გამოიყურება: ხორბალი, ქერი, სიმინდი. რაიონების მიხედვით მათ შესახებ სტატისტიკურ მონაცემები ასეთია:

ყვარლის რაიონში 2015 წელს, საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დათესილი იყო 2803 ჰექტარზე, საჰექტარო მოსავლიანობამ, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, 4 ტონას გადააჭარბა. ხორბლისა და ქერის მოსაყვანად ფერმერთა უმეტესობამ გამოიყენა მაღალხარისხიანი სათესლე მასალა და ნათესების დამუშავება მოხდა თანამედროვე ტექნოლოგიებით. მიღებული შედეგის გამო თავთავიანი კულტურების ნათესი ფართობი გაიზარდა 3174 ჰექტრამდე (ყვარლის.., 2017, 13).

მათივე მონაცემებით სახნავ-სათესი ფართობის მესამედზე 3919 ჰექტარზე 2016 წელს, ფერმერებს დათესილი ჰქონდათ სიმინდი, მიუხედავად ხარისხიანი თესლისა, უჩვეულო გვალვების გამო სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავალმა შეადგინა 3 ტონა, რაც ძალიან დაბალია. ამიტომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის ურწყავ ფართობებში სიმინდის კულტურის ჩანაცვლება მოხდეს საშემოდგომო თავთავიანებით, რომლებიც გვალვის დაწყებამდე შემოსვლას ასწრებს (ყვარლის.., 2017, 13).

თელავის მუნიციპალიტეტში 2014 წლის მონაცემებით, ხორბლის ნათესებს ეკავა 636 ჰა, ქერს – 101 ჰა, ხოლო სიმინდს 6541 ჰა, და მხოლოდ 76 ჰექტარზე შვრიას (თვითმმ. თელავის.., 2016, 30).

მემცენარეობის დარგი კარგადაა განვითარებული ახმეტის მუნიციპალიტეტში, საშემოდგომო ხორბლისა და ქერის ნათესს ერთობლივად უკავია 4500 ჰა (ახმეტის.., 2015, 43).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ხორბალი 2015 წელს დათესილი იყო 1210 ჰა-ზე და საკმაოდ მაღალი მოსავალი მიიღეს, ჰექტარზე 4,5 ტონა, ხოლო ქერი ეთესათ 390 ჰა-ზე და მისმა საჰექტარო მოსავლიანობამ 4 ტონა შეადგინა (გურჯაანის.., 2016,41).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მარცვლეულის ძირითადი ნათესები მოდის პატარძეულის, საგარეჯოს, გიორგიწმინდის, ბადიაურის, ყანდაურის მინდვრებში. 2015 წლის მონაცემებით ხორბლის ნათესებმა შეადგინა 3371 ჰა, ქერისამ 537. მუნიციპალიტეტში საშემოდგომო ხორბალი მთავარი მარცვლეული კულტურაა. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულმა საგაზაფხულო პროგრამამ „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტმა“ მნიშვნელოვნად გაზარდა სიმინდის ნათესები (საგარეჯოს.., 2017, 32).

როგორც მუნიციპალიტეტში ფიქრობენ შესაძლებელია მარცვლეული კულტურებით დაკავებული ფართობის გაზრდა, მაგრამ ეს არ გახდება მოსავლის რაოდენობის გაზრდის გარანტი, რადგან ამისათვის საჭიროა ხარისხიანი თესლი. საგარეჯოში გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ფუნქციონირებდა სამი მეთესლეობის საწარმო, პრივატიზაციის დაჩქარებულმა ტემპებმა სამივე საწარმო გაანადგურა, თუ არ მოხდა მეთესლეობის საწარმოს დაფუძნება, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა არ გაიზრდება (საგარეჯოს.., 2017, 36).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2014 წლის მონაცემებით საშემოდგომო ხორბალი დათესილი იყო 16100 ჰა-ზე, ქერი – 3690, მაგრამ საჰექტარო მოსავლიანობა იყო ძალიან დაბალი, რის მიზეზადაც უჩვეულო გვალვა სახელდება (სიღნაღის.., 2017, 18-19).

სიმინდი. სიმინდის კულტურა საქართველოში XVII საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა, სწრაფად გავრცელდა და ადრინდელი კულტურები: ფეტვი და ღომი განდევნა. დღეს სიმინდის კულტურას დიდი ფართობი უკავია ყვარლის, ლაგოდეხის, თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. როგორც ეთნოლოგი გ. ჯალაბაძე აღნიშნავს XIX ს-ისმეორე ნახევრისთვის კახეთის სარწყავი რაიონის სოფლებს კურსი აუღია სიმინდის მოყვანაზე. განსაკუთრებით, გადმამხარის სოფლებს მიუქცევიათ ყურადღება სიმინდის კულტურისათვის, შესაძლებელია ეს საქმე დასავლეთ საქართველოდან საცხოვრებლად ჩამოსახლებულმა გლეხობამ წამოიწყო, რადგან მათ უკვე ჰქონდათ ორიოდე საუკუნის გამოცდილებასიმინდის მოვლა-მოყვანის საქმეში. ამ მოსაზრებებს ისიც ადასტურებს, რომ სიმინდის მოსავლის აღება კახეთში იმერული წესით ხდებოდა, ანუ ჯერ ტაროს მორჩევა და შემდეგ ჩალის მოჭრა. ქართლში კი სიმინდი იჭრებოდა მოურჩევლად, და შემდეგ ხდებოდა ტაროს აღება. სიმინდმა საქართველოში გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა, სხვადასხვა კუთხესა და ზონაში ჩამოყალიბდა თავისებური ჯიშები.

არსებობს სიმინდის საადრეო და საგვიანო, მთისა და ბარის ჯიშები, რომელთა მრავალი სახეობა დასტურდება. სიმინდი ორი ფორმისაა: ყვითელი და თეთრი. ძველად მხოლოდ ყვითელი ითესებოდა – XIX საუკუნის მიწურულიდან თეთრი სიმინდის თესვა დაიწყეს. არის აგრეთვე წვრილმარცვალა სიმინდი, რომელსაც ფრინველების გამოსაკვებად და საბატიბუტედ ხმარობენ. კახეთის ზოგ რეგიონში წითელი და მუქი წითელი ფერის სახეობებია გავრცელებული. კახეთში ამ კულტურის პოპულარობის მაჩვენებელია ის, რომ 1862 წ. ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე სოფელ ყვარლიდან გაგზავნილმა სიმინდმა მაღალი შეფასება მიიღო (რუხაძე, 2016, 219).

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოში დაიწყო ჰიბრიდული ჯიშების გავრცელება და ის ადგილობრივ ჯიშებს დევნის. ჰიბრიდული ჯიშები უფრო უხვმოსავლიანია, უფრო გამძლეა დაავადებების მიმართ, სამაგიეროდ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნეა და საგემოვნო თვისებებითაც ნაკლებია ქართულ ჯიშებთან შედარებით. როგორც ადგილობრი-

ვი მცხოვრებლები გვიყვებიან: „ამ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს – ღორიც არ ჭამსო“.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დღეისათვის ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს აღარ თესავენ. გაღმა მხარის სოფლებში – ყვარლისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში სიმინდის კულტურას დიდი ფართობები უკავია. მაგალითად ყვარელში სახნავ-სათესი ფართობის თითქმის მესამედზე (3919 ჰექტარი), დათესილი იყო სიმინდი (2016 წლის მონაცემებით ლ.მ.), რომლის მოსავალმაც 11230 ტონა შეადგინა, სიმინდის საშუალო საჰექტარო მოსავალი იყო 3 ტონა. მიუხედავად იმისა, რომ დათესილი იყო ხარისხიანი თესლი და სიმინდის ნათესებს დროულად ჩაუტარდათ აგრო ტექნიკური სამუშაოები, მოსავალი საკმაოდ დაბალი მიიღეს, რადგან საირიგაციო სისტემის მოშლის გამო, ვერ მოხერხდა ნათესების მორწყვა (ყვარლის.., 2017, 13).

სწორედ ამიტომ მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტები, მცირემიწიან ფერმერებს ურჩევენ სიმინდის მაგივრად დათესონ საშემოდგომო თავთავიანი კულტურები, ან გააშენონ სხვა უფრო შემოსავლიანი და გვალვაგამძლე მრავალწლიანი მცენარეები.

ყვარელისაგან განსხვავებით სიმინდის მოსავალს არ უჩივიან ლაგოდეხის რაიონში, რომელიც სიმინდის წარმოებით საქართველოში პირველ ადგილზეა, მუნიციპალიტეტში აწარმოებენ ქვეყანაში წარმოებული სიმინდის 25-30%. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია სიმინდის წარმოებაში. სიმინდი დათესილი იყო 13450 ჰექტარზე და მიიღეს 60000 ტონამდე მოსავალი, რაც ფულად გამოსახულებაში შეადგენს 25000000 ლარს (ლაგოდეხის.., 2017, 25). ვფიქრობთ, საკმაოდ შტამბეჭდავია შემოსავალია. მუნიციპალიტეტში ფიქრობენ, რომ ამ დარგის შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივა აქვთ, თუ შეძლებენ არსებული საირიგაციო სისტემების აღდგენასა და განვითარებას.

ახმეტის მუნიციპალიტეტშიც სიმინდის ნათესს უფრო მეტი ფართობი აქვს დათმობილი, ვიდრე საშემოდგომო ხორბალსა და ქერს ერთად (ახმეტის, 2015, 43).

გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც სიმინდის ფართობი აღემატება, ერთად აღებულ, ხორბლისა და ქერის ნათესებს, მას 2279 ჰექტარი უკავია (გურჯაანის.., 2016, 41).

საგარეჯოშისიმინდი ეთესა 4880ჰა-ზე, როგორც მუნიციპალიტეტში მოპოვებული მასალიდან ჩანს, დაიწყეს ურწყავი და შემაღლებული ზონისათვის აუცილებელი სიმინდის საადრეო და საშუალო საადრეო ჯიშების დათესვა და დანერგვა, რომელთა მარცვლის პოტენციალური მოსავალი იქნება 5,5 ტონა ჰექტარზე (საგარეჯოს.., 2017, 32-33).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში სიმინდის ნათესს 2014 წელს ეკავა 1062 ჰა.

მზესუმზირა. მზესუმზირა ტექნიკური კულტურაა, მაგრამ ჩვენ მემინდვრეობასთან ერთად ერთადერთი მიზნით განვიხილავთ, როგორც, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდისათვის მეტად საჭიროს, რადგან, როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, მემინდვრეობაში კარგი მოსავლის მისარებად დიდი მნიშვნელობა აქვს თესლბრუნვას, ასეთ შემთხვევაში მზესუმზირა შეუცვლელია, *„მართალია ბოლო წლებში უჩვეულო გვალვები დაიჭირა კახეთში და ხშირად მზესუმზირა დაპურებას ვერ ასწრებს, მაგრამ მაინც ვთესავთ, იმიტომ, რომ მეორე წელს იმ აგილზე ხორბალი კარგ მოსავალს იძლევა“ (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო).* მზესუმზირისათვის განსაკუთრებით კარგი ნიადაგებია: ბოდბეში, მაღაროში, ულიანოვკაში, ნუკრიანში. მართალია, საქართველოში მზესუმზირა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა, მაგრამ მან მალე მოიპოვა საპატიო ადგილი კახეთის მემინდვრეობაში, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მემინდვრეობა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო და არის დღესაც: დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საშუალოდ მზესუმზირის წლიური ნათესი ფართობი შეადგენს 1304 ჰა-ს, როგორც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაში ფიქრობენ, მათ რეგიონში მზესუმზირის პერსპექტიულობა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია ურწყავ ნიადაგებზე, კერძოდ: კრასნოგორკა (სათაფლე), ნინოწმინდისა და პატარძეულის ზონებში (საგარეჯოს.., 2017, 37).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში მზესუმზირის ნათესებს 4809 ჰექტარი აქვს დათმობილი (სიღნაღის.., 2016, 19).

დედოფლისწყაროში 2017 წელს ეთნოგრაფიული მუშაობისას ყველაზემეტი მზესუმზირის ნათესი ფართობები დავაფიქსირეთ.

რადგან მზესუმზირა ზეთოვანი კულტურაა, შესაბამისად მოითხოვს გადამამუშავებელი საწარმოების არსებობას. განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ მაღაროში მოყვანილი მზესუმზირა, რადგანაც მისან გამოხდილ ზეთს სულ სხვა გემო და არომატი აქვს. ამ სოფელში დღეს ორი ზეთსახდელი ფუნქციონირებს, სულ სიღნაღის სოფლებში 11 ზეთსახდელი საწარმოა დღეისათვის მოქმედი.

დედოფლისწყაროში მუშა მდგომარეობაშია მზესუმზირის 6-7 გადამამუშავებელი საამქრო, რომლებიც ძირითადად სეზონურად მუშაობენ და ერთი თანამედროვე ტიპის რაფინირებული ზეთის ქარხანა, -„ქარვა“ (დედოფლისწყაროს..., 2017, 19).

§ 2. „დავიწყებული კულტურები“

ფეტვი. კახეთში ძირეულ კულტურებთან ერთად დიდი რაოდენობით ითესებოდა ფეტვი. მისი 400-ზე მეტი სახეობაა ცნობილი, რომელთაგან სამი სახეობა საქართველოშია დადასტურებული. ფეტვი გაზაფხულზე ან ზაფხულის მიწურულს ახალაღებულ ახოში ითესება. ფეტვი უხვმოსავლიანია. მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე, გვალვაგამძლე მცენარეა. ფეტვი ქართული ტომების ძველი მონაპოვარია.

„გარე კახეთში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ფეტვი ორგვარი ითესებოდა. ძურწაფეტვი, რომელსაც ძურწა ბალახის თავთავის მსგავსად მოშავო ფერის გრძელი და მრგვალი თავთავი გააჩნდა. ქვრიმა ფეტვი, რომელსაც საცოცხესავით გაშლილი თავები ჰქონდა. ქვიმა ფეტვი ყველაზე დაბალხარისხოვანი მარცვლეულის მომცემი ყოფილა“ (ჯალაბაძე,1986, 239).

გ. ჯალაბაძე აღნიშნავს, რომ „კახეთის პირობებში ფეტვის მაღალმოსავლიანობით გლეხობა დიდად ყოფილა დაინტერესებული. განსაკუთრებით მათ იყენებდნენ წვრილფეხისა და ქოსმენის სასუქად. ფქვავდნენ და აცხობდნენ ფეტვის მჭადს, ურევდნენ პურთან ერთად და სხვ. ფეტვი გაზაფხულზე ითესებოდა. შაგაზაფხულო ხვნას საფეტვეების ხვნასაც უწოდებდნენ. ეტვი ჩვეულებრივ მარტსა და აპრილში უნდა დაეთესად, რომ აგვისტოში შემოსულიყო (ჯალაბაძე,1986, 239).

ჭვავი. საქართველოში ჭვავი, დიდი ხნის მანძილზე ხორბლისა და ქერის სარეველა იყო, მაგრამ ის თანდათან გაკულტურდა. მის მოსავალს იყენებდნენ საქონლის საკვებად, გრძელი ჩალა-ღეროს კი სამეურნეო ნაგებობების სასახურავე მასალად. აღნიშნული კულტურადრეს კახეთში აღარ მოწმდება.

ბრინჯი. საქართველოში ერთ-ერთი გავრცელებული კულტურა იყო, დღეს აღარ მოჰყავთ ეს კულტურა საბერძნეთიდან შემოსულადაა ცნობილი (ჯავახიშვილი, 1930, 360). საქართველოში შუა საუკუნეებშიც დიდი ყუადღება ეთმობოდა ბრინჯის მოყვანას. ვახუშტი ბატონიშვილ ამის შესახებ საგანგებოდ მიუთითებდა და კახეთიდან განსაკუთრებით გამოჰყოფდა გაღმა მხარის მეურნეობას, რომელსაც ის ასეთ დახასიათებას აძლევს: „აგრეთვე ბამბასა და ბრინჯს სთესენ, გარნა იორისპირსაცა ზედა მრავალსა სთესდნენ ბრინჯ-ბამბასა (ვახუშტი, 1941, 103). დოკუმენტურად ისიც დასტურდება, რომXIX ს. ბოლომდე ბრინჯი დიდი რაოდენობით მოყავდათ ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში. ბრინჯი კახეთის ისტორიულ საბუთებში „ჩეთლუქი“-ს სახელით მოიხსენიება, ხოლო ნაკვეთი, რომელზედაც ბრინჯი მოჰყავდათ „საჩელთუქე ალაგად“ (ჯალაბაძე, 1986, 237).

ვახუშტის მიერ კახეთის დასახელებულ რაიონებში რომ ბრინჯი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, ვახუშტიზე ცოტა მოგვიანებით იმეორებს XVIII საუკუნის მოგზაური, გიულდენშტედტი (გიულდენშტედტი, 1962, 17; 67).

ეთნოლოგი გ. ჯალაბაძე აღნიშნავს, რომ კახეთის 1960 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ სამეურნეო იარაღებს შორის, ნახა ბრინჯის დასამუშავებელი ბარები, რომლის მსგავსი სამეურნეო იარაღი, უფრო ადრე, 1953 წელს, ჩამოუტანიათ ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანიდან (ჯალაბაძე, 1986, 237), რაც აშკარად მიუთითებს, ისტორიულად, ამ კულტურის ფართოდ გავრცელებაზე კახეთში.

სოფლის მცხოვრებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბოლო წლებში სახნავ-სათესი მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისება/გაყიდვაზე, რადგან სოფელს აღარ რჩება განვითარების შესაძლებლობა. დღეის მდგომარეობით კახეთში მნიშვნელოვანი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა გაყიდული უცხოელებზე. ოფიციალური მონაცემების მიხედვით კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მეტ-ნაკლები რაოდენობით აქვთ ნაყიდი უცხოელებს სასოფლო-სამეურნეო მიწები. ზოგან – 17 ჰექტარი, 290 ჰა სახნავი და საძოვარი შეუძენია უცხოელებს, ხოლო 30 ჰა მიწა ზეთისხილის მოსაყვანად გაუსხვისებიათ კახეთში. სხვაგან კიდევ 20 ჰა სახნავი მიწა და 2 ჰა ტბორი მეთევზეობის მეურნეობის მოსაწყობად მიუციათ. ბრიტანელებს იორმუღანლოში 5500 ჰა. მიწა აქვთ უკვე ნაყიდი, თხილისა და ზეთისხილის პლანტაციების გასაშენებლად. ინდოელებს დედოფლისწყაროს სხვადასხვა სოფლებში 545, 330 და 800 ჰა მიწის ფართობი შეუძენიათ მარცვლეულის მოსაყვანად. საგარეჯოს სოფელ ხაშმში მეთევზეობისათვის 110 ჰა, ხოლო წნორში, საქობოში, ანაგაში, გურჯაანში, ტიბაანსა და ბოდბისხევში 100 ჰა-ზე მეტი მიწა უყიდიათ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსაყვანად. სულ კახეთში უცხოელებზე გაიყიდა 11390 ჰა. აქედან 9 ათასამდე ჰექტარი ინდოელებმა, არაბებმა და ირანელებმა დედოფლისწყაროს, სიღნაღის და საგარეჯოს რაიონებში იყიდეს (ჯიბუტი, 2014, 79).

საჯარო რეესტრის სააგენტოდან მიღებული მონაცემებით, უცხოელებმა მიწის ნაკვეთები როგორც კერძო, ფიზიკური პირისაგან, ასევე სახელმწიფოსაგან შეიძინეს. ზოგი ადგილზე ჩადის და ისე ყიდულობს მიწას, ზოგი კი საშუამავლო სააგენტოს საშუალებით ყიდულობს. ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე პოპულარული სააგენტოა CROWN Lmmigration-ი, რომელიც ინდოელ, ირანელ და ეგვიპტელ მოქალაქეებს შუამავლობს. კომპანიას სათავო ოფისი ინდოეთში აქვს, ფილიალები კი საქართველოში და კიდევ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. მათი წყალობით ბოლო პერიოდში სიღნაღის რაიონში ორი ათასი ინდოელი ჩამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლების მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის უარყოფითმა შედეგებმა ყველაზე ნათლად, სოფლის მეურნეობაში იჩინა თავი. ისეთ ქვეყანაში სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სოფლად ცხოვრობს და მათი საქმიანობა ძირითადად სურსათის წარმოებასთან არის დაკავშირებული. ხელისუფლების პოლიტიკამ „სოფელს დახმარება არ სჭირდება, რასაც ვერ ვაწარმოებთ უცხოეთიდან შემოვიტანთ“,

ქვეყანას კატასტროფული შედეგი მოუტანა, კერძოდ, კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრობა და სიღარიბე, რაზედაც აშკარად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სამუშაო ძალის დაახლოებით 54% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, მაშინ, როდესაც ამ დარგის წილი ე.შ.პ.-ში 8% შეადგენდა.

ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის კატასტროფულ დონეზე ყოფნამ, დღის წესრიგში დააყენა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწორი სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავების საკითხი, რაც კახეთის რეგიონის ყველა რაიონში მუშავდება ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ამაზე მიუთითებს რაიონების მუნიციპალიტეტებთან არსებული ანალიტიკურ-საინფორმაციო ცენტრების საკმაოდ გამართული, შედეგზე ორიენტირებული მუშაობა.

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, XX საუკუნის 90–იანი წლებიდან მემინდვრეობის დარგში შექმნილი მდგომარეობა, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა ნათესი ფართობების შემცირების მიზეზები. 2015-2017 წლებში კახეთის რეგიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით უპირველეს მიზეზად ჩანს სახნავი მიწების დანაწევრების საკითხი. მუნიციპალიტეტების მიხედვით კახეთში ამ მხრივ განსხვავებული პირობებია, ყველაზე კარგ მდგომარეობაში დედოფლისწყაროს სოფლის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ. ცნობილია, რომ სახნავ სათესი ფართობის სიდიდით და ამავე დროს მოსხლეობის სიმცირითაც (რეგიონში მცხოვრებთა 8%), კახეთის რეგიონში დედოფლისწყარო გამოირჩევა, ამიტომ აქ როგორც ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს *„5 ჰექტარი სახნავ-სათესი ვისაც აქვს მცირემიწიანად ითვლება“,* აღნიშნულ ფართობზე მფლობელს შეუძლია მარცვლეული კულტურების მოყვანა, რადგან ტექნიკას ამუშავებს, მაშინ, როდესაც მაგალითად, თელავის რაიონში უმრავლესობას 1, 25 მეასედი შეხვდა, რომელშიც შედის როგორც მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობი, ისე მემინდვრეობისათვის განკუთვნილიც. თელავის მასალების მიხედვით, *„ვთქვათ მე მინდა ხორბლის დათესვა 0,5 ჰა-ზე, ჩემი მეზობელი ამ დროს სიმინდს სთესავს, ასეთ პატარა ნაკვეთზე კი კომბაინი არც შემოვა და თუ შემოვა ისეთი ძვირი უჯდება პატრონს, რომ ისიც იძულებული ხდება სხვა კულტურის მოყვანას მიჰყოს ხელი“ (მღებრიშვილი, თელავი, 20160.*

მარცვლეულის შენახვის მხრივაც დედოფლისწყაროს ფერმერებს კარგად აქვთ საქმე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოწეული მოსავლის 100% დაბინავება შეუძლიათ და არ არიან იძულებული ხორბალი გალეწვისთანავე გაყიდონ იაფად, როგორც მაგალითად სიღნაღის რაიონში, რადგან აქ ყველას არა აქვს საშუალება ხორბალი დაძვირებამდე შეინახონ.

§ 3. ბოსტნეული კულტურები

მებოსტნეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. XIX საუკუნიდან ბოსტნეულის წარმოება სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად გადაიქცა. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩვენ ვხვდებით მეტად მრავალფეროვან, როგორც კულტურულს, ისე ველური სახეობის ბოსტნეულს, რომლებიც ძირითადად ადამიანის საკვებად არის გამოყენებული. „ქართველებისათვის მებოსტნეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. ქართველთა კვების სისტემაში, როგორც უახლესი გამოკვლევებით დასტურდება, ბოსტნეულ მცენარეებს იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა“ (ბერიაშვილი, 2016, 279).

საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასი, ნიორი, ბოლოკი, სტაფილო, ოხრახუში, კომბოსტო, ისპანახი და მრავალი სხვა. რუსი დესპანების ცნობით 1640-1643 წლებში კახეთში ბოსტნეულ-ბაღჩეულთაგან მათ უნახავთ: ნესვი, საზამთრო, კიტრი, ბოლოკი, სტაფილო, თალგამი, კომბოსტო, ხახვი, ნიორი (ჯავახიშვილი, 1986, 155).

ბოსტნეულის გაშენებისათვის საჭირო იყო საბოსტნე მიწის შერჩევა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საბოსტნედ არჩევდნენ ვაკე ადგილს – ნოყიერ, მსუქან, მზიან, მყუდრო ნიადაგებს. მებოსტნეობის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა კახეთში, თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავდა სხვადასხვა სახის ბოსტნეული, როგორც ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისე ბაზარზე გასაყიდად.

ქართული, ტრადიციული საბოსტნე მეურნეობა, მისი ინტენსივობა მკაცრად ორგანიზებულ შრომით რეჟიმს ემყარებოდა, რომელიც მრავალი კომპონენტისაგან შედგება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საბოსტნე ადგილის შერჩევას, შემდეგ მის სათანადოდ დამუშავებას, თესვის ვადების და მოვლა-პატრონობის (მარგვლა, თოხნა, მორწყვა) პირობების დაცვას, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფას (ბერიაშვილი, 2016, 280).

პირველ რიგში, სარეველა ბალახების მოსაპობად მიწა ღრმად უნდა დაბარულიყო, მერე კვლები უნდა გაკეთებულიყო, რათა მორწყვის დროს წყალს კარგად ჩაედწია ბოლომდე. თესლი აუცილებლად საუკეთესო უნდა დაეთესათ. გარდა ამისა ბოსტნეულს ყოფდნენ ჯგუფებად: 1) ფოთლოვანი, კომბოსტო, სალათა, ისპანახი, ტარხუნა, კამა, ქინძი, რეჰანი, ქონდარი, ოხრახუში, პიტნა, ნიახური, წიწმატი და სხვა.; 2) ნაყოფიანი – კიტრი, პომიდორი, წიწაკა, ბადრიჯანი და სხვა.; 3) თალგამი, ბოლოკი, სტაფილო, ჭარხალი; 4) ბოლქოვანი – ხახვი, ნიორი, პრასი. გლეხებს ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი „მებაღჩეობა“, სადაც შედიოდა საზამთროს, ნესვის, გოგრას კულტურის მოვლა-მოყვანა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება სპეცი-

ალურად საუბარი). მას კახელები „ბაღს“ უწოდებდნენ ანუ ადგილი, სადაც მოჰყავდათ საზამთრო და ნესვი.

საქართველოში, ისტორიულად ბოსტნეულს მხოლოდ საოჯახო მოხმარებისათვის თესდნენ და დიდი მასშტაბურობით არ გამოირჩეოდა. საბაზრო მნიშვნელობას XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისიდან იძენსდა 70-იანი წლებისთვის იწყებს აღმავლობას, განსაკუთრებით კი XX ს-ის 90-იან წლებიდან, ოჯახის ეკონომიკური შემოსავლის დიდი წილი სწორედ ბოსტნეულ კულტურებზე მოდის, მაშინ, როდესაც ყურძენს ფასი დაეკარგა, ხალხმა ვენახი გაკაფა და ბოსტნეულის მოყვანას მიჰყო ხელი. კახეთის ძველი ვენახების გარკვეული ფართობი მარცვლეულმა და ბოსტნეულმა კულტურებმა დაიკავეს.

მებოსტნეობაში არსებული პრობლემები. კახეთში, კლიმატური პირობების გამო, შესაძლებელია ორი მოსავლის მიღება: მაგალითად, ბარდის მოსავლის შემდეგ შეიძლება ბოლოკის მოყვანა, ადრეული კომბოსტოს მოყვანის შემდეგ, შეიძლება ჭარხლის დათესვა და ა. შ.

კიტრი. ბოსტნეული კულტურებიდან დღეს კახეთში ყველაზე მეტი ფართობი დათმობილი აქვს კიტრს. კიტრი ძალიან ნაზი მცენარეა და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას და ტემპერატურულ რეჟიმს მოითხოვს. იგი ადვილად ზიანდება ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის დროს. ამიტომ, ადრე გაზაფხულზე, მას „ცელოფნის“ კუსტარულად დამზადებულ სათბურში თესავდნენ. დილა-საღამოს გლეხი მიდის, და თუ მზიანი ამინდია – გადახდის და საღამოს – ისევ უნდა დააფაროს, რომ ღამით არ გაუფუჭდეს ჩითილი. შემდეგ ასეთ პირობებში გამოყვანილი ჩითილი გადაქვთ სპეციალურად გამოყოფილ ნაკვეთებში, სანამ კიტრი მასრაში არ შევა, არ რწყავენ, მხოლოდ „ცისნამს“ ემყარებიან. კიტრის მორწყვა სხმის დროს მიღებულია ყოველი მოსავლის დაკრეფაზე, რადგან *„დაკრეფის შემდეგ თუ მორწყე კიტრი კარგია – ბრუნდება, თამამდება. კიტრი იკრიფება ყოველ-სამ-ოთხ დღეში ერთხელ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).*

რესპონდენტი სოფელ კარდენახიდან მოგვითხრობს: *„კიტრის მოყვანა ჩვენ მუხრანელებმა გვასწავლეს. იქიდან წამოღებული თესლი გვქონდა. განთქმული იყო მუხრანის კიტრი და ჭოპორტის პომიდორი. ჩვენს კიტრს „გილანი“ დავუძახეთ. პრიალა კიტრი იყო – კანი ხორხოშელა არ ქონდა. პირდაპირ მიწაში ითესებოდა, ცელოფანი არ სჭირდებოდა. ახლა ორმაგი ცელოფანი უნდა გადააფარო ადრე, რომ შემოვიდეს და ფასი არ დავარდეს. თითქმის ყველა ოჯახს მოყავს კიტრი, მაგრამ ის კიტრი, რაც ოდითგან იყო აღარ არის – სულ ჰიბრიდულია. ჩვენ ჯიშს დაავადება უჩნდება, არ არის გამძლე, კლიმატი შეიცვალა. დღეს თუ ვერ გაყიდე, ხვალ უკვე ყვითლდება. ამ ჰიბრიდს კი მსხმოიარობაც მეტი აქვს და დიდხანსაც ინახება, მაგრამ გემო და არომატი ჩვენს კიტრს სულ სხვა აქვს. ასე გადაგვარდა პომიდორიც. ორმეტრ-ნახევრამდე იზრდება, მსხმოიარობა დიდი აქვს, დაავადების მიმართაც ამტანია, მაგრამ გენმოდიფიცირებულია და*

გემო საერთოდ არა აქვს. ძველი პომიდვრის გემო დაგვავიწყდა, რადგანაც უკვე ყველგან ეს ჯიში ითესება“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

სტაფილო. ერთ-ერთი პრიორიტეტული პროდუქტია სტაფილო, რომელთა წარმოების პოტენციალი ჩვენს ქვეყანას აქვს, თუმცა ჩვენში სტაფილოს მოყვანით არ ინტერესდებიან, რადგან ბაზრები სავსეა უცხოეთიდან შემოტანილი იაფი სტაფილოთი, რომელიც ბაზარზე ადგილობრივ პროდუქციას ავიწროებს, ტანაც მის ფასს დაბლა აგდებს და მეურნეს აღარ უღირს მისი მოყვანა.

მაგალითად, საქართველოში თურქეთიდან 6,6 ათასი ტონა, ისრაელიდან 5,5 ათასი ტონა და სხვა ქვეყნებიდან კი 175 ტონა სტაფილო შემოდის. ქართული სტაფილო კიქართულ ბაზარზე მხოლოდ 10% იკავებს.როგორც ამტკიცებენ – 1 კგ. სტაფილოს ზეთი მსოფლიო ბაზარზე 1000 ევროზე მეტი ღირს, (ზოგჯერ ღირებულება 3000 ევრომდეც კი ადის), რომელსაც თანამედროვე კოსმეტიკურ მრეწველობაში კანის გასაჯანსაღებლად იყენებენ. ასეთი ფასის მიუხედავად, ეკოლოგიურად სუფთა სტაფილოს თესლის ზეთი მაინც დეფიციტურია.

მას შემდეგ, რაც ევროკავშირმა ევროპისა და აზიის ქვეყნებს სტაფილოს ზეთის წარმოებით დაინტერესებისკენ მოუწოდა, ამ კულტურას საქართველოშიც მიაქციეს ყურადღება.

სტაფილოს თიხნარი ნიადაგი სჭირდება, რომელიც შემოდგომაზე იბარება. ასეთ ნიადაგში სტაფილო აპრილში (ამინდს გააჩნია) ითესება. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ურჩევენ ფერმერებს, როგორ მოიყვანონ უხვი და მაღალი ხარისხისა სტაფილო, მათი რჩევის მიხედვით: კარგი იქნება, თუ ზემოდან ნეშომპალას ან კომპოსტს დააყრიან, როცა ნათესს პირველად გამოხშირავენ, მანძილი მცენარეთა შორის 2-3 სმ. უნდა დატოვონ, მეორე გამოხშირვის მერე კი -5-6 სმ. სიცხეების დროს ნათესი დაახლოებით კვირაში ერთხელ უნდა მოირწყას. მოსავალს, ძირითადად სექტემბერში იღებენ, თუმცაღა, სტაფილოს საადრეო ჯიშებიც არსებობს.

სტაფილოს მოყვანა ძალიან შრომატევადია. მაგალითად, თუ ბალახია ამოსული და სტაფილოს არ გაითოხნი, მთელი მოსავალი დაიღუპება. თუ თანამედროვე ჰიბრიდულ თესლს დავთესავთ 1 ჰექტარზე 100 ტონას მივიღებთ, ხოლო ქართული სტაფილოს თესლიდან კი მხოლოდ ამის ნახევარს, თუმცა ქართული ჯიში უფრო გემრიელია და თესლსაც იკეთებს. ჰიბრიდული ჯიში თესლს არ იძლევა, ამიტომ მომდევნო წლისთვის ახალი ძვირად ღირებული თესლი უნდა შევიძინოთ („კვირის პალიტრა“, 2016, 29 აგვისტო).

დღეს ქართული ბოსტნეული კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთულს. მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანა საკმაოდ შეზღუდულია, მისი არაკონკურენტუნარიანობის გამო. არადა მებოსტნეობა, სხვა დარგებთან შედარებით, უფრო რენტაბელურია, ნაკლებია ხარჯები, ხოლო საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნა კი მის მომგებიანობას განსაზღვრავს. როგორც ჩვენ მიერ მოპოვებულმა ეთნოგრაფიულმა მასალამ აჩვე-

ნა,საქართველოში, მოსახლეობის მხრიდანნაკლები ყურადღება ექცევა ბოსტნეული კულტურების მოყვანას. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი პროდუქციას აწარმოებს პირადი მოხმარების მიზნით და მცირედ ნაწილს, ადგილობრივი, აგრარული ბაზრისთვის. მთელ რიგ სოფლებში, ბოსტნეული იმ რაოდენობისაც კი არ მოყავთ, რომ თავიანთი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილონ. მოსახლეობა ამის მიზეზად სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს: წყლის პრობლემას, შხამქიმიკატების არასწორ მოხმარებას, საზღვარგარეთიდან შემოტანილი შხამქიმიკატების მიმართ უნდობლობას, რომელიც ბოლო დროს ასე გახშირდა და ა. შ.

ჩვენ მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა საპირისპირო დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს, კერძოდ: თელავის რაიონის სოფლებში: ყარაჯალაში, გულგულაში, კურდღელაურში, კონდოლში არის კარგი პირობები: ჰავა, ნიადაგი, ხელსაყრელი გარემო და ა.შ. რომ ამ რეგიონში ბოსტნეულის წარმოება გაიზარდოს და დააკმაყოფილოს არამარტო საოჯახო მოთხოვნილებები, არამედ პროდუქცია გაიტანონ ადგილობრივ ბაზრებზე, აღნიშნულ სოფლებში, წინა წლებში, ამის დიდი ტრადიცია არსებობდა.

მოსავლიანობის მაჩვენებლის შემცირება ფერმერთა დაბალი პროფესიულიდ დონისა და თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნის გამოც ხდება. მაგალითად ამა თუ იმ ვირუსული დაავადების გავრცელების შემთხვევაში, ძველებურად, გლეხი კვლავ შაბიამნით წამლის, ამით კი მნიშვნელოვან შედეგს ვერ აღწევს. გარდა ამისა, პრობლემაა ისიც, რომ ქართული სახელმძღვანელო მებოსტნეებისათვის 1965 წელსაა გამოცემული და მისი გამოყენება, შეცვლილი კლიმატური პირობებისა, თუ ახალ-ახალი დაავადებების გაჩენის გამო, უკვე დადებით შედეგს ვეღარ შეიძლება.

ბოსტნეული კულტურების მოყვანა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტშია შესაძლებელი, ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებით, რაიონების მიხედვით ეს დარგი მეტ-ნაკლები გავრცელებით ხასიათდება, თუმცა ყველა რაიონს აქვს მისი განვითარების პერსპექტივა. დღეის მდგომარეობით სურათი ასეთია:

ახმეტის რაიონში, 2014 წლის მონაცემებით,ყველაზე მეტი ფართობი დათმობილი აქვს პამინდვრის კულტურას – 152 ჰა და მიიღეს 239 ტონა, კიტრს – 75 ჰა (79ტ), ნიორი – 95 ჰა (167ტ), წიწაკა-30 ჰა (30ტ), სტაფილო – 23 ჰა (30ტ). როგორც მუნიციპალიტეტის საინფორმაციო სამსახურში გვითხრეს, თუ აღდგება და განვითარდება საკონსერვო წარმოება (რომელიც მე-20 საუკუნის ბოლომდე ფუნქციონირებდა ახმეტაში), ბოსტნეულის ფართობები და შესაბამისად მოსავალიც გაიზრდება, ეს კი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს (ახმეტის.., 2015, 65-66).

ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, სადაც ძირითადი პრიორიტეტების ჩამონათვალში, ერთ-ერთი, ბოსტნეული კულტურე-

ბის (როგორც ღია გრუნტში, ისე სასათბურე მეურნეობის) განვითარებაა, რის შესაძლებლობასაც ლაგოდეხის გეო-კლიმატური პირობები იძლევა. 2017 წლის მონაცემებით „გასულ წელს გვქონდა 8000-დე მარტივი ტიპის სასათბურე მეურნეობა, რომლის საშუალებით ადრეულ გაზაფხულზე ხდება ქ. თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს მომარაგება ადრეული ბოსტნეულით. იმ შემთხვევაში თუ მოხდება მარტივი ტიპის სასათბურე მეურნრობების ჩანაცვლება ენერგოეფექტური მაღალ ტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობებით, შევძლებთ მთელი წლის განმავლობაში მოვამარაგოთ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი არასეზონური ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურებით (ლაგოდეხის.., 2017, 26). სტატისტიკური მონაცემებით დღეს ბოსტნეულისა და ბაღჩეულის კულტურებს მუნიციპალიტეტში უკავია 6000 ჰა, ხოლო წარმოებული პროდუქცია 100000 ტონას უტოლდება, რაც ფულად გამოსახულებაში 40000000-50000000 ლარს უდრის (ლაგოდეხის..., 2017, 27).

ყვარლის მუნიციპალიტეტში ყველა სახის ბოსტნეულის ფართობი უდრის 853 ჰა-ს, საიდანაც 10514 ტონა პროდუქცია იწარმოება, მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად 800 ტონა კომბოსტო მოჰყავთ, მათივე ინფორმაციით ბოსტნეული კულტურების განვითარებისათვის აუცილებელია სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ყვარლის..., 2017, 13).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ბოსტნრული კულტურებიდან ყველაზე მეტი ფართობი დათმობილი აქვს პამიდორს – 456 ჰა, მეორე ადგილზეა კიტრი – 180 ჰა, წიწაკა – 12 ჰა, ნიორი – 43 ჰა,ხახვი –57 ჰა, სტაფილო –5 ჰა. დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფერმერები მხოლოდ ღია გრუნტის პირობებში აწარმოებენ ბოსტნეულს, 1990 წლამდე არსებული სასათბურე მეურნეობები აღარ ფუნქციონირებს (გურჯაანის.., 2016, 43).

საგარეჯოში ბოსტნეული კულტურებიდან ძირითადად პამიდორი და ხახვი მოჰყავთ, რომელთა ერთობლივი ფართობი წლიურად შეადგენს 112 ჰა-ს (საგარეჯოს..., 2017, 39).

როგორც დარგის სპეციალისტები წერენ: მებოსტნეობის სელექციაში ძალიან მნიშვნელოვანია ე. წ. ბიოტექნოლოგიური მეთოდები: არამარტო ჩითილის მოვლა და მერე მცენარის შესწავლა, არამედ ზრუნვა უნდა დაიწყონ თავიდანვე ჯანსაღი და ვირუსებისაგან დაცული თესლის მისაღებად. საქართველოში კი ეს არ არის დანერგილი და ამიტომ ქართული მებოსტნეობა ან იმპორტულ თესლსა და ნერგზეა დამოკიდებული; ან კიდევ საოჯახო პირობებში მიღებული თესლ-ჩითილებით იღებენ მცირე ან საშუალო რაოდენობის პროდუქციას.

დღეისათვის ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა ყოველდღიურად იზრდება. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა გაცილებით მაღალია. ცნობილია, რომ ბიოპროდუქცია მაღალი თვითღირებულებით და შესაბამისად, მაღალი სარეალიზაციო ფასით გამოირჩევა. როგორც ექსპერტები ამტკიცებენ, მცირე ქვეყნებს და მათ შორის საქარ-

თველოსაც განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვს, ბიომეურნეობები განავითაროს და კონკურენტუნარიანი პოზიციები დაიკავოს ბაზარზე. საქართველოს, მისი უნიკალური პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი, ევროკავშირის ქვეყნებისათვის.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ახმეტის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი შესაძლებლობებია ბიომეურნეობის განვითარებისათვის, ამ კუთხით ყველაზე მეტი პერსპექტივა აქვს თუშეთს, სადაც არასდროს გამოუყენებიათ მინერალური სასუქები და პესტიციდები. დღეს თუშეთში დარჩენილი რამდენიმე ათეული ოჯახი ბოსტნეულს აწარმოებს იმ რაოდენობით (გარდა კარტოფილისა), რაც ოჯახის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. *„რადგანაც ბაზარზე ვერ ვერ მიგვაქვს გასაყიდად, ტრანსპორტირება იმდენად ძვირი ჯდება, რომ არ გვიღირს. სამაგიეროდ ყველა ვთესავთ თამბაქოს და მისგან ბურნუთს ვამზადებთ*“ (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015).

თუშეთის მოსახლეობა, როგორც ცნობილია, ბარშია ჩამოსახლებული, ამიტომ მათი სამიწათმოქმედო საქმიანობაც ბარული მიწათმოქმედებაა. ალვანში ბოსტნეულიც მოყავთ. დღეისათვის სასათბურე მეურნეობა ნაკლებადაა განვითარებული, მაგრამ თუშეთის მზარდი ტურისტული პოტენციალი, საოჯახო სასტუმროების ქსელის გამრავლება და გაუმჯობესება, ბუნებრივია გაზრდის ბოსტნეულზე მოთხოვნილებას, ეს კი თუშებით დასახლებულ ბარის სოფლებთან ერთად, თვით თუშეთშიც შექმნის პირობას, როგორც სასათბურე, ისე სამაცივრე მეურნეობების განვითარებისათვის, რომლის ნიშნებიც უკვე შეინიშნება.

დღეს სოფელ „ქვემო ალვანში 2014 წელს ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის „2014 წელს თუშეთში კარტოფილის წარმოება და მარკეტინგი“ ფარგლებში გარემონტდა და გაიხსნა კარტოფილის შესანახი თანამედროვე სტანდარტების შესანახი საწყობი, სადაც შეიძლება 50-60 ტონა კარტოფილის შენახვა- დასაწყობება ტემპერატურული რეჟიმის დაცვით“ (ახმეტის..., 2015, 69).

სოფელ ხირსაში ჩაწერილი მასალის მიხედვით ბოსტნეული კულტურებიდან ძირითადად მოყავთ: კიტრი, პომიდორი, ბადრიჯანი, *„პომიდორი ძირითადად ჭოპორტის თესლით მოგვყავდა. ძალიან გემრიელი პომიდორი იყო. ახლა თითქმის კახეთის ზონაში და საქართველოშიც კი მთლიანად ჰიბრიდულია. ბაზრის გამყიდველები აშკარად იტყუებიან, საყიდლად რომ მიხვალ გეუბნებიან ჭოპორტისაა“. ეს ჰიბრიდული ჯიშები შემოაქვთ ამერიკიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან. უხვმოსავლიანია და გამძლეც. ამით დაინტერესებული არიან ფერმერები, იმის გამო, რომ მეტ მოსავალს იძლევა ეს ჯიში. გასაღების ბაზარი ძირითადად რუსეთია“ (მღებრიშვილი, სიღნაღი, 2016).*

სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ვითარების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია პერსპექტიული მიმართულების დარგების განსაზ-

ღვრა და მათი განვითარების ხელშეწყობა. მთხრობელთა აზრით, არ უნდა შემოდიოდეს საქართველოში საზღვარგარეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტები, შემოაქვთ ბაჟის გარეშე, ადგილობრივ ბაზარს უწევს კონკურენციას, ფასი ეცემა. ადგილობრივი გლეხისთვის პროდუქტის ბაზარზე წაღებამომგებიანი აღარ არის. ერთმა ქალბატონმა გვითხრა, რომ – *„ორ ფუთიანი ვედრო პომიდორი წავიღე ბაზარში და მხოლოდ გზის ფული ამოვიღეო, მეორედ აღარ წავიღებ მირჩევნია ადგილზე მივყიდო გადამყიდველებს“ (მღებრიშვილი, თელავი, 2016).*

მებოსტნეობის განვითარების პოტენციალის თვალსაზრისით ცალკე უნდა გამოვყოთ თუშეთი, სადაც ყველა პირობაა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის, განსაკუთრებით კი კარტოფილის მოსაყვანად.

როგორც ცნობილია, თუშეთში აპრილის შუა რიცხვებიდან იწყებოდა მიწის სამუშაოები. მოხნულ და დამუშავებულ მიწაზე თესდნენ: დიკას (იფქლი), მაისში ითესებოდა „ქერშველი“ („ორპირა ქერი“) და ქერი (ექვსპირა ქერი). ითესებოდა აგრეთვე „შრუა – შვრია, რომელსაც საქონელს აჭმევდნენ და არაყსაც ხდიდნენ. მოყავდათ აგრეთვე ქუმელი, სელი, ოსპი. აგვისტოში კი ითესებოდა სვილი (ჭვავი), რომელიც მეთორმეტე თვეში პურდებოდა (მაკალათია, 1983, გვ. 55).

1950-იანი წლებიდან თუშეთის მოსახლეობის მასობრივმა იძულებით ჩამოსახლებამ სრულიად მოშალა საუკუნეებით ნაცადი მიწათსარგებლობის ტრადიციული მოდელი. თუშეთი უხეშადაა დაყოფილი საძოვარ ერთეულებად, სახნავ-სათესი და სათიბ საძოვარი. არადა ტრადიციული წესი, რომლითაც იმართებოდა მიწა ზუსტად პასუხობდა მოზამთრე და მომთაბარე მოსახლეობის საჭიროებებს და გათვლილი იყო ეკოსისტემის ბუნებრივი თვითაღმდგენ რეგულაციებზე (მაკალათია, 1983, გვ. 15)

თუშეთის მოსახლეობა არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, დიდ გულისტკივილს გამოთქვამს: *„ადრე ჩვენ სამყოფს ყველაფერს ვთესავდით, მწვანილს, ბოსტნეულს, უფრო მეტად კი კარტოფილს, როგორც ვიცი – ჭვავს და ხორბალსაც თესავდნენ თავის სამყოფს. ახლა უკვე აღარ თესავენ, ახლა უკვე მიტოვებულია მიწები. ველარ ამოდიან ზაფხულში, რომ თავიანთ მიწებს მიხედონ, იმიტომ რომ გაძვირდა ყველაფერი. კაცზე 50 ლარია საჭირო ტრანსპორტისათვის. ზოგიერთ ოჯახში ოთხი-ხუთი სულია, ეს უკვე 200-300 ლარი ჯდება აქ ამოსვლა. ამას გარდა ჭამა ხომ უნდათ, საჭმელი, ტანსაცმელი და რა ვიცი კიდევ ათასი წვრილმანი. ადრე ათი ლარი იყო კაცი. მერე უკან ჩასვლაც ხომ უნდათ. მოკლედ ძვირი სიამოვნებაა მთაში ამოსვლა. მე, ასე თუ ისე, ვახერხებ ამოსვლას და ვიღაცის ნაკვეთს ვამუშავებ. კარტოფილი მომყავს, აქედან ერთი მესამედი მიწის მეპატრონეს ეკუთვნის. მაგალითად თუ 100 ტომარა მოვიყვანე, 30 ტომარა მიწის პატრონს ეკუთვნის. იმასაც აწყობს რა თქმა უნდა.*

გარდა ამისა სრული ვაკუუმია თუშეთში. არა რადიო, არა ტელევიზია, მობილურებიც არ იჭერს, ერთი ორი სოფლის გარდა. ასეთ პირობებში ვინ

გაჩერდება? არადა ასეთი კარგი ადგილების მიტოვება არ შეიძლება. თუშეთი ხომ ყველაზე სუფთა და ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქციის შემქმნელი კუთხეა. თუშური კარტოფილი ყველაზე ჯანმრთელი და უვნებელი პროდუქტია. არავითარი პესტიციდი, არავითარი კოლორადოს ხაჭო. დღესდღეობით ხომ დიდი ყურადღება ენიჭება სუფთა პროდუქტს, ჩვენ კი რას ვაკეთებთ ამისათვის – არაფერს. შარშან მაგალითად, თბილისობაზე 5 ტონა კარტოფილი გაიყიდა, აქედან წაღებული. ჩვენით ძალიან დაინტერესებულნი არიან ჩეხები. მათი დაფინანსებით ბევრი რამე კეთდება, მაგრამ ამაში მათ თავიანთი ინტერესები აქვთ. ჩვენი პროდუქციის გატანა აინტერესებთ, როგორც ხარისხის ასამაღლებლად, უნდათ რომ ევროპის ბაზარზე მოხვდეს, იმიტომ ხარჯავენ საქართველოზე ამდენ თანხებს. გვეუბნებიან, როცა თქვენც განვითარდებით, მერე თქვენ დაეხმარებით ჩამორჩენილ ქვეყნებსო“ (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015).

რესპონდენტი შორენა ელანიძე გვიყვება, რომ სოფელ დართლოში არის მისი და მისი ძმის სასტუმრო: *„როდესაც ჩვენ ეს საქმე წამოვიწყეთ, მაშინ სულ 2-3 სასტუმრო იყო. ახლა უკვე 40-ზე მეტია. სასტუმროების არსებობამ, პროდუქტის საჭიროების საკითხი დააყენა, რადგანაც თუშეთში პროდუქტი ნაკლებად იშოვება, ამიტომ აქ უნდა შეიქმნას მარტო ბაზარი კი არა, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც უნდა იწარმოებოდეს ადგილზე. მივხვდით, რომ სახელმწიფოს ან არასამთავრობო ორგანიზაციის გრანტებით შესაძლებელი იქნებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები ადგილზე მოგვეყვანა და თანაც უმაღლესი ხარისხის ბიოლოგიურად სუფთა იქნებოდა. ალვანში მომყავს: კომბოსტო, სტაფილო, მწვანე ლობიო, ყაბაყი, კიტრი, პომიდორი. ბოსტნეული მოდის უმაღლესი. ყველაფერი ჩემი მაქვს“* (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015).

ალვანშივე, 2014 წელს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის: „2014 წელს თუშეთის კარტოფილის წარმოება და მარკეტინგი“-ის ფარგლებში გარემონტდა და გაიხსნა კარტოფილის შესანახი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საწყობი, სადაც ტემპერატურული რეჟიმის დაცვით შეიძლება 50-60 ტონა კარტოფილის შენახვა – დასაწყობება გარდა ამისა, კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, უცხოელი დონორების დახმარებით, ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებიც.

თუშეთში ტურისტული ნაკადების ყოველწლიური ზრდის გამო, უფრო მნიშვნელოვანია თუ ადგილზევე მოეწყობა სხვადასხვა ბოსტნეულის მოსაყვანი სათბურები, რადგან ალვანიდან პროდუქტის ტრანსპორტირება ჯერ ერთი ძალიან ძვირი უჯდებათ სასტუმროს მეპატრონეებს და მეორეც, მომსახურების სიძვირე ტურისტებზეც უარყოფითად მოქმედებს. რესპონდენტი მოგვითხრობს: *„ჩეხეთის პროგრამით მეკარტოფილეობის ორი კოოპერატივი შევქმენით. „თუშეთის ნობათი“. იქ (თუშეთში ლ.მ.) მარტო კარტოფილი მოგვყავს. ალვანში გვინდა პომიდვრის მოყვანა. კომბოსტო და სტაფილოც ძალიან კარგია თუ მოვიყვანეთ. ჩვენი ვალია აქცენტი გავაკე-*

თოთ იმაზე, რა სახეობებიც ტურისტულ სეზონს მოუსწრებს. ამისთვის გვჭირდება სადემონსტრაციო ნაკვეთები, რომ დავახარისხოთ თესლიც და ჯიშებიც და ამის შესაბამისად მოვიყვანოთ თუშეთში, რა მოუსწრებს იქ ტურისტს. ამ კოოპერატივში გაერთიანებული 13 თუ 14 წევრი ვართ. ახლა 46 ათასიანი ტრაქტორის ყიდვას ვაპირებთ. ჩვენ ვიხდით რაღაც პროცენტს, დანარჩენს იხდის მეკარტოფილეობის პროგრამა. ეს ტრაქტორი ყველა ოპერაციას ასრულებს, მოხვნიდან ამოღებამდე. ეს ტრაქტორი ჩვენს ნაკვეთს ხომ მოემსახურება, სხვა მოსახლესაც შეეძლება მოიხმაროს გარკვეული საფასურის გადახდით. თუშეთში სულ 3-4 თვეა საქმის საკეთებლად. თუ ამ თვეებში კაცმა თვალი დახუჭა და ყური მოიყრუა, არაფერი არ გამოვა. აქაური კაცი უნდა მოიძებნოს, უნდა ასწავლო ტრაქტორი, ტრენინგები ჩაუტარო, მუდმივი ხელფასი დაუნიშნო, უნდა შეუქმნა პირობა, სხვანაირად ვერც მინისტრი უშველის საქმეს და ვერც პრემიერმინისტრი“ (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015) *ასეთია მათი გულისტკივილი.*

§. 4 ბაღჩეული კულტურები

XX ს-ის მეორე ნახევრიდან კახეთში გაიზარდა ბაღჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი) ნათესი ფართობები, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან, ვენახების ფართობების შემცირების ხარჯზე. რადგან ამ წლებში ყურძენზე უფრო შემოსავლიანი გახდა ნესვისა და საზამთროს მოყვანა. დღესაც ამ საქმით ბევრი ოჯახია დაკავებული, ეს კულტურები ოჯახის შემოსავლის ერთერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს.

საზამთროს თესლიც საზღვარგარეთიდან შემოდის და ძალიან ძვირი ჯდება, როგორც რესპოდენტი გვეუბნება: *„ერთი კოლოფი საზამთროს თესლი 200-დან 300-ლარამდე ღირს. ითესება ცალობით, სადღაც 700-800 ძირი. ერთ ჰექტარზე 950 ძირი საზამთრო მიდის. ყოველ წელიწადს ახალი თესლი შემოდის. ძველი, ადგილობრივი ჯიში თითქმის აღარავის არ აქვს. ჩვენებური თესლით რომ დათესო საზამთრო, ერთ ჰექტარზე უნდა აიღო დაახლოებით 16-17 ტონა საზამთრო. ამ შემოტანილი თესლით დათესილიდან კი იღებენ 70 ტონას, სულ მცირე 50 ტონას. ვის აინტერესებს ხალხის ჯანმრთელობა? 3-4-ჯერ მაინც შეაქვთ სასუქი, ამონიუმის გვარჯილა ან სხვა რამ. ეს „წამალიც“ – კიდევ სხვა პრობლემაა. როგორც დასტურდება, ამ საქმეში არ არის არავითარი განათლება, „წამლის“ არავითარი დოზირება არ ხდება, არავინ არაფერი არ იცის. მიდიან მაღაზიის გამყიდველთან, ის სთავაზობს წამალს დაეუბნებათ: აი, ეს დაასხი, ეს კარგია, ან სხვას გთავაზობს რამეს. თუ არ უშველის – მერე კიდევ სხვას შემოგთავაზებს. რა ქნას იმანაც, უნდა რომ გაყიდოს. მაგრამ, ხომ უნდა იყოს ლაბორატორია, რომ ისინჯებოდეს წამალი, რომ ერთი დასხმით ვუმკურნალოთ მცენარეს“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).*

მთხრობელთა გადმოცემით საზამთროს დიდი მოვლა-პატრონობა უნდა. საბაღედ არჩევენ „ახო“ ადგილს, რადგან „ბაღს“ (საზამთროს), ხამი ადგილი უყვარს. მთხრობლების გადმოცემით – „ბაღისათვის“ მოხნული მიწა არ გამოდგება. *„ერთ წელს „ბაღს“ სადაც მოიყვანენ, მეორე წელს იქ დათესვა აღარ შეიძლება. ახო ადგილი უნდა ვიპოვოთ და იქ უნდა დავთესოთ ალაზნის ან ივრის პირებზე. ყველაზე კარგი საზამთრო და ნესვი იქ მოდისო“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).*

„მებაღეობა“ ანუ საზამთროს მოყვანა, ოჯახს დიდ შემოსავალს აძლევს და სოფელში პრიორიტეტული დარგია. დაკრეფილ საზამთროს ნაკვეთებში აგროვებენ და მერე ეზიდებიან მანქანებით. საზამთროს დასაკრეფად ყველას არ უშვებენ, რადგან კრეფის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა საზამთროს წვერი ფეხით არ დააზიანონ. დაზიანებული ნერგი უმალ იწყებს გახმობას.

წინათ გლეხებს სცოდნიათ აგრეთვე საზამთროს გვიანობამდე შენახვის წესი, – ნახევრად შემოსულ საზამთროს მოკრეფდნენ, მზეზე გააშრობდნენ, შემდეგ სპეციალურ ორმოში ჩაალაგებდნენ თივასთან ერთად, ეს იმისთვის ყოფილა საჭირო, რომ თივაში შეხვეული საზამთრო ერთმანეთს აღარ აფუჭებს. ორმოს ზემოდან ფიცარს აფარებდნენ და მერე მიწას აყრიდნენ. ასე შენახული საზამთრო დიდხანს ძლებდა თურმე.

ბაღჩეული კულტურებიდან ასევე პოპულარულია ნესვის მოყვანა. ნესვის ხუთასამდე ჯიში არსებობს. საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ადგილობრივი სუფრის ჯიშია გავრცელებული. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ, ნესვი ითესება როგორც გაჩითილებით, ასევე ღია გრუნტში – ბუდნებად. ბუდნებს შორის მანძილი ორი მეტრია; მწკრივებს შორის ინტერვალი კი ერთი მეტრი უნდა იყოს. ვისაც პატარა ფართობზე სურს მისი მოყვანა, შეიძლება ბუდნებს შორის მანძილი შეამციროს, დიდ ფართობზე კი გაზარდოს, რათა მწკრივებს შორის ტრაქტორმა იაროს. სასათბურე პირობებში თესლი 15 გრადუსზე იწყებს აღმოცენებას და ერთი თვის თავზე ჩითილი გადასარგავად მზად არის.

გადარგვამდე მიწა ღრმად უნდა დამუშავდეს. მართალია, ნესვის ფესვი განზე იტოტება, მაგრამ მისი მთავარი ფესვი სიღრმეში ერთ მეტრზე ჩადის და კარგად დამუშავებული ნიადაგი მცენარეს აძლიერებს. მის გასანოყიერებლად მთელ ფართობზე ნაკელი თანაბრად იყრება და ნაწილდება. ჩითილი მავნებლებისაგან რომ დავიცვათ საჭიროა ნიადაგის დამუშავება სპეციალური ხსნარით. ნესვი გამუდმებით გაფხვიერებას და რწყვას საჭიროებს. 4-5-ჯერ მაინც უნდა მოირწყას და გაუკეთდეს კულტივაცია. გვალვა თუ დაიჭირა, სპეციალური შლანგებით თითოეულ ძირთან მიჰყავთ წყალი ე. წ. წვეთოვანი გზით. ნესვისთვის მაინც გვალვაზე მეტად ყინვებია საშიში. მცირე ყინვის დროსაც კი მცენარე იღუპება. მცენარეს თუ გაუჭირდა ბიოსაშუალებებით მკურნალობენ.

„ნესვი, გარდა იმისა, რომ დიეტურია, ის მარგებელია როგორც უმად, ისე ჩირად. მისი ნახარში წამლადაც გამოიყენება“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2017).

ყვარლის მუნიციპალიტეტშიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ და შემოსავლიან კულტურას ბაღჩეული წარმოადგენს (ნესვი, საზამთრო). უკანასკნელ ორ წელიწადში ბაღჩეულის ნათესი ფართობები რაიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2609 ჰექტარი შეადგინა, ხოლო მიღებულმა მოსავალმა 44261 ტონა, საიდანაც მოგება 12 მილიონი ლარი მიიღეს. 2015-2016 წლებში საზამთროს და ნესვის სარეალიზაციო ფასებმა მოლოდინს გადააჭარბა და მიღებული მოსავალი უპრობლემოდ იყო რეალიზებული.

ბაღჩეული კულტურების კარგი მოსავლით, ცნობილია აგრეთვე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. მოჰყავთ: საზამთრო, ნესვი, გოგრა. ლაგოდეხის გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე პრიორიტეტულია სასათბურე მეურნეობის განვითარება. მაღალი ტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობებით შესაძლებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში ქვეყნის მომარაგება არასეზონური ბოსტნეულით და ბაღჩეული კულტურებით.

პერსპექტივაში დარგის განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიანი სათესლე და სარგავი მასალის შემოტანას. აგრეთვე ამ სასათბურე მეურნეობაში საჩითილეების მოწყობას. მნიშვნელოვანია აგრეთვე სამაცივრე მოწყობილობების არსებობაც, რათა მალფუჭებადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დასაწყობდეს.

§ 5. ბიომეურნეობები კახეთის მემინდვრეობაში

დღეს მსოფლიოში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე, აქედან გამომდინარე საქართველოსთვის-პერსპექტიულია ბიო-მეურნეობების განვითარება. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია შპს ბიომეურნეობა „ფონა“–ს დაფუძნება, რომელიც საწყის ეტაპზე 20 ჰექტარზე აპირებს საკვები ბალახების წარმოებას ბიომეურნეობების დამახასიათებელიტექნოლოგიური ციკლით, ასევე 0,25 ჰექტარ ფართობზე სამკურნალო მცენარეების (ფურუსულა) წარმოებას. ბიომეურნეობა „ფონა“ საკუთარი წარმოების პოპულარიზაციის საშუალებით აპირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ამ მიმართულებით განვითარებას (ლაგოდეხის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის ანგარიში, 2017).

ცნობილია, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, ჩვეულებრივზე უფრო ძვირია. საქართველოს ბაზარი კი, აქ არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონის გამო, როგორცამბობენ, ძვირად ღირებული პროდუქტების ასათვისებლად ჯერ მზად არ არის. თუმცა, კახეთის რეგიონში აქა-იქ უკვე არის ბიოსაწარმოები, სადაც ნატურალურ პროდუქტს აწარმოებენ. მაგალითისათვის მოვიტანთ თელავის რაიონის სოფ. ნაფარეულში მცხოვრე-

ბი ძმების გია და გელა განმტკიცულაშვილების საქმიანობას, მათ მამა-პაპისეულ მიწებზე 15 დასახელების ბოსტნეული მოჰყავთ.

რესპონდენტი აღნიშნავს: *„ნიადაგში არც მინერალური სასუქები შეგვაქვს და არც შხამქიმიკატებით ვწამლავთ, მხოლოდ ორგანული სასუქით (ნაკელით) ვამდიდრებთ ნიადაგს. ასეთი წესით მოყვანილ ბიოპროდუქტებს სრულიად განსხვავებული გემო აქვს. ასეთი გზით მოყვანილი პომიდორი მართალია ბევრს არ ისხამს, მაგრამ გვიან შემოდგომამდე ისხამს ნაყოფს და ძალიან არომატულიც არის. კიდევ მოგვყავს, წიწაკა, ბადრიჯანი, ქინძი, ნიახური, ოხრახუში. ერთი მოსავალი მოვიყვანეთ და ახლა მეორეს ვთესავთ. მწვანილს მუდმივი ცვლა უნდა. გარდა ამისა მოგვყავს ბიოსიმინდი, ბატიბუტის სიმინდი, მწვანე სალათი, კომბოსტო, ლობიო. მოგვყავს აგრეთვე საზამთრო, როგორც ბებიასგან ვიცით – „ყურძენი, რომ მოიწევა საზამთრო აღარ იჭმევაო“. გვაქვს აგრეთვე გოგრა, ნესვი “* (მღებრიშვილი, თელავი, 2016).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ კუთხით აუთვისებელია თუშეთის შესაძლებლობები, სადაც არასდროს გამოუყენებიათ მინერალური სასუქები, პესტიციდები და იქ წარმოებული კარტოფილი, სხვადასხვა ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები ფაქტიურად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს განეკუთვნება.

აგროსექტორის განხრით მომუშავე ქართველი პროფესიონალები ხაზგასმით მიუთითებენ: „იმისათვის რომ ფერმერული მეურნეობასრულყოფილი გახდეს, ბევრი საკითხი უნდა მოგვარდეს. ყველაზე მნიშვნელოვანია დანაწევრებული ნაკვეთების გაერთიანება. ბოსტნეულის, ხილის, კარტოფილის შემოტანა უცხოეთიდან, ეს ნიშნავს, რომ ქართული აგროსფერო არის ღრმა კრიზისში. ჩვენ ვიცით, რომ კარტოფილის მოყვანა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში შესანიშნავად არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა საზღვარგარეთიდან შემოდის და ზოგჯერ საკვებად უვარგისია. ამ დროს ჩვენი პროდუქტი საგემოვნო თვისებებით ბევრად აღემატება უცხოურს. რაც შეეხება ბოსტნეულს ის კონკურენციას ვერ უწევს უცხოურს, რადგან მისი გატანა უცხოურ ბაზარზე შეზღუდულია, არა იმიტომ, რომ საგემოვნო თვისებები დაბალია, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს სათანადო ტექნოლოგიის დაცვა და შეფუთვა, რომელიც სტანდარტულად საჭიროა მსოფლიოს ბაზარზე.

– პრობლემის გამოსასწორებლად აუცილებელია ნატურალური ხასიათის მეურნეობათა გამსხვილება და ევროპული ტიპის ფერმერული კოოპერატივების შექმნა.

სოფლის მეურნეობაში შექმნილია კრიზისული მდგომარეობა:

– არ არსებობს ამ დარგის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია.

– ფერმერულ მეურნეობებში არ არსებობს შიგა დაგროვების წყაროები და შესაბამისად არ ხდება წარმოებაში სახსრების ინვესტირება.

– ფერმერული მეურნეობები მოკლებულნი არიან ვეტერინალურ, აგრონომიულ და საკონსულტაციო მომსახურებას.

– ფერმერებს არ შეუძლიათ კრედიტებით სარგებლობა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა, რის გამოც სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა თითქმის არ განიცდის განახლებას.

– სოფლის მეურნეობაში არ ხდება ქონების კომერციული რისკებისა და სხვათა დაზღვევა (ქეშელაშვილი, 2007, 42).

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ დღეს ფერმერთა საქმიანობას აფერხებს ისეთი ფაქტორები როგორიცაა სათესლე და სანერგე მასალებზე მაღალიფასები, ძნელად ხელმისაწვდომი კრედიტები, მუნიციპალიტეტებში ქიმიური ლაბორატორიის არ არსებობა, რაც ხშირად მიზეზია ნიადაგის არაეფექტური გამოკვების, მუნიციპალიტეტში სერიოზული პრობლემაა მიწის პასპორტიზაციის საკითხი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია – ის მოძველებულია და ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნილებებს. *„მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სარწყავი სისტემა. რომელიც მთლიანად მთელი კახეთისათვის წარმოადგენს უზარმაზარ პრობლემას. ამის გამო ხშირად უფუჭდებათ მოსავალი. ერთმანეთში მოსდით უკმაყოფილება, კამათი აქვთ წყალზე თუ ვისი რიგია და ვინ უნდა მორწყას თავისი ნაკვეთი. ასეთ პირობებში მოგეხსენებათ წარმატებებზე ლაპარაკი ზედმეტია. გასულ საუკუნეში (თელავის რაიონი – ლ. მ.) გაკეთდა ორი წყალსაცავი მდ. ბურსაზე და მდ. დურუჯზე, სადაც ხდებოდა წყლის დაგროვება და მისი სარწყავად გამოყენება, რაც ამჟამად აღარ არსებობს. მიწიდან ამოყარეს მილები, გაძარცვეს მთელი სარწყავი სისტემა და ჯართად გაყიდეს ყველაფერი. ამას ვერავინ ხედავდა, არავინ ისჯებოდა“ (მღებრიშვილი თელავი, 2016).*

სარწყავი სისტემის მოწესრიგება ბევრ საკითხს გადაჭრის. მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ მდინარეთა ფართო ქსელი, და შესაძლებელია წყლის რესურსის რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი გასარწყავიანდეს. ამ პრობლემების დროულად მოგვარება, კახეთის სოფელს განვითარების რეალურ პერსპექტივას გაუჩენს.

რომ დღეს ქართული აგროსექტორის განვითარებისათვის საშიშია, დოქტრინა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაჭრობის თავისუფლებაზე, რადგანაც მსოფლიო ფარგლებში შეთანხმება საშუალებას აძლევ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მსხვილ ფერმერებს გაყიდონ თავიანთი სუფსიდირებული პროდუქცია განვითარებად ქვეყნებში, შედარებით დაბალ ფასებში. ეს ლიბერალური რეჟიმი გარკვეულ პრობლემას უქმნის საქართველოს, რადგანაც მისი პროდუქცია არაკონკურენტუნარიანობით და წარმოების მცირე მასშტაბურობით ხასიათდება. ეს კი სასურველ პირობებს ქმნის მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნებისათვის.

გარდა ამისა, უცხოეთიდან შემოტანილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებით სურსათზე მოთხოვნილებების დაკმაყოლფილების პირობებში მრავალი პრობლემა წარმოიქმნება. ასეთ ქვეყნებში ბაზარზე შემოტანილი საქონლის ღირებულებაში ადგილობრივი მოსახლეობის შრომითი წილი უმნიშვნელოა (ან სრულიად არ არის), რაც განაპირობებს დისპროპორციას ბაზარზე არსებულ საქონლის საერთო ღირებულებასა და მოსახლეობის რეალური შესაძლებლობების ჯამურ მაჩვენებლებს შორის. (ჯიბუტი, 2014, 16).

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქართული პროდუქციის მსოფლიო სტანდარტებთან მისადაგება მომავლის საქმეა, რადგან მსოფლიო ბაზარზე მომხმარებელთა მოთხოვნილებების ზრდის პარალელურად, იზრდება საქონლისადმი წაყენებული მოთხოვნები. წარმოების მოძველებული ტექნოლოგიური აღჭურვილობის და მსოფლიოსტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, საერთაშორისო ბაზარზე ადგილს ვერ დავიმკვიდრებთ. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია ძველი, ტრადიციული მეურნეობის გამოცდილების გამოყენება და ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2015.
2. ბაგრატიონი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941.
3. ბენდიანაშვილი ალ., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965.
4. ბერიაშვილი ჟ., ნიადაგის ათვისების და დაცვის ტრადიცია საქართველოში, მეცნიერება, თბ., 1989.
5. ბერიაშვილი ლ., მებოსტნეობა, „ქართველები“, 2016.
6. ბრეგაძე ნ., მიწათმოქმედება, „ქართველები“, 2016.
7. გიულდენშტედტი „მოგზაურობა საქართველოში“, ტ. I, 1962, თარგმნა გ. გელაშვილმა.
8. Горгидзе А.Д., Филогенетика грузинских эндемичных пшениц, Тб., 1977.
9. გუგუშვილი პ., საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს, ტ. III, თბ., 1971.
10. „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“, გურჯაანის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2016.

11. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

12. კახეთელიძე ვ., სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების გზები, 1960.

13. კოღუაშვილი პ., ჯაფარიძე გ., სწორი აგრარული პოლიტიკა წარმატების გარანტიაა, 2015, №7.

14. „კვირის პალიტრა“, 2017, №34.

15. კვირის პალიტრა, №35, 2016,

16. კვირის პალიტრა, №46, 2017

17. თელავის რეგიონალური არქივი, ფონდი №39, საქაღალდე №20, 1983 წ.

18. თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები (თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების საინფორმაციო სამსახურის მასალები), თელავი, 2016.

19. ლაშხი კ., „ქართული ხორბალი“, „აგრარული საქართველო“, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი, №12, 2016.

20. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

21. მაკალათია ს., თუშეთი, 1983

22. Менабде В.Л., Пшеницы Грузии, Тб. 1948.

23. მასალები, კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის შესასწავლად (საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა), 1957.

21. მღებრიშვილი ლ., ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან). ახმეტა., 2015.

22. მღებრიშვილი ლ., გურჯაანის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), გურჯაანი., 2016.

23. მღებრიშვილი ლ., სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), სიღნაღი., 2016.

24. მღებრიშვილი ლ., თელავის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), თელავი., 2016.

25. მღებრიშვილი ლ., ყვარელის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ყვარელი., 2017.

26. მღებრიშვილი ლ., დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), დედოფლისწყარო., 2017.

27. მღებრიშვილი ლ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ლაგოდეხი., 2017.

28. მღებრიშვილი ლ., საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), საგარეჯო., 2017.

29. ნადირაძე ე., ქართული ლუდი (ეთნოგრაფიულლი ნარკვევები), 2009.

30. რუხაძე ჯ., სამიწათმოქმედო ყოფა, „ქართველები“, თბ., 2016.

31. ცუკოშვილი შ., ხორბლის სადემონსტრაციო ნაკვეთი შირაქში, №7, 2015.

32. საბაშვილი გ., საქართველოს სსრ ნიადაგები, 1965.

32.სოფლის მეურნეობა, – 2009. სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2010.

33. სამადაშვილი ც., გ. ჩხუტიაშვილი, ნ. ბენდიანიშვილი, „აგრარული საქართველო“,№3, 2017.

34. სონღულაშვილი ჯ., მებოსტნეობა თბილისის სანახებში, 1959

35. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

36. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2016.

37. ქეშელაშვილი ო., სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები, 2007.

38. „ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება და სტატისტიკური მონაცემები“,ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2017.

39. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ., 1996.

40. ჯალაბაძე გ., მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, „მეცნიერება“, თბ., 1986.

41. ჯიბუტი ა.,საქართველოს აგრარული პოლიტიკის საფუძვლები, თბ., 2014.

თავი XII.

მეხილეობის ტრადიციული და ახალი დარგები

ტრადიციული ხილის ბაღები: მეხილეობა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და კარგად განვითარებული დარგია. აქ არსებული მიკროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები მეხილეობის განვითარების კარგ საფუძველს იძლევა. მისი ეფექტიანობა უშუალოდ დაკავშირებულია განვითარებულ სარწყავ სისტემასთან. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით კახეთის ტრადიციული მეურნეობისათვის დამახასიათებელია ხილის შემდეგი სახეობები: ვაშლი, მსხალი, კომში, ლეღვი, ატამი, ჭერამი, გარგარი, ნუში, ტყემალი, ქლიავი, ბროწეული, ბალი, ალუბალი, თუთა, ზღმარტლი, შინდი, კაკალი, თხილი, წაბლი, ფშატი, კუნელი, კოწახური, ძახველი, ხურმა, ზეთისხილი, უნაბი (ბერიაშვილი, 2016, 275).

„საქართველოში მებაღეობის განვითარება ემყარება ველური ხილის გაშენების ტრადიციას, რომელიც წარმოაჩენს ხალხური სელექციის მაღალ დონეს და ყველა კუთხისათვის ორგანულად არის დამახასიათებელი.

ხალხური ცოდნის საფუძველზე ხილეული სამ ძირითად ჯგუფად იყოფა – თესლოვანები, კურკოვანები და კაკლოვან-ნაჭუჭიანები. დაყოფის ხასიათისა და ზრდის თვისებების მიხედვით განარჩევენ: ბუჩქებს (ჟოლო, ბროწეული, თხილი...), ნახევრად ხეებს (ნუში, ლეღვი, ზეთისხილი, ატამი, ალუბალი) და ხეებს (ვაშლი, მსხალი, კაკალი, თუთა, ჭერამი, ბალი...)“ (ბერიაშვილი, 2016, 276).

ივ. ჯავახიშვილი საქართველოში მებაღეობის კულტურის ისტორიულ მიმოხილვაში წერს, რომ წყაროთა სიმცირის გამო, ძველ საქართველოში მებაღეობის განვითარების შესახებ სრულყოფილი სურათის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ ერთ ქართულ წყაროში IV საუკუნის იბერთა მეფის მცხეთის „სამოთხეა“ (ბაღი) აღწერილი, საიდანაც ვიგებთ, რომ უკვე იმ დროს, ქართველ მეურნეს თავმოყრილი ჰქონია სხვადასხვა ნაყოფის მომცემი ხეები (ჯავახიშვილი, 1986,120-122).

XVIII საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ყოფილა ხილის მრავალი ჯიში, რომელთა აღწერასაც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „...ხილი წალკოთთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლატამა, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ქლიავი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ბალამწარა, მაყვალი, პანტა, კუნელი, ძახველი კოწახური და ბევრი სხვა“ (ბაგრატიონი, 1973,

219), ხოლო კახეთის შესახებ წერს: „ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი... უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თჳინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენით... და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს...ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა..“ (ბაგრატიონი, 1973, 525-526)

ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ცნობების მიხედვით, საბაღე ნაკვეთის შერჩევა და გაშენება მრავალი აუცილებელი პირობის დაცვას ითვალისწინებდა. მაგალითად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა – ნაკვეთის მდებარეობას, ნიადაგის ხარისხს, რწყვის საშუალებებს. ერიდებოდნენ ქვიშნარ, ჭაობიან და ქარიან ადგილებს (ბერიაშვილი, 2016, 276). განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ნერგების შერჩევას, დარგვამდე შენახვის წესებს, რაც სათანადო სპეციალიზაციას საჭიროებდა.

დოკუმენტურად დასტურდება ამ საქმის მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტების არსებობაც. პროფ. დ. პავლიაშვილს მოჰყავს XVII ს-ის I ნახ. სპარსეთში მყოფი მისიონერის პიეტრო დე ლა ვალეს ცნობა: „ბაღოსნობაში ქართველები სპარსელებზე უფრო დახელოვნებულნი ყოფილან. შირაზში შაჰ-აბასის კარზე სამუშაოდ მიუწვევიათ ბაღოსნობის დიდი მცოდნე ვინმე გიორგი, კახეთის დედოფლის ქეთევანის მხლებელი. ეს შირაზში მომხდარა, რომელიც ძველთაგანვე განთქმულია ბაღებითა და მებაღეობით“ (პავლიაშვილი, 1969, 131).

სხვადასხვა ჯიშის ხილის გასამრავლებლად საქართველოში სპეციალური სანერგეების მოწყობის ტრადიცია. მაღალი ნაყოფიერების შესანარჩუნებლად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მიწის განოყიერებას, რასაც ნაკელის საშუალებით აღწევდნენ. აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხანგამოშვებით, მიწის „დასვენებას“.

2015–2017 წლის ეთნოგრავიული მასალის მონაცემებით ტრადიციული ხილის ერთეული ნარგაობები ოჯახური მოხმარებისათვის კახეთში ყველგანაა გავრცელებული, საბაზრო დანიშნულებით ხილის მოყვანაში კი გურჯაანის მუნიციპალიტეტი ლიდერობს.

ატმის წარმოების მხრივ კახეთი წამყვანი რეგიონია საქართველოში, კახეთში კი გურჯაანის მუნიციპალიტეტი. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ტრადიციული მეხილეობიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია თესლკურკოვანი ხილის წარმოება, მათ შორის წამყვანი კულტურებია: ატამი, ნექტარინი (ვაშლატამა), გარგარი და ვაშლი. მათ შორის ატმისა და ნექტარინის საერთო ფართობი მოიცავს 3 781 ჰექტარს. მუნიციპალიტეტში ძირითადად ატმის 8 ჯიშია გავრცელებული. ვაშლატამას კი – ოთხი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯიშების სახელწოდებები, ბოლო დრომდე მოიხსენიებოდა მხოლოდ ფერმერების მიერ მოფიქრებული სახელებით, მაგრამ მოგვიანებით სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოიძიეს მასალები, რომელთა მიხედვით დადგინდა ამ ჯიშების სახელწოდებები. ესენია: ატმის ჯიშე-

ბი – საკონსერვო საადრეო, ამსდენი, რედჰეივანი, კრიმჩატი, ელბერტა, ყვითელი გვიანეულა, ქონელა. ნექტარინი (ვაშლატამა) – სტატ დელიშესი, კალდზი – 2000, სტატ რედგოლდი, მოსიანი. აღნიშნული ჯიშების სიმწიფის პერიოდი იწყება ივნისის პირველი რიცხვებიდან და გრძელდება აგვისტოს შუა რიცხვებამდე (გურჯაანის.., 2017, 37).

ბოლო 15 წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ატმის წარმოება, რადგან კარგად იტანს კლიმატურ ცვლილებებს, იგი სიცხისა და გვალვის ამტანი მცენარეა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა 15-16 წელია. გურჯაანის ნიადაგურ-კლიმატური პირობები კი საუკეთესო პირობებს ქმნის ატმისა და ზოგადად, კურკოვანი ხეხილის წარმოებისათვის. აქაური ატამი გამოირჩევა მაღალი გემოვნური თვისებებით და ამიტომაც შიდა და საექსპორტო ბაზრებზე მაღალი მოთხოვნილებით სარგებლობს.

ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ 2015-2016 წლებში, გურჯაანში ატმისა და ნექტარინის მოსავალმა 20-25 ათასი ტონა შეადგინა (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016). როგორც რესპოდენტი მოგვითხრობს: *„კრეფას საადრეო ატმით ვიწყებთ, შემდეგ კრიმჩატი იკრიფება, მას მოჰყვება ელბერტა, რომელსაც საუკეთესო გემო აქვს. წლეულს ატმის საადრეო ჯიშები ივნისის დასაწყისშივე დამწიფდა. ჩვენი ატამი ძირითადად ყაზახეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და რუსეთში იყიდება. ზოგიც ადგილობრივ ბაზარზე გადის, ან საკომპოტე ქარხანა იბარებს. ქარხანა ნასეტყვ ატამსაც იბარებს. საექსპორტო ატამი 50-70 თეთრად ბარდება. ექსპორტიორებს ძალიან მოსწონთ ყვითელი ატამი, წითელი ზებრა და ვაშლატამა. გვიან შემოდგომით შემოდის კიდევ ერთი გემრიელი ქართული ჯიში, ვენახის ატამი. ის საუკეთესო არომატით გამოირჩევა. ეს ატამი ადგილობრივ მიწას შეჩვეული ჯიშია. ამ ჯიშის პლანტაციები არ გვაქვს, რადგანაც დღეს მოთხოვნა სულ სხვა სტანდერტებზეა* (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სოფელ ჩუმლაყს გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც გამორჩეული ადგილი უჭირავს ატმის პლანტაციების მიხედვით. *„ჩუმლაყში მიტოვებულ ნაკვეთს ვერ ნახავთ, აქ ატამი და ვენახი თითქმის თანაბრად აქვთ გაშენებული, ჩემი რესპოდენტი გადმომცემს, რომ მას ერთ ჰექტარზე ვენახი აქვს გაშენებული, ერთ ჰექტარზე ატამი და ერთ ჰექტარზეც ამერიკული ჯიშის ქლიავი. ეს ჯიში მალე არ ლპება, შიგნიდან ყვითელია“.*

„ჩუმლაყში იშვიათი შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს. თავისი გამოცდილებით იციან აგრარულ სფეროში რა უნდა მოიყვანონ, რამდენი უნდა მოიყვანონ, სად ჯობია, როგორ ჯობია და ამიტომაც კარგი მოსავალიც მოჰყავთ. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ერთ-ერთი ისეთი სოფელია, რომ, რაც აქ იწარმოება შეიძლება სხვაგან ვერ ნახოს კაცმა. ჩუმლაყში მიტოვებულ ნაკვეთს ვერ ნახავთ, ძალიან გაგიჭირდებათ, რომ ვინმეს შეკადროთ – „ნაკვეთს ხომ არ ყიდიო“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

აღნიშნულ სოფელში ჩვენ ვიყავით ოჯახში, რომელმაც საკუთარი სახსრებით შექმნა ხილის გადამამუშავებელი პატარა საწარმო, სადაც ნექტარინისაგან (ვაშლატამა) ამზადებენ ეკოლოგიურად სუფთა, წვენებს, სოუსებს, ტყლაპებს და სხვ. ასევე ერთ ჰექტარზე გაშენებული აქვთ ამერიკული ჯიშის ქლიავი რომელიც სპეციალურად აქვთ შერჩეული, რადგანაც საჩირედ ძალიან კარგია, მალე არ ლპება, შიგნიდან ყვითელია და აქვს საუკეთესო გემო, მისგან ჩირს ამზადებენ, აქვთ ჩირის საშრობი აპარატი. როგორც ჩანს, ოჯახი ძალიან პროფესიონალურად უდგება ამ საკითხს: *„ქლიავის შრობა და საერთოდ, შრობის პროცესი მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომ არ უნდა დაკარგო ის ფერმენტები, რაც ხილშია. მაგალითად, ვიტამინები, ხილი 49 გრადუსზე უნდა გამოაშრო, გააჩნია რომელ ხილს აშრობ, ზოგი შეიძლება 56 გრადუსზე გააშრო. თან არც ბუზი ეხვევა, დახურულია, გამოიღებ და სპეციალურ კონტეინერებში შეინახავ. აქ შენახული ჩირი ორი წლის მერეც ვარგისია. შაქარწყალში არ ვატარებ, რასაც ბევრი მწარმოებელი მიმართავს. ვთვლი, რომ ხილში არ არის რეკომენდირებული შაქარი, რადგანაც ნატურალურობას კარგავს, კალორიებს მატებს და დიაბეტიანებს არ ეჭმევათ, ზოგიერთი საღებავსაც კი ამატებს, რომ მეტი მიმზიდველობა შესძინონ, ჩემთვის ეს მიუღებელია“* (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

ატმის გარდა კურკოვანი ხეხილიდან მუნიციპალიტეტში გაშენებულია, გარგარი, რომლის ნარგავების ფართობი 83 ჰექტარია. ამ ბოლო დროს მასზე მოთხოვნილება გაზრდილია და ბევრმა ფერმერმა დაიწყო მისი გაშენება.

არანაკლები ფართობები აქვს დათმობილი ატმის ბაღებს თელავის მუნიციპალიტეტში. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების თანახმად ატმის პლანტაციები გაშენებულია 1088 ჰექტარზე. მიღებული მოსავლის 100% გამიზნულია გასაყიდად. ატმის მოსავალი იმდენად მაღალია, რომ ადგილობრივი ბაზარი მის ათვისებას სრულად ვერ ახდენს, ამიტომ ცდილობენ მის ექსპორტზე გატანას, ნაწილი აზერბაიჯანში და სომხეთში გააქვთ ამ ქვეყნის მოქალაქეებს და ინახავენ მაცივარში (ამ ქვეყნებში განვითარებულია სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობები, ინახავენ და მერე დაბალანსებულად აწვდიან ბაზარს, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კახეთში წარმოებული ატმიდან, ისინი უფრო მეტ მოგებას ნახულობენ). 2014 წელს კახეთიდან ატამი რუსეთის ბაზარზეც გავიდა.

სუბტროპიკული ხილიდან გურჯაანის მუნიციპალიტეტში გვხვდება: ხურმა, კარალიოკი და ბროწეული. იაპონური ხურმა საქართველოში დაახლოებით 100 წლის წინ შემოიტანეს. ეს სუბტროპიკული ხილი საკმაოდ მაღალი მოთხოვნილებით ხასიათდება მეზობელი ქვეყნების საექსპორტო ბაზარზე (რუსეთი, სომხეთი). ის, წარმოების თვალსაზრისით, რენტაბელურ კულტურას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ფერმერთა გარკვეული ნაწილი ბოლო წლების განმავლობაში დაინტერესდა მისი გაშენებით (გურჯაანის.., 2017, 38).

ხილის სხვა ჯიშებიდან ძირითადად გავრცელებულია: ბალი, ალუბალი, ქლიავი, ნუში, კაკალი, თხილი. ადგილობრივ ბაზრებზე ამ პროდუქციის

მოთხოვნა ყოველთვის იყო მაგრამ ბოლო დროს თანდათან უფრო მოთხოვნადი ხდება. ამიტომ მსხვილი ფერმერები დაინტერესდნენ ამ ხეხილის ბაღების გაშენებით, რაც ხელს შეუწყობს მეხილეობის წარმოების გაზრდას აღნიშნულ რეგიონში. აგრეთვე გაჩნდა მოთხოვნილება გადამამუშავებელი და სამაცივრე საწყობების აშენების.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში გვხვდება ისეთი ხეხილის ნარგავები, რომელიც კარგად არის შეგუებული ადგილობრივ კლიმატს, აქ გავრცელებულია: ალუბალი, ატამი, გარგარი, ვაშლი, კომში, ლიმონი, მანდარინი, მსხალი, ქლიავი, ფორთოხალი. ლიმონი იმდენად კარგად ხარობს ამ მხარეში, რომ ბევრს აქვს დიდი ლიმონარიუმები გაშენებული.

ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანში კი საუკეთესო ბალი მოდის. როგორც გადმოგვცეს: *„ამ სოფელს ბალღოჯიანი იმიტომ დაერქვა, რომ აქ სადედე მწარე ბალი მრავლად იყო და მასზე ხალხი ჯიშიან ბალს ამყნობდა. ერთმა ადგილობრივმა მოგვიყვა, რომ მწარე ბლის ძირზე, გოგრა ბალი დაუმყნია და საუკეთესო ბალი მოისხა. თან ძალიან მსხმოიარე ბალი ყოფილა“ (მღებრიშვილი, ლაგოდეხი, 2017).*

რაც შეეხება კომშს... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სასარგებლო ხილია, ამ ბოლო დროს თითქმის გადაშენების პირზეა მისული. მიზეზი – სელექციური მუშაობის დეფიციტია. კომშის ახალი ჯიშის გამოყვანა აღარ ხერხდება. ტრადიციულმა ჯიშებმა კი შეცვლილ კლიმატს თუ დაავადებებს ვედარ გაუძლო და გადაშენების პირზე მივიდა. ახლა მთელი სოფლები რომ შემოიაროთ, სადაც კომში ტრადიციულად ხარობდა, მას აქა-იქ თუ შეხვდებით. არადა კომში ძალიან კარგად ხარობს ამ მხარეში. „დაინერგე მომავლის“ ფონდის დახმარებით, ფერმერმა რობიკო იაშვილმა ახმეტის რაიონში 20 ჰექტარზე გააშენა კომშის ბაღი.

რესპონდენტი მოგვითხრობს: *„ბაღში, პირველ რიგში სარწყავი სისტემა მოვაწყე, რაც აუცილებელია ხეხილის მსხმოიარობისათვის, ხეხილის განაყოფიერებისათვის მხოლოდ ნაკელს ვიყენებ. ყოველ სამ წელიწადში უნდა ნაკელის შეტანა, რომ მიწა არ გამოიფიტოს. კომშის ხეების ქიმიურად შეწამვლის წინააღმდეგი ვარ, სარეველა ბალახსაც თოხით ვაშორებ და არა ქიმიური წამლებით. ჩემთვის მოგებაზე მეტად მნიშვნელოვანია ის რომ, ადგილობრივ ბაზარზე შემოტანილი უხარისხო პროდუქცია, ეკოლოგიურად სუფთა, ქართული პროდუქციით ჩავანაცვლოთ* (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015).

მეხილეობის განვითარებისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტებში იყოს სამაცივრე-სასაწყობე მეურნეობები, რათა ფერმერებმა შეძლონ პროდუქციის შენახვა და შემდეგ დაბალანსებულად ბაზარზე მიწოდება. გარდა ამისა, როგორც დასტურდება, მოწეული მოსავლიდან 20% არასტანდარტულია. აქედან ნაწილის რეალიზაცია ხდება მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, შედარებით დაბალ ფასად. დანარჩენი კი პლანტაციებში რჩება. ვერ ხერხდება მისი რეალიზება. სწორედ ამ მორჩენილი პროდუქტის გადასამუ-

შავებლად საჭიროა აშენდეს ხილის საკონსერვო გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც აღნიშნული ნედლეულით დაამზადებენ ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნად პროდუქციას – წვენებს, ჯემებს და ა. შ. (გურჯაანის..., 2016, 54).

აღნიშნული მიმართულებით ინვესტიციების განხორციელება მნიშვნელოვანი მასტიმულირებელი ფაქტორი იქნება მეხილეობაში ხეხილის ბაღების გაშენების და კულტურათა გამრავალფეროვნებისათვის.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე: ნიადაგზე, კლიმატზე, სეზონზე, ნარგავებისათვის გამოყოფილი მიწის მდებარეობაზე და ა.შ. და ა.შ. მეხილეობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს სწორად ხეხილის ბაღების დაგეგმარება და მეცნიერულ დონეზე იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ ამა თუ იმ ტერიტორიაზე კონკრეტულად რომელი მცენარე უნდა გაშენდეს. როგორც წესი, ხილის წარმოება მაღალ რენტაბელურია იმ მეურნეობებში, სადაც მათი ნარგავების ფართობი კონცენტრირებულია. ასეთ მეურნეობებში ხილის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ფარავს მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს და უზრუნველყოფს რენტაბელობას. იმ მეურნეობებში კი სადაც ხილის ნარგავები გაფანტულია და არსებობს არა პლანტაციების, არამედ ცალკეული ნარგავების სახით, დაბალია მოსავლიანობა, გაფანტულობის გამო შეუძლებელია სამუშაო პროცესების მექანიზაცია და ხელი ეშლება სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას. ასეთ პირობებში მაღალია ფულადი და შრომითი დანახარჯები, ხოლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს მის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს. ასეთ დროს საჭიროა, მსხვილი, კლასიკური ტიპის ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება (ძველის აღდგენისა და ახლის ჩამოყალიბების გზით) უნდა გაშენდეს ინტენსიური ხეხილის ბაღები. მეხილეობის ზონებასა და რაიონებში უნდა შეიქმნას მეხილეობის სამრეწველო კომპლექსები (ანუ მეურნეობა-ქარხნები). მეურნეობა-ქარხნებს სასურველია მიუერთდეს თავიანთი სანედლეულო ზონის მეხილეობა-მებოსტნეობის ფერმერული მეურნეობები. აუცილებელდია ორგანიზება გაუკეთდეს ხილის წარმოების, დამზადების, გადამუშავების და ხილის საექსპორტოდ გაგზავნის ორგანიზაციას (ჯიბუტი, 2014, გვ. 131-133).

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დღეს გლეხი თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებს ვერ ფლობს, ძირითადად რგავს ისეთი კულტურას, რომელიც 5-7 წლის შემდეგ იძლევა მოსავალს. ეს იწვევს გლეხის ფინანსურად გაღატაკებას. მუნიციპალიტეტებში შექმნილი სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები მზად არიან გლეხებს ყველა საკითხში გაუწიონ დახმარება, კონსულტაცია გაუწიონ, მაგრამ როგორც ეთნოგრაფიული მუთაობით დადასტურდა, სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა მათი მომსახურებით არ სარგებლობს, ურჩევნია მამა-პაპური წესით აწარმოოს საქმიანობა. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა მცირემიწიანია და კომერციული დანიშნულებით

დიდი რაოდენობის ხილს ვერ აწარმოებს. დიდი პრობლემა მეხილეობის განვითარებაში არის სარწყავი სისტემის მოუწესრიგებლობა, ხშირად გლეხები ვერ ახერხებენ ხეხილის მორწყვას გვალვების პერიოდში, რის გამოც ან ნაწილობრივად, ან მთლიანად უფუჭდება მოსავალი.

ზოგადი პრობლემა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კი არის ის, რომ ადგილობრივი ბაზრები გაჯერებულია უცხოეთიდან ბაჟის გარეშე შემოტანილი იაფი პროდუქციით, მათ შორის ხილით, რაც უარყოფითად აისახება ქართველ ფერმერთა, განსაკუთრებით კი მცირემიწიანი გლეხების ეკონომიკურ შემოსავალზე. მაგალითად, მოსავლიან წლებში, როდესაც სოფლის მეურნეს ამინდიც კარგი შეესწრო, შესაბამისად ხილის კარგი მოსავალიც მოიწია, ასეთ დროს პრობლემად რჩება პროდუქციის გასაღება, რამდენადაც უხვად შემოტანილი უცხოურ ხილი, ადგილობრივი ხილის ფასს იმდენად დაბლა სწევს, რომ დანახარჯებსაც კი ვერ ანაზღაურებს. ამის გამო ზოგჯერ უწევთ მოსავლის გადაყრაც კი, ან პირდაპირ ხეზე დატოვება.

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად ატმის პლანტაციებია გაშენებული კახეთში, მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის მიხედით ბოლო დროს კარგი პერსპექტივა გამოიკვეთა ლეღვის პლანტაციების გაშენებისათვის. ცნობილია კახური ლეღვის მაღალი ხარისხი და გემური თვისებები (ბერიაშვილი, 2016, 278). ჩვენს მიერ, კახეთში, 2016-2017 წლებში საველე მუშაობისას დავადასტურეთ დიდი მოთხოვნილება ლეღვზე, რამაც ადგილობრივ ფერმერებს, ვისაც აღნიშნული ხილი აქვს დარგული, დიდი შემოსავალი მისცა, ამან სოფლის მცხოვრებთ გაუჩინა მოტივაცია, რომ თავიანთ მცირე ფართობზე გააშენონ ლეღვის პლანტაცია.

§ 1. ხილის პერსპექტიული დარგეები კახეთში

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ბოლო დროს დიდი ყურადღება ექცევა ახალი კულტურების დანერგვას კახეთის რეგიონში.

ფისტა. ფისტა ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული კაკალია, რომელზედაც სხვადასხვა ქვეყნებში მზარდი მოთხოვნაა. რადგანაც, ფისტას აქვს როგორც საკვები, ასევე დიდი ფარმაცევტული ღირებულება. საქართველოში ამ ხილის გაშენებით ძირითადად საზღვარგარეთელი ინვესტორები ინტერესდებიან.

„ფისტა საქართველოში ოდითგანვე ყოფილა გავრცელებული. ის მოხსენიებულია „ხილთა ქებაშიც“. ამაზე მიუთითებს ქართულ ენაზე არსებული სინონიმების სიმრავლეც (ფსტა, ბუსტუღი, ფისტილი, ფუსტული) (ამაზე საუბარია თეიმურაზ მეფის წიგნში „ხილთა ქება“). სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში გადაშენებულა და დღეს უკვე ეს კულტურა აღარაა შემორჩენილი.

სულხან-საბას ლექსიკონში ვკითხულობთ: ფისტა (ხე) თურქო(ა) ენაა, ქართულად ბუსტუღი ჰქვიან (ორბელიანი, 1993).

ფისტას ბაღების მოშენებას საქართველოში უცხოური კაპიტალით შექმნილი საერთაშორისო საინვესტიციო კომპანია „არიკ ჯგუფი“ ახორციელებს. საქართველოს კლიმატური პირობები ფისტას წარმოების შესაძლებლობას იძლევა. „არიკ ჯგუფს“ დაგეგმილი აქვს 1000 ჰექტარზე ახალი ადგილობრივ კლიმატზე მორგებული ფისტას პლანტაციების გაშენება. იგეგმება აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტების გადამზადება და მათ რეგულარულად ჩაუტარდებათ სემინარ-ტრენინგები.

მაგალითად, იორმუღანლოში (გურჯაანის რაიონი), ფისტა დარგეს უკვე ირანელმა ბიზნესმენებმა. ახლო მომავალში მეურნეობის ტერიტორიაზე თხილის და ფისტას გადამამუშავებელი ქარხნების აშენებასაც აპირებენ. წარმოებული პროდუქცია, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის ბაზრებზეც გაიყიდება

ფისტას წარმოებამ ქვეყანას მნიშვნელოვანი მოგება შეიძლება მოუტანოს. გარდა ამისა ეს კულტურა საუკეთესო ეროზიის საწინააღმდეგო მცენარეა. საქართველოში კი ამგვარი ტერიტორიები მრავლადაა. გარდა ამისა, მას განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. ის უფრო ძვირია, ვიდრე კაკალი და თხილი, ამიტომ მისი მოყვანა მეტად მომგებიანია. ფისტის ფასების დაცემა მოსალოდნელი არასოდეს არაა.

საქართველოში ფისტას პლანტაციების გაშენებას 1930-იან წლებში „ცეკავშირი“ ცდილობდა. სამწუხაროდ, ამ წამოწყებას 1937 წლის რეპრესიებმა შეუშალა ხელი. 1995 წელს ფისტის მოშენების საკითხი, ფარმაცევტული მიზნებისათვის დასვა ლალი დათეშიძემ და პირველი ექსპერიმენტიც ჩაატარა. ექსპერიმენტი ერთ-ერთმა პირველმა ფისტის კაკლის წარმოებისათვის, ფერეიდნელ ქართველთა კონსულტაციის გიორგი ალავერდაშვილმა ჩაატარა. 2009 წელს კი მისი უწმიდესობის კურთხევით, სამუშაოები ფისტის კულტურის აღდგენის თანამედროვე ტექნოლოგიების დასამუშავებლად წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ჩატარდა. ამჟამად უკვე შეინიშნება ფერმერების დაინტერესება ამ კულტურით. ქვეყანას ნამდვილად გააჩნია იმის პოტენციალი, რომ ბაზარზე ქართული წარმოების ფისტაც გამოჩნდეს, ვინაიდან მისი მოყვანა საკმაოდ ხელსაყრელია.

ზეთისხილი. ზეთისხილი საქართველოში უკვე XIX საუკუნის დასაწყისში შემოუტანიათ. გაშენებული იყო კახეთის ზონაში, კერძოდ, ბოდბეში. კომუნისტების დროსაც იყო მცდელობა გაეშენებინათ წნორში ზეთისხილის პლანტაცია, ნერგებიც ჩაყარეს, მაგრამ შემდეგ მიატოვეს ეს საქმე. ახლა კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, თურქეთის მოქალაქემ, ეთნიკურად ქართველმა, მამია დუმბაძემ ჩაუყარა საფუძველი ამ კულტურის გაშენებას. მას ქართველი პარტნიორებიც ჰყავს. ნერგები თურქეთიდან შემოაქვთ. ზეთისხილი პირველ ნაყოფს ხე მესამე წელს იძლევა.

სიღნაღის რაიონის სოფ. საქობოში ქართული ზეთისხილის გადამამუშავებელი პირველი ქარხანაც გაიხსნა. საწარმო ჰოლანდიურ-თურქული ინვესტიციით, პროექტ „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ ფარგლებში შეიქმნა. პროექტი ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ განახორციელა.

კომპანია „ჯეოლაივის“ კოორდინატორი ალექსანდრე ჩახნაშვილის ინფორმაციით, საქობოსა და მაშნაარში, ზეთისხილის ბაღები 8 ჰექტარზე აქვთ გაშენებული და კიდევ 40 ჰექტარზე აპირებენ გაშენებას. ზეთისხილს მოსწონს ქვიანი და მშრალი ნიადაგი. კახეთში ზუსტად არის შესაფერისი მიკროკლიმატი, რომ ეს კულტურა გაშენდეს. განსაკუთრებით ხელსაყრელი ნიადაგებია, სიღნაღის, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში. საქობოში აპირებენ ქარხნის აშენებას და ჯიშების ადგილზე გამოყვანას. გარდა ამისა, გეგმავენ გლეხებსაც შესთავაზონ ნერგები განაშენიანებისათვის, კონსულტაციებს კი ფირმა „ჯეოლაივი“ გაუწევს.

სოფელ ტარიბანაში, ზეთისხილი 100 ჰექტარზეა გაშენებული. ნერგები ძირითადად შემოტანილია, მაგრამ ახლო მომავალში იგეგმება ქართული ჯიშების გახარება და გაშენება, რადგანაც ქართული ჯიშები ბევრად ჯობია თურქულს. (http://agrokavkaz.ge/).

თხილი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც კაკლოვან-ნაჭუჭიანების კულტურებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

თხილის გაშენება და მოვლა სხვა კულტურებთან შედარებით იაფია. იგი ხანგრძლივი შენახვის უნარიანობით, ტრანსპორტაბელურობითა და მაღალი კვებითი ღირებულებით ხასიათდება. თხილის გაშენება, მოყვანა რეგიონში ძირითადად მცირე, გლეხურ მეურნეობებში ხდებოდა ერთეული ნარგაობის სახით. თხილის გაშენების ბუმი დაახლოებით 5 წელია რაც დაიწყო. ამჟამად თხილი მოჰყავთ თითქმის ყველა სოფელში. თხილის დიდი პლანტაციები გაშენებული აქვს შპს „დორანს“ სოფელ მატაანსა და ქორეთში, ასევე ქ. ახმეტაში ამ ფირმას აქვს თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც შეუძლია დღეში 10 ტონა თხილი გადაამუშაოს (ახმეტის.., 2015, 63-64).

მსოფლიო ბაზარზე თხილზე არსებული დიდი მოთხოვნის გამო მაღალი და მზარდი ფასიდან გამომდინარე, მოსახლეობის მხრიდან დაინტერესებამ მოიმატა. მიმდინარეობს ახალ-ახალ ფართობებზე მისი გაშენება. თხილის მოშენება განსაკუთრებით მისაღებია მცირე მიწიანი ფერმერებისათვის, რომლებსაც ნაკვეთები დანაწევრებული აქვთ და არ გააჩნიათ ფინანსური შესაძლებლობები.

საველე-ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტში მრავალწლიანი კულტურებიდან პრიორიტეტულია თხილის წარმოება. ბოლო წლებში კახეთში უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურა ფიქსირდება, სარწყავი სისტემის გაუმართაობის გამო ისეთი კულტურა, რო-

გორიცაა სიმინდი ვეღარ ასწრებს შემოსვლას, ამიტომ, საველე ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, მცირემიწიანი ფერმერებისათვის გამოსავალი თხილის პლანტაციის გაშენებაა (მღებრიშვილი, ყვარელი, 2017).

მითუმეტეს, რომ დადასტურებაა 2016 წელს, რთული კლიმატური პირობების მიუხედავად თხილის უხვი მოსავალი, 2145 ტონა მიიღეს. ყვარელში თხილის საჰექტარო მოსავლიანობამ შეადგინა 1,5-1,7 ტონა, ამიტომ ინტენსიურად მიმდინარეობს თხილის გაშენება. „მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თხილის გადამამუშავებელი საწარმო, რომელმაც 2016 წელს ევროპულ ბაზარზე გაიტანა 250 ტონა თხილი. 2015 წელს სოფელ ახალსოფელში აშენდა და ფუნქციონირებს თხილის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც დასაქმებულია 40-ზე მეტი მუშახელი“ (ყვარლის.., 2017, 12).

გარდა ამისა თხილის რეალიზაციის პრობლემა მოსახლეობის წინაშე არ დგას, გამომდინარე იქიდან, რომ დიდია მოთხოვნა კერძო ჩამბარებლების მხრიდან. თხილის მყიდველები თვითონ მოდიან ადგილზე და მას უპრობლემოდ იბარებენ. თხილის გადამუშავება პრაქტიკულად უნარჩენო წარმოებაა.

მოსახლეობა ძირითადად მრგვალ, ქართული ჯიშის თხილს აშენებს. ინფორმატორის თქმით *„თხილი ძალიან მომგებიანი პროდუქტია. ყურძენთან შედარებით. ყურძენს იმდენი შრომა და წვალება უნდა და ჩაბარების დროს კი 50-60 თეთრს იხდიან, თან უნდა ეხვეწო. თხილზე კი – თვითონ მოდიან და გეხვეწებიან 1 კგ-ში 6 ლარს იხდიან. თხილის ფასი უცხოეთში 10 ლარამდე ადის. თანაც მუდმივად მზარდია. ამ ბოლო დროს კახეთში ბერძნული თხილის გაშენებაც დაიწყეს. ის მოგრძო ფორმისაა და საუკეთესო გული აქვს. ჩვენი თხილი თუ ღირს 6 ლარი, ბერძნული – 15 ლარი ღირს“ (მღებრიშვილი, ყვარელი, 2017).*

ჯუჯა კაკალი. კაკალი მიჩნეულია ერთერთ წამყვან კულტურად საქართველოში და მათ შორის კახეთის რეგიონში. ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი კაკლის კულტურისადმი. როგორც დასტურდება, კაკლის ბაღები დღეს საუკუნის ბიზნესია.

„კაკალი რომ მეტად მომგებიანი კულტურაა, არ არის მალფუჭებადი პროდუქტი, სეტყვის შემთხვევაში, სხვა კულტურებთან შედარებით, გამძლეა და ნაკლებად ზიანდება, ვიდრე სხვა ხეხილი ან ნებისმიერი კულტურა“ (მღებრიშვილი, ყვარელი, 2017). კახეთის რეგიონში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების პირობებში კაკლის კარგი მოსავლის მიღებაა შესაძლებელი. მეტ ფართობზე კაკლის ბაღების გაშენებით და მოვლა-პატრონობის თანამედროვე ტექნოლოგიური სქემების გამოყენებით.

გარდა ამისა, მსოფლიოში ამ პროდუქტზე მზარდი მოთხოვნაა და მსოფლიო ბაზარს ვერ აკმაყოფილებს კაკლის ის რაოდენობა, რაც დღეს იწარმოება.

ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარულია ე. წ. **ჯუჯა კაკალი**. გურჯაანის მუნიციპალიტეტში პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში გაშენდა

ჩანდლერის ჯიშის კაკლის ბაღები. ეს ჯიში ხასიათდება მაღალმოსავლიანობით. ერთ ჰექტარზე მიწის ნაკვეთზე დაახლოებით 2-3 ტონა კაკლის მოკრეფაა შესაძლებელი. ერთი კილოგრამი კაკლიდან გამოდის ნახევარი კილოგრამი სუფთა ნიგოზი.

ჩუმლაყში 40 გექტარ ფართობზე გაშენდა ჯუჯა კაკლის ბაღები. დაირგო 9000 ხუთასი ნერგი. ერთი ნერგის ფასი 7 დოლარია. მოსავალს დარგვიდან მესამე წელს იძლევა. თუმცა ეს კაკალი საქართველოსთვის სიახლეა და მას შესწავლა სჭირდება. მთავარი მოთხოვნა არის, ის რომ ბაღები იყოს თანამედროვე ტიპის, აუცილებელია დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები, წვეთოვანი მორწყვის სისტემები, გაიზარდოს მექანიზაციის როლი. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას და იმპორტის ჩანაცვლებას.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში იგეგმება კაკლის გადამამუშავებელი საწარმოს აშენება „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში. მათი ვარაუდით 10 ტონა კაკლის წარმოება და გადამუშავება მოხდება ამ საწარმოში. კომპანია ნედლეულს ადგილობრივი მეწარმეებისაგან შეიძენს. პროდუქცია მთლიანად ექსპორტზე იქნება ორიენტირებული.

ნუში. ნუშის კულტურა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინ ფინიკიელების წყაროებში არის აღწერილი, როგორც „მაგიდის დამამშვენებელი“ ხილი. საქართველოში ნუშის კულტურა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძირითადად სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მთისწინეთში. ნუში, როგორც საოჯახო ხე-მცენარე, თითქმის ყველა ეზოში ჰქონდათ დარგული. მას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ვახუშტი ბაგრატიონი სხვა ხილთან ერთად მოიხსენიებს, როგორც საყოველთაოდ გავრცელებულ მცენარეს.

ნუშის გვარში გაერთიანებულია 40-ზე მეტი სახეობა. საქართველოში ცნობილია ნუშის ადგილობრივი ჯიშები, როგორიცაა: გუკა, შირაქული, ძეგვური, შაქარა, თხელნაჭუჭა, ლისი და სხვა. მეტად პერსპექტიულად ითვლება ნუშის გარეული სახეობა, ქართული ნამგალა ნუში. ფოთლის ფორმის მიხედვით არჩევენ ტკბილ, საშუალო და მწარე გემოს ნუშს. საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, ვხვდებით საუკუნოვან ნუშის ხეებს.

ნუშის ხე ივითარებს ძლიერ ფესვთა სისტემას. ზრდასრული ხე 6 მეტრამდე ჩადის ნიადაგში. ამის გამოა რომ ნუშს საშუალებას აძლევს გამოიყენოს საკვები ელემენტების და წყლის ის უმცირესი მარაგიც კი, რომელიც სხვა კულტურებისათვის მიუწვდომელია. ამის გამოა, რომ ნუში გვალვაგამძლეა, ის აგრეთვე კარგად ხარობს კირით მდიდარ ნიადაგებზე, აგრეთვე მცირედ დამლაშებულ ნიადაგებზე, რამაც განაპირობა მისი ალაზნის ველებზე გავრცელება. ნუში თავისი გვალვაგამძლეობის გამო, შესაძლოა ისეთ ადგილებში გაშენდეს, სადაც სხვა კულტურების გაშენება შეუძლებელია. ამავე დროს იგი მასივების სახით შეიძლება გაშენდეს ნაკლებადნაყოფიერ, ეროზირებულ ადგილებში, როგორც დამცავი საშუალება. ასე-

ვე, მიზანშეწონილია ნუშის გაშენება ქარსაცავ ზოლებში, გზის პირებზე და სახნავად უვარგის ღრმულებში პატარ-პატარა კორომების სახით (კოხარაშვილი, 2015, 6).

2017 წელს დედოფლისწყაროში, რომელიც შეიძლება ითქვას, ყველაზე ცხელი ადგილია კახეთში, ეთნოგრაფიული მუშაობისას დავამოწმეთ ნუშის ბაღების დიდ ფართობზე გაშენება. ესპანელი ინვესტორები დედოფლისწყაროს რაიონში ნუშის კულტურას რამდენიმე ასეულ ჰექტარზე აშენებენ, ხოლო მომდევნო წლებში აპირებენ მისი ფართობის გაზრდას. ნუში ძალიან რენტაბელურად ითვლება, ის ძალიან დეფიციტური პროდუქტია, რომლის ფასიც დღითი-დღე მატულობს. ამიტომ დედოფლისწყაროში მცხოვრებმა ჯემალ კილაძემ მამა-პაპური ვენახი გაჩეხა და ერთ ჰექტარზე ნუშის ბაღი გააშენა. გასულ წელს სამთავრობო პროგრამის „დანერგე მომავალი“ დახმარებით კიდევ სამ ჰექტარზე გააშენა ნუშის ბაღი. ნუშს ჯერ-ჯერობით ადგილობრივ ბაზარზე ყიდის, თუმცა მისი საბოლოო მიზანი ექსპორტზე გატანაა (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).

რესპონდენტი მოგვითხრობს: *„ჩვენთან, კახეთში, ძირითადად, ვენახები აქვთ, მაგრამ ყურძენზე დღეს ძალიან პრობლემაა, ვერ ახერხებენ რეალიზაციას. დაბალი ფასებია, ამიტომ გავაშენეთ ნუში. მისი მოყვანა ნაკლებ ხარჯიანია. მთელი წლის განმავლობაში შეიძლება შენახვა. ჩვენი პირობებისათვის კარგია, გვალვა გამძლეა, კარგი მოსავალი იცის. სახელმწიფო გვეხმარება ნერგებით. ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი დაგვჭირდება, რომ გავიდეთ უცხოურ ბაზარზე“* (მღებრიშვილი, დედოფლისწყარო, 2017).

ნუშის ბაღების გაშენება მიმდინარეობს სხვა მუნიციპალიტეტებშიც ასე, მაგალითად, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ნუშის ბაღი გააშენეს ძმებმა არჯევანიძეებმა: *„პირველად ორწლიანი ნერგები ვიყიდეთ, შემდეგ კი „დანერგე მომავლის ფარგლებში“ პროგრამით ვისარგებლეთ და 400 ძირი ნერგი შევიძინეთ, რომელსაც ერთი ჰექტარი მიწის ფართობი ჭირდება. შემდეგში მას კიდევ 500 ძირი ერთწლიანი ნერგი დავამატეთ. ბაღი 2 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული. პირველ წელს ცოტა მოსავალს იძლევა, შემდეგ წლებში თანდათან იმატებს და ბოლოს უკვე 100% მოსავალს იძლევა. ნუში ადვილად მოსავლელი კულტურაა. არ ჭირდება ხშირი მორწყვა, შეწამვლა. საქართველოში ის დაავადებები არ არის, რომელიც შეიძლება ამ კულტურას გაუჩნდეს. სამწუხაროდ, საქართველო უმეტესად იმპორტულ ნუშზეა დამოკიდებული კონკურენციის საშუალება ჯერ არ გვეძლევა“ (მღებრიშვილი, ყვარელი, 2017).*

საგარეჯოს რაიონის სოფელ სათაფლეში მცხოვრები 70 წლის ავთო მალხაზიშვილი გულისტკივილით ყვება, რომ ერთ დროს – „სანამ ხალხი ამ სოფლიდან წავიდოდა, ნუშის ყვავილობისას გორაკიდან სოფლისთვის, რომ დაგეხედათ – ვარდნარი გეგონებოდათ. ახლა 50 კაციღა ვიქნებით. ხეები გახმა, უშუქობისა და უგზოობის გამო მოსახლეობამ ხეებიც გაჩეხა, გასათბობად გამოიყენეს. არადა რამდენიმე წლის წინ ივრის მინდვრები სავსე იყო გარეული ნამგალა ნუშით. ეს სახელი ტანმორჩილობის გამო

შეერქვა. ნუშის განსაკუთრებულობა ის არის, რომ შეუძლია ყინვასა და გაუსაძლისი სიცხის ატანა. კარგად ხარობს როგორც მთიან, ისე უდაბნო პირობებში. უცხოელები რომ მოდიოდნენ, ნუშის პლანტაციები ეგონათ და მეპატრონეს კითხულობდნენ, ვისია, მოვლა აკლიაო. არადა, ნუშის კოროტები ბუნებრივად არის აღმოცენებული. მერე კოლმეურნეობამ გაჩეხა და ზედ ვენახი გააშენა. მხოლოდ მიუდგომელ ადგილებსა და ხევისპირებს შემორჩა ნუში“ („კვირის პალიტრა“, 2017).

გარეული ნუში მწარეა, თუმცა, მის ნაყოფსაც ძალიან სასარგებლო თვისებები აქვს. გაურჩეველი ნუში 8-10 ლარად იყიდება.

რესპონდენტი განაგრძობს: „ყოველ წელს ათეულობით ნერგს ვრგავ... მარტო ჩემთან კი არა – სამეზობლოშიც. სადაც სოფელში ადგილი მომეწონება, ნუშს ჩავრგავ, გამხმარი ხანდაზმული ხის გვერდით ნერგს ვტოვებ და თითქოს გულიდან რაღაც მეშვება.

ფუტკარიც ნუშს ეტანება. ტყუილად კი არ ეძახიან ამ სოფელს სათაფლეს. აქაურ თაფლში ნახევარი ნუშის რძეა. ამიტომაც აქაური თაფლი ყველასგან განსხვავებულია. ბოლო ხანს გვალვებს იჭერს, ბუნება იცვლება, ნახევარი საქართველო მთაა, ნუში კი ერთნაირად ხარობს დაბლობშიც და მაღლობშიც. ამბობენ ქიზიყში უცხოელები ნუშის ტყეებს აშენებენო თვალუწვდენელ ფართობებზე. არადა თუ მოვინდომეთ, ჩვენებური ხალხი ნუშითაც გავიტანთ თავს“ („კვირის პალიტრა“, 2017, 16).

საყოველთაოდ ცნობილია – ნუში მეტად საჭირო და აუცილებელი პროდუქტია. უცხოეთში გამოიყენება არა მარტო ნუშის გული, არამედ – ნაჭუჭიც. როგორც ამბობენ, ნაჭუჭში უფრო მეტი სასარგებლო ნივთიერებებია ვიდრე გულში, ამიტომ ის პირუტყვის საკვებ დანამატად გამოიყენება. ნუშიდან ხდიან ეთერზეთებს, იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში, პარფიუმერიაში, ფარმაციაში გამოიყენება მისი რძე. ნუშის ფქვილისაგან ამზადებენ მაკარონს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნუშის ბაღების გაშენებას, საქართველოში, და კერძოდ კახეთში დიდი პერსპექტივა აქვს. გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში ევროპის ბაზარზე ნუშის ფასმა ძალიან აიწია, 1 კგ. ნუში 12-დან 20 დოლარამდე ღირს. შეიძლება ითქვას, რომ დროის ამ მოთხოვნას კახეთის რეგიონში კარგად აუღეს ალღო, მისასალმებელია, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება ნუშის ბაღების გაშენებით.

§ 2. კენკროვანი კულტურები

საქართველოში, კენკროვანი კულტურების მოყვანა, გაშენებას სულ ცოტა ხნის წინ თითქმის არ ექცეოდა ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნიადაგურ-კლიმატური პირობები შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა ამ კულტურების გაშენებისათვის. მოსახლეობა ძირითადად დაკავებული იყო ველური კენკრის შეგროვებით, რაც უხვად მოიპოვება

ჩვენს ტყეებში. კერძოდ მოსახლეობა აგროვებდა და დღესაც აგროვებს: შინდს, მაყვალს, მოცვს და სხვ. ამათგან შეიძლება დამზადდეს ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქცია: წვენები, მურაბები, ჩირები და სხვა.

ბოლო პერიოდში კენკროვანი კულტურების მიმართ, როგორიცაა მოცვი, ჟოლო, უეკლო მაყვალი, მოცხარი, მარწყვი, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება. პირველ რიგში ეს განპირობებულია შიდა და გარე ბაზრების მზარდი მოთხოვნით, რაც მცირე მიწის ფართობებზე საკმაოდ სოლიდურ შემოსავლის პერსპექტივას იძლევა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეისწავლა საკითხი, თუ რა მდგომარეობა იყო მსოფლიო ბაზარზე კენკროვანი ხილის მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით. აღმოჩნდა, რომ ბაზრის 40% თავისუფალია. ეს საუკეთესო საშუალებაა, რომ მწარმოებლებმა გამოიჩინონ აქტიურობა და აითვისონ თავისუფალი სივრცე. მითუმეტეს, რომ საქართველოს ბუნებრივი კლიმატი შესანიშნავია ამ კულტურების გაშენებისათვის.

დღეს საქართველოში, კენკრის მოყვანა და გაშენება სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დახმარებითაა შესაძლებელი, რომლებმაც დაიწყეს უეკლო მაყვლის, ჟოლოს, ლურჯი მოცვის და მოცხარის მაღალმოსავლიანი ჯიშების შემოტანა. დღეისათვის პროგრამა – „დანერგე მომავლის“ მხარდაჭერით, საქართველოში ეტაპობრივად და ინტენსიურად იზრდება კენკრის ბაღების ფართობები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ორ-სამ წელიწადში უკვე მიიღებენ საკმაო რაოდენობის მოსავალს. სახელმწიფოს დაეხმარებით იგეგმება გადამამუშავებელი და სამაცივრე საწარმოს მოწყობაც.

მარწყვი. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ENPARD –ის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა) დახმარება ქართული სოფლების მიმართ. კერძოდ ლაგოდეხში მისი დახმარებით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი შედიოდა საპილოტე პროგრამაში და ამდენად აქ სამივე ეტაპი განხორციელდა). 2017 წლის საველე ეთნოგრაფიული სამუშაოების შესრულებისას ჩვენ ვიყავით ერთ-ერთ ოჯახში, რომელსაც ამ პროგრამამ მარწყვის სათბური დაუფინანსა. დარეჯანაშვილების ოჯახი ცხოვრობს სოფელ ნინიგორში, როგორც მათ გადმოგვცეს ENPARD –ის პროგრამაში ჩართვამდე მათ უკვე ჰქონდათ ერთი სათბური და მოჰყავდათ მარწყვი, ხოლო მეორე უკვე ყველა პარამეტრით თანამედროვე ტექნოლოგიებით გამართული სათბური უკვე ამ პროგრამით გააკეთეს. როგორც გადმოგვცეს, კონკურსის დროს განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ, იმას თუ კონკურსანტს რა აქვს იმ მიმართულებით გაკეთებული, რომლის დაფინანსებასაც ითხოვს. რესპოდენტი მოგვითხრობს: *„როცა მარწყვის მოყვანა გადავწყვიტე, მარნეულში წავედი, რადგანაც იქ იყო ისეთი მარწყვის სათბური, როგორიც ჩვენ გვინდოდა. მარნეულის სათბური უცხოური პროგრამით დაფინანსდა და ყველაფერი გამართულად მუშაობდა. 4 ათასი მარწყვის ჩითილისათვის შევიძინე ერთი სატვირთო მანქანა ტორფი, რადგან ტორფი ძალიან ეხმარება კენკროვნებს ზრდასა და გახარებაში. გარდა ამისა, როცა მარწყვი მოგყავს,*

წვეთოვანი სისტემის გარეშე ფონს ვერ გახვალ. ამ მცენარეს წყალი ხშირად თუ არ დაუსხი, გახმება. ჩითილები გურჯაანში ვიყიდე ისეთი ადამიანისაგან, რომელიც მარწყვს კარგად იცნობს. ის პერიოდულად მოდის ჩემთან და რჩევებს მაძლევს. გარდა ამისა შევიძინე ურა და იმდენი რამე შევისწავლე, რომ მარწყვის ფოთოლზეც კი ვატყობ რა უჭირს და რა აკლია. მარწყვი ტენის მოყვარული მცენარეა. რადგანაც ჩვენთან ტენიანი ნიადაგებია, ამიტომ სათბურს ტენიანობა ზომაზე მეტად რომ არ გაეზარდოს, ნიადაგს მულჩი გავუკეთეთ. მარწყვი სათბურში პირდაპირ მიწაზე კი არა, შიგ ჩამოკიდებულ სპეციალურ მოგრძო ქოთნებში დავრგეთ. ჩვენ ესპანური მარწყვი გვაქვს და მისი ფოთლები მიწაზე კი არ უნდა დაეფინოს, არამედ ქოთნიდან უნდა გადმოეკიდოს. მარწყვს დამუშავებული ნაკელით ვანოყიერებთ, რომელსაც 3-4 დღეში, წვეთოვან სისტემაში გაყვანილ წყალთან ერთად ნარგავებს ვაწვდით. ნაკელის პირდაპირ ძირებში დაყრა არ შეიძლება. ვფიქრობ, ჩვენ სოფლის მეურნეობის საკითხებში მწირი ცოდნა გვაქვს, ხშირად ისიც კი არ ვიცით, რამ გაგვიფუჭა მოსავალი და რით უნდა ვუშველოთ.

იმის გამო, რომ თავიდან არც ჩვენ არ ვიცოდით ამ ჯიშის მოვლა, მოსავლის აღება ერთი თვით დაგვიგვიანდა, ამჟამად უკვე გავერკვიეთ და ჩვენი მარწყვი ნაწილი რომ მწიფდება, ნაწილი ყვავილობს და ასე მონაცვლეობით მიდის პროცესები. მარწყვს ყოველ მესამე დღეს უნდა დაკრეფა და აუცილებლად დილით უნდა დაიკრიფოს. მისი რეალიზაციაც არ გვიჭირს, რადგანაც დღეს ბაზარი მარწყვის კლიენტის სიმცირეს არ უჩივის *(მღებრიშვილი, ლაგოდეხი, 2017).*

ყვარელში ერთ ფერმერს „სანანდრიას“ ჯიშის მარწყვი აქვს გაშენებული. მისი თქმით ეს ჯიში კარგად ეგუება კახეთის კლიმატს და გამოირჩევა მსხმოიარობით და გემოვნური თვისებებით. „სანანდრიას“ მარწყვი მულჩზე აქვს გაშენებული. ეს მეთოდი არის ეკონომიკური, სანამ მარწყვი იცოცხლებს, მას არ დასჭირდება გათოხნა, მარგვლა. სასუქები შეაქვთ წვეთოვანი სისტემით. ასეთივე წესით მოყავთ ჟოლოც. ბოლო დროს ჟოლოს მოყვანაზე ყვარელშიც დაიწყეს ლაპარაკი. თურმე მსოფლიოს ბაზარს სერბეთი აკონტროლებს, მაგრამ ქართული ჟოლო, სერბულ ჟოლოზე ათითხუთმეტი დღით ადრე შემოდის და თანაც არა სათბურში, არამედ ღია გრუნტში. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ჟოლო სერბებზე ადრე გავიტანოთ მსოფლიო ბაზარზე (ყვარლის.., 2017,)

ფერმერებს სპეციალურ ცელოფნებში თავად გამოჰყავთ მარწყვის ნერგებიც, აქვს გაყვანილი წყლის წვეთოვანი სისტემაც, რომლის მეშვეობითაც ხდება, როგორც მორწყვა, ასევე სასუქების შეტანა. როგორც რესპონდენტი ამბობს, ის 22 ათასი ძირისგან 22 ტონა მარწყვის მოსავალს ელოდება. უახლოეს მომავალში მოცხარის გაშენებასაც აპირებს (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მარწყვის პლანტაციები ძირითადად ღია გრუნტშია მოწყობილი, ამიტომ რეკომენდებულია მისი გაშენება მოხდეს

თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, როგორიცაა ღია გრუნტისათვის ბაზო-კვლევების მოწყობა, მულჩირება, წვეთოვანი სარწყავი სისტემის გამოყენება და ა. შ. და ა.შ. გურჯაანის მუნიციპალიტეტშიც შემოტანილია, მთელი წლის მანძილზე, უწყვეტად მოსავლის მომცემი მარწყვის ჯიში „სინანდრიას“, რომელიც ადგილობრივ კლიმატს კარგად შეეგუა.

უეკლო მაყვალი. კახეთის რეგიონში დღეს შეიძლება ითქვას საკმაოდ პოპულარულია უეკლო მაყვლის პლანტაციების გაშენება, ერთი ასეთი პლანტაცია გურჯაანში გააშენა იზოლდი ქიტესაშვილმა, აღნიშნული ქალბატონი ძალიან საინტერესო პიროვნებაა, იგი პროფესიით არის ექიმი, 65 წლის, ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე, 2014 წელს შექმნა საოჯახო კოოპერატივი სოფლის მეურნეობის მიმართულებით. სხვადასხვა მიმართულებით მცდელობის მერე არჩევანი უეკლო მაყვლის პლანტაციის გაშენებაზე შეაჩერა. ამ საქმიანობის გაფართოება ურჩია ფირმა ჯიემჯის ხელმძღვანელმა მენახინ ელიზარმა. იზოლდის გადმოცემით უცხოური ფირმები ინტერესდებიან ამ პროდუქციით, მაგრამ სულ ცოტა 100 ტონა მაინც უნდა გქონდეს, რომ თანამშრომლობა შედგეს.

„ემიგრანტები მესაუბრებიან ხოლმე იტალიიდან, ამერიკიდან, მიყვებიან თუ როგორი ძვირი ღირს უცხოეთში კენკრა, როგორი სასარგებლოა და ა. შ. რომ ეს მიმართულება უფრო განვითარდება თუ სამაცივრე დანადგარებიც დამონტაჟდება და ექსპლოატაციაში შევა. კენკრა ძალიან მალფუჭებადი პროდუქტია და მისი ჩატანა ნოლგრადუსიანი მაცივრით შეუძლებელია. ის უნდა გაიყინოს მაღალტემპერატურაზე შოკმაცივრის დახმარებით. ეს არის ტექნოლოგია, სადაც უჯრედშუა სივრცეში არსებული წყალი იყინება მცირე ნაწილებად, ისე რომ არ ირღვევა უჯრედის გარსის მთლიანობა. 25 გრადუსზე შოკი ხდება. ეს არის თანამედროვე მეთოდი. ევროპის ბაზარზე კენკრა საშუალოდ ერთი კილოგრამი 20 ევრო ღირს. აი ასეთი საქმე რატომ არ შეგვიძლია ჩვენც ვაკეთოთ“ (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2017).

უეკლო მაყვლის პლანტაციის გაშენება იაფი არ ჯდება, *„მართალია ნერგი თვითონ გამოგვყავს, მაგრამ ახლის გაშენებას ფული უნდა. ერგის ფასი არაფერია, საყრდენი სისტემა უნდა, მავთული უნდა ერთი გექტრის გაშენება საშუალოდ 15 ათასი ლარი ჯდება. თითქმის ერნაირად ჯდება ვენახის და მაყვლის გაშენება, საყრდენი სისტემა ერთნაირი უნდა, ეგ არის ვენახს უფრო მეტი მოვლა უნდა. ბევრმა მოგვაკითხა ამ ერთი წლის განმავლობაში და რა კატეგორიაა დაინტერესებული?– საშუალოზე მაღალი ფენა. ესენი არიან ეკონომიკური და სოციალური და გონებრივი შესაძლებლობებით, რომლებსაც აქვთ კავშირები, მიდიან-მოდიან ევროპაში, საზღვარგარეთ, გაიკითხეს რას წარმოადგენს ეს კენკრა და მიიღეს გადაწყვეტილება“* (მღებრიშვილი, გურჯაანი, 2016).

მაგალითად, *„სანერგეც ცალკე მაქვს და ეს ნერგები მიაქვთ. მომგებიანი ბიზნესი ნამდვილად არის. ჩემთან მოვიდა ნესტორ ქურდაძე, ბიზნესმენი, ჩუმლაყში ჰქონია 17 გექტარი, 10 გექტრამდე არის ცარიელი და მინდა გავაშენო მაყვალიო“ (მღებრიშვლი, გურჯაანი, 2016).*

პროდუქციის რეალიზაცია არ უჭირს, მიაქვთ აზერბაიჯანელებს, საცდელად მოსკოვშიც წაიღესო. შიდა ბაზარიც საკმარისია ჯერ-ჯერობით *„აქედან მიქონდათ გუდვილში, კარფურში, მთელ აგრარულ ბაზარზე შარშან ივლისის თვეში ჩვენი მაყვალი იყიდებოდა“ (მღებრიშვლი, გურჯაანი, 2016).*

უეკლო მაყვალი აქვთ გაშენებული სიღნაღის რაიონში, სოფელ ილიაწმინდის მცხოვრებ ფერმერებსაც. მათი თქმით შოკმაცივრები უკვე არის კახეთში, კერძოდ, „იზოლდი ქიტესაშვილმა უკვე დაამონტაჟა მაცივრები“, პრობლემა არ არის, – „თუ გინდა მიჰყიდე, თუ გინდა შეგინახავს“ – ამბობენ ადგილობრივი ფერმერები.

დედოფლისწყაროშიც, მიუხედავად ცხელი კლიმატისა, სოფელ არხილოსკალოში მარინე წიკლაურს და მის შვილს გაუშენებიათ უეკლო მაყვლის და გოჯის კულტურები. მარინეს აზრით ეს კარგი წამოწყებაა და შემოსავლიანიც. გარდა მაყვლისა, მათ გააშენეს ახალი კულტურებიც: ფისტა, ფშატი, უნაბი. ოჯახი ცდილობს მულჩირების წესით გადაწყვიტოს მორწყვის პრობლემა.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში, უკვე მეოთხე წელია ახალგაზრდა ფერმერს, გიორგი ლაცაბიძეს გიგანტური ჯიშის უეკლო მაყვალი მოჰყავს. მაყვლისგან ღვინოც დაწურა.

ახალგაზრდა ფერმერი კვირის პალიტრას შემდეგს უამბობს: „მაყვალი მაქვს ერთ ჰექტარზე გაშენებული, თუმცა ფართობის გაზრდას ვაპირებ, რადგან არის კონკრეტული შემოთავაზება. კერძოდ მაყვლის გატანა უნდათ საზღვარგარეთ, ავსტრიასა და გერმანიაში და არც რაოდენობაა შეზღუდული. აქვთ პროდუქტის შემნახველი მაცივრები და რეალიზაცია არ გაძნელდება. გიგანტური მაყვლის გარდა, ვახარებ ნერგებსაც და ვთანამშრომლობ ფერმერებთან. ექსპორტიორებს უცხოეთში ჩემი პროდუქციის დიდი რაოდენობით გატანა უნდათ, მაგრამ სამაცივრე მეურნეობა არ გვაქვს და გაყინული სახით მის გატანას არ ვაპირებ. ველურ მაყვალთან შედარებით გიგანტური მაყვლის ჯიშს აქვს ის უპირატესობა, რომ მისი წონა 20 გრამამდეა და შაქრიანობა 15%-ი, ძალიან არომატულია და არაფრით ჩამოუვარდება ველურ ჯიშებს. გარდა ამისა, მას სამკურნალო თვისებებიც აქვს, ანტიოქსიდანტია, შეიცავს სხვადასხვა ვიტამინებს, მათ შორის დიდი ოდენობით C ვიტამინს. მისგან გამოდის შესანიშნავი მურაბა, დიდებულია მისგან დამზადებული კომპოტიც. მზადდება შესანიშნავი მაყვლის საწებელი. ხილადაც ცოცხალი სახით შესანიშნავია. ღვინის დამზადებაც ვცადე მისგან. ეს ძალიან საინტერესოდ მეჩვენა. თან ევროპაში მაყვლის ღვინო სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მაყვლის ღვინო გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. ყურძნის ღვინოსგან არ გამოირჩევა. მეტად სასიამოვნო დასალევია. მაყვლის ნახევრად ტკბილი ღვინოები ძალიან მოსწონთ არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც.

ღვინისთვის საჭიროა მწიფე მაყვლის შერჩევა. ნაყოფი აუცილებლად უნდა გადაირჩეს, რომ ჩაშაქრდეს კიდეც. ასეთ შემთხვევაში შაქრიანობა შეიძ-

ლება 22%-მდე ავიდეს, რომ დაჭყლეტისა და დადუღების შემდეგ გრადუსი მიიღოს. ღვინისთვის მაყვალი განსხვავებულადაც იკრიფება, რადგან როცა ჩვეულებრივად, გასაყიდადა იკრიფება, სიმკვრივე აუცილებლად უნდა ჰქონდეს, შესაბამისად სიტკბოს კი დაკრეფის შემდეგ იგროვებს. მაყვლის ღვინო ტოლს არ უდებს საფერავს. ვინაიდან ევროპის ბაზარზე ამ კულტურაზე დიდი მოთხოვნაა, ევროპის ბაზარი ჩვენი პროდუქტისათვის მიმზიდველად მიმაჩნია. გარდა ამისა, ეს ქვეყანას სამუშაო ადგილებს, ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს და ეკონომიკის განვითარებას ხელს შეუწყობს („კვირის პალიტრა“, 2018)

აღნიშნული კულტურის წარმოება წარმოადგენს მეტად საინტერესო და ხელსაყრელ მიმართულებას, როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან ჩანს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში კენკროვნების გაშენების სურვილი ბევრ ფერმერს აქვს. ამ საქმიანობის წარმოებას ისინი ინდივიდუალურად არჩევენ, ჯერ-ჯერობით კოოპერატივების შექმნის მცდელობა წარუმატებელია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი თავისი ადგილმდებარეობისა და ბუნებრივ-ნიადაგური პირობებიდან გამომდინარე, მაინც ლიდერია კახეთის რეგიონში მარწყვის და ზოგადად კენკროვანი კულტურების წარმოებაში. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ფერმერთა გარკვეულ ნაწილს აქვს დიდი გამოცდილება მარწყვის წარმოებაში. ასევე ტრადიციულად ქვეყნის შიდა ბაზარზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლებში წარმოებულ მარწყვს თავისი საბაზრო ნიშა უკავია, როგორც საადრეო, ისე საგვიანო ჯიშების კლასში.

როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ვარაუდობენ, დარგის უკეთ და სწრაფად განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კოოპერაცია, რათა ფერმერებს გააჩნდეთ ერთიანი მმართველი რგოლი, რაც მათ საშუალებას მისცემს მათ ისარგებლონ სხვადასხვა შედავათებით: იაფად შეიძინონ სასუქები, სამკურნალო პრეპარატები, ნერგები, მექანიზირებული აგროტექნიკა, ერთობლივად შექმნან გადამამუშავებელი წარმოება და გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. საფიქრებელია, რომ კოოპერატივების შექმნის სურვილი სოფლებში უეჭველი გაჩნდება, იმიტომ რომ სხვა გზა არ არსებობს. წვრილი ოჯახური მეურნეობების გაერთიანებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში მოხდება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ისინი მსხვილ ფერმერულ მეურნეობებთან ერთად დიდ როლს შეასრულებენ, როგორც შიდა ბაზრის ადგილობრივი პროდუქციით მომარაგებაში, არამედ შეძლებენ საერთაშორისო ბაზარზე გასვლასაც.

§. 3 XX საუკუნეში კახეთში არსებული ზოგიერთი სამეურნეო კულტურების აღდგენის პერსპექტივა

თამბაქო. სამრეწველო მეთამბაქოება კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, XIX საუკუნის 50-იან წლებში ჩაისახა. კახეთში თამბაქოს საფერმენტაციო მრეწველობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. არსებული მონაცემებით უკვე 1864 წელს კახეთში მიღებული იყო 10 ათას ფუთზე მეტი თამბაქო. სამი წლის მანძილზე თამბაქოს პლანტაციების ფართობი სიღნაღისა და თელავის მაზრებში 2,6-ჯერ (213 დესეტინიდან 560 დესეტინამდე), ხოლო მოსავალი – 4-ჯერ გაიზარდა. ლაგოდეხის რაიონი ერთ-ერთი წამყვანი მეთამბაქოეობის ცენტრი იყო. მარტო აფენის კოლმეურნეობას, საბჭოთა ეკონომიკური სისტემის დროს, ერთ ჰექტარზე 21,6 ტონა თამბაქო მოჰყავდა.

სელექციური მუშაობის შედეგად კახეთში გამოყვანილ იქნა ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული თამბაქოს ახალი ჯიში ე. წ. „ლაგოდეხური“, „ტრაპიზონი“, რომელიც დიდი მოსავლიანობითა და კარგი ხარისხით გამოირჩეოდა.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით კახეთში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაგოდეხის რაიონი თამბაქოს წარმოებით მუდამ გამოირჩეოდა. ლაგოდეხის თამბაქოს იყენებდნენ მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის ქარხნები. ამავე დროს საზღვარგარეთაც გაჰქონდათ ნაწარმი. XX საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველო ყოველწლიურად აწარმოებდა 14-15 ათას ტონა თამბაქოს ნედლეულს. აქედან მხოლოდ ლაგოდეხის რაიონი აწარმოებდა 7-8 ათას ტონას. ლაგოდეხის რაიონი არის მშრალი სუბტროპიკული ზონის რაიონი, სადაც ნიადაგურ კლიმატური პირობები იძლევა შესაძლებლობას მარცვლეულ კულტურებთან ერთად, ტექნიკური კულტურების და კერძოდ, თამბაქოს წარმოებისათვის, საიდანაც რაიონის ბიუჯეტი და მოსახლეობა დიდ შემოსავალს ღებულობდა (ლაგოდეხის..., 2017, 33-34). მაგრამ საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ საქართველოში საერთოდ, კერძოდ ლაგოდეხის რაიონში მეთამბაქოება მთლიანად მოიშალა, პლანტაციები გაპარტახდა, კადრები დაიფანტა, მდიდარი გამოცდილება – დაივიწყეს.

ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს ნედლეულის წარმოების ხელმეორედ აღდგენა შეიძლება, მაგრამ საჭიროა თამბაქოს ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ევროპულ სტანდარტების მიღწევა. ამისათვის საჭიროა უახლესი დანადგარების შემოტანა, კერძოდ, პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ ბულგარული ტექნოლოგია, თამბაქოს აუნემსავად ბალგიურიკებში გახმობა. კახეთის მოსახლეობას უნდა მივცეთ შესაძედებლობა აწარმოოს თამბაქო და მიიღოს პირდაპირ ფოთლოვანი მწვანე მასა. მერე მოხდეს მწვანე მასის ბალგიურიკებში გახმობა. ამ ტექნოლოგიების დანერგვით გამოითიშება – თამბაქოს ნემსვა, მისი მზეზე გახმობა, ხის მასალა, ხმობისთვის ცელოფანი, ავანგებად შენახვა, ხმელი

თამბაქოს სპეციალურ ყუთებში ცალებად დაპრესვა, ფერმენტაცია და ა.შ. ამით დაიზოგება დიდი რაოდენობით ხის მასალა და აღარ იქნება საჭირო თამბაქოს გაშრობისთვის ცელოფნის გამოყენება. დაიზოგება, აგრეთვე, თამბაქოს ფერმენტაციისათვის საჭირო ელექტროენერგია. აუცილებელია აგრეთვე თამბაქოს მზა პროდუქციის დასაჭრელი და დასაპრესი დანადგარები. ეს იქნება უკვე თამბაქოს მზა პროდუქცია სიგარეტის მწარმოებელი ფაბრიკებისათვის, როგორც საქართველოში ადგილობრივი ფაბრიკებისათვის ისე საექსპორტოდ გასატანად.

თამბაქოს ნაწარმზე მზარდი მოთხოვნისა და მასზე მაღალი ფასების ზრდიდან გამომდინარე, აღნიშნული წარმოების განვითარება კარგი საშუალება იქნება ინვესტორების მოსაზიდად და სამუშაო ადგილების შესაქმნელად. (ლაგოდეხის..., 2017, 34-35)

§ 4. ეთერზეთების წარმოების ტრადიცია და პერსპექტივა

ეთერზეთების წარმოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის რაიონებში XX საუკუნის 60-80-იან წლებში. ამ რაიონებში არსებული მიკროკლიმატური ზონები საუკეთესო იყო ეთერზეთოვანი კულტურების მოსაყვანად. კახეთში დამზადებული ეთერზეთები მიეწოდებოდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკას, რეგიონში ეთერზეთების რამდენიმე ქარხანა მუშაობდა, სადაც ხდიდნენ ვარდის, რეჰანის, ჟასმინის უნიკალურ ეთერზეთებს, რომლებზეც საზღვარგარეთაც კი დიდი მოთხოვნა იყო.

დიდი ტრადიციები და მდიდარი გამოცდილება აქვს ლაგოდეხის მოსახლეობას და მთლიანად კახეთის რეგიონს ეთერზეთოვანი კულტურების წარმოებაში. აქ წარმატებით მოყავდათ ისეთი ეთერზეთოვანი კულტურები, როგორიცაა ჰერანი, ბაზილიკი, ვარდი – აქ არსებული მიკროკლიმატური პირობები ხელს უწყობდა ეთერზეთოვანი კულტურების განვითარებას.

XX საუკუნის 90-იან წლებში, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ეთერზეთების სპეციალიზებული მეურნეობები, ქარხნები მთლიანად განადგურდა. მიწები კერძო საკუთრებაში გადაეცა მოსახლეობას. ეთერზეთების საწარმოებმა მთლიანად შეწყვიტეს წარმოება. თუმცა 2000 წლიდან შეინიშნება ერთგვარი გამოცოცხლება ეთერზეთების წარმოების ინტენსიფიკაციის მიზნით.

გასულ საუკუნეში, თელავის მუნიციპალიტეტში ეთერზეთების წარმოება ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენდა. ყარაჯალის ეთერზეთების მეურნეობაში 15000 ჰექტარზე იყო გაშენებული ეთერზეთოვანი კულტურები. მოსავლის გადამუშავება ხდებოდა თელავის ეთერზეთების მეურნეობა ქარხანაში, რომელიც მდებარეობდა სოფელ ნაფარეულში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეთერზეთების წარმოებას ამ სოფელში ჩაეყარა სა-

ფუძველი, 1898 წელს აქ გამოხადეს ვარდის ზეთის პირველი პარტია (თელავის..., 2016, 41). ამჟამად თელავის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 10 ჰექტარზეა გაშენებული ვარდის პლანტაცია.

აღსანიშნავია, რომ თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში კომპანია „კოპალა 1898“ გაიხსნა, რომლის პროექტი ათასწლეულის განვითარების ფონდმა დააფინანსა. შპს „კოპალამ“ აგრობიზნესის პროექტის ფარგლებში 150 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი მიიღო. ამ თანხით და ადგილობრივი ფერმერების თანადაფინანსებით 151 000 აშშ დოლარის ინვესტიციით საწარმოს განახლება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა მოახერხა. შეიქმნა ორმოცამდე სამუშაო ადგილი. კომპანია დაკავებულია დაფნის, ლავანდის და ვარდის ზეთის წარმოებით. თუმცა მათი დამზადება ჯერჯერობით მცირე რაოდენობით ხდება. (კომპანიის დამაარსებლები არიან: ნ. ბაღათურია, მ. ზიბზიბაძე, ა. კოღუაშვილი) (თელავის..., 2016).

ლაგოდეხის საკონსულტაციო საინფორმაციო სამსახურის მონაცემებით, დღეისათვის 85 ჰექტარზე დარგულია ვარდი საწარმოო დანიშნულებით. დარგის განვითარებისათვის გადადგმულია პირველი ნაბიჯები და თანადაფინანსების შემთხვევაში წარმატება ხელშესახები იქნება, მითუმეტეს ჯერ კიდევ არიან ის ადამიანები, რომელთაც ამ დარგში შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები გააჩნიათ (ლაგოდეხის..., 2017, 35).

ასევე აღსანიშნავია, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფ. ჭაბუკიანში კომპანია „გრინ ვილიჯმა“ ვარდის ზეთის წარმოება დაიწყო. „გრინ ვილიჯს“ 82 ჰექტარზე აქვს გაშენებული სურნელოვანი ვარდი. კომპანიის ხელმძღვანელი გელა ნათმელაძე გეგმავს ვარდის ზეთის გატანას ევროკავშირის ქვეყნებში.

ამ მიმართულებით სხვა მუნიციპალიტეტებშიც ინტერესდებიან, მაგალითად, კომპანია „აგრო არომა ჯგუფი“ ახმეტაში, ეთერზეთების წარმოების დაწყებას უკვე 2017 წლის სექტემბერში გეგმავდა. როგორც კომპანიის დირექტორმა, ზურაბ ნაცვლიშვილმა იმჟამად განაცხადა – ეთერზეთები ქინძის თესლისგან უნდა დაამზადოს. ნედლეულს ადგილობრივი ფერმერებისაგან შეიძენს. მას ეთერზეთების საწარმო რუსეთში უკვე აქვს გახსნილი. პროდუქცია გამიზნულია ძირითადად ექსპორტზე (მღებრიშვილი, ახმეტა, 2015).

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში დაფუძნდა კომპანია „ნუკრიანი ლავანდა“ (მენეჯერი ნელი გვაზავა). აქ იხდება ლავანდის ეთერზეთი. 70-იან წლებში ლავანდა ძალიან პოპულარული მცენარე იყო. ლავანდა იზრდებოდა თელავის რაიონშიც.

დაფნა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი მნიშვნელოვანი მცენარე – როგორიცაა დაფნა – სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი სახეობა. ძირითადად სასაქონლო პროდუქციას წარმოადგენს ტრადიციული მშრალი ფოთოლი, რომელსაც სურნელოვანი ეთეროვანი ზეთის შემცველობის გა-

მო ფართოდ იყენებენ კოსმეტიკაში, საკონდიტრო წარმოებაში, პარფიუმერიაში და სხვ. ამიტომ მასზე მოთხოვნა დიდია.

ჩამოთვლილი კულტურების აღდგენა რეგიონს დიდ ეკონომიკურ შემოსავალს მისცემს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2015.
2. ბერიაშვილი ლ., მებაღეობა, „ქართველები“, 2016.
3. „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები“, გურჯაანის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2016.
4. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973.
5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.
6. თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები (თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების საინფორმაციო სამსახურის მასალები), თელავი, 2016.
7. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.
8. მღებრიშვილი ლ., ახმეტის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან). ახმეტა., 2015.
9. მღებრიშვილი ლ., გურჯაანის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), გურჯაანი., 2016.
10. მღებრიშვილი ლ., სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), სიღნაღი., 2016.
11. მღებრიშვილი ლ., თელავის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), თელავი., 2016.
12. მღებრიშვილი ლ., ყვარელის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ყვარელი., 2017.
13. მღებრიშვილი ლ., დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), დედოფლისწყარო., 2017.

14. მღებრიშვილი ლ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), ლაგოდეხი., 2017.

15. მღებრიშვილი ლ., საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნოგრაფიული მივლინების მასალები, (ინახება ავტორთან), საგარეჯო., 2017.

16. ორბელიანი სულხან-საბა., ლექსიკონი ქართული, II,თბ., 1993.

17. კოხარაშვილი ა., ნუშის ბაღის გაშენება და მოვლა, ჟურნ. „აგრობაზისი“, №1, 2015.

18. „კვირის პალიტრა“, №16, 2017.

19. „კვირის პალიტრა“, № 7, 2018.

20. პავლიაშვილი დ., მეხილეობის ისტორიული მიმოხილვა, საქართველოს მეხილეობა (აკადემიური გამოცემა), ტ. I, თბ., 1969.

21. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2017.

22. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, 2016.

23. „ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება და სტატისტიკური მონაცემები“, ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური, 2017.

24. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. V. თბ., 1986.

25. ჩიგოგიძე ხ., http://agrokavkaz.ge/

თავი XIII.

მეცხოველეობა

საქართველოში მეცხოველეობა მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგია. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით წარმოდგენილია მეცხოველეობის ყველა ძირითადი მიმართულება: მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეთხეობა, მეცხენეობა, მეკამეჩეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მეაბრეშუმეობა და მონადირეობა. მეურნეობის ეს დარგი მოსახლეობას არა მარტო საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს, არამედ მისი ნედლეული გამოიყენება სამრეწველო და სამედიცინო დანიშნულებითაც.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეიმუშავა გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობების შესაბამისი, შინაურ ცხოველთა მოვლა-მოშენების ტრადიციული სისტემები; გამოიყვანა აბორიგენული ჯიშები: ქართული მთის ძროხა (მეგრული, ხევსურული), იმერული და თუშური ცხვარი, მეგრული თხა, კახური ღორი, თუშური (კახური) და მეგრული ცხენი, ქართული ფუტკარი, თუთის აბრეშუმხვევიას ქართული ჯიშები და სხვ. შეიძინა ბალახეულის ხარისხის, მისი მარგებელიანობა-ყუათიანობის და მოსავლიანობის ღრმა ცოდნა, რაც აუცილებელი იყო მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ისეთ საქმიანობებში, როგორიცაა საძოვრებზე ახალი საკვები ბალახის თესვა, დაზიანებული საძოვრების აღდგენა, საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების საძოვრებზე თანდათანობითი მონაცვლეობა ან საძოვრების სხვადასხვა უბნებზე ჯვარედინი მოძრაობა, მორიგეობით ძოვება და ა.შ. აღსანიშნავია საქართველოში ტრადიციული სანაშენე საქმიანობა. მოქმედებდა ხალხური სანაშენე ცენტრები, სადაც ადგილზე არსებული თუ მეზობელი კუთხეებიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული საქონლის შერჩევა-შეჯვარება და მისი მოვლა-პატრონობა ხდებოდა. ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა ხალხურ ვეტერინარულ ცოდნას.

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკურ ცხოვრებაში მიწათმოქმედებასთან ერთად მეცხოველეობას განვითარების მაღალი საფეხურისთვის მიუღწევია, რასაც ამ პერიოდის ნამოსახლარებზე უხვად წარმოდგენილი შინაური ცხოველების ძვლები მოწმობს. ამ დროს უკვე ცნობილია შინაურ ცხოველთა თითქმის ყველა ძირითადი სახეობა – მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ღორი, ძაღლი. ჯოგში მსხვილფეხა საქონელი მნიშვნელოვნად სჭარბობდა წვრილფეხას; უპირატესად გვხვდება ტანდიდი ჯიშის ხარი (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 22-23).

ბრინჯაოს ეპოქაში მესაქონლეობამ, ჩანს, ნახევრად მომთაბარული ხასიათი მიიღო. მსხვილფეხა საქონელს უპირატესად ახლომდებარე ადგილებში ამყოფებდნენ, წვრილფეხა საქონელს კი უფრო დაშორებულ საზაფხულო საძოვრებზე აძოვებდნენ. (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 31). გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მეურნეობაში წინაურდება მეცხვარეობა. წვრილფეხა საქონელი სეზონურად საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გადაჰყავდათ (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 65-66). ელინისტურ ხანაში მეცხოველეობის განვითარებას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ამავე ხანის ოსტეოლოგიური მასალა, აგრეთვე ცხოველების (წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი) მრავალრიცხოვანი გამოსახულებები ქანდაკებების სახით. მეცხენეობის ფართო განვითარებაზე მეტყველებს ცხენების სამარხების აღმოჩენა, აგრეთვე ცხენების გამოსახულებანი საკულტო ნივთებზე და ა.შ., რაშიც გამოხატულება ჰპოვა აქ ცხენის კულტის არსებობის ფაქტმა. (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 157).

საქართველოში მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობის არსებობაზე მიუთითებს IX ს. დასაწყისის (829 – 830 წწ.) არაბული წყარო. არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ხალიდ იბნ-იაზიდმა: „ხელში ჩაიგდო მათი (წანარების) ჯოგები და შემდეგ მოუწოდა ზავისაკენ; შეუთანხმდა 3000 ფაშატსა და 20000 ცხვარზე“. არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული წანარები (კახეთის სამთავრო) კონტრიბუციას ცხენებითა და ცხვრებით იხდიან. აღნიშნული გარემოება მეურნეობის ამ დარგების მაღალ განვითარებასა და იმდროინდელი კახური ცხენისა და ცხვრის კარგი ჯიშების არსებობაზე მიუთითებს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 1973, 177-178).

XII საუკუნეში მეცხოველეობა საკმაოდ განვითარებულია, ხოლო, საკუთრივ მესაქონლეობა კი მთიან რაიონებშია დაწინაურებული. საქონლის ჯოგი ფეოდალის მეურნეობის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ამ პერიოდის საქართველო განსაკუთრებით განთქმული იყო საუკეთესო ჯიშის ცხენებით, რაც ექსპორტის საგანი იყო, ექსპორტზე გაჰქონდათ აბრეშუმიც (საქართველოს ისტორია, II, 2012, 315). საქონელი დიდი რაოდენობით ჰყავდა ეკლესია-მონასტრებს, რაც მათთვის ფულადი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა. მონასტრები საგანგებოდ ეწეოდნენ საქონლის მოშენებას გაყიდვის მიზნით. ამავე პერიოდში ასევე დაწინაურებული იყო მეცხვარეობაც. მატყლი ფართო ვაჭრობის საგანი იყო. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, 65). აბრეშუმი, თევზი, ყველი, ერბო, ცხვარი, მატყლი, და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები რომ ექსპორტისა და იმპორტის საგნებს წარმოადგენდა, ეს როსტომ მეფის 1639 წლის განწესებიდანაც ირკვევა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 115).

XIX ს-ის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად საშინაო და საგარეო ბაზრებს აწოდებდა 9-10 მლნ. მანეთის მესაქონლეობისა და მეფრინველეობის პროდუქტებს, 1–1,2 მლნ. მანეთის აბრეშუმს და სხვა, XX საუკუნის 10-იან წლებში კი 12-13 მლნ მანეთის მესაქონლეობისა

და მეფრინველეობის პროდუქტებს და 2-3 მლნ მანეთის აბრეშუმს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, 248; ტ. VI, 1972, 93).

რასაკვირველია, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში საქართველოში მეცხოველეობის განვითარება და მისი მდგომარეობა ერთგვაროვანი არ ყოფილა; იყო გარკვეული ჩავარდნები, განსაკუთრებით, საქართველოს ძნელბედობის პერიოდებში, მაგრამ მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგში ქართველი მეურნის მიერ შემუშავებული ტრადიციული სისტემა, დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მისი აღორძინების და განვითარების მყარი საფუძველი იყო.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარების მაღალ დონეზე მესაქონლეობის ფორმების მრავალფეროვნება მიუთითებს. ეს ფორმები – ბარული, მთური, მთაბარული (transhumanse) და მომთაბარული, მისადაგებულია საქართველოს ლანდშაფტურ-კლიმატურ თავისებურებებთან და ოდითგანვე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს სოფლის ტრადიციული მეურნეობის განვითარებაში.

ბარული მესაქონლეობა საქართველოს ბარში წარმოდგენილი იყო დამხმარე მესაქონლეობისა და მოძრავი, ექსტენსიური საკარვო მეურნეობის სხვადასხვა სტაციონარული ბაზებით (შამილაძე 2016, 284). მესაქონლეობის ეს ფორმა გულისხმობს სასოფლო მენახირეთა ზედამხედველობის ქვეშ გაერთიანებული საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების სეზონურ მონაცვლეობას სოფლისშიგა და ახლომდებარე საძოვრებზე, ტყეებში, სახნავ-სათესებზე, ანეულზე და სხვა გასადევარზე. ზამთრის გარკვეულ თვეებში, სოფლად, ბაგური კვების პირობებში შენახვით. შესაბამისად, აღმოცენდა მეურნეობის ამ ტიპის გაძღოლის მრავალფეროვანი ფორმები, რომელიც მუშა და მერძეული საქონლის მოვლა-პატრონობისა და ექსპლუატაციის რთულ კომპლექსებს შეიცავდა და ბარული ინტენსიური მეურნეობის წამყვან დარგებთან შერწყმისა და შეხამების რაციონალურ სისტემას ქმნიდა (მას. საქ. შინ... 1986, 7). ამ სისტემაში ყურადღებას იპყრობს სოფლის სახნავ-სათეს სავარგულებში გამართული ბერას კომპლექსები, სადაც რამდენიმე ოჯახის მეწველი საქონლის გაერთიანებულ მოვლა-პატრონობას საოჯახო მოთხოვნილებისათვის დამხმარე მეურნეობის სახე გააჩნდა (შამილაძე, 2016, 284). ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „შიდა კახეთში წველის სეზონის დადგომისთანავე სოფელში შეიქმნებოდა რამდენიმე ბერა. თითოეულში ერთიანდებოდა 5-10 ოჯახის საქონელი. ეს ოჯახები საერთო გომურს, ბაკებსა და კარავს აშენებდნენ. ეს სამეურნეო კომპლექსი იმართებოდა სოფლის ახლოს სასოფლო საძოვრებსა და საანეულოდ განკუთვნილ მიწებზე. ბერას მეურნეობასა და წველა-დღვების საქმეს მამაკაცები უძღვებოდნენ. საქონლის მოვლა-პატრონობა მონაწილეების მიერ რიგრიგობით ხორციელდებოდა. ასევე რიგრიგობით იღებდნენ ერთ ჯერზე მთელი დღის ნაწველს ბერაში შემავალი ოჯახები. რიგით მწყემსობა და წველა თანაბარუფლებიანობის პრინციპს ემყარებოდა (Шамиладзе, 1979; ცაგარეიშვილი, 1987). საქართველოს

ბარში მსხვილფეხა საქონლის სიმცირემ და არათანაბარმა განაწილებამ, გამწევი ძალის და პროდუქტიული პირუტყვის ექსპლუატაცია-გამოყენების არაერთი თავისებურება განაპირობა, მაგალითად, რძის გაერთიანების წესი ხანულობა, რომელიც ქართლ-კახეთში შეიქმნა და ჩამოყალიბდა (შამილაძე, 2016, 285).

მთური მესაქონლეობის შემთხვევაში, მეურნეობის ძირითადი დასახლებები, პარალელური სამეურნეო ბაზები და სეზონური საძოვრები გეოგრაფიულად მთიან ზოლშია განლაგებული. ამ ტიპის მესაქონლეობის ძირითადი ქვესახეების – გადარეკვითი მესაქონლეობისა და შინაალპური მეურნეობის სტრუქტურა და სპეციფიკური ნიშნები, ზონალურ თავისებურებებთან ერთად, საქართველოს შუამთისა და მთის ტრადიციული სამეურნეო სპეციფიკით იყო განპირობებული; გადარეკვითი მესაქონლეობის მახასიათებელი საზამთრო საბოსლეებია, იგივე მიწათმოქმედება-მესაქონლეობის კომპლექსები, რომლებიც დასახლების ახლოს იყო განლაგებული. ეს ტყისა და მდინარისპირებში, ხეობათა ქარებისაგან დაცულ და მოფარებულ ადგილებში სამეურნეო ბაზების გამართვას გულისხმობდა, სადაც ეწყობოდა სათიბ-საძოვრების მცირე ნაკვეთები, ზოგჯერ სახნავები, ბოსტნები და საფუტკრეები. საქონლის მოსავლელად აქ ჩასახლებული ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი აქვე ინახავდა საქონლის გარკვეულ ნაწილს გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე, ხშირად კი ზამთრობითაც. თოვლის მოსვლამდე პირუტყვი ტყიან-ბუჩქნარ საძოვარზე იყო გარეკილი, ხოლო ზამთრობით ადგილზე დამზადებული თივითა და ტყის ფოთლოვანი საკვებით იკვებებოდა. ზამთრობით დაგროვილი ნაკელი გამოყენებული იყო ადგილობრივი სათიბ-საძოვრების, სახნავებისა და ბოსტნების გასანოყიერებლად. მეურნეობის ეს სისტემა, რომელიც ორ დამოუკიდებელ სახლსა და შესაბამის სამეურნეო კომპლექსს გულისხმობდა, ხალხში ორხელაობა, ორგანობის სახელწოდებით იყო ცნობილი (მას. საქ. შინ..., 1986, 7-8) მთაბარული მესაქონლეობა – ტრანსჰუმანსე, მესაქონლეობის თავისებური ფორმაა, რომელიც ცალკე აღებული რეგიონალური სისტემის სახითაა წარმოდგენილი ძირითადი დასახლებებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი საქონლის ჯოგის, აგრეთვე, ცხვრის ფარებისა და მომვლელი პერსონალის მუდმივი მოძრაობით ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ და, პირიქით. მესაქონლეობის ასეთი, მობილური ხასიათის მიუხედავად, მთაბარობა სტრუქტურულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ კავშირში იყო მიწათმოქმედებითა და მეურნეობის სხვა დარგებით დასაქმებულ ძირითად დასახლებებთან. საქართველოში ცნობილი იყო მესაქონლეობის აღნიშნული ფორმის ყველა უმთავრესი ქვესახეობა, რაც ძირითადი სამეურნეო ბაზების განლაგების მიხედვით ბარის, შუამთისა და მთამაღალის მეცხვარეობისა და მესაქონლეობის სტრუქტურული კომპლექსების სახით იყო წარმოდგენილი (Шамиладзе, 1979, 56-60; შამილაძე, 2016, 286).

მომთაბარე მესაქონლეობა, რომელსაც ახასიათებდა ცხოვრებისა და მეურნეობის წარმოების ნომადური წესი, რაც გამორიცხავდა მკვიდრ ბინადრობასა და მეურნეობის სხვა დარგების წარმოებას, ჩვენი საკვლევი რეგიონის სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი არაა.

მეცხოველეობის მრავალფეროვანი დარგების და განსხვავებული გეოკლიმატური ზონების (ბარი, მთისწინეთი, მთა) არსებობის პირობებში მესაქონლეობის ზემოთ აღწერილი ტრადიციული ფორმებიდან კახეთის რეგიონში პირველ სამს ვხვდებით. თავისთავად, კახეთის გეომორფოლოგიური თავისებურება, აქ არსებული საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები, ხელსაყრელ აგროკლიმატურ პირობებთან ერთად, ყოველთვის ქმნიდა საუკეთესო საფუძველს მეცხოველეობის განვითარებისთვის და ეს დარგიც ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. კახეთის ტერიტორიებზე იქმნებოდა და ვითარდებოდა გარემოსთან შესაბამისი მეცხოველეობის დარგები, რაც კახეთის სხვადასხვა რაიონში განსხვავებული ხარისხით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ახმეტის რაიონში, კერძოდ, თუშეთში, მეცხვარეობა პირველობს, მეფუტკრეობა – უფრო მეტად სიღნაღსა და ყვარელშია, მეფრინველეობა და მეკამეჩეობა – ბარის მხარეებში, მეაბრეშუმეობა – ლაგოდეხში და ა.შ. 2014 წლისათვის კახეთი ქვეყნის მეცხოველეობის სექტორში მეხუთე ადგილზე იყო იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის შემდეგ, ხოლო მისი წილი 9 % შეადგენდა (კახეთის... 2014, 21).

ვინაიდან კახეთში არსებული მეცხოველეობის დარგებიდან თვითოეულს ქვემოთ ცალკე თავი დაეთმობა, აქ მათ არ შევეხები. არ განვიხილავ არც მეცხოველეობის დარგში საბჭოთა პერიოდში არსებულ ვითარებას, რადგან ის მონოგრაფიის ისტორიულ ნაწილში ამომწურავად არის წარმოდგენილი. შევეხები მხოლოდ ზოგად ტენდენციებს, რაც ამ დარგთან მიმართებაში დღეს არსებობს.

პროფესიონალთა შეფასებოთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ, უფრო სწორად, ასეთი პოლიტიკის საერთოდ არარსებობამ და აგრარულ სფეროში პროცესის თვითდინებაზე მიშვებამ, აგრეთვე სასურსათო პროდუქტების იმპორტის ლიბერალიზაციამ, ფაქტობრივად ათეული წლებით უკან დასწია საერთოდ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მეცხოველეობა (გოგოლი, 2013).

მეცხოველეობის დარგის სპეციალისტების აზრით, ფერმერები ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ აღარ ჰქონდათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და საჭირო რაოდენობის მიწები, მწყობრიდან გამოვიდა საირიგაციო სისტემები, გაძვირდა საწვავ-საცხები მასალები და სხვ.., რის გამოც ფერმერებმა ვერ შესძლეს ხელოვნური საკვებწარმოების, აგრეთვე სხვა ზოოტექნიკური, სამეურნეო და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება. ამან კი, თავისთავად, ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდა და წარმოების გაფართოება შეაჩერა. ასევე, 2005 წლიდან სახელ-

მწიფომ უარი თქვა სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა სანაშენე-სასელექციო სამსახურის მხარდაჭერაზე. გაუქმდა სანაშენე საქმისა და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრალური და რაიონული სამსახურები, მოგვიანებით – სოფლის მეურნეობის სამინისტროს სანაშენე საქმის დეპარტამენტი და 2006 წელს კი კანონი – „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“. გაქრობის პირამდე მივიდა ქართველი მეურნის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი შრომით შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა უნიკალური ჯიშები. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ამონარიდი გ. გოგოლის წერილიდან, რომელიც საქართველოში სანაშენე-სასელექციო საქმიანობის პრობლემებს ეხება. მას მოტანილი აქვს ციტატა ჯ. პატიაშვილის ინტერვიუდან: *„მთავარი ტრაგედია იწყება 1990 წლიდან, როცა მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი, რომლებიც აფინანსებდნენ საქართველოს, ასევე კარნახობდნენ, უნდა გააკეთო ეს, უნდა გააკეთო ის, მაგრამ არ უნდა განახორციელო არავითარ შემთხვევაში სელექციური მუშაობა, ეს არ გჭირდებათ. არადა, ჩვენ გვქონდა ძალიან დიდი სკოლა“* (გოგოლი, 2017).

ამას დაემატა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის აგრარულ უნივერსიტეტთან შეერთების მოტივით განხორციელებული „ოპტიმიზაცია“, დაიხურა კვლევითი სექტორი, არა ერთი ცნობილი მკვლევარი სამსახურიდან დაითხოვეს და განადგურდა ლაბორატორიული მოწყობილობა-ინვენტარი. საჯარო სამსახურებში მეცხოველეობის მიმართულების სპეციალისტებზე მოთხოვნის არარსებობამ და მხოლოდ ერთეულ კერძო საწარმოში დასაქმების პერსპექტივამ განაპირობა ის, რომ ფაქტობრივად შეწყდა ამ მეტად საჭირო სპეციალობის მიმართ ახალგაზრდობის ინტერესი. მოხდა ადგილებზე სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურების ლიკვიდაცია, საზღვრებზე ვეტერინარულ-სანიტარული კონტროლის სამსახურის გაუქმება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული იგნორირებით, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა დაავადებების მიზეზით ცხოველების იძულებითი წუნდებისა და სიკვდილიანობის შემთხვევები. ყოველივე ამის ფონზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეს მიმართულება, ძირითადად, უსისტემო, წვრილი საოჯახო მეურნეობების „საქმიანობის“ სფეროდ გადაიქცა (გოგოლი, 2013).

საბჭოთა სისტემის დაშლას ქვეყნის სოფლის მეურნეობის დესტრუქცია მოჰყვა. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად, გარდა ნორმით განსაზღვრული მიწის რაოდენობისა, მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს გადაეცათ 5 ჰექტარი მიწის ფართი. მიწის რეფორმის პარალელურად განხორციელდა ტრადიციული მსხვილი მეურნეობების დანაწევრება და პარალიზება, რომლის საკუთრებაშიც მიწის მთლიანი მოცულობის 90 პროცენტამდე შედიოდა. დაშლილი და დანაწევრებული მეურნეობები ვერ ახდენდნენ მსხვილი საბჭოთა მეურნეობების კომპენსირებას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება თანდათანობით მცირდებოდა. მხოლოდ მიწების განაწილებაზე დაფუძნე-

ბული რეფორმებით სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა (საქ. სოფ. მეურნ... 2012, 14-16).

კახეთშიც, როგორც ყველგან საქართველოში, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და ფერმები დაიშალა, მათ შორის, მეცხოველეობის პროფილის მქონე: მსხვილფეხა მესაქონლეობის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის, და სხვ. ადგილობრივი რესპონდენტის ინფორმაციით: *„წინათ მესაქონლეობის ფერმა ყველა მეურნეობასა ქონდა. ახმეტაში ქისტაურის ფერმას 100-ზე მეტი საქონელი მაინცა ყავდა, მეწველიცა ყავდა, მშრალიცა ყავდა. გომურები ქონდათ, სუყველაფერი. შირაქიცა ქონდათ. მიწა გვქონდა იქ, კაცო! ყველასა ქონდა, ალვანსაცა, ახმეტასაცა ქონდა მიწები, საძოვრები. ახლა ყველაფერი დაიშალა, გაცამტვერდა“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

რესპონდენტთა გადმოცემით, საქონელი და ფრინველი ზოგი დაკლეს, ზოგი დაიტაცეს, ჯართად გაიყიდა ინვენტარი, განადგურდა ამა თუ იმ მეურნეობის მატერიალური ბაზა და ა.შ. „ჩვეულებრივ ხალხს“ ფაქტობრივად არაფერი შეხვდა და, თუ რამე თვითნებურად ჰყავდა წაყვანილი, ისიც „ხელმძღვანელობამ“ უკან დააბრუნებინა.

2005 წელს დაიწყო მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემის ახალი ეტაპი, რაც გულისხმობდა სახელმწიფო საკუთრებაში და ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციას. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, რასაც სავარაუდოდ ახალ რელსებზე უნდა გადაეყვანა სამეურნეო სისტემა და სოფლის მეურნეობის წინსვლა უნდა უზრუნველეყო, როგორც ოფიციალური მონაცემები ადასტურებს, პრაქტიკულად ყოველ მეორე წელს სოფლის მეურნეობის სექტორში შეინიშნებოდა შემცირების ტენდენცია წინა წლებთან შედარებით (www.geostat.ge).

საყოველთაო გაჭირვების ფონზე და იმის გამო, რომ აღრ არსებობდა სოფლად მათი დამუშავება-გამოყენებისთვის საჭირო ფინანსური, მატერიალური და ტექნიკური რესურსები, მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი გლეხებმა გაყიდეს. ნაწილმა, ვის ხელშიც მიწების საკმარისი რაოდენობა აღმოჩნდა, კერძო საქმიანობას მიჰყო ხელი და სხვადასხვა მასშტაბის (მსხვილი, მცირე, საოჯახო) საწარმოები თუ ფერმერული მეურნეობები შექმნა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ: „ბიზნესი წამოიწყეს“. ნაწილმა მიწები გააქირავა, ხოლო ნაწილი სამეურნეო პროდუქციას (ხორბლეული, ბოსტნეული, რძის ნაწარმი, ხორცი და სხვ.) საკუთარი ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს. დღეს კახეთში მეცხოველეობის წარმოების უმეტესი ნაწილი მცირე საოჯახო და წვრილ ფერმერულ მეურნეობებზე მოდის,მცირე რაოდენობით არის მსხვილი საწარმოებიც; მეცხოველეობის ხაზით დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ მიმართულების ფერმერულ მეურნეობათა ნაწილი თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და პრაქტიკულად უახლეს მეთოდებს იყე-

ნებს, ნაწილი კი ჯერ ისევ მოძველებული ტექნიკით სარგებლობს. განსხვავებულია მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, მათი ფასები და გასაღების მასშტაბები.

მიწების პრივატიზაციის ფონზე, სერიოზული პრობლემა წარმოიქმნა საძოვრებთან დაკავშირებით. ზოგიერთი სოფელი საძოვრების გარეშე აღმოჩნდა, ზოგი სასაძოვრე მიწა უკანონოდ გასხვისდა, რის გამოც მესაქონლეს საძოვრის დაქირავება უწევს: *„მეცხოველეობის საქმე გაჭირდა, იმიტომ რო ძირითადად აღარ არი საძოვრები. ძალიან ცოტა დარჩა. პრივატიზაცია მოხდა ამ მიწების, ჯერ იჯარით გასცეს, მერე მიასყიდეს. სოფელს არ დაუტოვეს საძოვარი და ეს სოფლის დიდი პრობლემაა“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

კახეთის მეცხოველეობის მიმართულებით მომუშავე მეურნეთა პრობლემები კარგად იკვეთება თელაველი რესპონდენტის ინტერვიუში:

„შალაურში ვიღაც იაღოველია, იმას ეკუთვნის, რაც საძოვარი იყო. ჰექტრობით არი საძოვრები მთაში; ცივი, მაგალითად, მთელი თელავის რაიონის საქონელი მანდ იზამთრებდა ხოლმე. ტყეები კი ჯერ არ გაყიდულა. პირობები არ არი, მოკლედ, მეცხოველეობისთვის. არც მაინცდამაინც მეფუტკრეობისთვის არის პირობები. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, რომ თითქოს მთავრობა ხელოვნურად უშლის მეცხოველეობის განვითარებას ხელს. ბიზნესმენებს აქვთ ჩაგდებული ხელში, აი, მაგალითად ნიკორა, სანტე! ამათ აქვთ ჩაგდებული ხელში! რო იტყვიან, მაფიოზურად მიდის საქმე საქართველოში, შენ რო არ შეეცილო ამის გაკეთებაში! მაფიოზური კლანები ცდილობენ რო პატარა გლეხობამ და უბრალო მოსახლეობამ ამ დიდ ფირმებს კონკურენცია არ გაუწიოს. ფაქტია! ფუტკრებზედაც გადმოვიდნენ უკვე. მე მოვწამლე, ამან მოწამლა, კიდევ ჩვენმა ამხანაგმა, რა ვიცი, ყველას დაგვეხოცა ფუტკარი! აი, გამოდის ამპულები შესაწამლი, და ალბათ რადაცას შეურევენ, რომ დაგვეხოცოს. აი, აბა ამასა ჰკითხე ერთი, რამდენი ხანია ფუტკარი ჰყავს და დახოცია ასე? (ეს ის პერიოდია, როდესაც კახეთში მასიურად დაეხოცათ მეფუტკრეებს ფუტკარი – ნ. ჯ.) მომგებიანი ისეა მეცხოველეობა, რომ მშიერი არ იქნები. შენ უნდა იშრომო. სჯობია რომ ოჯახური იყოს მეურნეობა, მთელმა ოჯახმა იმუშაოს, მაშინ რადაც მოგება დაგრჩება. თუ მუშახელი აიყვანე, არაფერი არ დაგრჩება. სახელმწიფო ემსაათში ჩემგან გადასახადს არ ითხოვს, იმიტომ რომ თვითონ არაფერში არ გვადგება, არც საძოვარს მაძლევს, არაფერს“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

კახეთის სხვადასხვა რაიონში გამოკითხული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დღევანდელი მდგომარეობის შეფასების კრიტერიუმად კომუნისტური პერიოდის სამეურნეო ყოფას იღებს, ანუ, ისინი თავიანთ მეურნეობას საბჭოთა პერიოდისდროინდელ მეურნეობასთან მიმართებაში აანალიზებენ. ეს კონტინგენტი „მისტირიას“ მაშინდელ სისტემას, რომელიც თანამედროვესთან შედარებით უკეთესად მიაჩნია, რადგან: *„კომუნისტების დროს ბევრათ უკეთესად ვცხვრობდით. ყველა სოფელში ყველაფერი იყო.*

სამუშაო იყო –იმუშავებდი, ფულს აიღებდი! ეხლა? ფულს ეხლა არც ბარაქა არა აქ! რა ბარაქა აქ?“(ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).

ეს ძირითადად ის კონტინგენტია, ვინც ახალ სამეურნეო ტენდენდენციებს ალღო ვერ აუღო და არც ფინანსები არ გააჩნია ახლებური ცხოვრების ასაწყობად. მათი ნაწილი სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების მოლოდინშია. ზოგადად საქართველოში და, კონკრეტულად, კახეთში მეცხოველეობის განვითარების პროექტებს მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა აქვს დონორი ორგანიზაციების, გაეროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ორგანიზაციის (FAO), სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მხრიდან. მათი ძალისხმევით არაერთი წამოწყება დაფინანსდა, რაზედაც კონკრეტულ თავებში ვისაუბრებ. გარდა დასახელებული უცხოური ორგანიზაციებისა, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტებს ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი პროფილის ინსტიტუციები.

2013 წელს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ (ACDA), რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს. კოოპერატივების ხელშეწყობის გზით, სააგენტოს მიზანია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და სოფლის სოცილურ-ეკონომიკური განვითარება. ის ევროპის საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა.

კანონპროექტი „სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ წვრილი და საშუალო ფერმერების ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებას გულისხმობს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში“ გაწევრიანების შემთხვევაში წვრილი ფერმერები რიგი შეღავათებით სარგებლობენ. 2013 წელს კოოპერატივების შექმნის ადრეული ნაბიჯები საკმაო სირთულეებთან იყო დაკავშირებული და პირველ რიგში, „საბჭოთა კავშირში დაბრუნებასთან“ ასოცირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერებს არც დღეს არ აქვთ ბოლომდე კარგად გააზრებული, რას ნიშნავს კლასიკური გაგებით კოოპერატივი და, შესაბამისად, ცდილობენ წევრთა არეალი ოჯახის წევრებს მიღმა არ გააფართოვონ, კახეთში მათი რაოდენობა 135-ია და ქვეყნის მასშტაბით მას მეოთხე პოზიცია უჭირავს (გელანტია, 2016).

მართალია მეცხოველეობას, დღეს აღარ აქვს ოდინდელი მასშტაბები და შესაძლებლობები, მაგრამ კახელი სოფლის მეურნე თანდათან უღებს ალღოს მეცხოველეობის თანამედროვე გამოწვევებს და მთელ რიგ მიმართულებებს თავიდან აღორძინებს. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა მეცხოველეობის და მისი პროდუქტის მწარმოებელი ფერმების თუ კოოპერატივების შექმნის მზარდი ტენდენცია, რაც მუშახელის არსებობასა და მის შემ-

დგომ მატებასთან არის დაკავშირებული; ამ საქმიანობით სულ უფრო და უფრო ახალგაზრდა თაობა ხდება დაინტერესებული, რაც იძლევა სოფლად ახალგაზრდების დამაგრების პერსპექტივას. მეორე მხრივ, სახეზეა კვალიფიციური კადრების სიმცირე, ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტურობის სისუსტე, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის დაბალი დონე, ვეტერინარული ლაბორატორიების არარსებობა, მოუწყობელი გადასარეკი ტრასები და პირუტყვის მოსასვენებელი მოედნები, მოუვლელ-მოუწესრიგებელი საძოვრები, მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ცხოველთა სადგომები (თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო ერთი წელია ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა) და სხვ.

§ 1. მეცხვარეობა

ნიკო კეცხოველი თავის სამეცნიერო პოპულარულ ნაშრომში – „ცხრათვალა მზის ქვეშ“, ცხვართან დაკავშირებით ერთ ხალხურ გადმოცემას იხსენებს: ცხვარი მიადგა თურმე სახლს, სადაც სიღარიბეს დაესადგურებინა, გამოდი გარეთ, მე უნდა დავდგეო, – შეუტია. ერთი კუთხე მომეციო, შეეხვეწა სიღარიბე. არაო, ერთ კუთხეში მე უნდა დავდგე, მეორეში ჩემი ბატკანი, მესამეში ყველი უნდა შევინახო და მეოთხეში მატყლიო; რაღა გზა ჰქონდა სიღარიბეს, აიკრა გუდა-ნაბადი და გადაიკარგა ცხრა მთას იქით (კეცხოველი, 1967, 13).

ეს ხალხური სიბრძნე ცხვარს სიღარიბის დამმარცხებლის სიმბოლოდ წარმოგვიდგენს, რომლის ნაწარმსაც ადამიანის ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება აქვს. მეცხვარეობა მეცხოველეობის დარგებს შორის ერთ-ერთი შემოსავლიანია, რადგან წლის განმავლობაში დიდია ცხვრის ნამატი, ცხვრის ყველის წარმოება საკმაოდ მომგებიანია, ხოლო ცხვრის მატყლი კი შესანიშნავი ნედლეულია საფეიქრო მრეწველობისთვის.

ცხვრის მოშენებას საქართველოში უხსოვარი დროიდან მისდევენ და ამას არა მარტო არქეოლოგიური მასალა, არამედ წერილობითი წყაროები და გადმოცემებიც ადასტურებს. აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითური ხანის ნამოსახლარებზე, მსხვილფეხა საქონლის შედარებით მრავალრიცხოვან ძვლებთან ერთად, აღმოჩენილია ცხვრის ლულოვანი ძვლებისაგან ნაკეთები სადგისები (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 76). ძვ.წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის ადრეული ბრინჯაოს სამიწათმოქმედო კულტურის ოსტეოლოგიურ მასალაში შეიმჩნევა წვრილფეხა საქონლის, კერძოდ, ცხვრის ძვლების რაოდენობრივი ზრდა; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საიალაღო მესაქონლეობა, სახელდობრ მეცხვარეობა, თანდათანობით უპირატეს ადგილს იჭერს მეურნეობაში. (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 88)

ანტიკური ხანის კულტურულ ფენებში ცხვრის ძვლებისა და ცხვრის მატყლის საკრეჭი მაკრატლების მრავლად აღმოჩენა, მეცხვარეობის ფართოდ

გავრცელების და ძველთაგანვე მატყლის დამუშავების იარაღების შექმნის კიდევ ერთი ნივთიერი საბუთია. ანტიკურ ხანაში ქართველ მეცხვარეს ცხვრის საკრეჭად უკვე კარგად გამოცდილი იარაღი აქვს (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 536).

მითი არგონავტების შესახებ, მეცხოველეობის ამ დარგის მკვლევართ აფიქრებინებს, რომ ბერძნებს კოლხური ნაზი მატყლის შესახებ სარწმუნო ცნობები ჰქონიათ და ამიტომაც მოაწყვეს ლაშქრობა მატყლის წასაღებად კოლხეთიდან საბერძნეთში ან, რაც უფრო მოსალოდნელია, ნაზმატყლიანი ცხვრების საბერძნეთში გასაყვანად (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 214-215).

წინა თავში ნახსენები ფაქტი – IX ს. დასაწყისში (829-830 წწ.) არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული წანარების მიერ კონტრიბუციის ცხენებითა და ცხვრებით (3 000 ფაშატი და 20 000 ცხვარი) გადახდა, მეცხოველეობის დარგის მაღალგანვითარებასა და იმდროინდელი კახური ცხენისა და ცხვრის კარგი ჯიშების არსებობაზე მიუთითებს (საქართველოს ისტორია, ტ. 2, 1973, 177-178).

XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას, რომელიც უმთავრესად მთიან ადგილებში იყო განვითარებული. საქონელზე დაწესებულ იმ დროის გადასახადთაგან მეცხვარეობასთან იყო დაკავშირებული „პირისთავი“ და „საბალახე“. „საპირისთავედ“ ყოველ 100 თავ ცხვარზე ერთი მიჰყავდათ, „საბალახედ“ კი ყოველ 100 სულზე 2 სული. მომთაბარე მეცხვარეობა დიდ როლს ასრულებდა კახეთის მთიანეთის მეურნეობაში, კერძოდ, თუშეთში, სადაც ათეულ ათასობით ცხვარი ჰყავდათ. თუში მეცხვარეები ზამთრობით ზამთრის საძოვრებზე, ბარში ერეკებოდნენ ცხვარს – გაღმა მხარეში, ქიზიყ-შირაქში. კახეთისა და ქართლის საქონელი ზაფხულში თრიალეთში – ფარავნის ტბის მიდამოებში ძოვდა (საქართველოს ისტორია, ნარკვ. ტ. IV, 277; 106). ზოგიერთი კუთხის ბარულ მესაქონლეობაში ცხვრის გარკვეული რაოდენობაც იყო წარმოდგენილი, მაგრამ მისი რიცხვი მკაცრად იყო ლიმიტირებული, საკვები ბაზის შეზღუდულობის გამო. ბარული მეცხვარეობის ძირითადი სამეურნეო ბაზები შიდა და ქვემო ქართლისა და კახეთის დაბლობზე იყო განლაგებული (შამილაძე, 2016, 285)

კახეთში მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. საქართველოში ისტორიულად დამკვიდრებული ცხვრის შენახვის მომთაბარე-საძოვრული, საძოვრულ-სტაციონარული და საძოვრულ-ნახევრად სტაციონარული სისტემებიდან, კახეთში მომთაბარე-საძოვრული სისტემაა წამყვანი. განსაკუთერებით აღსანიშნავია მომთაბარე მეცხვარეობა, როგორც თუშთა ტრადიციული ცხოვრების წესი, რომელიც ისტორიულად ხორციელდება „თუშეთი-ალვანი-შირაქ-სამუხის“ გეოსოციალურ გარემოში. თუშთა ცხოვრების ასეთი წესი გახდა ისტორიული მდგრადობის უნივერსალური ინდიკატორი, რომელიც აღიარებულ იქნა „გარემოს გლობალური ფონდი“-ს

(GEF) და“ მსოფლიო ბანკი“-ს (WB) მიერ; მათი ფინანსური ხელშეწყობით შეიქმნა და ვითარდება თუშეთისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, რაზედაც საქართველოს პარლამენტმა 2003 წელს მიიღო კანონი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ (ელანიძე, 2014) და რასაც ქვემოთ შევეხები.

კახეთში უმთავრესად თუშურ ცხვარს აშენებდნენ, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოს მთაბარული სისტემის პირობებში თუშურ ცხვარს ბადალი არ ჰყავს. ზაფხულისა და ზამთრის საძოვრები ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული და ცხვარს ამ მანძილის დაფარვა წელიწადში ორჯერ უხდება (გაზაფხულზე, აპრილის შუა რიცხვებიდან ზაფხულის საძოვრებისაკენ და შემოდგომით, სექტემბრის ბოლოდან ზამთრის საძოვრებისაკენ). ამ რთული პირობების დაძლევას ყველაზე კარგად თუშური ჯიშის ცხვარი ეგუება. გარდა ამისა, ის საუკეთესოა იქ, სადაც ზაფხულის საძოვრებად დიდი კავკასიონის მასივები გამოიყენება (ბედელური, http://agrokavkaz.ge). თუშური ცხვარი ნახევრადდუმიანი ცხვრის ჯიშია, რომელიც გამოყვანილია აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარე მეურნეობის პირობებში მრავალწლიანი ხალხური სელექციის გზით (XIII-XIV სს.), ქართული ცხვრების შეჯვარებით სხვა უხეშმატყლიან ჯიშებთან. თუშური ცხვარი კომპაქტური, მაგარი აღნაგობისაა, იტანს დიდ მანძილზე გადარეკვას და კარგად იკვებება მეჩხერ საძოვრებზე, აქვს ხარისხიანი ხორცი და თეთრი, ელასტიკური, მბზინავი მატყლი. თუშური ცხვარი მომთაბარეა – ზამთარში ბარშია, ზაფხულობით კი ალპური ზონის იალაღებზე იკვებება. მას ცვალებად კლიმატთან ადვილად შეგუების უნარი, სტრესის მიმართ მდგრადობა და ძლიერი ხასიათი აქვს, რაც შორ მანძილზე გადაადგილებას უადვილებს. ის წელიწადში 4 ათასამდე კილომეტრს გადის. ქართული ცხვრის ღირსება ის არის, რომ ეკოლოგიურად სუფთა საძოვრებზე ბალახობს. მას დამატებით საკვებსაც არ აძლევენ, ამიტომ იგი, პრაქტიკულად, ბიოცხვარია (ბედელური, http://agrokavkaz.ge).

გასული საუკუნის 30-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების მცდარი მიდგომების შედეგად მასიურად დაიწყო თუშური ცხვრის მეტიზაციის მცდელობა – თუშური ცხვრის ვერძებთან კავკასიური და სხვა ჯიშის მერინოსების და პერკოსის ნაზმატყლიანი ვერძების შეჯვარება მისი გადაჯიშების მიზნით. მეტიზაციამ არ გაამართლა. აღნიშნული შეცდომის დანახვას დრო დასჭირდა და უკვე XX საუკუნის 60-70-იან წლებში დღის წესრიგში დადგა თუშური ცხვრის აღდგენა-მოშენების აუცილებლობა (საგარეჯოს... 2017, 27).

2014 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის – ზ. მურთაზაშვილის მიერ საქართველოს მთავრობისადმი თუში ხალხის სახელით გაგზავნილ წერილში, სადაც მეცხვარეების პრობლემებზეა ყურადღება გამახვილებული, ეს ფაქტიც არის ნახსენები:

„თუშური ცხოვრების წესს კარგად ახსოვს მასზე განხორციელებული „კომუნისტური მენეჯმენტის“ ექსპერიმენტები: 1928 წელს თუშური ცხვრის მეტისიზაციის 30-წლიანი პროცესი: „ნაზმატყლიანი, ცხიმკუდიანი ქართული ჯიშის ცხვრის გამოყვანის მიზნით“. 1961 წელს ეს ექსპერიმენტი შეწყდა იმის გამო, რომ სხვადასხვა დროს ახალი ცხვრის ჯიშის ექსპერიმენტული ფარის უდიდესი ნაწილი აბანოს უღელტეხილზე გადასვლისას დაიხოცა (ვერ გაუძლო რთულ კლიმატურ და გეოგრაფიული პირობებს). როდესაც მთავრობამ დადგენილება მიიღო თუშური ცხვრის ჯიშობრივი აღწარმოების (უკუპროცესის) შესახებ, იგი იმდენად გადაჯიშებული იყო, რომ ქვემო ქედის კოლმეურნეობაში, კერძო პირის ფარაში ძლივს მიაგნეს 100 სულ თუშური ჯიშის დედა ცხვარს. 1961 წელს ამ ჯიშის აღდგენის ღონისძიებები დაიწყო და ეს პროცესი დღესაც არ დამთავრებულა“ (მოსიაშვილი, 2016).

თუშური ცხვრის პარალელურად კახეთში გვხვდება მცირე რაოდენობით იმერული ცხვარიც, რომელიც მომთაბარე საძოვრულ პირობებში ვერ გვარობს. 1960-80-იან წლებში აშენებდნენ ასევე შედარებით მაღალპროდუქტიულ ტიანშანურსა და ციგაის ჯიშის ცხვარსაც, რომელიც ახლა ძალიან მცირეა კახეთში; მათი მოშენება რეკომენდებულია დედოფლისწყაროს, სიღნაღის და საგარეჯოს რიონებში, რომელთა ზამთრის საძოვრები შედარებით ახლოსაა მცირე კავკასიონის საზაფხულო საძოვრებთან.

კახეთში მეცხვარეობა ახმეტის, დედოფლისწყროსა და საგარეჯოს რაიონებში უფრო მეტად იყო განვითარებული, რასაც ხელს უწყობდა ზამთრის საძოვრებისა და საზაფხულო იალაღების დიდი მასივები. საბჭოთა პერიოდში განთქმული იყო ელდარის და ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები (რომლებიც მოგვიანებით 1962 წელს გაერთიანდა), თელავის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის მეურნეობა, პატარძეულის მეცხვარეობის მეურნეობა და სხვ. კახელ მეცხვარეებს ჰყავდათ საკუთარი ცხვარიც, რომელსაც ამთაბარებდნენ მეურნეობის ფარებთან ერთად; გარდა ამისა, გლეხების ნაწილს ჰყავდა ცხვრის მცირე რაოდენობა საოჯახო მოხმარებისათვის. მეცხვარეობის თემაზე იღებდნენ ფილმებს, ქმნიდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს; განსაკუთრებით აღსანიშნავია ფილმი თუში მეცხვარეების ყოფის შესახებ „თუში მეცხვარე“, სადაც დოკუმენტურად არის წარმოდგენილი მომთაბარე–საძოვრული მეცხვარეობის ყველა ასპექტი, სირთულეები, წინააღმდეგობები და თუშ მეცხვარეთა რეალური ცხოვრება. საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ, სხვა მიმართულების მეურნეობების მსგავსად, მეცხვარეობის მეურნეობებიც დაიშალა, წვრილფეხა საქონელი კი ზოგი დანაწილდა, ზოგიც დაიტაცეს.

საბჭოთა პერიოდში მეცხვარის საქმიანობა სათანადოდ იყო დაფასებული. შესაბამისი ინსტანციები ითვალისწინებდნენ მეცხვარეთა მძიმე ყოფას და მას არა მარტო მაღალ ხელფასს, არამედ მთელ რიგ შეღავათებსაც უწესებდნენ. მაგალითად, იმ მწყემსებს, რომლებიც იყენებდნენ უდაბნო, ნახევრადუდაბნო და მთიან საძოვრებს, ასევე „შავ მიწებს“ და ყიზლარის სა-

ძოვრებს, დაწესებული ჰქონდათ სახელფასო დანამატი, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში, ან სრულ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში 7-15 წლის მოსწავლეთა მშობლებს, რომლებიც მთიან საძოვრებზე ასრულებდნენ ცხვრის და თხის მომსახურების სამუშაოებს, ჰქონდათ შეღავათი მათი შვილების სწავლებისა და შენახვის კუთხით (არქ. 259; ფ. 153).

როგორც ჩემი მთხრობელი იხსენებს, საბჭოთა პერიოდში *„დედოფლისწყაროდან ძირითადად ცხვარი მიდიოდა ყიზლარში. მეცხვარეობაში კომუნისტების დროს ათასჯერ უფრო კარგი პირობები იყო, ვიდრე დღეს არის. ჩადიოდნენ, კონცერტებს უტარებდნენ მსახიობები. მეცხვარეების სამედიცინო ცენტრი იყო რესპუბლიკურ საავადმყოფოში. თელავის რაიონში წარმომადგენლობა ჰყავდათ. მიცემული ჰქონდათ „კოლხოზნიკები“, „უაზები.“ მოვალეობა იყო იმათი, ჩასულიყვნენ მწყემსებთან, ჩაეტანათ წამალი, კონსულტაცია გაეწიათ. ჰქონდათ სამედიცინო მომსახურება. მარტო ლალისყური აიღეთ, სოფელია თელავში, ყველაზე პატარა სოფელი, მეურნეობა იყო მეცხოველეობის. თორმეტიათასი ცხვარი ჰყავდათ“ (ჯალაბაძე, თელავი, 2015).*

დღეს მეცხვარის ყოფა არაფრით არ შეცვლილა, სამაგიეროდ, სახელმწიფოს მასზე ზრუნვის ვალდებულება უმეტესწილად აცილებული აქვს. როგორც დ. მურთაზაშვილი წერს: „თუში მეცხვარე წელიწადში თორმეტი თვე ღია ცისქვეშ, ოჯახს მოწყვეტილი, ნაბდის ამარა, ექვსასი კილომეტრი საცხვრე ტრასაზე და სამიათასი კილომეტრი ადგილზე ცხვრის დევნაში, ქმნის პროდუქციას, იცავს საქართველოს სახელმწიფო საზღვარს და თუშური ცხვრის ჯიშობრივ სიწმინდეს, არასდროს აწუხებს ხელისუფლებას გაუსაძლისი პირობების თაობაზე, არ ითხოვს სოციალურ შეღავათებს და ხელფასს, ასაქმებს და ხელფასს უხდის მწყემსებს, თვითდასაქმებულია და, ყველაფერ ამასთან ერთად, გადასახადსაც უხდის სახელმწიფოს“ (მურთაზაშვილი, 2013, 3).

თუში რესპონდენტის აზრით: *„პატიმრობის შემდეგ ყველაზე საშინელება ეს არის, მეცხვარეობა! დღედაღამ ცის ქვეშ ძინავს. დაუფასებელია მისი შრომა. რო ამბობენ, თვითონ თუშებსაც აღარ უნდათ ცხვარში წასვლაო, იმიტომ, რომ პირობები არა აქვთ. მწყემსს, რომელსაც ცხვარი არ ჰყავს და დაქირავებით მიყავთ, იმ ზაფხულის 4 თვეს, თვეში აძლევენ 1000 ლარს. იმის გარდა, ერთ გუდა ყველს აძლევენ. ზამთარში 500 ლარია მწყემსი (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

მილიონობითსულიანი მეცხვარეობის მეურნეობების გაპარტახების შემდეგ კახეთის რეგიონში ცხვრის რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში, საქართველოს 2 მილიონზე მეტი ცხვარი ჰყავდა, რისთვისაც ზამთრის საძოვრებად კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაც კი გამოიყენებოდა. რესპონდენტის თქმით: *„აქ იყო მილიონობით ცხვარი. ეხლა ძალიან ცუდად არის მდგომარეობა. სულ ცოტა, ერთი, ათჯერ შემ-*

ცირდა ცხვარი თუშეთში. მეტადაც, ცხვარი აღარაა. ჩვენი ცხვარი ყიზლარში დადიოდა 70-იან წლებამდის, მერე შირაქში. ეხლა მარტო შირაქში მიდის ცხვარი. შირაქის საძოვრები ყოფნის. იმდენად შეცოტავდა ცხვარი" (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).

თუმცა, მიუხედავად ამისა, დღეს კახეთის მეცხოველეობის სექტორში მეცხვარეობა მაინც მეორე ადგილზეა მსხვილფეხა მესაქონლეობის შემდეგ. ზ. მურთაზაშვილი აღნიშნავს, რომ თუში მეცხვარეების საქმიანობას ვერ აფერხებს ის, რომ სოციოლოგებს მეცხვარის ტიტანური შრომა დღევანდელი მსოფლიოს ცივილური საზოგადოებისათვის მიუღებლად მიაჩნიათ, რომ ის არ ექვემდებარება დღეს არსებულ შრომის გაზომვად არანაირ ინდიკატორს და შეუძლებელია მისი აღრიცხვა და რეალური შეფასება (მურთაზაშვილი, 2013, 3).

თანამედროვე პერიოდში მეცხვარეობის მდგომარეობა კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში არაერთგვაროვანია. მეცხოველეობის ეს დარგი, ტრადიციულად, ახმეტის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებში უფრო მეტადაა განვითარებული. დედოფლისწყაროს რაიონში ცხვრის 80 ფერმაა (დაახლოებით 55 000 სული). მათი უმეტესობა განთავსებულია მდინარე იორისა და მდ. ალაზნის მიმდებარედ.

ახმეტის მუნიციპალიტეტში, ინდივიდუალური ცხვრის ფერმების გარდა, არის შპს „თუშური ცხვრის ჯიშსაშენი" მუნიციპალური საკუთრების 100%-იანი წილით. მას მფლობელობაში გააჩნია 1131 ჰა სახნავი მიწა შირაქში და 17000 ჰა-მდე საძოვრები შირაქსა და თუშეთში. შპს-ს საკუთრებაშია 6000 სულამდე თუშური ცხვარი, აგრეთვე 40 სულამდე თუშური ცხენი. ცხვრის მთლიან სულადობას გადაადგილება უწევს 350-350 კილომეტრის მანძილზე მთიდან შირაქ-სამუხში და პირიქით. ახმეტის რაიონში ასევე არის მეცხვარეობის მიმართულებით მომუშავე სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები, ზემო ალვანში „ალვანი" და „მამული" და თუშური ცხვრის მატყლის წარმოება-გადამუშავება-რეალიზაციით დაკავებული „თუშური ოქროს საწმისი" (ახმეტის... 2015, 30).

თელავის მეცხვარე ფერმერები მისდევენ ტრადიციულ მომთაბარე მეცხვარეობას, რომელიც ასევე სეზონურობით გამოირჩევა. მეცხვარეობის მიმართულებით აქ მცირე ზომის მეურნეობები არ გვხვდება. თელავის მუნიციპალიტეტში მეცხვარეობის მსხვილი ფერმერული მეურნეობით გამორჩეულია ყარაჯალის, ლალისყურის და ფშავლის ტერიტორიული ერთეულები, სადაც ჯამში ცხვრის რაოდენობა სულ თელავის მუნიციპალიტეტში არსებული ცხვრის სულადობის 65 %-ს შეადგენს (თელავის... 2015, 35).

მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია საგარეჯოს რაიონში. ბოლო სტატისტიკური მონაცემებით ის საქართველოში პირველ ადგილზეა ცხვრის სულადობით (230 034 სული). 1980 წელთან შედარებით ცხვრის რაოდენობა საგრძნობლად გაზრდილია. მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია თუშური ჯიშის ცხვარი, დიდი რაო-

დენობით გვხვდება ნაჯვარი (არეული) ჯიში და მცირე რაოდენობით იმერული ცხვარი. (საგარეჯოს... 2015, 27).

მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტი კარგად განვითარებული აგრარული რაიონია, აქ მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს. ყვარლის საძოვარი 11 439 ჰექტარია, ხოლო ცხვრის რაოდენობა 40 150 შეადგენს, რაც თითქმის ათიათასი სულით აღემატება 2015 წლის მონაცემებს. მეცხვარეობაში დასაქმებულია 106 ფერმერი. სერიოზულ პრობლემას ქმნის მატყლის შემკრები და გადამამუშავებელი საწარმოს არქონა (ყვარლის... 2015, 2; 11).

მეცხოველეობის ეს დარგი დღეს შედარებით ნაკლებად არის განვითარებული ლაგოდეხისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში. კახეთის არც ერთ რაიონში არ არის ცხვრის ხორცის გადამამუშავებელი საწარმო.

2009 წლიდან მთელი კახეთის მასშტაბით საგრძნობლად იმატა ცხვრის სულადობამ, რაც ცხვრის ექსპორტის გააქტიურებასთან იყო დაკავშირებული. როგორც ამბობენ, თავისი გემოვნური თვისებების გამო, „ბაზარმა თვითონ მოძებნა“ ქართული ცხვარი და მან თანდათან წარმატებით ჩაანაცვლა ავსტრალიური, უკრაინული და ბრაზილიური ცხვრის ექსპორტი არაბული ქვეყნების ბაზარზე. მიმღები ქვეყნები კი ლიბანი, ლიბია, საუდის არაბეთი, გაერთიანებული საემიროები, ირანი, ყატარი და ერაყი იყო. ამასთან, ქართული ცხვრის უპირატესობა მისმა სიიაფემ და საქართველოდან არაბულ ქვეყნებში ტრანსპორტირების დაბალმა ღირებულებამ განაპირობა. თავდაპირველად არაბი ბიზნესმენები აქ ცხვარს დაახლოებით 50 დოლარად ყიდულობდნენ, საკუთარ ქვეყნებში კი 300 დოლარად ყიდდნენ (ქართული ცხვარი... 2010). ისლამურ სამყაროში ქართული ცხვრის მიმართ მზარდი ინტერესი გამოიწვია თუშური ცხვრის მსგავსებამ არაბული ავასის ცხვართან. თუშური ცხვრის ფასი ავასის ფასზე ნაკლებია და თანაც ქართული ცხვრის ოპტიმალური წონა საშუალოდ 30 კგ-ს შეადგენს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ერთი ოჯახის მოხმარებისთვის სრულიად საკმარიასია, ეკონომიკურადაც მომგებიანია. მომდევნო წლებში თუშურ ცხვარზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, 2011 წლის სექტემბერში არაბებმა და აზერბაიჯანელებმა 15 ათასი სული თუშური ცხვარი იყიდეს (თითოეულში საშუალოდ 150-155 ლარს იხდიდნენ). 2012 – 2013 წლებში ცხვრის ხორცის ყველაზე დიდი ექსპორტი ირანში განხორციელდა. როგორც თავად მეცხვარეები აღნიშნავდენ, მათი შრომა დაფასდა. კახელი რესპონდენტის თქმით: *„მას შემდეგ, რაც არაბულ ქვეყნებში თუშურ ცხვარზე მოთხოვნა გაჩნდა, ცხვრის სულადობამ მკვეთრად იმატა და ცხვრის გამრავლების კიდევ მეტი მოტივაცია გაჩნდა, მაგრამ ცხოველთა საშიში დაავადებების გავრცელება დიდ რისკს წარმოადგენს ექსპორტისთვის~ (ჯალაბაძე, ახმეტა... 2015).* და მართლაც, ამ წარმატებული სავაჭრო საქმიანობის შეფერხების საბაბი ცხვრის დაავადება გახდა. ირანმა და საუდის არაბეთმა დაავადებული ცხვრის შეყვანის მიზეზით საქართველოს-

თვის საზღვარი ჩაკეტა. ამის შემდეგ ეს საქმიანობა უკან და უკან წავიდა და დღეს ქართველ მეცხვარეებს არაბული ქვეყნების ბაზარი, ფაქტობრივად, ხელიდან გამოეცალა (მოდებაძე, 2015).

როგორც მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბ. გონაშვილი ბაზრების დაკარგვის მიზეზებზე საუბრისას ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: *„სურსათის უვნებლობის სამსახური მოწოდების სიმაღლეზე არ აღმოჩნდა და რამდენიმე ქვეყანაში საქართველოდან დაავადებული ცხვარი შევიდა. ამის გამო დავკარგეთ ირანის და საუდის არაბეთის ბაზარი, არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა კი მოთხოვნები გაგვიმკაცრა. გასულ წელს ირანმა ისევ მოგვცა მათ ქვეყანაში ცხვრის შეყვანის უფლება, მაგრამ ბაზარზე დაკარგული ადგილის დაბრუნება ახლა არც ისე ადვილია. ცხვრის გასაყიდი ბაზრების დაკარგვის მთავარი მიზეზი მაინც ფასია. ქართული ცხვარი ძვირია“ (მოდებაძე, 2015).*

როგორც საველე და მედიის მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოში სომხეთიდან შემოჰყავთ იაფად ცხვარი და ქართული ცხვრის სახელით გაჰყავთ საზღვარგარეთ, სომხეთიდან ცხვრის ექსპორტი იორდანიაში აკრძალულია, რადგან დაავადებული ცხვრის შეყვანის შემდეგ სომხეთი იორდანიისთვის ვეტერინარულად არაკეთილსაიმედოა. ამიტომ არსებობს მოქნილი სქემა, რომლითაც არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენები ამ პრობლემის გადაჭრას ახერხებენ: *„სანაშენედ შემოყვანილი ცხვარი არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით. სომხეთიდან შემოჰყავთ ცხვარი ვითომ სანაშენედ, ამის შემდეგ გაფორმების ეკონომიკურ ზონებში საბუთების გაყალბება ხდება და სომხური ცხვარი ქართული ცხვრის სახელით და გაყალბებული საბუთებით გაჰყავთ საზღვარგარეთ. არის შემთხვევები, როდესაც სომხური ცხვარი გემზე იტვირთება და იორდანიაში მიდის.“* (მოდებაძე, 2015). შექმნილი ვითარების შესახებ საუბრობს ვარდისუბნელი რესპონდენტი: *„წელს ცხვრის ფასი იმიტომ დაეცა, რომ გაიგეს კახეთიდან ცხვარი მიჰყავთ და არაბეთში გაჰყავთო; თვითონ გადავიდნენ სასომხეთში, იყიდეს ცხვრები, გადმოიყვანეს და მიჰყიდეს აზერბაიჯანში თათრებს. გლეხს ამაშიც შეეცილნენ ეგ ოხრები! (გულისხმობს მთავრობას – ნ. ჯ.), გაასაღეს როგორც ჩვენი ცხვარი. ახლა მე ველარ ვყიდი“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

ინტერვიუებში კახელი რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ, რომ მათთვის ძალიან მომგებიანი იყო ცხვრის ექსპორტი; იმ პერიოდში ბევრმა მეცხვარემ გაამრავლა ცხვარი და წამოიწყო კიდეც მივიწყებული საქმიანობა, რადგან „მეცხვარეს შრომა დაუფასეს!“ თუმცა, ამ საქმიანობის შეფერხების შემდეგ, კახელ მეცხვარეებს მძიმე დღეები დაუდგათ. 12 ბაზრიდან ქართულ ცხვარს ერთადერთი – აზერბაიჯანული ბაზარი დარჩა, სადაც დღეს კახელების ცხვარი გადის. მაგრამ ამისთვის ქართველები საბაჟოზე არაოფიციალურ გადასახადს იხდიან. აზერბაიჯანელებს ცხვარი ძირითადად „პოსლეზე“ მიჰყავთ და ხშირია შემთხვევები, რომ ქართველები საქონლის

ფულს ერთი წლის მერეც კი ვერ იღებენ. თანხები კი საკმაოდ დიდია. აზერბაიჯანელები სარგებლობენ იმით, რომ ქართულ ცხვარს სხვა მყიდველი არ ჰყავს და კაბალურ პირობებს უყენებენ ქართველ მეცხვარეებს, რაზედაც ეს უკანასკნელნი, გამოუვალი მდგომარეობის გამო, თანხმდებიან (მოდებაძე, 2015).

საძოვარი. საველე სამუშაომ ნათლად დაგვანახა, რომ უკანასკნელ პერიოდში მეცხვარეს მნიშვნელოვნად გაუძნელდა ბატკნის გაყიდვა; მისი შენახვა კი ზამთრის საძოვრებზე საკვების დამატებითი წყაროს ძებნას საჭიროებს. სწორედ საძოვრების საკითხი არის კიდევ ერთი საჭირბოროტო თემა, რომელიც, როგორც წინა თავში ვახსენეთ, ქართველი მესაქონლის ყოფაში, მუდმივად ქმნიდა სირთულეებს. კახეთის ბარის საძოვრები სეზონის მიხედვით გამოიყენება ზამთრის და მთელი წლის ძოვებისათვის, მთიანი კი მხოლოდ ზაფხულობით. საბჭოთა პერიოდში ეს საკითხი დიდწილად მოგვარებული იყო. ყველა მეცხვარეობის მეურნეობას თავისი ზამთრის და საზაფხულო საძოვრები ჰქონდა, რომელთა მოვლა-მოწესრიგებაზე სახელმწიფო ზრუნავდა და მეცხვარე მიწის გასადახადისაგან თავისუფალი იყო. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი, როდესაც მიწის პრივატიზაცია განხორციელდა, საძოვრების დიდი ნაწილი კერძო მფლობელთა ხელში აღმოჩნდა და მეცხვარე მიწის მეპატრონეს დღეს ქირას უხდის. დარგის სპეციალისტთა შეფასებით: *„მას შემდეგ რაც სახელმწიფო მიწები სამართავად გადაეცა მუნიციპალურ მმართველობით ორგანოებს, ხშირ შემთხვევაში დაირღვა მომთაბარე მეცხოველეობის წარმოებისათვის საჭირო ძირითადი პრინციპი – ერთი ფერმერის სარგებლობაში მთისა და ბარის საძოვრების ერთად არსებობა. ამდენად, ზამთრის საძოვრების მფლობელი ფერმერი ხშირად იძულებულია იქირაოს ზაფხულის საძოვარი სხვა პირისაგან, რაც აფერხებს დარგების განვითარებას, ხელოვნურად აძვირებს პროდუქციას, იწვევს საძოვრების გადატვირთვას, ხელს უშლის სულადობის რაციონალურ ზრდას და სხვ.“ (ღლიღვაშვილი, 2017, 20).*

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საძოვრებზე გადასახადი განსხვავებულია. საძოვრების ფასს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს. 2011 წელს ფასები გაიზარდა. კახეთის მხარეში ყველაზე მაღალი სახელმწიფო საბაზისო გადასახადი – 1 ჰა-ზე 16 ლარს შეადგენს გურჯაანში, დედოფლისწყაროში, თელავში, ლაგოდეხში, სიღნაღში და ყვარელში; საგარეჯოში იჯარის ფასი 15 ლარია, საძოვრები ახმეტაში ყველაზე იაფია და მისი ღირებულება ერთ ჰა-ზე 2,5-დან 10 ლარამდეა შეფასებული (http://www.aplr.org/?lang=geo&id=376).

მეცხვარეთა ასოციაცია 2011 წლიდან ითხოვდა ხელისუფლებისგან საძოვრის გადასახადების საკითხის მოგვარებას იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში საძოვრების დიდი ნაწილის კერძო საკუთრებაში ყოფნის გამო, მეცხვარეებს მისი დაქირავება ძვირი უჯდებოდათ. თუ 2006-2007 წელს ერთი ჰექტარი საძოვრის დაქირავება ერთი წლით 3 ლარი ღირდა, ახლა მისი ფასი 16 ლარიდან იწყებოდა და, ზოგ შემთხვევაში, 50 ლარამდეც კი

აღწედა. იყო დიდი კონკურენცია, თუ რომელი მეცხვარე დაასწრებდა და იქირავებდა ამა თუ იმ მიწის ნაკვეთს. ამის გამო მიწის გამქირავებელი კერძო მესაკუთრე საკუთარი სურვილისამებრ არეგულირებდა საძოვრის ფასს. საქართველოში კი ასეთ კერძო მესაკუთრეთა რიცხვი 70 პროცენტამდეა (http://www.radiotavisupleba.ge/content/kakheti/25211038.html).

თუში მთხრობლის ინფორმაციით: *„საერთოდ მეცხვარეებს ხელშეწყობა არა აქვთ. საძოვრებზე ძალიან დიდი გადასახადი აქვთ. ახალი მთავრობა რო მოდიოდა, ივანიშვილი შეგვპირდა, რო 3 წელს არ გადაგახდევინებთო, ახლა უფრო მოუმატეს, მაშ! სააკაშვილის დროს უფრო იაფი იყო. ჰექტარზე 8 ლარია – ძალიან უკმაყოფილოებია მაგაზე, რა. ხალხიც ხო ემდურება – რასაც შეგვპირდნენ, არ გააკეთესო! ხოდა, მეცხვარეები – კიდე უფრო...“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015*).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო თვლის, რომ ეს საკითხი გადასახედია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით საქმე წინ არ წასულა.

ანალოგიურია ვითარება ბარის მეცხვარეობის შემთხვევაშიც. საძოვრების პრობლემა აქვთ იმ ფერმერებს, ვისაც მცირე რაოდენობით ცხვარი ადგილზე ჰყავს და არ ამთაბარებს. სოფ. ვარდისუბნელი მესაქონლის ინფორმაციით:

„მე სოფლის განაპირას, ტყისპირასა ვცხოვრობ და შორს არ მიმყავს საქონელი. ჩემი სახლიდან ჩანს, სად არიან, სად მიდიან და ცხვარსაც ასე ვუვლი. ზამთრის საძოვრებზე არ დამყავს. იმდენი ცხვარი არა მყავს, რო შირაქში წავიყვანო და ასი სულის აქ გამოზამთრება შესაძლებელია. ცხვარს ზამთარში არ უჭირს, ცოტა თივა უნდა, რომ ამოიცოხნოს და კონცენტრული საკვები უნდა გქონდეს, რო კალიუმი მიიღოს იმან. ზაფხულშივე ვიმარაგებ ბალახს და ვაჭმევ თივას. სათიბიც არ არი. აი ჩემს ეზოს გავთიბავ, აგერ მეზობლების ეზოებს და ასე ვაგროვებ. წვალებ-წვალებით ვინარჩუნებ. მე პატარა ოჯახური მეურნეობა მაქვს. მთავრობა არაფერში არ გვეხმარება ჩვენ. ახმეტელებს დიდი ხელის შეწყობა აქვთ სოფლის მეურნეობაზე“ (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

ან:

„მთავრობა მაქსიმალურადა ცდილობს, გლეხებს და მშრომელ ხალხს წაუჭიროს ყელში ხელი. ყველა სფეროში... ახლა მივადექით სოფლისთვის მტკივნეულ ადგილს. თუ რამე სოფელს გარშემო საძოვარი ქონდა, ხდება სახელმწიფოზე დარეგისტრირება, და მერე აუქციონზე გატანა. ვარდისუბანს აქვს ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, ნორმალურად რო განვითარდეს სოფელი. დანარჩენი რა? – მწირენიადაგიანი მიწები აქვს და მეტი არაფერი. ამიტომაც მოსახლე იძულებულია აღარ იყოლიოს ძროხა, ცხვარი, იმიტომ რომ მაშინ იძულებულია კერძო საძოვარზე აბალახოს, კერძო ნაკვეთში კიდევ კონფლიქტი აქვს მეპატრონესთან. საკუთარ ვენახებში დაუდით ეხლა ძროხები მოსახლეობას. სათიბი არა აქვთ. მოსახლეობა ძალი-

ან მძიმე მდგომარეობაშია. სოფლის გარშემო იყო 150 ჰექტარი საძოვრები. სოფლის შემოგარენში და მოხდა ამ საძოვრების გასხვისება 2011-2012 წლებში. აი, მაგალითად, 17 ჰექტარი მიწა სოფლის თავში საუკეთესო ადგილი, არ ვიცი ვის მიასყიდეს, პიროვნებები არ გამოჩენილან. ამ ეტაპზე კი შედის მოსახლეობა და აძოვებს იქ საქონელს, მაგრამ იმას ხომ შეუძლია შემოღობოს და არ შეუშვას?!" (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

პრობლემაა თუშეთის საძოვრებზედაც. მიწის რეფორმის გატარების შედეგად თუშეთის მთელი მიწა მოინიშნა რუკაზე საძოვარ ერთეულებად, რომლებიც მეცხვარეებზე გაიცა იჯარით და ამით სარგებლობს დღემდე ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის მიხედვით მართავს თუშეთის დაცულ ლანდშაფტს. ლანდშაფტის საზღვრები შესაბამისი სამუშაოების ჩატარების გარეშე მხოლოდ ძველ ტოპოგრაფიულ რუკაზე მონიშვნით გამოიყო ეროვნული პარკის და სახელმწიფო ნაკრძალისაგან. ამგვარად, მიწათსარგებლობის რუკაზე თუშეთი უხეშადაა დაყოფილი საძოვარ ერთეულებად, რომლებზეც არ არის მონიშნული სოფლის მოსახლეობის კუთვნილი საკარმიდამო, სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი ფართობები (ახმეტის... 2015, 38).

ამ ვითარების შესახებ ვკითხულობთ ი. ელანიძის ნაშრომში: *„ინტერესთა შეჯახების გამო, სოფელი – ტრადიციული მოწყობის ინერციით და მეცხვარეები – არსებული იჯარის უფლებით, ერთმანეთს უპირისპირდებიან. იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. მაგალითად, 2013 წელს სოფელ შენაქოს მაცხოვრებელთა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ისინი სოფლის კუთვნილ სავარგულებში ცხვრის ძოვების აკრძალვას ითხოვენ, მთელი თუშეთის მოსახლეობის სათქმელს გამოხატავს. სოფლების ინფრასტრუქტურის ყოველწლიური დაზიანება საქონლის მიერ, ზრდის ხარჯებს და ხელს უშლის მთის აღორძინებას, ხოლო ცხვრის ძოვება ყოფილ სახნავ-სათეს მიწებზე იწვევს ნიადაგის ეროზიას" (ელანიძე, 2014).*

მთხრობელთა მონაყოლიდან ირკვევა, რომ ვინაიდან დღეს სოფლის კუთვნილი მიწები თუშეთში აღარ იხვნება, ცხვარს სახნაურებში აყენებენ. თუ მაგალითად, წინათ თუშეთში ყველა სოფლის ახლოს იყო ბინა, ახლა ცხვარი სოფლის ახლომახლოს ჰყავთ, რაც ეკოლოგიურ ინფრასტრუქტურას და ბუნებრივ საფარს აზიანებს.

პრობლემა შეიქმნა მეცხვარეებისთვის მაშინაც, როდესაც 2003 წლიდან თუშების ზოგიერთი ზამთრის საძოვარი ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვრებში აღმოჩნდა. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების სტეპები და ნახევრადუდაბნოები საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა ძირითადად თუში თემის მიერ. ვაშლოვანის ტერიტორიაზე ცხვრის ძოვების და მისი ზიანის შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში წერდა ნ. კეცხოველი:

„ნათელი ტყეები ამ ახლო წარსულში საქართველოში უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ გავრცელების არის თავისებურებამ თავისი

დაღი დაასვა, – ძლიერ შემცირდა. ეს ტყეები გარცელებულია საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ზამთრის საძოვრებად იყო და ახლაც არის გამოყენებული, ანდა უშუალოდ ესაზღვრება ინტენსიური სოფლის მეურნეობის სოფელ-დაბებს. ვაშლოვანის ტყის არეში ძოვდა ცხვარი, მროწლე, რომელიც ტყის ნორჩ ამონაყარს ან ფესვს ყელამდე ჭამდა, ან ფეხით თელავდა და ანადგურებდა, რითაც ხელს უშლიდა ტყის აღდგენას. ამჟამად, თუ ზოგან ნორჩნარი მაინც გვხვდება, ესაა შედეგი თავისებური „ცრუ სიმბიოზისა“ კევის ხესა და ეკლიან ბუჩქებს (შავჯაგა, ძეძვი, გლერძა) შორის. ვაშლოვანში დროებით დართეს ნება, რომ საქონელი ეძოვებინათ. ნათქვამია: „ბატონს ძღვენს ნუ მიუტან, თორემ ბეგარად დაგადებსო“, შემდეგ ძლივს ავაღებინეთ ხელი საქონლის ძოვებაზე. მეცხვარეებს ზამთრის საწვავს სწორედ ნათელი ტყე აძლევდა (კეცხოველი, 1967, 45).

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილებაში (№18) ვკითხულობთ, რომ იმ პერიოდისთვის დაცული ტერიტორიების რესურსებით მოსარგებლეები ძირითადად წარმოდგენილი არიან თუში მეცხვარეების, მეძროხეების, მეჯოგეების სახით, ასევე ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების მოსახლეობით. „მომთაბარე მეცხვარეობა ტრადიციული საქმიანობაა. ვაშლოვანის ეროვნული პარკის უმეტესი ნაწილი ბუნებრივი საძოვრებისაგან შედგება, რომლებსაც შემოდგომასა და ზამთარში სულ 45 ფერმა (31 ფერმა ტრადიციული გამოყენების ზონაში, აქედან 1 ფერმა უშუალოდ სახელმწიფო ნაკრძალის საზღვარზეა განლაგებული, 6 ფერმა აღდგენის ზონაში, 8 ფერმა მართვადი დაცვის ზონაში) იყენებს და მათ დაახლოებით 22 000 ცხვარი, 160 ცხენი, 1000 ძროხა ჰყავთ ჯამში. ყოველწლიურად, გაზაფხულიდან მეცხვარეები კავკასიის (თუშეთის) საზაფხულო საძოვრებზე გადადიან. ფერმების შენობების უმეტესობა პრივატიზებულია. გაყიდვისთვის წარმოებული ძირითადი პროდუქტია: გუდის ყველი, ხორცი, თექა და მატყლი (შალი), მწყემსების ნაწილი არ ეწევა მომთაბარე ცხოვრებას. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მომუშავე ფერმერების გარდა, მესაქონლეები საქმიანობენ დაცული ტერიტორიების უშუალოდ მოსაზღვრე მიდამოებში (საზღვრის მთელ გაყოლებაზე). მესაქონლეები, უმთავრესად, თუში მეცხვარეები არიან (17 ფერმერი, 85 დასაქმებული ადამიანი, 25 000 – 30 000 ცხვარი).

მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლიდან არიან: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან (გამარჯვება, დედოფლისწყარო, ზემო ქედი, არხილოსკალო, საბათლო; ჯამში 3 000 ჰა, დაახლოებით 60 ადამიანი დასაქმებული), ახმეტისა (ზედა და ქვედა ალვანი, ჯამში 700 ჰა, დაახლოებით 15 ადამიანი) და თელავის მუნიციპალიტეტიდან (ლალისყური, ჯამში 200 ჰა, 5 ადამიანი). გარეული ცხოველები (ღორი, დათვი) მათ მოსავალს დამატებით საკვებად ხშირად იყენებენ, რასაც საკმაო ზიანი მოაქვს ფერმერებისთვის. (საქართველოს... 2014, 12-13).

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური დახმარებით 2014-2016 წლებში განხორციელდა პროექტი „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“, რომლის მიზანიც იყო ვაშლოვანის ეკოსისტემის შენარჩუნებით ცხვრის ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ეკოლოგიური მენეჯმენტისა და ტრადიციული ძოვების პრაქტიკის მეშვეობით; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, საძოვრების მდგრადი მართვის გზით; საძოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მონაწილეობითი მართვის უზრუნველყოფა. ეს გულისხმობს ცხვრის მესაკუთრეების, თემების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადგილობრივი მთავრობისა და სხვა შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩართვას ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღებისა და საძოვრების მართვის პროცესში (ვაშლოვანის... 2015, 4).

ცხვრის გზა. მომთაბარეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს პირუტყვის სახელმწიფო გადასარეკი ტრასა წარმოადგენს. ბოლო პერიოდის განმავლობაში კახეთის მეცხვარეების წინაშე ძალზე მწვავედ იდგა გადასარეკი ტრასების პრობლემა. ეთნოლოგებთან ინტერვიუებში რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ ტრასების მოუწყობლობას და კომუნისტების დროინდელი ინფრასტრუქტურის მოშლას. როგორც დარგის სპეციალისტები მიიჩნევენ, გადასარეკი ტრასები მნიშვნელოვანი რგოლია მთისა და ბარის საძოვრების ეფექტური გამოყენებისა და დარგის ინტეგრირებული განვითარებისთვის. „დღეისათვის, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი კერძოა ან იურიდიულ პირთა სარგებლობაშია, სახელმწიფო პირუტყვის გადასარეკი ტრასის არარსებობის შემთხვევაში მოხდება მეცხვარეობის დარგის ინტეგრირებული წარმოების რღვევა. ვინაიდან საქართველოში ზამთრის (ბარის) საძოვრები მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე ზაფხულის (მთის) საძოვრები, ასეთმა რღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს ცხვრის ძირითადი (სანაშენო და საწარმოო) სულადობის მკვეთრი შემცირება და მთისა და ბარის, როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის, დეგრადირება. ამდენად, პირუტყვის სახელმწიფო გადასარეკი ტრასა და მისი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს არა მხოლოდ მომთაბარე მეცხოველეობის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესს“ (ღლიღვაშვილი, 2017, 3).

პირუტყვის გადასარეკი ტრასა საქართველოს ოთხ რეგიონზე და ოც მუნიციპალიტეტზე გადის. არსებობს ამ გზის რუკა, მაგრამ იმის გამო, რომ რუკა ხარვეზებით არის შედგენილი, ცხვრის გადასარეკი ტრასა ზოგიერთ ადგილებში კერძო მესაკუთრეების მიწის ნაკვეთებზე გადის. ამის გამო ხშირია კონფლიქტი ადგილობრივებსა და მეცხვარეებს შორის.

საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ, თანდათანობით განადგურდა მეცხვარეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ინფრასტრუქტურა, მწყობრიდან გამოვიდა და შემდეგ მოისპო ცხვრის დასასვენებელი პუნქტები, გასაბანებლები და დეზობარიერები; თუმცა, 2017 წელს სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO), საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის“ და „მცირეკავკასიის ალიანსების პროგრამის“ (ALCP) მხარდაჭერით აშენდა ბიოუსაფრთხოების პუნქტები დედოფლისწყაროში, სიღნაღსა და ყვარელში, ბიოუსაფრთხოების პუნქტში შესაძლებელია დღეში 3 ათასამდე წვრილფეხა და აგრეთვე მსხვილფეხა პირუტყვის პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება. ცხოველთა დამუშავებისას გამოიყენება მაღალი სტანდარტების ინსექტოაკარიციდული პრეპარატები. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ფერმერებს უსასყიდლოდ ემსახურებიან (http://www.moa.gov.ge/7/News/2381).

მატყლი. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფოში მეცხვარეობის დარგიდან მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქცია იქმნებოდა, მათ შორის მატყლი. მაგალითად, 1980-90 წწ. ყოველწლიურად 5,5-5,8 ათასამდე ტონა მატყლი მზადდებოდა. წარმოებული მატყლი განსხვავებლი ხარისხის იყო: წმინდა, ნახევრადწმინდა, ნახევრადუხეში, უხეში და სხვ. კარგად იყო განვითარებული მატყლის გადამუშავება და ტექსტილის ინდუსტრია. მატყლის შესასყიდი ფასი მაშინდელ 10-15 საბჭოურ მანეთს შეადგენდა, რაც ხელს უწყობდა დარგის განვითარებას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს მოაკლდა ზამთრის საძოვრები, რადგან ქვეყანას აღარ მიუწვდებოდა ხელი კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე; გარდა ამისა, ცხვრის პროდუქტებმა დაკარგა ტრადიციული საბჭოთა ბაზარიც. სხვა ბევრი ინდუსტრიის მსგავსად, მატყლის წარმოებაც ჩამოიშალა (ღლიღვაშვილი... 2017, 19; კოჭლამაზაშვილი... 2017)

მატყლის წარმოება შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იყო კახეთის მეცხვარეებისთვის. დღეს კი მათ სხვა უამრავი საზრუნავის გარდა, მატყლის ჩაბარება-გასაღების პრობლემაც უდგას. ექსპერტების შეფასებით: *„ზამთრის საძოვრების შემცირებასთან ერთად დაეცა მატყლის ფასი, რადგან გაჩერდა გადამამუშავებელი რგოლი და მოთხოვნილება მატყლზე მკვეთრად შემცირდა. აგრეთვე მატყლის ძველი (საბჭოური) სტანდარტის მოქმედების გამო, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისოს, გაძნელებულია წარმოებული მატყლის ექსპორტი. ყოველივე ამას დაემატა სანაშენე საქმის ნორმალური წარმოების მოშლა, რის გამოც გაუარესდა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა“* (ღლიღვაშვილი, 2017, 20). თუშური ცხვრის მატყლის ხარისხზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბრობს რესპონდენტი თუშეთიდან:

„თუშური ცხვრის მატყლი, მსოფლიოს მატყლთა შორის ერთადერთია, რომელსაც სიღრუე აქვს, ფილტრაცია აქვს. ბეწვს აქვს კაპილარობა. მსოფლიოს 78 ცხვართა ჯიშებს შორის ყველაზე ძლიერია, ჯამრთელობისთვის ყველას ჯობია.

ცხვრის შემოსავლიდან, მატყლი ყველაზე ნაღდია, მაგრამ დღეს ცხვარს არა აქვს დიდი შემოსავალი. საბჭოთა კავშირის დროს მატყლი 12-15 მანეთი ღირდა კილო. ახლა ჩალის ფასი აქვს მატყლს – ერთი ლარია! გზის ფულსაც ვერ ფარავს თუშეთიდან ალვნამდე! ერთი ლარი ძალიან ცოტაა! მატყლის წაღება დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და იქ რო ჩაჰქონდათ, ჩალის ფასი ჰქონდა მატყლს. წაღებას აზრი არა ჰქონდა და ამიტომ წლები იყო რო იწვებოდა და იყრებოდა. კომუნისტური წყობის დროს აქ, ომალოში, აშენებული იყო, და მერე დაანგრიეს, სარეცხი და საჩეჩ-სართავი საამქრო. ჩემის აზრით უნდა შეიქმნას მატყლის დამამუშავებელი საწარმო, თუნდაც სარეცხი-საჩეჩი. ნახევარფაბრიკატი უფრო კარგად გაიყიდება და დაედება ფასი მეცხვარეობას, თუარა-და დღევანდელი მწყემსები, ეს არიან ენთუზიასტები“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).

ძალიან ბევრი ჩემი რესპონდენტი ინტერვიუებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მატყლის წარმოება პირდაპირ კავშირშია მეცხვარეობის დარგის ყოფნა-არყოფნასთან. პოსტსაბჭოთა პერიოდში მთლიანად მოისპო კომუნისტებისდროინდელი მატყლის ჩაბარების და გადამუშავების სისტემა. მატყლის სექტორის გარეშე მეცხვარეობის არასაიმედო მომავალზე საუბრობს თუშ მთხრობელთა უმრავლესობა:

„დადგება ალბათ დრო, რომ მეცხვარეობა სათუშოში არ იქნება, მატყლს თუ ფასი არ დაედო, მატყლი თუ ადგილზე არ დამუშავდა! კილოგრამი მატყლი, ლარიც კი არ ღირს, გამიგეთ, და აი, მატყლი (რო ამოდიან და ადგილზე პარსავენ), იმხელა ხარჯს ვერ ფარავს, რომ ის მატყლი ალვანში ჩაიტანონ. გაზაფხულზე რო გახვიდე, ბინის გარშემო ხო იქნება, ზოგი წვავს, ზოგი ასე ტოვებს და გაზაფხულის თოვლი რო გარეცხავს, გეგონება, აი თოვლის ქულები დევსო. არავითარი მთავრობა და არავითარი სამთავრობონი. ეს არის ერთი-ორი პროცენტისთვის, დანარჩენი? იმ მეპატრონეს, ვისაც ცხვარი ჰყავს, ბევრი აღარაფერი არ რჩება. დადგება დრო, ეს ენთუზიაზმი მწყემსების, ახალგაზრდებსაც მოსწყინდებათ და ... თუ მატყლს ფასი არ დაედო!“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).

ანალოგიური ვითარებაა კახეთის მეცხვარეობით მდიდარ სხვა რაიონებშიც. მაგალითად, დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მზადდება 500 ტონამდე მატყლი, აქედან მხოლოდ 45-50 %-ის რეალიზება ხდება (საკმაოდ დაბალ ფასებში). დარჩენილი მატყლის შენახვის ხარჯების თავიდან ასაცილებლად, ფერმერი იძულებულია ის გაანადგუროს. საგარეჯოში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ფუნქციონირებდა მატყლის მძლავრი გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ძირითადად დასაქმებული იყო, სოფლების: წყაროსთავის და ნინოწმინდის მოსახლეობა. ქარხანა აწარმოებდა პირველადი მოხმარების ნივთებს (წინდები, ფარდები, ფარდაგები, ქეჩა და ა.შ.) (საგარეჯოს... 2016, 41).

შპს „თუშეთი“ ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში 2006 წელს დაარსდა. საწარმოს დღეში 200 კგ შალის ძაფის წარმოება შეუძლია. კომპანია ერთ კილოგრამ ხარისხიან მატყლში 1 ლარს იხდის და ფერმერებიც მო-

ტივირებული არიან, მაღალი ხარისხის პროდუქტი აწარმოონ. თუმცა დღეს ამ ქარხანას წელიწადში მხოლოდ 25-30 ტონა მატყლის შეძენა შეუძლია, რაც ზღვაში წვეთია ქართული მატყლის მთლიანი რაოდენობის ფონზე. მეტი მოთხოვნაა დამუშავებულ მატყლზე (გარეცხილი, შეღებილი, დართული, მოთელილი), მაგრამ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ, რადგან მატყლის გარეცხვისა და გაშრობის სიმძლავრეები შეზღუდულია (ასევე, მოძველებული სართავი მანქანების გამო) (კოჭლამაზაშვილი, 2017)

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებით 2014 წლიდან ხორციელდება პროექტი „მატყლის წარმოებისა და გადამუშავების ხელშეწყობა თუშეთში", რომლის ფარგლებშიც მოხდა თუში მეცხვარეებისათვის ცხვრის საპარსი აპარატებისა და დენის გენერატორების შეძენა მატყლის საპრესთან ერთად. იგეგმება ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებიდან ჩამოტანილი ნაპარსი მატყლის, პირველადი გასუფთავება-გადამუშავება მოხდეს სოფელ ქვემო ალვანში, პროექტის მიერ დაფინანსებულ საამქროში, ხოლო მისი რეალიზაცია მზა პროდუქციის სახით მოხდება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ (ახმეტის... 2015, 32-33).

ქართული მატყლის პირველი, საცდელი პარტია დიდი ბრიტანეთის ბაზარზე 2015 წლის აგვისტოში გაიგზავნა. ბრიტანულმა კომპანიამ Curtis Wool Direct Limited-მა „ქართული მატყლის" კომპანიისგან 1კგ, გაურეცხავი მატყლი 1,05 აშშ დოლარად შეიძინა. Curtis Wool Direct Limited-is სათაო ოფისი დასავლეთ იორკშირში, ქალაქ ბრადფორდთან მდებარეობს. ის ძირითადად 5 სახეობის – ბრიტანულ, ნორვეგიულ, ირლანდიურ, ახალ ზელანდიურ და შოტლანდიურ შალის ძაფს აწარმოებს (მოდებაძე, 2015).

უკვე 2017 წელს „ქართული მატყლის კომპანიამ" დიდ ბრიტანეთში მატყლი ექსპორტზე გაგზავნა. მატყლი პირველი ცხოველური წარმოშობის პროდუქტია, რომელიც ევროპულ ბაზარზე მოხვდა. „სავარაუდოდ, საუბარია, თვეში 100-200 ტონა მატყლის ექსპორტირებაზე. უცხოური კომპანია მზადაა, 1 კგ მატყლი 0,90-1 აშშ დოლარად შეისყიდოს (დიდი ბრიტ... 2017)

გუდის ყველი. დღეს, ცხვრის ფერმების მთავარი შემოსავალია ცოცხალი ცხვრის (თოხლის) და ცხვრის ყველის (განსაკუთრებით, თუში მეცხვარეებისთვის) რეალიზაცია. კახეთში ცხვრის წველას და გუდის ყველის დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს. დადგენილია, რომ 1,5-2,0 თვის განმავლობაში ცხვრის ნორმალური წველის შემთხვევაში თითოეული სული ცხვრისგან 20-25 კგ რძე მიიღება, საიდანაც 4-5 კგ ყველი მზადდება. გუდის, ანუ თუშური ყველი, თუშური ცხვრის რძისგან მზადდება და უნიკალური საგემოვნო თვისებები გააჩნია (ღლიღვაშვილი, 2017, 19).

ტრადიციულად, გუდა ცხვრის ტყავისგან მზადდება, რაც დიდ შრომასთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ ბევრი მეცხვარე დღესდღეობით პოლიეთილენის პარკებს იყენებს, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ყველის ხარისხსა და გემურ თვისებებზე. გუდის ყველის დამზადება ძირითადად თუშებშია შემორჩენილი და დღესაც იგივე ტექნოლოგიით ხდება,

როგორც ამას საუკუნეების წინ აკეთებდნენ. თუშები ყოველწლიურად დაახლოებით 200-250 ტონა ყველს აწარმოებენ. სოფელ ზემო და ქვემო ალვანში ფუნქციონირებს ყველის დასაფასოებელი სამი მინისაწარმო.

ადგილობრივ ბაზარზე 1 კგ ყველის საცალო ფასი დღეისათვის 18-დან 30 ლარამდე მერყეობს, რაც ბოლო 9 წლის განმავლობაში 2-3-ჯერ არის გაზრდილი (ახმეტის... 2015, 25).

გუდის ყველის წარმოების თითქმის მივიწყებული ტრადიცია კოოპერატივ „ალაზნისთავის“ დამფუძნებლებმა „ენპარდის“ პროგრამის, ასევე დონორი ორგანიზაციების „ოქსფამისა“და „ელკანას“ მხარდაჭერით 2015-2016 წლებში აღადგინეს. ყველის დამამზადებელი საწარმო, რომელიც უახლესი ტექნოლოგიით არის აღჭურვილი, თუშეთში, გომეწრის ხეობაში მდებარეობს. ტრადიციულ თუშური გუდის გარდა კოოპერატივი ამჟამად 4 სახეობის ყველს, ყველა სტანდარტის დაცვით, აწარმოებს. „ალაზნისთავის“ გუდის ყველის რეალიზაცია თბილისის სუპერმარკეტებში ხდება. ასევე, 2017 წლის ოქტომბრიდან პროდუქცია გადის ექსპორტზე ამერიკაში, კერძოდ, კალიფორნიაში. ახლო მომავალში კი თუშური წარმოების გუდის ყველი ისრაელსა და რუსეთში გაიყიდება. გარდა ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებისა, იგეგმება თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი გუდის ყველის გადასამუშავებელი და შესაფუთი საწარმოს აშენება კახეთში, კერძოდ სოფელ ალვანში (გამთენაძე, 2017). იტალიაში გამართულ ყველის საერთაშორისო ფესტივალზე ფირმა „ალაზნისთავის“ თუშურმა გუდის ყველმა კონკურსზე მთავარი ჯილდო მოიპოვა. ფესტივალი ჩაატარა ორგანიზაცია Slow Food-მა; მისი მთავარი პრიორიტეტი იყო ტრადიციულად დამზადებული ყველისა და სხვა საკვები პროდუქტებისათვის ბუნებრიობის და გემოს შენარჩუნება.

გასულ წელს ყველის მასობრივი წარმოება დაიწყო 25 წლის ახალგაზრდამ თუშეთიდან – გ. ქარსამაულმა, რომელსაც სოფელ ვესტომთაში (გომეწრის ხეობა) ცხვრის ფერმა აქვს. მას ყველი თუშური ტრადიციული მეთოდით გამოჰყავს და ნაწარმი სიღნაღსა და თბილისში მდებარე რამდენიმე რესტორანში შეაქვს. ერთი კილოგრამი ყველის ღირებულება 25 ლარია (ფაცია, 2016).

ცხვრის ყველს აწარმოებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტშიც. როგორც ითქვა, რაიონი საქართველოში პირველ ადგილზეა ცხვრის სულადობით, დედა ცხვრის რაოდენობა არის 161 400, აქედან პოტენციურად რძის მომცემი, მინიმუმ 115 000 სულია. მიახლოებითი გამოთვლებით, თუ თითო სულზე შესაძლებელია დამზადდეს 5 კგ. ყველი, მაშინ მთლიანობაში გამოდის 575 ტონა. დღეისათვის კი მზადდება აღნიშნული ოდენობის დაახლოებით 40-45 %, ე.ი. რესურსი არის, თუ მას მიეცემა სამრეწველო მნიშვნელობა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ცხვრის რძის წარმოება ხდება ძირითადში მთაში ასვლის პერიოდში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მოძრავი რძის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი

იქნება ეკოლოგიურად სუფთა და სხვადასხვა დაავადებებისგან დაცული ცხვრის ყველის წარმოება (საგარეჯოს... 2017, 41-42).

კვლევამ დაგვანახვა, რომ კახეთის მხარის მეცხვარეები საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან, რომელთა მოუგვარებლობა დარგის არსებობას უქმნის საფრთხეს. მეცხვარეებისთვის მთავარი მათი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პირობების ქონაა: 1. ცხვრისთვის საკმარისი საკვები, რომლის ნაკლებობაც განპირობებულია, ერთი მხრივ, საძოვრების სიმცირით ან მათი სიძვირით და, მეორე მხრივ, არასახარბიელო კლიმატური პირობებით (ძირითადად გვალვა); იგულისხმება საძოვრების გაკეთილშობილება; 2. ცხვრის გადასარეკი ტრასების მოწესრიგება; 3. ხარისხიანი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფა და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა; 4. ეფექტიანი ვეტერინარული სისტემის არსებობა; 5. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რძის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა; 6. რძისა და ყველის წარმოებისას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; 7. ხორცის წარმოებისა და მის სარეალიზაციო პუნქტებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; 8. მატყლის გადასამუშავებელი საწარმოების შექმნა-აღდგენა; 9. ეპიზოოტიური მდგომარეობის მონიტორინგი და პროფილაქტიკა. შესაბამის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დარგის გადარჩენისათვის ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფერმერებისთვის, ხელი უნდა შეეწყოს კოოპერატივების ჩამოყალიბა-განვითარებას და ფერმერთა განათლების დონის ამაღლებას.

§ 2. მსხვილფეხა მესაქონლეობა

მესაქონლეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია.

არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითური კულტურის დამდეგიდან ყველა პირობა არსებობდა მიწათმოქმედების და მესაქონლეობის განვითარებისთვის (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 15). სპეციალისტთა მოსაზრებით, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი ტომების ეკონომიკურ ცხოვრებაში მიწათმოქმედებასთან ერთად მესაქონლეობას უკვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და მეურნეობის ორივე დარგმა განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 22). სავარაუდოდ, ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურაში უკვე უნდა არსებულიყო სეზონური მესაქონლეობა, როგორც ზეგნებზე და მთისძირა ზოლში, ისე ბარშიაც (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, 132). ბრინჯაოს ეპოქაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა უკვე დაწინაურებული ჩანს. ეპოქათა მსვლელობისას თანდათან იცვლება მესაქონლეობის ხასიათი. იწყება საზაფხულო საძოვრებისათვის მთის ზოლის

უფრო ინტენსიურად ათვისება და მესაქონლეობა ნახევრად მომთაბარულ ხასიათს იღებს. მსხვილფეხა საქონელს უპირატესად ახლომდებარე ადგილებში ამყოფებდნენ, წვრილფეხა საქონელს კი უფრო დაშორებულ საზაფხულო საძოვრებზე აძოვებდნენ. მსხვილფეხა საქონელი ზამთრობით საცხოვრებელ ადგილას ბაგურ კვებაზე იყო, წვრილფეხა საქონელი კი ალბათ საზამთრო საძოვრებზე იმყოფებოდა. (საქართველოს ისტორია, ტ.I, 2012, 31-32). ქართველი არქეოლოგების ვარაუდით, მთაბარული მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებული ფორმები შუა ბრინჯაოს ხანის იორ-ალაზნისპირეთისა და თრიალეთის ყორღანული კულტურების სინქრონული უნდა იყოს. (მას. საქ. შინ..., 1986, 6)

არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები კახეთს მესაქონლეობის კუთხით ერთ-ერთ განვითარებულ რეგიონად წარმოაჩენს. ისტორიულად ცნობილია, რომ კახეთის სამთავრო (კახეთ-კუხეთ-გარდაბანი) ეკონომიკურად დაწინაურებული მხარე იყო. აქ შერწყმული იყო მთისა და ბარის მეურნეობის დარგები: ინტენსიური მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა და სახნავი მიწათმოქმედება ბარულ და ალპურ მესაქონლეობასთან, რის საფუძველსაც საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სიუხვე იძლეოდა. მდინარეები იორი და ალაზანი კარგად იყო გამოყენებული ფართო სარწყავი სისტემებისთვის, რაც სოფლის მეურნეობის ინტენსიური დარგების განვითარებისათვის მიწის ფართო მასშტაბით მოხმარების პირობას ქმნიდა. მდინარეების ივრისა და ალაზნის ზემო წელზე მთიან ზოლში წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო (საქართველოს ისტორია, ტ. 2, 1973, 133).

XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის სოფლის მეურნეობის დარგთა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას, რომელიც უმთავრესად მთიან ადგილებში იყო განვითარებული. განსაკუთრებით განთქმული იყო თავისი საძოვრებით დიღმისა და აღაიანის ველები, იაღლუჯის მთის ფერდობები და სხვა. საქონელზე დაწესებულ გადასახადთა ნაირსახეობა („ნახირისთავი“, „პირისთავი“, „სამლაშე“, „საბალახე“ და სხვ.) განვითარებული მესაქონლეობის მაჩვენებელია. „ნახირისთავი“ დაკავშირებული იყო მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ, ნახირის ყოლასთან. იგი პერიოდულად ეწერებოდა სოფელს, როგორც სამეფო-სახასო გამოსაღები. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, 1973, 278-279)

კახეთში სხვადასხვა გეოგრაფიულ-კლიმატურ ზონაში მესაქონლეობა არაერთგვაროვნად იყო და არის განვითარებული; შესაბამისად, აქ გვხვდება როგორც ბარული, ისე მთური და მთაბარული მესაქონლეობა. ვ. შამილაძის შეხედულებით: „XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოს ბარულ მესაქონლეობაში წამყვანი ადგილი მსხვილფეხა მესაქონლეობას ეკავა. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მსხვილფეხა საქონელს რაოდენობით ცხვარი სჭარბობდა, მაგრამ იგი აქ ძირითადად მსხვილი მეურნეების ხელში იყო მოქცეული, რომლებიც თავიანთ მრავალრიცხოვან ფარებს ზამთარ-ზაფხულ გარე სავარგულებზე – საზამ-

თრო და საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებოდნენ და მთაბარულ მეცხვარეობას ეწეოდნენ“ (შამილაძე, 2014, 285). მთური და მთაბარული მესაქონლეობა წარმოდგენილი იყო, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლით, რომელთა შორისაც წამყვანი ადგილი პროდუქტიული მიმართულების ძროხეულისა და ცხვრის მოვლა-მოშენებას ეჭირა (შამილაძე, 1986, 100-118). მესაქონლეობის მთური და მთაბარული ტიპები კახეთის რეგიონში ახმეტის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონებში გვხვდება; გადარეკვითი მესაქონლეობისთვის დამახასიათებელი ორხელაობა დღეს თუშეთში მოწმდება.

თანამედროვე პერიოდში კახეთის მეცხოველეობის სექტორში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, რომლის რაოდენობაც 2016 წლის მონაცემებით 97 200 სულს შეადგენს (http://business.org.ge). კახეთის რეგიონში შემავალ მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მცირე სულადობა ჰყავს გურჯაანს, ხოლო ყველაზე მეტი საგარეჯოს, მას მოსდევს ახმეტა, ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, თელავი, სიღნაღი და ყვარელი.

კახეთის მხარეში ძროხის გავრცელებული ჯიშებია ქართული მთის (ხევსურული) ჯიში და კავკასიური წაბლა. ხევსურული ძროხა – ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქართული აბორიგენული ჯიშია. ტანად პატარაა, ამტანია და ზამთარში ადვილად გამოსაკვები. აქვს მთის ციცაბო ფერდობების ათვისების უნარი, ხასიათდება რძეში ცხიმისა და ცილების მაღალი შემცველობით, ერთ კილოგრამ ცოცხალ მასაზე ძალიან მაღალი მონაწველით, შესაბამისად, ყველის კარგი გამოსავლიანობით, რძისა და ხორცის მაღალი კულინარიული თვისებებით. (ახმეტის... 2015, 41; სიღნაღის... 2015, 29).

კავკასიური წაბლა წარმოადგენს სარძეო-სახორცე მიმართულების ჯიშს. ის გამოყვანილია საქართველოში და მისი ისტორია დაკავშირებულია გერმანელი მემამულის ა. კუჩენბახის სახელთან. იგი საქართველოში 1862 წელს ჩამოვიდა. კუჩენბახმა ჯერ იჯარით აიღო, მერე კი იყიდა 7 ათასი დესეტინა მიწა დმანისის რაიონში – სოფ. მთისძირის, პანტიანის და ტყისპირის ტერიტორიები, და მოაწყო ევროპული სტილის მესაქონლეობის ფერმა. თავდაპირველად მან ჩამოიყვანა „შვიცის“ 13 დეკეული და 3 კურო, ხოლო XIX ს-ის 90-იან წლებში მის ფერმაში უკვე 250-300 ჯიშიანი ძროხა ითვლებოდა. მისი ქარხანა წლიურად 2 000 ფუთ შვეიცარიულ ყველს და 300 ფუთ კარაქს ამზადებდა. მაგრამ მისმა საქონელმა ავადმყოფობა დაიწყო და ფერმერი იძულებული გახდა შვიცი ძროხის ადგილობრივ ჯიშთან შეეჯვარებინა. შემდგომში, მიღებული თაობების შეჯვარება გაგრძელდა მონათესავე – კოსტრომულ და ლებედინოურ ჯიშებთან. ნაჯვარ თაობებთან ინტენსიური მუშაობა დაიწყო გასული საუკუნის 50-იან წლებში, და მიღებული კავკასიური წაბლა 1960 წელს ჯიშად იქნა აღიარებული. მასში ოპტიმალურადაა შერწყმული შეჯვარებაში გამოყენებული ძროხის ჯიშების ნიშან-თვისებები – შვიციდან მიღებული დიდი ცოცხალი მასა და მერძეულობა, ქართული მთის საქონლიდან კი რძის მაღალი ცხიმიანობა და

გარემოსთან შეგუების კარგი უნარი“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, 271; http://www.dmanisi.gov.ge).

კახეთში, ძირითადად ბარის სოფლებში მოშენებულია გაურკვეველი ჯიშის ძროხა, რაც გამოწვეულია უჯიშო კურო-მწარმოებლების გამოყენებით უსისტემო, დაუგეგმავი და ნათესაური შეწყვილებებით. ბოლო პერიოდში, ადგილობრივმა მესაქონლე ფერმერებმა დაიწყეს ევროპიდან მერძეული ჯიშის (შვიცი, ჰოლშტეინი, სიმენტალი, ჯერსი და სხვ) საქონლის შემოყვანა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად კახეთში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, დაინგრა მესაქონლეობის ფერმები და გაჩანაგდა იქ არსებული მატერიალური და ტექნიკური ბაზები, დაიტაცეს და გაანადგურეს საქონელი. მთხრობელთა გადმოცემით: *„შევარდნაძე რო დადგა პრეზიდენტად, დაიწყო სახელმწიფო ქონების დატაცება და დაერქვა მაშინ პრივატიზაცია; სწორედ ეს პრივატიზაცია იყო სახელმწიფო ქონების მიტაცება! ფერმები იყო, იცით, როგორი? გათბობა იყო გაკეთებული მიწაში; წნორში და ხორნაბუჯში ცნობილი იყო ეს ფერმები. სახბორეს ეძახოდნენ. უზარმაზარი გრძელი ფერმები იყო. დახურული და აგურის იატაკი ჰქონდა, სიგანეზე კი არ იყო, სიგრძეზე იყო აგური დაყენებული, „ჩუგუნის“ რადიატორებით იყო სულ გამთბარი მთელი ფერმები. იაფი რახან იყო, (მაშინ კუპონებს ურიგებდნენ და ზოგი მილიონერი იყო), შექონდათ ის კაპიკები და ყიდულობდნენ, მაგრამ მომვლელი აღარ იყვნენ. ამიტომ გაჩანაგდა. დაინგრა, დაიშალა სულ. იმ ალუმინის „ტრუბებს“ ჯართში აბარებდნენ. საქონელი თვითონვე დახოცეს, ჩააბარეს ხორცი, ფული მიითვისეს. ფერმის ადგილი ხორნაბუჯში ახლა სხვებმა იყიდეს – ქალაქის მერი რო იყო, ზოდელავა. ის მინდვრებიც, ის ვენახებიც, უკვე მიწასთან გასწორებული ფერმაც, ეხლა თვითონ ადადგინეს, გაკეთდა უკვე, უბრალოდ დააფარეს, კედლები ააშენეს, ტექნიკა აქვთ, ტრანსპორტი ყავთ...“ (ჯალაბაძე, სიღნაღი, 2016)*

თელაველი რესპონდენტის თქმით: *„კოლმეურნეობა რომ დაიშალა, ტყიდანვე დაირიგეს ხალხმა ფერმის საქონელი, სახლებში შეიყვანეს. მერე ისევ წაგვართვეს, მთავრობამ. მეცა მყავდა ორი სული წამოყვანილი. ერთი მამიკვდა. ის საქონელი ისევ ფერმის გამგეებმა წაიყვანეს (ჯალაბაძე, თელავი, 2015).*

დღეს კახეთის სოფლებში ბევრ ოჯახში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი არ ჰყავთ, მათი შენახვისთვის აუცილებელი პირობების და სახსრების უქონლობის გამო. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც საქონელი, გარდა საშინაო მოხმარებისა, შემოსავლის წყაროდ აქცია – აწარმოებს რძის პროდუქტებს სახლის პირობებში (რძე, მაწონი, ყველი, ხაჭო, კარაქი) და ყიდის. რაც შეეხება მსხვილფეხა საქონლის ფერმებს, კახეთის რეგიონში ძირითადად წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები ფიქსირდება. წვრილფერმერულ მეურნეობებში უმთავრესად გავრცელებულია ძროხის

შენახვის ექსტენსიური სისტემა, რომლის დროსაც ყველა სამუშაო სრულდება ხელით, პრიმიტიული იარაღების და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით. კახეთის მეცხოველეობის ფერმერულ მეურნეობათა ერთი (მცირე) ნაწილი თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და, პრაქტიკულად, უახლეს მეთოდებს იყენებს, ნაწილი კი ჯერ ისევ მოძველებული ტექნიკით სარგებლობს.

როგორც ითქვა, მეძროხეობა კახეთის მუნიციპალიტეტებში არაერთგვაროვნადაა განვითარებული. დედოფლისწყაროს რაიონში ცხვრის შემდეგ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი რაოდენობრივად ყველაზე მეტია. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს 65 271 ჰექტარ საძოვარს, რაზედაც განლაგებულია 62 მსხვილი რქოსანი პირუტყვის ფერმა (დაახლოებით 28 000 სული); მათი უმეტესობა განთავსებულია მდინარე იორისა და მდ. ალაზნის მიმდებარედ (დედოფლისწყაროს... 2017, 30). დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი ბუნებრივი საძოვრებისაგან შედგება. პარკის ტერიტორიაზე დაახლოებით 4 ფერმა არის განლაგებული, სადაც 350-400 ძროხაა და იქ 25 კაცია დასაქმებული. გაყიდვისთვის წარმოებული ძირითადი პროდუქტია ხორცი და რძე. (ვაშლოვანის... 2014). დედოფლისწყაროში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უმეტესობა არ გამოირჩევა მაღალპროდუქტიულობით. იაფი აგროკრედიტის ფარგლებში, რამდენიმე ფერმერმა მოახერხა და შეიძინა მერძეული ჯიშის საქონელი ევროპიდან, რამაც გაზარდა მათი შემოსავლები და ხელი შეუწყო ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტრადიციულად ფუნქციონირებს რძის მიმღები საწარმოები და ყველის საამქროები. ამჟამად მოქმედებს 10-12 საამქრო, თუმცა, ამ კუთხით ახალი რეგულაციების შემოსვლის შემდეგ, მათი რაოდენობის შემცირებას ვარაუდობენ (დედოფლისწყაროს... 2017, 32). 2014 წელს გაიხსნა დედოფლისწყაროს ხორცის გადამამუშავებელი კომბინატი „ვერძი“, რომელიც უშვებს 6-7 სახეობის მაღალი ხარისხის ძეხვეულს და სოსისს. კომბინატი ცოცხალ საქონელს მხოლოდ ადგილობრივი ფერმერებისგან და კერძო პირებისგან ყიდულობს (დედოფლისწყაროს... 2017, 19-20). მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას აქტიურად მიეწოდება ინფორმაცია სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, დედოფლიწყაროში მათი რაოდენობა ჯერჯერობით მხოლოდ სამია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში 2014 წლის ძლიერი გვალვების გამო პირუტყვის სულადობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი ფურების წველადობა მწირი საკვებისა და ჯიშური სიჭრელის გამო დაბალია, თუმცა ცალკეულ ფერმერულ მეურნეობებში უკეთესი მაჩვენებლებიც არის. რაიონში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას. 2016 წლის ოფიციალური მონაცემებით, რაიონის ტერიტორიაზე 1 ფერმერს ჰყავს ჯერსის ჯიშის 24 სული, 3 ფერმერს კი – ჰოლშტინოფრიზული ჯიშის 50-ზე მეტი მსხვილფეხა.

დღეისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მესაქონლეობის მიმართულებით ძირითადად რძის გადამამუშავებელი საწარმოები მოქმედებს (სიღნაღის... 2016, 26-36). როგორც ზემოთაც ითქვა, ფერმერთა ერთმა, თუმცა მცირე ნაწილმა მოახერხა ძველი ფერმების აღდგენა-გამოყენება და საკმაოდ ეფექტური საქმიანობა წამოიწყო. ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ მესაქონლეზე, კომუნისტების დროს წნორში არსებული უდიდესი მესაქონლეობის ფერმის ახალ მეპატრონეზე და მის საქმიანობაზე მთხრობელი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

„წნორში ძველად, კომუნისტების დროს, სარწყავი გადიოდა და იმით ირწყვებოდა მიწები; იყო დიდი მინდვრები. მეცხოველეობის კომპლექსი ერქვა. ამერიკიდან ჩამოიყვანეს ძროხები, წნორში, დიდი რაოდენობით და გააკეთეს თანამედროვე სარწყავი სისტემა. თვითონ წნორის ფერმა ბაგალიშვილმა იყიდა, ყველაზე ძლიერი ფერმა... იმისმა შვილმა იყიდა წნორში ბევრი მიწები და ჰყავდა დაახლოებით ერთი, ალბათ 500-600 ცხენი (ცხენი სჭირდებოდა ამ საქმეს), ერთი 1000 სული კამეჩი, 2000 სული ძროხა, 5000 სული ცხვარი. მერე დააყაჩაღეს – არ გამოუჩინა ფული! სასიკვდილოდ სცემეს და იმის შემდეგ წნევამ დაარტყა და ველარ გაიხარა. ცხენები ჰყავდა იმიტომ, რომ ზაფხულში მიჰყავდა დაღესტანში, იქ ჰქონდა მიწები აღებული, საძოვრები; შილდიდან გადაჰყავდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰქონდა ამხელა ფერმა, ეხლა არ ვიცი. საცხენოსნო გზა იყო და შილდის ხეობიდან მაინც გადაჰყავდათ და ეხლაც გადადიან, საქონელი მიჰყავთ, ცხვარი მიჰყავთ. მეც ფუტკარი იქ მიმყავ ხოლმე; ცხენები სჭირდებოდა იქიდან ყველის საზიდად. თანაბრად გადაკიდებდნენ ცხენზე გუდებს და თითო გუდაში სამი კვერი თავი იყო ერთ მხარეს, ოღონდ თანაბარი უნდა ყოფილიყო მეორე მხარესაც, სამი კვერი. ერთი კილოთიც მეტი რო ყოფილიყო ერთ მხარეს, არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ ისეთი გზაა, დასძლევდა და გადაიჩეხებოდა ცხენი. ორხიდიანი მანქანები ჰყავდა და იმით მიდიოდა მთისძირამდი. იქიდანაც გადადის დაღესტანში გზა. ყველს რო საკმაოდ დაამზადებდნენ, დაქირავებული ჰყავდა მწყემსები, ერთი 50 მწყემსი, ღამე აანთებდნენ მაღლა მთის წვერზე ცეცხლს, ეს დაინახავდა, იცოდა რო ცხენები გამოგზავნეს უკვე ყველით და მანქანებით ხვდებოდა, ცხენებს გადმოტვირთავდნენ, ცხენები ისევ უკან მიდიოდნენ. 2-3 წელია აღარ ვიცი, მისმა შვილმა კი გააგრძელა, მაგრამ ისევ იმდენი ჰყავთ საქონელი თუ არა, აღარ ვიცი. ფერმა კი ისევ აქვთ (ჯალაბაძე, სიღნაღი... 2016).

ახმეტაშიც, სადაც მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, კახეთის სხვა რაიონების მსგავსად, მსხვილი მესაქონლეობის წარმოების უმეტესი ნაწილი წვრილ და საშუალო ფერმერულ მეურნეობებზე მოდის. 2012-2013 წლებიდან მსხვილფეხა მესაქონლეობით დაკავებულ ფერმერთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, საშუალო ფერმერთა რაოდენობა 270-მდეა (ახმეტის... 2015, 38-39). სოფლებში მსხვილფეხა საქონლის ერთეული სულადობა (1-დან 5 სულამდე) ჰყავს მოსახლეობის

დაახლოებით 30%-ს. სოფლის მოსახლეობის ეს კონტინგენტი ახერხებს აწარმოოს რძის პროდუქცია არა მარტო ოჯახის მოთხოვნილებისთვის, არამედ სარეალიზაციოდაც. მათ რძის ნაწარმი (ზოგჯერ, ხორციც) გააქვთ ბაზარზე, ან აბარებენ რეალიზატორებს/დამამზადებლებს, რომლებიც პროდუქციის ჩაბარების საკითხს, უმეტეს შემთხვევაში, თავად აგვარებენ და ფერმერისაგან რძეს და ხორცს საბაზრო ფასთან შედარებით დაბალ ფასში იღებენ: *„ახმეტის რაიონში ძირითად საქონელი ყავთ, საქონელი ერთიც რომ ყავდეს, მაინც კარგია – ყველი, რძე, მაწონი!.. მაგას უფრო თელავში ან ახმეტაში ყიდიან. ვიღაცეები კიდევ გადამყიდველებს აბარებენ; ესენი 4 ლარათ რო ყიდიან, ისინი იქ 8 ლარათა ყიდიან. გზა გაძვირდა, 30 კაპიკი ღირდა თელავიდან, ახლა ლარნახევარი ღირს. წაღება უკვე ძვირი გვიჯდება. ადგილზეც მოდიან და იბარებენ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

ქალაქ ახმეტაში ფუნქციონირებს, როგორც აგრარული, ასევე საქონლის საკვირაო ბაზარი. სოფელ ქვემო ალვანში არსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი სასაკლაო, რომელიც ჩვენი იქ ყოფნის დროს ჯერ არ მოქმედებდა. გარდა ამისა, ქალაქში არის ძველი სასაკლაო, რომელიც პერიოდულად და უსისტემოდ მუშაობს (ახმეტის... 2015, 40).

მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა მესაქონლეობის მიმართულებით მომუშავე საწარმოებია: „ბიძინა გიგაური“ სოფ. აწყურში, „ბექა ონიაშვილი“ ქ. ახმეტაში, ასევე რძის გადამამუშავებელი საწარმო „დელამო“, ქ.ახმეტაში. ეს უკანასკნელი ამოქმედდა 2011 წელს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით. საწარმო მოსახლეობისაგან ყოველდღიურად იბარებს 500-600 ლიტრ რძეს და აწარმოებს ყველსა და ნადუღს, რის რეალიზაციასაც „გუდვილის“ ქსელში ახდენს. ამავე პროექტის ფარგლებში გაიხსნა რძის შემგროვებელი პუნქტი სოფელ დუისში, რომელიც მუშაობს და შეუძლია ყოველდღიურად 400 ლიტრამდე რძის მიღება-გაცემა (ახმეტის... 2015, 39). მუნიციპალიტეტში ჩვენი მუშაობის პერიოდში აღრიცხული იყო შემდეგი სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები მესაქონლეობის მიმართულებით – „ალვანი“ (სოფ. ზემო ალვანი), „მამული“ (ზემო ალვანი) და „მოდი მნახე“.

აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წელს სამმა ფერმერმა აგროკრედიტის ფარგლებში გერმანიიდან შემოიყვანა 67 სული შვიცისა და სიმენტალის ჯიშის მაკე დეკეული. მათი საშუალო დღიური მონაწველი შეადგენს ერთ სულზე 18-20 ლიტრს. ამჟამად მიღებული ნამატი 56-ია, საიდანაც 24 არის საფურე, რომელიც გამიზნულია აღწარმოებისათვის. ფერმერები გეგმავენ სულადობის დამატებით შემოყვანას, აგრეთვე იყენებენ ფურების ხელოვნურ დათესვლას (ახმეტის... 2015, 41).

ახმეტის რაიონში დღემდე შენარჩუნებულია ქართული მთისთვის ტიპური მომთაბარე მეცხოველეობა, რომელიც ისტორიულად ხორციელდება „თუშეთი-ალვანი-შირაქ-სამუხი“–ს გეოსოციალურ გარემოში (მურთაზაშვილი,

2013, 2). მას უფრო საოჯახო ტიპის ფერმის მეპატრონეები მისდევენ, განსაკუთრებით ზემო და ქვემო ალვანელი თუშები; მათ ზაფხულობით თუშეთში მიჰყავთ საქონელი და იქ აჩერებენ ოქტომბრამდე, საიდანაც საზამთროდ შირაქისკენ (ზოგ შემთხვევაში კვლავ ალვანში) გადაჰყავთ. ალვანში მცხოვრები თუში მთხრობლისგან თუშეთის სოფ. ჭეშოში ჩაწერილი ინფორმაციით: *„აქ ჭეშოში ჩვენ საკმაოდ გვყავს საქონელი, სულ 100-მდე იქნება, 31 მყავს საწველი. აქ ორი ოჯახი ვართ, ვისაც საქონელი გვყავს, ბევრს არა აქვს აქ. ადრე უფრო ბევრები ვიყავით, წლების წინ, 7-8 ოჯახი, ძროხა ვისაც გვყავდა. მერე, რა ვიცი, მობეზრდა ხალხს, თუ დაიღალა, დავრჩით მარტო ჩვენ. ყველს, ერბოს ვაკეთებთ. კარტოფილიც მოგვყავს. ჩვენ მოთხოვნილებასაც ვიკმაყოფილებთ და ვყიდით. ვინც იცის, რომ კარტოფილიცა და ყველ-ერბოცა გვაქვს, თვითონ მოდიან საყიდლად, უფრო ალვანში. ჩემი ბიჭები, შვილები აქ არიან, პატარა გოგოც აქ არის. დილით ადრე 4 სთ-ზე დგებიან ჩემი მეუღლე და ბიჭები და წველიან ძროხებს. მთელ საქონელს ელდარში ვაზამთრებთ, იქ ჩაგვყავს. ჩემები ყოველ ზამთარს იქ დადიან. სახლში არა რჩებიან. მეუღლე და ბიჭები რო ჩამოდიან თუშეთიდან, ალვანში აჩერებენ ერთი-ორი კვირა, რო დაისვენონ თვითონაცა და საქონელმაც და მერე მიდიან. აქ სექტემბრის 25-მდე ვრჩებით მე და ბავშვები, მერე ჩემი მეუღლე, თუ კარგი ამინდები იქნა, ოქტომბრის ბოლომდე დარჩება, სანამ საქონელს წამოიყვანს. ზამთარში, როცა ჩემები ელდარში არიან, წველიან და რძეს აბარებენ – სანტე თუ სხვა რომელიმე ფირმა მოდის. მე როგორც ვიცი, სანტე დადიოდა, რძეს 70-80 თეთრად იბარებენ ლიტრს ზამთრის პერიოდში. ზაფხულში უფრო იაფად – 60 თეთრად... მე-19 თუ მე-20 წელია, რო საქონელი ამოგვყავს აქ. ეკონომიკურად გაამართლა, კმაყოფილი ვართ, არაფერი არ გვაკლია“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

არიან ოჯახები, თუმცა იშვიათად, ვინც ზამთარში თუშეთში რჩება. ისინი ზამთრისთვის თივას სოფელშივე ამზადებენ და ტრადიციულად საქონელი ზამთრის საბოსლოებში გადაჰყავთ. მაგალითად, სოფ. შენაქოში გაგოიძეების ოჯახს, რომელიც 2000 წლიდან მუდმივად იქ ცხოვრობს, 30-მდე მსხვილფეხა საქონლიდან 10 მეწველი ძროხა ჰყავს. რადგან დღესდღეობით თუშეთში ზამთრში დამრჩენი ოჯახების რაოდენობა მეტად მცირეა, სოფლის სათიბი სავარგულები საკმარისადაა და თივა ზამთარში სოფლად დარჩენილი საქონლის გამოსაკვებად სამყოფია. თუმცაღა, თიბვა-დამზადების პირობები საკმაოდ რთულია: *„საქონლის შენახვა ჩვენი მარაგით შესაძლებელია, თუ იშრომე. სულ ხელით ვთიბავთ, შარშან გამგეობა დაგვეხმარა – ტრაქტორები ამოგვიყვანეს და იმით გავთიბეთ, მანამდე სულ ხელით. მოვიდა ტრაქტორი, იმან მოგვითიბა, დაგვიპრესა, თანხა გადავიხადეთ, 2000 ლარზე მეტი დაგვიჯდა. წელს უარს გვეუბნებიან და, არ ვიცი, რა იქნება. ძვირი დაგვიჯდაო ჩვენო, ეგრე უთქვიათ. გზა არის რთული, ფუჭდებაო, ტყდებაო, აყვანა-წაყვანაშიო. ჩვენ კი ვთხოულობთ, მაგრამ არ ვიცი, რა იქნება (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

ალვანელები, ვისაც ცოტა საქონელი ჰყავს, შირაქში არ მიდიან და მათ სოფელშივე ადგილზე აზამთრებენ. ინდივიდუალურ ფერმერებს, ვისაც საქონელი ბაგურ კვებაზე არ ჰყავს და საკმარისი სათიბი მიწა არ გააჩნია, საქონლის გამოკვება ძვირი უჯდებათ; მით უფრო, როდესაც მიწის იჯარით აღების ფასმა ბოლო დროს საგრძნობლად მოიმატა.

თელავის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობის კუთხით განვითარების მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა. წინა წლებთან შედარებით გაზრდილია მსხვილფეხა საქონლის სულადობაც. მესაქონლეობის წარმოების უმეტესი ნაწილი მოდის წვრილ ფერმერულ მეურნეობებზე. ადგილობრივი პროდუქციის ძირითად ნაწილს ქმნიან მცირე საოჯახო მეურნეობები, რომელთა საკუთრებაშიც შედის 1-დან 10 სულამდე პირუტყვი, აღნიშნული მეურნეობებისთვის ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენს ტყისპირა მდელოები და მოსავლის აღების შემდეგ სასოფლო სამეურნეო სავარგულებზე დარჩენილი საკვები. ასეთი ფერმები ზაფხულის განმავლობაში ვერ ახერხებენ წარმოებისთვის საკმარისი თივისა და კონცენტრირებული საკვების დამზადებას. მუნიციპალიტეტში ასევე არსებობენ ფერმერები, ვისაც შედარებით მეტი მსხვილფეხა საქონელი ჰყავს, მაგრამ მათი ნაწილის მუშაობის ხასიათი მცირე ფერმერთაგან დიდად არ განსხვავდება. რძის და ხორცის წარმოება იზრდება გაზაფხულიდან და გრძელდება შემოდგომის შუა რიცხვებამდე, ხოლო ზამთარში საკვები ბაზის სიმცირის გამო, კლებულობს. მეძროხეობის მიმართულებით არსებობს ფერმერთა პრიმიტიული გაერთიანებები. ასეთი გაერთიანების მიზანია რამდენიმე ფერმერის საკუთრებაში არსებული პირუტყვის ჯგუფური ძოვება, რაც ამცირებს საძოვრულ შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნული გაერთიანებები იქმნება სეზონურად, რადგან ჯგუფური ძოვების გარდა, სხვა მიმართულებით (მაგალითად მოვლა-შენახვა, რძის წარმოება, მოზარდის მიღება) არ მუშაობენ. კახეთში თავის დროზე არსებული ხანულობის ტრადიცია, რაც გულისხმობს ძროხების პატრონთა შეამხანაგებას ჯერობით რძის საწველად, დღეს არ ფიქსირდება.

თელავის მუნიციპალიტეტში ფერმერები აწარმოებენ საქონლის ხორცს, ყველს, რძეს და მაწონს, რისი რეალიზაციაც ადგილობრივ ბაზარზე ხდება, ხშირად კერძო შუამავლების საშუალებით. ვარდისუბნელი მთხრობლის ინფორმაციით: *„მესაქონლეობა ერთ-ორ კაცს აქვს. აი, ჩვენ გვაქვს საკუთარი ფერმა. საძოვრები არ არის ფიზიკურად. რაც ვაუჩერების პროგრამა შემოიღეს, თითქმის მთელი სახნავი მიწები იხვნება. სათიბი სოფელს არა აქვს. საძოვრებია ქვევით, ალაზნისპირზე, სახელმწიფო საკუთრებაშია. ახლა პრივატიზებას აპირებენ და მომავალში რა იქნება, არ ვიცით. მე 20 ძროხა მყავს, მაწონს ვაკეთებთ და თელავის მაღაზიებში ვაბარებთ. ერთი კაცი მყავს მწყემსი, დანარჩენს ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს. ყველი არ არის მომგებიანი, მაწონი კი. ერთი კილოგრამი ყველი რომ გამოვიდეს, 7 ლიტრი რძე სჭირდება ზამთარში ყველს ყველაზე დიდი ვყიდიდით 6 ლარად. 7 ლიტრი რძიდან გამოდის სადღაც 16 მაწონი, რომელსაც ერთ ლარად ყიდიან, მე მაღაზიას ვაბარებ 90 თეთრად და ეხლა თქვენ იანვარი-*

შეთ, რატომ მაწონი მომგებიანი. ორმაგია მაწონი ყველთან შედარებით. უბრალოდ როცა მოსახლეობისგან ბევრ რძეს იბარებ, იაფად აძლევენ. მაწვნის რეალიზაცია ჭირს. ჩვენ, მაგალითად, 40-50 ლიტრი რძე გვაქვს საშუალოდ დღეში და ამის ათვისება არ მიჭირს, მაგას ყველში არ გავაფუჭებ. ისე არა მაქვს საქმე, რომ ყველი გავაკეთო, თორემ ყველი ადვილია. მაწონს ერთჯერად ჭიქებში ვაკეთებ. რძეს, მაგალითად, მაღაზიაში ლარ და სამოცდაათ თეთრად ვაბარებ, რო იციან რო ჯანმრთელი რძეა და გასინჯულია, რო ნატურალურია, მე მენდობიან, იციან ნატურალური რძე მაქვს; ისინი ნაკრები რძისგან ყველს რო აკეთებენ, იმიტომ რო ყველი სახიფათოა (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

სოფ, კურდღელაურში ფუნქციონირებს გოჩა ღაღაშვილის "ცივის ყველის" საწარმო, რომელიც უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი და სადაც 9 ტიპის ყველის 25 ნაირსახეობა მზადდება. მეწარმე ყოველდღიურად 1300 - მდე ლიტრ რძეს აწარმოებს და წელიწადში 2 ტონამდე საუკეთესო ხარისხის ყველს ყიდის. გარდა ამისა, საწარმოში მზადდება რძის სხვა პროდუქტებიც (კარაქი, ნადუღი). "ცივის ყველის" ნაწარმი გადის საქართველოს საზღვრებს გარეთაც.

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მეცხოველეობის საკვირაო ბაზარი, სადაც პირუტყვის შესაძენად სხვა მუნიციპალიტეტებიდანაც ჩამოდიან. ვარდისუბნის და ყარაჯალის ადმინისტრაციულ ერთეულებში ოფიციალურად ფუნქციონირებს 3 სასაკლაო. ყარაჯალის სასაკლაო USAID პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა, აქ მოწყობილია თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი და სამაცივრე კამერა. თელავის სასაკლაოებზე დღეში დაახლოებით 5-10 ტონა ხორცი იწარმოება (თელავის... 2016, 34-36). მთხრობლის მონაყოლით: *„აქ გვაქვს ყარაჯალა, თათრებით დასახლებული სოფელი, საიდანაც იკვებება ძირითადად თელავის ბაზარი ხორცით. ჩადიან იქ ყასბები, მოვაჭრეები, იქ იღებენ, 8-9, ლარად და 12-13 ლარად აქ ყიდიან. ისე სასაკლაოდან ხორცი არ წამოვა, თუ გასინჯული არ არის. ვეტექიმი ყავთ და ამოწმებს და ისე გამოუშვებს ხორცს. პრობლემა, რა თქმა უნდა, არის, შეიძლება გაიპაროს დაავადებული საქონელიც, მისახედია ვეტექიმების საქმეც" (ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

თელავის მუნიციპალიტეტში ფერმერთა ძირითადი ნაწილი უძღვება ექსტენსიურ, დაუგეგმავ მეურნეობას. დაახლოებით ანალოგიურია ვითარება ლაგოდეხის რაიონშიც, აქ აღრიცხულია 10 კოოპერატივი, საიდანაც 4 მეცხოველეობის მიმართულებისაა, ესენია: „ხეჩილი" , „აგრო-პაიკი", „მომავლის სოფელი" და „ეკოჰერეთი".

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მესაქონლეობა ნაკლებად არის განვითარებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ჩამოყალიბდა სასოფლო სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები, რომლებიც მსხვილი მესაქონლეობის პროფილით მუშაობენ. ესენია: „აგროაპი", „ფხოველი", „კვირიკე", „ჭერემი 2015", „შაშიანი", „ალაზნის ველი", „ვაზისუბანი". გურჯაანის მუნიცი-

პალიტეტში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი ჯიშებითაა წარმოდგენილი, რომლებიც დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან (გურჯაანის... 2016, 47).

საგარეჯოს რაიონს, როგორც საქონელი, ისე საძოვარი, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, ყველაზე მეტი აქვს. 2016 წლის დასაწყისისათვის აქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ, წინა წლებთან შედარებით, იმატა და ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე 35 სული მოდის. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ზრდა გამოიწვია მასზე მაღალმა მოთხოვნილებამ მეზობელ აზერბაიჯანის რეპუბლიკაში. ზერბაიჯანს მსოფლიო ქვეყნებთან შედარებით მსხვილფეხა ხორცის წარმოების ყველაზე დაბალი მოცულობა გააჩნია, ამიტომ, ჩვენს ფერმერებს ხორცის სარფიან ფასად რეალიზაციის პრობლემა არ აქვთ (კახეთის... UNDP Georgia, 2014). აღნიშნული პერიოდისათვის რაიონში აღრიცხული იყო 23 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, საიდანაც მესაქონლეობა პირველ ადგილზეა (საგარეჯოს... 2017, 41).ძალზე საინტერესო ინფორმაცია დაფიქსირდა საგარეჯოში მოღვაწე ირანელ ფერმერზე, რომელიც ქართული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტს ეწევა ირანის რესპუბლიკაში: *„ყველაზე მომგებიანი ეხლა გახდა საქონელი, აი, რაც ირანში დაიწყო გასვლა. ირანში ცოცხალი საქონელი მიდის, კი! აი, თუ ვიხვეწებოდი, რომ ცოცხალ წონაში, განსაკუთრებით, მოზვრებში, 3-4 – ლარი მოეცა ვინმეს, ეხლა ესენი ცოცხალ წონას 6 ლარად იხვეწებიან. დადიან, დადიან, სუ დადიან. ჩვენთვის, ხალხისთვის მომგებიანია. ირანელი ჩამოსულია საგარეჯოში, დიდი ფერმებიც გააკეთა. საქონელს ყიდულობს თვითმფრინავით მიყავს, კაცო. წარმოიდგინეთ თქვენა! ე.ი. უღირს! გემით მიყავდა ადრე. მანდვე გაუკეთებია დასაჯდომი. აქედან მიყავს თვითმფრინავით, 300 სული რო შესრულდება. იქ ძალიან ძვირი ღირს საქონლის ხორცი. მე, მაგალითად, მაწყობს ეგეთი სიტუაცია. ფერმერებსაც აწყობთ. აქაურ ბაზარზე ფასი არაა. ის ირანელი სულზე 50 დოლარს იხდისო, ამბობენ, რამდენად მართალია არ ვიცი.! კახეთის საქონელი უფრო მიყავს, დასავლეთიდან ჩამოყვანილებს, რატომღაც, ერიდებიან (ჯალაბაძე, საგარეჯო, 2017).*

მესაქონლეობა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. აქ ბოლო 3 წლის განმავლობაში საქონლის სულადობა მნიშვნელოვნად გაზრდილია, მუნიციპალიტეტში ფერმერთა რაოდენობა შეადგენს 1000-ს, რომელთაც ჰყავთ 10 სული მსხვილფეხა და ზევით; მეძროხეობაში დასაქმებულია 205 ფერმერი. მესაქონლეობის პროფილით ფუნქციონირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები: ენისელი, რძე მაწონი და იმედი, ასევე 3 სასოფლო სამეურნეო საწარმო, ამათგან ერთი რძის გადამამუშავებელი, რომელიც აწარმოებს მაღალი ხარისხს სულგუნს (ყვარლის... 2017, 4-5). სულადობის ზრდის მიუხედავად; რაიონში არ მომხდარა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება. პირუტყვი დაბალპროდიქტიულია, შესაბამისად მცირეა მის-

გან მიღებული შემოსავალი. მუნიციპალიტეტში 2015-2016 წლებში სახელმწიფოს პროგრამის დახმარებით აშენდა 2 თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მეძროხეობის ფერმა შ.პ.ს. „ყვარლის ბაგა“ და შ.პ.ს „აგროტეკი“, რომელთაც მსხვილფეხა პირუტყვი შემოყვანილი ჰყავთ გერმანიიდან. „ყვარლის ბაგას“ შესახებ საუბრობს რესპონდენტი: „ *ჩვენთან დღეს საქართველოში, ყველაზე დიდი ფერმაა მეძროხეობის „ყვარლის ბაგა“ – ლაშა პაპაშვილს ეკუთვნის. 450 სულიანი ფერმა აქვს. შემოყვანილი ჰყავს ჰოლანდიური ჯიშის ძროხები, შვიცი. იქაური სპეციალისტი ჰყავს ჩამოყვანილი, ებრაელი. საიდანაც შეიძინეს ძროხები, იქედან წამოყვა და მაგან აუწყო მუშაობა, იმის რეკომენდაციებით აკეთებენ ყველაფერს. საქონელი ბაგურ კვებაზე ყავთ. 30-35 ლიტრს იწველება საშუალოდ დღეში თითო. 10-12 ტონამდე რძესა წველიან ყოველდღე, სანტეში მიაქვთ. ფერმაში შესვლა არის გამკაცრებული. ნებართვის გარეშე არავინ შეგიშვებს, პაპაშვილს უნდა დაურეკონ და იმან უნდა თქვას თანხმობა. რამდენიმე ძროხა დაეხოცა და თქვა, რომ არ შემოვუშვებ, არავისო. იმათ შემოაქვთ ინფექციაო, ამიტომ აღარავის აღარ უშვებს. მაგათ თავიანთი მიწები აქვთ ჰექტრობით და იქ აწარმოებენ საქონლის საკვებს, საკუთარი პროდუქტით კვებავენ“ (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017).*

კახეთის რეგიონში ჩატარებულმა საველე მუშაობამ წარმოაჩინა, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა მესაქონლეობის კუთხით, მცირე გამონაკლისის გარდა, ერთი ტიპის პრობლემებთან გვაქვს საქმე. პირველი, და არა მარტო მსხვილფეხა მესაქონლეობის მიმართულებით მომუშავე გლეხებისა თუ ფერმერებისათვის, ეს არის საქონლის საკვებით უზრუნველყოფის პრობლემა. ის პირდაპირ კავშირშია საძოვრების საკითხთან, რადგან მიწის პრივატიზაციის შემდეგ საძოვრების დიდი ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ხელში აღმოჩნდა და მესაქონლე ფერმერი დღეს იძულებულია ის იქირაოს. საძოვრის დაქირავება კი ძვირი ჯდება და მესაქონლის შრომას ოდინდელი ფასი აღარ აქვს. საძოვრების პრობლემა დგას მათთვისაც, ვისაც საქონელი ბარში ნახევრადსტაციონარულ პირობებში ჰყავს.

კახეთი საქონლის ხორცის წარმოების მხრივ მეოთხე ადგილზეა იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის შემდეგ. 2006-2011 წლებში ხორცის წარმოება კახეთის რეგიონში იკლებს 2010 წლის მაჩვენებლამდე, 2011 წელს კი – ზრდაა, თუმცა, სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ეს ცვლილება სახელმწიფო აღრიცხვიანობის მოწესრიგებითაა განპირობებული (კახეთის რეგიონის... 2014, 22).

ხორცს რეგიონში აწარმოებენ ოფიციალურად მოქმედი ცხოველთა სასაკლაოები, რომელთაც შესაბამისი ნებართვა გააჩნიათ. თელავში არსებული 3 სასაკლაოს გარდა, აღსანიშნავია ლაგოდეხის, ველისციხის, იორმუღანლოსა და ვარდისუბნის სასაკლაოები, ასევე ბაკურციხე-თბილისის საავტომობილო გზის გასწვრივ მდებარე ხორცის სარეალიზაციო პუნქტები, სადაც იკვლება პირუტყვი და ხორცის რეალიზება ამ უბნებიდანვე ხდება.

რეგიონში მოქმედ სხვა სასაკლაოები მოუწესრიგებელია და ვერ აკმაყოფილებს სტანდარტულ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს.

რძის წარმოების თვალსაზრისით, კახეთს მცირე ნაწილი უკავია, ვიდრე იმერეთს ან ქვემო ქართლს, ან დანარჩენ რეგიონებს, მაგრამ კახეთის მოსახლეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა და, შესაბამისად, წარმოების გაზრდის პოტენციალიც გააჩნია. კახეთის წილი ქვეყნის რძის საერთო წარმოებაში 6,1-6,8% ფარგლებში მერყეობს, რძეზე სტაბილური მოთხოვნა მზარდია და რეალურად ადგილობრივ ბაზარზე ნატურალურ რძეზე დეფიციტია, ეს კი ხელსაყრელ ბიზნეს გარემოში მერძეული მესაქონლეობის განვითარების ერთგვარი წინაპირობაა. კახეთში ტრადიციულად რძის მწარმოებელი წამყვანი ზონებია ახმეტა, საგარეჯო, სიღნაღი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო, დანარჩენი მუნიციპალიტეტებშიც აწარმოებენ რძეს, მაგრამ მათი წარმოების მოცულობა მცირეა ზემოთ აღნიშნულ ზონებთან შედარებით. (კახეთის რეგიონის... 2014, 23)

თუმცა რეგიონის სტრატეგიის დოკუმენტში ნათქვამია, რომ რძის და რძის პროდუქტების ადგილობრივი კომპანიები, როგორიც არის „სანტე“, „ეკოფუდი“, „სოფლის ნობათი“ და სხვა კახეთის რეგიონში რძეს არ შეისყიდიან, რადგან მათ ყოვედღიურ მოთხოვნას კახეთი ვერ აკმაყოფილებს, და ეს კომპანიები დეფიციტს რძის ფხვნილის გამოყენებით ივსებენ. ჩემი საველე მასალებით დასტურდება, რომ კახეთში არსებული მესაქონლეობის დიდი ფერმები აბარებენ რძეს აღნიშნულ კომპანიებს, კერძოდ, ყვარლის ბაგა, ბექა ომარაშვილის ფერმა და სხვ.

გარდა მეძროხეობისა, მსხვილფეხა მესაქონლეობიდან კახეთში განვითარებული იყო მეკამეჩეობა – მეურნეობის ტრადიციული დარგი, განსაკუთრებით ქიზიყის მხარეში, რომლის ადრინდელი სახელწოდება კამბეჩოვანი იყო.

ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით XVIII საუკუნის დასაწყისში კამეჩი მრავლად ყოლიათ საქართველოს ყველა მხარეში (ქიზიყში, ქართლში, თიანეთში, დუშეთში, დიდოეთში, აფხაზეთში, იმერეთში), რასაც ხელს უწყობდა ეკოლოგიური პირობები, კერძოდ თბილი კლიმატი, მდინარეების, ტბების და წყალსატევების სიმრავლე, აგრეთვე, ბუნებრივი საკვები სავარგულების ფართო მასივები. „არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი. კამბეჩთა სიმრავლისა გამო“ (ვახუშტი... 1941, 138)

კამეჩი გავრცელებულია კახეთის წყალუხვ ზონებში – ქიზიყში, ალაზნისპირა რაიონებში. ის ბუნებრივი საკვებზეა მიშვებული, ბალახის გარდა ჭამს აგრეთვე ჭაობის მცენარეებს, ლელქაშს, საკვებს წყლის სიღრმიდანაც იღებს და ათავისუფლებს ჭაობიან ადგილებს. კამეჩი ძროხასთან შედარებით ნაკლებს იწველის და ძალიან ადვილად შესანახია. გასული საუკუნის 60-იანი წლებისთვის კამეჩები საკმაო რაოდენობით ჰყოლიათ კახეთში, განსაკუთრებით დედოფლისწყაროს კოლმეურნეობაში; როგორც ნ.

კეცხოველის წიგნში ვკითხულობთ: „მაჩხაანელებს უფრო დიდი ჯოგი ჰყავთ კამეჩებისა, მათი კამეჩობა იორზეა, ტარიბანის ბოლოებზე, იქაც ბევრია დუბე ადგილები, ალაზნის დუბიანების არ იყოს. კამეჩი ასეთი ადგილის საქონელია“ (კეცხოველი, 1967, 65)

კამეჩს თუ დამატებით საკვები არ მიეცი, რძეს ნორმაზე მეტს არ იძლევა. ამიტომ, კომუნისტების დროს მათი წველადობის ძროხის წველადობის დონემდე გაზრდის მცდელობა პრაქტიკულად ვერ განხორციელდა. ძროხა მეტს იწველიდა და კამეჩი ამ მხრივ არარენტაბელური იყო. გასული საუკუნის მეორე ნახევარში, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მეკამეჩეობისადმი ინტერესი თანდათან განელდა, 1960 წელთან შედარებით 1990 წლისათვის ქვეყანაში კამეჩის სულადობა 2,25-ჯერ შემცირდა. ამას დაემატა ისიც, რომ სამოქალაქო ომის წლებში, აგრეთვე საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაციის პერიოდში ისევე, როგორც მეცხოველეობის სხვა დარგები, მეკამეჩეობაც მნიშვნელოვნად დაზარალდა. შედეგად, 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით საქართველოში კამეჩის სულადობამ შეადგინა მხოლოდ 29,5 ათასი სული (ანუ 1960 წელთან შედარებით 3-ჯერ ნაკლები) ხოლო ისტორიულ კამბეჩოვანში, ეს ცხოველი ერთეულ მოხალისე ფერმერებს თუ ჰყავთ (გოგოლი, 2017). აღმოსავლეთ საქართველოში კამეჩის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობის სულადობა გვხვდება იმ სოფლებში, სადაც მათი მოშენებისათვის ჯერ კიდევ არის ხელშემწყობი ეკოლოგიური პირობები, საძოვრების შედარებით დიდი ფართობი და წყალსატევები. მაგალითად, ძროხეულის საერთო სულადობაში კამეჩის ხვედრითი წილი მაღალია ყვარლის რაიონის ს. გავაზში, თელავის რაიონის სოფ. ფშაველში, გურჯაანის რაიონის სოფ. ქოდალოში. მთხრობლის ინფორმაციით: *„კოხტამუხას ვეძახით, ერთი ადგილი არის ქვევით მხარეს, სამოქალაქო აეროპორტის მიმდებარედ, არის კიდევ 18 ჰექტრიანი სასაძოვრე, სადაც უფრო კამეჩები ჰყავს ერთ პიროვნებას, დაახლოები 100 სულზე მეტი. იქ მეტი წყალია“ (ჯალაბაძე, თელავი, 2014).*

ამავდროულად, ბოლო 40 წლის მანძილზე კამეჩის საერთო რაოდენობა და მისი ხვედრითი წილი ძროხეულის მთლიან სულადობაში მკვეთრად შემცირდა კახეთის მხარის თელავის, ყვარლის და ლაგოდეხის, აგრეთვე დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონებში, ანუ ისეთ ტრადიციულ რაიონებში, რომლებსაც „კამბეჩთა სიმრავლისა გამო“ „კამბეჩოვანს“ უწოდებდნენ (გოგოლი, 2017). კახეთში უმეტესად კამეჩის მაწონს აწარმოებენ, რომელიც, ძროხის რძის მაწონთან შედარებით, უფრო მომგებიანია, რადგან მისი ფასი მაღალია – ნახევარ კილოს საშუალოდ 2 ლარად ყიდიან. მას თავისი მომხმარებელი ჰყავს, შეაქვთ ადგილობრივ რესტორნებსა და სასტუმროებშიც.

კახეთში ცხენი და ვირი აუცილებელი გამწევი ძალა იყო მესაქონლისთვის. რეგიონში, სამეურნეო თვალსაზრისით, ცხენს იმდენად ინტენსიურად არ მოიხმარდნენ, რამდენადაც ვირს, რადგან მისი შენახვა და მოვლა

უფრო ხელსაყრელი იყო. „კახეთი, ქართლთან ერთად, საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაგან განსხვავდებოდა სახედრების (ვირების) სიმრავლით, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. განსაკუთრებით ბევრი ვირი ჰყავდათ ქიზიყში. მეცხვარეთათვის ვირი უფრო საჭირო იყო, ვიდრე ცხენი. ვირს ზედ ეკიდა მწყემსის ბარგი, ხურჯინი და სხვა რამ. ქიზიყში წყაროები შორს ჰქონდათ და წყლის საზიდად ვირს იყენებდნენ. ... ასევე ვირის ყოლას განაპირობებდა ვენახების სიშორე. საგზლის მისატანად და იქიდან სხვადასხვა ჭირნახულის მოსატანად ვირს გამოიყენებდნენ. ამასთან ერთად, სახედარი ადვილი დასამორჩილებელია, ცოტა საჭმელი უნდა და ის უხეირო საჭმელსაც ჭამს. კახეთის სხვადასხვა კუთხეში ... ვირების სიმრავლით ქიზიყი გამოირჩეოდა, აქ ფაქტობრივად სახედრის გარეშე ოჯახი არ იყო. ვირი, ჯორი, სახედარი, საკიდარი ერთიდაიმავე პირუტყვის აღსანიშნავად იხმარებოდა“ (თოფჩიშვილი, 2017, 45).

ბოლო დროს საქართველოში პოპულარული გახდა ვირების მოშენება მათი რძის და მისი პროდუქტების წარმოების მიზნით. მართალია, ვირი ცოტას იწველება, მაგრამ, მეცნიერების შეფასებით, ის, სარგებლიანობის თვალსაზრისით, ძროხის რძეს მნიშვნელოვნად აღემატება. მისი რძე ნაკლებ ცხიმს და დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებს შეიცავს. ცნობილია მისი სამკურნალო თვისებები. კახეთში ასეთი მიმართულების ფერმა სოფ. აკურაში დაარსდა და მისი პატრონი ს. კირვალიძე ვირის რძის წარმოებას გეგმავს. მას მეურნეობაში 30 ვირი ჰყავს. პირველ ეტაპზე პროდუქციას ადგილობრივ ბაზარზე გაყიდიან. ვირის რძისგან დამზადებული ყველი ევროპის ბაზარზე საკმაოდ ძვირია, ძვირია ვირის ხორციც (ერთი კილოგრამი დაახლოებით 15 ევროდ არის შეფასებული). სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით მუშაობა შესაძლოა საკმაოდ მომგებიანი გახდეს და ვირების ფერმები კახეთში კიდევ ჩამოყალიბდეს.

რაც შეეხება ცხენს, კახეთში გავრცელებული იყო კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ჯიში – კახური, იგივე თუშური ცხენი, რომელიც მოშენებულია საქართველოს მთიანი ზონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ხალხური სელექციის შედეგად. ის წარმოიშვა ძველი ქართული ცხენის ჯიშისაგან, რომელსაც საქართველოში აშენებდნენ I-III საუკუნეებში. იგი ხასიათდება ამტანობით, სიმამაცით, კარგი ორიენტაციის უნარით, ტემპერატურული ცვლილებებისადმი შემგუებლობით. შედარებით ტანმორჩილია, ბუნებით დინჯი, და კონტაქტური. თუშური ცხენი იდეალურად არის შერწყმული გარემო პირობებთან, მკაცრ ზამთარსა და ცივ ზაფხულთან, რაც აუცილებელია მთაში მოძრაობისათვის. თუშურ ცხენს აქვს საჯდომ-სასაპალნე დანიშნულება მომთაბარე მწყემსებისთვის. მას ინახავენ ჯოგური მეთოდით, მთის საძოვრებზე. ზაფხულის საძოვრებზე ის სწრაფად სუქდება და კრეფს ენერგიას. ეს თუშური ცხენი მხოლოდ ხალასად უნდა მოშენდეს, მისი გადაშენება ქვეყანას მოუტანს დიდ ზარალს, რადგან ის დიდად განსხვავდება სხვა კულტურული ჯიშებისაგან. კახეთში მეცხვარისათვის თუშური ცხენი წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის აუცილებელ კომპო-

ნენტს და მათი ყოფა წარმოუდგენელია თუშური ცხენის გარეშე. გენეტიკური ანალიზით დადგენილია, რომ თუშურ ცხენს თვითმყოფადობა შენარჩუნებული აქვს და სხვა ჯიშების გენები უმნიშვნელოდ აქვს შერეული. აქვს კიდევ ერთი გამორჩეული თვისება: უკანა ფეხს ყოველთვის წინა ფეხის ნაკვალევში დგამს. მთის ბილიკებზე სიარულისას ეს ძალიან ფასეული თვისებაა. ეს ინსტინქტი შეუცვლელია თოვლში, ვიწრო ბილიკზე, სადაც ის შეიძლება გადაიჩეხოს. ეს ჯიში ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით, თუშეთში, სადაც მას ინტენსიურად იყენებენ (ახმეტის..., 2015, 36-37; ჩიგოგიძე, 2015). თუშური ცხენები ჰყავთ ალვანის მეურნეობაში. ვაშლოვანის ეროვნულ პარკში (მდინარე ალაზანზე) მდებარეობს ერთი ფერმა, რომელშიც 160 ცხენი ჰყავთ. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებით ტრადიციულად ძირითადად სარგებლობენ მომთაბარე თუში მეცხვარეები, მეჯოგეები და მწყემსები. მომთაბარე მწყემსები (თუშები) მისდევენ ცხენების მოშენებას, გაყიდვას ან გაქირავებას (ვაშლოვანის... 2014).

მესაქონლეობის დარგი კახეთში დღეს ბევრი პრობლემის წინაშე დგას, საიდანაც ერთ-ერთი მთავარი საძოვრების სიმცირეა. საძოვრების არქონის შედეგად გლეხი, რომელიც საქონელს ვერ გამოკვებავს, მის ყოლაზე საბოლოოდ უარს იტყვის, ეს კი ბუნებრივია, დარგის განვითარებას შეაფერხებს. პროფესიონალები თვლიან, რომ დარგის განვითარებისათვის აუცილებელია მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბება, ხოლო ამ მხრივ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია ფერმერთა კოოპერაციას. ფერმერები, პირუტყვის ჯგუფური ძოვებისთვის სეზონურად შექმნილი გაერთიანებების მეშვეობით, ზოგავენ დროისა და ფულად რესურსს. მათთვის შესაძლებელია ასევე ხელსაყრელი იყოს ისეთი გაერთიანებების ჩამოყალიბება, სადაც იქნება არა მხოლოდ საერთო საძოვარი, არამედ საერთო სადგომი, საერთო გამოსაზამთრებელი საკვები ბაზა და საერთო გასაღების ბაზარი. ამ შემთხვევაში დანახარჯები შემცირდება და წარმოების სრულფასოვანი მართვაც ადვილი შესაძლებელი იქნება (თელავის... 2016, 36).

იქ, სადაც რელიეფი, კლიმატი და ზოგიერთი სხვა ფაქტორი ზღუდავს, ხოლო, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელს ხდის კულტურული მერძეული ჯიშების მოშენებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მკაცრ პირობთან კარგად შეგუებული ადგილობრივი ქართული მთის (ხევსურული) საქონლის მომრავლებას და პროდუქტიულობის ამაღლებას (ახმეტის... 2015, 41). ყურადღება უნდა მიექცეს ცხოველთა ჯიშობრივ გაუმჯობესებას, რადგან მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში ძირითადად მოშენებულია გაურკვეველი წარმოშობის შერეული საქონელი. საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის საჭიროა ფართოდ დაინერგოს ფურების ხელოვნური დათესვლა.

მესაქონლეობის განვითარებისათვის აუცილებელია ფერმერთა განათლების დონის ამაღლება და ფერმების ტექნიკური გადაიარღება, რისთვისაც ფერმერულ მეურნეობებში უნდა დაინერგოს მეცნიერების თანამედროვე

მიღწევები და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. აუცილებელია მოხდეს: საკვები კულტურების ახალი ჯიშების შემოტანა, გადასარეკი ტრასების მონიშვნა და კეთილმოწყობა, ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად ნახირისა და ფარის როტაციული ძოვების წესის დაცვა. დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებული რაოდენობით (ნახირისა და ფარის) ძოვების აკრძალვა; ვეტლაბორატორიის შექმნა; მეცხოველეობის ფერმების ელექტროფიცირება და მისასვლელი გზების აღდგენა; ფერმერთა შეღავათიანი აგროკრედიტებით დაფინანსება; საკვებგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა მუნიციპალიტეტში და სხვ. (დედოფლისწყაროს... 2017, 30-31)

§ 3. მეღორეობა

მეღორეობა საქართველოში მეცხოველეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. როგორც ზემოთაც ითქვა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებზე უხვადაა წარმოდგენილი ძვლოვანი მასალა, სადაც აშკარად ჭარბობს შინაური ცხოველების ძვლები, მათ შორის ღორისაც (საქართველოს ისტორია, ტ. I, 2012, 23). ღორს არა მარტო საკვებად, არამედ მის პროდუქტს საყოფაცხოვრებო დანიშნულებითაც იყენებდნენ (ტყავი, ჯაგარი, ქონი). მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მას ქართველთა რელიგიურ რიტუალურ პრაქტიკაში.

ქართველმა მეურნემ საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა ბუნებრივ პირობებთან შესატყვისი ღორის მოშენებისა და მოვლა-პატრონობის მწყობრი სისტემა, რაც მეურნეობის ამ დარგს ხანგრძლივი დროის მანძილზე სიცოცხლისუნარიანს ხდიდა. კახეთში მეღორეობა მეცხოველეობის ერთ-ერთი პოპულარული მიმართულება იყო და დღესაც არის. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, კახეთში, პანკისის ხეობაში, სადაც ტყეში ღორებისათვის ბუნებრივი საკვები უხვად მოიპოვებოდა, ზოგიერთ გლეხს ოთხასი, ათასი და ზოგჯერ ორი ათასი ღორიც ჰყოლია (ვახუშტი... 1973, 543).

საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების I ტომში, რომელიც მესაქონლეობას ეძღვნება, აღწერილია მეღორეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ტრადიციები, რაც საბჭოთა პერიოდში, ანუ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის პირობებში, ნაწილობრივ მივიწყებულ იქნა. შინამრეწველობის მასალებიდან ვიგებთ, რომ კახეთში, კერძოდ ახმეტის რაიონში (დაახლ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში):

„წინათ, რაც გინდა ბეჩავი კაცი ყოფილიყო, სამოცი ღორი მაინცა ჰყვანდა, ვინც თავიდათავი კაცი იყო, ორასი-სამასი ღორი მაინც ეყოლებოდა. მე თითონ დიდი ფარა მყვანდა ხოლმე ღორისა. წინ-წინა ბევრი ღორი როცა მყვანდა, ზაფხულობით თიანეთში მიმდიოდა, ეხლა კი მთაში წავასხამ

ხოლმე. ზამთარში ახმეტაში ჩამოვრეკავდით და საღორეებში გვყვანდა“ (შინამრეწვ... 1986, 53-54).

ღორის ფარები ჰყავდათ ქიზიყშიც, სადაც წვრილ და მსხვილ ღორებს ცალ-ცალკე მწყემსავდნენ, მათი ბინებიც ცალ-ცალკე ჰქონიათ. ამავე მასალებიდან ვიგებთ, რომ კახეთში ძირითადად ქართული ღორი იყო გავრცელებული.

ქართული, იგივე კახური ღორი უძველესი ენდემური ჯიშია, რომელიც ცალკე ჯიშად გარეული ღორის მოშინაურებისა და ხალხური სელექციის გზით ჩამოყალიბდა; შესაბამისად, ის მომთაბარე ტიპს განეკუთვნება და გარეგნულად გარეულ ღორს ჰგავს, შავია,ზოგჯერ მუქი ნაცარა ან მოწითალო. აქვს უხეში ჯაგარი და მოკლე ნაზი თივთიკი. მას ახასიათებს გარემოსადმი მაღალი შეგუების უნარი და მრავლდება ველურ პირობებში, ნაკლებმომთხოვნია. იკვებება ტყის მცენარეთა ნაყოფით, იყენებს აგრეთვე თავთავიანი კულტურების ნაწვერალს და ნაკლებნაყოფიერი ტენიანი ჭალის საძოვრებს. ახასიათებს თავდაცვის, დედობისა და ჯოგურად ცხოვრების მაღალი უნარი. კახური ღორი ადრე ფართოდ იყო გავრცელებული დუშეთის, თიანეთის, ყვარელის, ლაგოდეხის, გურჯაანისა, თელავის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონებში. (http://agrokavkaz.ge).

თუმცა, კახეთში ასევე გავრცელებული ყოფილა ღორის რუსული და ოსური ჯიშები, რასაც კახელი გლეხი ამგვარ შეფასებას აძლევს: „აქ ქართული ღორი გვარობს. რუსული ღორის ყოლა ტყუილია. რუსული ღორი აქ სათხარზე არ ვარგა, ქართული ღორი ძაან მრჩო არის, სთხრის და იკვებება. როგორც თხა უფრო მრჩო არის ცხვარზე, იგრეა ესეც. რუსული ღორი ეხლა გამაიგონეს, მაგრამ ძნელი გასაზრდელია. როგორც ძველ მამალსა ვარიის ხორცი სჯობია, ეგრე ქართული ღორის ხორცი სჯობია რუსულისას. წონაშიც ქართული ღორი მეტი მოდის. ოსური ღორიც ბევრსა ჰყავს აქათ; ისა რუსული ღორივით ყურჩეჩილაა, ხოლოთ თითონ ღორი ქართულის მაგვარია. ოსური ღორი იმითა სჯობია ქართულს, რომ იმან გოჭი მსხვილი იცის, დაბადებით მსხვილი გოჭი იცის, მხოლოთ ქართული ღორისთანათ ვერ ანოყივრებს და მალე ვერ ამსხვილებს. ხორცი კი პირველი და საუკეთესო ქართული ღორისა არის (შინამრეწვ... 1986, 54).

ქიზიყის მასალების თანახმად, ღორს ზაფხულში არაფერს აჭმევდნენ. ის თვითონ იკვებებოდა ტყეში, ჭალებში, მინდორში ბუნებრივი საკვებით. ზამთარში დეკემბრიდან მარტამდე აჭმევდნენ დილა-საღამოს, ამ პერიოდში ღორები გომებში ჰყავდათ.

ყვარელში ფიქსირებული საველე მასალებით კახური ღორის შესახებ ვიგებთ: *„ჩვენი ღორი ძირითადად ტყეში იკვებებოდა, არაფერი სხვა არ სჭირდებოდა დამატებით. ერთი ახლობელი მყავდა, ის მეუბნებოდა: ერთი სტვენა უნდა იცოდეო. დაუსტვინო უნდა საღამოს საათებში და თვითონ მოდიან, მეტი არაფერი არ უნდათო; გონიერი არის ჩვენი კახური ღორი. სამ-ოთხ კახურ ღორს მგელიც ვერ ეკარება, თურმე. ადვილად შესანახია.*

აი, ღორი დაკარგვია პატრონს და 4-5 კვირის შემდეგ გამოსულა გოჭებთან ერთად ზამთარში“ (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017)

ღორის მოშენება საკმაოდ მომგებიან საქმიანობად ითვლებოდა. კახეთში ამბობდნენ, ოთხი მაკე ღორი ორ-სამ წელიწადში ორასამდე გახდებაო. „თითო დაყრაზე ექვსი რომ ვიანგარიშოთო, ორი გოჭი ზედვე რო მოვახმაროთ, ოთხი მაინც ჰრჩება პატრონსო. აქადანაც ერთი პურს მივცეთო, ერთი – მატყლსა, ერთი – სტუმარსა და ჩვენს ჭამას, ერთი მაინც მოგება გვრჩება „ერთ ღორზეო“. საერთოდ მეღორეობა სარფიან მეურნეობად ითვლება და საწყალ კაცს ურჩევენ ხოლმე ღორში წასვლას. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქიზიყში ყველა არ მიირთმევდა ღორის ხორცს, ათქმული ჰქონდა ზოგს, ნამეტნავად მეცხვარე ხალხს. შესაძლებელია, ესა თუ ის გლეხი მეცხვარე არ ყოფილიყო, მაგრამ მისი წინაპრების მიერ ათქმული მასზეც ვრცელდება. ზოგი გვარი საერთოდ არ ჭამდა ღორის ხორცს (შინამრეწვ... 1986, 38).

კახეთში ტრადიციულად ყოველ მესაქონლეს (მეცხვარე იქნება ის, თუ მეძროხე, თუ მეღორე) თავისი საქონლის (ესე იგი იმ საქონლის, რომლის მეურნეობასაც ის ეწევა) ერთი ნაწილი უეჭველად აკვეთილი ჰქონდა, „არ შესჭამს რაც უნდა იყოს, არ ვარგაო“ (საქ. შინამრეწ... 1986, 38)

ჩანს, რომ წინათ იმ რაოდენობის ღორის დაავადება არ იყო გავრცელებული, რამდენსაც დღეს აქვს ადგილი. კახეთში ძირითადად დაფიქსირებული იყო: ღორის სატკივარი (ღოკი), ყვავილი, ხუხუნაკი და წელკავი. ახმეტელი მეღორე სოფ. სათიანოდან ღორის ახალი დაავადების „ტრიხინას“ შესახებ საუბრობს და აღნიშნავს:“ ეხლა კიდევ ტრიხინააო თუ რაღაცაა, ეგ ძალიან ჰღუპავს ღორსა. მაგისაგან იმდენი დემეხოცა, რომ შვიდოცი ღორი გადავყარე“ (საქ. შინამრეწ... 986, 54).

რასაკვირველია, მაშინდელი გლეხი ცხოველთა მკურნალობის ტრადიციულ ხალხურ ხერხებს მიმართავდა, თუმცა მათი მკურნალობა რომ ნაკლებად ეფექტური იყო, კარგად ჩანს მასალებიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ კახეთში არ იციან ღორის ჩამოთვლილ დაავადებათა წამალი (საქ. შინამრეწ... 1986, 39).

საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის და, შესაბამისად, მეღორეობის აღორძინებას. კახეთში კი მეღორეობა ისედაც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული და პრიორიტეტული მიმართულება იყო. მსხვილ სახელმწიფო მეურნეობებში კარგად იყო განვითარებული მაღალპროდუქტიული ღორის სანაშენე საქმიანობა. მაგალითად, ახმეტის რაიონში ამ პერიოდში ღორის სულადობა 30 000-ზე მეტს შეადგენდა, რაც დღეს 8000-მდეა შემცირებული, ხოლო ეს რაოდენობა მოსახლეობაში ერთეული სულადობის სახით გვხვდება (ახმეტის... 2015, 41).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მესაქონლეობის ფერმები სხვა პროფილის ფერმებთან ერთად განადგურდა და ეს დარგი ინდივიდუალურ მეურნეთა იმედად იყო დარჩენილი. თუმცა, ნელ-ნელა ქვეყანაში მეღორეობამ

უფრო ფართო ფორმები მიიღო და, მით უფრო, კახეთი გამონაკლისი არ ყოფილა. დღეს კახეთი საქართველოში ერთ-ერთია მეღორეობის წამყვანი რეგიონებიდან (იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, ზემო სვანეთი). 2014 წლის ოფიციალური მონაცემებით კახეთში ღორის სულადობის მხრივ ყვარელი ლიდერობს, მას მოსდევს დედოფლისწყარო, შემდეგ საგარეჯო, ყველაზე მცირე რაოდენობა ახმეტის მუნიციპალიტეტშია დაფიქსირებული, თუმცა, როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების შემთხვევაში, დღეს ეს სტატისტიკა შეცვლილი ჩანს. კახეთში ღორის სხვადასხვა სახეობებია გავრცელებული, „კახური ღორი“ კი გადაშენების პირასაა მისული. სამწუხაროდ, კახეთში არც ერთი ჯიშთსაშენი არ არსებობს, სადაც დაინტერესებული ფერმერი ჯიშობრივად წმინდა ღორის სახეობებს შეიძენს.

ახმეტის მუნიციპალიტეტში, სადაც მეღორეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული და პრიორიტეტული მიმართულებაა, ბოლო წლებამდე მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა კახური ჯიშის ღორის მოშენება-გამრავლებას, ამჟამად მუნიციპილიტეტის სოფლებში ამ ჯიშის ღორის ძალიან მცირე სულადობაა შემორჩენილი (60 სულამდე) (ახმეტის... 2015, 42). ასევე კარგად იყო განვითარებული მაღალპროდუქტიული ღორის სანაშენე საქმიანობა მსხვილ სახელმწიფო მეურნეობებში. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მეღორეობის განვითარებას ხელს უშლის ღორის ინფექციური დაავადებებისადმი მაღალი მიდრეკილება, რის გამოც ფერმერები თავს იკავებენ მათი მოშენება-გამრავლებისგან. 2007-2008 წლებში ღორის აფრიკული ცხელების დაავადების ე.წ. „ღორის გრიპის“ გავრცელების გამო კახეთში მასობრივად შემცირდა ღორის სულადობა და შესაბამისად, მეღორეობის ქვე-სექტორის წარმოების მოცულობა (შავგულიძე, 2010, 10).

მთხრობლის გადმოცემით: *„ღორები მეურნეობის დროს კერძო ხალხსაც ჰყავდათ, აი, ეს კახური ღორი, 200-300 სული ყავდათ. ახლა აღარ ყავთ. ღორის დაავადება შემოვიდა რაღაცა, ამბობდნენ სპეციალურად გააჩინესო, მე მჯერა ეგ. მთელი ღორები ხალხმა თავისი ხელით დახოცა. ხოცავდნენ და აყრიდნენ მიწას. იმის მერე ღორი სულ გაწყდა. ეხლა ამბობენ სადღაც ზევით ჰყავსო. რამდენიმე ღორი ყავთ, მაგრამ მეღორეობის ფერმები არ არის“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში არსებულ მეღორეობის ფერმაში ჰყავთ 60 სულამდე ნეზვი. აღსანიშნავია, რომ ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით, ფერმერი იყენებს ხელოვნური განაყოფიერების მეთოდს. კახური ღორის მოშენება განსაკუთრებით ხელსაყრელია მისი მრავალმხრივი უპირატესობის, მათ შორის, ხორცის მაღალი ხარისხის და გამორჩეული საგემოვნო თვისებების, შენახვის ხარჯებისა და მიღებული ხორცის დაბალი თვითღირებულების გამო (ახმეტის... 2015, 41). დღეს ახმეტის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე მეღორეობის მიმართულებით მომუშავე კოოპერატივია „მამული“, სოფ. ზემო ალვანში (გამგ. თავმჯ. ზ. არაბული).

დედოფლისწყაროში მეღორეობა ძირითადად საოჯახო მეურნეობების სახით არის წარმოდგენილი. თითო ოჯახში 1-დან 5 ღორამდე შეიძლება შეინახონ. სულ მუნიციპალიტეტში დაახლოებით 6 000 სულია (დედოფლ... 2017, 4).

საბჭოთა პერიოდში მეღორეობა სიღნაღის მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ დარგად ითვლებოდა. დღევანდელი მდგომარეობით კი წარმოდგენილია მხოლოდ კერძო სექტორში. ასევე იყო ეს დარგი თელავის რაიონშიც. მთხრობელი გვიყვება: „დავამთავრე ზოოვეტ ინსტიტუტი თბილისში. ვმუშაობდი მეღორეობის ჯიშსაშენი იყო, მერე მთლიანად მეცხოველეობის ჯიშსაშენად გადაკეთდა. აღმოსავლეთში ცენტრი იყო თელავში, დასავლეთში – სამტრედიაში. ვამოწმებდით ჯიშიანი საქონელი ვისაც ჰყავდა. მე ვიყავი მთავარი ზოოტეხნიკი. ღორი კახური ჯიშის არ იყო, იყო ღორის ჯიში – „მსხვილი თეთრი". ინგლისიდან წამოვდა ეს ჯიში, მერე რუსებმა შემოიყვანეს საბჭოთა კავშირში და დაარქვეს რუსული „მსხვილი თეთრი". ბალტიისპირეთშიც იყო ეს ჯიში და დაარქვეს ლიტვური მსხვილი თეთრი და ესე გამოვიდა, მიითვისა ყველამ, რა" (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღეს არ ფუნქციონირებს მსხვილი მეღორეობის ფერმები: *„ღორიც ყავთ, მაგრამ ეგეც ცოტ-ცოტა. არის, ერთს 20–მდე ღორი ყავს, მაგრამ ფერმა არ არის აქ. ღორს წინათ ტყეში უშვებდნენ. მწყემსები ყავდათ, იქა ჭამდა – წიფელი იყო, პანტა, მაჟალო, რკო. ეს ადრე შემოსავლიანი იყო. ეხლა ტყე აღარ არი, გაყიდულია სულ კერძოზე. ვისაც ყავდა ტყეში, იმათ გაუწყდათ, იზარალეს. ერთ თალია ხო იყო, ვითომ მოწამლესო თუ რაღაცო. ავადმყოფობა რო გაჩნდა. სუ გაუწყდათ!"* (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

ადგილობრივი ღორის ხორცის წარმოება მოდის მცირე საოჯახო მეურნეობებზე. ოპერატიული ინფორმაციით, ამჟამად ღორის სულადობა 5000-ზე მეტია. წარმოებას სეზონურობა არ ახასიათებს, მცირე მეღორეობის ფერმებში პირუტყვი იმყოფება ბაგაზე და სეზონის ცვლილებას მის საკვებ რაციონზე დიდი გავლენა აღარ აქვს. რამდენიმე წლის წინ, მუნიციპალიტეტში ღორის ჭირის გავრცელების გამო მასობრივად გაწყდა ღორი და მათ შორის კახური ჯიშისაც. მთხრობლის ინფორმაციით: *„აი, მაგალითად, სააკაშვილის პერიოდში დაიწყეს ლაპარაკი, ღორის გრიპი, ღორის გრიპიო! მანამდე არ იყო. მერე კიდე, ქათმის გრიპიო! სულ გაგვაწყვეტინეს ფრინველი და ცხოველი. დეკემბერი იყო, მაშინ დაგვახოცინეს, ღორი და ქათმები. მე ვიცი, რომ მაშინ თელავის სამმართველოდან ავიდნენ ცივზე, და მაშინაც კისისხველი კაცი იყო, იმას სულ დაუკლეს ღორები. სხვებსაც გაუკეთეს ასე. ბაკში შერეკილი საღსალამათი ღორები დაუხოცეს. რა უნდოდათ. მე თითონ არ მინახია, მგრამ გავიგე რო ტყეც მოწამლეს, ვითომ რაღაც დაავადება გაჩნდა!"* (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

მომთაბარე მეღორეობის განვითარების მხრივ თელავის მუნიციპალიტეტში ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსებია, თუმცა ზემოთ აღნიშნული დაავადების გამო ფერმერებმა დაკარგეს ინტერესი ამ მიმართულებით და ამ დროისთვის ღორი ერთეული სულადობის სახით გვხვდება მოსახლეობაში. მთხრობლის ინფორმაციით:

„მეღორეობის ფერმები არ არის. უფრო სახლში თუ ყავს ვინმეს. ჯიშები გადაგვარდა უკვე ცხვრისაც, ღორისაც, ძროხები იყო, მაგალითად, მეხორცული, იყო მერძეული, ხელოვნურად ამრავლებდნენ ხოლმე. ახლა აღარ არი. კახური ღორის ჯიშების გადარჩენაზე დაიწყეს მუშაობა, „ელკანაა“ ასეთი. ურიგებენ თითო ღორს ახმეტაში მცხოვრებლებს. ჩვენთან ეგეთი არ არის არაფერი. ახმეტაში ფერმებიც მეტია, ხელშეწყობაც მეტია მეცხოველეობაში“ (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

იყალთოელი რესპონდენტის ინფორმაციით: „ღორის გრიპი და რამე ჩვენთან არა ყოფილა. ახლა ერთი-ორი, ხანდახან ინფიცირდება რაღაცით, მაგრამ, როგორც რო რამე დაერიოს, არა. გარეთ არ ვუშვებთ საქონელს, მხოლოდ ფერმაში გვყავს. აი, მეზობელს ჰყავდა კრედიტით გამოყვანილი საქონელი, ტყეში ჰყავდა და სულ დაეხოცა. კომბინირებული საკვებით ვკვებავთ, ჩვენ თვითონ გვაქვს წისქვილი და ვაწარმოებთ. ვყიდულობთ ქერს, ხორბალს, სიმინდს, ჩვენი რომ შემოგვაკლდება. ბიოლოგიურად სუფთაა ჩვენთან. საქონლის ნაწლავებით და რაღაცეებით ჩვენ არ ვკვებავთ. ხორცად ვყიდით, გოჭს არ ვყიდით. ხალხის მოძრაობას არ ვუშვებთ, ჩაკეტილი ფერმა გვაქვს. თვითონ მოდიან, კლავენ და მიაქვთ. წონით. დაკლულ ხორცში იხდიან 9-10 ლარს, გააჩნია სეზონს. დიდი ჯიშის ღორი საშუალოდ 200-300 კილოს იწონის. ქართული ჯიშის ღორი 80-100 კილოგრამი გამოდის, სადღაც. ჩვენი ფერმა მოშორებით არის და მეზობლებს არ აწუხებს, არხის პირას არის. ორი მწყემსი და მთელი ჩემი ოჯახი, მეუღლე, შვილები არიან დასაქმებულნი“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 2013 წელს თელავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა მეღორეობის ფერმის მშენებლობა და მეწარმეს დაგეგმილი აქვს წელიწადში 800 გოჭის წარმოება. მეღორეობა (თელავის... 2016, 16). ლაგოდეხში სადაც ბოლო მონაცემებით 2800 ღორია აღრიცხული, მეღორეობის მიმართულებით მოქმედებს ერთი კოოპერატივი „ხეჩილი“.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, საგარეჯოში მეღორეობა, მესაქონლეობასთან და მეცხვარეობასთან ერთად მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. მუნიციპალიტეტში მდებარეობდა საკავშირო მნიშვნელობის, გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი, რომელიც გათვლილი იყო 2400 სულ დედა ღორზე და წლიურად აწარმოებდა 2400 ტონა ხორცს. დაწყებული იყო, თითქმის ასეთივე სიმძლავრის უდაბნოს მეღორეობის კომპლექსის მშენებლობა (საგარეჯოს... 2015, 29).

დღეისათვის მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს მსხვილი მეღორეობის ფერმა, ღორის ხორცის ძირითადი მწარმოებლები არიან წვრილი ფერმერები. მუნიციპალიტეტში ღორის სულადობამ 2015 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგინა 4740 სული. მეღორეობის შემდგომი განვითარებისთვის მუნიციპალიტეტს გააჩნია რესურსი მარცვლეული კულტურის მაღალი ხვედრითი წილის არსებობით (საგარეჯოს... 2017, 34).

ყვარელში მეღორეობა სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგი იყო. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში რაიონში არსებობდა საჯიშე მეურნეობა. რაიონში იწარმოებოდა მაღალი ხარისხის ღორის ხორცი, რომლის თვითღირებულება მინიმალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მუნიციპალიტეტში კახური ღორის გამოკვება ხდებოდა ტყის დიდ მასივებში მუხის წაბლისა და ცაცხვის ნაყოფით, უკანასკნელ წლებში აფრიკულმა ჭირმა მთლიანად გაანადგურა დარგი. რისკებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში მეღორეობის მნიშვნელოვანი ზრდა შეჩერებულია. მცირე გამონაკლისის გარდა დიდი რაოდენობით ღორის გამრავლება არ მიმდინარეობს (ყვარლის... 2017, 4-5). მუნიციპალიტეტში მეღორეობაში დასაქმებულია 18 ფერმერი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი მეღორეობის მიმართულებით ოფიციალურად დაფიქსირებულია ერთი – „ძმები კიკნაძეები“ სოფ. ენისელში, რომლის მიზანია ღორის ახალი ჯიშის მომრავლება. მეღორეობის პრობლემებზე საუბრობს ყვარლელი მთხრობელი: *„ახლა არის პატარ-პატარა ფერმები. აი, ნოსტალგიასავითა აქვთ. ამ სოფლებში ყველასა ყავდა ღორი, გაშვებული ყავდათ ტყეში და მომგებიანი იყო, ისე, რო, თითქმის არაფერი არა სჭირდებოდა. ეხლა ისევ დაიწყეს მოშენება, მაგრამ ისევ დაეხოცათ. აქ ღორის ჭირი იყო შემოსული და იმას ვაბრალებთ. ჩვენ მაშინ ვიძახოდით, აი, გადმოკვეთა თურქეთი, გადმოკვეთა სომხეთი და მაინცდამაინც* ჩვენთან მოვიდაო? არც რუსეთში არ იყო და, რაღა, მაინცდამაინც ჩვენ დაგვისიეს კაცო?“ (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017)

ექსპერტების შეფასებით, ქვეყანაში ხორცის იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ ღორის ხორცზე მოდის. ღორის ხორცის წარმოებას კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ადგილობრივ ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა, რომელიც პიკს დეკემბერსა და იანვარში აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ღორის ხორცი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე იმპორტირებული, ქვეყანაში ადგილობრივ წარმოებულზე მაინც დიდი მოთხოვნაა. დღეს ქვეყანაში წარმოებული ღორის ხორცის საერთო რაოდენობაში კახეთის წილი 10,5-14,1%-ის ფარგლებში მერყეობს. ღორის ხორცის მწარმოებლები ძირითადად წვრილი შინამეურნეობები არიან, შესაბამისად რეალიზებული ხორციდან შემოსავალი მწარმოებელთა ამ სეგმენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეხორცეული მიმართულების განვითარებას ხელს შეუწყობს ეპიზოოტიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ამჟამად იშვიათი, უნიკალური გემური მახასიათებლების მქონე, გაქრობის პირას მისული კახური ღორის ინდივიდების მოძიებას მოშენების მიზნით ინტენსიურად ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი

ცენტრი. მოშენების ინტერესი ცენტრთან ერთად გამოთქვა ესპანურმა კომპანიამ De Raza Iberico-მ. მათ ქართული ღორის ჯიშების მოძიება და ხორცპროდუქტების წარმოებაში ინვესტირების სურვილი გამოთქვეს. მათ საქართველოს რეგიონები დაათვალიერეს, შეხვდნენ ადგილობრივ ფერმერებს და ქართული ჯიშის ღორებზე მეცნიერული კვლევა ჩაატარეს. საპარტნიორო ფონდი განიხილავს საქართველოში კახური ჯიშის ღორების მომრავლებას, ფერმების მშენებლობას და მის განვითარებას რამდენიმე ეტაპად, ხოლო საბოლოოდ დაგეგმილია კახური ჯიშის ღორისგან ხამონისა და სხვადასხვა ხორცის პროდუქტის წარმოება და მისი რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზარზე. მიმდინარეობს მოძიებული ჯიშების საკოლექციო-სადემონსტრაციო სანაშენე ფერმების ჩამოყალიბება, ადგილობრივ ფერმერებთან ერთად ყოველწლიური 9 000 ღორის წარმადობით ფერმების შექმნას კახეთში გეგმავს (http://www.knews.ge).

ამის შესახებ გვესუბრა ყვარლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი:

„სხვათაშორის, ესპანელებს აქვთ მაგისი პროექტი. მაგათ უნდათ ჩვენი ღორის გამრავლება და გატანა; ჩვენი ღორის ხორცი უნიკალურია; გასინჯეს, ნახეს და ძალიან მოეწონათ. ჯერ უნდათ ამის მოშენება და მერე, ალბათ, გაიტანენ. ერთი მოთხოვნა ჰქონდათ, რომ ბოლო ორ თვეს გამოკვება უნდა ჩაატაროთ მარტო მუხის რკოთიო; და, ჩვენთან ხომ სულ ტყეებია და ღორი ხომ იქ იკვებებოდა ყოველთვის...“ (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017).

კახური ჯიშის ღორების მოშენება დაიწყეს ცალკეულმა მეწარმეებმა: სოფელ რუისპირში გ. ალადაშვილმა, რომელსაც აქვს ბიომეურნეობა და ღორებსთავისი მოყვანილი ქერით, სიმინდით და სხვა საკვებით ზრდის. ასევე სოფელ ნუკრიანში გ. ოტიაშვილმა „ელკანას“ ფინანსური მხარდაჭერით ქართული ჯიშის ჯაგარა ღორების მოშენება დაიწყო (http://www.knews.ge) და სხვ.

სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თვლიან, რომ დარგის გაძლიერების მიზნით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შეღავათიანი აგროკრედიტები ფერმერებისათვის, აშენდეს ახალი ფერმები თავისი ინფრასტრუქურით და მოხდეს ძველი შენობების მოდერნიზაცია, გაუმჯობესდეს ვეტერინალური მომსახურება,შემოყვანილ იქნეს მაღალპროდუქტიული ჯიშები, მოხდეს მეღორეობაში დასაქმებული პირების განათლების ამაღლება.

§ 4. მეფრინველეობა

საქართველოში მეფრინველეობის განვითარებას დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია. ფრინველს (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი, ციცარი) და მის პროდუქტს იყენებდნენ როგორც საშინაო მოხმარებისათვის, ასევე სავაჭრო

დანიშნულებითაც. ქართველ გლეხს გამომუშავებული ჰქონდა ფრინველის მოვლა-მოშენების ტრადიციული მეთოდები, რაც შეხამებული იყო გარემომცველ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოსთან. თუმცაღა, საქართველოში, მეფრინველეობის სხვა მიმართულებებთან შედარებით, მექათმეობამ უფრო ინტენსიური სახე მიიღო. ჩვენში ქათამს უძველესი დროიდან აშენებდნენ და დღესაც შენარჩუნებულია აბორიგენული ქათმის ხუთი პოპულაცია: ჩალისფერი, ყელტიტველა, მეგრულა, შავი და ნაცარა, რომლებიც კომბინირებულ – მეხორცულ-მეკვერცხული მიმართულების ჯიშს მიეკუთვნებიან. (ნაცვალაძე, 2017). როგორც ნ. ბრეგაძე აღნიშნავს, საქართველოში აშენებდნენ, ძირითადად, ადგილობრივი ჯიშის ქათმებს: შავს, ჩალისფერს, წითელს, ნაცრისფერ ფონზე თეთრზოლებიანს ანუ ჟრუნას (მას მეგრულსაც უწოდებენ), ჭროღას//ჭრელს, თეთრს, ნაცარას, წაბლისფერს (ნ. ბრეგაძე, 2016, 205). მეფრინველეობის დარგის სპეციალისტები ხაზს უსვამენ ადგილობრივი ქათმის პოპულაციების უპირატესობებს – ისინი კარგად ეგუებიან მაღალ ტემპერატურას, არ მოითხოვენ კვება-მოვლის იდეალურ პირობებს, თავს კარგად გრძნობენ პრიმიტიული ტიპის საფრინველეშიც, ხასიათდებიან კვერცხისა და ხორცის საუკეთესო ხარისხით და გამოირჩევიან მთელი რიგი დაავადებების მიმართ გამძლეობით (ნაცვალაძე, 2017).

აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, დასავლეთ საქართველოში მექათმეობას უფრო ინტენსიური სახე ჰქონდა, ვინაიდან აქ მესაქონლეობა ნაკლებად იყო განვითარებული და ქათამი მეცხოველეობის პროდუქტით მოსახლეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა; ამან კი, თავითავად, ხელი შეუწყო ქათმის დასავლური ჯიშების ჩამოყალიბებას. აღმოსავლეთ საქართველოში ქათმის მოშენების ძირითადი მიზანი კი მეკვერცხეობა იყო, რამაც განაპირობა დასავლურქართული ქათმისაგან განსხვავებული, აღმოსავლურქართული ეკოტიპის გავრცელება (ანთაძე, 1973, 36-37).

1870-იან წლებამდე მეფრინველეობის პროდუქტები საქართველოში მხოლოდ თბილისის ბაზარზე იყიდებოდა. 1880-იან წლებში ფოთსა და თბილისს შორის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, საბაზრო მოთხოვნილების სისტემატური ზრდის შესაბამისად, გლეხებმა დაიწყეს საკუთარ მოთხოვნილებაზე გაცილებით მეტი რაოდენობით ქათმის მოშენება (ნაცვალაძე, 2017). მეფრინველეობის პროდუქტების მთავარი მიმწოდებელი პუნქტები აღმოსავლეთ საქართველოში იყო გორის, თელავისა და თბილისის მაზრები (ბრეგაძე, 2016, 209).

XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოსათვის საქართველო მსოფლიო ბაზარზე მონაწილეობას იღებს მეფრინველეობის პროდუქტებით, კერძოდ, კვერცხით. 1891 წლიდან იწყება კვერცხის დიდი რაოდენობით გატანა დასავლეთ ევროპისა და შავი ზღვის რუსეთის სანავსადგურო ქალაქებში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, 139). 1898 წლიდან ბათუმსა და ფოთში დაარსდა კვერცხის შემსყიდველი უცხოური ფირმები, რომლებიც ვაჭარ-შემსყიდველებისაგან ყიდულობდნენ კვერცხს და ბითუმად

აგზავნიდნენ საზღვარგარეთ – ლონდონის, ჰამბურგის, ბერლინის და პარიზის ბაზრებზე, ფრინველი კი საქართველოსა და ამიერკავკასიის ქალაქების ბაზრებზე საღდებოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, 308). 1909-1913 წწ. საქართველოს მეფრინველეობის საშუალო ყოველწლიური პროდუქციის ღირებულება 4,5 მლნ მანეთს აღწევდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, 1972, 89).

საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა მეცხოველეობის სხვადასხვა პროფილის, მათ შორის, მეფრინველეობის კოლმეურნეობები და შემდეგ საბჭოთა მეურნეობები. აღმოსავლეთ საქართველოში იყო რამოდენიმე მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკა (თბილისში, გორში, თელავში, ახმეტაში, საგარეჯოში, სამგორში, ნორიოში, კოდაში და სხვ.). სოფლად თითქმის ყველა ოჯახი აშენებდა ფრინველს, ძირითადად საოჯახო მოხმარებისათვის და, ასევე, გაჰქონდა მისი პროდუქცია ბაზარზე გასაყიდად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან, საწარმოებსა და ფერმებთან ერთად განდგურდა მეფრინველეობის ფაბრიკებიც. ახმეტელი რესპონდენტის ინფორმაციით:

„კომუნისტების მერე ყველაფერი დაანგრიეს და გაყიდეს, არაფერი აღარაა ეხლა, არაფერი! ნასახი არ დატოვეს! აბა მეფრინველეობის ფაბრიკას ვინმე დაანგრევდა? თან ვინც იქ მუშაობდა, იმათ არ მისცეს უფლება რომ შეესყიდათ! მეფრინველეობის ფაბრიკა აქ იყო ახმეტაში, ჩაბინაანში. აგურიც კი გაყიდეს! “ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2016).

საქართველოში მეფრინველეობა კრიზისულ სიტუაციაში აღმოჩნდა, ქვეყანას არ გააჩნდა საკუთარი საინკუბაციო კვერცხი და კომბინირებული საკვების დასამზადებლად საჭირო ნედლეული, რამაც ფაქტობრივად დაანგრია ქვეყნის მეფრინველეობა. საქართველოს ბაზარი დაიკავა შემოტანილი ფრინველის უხარისხო ნაწარმმა (სიღნაღის... 2015, 42).

ქვეყანაში ფრინველის საერთო რაოდენობაში კახეთს მცირე წილი – 15-17,1%, უკავია; 13,6-18,1%-ს შორის მერყეობს რეგიონებს შორის კახეთის წილი კვერცხის წარმოებაში, თუმცა 2011 წლიდან მატების ტენდენციით. წამყვან ადგილზე, როგორც მეფრინველეობაში, ისე სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა მიმართულებაში, ქვემო ქართლი და იმერეთია (კახეთის... 2014, 25).

კახეთში მეფრინველეობას ძირითადად მეკვერცხეული მიმართულება და შინამეურნეობრივი ხასიათი აქვს. მეხორცეული მიმართულებით აქ უმთავრესად ბროილერის ჯიშის ქათმები გამოჰყავთ. რეგიონში საქართველოს სხვა კუთხების მსგავსად, მეფრინველეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია 2005-2006 წლებში ე.წ. ქათმის გრიპმა, რომლის მიზეზით ადგილობრივი ქათმის წარმოების ნაწილობრივი განადგურება და შინაური ფრინველის ადგილობრივი მოხმარების შემცირება მოხდა (კახეთის რეგიონის განვითარების.., 2014, 25). რესპონდენტი იმ პერიოდი ამბებს იხსენებს: *„დაიწყეს: ქათმის გრიპი, ქათმის გრიპიო! სულ გაგვაწყვეტინეს ფრინველი და ცხო-*

ველი. თუ არ გადადიოდა ადამიანზე, რატო დაახოცინეს ხალხს? ზამთარში გადამფრენი ფრინველები არ არსებობს, გაზაფხულიდან იწყებს ეს ფრინველები მოძრაობას. სადღაც აჩვენებდნენ, თურქეთში,თუ იქით მხარეს, თბილ ქვეყნებში, რაღაცა მოკვდა, თითქოს, და მოიტანს აქო. და, აბა ზამთარში საიდან მოვიდოდა.? და, დეკემბერი იყო მაშინ! დაგვახოცინეს ღორი და ქათმები. აი, ერთი მეზობელი მყავს, მოვიდა და მეუბნება: ქათმები დავკალიო, სულ მთელიო. ვეუბნები, რატო-მეთქი? ათი წელი მეფრინველეობაში ვმუშაობდი და ვიცი, არაფერი არ იქნება-მეთქი. ზამთარია და სანამ გადამფრენი ფრინველები არ შემოვლენ, არაფერი არ იქნება- მეთქი. იმ პერიოდში საშიში ნამდვლად არ იყო და ამ ხალხს დაუწყეს მივარდნა; აბა, პოლიცია რომ მოვა და დაკალი ქათმებიო, რას ზამ.?! ჩემს ცოლს ვეუბნებოდი, ერთი 20 ქათამი გვყავდა, საქათმეში იყვნენ, გარეთ აღარ გამოუშვა – მეთქი" (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

ჩემ მიერ გამოკითხულ კახელ მთხრობელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ „ქათმის გრიპი" მეფრინველეობის პროდუქციის იმპორტით დაკავებული ბიზნესმენების მიერ მოგონილი „სცენარი" იყო, რისი საშუალებითაც მათ ადგილობრივი კონკურენტი გზიდან ჩამოიშორეს და ანალოგიას ე.წ. „ღორის გრიპის" შემთხვევასთან პოულობენ.

დარგში არსებული ასეთი გარღვევის მიუხედავად, მოგვიანებით რეგიონში ამოქმედდა მეფრინველეობის რამოდენიმე ფაბრიკა: საგარეჯოში, სოფელ პატარძეულსა და ნინოწმინდაში, რომელსაც ძირითადად მეკვერცხეობის მიმართულება გააჩნია. დღეს კახეთის მუნიციპალიტეტებში სოფლის პირობებში ფრინველი თითქმის ყველა ოჯახში ჰყავთ, ძირითადად ქათამი და ინდაური, შედარებით იშვიათად ბატი, იხვი და ციცარი. მაგალითად, დედოფლისწყაროს რაიონში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია მემინდვრეობასთან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა ოჯახში ფრინველს ინახავენ და მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდის მონაცემებით აღრიცხულია – ქათამი 40-45 ათასი ფრთა, ინდაური 4 000 ფრთა (დედოფლისწყაროს.. 2015, 30)

მეფრინველეობის განვითარება ერთ-ერთია სიღნაღის მუნიპალიტეტის პერსპექტიული მიმართულებების ჩამონათვალში. ორი ათული წლის წინ სიღნაღის რაიონში მეურნეობის ეს დარგი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო. აქ ფუნქციონირებდა მეფრინველეობის სამი ფაბრიკა, რომელთა საერთო საპროექტო სიმძლავრე 200 000 კვერცხმდებელ დედალს შეადგენდა. დღეს კი მუნიციპალიტეტში, თუ არ ჩავთვლით შიდაოჯახურ მეურნეობებს, ფუნქციონირებს მეფრინველეობის მხოლოდ ერთი მცირე საწარმო, წელიწადში 35 ტ. ხორცის წარმადობით, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, კვერცხი კი ბაზარში მხოლოდ ოჯახური მეურნეობიდან შედის (სიღნაღის... 2016, 41). მთხრობლის ინფორმაციით: „*ფრინველი ძირითადად ოჯახური მოხმარებისთვის თუ ჰყავთ, მეფრინველეობის ფაბრიკა, არ არის. წვრილ-წვრილი ოჯახები არის, სადაც კვერცხსაც აწარმოებენ, მაგრამ ფართომასშტაბიანი არ გვაქვს. წინათ, ჩვენს რაიონში იყო ორი მეფრინვე-*

ლეობის ფაბრიკა. ერთი წნორის ტერიტორიაზე იყო, ერთი კიდევ ივრის ზეგანზე, მადაროს ტერიტორიაზე. ხალხი კმაყოფილი იყო, ჯერ ერთი, დასაქმებული იყვნენ, მერე – ოჯახები ძლიერი იყო“ (ჯალაბაძე, სიღნაღი, 2016), ან *„მაჩხაანის კოლმეურნეობის დროს ძლიერი იყო სოფელი. ცხვარი, ძროხა, ფერმები იყო, ქათმის ფერმა იყო. ოთხი კოლმეურნეობა ყოფილა ჩვენს სოფელში“ (ჯალაბაძე, სიღნაღი, 2015).*

ახმეტაში საბჭოთა პერიოდში სოფელ ჩაბინაანის მეფრინველეობის მეურნეობაში მრავალი ათეული წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა სანაშენე მეფრინველობის მეორე რიგის მიმართულების მეხორცული რეპროდუქტორი 50 000 კვერცხმდებელ ქათამზე, რომლის წლიური წარმადობა იყო დაახლოებით 5 მილიონი კვერცხი და 400 ტონამდე ხორცი. ეს წარმოება განადგურდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ. 2005 წლიდან ფრინველის გრიპის მიზეზით ახმეტაში, როგორც ყველგან კახეთის რეგიონში, ქათმის რაოდენობა მინიმუმამდე დაეცა და დარგში სერიოზული პრობლემები შეიქმნა (შავგულიძე, 2010, 10).

დღეს ახმეტის რაიონში არის საოჯახო ტიპის უფრო მცირე ზომის ქათმის ფერმები, რომელიც მათი ოჯახებისთვის საარსებო წყაროა: „ქისტაურში ერთ ფერმერი მისდევს მექათმეობას, კვერცხისმდებელი ქათამი ყავს, აცხოვრებს ოჯახს, კმაყოფილია“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015). მოსახლეობაში ძირითადად მისდევენ ქათმის ადგილობრივი ჯიშების მოშენებას: ყელტიტველა, მეგრულა, ჩალისფერი და სხვა.

ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ფიზიკური და იურიდიული პირების ექვსი, შედარებით მსხვილი, მეფრინველეობის საწარმო, რომლებიც ერთდღიანი წიწილების გამოზრდის შემდეგ, აწარმოებენ ყოველწლიურად საშუალოდ 3 მილიონამდე კვერცხს და 12 ტონამდე ხორცს (ახმეტის... 2015, 42). მეფრინველეობაში დასაქმებულ ფერმერთა დიდი ნაწილი მუშაობს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საკვებით, რადგან ფერმერები საკუთარი საკვებწარმოებით ვერ ახერხებენ საჭირო მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილებას. ამავე დროს, ზემო ხოდაშენში ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“-ს ფერმაში ჰყავთ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი რამოდენიმე ადგილობრივი ჯიშის ფრინველი, მათი მოშენება-გამრავლება-შენარჩუნების მიზნით (ახმეტის... 2015, 42-43).

საბჭოთა კავშირის დაშლამდე მეფრინველეობის მსხვილი ფაბრიკა იყო თელავში, რომელიც დღეს გაჩერებულია. მეფრინველეობის მიმართულებით თელავის მუნიციპალიტეტში დიდი კომპლექსები არ ფუნქციონირებს და ძირითადად მცირე მეურნეობები მუშაობს. მათი წარმოება მოიცავს სახორცე მიმართულების წიწილის შესყიდვას, გამოზრდას და ადგილობრივ ბაზარზე გასაღებას. შედარებით მსხვილი მეურნეობის სახით წარმოდგენილია მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი ვარდისუბნის ტერიტორიულ ერთეულში; ამის შესახებ მთხრობელი გვეუბნება: *„იყალთოს ეკუთვნის ეს სოფელი. 15 წელიწადია ამ წიწილაში ვმუშაობ. მომგებიანია, რა*

თქმა უნდა, რომ არ იყოს არ გავაკეთებდით. პანკისიდან აქ მოდიან საყიდლად, ჩვენც მიგვყავს და ისინიც მოდიან. ერთი თვისანი არ არიან ჯერ და ვყიდით. წინა კვირას დავიწყეთ უკვე გაყიდვა. ერთი დღისა მოგვყავს წიწილა და ვზრდით" (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

მუნიციპალიტეტში მეფრინველეობის მიმართულებით საქმიანობს რამდენიმე ფიზიკური პირი, რომელთაც ჰყავთ 200 ფრთაზე მეტი ფრინველი. (თელავის... 2016, 37). მთხრობლის ინფორმაციით *„მეფრინველეობის ფერმები არის კისისხევში, ვარდისუბანში, აქვთ საოჯახო ფერმები, პატარები აქვთ. ხორხელში დიდი ფერმები აქვთ. გულგულის ჩასახვევში გერმანელებმა გააკეთეს, მაგრამ ფაქტიურად არა მუშაობდა. პერიოდულად ლაპარაკობს დირექტორი, რო დებს ინკუბატორში კვერცხს გამოსაჩეკად, მაგრამ არა მუშაობს" (ჯალაბაძე, თელავი, 2015).*

თელავის რაიონში ველზე მუშაობამ გამოავლინა ამ მიმართულებით არსებული დღევანდელი სურათი, რომელიც, ერთი მხრივ, ფრინველის და კვერცხის წარმოებას სარფიან და, მეორე მხრივ, არამომგებიან საქმიანობად წარმოაჩენს: *„მეფრინველეობა არის ქისტაურში, ახმეტაშიც არის, ახატანშიც. ინკუბატორები აქვთ და გამოყავთ წიწილა და ვარიებს ყიდიან. ჩემმა ბიჭმა იყიდა წიწილები და ქათამი. მაგრამ ისევ მეღორეობის ფერმად უნდა აქციოს, რეკონსტრუქციას აკეთებს. ქათამი წამგებიანია, წონა არა აქვს, ჭამაც ბევრი უნდა. ღორსაც უნდა კვება, მაგრამ ქათამს უფრო ბევრი. ფრინველი ათასობით უნდა გყავდეს, რომ რამე დაგრჩეს"* (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

როგორც რესპონდენტები ამბობენ, ქათმის ფერმა რომ გააკეთო ან ბევრი ფული უნდა გქონდეს, ან შენ თვითონ უნდა აწარმოებდე ფრინველის საკვებს, რომ შესყიდვა არ მოგიხდეს. ამ თვალსაზრისით მომგებიანია შერეული, მრავალდარგობრივი ტიპის ფერმები. ასეთია მაგალითად, გურჯაანის რაიონში არსებული ხ. მჭედლიშვილის ფერმა, რომელსაც ჰყავს ფრინველიც, მსხვილფეხა საქონელიც, ცხვარიც, ღორიც, თევზიც, მოყავს მარცვლეული კულტურები და აქვს საკუთარი რესტორანი, სადაც თავისსავე პროდუქციას მოიხმარს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის დარგებიდან, მეფრინველეობა ერთ-ერთი წამყვანი იყო; აქ ფუნქციონირებდა ორი მეფრინველეობის ფაბრიკა, საგარეჯოში – 300 ათასი კვერცხმდებელზე და პატარძეულში – 50 ათასი კვერცხმდებელზე. წლიურად იწარმოებოდა 110 მილიონზე მეტი კვერცხი, ამავე პერიოდისათვის კერძო სექტორის ჩათვლით, ყველა სახის ფრინველის რაოდენობა შეადგენდა 450 ათას ფრთაზე მეტს.

2012 წლის ჩათვლით ადგილი ჰქონდა ფრინველის სულადობის შემცირებას, ამის შემდეგ კი პერმანენტულად ხდება მისი ზრდა, რაც გამოწვეულია იმით, რომ შ.პ.ს. „საგარეჯო 2009"-მ (ყოფილი საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა) და შ.პ.ს. „პატარძეულმა" (ყოფილი პატარძეულის მეფ-

რინველეობის ფაბრიკა) მნიშვნელოვნად გაზარდეს ფრინველების სულადობა. ზოგადად, მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი გააჩნია მეფრინველეობის განვითარებისთვის, ამის მთავარი ფაქტორი არის ის, რომ რაიონში მარცვლეულის წარმოება მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენს. საგარეჯოს რაიონში ბოლო პერიოდში მეფრინველეობის ფაბრიკების რაოდენობა 10-მდე გაიზარდა, მათ შორის, აღსანიშნავია თოხლიაურში შ.პ.ს. „დს აგრო" რომელიც გათვლილია წლიურად 200 ტონა ფრინველის ხორცის წარმოებაზე. 2015 წლის ბოლოსთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედ 23 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს შორის ერთი მეფრინველეობის მიმართულებისაა. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამოქმედდება კიდევ 1 ან 2 საწარმო, მოხდება ძველი საწარმოების წარმადობების გაზრდა (საგარეჯოს... 2015, 28-29).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უნიკალური საჯიშე ფერმა – „ბიო-ვეი", სადაც ჩვეულებრივისგან განსხვავებით, მხოლოდ უნიკალური ჯიშის გიგანტური ქათმები და ბოცვრები გამოჰყავთ. ინკუბატორის თითოეულ აპარატში 100-მდე კვერცხი ეტევა. კვერცხზე მოთხოვნა დიდია და მსურველები წინასწარ ეწერებიან რიგში. .ამ ფერმას საკუთარი პროდუქციის მომხმარებელი რესტორანი აქვს.

როგორც საქონლის შემთხვევაში, მეფრინველეობის დარგშიც პროფესიონალ ვეტერინარზე დიდი მოთხოვნაა. ფრინველის დიდ ფერმებში საკუთარი კადრი ჰყავთ, მაგრამ, ზოგადად, ამ დარგის სპეციალისტების დიდი დეფიციტია. თუმცა, კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯ „აისში" მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის ვეტერინარებს ამზადებენ.

დღეს უდიდესი მნიშვნელობა ფრინველთა ადგილობრივი გენოფონდის შენარჩუნებას ენიჭება. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს ორგანიზაცია „ელკანა", რომელიც, ტრადიციული, გადაშენების პირას მდგარი ძველი ქართული ჯიშების აღდგენაზე ზრუნავს. როგორც პროფესიონალები მიიჩნევენ, დღეს ჩვენში ფერმერული (გლეხური), საოჯახო ტიპის მეურნეობებში, კულტურული ჯიშებისაგან განსხვავებით, წარმატებით შეიძლება მოშენდეს ადგილობრივი, აბორიგენული ფრინველი (ნაცვალაძე, 2017)

დღეს ადგილობრივ ბაზარზე ფრინველის ხორცზე, განსაკუთრებით კი ქათმის ხორცსა და კვერცხზე სტაბილურად მზარდი მოთხოვნაა. მომხმარებელი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებს ბუნებრივ პირობებში გამოზრდილ ფრინველისაგან მიღებულ პროდუქციას, ამიტომაც მათი საბაზრო ფასი უფრო მეტია. კონკურენტუნარიანობა განპირობებულია იმით, რომ ბუნებრივ პირობებში ფრინველისათვის იქმნება ხელსაყრელი გარემო, რაც დადებით გავლენას ახდენს კვერცხისა და ხორცის ხარისხზე. ადგილობრივი წარმოება, საკმაოდ მცირეა და ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რის გამოც დეფიციტი იმპორტირებული ხორცით ივსება. ამას მოწმობს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2006-2011 წლის მონაცემე-

ბიც, რაც ფრინველის ხორცის იმპორტის და მასზე მოთხოვნის პერმანენტულ ზრდას გვიჩვენებს. საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნა ფრინველის ხორცზე დღესაც იმპორტის ხარჯზე კმაყოფილდება (კახეთის... 2014, 24-25) თუმცა, თუ ფრინველის ხორცის წარმოებაში იმპორტის წილი მაღალია, განსხვავებული მდგომარეობაა კვერცხის სასურსათო ბალანსში, რამაც ქართულ ბაზარზე წამყვანი ნიშა დაიკავა. სპეციალისტების გათვლებით, კახეთს აქვს დიდი პოტენციალი, მიაწოდოს ქათმის ხორცი დედაქალაქს და ქვეყნის მსხვილ ქალაქებს და იმპორტი ნაწილობრივ ჩაანაცვლოს.

დარგის შემდგომი განვითარების და ადგილობრივი წარმოების ქათმის ხორცის გაიაფების მიზნით სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს ადგილობრივი მაღალხარისხიანი, იაფი საკვები პროდუქტების წარმოება, ფერმერების მიერ მარცვლეულის საკუთარი საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობების გამონახვა და ამ კუთხით მათი სტიმულირების ფორმების შემუშავება. ინვენსტიციების მოზიდვა, .თანამედროვე მაღალიტექნოლოგიებით აღჭურვილი საფრინველეების მშენებლობა, სადედე გუნდების შექმნა და მეფრინველეობის ფაბრიკების ადგილობრივი საინკუბაციო კვერცხით მომარაგება, ერთდღიანი წიწილების ადგილზე გამოჩეკისათვის. კვალიფიციური კადრების მომზადება, ვეტერინარულ ღონისძიებათა დროულად და მართებულად ჩატარება.

§ 5. მეფუტკრეობა

> *„თოხი და ბარი ჩვენი თაობის ახალგაზრდებს ყველას ეჯავრება. ფუტკარი შედარებით იოლი საქმეა, თან გრილოში ვზივართ, მაგათ ნაშრომს ვუყურებთ, და შემოსავალი მეტია თოხზე და ბარზე“ (კახელი მეფუტკრე).*

მეფუტკრეობა საქართველოში უძველესი დროიდან არსებობს, სადაც ამ სამეურნეო დარგმა მისი განვითარების საყოველთაოდ მიჩნეული სამივე პერიოდი (ველურ ფუტკარზე ნადირობის, პრიმიტიული მეხეურ-გეჯური, კულტურული) განვლო (ნ. ბრეგაძე, 2016, 187). ამას, არა მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემები, არამედ წერილობითი წყაროები და უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებიც ადასტურებს (თაფლის გამოყენებით დამზადებული უძველესი ფერადი მძივები, III ათასწლეულის ლითონის ნივთები, ნამარხი თაფლის ჭურჭელი, თაფლში შენახული კენკრა და ა.შ.). ალ. რობაქიძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მეფუტკრეობის ინსტიტუტს საქართველოში და იგი დინამიკაში წარმოგვიდგინა. მეცნიერის შეხედულებით, მხოლოდ განვითარებული მეფუტკრეობის პირობებში იყო შესაძლებელი ისეთი დონის მეტალურგიის არსებობა, რითაც უძველესი დროიდანვე სახელგანთქმული იყო საქართველო, ვინაიდან, ცვილი უცილობლად გამოიყენე-

ბოდა ლითონის დნობის პროცესში (რობაქიძე, 1960, 74). ამდენად, მეფუტ-კრეობა საქართველოში, მანამდე თუ არა, მეტალურგიის განვითარების დროიდან მაინც უნდა არსებულიყო. ბოლო პერიოდის არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ეს ვარაუდი არა მარტო დაადასტურა, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თაფლის ასაკი მსოფლიოში აქამდე უძველე-სად მიჩნეულ ტუტანჰამონის სამარხში აღმოჩენილ თაფლზე უფრო ადრინ-დელად წარმოაჩინა (ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეს განათხარი მა-სალა) (მანაგაძე, 2012).

საქართველოს კლიმატურ-გეოგრაფიული მრავალფეროვანება განაპირობებ-და მეფუტკრეობის განვითარების სპეციფიკას ქვეყნის სხვადასხვა კუთხე-ში და, შესაბამისად, ამ სამეურნეო დარგის მეტ-ნაკლებ პოპულარობას; ის განსაზღვრავდა მასთან დაკავშირებული ინვენტარის სპეციფიკას, მათი მოწყობისა და მოხმარების თავისებურებას, თაფლის შემადგენლობას, ფუტკრის პროდუქტის ხარისხს და ა.შ. მაგალითად, აღმოსავლეთ საქარ-თველოს მთიანეთში უმთავრესად ნაკელით შელესილი კოკოზები გამოიყე-ნებოდა, დასავლეთში კი ბუკები და ორნაწილიანი გეჯები (ნ. ბრეგაძე, 2016, 187) და სხვ.

მეფუტკრეობის გაბატონებული ფორმა საქართველოში შინაური მეფუტ-კრეობა იყო, რომელიც გულისხმობდა ხელოვნურ გეჯას და საგანგებოდ გაწყობილ საფუტკრეს. ჩარჩოიანი სკის და ხელოვნური ფიჭის უცხოეთი-დან შემოტანა-დანერგვამ ტრადიციული საფუტკრის გაქრობა გამოიწვია; შედეგად საქართველოში ასეულობით სკის მომცველი მეფუტკრეობის არა-ერთი კერა გაჩნდა (ნ. ბრეგაძე, 2016, 187).

საქართველოში უმეტესად გავრცელებულია ქართული ფუტკარი, რომე-ლიც, როგორც ძველ, ისევე ამჟამინდელ სპეციალურ ურაში კავკასიური რუხი ფუტკრის სახელით მოიხსენიება. მსოფლიოში აღიარებულია მისი დადებითი თვისებები; კავკასიურ რუხ ფუტკარს აქვს გრძელი ხორთუმი და ამიტომ, სხვა ჯიშის ფუტკრებისგან განსხვავებით, უფრო მეტი სახეო-ბის მცენარეებისგან შეუძლია ნექტარის შეგროვება. ის დილით ადრე გა-მოდის სამუშაოდ და საღამოს გვიან ბრუნდება, ენერგიულად მუშაობს ნისლიან და მცირეწვიმიან ამინდში, კარგად არის შეგუებული ღალიანო-ბის დროს მინდორში ღამისთევას. მას შეუძლია გამოფრინდეს დაბალ ტემპერატურაზე ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე. მცირე ღალი-ანობის დროს შეუძლია დააგროვოს სასაქონლო თაფლი და კარგად იცავს თავის ბუდეს. ქართული რუხი ფუტკარი ძალინ ადვილად გადადის სანაყ-რე მდგომარეობიდან მუშა მდგომარეობაში. ის განსაკუთრებით თვინიერია, ბუდის დათვალიერების დროს აგრძელებს მუშაობას და არ გარბის ამო-ღებული ჩარჩოდან. ქართული ფუტკრის ნაკლია დედა ფუტკრის დაბალი კვერცხმდებლობა (დღეში 1800), ქურდობისადმი მიდრეკილება და შედარე-ბით სუსტი ზამთარგამძლეობა. რეგიონული ნიშნის მიხედვით ცნობილია ქართული მთის რუხი ფუტკრის 7 პოპულაცია: მეგრული, აფხაზური, იმე-

რული, ზემო სვანური, ქართლური, კახური და გურული. (http://agrokav-kaz.ge/dargebi/mefutkreoba).

საბჭოთა პერიოდში არსებობდა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო რესპუბლიკური გაერთიანება. ეს იყო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც სათავეებს ჯერ კიდევ 1898 წლიდან იღებს. ის დაარსდა თბილისში მეაბრეშუმეობის სადგურთან ერთად, რომელსაც გამოეყო 1936 წელს და საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მის ბაზაზე შეიქმნა მეფუტკრეობის განყოფილება. 1959 წელს დაარსდა დამოუკიდებელი დაწესებულება მეფუტკრეობის საცდელი სადგურის სახელწოდებით, რომელიც 1976 წლიდან გადაკეთდა საქართველოს მეფუტკრეობის სამეცნიერო-საწარმოო რესპუბლიკურ გაერთიანებად. მას ჰქონდა ფუტკრის მოშენების, დაავადებებთან ბრძოლის, პროდუქტთა ტექნოლოგიის, საკვების ბაზის, ინფორმაციის, ეკონომიკური და საორგანიზაციო განყოფილებები. გაერთიანებას ექვემდებარებოდა რამდენიმე საყრდენი პუნქტი საქართველოს სხვადასხვა რაიონში და, მათ შორის, საგარეჯოში. ამ გაერთიანებამ შემდეგ ინსტიტუტის სტატუსი დაიმსახურა. მან გამოიკვლია ქართული ფუტკრის სხვადასხვა პოპულაციის გეოგრაფიული ასპექტები და შეადგინა რეკომენდაციები საუკეთესო ჯიშთა მოშენებისათვის. აქ რეგულარულად იკვლევდნენ ფუტკრის დაავადებებს, მათ გამომწვევ მიზეზებს და გავრცელების დინამიკას, წარმოებას აძლევდნენ საჭირო რეკომენდაციებს მკურნალობის ღონისძიებათა შესახებ. კავკასიური რუხი ფუტკრის ჯიშის დედა ფუტკარზე მოთხოვნა ყოველთვის დიდი იყო მსოფლიო ბაზარზე. სოხუმში, ხარაგაულში, სამტრედიაში და ყვარელში ინსტიტუტს ჰქონდა ქართული ფუტკრის საჯიშე მეურნეობები, სადაც ხდებოდა სასელექციო დედა ფუტკრების გამოყვანა. მათი პროდუქცია დედა ფუტკრებისა და ამანათნაყრების სახით ათიათასობით იგზავნებოდა, როგორც სსრკ რესპუბლიკებში, ისე მსოფლიოს ყველა კონტინენტის 48 ქვეყანაში. ინსტიტუტს ასევე გააჩნდა ექსპერიმენტული საფუტკრეები – სათაფლე-პროდუქტიული, ძირითადად კახეთში, და სადამტვერვო – ქართლის რაიონებში. იგი საბჭოთა კავშირში თავისი მნიშვნელობით იყო მესამე, რიაზანისა და კიევის ინსტიტუტების შემდეგ. (http://geworld.ge/ge/4450/).

დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მესვეურთ გაცნობიერებული აქვთ, რომ სოფლის მეურნეობის სრულყოფილად განვითარება მეფუტკრეობის დარგის სათანადო დონეზე განვითარებისა და გამოყენების გარეშე შეუძლებელია. მათი შეხედულებით, ფუტკრის უნიკალური თვისებების გამო, მეფუტკრეობას სხვა დარგებთან შედარებით, პრიორიტეტული სიტყვის თქმა შეუძლია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. თაფლის წარმოების ზრდის დიდი პოტენციალის გარდა, ამ დარგის გამოყენება სამკუნალო დანიშნულების პრეპარატების დამზადებისთვისაც მნიშვნელოვანია. ფუტკრის პროდუქტებს (თაფლი, ცვილი, ყვავილის მტვერი, დინდგელი, ფუტკრის სადედე რძე, შხამი) გააჩნია გამოყენების ფართო სპექ-

ტრი სახალხო მეურნეობის ბევრ დარგში, რომელთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდა, პირველ რიგში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაუმჯობესებაში (გაუარაშვილი, 2016).

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ის მხარეა, სადაც მუდამ არსებობდა ხელსაყრელი პირობები მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ამ მხარეში მეფუტკრეობას უძველესი დროიდან მისდევენ, რასაც, უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებს. მაგალითად, 2012 წელს ლაგოდეხში სოფელ ჭაბუკიანთან, ალაზნის ჭალებში ადრებრინჯაოს ხანის ანანაურის ყორღანში აღმოჩენილია ბედენის კულტურის (ძვ.წ. III ათასწლეული) ოქროს ნივთების შემცველი მდიდარი არქეოლოგიურ მასალა, მათ შორის, თაფლით დამუშავებული თავის ქალები, რაც მეცნიერებმა მუმიფიცირების თავისებურ მეთოდად მიიჩნიეს; ნაპოვნია ასევე თაფლში ამოვლებული კენკროვნები: ონტკოფა და კვრინჩხი (ონლაინ არქეოლოგია, 2013, 12-23)

თაფლის სასაქონლო თვისებები და ღირსებები ძირითადად დამოკიდებულია ფლორისა და კლიმატური პირობების თავისებურებაზე. ამდენად, კახეთის მრავალფეროვანი ველური და კულტურული თაფლოვანი მცენარეული საფარი, ტყეებსა და მინდვრებში არსებული მცენარეების ნაირგვაროობა და მათი სეზონური ყვავილობა იძლევა ორგანოლეპტიკური, ფიზიკური და ქიმიური თვისებებით უმაღლესი ხარისხის მრავალი სახის თაფლის წარმოების შესაძლებლობას (ახმეტის..., 2015, 58; კახეთის..., 2014, 26). საბჭოთა პერიოდში კახეთში მეფუტკრეობის დიდი მეურნეობები იყო საგარეჯოში, ყვარელში, სიღნაღში, გურჯაანში, ლაგოდეხში, სადაც ტონობით თაფლს აწარმოებდნენ.

კახეთშიც, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, საბჭოთა სოფლის მეურნეობის სისტემის მასშტაბურმა რღვევამ მისი დარგების დაღმასვლა გამოიწვია. მეფუტკრეობაც ყველაზე უფრო დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა, რადგან მეფუტკრეობის მეურნეობები ფაქტობრივად სრულად განადგურდა; განადგურდა ამ დარგის განვითარებისთვის კახეთში არსებული აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური და სამეცნიერო-კვლევითი ბაზები.

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გლეხს მეურნეობის ახალი ტენდენციების გათავისება გაუჭირდა. ამისთვის მას არც ცოდნა და გამოცდილება, არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არც ფინანსები არ გააჩნდა. ერთეულებმა, რომელთაც იოლად ჩაიგდეს ხელში მეურნეობების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური და სასაქონლო რესურსები, მოახერხეს აეწყოთ ფართო ფერმერული საქმიანობა, თუმცა კახეთში, მეფუტკრეობის მიმართულებით, ამას იმგვარი სახე არ მიუღია, როგორც, მაგალითად, მესაქონლეობისა და მევენახეობის შემთხვევაში და ის, უმეტესად, საოჯახო ბიზნესის მასშტაბებს ვერ გასცდა. აქ არიან როგორც მოყვარული, ისე პროფესიონალი მეფუტკრეებიც. ჩვენთან მეფუტკრე, რომელსაც 10-დან 20 ოჯახამდე ფუტკარი ჰყავს, მოყვარულად ითვლება.

თუ ფუტკრის რაოდენობა ოც ოჯახს აღემატება, მეწარმეს შეუძლია, უკვე პროფესიონალურ მეფუტკრეობაში სერიოზული ნაბიჯი გადადგას (ნატროშვილი, 2011).

დღეს, დასავლეთ საქართველოსთან შედარებით, კახეთის წილი ქართულ მეფუტკრეობაში მცირეა, მაგრამ შეინიშნება ამ დარგის მიმართ ინტერესის მატება და მისი განვითარების მზარდი ტენდენცია. (გაუარაშვილი, 2016). თელაველი მთხრობლის ინფორმაციით: *„სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, კახეთში ფუტკარი ყველასა ყავდა: მამაჩემს, ჩემს ორ ბიძაშვილს, ბიძაშვილისშვილს, ჩემი დის ქმარს, ჩემს მეზობელს... ახლა ისინი აღარ არიან დაიღუპნენ... ისე, დღეს ჩვეთან ბევრია დაინტერესებული მეფუტკრეობით, ადრეც ხო ასე იყო, მაგრამ ახლა უფრო მეტად. ყოველი მე-10, მე-15 ადამიანს, რომელთანაც მე ურთიერთობა მაქვს, უნდა, რომ გაიჩინოს ფუტკარი და ძალიან დაინტერესებულნი არიან. ბევრმა მიჰყო მეფუტკრეობას ხელი. შეიძლება იფიქროთ რომ იოლია. არ არი იოლი, გაზაფხულიდან შემოდგომამდე შრომატევადია, მაგრამ თოხს და ბარს სჯობია, უფრო შემოსავლიანია და ფიზიკურად უფრო ნაკლები შრომაა. ფუტკარს მკურნალობა უნდა, ყოველ 10 დღეში სათითაო სკა უნდა გადასინჯო, რა მდგომარეობაა უნდა იცოდე,... ამიტომ ყურადღების ცენტრში უნდა გყავდეს სულ, ყოველდღე უნდა იმუშაო“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016)*

კახეთში მეფუტკრეობის წამყვანი ზონებია ყვარლის, სიღნაღის და გურჯაანის რაიონები. შესაბამისად, ისინი ამ მხარეში თაფლის მსხვილი მწარმოებლები არიან. თუმცა, ბოლო დროს აშკარად შეიმჩნევა მეურნეობის ამ დარგის მზარდი პოპულარობა კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებშიც. ჩემი მონაცემები ბოლო 2014-2016 წლების ოფიციალურ სტატისტიკას ეყრდნობა, თუმცა, დღეს ის აშკარად შეცვლილია. ამ მონაცემთა თანახმად, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სადაც ბუნებრივი კლიმატური პირობები, ასევე ალაზან-ივრის ველსა და გომბორის მთაზე არსებული მდიდარი მცენარეული საფარი იძლევა მაღალი ხარისხის თაფლის წარმოების გაზრდის შესაძლებლობას, 2015 წლის მდგომარეობით აღირიცხა 5398 ფუტკრის ოჯახი; აქედან 10 და მეტ ფუტკრის ოჯახს ფლობს 117 ფერმერი; თაფლის წარმოება საშუალოდ შეადგენს 53 ტონას. (გურჯაანის..., 2016, 51).

ყვარელში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა შეადგენს 14 790-ს, ხოლო მეფუტკრეობაში დასაქმებულია 140-ფერმერი. მუნიციპალიტეტში იწარმოება 190-200 ტონამდე მაღალხარისხიანი თაფლი, რომლის რეალიზაცია საკმაოდ გაძნელებულია (ყვარლის... 2017, 4). ყვარელში ჩემი რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ყვარლის თაფლის უნიკალურობას: *„გაზაფხულზე ცაცხვის ყვავილობა იწყება და აქ გვყავს მაღლა ფუტკარი – ტყეში. ფუტკარი ამ ღალიანობის პერიოდში გადის დაახლოებით 3 კილომეტრის რადიუსით, და აი იმ შეწამლულ ადგილებისგან ისე შორს არის (საუბარია ვენახის ან სხვა კულტურების შეწამვლაზე - ნ.ჯ.), როცა თაფლი უნდა დააგროვოს, იმდენად ვეღარ ხვდება ამ ტერიტორიებს, რომ ჩვენთან პრაქტიკულად არ იწამლება. რამდენიმე სინჯიც წაიღეს ჩვენგან! ამდენად,*

ვფიქრობთ, რო მართლა ევროპული დონის თაფლი უნდა გვქონდეს. არა.მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენი მეფუტკრეები კეთილსინდისიერები არიან, არა, უბრალოდ, ჩვენი ცაცხვის პლანტაციებია ტყეში, ეს მოცილებულია ყველაფერს და თუ დაიცავენ კიდევ ნორმებს, აი, რაც ანტიბიოტიკებს შეეხება, მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი თაფლი მართლა გავა ევროპაში" (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ძირითადად სამოყვარულო მეფუტკრეობაა განვითარებული. რაიონში მეფუტკრეობის განვითარებაზე და თაფლის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა 2014 წლის გვალვამ, რის შედეგადაც შემცირდა, როგორც ფუტკრის ოჯახების რაოდენობა, ისე თაფლის ხარისხი, ვინაიდან მეფუტკრეებმა ფუტკარი ხელოვნურ კვებაზე გადაიყვანეს (სიღნაღის... 2014, 35).

მეფუტკრეობის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს; ჩვენი ლაგოდეხში მუშაობისას, ადგილობრივმა მთხრებლებმა ხაზი გაუსვეს რაიონში მეფუტკრეობის საუკეთესო პერსპექტივას, ვინაიდან ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ფლორის მრავალფეროვნება უმაღლესი ხარისხის თაფლის წარმოების და მისი ექსპორტზე გატანის საშუალებას იძლევა. აქ აღრიცხულია ფუტკრის 4 420 ოჯახი (ლაგოდეხი..., 2017, 23).

ნატურალურ თაფლზე ფასის მატების გამო ბოლო წლებში ბევრი ფერმერი დაინტერესდა მეფუტკრეობით დედოფლისწყაროშიც. დღეისათვის რაიონში მეფუტკრეობით დაკავებულია 80-90-მდე ფერმერი (დედოფლისწყაროს..., 2017, 31)

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ბოლო 30 წლის განმავლობაში სტაბილურია და მერყეობს 3500-დან 4000 ოჯახამდე. ერთ ოჯახზე საშუალოდ იწარმოება 25 კგ-მდე თაფლი; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის დროს გაჩნდა მოთხოვნილება ფუტკრის შხამზე; საგარეჯოელმა მეფუტკრეებმა დაიწყეს მისი წარმოება, შეიძინეს შესაბამისი მოწყობილობები. ეს საქმიანობა შემდეგ შეწყდა, მაგრამ შხამზე მოთხოვნის გაჩენისთანავე მათ შეუძლიათ განაახლონ მისი წარმოება (საგარეჯოს..., 2017, 39).

გაზრდილია ინტერესი მეფუტკრეობის მიმართ თელავის რაიონშიც. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მატულობს ფუტკრის ოჯახების რაოდენობა; ამ დროისთვის ფუტკრის 10-ზე მეტ ოჯახს ფლობს 100-მდე ფერმერი, რომლებიც წელიწადში 100 ტონაზე მეტ თაფლს აწარმოებენ. (თელავის.., 2016, 38).

კახეთის რეგიონის 2014-2021 წლების განვითარების სტრატეგიის ოფიციალური მონაცემებით ფუტკრის ყველაზე მცირე რაოდენობა ახმეტის მუნიციპალიტეტს ჰყავს. თუმცა, ბოლო სტატისტიკა ამ შეფასების რეალურობას ეჭვქვეშ აყენებს. ახმეტის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია დაახლოებით 6000-მდე ფუტკრის ოჯახი, თაფლის ყოველწლიური წარმოება კი სა-

შუალოდ 100 ტონას შეადგენს; ასევე აქ აწარმოებენ 20-25 კგ ფუტკრის რძეს და 40-50 კგ ყვავილის მტვერს (ახმეტის..., 2015, 57). ყოველივე ეს ახმეტის რაიონში მეურნეობის ამ დარგის მნიშვნელოვან წინსვლაზე მიუთითებს. მუნიციპლიტეტში განვითარებულია, როგორც ინდივიდუალური, ასევე ფერმერული ტიპის მეფუტკრეობა. აქაური თაფლი ძალიან მაღალხარისხოვნად ითვლება, კერძოდ კი თუშეთის თაფლი, რომელიც გამორჩეულია თავისი შემადგენლობითა და თვისებებით. ამ თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მთხრობელი თუშეთიდან: *„აქ ყველაზე უმაღლესი ხარისხის თაფლი იყო და რატომ? იმიტომ კი არ ვამბობ, რომ რომ მე თუში ვარ! 1961 წელს კვლევითმა ინსტიტუტმა ამოიყვანა ფუტკარი, აგერ იქ პირდაპირ რო შენობები ჩანს, იქით მხარეზე დადგა, ვინმე ლეკიშვილი იყო, დოცენტი, კვლევითი ინსტიტუტიდან. აქ ჰყავდა 4 წელი. მეურნეობასაც ჰყავდა ფუტკარი. მერე ამერიკული სიდამპლე გაჩნდა და წაიყვანეს. ამ კაცს ორჯერ ჰქონდა გამოფენაზე გატანილი თაფლი ოდესაში და ორივეჯერ პირველი ადგილი აიღო. ის კი არა და, მეორეჯერ ის ეთქვათ, ამოდენა მიკროელემენტები საიდანო? აქ ძირითადად ბალახოვანიდან შემოაქვს, ბექქონდარას რო ეძახიან, და დეკიდან. აი, დეკას თუ ამინდი შეექმნა, დეკა არის ძალიან თაფლოვანი. ოღონდ ამინდი უნდა იყოს“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

როგორც ცნობილია, თაფლის მოსავალი დიდწილად კლიმატზეა დამოკიდებული; ადგილები, რომელიც მრავალფეროვანი ფლორითა და თბილი კლიმატით ხასიათდება, თაფლის კარგ მოსავალს უზრუნველყოფს. თელაველი მთხრობლის ინფორმაციით: *„ყველაზე უკვეთესი ტერიტორია მეფუტკრეობის განვითარებისთვის არის ადგილები, სადაც გაზაფხული ადრე მოდის და ტემპერატურა მაღალია; ფუტკარს სჭირდება მაღალი ტემპერატურა. კახეთში ასეთი ადგილია ქიზიყში, სიღნაღის რაიონში – სამთაწყარო, ერისიმედი ... ალაზნის პირზე ადრე მოდის გაზაფხული, სითბო მეტია რამდენიმე გრადუსით, ვიდრე სხვა რაიონებში და ამიტომ ის ყველაზე კარგია კახეთში მეფუტკრეობის განვითარებისათვის. და კიდევაც, უფრო მეტად არის განვითარებული; რაოდენობრივადაც უფრო მეტი ფუტკარია სიღნაღის რაიონში, ვიდრე სხვა რაიონებში. იქ ადრე მოდის გაზაფხული, მცენარეები იქ უფრო მალე ყვავდება, იქ სხვადასხვა ყვავილები მოდის, მზესუმზირა, სამყურა ბალახი, იონჯა ... ამიტომ იქ მალე შემოდის ფუტკარი, ადრე ასწრებს განვითარებას და ასწრებს მოსავალს. იქ მაისის თაფლს იღებენ. აქ, თელავში მაისის თაფლს ვერ ვიღებთ, გვიან მოდის გაზაფხული, ფუტკარი გვიან ვითარდება. თელავიც მაღალმთიანი რაიონია, ლაგოდეხიც; დედოფლისწყარო მაღალმთიანი არ არის, მაგრამ მაღალზეა. მე იქით, ქიზიყში დამყავს ფუტკარი. შეიძლება ბუნებამ არ შეგიწყოს ხელი, წვიმები, ქარები იყოს, თუ შეგვიწყო ხელი ქიზიყში 2-ჯერ, 3-ჯერ ვიღებთ მოსავალს“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

ან:

„ღალა იწყება მაისის თვიდან და აგვისტომდეა ძირითადი ღალა, პერიოდულად უნდა ამთაბარო; სამთაწყაროსა და ხორნაბუჯისკენ ადრე მოდის გაზაფხული და ასე ნელ-ნელა აქეთ მოგვყავს, მერე მთაში მიგვყავს; მაისის თაფლი მაშინ არი, თუ მაისში იმუშავებს და თუ კარგი ამინდებია, ანუ, არც გადაბმული წვიმაა და არც გვალვები; კვირაში ერთხელ საკმარისია წვიმა ფუტკრისთვის, ყვავილს სჭირდება. მაისის თვეში რო იმუშავებს, ივნისის დაახლოებით 10-მდე, ავიღებთ მაისის თაფლს, ძირითადში მაისის თვეშია ნამუშევარი. თუ კარგი ამინდებია, თუ ხელშემწყობი პირობებია და, რაც ფუტკარს სჭირდება, ის მეტეოროლოგიური პირობები იქნება, შეიძლება ერთი სკიდან ამოიღო 20-25-30 კილო. 40-კილომდეც შეიძლება, თუ კარგი ამინდებია. იყო ხოლმე შემთხვევა, ერისიმედში, მაგალითად (ხორნაბუჯიდან 17-კილომეტრშია და იქ მყავდა ხოლმე ფუტკარი), დღეში ერთ სკას 5-6 კილო შემოუტანია“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

თაფლის მოსავლის პრობლემა უფრო მწვავედ დგას ახმეტის რაიონში, რომელიც სამივე კლიმატურ-გეოგრაფიულ ზონალობას მოიცავს; თავისთავად, დაბლობ ადგილებში სადაც კლიმატი ზომიერი და თბილია, თაფლის უკეთესი მოსავალი მოდის, მაგრამ მთიან მხარეში, მაგალითად თუშეთში, პირობები ამისთვის ნაკლებად სახარბიელოა სოფ. ქისტაურელი რესპონდენტის თქმით: *„თაფლის მოსავალი თითო ძირიდან სხვადასხვანაირია, გაარჩია სეზონს. შეიძლება ზარალიანიც იყოს წელიწადი, თუ ამინდი არ იქნა. მაგრამ მაინც შემოსავლიანია“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2016).*

ან

„ფუტკარი ხარობს აქ, თუშეთში. მეც მყავდა მაგრამ დათვმა გამინადგურა 38 ოჯახი. მაღალ სოფელში ქარი იცის და ქარიანში ვერა, და დაბლა სოფელში კარგა ხარობს. მაინცდამაინც დიდი მოსავალი არც აქვს ფუტკარს. 6 წელიწადში ერთჯერ არის მართლა კარგი მოსავალი. ძირითადად ამინდის გამო. ფუტკარს მშრალი ამინდი უყვარს. წელს სასტიკი წვიმიანი ამინდები იყო“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015)

ბარისა და მთისწინა ზონის კახელი მეფუტკრეების ნაწილი, რომელთაც გააჩნიათ სკების მოსათავსებელი მისაბმელიანი ტრანსპორტი, ამთაბარებენ ფუტკარს დაწყებული შირაქის ტერიტორიიდან, დამთავრებული მთისწინეთის ტყეებით და ზოგჯერ სუბალპური მდელოებით, სადაც მრავლად არის ღალის მომცემი მცენარეები: *„ღალიანი სეზონი რომ იწყება, საღამოთი, დაბინდებულზე რომ გავიდეთ სიღნაღის რაიონის საგრანსპორტო გზებზე, სადაც ფუტკრის ტრანსპორტირება ხდება, ივნისის თვეში, ვერ დათვლით იმდენი ვაგონია, ვაგონი ვაგონს მისდევს იმდენი ფუტკარი ჰყავთ.“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016)*

სიღნაღელი მეფუტკრის ინფორმაციით: *„ფუტკარი კაბალზე, შირაქში მიგვყავს; ერთი კვირის უკან კაბალზე მყავდა ფუტკარი. მომთაბარეობას ვეწევით, 4-5 ადამიანი ჩემი ასაკისა; ერთად დაგვაქვს ვაგონი, ალაზანზე მიმყავს აკაციის დროს, მერე წითელწყაროში მიმყავს მინდვრის ყვავილებზე,*

მერე კაბალზე, გურგენიანში. აი გურგენიანში წაბლზე და ცაცხვზე მიგვაქვს ხოლმე ძირითადად, და მაღლა მთებში სერებზე ადის ხოლმე; 7 კილომეტრზე გადის ფუტკარი. ერთ კვირაში მაისის თაფლს ამოვიღებ. მე მაისისას და მთლიანი წლისას ერთდროულად ამოვიღებ ხოლმე, ერთმანეთში არის არეული. თუ კარგი მოსავალია, ორჯერაც ვიღებ. ცალკე წაბლის თაფლი არ მაქვს, შერეულია. თამბაქოს თაფლი ლაგოდეხშია, აქ არა. კარგი ამინდები რომ იყოს, კარგი მოსავალი რომ იყოს, ბუნებაში ყვავილი რომ კარგად იყოს, ერთი ვაგონიდან შეიძლება ტონა თაფლი ამოიღოს ერთმა მეფუტკრემ.(ჯალაბაძე, სიღნაღი, 2016)

თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ჩემი რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ რამოდენიმე წლის წინ კახეთში გაჩნდა „ფუტკრის ჭირი“, რამაც რეგიონში დიდი რაოდენობით ფუტკრის გაანადგურება გამოიწვია:

„შემოდგომით აქაც იყო ფუტკრის ჭირი და დაეხოცათ მეტ-ნაკლებად ხალხს ფუტკარი. ზოგს ცოტა დაეხოცა, ზოგს ბევრი. დაავადების ბრალი იყო. რაკი შინაურულად ვლაპარაკობთ, ვიტყვი – პირველ გაზაფხულზე ყველა მეფუტკრე კვებავს ფუტკარს, რომ გაძლიერდეს. ბევრი მეფუტკრე არის, რომ პესოკით კვებავს და არა იმ რაღაცეებით, რომელიც იყიდება. შეიძლება იმ რაღაც საკვებმა იმოქმედა და გაუწყდათ ფუტკარი“ (ჯალაბაძე, სიღნაღი, 2016)

მთხრობელთა ერთი ნაწილის შეხედულებით, ეს დაავადება ფუტკრისთვის დამატებითი ხელოვნური საკვების მიცემის მერე გავრცელდა და თითქოსდა სპეციალურად მოწყობილი იყო, ისევე, როგორც ღორისა და ქათმის ვითომდა ვირუსით გაწყვეტის შემთხვევები.

გურჯაანელი მეფუტკრის ინფორმაციით, ბოლო დროს, გარდა დაავადებებისა, გაჩნდა პესტიციდების საფრთხეც: *„ჯერჯერობით ვუმკლავდებით ამ პესტიციდების შემოტევას, ვერ ვიტყვი რომ საფრთხე არ არის, ნამდვილად არის. ფუტკარი, თითქმის 5 კილომეტრის მანძილზე ყველა ყვავილს ხედავს და სუნს იგებს, ყნოსვის ორგანო ისე აქვს განვითარებული. აქ მეზობელმა რომ შეწამლა ვაზი, ფაქტიურად დიდი საფრთხე იყო. 100 გრამ წამალს ტონა წყალში ხსნიან და შეიძლება ფუტკარი დაზარალებულიყო. ახალი დაავადება ჯერჯერობით არ არის არაფერი. სხვა ქვეყნის ფუტკარი აქ აღარ შემოყავთ. ძირითადად ქართულია. დაავადებები 2006 წელს იყო ძალიან, მსოფლიო პრობლემა იყო და მერე მთელი მსოფლიო ჩაერთო. როგორ ვუმკლავდებით? მომთაბარეობით ვუმკლავდებით, დაცული ტერიტორიებით! მაგალითად, ზიარის ტერიტორია ისე კარგად არის დაცული, შეიძლება დიდი შემოსავალი არა აქვს, მაგრამ თაფლის ხარისხზე რომ ვილაპარაკოთ, ყველაფერი რაც ამ თაფლში არის, არის ყვავილის, მინდვრის ყვავილის და ხის ყვავილისა, სუფთა“ (ჯალაბაძე, გურჯაანი, 2016).*

დღეს კახელი მეფუტკრეები მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე დგანან. მათ სჭირდებათ ფინანსები, რათა შეიძინონ საჭირო ინვენტარი საქმიანობის წარმატებით ასაწყობად, წამლები, რათა თავიდან აიცილონ ფუტკრის

დაავადებები, ტარა, რათა სასაქონლო სახე მისცენ თავიანთ პროდუქციას (შუშის ტარას ქართველი მეფუტკრეები უცხოეთში ყიდულობენ), მოახერხონ მისი რეალიზაცია და ა.შ. გურჯაანელი მეურნის მონათხრობით: *„ვითომ დაიწყეს მეფუტკრეობის წახალისება, მაგრამ არც არაფერია... თაფლის საწური გვინდა, მაგრამ იმხელა ფასები აქვს, არც იშოვება! რაც არის, სულ მოძველებულებია. ევროპაში სულ სხვანაირი სკები აქვთ, ჩარჩოები სხვა სტანდარტისა აქვთ. იქ ყიდვა ძვირი ჯდება. ადრე ვიყავი ელკანაში – ფუტკარზე, ან რეალიზაციაზე, ან რამეზე მომეხმარებით-თქო? – არაო, რეკომენდაციას მოგცემთო; და ცარიელი რეკომენდაცია რად მინდა? მე მინდა, რომ მოყვანაში მომეხმაროს ის ვიღაცა; აი, წამლის შეძენაში მომეხმაროს. ელკანამ მომთხოვა ყოველთვიური 10 ლარიანი გადასახადი. შეხედა ჩემმა ქმარმა. ძაან უნდოდა გაკეთება, და გაანება თავი. 50 ფუტკრის ოჯახზე ვართ ასულები. მთაში გვყავდა, მთისძირში გვყავდა. ჯერ წაყვანაში 150 ლარი მივეცით, ტრაქტორმა უნდა მოიბას და თავისი სპეციფიკა აქვს წაყვანას. 150 ლარი წამოყვანაში მივეცით. 100 ლარი, ინაბოძში გვყავდა ჩაყვანილი, იქ მივეცით; პლიუს, ყარაულს 100 ლარი იქ მივეცით (ჯალაბაძე, გურჯაანი, 2016).*

მეფუტკრეობის დარგის სათანადო დონეზე განვითარებისა და გამოყენების მიზნით 2014 წელს ორგანიზაცია World Vision-ის ინიციატივით კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის ფარგლებში შეიქმნა კახეთის მეფუტკრეთა ასოციაცია, სადაც გაერთიანდნენ მეფუტკრეები თელავის, გურჯაანის და ყვარლის მუნიციპალიტეტებიდან. ორგანიზაციას ამჟამად 54 წევრი ჰყავს და მათი რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ამ ორგანიზაციის მიზანია თავისი წევრი მეფუტრეების უფლებების დაცვა, მეფუტკრეთა თემში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაცვლა და კვალიფიკაციის ამაღლება მეფუტკრეობის შესახებ. ასოციაციამ გადაწყვიტა, ყველა სოფელში შექმნას მეფუტკრეთა კლუბი, სადაც ცოდნისა და ინფორმაციის გაზიარება მოხდება, სადაც ხელი შეეწყობა მის წევრთა განვითარებასა და განათლების დონის ამაღლებას. ასოციაცია განთავსებულია თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულში (http://www.knews.ge). ასოციაციის წევრის ინფორმაციით: *„ასოციაციის წევრები მუშაობენ, რომ სტანდარტებს შეესაბამებოდეს თაფლი; ჩაბარებაში და გაყიდვაში ხელს უწყობენ; თუ არის საშუალება, სკებს აძლევენ. ეს აწყობთ მეფუტკრეებს – თაფლს ყიდიან, ჩვენი სოფლის თაფლს უფრო საქართველოს მასშტაბით ყიდიან. თელავში, იციან რომ სუფთაა ასოციაციის თაფლი. მე თვითონ ვარ ასოციაციის წევრი. ანტიბიოტიკებს არ ვიყენებთ, მაქსიმალურად დაცულია ეს ასოციაციის თაფლი. დაავადების საწინააღმდეოდ ისეთი ცხრილი გვაქვს, რა დროს, რა წამალი უნდა მივცეთ, რომელიც არ შეიცავს ანტიბიოტიკებს. არის საშუალება რომ ანტიბიოტიკების გარეშე მორჩეს ფუტკარი. ვისაც აქვს საშუალება, უმრავლესობას მიჰყავს ფუტკარი. მე სულ 6 სკა მაქვს. არ აქვს მნიშვნელობა რამდენი სკა გყავს ასოციაციის წევრობისთვის. არიან, რომელთაც ჰყავთ 45 სკა, 150 სკა. როგორც კოოპერატივი ისეთი გაერთიანებაა, დაახლოებით. ახლა გაწევრიანება შეზღუდულია“(ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

სხვა მთხრობლის ინფორმაციით: *„ასოციაცია გვეხმარება, გვასწავლიან რომ გავმრავლდეთ და განვავითაროთ დარგი. კახეთის ბევრი სოფლებია გაწევრიანებული, დაახლოებით, შეიძლება 200 კაცამდე იყოს. ჩვენი თაფლი ძირითადად ადგილობრივ, საქართველოს მასშტაბით გადის, მაგრამ გაუყიდავი არავის არ დარჩა, პირიქით დაიტაცეს. მართლა სუფთა თაფლია, პირობებია კარგი. უგემრიელესი თაფლი გამოდის. ასოციაციის წევრებს ის უპირატესობა გვაქვს, რომ სერთიფიკატის აღებაში და ყველაფერში ასოციაცია დაგვეხმარება. მართლა ბევრ რამეში გვეხმარება, შეღავათიან ფასებში გვექნება გადასახადი. ახლა დაბლა (გამგეობის შენობის პირველ სართულზე – ნ. ჯ.) ვაკეთებთ ოთახს ამ ასოციაციისთვის. გამგეობაც დათანხმდა და ხელშეკრულება გააფორმეს. ასოციაცია ჩვენ თვითონ ჩამოვაყალიბეთ. ვორლდვიჟენიც ძალიან გვიდგას მხარში, ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციაა. ბავშვებს ეხმარება ძირითადად. ამ მეფუტკრეობასაც მოკიდეს ხელი. სკები მაგათ დაგვიდგეს. გვინდა საზღვარგარეთ ჩვენ თვითონ გავიტანოთ თაფლი, დიდი რაოდენობით რომ გვექნება და მაღალი ხარისხის! ხომ გითხარით, ანტიბიოტიკებს არ ვიყენებთ. წელს ბევრს დაეხოცა ფუტკარი. ჩვენთან არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. ჩვენ გვითხრა ასოციაციის ხელმძღვანელმა, რომ მე ვარო პასუხისმგებელი და შემოიტანა აბსოლუტურად უვნებელი წამალი“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016)*

კახეთში მეფუტკრეობის განვითარებასთან დაკავშირებით საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით კოოპერატივების თემას, რაც ბოლო დროს ძალზე აქტუალურია ზოგადად ფერმერულ მეურნეობებთან მიმართებაში. კოოპერატივებთან დაკავშერებით რესპონდენტი იხსენებს: *„მინისტრი რო იყო ჩამოსული კოპერატივების საკითხებზე, ძირითადი საკიხი იყო მეფუტკრეობაზე. სხვათაშორის მეფუტკრეებისგან უნდოდათ, რომ გაერთიანება გაეკეთებინათ და მეფუტკრეებს იმათთვის ჩაგვებარებინა იაფად თაფლი. ევრობაზარი გაიხსნა უკვეო, საზღვარზე 300 ტონაზე ნაკლების გატანა არ შეიძლებაო, ვერცერთი მეფუტკრე სამას ტონას როგორ შეაგროვებსო, ამიტომ უნდა გაერთიანდეთო, კოოპერატივები გააკეთოთო, თქვენი მოსავალი ერთად შეკრიბოთო და ჩაგვაბაროთ ჩვენო. ჩვენ უკვე საშუალება გვაქვსო გავიტანოთ ევროპის ბაზარზეო. – და, რა ფასში ჩაიბარებთო? და, 7 ლარშიო. ყველამ უარი უთხრა. ვერ დაგვითანხმა ვერავინ. მისაღები ფასი იქნებოდა ოპტომ 10 ლარი. შევთავაზეთ, მაგრამ არაო. ეს იყო ორი წლის წინ. შემოთავაზებულმა თანხამ ვერ დაგვაკმაყოფილა“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).* ან

„სხვათა შორის, მოვიდნენ სოფლის მეურნეობაში კოოპერატივის წინადადებით, სურვილიც ჰქონდათ, 50 პროცენტით დავაფინანსებთო, მაგრამ 30 პროცენტი უნდა იყოს შენი, და აქაურებს ბევრსა ჰქონდათ სურვილი, მაგრამ იმ შემთხვევაში აქვთ სურვილი თუ მაგალითად მიწას ჩასდებენ. მეფუტკრეობაში არაფერი არ ჩაგვიდია თავიდან, საწევროს ვიხდით 10 ლარს წელიწადში; და ის კოოპერატივები ითხოვენ 30 პროცენტის ჩადებას თანხად და ეს, ხალხს არა აქვთ. გვთავაზობდნენ პირობებს. ჩვენ უკვე

ასოციაციის წევრები ვიყავით, თორემ იმათი პირობებიც მოგვეწონა: იაფ ფასებში სკების შესყიდვას, წამლებით მომარაგებას, გამრავლებას, ბევრ რამეს გვთავაზობდნენ, თაფლის შესყიდვის ფასები არ მოგვეწონა. რვა ლარად შევისყიდითო, გვთავაზობდნენ. კოოპერატივზე ხალხმა თავი შეიკავა, იმიტომ, რომ ამ წუთში გასაღება არავის არ უჭირს. მაგრამ თუ უფლება აღარ იქნება, საბუთი თუ იქნება საჭირო, მაშინ რა ვიცი, ალბათ მაღაზიაში ვერ დააწყობენ და ისე, ოჯახიდან გაყიდიან მაინც" (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

კოოპერატივების მიმართ მოსახლეობაში არის გარკვეული ეჭვები:

„კოოპერატივები არ უნდათ მეფუტკრეებს, თავიანთ ინტერესებს მოგვახვევენ თავზეო. კი, წამლებით, სკებით ეხმარებიან. მე კი მინდა ეგ დახმარება, მაგრამ თაფლს მე 15 ლარად ვყიდი. მერე თაფლს იაფად წაიღებენ. მე თაფლს ძირითადად აქ ვასაღებ, ჩემი კლიენტები მყავს, ზოგს თბილისში მიაქვს, ზოგს გორში. ფუტკარი 4-5 წლის წინ გამიწყდა, მერე ახლიდან დავიწყე მოშენება. ადგილობრივი ქართული ჯიშის ფუტკარი მყავს. აქ მარტო კავკასიური ჯიშის ფუტკარია. ყველაზე კარგი ყოფილა სვანური ფუტკარი. არიან აქ, ნაფარეულში, ვინც სკებს ამრავლებენ. სკა ორასი ლარი ღირს თავის ფუტკრიანად, ერთი ოჯახი. ნახევარი 100 ლარი. ერთბაშად თუ გაიყიდება თაფლი, 10 ლარად იქნებ გვაწყობდეს" (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

მიუხედავად კახელი მეურნეების დიდი ნაწილის კოოპერირებისადმი უნდობლობისა, ამ მხარეში მაინც შეიქმნა მეფუტკრეობის პროფილის რამოდენიმე კოოპერატივი. მაგალითად, 2014 წელს სიღნაღის მუნიპალიტეტში ჩამოყალიბდა კოოპერატივი „თაფლის ცვარი", რომლის 7 წევრიდან 6 ქალია. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შექმნილია მეფუტკრეობის მიმართულების სამი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ესენია: „აპიკორპსი", „მეფუტკრე" და „ნექტარი", ყვარელში მეფუტკრეობის ხუთი კოოპერატივია, რომლებიც მზად არიან აწარმოონ პროდუქცია თანამედროვე ტექნოლოგიებით ევროპული სტანდარტების შესაბამისად (ყვარლის..., 2015, 40).

კახელი ფერმერები ჯერ-ჯერობით ფრთხილობენ და კოოპერაცია/ გაერთიანება თავიანთ ახლობელთან/ ნათესავთან ან სულაც ოჯახის წევრთან ურჩევნიათ, რაც პირველ რიგში ნდობის ფაქტორით არის გამოწვეული.თუმცა ზოგი მეურნე აღიარებს კოოპერირების სიკეთეებს, ისინი მაინც ცდილობენ, კოოპერატივის არეალი ოჯახის წევრებს მიღმა არ გააფართოვონ. ზოგი რესპონდენტი კოოპერირებაში ფალსიფიცირების თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებასაც ხედავს:

„კარგი იქნება კოოპერირება. ამ ეტაპზე შეიძლება სხვანაირად უყურებენ მეფუტკრეები და დრო მოვა და მიხვდებიან, რომ ერთობლივად მუშაობა სჯობია. შვიდი ლარი შესთავაზეს მეფუტკრეს კილო თაფლში, შვიდ ლარად ვერ იმუშავებს. ფალსიფიკატორები არიან გაბატონებულები. მე ვნახე ადამიანი, რომელსაც ჰქონდა ფუტკრის 500 ოჯახი, დაახლოებით 10 ვაგო-

ნი ჰქონდა, ჰქონდა დიდი გეჯები, სანთელი ჰქონდა შემოვლებული რომ წყალი არ დაღვრილიყო, მანქანით მიიტანა წყალი, შაქარი, პატარა დვიჟოკი ჰქონდა, დაქოქა, „კიპიწილნიკები“ ჩაალაგა 200 ლიტრიან ბოჭკებში, გაცხელა წყალი და დაუსხა. აჭამა დიდი რაოდენობით და უდგას მთის ძირში, სადაც არის უამრავი ცაცხვის ყვავილი. ამაში ერთმანეთში ირევა ყვავილის გემო და შაქრის და ვერავინ ვეღარ იგებს. სასწორზე უდგა სკა, დღეში 7-8 კილოს იმატებს. 10 დღეში 80 კილო თაფლს წურავს. ფალსიფიკატორია, ის შვიდ ლარად კი არა 5 ლარადაც გაყიდის, მაგრამ როცა ნატურალურზეა ლაპარაკი, 7 ლარად არ გაყიდის მეფუტკრე, მე რომ ვიყო არ გავყიდი. ვინ აკონტროლებს, სად არის კონტროლი საქართველოში?!“ (ჯალაბაძე, გურჯაანი, 2016).

კოოპერატივის უპირატესობაზე საუბრობს რესპონდენტ ყვარლიდან: „ჩვენ გვინდა ფუტკარი მთლიანად ერთ სისტემაში მოვაქციოთ, კოოპერირება მოვახდინოთ. 4 კოოპერატივი გვაქვს მეფუტკრეობის. დაახლოებით 2000 სკამდე გვაქვს. ჩვენ აგიტაციას ვეწევით, ახლა გვინდა მეხუთე კოოპერატივი შევქმნათ, სადაც ეს ოთხივე გაერთიანდება. აი, ამის მერე შესაძლებლობა იქნება ბაზის შექმნის. მერე სამინისტროში დავაყენებთ საკითხს, რომ საზაფხულოდ გადმოგვეცეს მიწა ან იჯარით მოგვცენ; მერე, იქ პატარა ინფრასტრუქტურას გააკეთებენ ეს მეფუტკრეები. დღეს სადაც ყავთ ფუტკარი ტყეში, გაშლილი ყავთ. რაკი ერთხელ მოიყრიან ერთად თავს, ეს იქნება უკვე რეალური კოოპერატივი; ყველა თავისას კი არ უპატრონებს, არამედ საერთო დაცვა ექნებათ, საერთო მეფუტკრის სახლსაც მოაწყობენ“ (ჯალაბაძე, ყვარელი, 2017).

საქართველოში მესაქონლეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებით დარეგისტრირებული კოოპერატივების სიმრავლემ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს გადააწყვეტინა, მათი სწრაფად განვითარების მიზნით, მეფუტკრეობისა და მერძევეობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. მეფუტკრეობის სახელმწიფო პროგრამის პირველ ეტაპზე 98 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა უკვე მიიღო 7588 სკა. 2016 წლის საინფორმაციო წყაროებში აღნიშული იყო, რომ ამ პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, 51 კოოპერატივს გადაეცემოდა 3 609 სკა, 19 კოოპერატივი მიიღებდა 19 ერთეულ თაფლის საწურს და ჯამურად 41 800 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახ ჭურჭელს. კოოპერატივებს საჭირო ინვენტარის ჯამური ღირებულების მხოლოდ 30%-ის გადახდა მოუწევდათ (გელანტია, 2016). აღნიშნული სახელმწიფო პროგრამის ბენეფიციარები ვალდებული იყვნენ პროგრამის ფარგლებში გადაცემულ სკებში ფუტკრის ოჯახები 2018 წლის 1 იანვრამდე განეთავსებინათ (https://bpn.ge).

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტებს ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი პროფილის ინსტიტუციები. მაგალითად, სათემო განვითარების ცენტრი, ჟეშუვის (პოლონეთი) რეგიონული განვითრების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს პროექტს „სოციალური ეკონომიკა – კახეთის რეგიონის განვითარების შე-

საძლებლობა“. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 9 საინიციატივო ჯგუფმა. კონკურსის შედეგად 9 საინიციატივო ჯგუფიდან შეირჩა 4 ჯგუფი, რომლებიც უკვე დარეგისტრირდნენ როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ამათგან სამი თაფლის და ფუტკრის ფროდუქტის წარმოებით არის დაკავებული. ესენია:

1) კოოპერატივი „თაფლიანი“ (თელავის მუნიციპალიტეტი), რომლის მიზანია თაფლის და თაფლის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.

2) კოოპერატივი „ქიზიყის ნექტარი“ (სიღნაღის მუნიციპალიტეტი), რომლის მიზანია კუპაჟირებული თაფლის წარმოება და რეალიზაცია.

3) კოოპერატივი “მადლიანი ფუქტაკი“ (თელავის მუნიციპალიტეტი), რომლის მიზანია სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალების, ფუტკრის რძის წარმოება.

თითოეული კოოპერატივი დაფინანსდა 23 000 პოლონური ზლოტის (დაახლოებით 13 179 ლარი) ოდენობით. გარდა პირველადი საინვესტიციო გრანტისა, შერჩეული კოოპერატივები ოთხი თვის მანძილზე მიიღებენ 1719 ლარის გარდამავალ დაფინანსებას ინსტიტუციური განვითარებისათვის (http://satemo.ge/ge/home/news/axali-sasoflo-sameurneo-kooperativebi-kaxetis-regions)

მეფუტკრეობის სფეროში საკმაოდ მწვავედ დგას კადრების საკითხი, რაც თაფლის ბიზნესის განვითარებას აფერხებს. მეწარმეებს მეფუტკრეობის დარგში ცვლა არ ჰყავთ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თვითნასწავლი მეფუტკრე პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება. სპეციალური სასწავლებლები, რომლებიც პროფესიონალ მეფუტკრეებს მოამზადებს, საქართველოში აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, აღმოსავლეთ საქართველოში განათლების სამინისტროს მონაწილეობით შექმნილ კაჭრეთის პროფესიული განათლების სასწავლებელ „აისი“-ში არის მეფუტკრეობის სასწავლო პროგრამა, რომელსაც საკმაოდ გამოცდილი ახალგაზრდა მეფუტკრე კურირებს. მასთან ინტერვიუში გაირკვა, რომ სასწავლებელში არის ლაბორატორიის ტიპის კაბინეტი, სადაც ხდება სტუდენტებისთვის თაფლის მიღება-დამუშავების ტექნიკისა და ტექნოლოგიის მოდულური სწავლება. აქვთ საჩვენებელი სკები, სადაც სტუდენტები ფუტკრის მოვლა-პატრონობასთან და მოპყრობასთად დაკავშირებით საჭირო ცოდნას იძენენ. მეფუტკრეობით დაინტერესებული არიან, როგორც ახალგაზრდები, ისე ასაკოვანი ადამიანები, რომლებიც კაჭრეთში სპეციალურად მეფუტკრეობის შესასწავლად ჩამოდიან.

ასევე, ახმეტის რაიონში, ალავერდის მონასტერში ფუნქციონირებს მეფუტკრეობის განვითარების სასწავლო ცენტრი „თაფლიკაცი“, სადაც ხდება მეფუტკრეობის დარგში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლა-გაანალიზება და ადგილობრივ პირობებთან მორგება. სეზონურად ტარდება თეორიულ-პრაქტიკული კურსები მეფუტკრეობის სხვადასხვა მიმართულებით. სასწავლო ცენტრის და საჯარო სკოლების ერთობლივი

მუშაობით გაზრდილია ბავშვების ინტერესი მეფუტკრეობისადმი, რასაც მოწმობს სკოლებიდან ბავშვების ორგანიზებული ვიზიტები ალავერდის მონასტრის საფუტკრე მეურნეობაში. ცენტრი აღჭურვილია ფიჭებიდან თაფლის გამოსაწური, გასაფილტრი და დასაფასოებელი ავტომატური დანადგარებით, ფუტკრის ცვილისაგან ფიჭის ფირფიტების და ფუტკრის საკვები კანდის დასამზადებელი თანამედროვე მოწყობილობებით, რითაც არა მარტო ახმეტის, არამედ სხვა რაიონების მეფუტკრეებიც სარგებლობენ. დიდი ყურადღება ექცევა ფუტკრის რძის, ჭეოს და ყვავილის მტვერის წარმოება-რეალიზაციას. ცალკეულ მეფუტკრეებს გააჩნიათ ფუტკრის კვებისათვის განკუთვნილი ინვერსიული სეროფის დასამზადებელი მოწყობილობა (ახმეტის... 2015, 57-58).

კახეთში მეფუტკრეობა თანდათანობით აგროტურიზმის ერთ-ერთ მიმართულებად ყალიბდება, რაც ტურისტებისათვის ამ სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობის გაცნობას გულისხმობს: სკიდან ფიჭის ამოღება, თაფლის გამოწურვა, ფუტკრის მიერ დამზადებული სხვა პროდუქტების მიღება(დინდგელი, ფუტკრის მტვერი, რძე). აღნიშნული საქმიანობის წარმოება თელავის რაიონში გათვლილია შემდეგ მეფუტკრეობის მეურნეობებში – თეთრწყლებში, ფშაველში, ლაფანყურში, კონდოლში, იყალთოში, რუისპირში და გულგულაში (კახეთის...., 2012, 70).

მეფუტკრე-ფერმერთა გაერთიანებამ მეფუტკრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ეკონომიკურად ეფექტური დარგისა და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე ბიზნესის, განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგია შეიმუშავა. სტრატეგია დარგში არსებული პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. ეს პრობლემები კი დამხმარე ინვენტარისა და მასალების სიძვირეში, ფუტკრის ოჯახების /სკების/ გადასატანი კონტეინერების სიმცირეში და ამორტიზაციაში, თანამედროვე ტექნოლოგიების არცოდნაში და მათი დანერგვის სიძვირეში, დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილებაში, თაფლის ექსპორტის არარსებობაში მდგომარეობს.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ვითარების ანალიზი იძლევა უფლებას ვთქვათ, რომ კახეთში ეს საქმიანობა სოფლის მეურნეობის ეკონომიკურად ეფექტურ და მზარდი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგად ყალიბდება.

§ 6. მეაბრეშუმეობა

საქართველოში მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. ჩვენ ქვეყანაში აბრეშუმის მოყვანასა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადებასთან დაკავშირებულია მრავალსაუკუნოვანი საწარმოო გამოცდილება და შრომითი ჩვევები. ამას მოწმობს: თესლის შერჩევისა და გაღ-

ვიძების განსაზღვრის, აბრეშუმის ჭიის ზრდა-განვითარების ეტაპების ზუსტი დადგენის, მისი მოვლა-პატრონობის, ზრდა-განვითარების სხვადასხვა სტადიის შესაბამისი სათავსოების და მისთვის შესაფერისი მასალის არჩევის, პარკების დახარისხების, აბრეშუმის ჭიის ჯიშების შერჩევის მრავალფეროვანი ხალხური წესები (აბესაძე, 2015, 343).

გავრცელებული შეხედულებით, საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარება ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება, რომელიც თავისი ჯარით სპარსეთის შაჰს ინდოეთში საბრძოლველად ახლდა და იქედან საქართველოში წამოუღია გრენა (V ს.). ქართველ სპეციალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ამ ფაქტზე დაყრდნობით საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების დასაწყისად მეხუთე საუკუნის მიჩნევა არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან: „ქართველებს თუ არ ეცოდინებოდათ გრენის გამოცოცხლებისა და ჭიის კვების ტექნიკა, თუთის ხისა და აბრეშუმის ჭიის მავნებლებისა და მათი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, პარკის პირველადი დამუშვებისა და გადამუშვების ტექნოლოგია, გრენის დამზადების წესები და სხვ., ჩამოტანილი გრენის გამოყენება და მისი ფართოდ გავრცელება საქართველოში შეუძლებელი იქნებოდა“ (ხუციშვილი, 2016).

მით უფრო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნამარხი მასალით ჩვენში აბრეშუმის არსებობა ძირითადად ანტიკურ ეპოქაში დასტურდება; მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი მხარს უჭერს ისტორიულ წყაროთა მონაცემებს, საიდანაც ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში ტანისამოსისთვის სელის, მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილები გამოუყენებიათ. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილის მოხმარებაც. ასეთია მაგალითად, ბაგინეთის სამეფო სარკოფაგში 1946 წელს აღმოჩენილი ახ.წ. II საუკუნის აბრეშუმის ქსოვილი (საქართველოს ისტორია, ტ. 1, 2012, 213-214). თუმცა, როგორც ამავე წყაროდან ვიგებთ, საქართველოში აბრეშუმის ქსოვილი და ნართი სხვა ქვეყნებიდან შემოჰქონდათ. მაგალითად, შემონახულია ცნობა, რომ „პალეკარტად“ წოდებული სამოსისათვის განკუთვნილი ძვირფასი ქსოვილი ანტიოქიიდან შემოუტანიათ (საქართველოს ისტორია, ტ.1, 2012, 215)

ვარაუდი, რომ საქართველოში მეაბრეშუმეობა გავრცელებული უნდა ყოფილიყო ინდოეთიდან, გრენის შემოტანამდე, ანუ მეხუთე საუკუნემდე, და ქართველებმა ამ დარგთან დაკავშირებული ყველა აგრო-ზოოტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესი იცოდნენ, ეყრდნობა ფაქტს, რომ ქართველებს მანამდე უკვე ჰქონდათ აბრეშუმის ნაწარმის აღმნიშვნელი საკუთარი ტერმინები: „ჭიჭნაური//ჭიჭნაუხტი“ (აბრეშუმი), ყაჭი“ (აბრეშუმის ჭია), „ბჟოლა“ (თუთა), „ძაფი“ „ჩიგორგალი“ (ხამი ძაფი), „დარაია“, „სტავრა“ (აბრეშუმის ქსოვილები), და სხვა (ჯავახიშვილი, 1962; აბესაძე, 1970; ხუციშვილი, 2016).

ტერმინი „აბრეშუმი“ სპარსული წარმოშობისაა და ის საქართველოში VI საუკუნიდან მკვიდრდება. მანამდე ქართულ ენაში იყო მისი შესატყვისი-ტერმინი „ჭიჭნაური“. ქართული ტერმინის – „ჭიჭნაურის“ სპარსული „აბრეშუმით“ შეცვლას სავარაუდოდ ის მიზეზი ჰქონდა, რომ საქართველოში მე-5 საუკუნემდე გავრცელებული იყო გაცილებით დაბალი ხარისხის პარკის მომცემი აბრეშუმის ჭია, ვიდრე ინდოეთიდან შემოტანილი. ადვილი შესაძლებელია, რომ იმდროინდელი პარკი იყო ძლიერ თავწაწვეტებული და ამ პარკიდან მისი ჩეჩვა-პენტვით და დართვით ღებულობდნენ აბრეშუმის ნართს ისეთივე ტექნოლოგიური პროცესით, როგორც ინდოეთში. ამიტომ ჭიჭნაურიდან მიღებული ნართი და ქსოვილი უფრო დაბალი ხარისხის იყო, ვიდრე პარკიდან მისი დარღვევის შედეგად მიღებული ხამი ძაფი. სავარაუდოდ, გორგასალმა შემოიტანა ინდოეთიდან აბრეშუმის ისეთი ჯიშის გრენა, რომელიც იძლეოდა შედარებით უკეთესი ფორმის პარკებს და რომლისგანაც ძაფის ამოხვევის ტექნოლოგიური პროცესით შესაძლებელი იყო ხამი ძაფის მიღება მსუბუქი და ხარისხიანი ქსოვილების დასამზადებლად.ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს, და შემდეგაც, სპარსეთის ბაზარზე საქართველოდან გასაყიდად გაჰქონდათ აბრეშუმის პარკი და მისი ნაწარმი. ბუნებრივია, უფრო ძვირად და ადვილად გაიყიდებოდა ის პროდუქცია, რომლის ფერი და ხარისხი უკეთესი აღმოჩნდებოდა. ჭიჭნაური დაბალი ხარისხის ნაწარმს იძლეოდა და მისი გასაღება ხდებოდა შედარებით უფრო ძნელად და იაფად. ამიტომ სავსებით გასაგებია, თუ რატომ გადაწყვიტა ვახტანგ გორგასალმა საქართველოში გაევრცელებინა აბრეშუმის ისეთი ახალი ჯიში, რომლის ნაწარმი ადვილად გასაღდებოდა მაშინდელ სახელგანთქმულ ბაზრებზე (ხუციშვილი, 2016).

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ მეაბრეშუმეობა კარგად მიესადაგა საქართველოს სამეურნეო ყოფას და ჩვენი ისტორიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. იგი ითვლებოდა სტრატეგიულ პროდუქტად და საუკუნეების განმავლობაში უდიდეს როლს ასრულებდა ნატურალური ბოჭკოს წარმოების საქმეში (ნიკოლეიშვილი, 2014, 11).

XII საუკუნეში საქართველოში ინტენსიურად მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. აბრეშუმი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იწარმოებოდა და ქვეყნის გარეთაც გადიოდა საექსპორტოდ. მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებაზე მიანიშნებს საგლეხო გადასახადის – „საყაჭობოს“ (აბრეშუმზე გადასახადი) არსებობა (საქართველოს ისტორია, ტ. 2, 2012, 344)

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე მიუთითებენ უცხოელი მოგზაურები. პლინიუსის ცნობით, რომიდან შორაპანში ყოველწლიურად იგზავნებოდა 100 ათასი სესტერცი აბრეშუმის საყიდლად (ვახუშტი... 1941, 186); არქნჯელო ლამბერტი აღნიშნავს, რომ ოსმალებს მათ მიერ შემოტანილი საქონლის ფასის საკომპენსაციოდ სამეგრელოდან აბრეშუმი გაჰქონდათ.

ისტორიული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ მეაბრეშუმეობა ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთი) იყო დაწინაურებული. ქართლ-კახეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს ძველთაგანვე მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა. მეაბრეშუმეობით ცნობილი რაიონები იყო ყარაიას ველი, დებედის, ხრამის, ბერდუჯის, ბელაქნის-წყლის ხეობები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 277) კახეთში, კერძოდ ელისენში, „სხვაზე უმეტეს აბრეშუმს აკეთებდნენ"; მართალია, კახეთის აბრეშუმი ხარისხით მეტოქეობას ვერ უწევდა შირვანის, შაქისა და გილანის აბრეშუმს, მაგრამ როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კახეთის მეფეები ხშირად აბრეშუმით უხდიდნენ ხარკს დამპყრობლებს და ამ გზით მშვიდობიანობას ინარჩუნებდნენ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 106) საქართველოს სხვა სამეფოებისაგან განსხვავებით კახეთი ასტრახანისაკენ მიმავალ გზებთან უფრო ახლოს იყო. რეგიონი ფართოდ იყო ჩაბმული შაქი-შირვანის მეშვეობით აბრეშუმით საერთაშორისო ვაჭრობაში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 84)

XVI-XVII სს-ის კახეთში მეაბრეშუმეობა ისე ყოფილა განვითარებული, რომ აბრეშუმი ღვინოსთან, ოქროქსოვილებთან და ბედაურებთან ერთად საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვან საგანს შეადგენდა (Бердзенишвили, 1938, 7). კლაპროტს კახეთის სამეფოს შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ აბრეშუმი აქვს დასახელებული (Kalaproth, 1814, 51-52). როგორც მოსე ჯანაშვილი წერს, არჩილიანის თანახმად: ნუხის მაზრის სოფელ განუხში მცხეთის სვეტიცხოველს XI საუკუნეში ჰყვანდა 50 სული გლეხი, ... 1613 წელს აქ მეფე თეიმურაზმა დაურიგა ქართველებს 100 ტყავი, 60 აქლემის საპალნე აბრეშუმი და სხვ. (ჯანაშვილი, 2006, 67).

გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ მეაბრეშუმეობას კახეთში ეწევა ყველა გლეხის ოჯახი და თითოეულ ოჯახში მოყავთ 2–4 ფუთი აბრეშუმის პარკი. დოკუმენტურად დადაასტურებულია, რომ ნაქალაქევის, ტურისციხის, ენისელის, შილდისა და სანავარდოს მცხოვრებნი (191 კომლი), გარდა ხვნა-თესვისა, დოკუმენტის გადმოცემით „ამზადებდნენ აბრეშუმს და მისი ნამატის გაყიდვით ცხოვრობდნენ" (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.V. 1970, 34) მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს კახეთს საშუალოდ მოჰყავდა 1 200 ფუთი აბრეშუმის პარკი. მთლიანად საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდში მეაბრეშუმეობაში დასაქმებული იყო დაახლოებით 200 ათასი ოჯახი და ყოველწლიურად საშუალოდ 350-400 ათას ფუთი (6,0-6,5 ათასი ტონა) პარკს აწარმოებდნენ, რაც დღემდე სარეკორდოდ ითვლება (ნიკოლეიშვილი, 2014,12). ამ პერიოდში მეაბრეშუმეობა საქართველოში მევენახეობასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობის მძლავრ ეკონომიურ ბერკეტს წარმოადგენდა. ამას, სხვათა შორის, ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში შემოსული მტრები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურად დასუსტების მიზნით ვენახთან ერთად ჩეხავდნენ და ანადგურებდნენ თუთის ხეებსაც, როგორც მეაბრეშუმეობის საკვებ ბაზას (ხუ-

ციშვილი, 2016). საქართველოში საფრანგეთიდან ჩამოტანილმა „პებრინით“ დაავადებულმა გრენამ 1864 წელს ქვეყანაში აბრეშუმის ჭიის ამ დაავადების გავრცელება გამოიწვია, რამაც დიდი ზარალი მიაყენა მეაბრეშუმეობას (ხუციშვილი, 2016).

1887 წელს თბილისში დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც იყო ამ დარგის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულება რუსეთის იმპერიაში და მსოფლიოს მასშტაბით დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას გააჩნდა მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სახელგანთქმული დარგობრივი მუზეუმით და იმ დროისათვის უნიკალური სამეცნიერო ბიბლიოთეკით. მოგვიანებით, უკვე საბჭოთა პერიოდში, მას 1930 წელს ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის წარმოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ეწოდა, ხოლო 1954 წლიდან კი იგი შეუერთდა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტს და მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი დაერქვა (შველიძე, 2015).

XX საუკუნის დასაწყისში მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით სწრაფად დაწინაურდა. 1900 წ. თელავში დაარსდა აბრეშუმის ძაფსაღები ქარხანა, რომელიც აწარმოებდა მთელი კახეთის აბრეშუმის პარკის შესყიდვას და ნართად გადამუშავებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მეურნეობის ამ დარგს რუსეთის მრეწველობის სანედლეულო პროფილი მიეცა. ძირითადად მოიპოვებდნენ აბრეშუმის პარკს, რაც რუსეთში ან უცხოეთში გაჰქონდათ, ადგილი ჰქონდა ძაფის ამოხვევასა და გრეხვასაც თუმცა მცირე მასშტაბით; ხოლო ქსოვილების დამზადება, ანუ აბრეშუმის მრეწველობა, საერთოდ არ არსებობდა, გრენაჟი უცხოეთიდან შემოტანილი თესლით მუშაობდა (აბესაძე, 2016, 348).

საბჭოთა პერიოდში საქართველოში მეაბრეშუმეობა ერთ-ერთ განვითარებულ დარგად ითვლებოდა. აბრეშუმის პარკის მოყვანასა და გადამუშავებაში საქართველოს თითქმის ყველა კუთხის მოსახლეობა აქტიურად იყო ჩაბმული. ამ დროს ჩამოყალიბდა ერთი მთლიანი დარგი – აბრეშუმის პარკის წარმოება და აბრეშუმის დამამუშავებელი მრეწველობა. შეიქმნა საკუთარი საგრენაჟო და საფეიქრო წარმოება, მომზადდა აგრონომ-მეაბრეშუმეების, მეთუთეების მრავალრიცხოვანი მაღალკვალიფიცირებული კადრები (აბესაძე, 2016, 348).

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეთუთეობის განვითარებას. 1956 წლის მონაცემებით, თუთის ხის პლანტაციას ეკავა 619 ჰა. ფართობი, ხოლო თუთის ხეების რიცხვი 8 მილიონს შეადგენდა. 1955 წლისათვის აბრეშუმი მოჰყავდა საქართველოს 1369 კოლმეურნეობას. ამავე პერიოდში ჩაეყარა საფუძველი აბრეშუმის საფეიქრო მრეწველობას. თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ბაზაზე გამოყვანილ იქნა თუთის ხის სამრეწველო და აბრეშუმის ჭიის უხვმოსავლიანი ჯიშები. სასელექციო მუშაობის შედეგად კი მიიღეს თუთის აბრეშუმხვევთა უნიკალური ჯიშები, რომლებიც პარკის მაღალი მოსავლიანობით გამოირჩეოდნენ (აბესაძე, 2016, 348).

ისტორიულად აბრეშუმის პარკის წარმოება საქართველოში გლეხური მეურნეობების ჩართულობით ხორციელდებოდა. საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მიერ მოყვანილ პარკს სახელმწიფო იბარებდა და აბრეშუმის გადამამუშავებელ ფაბრიკებში მისგან ძაფს აწარმოებდა. კახეთსა და ქართლში დღესაც ხშირად შეგხვდებათ გზის პირებსა და ბაღებში გაშენებულ თუთის პლანტაციები, რომლის ფოთლითაც აბრეშუმის ჭიას კვებავდნენ. აბრეშუმის ჭიის პარკს სახელმწიფო მოსახლეობისაგან მიზერულ ფასად იბარებდა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, მაშინაც კი ეს დარგი გლეხებისათვის ზაფხულის სეზონზე შემოსავლის მიღების ერთგვარი დამატებითი წყარო იყო. იყო პერიოდი, როცა აბრეშუმის ჭიას სოფლის მოსახლეობაში ძალდატანებითაც კი არიგებდნენ. იმის გამო, რომ აბრეშუმის ჭიის გამოკვება და მისგან პარკის მიღება საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო, ბევრი ამაზე უარს ამბობდა (ვარდოშვილი, 2008).

აღმოსავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის ძირითადი კერა ლაგოდეხის რაიონი იყო, ვინაიდან აბრეშუმის ჭიას მშრალი კლიმატის ატანა უჭირს და შედარებით ნესტიან ადგილებში უკეთ გრძნობს თავს. 1982 წელს ლაგოდეხელმა მეაბრეშუმეებმა 328 ტონაზე მეტი ცოცხალი პარკი აწარმოეს, რომლის საფასურადაც 4,0 მილიონი მანეთი მიიღეს. კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მეაბრეშუმეობა აქ ძალზე პერსპექტიულია. დღესდღეობით, ლაგოდეხში კოოპერატივი „თამარიანი“ ეწევა აბრეშუმის პარკის წარმოებას და გადამუშავებას (ხმობა), თუთის სანერგის მოწყობას და პლანტაციების გაშენებას (ლაგოდეხის... 2017, 22).

საერთოდ, სხვა კუთხეებთან შედარებით, კახეთში დღემდე უფრო მეტად არის შენარჩუნებული თუთის პლანტაციები, და, ამდენად, მეაბრეშუმეობის განვითაებას აქ დიდი პოტენციალი აქვს. ლაგოდეხის გარდა, ამ თვალსაზრისით პერსპექტიულია ახმეტის რაიონიც. მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ახმეტის მუნიციპალიტეტში მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი იყო. 1950-იან წლებში სოფელ ქისტაურში ნოვატორმა მეაბრეშუმეებმა შეიმუშავეს აბრეშუმის მურის ჩქაროსნული გამოკვების მეთოდი, რითაც თითქმის ორჯერ შემცირდა მურის გამოკვების ვადა და გაიზარდა ნედლეულის ხარისხი; ამის გამო მათ დაიმსახურეს სახელმწიფო (სტალინური) პრემიები. თუთის პლანტაციები გაშენებული იყო დაახლოებით 300 ჰა-ზე, ასევე, საკმაო რაოდენობით იყო ერთეული ნარგაობების სახით მოსახლეობაში, რომელიც აბრეშუმის ჭიის მოყვანითა და პარკის ჩაბარებით იღებდა დიდ შემოსავალს. აბრეშუმის ჭიის პარკის წარმოება 2002 წლიდან, ფაქტობრივად, მთალიანად შეწყდა.

რაიონში არსებობდა აბრეშუმის პარკის ჩასაბარებელი 3 პუნქტი: ახმეტაში, ზემო ალვანსა და ზემო ხოდაშენში, სადაც ბარდებოდა დაახლოებით 85 ტონა პარკი. ამ პუნქტებიდან დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ ერთი, სოფელ ზემო ხოდაშენში, რომელიც არის სს „საქაბრეშუმის“ საკუთრება და შეუძლია 10 ტონა პარკის მიღება-გადამუშავება.

ახმეტის მუნიციპალიტეტში წლებია დარგის განვითარებაზე მუშაობს კოოპერატივი „აბრეშუმხვევია“. კოოპერატივის თავმჯდომარეა ნ.ნახუცრიშვილი, რომელიც 50 წელი ახმეტის რაიაბრეშუმში მუშაობდა და დღემდე მატერიალური პასუხისმგებლობის პირად ითვლება, იგი პარკის მიმღები პუნქტისთვის სოფელ ზემო ხოდაშენში არსებული პარკის საშრობი შენობანაგებობის გადაცემას ითხოვს. მისი ინტერვიუდან ირკვევა, რომ: „რაიონში გვქონდა 315 ჰექტარი თუთის პლანტაცია, საიდანაც დღეისათვის შემორჩენილია 50 ჰექტარი, საიდანაც საუკეთესოდ აღრიცხულია 20 ჰექტარი. თუთის ნარგავები თხოულობს გაახალგაზრდავებას, გადაჭრას. 2003 წლიდან არ ყოფილა გამოკვება, რომ გამოყენებულიყო თუთის პლანტაცია. ვითხოვთ, რომ თუთის პლანტაციები გადმოგვეცეს იჯარით. ჯერ ადგილობრივი მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ, შემდეგ კი შეიძლება გატანაზე ვიფიქროთ. ...მთელ კახეთში ეს ერთი შენობაა შენარჩუნებული. ყურადღება რომ მომედუნებინა, ისე განიავდებოდა ქონება, როგორც სხვაგან. შენარჩუნებული მაქვს პარკის მიმღები პუნქტი, რომელიც დაკომპლექტებულია პარკსახმობი აპარატით. დღესვე შეიძლება დამზადდეს ბევრი პარკი, მაგრამ ხარჯებს მოითხოვს ძალიან ბევრს. ჩვენ ვზრდით პარკის ჭიის ჰიბრიდის ჯიშს „მზიური დიდმურთან“. კოოპერატივის წევრებს ჭია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან მოაქვთ, რომელიც მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანია. საუკეთესო ხარისხის პარკს ვიღებთ. ანაზაღაურება ძალიან დაბალია. 15 ლარს ვუხდით 1 კილოგრამ პარკში, მაგრამ იმდენად შრომატევადია, რომ ადგილობრივების ინტერესი ნაკლებია. ჩვენ რომ გვქონდეს დახმარება, პარკიც დიდი რაოდენობით დამზადდება და დარგის განვითარებას შეეწყობოდა ხელი. გასულ წელს გადმოგვცეს ძაფის ამოსახვევი დანადგარი, მაგრამ საქმე უსახსროობის გამო ვერ გავაგრძელეთ. პარკი მოვხარშეთ და ბამბად ვაქციეთ. ამჯერად, 12 ოჯახში გავეცით და ველოდებით მოსავალს. აბრეშუმის პარკზე მოთხოვნა გაჩნდა. მუშაობა დღესვე შეიძლება, მაგრამ თუ დიდი რაოდენობით არ იქნება შეკვეთა, ვერ ჩავრთავთ ამ აპარატს, რადგან ხარჯები დიდია“ (ცისკარაშვილი, 2017).

ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის მუნიციპალიტეტში შემორჩენილია 70 ჰა-მდე თუთის ნარგაობა თითქმის ამორტიზებული და გამეჩხერებული სახით. ამჟამად საპატრიარქოს ხელშეწყობით ყოველწლიურად მოჰყავთ ძალიან მცირე რაოდენობით აბრეშუმის მური, დაახლოებით 400 კგ-მდე აბრეშუმის პარკის წარმოებით. ახმეტელი მეაბრეშუმეები აბრეშუმის მურის გამოკვების ტრადიციულ მეთოდებს იყენებენ. მეაბრეშუმეობის კვლავ განვითარებას ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს (ახმეტის.., 2015, 69-70)

საბჭოთა პერიოდში სიღნაღის რაიონშიც მეარეშუმეობა მაღალ დონეზე იყო განვითარებული. მას ემსახურებოდა 350 ჰა-მდე თუთის პლანტაცია; თუმცა, თუთის ფოთლის არასაკმარისი რაოდენობის გამო, რაიონს უხდებოდა ფოთოლის შესყიდვა და მისი სხვა რაიონებიდან შემოტანა. დღეს მუნიციპალიტეტში თუთის პლანტაცია არ არსებობს და, შესაბამისად, მე-

ურნეობის ეს დარგი ფაქტობრივად გამქრალია. რესპონდენტი იხსენებს: *„აბრეშუმის ჭია მოგვყავდა. დამამზადებელი ქარხანა იყო წნორში, ჩავიტანდით, ვაბარებდით. სახლში ვუვლიდით აბრეშუმის ჭიას“ (ჯალაბაძე, სიღნაღი 2016).*

სპეციალისტების აზრით, მეაბრეშუმეობას სიღნაღში საინვენსტიციო პოტენციალი გააჩნია. სათანადო ინვესტიციების მოზიდვით და სწორი მიდგომით შეიძლება დარგის ისევ აღორძინება,რაც თავის მხრივ გამოიწვევს სიღნაღის მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ხალხური რეწვის ტრადიციების აღდგენას (სიღნაღის..., 2015, 43).

1990-იან წლებამდე მეაბრეშუმეობას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ საქმიანობაში. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს გამოჰყავდა თუთის აბრეშუმხვევია, რომელსაც პარკის სახით აბარებდნენ სარფიან ფასად. გურჯაანის რაიონში არსებობდა თუთის პლანტაციები, რომელიც მოუვლელობის გამო დღეს თითქმის გამქრალია; მაგრამ მუნიციპალიტეტში თუთის აბრეშუმხვევიას გამრავლებისათვის არის საკმაოდ დიდი საკვები ბაზა ეზოებში, ხევის ნაპირებსა და საპლანტაციო გზებთან არსებული თუთის ხეების სახით. ასევე შესაძლებელია ძველად არსებული პლანტაციების ადგილას კვლავ მოხდეს ნარგაობის გაშენება. მუნიციპალიტეტში არიან ადამიანები, რომელთაც დიდი გამოცდილება აქვთ აბრეშუმის პარკის წარმოების საქმეში, ამდენად მეაბრეშუმეობას გურჯაანის რაიონში აღორძინების დიდი პოტენციალი გააჩნია (გურჯაანის..., 2015, 58).

ყვარელში, უდიებით დასახლებულ სოფ. ზინობიანში, საბჭოთა კავშირის არსებობის პირველივე პერიოდიდან, ფუნქციონირებდა რამოდენიმე საწარმო, მათ შორის, სსრკ-ში საკმაოდ მნიშვნელოვანი მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანა.

საველე მასალებით მეაბრეშუმეობას ჯერ-ჯერობით არ უჩანს დიდი პერსპექტივა თელავის რაიონში. თუმცა საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი მეურნეობის ამ დარგს ემსახურებოდა, რასაც საველე მასალაც ადასტურებს. ჩემი რესპონდენტი იხსენებს: *„ყველა ოჯახს, თითქმის ყველა მეორე ოჯახს მოყავდა ხოლმე აბრეშუმის ჭია. ბებიაჩემსაც მოყავდა, მახსოვს, და ვეხმარებოდი ხოლმე. ჩავაბარებდით პარკს და ფული გვრჩებოდა კარგად. აბრეშუმის ძაფსახვევი ქარხანაც აღარ გვაქვს, თელავში იყო ადრე. (ჯალაბაძე, თელავი, 2016)*

იყალთოელი რესპონდენტის გადმოცემით: *„მე კისისხევიდან ვარ. იცით როგორა ვშრომობდი? აბრეშუმის ჭია მოგვყავდა და თითქმის მაგით ვკმაყოფილდებოდით, ისეთი შემოსავალი ჰქონდა. ყველა ოჯახში მოყავდათ, ვისაც უნდოდა. მე ბევრი მომყავდა, 100 კილოგრამიც ამიღია. ხან ბევრი გამოდიოდა, ხან არა. გააჩნია, თუ ფარდულაზე გამიგზავნიდნენ, ნაკლები გამოდიოდა. ფარდულა – დაწუნებული პარკია. ხარისხებზე იყო. თუთის*

ფოთოლს ვყიდულობდით, მაგრამ მოგება მაინც იყო. ლაგოდეხში იდგა თუთები, სოფლებში დავდიოდით, ვყიდულობდით, ვკაფავდით და მოგვქონდა, პლანტაციაცა გვქონდა კოლმეურნეობაში, თუთისა. მანქანა და მგზავრობა კოლმეურნეობისა იყო. აქ კარგად მოდიოდა ჭია. მეტიწილი სოფლელებს ჰყავდა. აბრეშუმის ჭიის გეგმა არ ჰქონდა კოლმეურნეობას. ქალები ჰყავდათ, ჩამოივლიდნენ, მოგვაწერინებდნენ ხელსა და ვის რამდენ გრამი უნდოდა, გვაძლევდნენ. ძნელი მუშაობა უნდოდა ძალიან და ბევრი. მე შვილი მეხმარებოდა. ჩვენი ჯერ კოლმეურენეობა იყო, მერე საბჭოთა მეურნეობა გახდა“ (ჯალაბაძე, თელავი, 2015).

ცნობილია, რომ თელავის ახლო-მახლო სოფლებიდან (და არამარტო) მოსახლეობის დიდი ნაწილი თელავის ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმოებში მუშაობდა, კურდღელაურელი ინფორმანტის თქმით: *„თელავში იყო უზარმაზარი ფაბრიკები – წინდების ფაბრიკა იყო, აბრეშუმის ძაფის სართავსაგრეხი ფაბრიკა, სადაც ათასობით ადამიანები მუშაობდნენ. სამი უზარმაზარი გიგანტი ფაბრიკა იყო საკავშირო დაქვემდებარებისა. ჰექტრობით ადგილი ეკავა თელავში. მეაბრეშუმეობაც იყო განვითარებული. ახლა იმ ქარხნის 5 ჰექტრიანი ტერიტორია არის შემორჩენილი, შენობები გაკერძოვდა. არაფერი აღარ არსებობს იქ. შეიძლება რაღაც თუთის ძირები იყოს შემორჩენილი. იმ პროფილით, რა თქმა უნდა, აღარ იმუშავებს, რითაც თავის დროზე. ჩალის ფასად აქვთ შესყიდული. ფეხი-ფეხზე აქვთ გადადებული, კლიტეები უდევთ და აი, ჩემიაო იძახიან.! (ჯალაბაძე, თელავი,* 2016).

მოსახლეობის ერთი ნაწილი სკეპტიკურად უყურებს მეაბრეშუმეობის მიმართულებით სამეურნეო საქმიანობის წარმართვას, ვინაიდან, გარდა ხარჯებისა, მის აწყობას პატარა დრო არ სჭირდება:

„რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, ჩვენთან არც გამიგია ვისმესთვის შეეთავაზებინოთ. თუ გარანტია არ გაქვს, რომ სამი წლის შემდეგ ნამდვილად განვითარდება მეაბრეშუმეობა და სამი წლის შემდეგ ჩემი დარგული ხე თუთად არ დამრჩება, ადგილს არ დავაკავებ ტყუილა. სიტუაციამ და ცხოვრებამ მოიტანა და ეგრეა. გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გათვალოს იმან, ვისაც 100 გექტარი აქვს“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).

პოსტსაბჭოთა საქართველოში მეაბრეშუმეობა არაპოპულარულ და წამგებიან დარგად იქცა. აბრეშუმის ფაბრიკებიდან აღარაფერი დარჩა, შენობები ამორტიზებულია, ინვენტარი განადგურებული ან ჯართად გაყიდული. ასეა კახეთის რეგიონშიც – აწყობილი სისტემა დაიშალა და მის აღორძინებას დიდი ძალისხმევა და რესურსი სჭირდება. ამიტომაც კახელების ერთი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს სახელმწიფოს მხრიდან მეაბრეშუმეობის აღორძინების მცდელობას: *„კი, მეაბრეშუმეობის განვითარების მცდელობა არის, არის შემოთავაზებები, თუთა გავაშენოთო. ახლა თუთის ნერგები გააშენონ და, სამი წელი უნდა ნერგის გაშენებას, სამი წლის შემდეგ ვითარება შეიცვალოს, ან პოლიტიკა შეიცვალოს, ის აბრეშუმი აღარ უნდოდეთ? ამან თუთა გააშენოს და მერე? არაფრის მომცემი თუთა არ*

არის“ (ჯალაბაძე, გურჯაანი 2016). მეაბრეშუმეობის პერსპექტივა ის არის, რომ აბრეშუმზე დღეს საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. ერთი კილოგრამის ფასი საქართველოში 13 –დან 18 ლარამდე მერყეობს. ჟურნალისტის შეკითხვას, მიუბრუნდებოდა თუ არა ჩვენი მოსახლეობა აბრეშუმის მოყვანას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ა.ღლონტი პასუხობს: *„თუ აბრეშუმის პარკს მისაღები ფასი ექნება, ბევრი მიუბრუნდება. ფერმერები უარს არ იტყვიან აბრეშუმის მოყვანაზე, მაგრამ ამჟამად 1 კგ აბრეშუმის პარკი 10-12 ლარი ღირს, ეს კი მეტად დაბალი ფასია. აბრეშუმის ჭიის მოვლა რთული და შრომატევადი საქმეა. კომუნისტების დროს, მაგალითად, მაღალი ხარისხის პარკი 20-22 მანეთი ღირდა. ფერმერმა ჯერ თუთას უნდა მოუაროს, მერე ფოთოლი დაკრიფოს და აბრეშუმის ჭია გაზარდოს, ორმაგი სამუშაო უნდა შეასრულოს. თუ სხვა კულტურას ნაკლები შრომა დასჭირდება და მაინც მოგცემს 10 ლარს, რატომ იშრომებ აბრეშუმის ჭიის გასაზრდელად, კაკალი, წაბლი, ან თხილი თუ მეტ მოგებას მოგცემს? ნებისმიერი გლეხი ფიქრობს, უღირს თუ არა. ამიტომ მთავარია, რას გადაიხდის გადამმუშავებელი. გლეხს ან ფინანსური დახმარება სჭირდება, ან სხვა სახისა, რომ დაინტერესდეს და აბრეშუმის პარკი აწარმოოს“ (თუთის ჭირი, 2016).*

ბოლო პერიოდში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენის ხელშეწყობა წარმოადგენს. დაწყებულია მეაბრეშუმეობისთვის საკვები ბაზის აღდგენა-შექმნა, რომელიც თუთის ჰიბრიდული ჯიშის ნერგების გაშენება-დარიგებას გულისხმობს. მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ქართველმა ბიზნესმენმა ძმებმა ჩხაიძეებმა უზბეკეთიდან ჩამოტანილი თუთის 100 ათასი ნერგი სახელმწიფოს გადასცეს, რომელიც ბენეფიციარებს უსასყიდლოდ დაურიგდათ თითქმის ყველა რაიონში. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები პროგრამის ბენეფიციარებს თუთის ბაღების გაშენებაში დაეხმარნენ და თუთის მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებების განხორციელებაში უწევენ კონსულტაციებს. ერთ-ერთი ასეთი ბენეფიციარი ჩემი რესპონდენტიც იყო: *„დღეს აქცენტია გადატანილი მეაბრეშუმეობაზე, შემოდის ახლა. თუთა ჩაყარა ჩემმა მეუღლემ 2000 ძირი, სახელმწიფომ უფასოდ მოგვცა ნერგი. მერე, ალბათ მოგვცემენ ჭიას. უკვე ყოფილან, ვინც აწარმოებენ პარკს. უნდათ რომ განვითარდეს“ (ჯალაბაძე, თელავი, 2016).*

კახეთის რეგიონში მეაბრეშუმეობის აღორძინება-განვითარების მიზნით ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ისევე, როგორც მთლიანად საქართველოში. პირველ რიგში უნდა მოხდეს დარგის სუბსიდირება, გაშენდეს თუთის პლანტაციები, რაც გრძელვადიანი პერსპექტივაა.

§ 7. მეთევზეობა

მეთევზეობას ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მართალია, საქართველოში მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გვერდით, მეთევზეობა არასოდეს არ ყოფილა მეურნეობის წამყვანი დარგი (ზღვისპირეთისა და დიდ მდინარეთა შეერთების ადგილების გარდა), მაგრამ ამ საქმიანობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ჰქონდა. მეთევზეობის განვითარებას „საქართველოს ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, ატმოსფერული ნალექი, მდინარეებისა და ტბების სიმარავლე და ზღვის უშუალო სიახლოვე განაპირობებდა“ (მირიანაშვილი, 2016, 196). მეურნეობის ამ დარგისთვის ხელსაყრელი პირობები, ბუნებრივია, უპირველესად ზღვისპირა რეგიონებშია, სადაც თევზჭერას, არა მარტო საოჯახო, არამედ სარეწი მასშტაბები გაჰქონია. ამიტომაც, მეთევზეობასთან დაკავშირებული ინვენტარი უფრო მრავლად არის აღმოჩენილი შავიზღვისპირა დასახლებების არქეოლოგიურ განათხარ მასალაში (ბადეების საქსოვად განკუთვნილი ბრინჯაოს ჩხირები, ნემსკავები, ბადის ნაშთები და სხვ.)

საქართველოში ნეოლითურ ნამოსახლარებზე ბლომად არის ნაპოვნი მეთევზეობასთან დაკავშირებული ისეთი ნივთები, როგორიცაა ბადის საწაფები, ჰარპუნები, ანკესები, სადგისები, ნემს-მახათები, კვირისტავები და სხვ. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 1970, 86). ქსენოფონტე (IV ს. ჩვ. წ. აღ.), შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველ ტომთა სამეურნეო საქმიანობის აღწერისას აღნიშნავს, რომ აქ ხალხი იჭერდა თევზს, ამარილებდა, თევზის ქონს – ზიპს კი ყველაფერში ბლომად ხმარობდა. (ჯავახიშვილი, 1979, 66).

ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს საქართველოს წყლებსა და იქტიოფაუნას: „ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უხმარნი. ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა“ (ვახუშტი... 1941, 70)

მეფის, ეკლესიისა და თავადების მიერ გაცემული სიგელებით დასტურდება, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში სათევზაო ადგილები მეფეებს, ეკლესიას და ცალკეულ თავადებს ეკუთვნოდათ. თევზსაჭერი ადგილები მდინარეებსა თუ ტბებზე მფლობელთა მიერ გაიცემოდა შესყიდვით, გლეხები კი დაჭერილი თევზიდან გარკვეულ გადასახადს ნატურით იხდიდნენ. (ბრეგვაძე, 1971,8). მე-18 საუკუნის პირველ პერიოდში ქართლისა და კახეთის ბაზარზე დიდი რაოდენობით იყიდებოდა ადგილობრივი ნაწარმი, მათ შორის, თევზიც (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, 279).

თევზჭერის ხანგრძლივი ტრადიციის წყალობით ქართველი მეთევზე კარგად ერკვეოდა სხვადასხვა სახეობის თევზის თვისებებში, იცოდა სათევ-

ზაოდ ვარგისი ადგილების ამორჩევა, თევზაობის მეთოდების და სათევზაო იარაღების შერჩევა, მათი გამოყენება. საქართველოში დადასტურებულია თევზსაჭერი მოწყობილობების მრავალი სახეობა, მარტივი ხელაობიდან (ხელით ჭერა) ნემსკავითა და ბადით თევზაობამდე, და კიდევ უფრო რთულ სახეობებამდე (ყინულის მოჭრა, ოჩხე, ნავტიკით თევზაობა). მიმართავდნენ ასევე წყლის დაგუბებას, თევზის ყურეებში შერეკვას, გოდრის ჩადგმას, თევზაობას თულოთი, შუბ-ისრის სროლით, ტოტის მოწყვეტით, წყლის მოწამვლით და ა.შ. თევზსაჭერი იარაღებიდან ყველაზე მეტად გამოიყენებოდა ანკესი და ბადე. ანკესით თევზაობდნენ როგორც დიდ, ისე პატარა წყლებში; ამისდა მიხედვით, მათი ზომები სხვადასხვა იყო. ცნობილი იყო ბადის შემდეგი სახეობები: 1. სასროლი, 2. მოსასმელი, 3. ამოსასობი. თავის მხრივ, არსებობდა ამ ბადეების მრავალსახეობა. მათი მოხმარების წესიც განსხვავებული იყო. ზოგ ბადეს ნავიდან ისროდნენ მდინარეში, ზოგს ნავტიკიდან, ზოგსაც მდინარის ნაპირიდან. ისინი ფორმითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან (მირიანაშვილი, 2016, 202).

ჩვენში ცნობილია თევზაობის სამი ტიპი: 1. ინდივიდუალური, 2. ჯგუფური და 3. მასობრივი (რობაქიძე, 1941, 77). ინდივიდუალური თევზჭერა ძირითადად პატარა მდინარეებზე, ჩქერებზე და ღელეებში ხდება, სადაც ნადირობა კოლექტიურ შრომას არ მოითხოვს. ჯგუფური თევზაობისას კი მეთევზეები თავიანთი ინვენტარით დროებით ერთიანდებიან; რაც შეეხება მასობრივი თევზჭერას, ამ დროს მიმართავენ წყლის დაშრობას, მდინარის მცენარეულით მოწამვლასა თუ ნავებითა და ბადით თევზაობას (მირიანაშვილი, 2016, 200)

კახეთში მუდამ იყო ყველა პირობა მეთევზეობის განვითარებისათვის. ეს კუთხე მდიდარია შიდა წყალსატევებით: მდინარეებით, წყალსაცავებით, ტბებით და ტბორებით. ამას თან ერთვის განშტოებული ჰიდროლოგიური და ირიგაციული ქსელი, მრავალფეროვანი რელიეფი და კლიმატური ზონები. კახეთის რეგიონში ძირითადად თევზჭერა ოჯახური მოხმარებისთვის ხდებოდა, ამიტომ ის ხშირად ინდივიდუალურ, ან ჯგუფურ სახეს ატარებდა. საბჭოთა პერიოდში აქ იყო ხელოვნური თევზსაშენები, მაგალითად სიღნაღში, წნორში, სადაც აშენებდნენ აფრიკულ ლოქოს და საკალმახე მეურნეობა ლაგოდეხში. სათევზე მეურნეობები აქ დღესაც ფუნქციონირებს.

ამ ბოლო წლებში თევზის მოშენება კახეთის მხარეში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ კახეთის სხვადასხვა რაიონში მეთევზეობა არაერთგვაროვნად ვითარდება. კახეთის გეოგრაფიული და კლიმატური ზონების შესაბამისად, გვხვდება როგორც მთის ზონის ცივი წყლის, ისე დაბლობი ზონის თბილი წყლის ტიპის მეთევზეობა. უმეტესია სატბორე მეურნეობები, სადაც აშენებენ სწრაფმზარდი თევზის ჯიშებსა და სახეობებს. თბილი წყლის რეჟიმის მეურნეობებში ძირითადად ზრდიან: კობრს, ჩვეულებრივ და ჭრელ სქელშუბლას, თეთრ ამურს. (ლაგოდეხის... 2017, 29).

საქართველოში რომ თევზს ხელოვნულად აშენებდნენ, ამის დასტურია ფეოდალურ საქართველოში ხელოვნური არხი ქციიდან ტბის ყურეში, რომელიც ამ მიზანს ემსახურებოდა (მირიანაშვილი, 2016, 198). სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ, თუმცა ისტორიულ წყაროებში ამომწურავად არ არის ნახსენები ჩვენში ტბორებში თევზის ხელოვნურად მოშენების საკითხები, სატბორე მეურნეობის წარმართვის ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ ტბორის გარშემო თუთის ხეების გაშენება, ქართულ მეთოდად არის აღიარებული (ობოლაძე, 2016, 7)

ზოგადად, სატბორე მეურნეობას გააჩნია ექსტენსიური, ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური ფორმები. ექსტენსიური მეურნეობის შემთხვევაში თევზის გამოზრდა ტბორში არსებული ბუნებრივი საკვები რესურსებით ხდება. პროდუქციის წარმოების გადიდება შესაძლებელია სატბორე ფართობის გადიდებით. ნახევრად ინტენსიურ მეურნეობაში თევზს პერიოდულად ეძლევა დამატებითი საკვები, რაც ზრდის თევზის პროდუქტიულობას, ხოლო ინტენსიური მეურნეობის ფორმის შემთხვევაში, სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე თევზს მუდმივად ეძლევა საკვები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იზრდება თევზპროდუქტიულობა. (მეთევზეობა და მეთევზეობის..., 2015).

საკალმახე მეურნეობის განვითარება მთის ზონის ცივი წყლის გარემოში ხდება. დღეს კახეთში უმთავრესად ზრდიან ადგილობრივ და ცისარტყელა კალმახს. ცისარტყელა კალმახი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამერიკიდან გავრცელდა. საქართველოში კი ის XX საუკუნის შუა წლებში რუსეთიდან შემოიყვანეს. ცისარტყელა კალმახი, ადგილობრივ წითელკოპლებიან, ან ნაკადულის კალმახთან შედარებით, სწრაფად იზრდება და ხასიათდება გარემო პირობებისადმი კარგი შეგუების უნარით. ის ადვილი მოსამრავლებელია და ამიტომ, სამეურნეო თვალსაზრისით, მეტად ხელსაყრელია. მისი საგემოვნო თვისებები ძირითადად წყალზეა დამოკიდებული. რაც უფრო მაღალი ხარისხისაა წყალი და დაცულია პირობები, მით უფრო გემრიელია კალმახი.

ცისარტყელა კალმახის მოშენებისთვის ოპტიმალური ტემპერატურა 15,5 გრადუსია. წყლის ტემპერატურამ დიდი ხნით არ უნდა გადააჭარბოს 20 გრადუსს. 22 გრადუსის ზემოთ კალმახი აღარ ჭამს, ხოლო 25 გრადუსი კი მისთვის უკვე კრიტიკულია. წყალი არ უნდა იყოს ძალიან ცივი, რადგან ცივ წყალში ცისარტყელა კალმახი ნელა იზრდება, ეს კი, ბუნებრივია, მეურნეს ხელს არ აძლევს. კახეთის რიგ რაიონებში არსებული პირობები ზედგამოჭრილია კალმახის გამოზრდისთვის (წყლის რაოდენობა და ხარისხი, მისი სისუფთავე, ჟანგბადის მაღალი შემცველობა, წყლის ტემპერატურა [+3ც – +20ც] და სხვ.). მიღებული პროდუქციის რეალიზაციას ფერმერები ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ახდენენ (http://kalmaxi.ge; ttps://inadire.ge/)

როგორც ითქვა, კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მეთევზეობის კუთხით არაერთგვაროვანი ვითარებაა. დედოფლისწყაროს რაიონში 2014

წლისთვის სატბორე მეურნეობების მინიმალური რაოდენობა იყო აღრიცხული. დაახლოებით მსგავსი ვითარება ახმეტის რაიონშიც. აქ ოფიციალურად რეგისტრირებულია კოოპერატივი „მოდი მნახე“, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანი თევზის მოშენებაა. თუმცა, ბოლო პერიოდის მონაცემებით, ახმეტის რაიონში მეთევზეობა თანდათან აღორძინდა. ახმეტაში 1 საკალმახე მეურნეობაა, 13 სატბორე, რაც დაახლოებით 21 ტონა პროდუქციას აწარმოებს წელიწადში (ახმეტის... 2015, 26). ახმეტელი რესპონდენტის ინფორმაციით: *„ალაზანზე 74 ჰექტარი ტბორია გაკეთებული – ალვანელებისაა, კერძო პირისაა, თევზია გაშენებული. ახლა ნაკვეთები იყიდეს ალაზნის პირზე კერძო პირებმა, 5-6 წელი იქნება, და ტბორი გააკეთეს“ (ჯალაბაძე, ახმეტა, 2015).*

დღეს სიღნაღის მუნიციპალიტეტში სატბორე მეურნეობების რაოდენობა 39-მდეა გაზრდილი, ხოლო მათი საერთო ფართი 1127 ჰექტარია. სატბორე მეურნეობებია ტიბაანში, მაჩხაანში, წნორში, საქობოში, ჯუგაანში, ბოდბისხევში, ანაგაში და სხვ. აქ აშენებენ ბრტყელშუბლას, კობრს და ამურს. წნორში ფუნქციონირებს აფრიკული ლოქოს ფერმა.

სოფელ ანაგასთან ალაზნისპირას გაშენებულია ტბორი, სადაც გაშვებული ჰყავთ სწრაფმზარდი თევზის ჯიშები – კობრი, ბრტყელშუბლა და ამური. *„ლიფსიტა შემოვიყვანეთ და ვზრდით. დაახლოებით 2 წელი სჭირდება, რომ თევზმა მიაღწიოს სასურველ ზომას. ერთ წელში თევზი 700-დან 1.500 გრამამდე აღწევს. მეორე წელს უკვე კარგებია გასაყიდად. ჩვენ გვყავს ჩვენი კლიენტები. ჩემი ტელეფონი აქვთ, დარეკავენ-დაურეკავ და შევთანხმდებით. მერე თევზს რო ამოვიყვანთ, მაგათ იციან როდის, და ჩამოდიან და მიყავთ. ჩვენგან თევზს ვინც ყიდულობს, იმას შიდა ბაზარზე გააქვს მერე. 1 კგ ბრტყელშუბლას ფასი 6 ლარია, ამურისა და კობრის -8-9 ლარი“ (ჯალაბაძე, სიღნაღი, 2015).*

თევზის მოშენების მიმართულებით პროგრესი შეინიშნება თელავის მუნიციპალიტეტშიც, სადაც 23 ტბორული თევზმეურნეობა მოქმედებს. აქ აშენებენ სწრაფმზარდი თევზის სახეობებსა და ჯიშებს. მოცემული ფართობის თითქმის 70% მდებარეობს კონდოლის და კურდღელაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში. აღნიშნული მეურნეობები თბილი წყლის ტიპისაა და ხდება შესაბამისი ჯიშების (კობრი, ბრტყელშუბლა, ამური) გამოზრდა. (თელავის..., 2016, 38). რესპონდენტთა ცნობით: *„თელავში მეთევზეობაც განვითარდა, კობრს და თეთრას აშენებენ. თევზის რეალიზაცია ადგილზეც ხდება და თელავის ბაზარზეც მიაქვთ. ჩვენს სოფელში საკმაოდ ბევრს აქვთ ტბორები – ალაზნის მხარეს საგუბრებით. თევზი ჰყავთ გაშენებული. ესენი კერძოა და რეალიზაციასაც თვითონ უკეთებენ (ჯალაბაძე, თელავი, 2016)*

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2017 წლისთვის მოქმედებდა 16 სატბორე და 3 საკალმახე; აქ საშუალო წლიური ბრუნვა სატბორეებში 159 ტონას, ხოლო საკალმახეებში 15 ტონა თევზს შეადგენს. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ტბორები წყლით უზრუნველყოფის გამო განლაგებულია ალაზნის

ქვემო სარწყავ არხსა და მდ.ალაზანს შორის. ჰიდროგრაფიული ქსელის სიმცირის გამო მუნიციპალიტეტში გართულებულია საკალმახე მეურნეობების მოწყობა და კალმახის დიდი რაოდენობით წარმოება (გურჯაანის... 2016, 51) გურჯაანში სანიმუშოა ხ. მჭედლიშვილის სატბორე მეურნეობა. მჭდლიშვილის მეურნეობა გამორჩეულია იმით, რომ მისი ფერმა კომპლექსური ხაასიათისაა. აქ წარმოდგენილია მეურნეობის ყველა დარგი. მას ჰყავს ფრინველიც, მსხვილფეხა საქონელიც, ცხვარიც, ღორიც, თევზიც, მოჰყავს მარცვლეული კულტურები და გააჩნია რესტორანი, სადაც საკუთარ პროდუქციას მოიხმარს. ასევე საკუთარი პროდუქტით კვებავს ტბორის თევზს.

ყვარლის მუნიციპალიტეტშიც უკანასკნელ პერიოდში წარმატებით მიმდინარეობს სატბორე და საკალმახე მეურნეობების განვითარება. 2013 წლამდე 25 სატბორე მეურნეობიდან მხოლოდ სამი იყო მოქმედი, ხოლო საკალმახე არ არსებობდა. 2013-2016 წლებში ამოქმედდა და გაკეთდა ძველი და ახალი ტბორები. 31 ტბორიდან ამოქმედდა 18 სატბორე და 3 საკალმახე მეურნეობა. მეთევზეობაში 35 ფერმერია დაკავებული. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებიდან ორის – კირკიტიანისა და იმედის საქმიანობის საგანი, სხვასთან ერთად, სატბორე მეურნეობა და მეთევზეობაცაა. (ყვარლის... 2015, 7, 4-5) საკალმახე მეურნეობის მიმართულებით შექმნილია ერთი კოოპერატივი.

სატბორე-საკალმახე მეურნეობების განვითარება ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად ითვლება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. მდ. ალაზნის ჰიდროგრაფიული ქსელი ჟანგბადით მდიდარი ზედაპირული წყლებით კარგ პირობას უქმნის ამ დარგს. აქ განვითარებულია როგორც მთის ზონის ცივი წყლის, ისე დაბლობი ზონის თბილის წყლის ტიპის მეთევზეობა. ლაგოდეხის ცივი წლის ტიპის სატბორე მეურნეობებში კარგი პირობებია ადგილობრივი და ცისარტყელა კალმახის გამოსაზრდელად. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ლაგოდეხის რაიონში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ლაგოდეხის საკალმახე მეურნეობა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა. ლაგოდეხის რაიონის სატბორე მეურნეობებში ძირითადად ზრდიან კობრს, ჩვეულებრივ და ჭრელ სქელშუბლას, თეთრ ამურს და სხვ., ხოლო ამ საქმიანობით 30-მდე ფერმერია დაკავებული. რაიონში გვხვდება ექსტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის მეურნეობები. (ლაგოდეხის..., 2017, 29-32). დღეს ლაგოდეხში სატბორე-საკალმახე მეურნეობა მხოლოდ ინტენსიური ფორმისაა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვების სწორ ორგანიზაციას. მეთეზეობის მიმართულებით ლაგოდეხში აღრიცხულია ერთი კოოპერატივი – „ხეჩილი“.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მეთევზეობის განვითარებისთვის საკმარისი რესურსები არსებობს. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია 13 ტბორი. მოქმედ სატბორე მეურნობებში წინა წლებში მოჰყავდათ სარკისებრი კობრი, სქელშუბლა და ამური, 2000-იანი წლების დასაწყისში ხაშმის ტერიტორიაზე ინვენსტორმა დაიწყო ზუთხის მოშენება, რომელიც დროებით

შეჩერებული იყო; 2015 წლის ბოლოსთვის მან განაახლა ფუნქციონირება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამი სატბორე მეურნეობა. აქ ფუნქციონირებდა კოოპერატივი „ნიულეიქი“, რომლის საქმიანობაში შედიოდა თევზის წარმოება, რეალიზაცია, თუმცა 2017 წელს მას სტატუსი შეუწყდა.

როგორც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების დოკუმენტში არის აღნიშნული, მეთევზეობის განვითარებისათვის აქ შესაძლებელია გაკეთდეს თევზის ქვირითის ხელოვნურად მიმღები ინკუბატორები, სადაც ნებისმიერი რაოდენობის თევზის ქვირითს მიიღებენ სხვადასხვა ჯიშების მიხედვით. ხელშეწყობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება კალმახის, ლოქოს, ზუთხის და კიბორჩხალის ლიფსიტების მოშენება და წარმოება. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ახლომდებარეა ქ.თბილისთან, ამიტომ, თევზის რეალიზაცია არ გაჭირდება (საგარეჯოს..., 2017, 40).

კახეთში მეთევზეები თევზის ჭერისთვის აქტიურად იყენებენ მდინარე ალაზანს, სადაც ნებადართულია სპორტული და სამოყვარულო თევზაობა პირადი მოხმარებისთვის. თევზაობასთან, კერძოდ ბრაკონიერობასთან, დაკავშირებით საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს რესპონდენტებმა, რაც ამ თემისადმი მიძღვნილ ინტერნეტ-ფორუმებშიც გვხვდება. საქმე ეხება დენით და დინამიტით „თევზაობას, რასაც ამ რამოდენიმე წლის წინ ძალიან ინტენსიური სახე ჰქონდა ალაზანზე, როგორც ამბობენ, „დენის აპარატის მოტარება“ ჩვეულებრივი ამბავი იყო: *„ალაზანზე სამჯერ ვიყავი სათევზაოდ და გულდაწყვეტილი დავრჩი იქური განუკითხაობით. ვისაც არ ეზარება, დენით ან დინამიტით ანადგურებს თევზს. იმედია წელს მაინც დაიჭერენ ერთი–ორს, რომ სხვებმაც ველარ გაბედონ. ალაზანს იმხელა პოტენციალი აქვს (ისევე, როგორც ამ დალოცვილ მტკვარს), რომ მალევე გაივსება თევზით....ვერ გეტყვით რამდენად მართალია, მაგრამ მე ის მაქვს გაგებული, რომ აზერებს დენით ქონდათ დაკეტილი გარკვეული მონაკვეთი, თევზი რომ არ ამოსულიყო, და ეს სრულიად რეალურია... ამბობენ, დენს უშვებენ დაბალი ინტენსივობით, რაც ერთგვარ „ბადეს“ ქმნის, თევზს მხოლოდ აშინებს, ისე არაფერს ვნებს და იმის იქით არ გადის“* (მასალა აღებულია 2014 წლის ფორუმიდან https://sportfishing.ge/forum/index.php)

ტრადიციულად საქართველოში ცნობილი იყო თევზჭერა მცენარეთა წვენით წყლის მოწამვლით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თევზი არ იღუპებოდა. მაგალითად, როგორც ქ. მირიანაშვილთან ვკითხულობთ, უწინ რიონის ხეობის სოფლებში ხდებოდა წყლის მოწამვლა წყავის ნეშოთი, ნიგვზის ჟეპალოთი//ნაჭით, თხემლის ფოთლით, ლეშქით//შქერით, დაფნის ღერით, თამბაქოს წვენით, დიყა ბალახით, წალიკათი, არყა სოკოთი და ჭანჭყაპურათი. აღნიშნული მცენარეები მწარეა და მათი წვენი თევზებს თვალებს უწვავდა. მდინარეში მომწამლავი მცენარეები დანაყილი უნდა ჩაეყარათ. მომწამვლელ მცენარეებს მდინარის პირას ეზიდებოდნენ და ქვით ნაყავდნენ, გამოყოფილ წვენს კი მდინარეში ასხამდნენ. მცენარის წვენი თევ-

ზებს დროებით აბრუებდა და როდესაც წყალს ახალი ტალღა გადაუვლიდა, ცოცხლდებოდნენ. ამიტომ საჭირო იყო გაბრუებული თევზების წყლიდან სწრაფად ამოკრეფა, რაც ხელით ან ხელბადით ხდებოდა. მდინარის მოწამვლით თევზაობისას ხშირად მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. (მირიანაშვილი, 2016, 200). თანამედროვე პერიოდში კახეთში თევზაობის ამ ხერხის გამოყენების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს სათანადო ორგანოებმა კონტროლი გაამკაცრეს და დენით და დინამიტით ბრაკონიერების შემთხვევებმა იკლო.

მოყვარული მეთევზეებისათვის ვაშლოვანის ნაკრძალის ტერიტორიაზე, მიჯნის ყურეში, დედოფლისწყაროდან 80 კილომეტრში, იქ, სადაც ალაზანი ტოვებს საქართველოს, დგას კეთილმოწყობილი ორადგილიანი კოტეჯები ტურისტებისთვის, მათთვის, ვისაც ალაზანზე თევზაობა სურს. კოტეჯში ღამის გათევა 30 ლარი ღირს, თევზაობა კი უფასოა; მართალია, ალაზანზე იმ ადგილებში ლოქოს გარდა არის სხვა თევზებიც (შამაია, ჭანარი, მურწა და სხვ.), მაგრამ მეთევზეების სამიზნე მაინც ალაზნის ლოქოა.

კახეთში მოყვარულმა მეთევზეებმა კარგად იციან, რომ დიდი თევზის დაჭერა ალაზანში უფრო ქვედა წელშია შესაძლებელი, გურჯაანის შემდეგ, უფრო წნორიდან, ხოლო საუკეთესო ადგილად „მიჯნის ყურე“ და „მილარი“ ითვლება. თუმცა „საუცხოოა ასევე მონაკვეთი ველისციხიდან ყვარლისკენ, სადაც თითქმის ყოველ 100 მეტრშია ჩქერიც და დავარდნილი ადგილიც, ჩამოშლილი ნაპირებიც და მორევებიც...*როდესაც გაზაფხულზე ალაზანი ადიდდება, სწორედ ამ დროს მოჰყვება ალაზანს დიდი ზომის თევზები –კაპარჭინა (ლეშა), ლოქო, სახანი, ჭანარი, ხანდახან ფარგაც. ეს მოვლენა ხდება უფრო გაზაფხულ-შემოდგომის დიდი და ხანგრძლივი წვიმების დროს, უფრო გაზაფხულობით, როდესაც მთებში თოვლის დნობას თან ერთვის უხვი ნალექი*“ (https://sportfishing.ge/forum/index.php).

აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების შექმნის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე უკანონო თევზჭერის მხოლოდ ერთეული ფაქტებია დაფიქსირებული.

სატბორე მეურნეობით დასაქმებული ფერმერები დაინტერესებულები არიან წარმოების გაზრდით, თუმცა მათთვის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორია საქართველოში თევზის სპეციალური საკვების არქონა. აკვაკულტურით დაკავებული ფერმერები ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილ საკვებს ხმარობენ. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვნად იზრდება თევზის ერთეული კილოგრამის წარმოებაზე გაწეული ხარჯი, რაც შემდგომში გასაყიდ ფასზეც აისახება. აქედან გამომდინარე, ადგილობრივად წარმოებულ თევზს უჭირს კონკურენციის გაწევა იმპორტირებულ თევზთან.

არის სხვადასხვა რიგის პრობლემები, რაც კახელი მეთევზეების წინაშე დგას და რომელთა გადაჭრაც დარგის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის, პირველ რიგში, დაფინანსების არქონა, თევზის

უხარისხო საკვები, თანამედროვე ტექნოლოგიების და სამაცივრე მეურნეობების არქონა, უხარისხო ლიფსიტები. ჩვენთან ქვირითის წარმოება არ არის განვითარებული, ლიფსიტები ძირითადად შემოჰყავთ მეზობელი ქვეყნებიდან, რაც დაავადებების შემოტანისა და გავრცელების რისკს ზრდის.

მართალია, ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ფერმერთა ძალისხმევით მეთევზეობა განვითარების გზას დაადგა, მაინც მცირეა სპეციალისტების რიცხვი და დაბალია მათი კვალიფიკაციის დონე, სუსტად არის განვითარებული ლაბორატორიული კვლევები.

2016 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აკვაკულტურის დარგის განვითარების ხელშეწყობის პროექტი დაიწყო, რომლის მიზანია თევზის იმპორტირებული პროდუქციის ადგილობრივით ჩანაცვლება. სამინისტროს ცნობით, საქართველოში აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაგეგმილია შპს „საქართველოს მელიორაციის“ ბალანსზე არსებული ტბორები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო–კვლევით ცენტრს გადაეცეს. მეცნიერები საგარეჯოსა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში არსებულ ბუნებრივ და ხელოვნურულ წყალსატევებში არსებულ თევზის მარაგებს შეისწავლიან, ტბორებში თევზის წარმოების განვითარებისთვის საჭირო სამეცნიერო კვლევები და სასელექციო–საჯიშე სახეობების გამოყვანა მოხდება, რაც ფერმერებსა და მეწარმეებისთვის თევზის ახალ სახეობებზე და მაღალხარისხიან ლიფსიტაზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

წყალსატევებში განხორციელებული კვლევების შედეგების მიხედვით, არსებული მდგომარეობის და საჭიროებების გათვალისწინებით, სპეციალისტები ქართველ ფერმერებს და თევზის მწარმოებლებს თანამედროვე ტექნოლგიების გაცნობასა და დანერგვაში დაეხმარებიან.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ. მეაბრეშუმეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თბილისი, 1957.
2. აბესაძე ნ. მეფრინველეობა საქართველოში, წიგნში ქართველები, თბილისი, 2016.
3. ახალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები კახეთის რეგიონში http://satemo.ge/ge/home/news/axali-sasoflo-sameurneo-kooperativebi-kaxetis-regions
4. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, ახმეტა, 2015, (ხელნაწერის უფლებით).
5. ბეღელური გ., ფოცხვერია შ. ცხვრის მოვლა-შენახვა, მეცხვარე ფერმერის სახელმძღვანელო .http://agrokavkaz.ge/dargebi/mecxoveleoba/tskhvari-tsk

hvris-movla-shenakhva-metskhvare-phermeris-sakhelmdzghvanelo.html ბრეგაძე ნ. მეფუტკრეობა წიგნში:ქართველები, პალიტრა, თბისი 2016 გვ. 186-188.

6. ბრეგაძე ნ. მეფუტკრეობა საქართველოში, წიგნში „ქართველები“, თბილისი, 2016.
7. ბრეგვაძე ა. თევზის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბილისი, 1971.
8. გამთენაძე ქ. თუშური გუდის ყველი ექსპორტზე ამერიკაში გადის, 2 მაისი 2017, ბიზნეს პრეს ნიუს https://bpn.ge/
9. გაუარაშვილი ლ. მეფუტკრეობა, როგორც შემოსავლიანი დარგი, 16/05/2016 http://kakhetibeekeepers.ge/?p=869
10. გელანტია თ. „საბჭოთა მენტალობის“ ქართული კოოპერატივების გამოწვევების სტრატეგიები, 24 აგვისტო, 2016 http://forbes.ge/news/1583/%22sabWoTa-mentalobisqarTulikooperativebis gamowvevebi
11. გერმანელები დმანისში http://www.dmanisi.gov.ge
12. გოგოლი გ, საქართველოს მეცხოველეობაში სანაშენე მუშაობის აღდგენის საკითხისთვის 30.06.2017. ჟურნ, „ახალი აგრარული საქართველო“
13. გოგოლი გ., ჩაგელიშვილი ა. საქართველოს მეცხოველეობა XXI საუკუნის პირველ ათწლეულში და მისი განვითარების პერსპექტივები, ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“№7, 2013 წელი.
14. გოგოლი გ., ხატიაშვილი გ., მაჭარაშვილი გ., ტაბატაძე ლ. მეკამეჩეობა 08/08/2017 http://agronews.ge/ mekameCeoba-saqarveloSi/
15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები. გურჯაანი, 2016 (ხელნაწერის უფლებით).
16. დედოფლიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, დედოფლისწყარო, 2015 (ხელნაწერის უფლებით).
17. დიდ ბრიტანეთში ქართული მატყლი ექსპორტზე გავიდა, Europe for Georgia, 10 იანვარი 2017 http://eugeorgia.info/ka/latestarticle/281
18. ელანიძე ი. თუშეთის განვითარების შესახებ, ნაბეჭდი ვერსია, ახმეტა, 2014.
19. ვარდიაშვილი მ. პრობლემების მიუხედავად ქართულ ცხვარს საექსპორტო პოტენციალი არ დაუკარგავს, 30 იანვარი, 2015 http://eugeorgia.info/ka/article/201/
20. ვარდოშვილი მ. ბოლნისის აბრეშუმის ფაბრიკა ინვესტორის ძიებაშია, ჟურნ: ბიზნესი და მენეჯმენტი, #1(17), 2008. 31.

21. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრების მენეჯმენტის გეგმა 2015, ევროკავშირი საქართველოსთვის. file:///C:/Users/User/Downloads/GE_UNDP_VPAPasture_Management_Plan_Geo%20(1).pdf

22. ვახუშტი ბაგრატიონი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.

23. ვენერა სტეფანიშვილი, „ნაციონალებმა“ ქართული მეფუტკრეობა დაასამარეს, ჟურნ, საქართველო და მსოფლიო, ნოემბერი 26, 2012 http://geworld.ge/ge/4450/

24. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საარქივო სამმართველოს თელავის რეგიონალური არქივი, 259; ფ. 153,

25. თელავის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურის ოპერატიული ინფორმაცია, 2016.

26. თოფჩიშვილი რ., საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბილისი, 2016.

27. ინტერვიუ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსთან, ბატონ ზ. მახარაძესთან, ჟურნ. ონლაინ არქეოლოგია, 2013 №5.

28. კახეთის რეგიონი, საინვესტიციო გზამკვლევი აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიმართულებით, 2015-2020.

29. კახეთის რეგიონში ბიოუსაფრთხოების მესამე პუნქტი ამოქმედდა 17.19.2017http://www.moa.gov.ge/7/News/2381

30. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2014-2021 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024424

31. კახეთის სოფლის მეურნეობა და კლიმატის ცვლილებები. UNDP Georgia 2014.

32. კახური ღორი და მისი ძირითადი მახასიათებლები, აგროკავკასია 06.01.2018.http://agrokavkaz.ge/dargebi/megoreoba/kakhuri-ghori-da-misi-dzirithadi makhasi atheblebi.html

33. კეცხოველი ნ. ცხრათვალა მზის ქვეშ, თბილისი, 1967.

34. კოჭლამაზაშვილი ი., მამარდაშვილი ფ. ქართული მატყლი: კვლავ გახდება თუ არა „ოქროს საწმისი“? ორშაბათი, 03 ივლისი 2017 http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-07-10-10-05-22

35. კოჭლამაზაშვილი, ი. სორგი, ლ. გონაშვილი, ბ. ჭანტურია ნ. და მამარდაშვილი ფ. ქართული ცხვრის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. კვლევა ჩატარდა Heifer International-ისთვის. 2014.

36. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახურის ოპერატიული ინფორმაცია, 2017.

37. ლამბერტი ა. სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938.

38. მანაგაძე თ. ქართული თაფლი, ეგვიპტურზე 14 საუკუნით ძველია http://presa.ge/new/?m=society&AID=14724

39. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, მესაქონლეობა, I ტომი, თბ. 1986.

40. მდინარე ალაზანი, https://sportfishing.ge/forum/index.php

41. მირიანაშვილი, ლ. მეთევზეობა, წიგნში „ქართველები“, თბილისი, 2016.

42. მეთევზეობა და მეთევზეობის დარგის ზოგადი მიმოხილვა, ჟურნ. „აგროკავკასია“, 3.12.2015

43. მოდებაძე ზ. მეცხვარეობის სუბსიდირება დამატებიტი ღირებულების შექმნაზე და ცოდნის იმპორტზე გამიზნული არ არის, 15 სექტემბერი, 2015, http://eugeorgia.info/ka/article/280/

44. მოსიაშვილი მ. კვირიკაშვილის, ნარმანიასა და ფიფიას ცრუ დაპირებები თუშებს, ქრონიკა +, ნოემბერი7, 2016

45. ნატროშვილი ნ. მეფუტკრეობის დარგის პერსპექტივა ჟურნ, ბიზნესი და მენეჯმენტი №1(28), 2011 http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=28&rubr=1&mas=1163

46. მურთაზაშვილი ზ. ნაშრომი თუშეთის შესახებ, 2013 https://docs. google.com/document/d/1lbiHk7u-QbXODzzx76nN4ODJo-rPHt9HcV8maN_1oA/edit?copiedFromTrash

47. ნაცვალაძე კ. ადგილობრივი ქართული ქათმები, 09/06/2017 http://agronews.ge/ 8212-2

48. ნიკოლეიშვილი გ., შაფაქიძე ე. მეაბრეშუმეობა – შავი, კასპიის ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია, თბილისი, 2014.

49. ნიკოლეიშვილი გ., შაფაქიძე ე. ქართულ აბრეშუმს ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექნის შესაძლებლობა აქვს, 11/09/2017 http://agronews.ge

50. ნოზაძე რ., ნაცვალაძე კ. ქართული ბროილერები 05/05.2017 http://agronews.ge/8212-2/

51. ობოლაძე ო., ხითარიშვილი რ. თევზის მომშენებელ-ოპერატორი, თბილისი, 2016.

52. ოთარ დანელია: თევზის მეურნეობების განვითარების სტრატეგია წლის ბოლოსთვის მზად იქნება. 14 თებერვალი, 2016 http://www.ipress.ge/

53. პაიკიძე, მესხიშვილი, ბეღელური. მატყლმცოდნეობა და ცხვრის მატყლისა და ტყავების დამზადება-რეალიზაციის ზოგიერთი საკითხი

file:///C:/Users/User/Desktop/paikidze_matylmcodneoba_da_cxvris_matylisa_da_tyav0001.PDF

54. რობაქიძე ა., კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში, თბილისი, 1941.

55. რობაქიძე ა. მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბილისი, 1960.

56. საგერეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, საგარეჯო, 2017, (ხელნაწერის უფლებით).

57. საქართველოს ისტორია, ტომი I – უძველესი დროიდან ქრისტიანობის მიღებამდე (ავტორები: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ. სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი). თბილისი, 2012.

58. საქართველოს ისტორია ტ. II საქართველო ქრისტიანობის მიღებიდან თამარ მეფის გარდაცვალებამდე (ავტორები: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ., სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი), თბილისი, 2012.

59. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, რედ. გ, მელიქიშვილი, თბ. 1970.

60. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, საქართველო IV-X სს. რედ. შ. მესხია, თბილისი, 1973.

61. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, საქართველო XI-XV სს. რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა, თბილისი, 1979.

62. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველოს XVI საუკ. დასაწყისიდან XIX საუკ. 30-იან წლებამდე, რედ. მ.დუმბაძე, თბილისი, 1973.

63. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, საქართველო XIX საუკ. 30-90-იან წლებში, რედ. ირ.ანთელავა. თბილისი, 1970.

64. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, საქართველო 1900-1921 წლებში, რედ. სურგულაძე, აკ. მარგიანი, ნ. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე, თბილისი, 1972.

65. საქართველოს მთავრობის დადგენილება – ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე, ქ. თბილისი, №18, 2014 წლის 3 იანვარი.

66. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%

20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf

67. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს (საქსტატის) ვებ-გვერდი. მიმდინარე მასალები.
68. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლის განვითარების პერსპექტივები, სიღნაღი, 2016 (ხელნაწერის უფლებით).
69. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მეფუტკრეობის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებებს ახორციელებს, 25 მაისი, 2016. https://bpn.ge
70. ფაცია ლ. თოხლი, გუდა და... დაძველებული ყველის საიდუმლო, კვირის პალიტრა, 12 დეკემბერი 2016 https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/
71. ქართული ფუტკარი – „კავკასიური რუხი ფუტკარი“ – Apis melifera http://agrokavkaz.ge/ dargebi/mefutkreoba/
72. ქართული ცხვარი – თუშური, იმერული, წმინდამატყლიანი ჯიშები საქართველოს მეცხვარეთა ასოციაცია sheep.ge; agrokavkaz.ge
73. ღლიღვაშვილი ვ., ღლიღვაშვილი გ., ქუცნაშვილი ი. საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა, თბილისი, 2017.
74. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, ყვარელი 2017 (ხელნაწერის უფლებით).
75. შამილაძე ვ. ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებერების შესახებ საქართველოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართელოს ყოფა და კულტურა, V, თბილისი, 1978.
76. შამილაძე ვ. მესაქონლეობა საქართველოში. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი (მასალები), თბილისი, 1986.
77. შველიძე ე., გამქრალი დარგი – საქართველო ოდითგანვე განთქმული იყო მეაბრეშუმეობით, 19.02.2015 agrokavkasia, http://agrokavkaz.ge
78. შამილაძე ვ.მესაქონლეობა, წიგნში, „ქართველები“, თბილისი, 2016.
79. შველიძე ე. ქართული აბრეშუმის ისტორიიდან, ჟურნ. სოფლის მეურნეობა, 06. 02. 2015.
80. ჩიგოგიძე ხ. „დასტრესილი“ კალმახი უგემურია https://inadire.ge/dastresili-kalmaxi-ugemuria/
81. ჩიგოგიძე ხ. თუთის “ჭირი“ 2016, 06 ივნისი, https://www.kvirispalitra.ge/mamul-deduli/ 30079-thuthis-qtciriq.html
82. ჩიგოგიძე ხ. ჯიშიანი ცხენი თუშეთმა შემოგვინახა 05-10-2015 https://www.kvirispalitra.ge
83. ცაგარეიშვილი თ. მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1987.

84. ცისკარაშვილი ნ., ბაბუაშვილი ვ. 13.06.2017 ახმეტაში აბრეშუმის ჭიის პარკის წარმოება აღადგინეს, http://www.knews.ge

85. ცისკარაშვილი ა. ფერმერები კახური ჯიშის ღორის მომრავლებას შეძლებენ, 04.03.2017 http://www.knews.ge

86. ცხვარი, წყალი და ბალახი, 2015, http://www.ge.undp.org/content/ georgia/ka/home/ourwork/environmentandenergy/successstories/ClimaEastGeorgia.html

87. ჭიჭაყუა მ. სატბორე თევზის მეურნეობები – პრობლემები, რისკები და რჩევები, აგრონიუსი, 06/06/2017 http://agronews.ge

88. ხუციშვილი, მ. საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიული და ეკონომიკური მიმოხილვა.

89. ჯავახიშვილი ივ. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის III ტანისამოსი ქსოვილები და ხელსაქმე, თბილისი, 1962.

90. ჯავახიშვილი ივ. თხზულებათა კრებული, ტ, I, თბილისი, 1979.

91. ჯალაბაძე ნ. ახმეტის რაიონის საველე მასალა, 2015.

92. ჯალაბაძე ნ. გურჯაანის რაიონის საველე მასალა, 2016.

93. ჯალაბაძე ნ. დედოფლისწყაროს რაიონის საველე მასალა, 2017.

94. ჯალაბაძე ნ. თელავის რაიონის საველე მასალა, 2016.

95. ჯალაბაძე ნ. ლაგოდეხის რაიონის საველე მასალა, 2017.

96. ჯალაბაძე ნ. საგარეჯოს რაიონის საველე მასალა, 2017.

97. ჯალაბაძე ნ. სიღნაღის რაიონის საველე მასალა, 2016.

98. ჯალაბაძე ნ. ყვარლის რაიონის საველე მასალა, 2017.

99. ჯანაშვილი მ. ჟამი ძიებისა და განსჯისა, თბილისი, 2006.

100. 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში http://www.economy.ge/uploads/dcfta/AA_2015_National_Action_Plan_Report_Matrix_geo_version.pdf

101. Бердзенишвили Н. Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв.), Тб., 1938.

102. Шамиладзе В.М., Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.

103. Klaproth Y., Beshreibund der Russis chen Provinzen zwishen dem Kaspishen und Schvarzen Meeren, Berlin, 1814.

ბუნებრივი მრავალფეროვნებითა და სამეურნეო ზონების სიმრავლით საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა კახეთი. ალაზნის ბარაქიანი ველი, მრავალი, ერთიმეორისაგან რელიეფითა და მიკროკლიმატით განსხვავებული მიკროზონებისაგან შედგება, რაც კახეთის მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო ყოფაში მკვეთრადაა წარმოჩენილი და მნიშვნელოვნად განმსაზღვრელიც. როგორც დასტურდება, რეგიონის გამორჩეული კლიმატური მახასიათებლები და ნიადაგური საფარი განაპირობებდა და განაპირობებს სამეურნეო დარგების მრავალფეროვნებას და მათი განვითარების კანონზომიერებას ბუნებრივი სამეურნეო ზონების მიხედვით როგორც შორეულ ეპოქებში, ისე დღესაც.

საქართველოში, ისტორიული განვითარების პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა მეტად მრავალფეროვანი და ცხოვრების პირობებს მორგებული სასოფლო-სამეურნეო ყოფა, რამაც საუკუნეების მანძილზე მთლიანად განსაზღვრა მოსახლეობის არა მარტო მეურნეობის განვითარების თავისებურებები, არამედ, მნიშვნელოვანწილად, უზრუნველყო მატერიალური კულტურისა და სულიერი განვითარების უმნიშვნელოვანესი პლასტების ფორმირებაც. ადრეული საუკუნეებიდან კახეთში, უკვე ჩამოყალიბდა სამეურნეო ყოფითს ძირითადი თავისებურება – ალაზნის ველზე მარცვლეული კულტურებისა და ვენახის ინტენსიური განვითარება, მთიან ზოლში – ძირითადად მესაქონლეობა: სწორედ ეს განსაზღვრავდა და დღესაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ამ გამორჩეული რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს. საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური განვითარება მუდამ უზრუნველყოფდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ორიგინალურ შინაარს. მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტურად დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში, უკვე უძველესი პერიოდიდან, კერძო და საერთო (ანუ სათემო) საკუთრების თანაარსებობა.

XIX საუკუნიდან საქართველოში ფეხს იკიდებს კაპიტალისტური ეკონომიკური ურთიერთობები მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. კაპიტალიზაციის პროცესი საქართველოს სოფელში კი წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა – ტრადიციულ ფეოდალური უთიერთობებიდან ახალ, კაპიტალისტურ მეურნეობაზე გადასვლა ყველა მიწის მესაკუთრემ ვერ შეძლო. XIX საუკუნის მეორე ნახევარიდან, საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალდაკვალ ხდება ყველა ტრადიცილი დარგის: მევენახეობის, მესაქონლეობის, მეხილეობის, მებოსტნეობის, მეაბრეშუმეობის მნიშვნელოვანი განვითარება. ამავე პერიოდიდან იწყება ქართული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გასხვისების პროცესიც. კახეთის რეგიონის კაპი-

ტალიზაციის მთავარი შედეგი იყო სოციალური დიფერენციაციის პროცესის გაღრმავება და განვითარება, რაც ილია ჭავჭავაძეს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მკვეთრად უარყოფითი შეფასებაც მისცა მას – ჩათვალა ის ქართველი ერის კონსოლიდაციის თვალსაზრისით მავნედ, რადგან სოფელში მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია სოციალური კატაკლიზმების საფუძველი შეიძლება გამხდარიყო.

ქართული სოფლის სოციალური დიფერენციაცია განსაკუთრებით საცნაური გახდა XX საუკუნის დასაწყისში. უდიდესი ყურადღება ეთმობოდა სოფლის განვითარების ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. უნდა აღინიშნოს, რომ 1906 წელს კახეთში, თელავის მაზრის სოფელ გულგულაში, შეიქმნა ღარიბი გლეხების მონაწილობით კოლექტიური მეურნეობის პირველი ნიმუში საქართველოში – სასოფლო-სამეურნეო კომუნა. ჩვენ ამ ფაქტს ვუკავშირებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემჩნეულ საერთო (ანუ სათემო) საკუთრების არსებობის ტრადიციის რეამინაციას, რამაც მასობრივი ხასიათი XX საუკუნის 30-იან წლებში მიიღო.

პირველმა მსოფლიო ომმა და აქედან გამომდინარე რუსეთის ეკონომიკურმა კოლაფსმა, საქართველოც, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, სერიოზულად დააზარალა. ოქტომბრის გადატრიალებამ – საფუძველი შექმნა ჩამოყალიბებლიყო საქართველოს პირველი რესპუბლიკა – მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით. გარკვეულ პერიოდის შემდეგ დამფუძნებელი კრების მიერ განხორციელდა საუფლისწულო, სამონასტრო, მემამულეების საკუთრებაში არსებული მიწების ნაციონალიზაცია და დაწესდა გლეხებისათვის გადასაცემი მიწის ზღვრული ნორმები – 7, 15, 40 დესეტინა თვითოეულ კომლზე. მაგრამ 1921 წლის 25 თებერვლიდან საბჭოთა რუსეთმა, საქართველოში დაიწყო სოციალიზმის რუსული მოდელის დანერგვა.

საქართველოში კომუნისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ, გარკვეული დროით, კომუნისტებმა უზრუნველყვეს ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის (მთელი თავისი შიდასოციალური სტრუქტურით) აქტიური მონაწილეობა საბაზრო ურთიერთობებში. „ნეპმა“ ხელი შეუწყო კერძო სექტორის განვითარებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. მოხდა ისე, რომ XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს ქართული სოფლის სამეურნეო სტრუქტურაში კერძო სექტორის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად აჭარბებდა სახელმწიფო სექტორს.

საქართველოში საბჭოთა სისტემის დამკვიდრებისთანავე, სოფლად ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კოლექტივისტური შრომითი და ორგანიზაციული უთიერთობების განვითარებას. იქმნებოდა კომუნები, არტელები, მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობები, მაგრამ ყველა ეს ფორმა ვითარდებოდა საკუთარი რესურსებით – ნებაყოფლობით, სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევისა და რეგულაციების გარეშე. ამიტომაც, „ნეპის“ პოლიტიკის წყალობით, საქართველოს სოფელში სოციალური დიფერენციაცია საკმაოდ მკვეთრად გამოხატულ ხასიათს ატარებდა: ღარიბი, საშუალო და

მდიდარი გლეხობა //„კულაკობა“ ქმნიდა საბჭოთა სოფლის იერსახეს XX საუკუნის 20-იან წლების შუა ხანებში.

1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას აგრარულ სექტორში არსებული პრობლემებიც დაედო საფუძვლად, რომელიც გარკველწილად, საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტოტალური განადგურებისა და ქვეყანაში მასობრივად „შიშის სინდრომის“ დასამკვიდრებლად. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართულ სოფელშიც ჩინებულდ გამოიყენა ღარიბი და უღარიბესი გლეხობის ჯერ კიდევ მძიმე სოციალური მდგომარეობა და მათი დახმარებით უზრუნველყო თავადაზნაურთა სოციალური კლასის ნაშთებისაგან სოფლის „გასუფთავება“, ხოლო მათი ქონების 25 პროცენტი ღარიბ და უღარიბეს გლეხობას გადაეცა.

საბჭოთა სახელმწიფოს სოფლად ისეთი ერთგული მოკავშირე სჭირდებოდა, რომელიც კეთილსინდისიერად, მუდმივად და უპრობლემოდ უზრუნველყოფდა საბჭოთა ხელისუფლებას, მტკიცე სახელმწიფო ფასებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, „კულაკებით“ სათავეში, ამ საქმისათვის ვერ გამოდგებოდა. ეს ნათელყო 1928 წლის სასურსათო კრიზისმა.

ქართულ სოფელში, 1929 წლის აგრარული რევოლუციის რეალიზაციის პროცესის დროს, თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება მთლიანად წელში იყო გატეხილი და ორივე ლოიალურ, ამორფულ სოციალურ ფენად იყო გადაქცეული. გლეხებში გამოიყოფოდა ღარიბი, საშუალო და მდიდარი//„კულაკური“ ფენა. მთლიანად განსაზღვრავდა ქართული სოფლის იერსახეს. თანდათან გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საბჭოთა სისტემა, დიდი ხნით ვეღარ შეურიგდებოდა „სოციალისტური ქალაქისა“ და „კაპიტალისტური სოფლის“ თანაარსებობას.

საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობაში პირველ ეტაპზე გაიმარჯვა საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირების პოლიტიკამ, რომელიც მთლიანად გამორიცხავდა სოფლად ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო სისტემას და მის ადგილზე გულისხმობდა სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობების დანერგვას. საქართველოში ბრმად გადმოჰქონდათ რუსეთის მოწინავე რეგიონების საკოლმეურნეო მშენებლობის მაღალი ტემპები. დოკუმენტურად დასტურდება, რომ შეტევა „კულაკებზე“ კახეთის სოფლებში, მათთვის ქონების ჩამორთმევა, 1929 წლიდან დაიწყო და საკოლმეურნეო მოძრაობის დასრულებამდე სხვადასხვა ინტენსივობით მუდამ მიმდინარეობდა. რაც, ბუნებრივია საპასუხო აგრესიას ბადებდა, – დაიწყო „კლასობრივი ომი“ ახლადშექმნილი კოლმეურნეობების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო მოძრაობის მასობრივი ფორსირების დროს საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად საკავშირო სახელმწიფოში, მოხდა „საშუალო გლეხის“ მიმართ სერიოზული გადაცდომა, როცა მისი ერთი – განსაკუთრებით შეძლებული ნაწილი, „კულაკების“ კატეგორიას მიათვალეს და

„განაკულაკეს“, ამან სოფლად მასობრივი ანტისაბჭოთა გამოსვლები განაპირობა, რამაც სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა კრემლის ხელმძღვანელობა. ტოტალური გლეხური ბუნტის თავიდან ასაცილებლად გამოიძებნა კომპრომისი, ეს იყო სოფლის საზოგადოებისთვის შეთავაზებული „პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები“, რომელიც შეიძლებოდა პირად სარგებლობაში დარჩენოდა გლეხს. აღნიშნული გახდა სწორედ ის მიგნება, რამაც შეაჩერა გლეხური ბუნტი და საბჭოთა სახელმწიფოს მისცა შესაძლებლობა დაესრულებინა კოლექტივიზაციის პროცესი.

სტალინურმა დუალიზმმა მრავალი ათეული წელი უზუნველყო საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარება საბჭოთა კავშირში და ასევე, განაპირობა, ერთპიროვნული გლეხური ფსიქოლგიის შენარჩუნება სოფლად, რომელმაც მოგვიანებით გამოიწვია საბჭოთა სოფლის ეკონომიკური კოლაფსი. სიახლე ისიც იყო, ეს „პატარა ბოსტნები, პატარა ბაღები“,//„საკარმიდამო ნაკვეთები“, როგორც დოკუმენტურად დასტურდება, სოფლის ღარიბმა მოსახლეობამ მიიღო „განკულაკებული“ თანასოფლელების მიწების ექპროპრიაციის ხარჯზე, რითიც საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი თავისი აგრარული ექსპერიმენტის აქტიურ ხელშემწყობად და „კულაკების“ მიმართ განხორციელებული სახელმწიფო ტერორის თანამონაწილედ გადააქცია.

სერიოზული პრობლემების მიუხედავად, საქართველოში კოლმეურნეობები მასობრივად შეიქმნა, მაგრამ, როგორც დასტურდება, ისინი გამოირჩეოდნენ საქმის ცუდი ორგანიზაციით, ჰქონდათ სერიოზული პრობლემები აგრო-ტექნიკური პროგრესის ათვისების საქმეში, გამოარჩევდათ სრული ფინანსური არაკომპეტენტურობა, და ა.შ.

საქართველოში, საკოლმეურნეო მშენებლობა, განსაკუთრებით ლ. ბერიას მმართველობის პერიოდში, გამოირჩეოდა ინტენსივობით – სტალინური ტოტალიტარული რეჟიმი იმჟამად აღმავლობის გზაზე იყო, მრეწველობის დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია თავის ორბიტაში სოფელსაც ითრევდა, ყოველწლიურად იზრდებოდა ასიგნებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოებასათვის, ხდებოდა კოლექტიური შრომის ყოველმხრივი წახალისება-პროპაგანდა. რაც სოფლის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ორგანული ნაწილი იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ გლეხს, სამეურნეო და პიროვნული თავისუფლების წართმევის სანაცვლოდ, შესთავაზა უფასო განათლება, უფასო მედმომსახურება, მზარდი კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება, ღარიბი გლეხის შვილები განსაკუთრებული პრივილეგიით სარგებლობდნენ და 30-იანი წლების დასასრულს სწორედ ისინი შეადგენდნენ უმაღლესი განათლების მსურველთა მნიშვნელოვან ნაწილს.

1936 წელს ი. სტალინმა საჯაროდ განაცხადა, რომ ერთპიროვნული გლეხური მეურნის ნაცვლად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა კოლმეურნე გლეხობა და რომ საბჭოთა კავშირში უკვე ჰქონდათ „მსოფლიოში ყველაზე მსხვილი მექანიზებული, ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყოვლისმომცველი სისტე-

მის სახით“. საბჭოთა ხელისუფლებაში ფიქრობდნენ, რომ გარკვეულ ეტაპზე (კომუნიზმის დროს) გლეხობაც საერთოდ გაქრებოდა როგორც კლასი და მას ჩაენაცვლებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშა. ეს ჩანაფიქრი საბჭოთა კავშირში უტოპიური აღმოჩნდა.

თანდათანობით, საკოლმეურნეო მოძრაობა მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში. საქართველოშიც მოხერხდა არსებული სიძნელეების დაძლევა და შედარებით სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიღწევა – გაჩნდნენ მილიონერი კოლმეურნეობები. და რაც მთავარია – კოლმეურნეობამ გაუმართლა საბჭოთა ხელისუფლებას ფაშისტურ კოალიციასთან საბედისწერო ომის დროს, რადგან საკმაოდ ხანგრძლივ და ტრაგიკული ომის განმავლობაში სწორედ კოლექტიური მეურნეობა ამარაგებდა სისტემატურად ხელისუფლებას იაფი და აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით. იმ მიზეზებს შორის, რამაც საბჭოთა სახელმწიფოს მსოფლიო ისტორიული გამარჯვება განაპირობა – იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელების უდალატო შრომა და თავდადება.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სოფლად საკმაოდ მოუფიქრებელი ნოვაციები განახორციელეს საბჭოთა კავშირში, ასე მაგალითად, გააუქმეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, დაიწყეს ყაზახეთის ყამირისა და ნასვენი მიწების ფორსირებული ათვისება, რამაც მაინცდამაინც არ გაამართლა, აუკრძალეს კოლმეურნე გლეხებს პირად საკუთრებაში ერთზე მეტი მსხვილფეხა საქონელის ყოლა და ა.შ. და ა.შ.

XX საუკუნის 60-80-იანი წლები, მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, საქართველოს სოფლისათვის იყო აღმავალი და შემოსავლიანი წლები: კახეთის სოფლის მეურნეობა იყო მრავალდარგოვანი – ტრადიციულ მიმართულებებთან (მევენახეობა, მემინდვრეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა) ერთად წარმატებულად ვითარდება ტექნიკური კულტურებიც: თამბაქო, ეთერზეთების წარმოება და სხვ. სტატისტიკური კრებულები მიანიშნებენ, რომ ეს წლები ეკონომიკური აღმავლობის წლებია, თუმცა, დოკუმენტურად დასტურდება ისიც, რომ პრობლემა და ნაკლიც ბევრი იყო. პრობლემების გამოსწორებას ორგანიზაციული ღონისძიებებით ცდილობდნენ – სწორედ იმ წლებში გავრცელდა მავნე პრაქტიკა – წარუმატებელი კოლმეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გადაკეთება. ჯანსაღი კონკურენციის არარსებობის პირობებში საბჭოთა სინამდვილე გამორიცხავდა ისეთ ეკონომიკურ კატეგორიას – როგრიცაა „გაკოტრება“, ბუნებრივი სელექცია, ძლიერი სამეურნეო ორგანიზაციის გამარჯვება და შეუძლო, ზარმაცი, წარუმატებელი კოლექტივის სამეურნეო ურთიერთობებიდან განდევა. ამ პრობლემის გადაჭრა სცადეს სოციალური სტატუსის შეცვლით (კოლმეურნე გლეხი გახდა საბჭოთა მეურნეობის მუშა), ამან სერიოზული პრობლემები მოიტანა სოფლად და მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფო ბიუჯეტს.

მიუხედავად პრობლემებისა, სწორედ XX საუკუნის 60-80-იანი წლები საქართველოს სოფელში სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის წლებია – ყვე-

ლა რეგიონში, ყველგან – ქართულ თუ არაქართულ სოფლებში, ადგილობრივი კოლმეურნე გლეხი საგრძნობლად იუმჯობესებს სოციალურ მდგომარეობას – რაც ვლინდება ახალი კერძო ბინების მასობრივ მშენებლობაში და საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრ გაუმჯობესებაში.

მიუხედავად პოსტსაბჭოთა სპეციალურ ურაში გამოთქმული შეხედულებებისა, საქართველოში კოლექტიური შრომის მავნე, დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ („გლეხი გააზარმაცა“, „მიწისაგან გააუცხოვა“, „ხდებობა გლეხის საბჭოთა ექსპლოატაცია“ და ა.შ. და ა.შ.), როგორც დოკუმენტურად, ისე 2015-2018 წლებში კახეთის რეგიონში მოწყობილი საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროსაც, დაფიქსირდა პოზიტიური დამოკიდებულებები და დადებითი შეხედულებები საბჭოთა პერიოდის კოლმეურნეობებში შრომითი ხასიათის შესახებ. გამოკითხულ ასაკიან რესპოდენტთა უმრავლესობას აქვს საკმაოდ გამოხატული ნოსტალგიის გრძნობა „საკოლმეურნეო ეპოქაზე“, მიაჩნია, რომ მაშინ „ყველაფერი უკეთ იყო ორგანიზებული“ და ისინიც „მატერიალურად ჩინებულად იყვნენ უზრუნველყოფილნი“, ხოლო შრომა „საინტერესო და შედეგიანი“ იყო. მაგრამ, დოკუმენტურად ისიც დასტურდება, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა კოლმეურნეობების დანგრევისა და კერძო საკუთრებაზე გადასვლის მომხრე იყო.

ახალი საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აგრარული პოლიტიკაც წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულია – განვლილი 28 წელი აშკარად მიანიშნებს, რომ, მიუხედავად მიღებული უამრავი დადგენილებისა და „ევროპულ სტანდარტებით“ შედგენილი პროექტებისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოყვანა კრიზისული მდგომარეობიდან დღემდე ვერ მოხერხდა. ამის მიზეზი საქართველოს ხელისუფალთა როგორც მსოფლმხედველობით თავისებურებებში უნდა ვეძებოთ, ისე იმ მიზნებსა და ამოცანებში, რასაც ისინი საქართველოს სოფელს უყენებდნენ. მათი მოღვაწეობის შედეგად მივიღეთ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქვეყნებს შორის ყველაზე დანგრეული, გავერანებული სოფლის მეურნეობა ეკონომიკურად გაჩანაგებული მოსახლეობით ამ ნგრევის პროცესის განვითარებაში, შეგნებულად თუ შეუგნებლად, საკმაოდ უარყოფითი მნიშვნელობა შეიძინა იმ რადიკალურმა საზოგადოებრივმა აზრმა, რომელიც სოფლად საბჭოთა ეპოქის ყველა მონაპოვრის ნგრევას ითვალისწინებდა. სრულიად დაუფიქრებლად დაინგრა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები (რომელთა შორის ბევრი იყო მაღალორგანიზებული, მილიონერი შრომითი კოლექტივი), მათი მიწები დაქუცმაცდა, საქართველო უცებ გადაიქცა ერპიროვნული გლეხური (საოჯახო) მეურნეობის არენად და რიგითი გლეხი დარჩა უამრავ ფინანსურ, სამეურნეო და ორგანიზაციულ პრობლემასთან სრულიად მარტო. აქედან გამომდინარე, მივიღეთ საკმაოდ გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი სოფლად, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მკვეთრი ვარდნა, ქართული სოფლის დეგრადაცია.

საქართველოს სოფელში შექნილი მძიმე მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის ეს შეუჩერებელი ვარდნა საზღვარგარეთელმა ექპერტებმა, დაუკავშირეს ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მეორე ფორმაციის ჩანაცვლებას. ამავე დროს, მათი აზრით, დღეს სამუდამოდ დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს ის ხელსაყრელი სავაჭრო პირობები, რომელშიც იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სოციალისტრი წყობილების დროს. ბუნებრივი პირობებით განპირობებული უპირატესობა, რაც საქართველოს გააჩნდა საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქვეყნებთან შედარებით, კვლავაც არსებობს, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც აადვილებს ვაჭრობას მთელ მსოფლიოში, ისინი შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა.

ეკონომიკური და სოციალური შედეგები განვლილი 28 წლის ისტორიულ მონაკვეთზე ქართულ (კახურ) სოფელში სავალალოა – მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა, ბევრი წავიდა ემიგრაციაში..

საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც სურს გარკვეულ წარმატებებზე ილაპარაკოს, ცდილობს შემოიტანოს პრაქტიკაში ცნება „ფერმერი“, ზოგიერთი კატეგორიის სოფლის მეურნის დასახასიათებლად, თუმცა ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული მუშაობა და არსებული სტატისტიკური მონაცემები არ მიუთითებენ საქართველოში სოციალური კატეგორიის – „ფერმერის“ არსებობას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, არსებული მცირე პერიოდი კლასიკური „ფერმერის“ ჩამოსაყალიბებლად ძლიერ ცოტაა. საქართველოში ბოლო წლებში ადგილი აქვს კოოპერაციული მოძრაობის რეამინაციის მცდელობას. ბოლო წლებში როგორც საქართველოს მთავრობის, ისე საზღვრგარეთელი ქვეყნების (ჩეხეთის, გერმანიის, ევროკავშირის და ა.შ.) ორგანიზაციების ხელშეწყობით კახეთში შეიქმნა რამდენიმე კოოპერატიული გაერთიანება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართულებით.

სერიოზული ნაკლოვანებებით აღინიშნა ქართულ სოფელში სახელმწიფოს დასაქმების პროგრამა და სოციალური დახმარების პრაქტიკაც. ჩატარებულმა საველე-ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ სოციალური დახმარების დანიშვნის არსებული პრაქტიკა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ხშირად მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზიც ხდება. კახეთის ბევრ რაიონში სოციალური პრობლემები უაღრესად მძიმეა – თითქმის ოჯახი არ არის, ქალი ან კაცი სამუშაოს საძებნელად სხვა ქვეყანაში არ იყოს წასული, ახალგაზრდობა სოფლად აღარ ჩერდება – ქალაქში სამუშაოდ მიიწევს. საზღვარგარეთიდან შემოსული ფული, სახელმწიფო სოციალური დახმარება კი ახლა უკვე ნამდვილად აზარმაცებს გლეხობის გარკვეულ ნაწილს და ამ პრობლემებზე სწრაფი რეაგირებაა საჭირო. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლის თემი“ და მისი ადგილობრივი სტრუქტურები ცდილობენ გააქტიურონ სოფლის მოსახლეობა, მათ ჩამოუყალიბონ სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევები, რომ თვითონ

რიგითმა გლეხმა თავად მოიწყოს მცირე-ბიზნესი, მონახოს სოფლად მუშაობის ალტერნატიული მიმართულება. მაგრამ ეს საქმე ჯერ მხოლოდ დასაწყის სტადიაში და განსაკუთრებული ეფექტიანობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. განსაკუთრებულ იმედს აღძრავს პროფესიულ-ტექნიკური საგანმანათლებლო კერების არსებობა კახეთში, პროფესიული განათლების პროფილის მქონე კოლეჯის მზარდი კონსტინგენტი, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ევროპული დონის კაბინეტ-ლაბორატორიები პერსპექტივაში შესაძლებლობას იძლევა, უზრუნველყოფს სრულად საქართველოს სოფელი აგროსექტორის შესაბამისი სპეციალისტებით.

ისტორიულად, საქართველოს მასშტაბით, მევენახეობის ცენტრი კახეთია, სადაც ვაზის ოთხმოცამდე ჯიში იყო გავრცელებული. ძველი დროიდანვე, საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, მევენახეობა-მეღვინეობასა და მარცვლეული კულტურების წარმოებას თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე, სხვა ქვეყნებიდან სასურსათო პროდუქტების, მათ შორის, ხორბლის იმპორტი, არასდროს არ განუხორციელებია. საქართველოდან, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, ღვინო ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი იყო და დღესაც ასეა.

კახეთი საქართველოშიც კი გამოირჩევა თავისი უნიკალური გეო-კლიმატური პირობებითა და ნიადაგების მრავალფეროვნებით, უძველესი დროიდან განვითარებული ტრადიციული სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებით. 2015-2017 წლებში კახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ აქ საკმარისი რეზერვია ტრადიციული სამეურნეო ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, მიწათმოქმედების ყველა დარგში გაიზარდოს საჰექტარო მოსავლიანობა და შესაბამისად გაუმჯობესდეს ქართული სოფლის ეკონომიკური მდგომარეობა.

საქართველოში არსებული ვენახების 70% კახეთშია კონცენტრირებული. ტრადიციულად, საუკეთესო ღვინოების მომცემი ვენახები მდებარეობს ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე, ალაზნისა და ივრის აუზებში. მართალია, კახეთი მევენახეობის ზონაა, მაგრამ თითოეული მუნიციპალიტეტი და ზოგჯერ თითოეული სოფელიც კი, განსხვავებული მიკროკლიმატითა და ნიადაგების ნაირფეროვნებით ხასიათდება, ამიტომ ერთი და იგივე ჯიში ყველგან ერთნაირი ხარისხის მოსავალს არ იძლევა, შესაბამისად არის მევენახეობის მიკროზონები, საიდანაც ადგილდასახელების ღვინოები მზადდება. საქართველოში არსებული 18 ადგილდასახელების ღვინიდან 14 კახურია: წინანდალი, გურჯაანი, ვაზისუბანი, ახაშენი, მანავი, კარდანახი, ტიბაანი, კახეთი, კოტეხი, ნაფარეული, მუკუზანი, თელიანი, ქინძმარაული, ყვარელი.

კახური ვაზის მრავალრიცხოვანი ჯიშებიდან (დაახლოებით 80), დღეს მხოლოდ რამდენიმეა ფართოდ გავრცელებული. სამრეწველო დანიშნულებამ რქაწითელი და საფერავი გააბატონა ყველგან, მცირე რაოდენობითაა კახური მწვანე და ქისი. აღნიშნული ტენდენცია XIX საუკუნის მეორე ნა-

ხევრიდან იწყება, რასაც ხელი ღვინის სასაქონლო პროდუქტად გადაქცევის ინტენსიურმა პროცესმა შეუწყო. მევენახეებმა ძირითადად უხვმოსავლიანი საღვინე ჯიშების მოშენებას მიჰყვეს ხელი.

XX ს-ის 80-იანი წლებისათვის კახეთში მევენახეობის დარგმა, როგორც ვენახით დაკავებული ფართობით, ისე პროდუქციის მოცულობით უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. საქართველოში 90-იან წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის შემდეგ განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა სირთულეებმა გამოიწვია სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგის, მათ შორის მევენახეობა-მეღვინეობის დაქვეითება. მევენახეობის ძირითად რაიონებში, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ მკვეთრად შემცირდა ვენახების რაოდენობა, რაც სხვადასხვა მიზეზებით იყო გამოწვეული, კერძოდ: მიწის რეფორმის შემდგომ კახელი გლეხობისათვის გადაცემული ვენახების უმეტესობა, კახეთის თითქმის ყველა სოფლიდან საკმაოდ შორსაა. ვენახები ყველაზე ახლოს 5-8-10 კილომეტრში, თელავის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების სოფლებთანაა, ხოლო სიღნაღისა და დედოფლისწყაროს სოფლებიდან 25-45 კილომეტრითაა დაშორებული. უტრანსპორტობის გამო მოსახლეობას გაუჭირდა შორ მანძილზე ვენახების დამუშავება; ვენახების უმეტესობა XX საუკუნის 60-70-იან წლებში იყო გაშენებული, ამიტომ ეს ვენახები მეჩხერიანობით გამოირჩეოდნენ, რაც კარგი მოვლის პირობებშიც კი, მასზე დახარჯულ შრომასაც ვერ ანაზღაურებდა. აღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია – ვენახების მიტოვება, „ამოვარდნა“, გაჩეხვა.

ვენახების გაყიდვასა და ვაზის გაჩეხვასთან დაკავშირებულ პროცესების მიმართ სოფლის მცხოვრებნი განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენენ. მიწის რეფორმის შემდეგ კახეთის სოფელში კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელი პროცესები განვითარდა, სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა მცხოვრებთა ნაწილი გააღარიბა და მიწები გააყიდვინა, დაიტოვეს მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის საკმარისი ფართობის ვენახი, ნაწილმა კი პირიქით ალღო აუღო ახალ ვითარებას, მათ მიწები შეიძინეს, და დღეს შეძლებულად ცხოვრობენ. აღნიშნულმა ქონებრივმა დიფერენციაციამ დღეს სოფელში მიმდინარე პროცესების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გაუჩინა დაბალი შემოსავლების მქონე, წვრილი საოჯახო მეურნეობის მქონე გლეხებს (1,25 ჰა) და სხვანაირად აფასებს კოლმეურნეობის დაშლის შემდეგ შექმნილ ვითარებას, მცირემიწიან ფერმერს (5-10 ჰექტრის მფლობელს) სხვა დამოკიდებულება აქვს, დიდი ნაკვეთების (10-20 და მეტი ჰა-ს) მფლობელის შეხედულებები მეურნეობის დღევანდელობასა და განვითარებაზე მათგან განსხვავებულია. კახეთის სოფლებში მრავალი მცირე, საშუალო და მსხვილი მევენახეა, მაგრამ ძირითადი ფართობები საოჯახო მეურნეობების საკუთრებაშია. მნიშვნელოვანი წილი უკავია მსხვილი კომერციული ღვინის ქარხნების საკუთრებაში არსებულ ვენახებსაც.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ახალი ვენახები კვლავ შენდება, მაგრამ ძალიან ძვირი ჯდება, რაც გამოწვეულია ნამყენი ნერგის ღირებულებით, რომელიც მერყეობს ლარიდან ორლარნახევრამდე. ყველაზე ძვირი საფერავის ნერგი ღირს. ვენახის გასაშენებლად აუცილებელია კარგი ხარისხის ნერგი, მაგრამ მისი ყიდვა, სიძვირის გამო ყველას არ შეუძლია. გასული საუკუნის 90-ან წლებამდე კახეთის მევენახეობის ყველა ძირითად რაიონში იყო სახელმწიფო სანერგე მეურნეობები. დღესდღეობით, ახალი ვენახების გაშენების კვალდაკვალ, ნამყენის გაკეთება შემოსავლიანი ხელობა გახდა. სხვადასხვა სოფლებში სანერგე მეურნეობები აქვთ კერძო პირებს, გლეხებს, რომლებმაც ტრადიციულად იციან ვაზის ნამყენის გაკეთება.

მევენახეობის დარგში არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თავად მევენახე ფერმერთა პროფესიული ცოდნის დონე. უკეთესი იქნება, თუ ტრადიციული მოვლის წესებთან ერთად (რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, ხშირად აღარ იციან, ან შეცვლილი კლიმატური პირობებისა, თუ ვაზის ახალი დაავადებების გამო უკვე ნაკლებშედეგიანია), შეისწავლიან თანამედროვე ტექნოლოგიებს, ვაზის მოვლისა და ყურძნის წარმოების სფეროში, აგრეთვე იმ უნარ-ჩვევებს, რომელიც საჭიროა ბიზნესის განვითარებისათვის და საბაზრო ურთიერთობებში წარმატებულად ჩართვისათვის. პრობლემაა ისიც, რომ სოფელს აღარ ჰყავს აგრონომი, რომ საჭიროების დროს რჩევა ჰკითხონ. საქართველოში შემოტანილია და აგროქიმიის მაღაზიებში უამრავი დასახელების ვაზის საწამლი შხამქიმიკატები იყიდება, მცირემიწიანი მევენახე ფერმერები (გლეხები) ვერ ერკვევიან, რომელი პრეპარატი, როდის გამოიყენონ, მათ დიდ ნაწილს არა აქვს თანამედროვე აგროტექნოლოგიების ცოდნა.

დღევანდელი მონაცემებით სუფრის ყურძენი იმდენად მცირე ფართობზეა გაშენებული, რომ მოსავალი შიდა ბაზარსაც ერთი თვეც არ ჰყოფნის, ამიტომ მევენახეობის ამ მიმართულებას კახეთში განვითარების დიდი პოტენციალი აქვს სამაცივრე ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში.

კახეთის რეგიონის ნიადაგობრივი და კლიმატური მრავალფეროვნება არის იმის საფუძველი, რომ ზედმეტი ქიმიური ჩარევის გარეშე იქნას მოყვანილი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. დღეის მდგომარეობით, მცირე რაოდენობით არიან სერთიფიცირებული და არასერთიფიცირებული ბიო-მეურნეები ძირითადად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში. რადგან ის ტრადიციულ სამეურნეო ცოდნასთან ერთად, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გაცნობასაც გულისხმობს, შხამ-ქიმიკატებზე უარის თქმას, და სხვ. მაგრამ ასეთი მეურნეობებიდან მიღებული ღვინის ფასი დღესაც შედარებით მაღალია, რაც სამომავლოდ გაზრდის აღნიშნული მეურნეობის განვითარებით დაინტერესებულ ფერმერთა რიცხვს. თვალში საცემია ის ტენდენცია, რომ მომავალში უფრო მეტი მოთხოვნილება გაჩნდება ბიოლოგიურად სუფთა, შხამ-ქიმიკატების გარეშე მოყვანილ სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე.

ბაზრის ეს მოთხოვნა გაზრდის პროდუქციის ფასს, რაც ფერმერს, მისცემს დამატებით სტიმულს იზრუნოს არა მოსავლის რაოდენობის გაზრდაზე, არამედ მის ხარისხზე.

დღევანდელი მონაცემებით მცირე მიწიან მევენახეთა და შესაბამისად მევენახეობა-მეღვინეობის დარგში არსებული პრობლემების მოგვარების საუკეთესო და პროდუქტიულ გზად ჩანს მცირემიწიან ფერმერთა გაერთიანება კოოპერირების გზით. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სხვა გამოსავალი მათ არა აქვთ, რადგან, პერსპექტივაში, 4-5 წლის მერე არც ერთი ღვინის მწარმოებელი კომპანია გლეხის ყურძენს აღარ ჩაიბარებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ აქვთ უკვე დიდი ვენახები და მეორეც, აუცილებლად დაიდება შეთანხმება მევენახე ფერმერებთან: როგორ უნდა მოუაროს ვენახს, რომელი წამლით უნდა შეწამლოს და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში მეღვინეები ყურძენს აღარ ჩაიბარებენ. ხარისხიანი ღვინო ხარისხიანი ყურძნისაგან იწარმოება, ამიტომ ბუნებრივია, დღეს საბაზრო კონკურენციის პირობებში, ღვინის ქარხნები უხარისხო ყურძენს აღარ ჩაიბარებენ.

XX ს-ის 90–იან წლებიდან დაიწყო ძალიან მძიმე პერიოდი კახეთის მევენახეობა-მეღვინეობისათვის. განახევრდა ვენახით დაკავებული ფართობი კახეთში, ძალზე შემცირდა ყურძნის მოსავალი, მაგრამ მისი გადამამუშავებელი ქარხნებისათვის ჩაბარებაც შეუძლებელი გახდა, რადგან მათი უმეტესობა გაპარტახებული, ნაწილი კი ახალი მეპატრონეების მიერ გაჩერებული იყო. გეგმიური ხუთწლედებით მცხოვრები სახელმწიფოდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ქარხნებისა და საწარმოების პრივატიზაციამ, მეპატრონეები დააბნია, ისინი არ აღმოჩნდნენ მზად ასეთი ძირეული ცვლილებებისათვის. ფაქტიურად გაჩერდა ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება. მას დაემატა რუსული ემბარგო, ქართული ღვინის 80% რუსეთში გადიოდა, 2006 წლის 27 მარტს კი ეს ბაზარი გადაიკეტა.

ქართველი მეღვინეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა ნაწილმა, რუსული ემბარგოს არსებობის 7 წლის განმავლობაში, ქართული ღვინო არათუ გადაარჩინეს, არამედ თვისობრივად ახალ ეტაპზე აიყვანეს. ღვინის სააგენტოს მონაცემებით დღეს ქართული ღვინო უკვე 50 ქვეყანაში იყიდება.

ჩვენს მიერ 2015-2017 წლებში კახეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მევენახეობა-მეღვინეობას კახეთში განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. მევენახეობის განვითარება და ხარისხიანი მოსავალი კი განაპირობებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის მეღვინეობას. კახეთში საღვინე ჯიშებიდან ძირითადი ფართობები უკავია რქაწითელს და საფერავს, მესამე ადგილზეა კახური მწვანე, მაგრამ მცირე ფართობზეა წარმოდგენილი. პერსპექტივაში აუცილებელია რქაწითელისა და საფერავის გარდა სხვა კახური ჯიშების გამრავლებაზე ფიქრი, ესენია: კახური მწვანე, ხიხვი, ქისი, გრძელმტევანა, ბუდეშური წითელი, ჩიტისთვალა და სხვ.

კახური ტრადიციული მეღვინეობა ორგანულადაა დაკავშირებული ქვევრთან, საწნახელთან და მარანთან. ქართული (კახური) ტრადიციული მეღვინეობა ქვევრის გარეშე წარმოუდგენელია. ქართველი მეღვინეები, როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებს, ქვევრს უხსოვარი დროიდან იყენებდნენ ღვინის დასაყენებლად. მარანში ქვევრთან ერთად აუცილებელი ჭურჭელია საწნახელი, კახეთში მეღვინეობის უმთავრეს ჭურჭლებს, საწნახელსა და ქვევრებს შორის მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია არსებობს, საწნახელი მხოლოდ ყურძნის დაწურვას ემსახურება, ქვევრები კი მხოლოდ ღვინის დაყენებას და შენახვას. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ქვითკირის საწნახელი, რომელიც ხშირად ორგანყოფილებიანი იყო.

XIX ს-ის მე-2 ნახევრიდან ღვინის მეწარმეები საქართველოში და კერძოდ კახეთში ძირითადად თავადები იყვნენ, დიდი დარტყმა ქართულ (კახურ) მევენახეობა–მეღვინეობას მიაყენა საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ განვითარებულმა სოციალ-პოლიტიკურმა პროცესებმა. „გაკულაკებამ“, ქონების ნაციონალიზაციამ.

მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა XX ს-ის 30-იან წლებში. 1929 წელს შეიქმნა მეურნეობრივი ორგანიზაცია „სამტრესტი“, რომლის ხელში ძირითადად თავმოყრილი იყო ღვინის როგორც წარმოების, ისე დამზადებისა და გასაღების საქმიანობა. დღეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქართველოში წამყვანი ორგანიზაციაა – ღვინის სააგენტო, ფუნქციონირებს სომელიეთა კავშირი, მეღვინეთა გაერთიანება, ახალგაზრდა მეღვინეთა ასოციაცია, უხუცესთა საბჭო, ქვევრის ღვინის კომპანია, ღვინის კლუბი, ქართული ტრადიციული ღვინის ფონდი და სხვ.

საქართველოში XIX საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო ღვინის ქვევრში დაყენების კახური ტრადიციის უარყოფითი შეფასებები, რომელიც XX საუკუნის 60-იანი წლებიდან განახლდა, ხოლო 80-იანი წლებიდან, როგორც მთელ საქართველოში ისე კახეთშიც იგნორირებული იქნა ქვევრის ღვინის წარმოება. საქართველოში 70-80-იან წლებში ღვინის ქარხნები, ღვინოს ძირითადად მხოლოდ ევროპული ტექნოლოგიებით ამზადებდნენ. დღეს კახეთში არსებული ღვინის მსხვილი კომპანიების ნაწილი ღვინოს აწარმოებს როგორც ქვევრში ტრადიციული კახური მეთოდით, ისე ევროპული ტექნოლოგიითაც.

კახეთში ევროპულ მეღვინეობას, ერთ-ერთმა პირველმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ ჩაუყარა საფუძველი. პირველი ქართველი პროფესიონალი მეღვინე კი, რომელიც თავის მამულში, ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში, მისდევდა როგორც ტრადიციული კახური წესით, ისე ევროპული წესით ღვინის დაყენებას, იყო ზაქარია ჯორჯაძე, რომელმაც თავის სოფელში პირველ ხარისხოვანი ღვინის ქარხანა მოაწყო.

დღეს ქართული ქვევრის ღვინოს იუნესკოს მიერ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, რაც საერთაშორისო ასპარეზ-

ზე ქვევრის ღვინის დამსახურებული აღიარებაა. ქვევრის ღვინის მიმართ მრავალი წლის განმავლობაში ნეგატიური შეფასებების შემდეგ, საქვეყნოდ აღიარებული ღვინის სპეციალისტების აზრი ქვევრის ღვინის შესახებ, ქართველი მეღვინეებისათვის სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა. დღეს ტრადიციული კახური მეთოდით, საოჯახო მარნებთან ერთად რომლებიც ყველა მუნიციპალიტეტის სოფლებში საკმაოდ მრავლად არიან, უკვე ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანიების ნაწილიც აყენებს.

კახური ტრადიციული მეღვინეობის, ქვევრის ღვინის პოპულარიზაციამ, ხელი შეუწყო კახეთში აგროტურიზმის ერთ-ერთი მიმართულების -„ღვინის გზის“ წარმატებით განვითარებას. ამ საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე, ტრადიციული ღვინის მარნების არსებობა. ღვინის ტურებით სტუმრებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ ღია და დახურული ტიპის მარნები, მიიღონ მონაწილეობა რთველში და ყურძნის დაწურვაში და დააგემოვნონ ადგილზე წარმოებული ღვინო და ა.შ. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ქართული სოფლისათვის ამ ახალ სამეურნეო საქმიანობას, საოჯახო ბიზნესს, განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

კახეთის რეგიონში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით XX საუკუნის 90–იანი წლებიდან მემინდვრეობის დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა ნათესი ფართობების შემცირების მიზეზებიდან, ერთ-ერთი უმთავრესია სახნავი მიწების დანაწევრება. მუნიციპალიტეტების მიხედვით კახეთში ამ მხრივ განსხვავებული პირობებია. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში დედოფლისწყაროს სოფლის მცხოვრებნი აღმოჩნდნენ, რადგან იგი სახნავ სათესი ფართობის სიდიდით და ამავე დროს მოსხლეობის სიმცირითაც (რეგიონში მცხოვრებთა 8%) გამოირჩევა, ამიტომ აქ როგორც ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს *„5 ჰექტარი სახნავ-სათესი ვისაც აქვს მცირემიწიანად ითვლება“,* აღნიშნულ ფართობზე მფლობელს შეუძლია მარცვლეული კულტურების მოსაყვანად შესაბამისი ტექნიკის გამოყენება. დედოფლისწყაროს ფერმერებს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მოწეული მოსავლის 100% დაბინავებაც შეუძლიათ და არ არიან იძულებული ხორბალი გალეწვისთანავე გაყიდონ იაფად. სხვა მუნიციპალიტეტებში, მიწის რეფორმით მიღებულ 1, 25 მეასედში შედის როგორც მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ფართობი, ისე მემინდვრეობისათვის განკუთვნილიც., ასეთ მცირე ფართობებზე კი მარცვლეულის ასაღები ტექნიკის მუშაობა გაძნელებულია.

საქართველოში ძველი დროიდანვე გავრცელებული იყო მრავალი სახეობის ბოსტნეული კულტურები. დღესაც მებოსტნეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა კახეთში. ბოსტნეული მოჰყავთ, როგორც ღია გრუნტში, ასევე განვითარებულია სასათბურე მეურნეობაც, განსაკუთრებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, რომელსაც აღნიშნული დარგის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს.

საქართველოს, მისი უნიკალური პირობებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან კარგი პერსპექტივა გახდეს ბიოპროდუქციის სერიოზული მწარმოებელი და კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი. გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ახმეტის მუნიციპალიტეტში საკმაოდ დიდი შესაძლებლობებია ბიომეურნეობის განვითარებისათვის. ბიომებოსტნეობის განვითარების პოტენციალის თვალსაზრისით, ამავე რაიონში, ცალკე უნდა გამოვყოთ თუშეთი, სადაც ყველა პირობაა ბიოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის, განსაკუთრებით კი კარტოფილის მოსაყვანად, რადგან აქაურ მინდვრებში არასოდეს გამოუყენებიათ მინერალური სასუქები და პესტიციდები.

XX ს-ის მეორე ნახევრიდან კახეთში გაიზარდა ბაღჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი) ნათესი ფართობები, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან, ვენახების ფართობების შემცირების ხარჯზე. რადგან ოჯახებისთვის ყურძენზე უფრო შემოსავლიანი გახდა ნესვისა და საზამთროს მოყვანა. დღესაც ამ საქმით ბევრი ოჯახია დაკავებული. პერსპექტივაში დარგის განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხიან სათესლე მასალას.

მეხილეობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი და კარგად განვითარებული დარგია, ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ცნობების მიხედვით, საბაღე ნაკვეთის შერჩევა და გაშენება მრავალი აუცილებელი პირობის დაცვას ითვალისწინებდა. კახეთის მიკროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები მეხილეობის განვითარების კარგ საფუძველს იძლევა. მისი ეფექტიანობა უშუალოდ დაკავშირებულია განვითარებულ სარწყავ სისტემასთან.

როგორც ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების შემდგომი განვითარებისათვის, ისე მეხილეობისათვის მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე სამაცივრე და სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ფერმერებმა შეძლონ პროდუქციის შენახვა და შემდეგ დაბალანსებულად ბაზარზე მიწოდება. ასევე მნიშვნელოვანი იქნება რეგიონისათვის ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი, საკონსერვო საწარმოების აღდგენას თანამედროვე ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად. ეს ხელს შეუწყობს, როგორც სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგების განვითარებას, ისე შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს სოფლად მცხოვრებთათვის, გააუმჯობესებს სოფლის სოციალურ-ეკონომიურ გარემოს, შეაჩერებს სოფლების დაცლას.

კახეთში ბოლო დროს, კენკროვანი კულტურების მიმართ, როგორიცაა – მოცვი, ჟოლო, უეკლო მაყვალი, მოცხარი, მარწყვი, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება. პირველ რიგში ეს განპირობებულია შიდა და გარე ბაზრების მზარდი მოთხოვნით, რაც მცირე მიწის ფართობებზე საკმაოდ სოლიდურ შემოსავლის მიღების პერსპექტივას იძლევა.

ეთნოგრაფიული მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მცირემიწიან ფერმერთა გაერთიანება, კოოპერირება, ეს მათ სა-

შუალებას მისცემს ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათებით, რომელიც საქართველოს მთავრობის თუ სხვა დონორი ორგანიზაციების მხრიდან განკუთვნილია კოოპერატივებისტვის, მაგალითად: იაფად შეიძინონ სასუქები, მცენარეთა სამკურნალო პრეპარატები, ნერგები, აგროტექნიკა, ერთობლივად შექმნან გადამამუშავებელი წარმოება და გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე.

აუცილებლად უნდა შევეხოთ მიწის რეფორმის შემდეგ ქართულ სოფელში განვითარებულ მეტად მტკივნეულ მოვლენას, ესაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და სათიბ-საძოვრების გასხვისება. აღნიშნული მოვლენა სოფელს განვითარების შესაძლებლობას უსპობს. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ჩანს, რომ ასეთმა „ინვესტიციამ“ ვერ გაამართლა, ხშირად მიწას ყიდულობს ისეთი პიროვნება, ან ორგანიზაცია, რომელსაც არასოდეს ჰქონია კავშირი სოფლის მეურნეობასთან და მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ბევრად ჩამოუვარდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოყვანილს, შეგვიძლია მოვიყვანოთ, სიღნაღის რაიონის სოფელ ელიაწმინდის მიწების დღევანდელი ეგვიპტელი მფლობელების მაგალითი, მათ სამჯერ ნაკლები მარცვლეული მოჰყავთ. ბევრი სოფელია დარჩენილი სათიბ-საძოვრების გარეშე და საქონელს ვენახებისა და მინდვრების მიჯნებზეღა თუ აძოვებს. აღნიშნული პრობლემა სოფლის მცხოვრებთა მიგრაციას უწყობს ხელს.

კახეთის რეგიონის გეომორფოლოგიური თავისებურება, აქ არსებული საძოვრებისა და სათიბების დიდი მასივები ხელსაყრელ აგროკლიმატურ პირობებთან ერთად, ყოველთვის ქმნიდა საუკეთესო გარემოს მეცხოველეობის განვითარებისთვის და ეს დარგიც ამ მხარეში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. აქ მეტ-ნაკლები ინტენსივობით წარმოდგენილია გეოგრაფიულ-კლიმატური ზონალობების შესაბამისი ყველა ძირითადი მიმართულება: მსხვილფეხა მესაქონლეობა (მეძროხეობა, მეკამეჩეობა), მეცხვარეობა, მეთხეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეცხენეობა, მებოცვრეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და მეაბრეშუმეობა.

კახელმა მეურნემ საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა თეორიული და პრაქტიკული ჩვევები მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისთვის. შეიძინა ბალახეულის ხარისხის, მისი მარგებლიანობის და მოსავლიანობის ღრმა ცოდნა, რაც აუცილებელი იყო მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საქმიანობებში (საძოვრებზე ახალი საკვები ბალახის თესვა, დაზიანებული საძოვრების აღდგენა, საქონლის ჯოგებისა და ცხვრის ფარების საძოვრებზე მორიგეობით ძოვება და ა.შ.). აღსანიშნავია ტრადიციული სანაშენე საქმიანობა. ხალხური სანაშენე ცენტრებში ადგილზე არსებული თუ მეზობელი კუთხეებიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული საქონლის შერჩევა-შეჯვარება და მისი მოვლა-პატრონობა ხდებოდა. კახეთის მხარეში გამოიყვანეს შინაურ ცხოველთა ისეთი აბორიგენული ჯიშები, როგორიცაა თუშური ცხვარი, კახური ღორი, თუშური (კახური) ცხენი,

ქართული მთის რუხი ფუტკრის კახური პოპულაცია, კახური თუთის აბრეშუმხვევია. დიდი ტრადიცია ჰქონდა ხალხურ ვეტერინარულ ცოდნას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, აღმასრულებელი ხელისუფლების არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ, აგრარულ სფეროში პროცესის თვითდინებაზე მიშვებამ, აგრეთვე სასურსათო პროდუქტების იმპორტის ლიბერალიზაციამ, ფაქტობრივად ათეული წლებით უკან დასწია საერთოდ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით კი მეცხოველეობა. ფერმერები ძალზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ აღარ ჰქონდათ სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზები და საჭირო რაოდენობის მიწები, მწყობრიდან გამოვიდა საირიგაციო სისტემები, გაძვირდა საწვავ-საცხები მასალები და სხვ.,

კახეთშიც, როგორც ყველგან საქართველოში, მეცხოველეობის პროფილის მქონე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და ფერმები დაიშალა. კახეთის მუნიციპალიტეტებში მეცხოველეობის დარგები განსხვავებული ხარისხით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ახმეტის რაიონში, კერძოდ, თუშეთში, მეცხვარეობა პირველობს, მეფუტკრეობა – უფრო მეტად სიღნაღსა და ყვარელში, მეფრინველეობა და მეკამეჩეობა – ბარის მხარეებში, მეაბრეშუმეობა – ლაგოდეხში და ა.შ.

მეცხოველეობის მრავალფეროვანი დარგების და განსხვავებული ლანდშაფტურ-კლიმატური ზონების არსებობის პირობებში, კახეთში მესაქონლეობის ტრადიციული ფორმებიდან ბარულს, მთურს და მთაბარულს (ტრანსჰუმანსე) ვხვდებით. მსხვილფეხა მესაქონლეობა განვითარებულია, როგორც ბარში, ისე მთისწინა და მთის რეგიონებში; დღეს კახეთის სოფლებში ბევრ ოჯახში არ ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათი შენახვისთვის აუცილებელი პირობების და სახსრების უქონლობის გამო. რაც შეეხება მსხვილფეხა საქონლის ფერმებს, კახეთის რეგიონში ძირითადად წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობები ფიქსირდება. წვრილფერმერულ მეურნეობებში უმთავრესად გავრცელებულია ძროხის შენახვის ექსტენსიური სისტემა. კახეთის მეცხოველეობის ფერმერულ მეურნეობათა ერთი (მცირე) ნაწილი თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი და უახლეს მეთოდებს იყენებს, ნაწილი კი ჯერ ისევ მოძველებული ტექნიკით სარგებლობს.

საქონლის ხორცის წარმოების მხრივ კახეთი ქვეყანაში მეოთხე ადგილზეა. საქონლის რძის წარმოება რეგიონის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. კახეთში ტრადიციულად რძის მწარმოებელი წამყვანი ზონებია ახმეტა, საგარეჯო, სიღნაღი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო. ბოლო წლებში შესამჩნევია საქონლის რაოდენობის მატების ტენდენცია, რაც დაკავშირებულია მის ექსპორტთან მეზობელ აზერბაიჯანსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. კახეთის რეგიონში ძალზე მწვავედ დგას საძოვრების პრობლემა.

მეცხვარეობა კახეთის სამივე გეოკლიმატურ ზონაში გვხვდება, თუმცა მთაბარული მეცხვარეობის უპირატესობით, განსაკუთრებით თუშეთში, რომელიც ისტორიულად ხორციელდება „თუშეთი-ალვანი-შირაქ-სამუხის" გეოსოციალურ გარემოში. თუშეთშივე ფიქსირდება გადარეკვითი მესაქონლეობისთვის დამახასიათებელი ორხელაობა. კახეთში მეცხვარეობა ახმეტის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს რაიონებში უფრო მეტად არის განვითარებული, რასაც ხელს უწყობს ზამთრის საძოვრებისა და საზაფხულო იალაღების დიდი მასივები. მუნიციპალიტეტებს გააჩნია პირუტყვის გადასარეკი ტრასები, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ზამთრის და ზაფხულის საძოვრებს როგორც რეგიონის შიგნით, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებთან. პრობლემები აქვთ მეცხვარეობის პროდუქტების რეალიზაციის მიმართულებით.

მეღორეობა კახეთის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია, რომელიც ძალიან დაზარალდა 2007-2008 წლებში ღორის აფრიკული ცხელების დაავადების ე.წ. „ღორის გრიპის" გავრცელების გამო, მასობრივად შემცირდა ღორის სულადობა. კახეთში ძირითადად „კახური ღორი" იყო გავრცელებული, რომელიც დღეს გადაშენების პირასაა მისული. ამჟამად გაქრობის პირას მისული კახური ღორის ინდივიდების მოძიებას მოშენების მიზნით ინტენსიურად ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და ესპანური კომპანია De Raza Iberico. მათ ქართული ღორის ჯიშების მოძიება და ხორცპროდუქტების წარმოებაში ინვესტირების სურვილი გამოთქვეს. მიმდინარეობს მოძიებული ჯიშების საკოლექციო-სადემონსტრაციო სანაშენე ფერმების ჩამოყალიბება. კახური ღორის ჯიშის აღდგენაზე ზრუნავს ორგანიზაცია „ელკანაც", რომელმაც ახმეტაში უსასყიდლოდ დაურიგა თითო კახური ჯიშის დედა ღორი იმ ოჯახებს, ვისაც მათი გამრავლება სურდა. დღეს კახეთში ღორის სულადობის მხრივ ყვარელი ლიდერობს.

კახეთს ქვეყნის მეფრინველეობაში მცირე წილი უკავია. რეგიონში ფრინველის ხორცზე, განსაკუთრებით კი ქათმის ხორცსა და კვერცხზე სტაბილურად მზარდი მოთხოვნაა. ფრინველის ხორცის ადგილობრივი წარმოება საკმაოდ მცირეა და ბაზრის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, რაც იმპორტირებული ქათმის ხორცით ბალანსდება. მეფრინველეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია 2005-2006 წლებში ე.წ. ქათმის გრიპმა, რომლის გამოც კახეთში მკვეთრად შემცირდა როგორც ფრინველის, ისე კვერცხის რაოდენობა. დღეისათვის საგარეჯოში, სოფელ პატარძეულსა და ნინოწმინდაში, ამოქმედდა მეფრინველეობის ფაბრიკები. კახეთში მეფუტკრეობას უძველესი დროიდან მისდევენ, კახეთის წილი ქართულ მეფუტკრეობაში ჯერჯერობით საკმაოდ მცირეა. კახეთის ტყეებსა და მინდვრებში არსებული მცენარეების მრავალფეროვნება და სეზონური ყვავილობა მადალხარისხოვანი თაფლის წარმოების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. კახეთში მეფუტკრეობის წამყვანი ზონებია ყვარლის, სიღნაღის და გურჯაანის რაიონები. შესაბამისად, ისინი ამ მხარეში თაფლის მსხვილი მწარმოებლები არიან. რე-

გიონში შექმნილია მეფუტკრეთა ასოციაცია და რამოდენიმე კოოპერატივი, რაც ამ პროდუქტის ექსპორტზე გატანის საფუძველს იძლევა.

ბოლო წლებში თევზის მოშენება კახეთის მხარეში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. აქ გვხვდება როგორც მთის ზონის ცივი წყლის, ისე დაბლობი ზონის თბილი წყლის ტიპის მეთევზეობა. მიმდინარეობს სატბორე და საკალმახე მეურნეობების განვითარება. კახეთში უმეტესია სატბორე მეურნეობები, სადაც აშენებენ სწრაფმზარდი თევზის ჯიშებსა და სახეობებს. რეგიონში უმთავრესად ზრდიან ადგილობრივ და ცისარტყელა კალმახს. ძირითადად გვხვდება ექსტენსიური და ნახევრად ინტენსიური ტიპის მეურნეობები. მიღებული პროდუქციის რეალიზაციას ფერმერები ადგილობრივ ბაზარზე ახდენენ.

1964 წლიდან კახეთში თუთის დაავადებამ თითქმის მთლიანად გაანადგურა თუთის პლანტაციები, შესაბამისად მეაბრეშუმეობის დარგმაც ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. კახეთში თუთის პლანტაციები (ლაგოდეხში, ახმეტაში) დღემდე უფრო მეტად არის შენარჩუნებული, და, ამდენად, მეაბრეშუმეობის განვითარებას აქ საკმარისი პოტენციალი აქვს. დღეს სახელმწიფო ატარებს გარკვეულ ღონისძიებებს ამ დარგის აღორძინებისათვის, ხელს უწყობს ახალი ნარგავების გაშენებას და ძველის გადახალისებას, მეურნეების ფინანსურ მხარდაჭერას. აბრეშუმის პარკს მცირე რაოდენობით აწარმოებენ ახმეტაში და ლაგოდეხში. ფინანსური დაინტერესების შემთხვევაში შესაძლოა დარგის აღორძინებაში გლეხობაც ჩაერთოს.

მართალია კახეთში მეცხოველეობას დღეს აღარ აქვს ოდინდელი მასშტაბები და შესაძლებლობები, მაგრამ კახელი სოფლის მეურნე თანდათან უღებს ალღოს ამ დარგის თანამედროვე გამოწვევებს. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა მეცხოველეობის და მისი პროდუქტის მწარმოებელი ფერმების თუ კოოპერატივების შექმნის მზარდი ტენდენცია, რაც მუშახელის არსებობასა და მის შემდგომ მატებასთან არის დაკავშირებული; ამ საქმიანობით სულ უფრო და უფრო ახალგაზრდა თაობა ხდება დაინტერესებული, რაც იძლევა სოფლად ახალგაზრდების დამაგრების პერსპექტივას. მეორე მხრივ, სახეზეა კვალიფიციური კადრების სიმცირე, ვეტერინარულ ღონისძიებათა ეფექტურობის სისუსტე, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის დაბალი დონე, მოძველებული ტექნიკა, ვეტერინალური ლაბორატორიების არარსებობა, მოუწყობელი გადასარეკი ტრასები და პირუტყვის მოსასვენებელი მოედნები, მოუვლელ-მოუწესრიგებელი საძოვრები, მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ცხოველთა სადგომები, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა.

ТРАДИЦИОННАЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННАЯ КУЛЬТУРА ГРУЗИНСКОЙ ДЕРЕВНИ И ПЕРСПЕКТИВЫ ЕЕ РАЗВИТИЯ
(Историко-этнографические исследования Кахетинского региона)

Природным многообразием и обилием экономических зон в Грузии особенно выделяется Кахетия. Благодатная Алазанская долина представляет собой конгломерат террытории отличающися друг от друга по рельефу и микроклимату. Что особенно явственно отражается в сельскохозяйственной жизни населения Кахетии и значительно определяет ее. Очевидно, что присущие региону климатические характеристики и почвенный покров определяли и определяют разнообразие хозяйственных секторов и закономерности их развития в соответствии с природными хозяйственными зонами, как в далекие времена, так и сегодня.

В Грузии в процессе исторического развития постепенно формировался, соответствующий условиям жизни, весьма многообразный сельскохозяйственный быт, который на протяжении веков не только определял особенности развития хозяйства населения, но и, в значительной степени, обеспечил формирование важнейших пластов материальной культуры и духовного развития. В ранние века в Кахетии уже были сформированы основные особенности хозяйственной жизни: интенсивное развитие зерновых культур и виноградников в Алазанской долине, а в горной полосе, в основном, животноводство. Именно это определяло и сегодня существенно определяет экономический потенциал этого важнейшего региона Грузии. Самостоятельное политическое развитие Грузии всегда обеспечивало оригинальное содержание сельскохозяйственного труда. Следует отметить, что в селах Восточной Грузии сосуществование с древних времен частной и общей (т. е. общинной) собственности находит документальное подтверждение.

С XIX века в Грузии развиваются капиталистические экономические отношения в промышленности и сельском хозяйстве. Процесс капитализации в грузинских деревнях носил противоречивый характер, так как осуществление перехода от традиционных феодальных отношений на новый, капиталистический образ хозяйствования, удалось не всем собственникам. Со второй половины XIX века, вслед за развитием рыночной экономики, развиваются всее традиционные отрасли: виноградарство, животноводство, плодоводство, овощеводство и щелководство. В этот же период начинается процесс отчуждения грузинских сельскохозя-

йственных земель. Главным следствием капитализации Кахетии стало углубление и развитие процесса социальной дифференциации, который не остался незамеченным для Ильи Чавчавадзе, давщему отрицательный отзыв этому явлению: с точки зрения консолидации грузинской нации, он считал его пагубным, и, по его мнению, могло привести к резкой социальной диференциации и к социальным катаклизмам.

Социальная дифференциация грузинской деревни стала особенно узнаваемой в начале XX века. Наибольшее внимание уделялось разработке новых стратегий и тактики развития сельских районов. Следует отметить, что в 1906 году в Кахети, в селе Гулгула Телавского уезда, с участием беднейших крестьян был создан первый образец коллективного хозяйства в Грузии. Мы связываем этот факт с реанимацией отмеченных в грузинской историографии традиций существования общего (то есть общинного) имущества, получившего массовый характер в 30-х годах XX века.

Первая мировая война и, следовательно, экономический коллапс России, нанес серьезный вред и Грузии, как части Российской империи. Октябрьский переворот способствовал созданию первой Республики Грузии под руководством правых социал-демократов. Через определенный период Учредительный совет осуществил национализацию земель, находивщихся в собственности удельных землевладельцев, монастырей, помещиков, и установил предельные нормы для их передачи крестьянам - 7, 15, 40 десятин на семью. Но 25 февраля 1921 года Советская Россия, с помощью грузинских большевиков, начала в Грузии внедрение российской модели социализма.

После установления в Грузии коммунистической диктатуры коммунисты, на определенный период, смогли обеспечить активное участие в рыночных отношениях единоличных крестьянских хозяйств (со всеми внутрисоциальными структурами). НЭП способствовал развитию частного сектора, особенно в сельском хозяйстве. В конце 20-х годов XX века в сельскохозяйственных структурах грузинской деревни удельная доля частного сектора значительно превысила государственный.

После установления в Грузии советского строя в сельской местности всемерно содействовали (особыми льготами, банковскими кредитами и т.д.) развитию коллективных трудовых и организационных отношений. Создавались коммуны, артели, товарищества для совместной обработки земли, но все эти формы развивались только собственными ресурсами – добровольно, без чрезмерного вмешательства со стороны государства и без регуляций. Поэтому, благодаря политике НЭП, социальная дифференциация в грузинской деревне носила довольно ярко

выраженный характер: бедное, среднее и богатое крестьянство//«кулаки» создавали облик советской деревни в середине 20-х годов XX века.

Одной из причин антисоветского восстания 1924 года также явились проблемы в аграрном секторе, что, в определенной степени, было спровоцировано советским правительством с целью тотального уничтожения национально-освободительного движения и установления в стране массового «синдрома страха». Советское правительство сумело прекрасно использовать все еще тяжелое социальное положение в грузинской деревне бедных и беднейших слоев крестьянства, и с их помощью обеспечило «очищение» от остатков дворянства, а 25 процентов их имущества было передано бедным и беднейшим крестьянам.

Советскому государству в деревне был необходим верный союзник, который бы добросовестно, на постоянной основе и без проблем смог бы обеспечивать советское правительство сельскохозяйственной продукцией по твердой государственной цене. Единоличное крестьянское хозяйство во главе с «кулаками» для этого было непригодно. Свидетельством тому стал продовольственный кризис 1928 года.

Ко времени реализации аграрной революции в грузинской деревне в 1929 году, дворянство и духовенство уже было полностью обессилено и превращено в лояльный, аморфный социальный слой. Среди крестьян выделялись бедные, средние и богатые//«кулацкие» слои. Они полностью определяли облик грузинской деревни. Постепенно стала проявляться тенденция того, что для советской системы вряд ли может оставаться приемлемой сосуществование «социалистического города» и «капиталистической деревни».

На первом этапе в партийном руководстве Грузии победу одержала политика форсирования колхозного движения, которая полностью исключала традиционную сельскохозяйственную систему в сельских районах и взамен предлагала внедрение социалистических производственных отношений. В Грузии слепо перенимали высокие темпы сельскохозяйственного строительства, практикуемые в регионах России. Документально подтверждено, что атака на «кулаков» в деревнях Кахетии, лишение их собственности, началось в 1929 году и с различной интенсивностью непрерывно продолжалось до конца колхозного движения. Это, естественно, привело к ответной агрессии - началась «классовая война» против вновь созданных колхозов.

Во время массового форсирования колхозного движения, в Грузии, как и во всем союзном государстве, имели место серьезные отклонения в отношении «среднего крестьянства», когда одну из самых состоятельных его частей причислили к «кулачеству» и «раскулачили», что привело к массированным антисоветским

выступлениям в деревнях и поставило руководство Кремля перед серьезными проблемами. Во избежание тотального крестьянского бунта, был найден компромисс: деревенской общине было предложено разведение «небольших огородов, небольших садов» для личного пользования крестьян. Это стало той находкой, которая остановила крестьянский бунт и дала советскому государству возможность завершения процесса коллективизации.

Сталинский дуализм на многие десятилетия обеспечил развитие колхозного движения в Советском Союзе, а также обусловил сохранение единоличной крестьянской психологии в деревне, что впоследствии привело к коллапсу советской сельской экономики. Новизной являлось и то, что эти «маленькие огороды, маленькие сады»// «приусадебные участки», сельская беднота получила за счет экспроприации земель «раскулаченных» односельчан, что также подтверждается документально. Тем самым советская власть превратила их в активных пособников своих аграрных экспериментов и соучастников государственного террора, осуществленного в отношении «кулаков».

Несмотря на серьезные проблемы, в Грузии колхозы создавались в массовом порядке, но, как подтверждается, они отличались плохой организационной работой, имели место серьезные проблемы в деле освоения агротехнического прогресса, отличалась полной финансовой некомпетентностью и т. д.

В Грузии колхозное строительство, особенно во время правления Л.Берии, отличалось интенсивностью - сталинский тоталитарный режим в то время шел по пути процветания, ускоренная индустриализация вовлекала в свою орбиту и деревню, ежегодно увеличивались ассигнования на производство сельскохозяйственных машин, поощрялась тотальная поддержка и пропаганда коллективного труда. Это была органическая часть деятельности деревенской партийной и общественной организации. Советское правительство, взамен лишения хозяйственной и личностной свободы, предложило крестьянам бесплатное образование, бесплатное медицинское обслуживание, удовлетворение растущих культурных потребностей. Дети бедных крестьян пользовались особыми привилегиями, в конце 30-х годов они составляли важную часть претендентов на получение высшего образования.

В 1936 году Сталин публично заявил, что вместо единоличного крестьянского хозяйства в Советском Союзе образовалось колхозное крестьянство, и что в Советском Союзе уже существовало «крупнейшее в мире механизированное и вооруженное новыми технологиями производство в виде всеобъемлющей системы колхозов и совхозов». В советском руководстве думали, что крестьянство на определенном этапе (во время коммунизма) вообще исчезнет как класс, и его

заменят сельскохозяйственные рабочие. Эта идея в Советском Союзе оказалась утопической.

Постепенно колхозное движение прочно обосновалось во всех республиках Советского Союза. В Грузии также удалось преодолеть имеющиеся трудности и добиться относительно стабильного экономического развития: появились колхозы-миллионеры. И, самое главное, колхозы оправдали ожидания Советской власти во время фатальной войны с фашистской коалицией, так как на протяжении довольно длительной и трагической войны колхозы систематически снабжали государство дешевой и необходимой сельскохозяйственной продукцией. Среди причин, способствовавших мировой исторической победе Советского государства, следует назвать неустанный и самоотверженный труд колхозов и совхозов.

В 60-е годы XX века в Советском Союзе в сельских районах были воплощены в жизнь достаточно необдуманные новации, например, были отменены автотракторные станции, началось форсированное освоение целины и залежных земель в Казахстане, что не было оправданным шагом, работающим в колхозах крестьянам запрещали иметь в личном владении более одной головы крупного рогатого скота и т.д.

60-80-е годы XX века, несмотря на серьезные проблемы, для грузинского сельского хозяйства явились восходящими и доходными. Сельское хозяйство Кахетии было многоотраслевым: наряду с традиционными направлениями (виноградарство, полеводство, садоводство, животноводство), успешно развиваются технологические культуры: табак, производство эфирных масел и др. Статистические сборники указывают, что эти годы являются годами экономического подъема, хотя документально подтверждается и то, что было много проблем и недостатков. Искоренить проблемы пытались организационными мерами: в те годы распространилась вредная практика - преобразование неудачных колхозов в совхозы. В условиях отсутствия здоровой конкуренции советская реальность исключила такую экономическую категорию, как «банкротство», естественный отбор, победу сильной экономической организации и изгнание неспособного, ленивого и неудачного коллектива из хозяйственных отношений. Решение этой проблемы попытались путем изменения социального статуса (крестьянин-колхозник стал рабочим совхоза), что вызвало серьезные проблемы на селе и тяжелым грузом легло на государственный бюджет.

Несмотря на проблемы, 60-80-е годы XX века являются годами социально-экономического развития в грузинской деревне - во всех регионах, везде, в грузинских или негрузинских селах, местные крестьяне-колхозники значительно улу-

чшают свое социальное положение, что проявляется в массовом строительстве новых частных домов и резком улучшении условий жизни.

Несмотря на высказанные в постсоветской специальной литературе воззрения о вредном, преступном характере коллективного труда в Грузии («вызвал обленение мужика», «отчуждение от земли», «советская эксплуатация крестьян» и т.д. и т.д.), как документально, так и во время этнографических экспедиций, организованных в регионе Кахети в 2015-2018 гг., были зафиксированы позитивные взгляды о характере трудовом в колхозах советского периода. Большинство опрошенных пожилых респондентов испытывают ностальгическое чувство по «колхозной эпохе», полагая, что тогда «все было лучше организовано», они были «финансово прекрасно обеспечены», а работа была «интересной и плодотворной». Однако документально также подтверждается, что в начале 90-х годов XX века большинство сельского населения Грузии выступало за упразднение колхозов и являлось сторонником частной собственности.

Аграрная политика нового политического руководства Грузии противоречива и непоследовательна - последние 28 лет ясно показывают, что, несмотря на многочисленные резолюции и составленные по «европейским стандартам» проекты, вывести сельское хозяйство Грузии из кризиса так и не удалось. Причины этого следует искать в особенностях мировоззрения грузинского руководства, а также в тех целях и задачах, которые они ставили перед грузинской деревней. В результате такой деятельности мы получили самое разрушенное, разоренное сельское хозяйство среди стран постсоветского периода, с экономически отсталым населением. В развитии этого деструктивного процесса, сознательно или бессознательно, достаточно негативное значение приобрело то радикальное общественное мнение, которое учитывало разрушение всех завоеваний советской эпохи на селе. Совершенно необдуманно были упразднены колхозы и совхозы (из которых многие были высокоорганизованные, трудовые коллективы-миллионеры), а их земли раздроблены. Грузия вдруг превратилась в единоличное крестьянское (семейное) хозяйство, а рядовой крестьянин остался один на один перед множеством финансовых, экономических и организационных проблем. Исходя из этого, мы получили весьма долгосрочный экономический кризис в деревне, резкое снижение производства сельскохозяйственной продукции в стране и деградацию грузинской деревни.

Трудная ситуация, создавшаяся в грузинской деревне, безостановочное падение сельского хозяйства зарубежные эксперты связывали с заменой одной социально-экономической формации другой. В то же время, по их мнению, сегодня можно считать навсегда утерянными те благоприятные условия торговли, в

которых находился сельскохозяйственный сектор Грузии во время социалистической системы. Обусловленное природными условиями преимущество, которым обладала Грузия по сравнению с другими странами, входящими в Советский Союз, существует и поныне, но в условиях рыночной экономики, которая облегчает торговлю по всему миру, оно относительно менее важно.

Экономические и социальные последствия 28-летнего исторического отрезка времени в грузинской (кахетинской) деревне плачевны: резко сократилась численность населения, многие эмигрировали.

Политическое руководство Грузии, которое говорит об определенных успехах, пытается ввести в практику понятие «фермера» для характеристики некоторых категорий сельского хозяйства, но проведенная полевая этнографическая работа и существующие статистические данные не указывают на наличие в Грузии социальной категории «фермера». Мы предполагаем, что с точки зрения, как экономической, так и социальной психологии, столь небольшой отрезок времени недостаточен для формирования классического «фермера». В последние годы в Грузии предпринимается попытка реанимации кооперативного движения. В последние годы при поддержке правительства Грузии и организаций зарубежных государств (Чехии, Германии, Евросоюза и т. д.) было создано несколько кооперативных союзов в различных областях сельского хозяйства Кахетии.

Серьезными недостатками в грузинской деревне была отмечена государственная программа занятости и практика социальной помощи. Проведенные полевые этнографические исследования подтвердили, что существующая практика социальной помощи не выдерживает никакой критики и часто становится причиной конфронтации между соседями. Во многих районах Кахетии социальные проблемы чрезвычайно сложны - почти нет семьи, в которой женщина или мужчина не эмигрировали в другую страну в поисках заработка. Молодежь больше не остается в сельской местности и уезжает на заработки в город. Полученные из-за рубежа деньги и государственная социальная помощь реально негативно влияет на определенную часть крестьянства, которая обленилась, поэтому необходимо быстрое реагирование на указанные проблемы. Неправительственная организация «Сельское сообщество» и ее местные структуры пытаются активизировать сельское население, формировать у них различные профессиональные навыки, чтобы рядовой крестьянин сумел сам организовать свой малый бизнес, найти альтернативное направление для работы в сельской местности. Но это дело пока находится на начальной стадии и не характеризуется особой эффективностью. Особую надежду вселяет наличие профессионально-технических образовательных очагов в Кахетии, растущий

контингент колледжа, имеющего профиль профессионального образования, сильная материально-техническая база с перспективой создания кабинетов-лабораторий европейского уровня, обеспечение полностью грузинской деревни соответствующими специалистами для агросектора.

Исторически во всей Грузии центром виноградарства является Кахетия, где распространено около восьмидесяти сортов виноградной лозы. С древних времен, для экономического благосостояния Грузии, виноградно-винодельческие и зерновые культуры имели равное значение. Примечательно, что Грузия за всю свою историю никогда не осуществляла импорта продовольственных товаров из других стран, в том числе пшеницы. Из Грузии на протяжении всей ее истории и поныне вино являлось одним из основных экспортируемых сельскохозяйственных продуктов.

Кахетия даже в Грузии отличается своими уникальными геоклиматическими условиями, разнообразием почв, развитых с древних времен многообразием традиционных сельскохозяйственных культур. Из анализа этнографического материала, добытого в Кахетии в 2015-2017 годах, становится ясно, что здесь имеется достаточный резерв для внедрения традиционных экономических знаний и современных технологий во всех областях сельского хозяйства для повышения урожайности на гектар и, следовательно, улучшения экономического состояния грузинской деревни.

70% виноградников Грузии сосредоточено в Кахетии. Традиционно виноградники, дающие виноград для лучших сортов вина, расположены на высоте 400-700 метров над уровнем моря, в бассейнах рек Алазани и Иори. Хотя Кахетия является зоной виноградарства, но каждый муниципалитет, а иногда и каждая деревня характеризуется различным микроклиматом и разнообразием почв, поэтому один и тот же сорт не может давать урожая одинакового качества, таким образом, существуют микрозоны виноградарства, где производятся вина с названием мест изготовления. Среди известных 18-и грузинскихвинБ названных по месту изготовленияБ 14 являются Кахетинскими: Цинандали, Гурджаани, Вазисубани, Ахашени, Манави, Карданахи, Тибаани, Кахети, Котехи, Напареули, Мукузани, Телиани, Киндзмараули, Кварели.

Из многочисленных сортов кахетинских виноградных лоз (около 80) лишь немногие получили сегодня широкое распространение. Промышленное назначение способствовало распространению повсюду только лишь Ркацители и Саперави и лишь небольшого количества кахетинского Мцване и Киси. Эта тенденция берет свое начало со второй половины XIX века, чему способствовал интенсивный процесс превращения вина в товарный продукт. Поэтому виногра-

дари стали в основном разводить те виноградные сорта, которые характеризуются высокоурожайностью.

К 80-ым годам XX в. виноградарство в Кахетии, как по занимаемой виноградником площади, так и по объему продукции, достигло наивысшего уровня. Социально-политические трудности, возникшие в Грузии после земельной реформы 90-х годов, привели к упадку почти во всех отраслях сельского хозяйства, включая виноградарство и виноделие. Согласно этнографическому материалу, в основных районах виноградарства, после упразднения колхозов резко сократилось количество виноградников, чему способствовали разные причины, в частности: после земельной реформы, большая часть виноградников, переданных кахетинским крестьянам, распологалась достаточно далеко от почти каждой деревни. Виноградники ближе всего были расположены в 5-8-10 километрах от селений Телавского, Гурджаанского, Кварельского и Ахметского муниципалитетов, а от сел Сигнахи и Дедоплисцкаро - в 25-45 км. Из-за отсутствия транспорта население испытывало трудности с обработкой расположенных на далеком расстоянии виноградников. Большинство из них были разбиты в 60-70-х годах XX века, отличались разреженностью, так что даже при хорошем уходе возместить затраченный на них труд не представлялось возможности. Эти причины привели к отказу от виноградников, к их вырубке.

К процессу продажи и вырубки виноградников отношение сельских жителей неоднозначное. После земельной реформы в селах Кахетии стали развиваться характерные для капиталистического хозяйства процессы, произошедшие социально-экономические изменения привели к обеднению части жителей, которые оказались вынужденными продать землю, оставив себе виноградники лишь на небольшом участке для личного пользования, а некоторые, наоборот, приспособились к новой ситуации, приобрели земли и стали состоятельными людьми. Эта имущественная дифференциация вызвала по отношению к происходящим сегодня в селе процессам негативное отношение со стороны имеющих небольшой доход и небольшие семейные хозяйства крестьян (1,25 га), которые по иному оценивают создавшуюся после упразднения колхозов ситуацию. Малоземельные фермеры (владеющие 5-10 гектарами) по иному относятся к создавшейся сегодня ситуации и развитию сельского хозяйства, чем владельцы многоземельных участков (10-20 и более гектаров). В деревнях Кахетии много мелких, средних и крупных виноградарей, но основные площади находятся в собственности семейных хозяйств. Значительная доля виноградников принадлежит крупным коммерческим винным заводам.

Согласно этнографическим материалам, разбываются новые виноградники, но это обходится очень дорого из-за высокой стоимости привитых саженцев, (1-2,5 лари). Самым дорогим является саженец Саперави. Чтобы разбить виноградник, важно иметь саженцы хорошего качества, но его покупка не всем по карману. До 90-х годов прошлого века во всех основных районах виноградарства Кахетии имелись государственные питомники. В настоящее время, в след за новыми виноградниками, выведение привитых саженцев стало доходным делом. В разных деревнях питомники находятся в собственности частных лиц, знающих способ выведения саженцев.

Одним из наиболее важных факторов в области виноградарства является уровень профессиональных знаний профессиональных виноградарей. Было бы лучше, если бы наряду с традиционными способами ухода за виноградниками (которыми, по целому ряду причин, они уже не владеют, или из-за изменившихся климатических условий, новых заболеваний виноградной лозы уже являются менее результативными) они изучали бы современные технологии ухода за виноградной лозой и производства винограда, а также овладели бы навыками и умениями, необходимыми для развития бизнеса и успешного включения в рыночные отношения. Проблемой стало и то, что в селе нет агронома, у которого, в случае необходимости, можно спросить совета. В Грузию завозят и в агрохимических магазинах продается множество ядохимикатов, свойства и способ притежения которых неизвестны крестянам (фермерам), многие из них не владеют знаниями современных агротехнологий.

Согласно сегодняшним данным, столовый виноград выращивается на небольших площадях, полученный урожай настолько мал, что не может обеспечить внутренний рынок даже на один месяц, поэтому развитие этого направления виноградарства в Кахетии имеет большой потенциал, наряду с развитием инфраструктуры холодильного оборудования.

Разнообразие почвы и климата Кахетинского региона является основой получения экологически чистого продукта без чрезмерного химического вмешательства. На сегодняшний день доля сертифицированных и несертифицированных био-хозяйственников в области виноградарства и виноделия - небольшая. Потому что, наряду с традиционным знанием хозяйства, оно подразумевает необходимость ознакомления с современными научными достижениями, отказ от применения ядохимикатов и т. д. Но тем не менее, цена вина из таких хозяйств остается относительно высокой, что в будущем увеличит число фермеров, заинтересованных в развитии вышеупомянутых хозяйств. Существует тенденция, что в будущем возрастет потребность в биологически чистом сельско-хозяй-

ственном продукте, без ядовитых химических веществ. Это требование рынка увеличит цену продукции, что даст фермеру дополнительный стимул заботиться не о количестве, а о качестве урожая.

В соответствии с новыми данными, наилучшим и продуктивным способом решения проблем в области виноградарства и виноделия является объединение малоземельных фермеров в корпорации. Согласно этнографическому материалу, другого пути у них нет, потому что в перспективе, через 4-5 лет ни одна винодельческая компания больше не будет закупать виноград у крестьян. Прежде всего потому, что у них самих уже есть большие виноградники, а во-вторых, с виноградарами обязательно будет подписано соглашение: как они должны ухаживать за виноградником, какими препаратами их опрыскивать и т. д. В противном случае виноделы такой виноград не примут. Качественное вино производится из качественного винограда, поэтому, естественно, что в условиях рыночной конкуренции винодельческие заводы не будут принимать виноград низкого качества.

В 90-е годы XX века начался очень трудный период для виноградарства и виноделия Кахетии. Вполовину уменьшилась площадь, занятая виноградниками в Кахетии, урожайность винограда снизилась, стала невозможной сдача винограда на перерабатывающие заводы, потому что большинство из них было опустошено и заброшено, а деятельность части из них была приостановлена новыми владельцами. Переход государства, живущего по плановым пятилеткам, на рыночную экономику, приватизация заводов и предприятий, вызвала растерянность среди владельцев, они не оказались готовыми к таким фундаментальным изменениям. Фактически остановилось производство вина и других алкогольных напитков. К этому добавилось российское эмбарго. Раньше 80% грузинского вина отправлялось в Россию, с 27 марта 2006 года и этот рынок оказался блокированным.

В честь грузинских виноделов следует сказать, что, несмотря на семилетнего российского эмбарго, часть из них сумела не только спасти грузинское вино, но и вывести его на качественно новый этап. По данным винного агентства, на сегодняшний день грузинское вино продается уже в 50 странах.

Согласно этнографическим материалам, полученным нами в Кахетии в 2015-2017 годах, виноградарство и виноделие в Кахетии имеют большой потенциал для развития, а развитие виноградарства и качественный урожай определяют соответствующее современным стандартам виноделие. Из винных сортов в Кахетии основные площади заняты Ркацители и Саперави, кахетинское Мцване находится на третьем месте, но занимает небольшую площадь. В перспективе,

кроме Ркацители и Саперави необходимо подумать о разведении других кахетинских сортов,: кахетинского Мцване, Хихви, Киси, Грдзелмтевана, Будешури Красного, Читиствала и др.

В Кахетии традиционное виноделие органически связано с квеври, с давильней для винограда и с марани - (винным погребом). Грузинское (кахетинское) традиционное виноделие без квеври невообразимо. Как указывают исторические источники, грузинские виноделы использовали квеври для изготовления вина с незапамятных времен. В винном погребе, наряду с квеври, обязательно есть давильня. В Кахетии между основными посудами для виноделия, давильней и квеври, существует резкая функциональная дифференциация: давильня служит только для выжимания сока из винограда, в квеври настаивается и хранится вино. В Восточной Грузии была распространена каменная давильня, часто из двух отделений.

Со второй половины XIX века производителями вина в Грузии, и в частности, в Кахетии, в основном были князья. Большой удар грузинскому (кахетинскому) виноградарству-виноделию был нанесен в результате общественно-политических процессов, возникших после прихода большевиков в Грузию, после «раскулачивания» и национализации собственности.

Ситуация относительно улучшилась в 30-е годы XX века. В 1929 году была создана винодельческая организация «Самтрест», в чьих руках в основном было сосредоточено, как производство, так изготовление и сбыт продукции. Сегодня в Грузии ведущей организацией виноградарства и виноделия является «Винное агентство», функционирует «Союз сомелье», «Объединение виноделов», «Ассоциация молодых виноделов», «Совет старейшин», винная компания «Квеври», «Винный клуб», Грузинский традиционный фонд вина и т. д.

В Грузии во второй половине XIX века была дана отрицательная оценка кахетинской традиции изготовления и хранения вина в квеври, которая была возобновлена в 60-х годах XX века, а в 1980-х годах, как во всей Грузии, а также в Кахетии, производство вина в квеври вновь было игнорировано. В Грузии в 70-80-х годах винные заводы изготовляли вино в основном только по европейским технологиям. Сегодня часть винодельческих компаний в Кахетии производит вино как традиционным кахетинским методом в квеври, так и по европейским технологиям.

В Кахетии основу европейского виноделия заложил Александр Чавчавадзе. Первым грузинским профессиональным виноделом, который в своем имении, в селе Сабуе Кварельского района следовал, как традиционным кахетинским, так

и европейским методам изготовления вина, был Закария Джоорджадзе, который организовал в своем селе первый качественный винный завод.

На сегодня настаиваемое в квеври грузинское вино признанно ЮНЕСКО памятником нематериальной культуры, что является заслуженным признанием грузинского вина (квеври) международной арене. После долгих лет негативной оценки настаиваемого в квеври вина, мнение известных в стране специалистов-виноделов о нем стало стимулом для грузинских виноделов. Сегодня традиционным кахетинским методом, вместе с семейными винными погребами, которых очень много в селах всех муниципалитетов, пользуется уже часть больших винодельческих компаний.

Популяризация традиционного кахетинского виноделия, изготовления вина в квеври, способствовала успешному развитию одного из направлений агротуризма - «Винному пути». Основным фактором для этой деятельности также является наличие традиционных винных погребов. Винные туры дают гостям возможность посещать и осматривать открытые и закрытые марани (винные погребы), принимать участие в ртвели – в сборе винограда и выжимании виноградного сока, дегустировать производимое на месте вино и т.д. Согласно этнографическим материалам, этот новый сельскохозяйственный бизнес, семейный туризм для грузинского села, имеет достаточно хорошую перспективу развития.

Согласно полученным в Кахетинском регионе этнографическим материалам и статистическим данным, начиная с 90-х годов XX века, создалась тяжелая ситуация в области полеводства и севооборота зерновых культур. Одной из основных причин сокращения засева площадей стало разделение пахотных земель. По муниципальным образованиям, в Кахетии в этом отношении созданы разные условия. В относительно лучшем положении оказались жители села Дедоплисцкаро, как по величине пахотных площадей, так и из-за небольшого числа жителей (в регионе всего 8% жителей). Как подтверждают этнографические материалы, крестьяне, «имеющие не более 5 гектаров пашни, считаются малоземельными», и на указанной площади владелец имеет право для выращивания зерновых культур использовать соответствующую технику. По статистическим данным, фермеры Дедоплисцкаро также могут позволить себе хранить 100%-ов полученного урожая, и не продавать пшеницу по низкой цене. В других муниципалитетах в 1,25 сотых земли, полученных после земельной реформы, включена как площадь, занятая многолетними культурами, так и площадь для полеводства. На таких небольших участках использование техники для уборки зерновых культур затруднено.

С древних времен в Грузии существовали разные сорта овощных культур. И сегодня овощеводство является одной из важнейших областей сельского хозяйства Кахетии. Овощи выращиваются, как на открытых грунтах, так и в тепличных хозяйствах, особенно в Лагодехском муниципалитете, который имеет большой потенциал для развития этого сектора.

Грузия, исходя из ее уникальных условий, имеет очень хорошую перспективу, чтобы стать серьезным производителем и конкурентоспособным экспортером биопродукции. Благодаря географическому расположению, Ахметский муниципалитет имеет большие возможности для развития биохозяйства. С точки зрения потенциала для развития биоовощеводства в том же регионе, следует отдельно выделить Тушетию, где есть все условия для выращивания биологически чистых овощей, особенно картофеля, потому что на местных полях никогда не использовали минеральные удобрения и пестициды.

Со второй половины XX в. в Кахетии увеличились площади, на которых стали выращивать бахчевые культуры (арбуз, дыня), особенно, с начала 90-х годов, но это стало возможным за счет сокращения площадей виноградников. Более прибыльным стало выращивание дыней и арбузов, чем винограда. Многие семьи и сегодня заняты этим делом. В перспективе, для развития этой отрасли большое значение приобретает качественный семенной материал.

В Грузии плодоводство является одной из старейших и хорошо развитых отраслей. Согласно информации, сохранившейся в этнографических материалах, отбор и разведение садового участка предусматривал соблюдение многих существенных условий. Микроклиматические условия и плодородные почвы Кахетии являются хорошей основой для развития плодоводства. Его эффективность напрямую связана с развитой системой орошения.

Для дальнейшего развития, как овощно-бахчевых культур, так и плодоводства, обязательным условием является развитие холодильных и складских инфраструктур, позволяющая фермерам хранить свою продукцию, а затем сбалансированно доставлять их на рынок. Для региона также будет важно восстановление предприятий по переработке фруктов и овощей, консервных предприятий в соответствии с современными технологическими требованиями. Это будет способствовать развитию как вышеупомянутых отраслей сельского хозяйства, так и созданию новых рабочих мест для сельских жителей, улучшению сельских социально-экономических условий, остановит опустошение деревень.

В последнее время в Кахетии особый интерес проявляется к ягодным культурам, таким как черника, малина, ежевика, смородина, клубника. Прежде всего, это

связано с растущим спросом на внутренних и внешних рынках, что дает перспективу достаточно солидных доходов на небольших земельных участках.

Анализ этнографического материала позволяет сделать вывод о том, что конкретные виды сельскохозяйственного производства имеют важное значение для развития малоземельных фермерских объединений, кооперативов. Это позволит им пользоваться целым рядом преимуществ, которые предусмотрены правительством и другими организациями-донорами, например, приобретать по низкой цене удобрения, лекарственные препараты, саженцы, агротехнику, совместно создавать перерабатывающие предприятия и выходить на международный рынок.

Обязательно следует коснуться наиболее болезненного явления, распространившегося в грузинской деревне после земельной реформы. Это отчуждение земель сельскохозяйственного назначения и лугопастбищных угодий. Это явление не дает деревне возможности развиваться. Этнографические материалы показывают, что подобные «инвестиции» не оправдали себя, часто землю покупают такие люди или организации, которая никогда не имели связи с сельским хозяйством, и производимая ими продукция гораздо хуже, чем продукция, производимая местным населением. Мы можем привести пример сегодняшних египетских владельцев земли в селе Элиацминда Сигнахского района, которые получают урожай зерновых культур в три раза меньше. Многие деревни остались без лугопастбищных угодий, а скот пасется или на виноградниках или на межах между участками в поле. Эта проблема способствует миграции сельского населения.

Геоморфологические особенности Кахетского региона, огромные массивы лугопастбищных угодий, наряду с благоприятными агроклиматическими условиями, всегда создавали наилучшие условия для развития животноводства, и именно эта отрасль являлась одним из основных направлений в сельском хозяйстве этого края. Здесь с большей или меньшей интенсивностью представлены всее основные направления географической и климатической зональности: разведение крупного рогатого скота (молочное скотоводство, буйловодство), овцеводство, козеводство, свиноводство, птицеводство, коневодство, кролиководство, пчеловодство, рыболовство и щелководство.

Хозяин-кахетинец на протяжении веков разрабатывал теоретические и практические навыки для развития различных отраслей животноводства. Приобретал знания о качестве, пользе и урожайности трав, что было необходимо для развития животноводства (посев на пастбищах новых кормовых трав, восстановление поврежденных пастбищ, попеременный выпас крупного рогатого

скота и отары овец на пастбищах и т.д.). Следует упомянуть и о традиционной селекционной деятельности. В народно-селекционных центрах проходил отбор и скрещивание местного или привезенного из соседних районов высокопродуктивного скота. В Кахетии вывели аборигенную породу домашних животных, таких, как тушинские овцы, кахетинские свиньи, тушинские (кахетинские) лошади, кахетинскую популяцию грузинской серой горной пчелы, кахетинского шелкопряда. Существовала большая традиция народных ветеринарных знаний.

После распада Советского Союза, ошибочная аграрная политика исполнительной власти, пуск на самотек процесса в аграрной сфере, а также либерализация импорта продовольственных товаров, фактически, способствовали отставанию на десятилетия в сельском хозяйстве, особенно в животноводстве. Фермеры оказались в очень сложной ситуации: у них не было надлежащей материально-технической базы и достаточно земли, вышли из строя ирригационные системы, подорожали горюче-смазочные материалы и т. д.

В Кахетии, как и везде в Грузии, колхозы и совхозы, предприятия и фермы с животноводческим профилем развалились. В муниципалитетах Кахетии отрасли животноводства представлены в разном качестве. Например, в Ахметском районе, а именно в Тушетии, на первом месте стоит овцеводство, пчеловодство, в основном, развивается в Сигнахи и Кварели, птицеводство и буйловодство – на равнинных местах, шелководство - в Лагодехи и т. д.

В условиях существования разнообразных отраслей животноводства и различных ландшафтно-климатических зон, в Кахетии среди традиционных форм животноводства встречаются равнинные, горные и горноравнинные (трансгуманы) формы. Разведение крупного рогатого скота развивается, как на равнинных, так и в предгорных и горных регионах. Сегодня в селах Кахетии многие семьи не имеют крупного рогатого скота из-за отсутствия необходимых условий и ресурсов для их содержания. Что касается скотоводческих хозяйств, то в регионах Кахетии в основном зафиксированы мелкие и средние фермерские хозяйства. В небольших фермерских хозяйствах в основном распространена экстенсивная система содержания коров. Одна (небольшая) часть фермерских животноводческих хозяйств Кахетии оснащена современной техникой и использует новейшие методы, в то время как часть по-прежнему использует старые методы.

Кахетия занимает четвертое место в стране по производству мяса. Производство молочных продуктов является одним из основных источников дохода для населения региона. В Кахетии традиционными зонами по производству молока являются Ахмата, Сагареджо, Сигнахи, Лагодехи и Дедоплисцкаро. В последние годы наблюдается тенденция увеличения количества товаров, связанных с его

экспортом в соседний Азербайджан и Исламскую Республику Иран. В Кахетинском регионе особенно остро стоит проблема пастбищ.

Овцеводство встречается во всех трех географических зонах Кахетии, преимущественно в горно-равнинной, особенно в Тушетии, которая исторически реализуется в геосоциологической среде «Тушети-Алвани-Ширак-Самух». В самой Тушетии зафиксирована характерная для животноводства перегонка скота. В Кахетии овцеводство более всего развито в Дедоплисцкаро, Ахметском и Сагареджойском районах, чему способствуют большие массивы зимних и летних пастбищ. Муниципалитеты имеют трассы для перегонки скота, которые соединяют между собой зимние и летние пастбища как внутри региона, так и других регионов страны. Существуют проблемы в реализации продуктов овцеводства.

Свиноводство является традиционной сельскохозяйственной отраслью Кахетии, которая понесла убытки в 2007-2008 гг. в связи с распространением африканской свиной лихорадки, так называемым «свиным гриппом». Резко сократилась численность свиней. В Кахетии были широко распространены «кахетинские свиньи», которые сейчас находятся на грани исчезновения. Сегодня для спасения находящихся на грани исчезновения кахетинских свиней, Исследовательский центр сельскохозяйственных исследований и испанская De Raza Iberico интенсивно заняты поисками этой породы для разведения. Они высказали желание разыскивать грузинские породы свиней и инвестировать производство мясных продуктов. В настоящее время ведется работа по созданию коллекционно-демонстрационных племенных ферм. О восстановлении кахетинских свиных пород заботится и организация «Элькана», которая в Ахмета безвозмездно раздала свиней кахетинской породы тем семьям, которые высказали желание их разведения. Сегодня по численности свиней лидером в Кахетии является Кварели.

Доля участия Кахетии в птицеводстве страны - невелика. Однако в регионе неуклонно растет спрос на куриное мясо и яйца. Местное производство не может удовлетворить это требование. Местное производство мяса птицы довольно невелико и не удовлетворяет рыночного спроса, что балансируется импортным куриным мясом. Негативное влияние на птицеводство оказал распространившийся в 2005-2006 гг. куриный грипп, из-за которого в Кахетии резко сократилась численность как птиц, так и яиц. В настоящее время в Сагареджо начали функционировать птицефабрики в Патардзеули и Ниноцминда.

Пчеловодством в Кахетии заняты с древнейших времен, однако доля Кахетии в грузинском пчеловодстве все еще довольно невелика. Разнообразие растений в кахетинских лесах и полях и сезонное цветение является одним из основных факторов производства высококачественного меда. Основными зонами пчело-

водства в Кахетии являются Кварельский, Сигнахский и Гурджаанский районы. Следовательно, они являются крупными производителями меда в этих областях. В регионе создана «Ассоциация пчеловодов» и несколько кооперативов, которые дают основу для экспорта этого продукта.

В последние годы рыбоводство является одним из приоритетных направлений сельского хозяйства в регионе Кахетии. Здесь встречается рыбоводство как в холодной воде горной зоны, так и в теплой воде низинной зоны. Развиваются прудные и форелевые хозяйства. В Кахетии в основном преобладают прудные хозяйства, где разводят виды и породы быстрорастущих рыб. В основном встречаются хозяйства экстенсивного и полуинтенсивного типа. Полученный продукт фермеры реализовывают на местном рынке.

С 1964 года болезнь тутовых деревьев в Кахетии почти полностью уничтожила тутовые плантации и, соответственно, отрасль шелководства фактически прекратила свое существование. Тутовые плантации в Кахетии (Лагодехи, Ахмета) сегодня более-менее сохранены, и поэтому здесь существует достаточный потенциал для развития шелководства. Сегодня государство осуществляет определенные меры по возрождению этой отрасли, способствует посадке новых саженцев и обновлению старых, поддерживает фермеров в финансовом плане. Шелковичные коконы в небольшом количестве производят в Ахмета и Лагодехи. В случае финансового интереса крестьяне могут также участвовать в возрождении данной отрасли.

Несмотря на то, что животноводство в Кахетии больше не имеет прежних масштабов и возможностей, сельское хозяйство Кахетии постепенно ставит современные задачи в этой отрасли. В последние годы наблюдается растущая тенденция создания фермерских животноводческих хозяйств и ферм или кооперативов, производящих их продукцию, что связано с наличием рабочей силы и ее последующим ростом. В этой деятельности все более и более заинтересовано молодое поколение, что дает возможность их закрепления на селе. С другой стороны, налицо нехватка квалифицированных кадров, слабая эффективность ветеринарных мероприятий, низкий уровень организации и управления производства, устаревшее оборудование, отсутствие ветеринарных лабораторий, необустроенные трассы для перегонки скота и площадок для отдыха, неухоженные пастбища, устаревшие и вышедшие из строя стоянки для животных, хотя, следует сказать, что в последние годы в этом направлении предприняты определенные шаги.

სარჩევი

შესავალი 3

თავი I *(მედეა ბურდული)* 8

გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და ბუნებრივ-სამეურნეო ზონები კახეთში 8

თავი II *(ალექსანდრე დაუშვილი)* 25

სასოფლო-სამეურნეო ყოფის ფორმირება საქართველოში (კახეთი) 25

§ 1. ქართული სოფლის გენეზისი და მისი ევოლუცია 25
§ 2. კაპიტალისტური წეს-წყობილება ქართულ სოფელში 35
§ 3. გულგულას კომუნა 42
§ 4. ქართული სოფელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში 46

თავი III *(ალექსანდრე დაუშვილი)* 52

საბჭოთა ხელისუფლების აგრარული კანონმდებლობა 52

§ 1. საბჭოთა ხელისუფლების პირველი ღონისძიებები აგრარულ სექტორში და მისი შედეგები 52
§ 2. 1924 წლის აჯანყება და აგრარული საკითხი 58
§ 3. სიახლეები ქართულ სოფელში 61
§ 4. „ნეპის“ ეკონომიკური შედეგები სოფლად 65

თავი IV *(ალექსანდრე დაუშვილი)* 70

საქართველოს სოფლის სოციალური სტრუქტურა საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყების წინ (კახეთის რეგიონის მაგალითზე) 70

§ 1. თავადაზნაურობა 70
§ 2. სოფლის სასულიერო წოდება 73
§ 3. სოფლის გურჭუაზია ანუ „კულაკების“ საკითხისათვის 74
§ 4. ღარიბი და ულარიბესი გლეხობა ანუ „სოფლის პროლეტარიატი“ 78
§ 5. „საშუალო გლეხის“ საკითხისათვის 85
§ 6. საერთვნებათაშორისო ურთიერთობები სოფელში 90

თავი V *(ალექსანდრე დაუშვილი)* 97

საკოლმეურნეო მოძრაობის ფორსირება 97

§ 1. პრინციპული დაპირისპირება საბჭოთა ხელმძღვანელობაში სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე 97
§ 2. 1928 წელი 99
§ 3. კოლექტიური მეურნეობის პირველი რეალიზატორები კახეთში. 101
§ 4. სოფლის მდიდარი ფენის რეაქცია 105
§ 5. სიძნელეები და პრობლემები საკოლმეურნეო მშენებლობის გზაზე 108
§ 6. „კლასობრივი ომი“ სოფელში 118

თავი VI *(ალექსანდრე დაუშვილი)*.....122
საკოლმეურნეო მოძრაობის „გამარჯვება“.....123
§ 1. თავგრუდახვევა – „წარმატებისაგან“!?.....123
§ 2. ე. წ. „საკარმიდამო ნაკვეთების“-ს საკითხისათვის.....127
§ 3. ახალი ტერიტორიები, ახალი მიწები – ახალი კოლმეურნეობები!.....132
§ 4. კოლმეურნეობების ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი განვითარება.....135
§ 5. კოლექტიური მეურნეობა – მრავალდარგოვანი მეურნეობა.....136
§ 6. „კადრები წყვეტენ ყველაფერს!“.....142
§ 7. მანქანა-ტრაქტორების სადგურები კახეთში.....144
§ 8. სტახანოვური მოძრაობა სოფლად.....146
§ 9. „კულაკების“ როგორც კლასის ლიკვიდაცია საქართველოში.....150
§ 10. კოლმეურნეობამ „გაიმარჯვა“?!.....155
§ 11. დიდი გამოცდა.....160

თავი VII *(ალექსანდრე დაუშვილი)*.....166
კახეთის სოფლის მეურნეობა სოციალიზმის რუსული მოდელის კრიზისის პერიოდში.....167
§ 1. სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საბჭოთა კავშირში.....167
§ 2. კახეთისათვის ტადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგები XX საუკუნის 60-80-იან წლებში.....171
§ 3. ხორგლეული კულტურები.....189
§ 4. ტექნიკური კულტურები კახეთში.....195
§ 5. „დიდი ბაღები, დიდი ბოსტნები...“ კახეთში.....202
§ 6. სოფლის მეურნეობის დარჩენილი დარგები.....207
§ 7. სოფლის სამეურნეო-ორგანიზაციული საკითხები.....211
§ 8. კიდევ ერთხელ კომუნისტური რეჟიმის დროს შრომის შინაარსის და შრომის ხასიათის შესახებ.....216
§ 9. ფინანსურ-ეკონომიკური საკითხები.....223
§ 10. სამრეწველო საწარმოები სოფლად.....227
§ 11. ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება.....229
§ 12. კიდევ ერთხელ „საკარმიდამო მამულის“ საკითხისათვის.....235
§ 13. პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სოფლად.....240
§ 14. კახეთის სოფლის სოციალური ინფრასტრუქტურა.....243
§ 15. საბჭოთა აგრარული სისტემის კრახი.....248

თავი VIII *(ალექსანდრე დაუშვილი, მედეა გურდული)*.....255
ახალი ქართული სოფელი.....255
§ 1. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის აგრარული პოლიტიკის გაგებისათვის (ალექსანდრე დაუშვილი).....255
§ 2. რადიკალური აგრარული რეფორმა და ქართული საზოგადოებრივი აზრი(ალექსანდრე დაუშვილი).....270
§ 3. საზღვარგარეთელი ექსპერტი-აგრარიკოსები ქართულ სოფელში (ალექსანდრე დაუშვილი).....285
§ 4. დემოგრაფიული, სოციალური და ეროვნებათაშორისო ურთიერთობები კახეთში (ალექსანდრე დაუშვილი).....296

§ 5. ერთპიროვნებული გლეხური (საოჯახო) მეურნეობა კახეთში (ალექსანდრე დაუშვილი).....306
§ 6. საქართველოში „ფერმერის“ სოციალური კატეგორიის გარკვევისათვის – საკითხის დაყენება (ალექსანდრე დაუშვილი).....315
§ 7. საქართველოს სოფელში „კოოპერატივების“ კვლავ აღორძინების საკითხისათვის (ალექსანდრე დაუშვილი).....324
§ 8. სოფლის თვითმმართველობა (მედეა ბურდული).....3410
§ 9. დასაქმების პრობლემა და სოციალური დახმარება სოფლად (მედეა ბურდული).....353
§ 10. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოფლის თემი“ და მისი საქმიანობა (მედეა ბურდული).....361
§ 11. აგროსექტორისათვის პროფესიული კადრების მომზადების ცენტრები კახეთში (მედეა ბურდული) 330

თავი IX *(მედეა ბურდული)*.....369
მევენახეობა.....370
§ 1. ვაზის კულტურა კახეთში.....370
§ 2. მევენახეობის მიკროზონები.....379
§ 3. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კახეთის მევენახეობაში შექმნილი პრობლემები.....383
§ 4. პროფესიონალიზმის დეფიციტი მევენახეობის დარგში.....412
§ 5. ბიომევენახეობა კახეთში.....417
§ 6. მევენახეთა კოოპერატივები:.....421

თავი X *(მედეა ბურდული).*.....429
მეღვინეობა.....429
§ 1. კახური ტრადიციული მეღვინეობის ისტორია.....429
§ 2. კახური ტრადიციული მეღვინეობის აღორძინება.....442
§ 3. ღვინის დაყენების ევროპული ტრადიცია კახეთში.....450
§ 4. ღვინის სამკურნალოდ გამოყენების ტრადიცია საქართველოში (ენოთერაპია).....458
§ 5. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პერსპექტივა.....463
§ 6. „ღვინის გზა“ – თვითდასაქმების პერსპექტივა ქართულ სოფელში.....468

თავი XI *(ლალი მღებრიშვილი).*.....480
მემინდვრეობა.....481
§ 1. მარცვლეული კულტურები.....481
§ 2. „დავიწყებული კულტურები“.....502
§ 3. ბოსტნეული კულტურები.....505
§. 4 გაღჩეული კულტურები.....513
§ 5. ბიომეურნეობები კახეთის მემინდვრეობაში.....515

თავი XII *(ლალი მღებრიშვილი)*.....521
მეხილეობის ტრადიციული და ახალი დარგები.....521
§ 1. ხილის პერსპექტიული დარგები კახეთში.....527
§ 2. კენკროვანი კულტურები.....533

§. 3 XX საუკუნეში კახეთში არსებული ზოგიერთი სამეურნეო კულტურების აღდგენის პერსპექტივა 539
§ 4. ეთერზეთების წარმოების ტრადიცია და პერსპექტივა 540

თავი XIII *(ნათია ჯალაბაძე)*..... 544
***მეცხოველეობა*..... 544**
§ 1. მეცხვარეობა..... 553
§ 2. მსხვილფეხა მესაქონლეობა..... 570
§ 3. მეღორეობა 586
§ 4. მეფრინველეობა 593
§ 5. მეფუტკრეობა..... 600
§ 6. მეაბრეშუმეობა..... 614
§ 7. მეთევზეობა..... 624
დასკვნის მაგიერ **638**
ТРАДИЦИОННАЯ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННАЯ КУЛЬТУРА ГРУЗИНСКОЙ ДЕРЕВНИ И ПЕРСПЕКТИВЫ ЕЕ РАЗВИТИЯ (Историко-этнографические исследования Кахетинского региона) 656
***სარჩევი*..... 674**